

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
ან.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გურამ ბედოშვილი

ქართულ ტობონიმთა  
განმარტებით-ეტიმოლოგიური  
ლექსიკონი

|



გაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა

რატომ ჰქვია საქართველოს დედამდინარეს მტკვარი, ძველი იბერიის სატახტო ქალაქს — მცხეთა; რა აზრია ჩადებული ჩვენი მშობლიური კუთხე-ადგილების, სოფლებისა და დაბა-ქალაქების საკუთარ სახელებში; ანუ რას ნიშნავს: ანანური და ოზურგეთი, წიწამური და ფიჭრისგორა, ხევსურეთი და სამცხე, ვერძისთავა და ჭიათურა, რიკოთი და ჭაგანი... ამ თავსატეხ კითხვებზე პასუხს წინამდებარე ნაშრომში იპოვით.

წაიკითხეთ ეს წიგნი, გაეცანით მართლაც „უთვალავი ფერით“ აღსავსე ჩვენს ტოპონიმიკურ სამყაროს და, ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესო გეოგრაფიული სახელების ერთ ნაწილს მაინც აეხდება იღუმალების ფარდა.

...ზოგი რამ კი, წინაპართა კვალად, „გონების სამოძრაოდ“ მომავალ თაობებს დავუტოვოთ.

**გურამ ბედოშვილი**

ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი  
თბილისი. 2002

© გურამ ბედოშვილი, 2002

რედაქტორი პროფ. თედორე უთურგაიძე

ტექნიკური რედაქტორი ლ. ვაშაკიძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა თ.გაბროშვილი

გამოცა და დაიბეჭდა შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“  
აღმაშენებლის 150ა, თბილისი  
[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

**ISBN 99928-913-6-X**

Guram Bedoshvili  
Dictionary of Georgian Geographical Names

Published and printed by  
Bakur Sulakauri Publishing,  
Tbilisi, Georgia

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

თუ გიფიქრიათ, რას უწოდებდნენ ჩვენი წინაპართა წინაპრები დაახლოებით 1500-2000 წლის წინათ იმ გეოგრაფიულ ობიექტებს (მთები, მდინარეები, ტბები, გამოქვაბულები, პატარ-პატარა ღელე-ნაკადულები, სამკურნალო-მინერალური წყაროები...), რომელთაც დღეს ჩვენ მეგობარ-ნაცნობებივით საკუთარი სახელებით მოვიხსენიებთ და ურომლებოდაც ჩვენი თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენლადაც კი გვიჩვენება?

შეიძლება ბევრისათვის მოულოდნელიც იყოს, რომ ძველად, ძალიან დიდი ხნის წინათ, გეოგრაფიული ობიექტების უდიდეს ნაწილს საკუთარი სახელები არ ჰქონდათ. ადამიანები საკუთარ სახელებს არკმევდნენ მხოლოდ იმ ბუნებრივ ობიექტებს, რომლებიც მათ ყოველდღიურ საქმიანობაში (ნადირობა, თევზაობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა...) და, საზოგადოდ, ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. სპეციალისტთა მიერ გამოთქმულია სარწმუნო ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების გარიყრაჟზე ჩვენი წინაპრები მთებსაც, მდინარეებსაც და ტბებსაც ზოგადი შინაარსის სიტყვებით აღნიშნავდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოდესღაც არაგვს, თერგს, ალაზანს, რიონს... არაგვი, თერგი, ალაზანი და რიონი კი არ ერქვა. არამედ უბრალოდ „წყალი“, „მდინარე“, „ხევი“. მდინარეებისათვის სახელრქმევის ეს ზოგადი წესი მარტო ჩვენში არ ყოფილა გავრცელებული: „წყლის“, „სისველის“, „ნოტიოს“, „დინების“... აღმნიშვნელი სიტყვა იძებნება ევროპის, აზიის, აფრიკის და სხვა ქვეყნების მდინარეთა ზოგ სახელწოდებაშიც.

მოგვიანებით ადამიანებმა ესა თუ ის გეოგრაფიული ობიექტი ერთი-მეორისაგან განასხვავეს სიდიდის, ფერის, სწრაფი ან მდორე დინების, ტემპერატურის და სხვა უამრავი ნიშნის მიხედვით, რასაც მოჰყვა ისეთი სახელწოდებების შექმნა, როგორიცაა: **უნაგირა მთა**, **თავკვეთილი**, **უძირო ტბა**; **ძირულა** („მთების ძირში მიმდინარე წყალი“).

ქცია („მდინარე, რომელიც მკვეთრად იცვლის დინებას, სხვა მხარეს მიიქცევა“). წყალწითელა („წითელი შეფერილობის ქანებიდან გამო-მდინარე წყალი“), იდუმალა („კალაპოტში შეუმჩნევლად, უხმაუროდ მომდინარე წყალი“), თეთრახევა („თეთრ კირკვებში მომდინარე ხე-ვი“), უჩაღალი („შავი ღელე“), ტაბანმელა („ხმელი ანუ დამშრალი ტბა“) და მისთ.

ისიც საგულისხმოა, რომ ბევრ გეოგრაფიულ ობიექტს ჭერ კიდევ არა აქვს შერქმეული თავისი კუთვნილი სახელი. როგორც ჩანს, ასეთმა „უსახელო“ ობიექტებმა ადამიანების ყურადღება დღემდე ვერაფრით ვერ მიიპყრეს.

თბილისის აღმოსავლეთით, ზღვის მხარეს, უამრავი დიდი და პა-ტარა ბუნებრივი ბორცვია ერთიმეორეზე მიწყობილ-მიყრილი, მაგრამ მათ შორის საკუთარი სახელის ტარების ღირსად თბილისელთა ძველ წინაპრებს მხოლოდ ერთადერთი გორაკი უცნიათ და, სხვათაგან გან-სხვავებული ამოწვერილობის გამო, მისთვის მანათა შეურქმევიათ. ასე-ვე, ვინ მოთვლის, რამდენი ათასი წელი არსებობდა „თავისთვის“, სრუ-ლიად უქმად და „უბრად“ ტფილისქალაქიდან შორს, დასავლეთით, სკვირეთის მდინარის (დღევანდელი ვერე) მარცხენა სანაპიროზე მდებარე ვრცელი ვაკე ადგილები, სანამ იქ ადამიანები არ მივიდნენ და ამ უტყვი ველების საჭირითოდ თუ საასპარეზოდ გამოყენება არ გადაწყვი-ტეს. როგორც კი ეს ველი საზოგადოების სამსახურში ჩადგა, მისმა პირველმა აღმომჩენებმა და მფლობელებმა ობიექტი „მონათლეს“ და შესატყვისი სახელი საბურთალო დაარქვეს. მიკუთვნებულმა სახელმა ადგილს სიცოცხლე შთაბერა, „სული ჩაუდგა“ და ზოგადი შინაარსის ობიექტმა („ველი“) კონკრეტული შინაარსი შეიძინა, ცნობილ გეოგრა-ფიულ სახელწოდებად იქცა.

ისტორიულ ხანაში ტოპონიმთა რაოდენობა, ბუნებრივია, სრუ-ლიად უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო. მათი რიცხობრივი ზრდა და ერ-თიან სისტემად ჩამოყალიბება საზოგადოების ზრდა-განვითარებაზე იყო მთლიანად დამოკიდებული: უკაცრიელ მხარეებში ტოპონიმები თითზე ჩამოსათვლელი შეიძლება იყოს, ეკონომიკურად დაწინაურებულ რეგიო-ნებში კი მათი სიმრავლის სრულად აღნუსხვა დღესაც ერთობ ჭირს.

რამდენი გეოგრაფიული სახელწოდება შეიძლება იყოს მთელს სა-ქართველოში? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა დღესდღეობით შე-

უძლებელია, მაგრამ იმის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება, რომ საქართველოში ტოპონიმთა რაოდენობა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული ყველა სიტყვა! ასე, მაგალითად, ჩვენი ეროვნული საგანძურის — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვა ტომში (გამოიცა 1950-1964 წლებში აკადემიკოს ა. რ. ჩიქობავას საერთო რედაქციით) შესულია 113 ათასამდე, უფრო ზუსტად, 112,949 ლექსიკური ერთეული. ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, საბოლოო არ არის, რადგან მასში ყველა ქართული სიტყვა როდია აღწეული. არსებულ სიტყვათა საერთო რაოდენობა 250 ათასამდე ან, თუ გნებავთ, 300 ათასამდეც რომ გავზარდოთ, იგი მაინც ვერ გაუტოლდებოდა ქართველურ ტოპონიმთა საერთო რაოდენობას. საქმე ის გახლავთ, რომ დღევანდელ საქართველოში, ოფიციალურ მონაცემთა თანახმად, 4.530-ზე მეტი დასახლებული პუნქტი (ქალაქი, დაბა, სოფელი) არსებობს.<sup>1</sup> თუ ჩვენ თითოეული დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე საშუალოდ 75-80 ტოპონიმს ვივარაუდებთ, მაშინ მათი რიცხვი 350.000 ერთეულს გადააქარბებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დღესდღეობით უამრავი ნასოფლარი არსებობს, რომელთა კუთვნილ ტერიტორიებზეც უმცირეს ობიექტთა სახელწოდებები გამოვლენილი და შეკრებილი არ არის. ამას შეიძლება დაემატოს ის პატარა-პატარა ლელე-ხევები, წყაროები, ტბა-წყალსატევები, რომლებიც დღემდე სპეციალურად ასევე არავის აღწეულა. ამ სახელწოდებათა ერთობლივმა ჯამმა საქართველოში შეიძლება ერთი მილიონი ან მილიონნახევარი ტოპონიმის არსებობა გვავარაუდებინოს.

\* \* \*

გეოგრაფიული სახელწოდებები ბევრი რამით მოგვაგონებენ ადა-

---

<sup>1</sup> საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები) ი. აფხაზავას, ი. გიგინეიშვილის, ა. კობახიძის, დ. უკლებას და მ. ჭაბაშვილის რედაქციით, თბ., 1987, გვ. 5.

მიანთა საკუთარ სახელებს: ალბათ არ არსებობს ისეთი ობიექტი, რომლის სახელწოდებაშიც ასახული არ იყოს მისი ფიზიკურ-მორფოლოგიური თავისებურება. ტოპონიმიში, ისევე როგორც ანთროპონიმიში, გამოიყოფა უძველესი და ახლადწარმოქმნილ სახელწოდებათა მთელი ფენები. აქაც, ადამიანთა სახელ-გვარების მსგავსად, დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც საკუთარი ენობრივი საშუალებებით „ნასაზრდოვები“ და წარმოქმნილი მასალა, ისე უცხოენობრივი დანაშრევები.

ტოპონიმიკის მკვლევართა ვარაუდით გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის ყველაზე „ხანდაზმულებად“ დიდ მდინარეთა სახელები მიიჩნევა. ამ მოსაზრებას უთუოდ მხარს უჭერს ის ვითარება, რომ ადამიანებს ყველაზე უფრო „საქმიანი კონტაქტები“ გარე სამყაროში არსებულ ობიექტთაგან პირველ რიგში დიდ და წყალუბვ მდინარეებთან ჰქონდათ: მდინარე იყო ადამიანთა საკვების მოპოვების საიმედო წყაროც და ხელსაყრელი საკომუნიკაციო საშუალებაც.

როგორც ზემოთ ვთქვით, ადამიანები თავიანთი ქვეყნის მდინარეებს თავდაპირველად ზოგადი ცნების შემცველი სიტყვის („წყალი“, „მდინარე“...) აღნიშნავდნენ. ზოგადიდან კონკრეტულისაკენ გადასვლის პირველი საფეხური მდინარის სიდიდე-სიბატარავე, სისწრაფე-სიმდორე ან სხვა ფიზიკური მონაცემი (ფერი, გემო, ტემპერატურა) უნდა ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში საქართველოს მდინარეთა შორის მხოლოდ მტკვარი იწოდებოდა „მდინარედ დიდად“: „მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და... დააგზნეს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს ჯორცნი იგი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას... რომელსა ჰრქჳან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა... მდინარისა მას დიდისა, რომელი განჰვლის აღმოსავლით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი“.<sup>2</sup>

„ხოლო ძუალთა მათ წმიდისა მოწამისათა, რომელთა ვერღარა უძღეს დაწუვა, შთაკრიბეს ტყავსა ცხოვარისასა... და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა, ქუეშე ვიდსა მას ქალაქისასა...“<sup>3</sup>

---

<sup>2</sup> იოვანე საბანისძე, მარტლობაჲ ჰაბო ტფილელისა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (ილია აბულაძის რედაქციით). თბ., 1964, გვ. 73 (შემდგომ-ძქაღ).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 73

ეპიტეტი „დიდი“ მიერთვოდა „საუფლო“ ანუ მეფეთა საჯდომ ქალაქს (ამ შემთხვევაში მცხეთას), აგრეთვე ყველაზე უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრეებს, უმაღლეს მწვერვალებს და მისთ.

„ალიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი... წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთა“.<sup>4</sup>

„ვართ... ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“.<sup>5</sup>

„მივემთხუ მთათა ზედა ტბასა დიდსა, გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარავნად...“<sup>6</sup>

„მიუბოდა მირიან მეფემან დაბად ერთი, რომელსა ჰრქვან ციხე-დიდი...“<sup>7</sup>

ამავე დროს, უმნიშვნელო, არაფრით გამორჩეული ციხე-ქალაქების ან დაბების აღსანიშნავად ენაში ჩნდებოდა შესაბამისი სინონიმები: „მცირე“ (დაბად მცირე) „კნინი“, „პატარა“ („ცოტად“)... ამის შესაბამისად ენაში ადგილს იპყიდებდა საპირისპირო ცნებების შემცველი ტოპონიმები და ჰიდრონიმები (მდინარე-ხეუებისა და ტბების საკუთარი სახელები): წყალთბილა — ცივი დელი, შავწყალა — თეთრახევა, გრძელმინდორი — მოკლემამული, ტკბილწყარო — მწარე წყალი, მაღალმიწები — დიდდაბალი, ზემო ქართლი — ქვემო ქართლი...

ენაში იმთავითვე იპოვებოდა სახელწოდებათა ერთი წყება, რომელთა მნიშვნელობა ხალხისათვის სრულიად გაუგებარი და ბუნდოვანი იყო. ისინი, სპეციალისტთა მიხედვით, უძველესი ეპოქის „ხანდაზმულ“ სახელთა წყებას განეკუთვნებიან. ასეთებია, მაგალითად, დიდ მდინარეთა სახელწოდებანი, რომელთა ასაკის ზუსტად განსაზღვრა მეცნიერთა შორისაც კი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მართლაც, თუ დავაკვირდებით საქართველოს უმთავრეს მდინარეთა სახელწოდებებს (არაგვი, ალაზანი, თერგი, იორი, ლიახვი, მტკვარი, რიონი, ქსანი, კო-

<sup>4</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“: ძქალძ, წ. I. გვ. 118.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 116.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 147.

როხი...), შევნიშნავთ, რომ ყველა ისინი შინაარსობრივი თვალსაზრისით ბუნდოვანი და მეტნაკლებად გაურკვეველნი არიან. ეს იმიტომ რომ მათი სახელები ჩვენი უძველესი წინაპრების მიერ უხსოვარ ეპოქებში არიან შექმნილნი. ის, რაც ნათელი და გასაგები იყო საერთოქართველურ ენაზე მეტყველი ხალხებისათვის ამ 3000 წლის წინათ, დღეს უკვე გაურკვეველი და ბუნდოვანია ჩვენთვის, — ამ სახელწოდებათა პრაქტიკულად მომხმარებელი ხალხისათვის. ვინ, როდის და რომელ ენაზე (დიალექტზე) მეტყველმა ხალხმა შეარქვა მდინარე არაგვს „არაგვი“, ალაზანს — „ალაზანი“, მტკვარს — „მტკვარი“, რიონს — „რიონი“, თერგს — „თერგი“, დანამდვილებით არავინ იცის. მეცნიერები ამის თაობაზე მხოლოდ კერძო, თანაც საკმაოდ ფრთხილ, ვარაუდებს თუ გამოთქვამენ. /

სიტყვის (სახელწოდების) ეტიმოლოგიის სფეროში მომუშავე სპეციალისტთა ვალია ზუსტად დაადგინონ საკვლევი სიტყვის ძირიც და საწარმოქმნო ელემენტებიც (აფიქსები). მათ ექვემდებარებულად უნდა გაარკვიონ ბუნდოვანი სიტყვების გენეზისი, მონათესავე ენებთან მათი მიმართება, ურთიერთგავლენის შედეგები და სხვ. ყოველივე ამის დასაძლევად კი აუცილებელია ენის ისტორიული ფონეტიკისა და მისი ცვლა-განვითარების ძირითად კანონზომიერებათა ზედმიწევნით ცოდნა..

აღამიანებს გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობის საკითხები უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ. ამ თვალსაზრისით საკმარისია გავიხსენოთ ძველი ბერძენი და რომაელი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების (ჰეროდოტე, სტრაბონი, ტაციტი...) ნაწერები, რომლებშიც მათ მიერ არაერთი ტოპონიმი არის საკმაოდ მაღალ დონეზე განმარტებული. ამ მხრივ მათ არც ჩვენი ძველი ჰაგიოგრაფი მწერლები ჩამორჩებოდნენ. მაგალითისათვის შეიძლება კვლავ იოვანე საბანისძის „ჰაბოტფილელის მარტილობას“ მოვუხმოთ. VIII საუკუნის ამ ძეგლში მკითხველი შეიძლება გააოცოს მისი ავტორის ერთობ მაღალმა ლინგვისტურმა აზროვნებამ. იოვანე საბანის ძე აქ ჩვენ გვაწოდის არა მარტო ისტორიულ თვალსაზრისს ოვსეთის კარისა და დარიალანის იგივეობაზე (ნერსე ერისთავმა „განვლო... კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუთის“),<sup>8</sup> არამედ გვთავაზობს ზოგიერთი მიკროტოპონიმის ახსნა-გან-

<sup>8</sup> ძქალძ, I, გვ. 58.



მარტების საინტერესო ცდებსაც: „ადგილსა... საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“.<sup>9</sup>

გეოგრაფიული სახელწოდების განმარტების ძალზე საინტერესო შემთხვევას ვხვდებით ანონიმი ავტორის ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „მარტულობა დავითისი და ტირიქანისი“, რომელიც შუა საუკუნეების /X ს./ ძეგლად არის მიჩნეული: „ხოლო ტირიქან ვითარცა იხილა სიკუდილი უწყალოდ ძმისა თჳსისა. შეეშინა და იწრაფა სივლტოლად... სოფელსა მას, რომელსა ჰრქვან დივრი. რომელსა უქმობენ კაცნი დევობით“.<sup>10</sup>

აქვე რამდენიმე სიტყვით გვინდა შევნიშნოთ, რომ ქართ. დევ-ფუძე ძველი ინდური ენობრივი სამყაროდან არის შემოსული. თავდაპირველად ეს სიტყვა ღმერთის (ქალღმერთის), ღვთაების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. თანდათანობით ძველი ინდური devī: („ქალღმერთი“) იქცა ავი სულის, ეშმაკის, დემონის აღმნიშვნელ სიტყვად (შდრ. ახ. სპარს. dev „დემონი“, „ეშმაკი“) და ავესტური daeva („ავი სული“).<sup>11</sup>

უთუოდ ამ მნიშვნელობით არის ნახმარი სიტყვა „დევი“ პირველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში — იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“ (V ს. II ნახევარი): შუშანიკი უსაყვედურებს ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფელ მეუღლეს მამამისის — არშუშა პიტიახშის-მიერ აგებულ წმიდა ტაძარში უწმინდურების შემოყვანას: „მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნენ...“<sup>12</sup> საინტერესოა რომ სიტყვა ღმერთი („ბოღ“) უარყოფითი შინაარსის ცნებას გამოხატავს ზოგიერთ სლავურ ენაში. ასე. მაგალითად. უკრაინულში („богня“) ეშმაკეულის, ავი სულის („привидение“) გამოსახატავად გვხვდება.<sup>13</sup> div ფუძე „ღმერთის“ აღსანიშნავად ევროპის ხალხთა ენებშიც (ლიტვა, ლატვია) დასტურდება.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>10</sup> ძქალძ I, 1964, გვ. 188.

<sup>11</sup> მ. ფ ა ს მ ე რ ი, რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. I, (გერმანული ენიდან თარგმნილი ო.ნ.ტრუბაჩევის მიერ) მოსკოვი, 1986, გვ. 491.

<sup>12</sup> ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, შუშანიკის წამება (ტიქსტი გამოსაცემად მოამზადა ციალა ქურციკიძემ) თბ., 1978, გვ. 27.

<sup>13</sup> მ . ფ ა ს მ ე რ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 182.

ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელწოდებათა შერქმევის პრინციპების თაობაზე ერთობ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის. ასე, მაგალითად, ბასილი ზარზმელის თხზულებაში „ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“ (XI ს.) ვკითხულობთ: „ესე არს ტბაჲ მღრჟე ყოლადვე, რომელსა ეწოდების სათაჟუე და არს ამას შინა სიმძრავლე თაჟუთა“;<sup>14</sup> „მთაჲ ესე მალალ არს, თავი ყოველთა ამათ ქედთაჲ, რომელსა ჰრქჳან თავი შეშათა, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მალნართა, ამისთჳს შეშის-თაჲ ეწოდების“.<sup>15</sup>

კიდევ არაერთი ანალოგიური ფაქტის მოხმობა შეიძლება ჩვენი ძველი მწერლობის ნიმუშებიდან.



გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებებს ქმნის ხალხი და მათ საკუთარი მოთხოვნილებისამებრ მოიხმარს კიდევ. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობა შეიძლება ძველ ადგილ-საცხოვრისს იცვლიდეს, ან დამპყრობლური ომების შედეგად გადაშენდეს, სხვა ენობრივ კოლექტივში გაითქვიფოს. ახლადმოსულ ხალხს, ბუნებრივია, ადგილზე ზვდებოდა გეოგრაფიულ სახელწოდებათა მთელი სისტემა, რომელიც მას ჩვეულებრავ სამსახურს ვერ გაუწევდა. ამიტომ იწყებოდა როგორც ახალი სახელწოდებების შექმნა, ისე უკვე არსებულის თარგმნა-კალკირება. ასე ქრებოდა თანდათან ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურა, ხოლო მის სანაცვლოდ იქმნებოდა სახელწოდებათა ახალი ნარევი ფენა, რომლის შემადგენლობაშიც ხშირად გვხვდება ჰიბრიდული ანუ ორენოვანი ტოპონიმები.

---

<sup>14</sup> ძქალძ, I, გვ. 229.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 330. უნდა შევნიშნოთ, რომ ძვ. ქართულში შეშა ხეს, ძელს აღნიშნავდა: „ქმნეს ჳიდი რაჲმე დიდი შე შ ი ს ა ჲ (ი . ა ბ უ ლ ა ძ ე , ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 494). ასე რომ თავი შეშათა ტყიან მთად, ტყის თავად უნდა გავიგოთ.

სწორედ ისტორიული ქართველებისა თუ ხალხთა დიდი და მცირე მიგრაციების შედეგია ის, რომ დღეს ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერცერთ ისეთ „სუფთა“ ენას, რომლის ტოპონიმიაც სხვადასხვადროინდელ და სხვადასხვა ენობრივ პლასტებს, დანაშრევებს არ შეიცავდეს. გამოინაკლისს, ბუნებრივია, არც ქართული ენა წარმოადგენს. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ არაერთი შემთხვევა, როცა ტოპონიმში ამოსავალი ფუძე ერთი ენის კუთვნილებაა, საწარმოებელი (სადერივაციო) ელემენტები (სუფიქსები) კი — მეორე ენისა. ამიტომაც რომ -ეთ, -ის, -ორ... ქართული სუფიქსები ხშირად ისეთ სიტყვებს მიერთვიან. რომელთა წარმომავლობა და შინაარსი დღესდღეობით გაურკვეველია: ალგ-ეთ-ი, თრიალ-ეთ-ი, წორბ-ის-ი, ყვიბ-ის-ი, წკად-ის-ი, ხანდ-ის-ი, ბნავ-ის-ი, ლარგვ-ის-ი, არდ-ის-ი, ფხვენ-ის-ი, ხურთ-ის-ი, თეჯ-ის-ი; გომბ-ორ-ი, დვით-ორ-ი, უად-ორ-ი, სულ-ორ-ი, სხვიტ-ორ-ი...

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, თუ რომელი ენის კუთვნილებაა, ან რას ნიშნავს: ალგ-, თრიალ-, წორბ-, ყვიბ-, წკად-, ხანდ-, სულ-, თეჯ-, სხვიტ- და სხვა სიტყვები. გამორიცხული არ არის მათი ქართულ-ქართველური ენებისადმი კუთვნილება, მაგრამ ეს რომ ნამდვილ მეცნიერულ დონეზე გავარკვიოთ, საამისოდ ხანგრძლივი და დიდი მოცულობის კვლევა-ძიებაა საჭირო.

სახელწოდებათა ეტიმოლოგიური კვლევა სპეციალისტებისათვის (თუნდაც არასპეციალისტებისათვის) თვითმიზნად არასოდეს არ უნდა იქცეს. შეუძლებელია (და, ალბათ, არცაა საჭირო) გავარკვიოთ ყველა ტოპონიმის წარმომავლობა, მასში ჩადებული შინაარსი. მთავარია, ვიკვილიოთ ენა, როგორც მთლიანი სისტემა, როგორც განვითარებადი და, ამდენად, ცვლადი ფენომენი.

ტოპონიმთა „მუღმივ ნათლიებს“ — რიგით ადამიანებს კი ყოველთვის აინტერესებდათ და აინტერესებთ არა სახელწოდებათა გრამატიკული მხარე (შედგენილობა, ძირი, ფუძე, საწარმოქმნო ფორმანტები, კუმშვა-კვეცის შედეგები და ა.შ.), არამედ ამ სახელწოდებებში ჩადებული შინაარსი, მნიშვნელობა, აზრი სწორედ ხალხის ამ საყოველთაო ინტერესმა და სწრაფვამ დაუდო სათავე ე.წ. ხალხურ ანუ არამეცნიერულ ეტიმოლოგიას, რომლის ზოგიერთ ნიმუშსაც წინამდებარე ნაშრომში მკითხველი საკმაოდ ხშირად შეხვდება.

სპეციალისტები ამჟამად განარჩევენ ტოპონიმთა შინაარსობრივი კვლევის ორ ძირითად ასპექტს — მეცნიერულსა და ხალხურს. განსხვავება მათ შორის არსებითია: თუ მეცნიერული კვლევის მეთოდი სპეციალისტთა მიერვე ზუსტად არის განსაზღვრული და დადგენილი, დაქვემდებარებულია ყველასათვის მისაღებ, ერთიან ნორმებს და წესებს, ხალხური ეტიმოლოგიის მოყვარულთათვის ამ პრინციპულ მოთხოვნებს არავითარი, ან ერთობ უმნიშვნელო როლი აქვს მინიჭებული. როგორც ცნობილია, სპეციალისტი-მკვლევარი შეუქცეველ წინაპირობად თვლის წესს, რომელიც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „შეუძლებელია მოცემულ იქნეს სიტყვის სწორი ეტიმოლოგია სიტყვის სწორი ანალიზის გარეშე“.<sup>16</sup> და ეს მაშინ, როდესაც სპეციალური განათლების უქონელ პირს შეიძლება იოტისხელადაც არ აწუხებდეს იმაზე ფიქრი, მისთვის საინტერესო ტოპონიმი წარმოშობით ქართულია თუ სხვა ენობრივი სამყაროდან შემოდღეული ფაქტი. მან, ბუნებრივია, არ იცის (და არც შეიძლება იცოდეს) რა არის ტოპონიმის ფუძე და რა — აფიქსები, რომელთანაც ძალიან ხშირად დაკავშირებულია სახელწოდების პირველადი (ამოსავალი) მნიშვნელობა;<sup>17</sup> ხალხური ეტიმოლოგიის მოყვარულისათვის მთავარი და არსებითია არა საკვლევი სიტყვის ფორმობრივ-სტრუქტურული ანალიზი, არამედ სიტყვის ფონეტიკური უღერადობა: საკმარისია რაიმე ბგერათშეხამებამ მას ესა თუ ის ცნება, რომელიდაც

---

<sup>16</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ზოგადი ენათმეცნიერება I. პრობლემეტიკული ნაწილი, თბ., 1939, გვ. 192.

<sup>17</sup> დუშეთის რაიონში არის პატარა სოფელი მგლიანი. სოფლის სახელწოდების ზუსტ შინაარსზე მიგვანიშნებს -იან სუფიქსი, რომელიც ძირითადად პატრონიმულ (გვაროვნული) წარმოშობის ტოპონიმებში არის წარმოდგენილი. მაშასადამე მგლ-იან-ი უნდა გავიგოთ როგორც მგლიშვილების სოფელი და არა ადგილი, სადაც გავრცელებული ყოფილა მგელი. ტოპონიმისათვის მგელი რომ ყოფილიყო ამოსავალი, მაშინ გვექნებოდა სა-მგლ-ე, მგლის ორმოები, მგლისბუნაგები და მისთ. ტოპონიმის მნიშვნელობა -იან სუფიქსმა გაგვარკვეინა (დაწვრ. იხ. ქვემოთ).

ნაცნობი სიტყვა გაახსენოს, ბგერები რაღაც სიტყვას მიამსგავსოს, რომ ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ ქვეყანას მოველიონოს ახალი „ეტიმოლოგიური ნაკვლევი“. საილუსტრაციოდ შეიძლებოდა რამდენიმე მაგალითის გახსენება.

თუშეთში კარგად არის ცნობილი ადგილის სახელი **სამუშის ვაკე**, რომელიც ადგილობრივ გააზრებულთა **სამი მუშის** ვაკედ: ამ ადგილას მდგარი ციხე, რომელიც **სამ მუშას**, **სამ კალატოზს** აუგიაო. ხალხური ეტიმოლოგისტის ასეთი უმართებულო დასკვნა იმის პირდაპირი შედეგია, რომ **სამუშის ვაკე**-ში რიცხვითი სახელი **სამი** კი არა გვაქვს, როგორც მან გაიაზრა, არამედ დანიშნულების პრეფიქსი **სა-**, რომელიც დართვია თუშეთში (აგრეთვე, ფშავ-ხევსურეთში) საყოველთაოდ ცნობილ სიტყვა **მუშა**, რაც ნიშნავს: „ცაცხვის თხელი კანი, მერქნის შიგა ქსოვილი, რომლისგანაც თოქს გრებენ“. მაშასადამე **სამუშის ვაკე** უნდა გავიგოთ როგორც „**ვაკე** ადგილი, სადაც ცაცხვის თხელი ქერქისაგან ანუ მუშისაგან თოქებს გრებენ (ან ოდესღაც უგრეხიათ)“. აშკარაა, რომ ტოპონიმისათვის ამოსავალია სახელწოდება **სამუშე**, რომელიც საზღვრული სიტყვის (**ვაკე**) დართვის შედეგად ნათესაობით ბრუნვაში დამდგარა და საბოლოოდ, ხმოვნის მოკვეციტთ, **სამუშის ვაკე** (**სამუშე-ის ვაკე**) მოუცია.

ნიშანდობლივია, რომ თუ **სა-** თავსართს **მ** თანხმოვნით დაწყებული ფუძე მოსდევს. ხალხური ეტიმოლოგისტი ასეთ ტოპონიმში, ჩვეულებრივ, რიცხვით სახელს **სამს** ხედავს და თავისი „მიგნებაც“ (რომელიც არც თუ იშვიათად პოპულარობას იძენს და ხალხურ ლეგენდადამოცემებსაც კი დაედება ხოლმე საფუძვლად) ამ რიცხვის შესაბამისად გამოჰყავს. ამ გზითაა შექმნილი ისეთი ტოპონიმები, როგორებიცაა: **სამტრედია** („**სამი მტრედი**“), **სამაჩვია** („**სამი მაჩვი**“), **სამცხე** („**სამი ციხე**“) და მისთ.

ანალოგიური გამომგონებლობა შეინიშნება ზანური (მეგრული) **ო-** პრეფიქსიან გეოგრაფიულ სახელებთანაც. აქაც, როცა **ო-** წინსართს ფუძისეული **რ-** თანხმოვანი მოსდევს. ხალხური ეტიმოლოგისტი ამგვარ ტოპონიმს რიცხვითი სახელისაგან („**ორი**“) მომდინარე ნომენად გაიაზრებს: **ო-რაგვ-ეთ-ი** („**ორი რაგვი**“), **ო-რ-ჯონ-ი** („**ორი ჯონი**“)

და მისთ.<sup>18</sup>

ამის მიუხედავად ხალხური ეტიმოლოგიის მონაცემთა ხელაღებით უგულვებელყოფა არ შეიძლება, რადგან ზოგიერთ მათგანში კარგადაა შემონახული ძველი, ტრადიციული ცნობები ამა თუ იმ ტოპონიმის წარმოქმნის თაობაზე. ამ მონაცემებს მკვლევარმა ერთობ ფრთხილად, მაგრამ მაინც უნდა გაუწიოს ანგარიში: იშვიათი როდია შემთხვევა, როცა ხალხური ცნობა შეიცავს ძვირფას ინფორმაციას ტოპონიმების შინაარსობრივი „გაშიფრვის“ თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, ხალხმა სწორად შენიშნა, რომ სახელწოდება **ორაგვე** ემყარება დასავლურქართულ სიტყვა **რაგვს**. მართალია, ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა ვერ ჩასწვდა სახელწოდების საბოლოო შინაარსს („სარაგვე“; „რაგვით ანუ მცირე მახეებით გარეულ ფრინველზე სანადირო ადგილები“), მაგრამ ტოპონიმის ამოსავალი სიტყვის (**რაგვი**) შეუმცდარად ამოცნობამ მკვლევრებს საშუალება მისცა სახელწოდება **ო-რაგვე-ე** ზანური წარმოშობის სახელად ეცნოთ და მისი შინაარსიც ზუსტად განესაზღვრათ.

მდიდარი, მრავალმხრივი და სარწმუნო ინფორმაციის შემცველია ისეთი ადგილობრივი გეოგრაფიული სახელები (ძირითადად მიკროტოპონიმები), როგორცაა: **სარკინეთ-ი** („რკინის მადნის შემცველი ქანები“), **წეროვანი-ი** („ადგილი, სადაც გამოედინება შავი ფერის მინერალური ნივთიერება — წერი; იყენებენ საღებავად“), **გუნდაეთ-ი** („ადგილი, სადაც მოიპოვება ქვა-გუნდა (ანტრაციტი) ან სპეციალური თავსაბანი მიწა — „გუნდა“). ამ უკანასკნელი თვალსაზრისით **გუნდაეთი** ენათესავება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დადასტურებულ ტოპონიმ **სალებეს**, რაც ნიშნავს: „**ლების** სათხრელი ადგილი; ადგილი, სადაც მოიპოვება **ლები**, ლურჯი ფერის მინერალური ტალახი“, იყენებენ თავსაბან საშუალებად.

ასეთივე მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ტოპონიმები: **საბადურ-ი** („რკინის მადნით მდიდარი ქანები“), **ქვაცხელებ-ი** („გვალვიანი, მხურვალე, ცხელი ადგილები“), **შიმშილეებ-ი** („მწირი, გამოფიტული, მოუსავლიანი ადგილები“), **პისაწრის ქედ-ი** („ადგილი, ქედი, სადაც ხატობაში მიმავალი მლოცველები პირჯვარს იწერენ“), **ნახიზორა** (ნახიზვარა) „ადგილი, სადაც ოჯახები შიშინობის უამს იხიზნებოდნენ“ და სხვ. მრ.

---

<sup>18</sup> აღნიშნულ სახელწოდებათა შესახებ სპეციალური მსჯელობა იხ. ქვემოთ.

გეოგრაფიული ნომენკლატურის საფუძვლიან შესწავლას, მეცნიერული ინტერესების გარდა, დიდი საზოგადოებრივ-აღმზრდელი მნიშვნელობაც ახლავს — ტოპონიმიკურ სახელწოდებებში ხომ კუთხე-ქვეყნების ხანგრძლივი ისტორიებია ასახული.

ჭერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოჩენილმა რუსმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა ნ.ნადეჟდინმა ტოპონიმიკას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას, კაცობრიობის ისტორიის შემსწავლელი წყარო უწოდა: „დედამიწა, — წერდა იგი, — ეს არის წიგნი, რომელშიც კაცობრიობის ისტორია ჩაწერილია გეოგრაფიული ნომენკლატურის სახით“<sup>19</sup>

აქვე მკვლევარი მიუთითებდა იმაზედაც, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებანი ბგერათა უბრალო ნაზავს, ნაერთს ან სიტყვების უაზრო, გაუცნობიერებელ შეკავშირებას როდი წარმოადგენდა, ისინი, ეს სახელწოდებანი, ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრების ზუსტი ანარეკლია და ამიტომ მათი სპეციალურად შესწავლა ქვეყნის ისტორიის შესწავლას ნიშნავსო. ეს რომ მართლაც ასეა, ამას ქართულ ტოპონიმებზე დაკვირვებაც ნათელჰყოფს. ქართული ტოპონიმია, შეიძლება ითქვას, ის ერთადერთი უძველესი, ამასთან სანდო და უტყუარი წყაროა, რომელშიც მთელი ჩვენი ხალხის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ყოფა-ცხოვრების ხანგრძლივი და ბოლოქარი ისტორია ძალზე მართლად, ყოველგვარი ტენდენციურობისა და შელამაზების გარეშე არის ასახული. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლებოდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის — მიკროტოპონიმის შესახებ გვეთქვა ორიოდ სიტყვა.

თბილისი მთელი 14-15 საუკუნის მანძილზე საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების სათავეებთან მდგარი ქალაქია. ამიტომ ყველა ის მსოფლიო-ისტორიული თუ ლოკალური ეროვნულ-სოციალური ძვრები, რომლებიც საქართველოს დროდადრო

---

<sup>19</sup> Н а д е ж д и н , Н.И. Опыт исторической географии русского мира: Библиотека для чтения. С.-Пб., 1837, т. 22. ч. II.

თავს ატყდებოდა, თბილისის, როგორც ქვეყნის მთავარი ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი ცენტრის, მიკროტოპონიმიაში მთელი სისრულით აისახებოდა. ამ ტოპონიმების მიხედვით შეიძლება შეუშკადარად გავარკვიოთ თუ რომელი დამპყრობელი მოსულა აქ პირველად და მერე რომელ დამპყრობს შეუცვლია იგი. ვინ, რომელი გადამთიელი „მჯდარა“ აქ დიდხანს და რომელს დროებითი ძარცვა-გლეჯით უჭვრებია გული, დაუწვავს, დაუბუგავს ყველაფერი, მერე კი უკვალოდ და უსახელოდ გარიდებია აქაურობას.

დედაქალაქის პირველი „ენობრივი მკვიდრები“, რა თქმა უნდა, ქართული საკუთარი სახელები „ტფილისი“, „მტკვარი“, „მთაწმინდა“, „ზარის საყდარი“, „საგოდებელი“ და სხვანი იყვნენ. მერე და მერე, VII-VIII საუკუნეებიდან მოკიდებული, აქ არაბთა ბატონობის ამსახველი ცალკეული გეოგრაფიული სახელწოდებები ჩნდებიან: ისნი (ისანი), ჰავლაბარი... შემდეგ სპარსულ-ირანული და სხვა აღმოსავლური ტომები გამოდიან ასპარეზზე: ნარიყალა, ზარფუხი, სეიდაბადი, ჩორსუბაზარი, აშპაშხანა, იშუტუტრუქი, დაბალხანა... მათ გვერდით თანაარსებობენ ტრადიციული ქართული სახელები: ციხისუბანი, კალოუბანი, შავსოფელი, ოქროყანა, ცხენისტერფი, ლურჯი მონასტერი, ავქალა... მერე კვლავ ახალი, ამჯერად თურქულენოვანი, ნაკადი იკრება დედატფილისის უბნებისა და ქუჩაბანდების სახელწოდებებში: მეიდანნი, სოდანლუდი||სონდალუდი, ნავთლუდი, ჩულურეთი... ჩნდებიან ენათა თანაარსებობის, თანამეზობლობის ამსახველი ჰიბრიდული აგებულების ტოპონიმებიც: ორთაქალა (თურქ. ორთა „შუა“ და ქართ. ქალა), დიდუბე (ქართ. დიდი და თურქ. Тюдн „ჩოლი, ჩადაბლებული ადგილი (შდრ. ქალაქი АКПОДИНСК-ი რომელშიც იგივე დუბე სიტყვა ფიგურირებს: Ак „თეთრი და Тюдн „დაბალი ადგილი“ + კუთვნილების აღმნიშვნელი რუსული ИН-СК სუფიქსი).

იმავე Ак („თეთრი“) და Туң||Тюдн ტერმინთაგან არის წარმომდგარი მდ. ვოლგის ერთ-ერთი ტოტთაგანი АХТУНд („თეთრი წყალსატევი, მდინარე-წყალი“).

დედაქალაქის ტოპონიმიაში სხვა უცხოენოვანი მოსახლეობის, კერძოდ, გერმანელების, მცირეხნით „სხდომაც“ არის ასახული, რის თაობაზეც სპეციალურ ლიტერატურაში (გ.ზარდალიშვილი, ზ.კუმბურიძე, თ.ბერიძე...) სარწმუნოდ არის მოთხრობილი.



ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების მეცნიერული შესწავლის ცდა, როგორც ცნობილია, გამოჩენილი ქართველი სწავლულის, ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1758) სახელთან არის დაკავშირებული. მისი განთქმული წიგნი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“<sup>20</sup> არის პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც მოცემულია საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურის სისტემატიზაციისა და მეცნიერული კვლევის საინტერესო ცდები. ვახუშტი ბატონიშვილს ეს დიდი ნაშრომი 1745 წელს დაუსრულებია ქ.მოსკოვს, სადაც იგი ვახტანგ VI ახლდა პოლიტიკურ ემიგრაციაში. ვახუშტიმ მოგვცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის პირველი საფუძვლიანი და დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა, აგრეთვე ძველი საქართველოს გეოგრაფიული ატლასები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერული მნიშვნელობა (ნ.ბერძენიშვილი).

საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში ძირითად მიზნად ისახავდა საქართველოს უძველესი ისტორიის ჩვენებას — დასაბამიდან ანუ ქვეყნის შექმნიდან, ვიდრე XVIII ს-ის I ნახევარ-

---

<sup>20</sup> ვახუშტი ბატონიშვილის ეს ნაშრომი ჩვენში ხუთგზის არის გამოცემული: 1. დედოფარაფიული აღწერა საქართველოჲსა ბატონისშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკოსა ბროსეტის-გან, სანკტ-პეტერბურგი, 1842; 2. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერ დედნიდამ. რედაქცია მ.გ.ჭანაშვილისა, ტფილისი, 1904 წ.; 3 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ.ლომოურიისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941; 4. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს.ყაუხჩიშვილის მიერ; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973; 5. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, მთ.რედაქტორი ზ.ტატაშიძე.

მდე, მაგრამ ამ უმთავრესი ამოცანის პარალელურად მან თვალნათლივ წარმოაჩინა საქართველოს ისტორიული გეოგრაფია; მოგვცა ისტორიულ ამბებთან და პირებთან დაკავშირებული ქალაქების, ციხეების, დაბა-სოფლების, მდინარე-ხეობების, „უშენი“ და „უქმი“ ნასოფლარების და მისთ. რეალური აღწერილობა. ისიც უთუოდ საგულისხმოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავის „ისტორიაში“ გვაწვდის ჩვენი ქვეყნის კუთხეების, გეოგრაფიული პუნქტების, მდინარეების, ცნობილი ციხე-სიმაგრეების, სხვა ხელოვნური თუ ბუნებრივი ობიექტების სახელწოდებათა წარმოქმნის ისტორიას, მათ ეტიმოლოგიებს. ვახუშტი ბატონიშვილს ამ თვალსაზრისით თავის ნაშრომში სამათეულზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება აქვს განხილული და გაანალიზებული (საქართველო, ქართლი, ივერია, გარდაბანი, სამგორი, ოძრხე, მცხეთა, სამცხე, გაჩიანი, უფლისციხე, გორი, არაგვი, რიონი, იორი, ქცია, ფარცხისი, სეიდაბადი...). განმარტებათა დიდი ნაწილი, როგორც მოსალოდნელი იყო, „ქართლის ცხოვრების“ მემკვიდრეთა მიერ გამოთქმულ-ვარაუდებზე არის დამყარებული, ზოგიერთი ობიექტის შესახებ კი ვახუშტი ბატონიშვილი საკუთარ თვალსაზრისსაც სთავაზობს მკითხველს. მართალია, ვახუშტისეული ეტიმოლოგიების დიდი ნაწილი სარწმუნოდ ვერ გამოიყურება, მაგრამ ისინი ზოგად წარმოდგენას მაინც გვიქმნიან XVIII ს-ის I ნახევრის საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი აზრის საერთო დონის შესახებ. რაც მთავარია, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს აღწერამ“ მძლავრი ბიძგი მისცა ჩვენში საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარებას, რაც შემდგომი ხანის ქართველ განმანათლებელ-მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა (იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები, გაიოზ რექტორი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, დავით და ნიკო ჩუბინაშვილები...) მიერ შექმნილ საისტორიო, ლექსიკოლოგიური თუ მთარგმნელობითი ხასიათის ნაშრომებში აისახა.



თანამედროვე ქართული ტოპონიმის მეცნიერული კვლევის დარგში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ოცდაათ წელზე მეტია ნაყოფიერად მუშაობს ტოპონიმოლოგიური კვლევის ცენტრი, რომლის კარტოთეკამ დღეისათვის ნახევარ მილიონ ერთეულს მიაღწია. იცემა სპეციალური კრებულები (ტოპონიმია I — 1976 წ., ტოპონიმია II — 1984 წ.) 1987 წელს გამოვიდა კრებული „ონომასტიკა“ I, რომელშიც 35-ზე მეტი სპეციალისტის წერილია გამოქვეყნებული.

ჩვენში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის წიგნი „რა გქვია შენ?“, რომელიც დამატებული და შესწორებული სახით 1987 წელს უკვე მეოთხედ გამოიცა. ამ წიგნში საინტერესოაა მოთხრობილი ქართული ტოპონიმოლოგიისა და ანთროპონომიის (აღამიანთა საკუთარი სახელები) შესახებ. ზ. ჭუმბურიძის ზემოაღნიშნული წიგნი შედეგია ჩვენში წინა ათწლეულებში მიმდინარე დიდი და ნაყოფიერი ტოპონომასტიკური კვლევა-ძიებისა: წიგნი ძირითადად იმ ცნობილ ვარაუდებს ემყარება, რომლებიც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების პირველ გზამკვლევთ (ნ. მარი, იოს. ყიფშიძე, ი. ჯავახიშვილი, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, ვარლ. თოფურია, გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი...). აგრეთვე მომდევნო თაობის ცნობილ სპეციალისტებს (გ. მელიქიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჭავთარაძე, ს. მაკალათია, შ. მესხია, დ. კობიძე, მ. ალავიძე, გ. ზარდალიშვილი, მ. ზანდრონიკაშვილი, მ. ქალდანი, მ. გეგეშიძე, შ. ნიჟარაძე, თ. ბერიძე, ი. სიხარულიძე, ი. მაისურაძე, ალ. დლონტი, თ. თუთურგაიძე, პ. ცხადაია, ფ. მაკალათია, გ. ხორნაული...) გამოუთქვამთ მონოგრაფიულ გამოკვლევებსა თუ სპეციალურ წერილებში.

უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენში არაერთი საინტერესო წიგნი მიეძღვნა ტოპონომოლოგიისა და ონომასტიკის საკითხებს, მაგრამ იმ ტიპის ნაშრომი, რომელსაც ავტორი მკითხველის სამსჯავროზე წარმოადგენს, დღემდე, რამდენადაც ვიცით, არ გვქონია.

წიგნში „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ საენათმეცნიერო ნაკვლევის პარალელურად დიდი ადგილი

აქვს დათმობილი იმ ლეგენდებს და გადმოცემა-თქმულებებს, რომლებიც ჩვენს ხალხს საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების წარმოშობის თაობაზე: **ჭიათურა** („ჭიაა თუ რა?“), **არხილოსკალო** („არ იხილო კალო!“), **ამაშუკეთი** („ამაში უკეთ ვართ“), **რაჭა** („რა ჭაა!“) **ხევსურეთი** („ხვეის ურია“, „ხვეის ურითი“), **ზოდაშენი** („ეგ ზომ დაა შენი!“) **მისაქციელი** („უყურეთ მის საქციელს!“) და სხვ. მრ. მაგრამ ამგვარი ხალხური ვერსიების (ეტიმოლოგიების) ფართოდ წარმოდგენა წიგნის ავტორს თვითმიზნად როდი დაუსახავს! ჩვენ გვსურდა დაინტერესებული მკითხველისათვის ხალხური ცოდნა-სიბრძნის ნიმუშების მიწოდებასთან ერთად მოკლედ მოგვეთხრო იმ თვალსაზრისების შესახებაც, რომელიც საკვლევი ტოპონიმების ირგვლივ სხვადასხვა დროს გამოუქვეყნებიათ ქართველ და არა-ქართველ სპეციალისტებს; გვეჩვენებინა ამ ვარაუდების სარწმუნოობა ან მიუღებლობა, ამასთან გამოგვეთქვა ზოგიერთი ჩვენეული ახალი თვალსაზრისიც.

წიგნში წარმოდგენილი ტოპონიმიკური მასალა, ეფიქრობთ, მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმის შესახებ, თუ რა აუწყველ ენობრივ სიმდიდრეს ფლობს მეცნიერება ხალხური ლეგენდებისა და თქმულებების სახით, რომელთა ერთი ნაწილი ჩვენს მიერაა ადგილზე სხვადასხვა დროს ჩაწერილი.

ნაშრომის ავტორი, მართალია, ყოველნაირად ცდილობდა ინფორმატორთა მონათხრობის უცვლელად დატოვებას, მაგრამ აქ მოტანილი ტექსტები კილოური თვალსაზრისით მაინც დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება, რადგან მათში ასე თუ ისე შეიმჩნევა ინფორმატორის მხრიდან ერთგვარი ძალდატანებულობა, ტექსტის „გაკეთილშობილების“, „გალიტერატურების“ დიდი სურვილი. ამის მიუხედავად ზოგიერთი ტექსტი დიალექტოლოგიური თვალსაზრისით, ალბათ, არ დაიწუნება.

ნაშრომში აქა-იქ ისეთი გეოგრაფიული სახელებიც შეგვხვდება, რომელთა შესახებ ხალხური ლეგენდები ცნობილი არ არის, მაგრამ ძალზე საინტერესოა არიან ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. მოცემულია მათ შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიული ცნობებიც, რათა საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებული პირი თვითონ გაეცნოს ამა თუ იმ ტოპონიმის ირგვლივ არსებულ სპეციალურ ლიტერატურას.

ზოგჯერ შეიძლება ასეთი რამეც გაიგონოთ: რა საჭიროა ტროპიკების შესწავლა? ნუთუ ასე აუცილებელია მათი ცოდნა საზოგადოებისათვის? ამ ერთობ გულუბრყვილო კითხვაზე პასუხის გაცემას თავს განგებ ვარიდებთ. რჩევით კი უნდა გირჩიოთ: დაკვირვებით წაიკითხეთ ეს წიგნი და ეგებ ამ საჩოთირო შეკითხვას სწორედ მან გასცეს საბოლოო და ამომწურავი პასუხი.

— ა —

**აბასთუმანი-ი** ალბათ ყველას სმენია ამ განთქმული სამთო-კლიმატური კურორტის სასწაულმოქმედი თვისებების შესახებ. იგი მდებარეობს ისტორიულ სამცხეში (ადიგენის რ.), სახელწოდება აბასთუმანი დაბას მოგვიანებით, XIX საუკუნეში, შერქმევია. მისი უძველესი სახელწოდება **ოდრხე** (ოდრახე) ანუ იგივე **ოცხე** ყოფილა. დროთა განმავლობაში სახელი დავიწყებას მისცემია, დაქვეითებულა თვითონ სოფელიც, მაგრამ როცა აქ სამკურნალო თვისების წყლები აღმოაჩინეს, მან კვლავ იწყო აღორძინება და დავიწყებული **ოდრხე-ოცხეს** ნაცვლად იქვე, მეზობლად მდებარე პატარა სოფლის — აბასთუმნის — სახელი შეურქმევიათ.

სახელწოდება აბასთუმანი დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. ჩვენი საუკუნის დასაწყისში საყოველთაოდ იყო გავრცელებული ხალხური გადმოცემა იმის თაობაზე, რომ თითქოს აბასთუმანი „ხაბაზთ უბნისაგან“ ყოფილიყოს წარმომდგარი: აქ უწინ განთქმულ ხაბაზებს (მეპტურეებს) უცხოურიათ და სოფლის სახელწოდებაც მათ საქმიანობას ასახავსო. ეს ხალხური თქმულება ზოგიერთ სპეციალისტს სარწმუნოდ მიაჩნდა. ასე ფიქრობდა, მაგალითად, ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი **მ ა რ ი ბ რ ო ს ე** (1802-1880) და იმხანად თბილისში მოღვაწე რუსი გეოგრაფი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი **კ ო ნ ს ტ . ჰ ა ნ ი**.<sup>21</sup> აღნიშნულ ვარაუდს მხარს უჭერდა ცნობილი რუსი ტროპო-

---

<sup>21</sup> კ . ჰ ა ნ ი , კავკასიის ტომთა და ადგილთა სახელწოდებების აღწერილობათა მასალების კრებული, ნაწ. 40. ტფ., 1909 (რუს. ენაზე). შემდგომ: CMOMIK, 40).

ნიმიკოსი ვ.ა.ნიკონოვიც.<sup>22</sup>

არანაკლებ პოპულარულია ხალხში სხვაგვარი თქმულება, რომლის მიხედვითაც სახელწოდება აბასთუმანი თითქოს ფულის ერთეულის აღმნიშვნელ სიტყვებს აბაზს და თუმანს შეიცავდეს: „მტრისაგან აკლებულ მხარეში აბაზად ღირებული საქონელი თუმნად ფასობდაო“. ამგვარი გადმოცემა, ბუნებრივია, მოკლებულია დამაჯერებლობას, თუმცა ეს ვერსია აქა-იქ მაინც გვახსენებს თავს, განსაკუთრებით — პოეზიაში. ლექსში „აბასთუმანი“ ვკითხულობთ: „აბასთუმანში თეთრი ქვებია, მიწა ქალამნად და ცა კი — ქუდად...

აღბათ აქ ტუჩებს კოცნა ჰკლებია,

აღბათ სიკვდილიც ღირს აბაზ-თუმნად“.<sup>23</sup>

ტოპონიმ აბასთუმნის წარმოშობის თაობაზე სპეციალისტთა შორის ამჟამად ძირითადად ორი თვალსაზრისია გავრცელებული. ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით აბასთუმანი დაკავშირებული უნდა იყოს აბაზაძეების გვართან: „აბაზაძეთა უბანი“.<sup>24</sup> სხვაგვარი თვალსაზრისით ტოპონიმისათვის ამოსავალია ასევე გვაროვნული აბასთა (აბასანთ) უბანი.<sup>25</sup> ანალოგიური თვალსაზრისს ავითარებს ზ.ქუმბურციძე.<sup>26</sup>

იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ აბასთუმანი აბაზტურმა-დ არის მოხსენიებული, თანაც მითითებულია, ძველად მას ოცხე ერქვაო: „საფაშო-საბეგოები აწყური, ოცხე ანუ აბაზტურმა“.<sup>27</sup> საფიქრებელია, რომ იოანე ბატონიშვილს აბაზტურმა რუსულ ენაზე შედგენილ რომელიმე ოფიციალურ წყაროდან ჰქონდეს აღებული. რუ-

---

<sup>22</sup> ვ . ა . ნ ი კ ო ნ ო ვ ი , მოკლე ტოპონიმიკური ლექსიკონი, მოსკოვი, 1966, გვ. 14 (რუს. ენაზე).

<sup>23</sup> ს . მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი , ლექსები: ქურნ. „განთიადი“, №4, 1990, გვ. 128.

<sup>24</sup> გ . ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი , დიალექტთა შერევის საკითხისათვის: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, VII №9-10, თბ., 1946.

<sup>25</sup> ს . ჭ ი ქ ი ა , გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი /გვლ/ III, თბ., 1958, გვ. 164-165.

<sup>26</sup> იხ. ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 419.

<sup>27</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გ . ბ ე დ ო შ ვ ი ლ მ ა , თბ., 1986, გვ. 24.

სული ფორმით ყოფილა გავრცელებული ტოპონიმი აბასთუმანი ეგნატენინოშვილისდროინდელი გურული მოსახლეობის მეტყველებაშიც: „ზოგიერთები მირჩევენ, მომავალ ზაფხულში აბასტუმანს წადიო“; „ხან სოფელს ვირჩევ საცხოვრებლად, ხან აბასტუმანს“.<sup>28</sup>

ჩვენი ვარაუდითაც აბასთუმანი ადამიანის საკუთარი სახელის მიხედვით უნდა იყოს წარმოქმნილი: აბას-თ უბან-ი. ოღონდ უბან-სიტყვას ადგილობრივი ტოპონიმისათვის დამახასიათებელი ცვლილება განუცდია და იგი -უბან სიტყვად ქცეულა. უბან-ი მესხეთ-ჯავახეთის ტოპონიმიაში დღესაც საკმარად ხშირად დასტურდება. შდრ. სოფ. ალა-თუმანი (ახალქალაქის რ.) ს. წარბასთუმანი (ადიგენის რ.) და სხვ. ამოსავალი ყველგან უბან-ი ჩანს, რადგან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფელთა სახელებად აბასთუმანი და აბათუმანი არის მოხსენიებული.<sup>29</sup> დღევანდელი აბასთუმან-ი სწორედ ამ ფორმა-თაგან მომდინარე ტოპონიმად უნდა მივიჩნიოთ.

**აზიდაყვა** დიდი მდინარეა გურიაში (ოზურგეთის რ.) ცნობილია პატარა და დიდი აგიდაყვა. მიერთვიან მდ. აჭისწყალს ს.მაკვანეთთან. ადგილობრივ მოსახლეობას ამ შინაარსობრივად ბუნდოვანი სახელის გააზრიანება უცდია, რის შედეგადაც ერთობ უცნაური ვერსია შეუთხზავს:

„ერთ მონადირეს გამოკიდებიენ კაჩალები. დაეწიენ და გადააგდენ დინარეში. ამას თურმე ცურვა ცოდნებია და დაყოლია წყალს. დაუნახავს მეწისქვილეს ეს ამბავი და გამრები კაცებიზა უთქმია. „აქით დაყვა, აქით დაყვაო“ (ალ.ლომჯარია, ჩამწ. თამარ მგელაძე).<sup>30</sup>

დიდი დაკვირვება არ არის საიმისოდ საჭირო, რომ დავრწმუნდეთ ამ თქმულების (გადმოცემის) ხელოვნურობაში. მაგრამ იგი გვიჩვენებს იმ დიდ ინტერესსაც, რომელსაც ხალხი იჩენს გაუგებარი სახელ-

---

<sup>28</sup> ე გ ნ . ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი , წერილი იაკობ გოგებაშვილს, თხზ. სრული კრებული, თბ., 1954, გვ. 583.

<sup>29</sup> ს . ჭ ი ქ ი ა , გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გვდ), ტ. II, თბ., 1941, გვ. 11.

<sup>30</sup> მოსწავლე ახალგაზრდობის თბილისის რესპ. სასახლის ქართული ენის კაბინეტის ფონდი. (შემდგომ — სფ.).

წოდებების გააზრიანების დროს. ეტიმოლოგიის მოყვარული პირისათვის, როგორც ვხედავთ, სრულიად საკმარისი აღმოჩენილა სახელის ფუძეში ორი ნაცნობი სიტყვის (აგი-აქით და დაყვა-დაჰყვა) პოვნა, რომელზედაც მას ზემოთმოყვანილი ვერსია აუგია. ფაქტიურად ზმნურ შესიტყვებას (აქით დაჰყვა) საერთო არაფერი აქვს სახელწოდების წარმოშობის ისტორიასთან. მართალია, ჭერჭერობით სპეციალისტათვისაც ნათელი არ არის აგიდა — ფუძის მნიშვნელობა, მაგრამ ის კი სავარაუდოა, რომ მდინარის სახელწოდება გაფორმებული იყოს ყვა ელემენტით, რომელიც, სპეციალისტთა მიხედვით, ჩერქეზული (ადიღეური) წარმომავლობის სიტყვაა და ქართულად „ხევს“, „წყალს“ ნიშნავს.<sup>31</sup>

აგიდაყვა, მაშასადამე, უნდა გავიგოთ როგორც აგიდას ხევი (ღელე, მდინარე). თვით აგიდა სიტყვის მნიშვნელობა, როგორც ვთქვით, საკვლევია.

**ამენის-ი** პატარა, ლამაზი სოფელია არაგვის ხეობაში (ღუშეთის რ.). ამჟამად სოფელი ფაქტიურად იცლება ენვალის ჰიდროკომპლექსის აგებასთან დაკავშირებით. ქართულ საისტორიო წყაროებში ეს სოფელი ევანისი|ევენისის ფორმით XVII საუკუნიდან დასტურდება. იგი შეუქმნია მთიდან ბარისაყენ „ჩამოწოლილი“ მოსახლეობის (მთიულ-ფშაველები) ერთ ნაწილს. ვახუშტი ბატონიშვილი ავენისს იცნობს ევენისის სახით,<sup>32</sup> იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ კი იგი ოდნავ შეცვლილად (ევენისი) არის წარმოდგენილი.<sup>33</sup>

ადგილობრივ პოპულარულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფელს ავენისი მისი მკვიდრების ავენიანობის, ავსიტყვაობის გამო შეერქმევიან: „აქაური ხალხი ყოფილა დაუნდობელი, პირში მიმხლელი, ავის ენისი და იმიტომაც დაურქმევიანთ ჩვენს ძველებს ეს სახელი“ (ვანო ქოჩორაშვილი). აღნიშნული ვერსია სპეციალურ ლიტერატურა-

<sup>31</sup> ს . ჯ ა ნ ა შ ი ა , ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში: შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 121.

<sup>32</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ . ლ ო მ ო უ რ ი ს ა და ნ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1941, გვ. 200 (შემდგომ: ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა...).

<sup>33</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , დასახ. ნაშრ. გვ. 35.



შიც არის დადასტურებული.<sup>34</sup>

სახელწოდება ავენიისი, ფაქტიურად, წარმოქმნილია ავან-(||აონ) ფუძეზე -ის სუფიქსის დართვით: აონ-ის-ი — ავენ-ის-ი. თვითონ ავან||აონ- ძირი, ჩვენი ფიქრით, რელიგიური შინაარსის შემცველი სიტყვაა; ავან-ი||აონ-ი ძველად საეკლესიო-რიტუალურ ნაგებობათა კომპლექსს, სამონასტრო შენობების ერთობლიობას აღნიშნავდა. საყურადღებოა, რომ აონ- ფუძის შემცველი მიკროტოპონიმები დასტურდება ახმეტისა დათიანეთის რაიონებში, ანუ იმ რეგიონში, რომლის მოსახლეობასაც ბარად ჩამოსახლების შემდეგ შეუქმნია ტოპონიმი აონისი (||ავენისი).

**ავლაბბარ-ი** ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი უბანია. ტოპონიმი ავლაბარი ქართველ ისტორიკოსთა (ს.ჯანაშია, შ.მესხია, პ.ზაქარაია...) ვარაუდით არაბული წარმოშობის სახელია და სასახლის მიდამოს ნიშნავს. სახელწოდება ავლაბარი (ჰავლაბარი) ამ უბანს XIV საუკუნიდან შერქმევია, მანამდე კი მას ისანი, ხოლო უფრო ადრინდელ ხანებში — სოლდებილი რქმევია.<sup>35</sup> უკანასკნელ წლებში გამოიქვა განსხვავებული თვალსაზრისიც. თბილისისა და მისი უბნების ისტორიის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევრის თბერძის ვარაუდით ავლაბარი ნიშნავს: „ციხის ზღუდის თხრილი, ვალავნის იქით მდებარე ადგილი“, „გარეთ უბანი“.<sup>35</sup>

ტოპონიმ ავლაბარს ორი ქართული სიტყვისაგან შედგენილ სახელად მიიჩნევდა თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1845), საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII შვილი. საგულისხმოა, რომ სწავლული ბატონიშვილი ტოპონიმ ავლაბარში ზმნურ ავლას, ასვლას და ბარ სიტყვას ხედავდა: „...ავლაბარი ქართული სახელი არის... ავლა ნიშ-

---

<sup>34</sup> გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართული დიალექტი — II, ტექსტები, თბ., 1974, გვ. 136; იხ. აგრეთვე გ . ხ ო რ ნ ა უ ლ ი , მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 140.

<sup>35</sup> პ . ზ ა ქ ა რ ა ი ა , საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1974, გვ. 18, 21.

<sup>36</sup> თ ბ ე რ ი ძ ე , ძველი თბილისის შემოგარენის ისტორიიდან: ჟურნ. „ციხკარი“, №12 1975, გვ. 141; მისივე: „და აღმოცენდა თბილისი“, 1977, გვ. 113.

ნავს ძირის ადგილიდამ მაღლა ასვლას, ბარი ნიშნავს მდაბალს ვაკესა და ტფილს ადგილს..." თეიმურაზის ამ ვარაუდს თითქმის უცვლელად იმეორებდა პოეტი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი (1802-1869). თავის ცნობილ საისტორიო წერილში „ძველი მოზღლდვილობა ქ.ტფილისისა“ იგი წერდა: „ამ ალაყათის კარებიდან... შეივლიდა გზა აღმართად და როდესაც ახვიდოდით ანუ ახვალთ, იქ გაივაკებთ მინდვრად... რომელსა ჰქვიან ავლაბარი (ეს ორი სიტყვაა ავლა-ბარი...)“.<sup>37</sup> როგორც ვხედავთ, თეიმურაზ ბატონიშვილი ყოფილა ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელიც სპეციალურად შეისწავლიდა ძველი თბილისის უბნებისა და ადგილების სახელწოდებებს. მართალია, თეიმურაზის ამ ნაკვლევს მეცნიერული ძიების პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ქართული ტოპონიმის ისტორიისათვის მას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ისიც საინტერესოა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ზემოთ აღნიშნული მოსაზრების „გაცოცხლებას“ და მის სარწმუნოდ მიჩნევას ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტი დღესაც მიმართავს. რა თქმა უნდა, მხარდაჭერა ვერ ჰპოვა კ.ჭანისეულმა ვარაუდმა; იგი ტოპონიმ ავლაბარს თვლიდა ქართულ ავ-ი („плохой“) და ლაბიარ-ი („пригород“) სიტყვების ნაზავად. მისი აზრით ავლაბარი უნდა გაგვეაზრებინა როგორც „ავი (ცუდი) გარეუბანი“.<sup>38</sup>

ქართული საისტორიო ძეგლების (საბუთები, სიგელ-გუჯრები, შეწირულებისა და ნასყიდობის ქაღალდები...) მონაცემთა მიხედვით XVI-XVII საუკუნეების ავლაბარში ინტენსიური დასახლებები მიმდინარეობს. აქ ბინას იღებენ თბილისის შემოგარენიდან აყრილი ოჯახები. XVII ს-ის დამლევის ერთ-ერთ საბუთში, კერძოდ, აღნიშნულია ის ფაქტი, რომ წოდორეთის მკვიდრი სულხანაშვილების ოჯახები მათი ბატონის „უშვილოდ გადასვლის“ შემდეგ როსტომ მეფეს აქედან აუყრია, ავლაბარში დაუსახლებია და ისინი სახასოდ დაუჭერია.<sup>39</sup> 1696 წელს შედგენილი საბუთის მიხედვით კი ვინმე გივი თუმანიშვილს სახლ-კარი უბოძებია

<sup>37</sup> იხ. შ. მ. ე. ს. ი. ა., საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1986, გვ. 418, 422.

<sup>38</sup> СМОТРИК, 40, 1909, გვ. 2.

<sup>39</sup> მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის წ. I. გამოსაცემად მოამზადეს ზ. ა. ლ. ე. ქ. ი. ძ. ე. მ. და შ. ბ. უ. რ. ჯ. ა. ნ. ა. ძ. ე. მ., თბ., 1964, გვ. 14.

ავლაბარში ბერი ქიქაშვილისათვის...<sup>40</sup>

XIV საუკუნეში ალექსანდრე მეფეს განუახლებია ავლაბრის მონასტრის მცხეთის სვეტიცხოვლისათვის შეწირულების ქალაღი<sup>41</sup> და სხვ. მრ. როგორც ვხედავთ, ავლაბრის ინტენსიური დასახლება და მისი ქალაქის შემადგენელ უბნად ქცევა სწორედ ამ საუკუნეებზე მოდის.

**ამჟამად** ქ.თბილისის ერთ-ერთი გარეუბანთაგანია. იგი ქალაქს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ეკვრის და თბილისის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ქართული საისტორიო ძეგლები ამ ტოპონიმს შუა საუკუნეებიდან იცნობენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, კერძოდ, წერს: „განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიხამთრებდეს ქართლს, რამეთუ ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწვენასა თანა... ჩამოდგიან ჰავჭალას და დილომს, ჩადმართ მტყურისა და იორის პირთა...“<sup>42</sup> ბასილი ეზოსმოძღვრის საისტორიო თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ ჰავჭალას უკვე ახალი ფორმით წარმოგვიდგენს: „ზაქარია და ივანე აიღეს ფარკიაკი სამეფოდ და განაწყვეს ველსა დიდუბისასა ავჭალამდი აქლემი ყუელა ტვირთითა, ცხენი ყუელა შეკაზმული... გააწყუეს კარითგან ქალაქისათა ჯევაძე გლდანისა ტყუე ყოველი“.<sup>43</sup>

მემატიანეთა ეს ცნობები ნათელს ხდის, რომ ავჭალა და მისი მიმდებარე ადგილები, — დიდუბის ველი, მთელი მტკვრის მარცხენა სანაპირო მიწები და ივრის პირები ძველად საზამთრო საძოვრებად ყოფილა გამოყენებული, რადგან ეს ტერიტორია სხვა ადგილებთან შედარებით, მხურვალეებითა და უთოვლობით გამოირჩევა. შესაძლებელია სიცხის ან ხშირი ქარიანობის გამო შეარქვეს მას ჩვენმა წინაპრებმა ჰავი ან ავი ქალა.

XIV-XV საუკუნეებში ავჭალა საისტორიო მასალებში სოფლად

<sup>40</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>41</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ის მიერ). თბ., 1955, გვ. 326,4.

<sup>42</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ის რედაქც.) თბ., 1958, გვ. 128,17.

<sup>43</sup> იქვე, ტ. I, გვ. 14.

მოიხსენიება, XVI საუკუნეში უკვე ნასოფლარია.<sup>44</sup>

**აზავერი-0** ისტორიული სოფელია ჭავჭავეთში (ახალქალაქის რ-ნი). ადგილობრივ მცხოვრებთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფელს სახელი მიუღია ამ კუთხეში გავრცელებული საუკეთესო ჯიშის აზავერი ხარისაგან. მაშასადამე, ამ ვერსიის მიხედვით აზავერეთი ნიშნავს: „სოფელი, რომელიც განთქმული ყოფილა აზავერი ხარებით“. აზავერი, როგორც საუკეთესო ჯიშის ტვირთშიდი ხარი, ჯერ კიდევ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ არის მოხსენიებული:

„წამოვიხვევ საქურტლენი, სახელმწიფო დავიავრე,  
ვერ მოვეყავ აქლემითა, აზავერები ვააზავერ...“<sup>45</sup>

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვითაც აზავერი არის „ჭარი საკიდარი“.<sup>46</sup> ამავე მნიშვნელობით იცნობს აზავერ სიტყვას ვახტანგ VI: „აზავერი ასაკიდებელი ხარი არისო, — განმარტავს იგი.

ხალხური ცნობა სოფლის სახელწოდების აზავერი-საგან მომდინარეობის თაობაზე სპეციალისტების მიერ გაზიარებულია. ამის შესახებ პირველ მტკიცებას ივ.როსტომაშვილის ნაწერებში ვხვდებით.<sup>47</sup> შემდეგ ეს მოსაზრება ერთგვარად განამტკიცეს გ.ბერიძემ<sup>48</sup> და ი.მაისურაძემ<sup>49</sup> სოფ. აზავერეთის სახელწოდების ამგვარი წარმოშობის ვერსიას მხარს უჭერენ გ. და ნ.გვებრიანი, გ.ზარდალიშვილი და ე.მესხი.<sup>50</sup> აღნიშნული თვალსაზრისის სარწმუნოობის შესახებ ამ უკანასკნელ ხანს კვლავ მიუ-

---

<sup>44</sup> ქართული სამართლის ძეგლები ტ. II (ი ს . დ ო ლ ი ძ ი ს რედაქციით) თბ., 1965, გვ. 200.

<sup>45</sup> შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ (ნ . ნ ა თ ა ძ ი ს რედაქციით) თბ., 1986, გვ. 150, სტრ. 470.

<sup>46</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თბილეთიანი, IV<sub>1</sub>, (ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით), თბ., 1965, გვ. 45.

<sup>47</sup> СМОНК, ტ. 25, Тифл., 1896.

<sup>48</sup> ჭავჭავეთის გეოგრაფიულ სახელთა წარმოება, „მნათობი“ №11, 1972, 189.

<sup>49</sup> მესხური ტოპონიმიკური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“; ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1, 1986, გვ. 70.

<sup>50</sup> გეოგრაფიულ სახელთა ახსნა-განმარტება, თბ., 1965, გვ. 15.

თითა ზ.ქუმბურიძემ.<sup>51</sup>

სიტყვა აზავერ-ი, აგრეთვე აზაგა ოდნავ შეცვლილი მნიშვნელობით ცოცხლად არის დაცული ზემო იმერულსა და რაჭულ დიალექტებში. ზემო იმერულში აზავერი ზოგადად მაღალ, დიდ ადამიანს ნიშნავს: „შენი შვილი აზავერი კაცია...“<sup>52</sup>

რაჭულში აზავერთან ახლოს მდგომი აზაგა ფორმაა ცნობილი:

„აზაგა ქალი იყო ბებიაჩემი, მაღალი და სრული“;

„აზაგა კაცები იყვნენ ჩემი მამა-ბიძანი, დევებივით ვაშკაცები“.

„აზაგა ხარები ყავდენ ბაბუაჩემს“.<sup>53</sup>

აზავერ- სიტყვას, როგორც ვხედავთ, დროთა განმავლობაში მნიშვნელობა ნაწილობრივ უცვლია და, საკიდარი ხარის გარდა, ფიზიკურად დიდი, ტანსრული ადამიანის აღნიშვნაც უკისრია. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ადამიანის საკუთარ სახელად აზაურა ხშირად დასტურდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, რომელშიც XV-XVI საუკუნეებისდროინდელ სამცხე-საათაბაგოს და ჭავჭავთის დემოგრაფიულ-სოციალური ვითარება კარგად არის წარმოდგენილი.<sup>54</sup> მაშასადამე შეგვიძლია დავუშვათ, რომ სოფლის სახელწოდება აზავრეთი მომდინარეობს არა საკიდარი ხარის სახელისაგან, არამედ ადამიანის საკუთარი (ან შერქმეული) სახელისაგან აზა(ვ)ურა, საიდანაც წარმომდგარა გვარი აზა(ვ)ურა-ს — შვილი — აზაურაშვილი. სოფ. აზავრეთის ადამიანის გვარ-სახელისაგან მომდინარეობის სარწმუნოებას, სხვათა შორის ტობონიმში არსებული -ეთ სუფიქსიც მეტყველებს. საბოლოოდ აზავრეთი უნდა გავიაზროთ როგორც „აზაურაშვილების სოფელი“; „სოფელი, რომელშიც აზაურას შთამომავალთ უცხოვრიათ“.

**ალაჭან-ი** პატარა სოფელია თიანეთის რაიონში. ამჟამად შედის ს.ზარიძეებში. სახლობენ ივრისხვეელი ფშავლები. ადგილობრივი

<sup>51</sup> იხ. მისი დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 420.

<sup>52</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 635.

<sup>53</sup> გ რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, რაჭული დიალექტის სალექსიკონო მასალა: დიალექტოლოგიური კრებული. თბ., 1987

<sup>54</sup> ს. ჭ ი ქ ი ა. გვლ. ტ. III, თბ., 1958.

მოსახლეობა თავიანთი სოფლის სახელს რატომღაც ალაჰს და ტომის, ხალხის აღმნიშვნელ ტერმინს — ჭანს უკავშირებს; „ძველ დროს ალაჰს აქ ერთი ჭანი დაუსახლებია. მალე ჭანის ოჯახი ისე გამრავლებულა, მთელი სოფელი და თუ რამ ადგილ-მამული ყოფილა, იმას დაუჭერია. ჰყოლია კიდე ყმები. სად მიხვალ სამუშაოდო, თუ ჰკითხავდენ, ალაჰის ჭანს უნდა დავუდგეო, ალაჰს ჭანთან ვიქნებიო. დაურქმევიათ იმ ადგილებისათვისაც ალაჰანი“ (სიკო აბალიშვილი).

გვიანფეოდალური ხანის ქართული საისტორიო ძეგლები ალაჰანს განსხვავებული სახით (ალაჰინი, ალაჯანი) იცნობენ. ეს განსხვავებული დაწერილობა სახელწოდების ბუნდოვანი შინაარსით უნდა იყოს შეპირობებული. „ამით დაუმტკიცეთ და შემოვსწირეთ ალაჯნით ჩვენს მოძმეს ლაშარის-ჯვარს ფიცხელაური პატარა და მაწაწია თვისის მამულით და მიწაწყლითა, ვენახითა“.<sup>55</sup>

უფრო ადრინდელ საბუთში (1170 წ.) ალაჰინი იკითხება: „დაოთი-კვირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული, ალაჰინი-ხახუილაგისგან შემოწირული“.<sup>56</sup> ისიც უთუოდ საინტერესოა, რომ კახეთის ხალხთა XVIII საუკუნის I მეოთხედის აღწერის მასალებში ს.ქაშოს მცხოვრებთა შორის გვხვდება გვარი ალაჩაური, რომელიც შეიძლება ალაჰანთან დავაკავშიროთ:

„ალაჩაური შუშანა, უტოს მოკვლე“.<sup>57</sup> უნდა ვიფიქროთ, რომ ალაჩა||ალაჰა პიროვნული სახელია. მაშასადამე, შეიძლება დავუშვათ ალაჰანის ანთროპონიმული წარმომავლობა — ალაჰა-ან-ი: „სოფელი, რომელშიც ალაჰას შთამომავლებს უცხოვრიათ“, „ალაჰანთ სოფელი“.

**ალღტ-0** სოფელია ივრის ხეობაში (თიანეთის რ.). სახლობენ ძირითადად ხევსურები. ეს სოფელი, ერწო-თიანეთის არაერთი დასახლებული პუნქტის მსგავსად, გვიანდელი წარმონაქმნია. იგი „დაშენებუ-

---

<sup>55</sup> საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Sd №2944.

<sup>56</sup> გიორგი III მიერ 1170 წელს შიომღვიმისადმი მიცემული წყალობის სიგელი; ქართული სამართლის ძეგლები (ქსდ), II, თბ., 1965, გვ. 21.

<sup>57</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. I თბ., 1967, გვ. 43.

ლა“ ფშავ-ხევსურთა მიგრაციის შედეგად, რომელიც ჩვენში XIX საუკუნის II ნახევარში ხდებოდა. ბუნებრივია, რომ ამ რეგიონის სოფლებს შორის თავიანთ აღწერებში ალოტს არ ასახელებს არც ვახუშტი და არც იოანე ბატონიშვილი.

სახელწოდება ალოტი აქ მიგრირებული ხევსურების მიერ ჩანს გადმოტანილი. საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა აყრილ ხალხს ახალ სამოსახლო ადგილებში თან მიაქვს თავისი დაცლილი სოფლის სახელწოდება რათა „უცხოობაში“ უფრო თავისუფლად, შინაურ გარემოცვაში იგრძნოს თავი. მშობლიურ ადგილთა სახელები ხომ ადამიანებს, უცხო სოციალურ გარემოში მოხვედრილთ, ყველაზე უკეთ ეხმარება ნოსტალგიის დაძლევაში, თანგამოყოლილი მონატრების შემსუბუქებაში.

მაინც რას ნიშნავს სახელწოდება ალოტი? მისი მნიშვნელობა ახლა ალბათ მხოლოდ ღრმად მოხუცებულმა ხევსურებმა თუ იციან; ახალუბლებს კი დრომ სხვა საზრუნავი გაუჩინა...

თუშეთში, სოფელ ჩილოში, აგრეთვე ს.კუმელაურთაში, არის განთქმული სამკურნალო წყალი, რომელსაც ალოტი ეწოდება.<sup>58</sup> „ჩილოს ძირს, წყალს ეძახიან ალოტს“ (თ.უთურგაიძე). ალოტი კი თუშურად იგივე ვეძაა, მლაშე მინერალური წყალია, რომელსაც სამკურნალოდ იყენებენ (ალოტს ფშავ-ხევსურეთში და ქართლის ზოგ კუთხეში მუჯა (||მუნჯა) ან მიტალა ეწოდება). ტოპონიმ ალოტის ერწო-თიანეთში „მოსულობაზე“ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იგი მთელ ამ კუთხეში მარტოდმარტოა, ეულად გამოიყურება. თუშეთში კი (ალბათ ხევსურეთშიც) ალოტ — სიტყვის შემცველი ადგილის სახელი არაერთგან გვხვდება. თუშეთში, მაგალითად, ცნობილია ადგილი, რომელსაც ალატოან-ი||ალატოვან-ი ეწოდება. მის მიხედვით შერქმევია ერთ-ერთ გადასასვლელს ალატოვნის ზორხი. ეს ალატოან-ი იგივე ალოტო-„ვ“-ან-ია, რაც ამ ადგილებში ვეძა წყლის, ალოტის, არსებობაზე მიგვანიშნებს. ალოტ-ოვან-ი-საგან ალატოან- ფორმის მიღება ფონეტიკურად დიდ სირთულეს არ წარმოადგენს: წინამავალ ა ხმოვანს მომდევნო ო ხმოვანი ასიმილაციის ძალით დაუმსგავსებია და ისიც ა-დ უქცევია.

<sup>58</sup> იხ. გ. კ უ რ დ ლ ე ლ ა ი ძ ე , თუშეთი, თბ., 1983, გვ. 88-89.

**ამაშუკეთი-ი** ზემო იმერეთის (ხარაგაულის რ.) ერთ-ერთი ცნობილი და ლამაზი სოფელია. სამწუხაროდ სოფელს 1970-იან წლებში სახელწოდება შეუცვალეს და ცინისძირი დაარქვეს. ამის მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობა მშობლიურ სოფელს კვლავ ამაშუკეთს უწოდებს. ამაშუკეთის მკვიდრებს თავიანთი სოფლის სახელწოდების შექმნის თაობაზე მშვენიერი თქმულება შემოუნახავთ: „წინათ აქ ორ ძმას უცხოვრია. მტერი ხშირად ესწმოდა თავს სოფელს, ამიტომ ძმებს სოფლის გაღმით და გამოღმით, ორ უბანში ციხე აუგიათ; ერთი ძმა აქეთ მხარეს გამაგრებულია თავისი ხალხით, მეორე — იმ მხარეს. ციხეებს შორის გაბმული ყოფილა ჭაჭვი და, თუ საფრთხე იყო მოსალოდნელი, ხმალს ან ხანჯალს შემოკრავდნენ და ჭაჭვი ამ შემოკრაზე ხმას გამოსცემდა. ყოფილან ასე უშიშრად. ხალხს უთქვამს: ამაში უკეთ გავმაგრდებითო. მერე, როცა მშვიდობიანობის დროს იქ სოფელი გაუშენებიათ, ამაშუკეთი შეურქმევიათ“ (ნათელა სიმონის ასული ამაშუკელი, ქ.თბილისი).

აშკარაა, რომ სოფელ ამაშუკეთის სახელი ამგვარი შესიტყვებით (ამაში უკეთ გავმაგრდებით!) არ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო. უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული ტოპონიმები მსგავსი წინადადებებით, ან რაღაც წამოძახილებით, გაოცების, წუხილის ან აღტაცების გამომხატველი შორისდებულებით არასოდეს წარმოიქმნებოდნენ და არც ახლა წარმოიქმნებიან. ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი. ტოპონიმი ამაშუკეთი ისევეა -ეთ სუფიქსით გაფორმებული, როგორც: გობრონ-ეთი, სიმონ-ეთი, ცხომარ-ეთი, ნიქაბერ-ეთი, გორგილ-ეთი, ლომაურ-ეთი და სხვ. ეს სახელები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ამ სოფლებში თუ უბნებში ოდესღაც გობრონის, სიმონის, ცხომარისა, ნიქაბერის... შთამომავლობას უცხოვრია, ან ამ გვარის ხალხს სჭერია ეს ადგილები. ანალოგიური აგებულებისაა ამაშუკეთიც. იგი იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ სოფლის ყველაზე პირველი, ამასთან, კომლმრავალი ოჯახები აქ ამაშუკელები ყოფილან. საკვლევია თვით ამაშუკ- სიტყვის შინაარსი და წარმომავლობა.

**ამტნისხევი-ი** ისტორიული სოფელი (თემი) ერწოში (თიანეთის რ.). ტრადიციული ცნობის თანახმად ამტნისხევი ეწოდებოდა მთელ იმ ტერიტორიას, რომელზედაც დღეს ერწოს სოფლები: ვეძათხევა, ლო-



რეულები, ზურაბები, წყაროთუბანი, ღუღელები, ხადოელები... არის გაშენებული. „ცნობა რო გვინდა ავიღოთ არხივში, ღუღელები და ტოლათსოფელი იმათ არა იციან რა. ვეტყვი, რომ მონათლული ვარ ამტნიხევის ეკლესიაშიო და იმით კი ნიშანდობლივ პოულობენ ქალაქს“ (ნიკო ობგაიძე).

გასულ საუკუნეში ცნობილ გერმანელ მოგზაურსა და გეოგრაფს გუსტავ რადეს ამ სოფლის სახელი ოდნავ შეცვლილი სახით (ანტნის-ხევი) ჩაუწერია.<sup>59</sup> ეს ალბათ იმითაც არის გამოწვეული, რომ ზოგიერთ ძველ ეკონომიკურ-ისტორიულ საბუთში ამტნიხევი ანტნის-ხევად არის წარმოდგენილი. ვაჟა-ფშაველას ნაწერებში სწორი ფორმაა მოცემული (ამტნიხევი).<sup>60</sup>

შუასაუკუნეებისდროინდელ ქართულ საისტორიო წყაროებში ამტნიხევი მარტივი ფუძით (ამტან-ი) არის წარმოდგენილი.<sup>61</sup> სოფელი ამტან-ი (მემატიანე მას ამთენსაც უწოდებს) XI-XII საუკუნეებში ერწოს სოფლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დაწინაურებული სოფელი ყოფილა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მეფე დავით აღმაშენებელს შირვანის სულთანთან და რანის ათაბაგთან სახელგანთქმული ერწუხის ბრძოლის (1104 წ.) მოგების შემდეგ თავის „განსასვენებელ“ ადგილად სწორედ ერწოში მდებარე ამტანი თუ ამთენი ამოურჩევია: „ესრეთ ძღვეამოსილი... შემოიქცა მეფე და მცირედთა დღეთა განისუენა ამთენს“.<sup>62</sup>

ისტორიკოსი ჯ.ლომაშვილი სარწმუნოდ არ მიიჩნევს ამთენისა და ამტნის ანუ ამტნიხევის იგივეობას. მისი ვარაუდით ამტნიხევი მომდინარეობს არა ამთენისაგან, არამედ იმავე არეალში მდებარე ანტონ მარტომყოფელის (მარტყოფლის) ეკლესიის სახელწოდებისაგან: ადგილობრივი მოსახლეობა ამ ისტორიულ ძეგლს ამტონას საყდარს, ხოლო

---

<sup>59</sup> რ ა დ ე გ., ხევსურეთი და ხევსურები (თარგმ. გერმანულიდან რუს. ენაზე), ტფ., 1881.

<sup>60</sup> ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს მცირე ლექსიკონი (შემდგ. ალ. ქინქარაული) თბ., 1969.

<sup>61</sup> ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე . საისტორიო კრებული, წ. IV, ტფ., 1929, გვ. 5.

<sup>62</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I. (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), თბ., 1955, გვ. 344, 6.

იქვე არსებულ ხევს, ადგილს ამტონას ხევს უწოდებდნენ. ძნელია რისამე გადაკრით თქმა, მაგრამ ის კი უუკველია, რომ საკუთარი სახელი ანტონი|ამტონა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგვეცემა შეკუმშულ ამტონის ხევს, რამდენადაც პიროვნული სახელი ანტონი არც სალიტერატურო ქართულში და არც მის დიალექტებში არასოდეს იკუმშებოდა და არც ახლა განიცდის რაიმე ფონეტიკურ ცვლილებას. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ტოპონიმი ამტონისხევი მომდინარეობს ისტორიული ამტენ|ამტენ- ფუძისაგან და არა პირის საკუთარი სახელისაგან.

**ანაკლია** ამ სახელწოდებით საქართველოში ორი პუნქტია ცნობილი: ერთი შავი ზღვის ნავსადგურია (მდებარეობს მდ.ენგურის შესართავთან), მეორე — ცნობილი ისტორიული სოფელია სამეგრელოში (ზუგდიდის რ.). ხალხური ტრადიციული გადმოცემით ტოპონიმი ანაკლია (მეგრ. ანარკია) წარმოქმნილა იმ ავბედით დროს, როცა სამეგრელო და მთელი შავი ზღვისპირეთი თურქ დაპყრობლებს ჰქონიათ მოთარეშებული. ხალხში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით ერთხელ სამეგრელოს უამრავი მტერი დასცემია. წაუყვანიათ დიდძალი ტყვე, დაუტაცნიათ მთელი სიმდიდრე, ოქრო-ვერცხლი. ერთ-ერთ სოფელში თურქებს თურმე ერთი ქალიშვილი მოწონებიათ, მაგრამ გამწარებულ დედას ქალიშვილი არ დაუხვებია. მაშინ თურქებს დედისათვის პირმშო მკერდიდან ძალით აუგლეჯიათ და გაქცეულან. საბრალო დედას კვილი აუტეხია, ხალხს თურმე საშველად უხმობდა. ყვირილზე ვიღაცას უთქვამს: ანა რკიანს („დედა კვიის“). მას შემდეგ იმ სოფლისათვის, სადაც ასეთი შემზარავი ამბავი მომხდარა, ანარკიანს შეურქმევიათ, რომელიც თანდათანობით ანაკლიად გადაკეთებულა. ეს ხალხური ვერსია (დედა კვიის — „ანა რკიანს“) იმდენად პოპულარულია, რომ დღესაც კი იგი ბევრს სარწმუნოდ ეჩვენება. ამ მხრივ საინტერესოა რ.დვალისვილის წერილი „ბედი ქართლისა“, რომელშიც ნათქვამია: „ბაკურის ციხესთან მოთარეშე არ იყო მოლუელი, ანაკლიასთან დედა მიჰკიოდა გასაყიდად მკერდს მოგლეჯილ შვილს...“<sup>63</sup>

ხალხის ცხოველ მესხიერებას შემორჩენია კიდევ ერთი საინტერესო

<sup>63</sup> გაზ. „კონსტანიტი“, 1983 წ. №164.

სო გადმოცემა: „ყოფილან სამი ძმები. ცხოვრობენ სიამით, მარა ცოლების სიტყვაზე მოსვლიენ ჩხუბი და ამიზა გაშორებულან ერთიმეორეს. წასულარიენ საცხოვრებლად ზოგი-სით და ზოგი-სით. აი ადგილი მოწონებიენ. დასახლებულა სულ უნცროსი ძმაი. ის ორი ძმა კილო სხვაგან არიენ. ცხოვრობენ საკუთრად. ერთხელ უმფროსს და შვათანას უთქმია, რო ნავხოთ ერთი, რას შობა აი უმცროსი ძამიეო. მიდიენ, მიდიენ და კ'არ მიადგენ ზედ სამუშიელში? რაჲა ხარ, რაჲალი საცხოვრებელია, როგორ მოეწყვეო? უმცროს ძმას უთხრობია, რომეო, ღვთის ბოძებული ადგილია, აფერი სიკეთე არ აკლიაო. დოუთქვამთ მას უკანი არაკლია. აი სახელი თანდათან ანაკლიად გადაკეთებულა“, — მოგვითხრობს გადმოცემა.

ცნობილი ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის მიხედვით ანაკლია წარმომდგარი ყოფილა ბერძნული ახალშენის „ჭერაკლევას“ სახელისაგან.<sup>64</sup>

ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ანაკლიას ანაკრია ფორმით მოიხსენიებს: „ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე... აწცა უბყრავთ მათვე“. ვახუშტი იქვე შენიშნავს, ოსმალებმა რუხის ციხე შემუსრეს და ამ ციხის ქვით „ანაკრია აღაშენეს უმტიციესადო“.<sup>65</sup> ვახუშტის მიერ მოწოდებული ეს ცნობა (რუხის ძველი ციხის დანგრევა და მისივე ნაშალი ქვით ახალი ციხის აგება) შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ტოპონიმ ანაკლიის სწორად გააზრების თვალსაზრისით; რამდენადაც ანაკლია, ჩვენი ფიქრით, წარმომდგარი უნდა იყოს თურქ. *jänikalı* ფორმისაგან, რაც ქართულად ახალ ციხესიმაგრეს ნიშნავს: *jäni* („ახალი“) და *kale* („ციხე-სიმაგრე“). თავდაცვითი ნაგებობის სახელად თურქ. *Еникала* („ახალი ციხე“) ყირიმშიც (ქერჩი) არის დადასტურებული.<sup>66</sup>

**ანანური-0** ისტორიული სოფელია არაგვის ხეობაში (დღუშეთის რ.). აქაა საქვეყნოდ განთქმული, გვიანფეოდალური ხანის საქართველოს

<sup>64</sup> ტ. ტ ა ბ ი ძ ე , თხზ., ტ. 3, თბ., 1966, გვ. 100, 138.

<sup>65</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 167-168.

<sup>66</sup> იხ. მ . ფ ა ს მ ე რ ი , რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. II, მოსკოვი, 1986, გვ. 20.

ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლი, ანანურის ღეთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი (1689 წ.) მძლავრი თავდაცვითი და სხვა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაგებობებითურთ. თავისი არაჩვეულებრივი გეოგრაფიული მდებარეობით, განუმეორებელი პეიზაჟით ანანური არაერთი ქართველი პოეტის შთაგონების წყაროდ ქცეულა. განსაკუთრებული სიყვარულით უმღერიან ანანურს არაგვის ხეობის მკვიდრი პოეტები:

„გზას მივუყვები, განელდა სიცხე,  
შორს ანანურის გუმბათი მოჩანს...

ტაძარი ხელში უჭირავს ციხეს,  
როგორც მეომარს — ქათქათა დროშა“.<sup>67</sup>

ან: „ეს ხიდიც მალე მიაღწევს ნაპირს...

და ანანური დარჩება მხოლოდ

როგორც ფრაგმენტი ლამაზი ზღაპრის“.<sup>68</sup>

ანანური აღზევებული და დიდად გავლენიანი არაგვის ერისთავების რეზიდენცია იყო; იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებაში. ანანური მოწმეა გარეშე მტერთან არაერთი დიდი და პატარა ბრძოლისა; მისი ციხე-გალავანი არაერთგზის მოურღვევიათ, გადაუწვავთ და აუოხრებიათ მეზობელ ქსნის ზვიად ერისთავებს... ამ სისხლიანი ისტორიის გამოძახილია ის უამრავი ლეგენდა-გადმოცემები, ადგილობრივ მოსახლეობას რომ შეუქმნია როგორც თვით სოფლის, ისე მისი ციხე-სიმაგრის შესახებ:

„ერთხელ ანანურს თათრის ლაშქარი დასცემია. ქართველები ცოტანი ყოფილან და ციხეში ჩაეკტილან. თათრების ბელადს ალყა შემოურტყია, მშვიერ-მწყურვალნი დიდხანს ვერ გასძლებენო. ამ ჩვენ საქართველოში თითქმის ყველა ციხეს საიდუმლო გვირავს ატანდნენ. ანანურის ციხესაც ჰქონია გვირავი (იმისი ნაშთი ახლაც არის დარჩენილი), ჩადიოდნენ და თურმე სასმელ წყალს არაგვიდან ეზიდებოდნენ. ერთი კვირის მერე თარის ბელადს შეუთვლია, დაგვენბდით, უწყლოთ როდემდი უნდა იხსდეთო! ქართველებმა კიდევ ცოცხალ კალმახებს დაუწყეს ჰაერში ფრიალი, — გააგებინეს, წყალიც ბევრი გვაქვს და სა-

<sup>67</sup> თ . ბ ე ქ ი შ ვ ი ლ ი , რასა სწერთ, მთვარის სხივებო?... თბ., 1987, გვ. 7.

<sup>68</sup> შ . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ლექსები: კრებ. „ზეკარი“, თბ., 1979, გვ. 91.

სმელ-საქმელიცაო. გაბრაზდა თურმე თათრის ბელადი, ისე გაბრაზდა, კბილებიდან ცეცხლსა ჰყრის. ბოლოს, რო ვედარაფერი გააწყო, ჭილდო გამოუცხადებია, ვინც იმ წყლის საიდუმლოს გამიგებს, ოქრო-ვერცხლით ავაკებო. მეორე დღესვე ბელადთან მისულა ერთი ქვრივი დედაკაცი, იმის ქმრისათვის მეფეს რაღაც დანაშაულობაზე თვალები დაუთხრეინებია, — „კაი კაცობა“ თუ რამე ჰქონდა ჩადენილი. ჰოდა ამ ქალს უთქომ, რო ანანურის ციხეში შეუბოვრის მხრიდან არის შემოყვანილი მიღებო. იმ მიღებს თუ გადაუქრით, ციხეც ჩაგბარდებათო. გაუთხრიათ შეუბოვრის გორა და ამოუყრიათ ორპირად ჩაწყობილი მილი, — ერთში წყალი მოდენილა, მეორეში — რძე: კვირიკე რო არი მთაზე, იქ ირმები უწველიათ ქალებს და ირმის რძე მილით მოდენილა. ამოუყრიათ თათრებს მიღები და მესამე დღეზე ციხეც დანებებულა. ეს ქალი, ვინც მტერს საიდუმლო ასწავლა, სოფლის ხიზანია, სახელად ანა რქმევია, გვარად — ნური ყოფილა. მისულა თათრის ბელადთან ჭილდოს მისაღებად. იმას კიდევ უბრძანებია ვეზირ-ნაზირებისათვის, მობით ცხენის ძუაზე და დააგლეჯინეთო. ქალი ბელადს ფეხებში ჩავარდნია, იმას კიდევ მოუშორებია: თავის ხალხს ვინც უღალატებს, სხვას რა ხეირს დააყრისო! მოუბმეინებია ეს ქალი ცხენის ძუაზე, მიუშვეს და ნაფლეთ-ნაფლეთ დააგლეჯინეს. იმ ადგილისათვის კი ქალის ღალატის გამოთ ანა ნური დაურქმევია ჩვენს ხალხსა“ (კოსტა გიორგის ძე როსტიაშვილი ს.ანანური).

სოფლის სახელწოდების წარმოშობის თაობაზე ხალხში სხვაგვარი გადმოცემაც არსებობს:

ერთხელ ერეკლე მეფის დროს, ანანურს ლეკები დასცემიან. ციხეში სდომნიათ შესელა, მაგრამ ვერ შესულან. ღამე არყალის ხევზე დაბანაკებულან. იმ ღამით ქაისხევში ისეთი წვიმა მოსულა, რომ აღიღებულ არყალას მთელი ეს ლეკობა არაგვის ქალაში გაუტანია. დიდძალი ცხენი და ჯორი დაუხრჩვია, ხალხიც ბევრი უზარალებია. ვინც გადარჩა, თურმე იძახიან, ს ა ნ ა ნ უ რ ი გ ა გ ვ ი ხ დ ა ა ქ წ ა მ ო ს ვ ლ ა ო .<sup>69</sup> იმის მერე სოფლისთვის ანანური დაურქმევიათ“.

<sup>69</sup> ლეგენდა ჩაწერა და გამოაქვეყნა ცნობილმა დიალექტოლოგმა გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა , (იხ. მისი ქართლური დიალექტი (ტექსტები) თბ., 1974, გვ. 143).

(გიორგი ზავრადაშვილი). ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ეს ლეგენდა-გადმოცემები, საინტერესო შინაარსის მიუხედავად, სინამდვილისაგან შორს დგანან. ჭერ ერთი, ცნობილია, რომ ხალხი თავის სოფელს თუ ქალაქს მოღალატე პირვნების სახელს არასოდეს არქმევს, მეორეცაა და ღვარცოფს გადარჩენილი ლეკები ქართულად ვერ იტყოდნენ: „აქ მოსვლა სანანური გაგვიხდაო“. უფრო არსებითი ისაა, რომ ერეკლე მეფემდე, როცა ეს ამბავი „მომხდარა“, სოფელს ანანური რამდენიმე საუკუნით ადრე უკვე რქმევია, ასე რომ ლეგენდა ლეგენდადვე რჩება და იგი სერიოზული მსჯელობისათვის არ გამოგვადგება.

სულ პირველად კ.ჭანი დაინტერესებულა ტობონიმ ანანურის წარმოშობის ისტორიით. მან სახელწოდება ანანური წარმართული ღვთაების ანანის სახელს დაუკავშირა. აღ.ხახანაშვილმა კ.ჭანის მოსაზრება უარყო. თავის მხრივ მკვლევარმა ტობონიმი ანანური ანთროპონიმული წარმოშობისად ჩათვალა და დაუშვა, რომ აქ ამოსავლად უნდა გვქონოდა ანნა, ანანია, სუფიქსი -ურ-ი კი საწარმოქმნო საშუალებაა და ისევე მიერთვის ფუძეს, როგორც ეს კურდღელაურ-, ოსიაურ-, ამბროლაურ-... სახელებში გვაქვსო.<sup>70</sup> აღნიშნული ვარაუდი სხვა ცნობილი მკვლევრების მიერაც გაზიარებულია და აღიარებული.<sup>71</sup>

მაშასადამე ანანური ნიშნავს: „ანანიას კუთვნილი ადგილი“; „მამული, რომელიც ანანიას გვარს სქერია“. საყურადღებოა, რომ მთიულურ დიალექტში ანანეურ- ფორმაა გავრცელებული, რაც ტობონიმის ვილაც პირისადმი კუთვნილებას გვიდასტურებს.

**არაბმ-ი** მდინარე (მდინარეთა სისტემა) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ამ ჰიდროსისტემას ქმნის ოთხი მდინარე, ოთხი არაგვი: მთიულეთის (ანუ თეთრი) არაგვი, გუდამაყრის (ანუ შავი) არაგვი, ფშავის არაგვი და ხევსურეთის არაგვი.<sup>72</sup> პირველი ორი ერთიმეორეს მიერთვის დაბა ფასანაურთან. გუდამაყრის არაგვი მართლაც შავი შეფერილობისაა; თეთრ არაგვთან შეერთებისას იგი თავის სიშავეს კარგა

<sup>70</sup> აღ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , გეოგრაფიული სახელების ახსნა: „განათლება“, III წ. 1910.

<sup>71</sup> ზ . ქ ე მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ , 1987, გვ. 421.

<sup>72</sup> შუა საუკუნეებში მდ. თერგსაც არაგვი ეწოდებოდა.

მანძილზე მიიყოლებს. რაც შეეხება ფშავისა და ხევსურეთის არაგვებს, ისინი ფშავ-ხევსურეთის მიჯნაზე, ადგილ ორწყალთან ერთდებიან. სამხრეთისაკენ დაქანებული ეს მდინარეები უწინ ისტორიულ სოფელ ჟინვალთან შეერთვოდნენ ერთიმეორეს; მდინარეთა შეერთების ადგილს ხერთვისი ერქვა.<sup>73</sup> დღეისათვის მთელი ეს ხერთვისი და მისი მიმდებარე ტერიტორიები ჟინვალის წყალსაცავით არის დაფარული, ამიტომ არაგვთა შეერთების ადგილი შეიცვალა: ფშავ-ხევსურეთის არაგვი წყალსაცავს თვალის ბოლოებზე მიერთვის, მთიულეთ-გუდამაყრისა კი ანანურთან ამთავრებს თავის მუხლჩაუხრელ სრბოლას.

პირველი ქართველი სწავლული, რომელმაც არაგვის შინაარსის გარკვევა სცადა, ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი იყო: „და ეწოდა სახელი ესე ამ მდინარეს თვითთავე, ვინათგან დის ჩქარად, მოჰგვის და იმღვრვის შავად: „ხედავ, არა გვის ეს წყალი ამ ხევთა!“<sup>74</sup> როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი მდინარის სახელწოდების ამოსავალს ობიექტის თვისებაში — სწრაფ დენასა და ხეობების დაგვა-ჩამორეცხვაში — ხედავდა. მოგვიანებით ნიკოლოზ ბარათაშვილმაც არაგვის სისწრაფეს, „არა გვიან“ სრბოლას მიაპყრო პირველ რიგში ყურადღება. სხვათა შორის ნ.ბარათაშვილის ეს პოეტური სიტყვათმეხამება — არაგვი||არაგვიანი — შემდგომი ხანის ზოგმა მკვლევარმა ერთ-ერთ შესაძლო ვერსიად მიიჩნია.

კჰანი ვახუშტისეულ თვალსაზრისს კარგად იცნობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მას სარწმუნოდ არ თვლიდა, რაკი სხვაგვარ ახსნას გვათავაზობდა. მისი თქმით, საყურადღებო უნდა ყოფილიყო ზენდური არგატ- სიტყვა, რაც სწრაფად მსრბოლს („беруши“) ნიშნავს. რუსმა

---

<sup>73</sup> მკვლევართა შორის სხვადასხვა თვალსაზრისია გავრცელებული თეთრი და შავი არაგვის სახელდებისა და მათი შეერთების ადგილის განსაზღვრაში. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით თეთრი და შავი არაგვი ჟინვალთან მიერთვოდა ერთიმეორეს (იხ. მისი „აღწერა“... გვ. 93,10). როგორც ვხედავთ, შავ არაგვს ვახუშტი ბატონიშვილი ფშავის (ფშავ-ხევსურეთის) არაგვს უწოდებდა, თეთრ არაგვს კი — მთიულეთ-გუდამაყრისას. ამ თვალსაზრისს ადგას ზოგიერთი თანამედროვე სპეციალისტიც (იხ. დ. გ. გ. ო. ქ. უ. რ. ი. „ფრხილად, ეროვნული გმირებია!“ ჟურნ. „მნათობი“, №3 1990, გვ. 166).

<sup>74</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 62,15.

ტოპონიმისტმა ვნიკონოვმა ზენდური სიტყვის (არვატ) მოხმობას ხელოვნური და ნაძალადევი უწოდა.<sup>75</sup> კჰანის სხვაგვარი ახსნით სახელწოდება არაგვი უნდა გავიგოთ, როგორც „მთის მდინარე“, რადგან ალანთა ენაზე მას ზოხ-დონ (ზოხ „მთა“, დონ „წყალი“, „მდინარე“) ეწოდებოდა. სხვათა შორის ანალოგიური თვალსაზრისი ქართველ ისტორიკოსთა ერთ ნაწილსაც გამოუთქვამს. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არაგვი თურმე არამეული არ („მთა“) და ლათინური აკვა||აგვა („მდინარე“) სიტყვათა შეერთების გზით გვექონია მიღებული.<sup>76</sup> ამ ვერსიის მიხედვითაც არაგვი (არ+აკვა) გაიაზრება როგორც „მთის წყალი“, „მთის მდინარე“.

ივ.ჭავჭავაძის მიხედვით პირველმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ჰიდრონიმ არაგვის ფუძისეული -რაგ-||-რგ- ელემენტი საერთოს ავლენდა სახელწოდება თერგის ძირისეულ -რგ- ელემენტთან. ამ ფაქტმა დიდ მეცნიერს გამოათქმევინა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც არაგვი წყლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო.<sup>77</sup>

აღნიშნულ თვალსაზრისს ჩვენში საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს.<sup>78</sup>

უკანასკნელ ხანს ერთგვარ მოღადად იქცა ჰიდრონიმ არაგვის ინდო-ევროპული წარმოშობის „წყლის დინების“, „სისველის“ „ნესტის“ და ა.შ. აღმნიშვნელ არ, ორ, ერ, რ ძირებთან ნათესაური მიმართების საკითხების კვლევა.<sup>79</sup> ჩვენ რომ ამ თვალსაზრისს გავყვეთ, მაშინ საერთო წარმომავლობისა აღმოგვაჩნდება არა მარტო არაგვი და სხვა ევროპულ, უნგრულ-ფინურ, ბალტიურ, ესპანურ... ენებში დადასტურებულ-

---

<sup>75</sup> ნ ი კ ო ნ ო ვ ი ვ.ა., 1966, გვ. 29.

<sup>76</sup> ჯ. ლ ო მ ა შ ვ ი ლ ი, წერილები, თბ., 1975, გვ. 185, შ. გ ო გ ა ტ ი - შ ვ ი ლ ი, „რამდენი არაგვია?“ ჟურნ. „პიონერი“ №8, 1983, გვ. 30.

<sup>77</sup> ი ვ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს... ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 105.

<sup>78</sup> ი ბ . თ . გ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა და ქართველურ ენებთან კრებ. იკე-ს მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940, გვ. 622-623.

<sup>79</sup> ლ . ა ს ა თ ი ა ნ ი, ქართული ჰიდრონიმების რიონისა და არაგვის ეტიმოლოგიების შესახებ: კრებ. „კავკასიის რეომასტიკა“ (რუს. ენაზე), ორჯონ., 1980, გვ. 96-98.



ლი რო||რა, არ-ელემენტურიანი ჰიდრონიმები (რანი, რონა, არნო, არა-გონი, არლანსა...), არამედ ინდოეთის, ირანის, აზიისა და აფრიკის, აგრეთვე, სხვა კონტინენტების არაერთი მდინარის სახელწოდება (რუდე-შური, ფარაჰ-რუდი, სეფირუდი, თერგერუდი, ჩაირუდი...)<sup>80</sup> ჰიდრონიმთა ამგვარი მეთოდით კვლევამ, საეპეოა, ოდესმე დადებითი შედეგები მოგვცეს. ქართულმა ენათმეცნიერებამ კონკრეტული ენობრივი ფაქტების მსოფლიო პალეონტოლოგიური მეთოდებით კვლევა-ძიებაზე კარგა ხანია უარი თქვა და სრულიად სამართლიანადღც.

განა უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა, სახელწოდება არაგვის ახსნა ისევე ქართულ-ქართველური მასალის გამოყენებით გვეცადა? ეგებ მთლად უარსაყოფი არ ყოფილიყო ამ თვალსაზრისით ძველისძველი ქართული რაგვ- სიტყვის მოძიება? ა-რაგვ- (სა-რაგვ-?) „მდინარე, რომელშიც თევზს რაგვით ანუ ფიჩხულებით იჭერენ“? ამ მხრივ ერთობ საინტერესოდ გვეჩვენება ცნობილი პოეტის ტ ა რ ი ე ლ ქ ა ნ - ტ უ რ ი ა ს ინტუიტური მიგნება არაგვის ორაგვე და არგვეთ- სახელებთან დაკავშირების თაობაზე.<sup>81</sup>

როგორც ვხედავთ, საკითხი ღიადვე რჩება. ეს იმიტომ, რომ დღემდე საბოლოოდ გარკვეულად ვერ ჩაითვლება ჰიდრონიმ არაგვის ენობრივი კუთვნილების საკითხი. სწორედ ამიტომ არ ხერხდება მისი ენათმეცნიერული ანალიზი — რა წარმოადგენს ძირს და რა — აფიქსს: არა-გვ-, ა-რაგ-ვ-, არ-აგვ-, ა-რა-გვ-?<sup>82</sup> აუცილებელია დადგინდეს არაგვის სტრუქტურული სახე, რათა მეცნიერული შეფასება მიეცეს სახელწოდების თითოეულ შემადგენელ ნაწილს.

**არაღმეო-ი** სოფელია ცენტრალურ ქართლში. იგი გაშენებულია მდ.დვანისწყლის ხეობაში. გავრცელებული თქმულების მიხედვით არაღეთი თურმე ამ მიდამოებში არაბების (არაბეთის) ლაშქრობასთან და

---

<sup>80</sup> იხ. ვ ა ხ ტ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , არაგვი და არაგველები, თბ., 1989, გვ. 13-17.

<sup>81</sup> ტ ქ ა ნ ტ უ რ ი ა , დინოზავრიდან დიზაინამდე, თბ., 1989, გვ. 534.

<sup>82</sup> ნ . მ ა რ ი , არაგვ- სახელში გვ ელემენტს მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის ფუნქციას აკისრებდა. იხ. მისი აღმოსავლეთ ევროპის ეთნო- და გლოტოგონია (რუს. ენაზე), გვ. 137.

მათ აქ დგომასთან ყოფილა დაკავშირებული.<sup>83</sup>

სხვაგვარი გადმოცემის მიხედვით არადეთი უკუთქმითი ბრძანებითი ფორმისაგან ყოფილა წარმომდგარი („არ ადექი!“): „არადეთში ძველად ხშირად იმართებოდა ქიდაობა ქართველებისა და თათრის ფალავნებს შორის. ჩვენებს ერთი გათქმული მოქიდავე ჰყოლიათ, სალოლაშენიდანა ყოფილა. იმის მომრევი მთელ იმ ფრონის ხევზე კაციშვილი არ დადიოდა. ეს სალოლაშენელი ბიჭი დასქიდებია თათრის ფალავანს და მიწაზე ორივე ბექით ისე დაუხეთქებია, რომ თათრების სანაქებო ფალავანი თურმე კარგა ხანს უგონოდ ეგდო წრეში. გახარებული ქართველები ხმამაღლა გაიძახოდნენ: „დაწეკი და არ ადექი! დაწეკი და არ ადექიო!“. აი, ამ არადექი-დან წამოსულა სოფლის სახელიც.<sup>84</sup>

ტოპონიმ არადეთში გამოყოფენ -ეთ- სუფიქსს, არად- ფუძის მნიშვნელობა კი ამჟამად ნათელი არ არისო, — წერს აკ. შანიძე.<sup>85</sup>

სოფელ არადეთის სახელწოდების სავარაუდო ახსნა მოგვცა ცნობილმა ქართველმა არქეოლოგმა იულონ გაგოშიძემ, რომელმაც ტოპონიმის ასახსნელად ავესტური ღვთაების ანაჰიტას სახელი არდვი სურა მოიშველია.<sup>86</sup> ვარაუდი უთუოდ საყურადღებოა და საინტერესოც, ოღონდ არა გვგონია ტოპონიმი ისეთი სიძველისა იყოს, რომ მასში ამოსავლად ავესტური ღვთაების სახელი ვიგუღვოთ. ტოპონიმები, ჩვეულებრივ, ხალხის მეტყველებაში არსებულ, აქტიური ხმარების სიტყვათაგან იწარმოებიან და არა უცხოენოვანი ფორმებისაგან, რომელთა მნიშვნელობაც ხალხმა ხშირად არც იცის. მეორეცაა და არდვი, არდვისურა-საგან სრულხმოვნისანი არად- ძირის მიღება ფონეტიკურად საკმაო სირთულეებს აწყდება. ალბათ, უფრო მოსალოდნელი იყო პირუკუ პროცესი: არად → არდ. (ფუძის მომდევნო -ეთ სუფიქსის გა-

<sup>83</sup> იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , ფრონის ხეობა, თბ., 1963.

<sup>84</sup> დ . ლ ო მ ი ტ ა შ ვ ი ლ ი , არადეთი: მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვ. I, თსუ გამომც., თბ., 1982, გვ. 10.

<sup>85</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, §171, გვ. 138.

<sup>86</sup> ი . გ ა გ ო შ ი ძ ე , „დედოფლის მინდვრის გათხრების ანგარიში, 1976-77 წ. არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბ., 1977, გვ. 75; (აქ აღმოჩენილია ქალღმერთ არდვის ქანდაკება).

ვლენის გზით). მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მეზობლად მდებარე თეთრი წყაროს რაიონში დასტურდება სოფელი არდის-უბან-ი, რომელიც XVII ს.ქართულ ეკონომიკურ საბუთებში წარმოდგენილი ყოფილა როგორც არდასუბანი.<sup>87</sup> ვფიქრობთ, როგორც ერთი, ისე მეორე სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალი უნდა იყოს ანთროპონიმი — ადამიანის გვარსახელური ერთეული, რაზედაც, სხვათა შორის, ნათლად მეტყველებს -ეთ სუფიქსიც და საზღვრული უბან-სიტყვაც, რომელიც ძირითადად გვარებისაგან მომდინარე ტოპონიმებთან გვხვდება (შდრ. ბარდუბან-ი „ბარდაველიძეების უბანი“, ჭიქთუბან-ი, „ჭიქიების უბანი“, ლეჟუბან-ი „ლეჟავების უბანი“ და სხვ. მრ.). მოსალოდნელია სხვა შესაძლებლობაც: არდისუბანი — „სოფელი, სადაც მრავლად ხარობს მეცნ. არდი (იგივე ვარდკაქკაქა).

**არანის-ი** იქ, სადაც არაგვის ხეობის ვიწროები იწყება, საქართველოს სამხედრო გზიდან ხელმარცხნივ, მაღალ მთაზე თეთრად შეფენილი სოფელი მოჩანს. ეს არანისია, მთელ საარაგვოზე ერთ-ერთი უღამაზესი დასახლებული პუნქტი.

ვინ მოთვლის, რამდენი თქმულება თუ გადმოცემა არსებობს ხალხში არანისის წარმოშობის შესახებ. ზოგი ამ სახელწოდებაში სოფლის სიკეთით სავსე ბუნებას ხედავს: წლის უმეტეს დროს აქ მზეა, დარია და არა ნისლი-ო! ზოგიც მის წარმოშობას მეფე-ლეგენდა თამარის ოდესღაც აქ მობრძანების ამბავს უკავშირებს:

„მოსულა ერთხელ არაგვის ხეობაში თამარ დედოფალი. შორიდანვე შეუნიშნავს ერთი ლამაზი მთა, რომელიც მაშინ დაუსახლებელი ყოფილა და ამაღისათვის უკითხავს:

— ვისია ეს ადგილიო?

— არავისიო, — მიუხედავად თურმე მხლებლებმა. მერე, როცა აქ სოფელი გაშენებულა, არავისი დაურქმევიათ. არავისი თანდათან არანისად გადაკეთებულა“ (ნათელა ფიცხელაური, დ.ჟინვალი). ისიც ცნობილია, რომ არანისის ეტიმოლოგიით თვით ვაჟა-ფშაველაც ყოფილა

---

<sup>87</sup> ნ. ბ. ე. ძ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1940, გვ. 63, ნ. თ. უ. შ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ბოგეზბევის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი: „მაცნე“ №3, 1970, გვ. 127, სქ.

დაინტერესებული. დიდი პოეტი ფიქრობდა, არანისი მდინარე არაგვის სახელთან ამქლავნებს კავშირს და ამიტომაც მას თავდაპირველად არანისი კი არა, არაგვისი უნდა რქმეოდაო.

ამ უკანასკნელ წლებში გამოითქვა კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტოპონიმი არანისი არამეული და ქართული სიტყვებისაგან ყოფილა შედგენილი: არამეული არ „მთა“ და ქართ. ანი||ანის-ი „კარი“ (ანისის ეს მნიშვნელობა ძველ დარიალანისში გვაქვს შემონახულიო).<sup>88</sup>

აღნიშნული ვარაუდის გაზიარება, ალბათ, შეუძლებელია... სულ რომ არაფერი, ქართულ ტოპონიმიაში არ მოიძებნება ისეთი გეოგრაფიული სახელი, რომელიც არამეული და ქართული სიტყვების შეერთებით იყოს მიღებული. მეორეცაა და ან-ი თუ ანის-ი აქ არაფერ შუაა, რადგან არანისში ფუძედ არან- გამოიყოფა, -ის- კი ცენტრალური ქართლისათვის ესოდენ ნიშანდობლივი გეოგრაფიული ელემენტია (შდრ. ტფილ-ის-ი, ბოლნ-ის-ი, მანგლ-ის-ი, დმან-ის-ი, ხერთვ-ის-ი, ხც-ის-ი, რუ-ის-ი, ურბნ-ის-ი, ვეძ-ის-ი...) მაშასადამე, სწორია არან-ის-ი და არა არანის-ი.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ არანისს XVIII საუკუნის II ნახევრიდან მოკიდებული ზანდუკლიანთკარს უწოდებდნენ, იქვე ჩამომდინარე პატარა ხევის კი — ზანდუკლის-ხევის,<sup>89</sup> მაგრამ არანისი ზანდუკლიანთკარზე უწინარესი სახელია, რამდენადაც ტოპონიმი არანისი ქართულ საისტორიო წყაროებში ბევრად უფრო ადრე დასტურდება, ვიდრე მთიულეთის სოფელ ზანდუკიდან მცხოვრებთა ერთი ნაწილი აქ ჩამოსახლებოდა და გვაროვნულ წოდებას „ზანდუკელს“ მიიღებდა.

დასასრულ მკითხველს გვინდა გავუზიაროთ ზოგიერთი კერძო მოსაზრება არანისის წარმოშობის თაობაზე. ვფიქრობთ, საამისოდ ორი გზა უნდა არსებობდეს.

ა) ძველ ქართულში კარგად იყო ცნობილი სიტყვა არანი, რომელიც ირმისნაირ გარეულ ცხოველთა ნაშიერის აღსანიშნავად გვხვდებოდა. გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფი ნიკო ჩუბინაშვილი სიტყვა

<sup>88</sup> ჯ . ლ ო მ ა შ ვ ი ლ ი , წერილები, თბ., 1975, გვ. 186.

<sup>89</sup> დ ა ვ . დ ო ნ დ უ ა , 1925, გვ. 90.

ნუკრს ასე განმარტავს: შვილი ირემთა, ნიამორთა, არანთა, არჩეთა, ქურციკთა, შველთა, და მისთანათა, *младшень, олений теленок*.<sup>90</sup> თუ დაეუშვებთ, რომ ტოპონიმისათვის ამოსავალია ზემოხსენებული სიტყვა არანი, მაშინ არანისი უნდა ნიშნავდეს: „ადგილი, სადაც მრავლად ბინადრობს არანთა ჯოგი“, „საარნე ადგილები“.

ბ) ქართული ენის ინგილოურ დიალექტს ასევე დაუცავს სიტყვა არანი, რომელიც ცხელ ადგილს, ცხელ ქარს, ხვატიან ადგილს, ეწოდება: არანი ქარ - ქარი, მოდენილი ცხელი ადგილებიდან; დასავლეთიდან ქრის, მას მოჰყვება წვიმა: „არანი ქარზე წუჰმად მოდისყე“.<sup>91</sup>

ამის მიხედვით ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ტოპონიმი არან-ის-ი ენაში ერთგვარი სინოპტიკური ტერმინის მნიშვნელობით გამოიყენებოდა: თუ ღრუბელი ამ სოფლის მხრიდან წამოვიდოდა, ეს წვიმის (ავდრის) მაუწყებელი ნიშანი იყო.

სარწმუნოების თვალსაზრისით უპირატესობა ალბათ პირველ ვარაუდს უნდა მივაკუთვნოთ.

**არახხმთ-ი** სოფელია მთიულეთში (ღუშეთის რ.). გაშენებულია მდ. არაგვის მარჯვენაპიროზე, საქართველოს სამხედრო გზის სიახლოვეს. ადგილობრივ მოსახლეობას ცოცხლად შემოუნახავს სოფლის სახელწოდების წარმოშობის ირგვლივ არსებული რამდენიმე გადმოცემა. ერთი ვერსიის მიხედვით არახვეთი კითხვით შინაარსს შეიცავს: არ ახვედი?

„ლეკიანობის დროს თურმე ბევრ სოფელს არბევდენ. ეს სოფელი მაგარი ყოფილა. ყველგან მიდენილან და აქ — ვერა. შეხვედრია ვილაცა ლეკებს და უკითხია:

— იქ არ ახვედითო? ამაზე დაერქვა არახვეთი“.<sup>92</sup>

ანალოგიური ვერსია ჩაუწერია ცნობილ ენათმეცნიერს ლია კაიშაურს: „ხადის ხევი შორად არის, მაგრამ მაინც დაუძახეს: „არ ახვედო“? აქედანაა არახვეთი. მასვე ჩაუწერია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც არახვეთისათვის ამოსავალი თითქოს არაგვეთი ყოფილიყოს:

<sup>90</sup> ნ . ჩ . უ . ბ . ი . ნ . ა . შ . ვ . ი . ლ . ი , ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 321.

<sup>91</sup> ნ . რ . ო . ს . ტ . ი . ა . შ . ვ . ი . ლ . ი , ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.

<sup>92</sup> გ . ხ . ო . რ . ნ . ა . უ . ლ . ი , მთები და საბელები, თბ., 1983, გვ. 143.

„დაჰქვივნეს არაგვეთი, არაგვი რო ჩამოუდიოდა აქეთა მხარეს“.<sup>93</sup> საინტერესოა, რომ არაგვეთი არახვეთის ნაცვლად ზოგიერთ ძველ წყაროშიც კი იჩენდა თავს. ასეა ეს სოფელი მოხსენიებული, მაგალითად, საქართველოს მთავარმართებლის ციციშვილის მთიულებისათვის გაგზავნილ უწყებაში, ანანურს შეკრების თაობაზე. როგორც ჩანს, თავადი ციციშვილიც არაგვეთს სწორ ფორმად მიიჩნევდა.<sup>94</sup>

სხვაგვარი გადმოცემით ამ სოფელში ძველად უცხოვრია ერთ ამანათად<sup>95</sup> მოსულ არხოტელ კაცს. როცა მას სადაურობას ჰკითხავდნენ, ეტყოდა „არახოტიდანა ვარო“. ეს არახოტი თანდათან არახვეტად გადაკეთებულა, ბოლოს კი სულაც არახვეთი გამხდარა. (ვანო ჩიტაური, ს.ქართალი).

ძნელი სათქმელია, ამათგან რომელი ვერსიაა სინამდვილესთან ახლოს, ან შეიძლება კი რომელიმე მათგანი ანგარიშგასაწევ ვარაუდად ჩაითვალოს? თუ ამ გადმოცემათგან რომელიმეს მაინც მივცემდით უპირატესობას, მაშინ ჩვენ ყველაზე სარწმუნოდ არხოტიდან ამანათად გამოსვლის ვერსია უნდა ჩაგვეთვალა, რადგან ხევსურთა მიგრაციის შემთხვევები მთიულეთსა და გუდამაყარში რეალურ ფაქტად არის მიჩნეული.

**არბმეთ-ი, არბმეთა** სოფლებია იმერეთში, საჩხერისა (2) და ზესტაფონის რაიონებში. ძველი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით არგვეთი მთელი კუთხის, „ქვეყნის“ სახელი ყოფილა. მოვუსმინოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს: „და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აქარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჰყონდიდი აღივსო თურქითა, მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი... და ესე იყო პირვე-

<sup>93</sup> ლ. კ ა ი შ ა უ რ ი , მთიულური ტექსტები, თბ., 1978, გვ. 107.

<sup>94</sup> ა ლ . ფ რ ა ნ ე ლ ი , მთიულეთი, 1804, ტიფლისი, 1896, გვ. 318.

<sup>95</sup> როცა თემი რაღაც მიზეზით კაცს მოიკვეთდა, იგი საცხოვრებლად სხვა მეზობელ თემში მიდიოდა. ამანათობის ადათ-წესის მიხედვით მოკვეთილ პირს ახალი თემი სამოსახლოს გამოუყოფდა, საქონლით დაეხმარებოდა. ხშირად ამანათი სამუდამოდ რჩებოდა ახალ ადგილას და თავის ძველ თემს აღარ უბრუნდებოდა.

ლი დიდი თურქობა“...<sup>96</sup>

ლეონტი მროველის (XI ს.) სიტყვითაც არგვეთის ქვეყანა ლიხის მთებიდან რიონის ნაპირებამდე ყოფილა გადაჭიმული. არგვეთი, ვახუშტის მიხედვით, „ქვეყანაა“, რომელიც მოელ იმერეთის ვაკესა და ზემო იმერეთის დიდ ნაწილს მოიცავდა. ვახუშტი ბატონიშვილს არგვეთის აღწერილობისა და საზღვრების დადგენის გარდა, ტოპონიმის ეტიმოლოგიური გარკვევაც უცდია. მკვლევარი არგვეთს რატომღაც ზმნურ „დარგვას“ უკავშირებდა: „ხოლო რაჟის სამჯრით არს მთას იქით არგვეთი ანუ მარგვეთი, რომელი იწოდა ქვეყნის ნაყოფიერებისაგან და მრგველობისა მუშაკობისათჳს...“<sup>97</sup>

ტოპონიმ არგვეთის გარკვევა სცადა კონსტ.ჰანშაც, თუმცა ასევე წარუმატებლად. იგი არგვეთ-ში ქართ. რგებას, სარგებლიანობას, აგრეთვე დარგვას (თესვას) გულისხმობდა.<sup>98</sup> ამ ბოლო თვალსაზრისს (დარგვა), ჩანს, იგი ვახუშტი ბატონიშვილისაგან სესხულობდა.

განსხვავებული თვალსაზრისს გამოთქვამდა მ.ჭანაშვილი. მისი ვარაუდით არგვეთის წარმოშობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სვანურ არგ-სიტყვასთან, რაც თურმე სახლს ნიშნავს. ამ მოსაზრების მიხედვით მარგვეთ-ი მიჩნეულ იქნა სვანური წარმოშობის სახელად. იგი უნდა გაგვეგო როგორც „მეურნე ზალხის ქვეყანა“.<sup>99</sup>

გაცილებით უფრო მოულოდნელი იყო ს.კაკაბაძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მარგვეთი, იგივე არგვეთი, თურმე სატომო მარგ-სახელისაგან მომდინარეობდა: მარგები ძვ.წელთაღრიცხვის VI ს-ში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში სახლობდნენ, შემდგომ მათ ჩრდილოეთისკენ გადმოიწიეს და ლიხის მთების სიახლოვეს სადღაც დასახლდნენო. მარგების ტომთა ეს მიგრაცია, — დასძენს ავტორი, — გეოგრაფიულ სახელ მარგვეთში არის ასახულიო.<sup>100</sup>

<sup>96</sup> ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 319-320.

<sup>97</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, გვ. 162.

<sup>98</sup> СМОНПК, 40, 1909.

<sup>99</sup> მ . ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , СМОНПК, вып. 27. Тиф., 1909, გვ. 127.

<sup>100</sup> ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე , ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები: საისტორიო მოამბე II, ტფილისი, 1924, გვ. 66; ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია II, ბათუმი, 1959, გვ. 22.

ამ თვალსაზრისის გაზიარება, ვფიქრობთ, არ შეიძლება, რამდენადაც მასში საქმის რეალური ვითარება არ არის ჭეშოვანად გათვალისწინებული. მთავარი დაბრკოლება ისაა, რომ მარგვეთის ამოსავალი, თავდაპირველი სახეა არგვ-ეთ-ი, ამიტომ, ბუნებრივია, მის ასახსნელად მარგ-ეთონონი არ გამოგვადგება. იგივე სატომო სახელი ვერც მარგვეთს აგვახსნევინებს, რადგან ამ ფორმაში თავიიღური მ-ანი ადამიანის სადაურობის (სამწყსოს მფლობელობა-კუთვნილების) მიმანიშნებელი პრეფიქსია (შდრ. მ-როველი „რუისის ეკლესიის წინამძღოლი“, მ-აწყვერელ-ი „აწყურის საეპისკოპოსო ცენტრის წინამძღოლი; მ-ეგრ-ელ-ი „ეგრისელი, ეგრისის მკვიდრი“, მ-აჩაბ-ელ-ი „აჩაბეთის მფლობელი“ და სხვ.).

ამჟამად ქართველ სპეციალისტთა ერთი ნაწილი მხარს უჭერს თვალსაზრისს, თითქოს არგვეთ-ი (||მარგვეთი) იგივე იყოს, რაც სამეგრელო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არგვეთ-ის არგვ- ძირს უკავშირებენ ეთნონიმ მ-არგ-ალ-ის არგ- ძირს,<sup>101</sup> მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაძარებელი ძირები სხვადასხვაგვარი წარმოშობისანი არიან. ეთნონიმი მარგალ-ი ამოსავალი ფორმის მ-ეგრ-ელ-ის ფონეტიკური ვარიანტია; ასე რომ, თუ საქმე შედარებაზე მიდგებოდა, არგვ- ძირი -ეგრ- ძირისათვის უნდა შეგვედარებინა, რაც, რა თქმა უნდა, მეთოდოლოგიურად გაუძარტლებელია. ჩვენი ღრმა რწმენით არგვ-ეთ-ი არ შეიძლება ეთნონიმ მეგრელ-თან დავაკავშიროთ, რადგან ისინი, როგორც ზემოთ ვთქვით, სხვადასხვა შინაარსისა და სხვადასხვაგვარი წარმოშობისანი არიან. მეგრელ-ი რომ ამოსავალში მდ. ეგრისს უკავშირდება (მ-ეგრის-ელ-ი → მ-ეგრ-ელ-ი),<sup>102</sup> დღესავით ნათელია; ამ საკითხში სხვაგვარი ინტერპრეტაცია წარმოუდგენელიც კი არის. სამაგიეროდ ჭირს არგვ-ძირის წარმომავლობის გარკვევა მისი საქმარ ბუნდოვანობის გამო.

შემთხვევითი არ არის, რომ აკ.შანიძე არგვ- ფუძეს გაურკვეველი შინაარსის ერთეულად თვლის. მისი მნიშვნელობა „ამჟამად ნათელი

<sup>101</sup> ზ. კ. უ მ ბ უ რ ი ძ ე , „დედაენა ქართული“, თბ., 1987, გვ. 422.

<sup>102</sup> ეს თვალსაზრისი საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, 1840-იან წლებში, გამოთქვა კლატონ ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა .



არ არისო, — წერდა მკვლევარი.<sup>103</sup>

ხომ არ შეიძლებოდა დაგვეშვა ტოპონიმ არგვეთის ზანურენოვანი (მეგრული) წარმოშობა? თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღრინდელი და შუასაუკუნეების ეპოქის „აფხაზეთში“, ანუ ლიხს იქით მდებარე ქვეყნებში, წამყვანი ადგილი ზანურს ეკავა, მაშინ თავისთავად ჩნდება ვარაუდი არგვეთის მეგრულ ენასთან შესაძლო კავშირის თაობაზე. კერძოდ, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ დღევანდელი არგვეთი მეგრ. **ო-რაგვ-ე** სიტყვისაგან გექონდეს მიღებული? **ო-რაგვ-ე** ქართულად **სა-რაგვ-ე** ადგილს ნიშნავს; „გარეულ წერილფება ნადირზე და ფრინველზე რაგვით სანადირო ადგილები“. შემდგომ, როცა **ო-რაგვ-ე** ფორმას ქართული -**ეთ** სუფიქსი დართვია, ზანური **ო-** პრეფიქსი ა ხმოვნად ქცეულა (საფიქრებელია ფუძისეული ა ხმოვნის ფონეტიკური ზემოქმედების გამო). ამასთან ერთად -**ეთ** სუფიქსის დართვას თვითონ მაასიმილირებელი ა ხმოვნის რედუქცია გამოუწვევია და საბოლოოდ **ა-რაგვ-ეთ-ი** მიგვიღია. ტოპონიმს, მაშასადამე, ცვლა-განვითარების ასეთი გზა გაუვლია: **ო-რაგვ-ე** — \***ო-რაგვ-ეთ-ი** — \***ა-რაგვ-ეთ-ი** — \***არგვ-ეთ-ი**. საინტერესო ისაა, რომ გურიაში (ლანჩხუთის რ.) დღესაც დასტურდება სოფელი **ორაგვე**, რომელიც ჩვენ **ორაგვეთ-||არგვეთ-ტოპონიმის** ამოსავალ ფორმად გვესახება. (ორაგვეთ-სახელწოდებისაგან მომდინარეობს ცნობილი გვარი **ორაგველიძე** — **ორაგველ-ის-ძე**).

ფრიად საგულისხმოა ჩანს მეგრული ენის სხვა მონაცემებიც. მეგრულში, კერძოდ, გვაქვს სიტყვა **არგვან-ი** „ჭური“, „ქვევრი“, ს.მარანში (აბაშის რ.) სიტყვა **არგვანი** ტოპონიმადაც ქცეულა.<sup>104</sup> ამდენად, საფიქრებელი ხომ არ არის ისტორიული არგვეთის სიტყვა **არგვან-თან** რაიმე კავშირი? ხომ არ ნიშნავს არგვეთი „უთხეს, ქვეყანას, რომელიც მეთუნეობით (თიხის ნაწარმის დამზადებით) იყო ცნობილი?“ ამგვარი ვარაუდების („სარაგვე ადგილები“, „რაგვით სანადირო ადგილები“, ან: „ქვეყანა, სადაც არგვებს, არგვანებს ანუ ჭურებს ამზადებდნენ“) დაშვება, ვფიქრობთ, უფრო სარწმუნოდ უნდა გამოიყურებოდეს, ვიდრე არ-

<sup>103</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I, 1973, § 171, გვ. 138.

<sup>104</sup> იხ. გ . ე ლ ი ა ვ ა , აბაშისა და გვექორის რაიონების ტოპონიმია, თბ., 1977, გვ. 41.

გვეთის ეთნონიმ მეგრელთან გაიგივება.

შემდგომი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით, ალბათ, საბოლოოდ გაგვარკვევინებს ტოპონიმ არგვეთის წარმოშობის ისტორიას, მის ნამდვილ შინაარსს.

**არმაზ-ი** მთა და ხეობა ქ.მცხეთის შემოგარენში, მის სამხრეთ-დასავლეთით, მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქ გაშენებული უძველესი ციხე-ქალაქი არმაზი მცხეთის დაარსებამდე იბერიის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ცნობილი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის (I ს. ძვ.წ.ა.) ივერიის აღწერაში მოხსენიებულია **არმაზ-ციხე**, მცხეთა კი არსად ჩანს. მეცნიერები ფიქრობენ, **არმაზი** უძველესი ტოპონიმის — **ქართლის** — გვიანდელი სახელი უნდა იყოსო: მართლაც ადრეულ ხანებში, არმაზის შექმნამდე, მცხეთის მახლობლად მდებარე მთას (და, ალბათ, თვით ქალაქ მცხეთასაც) **ქართლი** ერქვა.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი სახელწოდება **არმაზს** ქართულში ხეთურ-ლუვიური სამყაროდან შემოსულად თვლის, თუმცა ჩვენში ცნობილია სხვაგვარი, უფრო გავრცელებული და სარწმუნოდ მიჩნეული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც არმაზი დაკავშირებული ყოფილა სპარსულ ღვთაება **ორმაზდის**, **ორმუზდის** ანუ **აჰურამაზდას** კულტთან (პლ.იოსელიანი, გ.ახვლედიანი, ლ.მელიქსეთბეგი, ვ.აბაევი...).

ივ.ჯავახიშვილი, როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ ვარაუდს საეჭვოდ თვლიდა. „არაერთარი ცნობა არა გვაქვს, არც წერილობითი და არც ხალხური, — წერდა იგი, — რომ არმაზი ქართველებს ღვთაებად ან ძლიერ გმირად მიაჩნდათ“.<sup>105</sup> თავის მხრივ დიდი მეცნიერი არმაზს ქალდეს მეფეთა შორის მიღებულ და გავრცელებულ საკუთარი სახელის „არამე“-ს ნაშთთან აკავშირებდა.<sup>106</sup>

ნ.მარი ტოპონიმ არმაზს (არმაზ-ციხეს), ზემოხსენებულ თვალსაზრისებისაგან განსხვავებით, ქართული ენის ფაქტად აღიარებდა და მას **წ-არმართ-||წ-არმათ-** სიტყვასთან უძებნიდა საერთოს.<sup>107</sup> მაშასადამე,

<sup>105</sup> ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, გვ. 109.

<sup>106</sup> იქვე, გვ. 109.

<sup>107</sup> ნ.მარი, რჩეული თხზულებანი, ტ. III, გვ. 251, (რუს. ენაზე).

ნ.მარი სარწმუნოდ არ თვლიდა და არც იზიარებდა არმაზის როგორც არმა, ისე აჰურამაზდა სახელებისაგან მომდინარეობას. თუმცა ვფიქრობთ, არც ნ.მარისეული ვარაუდი გამოიყურება დამაჯერებლად. მისი გაზიარება არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ წარმართ — სიტყვაში წ თანხმოვნის გაქრობას არავითარი ახსნა არ ეძებნება. საექვოა, აგრეთვე, სიტყვის ბოლოში -რთ (წ-არმა-რთ) ელემენტის ადგილზე -ზ თანხმოვნის (არმა-ზ) გაჩენაც.

არმაზის შინაარსის გარკვევით ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაინტერესებულან. მემატიანე ლეონტი მროველი არმაზს სპარსულ სიტყვად თვლიდა და მასთან აიგივებდა მეფე ფარნავაზის საკუთარ სახელს: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა, ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“.<sup>108</sup> იქვე მემატიანე არმაზის მთის სახელდების ისტორიასაც გვთავაზობდა: „ფარნავაზ... ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა და მიერთგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთჳს“.<sup>109</sup>

არმაზი, ჩვენი ფიქრითაც ირანულ ენობრივ სამყაროსთან ჩანს დაკავშირებული, ოღონდ ის არც თეონიმი აჰურამაზდა („ნათელი“, „მოელვარე“) უნდა იყოს და არც ანთროპონიმი (ფარნავაზ-ი); იგი ჩვეულებრივი ირანული კომპოზიტი ჩანს, რომელიც არ- და მეზ||მეზ სიტყვებს შეიცავს: არ „მთა“, მეზ||მეზ „დიდი“. მაშასადამე, საფიქრებელია, არმაზი ქართულად ნიშნავს: „მთადიდი, მთაბრწყინვალე, მთა-აღმატებული“.<sup>110</sup>

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ის ფაქტი, რომ მეზობელ სომხეთში ერთ-ერთ მაღალ მთას (3399 მ.) ჩვენებური არმაზის მონათესავე სახელი არამაზდი რქმევია.<sup>111</sup> იგი სომხურში, როგორც ჩანს, ქართულის დარად, სპარსულიდან შესულა, ოღონდ ეგაა, ქართულში, ჩვენი

<sup>108</sup> ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 25,11.

<sup>109</sup> იქვე.

<sup>110</sup> მეზ||მეზ სიტყვათა განმარტება იხ. ვაბაევის ცნობილ ნაშრომში: „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. I მ.-ლ., 1958, გვ. 26 (რუს. ენაზე).

<sup>111</sup> ლ მ ა რ უ ა შ ე ი ლ ი , კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, II, თბ., 1981, გვ. 21.

ენის კანონზომიერების მიხედვით, მას ცვლილება განუცდია: ფუძეში რ-ს მომდევნოდ ა ხმოვანი ჩაეარდნილა და სიტყვის ბოლოკიდურად თანხმოვანი მოჰყვეცია (არამაზდ — არმაზ-) ორივე ეს შემთხვევა ქართულისათვის ნიშანდობლივია. ისიც საგულისხმოა, რომ თვით სპარსულ ტოპონიმიში ლამის გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და ახლაც უკავია სახელთა პოსტპოზიციურ ანუ შებრუნებული რიგის წყობას,<sup>112</sup> ზუსტად ისე, როგორც ეს არ-მაზ-ში („მთა-დიდი“) გვაქვს. (მდრ. დარი-ალან-ი „ჰარი ალანებისა“, „ჰარი ოვსეთისა“, დარუბანდ-ი, იგივე დერბენტი-ი „ჰარი ზღუდისა“, „ჰარი ვიწრო“, „კლდე-ჰარი“ და სხვ.მრ.).

**არღშენ-ი** პატარა სოფელია დუშეთის რაიონში (ქონქაძის სას.ს). ადგილობრივ ძალზე პოპულარულია ხალხური გადმოცემა იმის თაობაზე, რომ თითქოს სოფელს ეს სახელწოდება რომელიღაც დამპყრობი სარდლის სამიჯნურო-სასიყვარულო თავგადასავლის მიხედვით შერქმეოდა. „არღუნი ყოფილა თათრის ბელადი. იმას აულია და დაუქერია მთელი არაგვის ხეობა, ეგრე კიდევ დუშეთი და მთელი ეს შეყოლება სოფლები. იმას მოსწონებია ერთი გოგო, უნდა რო ცოლად შეირთოს. — მითხარი, რა გინდა და ყველაფერს შეგისრულებო, — ეუბნება თურმე თათრის ბელადი. ამ გოგოს კიდევ: — რა მინდა და დაგვეხსენო, აიყარე და წადი შენ ქვეყანაშიო. — მე აქედან მაშინ წავალ, შენ თუ ჩემი ცოლი გახდებიო. — თათრის ცოლობას სიკვდილი მირჩევნიაო, — უთქვამს თურმე ამ გოგოს და, პატარა ტბა არი, იქით გაქცეულა. მისულა ტბასთან და ეხვეწება: ღმერთო, პირი შეუყარი, რო ურჯულოს ხელში არ ჩაუყარდე, არც მკვდარი, არც ცოცხალიო. გადაეარდნილა და ტბასაც პირი შეუყრამს, გაწამებულა, აღარ იძვრის. მისულა თათრის ბელადი, დამჭდარა ტბის პირას და ელოდება, იქნება წყალმა გვამი ამოაგდოსო. რო აღარა და აღარ გახსნა ამ ტბამ პირი, ამდგარა ეს ბელადი, გამწარებულს ცხენისათვი ხმლით თავი წაუგდებინებია და ტბისთვის გაუტანებია. ხალხში ეხლაც არი თქმულობა, რო ის ქალი და ცხენი, რა ვიცი, როდის, როდის, ბაზალეთის ტბაში ამოუტანია, ეგ

<sup>112</sup> ს ა ვ ი ნ ა , ვ.ი. სიტყვაწარმოების შესახებ ირანულ ტოპონიმიში: კრებ. აღმოსავლური ტოპონიმია, მოსკ., 1964 (რუს. ენაზე).

ორი ტბა თურმე ძირებით ერთიმეორეში გადის. იმის მერე ხალხს სოფლისათვის თათრის ბელადის სახელი დაურქმევია, რაკი ამ არღუნს ეს გოგო ძალიანა ჰყვარებია“ (ალექსი ჩოხელი, ქ.დუშეთი).

ტოპონიმ არღუნის მეცნიერულად სანდო ეტიმოლოგია დღესდღეობით არ მოგვეპოვება. მართალია, ზოგიერთი მკვლევარი მის წარმოშობას ხევესურეთის ცნობილი მდინარის არგუნის სახელწოდებასთან აკავშირებს (რ.თოფჩიშვილი), მაგრამ სათანადო არგუმენტების გარეშე მოწოდებულმა ვარაუდმა, ბუნებრივია სპეციალისტთა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. არსებითი აქ ისაა, რომ არგუნი ვეინახური (ჩაჩნურ-ინგუშური) ენობრივი ფაქტი უნდა იყოს, სოფელი არღუნი კი სრულიად სხვაგვარი გზით ჩანს მიღებული. არღუნი, როგორც დასახლებული პუნქტი, გვიანფოდალურ ხანაშია წარმოქმნილი; ძველი საისტორიო ხანის ძეგლები მას არ იცნობენ. ვფიქრობთ, იგი XVIII ს-ის II ნახევრამდე არც უნდა არსებულებოდა. სახელწოდება არღუნი შეიძლება დაკავშირებული იყოს ამ არეალში საცხოვრებლად მოსული ოსი მოსახლეობის საკულტო-რელიგიურ ყოფასთან. ერთობ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ოსეთის ტოპონიმიშიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება მიკროტოპონიმები (სახნავ-სათეს ადგილთა სახელები), რომელთაც არღუანი ზნახ ეწოდება და რომელიც ქართულ ენაზე ნიშნავს: „ხატის მიწა“, „ეკლესია-მონასტრის კუთვნილი ადგილი“, „ადგილი, რომელიც მღვდელს ან ეკლესიის სხვა რომელიმე მსახურს უკავია“.<sup>113</sup> ამრიგად არღუნი რელიგიურ-საკულტო შინაარსის შემცველი სახელი უნდა იყოს. იგი ნიშნავს: „ხატის მიწები“.

**არჰალა** პატარა მდინარეა ქართლში (დუშეთის რ.). სათავეს იღებს ალევის მთებში, გამოივლის ქაისხევს, ძველი საქართველოს სამხედრო გზის პირას ჩამწკრივებულ პატარ-პატარა სოფლებს და ანანურთან, მარჯვენა მხრიდან, მიერთვის მდ.არაგვს. არყალის მეორე შემადგენელი ტოტი გამოედინება ს.ვეძათხევის მიდამოებიდან და იქვე, ხეობაშივე მიერთვის ალევის მთებიდან მომდინარე სათაურა ტოტს. ვახუშტი ბატონიშვილი მთელ ამ წყალს ვეძათხევის ხეგს უწოდებს:

<sup>113</sup> ც ა გ ა ე ვ ა , ა.ძ., საკულტო სახელწოდებანი ოსეთის ტოპონიმიში. კრებ. ირანული და ზოგადი ფილოლოგიის საკითხები, თბ., 1977. გვ. 313. (რუს. ენაზე).

„მას ზეით არს ვეძათვევის-ხევი. ამ ვევისა და არაგვის კიდეზედ არს ანანური“. <sup>114</sup> ზოგიერთ ოფიციალურ წყაროსა თუ ტურისტულ გზამკვლევში არყალა მოხსენიებულია როგორც ვეძათხევი. <sup>115</sup> (შდრ. ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის მიხედვითაც ვეძათხევი სოფელია, მისი კუთვნილი წყალი კი — ვეძათვევის-ხევი).

ადგილობრივი მოსახლეობა ამ მდინარეს ერთდერთი სახელის მოიხსენიებს; ესაა არყალა ან არყლის ხევი. არყალა დიდი სიკეთით არ გამოირჩევა: სიპატარავის გამო მდინარე ზაფხულობით თითქმის მთლიანად შრება და ქვებს შორის ძლივსშესაძინევად მოწანწყარებს, ღუბელა გუბეებში კი მარტო შავად დაზოლილი ციციქნა გველანა თევზები და თავკომბალები ბუდობენ. სამაგიეროდ არყალამ, როგორც ეს მთის მდინარეებს სჩვევიათ, საშინელი აღიდება იცის. გაზაფხულ-შემოდგომობით, როცა მთებში წვიმს, ისე უცებ მოვარდება, რომ მოსახლეობა ხშირად საქონლის გარიდებასაც ვერ ასწრებს. ამიტომ ამ დაუდევარ მდინარეს ადამიანიც კი არაერთხელ უმსხვერპლია. ადვილი შესაძლებელია, აქაურ მაცხოვრებლებს სწორედ მდინარის ეს თვისება ჰქონდათ მხედველობაში როცა მისი სახელწოდების გარკვევა უცდიათ: არყალა „აჰყარას“ ნიშნავსო. მოსახლეობას ამის შესაბამისი ლეგენდაც შეუქმნია:

„ერთხელ ანანურის ციხის ასაღებად არაგვის ხეობაში დიდძალი თათარი შემოსულა. ლაშქარი ციხის ახლო, არყლის ხევზე დაბანაკებულა. ზაფხულია, წყალი თვალით არა ჩანს. იმ ღამეს ქაისხევის მთებში დიდი წვიმა მოსულა და არყალაც ისე უცებ გამოვარდნილა, რომ დაღლილ, ნამძინარე ლაშქარს გონს მოსვლა ვერ მოუხწრია, უამრავი ხალხი ჩაუღუპია; ცხენი, კაცი, აქლემი, თოფ-ზარბაზანი არაგვის ქალებში გაუტანია. ვინც ცოცხალი გადარჩენილა, გარბიან თურმე და თან იძახიან: „აჰყარა, აჰყარაო! იმის მერე ამ ხევისთვის აჰყარა, იგივე არყალა დაუძახნიათ“ (გიორგი ზავრადაშვილი, ს.ანანური).

ზოგიერთი ხალხური გადმოცემა სახელწოდება არყალის წარმოშობას არაბულ-პარსულ ვალა||კალა („ციხე“, „ციხე-სიმაგრე“) სიტყვას უკავშირებს, რამდენადაც მდ.არყალა ანანურის სამონასტრო კომპლექსს

<sup>114</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 64.18.

<sup>115</sup> ვ . ბ ე რ ი ძ ე , გზამკვლევი „ანანური“, თბ., 1969.

სამხრეთის მხრიდან გვერდით ჩაუღის: „ციხის წყალია და თათრებსაც იმიტომ შეურქმევიათ არ-ყალა“ (დავით შაქაროვი, ს.ანანური).

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ორივე ეს გადმოცემა ზელოვ-ნური და ნაძალადეგია. უფრო მართებული უნდა იყოს მისი არყნალა სიტყვისაგან მომდინარეობა: („არყიანი“, „არყნარი“; „ადგილი, სადაც არყის ტყე ხარობს“). მცენ. არყის მიხედვით არის წარმოქმნილი მდინა-რის სახელწოდება არყნალის ხევი ქვემო ქართლში (დმანისის რ.). არყნალის ხევი მდინარ. ზურტაკეტის (ზორტაკეტის) ერთ-ერთი შე-მადგენელთაგანია.<sup>116</sup> არყნალის ხევი დადასტურებულია ვახუშტის „აღ-წერაში“.<sup>117</sup>

**არჩვეულ-ი** ეს სახელი ჰქვია სახნავ-სათეს მამულებს ზემო რაქის (ონის რ.) სოფლებში — ხირზონისა და ზემობარში. ადგილობ-რივ მცხოვრებლებს რომ ჰკითხოთ, სახელწოდება არჩვეული თურმე სოფელს იმის გამო შერქმევია, რომ ის მუდამ თავისუფალი იყო, სხვის ბატონობას არ ჩვეულიაო. სხვაგვარი გადმოცემით ამ ადგილებს არჩვეული არჩვის განსაკუთრებული სიმრავლის გამო შერქმევია: „არ-ჩვი მოდენილა აქ უმაღ ბევრი. იმდენი ყოფილა, ხალხი ხოცვას ველარ აუდიოდაო“, — მოგვითხრობენ ზემობარელები. მაგრამ ტოპონიმი არ-ჩვეული სულ სხვაგვარი წარმოშობის სახელია. საქმე ის გახლავთ, რომ როცა ტოპონიმი -ეულ-||-ოულ- სუფიქსს დაირთავს, მაშინ ის ობიექტის ვილაციისადმი კუთვნილებაზე მიგვანიშნებს (შდრ. ანას-ეულ-ი, ივან-ეულ-ი, დავით-ოულ-ი, ჯაფარ-ოულ-ი, ქინქარ-ოულ-ი, გორგას-ოულ-ი...) ამ შემთხვევაშიც არჩვე-ეულ-ი ნიშნავს: „არჩვადის კუთვნილ ადგილი“.

საინტერესოა, რომ იმავე რაიონის სოფელ კვაშხიეთში არის ად-გილი, სახელად არჩოული. იგივე არჩვოული, რომელიც უთუოდ ამ ობიექტის ვინმე არჩვადის ოდინდელ კუთვნილებაზე მიგვანიშნებს: „არ-ჩვადის ნაქონი ადგილ-მამული“. არჩვის სიმრავლე, როგორც ვხედავთ, აქ არაფერ შუაა.

<sup>116</sup> კ . ხ ა რ ა ძ ე , საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (ქვემო ქართლი, თბ., 1991, გვ. 52).

<sup>117</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 40.

**არქილი** სოფელია ხევსურეთში, შატის სას. საბჭოში (დუშეთის რ.). ანალოგიური სახელებების მიკროტოპონიმი გვხვდება ხევსურეთის სოფელ ხახმატშიც. **არქილო** (**ჰარქილო**) ვეინახური (ბაცბური) სიტყვაა და ქართულად **ბნელს**, **შავს** ნიშნავს. აღნიშნულ სახელწოდებაში გამოიყოფა აგრეთვე **-ლო** ელემენტი, რომელიც იმავე ნახური ენის კუთვნილებაა და ხშირად გვხვდება იქაურ ტოპონიმებში როგორც ადგილობითი ბრუნვის ნიშანი **-ლო** (**ლოჰ**). იგი ქართულ **-თანა** სიტყვას მიესადაგება.<sup>118</sup> მაშასადამე **არქილო**||**ჰარქილო** (+ **ქარქი** + **ლოჰ**) ნიშნავს: „შავ-თანა“, „ბნელ ადგილთანა“. სიტყვისიტყვით: „უმზეო, ჩრდილიანი ადგილი“; სოფელი, რომელსაც მზე ძალზე მცირე ხნით ანათებს“.

**არხალ-ი** სოფელია თიანეთის რაიონში, მდ.ივრის ზემო წელზე (დღევ. დულუზაურები). „ჩვენი ხალხი აქ გადმოსულა არხლიდან. არხალი მალა იყო, მთაში. უგზობით შეწუხებულა ხალხი და თანდათან ამ ადგილებში დასახლებულა. ჩვენაც იმათ მამისახლობაზე მოვდივართ“ (ალექსანდრე დულუზაური).

ტოპონიმ არხალის წარმოშობის გარკვევა სცადა მკვლევარმა ჯიბო ლომაშვილმა.<sup>119</sup> მან არხალი არამეული და ქართული არ („მთა“) და ხარი სიტყვების ნაზავ ერთეულად წარმოგვიდგინა. ამ ვარაუდის მიხედვით არხალი თურმე ნიშნავს: „სოფელი, განთქმული მთის ჭიშინი ხარებით“.

ამასთან დაკავშირებით, კვლავ შევნიშნავთ, რომ ქართულ ტოპონიმიაში არ დასტურდება არამეული და ქართული სიტყვების შეერთების თუნდაც ერთი შემთხვევა. ასე რომ არხალის არამეული არ („მთა“) და ქართული ხარი სიტყვებისაგან მომდინარეობა უნდა გამოირიცხოს. სახელწოდების წარმოშობის გარკვევაში ძალზე გვეხმარება აკად. ნ.ბერძენიშვილის მიერ მოწოდებული ცნობა იმის შესახებ, რომ არხალს ძველად **არხლიანთ** კარი რქმევია.<sup>120</sup> ეს ფაქტი იმაზე მიგვა-

<sup>118</sup> თ . უ თ უ რ გ ა ი ძ ე , დასახ. ნაშრ. გვ. 99.

<sup>119</sup> იხ. მისი „წერილები“ თბ., 1975, გვ. 185.

<sup>120</sup> ნ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , ექსპედიცია ივრის ხეობაში: საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ., 1964, გვ. 185.



ნიშნებს, რომ არხალი ანთროპონიმული (გვაროვნული) წარმოშობის სახელი ყოფილა, რამდენადაც საზღვრული სიტყვა კარი ძირითადად ისეთ ტოპონიმებს დაერთვის, რომლებშიც ამა თუ იმ გვარის სიმრავლეა აღნიშნული: გონჯილაანთკარი, ცალულელაანთკარი, წიკვლიაანთკარი, ჩეკურაანთკარი... კობიაანთკარი, ვარსიმაანთკარი, მილახვრიანთკარი... მაშასადამე, არხალი (არხლიანთკარი) ნიშნავს: „არხალიშვილების||არხლიშვილების სოფელი“.

**არხილო, არხილოსკალო** ცნობილი სოფელია შირაქში (დედოფლისწყაროს რ.). ამ ტოპონიმის წარმოშობის თაობაზე ხალხის მებსიერებას დღემდე შემოუნახავს ერთი ამაზრზენი გადმოცემა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ავბედით ისტორიას უკავშირდება: „ერთხელ მთელი შირაქი თათრებს დაუქერიათ. დიდსა და პატარას თურმე მუსრს ავლებენ. ეს სოფელი რო აულიათ, თუ სადმე ძუძუთა ბავშვი უნახიათ, მოუყვანიათ და სოფლის კალოზე დაუყრიათ. მერე შეუბამთ ცხენები დაკოხილ კევრებში და მთელი ეს თოთო ბავშვები ძნასავით მოუღეწიათ. იმათი წივილ-კივილი თურმე ცასა სწვდება. ერთი გაგიჟებული ქალი გადასდგომია წინ ვილაც მგზავრსა და დაუწყია ზიდილი, რო ასეა და ასეა ჩვენი საქმეო და იქითვე არ გაიხედო, არ იხილო კალოო, ცოდვის კალოო“. ამიტო დაურქმევიათ სოფლისთვისაც არხილოსკალო“ (შოთა ჩარბოდაშვილი, ს. ქვემო ქედი).

სინამდვილეში არხილოსკალოს ამ ტრაგიკულ ამბავთან საერთო არაფერი აქვს. არხილო, ჩვენი ღრმა რწმენით, ბაცბური წარმოშობის სახელია და ქართულად ნიშნავს: „არხ-თანა“; არხის პირას მდებარე საძოვრები“; „მინდვრები, სადაც არხი ყოფილა გაყვანილი“.<sup>121</sup> ეს სახელწოდება შერქმეული ჩანს ამ ადგილებში მომთაბარე მწყემსი წოვა-თუშების მიერ, რომელთაც თავიანთი ცხვრის ფარები ზამთრობით შირაქის საძოვრებზე დაუდიოდათ და ახლაც დაუდით. არხილო, მაშასადამე, ისევეა ნაწარმოები ბაცბური -ლო სუფიქსით, როგორც **ომა-ლო, დიკ-ლო, დართ-ლო** და სხვ.მრ.

<sup>121</sup> იხ. ჩვენი ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 47.

**არხშულა** პატარა ხევია თიანეთის რაიონში (არტნის სას.ს), მდ. იერის მარცხ. შენაკადი. ადგილობრივ გავრცელებული ლეგენდის თანახმად „თამარ დედოფალს არხი გაუქრია და დულუზაურების ციხეში თიხის მიღებით წყალი მიუყვანია. დარქმევია **არხულა**, რაკი არხით მიღენილა“ (ალ.დულუზაური, ს.არხალი). ფაქტიურად არხალს სიტყვა არხთან საერთო არაფერი აქვს. იგი ნიშნავს: „სოფელ არხლის წყალი“, „ხევი, მდინარე, რომელიც არხალს ჩამოუდის“, „არხლურა“. ეს უკანასკნელი ფორმა (არხლ-ურა) ისევე გაფორმებული, როგორც ფშავის ხევის არაერთი პატარა მდინარის სახელწოდება: ჩარგლ-ურა („ჩარგლის წყალი“), „ხატხე-ურა“ („ხატხევის მდინარე; ხევი, წყალი“) შარახე-ულა („შარახევის მდინარე“), გომეწრ-ულა („გომეწრის ხევი, გომეწრის მდინარე“), თრან-ულა („სოფელ თრანის ხევი“) და სხვ.მრ. ამ შემთხვევაშიც ამოსავლად სოფლის სახელი არხალი ქცეულა: **არხალ-ურა**||**არხლ-ურა** → **არხ-ულ-ა** (ფუძისეული **ლ-ს** ჩავარდნით) „სოფელ არხლის წყალი“.

**აღბიან-ი** ისტორიული სოფელია ცენტრალურ ქართლში (კასპის რ.). ძველ ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ ძეგლებში აღიანი XIV-XV საუკუნეებიდან მოიხსენიება.<sup>122</sup> ტოპონიმი შინაარსობრივად საკმაოდ ნათელია: საყრდენ ფუძეს წარმოადგენს ადამიანის შერქმეული (ზედმეტი) სახელი ალა, რომელსაც, დართვია სიმრავლე-კრებილობის იან სუფიქსი. მაშასადამე აღიანი ასე უნდა გავიგოთ: „სოფელი, რომელშიც „აღიანი“ ალას შთამომავლები“ სახლობდნენ“; მართალია, აქაურ მოსახლეობაში გავრცელებული თქმულების მიხედვით ალა („ბატონი“), ვის სახელთანაც არის დაკავშირებული სოფლის წარმოშობა, თემურ-ლენგის ბიძა (მამის ძმა) ყოფილა,<sup>123</sup> მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, ალა ამ შემთხვევაში რომელიმე ადგილობრივი პირის ზედმეტი ანუ შერქმეული სახელი უნდა იყოს. შემთხვევითი არ არის, რომ სოფელ რუისპირში (თელავის რ.) დასტურდება მიკროტოპონიმი „აღას კაკალი“, რომლის შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: „ერთი კაცი

<sup>122</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 26, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე , საისტორიო კრებული, წ. IV, ტფ., 1929, გვ. 13.

<sup>123</sup> სფ.

ყოფილა, ალას ეძახდნენ. ამას ედგა ბარდებით დაფარული კაკალი. ალას გაუწმენდია კაკალი. როცა ეს კაცი გარდაცვლილა, მისი სახელი კაკლისთვის დაუძახნიათ, ალას კაკალიაო“ (დიმიტრი მრელაშვილი).<sup>124</sup> ზოგის მტკიცებით ეს ალა სოფლის მამასახლისი ყოფილა. ასე რომ ალაიანის მაინცდამაინც თემურლენგის ბიძის სახელთან დაკავშირება გაუმართლებელი და მიზანშეუწონელია.

აჭარა საქართველოს ზღვისპირეთის ულამაზესი მხარეა. აჭარა ერთ-ერთი უძველესი ქართული ტოპონიმი. საისტორიო წყაროებში იგი VII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს აჭარის ბუნებას, მის ნაყოფიერებას, მოსახლეობის შინამრეწველობის დარგებს: „და არს აჭარის კეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა: არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, ხრამოვან-ღრათიანი; მთანი ტყიან-ნადირიანი; კაცნი კელოვანნი ხის მუშაკობითა. აქ აკეთებენ ყველს... არაოდეს წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ სახმარ არს“.<sup>125</sup>

ტოპონიმი აჭარა სპეციალური კვლევის საგნად XIX ს. 90-იანი წლებიდან იქცა. მისი მეცნიერული კვლევის ისტორია მ.ჭანაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მეცნიერი ფიქრობდა, რომ სახელწოდება აჭარა მომდინარეობდა „ჭა“ სიტყვისაგან: „ჭა-რი — ა-ჭა-რი — აჭარა“.<sup>126</sup> თუმცა სარწმუნო განმარტება არ ეძლეოდა არც თავიდან ა-ხმოვანს და არც -რა ელემენტს. აჭარის წარმოშობის პრობლემით დაინტერესდა აკად. ს.ჭანაშიაც, რომელმაც აჭარა გურიის ერთ-ერთი სოფლის (აჭი) სახელს დაუკავშირა. „მდ.აჭყვას სათავეებთან ჩვენ ვხედავთ სახელწოდება აჭ-ს; აქედან არის ნაწარმოები აჭ-არა-ც, რომელმაც სახელწოდება მისცა ამ მთების სისტემას — აჭარის ქედი — და თვით ოლქსაც; ცხადია, აჭყვა ნიშნავს აჭის მდინარეს, ისევე როგორც

<sup>124</sup> სფ.

<sup>125</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, გვ. 134,6.

<sup>126</sup> მ . ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , აფხაზეთი და აფხაზები (რუს. ენაზე), ტფ., 1894, გვ. 2-3.

სუფსა — სურის მდინარესო, — წერდა დიდი მკვლევარი.<sup>127</sup>

აქარას ეთნიკურ (სატომო) სახელ ჭანს უკავშირებდა პ.ინგო-როყვა. მისი ვარაუდით აქარა წარმომდგარი უნდა ყოფილიყო ა-ჭან-რა ფორმისაგან. თავკიდურ ა- ხმოვანს მკვლევარი სა-პრეფიქსის ნაშთად მიიჩნევდა, ხოლო -რა მარცვალს — მრავლ. რიცხვის ფორმანტად: სა-ჭან-რა.<sup>128</sup> იგი დაახლოვებით სა-ჭან-ებ-ო-დ თუ ჭან-ეთ-ად უნდა ყო-ფილიყო გაგებული.

უკანასკნელ ხანს აქარის ეტიმოლოგიური კვლევის საინტერესო ცდა შემოგვთავაზა ამ რეგიონის ტოპონიმიის ცნობილმა სპეციალისტმა ი.სიხარულიძემ. მისი ვარაუდით ტოპონიმი აქარა დაიყვანება ჭ ძირა-მდე, რომელიც სემანტიკურად წყალ- სიტყვას უკავშირდება. სახელწო-დება აქარას იგი ა-ა პრეფიქს-სუფიქსური წარმოშობის სახელად თვლის, თუმცა არაფერს ამბობს -რა- სეგმენტის რაობაზე. მკვლევარი ჭ („წყა-ლი“) ძირს ხედავს ეთნონიმ ჭან-ში, აგრეთვე ჭალა, ჭალანგარ... სი-ტყვებში.<sup>129</sup>

ადგილობრივ გავრცელებული ხალხური ვერსია, თითქოს აქარა თურქული აჯა მემლექეთი-საგან იყოს წარმომდგარი (ნიშნავს: „მშვი-ერი ქვეყანა“), სამართლიანად უარყო ი.სიხარულიძემ, რამდენადაც ამ-გვარი „ეტიმოლოგია“ მართო მეცნიერულად კი არ არის უსაფუძვლო (აქარა იმ დროიდან არის წერილობით ძეგლებში დადასტურებული, როცა თურქ-ოსმალები არა თუ მეზობლობდნენ ჩვენთან, საერთოდ არ ჩანდნენ ისტორიულ არენაზე), არამედ საზოგადოებრივი თვალსაზრისი-თაც მავნე და მიუღებელია.<sup>130</sup>

ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმი აქარა შინაარსობრივად მართლაც წყალთან, წყლიანობა-სისველესთან უნდა იყოს დაკავშირებული, ოღონდ ამ შინაარსის გადმოცემა ტოპონიმში აღნიშნული ჩანს არა ოდენ ჭ თანხმობით, არამედ ჭარ- სიტყვით, რომელიც ქართული ენის მთელ

<sup>127</sup> ს . ჭ ა ნ ა შ ი ა , ჩერქეზული ელემენტი... შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 120.

<sup>126</sup> პ . ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ; გიორგი მერჩული, თბ., 1954, გვ. 138.

<sup>129</sup> ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია I, ბათუმი, 1958, გვ. 144.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 144.

რიგ დიალექტებში, ამდენად, ტოპონიმიაშიც, ხელშესახებ ფაქტად შეგვიძლია ვცნოთ.

ჭარი რაჭულ, აგრეთვე იმერულ დიალექტებში ნიშნავს: დაბალი, ნოტიო ადგილი (მისი სინონიმებია: ლენჭყი, ქენჭყი).<sup>131</sup> აქვე მოდის ზემო და ქვემო იმერული ჭაროფი-ი „ბალახით დაფარული ჭაობიანი ადგილი“.<sup>132</sup> (შეადარეთ სოფ. ჭარები და ჭარების ეკლესია შიდა ქართლში (ცხინვალის რ.)...

ჭარო (ლენხ.) „შემოუსვლელი (უმწიფარი) სიმინდი, პური, ნოტიო ადგილი“.<sup>133</sup>

ჭაობ-ი (ქარ-ობ-ი?) „მეტად ნოტიო ადგილი; სათიბი ნოტიო ადგილი“.<sup>134</sup>

ჭანჭრობი და ჭაობი „წყლიანი ადგილი მწვანით და ბუჩქნარით დაფარული (ნ.საფლობი და წყალი).<sup>135</sup> უთუოდ ამავე ჭარ სიტყვას მიესადაგება ზანური (მეგრული) ჭორ-ოფ-ა<sup>135</sup> — (ქართ. ა, ზან. ო ხმოვნების კანონზომიერი მონაცვლეობით).

რაც შეეხება აჭარა სიტყვის პრეფიქსულ — ა ხმოვანს, იგი შეიძლება ქართული სა- წინსართის ზანური (შესატყვისის ო ხმოვნის ასიმილირებულ სახეობად მივიჩნიოთ: ო-ჭარ-ა → ა-ჭარ-ა. დიდად საგულისხმოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ პალიასტომის ტბასთან, ფიჩორის ხეობაში, ყოფილა ადგილი, რომელსაც ოჭარა (ოჭარას ტყე) ეწოდება: „ბოკვერადის კუნძულს გვერდი ავუარეთ და მალე ოჭარას ტყეს

---

<sup>131</sup> ვ. ბ ე რ ი ძ ე , სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს.პბ., 1912, გვ. 77.

<sup>132</sup> ქ ე თ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 419; პ . გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე , იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976, გვ. 169.

<sup>133</sup> მ . ა ლ ა ვ ი ძ ე , ლენხუმური ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938, გვ. 162.

<sup>134</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. IV<sub>2</sub> თბ., 1966, გვ. 397.

<sup>135</sup> ნ . ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 457.

<sup>136</sup> ი . ყ ი ფ შ ი ძ ე , მეგრული ენის გრამატიკა (ლექსიკონითურთ), ს.პბ., 1914 (რუს. ენაზე).

მივადექით“.<sup>137</sup> ოქარა (ო-ქარ-ა) კი სხვა არაფერია, თუ არა „წყლიანი, ნოტიო ადგილი“, „ქარებით მდიდარი მხარე“. ამ დასკვნას ობიექტურად მიესადაგება აქარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.

ახატან-ი პატარა ლამაზი სოფელია არაგვის ხეობაში (დუშეთის რ.) კოპორტის სას. საბჭო). ქართულ საისტორიო საბუთებში ახატანი XI საუკ. I ნახევრიდან ჩნდება. მელქისედეკ კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი შეწირული სოფლების ნუსხაში („დაწერილში“) ახატანი კახეთში შემავალ სოფლად მოიხსენიება: „და საკოეთს შევიპყრენ (=დავიპყრე, დავისაკუთრე, გბ.) და ავაშენენ სოფელნი ბ ნაქალაქევი და ბერდაძორი; და ქართლს მონასტერი პალავრაჲ ოთხითა სოფლითა... და კახეთს ახატანს უბანი ა და ნოსორნაჲ“,<sup>138</sup> სოფელი ა<sup>139</sup>. XI-XII საუკუნეებში და შემდგომაც, მდ. არაგვის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ვრცელი ტერიტორია, ხერკის მთიდან მოკიდებული ერწო-თიანეთამდე, კახეთის სამეფოს ეკუთვნოდა. ეს ვითარებაა ასახული მელქისედეკ კათალიკოსის ამ „დაწერილშიც“.

ახატნის წარმოშობის თაობაზე ხალხში შემორჩენილია ლეგენდა, რომელშიც გაიდევლებულია ქართველი ქალის როლი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

„თამარ მეფე რომ გარდაცვლილა, თათრებს გული მისცემიათ და დიდი ლაშქრით წამოსულან. მთელი მცხეთა და არაგვის ხეობა აუკლიათ. თათრის ერთ-ერთ ბელადს თავისი ჭარით ახატანი დაუქერია და სოფლის გადაწვა უბძანებია. ამ დროს ბელადთან მისულა ერთი ყმაწვილი ქალი და უთხოვნია, ვაშკაცი კაცი ჩანხარ, სოფელს ცეცხლს ნუ მისცემო. თათრის ბელადს თურმე ეს ქალი ძან მოეწონა, იმისი სიყვარული გულში ჩავარდნია და ცოლობა უთხოვია. ქალიშვილი უარზე დამდგარა, რჯულს თუ შეიცვლი, გამოგყვები, არ შეიცვლი და ურჯულოს ცოლობას ისევ ცოცხლად დამარხვა მირჩევენიაო. გაბრაზებულა თათრის ბელადი და თავის მსლებლებისათვის უბრძანებია, ამ გიაურ ქალს ტანთ გაჰხადეთ, ნავთი გადაასხით და დაწვითო. როცა ქალისა-

<sup>137</sup> ა ლ . ა რ ა ბ უ ლ ი , დასახ. ნაშრ. 1989, გვ. 54.

<sup>138</sup> ალბათ: ნოკორნა (დღევ. ნადოკრა).

<sup>139</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 22-23.

თვის ტანსაცმელი შემოუხვევიათ, იმის სილამაზეს ყველანი ადგილზე გაუქეპებია. — შესდექითო, — დაუძახნია თათრის ბელადს, — ახლავე შემოსეთო და აქ მომგვარეთო! მიუყვანიათ. — მაგ სილამაზისათვის და სიმამაცისათვის სიცოცხლე უნდა გაჩუქო, — უთქვამს ამ ბელადს, — სიცოცხლესაც გაჩუქებ და, სხვას, რასაცა მთხოვ, ყველაფერს აგისრულებო. — დამწვი ცოცხლად და სოფელს ხელს ნუ ახლებო! — უთხოვნია ქალს. თათრის ბელადი მართლა ვაჟკაცი კაცი ყოფილა, ლაშქარი აუყრია და იქაურობას გაშორებია, აღარც ქალი დაუწვია, აღარც სოფელი. მიდის ეს თათრის ბელადი და თან თურმე იმ ქალის სილამაზეს მიელაპარაკება: — „ახ, რა ტანი ჰქონდა, ახ, რა ტანიო!“ ამ ამბის შემდეგ ჩვენ ხალხს სოფლისთვის ახრატანი, იგივე ახატანი შეურქმევი და დღესაც ეგრე ვეძახით“ (ვანო ლაფანაშვილი, ს.ლაფანანთკარი, დუშეთის რ.).

ძნელი არ არის დავრწმუნდეთ, რომ ამ თავისთავად შთამბეჭდავ გადმოცემას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. უბრალოდ ხალხმა ტოპონიმ ახატანში შესიტყვება „ახ, რა ტანი“ ამოიკითხა და თქმულებაც ამის შესაბამისად შეთხზა.

ჩვენი ვარაუდით სახელწოდება ახატანი ორი სიტყვისაგან უნდა იყოს შედგენილი. ეს სიტყვებია ახალი და ტანი. ქართულ ტოპონიმიაში მსაზღვრელ სიტყვად საკმაოდ ხშირად გვხვდება „ახალი“. რთულფუძიან ტოპონიმებში „ახალი“ ზოგჯერ შეკვეცილი „ახა“ ფორმით ვლინდება, როგორც ეს კახეთის სოფლის სახელწოდება ახაშენ-ში დასტურდება (ახალ-შენი — ახალ-სოფელი). ანალოგიური წესით წარმოქმნილა ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ახატანიც. იგი ნიშნავს: „ახალი ტანი“. სიტყვა ტანი ქართლურ დიალექტში, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, ეწოდება მიწის ვრცელ ნაკვეთს.<sup>140</sup> ეს სიტყვა ამ გაგებით დასტურდება კასპის რაიონის მიკროტოპონიმიაშიც. აქ, კერძოდ, გვხვდება ადგილის სახელები: კოშკი(ს) ტანები და კოშკიტანების მიწები.<sup>141</sup> ვფიქრობთ, სიტყვა ტანი გვაქვს კახურ კუჭატან-შიც (გაიხსენოთ მიხ.ჯავახიშვილის რომანის „არსენა მარაბდელის“ პერსონაჟი

<sup>140</sup> თ. ს. ა. რ. ძ. ე., ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978, გვ. 89.

<sup>141</sup> ვ. მ. ა. რ. ძ. ე., შიდა ქართლის (კასპის რეგ.) ტოპონიმია. (საკანდ. დისერტაცია), 1986.

გიორგი კუჭატელი). კუჭატან-ი ნიშნავს: „ამობურცული მამული“, „ზურგამიწები“, „მამული, რომელშიც კუჭივით ამოშვერილი, ამოზიდული ადგილებია“. საფიქრებელია, ეგვე ტან-ი იძებნებოდეს სამცხე-ჯავახეთის ისეთ ცნობილ ტოპონიმებში, როგორებიცაა: ალასტანი, მარგასტანი||მარგისტანი<sup>142</sup> და სხვ. როგორც ჩანს, სიტყვა ტან-ი („მიწის დიდი ნაკვეთი“, „სახნავ-სათესი სავარგულეები“) არაგვის ხეობის ქართლურისთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო და ამ სიტყვის გამოყენებით კიდევაც შექმნილა ტოპონიმი ახალტან-ი („ახლად გატეხილი საყანე მიწა“, „ახოებად ქცეული ტანები“, „ტანის მიწები“). მოგვიანებით ახალტან — ფორმას ლ თანხმოვნის ჩავარდნით ახატანი მოუცია.<sup>143</sup>

**ახტალა** ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტია კახეთში (გურჯაანის რ.). ამჟამად ახტალა ქ.გურჯაანს არის შერწყმული და მის ერთ-ერთ უბნად ითვლება. ახტალის, როგორც უცნობი შინაარსის ტოპონიმის, წარმოშობით ხალხი ადრიდანვე დაინტერესებულა. გასული საუკუნის გაზეთები „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ. ხშირად აქვეყნებდა კორესპონდენციებს ახტალის წარმოშობასთან დაკავშირებულ ლეგენდა-თქმულებების შესახებ. გაზეთ „ივერიას“ 1897 წლის 17 მაისს გამოუქვეყნებია ტ.ინასარიძის წერილი „ჭახტალა“ (ლეგენდა სოფ. გურჯაანის მახლობლად მდებარე ტალახის ტბის შესახებ). იმავე წლის 25 მაისს კი „ცნობის ფურცელს“ დაუსტამბავს იოს.იმედაშვილის საინტერესო წერილი — „ჭახტალა-ღვთის ყანაა თუ ღვთის რისხვა?“ შევნიშნავთ, რომ ახტალის პირველი მეცნიერული ეტიმოლოგია ეკუთვნის კონსტ. ჰანს: ად „თეთრი“, ტალა „მინდორი“, „თეთრი ველი“.<sup>144</sup>

ერთ-ერთ პირველ ცნობას ახტალის შესახებ გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი: „კვალად ქერემ-ვეჭინს შუა და ვეჭინის ჩდილოთ, მთის

<sup>142</sup> სხვაგვარი თვალსაზრისი აქვს გამოთქმული აღნიშნული ტოპონიმების შესახებ მერაბ ბერიძეს (იხ. კრებ. ონომასტიკა I, თბ., 1987, გვ. 23-28).

<sup>143</sup> სახელწოდება ახატანს ზოგიერთი სპეციალისტი რატომღაც ჯავახეთის სოფლის სახელ ახტილა||ხტილას და, ასე განსაჯეთ, ახტალასთანაც კი უძებნის საერთოს (იხ. გ რ . ბ ე რ ი ძ ე , ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988, გვ. 148). ახტალის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

<sup>144</sup> СМОНПК, 40, Тифл., 1909, გვ. 18.



კალთას არს ახტალა, რომელსა იტყვიან ნასოფლარსა და რისხვით და-  
ნთქმულსა. აღმოდის კუბრი, ვითარცა მდუღარე.<sup>145</sup> საინტერესოა, რომ  
ვახუშტის მიერ მოწოდებული ცნობა ახტალის; როგორც სტიქიური  
მოვლენის შედეგად „დანთქმული“ სოფლის, თაობაზე, ადგილობრივ  
მცხოვრებთა შორის დღესაც ცოცხლობს. ინფორმატორთა თქმით ძველ  
დროს აქ მომხდარა დიდი მიწისძვრა; რომელსაც სოფელი ქვესკნელში  
ჩაუტანია, მის ადგილას კი ტბა დამდგარა. ხალხში დღესაც გაიგონებთ,  
ახტალის ტალახს დროდადრო ათასგვარი საოჯახო საგანი: აკვნები,  
ბარ-ჩიბები, კევრები, ცხენის უნაგირ-მოსართავები, ცულები და სხვ.  
ამოაქვსო.

ერთ-ერთი ხალხური გადმოცემით ჩაძირულ სოფელს ტალა თუ  
თალა რქმევია. ერთ კაცს დილით ტალაში თავისი ნათესავი მოუნახუ-  
ლებია, საღამოს კი, როცა შინისკენ წამოსულა, თავზარი დასცემია —  
სოფელი აღარსად ჩანდა, მის ადგილას ტალახიანი ტბა დამდგარიყო.  
ამის მნახველ კაცს სინანულით წარმოუთქვამს: „ახ, ტალა, ახ, ტალა,  
რა იყავ და რა გახდიო!“ (გიორგი გომურაშვილი, ს.აკურა).

დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენთვის საინტერესო  
ტოპონიმი ახტალა თურქულენოვანი ხალხის შემონატანია. ახ (||ალ)  
ქართულად, როგორც უკვე ითქვა, ნიშნავს „თეთრი“ (შდრ. აღ-ბულაყი  
„თეთრი წყალი, თეთრი წყარო“), ტალა, იგივე თალა კი ვაკე ადგილის,  
მინდვრის აღმნიშვნელი სიტყვაა. მაშასადამე, ახ-ტალა გაიაზრება რო-  
გორც „თეთრი ველი“, „თეთრი მინდორი“, „ადგილი, სადაც მოთეთრო  
ფერის მინერალური მასა (ამ შემთხვევაში, სამკურნალო ტალახი) გამო-  
ედინება“.<sup>146</sup> ბუნებრივია, რომ თურქ. ტალა||თალა სიტყვის შემცველი  
ტოპონიმები ხშირად გვხვდება მეზობელ სომხეთის, ბალყარეთის (ჩერ-  
ქეზეთი), განსაკუთრებით კი — აზერბაიჯანის, აგრეთვე, საინგილოს ტე-  
რიტორიაზე: აკაიტალა, აღტალა,<sup>147</sup> ბაგათალა, ჭინჯართალა, კამიშ-

<sup>145</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 99.

<sup>146</sup> იხ. მ ი რ . ძ ვ ე ლ ა ი ა , ტალახის ვულკანები (ახტალა) საქართველოში,  
თბ., 1978, გვ. 8,34; შ . გ ო გ ა ტ ი შ ვ ი ლ ი , საქართვ. გეოგრ. სახელები, თბ.,  
1981, გვ. 11..

<sup>147</sup> ქ ო კ ო ვ ი , ჯ.ნ., შ ა ჰ მ უ რ ზ ა ე ვ ი , ს.ო., ბალყარული ტოპონიმიკური  
ლექსიკონი, ნაღიკი, 1970, გვ. გვ. 16, 27, 30... (რუს. ენაზე).

თალა, უარათალა...<sup>148</sup> ანალოგიური წარმოშობისა ჩანს ჩვენთვის კარგად ცნობილი ტოპონიმი ზაქათალაც (საინგილო).

ძველი ქართული ეკონომიკური საბუთების მიხედვით ტალა სიტყვის შემცველი ტოპონიმები საკმაოდ ხშირი ყოფილა ქვემო ქართლის ტერიტორიაზეც: „მელიქიშვილების მამულები მდებარეობდა სადახლოში... მელიქაშენში, მელიტალაში, ახტალაში... მაჭმულტალაში“.<sup>149</sup> დღეს აქ აღნიშნულ სახელთაგან მხოლოდ ახტალა არის შემორჩენილი, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილიც იცნობდა და მას ცურტავად მიიჩნევდა: „ვგონებ ამას ცურტავად და სასწაულსაცა მის მიერო“.<sup>150</sup> როგორც ვხედავთ, ჩვენს ძველ სწავლულთაც და თანამედროვე ლინგვისტთა ერთ ნაწილსაც ტოპონიმ ახტალის წარმოშობის შესახებ უამრავი თვალსაზრისი და ვარაუდი გამოუთქვამთ, რომელთა უმრავლესობა სრულიად სამართლიანად ახტალის თურქულ წარმომავლობას უჭერს მხარს.

**აჯამურა** პატარა მდინარეა იმერეთში (ს.ტაბაკინი, ზესტაფონის რ.). მდინარის სახელწოდება უკავშირდება აჯამეთის ტყეს. მაშასადამე აჯამ-ურა კუთვნილების აღმნიშვნელი სახელია და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს მდინარე აჯამეთის ტყიდან გამოედინება, ან უშუალოდ მის სიახლოვეს დის. იგი ისევეა გაფორმებული, როგორც იმერეთის ზოგი მდინარის სახელი: ლაშ-ურა (ს.ლაშე), ჩიხ-ურა (სოფ. ჩიხა), ჭრუჭ-ულა (სოფ. ჭრუჭი; ჭრუჭის მონასტერი), ძირ-ულა, ძეგრ-ულა, ხან-ურა, ბაჯ-ურა (ს.ბაჯითი), საირხ-ულა (ს.საირხე) და სხვ. მრ. ნათელი შინაარსის მიუხედავად ადგილობრივ მოსახლეობას მაინც უცდია მდინარის სახელის თავისებური გააზრიანება: „ბერები იყვნენ მონასტერთან. წყალი რო გადმოჩქერს, იქიდან დასცხეს თურმე თათრებმა. ერთმა

---

<sup>148</sup> ა ს ლ ა ნ ო ვ ი , ა.მ., ალაზნის ტოპონიმიიდან: კრებ. „კავკასიური ონომასტიკა, მაჰაჩყალა, 1977, გვ. 89 (რუს. ენაზე).

<sup>149</sup> თ . ჩ ხ ე ი ძ ე , კაპიტალიზმი აღმოს. საქართველოს სოფლის მეურნეობაში, თბ., 1978, გვ. 181.

<sup>150</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 36,7 (სქოლ).

დეიძახა: აჯა, ბიჭო, აჯან ურაო და დაარქვეს აჯანურა ამ ლელეს“.<sup>151</sup>

ცნობილია სხვაგვარი თქმულებაც: „ერთხელ აქ მონადირეებს, მდინარის გაღმა გასულებს, მოუკლავთ რაცხა ნადირი. მის მოსატანად გაუშვიათ ძაღლი, რომელსაც სახელად მურა ერქვა. წყალი თურმე დიდი მოდენილა, ძაღლი ნანადირევით ვერ ბედავდა გაცურვას. მონადირეები მისულან მდინარის ნაპირას და თურმე ძაღლს ამხნევებენ, უძახიან: აჯან, მურა, აჯან, მურაო! დარქმევია მას მერე მდინარეს აჯამურა“.<sup>152</sup> ფაქტიურად ჰიდრონიმი აჯამურა -ეთ- სუფიქსის ჩავარდნის შედეგად მიგვიღია: აჯამეთ-ურა → აჯამ-ურა.

## — ბ —

ბაბში ცნობილი ადგილია სხილის შემოგარენში (ხონის რ.). ადგილობრივ საკმარად გავრცელებულია თქმულება, რომლის მიხედვითაც ტოპონიმ ბაგეს წარმოშობა ამ მხარეში თამარ დედოფლის სტუმრობასთან ყოფილა დაკავშირებული: „თამარ მეფეს ერთხელ ქუთაისის ახლოს მდებარე სოფლების დათვალეობა განუზრახავს. წაუყვანია თავისი ამაღა და ცხენისწყალზე, ბუმბუას ხიდი რომაა, იქ გადასულა. შეუსვენებია იქ. სოფლის ხალხის თამარისათვის მიუერთმევია შავი ყურძნის ბადაგი. მეფეს შეუსვამს და ისე მოსწონებია, რომ ბაგე ვეღარ მოუცილებია. ამ ამბის მერე ხალხს იმ ადგილისათვის დოურქმევია ბაგე“.  
(მაია შალვას ასული მელაძე).

სინამდვილეში ადგილის სახელი ბაგე მომდინარეობს სიტყვისაგან ბაგა, რაც ახლადჩაყრილ ვენახს, ზოგადად, ახალშენს ნიშნავს. „ბაგად ითქმის ახალი ვენახიო“, — ბრძანებს საბა.<sup>153</sup> ბაგა სიტყვის ეს მნიშვნელობა დღემდე კარგად დაუცავს ზემო იმერულს. საჩხერისა და ჭიათუ-

<sup>151</sup> გადმოცემა ჩაუწერია ქ. დო წ ე ნ ი ძ ე ს . იხ. მისი ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 535; მისივე ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 587.

<sup>152</sup> სფ.

<sup>153</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზულებანი, ტ. IV, ილაბულადის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 92.

რის რაიონების მიკროტოპონიშიაში დასტურდება: ბაგა, ბაგავენახი, ბაგავენახები...<sup>154</sup> მართალია, ქვემო იმერეთში სიტყვა ბაგა დღეს სხვა მნიშვნელობით უფრო არის ცნობილი (ბოსელში წნულით ან ფიცრით გამოყოფილი ნაწილი, რომელშიაც... საქონელს უყრიან საკვებს, იგივე საპირე; ბოსლის ძელური იატაკი),<sup>155</sup> ვიდრე ახალშენი ვენახი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ბაგე უთუოდ იმის მიმანიშნებელია, რომ ბაგა, როგორც მევენახეობის დარგის ტერმინი, ძველად მთელს იმერეთში, ზემოშიც და ქვემოშიც, ერთნაირად ყოფილა ნიშანდობლივი. ტერმინი ბაგა, იმერეთის გარდა, ცენტრალურ ქართლშიც არის გავრცელებული. ამ სიტყვისაგანაა წარმოქმნილი სოფ. ბაგები, ქ.თბილისის ერთ-ერთი უბანთაგანი, სოფ. ბაგიჭალა (არაგვის ხეობაში) და სხვ.

**ბაბიათა** სოფელია ქართლში, ყორნისის (ყოფ. ჯავის) რაიონში. აქ მოიპოვება განთქმული მინერალური წყალი „ბაგიათა“, რომელიც საუკეთესო სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

ტოპონიმი ბაგიათა დიდი ხნოვანობისა არ არის; იგი, როგორც მოსალოდნელი იყო, უცნობია ჩვენი ძველი საისტორიო წყაროებისათვის („ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“...). ბაგიათა მორფოლოგიური სტრუქტურით ოსური ენის კუთვნილებაა, წარმოშობით კი ქართული ოიკონიმის ბაღიანთ-კარი-ს სახეცვლილი ფორმაა. სოფლის სახელი ბაღიანთ-კარი ამ არეალში ჩაუწერია 1903 წელს რუს გეოგრაფსა და მხარეთმცოდნეს კონსტ. ჰანს.<sup>156</sup> შემდგომ ხანებში, ქართული მოსახლეობის ხელოვნური შემცირებისა და ოსური ეთნოსის აღმავლობის დროს (ჩვენი საუკუნის 20-30-იანი წლები) ბაღიანთ-კარი დავიწყებამს მისცემია და მის ნაცვლად ოსური ბაგიათა დაუმკვიდრებიათ. თვით ტოპონიმი ბაღიანთ-კარი წარმოსდგება ქართუ-

<sup>154</sup> საქართველოს სსრ ტოპონიშია (მასალები) ტ. I, ზემო იმერეთი (შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს საერთო რედაქციით) გადმოსაცემად მოამზ. ი . ბ ა ქ რ ა ძ ე მ , შ . ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე მ და ვ . ჯ ო ჯ უ ა მ , თბ., 1987, გვ. 27.

<sup>155</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი. თბ., 1974, გვ. 42.

<sup>156</sup> СМОМПК, вып. 35. განყოფ. I. Тифлис., 1905, გვ. 257.

ლი გვარისაგან ბაღიაშვილი, რომელიც დღეს რატომღაც ოსურ გვარად (Багдыев) არის მიჩნეული.<sup>157</sup> ვტიქრობთ, ისტორიული სიმართლე აღდგებოდა, თუკი ხელოვნურად შექმნილ ტოპონიმ ბაგიათას თავისი თავდაპირველი სახელი ბაღიანთ-კარი დაუბრუნდებოდა. ამით Багдыев-თა ეროვნული კუთვნილების საკითხიც გაირკვეოდა.

**ბაგბიშუბის მკლესია** ასე ეწოდება ზემო იმერეთის სოფელ საზანოში (თერჯოლის რ.) ერთ მცირე ზომის საკულტო ნაგებობას. ადგილობრივ მიაჩნიათ, რომ სახელწოდება ბაგბიშუბის ეკლესია მომდინარეობს იმ ხმაურისაგან, რომელიც თურმე აქ მიწისქვეშეთიდან მოისმის. სიქთარველი სოსიკო ბარათაშვილის ნაამბობის მიხედვით „აქ არის ეკლესია, რომელიც ცნობილია უფრო მეტად იმით, რომ მიწიდან ისმის რაცღა ხმაური, თითქოს ვინცხა ჩასულა და აქეთ-იქით დაბრაგუნოფს; ბაგბიშუბი გაუდის ამ ადგილს, სახელიც შესაფერი ჰქვია“.

ფაქტიურად ამოსავალია ბაგის („ახლადგაშენებული ვენახი“) ბუგე ანუ გუბე. საბოლოოდ ბაგბიშუბის ეკლესია ნიშნავს: „ეკლესია, რომლის სიახლოვესაც არის ბაგის (ბაგამიწების) გუბე“. დასავლურ დიალექტებში (იმერული, ლეჩხუმური, რაჭული) გუბე სწორედ ბუგე-დ გამოითქმის (იხ. სტ. ბუგეული).

**ბაზალეთი-ი** ცნობილი ისტორიული სოფელია დუშეთის რაიონში. ბაზალეთი მოწმეა არაერთი სისხლისმღვრელი ბრძოლისა გარეშე მტერთან; იგი მოწმეა ძმათა შორის ატეხილი შინაური ომებისაც, რომელთაგან განსაკუთრებული ტკივილით გვახსენდება 1626 წლის ბრძოლა თეიმურაზ მეფისა და ზურაბ არაგვის ერისთავის შეერთებული ლაშქრისა დიდი მოურავის-გიორგი სააკაძის — წინააღმდეგ. აი, როგორ აღწერს ამ სამარცხვინო ძმათა ომს ჩვენი მემკვიდრე ბერი ეგნატაშვილი: „და შეიბნენ ბაზალეთს ფიცხლად, ასრე რომე არა დარჩა კაცი, რომ არ დაიქრა და მრავალნი თავადნი დაიკოცნენ და თვთ ბატონი თეიმურაზცა დაიქრა მას დღესა და დაუმარცხდა მას დღესა მოურავსა“.

---

<sup>157</sup> იხ. ზ. ცხორებოვა, სამხრეთ ოსეთის ტოპონიმია წერილობითი წყაროების მიხედვით, თბ., 1979, გვ. 140 (რუსულ ენაზე).

და თუთ მოურავიც დაიქრა...<sup>158</sup>

სხვაგვარად გაუთქვა სახელი ბაზალეთს დიდმა ილიამ: ბაზალეთის ტბის ძირას ჩადგმულ ოქროს აკვანში პოეტმა მომავალი ეროვნული გმირის აღზრდის იდეა შთააგონა მკითხველს: სწორედ ბაზალეთის ტბიდან უნდა წამომართულიყო ის გმირი, ვის სახელსაც „დღედაღამ ჰნატრულობდა ჩუმის ნატვრითა ქართველი“. ძმათა სამარცხვინო შუღლისა და მტრობის სანაცვლოდ ბაზალეთს უნდა ეშვა გმირი, რომელიც ტანჯულ ქვეყანას ერთიანობას და ნანატრ თავისუფლებას მოუტანდა.

საქართველოში სამი ბაზალეთია. დუშეთის რაიონის გარდა, ბაზალეთი სოფლებს ჰქვია ზემო იმერეთსა (ხარაგაულის რაიონი) და ზემო აპარაში (ქედის რ. ცხომორისის სას. საბუქო).<sup>159</sup> მაგრამ ამჟერად მკითხველს დუშეთის რაიონში მდებარე ბაზალეთის შესახებ გვინდა მოვუთხროთ.

ბაზალეთი, როგორც დასახლებული პუნქტი, გვიან შუა საუკუნეებში ჩანს წარმოქმნილი. პირველად ბაზალეთი ცნობილ საისტორიო წყაროში „ძეგლი ერისთავთაში“ არის მოხსენიებული, რომელიც 1348-1400 წლებს განეკუთვნება. აქ ვკითხულობთ: „მაშინ დავით (იგულისხმება მეფე დავით IX, გიორგი V ბრწყინვალის ძე, გ.ბ.) დგა ბაზალეთს და მიჰმართა ციხესა დარიალისასა და... შეიარეს არაგვი და განრდაველეს ჭუართა ყელი“...<sup>160</sup>

ცნობას ბაზალეთის წარმოშობის თაობაზე პირველად ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის. ბაზალეთი, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ვრცელი ტერიტორიული ერთიანობაა: „აქვს ბაზალეთს აღმოსავლით არაგვი, სამკრით ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გრემის ჯევი, და ალევის მთა, ჩდილოთ ქართალის მთა“.<sup>161</sup> რაც შეეხება თვით ტბას, სახელწოდება მას „დაბისა გამო“ მიუღია.<sup>162</sup> როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი სახელწოდების ისტორიას ვეთავაზობს და არა მის შინაარსს. ამ თვალსაზრისით ბაზალეთის პირველი მეცნიერული ახ-

<sup>158</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 412,2.

<sup>159</sup> გ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე , საკანდ. დისერტაცია, თბ., 1982, გვ. 53.

<sup>160</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 105.

<sup>161</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 64-65.

<sup>162</sup> იქვე, გვ. 64.

სნა, თუ არ ვცდებით, კ.ჰანს ეკუთვნის, თუმცა მისი ვარაუდი სარწმუნოდ ვერ გამოიყურება: ამოსავლად კ.ჰანი საკუთარ სახელს **ბასილს** — **ბასილეთი**) მიიხნევდა: **Базилеты груз.-Басилети** ოთ ვასილი...<sup>163</sup>

საინტერესოა ხალხური ცნობა ბაზალეთის წარმოშობის თაობაზე. ხალხური ვერსიის მიხედვით ბაზალეთი თურმე **ბაზარეთს** ნიშნავს: „აქა ყოფილა უწინ ხალხის დიდი მიდენ-მოდენა; ქვეყანა იყო თურმე აქ დადებული — თათარი, რუსი, ლეკი, ქისტი... ყველა აქ მოდენილა, ათასი ძვირფასეულობა, ეგრე კიდევ ოთხფეხი, ღვინო, მარცვლეული, ფარჩა-ატლასი მოჭქონებიათ და უყიდნიათ. ეს ყოფილა ბაზარი ადგილი და უძახნიათ **ბაზარეთი**. დარჩენილა ბოლობოლო ეგ სახელი და ეხლაც ყველა ეგრე ეძახის, უფრო კულტურულად კი **ბაზალეთს** ვიტყვი“ (შალვა ებიტაშვილი. **ს.ბაზალეთი**, 1984 წ.).

ბაზალეთი, ჩვენი ღრმა რწმენით, ანთროპონიმული (გვაროვნული) წარმოშობის სახელია. იგი ემყარება ძველ ქართულ გვარს **ბაზალს**, რომელსაც XIV-XV საუკუნეებში აქ, ამ ტერიტორიაზე, უნდა ეცხოვრა. XVII-XVIII სს. ქართლის სამეფოს მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ამ გვარის წარმომადგენლებმა, როგორც მაშინდელი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, ჩანს, საცხოვრებლად მთას მიაშურეს და საბოლოოდ ხევში დაიდეს ბინა. ამჟამად ბაზალთა გვარის წარმომადგენლები ძირითადად ხევში (ყაზბეგის რ.) სახლობენ.<sup>164</sup>

აღსანიშნავია, რომ ბაზალთა გვარი ეკონომიკურად დიდად დაწინაურებული გვარი ყოფილა. მათ სქერიათ სასაძოვრე მთები, როგორც თვით ხევში, ისე მთიულეთ-გუდამაყარში. ს.არშაში, მაგალითად, ერთ-ერთ მთას **ბაზალთ მთა** ჰქვია.<sup>165</sup> ბაზალთა გვარის წარმომადგენლები (ბაზლიძენი) მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო როლს ასრულებდნენ XVIII-XIX საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრებაში. ქართული კულტურის ისტორიაში კარგად არის ცნობილი იოანე ბაზლიძის ღვაწლი. იოანე, განთქმული თავისი კალიგრაფიითა და ენციკლოპედიური განსწავლულობით, მოღვაწეობდა პეტერბურგში, ბატონიშ-

<sup>163</sup> СМОНГІК, 40, 1909, გვ. 12.

<sup>164</sup> შართალია, ბაზალთა გვარის 3-4 კომლს კასპის რ-ნის ს.ქვემოქალაშიც უცხოვრია, მაგრამ ისინი აქ, ვფიქრობთ, ხვეიდან უნდა იყვნენ გადმოსულნი.

<sup>165</sup> ვ . ი . თ . ო . ნ . ი . შ . ვ . ი . ლ . ი . , ხვეის ტოპონიმიკა, თბ., 1971, გვ. 26.101.

ვილ იოანეს მიერ დაარსებულ ქართულ კოლონიაში. აქ მას 1807 წელს, იოანე ბატონიშვილის დეალებით, რუსული ენიდან უთარგმნია „ყრმათა ენციკლოპედია“.<sup>166</sup> გამორიცხული არაა, რომ იოანე ბაზლიძე იყო ბაზალთა იმ გვარის (ბუნის) წარმომადგენელი, რომელთაგანაც მომდინარეობს სახელწოდება ბაზალ-ეთ-ი: „ბაზალთა სოფელი“, „სოფელი, რომელშიც ბაზალთა გვარს უტხოვრია“.

უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არაგვის ხეობის ბარის სოფლების 1781 წლის აღწერის მასალებში სოფელი ბაზალეთი მოხსენიებულია -ეთ სუფიქსის გარეშე: ბაზალი,<sup>167</sup> მეკომურთა სიაში კი დასახელებულია „აზნაურშვილი ბაზლიძე, კომლი ა, თავი ა, ივანე“.<sup>168</sup>

ყველაფერი ეს, უეჭველია, განამტკიცებს აზრს, რომ ტოპონიმი ბაზალეთი ქართულ გვარ ბაზალთან კავშირში უნდა განიხილებოდეს.

რაც შეეხება ზემო იმერეთის ბაზალეთს, იგი, ჩვენი აზრით, სულ სხვაგვარი წარმოშობის სახელია. საფიქრებელია, რომ მას საფუძვლად ედოს ადამიანის გამოცვლილი (შერქმეული) სახელი ბაზარეები (ერთთავად ბაზარში მოსიარულე, მებაზრე ხალხი?). ზემო იმერეთის ანთროპონიმია იცნობს ეპონიმ ბაზარეებს, რომლის მიხედვითაც აქ ადგილთა სახელებიც წარმოქმნილა: ს.ხალიფაურის, (ქიათურის რ.) ერთ-ერთ უბანს „ბაზარეების უბანი“ ეწოდება; ამავე სოფელში სავენახე მამულის სახელად დადასტურებულია „ბაზარეების ვენახი“.<sup>169</sup> მაშასადამე, შეიძლება დავუშვათ, რომ ზემო იმერეთის სოფელი ბაზალეთი თავდაპირველად ბაზარეთი, ან ბაზარ-ეთ-ი იყო. ბაზალეთად ის ისტორიულ ბაზალეთთან (ბაზალეთის ტბასთან) მიმსგავსების შედეგად უნდა ქცეულიყო.

---

<sup>166</sup> იხ. ლ. ქუთათელიძე, იოანე ბაგრატიონის ქართული ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 5-6.

<sup>167</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 131.

<sup>168</sup> იქვე, გვ. 131.

<sup>169</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია (მასალები) ტ. I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 27.



ბათუმში საქვეყნოდ განთქმული სანავსადგურო ქალაქი, კლიმატური კურორტი შავ ზღვაზე, ერთი ულამაზესი ქალაქთაგანი.

ბათუმი პირველად ძველ ბერძნულ წყაროებში არის მოხსენიებული ბათეა||ბათოს ფორმით. ნახსენებია იგი ძვ.წ.ა. IV ს-ში მომხდარ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ამბებთან დაკავშირებით.<sup>170</sup>

მდ. ბათისი აქვს მოხსენიებული გამოჩენილ რომაელ მოგზაურსა და ისტორიკოსს ფლავიუს არიანეს (II ს-ის I ნახ.). სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სწორედ ეს ბათის-ფორმა არის ჩადებული დღევ. ბათუმში, ბათის-ად კი მდ. ყოროლისწყალს სახავენ.

ტოპონიმ ბათუმის წარმოშობას არაერთი სპეციალისტი შეხვებია. მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრს ემხრობა, რომ ბათუმი ძველი ბერძნული ბათის ლიმენი-საგან მომდინარეობს, რაც ნიშნავს „ღრმა უბე“, „ღრმა ნავსადგური“. (ა.ხახანაშვილი, ნ.მარი, კ.ჰანი, ვ.ნიკონოვი, მ.ბოდნარსკი, ჯ.კოკოვი, მ.მელხეევი, გ.გებტმანი, გ.ზარდალიშვილი, ვ.მესხი.).

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ს.ყაუხჩიშვილმა პირველმა სცადა ტოპონიმ ბათუმის ქართველურ ენათა მასალაზე დაყრდნობით ახსნა. მან, კერძოდ, სახელწოდება ბათუმში მაწარმოებელ სუფიქსად გამოყო -ომ ელემენტი (ის, რაც თორთ-ომ, წრ-ომ, ბორჯ-ომ... ტიპის სახელებში დასტურდება), ძირისეული ბათ- კი სვანური ბაჩ- სიტყვისაგან მომდინარე ფორმად მიიჩნია, რაც ქვას (სკლდე) ნიშნავს. ამ ვარაუდისაკენ მკვლევარს, ჩანს, იმ ფაქტმა უბიძგა, რომ ზოგიერთ წყაროში ბათუმი ძვ. პეტრასთან არის გაიგივებული, ბერძნული პეტრა კი ქართულად ქვას ნიშნავს. ს.ჯანაშიამ ეს ვარაუდი არ გაიზიარა და შენიშნა, პეტრა ძველად ბათუმს კი არა, ციხისძირს ერქვაო.<sup>171</sup>

1950-იან წლებში ს.ყაუხჩიშვილმა თავისი ვარაუდი უფრო კონკრეტულად წარმოადგინა და განაცხადა, რომ ბათის-||ბათუს- ფორმა წარმოშობით ქართული სიტყვაა, მაგრამ გააზრებულია ბერძნულად

<sup>170</sup> იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ II, თბ., 1969, გვ. 10-14.

<sup>171</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, თბ., 1949, გვ. 31-33.

როგორც ბათუს „ღრმა“.<sup>172</sup>

თვალსაზრისი ბათ-ომ-ის სვანურ ბზჩ („ქვა“) სიტყვასთან დაკავშირების თაობაზე ამჟამად ქართველ სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერ თითქოს გაზიარებულია. ბათუმის, როგორც ერთ-ერთი უძველესი, ენაიმეცნიერული თვალსაზრისით ფრიად საინტერესო ტოპონიმის, შინაარსობრივი მხარის გარკვევას დიდი ყურადღებით ეკიდებიან აქარელი ლინგვისტები და ისტორიკოს-არქეოლოგები. ა.ინაიშვილი, მაგალითად, დაწვრილებით მიმოიხილავს საკითხს ბათის-ყოროლისწყლის ურთიერთკავშირის თაობაზე და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყოროლ- ფუძე შეიძლება დაუკავშიროთ ყოროლ- (ყორე) სიტყვას, რომელიც ქვიან ადგილად გაიზარება. ამგვარი დასკვნით ა.ინაიშვილმა ფაქტიურად აღიარა ბათუმის ბზჩ („ქვა“) სიტყვისაგან მომდინარეობის შესაძლებლობა.<sup>173</sup>

ხ.ახვლედიანმა თითქოს ერთგვარად მხარი დაუჭირა ცნობილ ვერსიას ბათუმის თურქული ბათთუმ („საფლობი“, „ჩაფლობა“) სიტყვისაგან მომდინარეობას. სხვათა შორის ერთ-ერთი ხალხური გადმოცემის მიხედვითაც ტოპონიმ ბათუმის წარმოშობა ამ თურქულ ბათთუმ სიტყვასთან ყოფილა დაკავშირებული: ბათ-თუმ-ი „ჩასაფლობ, ქაობნარ ადგილებს“ ნიშნავსო. ეს თვალსაზრისი, როგორც მოსალოდნელი იყო, სპეციალისტებმა არ გაიზიარეს. ი.სიხარულიძემ, მაგალითად, სამართლიანად შენიშნა: სახელწოდება ბათუმი აქ თურქების გამოჩენამდე რამდენიმე ათეული საუკუნით ადრე იყო ცნობილი.<sup>174</sup>

უკანასკნელ ხანს ბათუმის წარმოშობის საკითხს შეეხო ქართული ონომასტიკის ცნობილი მკვლევარი ზ.ქუმბურაძე, რომელმაც, ფაქტიურად მხარი დაუჭირა ბათუმის ბერძნ. ბათუს „ღრმა“ სიტყვისაგან მომდინარეობას, თუმცა მას არც ის აზრი უარუყვია, რომ ბათუმი შეიძ-

---

<sup>172</sup> ს . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი , ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, გვ. 17-23; მისივე, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 60; მისივე, გეორგია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 22.

<sup>173</sup> ა . ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ბათუმის ეტიმოლოგიისათვის: აქარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა I, თბ., 1976, გვ. 77-86.

<sup>174</sup> ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა II, ბათუმი, 1959, გვ. 86.

ლება რომელიმე ქართული სიტყვისაგან გვექონდეს მიღებული.<sup>175</sup>

დასასრულ საჭიროდ გვეჩვენება იმის აღნიშვნაც, რომ არაქართველ ტოპონიმიკოსთა შორის გაზიარებული ჩანს ვარაუდი ბათუმის ბერძნული ენობრივი სამყაროდან მომდინარეობის თაობაზე: ბათისლიმენ „ღრმა ნავსადგური“. აი, ის შესიტყვება, საიდანაც მიღებული გვექონია სახელწოდება ბათუმი. რუსი ტოპონიმიტი ვნიკონოვი ამ ვარაუდთან ერთად ასახელებს აკად. ს.ყაუხჩიშვილისეულ თვალსაზრისსაც ბათუმის სვან. ბჰჩ სიტყვისაგან მომდინარეობის შესახებ.<sup>176</sup>

საკითხის საბოლოოდ გარკვევა, ალბათ, მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიის დადგენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მართლაც ბერძნულ ენობრივ მონაცემებს აღმოაჩინდეს.

**ბალახვან-ი** ასე ეწოდება ქუთაისის ერთ-ერთ ცენტრალურ, მდ.რიონისპირა უბანს, რომელიც ა.წურეთლის ქუჩას, ღვინის ქარხანას და მის მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს. სპეციალური კვლევა-ძიება და დიდი დაკვირვება არ ქირდება იმის გარკვევას, რომ ტოპონიმი ბალახვანი ბალახ-სიტყვაზე -ოვან სუფიქსის დართვის შედეგად არის მიღებული. იგი ნიშნავს: „ბალახ-ოვან-ი“, „ბალახ-იან-ი, ბალახ-ნარ-ი ადგილი“. ქართული ენის დიალექტებში როცა ქონების აღმნიშვნელი -ოვან-სუფიქსი თანხმოვანთუძიან მსაზღვრელს მიერთვის, მაშინ -ოვან სუფიქსის თავკიდურა ო- ხმოვანი წესისამებრ იკარგვის. შდრ. ტყელვან-ი (—ტყემლ-ვან-ი — ტყემლ-ოვან-ი) ქრცხილ-ვან-ი (—ქრცხილ-ოვან-ი რცხილ-ოვან-ი) ჭალ-ვან-ი (— ჭალ-ოვან-ი), უინ-ვან-ი (—უინ-ოვან-ი) და სხვ. მრ. იმერულ დიალექტს დაუყავს ამ ტოპონიმის თავდაპირველი, ამოსავალი სახე: „წამევიდა და მევიდა ქუთეიში. ბალახოვნის ქუჩის ამა და ამ ნომრის აკოლოჩნიკი უნდა ისხვერპლოს. გააგორა მაშთავე“.<sup>177</sup>

ქართული მწერლობის ნიმუშებში მხოლოდ ბალახვანი და მისი

<sup>175</sup> ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე , „დედაენა ქართული“, თბ., 1987, გვ. 427.

<sup>176</sup> ნ ი კ ო ნ ო ვ ი , ვ.ა., 1966, გვ. 45.

<sup>177</sup> შ . ძ ი ძ ი გ უ რ ი , ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბ., 1974, გვ 312.

შეკუმშული სახეობა (ბალახენის) არის ცნობილი:

„ღღეს ბალახვანში კოლაუ მოჰკლეს,

ნულარ ელიან ბავშვები მამას!“<sup>178</sup>

„ჩემი ფოტოგრაფიცი ხომ რიონის პირას ცხოვრობს, სადღაც ბალახვანში; „გავეხვიე ბუშლატში და ბალახენის წისქვილებს დავუყვიე“.<sup>179</sup>

ძველ ქართულ ეკონომიკურ ძეგლებში ბალახვან-ი მოსალოდნელი ბალახუანი-ს სახით გვხვდება,<sup>180</sup> რაც მის ბალახოვან-ისაგან მომდინარეობაზე მეტყველებს. ბალახვანის ბალახ-ოვან- ფორმისაგან უქველ მომდინარეობას ადასტურებს მ.ალავიძე.<sup>181</sup>

პირველი მკვლევარი კი, რომელმაც მოგვცა ტოპონიმ ბალახვანის სწორი ახსნა, პოეტი რაფიელ ერისთავი იყო.

**ბარდნალა** სოფელია ლეჩხუმში (ცაგერის რ.). აქ დაიბადა სახელგანთქმული პოეტი ლადო ასათიანი.

ადგილობრივი მოსახლეობა მშობლიური სოფლის სახელს გამარტივებული სახით წარმოთქვამს — ბარნალა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. რამდენადაც ფუძის შიგნით რღნ თანხმოვანთკომპლექსის გამარტივება ქართული ენისათვის, კერძოდ, ლეჩხუმურ-იმერულისათვის, ნიშანდობლივი ფონეტიკური მოვლენაა. პოეტმა ლადო ასათიანმა თავის ლექსებში მშობლიურ სოფელს სწორი, მართებული სახელი აღუდგინა და ბარდნალა დაამკვიდრა:

„რა კარგი იყო ბარდნალა, ბარდნალელების ბორანი,

ვარდებიანი ბარდნარი, ბულბულთა ნაამბორალი“.

ამის მიუხედავად ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ სწორია ხალხური ბარნალა, რომელიც ბალნარად თუ ბარნარად („ვაკე ადგილი“, „ვაკნარი“) უნდა გავიგოთ; პოეტ ლადო ასათიანს კი თითქოს

<sup>178</sup> კოლაუნადირაძე, რჩეული, თბ., 1981.

<sup>179</sup> კ.ლორთქიფანიძე, დამარცხებული გამარჯვება. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 29.06.1979, №26.

<sup>180</sup> თ.ქორდანიას, ქრონიკები, VII, თბ., 1967, გვ. 734.

<sup>181</sup> მ.ალავიძე, გალაკტიონის პოეტური ლექსიკა: ეურნ „განთიადი“, №5, 1982.

გადაუკეთებია, „რამდენადმე შეუტყველია“ თავისი სოფლის სახელი.<sup>182</sup>

ჩვენი ღრმა რწმენით მართებული ფორმაა ბარდნალა /„ბარდნარი ადგილი“, „ბარდებიანი ადგილები“, რომელიც ლადო ასათიანის პოეტურ ინტუიციას სწორად უგრძნია და აღუდგენია კიდევაც. საქმე ისაა, რომ ტერმინი ბარდნალი, ბარდნალიანი XVII-XVIII საუკ. ქართულში ცოცხალი ენობრივი ფაქტია. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ბარდნალი არის „ბარდებ-ხშირი“,<sup>183</sup> ვახუშტი ბატონიშვილი კი მიუთითებს, რომ მდინარე გუბის-წყალი მოედინება „ფრიად ფლატოიანსა და ბარდნალიანს ადგილსა ზედაო“.<sup>184</sup>

საბოლოოდ სოფლის ხალხური სახელწოდება ბარნალა უნდა მივიჩნიოთ ბარდნალას გამარტივებულ სახედ და არა ბალნარას ან თუნდაც ბარნარას ფონეტიკურ ვარიანტად.

**ბარტკალ-ი** მთიულეთის სოფელ ზაქანში (დუშეთის რ.) არის სათიბი და სასაძოვრე ფერდობი ადგილი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ბარტკალს უწოდებს: „ბარტკალში ვთიბთ“, „ბარტკალში მყავ საქონი“... ამ ერთი შეხედვით უცნაურ ტოპონიმის წარმომავლობა დღემდე გარკვეული არ ყოფილა. მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმის მკვლევარი გ.ხორნაული ბარტკალი-ს წარმოშობას სიტყვა ბარცაკალს(=ბაცანკალს) უკავშირებს. ეს სიტყვა ამჟამად მხოლოდ ქართლურ და კახურ დიალექტებს შემოუნახავს (ფშაურად მას ფარსკნალი ეწოდება) (მზისავარ თურმანაულის ცნობა) და ხის სასთუმალს, ბალიშის დასადებ შემადლებულ საგანს აღნიშნავს.<sup>185</sup> ის ადგილი, რომელსაც ბარტკალი ჰქვია, ფორმითა და მდებარეობით მართლაც ტახტის შემადლებულ თავს მოგვაგონებსო, — წერს მკვლევარი.<sup>186</sup>

ფაქტიურად ტოპონიმი ბარტკალი მომდინარეობს ხევსურულსა და მთიულურ-მოხეურ კილოებში კარგად დაცული სიტყვისაგან ბართი,

<sup>182</sup> ზ. ქ. უ. მ. ბ. უ. რ. ი. ძ. ე., დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 429.

<sup>183</sup> ს. უ. ლ. ხ. ა. ნ. - ს. ა. ბ. ა. ო. რ. ბ. ე. ლ. ი. ა. ნ. ი., თხზ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 99.

<sup>184</sup> ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., აღწერა... თბ., 1941, გვ. 150,5.

<sup>185</sup> ბარცაკალის მნიშვნელობის შესახებ იხ. სტ. მ. ე. ნ. თ. ე. შ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. ქიზიყური ლექსიკონი თბ., 1943, გვ. 14.

<sup>186</sup> გ. ხ. ო. რ. ნ. ა. უ. ლ. ი., მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 144.

რაც საქონლის გამხმარ ნაკელს ანუ წივას ეწოდება. მაშასადამე ტობონიშის თავდაპირველი ფორმა ბართ-კარ-ი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ფონეტიკური ცვლილების შედეგად (ყრუ თ-ანის გამკვეთრება კ-სთან მეზობლობაში და მისი ტ თანხმონად ქცევა (შდრ. ქვით-კირი — ქვიტ-კირი...): ბარტ-კარი, ხოლო დისიმილაციის გზით ბარტ-კალი მოუცია.

საინტერესოა, რომ მთიულეთშივე (ს.იუხო) არის სასაძოვრე მთა, რომელსაც ბარტკალა (||ბართ-კალა) ეწოდება ამ ტობონიშშიც ანალოგიური ფონეტიკური პროცესი მომხდარა, ვგაა ოლონდ, რომ ბოლოში სახელს მქონებლობის აღმნიშვნელი — ა ხმოვანი დართვია: ბართ-კარ-ა → ბარტ-კალ-ა (||ბართ-კალ-ა). მნიშვნელობა აქაც უცვლელია: „ადგილი, სადაც უწინ საქონლის ბართი ანუ ნაკელი ყოფილა დაგროვებული“, „საბართე ადგილები“.

მთიულურსა და ერწო-თიანეთურ მეტყველებაში ბართის ნაცვლად ქურთი დასტურდება. ამ სიტყვის მიხედვით თიანეთში, მდ.ივრის ზემო წელზე, შექმნილა ტობონიში ქურთისკარი (შდრ. ბართ(ის) კარი), რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა „საქონლის ნაკელის დასაყრელი ადგილი“, „ადგილი, სადაც საქონლის ხმელი წივა, ნაკელი ანუ ბართი<sup>187</sup> არის დაგროვებული“ (იხ. სტ. ქურთა).

ბარცხანა მდინარე (2) ხელვაჩაურის რ.-ში. ერთი მათგანი მიერთვის აქარისწყალს (მარჯვ. შენაკ.), მეორე კი — შავ ზღვას. ბარცხანა ეწოდება, აგრეთვე, ქ.ბათუმის ერთ-ერთ უბანს. ბარცხანა, ჩვენი ვარაუდით, ბარცხ-ვანა (ბარცხ-ოვან-ა) ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს. საინტერესოა, რომ ამ ბარცხ-(||ფარცხ-) სიტყვის მიხედვით გაფორმებული მიკროტობონიმები გვხვდება როგორც უშუალოდ აქარაში (ს.დოლოვანი, საფარიძეების უბანი, მახუნცეთის სას. საბჭო), ისე სამეგრელოს ტერიტორიაზე. ხონის სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე, მაგალითად, დადასტურებულია სახელწოდება ბარცხ-ი, რომელიც ნიშნავს:

<sup>187</sup> სიტყვა ბართის განმარტებისათვის იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე , თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1984. ლექსიკონი, გვ. 287.

„ჩირგვნარი“, „ბარცხნარი ადგილი“.<sup>188</sup>

მაშასადამე, შეიძლება დავუშვათ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმიც იმავე ბარცხ-სიტყვისაგან გვაქვს მიღებული. თავდაპირველად აქ, ჩანს, ბარცხნარი, ჩირგვნარი ადგილები იყო, რაც უშუალოდ ტოპონიმებშიც ასახულა. მაშასადამე, ბარცხანა ნიშნავს: „ადგილი, კუთხე, სადაც ხარობს მცენ. ბარცხი“, „ადგილი, სადაც ბევრია ბარცხის ბუჩქები“, „ბარცხნარა“, „ჩირგვნარი ადგილი“.

**ბაღდათი-ი** რაიონული ცენტრი იმერეთში. ერთხანს ატარებდა რუსი პოეტის, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელს. იგი აქ, ამ სოფელში დაიბადა.

ტრადიციული ხალხური გადმოცემის მიხედვით ბაღდათი თურქული სიტყვისაგან გვქონია მიღებული: „თათარს შეეწონა ეგო და ბაღდათი დაათქვესო“.<sup>189</sup> ხალხშივე შემონახულა ცნობა იმის შესახებ, რომ ბაღდათი ახალი სახელია, წინათ კი მას საკობაძო რქმევია: „ზედა ბაღდათს... ადრე ბაღდათს კ'არ უძახოდენ, უძახოდენ საკობაძოს. მერე საკობაძოს დაათქვეს ბაღდათი“.<sup>190</sup>

გამოთქმულია ვარაუდი ტოპონიმ ბაღდათის ანთროპონიმული წარმოშობის შესახებ: „...ბაღდა, ბაღდა-თი, ბაღდავა, ბაღდავაძე“.<sup>191</sup>

ჩვენი ვარაუდით ტოპონიმი ბაღდათი თურქ. baqdad-i-საგან უნდა მომდინარეობდეს. ამ სიტყვას თურქულში ორგვარი მნიშვნელობა აქვს: „ხის კედელი“, „ხის კედლის ცალკეული ფიცარი“.<sup>192</sup> თუ გავიხსენებთ ვახუშტი ბატონიშვილისეულ ცნობას იმის შესახებ, რომ აქ პირველად ოსმალებს აუგიათ ციხე თხმელის ხისაგან და რომ „ამისთვის უწოდეს იმერთა თხმელის ციხე და პირველ (ე.ი. იმთავითვე, ძველადვე, ადრი-

---

<sup>188</sup> გ. ე ლ ი ა ვ ა , აბაშისა და გეგეკორის რაიონების ტოპონიმია, თბ., 1977, გვ. 103.

<sup>189</sup> ი . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი , ვ . თ ო ფ უ რ ი ა , ი . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ქართული დიალექტოლოგია I, თბ., 1961, გვ. 460.

<sup>190</sup> იქვე, გვ. 460.

<sup>191</sup> ნ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 444.

<sup>192</sup> დ . მ ა გ ა ზ ა ნ ი კ ი , თურქულ-რუს. ლექსიკონი, მოსკ., 1945.

დანვე, გ.ბ.) ეწოდა ადგილსა ამას ბაღდადი<sup>193</sup>, მაშინ ძნელი არ უნდა იყოს იმაში დარწმუნება, რომ ბაღდათი ამ სოფელს მართლაც თურქული სიტყვის მიხედვით შერქმევია და რომ პირველად ის „ხის გალაგნიან ციხეს“ ნიშნავდა.

**ბელთაქედი-ი** ადგილის სახელია სოფ. სულორში (ვანის რ.). ამ ტოპონიმის თავდაპირველი ფორმა, ჩვენი ვარაუდით, ბელთაძის ქედი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდგომ მომხდარა სიტყვის „გაცვეთა“ და საბოლოოდ ბელთაქედი მიგვიღია: ბელთაძის ქედი → ბელთაის ქედი → ბელთას ქედი → ბელთაქედი.

ადგილობრივი მოსახლეობა კი ამ ტოპონიმის წარმოშობას დათვის ბელების ბუნაგის არსებობას მიაწერს: „აქ ბუნაგი ქონებია ერ ძუ დათვის და ზდიდა თავის ბელებს. ეს ბელები თურმე მისანა ავი ყოფილა, რო მართო კაცი შიშით ვერ გეიარდა. დოუთქვამთ ადგილისათვის ბელთაქედი (ნინა კალისტრატეს ასული კახიანი, დ.ვანი).

**ბენთქოულა** სოფელია ქვემო იმერეთში (წყალტუბოს საქალაქო საბჭო). ეტიმოლოგია უცნობია. სავარაუდოდ შეიძლებოდა დაგვეშვა იმერ. გაბინთქოლება (გააბინთქოლებს, გაბინთქოლებული), რაც ნიშნავს: გათეთრება, გასპეტაკება, ძლიერ კარგად გასუფთავება. იმერ. ბინთქოლა (||ბენთქოლა?) მეტყველებაში უპირატესად ვით თანდებულისან ფორმებში იხმარება: ბინთქოლივით ქალები; ბინთქოლივითაა — „ძალზე თეთრია და წმინდა“. (ივ.ქავთარაძე). საფიქრებელია, რომ სოფელს ასეთი სახელწოდება შეერქვა აქ გამომდინარე წყლების საუკეთესო სარეცხი თვისებების გამო. ბენთქოულა — სოფელი, რომლის წყლებიც სარეცხს ასპეტაკებს, აბინთქოლებს, ძლიერ კარგად რეცხავს.

**ბერთამ-ი** ძველისძველი, ისტორიული სოფელი სამეგრელოში (სენაკის რ.). ამ სოფელში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი. „მთის კიდეზე გაქრილ „მიკოტახილის“ გზას აედევნა ჩვენი მანქანები... უკან დარჩა „ციხე-გოჯი“,

<sup>193</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 150.



ლეგენდარული „დედამოკა“ და აი, შალვა დადიანის მშობლიური სოფელი ბერთემი, კობტა ბერთემი...<sup>194</sup>

ადგილობრივ გავრცელებული ყოფილა გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფელს ეს სახელი სიძველის, დიდი ხნოვანობის გამო შეერქმევიან; „ბერი — თემი, ბერი სოფელი ყოფილა. სენაკში მეორე არ იყო ასეთი ძველი თემის ხალხი. დიდხანსაც ცხოვრობდნენ თურმე აქაურები, ას წელზე ადრე თითქმის არავინ კვდებოდა“.

ჩვენი ვარაუდით სოფლის სახელწოდებას ადამიანთა ხანდაზმულობასთან საერთო არაფერი აქვს. ის ჩვეულებრივი რელიგიურ-საკულტო მსახურების აღმნიშვნელი ერთეული უნდა იყოს; წარმომდგარი ჩანს სახელწოდება ბეთლემი-საგან. ჩვენში ცოტა როდია ტობონიმები, რომლებიც ძველ ებრაულ სამყაროს და ქრისტიანულ რწმენა-გადმოცემებს უკავშირდებიან: თაბორი, ბეთლემი, სიონი, ბეთანია, გესამანია (||გედსამანია), ელია... სამეგრელოში არსებული საკულტო ნაგებობის სახელი ბეთლემი შემდგომ სოფლის საკუთარ სახელად ქცეულა, ოღონდ მეგრულისათვის ნიშანდობლივი ენობრივი ცვლილება განუცდია — ბეთლემი ბერთემად ქცეულა (შდრ. ქირსე — ქრისტე, კვარაცხელი-კვირაცხოველი და სხვ.) ბერთემში უეჭველად უნდა მდგარიყო ბეთლემის სახელობის საკულტო ნაგებობა, რაზედაც თვით სოფლის სახელი მეტყველებს.

**ბზარნალ-ი** ტყის სახელად გვხვდება ზემო იმერეთში (ს.კუცხვათი, ტყიბულის რ.). ხალხური გადმოცემის მიხედვით **ბზარნალ-ი** თურმე **გაბზარვა** სიტყვისაგან ყოფილა წარმოქმნილი: „აქანა უწინ თამარ ნეთეს გოჟვლია თავისი ჭარით და ამალით. კბოდვზე რო გაადენილა, უცებ თამარის ცხენს ნალი გაბზარვია და გზა ველარ გაუგძელეზია. აქანა, ამ ადგილას ჩამოსულა და დოუსვენებიათ“ (ლუიზა შოთას ასული გვენეტაძე, ქ.ქუთაისი).

ტობონიმი **ბზარნალი** მცენ. ბზის სახელისაგან არის წარმომდგარი. იგი ნიშნავს: „ბზა-ნარ-ი ადგილი“, „ადგილი, სადაც ბევრი ბზა ხარობს“. ზემო იმერეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირად დასტურდება მცენარე ბზის მიხედვით წარმოქმნილი მიკროტობონიმები: **ბზანალა**,

<sup>194</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 24 თებერვალი, 1989 წ. გვ. 14.

ბზანალის დელე (ს.პერევი), ბზანვარ-ი (ს.კაცხი), ბზარნალ-ი (ს.სანანშირე, ქროლი, ეწერი, ქვედა საზანო, ლვითორი...), ბზარნალის დელე (ს.ქვედა წიფლავაკე), ბზანარ-ი (ს.ვაქევი, პირველმაი-სი).<sup>155</sup> ასევე მცენარე ბზის მიხედვით ჩანს წარმომდგარი სოფელ ბზვანის სახელწოდებაც (ვანის რაიონში). აქაა ზედა ბზვანი და ქვედა ბზვანი. ბზვანი ნიშნავს: ბზ-ოვან-ი „ბზის ხით მდიდარი ადგილები“.

ბიჭქხ-ი ცნობილი საკულტო (რიტუალური) ადგილია თუშეთში. ადგილობრივ მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ბიჭქხის წარმოშობას ერთი უცნაური ამბავი დასდებია საფუძვლად: ოდესღაც ამ ეხში (გამოქცაბულში) შესულა უქმროდ დაორსულებული, სოფლისგან მოკვეთილი და შერისხული ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ამ ეხში გაუჩენია ბიჭი. ეს ბიჭი შემდგომ ძლიერი და სახელოვანი ვაჟკაცი გაზრდილა. „იმის გამო ხქვიანო ბიჭეხივ, ეხში დაბადებული რო არისავ, ეხის ბიჭივ... იმის სახელზედ არის ჯვარიც, ასე მაქვ გაგებული“...<sup>156</sup>

ჩვენი ვარაუდით შეუძლებელია სალოცავი ხატის, წმიდა ადგილის სახელს საფუძვლად დასდებოდა თემ-სოფლისაგან მოკვეთილი და შერისხული ქალის მიერ ვაჟიშვილის ეხში გაჩენის ამბავი. უბრალოდ ხალხურმა ეტიმოლოგისტმა სახელწოდებაში მისთვის გასაგები და ნაცნობი ორი სიტყვა (ბიჭი და ეხი) ამოიკითხა და ლეგენდასაც ეს სიტყვები დაუდო საფუძვლად. ფაქტიურად აქ სულ სხვა კითარებასთან გვაქვს საქმე. ამოსავალია ფიჭვ(თ)-ეხი: „ეხი, გამოქცაბული, რომლის სიახლოვესაც ფიჭვის ხე დგას“. იმავე მთქმელის, გაბრო ქითიძის, სიტყვებიდან ირკვევა, რომ ამ ეხის თავზე მართლაც მდგარა ფიჭვის ხე, რომელთაც თუშები წმინდა ხედ თვლიდნენ და ლოცულობდნენ კიდევაც: „მაღალ, წამოხურულ კლდეია და მაღლ ერთ ფიჭვ დგას, დიდი ჯღარდალა ფიჭვი... წინავე იმ ფიჭვსთან ვლოცულობდეთ“.<sup>157</sup>

მაშასადამე, აშკარაა, რომ ტოპონიმი ბიჭქხ-ი მომდინარეობს

<sup>155</sup> იხ. საქართველოს სსრ ტოპონიმია (მასალები) ტ. I, ზემო იმერეთი. თბ., 1987, გვ. 35.

<sup>156</sup> ბ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987, გვ. 129.

<sup>157</sup> ბ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., თბ., 1987, გვ. 129.

ფიქვ(თ)ეხი-საგან ფიქვ- სიტყვის ბიჭ-ად გააზრიანების გზით.

**ბლიატაშურ-ი** მაღალი სერია სოფელ გოლათუბანში (ხარაგაულის რ.). მდებარეობს სოფლის ერთ-ერთი კუთხის ბახულაანთ უბნის ზემოთ. ბლიატაურში ბევრი სოკო იცის“, — ხშირად გაიგონებთ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. სახელწოდებაში აშკარად არის გამოხატული ობიექტის ვილაცა პირისადმი ოდინდელი კუთვნილება, რაზედაც ურ-სუფიქსიც მიგვანიშნებს. ძირისეული ბლიაცა, ჩვენი ფიქრით, უნდა უკავშირდებოდეს გვარს — ბლიაქეს. მაშასადამე, ტოპონიმი ბლიატაური უნდა გავიგოთ როგორც „ბლიაქის კუთვნილი მამული“.

**ბოკოწინ-ი** ისტორიული სოფელი ხერკი-საგურამოს ტერიტორიაზე. დღევანდელი გალავნის (მცხეთის რ.) ძველი სახელწოდება. ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული საბუთები ამ ტოპონიმს იცნობენ როგორც ბოკოწინა: მისი შეწირულება ალექსანდრე /კახთა/ მეფეს 1579 წელს განუახლებია სვეტიცხოვლისათვის.<sup>196</sup> იოანე ბატონიშვილს ტოპონიმი ბოკოწინი ბაკიწინი ფორმით აქვს დადასტურებული.<sup>199</sup> საფიქრებელია, იოანეს დროისათვის ბოკოწინი ხალხის მიერ უკვე „ბაკის წინა“ ადგილად იყო გააზრიანებული და იოანესაც თავის „აღწერაში“ ეს ფორმა შეუტანია.

**ბოკოწინ-ი**, ჩვენი ვარაუდით, ს. ბოკონის წინ (გაღმით, მოპირდაპირე მხარეს) მდებარე სოფელს ნიშნავს. ბოკონი დღევ. თიანეთის რაიონშია, უწინ კი ერთი ც და მეორეც კახეთის საგამგებლოში შემავალი ტერიტორია იყო. ბოკონი და ბოკოწინი (დღევ. გალავანი) გეოგრაფიულად მართლაც მთის იქით-აქეთ მდებარე დასახლებული პუნქტებია, ასე რომ ერთ-ერთის მიმართ ზედსართ. წინა-ს გამოყენება ფაქტობრივად გამართლებულია.

ადგილობრივ ასეთი გადმოცემა არსებობს: „აქ უწინ ყოფილა ერთი მღვდელი, სახელად რქმევია ბოკო. ეს სოფელი იმასა რგებია წილ-ში. სოფელი თავდაპირველად ზემოთ ყოფილა გაშენებული, წინამ-

<sup>196</sup> მასიგტ I 1964, გვ. 44.

<sup>199</sup> იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 64. სქოლ. 8.

ძღვრიანთკარის თავზე, ცაცხვიგორას ვეტყვით, იმის ძირში. როცა წილისყრა მოუხდენიათ, მაშინ ეგ მიწები იმ ბოკოს რგებია, მღვდლის წილი ყოფილა“.<sup>200</sup>

ეს გადმოცემა, უმნიშვნელო ცვლილებით, გამოქვეყნებულია.<sup>201</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ტაპონიმი ბოკოტან-ი, რომელიც სოფ. ბიწმენდის უძველეს სახელადაა მიჩნეული.<sup>202</sup> ვფიქრობთ, აქ მასალის უზუსტობასთან გვაქვს საქმე: ბიწმენდს ბოკოტანი არასოდეს რქმევია, ის კი მოსალოდნელია, რომ ბოკოტანი ბოკოწინის ერთ-ერთი ვარიანტთაგანი იყოს: ბოკონ-ტანი „ბოკონის გადაღმა მდებარე სახნავ-სათესი ტანები, მიწები“ (იხ. სტ. ახატანი-ი).

**ბორიმელა** პატარა მდინარეა ზემო იმერეთში (ხარაგაულის რ.). ჩამოუდის სოფლებს: ხიდარს, ბორს და სხვ. როგორც ზემოიმერეთის მდინარე-ხევებს სჩვევიათ, ბორიმელამაც დიდი და უეცარი აღიდება იცის. „რო მოდიდდება, უბედური წყალიაო“, — ამბობენ მასზე ადგილობრივი მცხოვრებნი.

სახელწოდება ბორიმელა ორი სიტყვისაგან არის შედგენილი ესენია: სოფლის სახელი ბორი და იმერეთის პატარ-პატარა მდინარეებისათვის ნიშანდობლივი მელა სიტყვა (შდრ. ჩხერიმელა, ხერხემელა...) ეს მელა კი სხვა არაფერია, თუ არა მერე — „მდინარის კიდე“ (ვაკე, ქალა) (საბა). მაშასადამე ბორიმელა შეიძლება გავიგოთ როგორც „სოფელ ბორის მდინარისპირა ვაკე ადგილები“.

ადგილობრივ გავრცელებული ხალხური ვერსიის მიხედვით კი ამ მდინარეს „სახელი მოუგია“ მელიის თვისებასთან მიმსგავსებით: „იპარებოდა წყალი და მოდიოდა ხიდრიდან. გამეიპარა იმ ხიდრის და ვარძიას კუთხეებიდან და გამევიდა ბორით კუთხეში. ბორი ვაკე ადგილია (!) და იქ მიიფანტ-მეიფანტა, ვერ გვიგეს, სა წვევიდა. როგორც მელა, ისე გვიპარა ბორიში (ბორითში) და აქედან დაარქვეს ბორიმელა.“<sup>203</sup> ვფიქ-

<sup>200</sup> სფ.

<sup>201</sup> გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართლური დიალექტი II, ტექსტები, თბ., 1974, გვ. 23.

<sup>202</sup> ა ლ . ლ ლ ო ნ ტ ი , მცხეთის ტაპონიმი, თბ., 1975, გვ. 44.

<sup>203</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 586.

რობთ, რომ თვითონ სოფლის სახელი ბორი, აგრეთვე, ბორითი (ორივე სოფელი ხარაგაულის რაიონშია) მნიშვნელობით ვაკე ადგილს, ველობს უნდა უკავშირდებოდეს. საქმე ისაა, რომ სიტყვები მოედანი, ვაკე, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით იგივეა, რაც ფორე: მეედანი, მეიდანი, სხვათა ენაა, ქართულად მერე და მინდორი და ფორე ჰქვიან; მეედანი სხვათა ენაა, ქართულად მინდორი და ფორე ჰქვიან და მერე".<sup>204</sup> ამ მოსაზრებას თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ ბორი, ბორი-თ-ი უნდა გავიაზროთ როგორც „ვაკე ადგილი“, მდინარის სახელი ბორიმელა კი — „ვაკისის მერე“, „მდინარისპირა ვაკობი“, „წყალი, ხევი, რომელიც ჩამოუღის ვაკობ ადგილს“.

**ბორჯომ-ი** საქვეყნოდ განთქმული ბალნეოლოგიურ-კლიმატური კურორტი აღმოსავლეთ საქართველოში. გაშენებულია მტკვრის ვიწრო ხეობაში. ესაა ისტორიული თორი, თორის ხეობა. აქაურები იყვნენ დიდგვაროვანი და დაწინაურებული ფეოდალების — თორელების საგვარეულო დინასტიის წარმომადგენლები. XV ს-დან სახელწოდება თორის ხეობა სადგერის ხეობამ შეცვალა, ტოპონიმი ბორჯომის ხეობა კი პირველად XIX ს-ის დასაწყისში, კერძოდ, 1819 წელს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში არის დადასტურებული. ქალაქად ბორჯომი მხოლოდ 1918 წლიდან მოიხსენიება.

იმ ადგილებს, სადაც დღეს ბორჯომია გაშენებული, ძველად ჭალა და ფაფა რქმევია. ამჟამად ეს სახელწოდება (ფაფა) შერჩა ქალაქკურორტის დასავლეთით მტკვრის ნაპირას გაშენებულ პატარა სოფელს. რაც შეეხება თვით ტოპონიმ ბორჯომს, იგი აქ მესხეთიდან, კერძოდ, ახალციხის მხარიდან გადმოტანილი სახელწოდებაა. ასე, მაგალითად, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაუთარში“ სანდრიაწმინდის მახლობლად დასახლებულია სოფ. ბორჯომი, რომელშიც „დავთრის“ შედგენის დროისათვის (XV ს-ის II ნახევარი) 5 კომლს უცხოვრია. ამ შესანიშნავ აღწერილობაში, სხვათა შორის, ორი ბორჯომია დასახლებული. ამ ფაქტს ადასტურებს სანდრიაწმინდის მცხოვრების ელენე ტაბატაძის მიერ მოთხრობილი გადმოცემაც, რომელიც თავის დროზე

<sup>204</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 463.

ს.ჯიქიას ჩაუწერია: „ბორჯომები გავერანებულია; ანდრიაწმინდისაა, ანდრიაწმინდულების ყანებია ბორჯომში, მიწას ვხმარობთ; ძველად სოფელი ყოფილა, ნასაყდრებიც არის“.<sup>205</sup> ამიტომ ბუნებრივია, რომ არც „დავთარის“ შემდგენელ-აღმწერი და არც ვახუშტი ბატონიშვილი დღევანდელ ბორჯომის ხეობის ქ.ბორჯომს არ იცნობენ. ვახუშტის მიერ დასახელებული ტოპონიმი „ბორჯომის-ვევი“ დღევანდელი ახალციხის რაიონში მდებარე ტერიტორიას გულისხმობს.<sup>206</sup> აკად. გ.წერეთლის საპართლიანი ვარაუდით ქალაქ ბორჯომს ეს სახელი უნდა შერქმეოდა ჰაქარაქის ნაჰიეში (რაიონში) არსებული მინერალური წყაროების დღევანდელი ბორჯომის სამკურნალო წყაროებთან თვისებათა მისმაგავსების გამო. გეოგრაფიულ სახელწოდებათა ამგვარ მიგრაციათა შემთხვევები ქართულ ტოპონიმიაში არაერთი შეინიშნება. საამისოდ თუნდაც ახტალა და აბანო სიტყვათა მრავალგზისი განმეორების ფაქტები იკმარება. მაგრამ საინტერესოა, როგორი წარმომავლობისაა თვით ტოპონიმი ბორჯომი? ამის თაობაზე სპეციალისტ-მკვლევართა არაერთი მოსაზრება არის ცნობილი. კ.ჰანი, მაგალითად, ბორჯომს სიტყვა ბაჟს უკავშირებდა, აქ სასაზღვრო პატრული იდგა და გამვლელ-გამომვლელს ბაჟს ახდევინებდნენ.<sup>207</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ბორჯომ-ი ისეთივე -ომ სუფიქსიან სახელწოდებადაა მიჩნეული, როგორიცაა ბათ-ომ-ი, თორთ-ომ-ი, ცხ-ომ-ი, წრ-ომ-ი...<sup>208</sup> ბორჯ- ფუძე კი განტოტვილი, გაბარჯლული, ბორჯლლელი, ბორჯლლიანი საგნის (ადგილის) აღმნიშვნელი სიტყვა ყოფილა.<sup>209</sup> წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ განტოტვილ, ორად გაყოფილ, გაბარჯლულ საგანს აღნიშნავს ბორჯლ-||ბარჯლ-||ფარჩხ-... ფუძეები და არა ბორჯ- ფუძე, ასე რომ ბორჯომ- სიტყვაში ადგილის, გზის განტოტვილობის შინაარსის ძიება, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია. ბორჯომის ეტიმოლოგიის კვლევისათვის ფრიად მნიშვნელოვანი და არსებითი ჩანს აღმოსავლური წარმოშობის ბორჯ-||ბორჟ-

<sup>205</sup> ს . ჯ ი ქ ი ა , გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 221.

<sup>206</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 125.

<sup>207</sup> СМОТРИК, 40, Тифл.; 1909, გვ. 27.

<sup>208</sup> ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 175.

<sup>209</sup> იქვე, გვ. 175.

ბურჯ-||ბურჟ- სიტყვა, რომელიც თავდაცვით ნაგებობას, ციხე-სიმაგრეს, საფორტიფიკაციო ზღუდეს აღნიშნავს. დღევანდელ თურქეთში, ირანსა თუ დაღესტნის მხარეში (რუთული) დასტურდება ბორჯ-||ბურჯ- ფუძეთა შემცველი ტოპონიმები, რომლებიც ამ ადგილებში ციხე-კოშკების, თავდაცვითი ნაგებობების არსებობაზე მიუთითებენ. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ბორჯომი აღმოსავლური (თურქული) წარმოშობის სახელწოდებაა და ნიშნავს: „ადგილი, სადაც აგებული ყოფილა ციხე-სიმაგრე, ბურჯი“. სიტყვასიტყვით: „ციხის უბანი“, „ციხის სოფელი“ (შდრ. ციხის-ჯვარი — სოფელი ბორჯომთან ახლოს).

**ბოქორმა** მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი ისტორიულ კახეთში. ამჟამად ერწოს (თიანეთის რ.) ერთ-ერთი სოფელი. გაშენებულია მდ. იურის სანაპიროზე. ბოქორმა, აგრეთვე, ბოქორმის ციხე კახეთის მთიანეთის ერთი უძველესი ტოპონიმთაგანია. იგი მოხსენებულია ანონიმი ავტორის საისტორიო ქრონიკაში „მატიანე ქართლისა“, რომელშიც VIII-XI საუკუნეთა ამბებია მოთხრობილი.<sup>210</sup>

ვახუშტი ბატონიშვილი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ბოქორმის ციხის მდებარეობას, მისი შექმნისა და სახელდების ისტორიას. მისი თქმით ბოქორმა აუგია ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის, მეუღლეს და მისთვის დედაციხე უწოდებია. შემდგომ, როცა კუხოსი ჩელეთს აშენებდა, მას მშენებლობაში თავისი ძმა კახოსი მიხმარებია. ამის სანაცვლოდ კუხოსს ძმისთვის ბოქორმა დაუთმოა. ამის მერე ბოქორმას ვეჭორმა უწოდეს, რაც ნიშნავს: „ვეჭ, ორმა ძმამ ცილება ყვეს ამ ციხესა ზედა. მერმე უწოდეს ბოქორმა“.<sup>211</sup> თუ ამ ცნობას ვერწმუნებით, ბოქორმა გვიანდელი სახელი ყოფილა. მაგრამ მისი გაზიარება ჭირს, რადგან უძველესი ქართული საისტორიო ძეგლები მას იმთავითვე ბოქორმად იცნობენ, ბოქორმისათვის ვეჭორმა-ს შერქმევის ამბავი ან თვით ვახუშტი ბატონიშვილის შექმნილია, ან მას გამოუყენებია ხალხში მოარული რაღაც ვერსია სათანადო ეტიმოლოგიით.

სახელწოდება ბოქორმის მეცნიერული ეტიმოლოგია დღესდღეო-

<sup>210</sup> იხ. ქართლის ცხოვრება I. გვ. 263, 268, 269, 312...

<sup>211</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, გვ. 90-91.

ბით არ მოგვეპოვება. მართალია, უკანასკნელ ხანს გამოითქვა ვარაუდი მისი ბოქორ- („გადასახადების ამკრეფი“) სიტყვისაგან მომდინარეობის თაობაზე, მაგრამ შემოთავაზებული ვარაუდი („ვინ ააშენა ასეთი ციხე? — „ბოქორმა (ანუ გადასახადების ამკრეფმა) ააშენა),<sup>212</sup> ოდნავადაც ვერ უბასუხებს თანამედროვე ენათმეცნიერული კვლევის დონეს: ქართულ ენაში ჩვენ ვერ დავადასტურებთ ვერცერთ შემთხვევას, როცა ტოპონიმი წარმოქმნილია მოთხრობით ბრუნვაში დასმული საკუთარი, ან თუნდაც ხელობის აღმნიშვნელი საზოგადო სახელის მიხედვით. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, არ შეიძლება გვკონდეს ამ რიგის ტოპონიმები: მეფემ ააგო, ვაჭარმა იყიდა, მდინარემ გაკვალა და მისთ. მაშასადამე, შეუძლებელია ბოქორმა წარმომდგარი იყოს შესიტყვებისაგან: „ბოქორ-მა ააგო“.

როგორც უკვე ვთქვით, ტოპონიმ ბოქორმის ეტიმოლოგიური კვლევა სამომავლო საქმეა.<sup>213</sup>

**ბროწეული** პატარა სოფელია სამტრედიის რაიონში. სახელწოდების წარმოშობა სრულიად ნათელი და უდავოა. იგი ნიშნავს „ადგილი, სადაც ბევრი ბროწეული ხარობს“. „ბროწეულით მდიდარი ადგილი“. ამის მიუხედავად ადგილობრივ მოსახლეობას მაინც უცდია ტოპონიმის სხვაგვარად გააზრიანება: „უწინ აქ ბერები იყრიდნენ თავს და ხშირად მართავდნენ წვეულებას. მაშინ ადგილსაც „ბერწვეულები“ ერქვა, მერე კი ბერ წვეულა ბროწეულად გადაკეთდაო“ (თამარ შარაშენიძე; ჩამწ. ლია თოდუა, ქ.სამტრედია).<sup>214</sup>

**ბუბეული-ი** სოფელია რაქაში (ამბროლაურის რ.). ხალხური გადმოცემა ამ სახელწოდების წარმოშობას ზმნურ გადაბუგვას უკავშირებს: „ხანძარი გაჩენილა აქ დიდი და აკვნიანი ბაღვიც კი ჩაბუგულა შიგ. გადარჩენილა ცოცხალი მარტვაკაკალა ერთი ქალი, ამ სოფლის რძალი. ამას ღვთის განგებით მისცემია ვაჟიშვილი და მისგან სოფელი გაშენებულა“. ცნობილია სხვაგვარი გადმოცემაც: „აქ ყოფილა უსიერი

<sup>212</sup> ჯ. ლომაშვილი, ეტიუდები, თბ., 1984, გვ. 78-74.

<sup>213</sup> გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987, გვ. 4,8.

<sup>214</sup> სფ.



ტყეები, არევენ ცხოვრებულა უწინ, მარტო მეჯოგეები დადიოდენ და საქონელს წყემსავდენ. ერთხელ რაცალა ავანტყოფობა გასჩენია საქონლის და დიდიან-პატარიანა სუ მოუბუგავს ყორიფელი. გადარჩენილა მხოლოდ ერთი ბულა, დადიოდა მარტო, ეულად და შეურქმევიათ ამ ადგილებისათვის ბუდეული, რომელიც მერე და მერე ბუგეულად გადაკეთდა“ (მიხეილ სირაძე ქ.თბილისი). ვახუშტი ბატონიშვილი ბუგაულს იცნობს: „სადმელის-ხევის შესართავს ზეით რიონს მოერთვის ბუგაულის-ხევი.“<sup>215</sup>

ბუგეული, ჩენი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა გუბე-ულ-ი, ე.ი. ისეთი ადგილი, სადაც ხშირად დგება გუბე-ტბორები. საყურადღებოა, რომ იმერულში გუბე სწორედ ბუგედ წარმოითქმის: „წყალი და-აბუგა“, „დეიბუგა პირში წყალი“, „ყურებში დამიბუგდა“... უთუოდ მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ ამ სოფელშივეა მდინარე, რომელსაც გუბილა||ბუგილა ეწოდება.

ბუგეული-ი სოფელია ზემო იმერეთში (საჩხერის რ.). „ამას ბუკვეთი ქვია, გადაღმა არი კარათი. ი ზეით ქალვანი, ისე ლოდორა, ხვანია აქ შამამაული“.<sup>216</sup>

გულუბრყვილოა ხალხური ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც ტოპონიმი ბუკვეთი თურმე სიტყვა ბუს უკავშირდება: „სოფლის გარეშაჲ, აქანა უწინ, გამიგონია, რაც ტყეები ყოფილა, ბუებით იყო თურმე თლა სავსე. იჭირავდენ, ვინც იქნებოდა, მონადირე, უბრალო მუშაკაცი, ასე სოფლის ხალხი იჭირავდენ გზათ და თურმე ამ ბუებს თავს კვეთავდენ, აღარ გამბრავდებო. დოუთქვამთ ბუკვეთი“.

ფაქტიურად სახელწოდება ბუკვეთ-ი მომდინარეობს სიტყვისაგან ბუკ-ი, რომელიც დასავლურ დიალექტებში (იმერული, გურული, ლეჩხუმური, რაქული...) ფუტკრის სკას, საფუტკრე ხის გობს, ნამორს ეწოდება.<sup>217</sup> ბუკი-საგან წარმომდგარი ტოპონიმებიც (საბუკია, ხებუენარა...) დასავლეთ საქართველოს რაიონებში არის გავრცელებული. ბუკ-

<sup>215</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 158.

<sup>216</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 449.

<sup>217</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (ერთტომეული), თბ., 1986, გვ. 64.

სიტყვაში ვ ხმოვანი ფონეტიკურად განვითარებულა. იმერული კილოსათვის ვ-ს ასეთი გაჩენა მთელ რიგ სიტყვებში (ბოძე-ი, თოკე-ი, ფოჩე-ი...) ნიშანდობლივი მოვლენაა.<sup>218</sup> ბუკე- ფუძეს დართვია გეოგრაფიული -ეთ სუფიქსი, რის შედეგადაც ბუკე-ეთ-ი მიგვიღია: იგი, მაშასადამე, ნიშნავს: „ბუკების (სკების) დასადგმელი ადგილი“ „საფუტკრია“.

ბუმბუას ხილი-ი ძველისძველი ნახიდური ადგილია ხონის რაიონში, სოფ. ხიდის ახლოს. აქ დღემდე შემორჩენილია ქვიტკირის ბურჯები, რომელზედაც ძველად ხიდი იყო დაშენებული. მოსახლეობაში გავრცელებული თქმულების მიხედვით იგი აუგიათ ძველ რომაელ მოლაშქრეებს სახელგანთქმული სარდლის პომპეუსის (I ს.) ბრძანებით, როცა პომპეუსის უზარმაზარი მხედრონი იბერიის სამეფოდან ეგრისისაკენ მიემართებოდა და ცხენისწყალზე უნდა გადასულიყო.

გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დღევ. ბომბუას ხიდი (ბუმბუას ხიდი) „პომპეუსის ხიდისაგან“ მომდინარეობს სიტყვის ფონეტიკური ცვლილების გზით.<sup>219</sup>

ვერსია, საქართველოში პომპეუსის მიერ ხიდის აგების თაობაზე, ახალი არ არის: პომპეუსის ხიდს უწოდებენ, აგრეთვე, ამჟამად დატბორილ, ცალთადიან ხიდს მტკვარზე, მცხეთაში,<sup>220</sup> მაგრამ, როგორც სწორადაა გარკვეული, პომპეუსი აქ არაფერ შუაშია: იგი აუგიათ XVIII საუკუნის მიწურულსა თუ XIX ს-ის დასაწყისში რუს ინჟინრებს საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ბომბუას ხიდის „პომპეუსის ხიდი“-საგან მომდინარეობის მცდარობაზე ჭერ კიდევ ალ. ცაგარელმა მიუთითა. იგი წერდა: „ამაოდ ნუ შევაწუხებთ აჩრდილს დიდი რომაელი მხედართმთავრისას, რომელიც

---

<sup>218</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრ. გვ. 43.

<sup>219</sup> დაწვრ. იხ. პ . ვ ა ქ რ ი ძ ე , ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977. გვ. 9.

<sup>220</sup> გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ პროლოგი: „მტკვარი შესდგომია პომპეუსის ხიდს... ამ ხიდზე გაუვლიათ რომაელ კონსულსა და მის ჯარებს... სარკინოზების, სელჭუქიანების, ურუმთა და ირანელთა ურდოებს... სადაცაა წალეკავს მას მტკვარი როგორც ქიმერას, მომავლისათვის მოუხმარებელს“.

ამ ადგილებში, ალბათ, არც არასოდეს ყოფილა“.<sup>221</sup>

ამის შემდეგ მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ სოფ. სიმაქახეში, ამ ხიდიდან არცთუ ისე შორს, სახლობენ თავადი ბომბუაშვილები. ამას გარდა ძველად ცნობილი ყოფილა ბუბუას ხიდი, რომელიც ვინმე ბუბუას, გვარად ჩიქოვანს, ეკუთვნოდა. მას ცნენისწყალზე ჰქონია ბონდის ხიდი და ყოველი გამვლელ-გამომვლელისაგან იღებდა ბაჟს (ფარას). ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ერთი საინტერესო ეპიზოდის კი არის მოთხრობილი ბუბუას თვითნებობისა და სისასტიკის შესახებ.<sup>222</sup> ამის მიუხედავად ხალხში მაინც ღრმად აქვს ფესვები გადგმული ბუბუას ხიდის, გინდა თუ არა პომპეუსის სახელთან დაკავშირების მცდელობას. რას იზამ, ეტყობა წარმოუდგენლად დიდია ხალხური ლეგენდების ხიბლი და ემოციური ზემოქმედების ძალა!

— 3 —

**ბაჭიძე-ი** სოფლისა და მთის სახელია ქვემო იმერეთში (ვანის რ.). მოსახლეობაში შემორჩენილია ერთი ფრიად საინტერესო გადმოცემა გადიდის წარმომავლობის შესახებ:

„უწინ აქ ამ ადგილებში სამ ძმას უცხოვრია. ყოფილან გლეხიკაცის ფერობაზე. ტყეს კაფავდენ, მამულს აშენებდენ, საქონელი გოუმრავლებიენ, სკა ქონებიენ დიდძალი, მარა უმფროს ძმას ერთხელ უთქვამს, ცალკე უნდა გვიდღე, რავარც იქნას, ვიცხოვრებო. ამ ძმებს წყენია და აყრილან თელათ იქიდან და აქ გადმოსულან, გამოცილებიენ უმფროს ძმას. ადგილი მართლა კაი შეხვედრია და ეს შუათანე და უმცროსი ძმა ძალიანი გამდიდრებულა. ერთხან ეს უმფროსი დემეტრესთა, ნახვო ერთი, სული უდგია ჩემ ძმეფს თუ არაო. წამოსულა და რო მისულა და უნახია, წმინდათ გედირია თურმე, ასთე რაფერ გადიდითო? მას მერე შერქმევია ამ ადგილს გადიდი. სოფელი რო დაშენებულა, მალეთევე გამრავლებულა და გადიდებულა“ (ნინა კალისტრატეს

<sup>221</sup> ИКОИРГО т.V, გვ. 67.

<sup>222</sup> იხ. ი. ო. ს. ყ. ი. ფ. შ. ი. ძ. ე., მეგრული ენის გრამატიკა... სანკტ.-პეტერბ., 1913, გვ. 205 (რუს. ენაზე).

ასული კახიანი-გიორგაძისა (დ.ვანი).

ეს ხალხური ვერსია იმთავითვე იმდენად პოპულარული და სარწმუნო ყოფილა, რომ იგი უშენიშვნოდ გაუზიარებია ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ რუს გეოგრაფს კონსტ. ჰანს. მისი მიხედვითაც გადიდი ბრძანებითი კილოს ფორმა ყოფილა: გადიდდი! („Возвеличья увеличься!“).<sup>223</sup>

ფაქტიურად გადიდი მეგრული (ზანური) წარმოშობის სახელია:<sup>224</sup> გა („გორა, მთა“) და დიდ-ი. იგი ისევეა გაფორმებული, როგორც ჭყონდიდი („მუხა დიდი“), ზუგდიდი („ბორცვი დიდი“), კონდიდი („აკო[ნ]დიდი“, „მუხა დიდი“)...

მაშასადამე, გა+დიდი ნიშნავს: „მთა დიდი“, „ბორცვიდიდი“. ის აგებულებითაც და შინაარსითაც ტოპონიმ ზუგდიდის (იხ.) ანალოგია.

ბარბან-ი სოფელია ხევში (ყაზბეგის რ.), გაშენებულია საქართველოს სამხედრო გზის პირას, მდ. თერგის მარჯვ. ნაპირზე. გარბანი სიონთან ერთად ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია მთელს ყაზბეგის რაიონში. აქ შემორჩენილია IX-X საუკუნეებში ნაგები ეკლესიის და სხვა უძველესი მატერიალური ძეგლების ნაშთები.<sup>225</sup> აქვე ახლოსაა ნასოფლარი ძველგარბანაი.

სახელწოდება გარბან-ი ორი სიტყვისაგან ჩანს შედგენილი: გარე და უბან-ი. გარეუბნისაგან გარბანის მიღება ფონეტიკურად ძნელი არ არის: თუ უბან- სიტყვას წინ უძღვის მსაზღვრელი სიტყვის ა და ე ხმოვანი, მაშინ ისინი ხშირად იკარგვიან. შდრ. გარ-დაბან-ი (გარე-დაბანი), გარდ-ატენ-ი (გარდა/იქითა/ატენი), შუბან-ი (შუა უბანი)... ანალოგიური ფონეტიკური პროცესის შედეგად ჩანს მიღებული გარბანიც, რომელიც, როგორც ვთქვით, გარეუბან- სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს. ამ ტოპონიმს აღმ. საქართველოს მთიანეთში „სეხნია“

---

<sup>223</sup> СМОМПК 40, Тифл., 1909, გვ. 33.

<sup>224</sup> ჭვემო იმერეთის რაიონთაგან ვანის რაიონში ყველაზე უფრო ხელშესახებად არის წარმოდგენილი ზანური ტოპონიმი საამისოდ თუნდაც ისეთი სოფლების სახელთა ჩამოთვლა იკმარებდა, როგორიცაა: **ონჭოხეთი**, **დიხაშხო**, **ტობანიერი**, **ჭევიში**, **ყუმური**, **დუცხუნი** და სხვ.

<sup>225</sup> ვ . დოლიძე, გარბანი, თბ., 1958.

სახელები სხვაც მოებოვება: ხევსურეთში, როშკის თემში, მაგალითად, გაქქეს სოფელი გარბანი,<sup>226</sup> ახალგორის რაიონში კი დასტურდება სოფელი გარბანი, — სწორედ ის ამოსავალი ფორმა, საიდანაც გარბანი მივიღია.

სხვათაშორის გამოთქმულია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ყაზბეგის რ-ში ამ სოფლის არსებობა ხევსურული ტოპონიმების მიგრაციის შედეგია: ხევში გადმოსახლებულ ხევსურებს თან მოუტანიათ მშობლიური სოფლების და მდინარე-ხევების სახელები.<sup>227</sup>

**ბარდაბან-ი** ქვემო ქართლის ისტორიული „ქვეყნის“ „ზოგადი (კრებითი) სახელწოდებაა, კონკრეტული პუნქტის აღნიშვნა მან მოგვიანებით, ჩვენი საუკუნის შუა წლებიდან, იკისრა. შემთხვევითი არ არის, რომ გარდაბანს, როგორც დასახლებული პუნქტის სახელს, არ იცნობს არც ვახუშტი და არც იოანე ბატონიშვილები. ვახუშტი ბატონიშვილისთვის „გარდაბანი“ საქართველოს დედაქალაქის შემოგარენში მდებარე სახნავ-სათესი სავარგულების („დაბების“) ზოგადი სახელია. მისი განსაზღვრით გარდაბანი ის „ქვეყანაა“, რომელსაც აღმოსავლეთით უდის მტკვარი, ხოლო სამხრეთით უძევს „შულავრის, ქაპალისა და ბოლნისის გორაები, ჩდილოთ მტკვარიდან ტფილისის გორაები ტაგნაგეთამდე; დასავლით-ვევი ასურეთისა, წინწყაროს გამომართებით, ნახიდურამდე და ბოლნისის მცირე მთამდე“. აქვე ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის დამატებით ცნობას იმის შესახებ, რომ გარდაბანში ანუ აგარანში, ზემოთ ჩამოთვლილი მიწების გარდა, შედიოდა გარდანი, ლილო, მარტყოფი და „იწოდებოდა ესენი გარდაბანად“.<sup>228</sup> იგი გვთავაზობს სახელწოდება გარდაბნის ეტიმოლოგიასაც: ეს ტოპონიმი თურმე ქართველთა მითოლოგიური მამის — ქართლოსის ძის გარდაბოსის სა-

---

<sup>226</sup> თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურეთი, თბ., 1977, გვ. 21: „ქაუხის კლდიან მწვერვალთა დაბლა როშკის სოფლებია: ფაფარენა, როშკა, გარბანი; უფრო ქვემოთ ქმოსტი და ღელისვაკე“, — ნათქვამია წიგნში.

<sup>227</sup> იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ღუშეთისა და თიანეთის რაიონებში საზაფხულო მიწების (1913 წ.) ანგარიში... თბზ., ტ. I. თბ., 1957, გვ. 5. (რუსულ ენაზე).

<sup>228</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, თბ., 1941, გვ. 50.

კუთარი სახელის მიხედვით ყოფილა წარმომდგარი.<sup>229</sup> ვახუშტი ბატონიშვილი ამ შემთხვევაში ზუსტად იმეორებს ქართველი მემკვიდრის — ლეონტი მროველის — ცნობას იმის თაობაზე, რომ ქვეყნის კუთხეთა უმეტეს ნაწილებს (ქართლი, კახეთი, კუხეთი, ჯავახეთი, ჰერეთი...) სახელები მიკუთვნებული აქვთ თარგამოს-ქართლოსიანთა შთამომავლების საკუთარ სახელთა მიხედვით.<sup>230</sup>

ცნობილია სხვაგვარი ვარაუდი, რომლის მიხედვითაც გარდაბანი გარდაუბანი-საგან გეჰონია მიღებული.<sup>231</sup> ამ თვალსაზრისის მიხედვით გარდა-უბანი-ი გადაღმა უბანთან არის გაიგივებული და ისეთივე გაფორმების სახელად არის მიჩნეული, როგორც გარდა-ატენი.<sup>232</sup>

სპეციალისტთათვის ცნობილია სრულიად განსხვავებული ვარაუდიც. ნ.მარი, მაგალითად გარდაბან-ფორმაში სატომო სახელს — ქართს ხედავდა: ქართ-აბანი-ი. აღნიშნული თვალსაზრისი ერთგვარად განავრცო ბ.ინგოროყვამ, რომელმაც ქართ-აბანი „ქართველთა მხარედ“ განმარტა, რაკი სომხურ წყაროებში გარდაბნის კუთვნილი ტერიტორია წყაროებში ვრაც დაშტის („ქართველთა მხარე“) სახით მოიხსენიებო.<sup>233</sup> გარდაბან-სახელში სატომო სახელის ქართისა და -აბან (||ობან, უბან) სიტყვათა ძიება, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია.

ტენდენციური, ამდენად, არამეცნიერულია მ.ჰაჩიხალიალოვის „მტკიცება“, გარდაბანი აზერბაიჯანული I'apa-ჟჰჰ-საგან მომდინარეობსო მისთვის, როგორც ჩანს, ძალიან ცოტას, ან საერთო არაფერს ნიშნავს საისტორიო წყაროების მონაცემები. მკვლევარი, ეტყობა, განსხვავებას ვერ ხედავს ისტორიულ გარდაბანსა (X-XI ს.) და ლამის ჩვენს თვალწინ (XIX ს-ის 30-იანი წლები) შექმნილ Кара-ჟჰჰ შორის, რომელიც აზერბაიჯანულად შავ ტბას თუ შავ ტბორს (გუბეს) ნიშნავს. გარდაბანი კი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ნიშნავს: „აგარანი“, „ტფილისის გარეთ მდებარე სახნავ-სათესი მიწები, დაბნები“, „გარე დაბანი“.

<sup>229</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>230</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 8-9.

<sup>231</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 261.

<sup>232</sup> იქვე, გვ. 261.

<sup>233</sup> ბ . ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 470.

**გელსუნდა** ნასოფლარი ჭავჭავთში, ს.ხერთვისთან ახლოს. ადგილობრივ შეიძლება ხშირად გაიგონოთ ტობონიმ გელსუნდას გადააზრინებული ვარიანტი — გულსუნდა<sup>234</sup> — ე.ი. გულს სურს, გულისთვის სასურველი (ადგილი). მაგრამ ადგილობრივი ხალხური ლექსის მიხედვით გულსუნდა სულაც არ ყოფილა სანატრელი, სიკეთით სავსე სოფელი. ხალხური მთქმელი აშკარად წუხს აქაური მიწის მოუსავლიანობისა და სიმწირის გამო:

„გელსუნდისა მოსავალი ვარიაში ჩავყარეო,  
სათესლე ზედ დავაყარე, ნახევრად ვერ მოვყარეო“.<sup>235</sup>

გულსუნდა, ჩვენი ფიქრით, ქართული „ტბა-წუნდის“ (წუნდის ტბა) თურქიზებული ფორმა უნდა იყოს: გელ (gel) „ტბა“, სუნდა — „წუნდა“.

**ბერბეტი-ი** ცნობილი სოფელია ხევში (ყაზბეგის რ.). გაშენებულია მდ. ჩხერის (თერგის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. გერგეტი 1966 წლიდან შეერწყა რაიონულ ცენტრს ყაზბეგს და ამჟამად მის ერთ-ერთ უბნად მოიხსენიება. გერგეტი ყაზბეგის რაიონის უძველეს ტობონიმთაგანია. აქ, ამ სოფელში, მის დასავლეთით მდებარე მწვერვალზე, აგებულია ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცნობილი და მნიშვნელოვანი ძეგლი — გერგეტის სამება (XIV-XV ს.ს.), — ერთადერთი გუმბათიანი ეკლესია მთელ ხევში.

ქართული საისტორიო და ეკონომიკურ ძეგლებში გერგეტი, როგორც დასახლებული პუნქტი, XIV საუკუნის დასასრულიდან მოიხსენიება.<sup>236</sup> იმ დროიდან, როდესაც აქ სამების ტაძარი აგებულა და სოფელიც გერგეტის სათემო ცენტრად ქცეულა.

ვახუშტი გერგეტს ერთ სუფიქსიან სახელად (გერგ-ეთ-ი) იცნობს: „სტეფანწმიდის... დასავლით არს გერგეთი, არაგვს იქით, კიდესა“.<sup>237</sup>

<sup>234</sup> გ რ . ბ ე რ ი ძ ე , ქართული ენის ჭავჭავთური კილო, თბ., 1987, გვ. 149.

<sup>235</sup> იქვე, გვ. 194.

<sup>236</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 54; ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970,

გვ. 351.

<sup>237</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 67.

გერგეთ-ი იკითხება ი.კავკავაძის „მგზავრის წერილებშიც“.<sup>238</sup> სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი ამ ტობონიმის, (აგრეთვე ფანშეტის) ჩაჩნური წარმომავლობის თაობაზე; ისინი ისეთივე -ტე სუფიქსიან ტობონიმთა გვერდითაა განხილული, როგორც აშკარად არაქართული გაფორმების კარატე, ქეშალტე, წურტე...<sup>239</sup> შემოთავაზებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც გერგე+ტე→გერგე-ტე ნიშნავს „გიორგის (სალოცავის) გორი“ (თ.უთურგაიძე).

გერგეტ-ი, ჩვენი ფიქრითაც, თეონიმური ანუ რელიგიურ-საკულტო შინაარსის სახელია. სავარაუდებელია, რომ ის გაჩენილი იყოს წმინდა გიორგის ჩაჩნურ კილოზე გარდაქმნის შედეგად. ჩაჩნურში, როგორც ცნობილია, წმ. გიორგი **Гѡѣрга (Герга), Герг** ფორმით გადმოიციემა.<sup>240</sup> ჩაჩნეთ-ინგუშეთშიც და მის მეზობელ ჩრდილო ოსეთშიც განსაკუთრებით ბევრი ტობონიმია შექმნილი ქრისტიანული წმინდანების (გიორგი, ილია, მარიამ...) სახელთა მიხედვით, რომელთა შორის პირველი ადგილი წმ. გიორგის კულტს ეთმობა; წმინდა გიორგის სახელობის სალოცავები აქ თითქმის ყველა სოფელშია აგებული.<sup>241</sup>

მაშასადამე გერგე-ტე||გერგ-ეთ-ი შეიძლება გავიგოთ როგორც „წმინდა გიორგის სალოცავი“, „სოფლის ზემოთ მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესია“.

**ბჰმლმთ-ი** ძველი სოფელია ხევში (ყაზბეგის რ.). ქართულ საისტორიო წყაროებში ეს სოფელი XIV საუკუნის შუა ხანებიდან იხსენიება: „მაშინ დავით დგა ბაზალეთს და ... მიჰმართა ციხესა დარიალისასა... და შეიარეს არაგვი და მოადგეს ციხესა გუფელეთისასა“.<sup>242</sup> ამის მიხედვით სარწმუნოდ აღარ გამოიყურება ვახუშტი ბატონიშვილის

<sup>238</sup> ი . კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე , თხზ. ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1985, გვ. 24.

<sup>239</sup> თ . უ თ უ რ გ ა ი ძ ე , ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966, გვ. 97.

<sup>240</sup> ა . ს . ს უ ლ ე ი მ ა ნ ო ვ ი , ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტობონიმია, ტ. II, გროზნო, 1978, გვ. 23 (რუს. ენაზე).

<sup>241</sup> ა . ძ . ც ა გ ა ე ვ ა . ჩრდ. ოსეთის ტობონიმია, ნაწ. II, ორჯონიკიძე, 1971, გვ. 208 (რუს. ენაზე).

<sup>242</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 105.



მტკიცება, გველეთი ახალი სახელია, ძველად მას გელათი ერქვაო.<sup>243</sup>

იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ გველეთს „გველისთავს“ უწოდებს: „გველისთავი თუ გველეთი (მოსახლენი)“.<sup>244</sup> ტობონიმ გველეთის წარმოშობის საკითხი დღესაც საბოლოოდ არ არის გადაჭრილი და საფუძვლიანად გარკვეული.

კჰანი გველეთში ამოსავლად რატომღაც მცენარე ღვიის სახელწოდებას მიიჩნევდა.<sup>245</sup> ა.შანიძის მიხედვით ტობონიმი გველეთი ყაზბეგის რაიონში საცხოვრებლად გადმოსული ხევსურების მოტანილი სახელი უნდა იყოს.<sup>246</sup> თუ ამ განცხადებას ვირწმუნებთ, მაშინ ხევსურთა კომპაქტური მიგრაციები ხევის სოფლებში შუა საუკუნეებშივე (XIII-XIV ს.ს.) დაწყებულა.

უკანასკნელ ხანს სპეციალურ ლიტერატურაში გაჩნდა ახალი თვალსაზრისი გველეთის ჩაჩხურ-ინგუშური გვაროვნული ერთეულისაგან მომდინარეობის შესახებ. ენათმეცნიერი ა.ქურჩიევი საკმაოდ დაჭერებულად წერს: „აქ უწინ გელათხოის გვარის ინგუშური ოჯახები სახლობდნენ და სოფლის სახელწოდებაც აქედან მოდისო.“<sup>247</sup>

ცნობილია ისიც, რომ გველეთს ჩაჩხურად გიელთა||გვილეთი ეწოდება,<sup>248</sup> მაგრამ ეს ფაქტი სახელწოდების წარმოშობის გარკვევაში ვერ დაგვეხმარება, რადგან როგორც ერთი, ისე მეორე ფორმა ქართულ გველეთ-სახელზეა დამყარებული და აღმოცენებული.

ამ ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისებიდან უპირატესობა, ვფიქრობთ, ვახუშტი ბატონიშვილის მონაცემს უნდა მიენიქოს: ტობონიმი გველეთი წარმოშობით ანთროპონიმული სახელი ჩანს. იგი გელათ||გელ-ეთ ფუძეს უნდა იყენებდეს ამოსავლად: „გელას შთამომავალთა სოფელი“, „სოფელი, სადაც გელას გვარს უცხოვრია“. გველეთ-ო

---

<sup>243</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 67.

<sup>244</sup> იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , აღწერა, თბ., 1986, გვ. 36.

<sup>245</sup> СМОМПК. 40. Типл79 1909, გვ. 34.

<sup>246</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , თხზ. I, თბ., 1957, გვ. 5.

<sup>247</sup> ა . ქ უ რ ქ ი ე ვ ი , ინგუშური ენის ლექსიკოლოგიის ძირითადი საკითხებო, გროზნო, 1979, გვ. 235 (რუს. ენაზე).

<sup>248</sup> ა . ს . ს უ ლ ე ი მ ა ნ ო ვ ი , ჩაჩხეთ-ინგუშეთის ტობონიმია, II, გროზნო, 1978, გვ. 8 (რუს. ენაზე).

გველ- სიტყვასთან გადააზრიანების გზით უნდა იყოს მიღებული.<sup>249</sup>

**გვერძინეთ-ი** ცნობილი სოფელია ცენტრალურ ქართლში (ქარელის რ.). თუ ადგილობრივ გავრცელებულ ხალხურ გადმოცემას დაუჭერებთ, ამ სოფელში წინათ ყოფილა ერთი ცბიერი, გაიძვერა კაცი, რომელსაც დიდი და პატარა გოძინას უწოდებდა. „იმათი ოჯახისათვის უძახნიათ გოძინაანი. იმ კაცის მოყოლებზე სოფლისათვისაც გოძინეთი, მერედა მერე კი გვეძინეთი და სუ ბოლოს გვერძინეთი დაურქმევია ხალხსა. გადაუქეთებიათ“ (მერი გიორგის ასული ერადე, ს.დირბი).

მართლაც, ტოპონიმი გვერძინეთი XVI-XVII საუკუნეების ქართულ ეკონომიკურ საბუთებში რ- თანხმონის გარეშეა მოხსენიებული: „ედიშერ ციციშვილს პაპუნასთან გაყრისას ერგო გვეძინეთში მცხოვრები ბერი გასიტაშვილი, გიორგი ქულუქასშვილი, სენნია მრაკველი“...<sup>250</sup> „ამოილო (ამოაგდო, ააოხრა, გ.ბ.) ციციმ და ქაიხოსრომ უკაცო მამული გვეძინეთს მარაქლის<sup>251</sup> მამული, დღეს რისაც მქონე მარაკველი ყოფილიყოს“...<sup>252</sup> ეს ფაქტი თითქოს როგორღაც ეთანხმება ხალხურ ვერსიას (გოძინა ← გვეძინა), მაგრამ დაბეჭითებით შეიძლება იმის თქმა, რომ გვეძინეთ||გვერძინეთ-ის წარმოშობა სრულიად სხვაგვარია. თუ ჩვენ ტოპონიმ გვერძინეთს მაწარმოებელ -ეთ სუფიქსს ჩამოვაშორებთ, ფუძედ დაგვრჩება გვერძინი, რომელიც ძველად გარეული მტრედის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. გვიძინი, — საბას თქმით, — ველური ტრედია.<sup>253</sup> ამავე მნიშვნელობით არის დადასტურებული გვიძინი ნ.ჩუბინაშვილის ცნობილ ლექსიკონშიც: გვიძინი — გარეული ტრედი, дикий голынь.<sup>254</sup> თვით სიტყვა გვიძინი ქართულში თურქული

<sup>249</sup> იბ. ზ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 438.

<sup>250</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 54.

<sup>251</sup> ნიშნავს: მ-რაკველის ე.ი. რაკველის; მარაქველის||მარაკველი ნუსხის გადამწერისეული ა-მეტი ფორმებია.

<sup>252</sup> ქართული სამართლის ძეგლები, IV თბ., 1972, გვ. 131.

<sup>253</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 185.

<sup>254</sup> ნ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 178.

ენიდან არის შემოსული: თურქული (გიუვერჯინ) „მტრედი“.<sup>255</sup>

თურქული გიუვერჯინ- სიტყვა ქართულ ენაში, როგორც XVII-XVIII ს.ს. ეკონომიკური საბუთები გვიჩვენებენ, იმთავითვე გამარტივებული სახით (-რ-ს გარეშე) დამკვიდრებულა: გუეძინ-ეთ-ი;

მაგრამ მოგვიანებით, უკვე ენის შინაგანი კანონზომიერების მიხედვით, ფუძისეული -რ-თანხმოვანი აფრიკატის /d/ წინ კვლავ განვითარებულა, აღდგენილა.

ამრიგად გვერძინეთი ნიშნავს: „სამტრედე ადგილები“, „გარეულ მტრედზე სანადირო ადგილები“, „საქედნეთი“. მნიშვნელობით გვერძინეთი მთლიანად ფარავს ძველ ქართულში არსებულ „სასახუნდრეს“, რაც მტრედზე ხუნდით სანადირო ადგილებს ნიშნავდა.

**ბზ(მ)პან-ი** ცნობილი მთა არის მთიულეთში (დაბა ფასანაურის აღმოსავლეთით). „აქედან მოჩანს ხახაბნის სერები და გზოვნის დიდი ტყეები“.<sup>256</sup> ადგილობრივი მოსახლეობა სახელწოდება გზოვნის სიტყვა გზას უკავშირებს: „დიდი გზობა უნდა იქამდე“ (მიხა წიკლაური, დ.ფასანაური, 1986 წ.) თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მთიულურ დიალექტში გზოვანი მართლაც შორეულ ყანას,<sup>257</sup> სოფლიდან ძალიან შორს მდებარე ყანას ეწოდება.<sup>258</sup> მაშინ ზემოაღნიშნული ხალხური ვერსია კემშარიტებად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ გზოვანი ერთი შეხედვით -ოვან- სუფიქსით ნაწარმოებ ფლორონიმს მოგვაგონებს (ბზა-ბზოვანი?)

მთიულეთში ძალზე პოპულარულია რელიგიური დღეობა (ხატობა) გზოვნის წვერის ანგელოზი. ეს ხატი წმ. გიორგის სახელობისაა. მთიულთა აღიარებით გზოვნის (გზონის, მგზოვნის) წმ. გიორგი მთელ ამ მხარეში უპირველესი და უძლიერესი ხატი ყოფილა. მის დღეობას (29 ივნისი) მარტო „ასი ცალთვალა ივანე უნდა დასწრებოდა“.<sup>259</sup> ამჟა-

<sup>255</sup> დ. ა. მაგაზანიკი, თურქულ-რუსული ლექსიკონი, მოსკ., 1945, გვ. 223.

<sup>256</sup> გ. წიკლაური, წერილები, თბ., 1983, გვ. 150.

<sup>257</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 43, 187.

<sup>258</sup> ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 98.

<sup>259</sup> ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

მად გზოვნის წვერის ანგელოზი ქვეთარაძეების საგვარეულო ხატს წარმოადგენს, ძველად კი მისი სიძლიერის შესახებ არაერთი ლეგენდა იყო ცნობილი. ერთ-ერთი ასეთი ლეგენდა 1930-იან წლებში ჩაუწერია ცნობილ ეთნოგრაფს ს.მაკალათიას. ამ ლეგენდის მიხედვით როდესაც ხორასნელებს (იგივე ზვარაზმელებს) არაგვის ხეობა დაულაშქრავთ (ივარაუდება ჯალალ-ედ-დინის შემოსევა, გ.ბ.) და 7000 კაცი ტყვედ წაუყვანიათ, ამ ტყვეებს მთიულეთის მთავარი ხატი-გზოვნის წმ.გიორგი თან წაუბრძანებიათ. ხატს მთელი ხორასანი შეუკრავს, შეუჩვენებია: გადამხმარა ნათესები, გაბერწებულა მიწაც, საქონელიც, ხალხიც, ყველაფერი უნაყოფოდ ქმნილა, დამშრალა, დაწრეტილა. გაოცებულ სულთანს მისნები მოუწვევია. მათ უთქვამთ, ჩვენი უბედურების და განსაცდელის მიზეზი გურჯისტანიდან ტყვეთა მიერ ჩამოტანილი ხატიაო. განრისხებულ სულთანს ხატის დაწვა უბრძანებია. მსახურებს იგი გახურებულ საკირეში ჩაუგდიათ, მაგრამ ოდნავ შერუჯული სასწაულთმოქმედი ხატი საკირიდან ამოფრენილა და იქვე განგებით გაჩენილ თეთრი ხარის რქებზე დაბრძანებულა. მაგრამ თეთრი ხარი ადგილიდან მანამ არ დაძრულა, სანამ სულთანს 7000 ქართველი ტყვე პირწმინდად არ გაუთავისუფლებია. ამის შემდეგ ხარი თავის ხატიანად საქართველოსაკენ წამოსულა. უვლია თეთრ ხარს, უვლია, ბოლოს ასულა ლომისის მთაზე, ქსნისა და არაგვის ხეობებს თავს რომ დაჰყურებს, ძალაწართმეული დაცემულა და მომკვდარა (გამსკდარა). ხატიც აქ დაფრენილა. ხალხი მთის წვერიდან არაგვამდე გაბმულა, ხელიდან ხელში ქვის წოდებით ტაძრის აგებას შესდგომია. და როცა ტაძრის აგება დაუსრულებიათ, მისთვის ლომისა უწოდებიათ, — ქართველ ტყვეთა გადამრჩენელი თეთრი ლომა ხარის სახელი.

ლომისის სახელი საქვეყნოდ განდიდებულა, გზოვნის ხატის სახელი კი თანდათან შემცირებულა. დღეს მას საგვაროვნო სალოცავის მნიშვნელობადა შემორჩენია და, როგორც ზემოთ ვთქვით, ქვეთარაძეების საგვარეულო ხატად არის ქცეული.

**გიორგიწმინდა** ასეთი სოფელი იყო ცნობილი შიდა ქართლში, ჯავის (ამჟამინდელი ყორნისის) რაიონში. ტოპონიმი გიორგიწმინდა წარმომდგარია აქ არსებული საკულტო ძეგლის, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის, გამო (შდრ. ნიკორწმინდა, სტეფანწმინდა, კვირიკეთი, მი-

ქელწმინდა, ანდრიაწმინდა...). საქართველოში დღესაც რამდენიმე სოფელი ატარებს ამ უმაღლესი ქრისტიანული წმინდანის სახელს. ასეთი სოფლებია სამცხეში (ახალციხის რ.), გარეკახეთში (საგარეჯოს რ.), ხევსურეთში (დუშეთის რ., შატილის თემი).<sup>260</sup> ყველა ისინი ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში დადასტურებულნი არიან. ერთ-ერთი ასეთი სახელების სოფელი ცნობილი იყო შიდა ქართლშიც, მაგრამ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, როცა განუკითხავად ისპობოდა ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები და მათთან ერთად მათი სახელწოდებები, რის სანაცვლოდაც ჰაი-ჰარად, ძალით თავმობვეულად „სთავაზობდნენ“ მოსახლეობას რევოლუციური სულისკვეთების“ ამსახველ ტოპონიმებს („წინსვლა“, „განახლება“, „დიდი განთიადი“, „პირველი მაისი“, „სოციალისტური სოფელი“, „ოქტომბერი“...), შიდა ქართლის გიორგიწმინდაც ვერ ასცდა „რეფორმისტულ“ მოძრაობას და მაშინდელი სამხრეთ ოსეთის სწავლულთა რადიკალურმა ნაწილმა ამ ისტორიულ სოფელს თავისი „ეროვნული გმირის“ ისაკ ხარებოვის პატივსაცემად და მისი განსაკუთრებული „ღვაწლის“ პატივსაცემად ისაკყაუ („ისაკის სოფელი“) შეარქვა. საქართველოს იმდროინდელმა მთავრობამ ოსი „რევოლუციონერ-ნოვატორების“ წინააღმდეგ მხარი აუბა და გიორგიწმინდის ნაცვლად ისაკყაუ დააკანონა (ასევე გადაარქვეს ძველ ქართულ ოქონას სახელი და მას მეორე ოსი „ეროვნული გმირის“ ზნაურ აიდაროვის უკვდავსაყოფად ზნაური უწოდეს).<sup>261</sup> ამ ორი „სახალხო გმირის“ დამსახურების ისტორია დღეს ყველა ქართველისათვის კარგად არის ცნობილი — ორივემ დიდად გაითქვა სახელი 1920 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ უსასტიკესი, დაუნდობელი ბრძოლით და სისხლიანი ტერორით მაშინდელი სამაჩაბლოს მოსახლეობის, განსაკუთრებით, თავადაზნაურული ფენის წარმომადგენელთა მიმართ.<sup>262</sup>

<sup>260</sup> აქ ეს ტოპონიმი მცირე ფონეტიკური ცვლილებით დასტურდება — გიორწმინდა.

<sup>261</sup> იხ. ზ. ცხოვრებოვა, სამხრეთ ოსეთის ტოპონიმი წერილობითი წყაროების მიხედვით, თბ., 1979, გვ. 152 (რუსულ ენაზე).

<sup>262</sup> დაწერ იხ. ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991.

ამიტომ სამართლიანი იქნებოდა, თუ დღევანდელი ისაკყაუ გაუქმდებოდა და მის ნაცვლად კანონიერი (ისტორიული) სახელწოდება გიორგიწმინდა აღდგებოდა.

**გლინავ-ი (მგლინავ-ი)** ისტორიული სოფელი, ამჟამად ადგილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (არტაანი). მემბტიანე სუმბატ დავითის ძე ამ ტოპონიმს მგლინავად მოიხსენიებს,<sup>263</sup> უამთაალმწერელი კი მას იცნობს როგორც გლინავ.<sup>264</sup> სახელწოდების შინაარსი რამდენადმე დაბნელებულია, თუმცა მის გარკვევაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ქართული ენის რაქულ, აგრეთვე, იმერულ დიალექტებს. მათში დღემდე არის შემონახული ზმნური „გლინავს“, „იგლინებს“ ფორმები, რომლებიც სრიალის, ცურვის, სხლტომის მნიშვნელობით გამოიყენება:

„ყველი გლინავს ხელში“; „ფეხი დასველებია და უგლინებია ზედ“.<sup>265</sup> რაქულ დიალექტში გლინავს, იგლინებს ზოგადად დაცურებას, დაქანებას, მოკრილი ხეების შუროში სრიალს ნიშნავს: „სვანში... მორები ჩაიყრება, „იგლინებს“ და „სახაროზე“ თავისით ჩავა“ (ლ.ფრუიძე). საინტერესოა ძველი ქართული ენის მონაცემები. ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ“ იცნობს სიტყვა მგლინვარე-ს, რომელიც ი. აბულაძის მიერ განმარტებულია როგორც გლუფვი: „რომელნიმე მგლინვარე არიან ქერქითა და რომელნიმე მქისე“.<sup>266</sup> მაშასადამე, სახელწოდება გლინავ-ი, მგლინავ-ი, სოფელს თუ ადგილს შერქმევია დაქანებული, დამრეცი მდებარეობის გამო. გლინავ- ფუძიანი მიკროტოპონიმები მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გვხვდება, ზემო იმერეთში (ს.ს. ზედა და ქვედა წიფლავაკე, ქვედა წევა...) არის ადგილი, რომელსაც გლინავდელე ეწოდება,<sup>267</sup> სოფელ გოლათუბანში კი, ზვა-

<sup>263</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 379, 28.

<sup>264</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 252, 6.

<sup>265</sup> ქ. ძ. ო. წ. ე. ი. ძ. ე., ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 102.

<sup>266</sup> ი. ა. ბ. ჯ. ლ. ა. ძ. ე. ძ. ე. ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 225.

<sup>267</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I, ზემო იმერეთი (შ. ძ. ი. ძ. ი. გ. უ. რ. ი. ს. რედაქციით), თბ., 1987, გვ. 52.

რის გზაზე, არის ადგილი, რომელსაც წყაროგლინავა ეწოდება.<sup>268</sup> აღმოსავლეთ საქართველოში სიტყვა გლინავი არ ჩანს... აქაურ ტოპონიმიაში მას გლუვი ენაცვლება.

**გლოლა** მალაღმთიანი სოფელია რაქაში, რაქული ხალხური რეწვისა და ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი (ონის რ.). გაშენებულია მდ. ქანჭახის ორივე სანაპიროზე. ხალხური გადმოცემა ამ ტოპონიმის წარმოშობას სიტყვა გლოვას უკავშირებს. ამგვარი ეტიმოლოგიის შექმნას, ჩანს, იმანაც შეუწყო ხელი, რომ აქაური ადამიანის სადაურობის აღსანიშნავად მოსალოდნელი გლოლელის ნაცვლად გლოველ-ი გვხვდება. „გლოველი კაცი“, „გლოველები“. სადაურობის მაჩვენებელი ფორმა გლოველი გვარადაც დასტურდება.

ტოპონიმ გლოლის წარმოშობის თაობაზე ადგილობრივ მოსახლეობაში რამდენიმე ლეგენდაა გავრცელებული და ყოველ მათგანს სიტყვა გლოვას უკავშირებენ: „მომკვდარვიყო ვიღაცა და გლოვდა, ასე იგი, გლოვდა იმ მკვდარსა და დაარქვა გლოლა. აი, გლოლა და გლოვა ხო ეს ერთი გამოდის და ასე დაარქვა (=დაერქვა) გლოლა.“<sup>269</sup> ვარაუდი ტოპონიმ გლოლის გლოვა სიტყვისაგან მომდინარეობის თაობაზე მოსახლეობაში ისე ძლიერ არის ფეხმოკიდებული, რომ ხშირად შეიძლება სოფლის სახელად გლოვა ფორმაც კი გაიგონოთ: „ბუბას საყდარი ააგეს. ადგეს მერმე ბუბით და ქვე ჩამოვიდეს აქა, გლოვას“.<sup>270</sup> „თამარ მეფე მოსულა რაქას, დიდი ციხეა აქ და ხალხს შეკითხებია, რო რატომ ხართ დაღონებულები? — კაცი მოგვიკვდაო და იმას ვგლოვობთაო. დაუთქვია მას მერე თამარ მეფეს სოფლისთვი გლოვა“. (სარდიონ დიმიტრის ძე გოგოჩიშვილი). ზოგიერთის გადმოცემით სოფლის „უმანდელი“ მცხოვრებლები ძალდატანებით გადმოუსახლებიათ აქ და ხალხს გლოვა გამოუცხადებია, სოფლისთვისაც გლოვა შეურქმევიათ, დროთა

<sup>268</sup> სფ.

<sup>269</sup> რ. ლ ა ნ დ ი ა , გლოველების ცხოვრებიდან: დიალექტოლოგიური კრებული, 1988, გვ. 44.

<sup>270</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი , ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბ., 1974, გვ. 155.

განმავლობაში კი გლოვა გლოლად გადაკეთებულა.<sup>271</sup>

ტოპონიმ გლოლის წარმოშობით დიდხანია დაინტერესებულან სპეციალისტები. სვანეთის დიდი მოამაგე ეგნ. გაბლიანი თვლიდა, რომ გლოლა სვანური გოლა სიტყვისაგან უნდა გვექონოდა მიღებული. მისი ვარაუდით გლოლა (—გოლაჲ) ნიშნავდა „ჩამოწოლილი ანუ ფერდობი (მოფერდო) ადგილი“.<sup>272</sup>

ტოპონიმ გლოლის გნოლ- სიტყვისაგან მომდინარეობის შესაძლებლობას მიუთითებს რ. შამელაშვილი.<sup>273</sup> რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე? თვითონ სოფ. გლოლაში არსებულ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მაცხოვრის ხატზე სოფლის სახელად გლონა იკითხება: წ(მი-და)ო გ(იორგ)ი გლონისაო... გლონისა მოიქედა შვილისა გი(ორ)გ(ი)სა პ(ა)ტრო...<sup>274</sup> მაგრამ ეს ფაქტი მხოლოდ იმას უნდა გვიდასტურებდეს, რომ აღნიშნული ეკლესიის ხატზე წარწერის შესრულების დროს ენაში უკვე მომხდარი ყოფილა ლ||ნ თანხმოვანთა დისიმილაცია: გლოლისა — გლონისა. გნოლი აქ არაფერ შუაა. შედარებით უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ტოპონიმ გლოლის ზანური გოლ(—მთა“) სიტყვასთან გენეტური კავშირი: გოლ-არ-ეფ-ი „მთიულები“, გოლ-ურ-ი „მთიელი“; გოლური იგანს „მთის ქარი“, „მთური“ ქრის“.<sup>275</sup> ამ ვარაუდის მიხედვით თითქოს შეიძლება იმის დაშვება, რომ გლოლა (—გოლა) გავიგოთ როგორც მთური დასახლება, მთის სოფელი, მთიელების სოფელი.

**ბოქია, ბოქიო** სოფელია ჭავჭავთში (ახალქალაქის რ.). ადგილობრივ გავრცელებული თქმულების მიხედვით სახელწოდება გოკიო, გოკია ჩვენი ხალხის ტრაგიკული ისტორიის ამსახველი ტოპონიმი ყო-

<sup>271</sup> დაწვრ. იხ. ა . გ ა ვ ა შ ე ლ ი , ზემო რაჭა და მისი ბუნებრივი რესურსები, თბ., 1978, გვ. 14.

<sup>272</sup> ე . გ ა ბ ლ ი ა ნ ი , ძველი და ახალი სვანეთი, ტფილ., 1925, გვ. 32.

<sup>273</sup> იხ. „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები, თბ., 1977, გვ. 89.

<sup>274</sup> ე ქ ვ თ . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი , არქეოლოგ. მოგზ. რაჭაში, თბ., 1963, გვ. 23 (წარწერის პირველი წაკითხვა აკად. მარი ბროსეს ეკუთვნის).

<sup>275</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 188.



ფილა. იგი, თურმე, ნიშნავს: „გოგო კივა“. მოთარეშე მტერს სოფლიდან ქალიშვილი გაუტაცია. გოგო მტერს არ ნებდებოდა და ისეთი განწირული ხმით კიოდა, რომ მისი ხმა მეზობელ სოფლებსაც კი წვდებოდა, მშველელი კი არ ჩანდა, რადგან ხმლის ხელში ამღები ყველა მამაკაცი მტერს ზედ შეჰკვდომოდაო.

გოკიო, ჩვენი ვარაუდით, თურქული ენის კუთვნილება უნდა იყოს. ტოპონიმ გოკიას არაქართულ ენობრივ სამყაროსთან შესაძლო კავშირის შესახებ მოსაზრება გამოთქმული აქვს აგრეთვე ქეთ.ლომთათიძეს (იხ. კრებ. ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1988, გვ. 8). გიოქ თურქულად ლურჯს, ცისფერს ნიშნავს.<sup>276</sup> გამორიცხული არ ჩანს, რომ იგი საზღვრულჩავარდნილი ერთეული იყოს. თავდაპირველად მას, ალბათ, მეორე ფუძეც (საზღვრული) უნდა ხლებოდა: ლურჯი ტბა (წყალი, გუბე, ხევი...) შდრ. გიოქჩაი „ლურჯი წყალი“, „ლურჯი ტბა“ (ქართ. გოქჩა). უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XVI საუკუნის აღწერათა მიხედვით აქ, ამ არეალში, სოფელი გოქი არის მინიშნებული,<sup>277</sup> რაც ჩვენს ვარაუდს ერთგვარად უქერს მხარს. ჭავახეთის ტოპონიმის სპეციალისტი გრ.ბერიძე ასევე ადასტურებს ამ რეგიონში ნასოფლარ გოქის არსებობას.<sup>278</sup> მკვლევარი გოკია-ში გამოყოფს -ია მაწარმოებელს, მაგრამ არათერს გვეუბნება „გოკ“ ძირის სემანტიკაზე.

**გოლათუბანი-ი** მთიანი სოფელია ზემო იმერეთში (ხარაგაულის რ., წიფის სას. ს.) ადგილობრივ მოსახლეობაში სოფლის სახელწოდების წარმომავლობის თაობაზე რამდენიმე ურთიერთგანსხვავებული გადმოცემა არის გავრცელებული. ზოგიერთის რწმენით გოლათუბანი გვალვა||გოლვა სიტყვისაგან ყოფილა წარმომდგარი: „აქა ყოფილა ხშირი გვალვა“,<sup>279</sup> ზოგის მიხედვით სოფელს „უმალ“ გორათ (ე.ი. მთების, გორების) უბანი რქმევია, შემდგომ კი გოლათუბანი „ღოუთქმე-

<sup>276</sup> დ. ა. მ ა გ ა ზ ა ნ ი კ ი, თურქულ-რუსული ლექსიკონი, მოსკოვი, 1945, გვ. 213 (რუს.).

<sup>277</sup> ს . ჯ ი ქ ი ა გ ე დ, ტ. II, თბ., 1941, თბ., გვ. 17.

<sup>278</sup> გ რ . ბ ე რ ი ძ ე, ჭავახეთის გეოგრ. სახელწ. შესახებ: ჟურნ. „მნათობი“, №9 11, 1972.

<sup>279</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 344.

ვით“. მოსახლეობის ერთი ნაწილი ზუსტად მიუთითებს ტოპონიმის წარმოშობას და თვლის, რომ გოლათუბანი „ვინცხა გოლა ყოფილა და მის სახელობაზე მოდის“, „გოლას შთამომავალთა უბანია“.<sup>280</sup> ვარაუდი უთუოდ სწორია. ამაზე მეტყველებს არა მარტო ტოპონიმის საზღვრული ფუძე — უბანი (ეს სიტყვა უპირატესად გვართაგან მომდინარე ოიკონიმებში გვხვდება: ბარდუბანი (=ბარდაველიძეების უბანი), ლეფუბანი (=ლევაძეების უბანი), ბეჟათუბანი, კაციტაძეების უბანი, ნადირაძეების უბანი, თავაძეების უბანი, ჭიქთუბანი...), არამედ ისიც, რომ ზემო იმერეთის მიკროტოპონიმიაში ხშირად გვაქვს ადამიანის საკუთარ სახელთან (გვართან) დაკავშირებული ტოპონიმები: გოლაისოული სახნ. (ს.ბორი), ტყე (ს.ილემი), ხოლო ს.სპეთში ერთ-ერთ სერს ეწოდება გოლაციხე, რომელიც, ალბათ, გოლათ ციხი-საგან მომდინარეობს (თუმცა ადგილობრივ გორაციხედ არის ცნობილი).<sup>281</sup> მაშასადამე გოლათუბანი-ი ნიშნავს: „გოლაშვილების (გოლაძეების) სოფელი“, „გოლას შთამომავალთა უბანი“.

**ბოლიაძეობა**-ი სახნავ-სათესი მიწდვრების საერთო სახელია ს.მაკვანეთში (ოზურგეთის რ.) ადგილობრივ საკმაოდ პოპულარულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც გოლიათოური თურმე სიტყვა ბუმბერაზს, გოლიათს უკავშირდება: „ძველად ამ ადგილას მომხთარა დიდი შეტაკება თათრის ჯართან. გურულები მაშინ ძაან პაწა ვყოფილვართ, მარა ამ შეტაკებაში ყოფილა სამი ძმა გოლიაძეები, რომლებიც გოლიათური სახის ყოფილან და გოლიათურადაც ეომებოდენ მტერს. ამ ადგილს მას მერე გოლიათოური დაათქვა ხალხმა“ (ილარიონ კონსტანტინეს ძე სიხარულიძე).

სინამდვილეში სიტყვა გოლიათი აქ არაფერ შუაა. გოლიათოური ნიშნავს „გოლიაძის ნაქონი ადგილ-მამული“, „გოლიაძეთა კუთვნილი ადგილი“, „გოლიაძოური“.

**ბომარაძეობა** გავრცელებული გეოგრაფიული სახელია. იგი დასტურდება როგორც ქვემო ქართლში (დმანისის რ.), ისე შუა ქართლში

<sup>280</sup> იქვე, გვ. 335.

<sup>281</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია, 1, ზემოიმერეთი, თბ., 1987, გვ. 54.

(გორის რ.) და ჯავახეთში (ახალქალაქის რ.). ამას გარდა გომარეთ-ი როგორც მცირე გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი სახელწოდება, გვხვდება ს.ღრელთან (ახალციხის რ. და ს. შუა აღვში (ცაგერის რ.).

ტოპონიმის წარმომავლობა ჯერჯერობით საბოლოოდ გარკვეული არ არის,<sup>282</sup> მაგრამ, ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს სამეურნეო ნაგებობის ზოგადი სახელწოდება გომ-ი. გეოგრაფიული პუნქტის სახელად გომი დადასტურებულია XVI ს-ში.<sup>283</sup> გომის მცხოვრები იქნებოდა გომ-არ-ი (შდრ. ხერთვისი — ხერთვის-არ-ი, სამძივი — სამძივ-არ-ი, ობიზა — ობიზ-არ-ი, გარეჯი — გარეჯ-არ-ი...), ხოლო ადგილს, სადაც გომარელები („გომელები“) დაესახლებოდნენ, გომარ-ეთ-ი შეიძლება შერქმეოდა. გომარეთი ზუსტად ისევე ჩანს გაფორმებული, როგორც ქობარეთ-ი (იხ. ქვემოთ).

გომარეთის მიხედვით არის გაფორმებული ცნობილი ქართული გვარი გომარეთელი („გომარეთელი“, „გომარელი“). მაშასადამე, გომარეთი უნდა გავიგოთ როგორც „სოფელი, რომელიც გომიდან გადმოსულ ხალხს დაუარსებია“.

უკანასკნელ ხანს ქართული ტოპონიმის მკვლევარმა, გეოგრაფოსმა კ.ხარაძემ გამოთქვა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტოპონიმი გომარეთი, თურმე გომურთან, სანახირე ადგილთან ყოფილა დაკავშირებული. ის წერს: „გომარეთის წარმოშობა გომართან<sup>284</sup> უნდა იყოს დაკავშირებული... ეტყობა ნასოფლარის (საუბარია ატენის ხეობის ნასოფლარ გომარეთის შესახებ, გ.ბ.) მიდამოებში ფერმები იყო გაშენებული და სანახირე ადგილებს გომარეთს უწოდებდნენ“. ავტორი აქვე დასძენს: „ქვემო ქართლისა და ატენის ხეობის ეს სახელწოდებები (გომარეთი, გ.ბ.) გომურთან, სანახირე ადგილთან არის დაკავშირებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არიან წარმოშობილი“.<sup>285</sup>

---

<sup>282</sup> მასში, მართალია, გამოყოფენ -ეთ სუფიქსს, მაგრამ ამოსავალ გომარ-ფუძეს გაურკვეველი მნიშვნელობის ერთეულად მიიჩნევენ (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე , ქვეს I, თბ., 1973, გვ. 138).

<sup>283</sup> ს . ჭ ი ქ ი ა , გვდ ტ II, თბ., 1941, გვ. 15.

<sup>284</sup> კორექტურული შეცდომა ჩანს. უნდა იყოს: გომურთან.

<sup>285</sup> კ . ხ ა რ ა ძ ე , ატენის ხეობის ტოპონიმები: კრებ გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. XVIII, თბ., 1990, გვ. 115.

აღნიშნული თვალსაზრისის გაზიარება არ შეიძლება, რადგან იგი ძირითადად სიტყვათა მსგავს ფონეტიკურ ქლერალობაზეა აგებული. უ → ა პროცესი (გომურ- → გომარ-) ენამ საერთოდ არ იცის.

**ბორღ-ი** ისტორიული სოფელი იმერეთში (ზონის რ.). სახელწოდება გორდის წარმოშობის ისტორიით აღრიდანვე დაინტერესებულან. კჰანი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აცხადებდა, გორდი ბაყაყს ნიშნავსო.<sup>286</sup> 1970-80-იან წლებში რუსი მეცნიერების ერთი ნაწილი ტენდენციურად ცდილობდა ქართულ ტოპონიმიში სლავური გავლენების „აღმოჩენას“ ესკურლატოვი, მაგალითად, უცერემონიოდ აცხადებდა, თბილისიც და გორდიც სლავური წარმოშობის ტოპონიმები არიანო.<sup>287</sup> როგორც ჩანს, ისტორიის მეცნ. კანდიდატ სკურლატოვს გორდი ისეთივე რუსულ სახელწოდებად მიაჩნდა, როგორცაა Грозный („უდრეკი, მრისხანე, შეუბოვარი“). ტოპონიმ გორდის წარმოშობის გარკვევაში ზოგმა ქართველმა ისტორიკოსმაც თქვა თავისი სიტყვა, თუმცა სრულიად წარუმატებლად: ა.სვანიძე მაგალითად, ქართულ გორდს პარალელს მცირე აზიაში, ფრიგიაში უძებნიდა, რადგან თურმე იქაც არსებობს ქალაქი გორდიონი.<sup>288</sup>

ზალხური ტრადიციული ცნობა ტოპონიმ გორდს ზის პატარა გობის იმერულ სახელწოდება გორდიასთან აკავშირებს: აქაური ხელოსნები გორდიების დამზადებით იყვნენ ცნობილნი და სოფელსაც მიტომ შეარქვეს ასეთი სახელიო.

ტოპონიმ გორდის წარმომავლობის თაობაზე საყურადღებო ვარაუდი გამოთქვა ბ.ჯორბენაძემ, რომელმაც გორდი ორი სიტყვისაგან შედგენილ სახელად მიიჩნია. მკვლევარის მიხედვით გორდი გორდიდი-საგან გვქონია მიღებული.<sup>289</sup>

უნდა ითქვას, რომ ქართულ ტოპონიმიში თითქმის არ შეინიშნება საზღვრული სიტყვა დიდი-ს შემოკლების შემთხვევები; ერთადერ-

<sup>286</sup> СМОПТК, 40, Тифл., 1909, გვ. 38.

<sup>287</sup> იხ. მისი Свет светоносных, კრებ. Тайны веков, М., 1978.

<sup>288</sup> იხ. გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბ., 1965, გვ. 4.

<sup>289</sup> ბ. ჯორბენაძე, ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე) ტ. XXV, თბ., 1986, გვ. 28.

თი მაგალითი, თუ არ ვცდებით, სკურდი (- სკურდილი) უნდა იყოს; ჩვეულებრივ კი საზღვრული „დიდი“ ტოპონიმებში უცვლელად არის წარმოდგენილი: გადიდი, ზუგდიდი, მარადიდი, ზენდიდი, ჭყონდი-დი, კონდიდი, მსხალდიდი... ენაში არ იძებნება ასეთი წარმოების ტოპონიმები: გადი, ზუგდი, მარადი, ზენდი, ჭყონდი, კონდი, სხალდი... ამიტომ თითქოს მოულოდნელი უნდა ყოფილიყო ნათელი შინაარსის მქონე გორდიდი-საგან სემანტიკურად გაუცნობიერებელი გორდი-ს წარმოქმნა. მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ, გამონაკლისთან გააქვს საქმე.

**ბრიბალაში-ი** სოფელი ხარაგაულის რაიონში (ზევის სას. საბჭო). ვახუშტი ბატონიშვილი გრიგალათს ხეფინის-ხევში შემაჯალ სოფელთა შორის ასახელებს.<sup>290</sup> მისეული აღწერის მიხედვით გრიგალათი წაქვა-ხევის-ჯვარსა<sup>291</sup> და ციციქიურ-მლაშეს შორის არის მოთავსებული.

სახელწოდება გრიგალათი ისეთივე -თ- სუფიქსიანი წარმონაქმნია, როგორც არაერთი დასტურდება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ. გურია-იმერეთის ტოპონიმიში: კახა-თ-ი, ბერძენა-თ-ი, გრძელა-თ-ი, ფიქალა-თ-ი, ცქრიალა-თ-ი;<sup>292</sup> ჩიბა-თ-ი, ბობოყვა-თ-ი, კვაჭალა-თ-ი, გელა-თ-ი, მამა-თ-ი, ჩოჩხა-თ-ი<sup>293</sup> და სხვ. მათი დიდი ნაწილი წარმოშობით ანთროპონიმულია. ასეთივე შინაარსის უნდა იყოს ტოპონიმი გრიგალათი, რომელიც ეფუძნება გვარ გრიგალაშვილს და ნიშნავს „გრიგალაშვილების სოფელი“.

აღგილობრივ მოსახლეობაში პოპულარულია გადმოცემა, რომლის მიხედვით ამ სოფელში ცხოვრობდნენ ცნობილი მეგრიგლეები

---

<sup>290</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ. 1941, გვ. 204.

<sup>291</sup> თანამედროვე სასოფლო საბჭოს ცენტრის — ზევის — სახელწოდება ვახუშტისდროინდელი ზევი-ჯვარის შემოკლებული სახეობა ჩანს. ტოპონიმის საზღვრული სიტყვა „ჯვარი“, საფიქრებელია, იმ პირთა „შემოქმედების“ ნაყოფია, რომლებიც ჩვენი ს-ის 30-40-იან წლებში ენერგიულად „იღვწოდნენ“ ძველი ქართული ქრისტიანული შინაარსის ტოპონიმების პირწმინდად ალაგმვისათვის.

<sup>292</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმიკა, I. ზემო იმერეთი, ბთ., 1987, გვ. 344-345.

<sup>293</sup> კრებ. ტოპონიმიკა II, თბ., 1980 (ინვერსიული ექსიკონი).

ანუ წნელის ღობის გრიგალით თავგადამხვევები. შდრ. ზემოიმერული გადაგრიგლვა, გადაგრიგლულ-ი [ღობისთავეები] მსხვილი წნელით გადაწული, გადაქსოვილი, გრიგალგაკეთებული.<sup>294</sup> „გრიგალით ნაქსოვი ღობე ზოლებიანივით არი“, „მესრის თავზე გრიგალს გადაავლებენ ხოლმე“.<sup>295</sup> გრიგალის ეს მნიშვნელობა საბას „სიტყვის კონაშიც“ არის დამოწმებული. გრიგალი აქ განიმარტება როგორც „დახვეული“.<sup>296</sup> ეს სიტყვა საერთოს ავლენს დიალექტურ გრკალ-გრიგოლ, -გრგოლ-||რგოლ- ფორმებთან.

სხვაგვარი ხალხური ვერსიით გრიგალათი სოფელს იმიტომ შე-რქმევია, რომ აქ ხშირად ქრის გრიგალი: „რიკოთულას თიდან წამოვა ქარი, ატყდება დიდზე, წამოვა რავალც ნიავღვარი, მოაქს თან ყოლი-ფერი, ასდის ორშივალი ამ ნავანების და ხეფნურის წყალს. რაც მისი კუთხულია, გეიტაცებს გრიგალი“.<sup>297</sup> ორივე გადმოცემა ხალხის პოეტური წარმოსახვისა და აზროვნების ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ.

**ბ შ ბ ა წ (ო უ ლ) - ი** ცნობილი მდინარეა გურიაში; სუფსის მარცხ. შენაკადი. აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს გუბაზეულ- ფორმაც, მაგრამ უპირატესობა გუბაზოულს უნდა მიეცეს, რადგან ამ კუთხიდან გამოსული დიდი პოეტის ანა კალანდაძის, აგრეთვე ნოდარ დუმბაძის ნაწერებში ეს მდინარე გუბაზოულის სახით არის დადასტურებული:

„თოვლი აქარა-გურიის მთების,

ჩემეულ მთათა...

მცირე წისქვილი გუბაზოულზე,

ჩემს ეზოს კართან...“ (ანა).

„ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზოული ჩაუდის, მარცხნივ — ლაშის დეღე, რომელიც სავსეა კიბორჩხალებით, ღორჯობით და შარვა-

<sup>294</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 69.

<sup>295</sup> პ . გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე , იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976, გვ. 47.

<sup>296</sup> ს უ ლ ხ ა ნ . ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 173.

<sup>297</sup> ს ჯ .

ლაკაპიწებული ბიკეებით“.<sup>298</sup>

ჰიდრონიმი გუბაზოული (გუბაზეული) თანამედროვე ქართველ სპეციალისტთა (ა.ლ.ლონტი, ზ.ქუმბურიძე, შ.გოგატიშვილი...) მიხედვით უკავშირდება ძველი კოლხეთის (ლაზიკის) ლეგენდარული მეფის გუბაზის სახელს.<sup>299</sup> მასასადამე გუბაზოული||გუბაზეული უნდა გავიგოთ როგორც „გუბაზ მეფის მდინარე“, „გუბაზისეული წყალი, ხევი“. თვალსაზრისი ახალი არ არის. თვით დიდი ივანე ჭავჭავაძის მიხედვით ჰიდრონიმი გუბაზეულს ზანური (მეგრული) წარმოშობის სახელად თვლიდა, რაკი მასში ლაზიკის მეფის გუბაზის საკუთარ სახელს მოიძიებდა. ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდა შემდგომ ი.მეგრელიძე.<sup>300</sup>

მდინარის სახელწოდების გუბაზ მეფესთან დაკავშირების ცდას, ჩენი აზრით, არსებითი ხასიათის დაბრკოლებანი ახლავს. რაც მთავარია, ჰიდრონიმი გუბაზოული ახალი წარმონაქმნია; მას არ იცნობს არც ქართული საისტორიო წყაროები და არც ვახუშტი ბატონიშვილი. არადა ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ ასახელებს გურიის თითქმის ყველა, იმდროისათვის მეტნაკლებად ცნობილ, გეოგრაფიულ ობიექტთა საკუთარ სახელებს. ვახუშტი იცნობს ისეთ ტოპონიმებს და ჰიდრონიმებს, როგორიცაა: ლანჩქუთი, ჭუმათი, სუფსა („მდინარე სუფსეი“), ბაზვის წყალი, ბაილეთი, აკეთის წყალი, ხინო, ხინოსწყალი, ლეხეური, ჩაქვისწყალი და სხვ. მრ., მაგრამ არ იცნობს გუბაზოულს.<sup>301</sup> ეს მდინარე დასახელებული არა აქვს არც იოანე ბატონიშვილს.<sup>302</sup> უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰიდრონიმი გუბაზოული მომდინა-

---

<sup>298</sup> ნ. დ. უ. მ. ბ. ძ. ე., მე ბებია, ილიკო და ილარიონი, თბზულ. წ. I, თბ., 1988, გვ. 43.

<sup>299</sup> ა. ლ. ლ. ო. ნ. ტ. ი., ტოპონიმიკური ძიებანი I, თბ., 1971, გვ. 37; ზ. ქ. უ. მ. ბ. უ. რ. ი. ძ. ე., რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 179; შ. გ. ო. გ. ა. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., საქართველოს გეოგრაფ. სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., 1981, გვ. 15.

<sup>300</sup> იხ. ლაზურ-მეგრული ენობრივი დანაშრკვევები გურულში, მოსკ.-ლენინგრ., 1938, გვ. 91 (რუს. ენაზე).

<sup>301</sup> ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., აღწერა, გვ. 175-176.

<sup>302</sup> ი. ო. ა. ნ. ე. ბ. ა. ტ. ო. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.

რეობს არა ძველი კოლხეთის (ლაზიკის) მეფის გუბაზის სახელისაგან, არამედ რომელიმე აქაური მცხოვრების პიროვნული სახელისაგან, რა-ზედაც კუთვნილების -ოულ სუფიქსიც ნათლად მიგვანიშნებს. საფიქრე-ბელია, რომ გუბაზოული თავდაპირველად ეწოდებოდა ვინმე გუბაზის კუთვნილ ადგილ-მამულს, ხოლო შემდგომ ეს სახელი შეერქვა ამ ობი-ექტის შორიახლო ჩამომდინარ მდინარე-ხევისაც და საბოლოოდ ჰიდრო-ნიმად (მდინარის სახელად) იქცა. ადგილობრივ გავრცელებული ხალხუ-რი გადმოცემის მიხედვითაც მდ.გუბაზეულის ხეობა ძველად რომელი-ღაც ფეოდალის (გუბაზის) საკუთრება ყოფილა,<sup>303</sup> რაც ტრადიციული ისტორიული ვერსიის ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ.

**ბუღამაყარ-ი** ხეობა, კუთხე აღმოს. საქართველოს მთიანეთში (დუშეთის რ.). ადგილობრივ გავრცელებული და პოპულარული თქმუ-ლების მიხედვით სოფელს ეს სახელი იმ ამბის შემდეგ შერქმევია, როცა მექორწილე ვაჟის მყარებს ქალის მყარი შინ ცარიელი გულებით გაუშ-ვიათ (მიხა წიკლაური, დ.ფასანაური). ეს ხალხური ვერსია (გულა და მყარი) იმთავითვე ისე გავრცელებულა, რომ ზოგიერთ სპეციალისტს სინამდვილედ მიუჩნევია. ჩვენი მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი მკვლევარი კ.ჰანი თვლიდა, რომ გუღამაყარი სიტყვა გუღისაგან („Кожаный мешок“) მომდინარეობდა; ოღონდ იგი მეორე მყარ- ფუ-ძეს რატომღაც ზმნურ შემოკვრას (მიბმა, შებმა) ფორმებს უკავშირებ-და: ამ სწრაფ მდინარეს ისე ვერ გადახვალ, წელზე გულა თუ არ შემო-იკარიო.<sup>304</sup>

მთიულეთ-გუღამაყრის ტოპონიმის მკვლევარი გ.ხორნაული თვლის, რომ სახელწოდება გუღამაყრის „ასახსნელად ჭერჭერობით არა-ფერი მასალა არ მოგვეპოვება“, თუმცა დამატებით შენიშნავს: „აქაც იგივე სიტყვა „გულა“ უნდა გვქონდეს, რაც გუღარეხში, გუღარუხსა და გუღანში გვაქვს“.<sup>305</sup> მკვლევარი არაფერს გვეუბნება ტოპონიმის მეორე შემადგენელი მყარ- ფუძის შესახებ.

სახელწოდება გუღამაყრის გულა და მყარი სიტყვებისაგან მო-

<sup>303</sup> სფ.

<sup>304</sup> СМОМПК. 40, Тифл.. 1909. გვ. 40.

<sup>305</sup> გ. ხორნაული, მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 150.



მდინარეობა დღესაც ბევრ მკვლევარს სარწმუნოდ მიაჩნია. „თუ ამ ხეობას არ მივეშველეთ, — წერდა ნიკო კეცხოველი, — ე გუდამაყრელები აქედან უნდა აიყარონ და აი, მაშინ გამოჩნდება, რომ აღარც გუდა აქვთ და აღარც მაცხად ვარგანან!“<sup>306</sup>

გუდამაყარი, როგორც ქვეყნის, კუთხისა და ეთნოლოგიური სახელი, ქართულ საისტორიო-ეკონომიკურ ძეგლებში XI საუკუნიდან არის ცნობილი. დიდი ქართველი მემკვიდრე ლეონტი მროველი გუდამაყარს მოიხსენიებს მთის მოსახლეობის გაქრისტიანებასთან დაკავშირებულ ამბებთან ერთად. მემკვიდრე, კერძოდ, აღწერს იმ ამბავს, როცა წმ. ნინო და ეპისკოპოსი იოვანე რომელიღაც ერისმთავრის (ალბათ, არაგვის ერისთავის) თანხლებით ცდილობდნენ „მთეულთა... ქართალელთა, ფხოველთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა...“ ქრისტეს რჯულზე მოქცევას, მათ კი ნათლისღება უარუყვიათ...<sup>307</sup> მეორე უძველესი ცნობა გუდამაყარისა და გუდამაყრელების შესახებ დაცულია ერთ-ერთ ძველ წერილობით ძეგლში, რომელსაც „ნიკორწმინდის იადგარი“ ეწოდება. იგი შექმნილია XI საუკუნის მიწურულს, 1071-1080 წლებს შორის. „იადგარში“ აღნიშნულია ის ფაქტი, რომ მელქისედეკ ქართლის კათალიკოსს ვინმე დებორიანის ძისაგან უყიდა ერთი „პარტახტი“, რის საფასურადაც მას გადაუხდია ცხენი და ჩაბალახი გუდამაყრული.<sup>308</sup> ამ ცნობაში უთუოდ საყურადღებოა ის მინიშნება, რომ გუდამაყრელი შინამრეწველები ოდითგანვე ჩაბალახების ანუ ჭაჭკის ქულების ქსოვით ყოფილან განთქმულნი. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გუდამაყრელთა ვახუშტისეული დახასიათებაც: „და არს გუდამაყრის ხეობა მაგარი... კაცნი და ქალნი მგზავსნი მთიულთა, ხელოსანნი, მშვილდთ-მოქმედნი, აკეთებენ რქისაგან მკიხვისა, თხისაგან და ხართაგან“.<sup>309</sup> ამ მონათხრობიდან რამდენიმე მომენტზე შეიძლება ყურადღების შეჩერება: ა) ვახუშტი ბატონიშვილი გუდამაყრელებს ტომობრივ-ეთნიკური თვალსაზრისით მთიულთაგან განასხვავებს; ისინი მთიულთა მსგავსი ხალხიო. ბ) გახაზულია

<sup>306</sup> ნ . კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი , მორბის არაგვი, არაგვიანი, თბ., 1971, გვ. 209.

<sup>307</sup> ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 125.

<sup>308</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III (ის . დ ო ლ ი ძ ი ს რედაქციით) თბ., 1970, გვ. 27.

<sup>309</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 65.

გუდამაყრელთა შინამრეწველობის მაღალი დონე; მათი საქმიანობა ძირითადად ჩაბალახისა „თავს სახურავი ლიტონი ჯაქვი“ (საბა) და მშვილდ-ისრის დამზადება ყოფილა. ამ ვითარების გათვალისწინებით ჩნდება ვარაუდი გუდამაყრელთა მეზობელი რეგიონიდან მოსულობის შესახებ. საიდან უნდა მოსულიყვნენ ამ ხეობაში გუდამაყრელები? დარგობრივი შინამრეწველობისა და ზოგი სხვა ეთნიკური ნიშან-თვისების მიხედვით ძველ გუდამაყრელებს ბევრი რამ ანათესავებს ხევსურებთან. და მართლაც ხევსურეთის მოსახლეობაში დღესაც ცოცხლობს რწმენა იმის შესახებ, რომ ეს კუთხე ხევსურთა „ნასადგომარია“: „ამ ჩვენ სალოცავებს იმიტომ მასდევნენ ეგ ხალხი, რო ჩვენი ნასადგომარია“.<sup>310</sup>

„სამნი ძმანი ყოფილან, ლეკების დაქცეულნ: ერთ ძმა ფაფარენას დამჩალ, კოკლაი, ერთ გუდამაყარ წასულ, ერთ ამლას გადასულ...“<sup>311</sup>

თვითონ გუდამაყრის მკვიდრთა შორისაც ჯერ კიდევ ცოცხლობს გადმოცემა მათი ხევსურეთიდან მოსულობის თაობაზე:

„სუ აღრევა... ხევსურები ვართ, იქით ვართ გადმოსულნი, მას აქათ იქნება ათი მამა“.<sup>312</sup> ასევე, ხომ არ მიგვანიშნებს ხევსურ-გუდამაყრელთა საერთო წარმომავლობაზე ერთი ხევსურული ხალხური ლექსი, რომელშიც შექმბულია ხევსურებისა და გუდამაყრელების სიქველე, მეზობელი ფშავლებისა და მთიულების ვაჟკაცური თვისებები კი ტენდენციურად არის დამცირობულ-დაკნინებული:

„ხევსურო, ხმალი გალადებს, მშაველო — ენა გძელიო;

გუდამაყრელო — მაჟარი-ტყვია გამასდის ცხელიო;

მთიულო — ქადის კვერები, გული თუ უძე სქელიო“.

ხევსური მოსახლეობის აქ მოსულობის შესახებ სარწმუნო ცნობებს გვაწვდის აკად. ა.შანიძე,<sup>313</sup> აგრეთვე ცნობილი ეთნოგრაფები გ.ჩიტაია, ვ.ბარდაველიძე, რ.ხარაძე, ალ.რობაქიძე, თ.ოჩიაური...

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გუდამაყრის ხეობის სოფ. ზამთრეულში მოსახლე კეკიშვილები შთამომავლობით გუ-

---

<sup>310</sup> გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, გვ. 55.

<sup>311</sup> იქვე, გვ. 58-59.

<sup>312</sup> ი. ვ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიია, ი. ვ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბ., 1961, გვ. 80.

<sup>313</sup> ა. შანიძე, თხზ. ტ. I, თბ., 1984, გვ. 9.

დანის თემში მცხოვრები ქინკარაულები ყოფილან და რომ ისინი ახალ მამათა სახელის მიხედვით კეკიშვილობაზე გადასულან და საბოლოოდ სოფ. სალაჭურში დასახლებულან.<sup>314</sup> ხევსურთა გუდამაყრის ხეობაში გადმოსვლის ცალკეული ფაქტები ნებისით თუ უნებლიეთ გვიბიძგებს იქითკენ, რომ სხვაგვარი თვალით შევხედოთ ტოპონიმ გუდამაყრის წარმოშობის ისტორიასაც. გუდამაყარი, ჩვენი ვარაუდით, ორი სიტყვის შერწყმით ჩანს მიღებული: გუდან-ნაყარი, რაც სოფ. გუდანის განაყარი ხალხის ახლო სამოსახლო ადგილად უნდა გავიაზროთ. გამოთქმა გუდანნაყარი დროთა განმავლობაში ხალხს გუდა და მაყარ სიტყვებლად გაუაზრიალებია.

ერთი დიდი გვარის წევრთა განაყრობის მიხედვით ტოპონიმების შექმნა უცხო არ არის საერთო ქართული ტოპონიმისათვის. ეს პროცესი განსაკუთრებით კარგად შემონახულა მთიან სამეგრელოში, სადაც ნაყარი ანუ განაყრობა სიტყვა ნარყი-თ აღინიშნება. სოფ. პირველ კოლაში (ჩხოროწყუს რ.) უბნების სახელწოდებად გვხვდება: თანაფთაში ნარყი („თანაფთას განაყრობა“), უტუნაში ნარყი („უტუნას ნაყარი“), კურუმიაში ნარყი და სხვ.მრ.<sup>315</sup>

საბოლოოდ გუდამაყარი ხევსური მოსახლეობის არაგვის ხეობაში ნაწილობრივი მიგრაციის შედეგად წარმოქმნილი სახელი ჩანს; იგი ამ ისტორიული პროცესის ამსახველი ტოპონიმი უნდა იყოს.

**ბუღაშურ-ი** ცნობილი სამთო-კლიმატური კურორტია ჯვრის უღელტეხილზე (ყაზბეგის რ.). აქ აიგო დიდი სათბილამურო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში. ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე ცოცხლობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფლის სახელწოდება თურმე სიტყვა გუდასთან ყოფილა დაკავშირებული: აქაური მცხოვრებნი ზურგიდან გუდებს არასოდეს იშორებდნენ და ამიტომ სოფლისთვისაც გუდაური შეურქმევიათო. ჩვენი ვარაუდით სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალი უნდა იყოს ღუდა, ღუდის მთა. საგულისხმოა, რომ XVIII საუკუნის და-

<sup>314</sup> რ. ხ ა რ ა ძ ე , ა ლ . რ ო ბ ა ქ ი ძ ე , მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 11, 18.

<sup>315</sup> კ . ც ხ ა დ ა ი ა , მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 89.

მღევისათვის აქ არსებულ სოფელს სწორედ ღუდა რქმევია.<sup>316</sup> ტოპონი-  
მი ღუდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებასაც დაუცავს: „აბუნტებულან  
ღუდლები, მთაზე შიშია მტრისაო“.<sup>317</sup>

სახელწოდება ღუდა მოგვიანებით კუთვნილების -ურ სუფიქსით  
გაფორმებულა და ღუდა-ურ-ი მიგვიღია. იგი ნიშნავდა და ნიშნავს:  
„სოფელი, რომელიც ღუდის მთის სიახლოვეს არის გაშენებული“, „ღუ-  
დის მთის სოფელი“. მოსალოდნელია, რომ ქართული ღუდაური XIX  
საუკუნეში რუსული გზამკვლევებისა თუ რუკების შედგენასთან დაკავ-  
შირებით გუდაურად იქცა (ღ-ანის გ-ანად დაწერილობის გზით), რაც  
არცთუ იშვიათად ხდებოდა სხვა ქართული ტოპონიმების მიმართაც.<sup>318</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდა გუდაურის ანთროპონი-  
მული წარმოშობის (საკუთ. სახელი გუდა) ტოპონიმად მიჩნევის თაო-  
ბაზე,<sup>319</sup> მაგრამ როგორც ვნახეთ, იგი სულ სხვაგვარი წარმოშობის ერ-  
თეულია — გეოგრაფიულ სახელწოდება ღუდას უკავშირდება.

**გუთანდამპალა** ადგილმდებარეობის სახელი ს.ნინოწმინდის  
(საგარეგოს რ.) ჩრდილოეთით, ტყეში. სახელწოდება, ადგილობრივ გა-  
ვრცელებულ გადმოცემას თუ დაეუჭერებთ, უკავშირდება ვიდაც მიწის-  
მზომელების თუ არქეოლოგების მიერ შემთხვევით აღმოჩენილი დამიწე-  
ბული გუთნის პოვნის ფაქტს. „მიწაში ეპოვნათ ჟანგისგან შექმული,  
დამპალი გუთანი და აგილსაც ამიტომ შეარქვეს გუთანდამპალაო“.<sup>320</sup>  
ამ გადმოცემის არარეალურობა აშკარა გახდება, თუკი გავითვალისწი-  
ნებთ იმ ფაქტს, რომ გუთანდამპალას მიდამოებში შემონახულია წმ.  
ელეას სახელობის ძველისძველი ეკლესია, წმ. ელეას კი, როგორც ცნო-  
ბილია, ქართველი ხალხი ოდითგან მიწის ნაყოფიერებას (წვიმის მოყვა-

<sup>316</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 35.

<sup>317</sup> ს შ ა კ ა ლ ა თ ი ა , ხევი, თბ., 1934, გვ. 62.

<sup>318</sup> ი ბ . გ . ხ ო რ ნ ა უ ლ ი , კარტოგრაფიული მასალა როგორც წყარო  
ქართული ტოპონიმის შესასწავლად: კრებ. ონომასტიკა, თბ., 1987, გვ. 247,  
249...

<sup>319</sup> ბ . ც ხ ა დ ა ძ ე , ქართული გვარ-სახელების ჩამოყალიბებისათვის, „მაცნე“  
(ელს), № 1, 1988, გვ. 150.

<sup>320</sup> სფ.

ნა, დარიანობა) შესთხოვდა. გვალვის დროს გლეხები ლაზარობას მართავდნენ, თოჯინებს წყალში ყრიდნენ, წვიმის იმიტირებას ახდენდნენ; წვიმის მოყვანის ერთ-ერთი რიტუალი ყოფილა გუთნის წყალში ჩატოვება ან წყლით გაწუწვა (დალბობა). ტოპონიმი გუთანდამპალა ადგილს სწორედ ამგვარი რიტუალების გამართვის გამო შერქმევია: „ადგილი, სადაც ხალხი ელიას ავდარს შესთხოვდა, გუთანს წყალს ასხურებდა“.

**გულსუნდა||გელსუნდა** სოფელია ჯავახეთში, ხერთვისიდან 3 კმ-ის დაშორებით. ამჟამად გულსუნდაში აქარელთა 20-მდე ოჯახი სახლობს. როგორც გელსუნდის განმარტებისას აღვნიშნავდით, ტოპონიმი-სათვის ამოსავალია თურქ. *gel* „ტბა“ და ქართ. *წუნდა* (წუნდის ტბა), რომელიც **გელსუნდიდან** (ამჟამინდელი გულსუნდა) არც თუ ისე შორს, 9-10 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. მაშასადამე **გულსუნდა** (**გელსუნდა**) უნდა გავიაზროთ როგორც *gel çunna* „ტბა-წუნდა“; „სოფელი, რომელიც წუნდის ტბასთან მდებარეობს“.

**გუნათლი||გუნათლის ვან-ი** ისტორიული ძეგლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ტაო-კლარჯეთი). სავანე, როგორც გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაშია ნათქვამი, ნეტარ მამას, დიდ მამულიშვილს **გრიგოლ ხანძთელს** აუგია IX საუკუნის დასაწყისში, აშოტ კურაპალატის (813-826 წ.წ.) ზეობის დროს: „ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება ყო გულს-მოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობელად. ჯუარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათა, რომელსა აწ ჰრქვიან **გუნათლის ვანი**“.<sup>321</sup> ბ.ინგოროყვას ცნობით ეს სავანე დღემდე შემორჩენილა **გურნათელის** სახელწოდებით.<sup>322</sup>

ტოპონიმი **გუნათლე**, ჩვენი ვარაუდით, უნდა მომდინარეობდეს ძვ. ქართული აღმატებითი ხარისხის **უ-ნათლე**-ე ფორმისაგან,<sup>323</sup> რაც ნიშნავს: „ძალზე ნათელი, მზისგული, მზიანი ადგილი“, „ადგილი, რომელსაც მზე ხშირად ანათებს“. რაც შეეხება თავკიდურ **გ-** თანხმოვანს,

<sup>321</sup> ძქალძ 1, თბ., 1964, გვ. 260.

<sup>322</sup> ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 381, სქ. I.

<sup>323</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 56, § 80.

ის ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული. ეს რომ ასეა, ამას ძველ ქართულს ენობრივი მონაცემებიც ცხადყოფენ. „ქართლის მოქცევით“ რედაქციებში დადასტურებულია ტოპონიმი გუასპურაგანი, ვასპურაგანი (ქართლის, სომხითისა და სივნიეთის გვერდით).<sup>324</sup> ამ ტოპონიმშიც თავიკიდური უ- ხმოვნის წინ გ ფონეტიკურად არის განვითარებული, რადგან „მოქცევის“ ერთ-ერთი რედაქცია გუასპურაგანს უგანოდ, უასპურაგან (||ვასპურაგან) ფორმით წარმოგვიდგენს. გ- თანხმოვნის განვითარება თავიკიდურ პოზიციაში წყვილბაგისმიერი ვ-ინის ბეზობლად ქართული ენის დასავლური და აღმოსავლური (მთის) დიალექტებისათვის დღესაც ნიშანდობლივია.<sup>325</sup> საბოლოოდ: გ-უ-ნათლ-ე ნიშნავს: „უ-ნათელ-ეს-ო“ ანუ: „მზიანი“ „მზვარე ადგილი“.

ბუნდამთ-ი სოფელია ზემო იმერეთში (ქიათურის საქ. საბჭო). აქაა გუნდაეთის წმ.გიორგის ეკლესია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალური ნაგებობა ზემო იმერეთში. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია სარწმუნო ვარაუდი აღნიშნული ტოპონიმის „გუნდა-ქვისაგან“ (შავი ქვა ანუ მანგანუმი) მომდინარეობის შესახებ.<sup>326</sup> ამ ვარაუდის მიხედვით გუნდაეთი ნიშნავს: „ადგილი, სადაც გუნდა-ქვა ითხრება“, „მარგანეცის მადნით მდიდარი ადგილები“. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ აკ.წერეთლის ცნობილი კორესპონდენცია „გუნდა ქვის ამბავი“ (1880 წ.), რომელიც მას შავი ქვის საბადოების აღმოჩენასთან დაკავშირებით გამოუქვეყნებია.

შეიძლება წარმოვადგინოთ სხვაგვარი მოსაზრებაც. იმერულ დიალექტში „გუნდა“ თავსაბანი მინერალური მიწის სინონიმად გვხვდება: „თავსაბანი მიწა... საქართველოში თითქმის ყველა სოფელს ადგილობრივ ჰქონდა. იგი იყიდებოდა კიდეც. ერთი „გუნდა“ ან „ალაპოტი“

<sup>324</sup> ძქალძ I, თბ., 1964, გვ. 92.

<sup>325</sup> ა რ ნ . ჩ ი კ ო ბ ა ვ ა , ქანურ-შეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 80; ვ ა რ ლ . თ ო ფ უ რ ი ა ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V. ვ სონანტის გადასვლა ღვ. გვ. ქვ-დ: შრომები, III, თბ., 1979, გვ. 57, 58.

<sup>326</sup> შ . გ ო გ ა ტ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., 1981, გვ. 16.

ღირდა დაახლ. 10 კაპიკი“.<sup>327</sup> თუ ამოსვლად „გუნდის“ ამ მნიშვნელობას დაესაზავდით, მაშინ სოფლის სახელი გუნდაეთი ასეც შეიძლებოდა გაგვეაზრებინა: „ადგილი, სადაც მოიპოვება გუნდა ანუ თავსაბანი მიწა“. ზემოიშვრეთის ტოპონიმიაში, სოფლის სახელწოდების გარდა, გვხვდება აგრეთვე „გუნდეების წყარო“, რაც გუნდამიწების წყაროდ უნდა გავიგოთ: „წყარო, რომლის სიახლოვეს იღებენ თავსაბან ანუ გუნდა მიწას“.

**ბ შ რ ი ა** საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, ისტორიული ეგრისის შემადგენელი ნაწილი. დღევანდელი გურიის ტერიტორია ადმინისტრაციულად ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონებს მოიცავს. მხარის სახელწოდება გურია დიდი ხანია სპეციალისტთა ყურადღების საგნად არის ქცეული, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მისი მეცნიერულად დასაბუთებული ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება.

სპეციალისტთა უმრავლესობა თვლის, რომ სახელწოდება გურია იმავე ძირის შემცველია, რაც ე-გურ-ის (||ე-გრ-ის) და მ-ე-გრის-ელ ანუ მ-ე-გრ-ელ- სახელებში გვაქვს. (ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, მ.ჯანაშვილი, პ.ინგოროყვა, ზ.ჭუმბურიძე...). მაგრამ ეს თავისთავად საინტერესო მოსაზრება, ვფიქრობთ, დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს. სპეციალისტთა შორის ცნობილია სხვაგვარი მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ტოპონიმ გურიისათვის ამოსავალი ყოფილა სატომო ტერმინი გვერ-, რომელიც, თავის მხრივ, ჰიბერ||ჰბერ, ჰივერ-||ჰვერ- ფორმების შეცვლის შედეგად გვექონია მიღებული (ჰ-ეს გ თანხმომენად ქცევის გზით). თვით ის ამბავი, რომ სატომი სახელად გვერ-||გურ- სიტყვას ქართული ისტორიოგრაფია საერთოდ არ იცნობს, მრავლისმეტყველი ფაქტია. ნ.მარი იმასაც კი აღნიშნავდა, ამ მხარეს ძველად სურია ეწოდებოდა, დღეს იგი სურებშილა შემოგვრჩაო.<sup>328</sup>

ვახუშტი ბატონიშვილი, საფიქრებელია, ემყარებოდა რომელიღაც ხალხურ ვერსიას, როცა მხარის სახელწოდება გურიას ზმნურ გურიაობასთან (გულის მოსვლა, გაბრაზება, გაგულისება...) აკავშირებდა. მისი თქმით გურულები, თავდაპირველად ქართლოსიანნი, ბაგრატიონთა მო-

<sup>327</sup> მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XXIII, თბ., 1987, გვ. 34.

<sup>328</sup> ნ. მ ა რ ი, აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ. რჩეული, IV. მ.-ლ., 1937, გვ. 48, 179; იხ. აგრეთვე მისი რჩეული თხზ. ტ. III, გვ. 184 (რუს. ენაზე).

რჩილნი ყოფილან, მაგრამ ეს მესხურენოვანი მოსახლეობა „გურიობით განდგომიან“ ოძრაზის ერისთავს და ლეონ აფხაზთა მეფეს მიმხრობიან.<sup>329</sup> სულხან-საბა ორბელიანი სიტყვა გურიობას ასე განმარტავს: მიდევნება არევით, თუ მიდევნება ოგურთა.<sup>330</sup> ეს უკანასკნელი სიტყვა კი მისივე გაგებით ნიშნავს: „პირუტყვნი მეგობარნი“, „პირუტყვი ერთად მყოფი“. ასე რომ ვახუშტისეული განმარტება ცნებისა „გურიობით განდგომილნი“ მთლად ნათელი არ არის.

თ.სახოკიამ ტაბონიმი გურია მეგრ. გურ- სიტყვას („გული“) დაუკავშირა, რაკი „გურული ცნობილია ბრაზიანობით...“ კუქიანობით“ და ამასთან გულადობითაც სწორუბოვარიაო“.<sup>331</sup> მკვლევარი ამასთანავე გვაწვდის ერთ ხალხურ ლეგენდასაც, რომელიც მას „ივერიაში“ გამოუქვეყნებია:

„ინდოეთის მეფეს შედათს ედემის ბალი გაუშენებია, ერი ღმერთად მიმიჩნევსო. მაგრამ მაინც დაუწუნებიათ, რანაირი სამოთხეა, შიგანგლოზები არ არიანო. უბძანებია მეფეს, მოიარეთ დედამიწა და სადაც კი ნახოთ „გურიები“ (ლამაზები), მე მომგვარეთო. მხლებლებმა მართლაც შეკრიბეს „გურიები“ და გაემართნენ ინდოეთს. კავკასიაში რომ მოსულან, გაუგიათ, რომ ღმერთს კანდიერებისათვის შედათი დაესაჯა... „გურიებმა“ ეს ამბავი რომ შეიტყვეს, უკან დაბრუნებაზე უარი თქვეს და გადაწყვიტეს ამ წალკოტივით მხარეში დაედოთ ბინა. მართლაც, „გურიები“ დასახლდნენ საქართველოში და მას მერე მათ კუთხეს გურია შერქმევიანო“.<sup>332</sup>

ქართულ ტაბონიმიში იშვიათია ისეთი სახელი, რომლის ირგვლივაც ამდენი თვალსაზრისი გამოეთქვათ სპეციალისტ-მკვლევარებს, ამის მიუხედავად, სახელწოდება გურია ჯერ კიდევ საქიროებს გულმოდგინე შესწავლას. მხარიც რომ დავუქიროთ ცნობილ ვარაუდს გურიის სატომო სახელისაგან (გურ-) ან მდ.ეგრისისაგან წარმომავლობის შესახებ, ბევრი რამ მაინც ასახსნელი დაგვრჩება. გარკვევას მოითხოვს, კერძოდ, რეალურად არსებობდა თუ არა გურების ტომი; ამას გარდა, თუ

<sup>329</sup> ვახუშტი, აღწერა, თბ., 1941, გვ. 174,13.

<sup>330</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. IV, თბ., 1965, გვ. 183.

<sup>331</sup> თ.სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 18.

<sup>332</sup> იქვე, გვ. 17-19.



გურია ეგრისისაგან მომდინარეობს, რამ გამოიწვია თავკიდურა ე ხმოვნის გაქრობა და, ბოლოს, რა ფუნქცია აქვს ტოპონიმ გურია-ში -თა სუფიქსს? ვიდრე ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხი არ გვექნება, მანამ გაგვიძნელებს გურიის წარმოშობაზე რისამე გადაჭრით თქმა.

**ბუშთა** ლიახვის ხეობაში (ყორნისის რაიონი) არის სოფლები, რომელთაც დიდი გუფთა და პატარა გუფთა ეწოდებათ. ხალხური გადმოცემა ამ ტოპონიმთა წარმოშობას რატომღაც საქმლის სახელწოდება გუფთას, ქუფთას უკავშირებს. შესაძლებელია ეს ხალხური ტრადიციული ცნობა ჰქონდა ხელთ კ.ჰანს, რომელიც სოფლის სახელ გუფთას სწორედ ასეთნაირად განმარტავდა: რომელიღაც თურქი ფაშა ბრძოლიდან დაბრუნებისას ამ სოფელში გარდაცვლილა; მისთვის მოუწყვიათ ქელეხი და ხალხს გუფთით გამასპინძლებიანო.<sup>333</sup> ამ ხალხურ ეტიმოლოგიას თავისი ძალა და დამაჯერებლობა დღემდე, როგორც ჩანს, არ დაუკარგავს: გორის რაიონის ს.ხიდისთავში არსებულ ვენახების სახელწოდება გუფთებს ასევე რატომღაც საქმლის სახელს ქუფთას უკავშირებენ: „ქუფთებივით დაჭრილ-დანაწევრებული მიწებია და ხალხიც ამიტომ ეძახის გუფთებსო“.<sup>334</sup>

ტოპონიმ გუფთის მეცნიერული ახსნა პირველად ვ.გამრეკელმა სცადა. მან, კერძოდ, დაუშვა, რომ გუფთა ქისტური (ჩაჩნური) ენობრივი სამყაროდან უნდა ყოფილიყო ქართულში შემოსული. გუფ- ქისტურად ბორცვს ნიშნავს, -თა ელემენტიც ქისტურია და ქართულ -ზე თანდებულს უდრისო. ამ ვარაუდის მიხედვით გუფთა უნდა გაგვეგო როგორც ბორცვზე („ბორცვზე გაშენებული სოფელი“, „ბორცვთან“).<sup>335</sup> ამ ვარაუდს არსებითი ხასიათის დაბრკოლებები ელოდება. პირველ რიგში სუფიქსი -თა არამც და არამც არ შეიძლება ჩაჩნურ (ქისტურ)

---

<sup>333</sup> СМОИИК 40, ტფილისი, 1909, გვ. 42 გუფთა|ქუფთა სპარსული წარმოშობის სიტყვაა; წვენში მოხარშული, დაკვილი ხორცის პატარ-პატარა გუნდებს ეწოდება.

<sup>334</sup> იხ. ნ. კ. რ. პ. ი. რ. ი. ძ. ე, მეტაფორული ტოპონიმების ერთი სახეობისათვის: ჟურნ. „ლიახვი“, 1978, გვ. 178.

<sup>335</sup> ვ. გამრეკელი, დვალეთის ტოპონიმის ანალიზისათვის: ისტორიის ინსტიტ. შრ., ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 60.

ელემენტად მივიჩნით, რადგან მისი ქართული წარმომავლობა ექვს არ იწვევს: იგი არის მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება; როგორც საწარმოებელი სუფიქსი, იგი დღეს მკვდარია, მაგრამ ისტორიულად მისი სამოქმედო არეალი საკმაოდ ფართო ყოფილა. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში პროფ. ვ.თოფურია გარკვევით მიუთითებდა, რომ საქართველოს ის გეოგრაფიული სახელები, რომელთაც -თა მოებოვებათ დაბოლოებად, „ქართულს ნიადაგზე უნდა აიხსნასო“.<sup>336</sup> ამის კვალობაზე დიდი მეცნიერი ქართულ სახელებად მიიჩნევდა ისეთ -თა სუფიქსიან ტოპონიმებს, როგორცაა: აკაურთა, ბალანთა, გომართა, გურიანთა, იკორთა, დვალთა, ხორანთა, მცხეთა, ქურთა... მათ გვერდით იყო წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი გუფთა-ც.<sup>337</sup> -თა სუფიქსიანი ტოპონიმები უძველეს ხანებშივე ენაში საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა: ბაკთა, თავი შეშათა, ვანთა, მოწამეთა, მოგეთა, ბერთა, ქურთა, ჯვართა, ჯავანთა ..

გეოგრაფიული სახელწოდება გუფთა, ჩვენი ვარაუდით, წარმოქმნილი ჩანს გუბე სიტყვისაგან. -თა სუფიქსის დართვას გამოუწვევია ბმედერის დაყრუება და მისი ფ თანხმოვნად ქცევა (ნაწილობრივი ასიმილაცია) გუბ-თა → გუფ-თა. საამისო მაგალითი ენაში არაერთი იძებნება. მთიულეთში, ხადის ხეობის დასაწყისში, კლდოვანი ადგილის სახელად დასტურდება ქოფთა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ქობ-თა, იგივე ქვაბ-თა („გამოქვაბული კლდეები“). აქაც ზუსტად ისეთი ფონეტიკური ცვლილება განუცდია სიტყვას, როგორც გუფ-თა სახელში დავადასტურეთ.<sup>338</sup> აღმოსავლეთ საქართველოს მიკროტოპონიმი-აში შეიძლება მოიძებნოს ათეულობით ისეთი ერთეული, რომლებიც გუბე სიტყვისაგან მომდინარეობენ. ისინი ხან იმავე -თა, სუფიქსით

---

<sup>336</sup> ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში: ჩვენი მეცნიერება, ტფილისი, 1924, №11-12, გვ 10: სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში 1, თბ., 1956.

<sup>337</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>338</sup> აკარაში (ზამლეთის სას. საბჭო) არის ტოპონიმი ქუფთაღელე (ი.სიხარ. 1958, გვ. 97). ამ შემთხვევაში, მართალია, ტოპონიმისათვის ამოსავალია სიტყვა ქუბი („სომინდის ჩალის ზვინი“), მაგრამ ფონეტიკური პროცესი (ბ+თ→ფ) ზუსტად ისევე მომხდარი, როგორც მთიულურ ქოფთა-ში.

არიან გაფორმებულნი, ხან კი — მრავლ. რიცხვის აღმნიშვნელი სართე-  
ბით. ს.ლისში (მცხეთის რ.), მაგალითად, არის ადგილი, რომელსაც  
გუფთა ეწოდება. ადგილობრივმა მცხოვრებმა ნინო კახურაშვილმა იგი  
ასე განმარტა: „სველი ადგილია, ერთვად წყლის გუბე დგას, წვიმების  
დროსაც და მშრალშიც“. ზუსტად ვევეე სახელი (მქლერი ვარიანტით)  
ადგილს ეწოდება გუდამაყარში, სოფ. ბახანში. აქაური ინფორმატორის  
ცნობითაც: „გუბე დგას იქ, წყარო გამოდის“.<sup>339</sup> მთიულეთში, ს.ღუმა-  
ცხოს აღმოსავლეთით გამოედინება წყარო, რომელსაც გუბთკრის  
(||გუფტკრის) წყარო ეწოდება. ამოსავალი აქაც, რა თქმა უნდა გუბ-  
თკარია („გუბეებიანი ადგილი“). ს.ართხმოში (ყაზბ. რ.) სათიბი მი-  
ნდვრის სახელად დასტურდება გუბ-ნი, იქვე ახლოს კი არის მეორე სა-  
თიბი მამული გუბთკალთა.<sup>340</sup> ს.კალერთაში (ახალგორის რ.) სასაძოვ-  
რე მინდვრების სახელად ჩვენ დავადასტურეთ გუფთებ-ი. ადგილობრი-  
ვი მცხოვრების ვ.ბალაშვილის სიტყვებით: „გუფთებს მამულებს ვეძა-  
ხით. ქანჭრობი ადგილებია, წვიმების დროს პატარა გუბე-ტბები დგე-  
ბა“. ს.ხევში (მთიულეთი, დუშეთის რ.) ერთ-ერთ ადგილს გუფთის  
ხეე-ი ეწოდება. ადგილთა სახელებად გუფთა||გუფთი არც თუ იშვია-  
თად დასტურდება ზემო იმერეთისა და ზემო აჭარის მიკროტოპონიმია-  
ში (ს.ს.სარგვეში, ვაქევი, ჩრდილი; ზედა მახუნცეთი...).

სახელწოდება გუფთის ასეთი გავრცელებულობა, ბუნებრივია,  
გამოგვარიცხვინებს ლიახვის ხეობაში არსებულ ტოპონიმ გუფთას ჩა-  
ჩნურ წარმომავლობას; იგი, როგორც ვთქვით, ქართული ენის ფაქტია.

— დ —

**დადიანეთ-ი** მაღალმთიანი ლამაზი სოფელია ქსნის ხეობაში  
(ლარგვისის სას. საბჭო, ახალგორის რ.). ადგილობრივ მას ზადილანს  
ეწოდებენ. სოფლის სახელწოდების წარმოშობას აქაური მოსახლეობა  
სამეგრელოს მთავრის დადიანის სახელს უკავშირებს: „ერთხელ მთავა-  
რი დადიანი სტუმრად ჩამოსულა ქსნის ერისთავთან. ჭერ უნადირნით,

<sup>339</sup> გ. ხო რ ა უ ლ ი , მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 150.

<sup>340</sup> ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 41.

მერე ქეიფსა და დროსტარებას მისცემიან. სტუმარ-მასპინძელს სანაძლე-ოზე ნარდი უთამაშიათ. თამაშში დადიანს უჯობებია და ჭილდოდ ეს სოფელი მიუღია. მოგებული სოფლისათვის მთავარს თავისი სახელი მიუტცია და სოფელს დადიანეთი შერქმევია. სამეგრელოს მთავარს რამდენიმე ხნის შემდეგ აქ თავისი ხალხი, იმერლები, გადმოუყვანია და დადიანეთში დაუსახლებია“ (სოფიო ბერიანიძე). ეს ხალხური გადმოცემა, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება, რამდენადაც ძველი ქართული საისტორიო და ეკონომიკური ძეგლები დადიანეთს, როგორც სოფელს, საერთოდ არ იცნობენ. ქსნის ხეობაში XV საუკუნის II ნახევრიდან ცნობილი იყო სოფელი დადიანეთი და არა დადიანეთი.<sup>341</sup>

სახელწოდება დადიანეთი სწორედ ამ ისტორიული დადიანეთისაგან ჩანს გადაზხრიანების გზის მიღებული. რაც შეეხება ცნობას დადიანის მიერ ამ სოფელში დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის მცირე ნაწილის გადმოსახლების თაობაზე, არც იგი გამოიყურება სარწმუნოდ, რადგან სოფლის უბნების ადგილობრივი (გვაროვნული) სახელწოდებანი: რევაზიანი, შალიანთკარი, ხადილაანი...<sup>342</sup> აგრეთვე აქ მოსახლე გვარების (ბერიანიძე, ხუციშვილი (ბერიანიძეთა განაყრობა), ჩოხელი, ოდიშვილი) სტრუქტურა დასავლური ანთროპონიმიის კვალს საერთოდ გამოგვარიცხვინებს.

თავის მხრივ ძველი დადიანეთიც ანთროპონიმიული (გვაროვნული) წარმომავლობის ტოპონიმი ჩანს: „დადიანაშვილების სოფელი“, „დადიანას სახლიშვილთა საცხოვრებელი ადგილი“, „დადიანანი“.

**დათოვლა** ადგილია ლეჩხუმში, სალპანაში (ცაგერის რ.). ადგილობრივი მოსახლეობა ამ სახელწოდებას დათვზე ნადირობის ამბავს უკავშირებს: „ერთხელ მონადირეები დათვზე სანადიროდ წასულან. მიუგნიათ ბუნაგისათვის. გამოსულა თურმე კამეჩისხელა დათვი, დაუბლიათ თოფები. კიდევაც დაუჭრიათ, მარა გაქცეულა. გამოკიდებიან და ამ დროს წამოსულა დიდი თოვა. წუთში ყველაფერი დაუფარავს. ისთე

<sup>341</sup> ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე , საისტორიო კრებული, წ. IV, ტფ., 1929, გვ. 9, მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 68.

<sup>342</sup> ჭ . გ ვ ა ს ა ლ ი ა , ქსნის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები: სიგვ. III, თბ., 1967, გვ. 34.

დათოვლა, ნაკვალევი თლა დაფარაო, — უთქვამს ერთ მონადირეს. დაათქვეს მას მერე იმ ტყეადგილს დათოვლა“ (თინა ბენიძე).

სინამდვილეში ობიექტის სახელწოდებაში აღნიშნულია, რომ ეს ადგილი უწინ ვინმე დათოს კუთვნილება ყოფილა, რაზედაც ნათლად მეტყველებს კუთვნილების აღმნიშვნელი -ოულ- სუფიქსი (ტოპონიმში იგი კილოური ფორმით -ოვლა-დ არის წარმოდგენილი). სახელწოდება დათოვლა რომ ნამდვილად დათოულა-საგან მომდინარეობს, ამაზე ცხადად მიგვანიშნებს ქვემო იმერეთის სოფ. გამოღმა ნოლაში (ზონის რ.) არსებული მიკროტოპონიმი დათოულ-ი, რომელსაც ნათელი და გამკვირვალე შინაარსის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა რატომდაც ისევ დიდდათოვლობას უკავშირებს: „ყველაზე მეტი თოვლის მოსვლა აქ იცოდა და ყველაზე გვიანაც შრებოდაო“, — მოგვითხრობენ გამოღმანოღელები.

**დაშაპქუა** ასეთი ადგილია დასახლებული XVI საუკუნის-დროინდელ დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მხარეში.<sup>343</sup> ეტიმოლოგიური თვალსაზრისით იგი სპეციალისტთა მიერ შესწავლილი არ ყოფილა. აშკარაა, რომ ტოპონიმი -ეთ სუფიქსიანია. ეს -ეთ სუფიქსი გართულებულია ა ხმოვნით, რაც ტოპონიმიკურ სახელწოდებებში ხშირად დასტურდება. (შდრ. მოწამეთა, არაგვეთა, მორძგვეთა, აკვანეთა, მეჩხეთა...). ფუძედ გვჩვენებს რთული შემადგენლობის დაფაქუ-, რომელიც ჩვენი ფიქრით სხვა არაფერია, თუ არა დაფა-ქუა (-ეთ- სუფიქსის დართვას ქუა სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის კვეცა გამოუწვევია). დაფა-ქუა ნიშნავს: „ქვაფიქალი“, „ფიქლოვანი ადგილი“, „ადგილი, რომლის ქანები სიბი ქვით არის ნაგები“. ტოპონიმიში დაფა სიტყვას ხშირად „ფიცარი“ (იგივე დაფა) ენაცვლება. ხევში (ყაზბეგის რ.), მაგალითად, არის ადგილები, რომელთაც ფიცარნი და ფიცართ ძირი ეწოდება. ამასთან ფიცარნი კლდოვან ადგილს რქმევია.<sup>344</sup> ხევის ტოპონიმიის მკვლევარი ვ.იოთნიშვილი ასეთ განმარტებასაც გვთავაზობს:

<sup>343</sup> იხ. საისტორიო მოამბე, II, ტფილისი, 1924, გვ. 44-45; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის I. თბ., 1964, გვ. 71.

<sup>344</sup> ვ. ი თ ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971, გვ. 31.

„ამ სახელწოდებით აღინიშნება ფიცარივით სწორი ზედაპირის მქონე ფიქალი კლდე“...<sup>345</sup> ფიცარისა და დაფა-სიტყვების იგივეობა კარგად არის დაცული ქართული ენის დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტებში.<sup>346</sup>

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი წარმოების ტოპონიმი დაფაქუეთა კარგად გადმოსცემს აღსანიშნი ობიექტის რაობას, მის გეომორფოლოგიურ ნიშნებს: „დაფაქუით ნაგები კლდოვანი ადგილები“, „ფიქალქვიანი ადგილები“, „ფიცარქვებიანი კლდოვანი მასივები“.

**დევდორაკი-ი** ცნობილი მყინვარია ყაზბეგის მწვერვალზე. იგი მდებარეობს მდ.ყაზახის სათავეში (თერგის მარცხ. შენაკადი), ხონის ქედზე, ადგილ დიდებულძიძის ნაბინავარისა და შევარდნის ბუდეს შორის. დევდორაკი მყინვარწვერის უდიდესი მყინვარია; მისი სიგრძეა 3 კმ., სიგანე კი 400 მეტრს აღემატება. აქ იღებს სათავეს პატარა ხევი დევდორაკის წყალი, რომელიც თერგს გველეთის ქვემოთ შეერთვის.

ხალხური ტრადიციული გადმოცემა დევდორაკს სიტყვა დევს უკავშირებს: „ერთ დევს რასმე უცხოვრია ყირენის ქონებში. ამ დევს, წითიწლამდე მიჰყოლებია ქალი-უთხოვარი, მიჰყოლებია თავისწვერაობაზე. შაღონდა თურმე ხალხი, ძაან რო გაუჭირა საქმე ამ დევმა, რო იმას აღარცრა არა ჰქმინობს. ამ შაღონებულ ხალხს ერთხალაც გაუგზანია კაცი, ელჩი, რაღა, რო შენ ეხლა ჩვენ უნდა დაგვეხსნა, სოფელს შენი არა ჰკიდია რა“<sup>347</sup> და რაზედ მიგყავს ეს ხელით დარჩეული ქალები! ოღონც შენ ხალხის მხრივ დაგვეხსენ და სხოს რასაც დაინებებ, იმას მაგისრულებთ, სხო რამით დაგითავსწორდებით. — არაო, — ამ დევს უთქომ. — რათა ხანია ადამიანის ხორცი დაეჰკვეთეო, კბილი აღარაფრისათვი დამიდგიაო... მენ ეხლა უნდა შავირთოო რომენიც ლამაზზე ლამაზი ქალაი კყავთ სოფელჩი, ის მინდა საცოლედაო, იმას რატო მიმაღავთო, ის გამამიგზავნეთ წილშიაო და დაგეხსნებითო! სახე

<sup>345</sup> იქვე, გვ. 61, შენ. 41.

<sup>346</sup> იხ. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა I, თბ. 1938, გვ. 21, სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა II, თბ., 1943, გვ. 54.

<sup>347</sup> (მობ.) არა მართებს რა.

თურმე დაემძღარა ამ კაცსა და არ კი გათხტა, ისრივ გუნებაში გაი-  
ლოცა,<sup>348</sup> რო შენი ჭიშ-ჭილაგიმც გაიქუქაო. ო და აბა, რაღა ქნას, რო  
ძალა, ნიედევ, იმასა აქუ! ესა ყოფილა კარქა გამადევილი ხმაგათქმული  
კაცი და ანდებე უთქომ, რო: — რომენი გინდა ცოლათაო, ცისიაო? —  
არაო, ცისიაი მცისიაო! — უფლისაო? — არაო, ეგ რადღა მინდაო,  
ეგაო ხეთისიაო! (გაუწყყრას იმისი მადლი!) — მაშ რომენიღაო, დორა-  
იო? — ჰო, დორაი კიო! იმას აქათ დაუძახნია ზალხსა, ის ყირენის ქო-  
ხები სადაც რო არი, იმ ადგილებისათვი დევი და დორაი, ბოლო-ბო-  
ლო კი ეხლანდელი სახელი დაწესკანონდა, სუყველა დევდორაკობით  
იტყვის“ (არჩილ ჩოფიკაშვილი, ს.ანანური).

როგორც ვხედავთ, ადგილობრივ მოსახლეობას ტობონიმ დევდო-  
რაკში სწორად ამოუცნია სიტყვა დევი, მეორე სიტყვა კი ქალის საკუ-  
თარი სახელისათვის (დორა) მიუმსგავსებია და თქმულბაც ამ სიტყვე-  
ბის მიხედვით შეუიხზავს. საინტერესოა, რომ დევდორაკის შინაარსის  
გარკვევით ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე დაინტერესებულან. კ.ჰანი ამ  
სახელწოდებაში ორ სიტყვას გამოყოფდა: დევ და დორა „ბალიში“.  
მაშასადამე, კ.ჰანს დევდორაკი გააზრებული ჰქონია როგორც „დევის  
ბალიში, დევის სასთუმალი“.<sup>349</sup>

1920-იან წლებში გამოცემულ ზოგ ქართულ წიგნში, დევდორაკი  
დევდარაკის სახით იყო წარმოდგენილი, სახელწოდების წარმოშობას  
კი ყინულის დევს უკავშირებდნენ.<sup>350</sup> უახლეს ოფიციალურ ლიტერა-  
ტურაშიც ტობონიმი დევდორაკი რატომღაც დევდარაკის ფორმით  
მოიხსენიება.<sup>351</sup> ასევე იკითხება ეს ტობონიმი სპეციალურ ლიტერატუ-  
რაშიც.<sup>352</sup> ამგვარ უზუსტობაში ვფიქრობთ, რუსი ინჟინერ-კარტოგრაფე-  
ბის მიერ შედგენილი ძველი რუკების მონაცემებს მიუძღვით ბრალი,  
თორემ ყაზბეგის რაიონის ტობონიმიის სპეციალისტებიც და არასპეცია-  
ლისტებიც ჩვენთვის საინტერესო ობიექტს დევდორაკად მოიხსენიე-

<sup>348</sup> ნიშნავს: დასწყველა.

<sup>349</sup> СМОНПК 40, Тифл., 1909, გვ. 49.

<sup>350</sup> დ. დონდუა, ქართლი, ტფ., 1925, გვ. 63.

<sup>351</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, 1977, გვ. 434.

<sup>352</sup> ლ. მარუაშვილი, კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, II, თბ., 1981,  
გვ. 193.

ბენ.<sup>353</sup> საგულისხმოა, რომ ყველა, ვინც კი დევდორაკის წარმომავლობას შეხებია, პირველ ფუძედ სიტყვა დევს მიიჩნევდა; რაც შეეხება ტოპონიმის მეორე ნაწილს (დორაკი), ის ყველასათვის გაურკვეველი და გაუცნობიერებელი რჩებოდა.

ჩვენი ფიქრით, დევდორაკი დევთ-გორაკი-საგან უნდა მომდინარეობდეს. პირველი ფუძე (დევი) თავდაპირველად წარმოდგენილი ყოფილა ნარ-თანთან მრავლობითში (დევთ), რომლის ბოლოკიდური ყრუ-თანნი მომდევნო მკლერის (გ-თანხმოვნის) მეზობლობაში გამკლერებულა და დ-ონად ქცეულა. ამის შემდგომ გამამკლერებელი გ თანხმოვანი დაკარგულა და საბოლოოდ დევდორაკი მიგვიღია (შდრ. ძვ. ქალაქით-გან — ქალაქიდ-გან — ქალაქიდან). მაშასადამე, ტოპონიმ დევდორაკს ცვლა-განვითარების ასეთი გზა გაუვლია: დევთ გორაკი — დევდორაკი — დევდორაკი. იგი შემდგენიარად უნდა გავიანზროთ: „გორაკი, რომელიც დევების გამოქვაბულთან ახლოს მდებარეობს“. აქაურ მიკრო-ტოპონიმიაში მსაზღვრელ ფუძედ ხშირად გვხვდება სიტყვა დევი: დევთქობაჲ, დევთქობისთავი, დევთნაკარალნი, დევის ქოხი (დევის გამოქვაბული)...<sup>354</sup> და სხვ.

**დელის-ი** ნასოფლარი ქალაქ თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, ამჟამად დედაქალაქის ერთ-ერთი ახალი საცხოვრებელი მიკრორაიონთაგანი.

ქართულ ეკონომიკურ საბუთებში ტოპონიმი დელისი||გრდელისი (გაბაშვილების მამულები) XVII-XVIII საუკუნეებიდან დასტურდება. XVIII ს-ის ერთ-ერთ საბუთში, კერძოდ, ნათქვამია: „ქ.ესე წიგნი მოგეც მე, გაბაშვილმა რევაზმა შენ, გაბაშვილსა სამადავლესა, დავითასა ასე, რომ დამეპირა<sup>355</sup> და ჩემი მესამედი წილი მამული გირაოთ მოგეცი ვერეს გაღმა ქექოტი, საბურთალა, გრდელისი, თბილოვანა“<sup>356</sup>

<sup>353</sup> ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 34; ნინო კ ა ზ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი, პაპაჩემი იაგორა კ ა ზ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი, თურნ. „მართვე“ №1, 1980, გვ. 21; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, თბ., 1934, გვ. 10-11.

<sup>354</sup> ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. გვ. 24, 25, 41.

<sup>355</sup> ნიშნავს: დამპირდა.

<sup>356</sup> ნ. ჭ ა ნ ა შ ი ა, დელისი თუ გძელისი? გაზ. „თბილისი“, 24.05.1971.



გარიგების ამ ტექსტში დღევანდელი დელისის მთელი მიდამო აღწერილი. ჩვენთვის გაურკვეველია მხოლოდ ის, თუ სად მდებარეობდა ქეპოტი, მაგრამ ის რომ საბურთალას (დღევ. საბურთალო), დელისისა და თბილვანასთან ერთად გარკვეულ ტერიტორიულ მთლიანობას ქმნიდა, აშკარაა.

სპეციალისტთა შორის საკმაოდ ცხარე კამათი გამოიწვია ნ.ჯანა-შის ვარაუდმა, რომლის მიხედვითაც დელისის თავდაპირველი სახე გძელისი უნდა ყოფილიყო, რაკი რუსულ რუკებზე გდელისი იკითხებაო.<sup>357</sup> მისივე ვარაუდით აქ ჩამოსახლებულმა აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ისტორიული გძელისი მშობლიურ ენაზე დელისად გადათქვა, გადააკეთა, რადგან გძელისი მათ არაფერს ეუბნებოდა, დელი, დელი-სი კი აზერბაიჯანულ ენაზე ნიშნავდა: „გიეი“, „გადარეული“, „ხელი“.

ცნობილმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ მიხ.მამულაშვილმა კატეგორიულად უარყო დელისის აზერბაიჯანული სიტყვისაგან (დელი) მომდინარეობის მიზანშეწონილობა. წერილის ავტორმა წარმოადგინა ერთობ საინტერესო მოსაზრება დელისის ძვ. ქართული ძელი-სი-საგან მომდინარეობის შესახებ. ტოპონიმი დელისი (—ძელისი) ამ ფაქტის მათუწყებელი სიტყვაა, რომ ძველად თბილისის შემოგარენში მართლაც ტყის ვრცელი მასივები ყოფილა გაშენებულიო.

ჩვენი ვარაუდით ტოპონიმ დელისის ყოველმხრივი შესწავლისათვის შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს კიდევ ერთ კერძო მოსაზრებას: ხომ არ შეიძლება, დელის-ი ძველ-ლისი-საგან წარმომდგარ ერთეულად ვივარაუდოთ? მხედველობაშია მისაღები და უეჭველად გასათვალისწინებელი, რომ დელისი და სოფ. ლისი ლამის გვერდიგვერდ მდებარე პუნქტებია. საფიქრებელია, რომ სოფ. ლისის მოსახლეობა ძველი ლისიდან (ძველლისიდან) იყოს გადასული. ამ საკიხს შემდგომი დემოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიება მოჰყენს ნათელს.

**დისკუსი-0** ისტორიული სოფელი, აწ ნასოფლარი ქვემო ქართლში (მდ.მაშავრის ხეობა, ბოლნისის რ.). XVI-XVII საუკუნეებისათვის დისკელი საბარათიანოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფელი ყოფილა. XVI ს-ის ერთ კერძო განჩინებაში (კათალიკოსისა და გერმანოზ

<sup>357</sup> გაზ. „თბილისი“ №131, 5 ივნისი, 1971.

ბარათაშვილის მამულის გაყოფის საქმე) ნათქვამია: „ს.ყორანთა... გაგი-სამზღურეთ და დაგანებეთ; დისველი ძველითგანვე გასამზღვრული იყო და მოლიო შემოუვლის რატევნის ქალით“.<sup>358</sup>

ტოპონიმი დისველ-ი ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსიანი სახელწოდებაა: დის-ვ-ელ-ი. იგი ნიშნავს: „დისვეელი“, „სოფელ დისვეიდან საცხოვრებლად წამოსული კაცის ახალი სამოსახ-ლო ადგილი“. დისვეელ- ფუძის კუმშვა და მისგან დისველ- ფორმის გაჩენა ადრევე მომხდარა. ყოველ შემთხვევაში XVII-XVIII საუკუნეების ქართული ეკონომიკური საბუთები უკვე დისველის ფორმას გვიჩვენებენ: „გიბოძეთ სოფელი სატრედო თავისის სამართლიანის სამძღვრითა... დისველის სახნაე-სათიბრითა“.<sup>359</sup> „გიბოძეთ სომხითს თამარგვალისა და დისველისა... ნაცვლობა და მეღალეობა“.<sup>360</sup>

ხალხური გადმოცემის მიხედვით ტოპონიმი დისველი დავით აღ-მაშენებლის სახელს უკავშირდება: მეფემ ეს მამულები თავის დას უბო-და და მას მერე სოფელსაც დისველი დაერქვაო.

სხვა ვერსიით დავით აღმაშენებელს რომელიღაც ქართველი ერისთავისათვის აქ თავისი დის ნაქონი („დისეული“) მამული მიუცია ერთგული სამსახურის სანაცვლოდ, რის გამოც სოფელს დისველი შე-რქმევია. ზუსტად ასე განმარტავდა ტოპონიმ დისველს კ.ჭანიცი: დის-ველი („поле сестры“).<sup>361</sup>

სახელწოდება დისველი სინამდვილეში მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ XV-XVI საუკუნეებში მომხდარა ცენტრალური ქართლის მოსახ-ლეობის ერთი ნაწილის, კერძოდ, ს.დისვეის მცხოვრებთა, მიგრაცია ქვემო ქართლში, მდ. მაშავერას ხეობაში. ახალი მოსახლენი ადგილობ-რივთათვის, რა თქმა უნდა, დისველები ანუ დისველები (შდრ. ხან-დო-ხანდოვლები, ერწო-ერწოვლები...) იქნებოდნენ. სწორედ ეს ისტორი-ული პროცესი ასახულა და გაქვეავებულა ტოპონიმ დისველ-ში. დის-ველ-ი, მაშასადამე, ისევეა წარმოქმნილი, როგორც ყვარელ-ი („სო-ფელ ყვარიდან მოსული ხალხი“), ურაველ-ი („რაქის სოფელ ურავი-

<sup>358</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972.

<sup>359</sup> თ . ე ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები III, თბ., 1967, გვ. 150.

<sup>360</sup> იქვე, გვ. 157.

<sup>361</sup> СМОНІК 40, Тифл.. 1909, გვ. 54.

დან გადმოსახლებული ხალხი“), საღებელ-ი (სოფელ საღებედან გადმოსახლებული ხალხის საცხოვრებელი ადგილი“) და სხვ.მრ.

დუშაქ(კხ) პატარა სოფელია გუდამაყარში (დუშეთის რ.). გაშენებულია ს.ბურსაჭირისა და ს.ბოსლის ხევების შესაყარში. 1926 წლის აღწერის მასალების მიხედვით დუშაქში 19 კომლს უტვორია (146 სული; ამათგან მამაკაცი — 62, ქალი — 84). ძირითადი გვარი აფციური და წიკლაური ყოფილა.<sup>362</sup> უთუოდ მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, აგრეთვე იოანე ბატონიშვილი იცნობენ სოფელ დუშაქს, ოღონდ მას ადასტურებენ არა მთიულეთ-გუდამაყარში, არამედ ცენტრალურ ქართლში, აღის წყალზედ მოსაზღვ სოფლებს, კერძოდ, ნაბახტევ-ბრილისა და ქინძათ-ბროლოსანს შორის.<sup>363</sup> ასეთი რამ, ალბათ, მთიულების ქართლში ოდინდელი მიგრაციით უნდა აიხსნას. მთიულეთ-გუდამაყარის ტოპონიმის მკვლევარი გ.ხორნაული, ისევე როგორც ზოგი სხვა სპეციალისტი, დუშაქს ზანური (მეგრული) წარმოშობის ენობრივ ფაქტად მიიჩნევს და მას ერთ-ერთი უძველესი ღვთაების ქანურ სახელწოდებას ჭუმჩანას უკავშირებს.<sup>364</sup> ალბათ უფრო მართებული უნდა იყოს მისი საკუთრივ ქართულ ენობრივ სამყაროში მოძიება. ხომ არ შეიძლება დაეუშვათ ამ ტოპონიმის მაცხოვარ-სიტყვასთან კავშირი? მართალია, ნათელი არაა პირველი ელემენტის (დუ-) მნიშვნელობა, მაგრამ მეორე ფუძის (მაცხო-) მაცხოვარ-სიტყვასთან გააზრება შეუძლებელი არ ჩანს, მითუმეტეს, რომ აქაური კილოსათვის ზოგი თეონიმის ფონეტიკურ ნიადაგზე ცკლა ნიშანდობლივი ფაქტია. საინტერესოა, რომ ხევსურული „ჟამისწირვის“ ერთ ნიმუშში სიტყვა მაცხოვარი შეკვეცილი მაცხო ფორმით არის წარმოდგენილი.<sup>365</sup> საინტერესოა იმის განხილვაც, რომ გუდამაყარის ხეობის სოფ.

<sup>362</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , მთიულეთი. ტფ., 1930, გვ. 12.

<sup>363</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 204; იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი - შ ვ ი ლ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 44; ქსდ. VII, თბ., 1985, გვ. 932

<sup>364</sup> გ . ხ ო რ ნ ა უ ლ ი , მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 153.

<sup>365</sup> იხ. ი ვ . ქ ე შ ი კ ა შ ვ ი ლ ი , ღმერთები, მითები, ლეგენდები, თბ., 1990, გვ. 33.

ბურსაკირს ადგილობრივ მაცხოვრებელს (მაცხოვრის უბანი?) უწოდებენ. ასევე შეცვლილია თორმეწია (მთიულ.) ნიშნავს: მთავარმოწამე.<sup>366</sup> ძალზე საგულისხმოა, რომ დუმაცხოს (ძუმაცხო?) („ფურების ხატი“, „ქალების ხატი“, „ძუძუს ხატი“?) ტერიტორიაზე ძალზე ბევრი ხატობებია დადასტურებული: ზეგარდა, კვირე, მთავარანგელოზი, პირიმ-ზე — ფუძის ანგელოზი, ხატი, ხთიშობელი, ჯორჩი („ხატის ვაკე“)<sup>367</sup> და სხვ. შესაძლებელია დუმაცხო (ძუმაცხოვარი) ერთ-ერთი ასეთი სალოცავი იყო, რომელიც მოგვიანებით სოფლის სახელად ქცეულა.

**დუმირუ** ასეთი უცნაური სახელი შეურქმევიათ სქვახერელის (გორის რ.) მცხოვრებლებს მტკვრიდან გამოტანილი პატარა რუსთავის, რომელიც სოფელს ჩამოუდის. მეორენაირად ამ არხს დუურუ ეწოდება, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მას დურირუ-ს ახსნაში სამსახურის გაწევა შეეძლოს. არსებობს აღნიშნული ჰიდრონიმის კიდევ ერთი სახელწოდება — დური ტოტი, რომელსაც ასე თუ ისე შეუძლია ხელი შეგვიწყოს ამ მართლაც თავსატეხი სახელის ახსნა-განმარტებაში.

ჩვენი ფიქრით დურირუ-ს პირველი ფუძე დური დუური ანუ დუისური-სგან უნდა იყოს წარმომდგარი. -ურ კუთვნილების სუფიქსის დართვით წინამავალი -ის- მარცვალი ჩავარდნილა (საერთო წესის მიხედვით) და შედეგად დუ-ურ-ი („დუისური“) მიგვიღია. ჰიდრონიმი დურირუ||დუურუ (-\*დუ-ის-ურ-რუ), მაშასადამე, უნდა გავიაზროთ როგორც „დუისური რუ (არხი)“, „მდინარის ტოტი, რომელიც ადგილ რუისიდან ყოფილა გამოყვანილი“.

**დუშეთი-ი** ისტორიული ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში. დუშეთმა, როგორც ერთ-ერთმა რიგითმა ფეოდალური ხანის ქალაქმა, შფოთიანი და მღელვარე ამბებით აღსავსე საუკუნეები გამოიარა. ქართულ საისტორიო წყაროებში დუშეთი დასახლებულ პუნქტად 1215 წლიდან მოიხსენიება. XVII ს-ის დამდეგიდან დუშეთი ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე დიდად დაწინაურებული და პრივილეგირებული ფეო-

<sup>366</sup> გ. ბ. ო. რ. ა. უ. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 158.

<sup>367</sup> იქვე, გვ. 69.

დალების — არაგვის ერისთავთა — რეზიდენცია ხდებდა. აქ მდგარა ნუგზარ ერისთავის საუცხოო სასახლე.<sup>368</sup> ქალაქის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა და წარმოადგენს ე.წ. „მოხელის დარბაზი“ (XVII ს.), კილაშვილების ციხე-დარბაზი (XVIII ს-ის დასასრ.), აგებული ქალაქის განაპირას, სმილახერიანთკარში და სხვ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დუშეთის წმ.გიორგის სახელობის მცირე ეკლესია (IX-X საუკუნეთა მიჯნა), რომელშიც შემონახულია ძვირფას ფრესკულ მონატულობათა ფრაგმენტები.<sup>369</sup>

არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1743) დუშეთი თანდათან იწყებს დაქვეითებას და პირველობას უთმობს ანანურს, სადაც 1689 წელს აიგო უნიკალური ხუროთმოძღვრული ძეგლი — ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. მაგრამ დუშეთს თავისი მნიშვნელობა შემდგომ ხანებშიც არ დაუკარგავს. 1829 წელს დუშეთის სასტუმროში ღამის გასათევად შეჩერებულა ტფილისის მიმავალი ალექსანდრ პუშკინი. როგორც ცნობილია, დუშეთში 1868-73 წლებში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა და აქვე ცხოვრობდა დიდი ილია ჭავჭავაძე. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ დუშეთში გატარებული წლები („დუშეთური პერიოდი“) ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ილიას სამწერლო-შემოქმედებით ბიოგრაფიაში.<sup>370</sup>

დუშეთი სხვა მხრივაც აღძრავდა ინტერესს. პირველ რიგში ბევრი იყო დაინტერესებული თვით სახელწოდების შექმნის ისტორიით. ტოპონიმ დუშეთის ახსნის პირველი ცდა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რუს გეოგრაფსა და ისტორიკოს-უთნოგრაფს კ.ჰანს ეკუთვნის. სამწუხაროდ მან სახელწოდება დუშეთი ეთნონიმ თუშს დაუკავშირა: ძველად ამ ადგილებში თუშებს უცხოვრიათ და ქალაქის სახელიც აქედან არის წარმომდგარიო.<sup>371</sup> მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რომ თუშების სამოსახლო ეს რეგიონი არასოდეს ყოფილა.

---

<sup>368</sup> „და რა სცნა ნუგზარ საქმე მოურავისა (გიორგი სააკაძისა, თავისი სიძისა, გ.ბ.)... მიეგება წინა მისაქციელსა, სოფელსა მუხრანისასა და წარაყვანა სახლსა თქსსა დუშეთს“: ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 39.

<sup>369</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, III, 1977.

<sup>370</sup> ი ბ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებანი ტ. I, თბ., 1987, გვ. 17-18.

<sup>371</sup> СМОНПК 40, გვ. 56.

ადგილობრივი ხალხური გადმოცემები სახელწოდება დუშეთის წარმოშობას, როგორც ეს ხშირად ხდება, თათრულ (მონღოლურ) სიტყვებს უკავშირებენ. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით არაგვის ხეობაში შემოსულ თემურ-ლენგს თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი გაუჩერებია და წამოუძახია: „დუშათ!“. ეს კი თითქოს ნიშნავს: „აქ შევისვენოთ!“ (აბესალომ იორდანიშვილი). სხვაგვარი ვერსიით „დუშათ“ თურქული სიტყვა ყოფილა ქართულად უწყლო, მწირ, უნაყოფო ადგილს აღნიშნავს (ლალი ჭავჭავაძე).

ჩვენი ვარაუდით დუშეთი ადამიანის საკუთარი სახელისაგან მომდინარე გეოგრაფიული ერთეული უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ძველ ქართულ ეკონომიკურ თუ საკანონმდებლო განჩინებებში აქა-იქ გვხვდება პიროვნული სახელი დუშია. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“, მაგალითად, მოხსენიებულია ვინმე არეშისშვილი დუშია.<sup>372</sup> ეგვე სახელი გვხვდება XVII საუკუნის კიდევ ერთ საბუთში. აქ, კერძოდ, მოთხრობილია იმ ფაქტის შესახებ, თუ როგორ მიაბარა (მიაკუთვნა, გადასცა) სოფლის იასაულმა ერეკლე I-ის (ნაზარალი-ხანის) ბრძანებით ბიძინას და დუშიას ვარიანში მცხოვრები ხუცესი უჩარმელაშვილი, ბერუკა უჩარმელაშვილი და ხუცო თავის მამულებიანად მოკლული ნათესავის სისხლის საფასურში.<sup>373</sup>

ძველ ხელნაწერ საბუთებში ვხვდებით აგრეთვე ვინმე დუშია ოზბეგისშვილს. ყოველივე ეს გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ დუშეთი „დუშიას გვარის ხალხთა საცხოვრებელ ადგილად“ გავიაზროთ. დუშ-ეთ-ი იმგვარადვე ჩანს გაფორმებული პიროვნული სახელისაგან, როგორც: გრიგოლ-ეთ-ი, გობრონ-ეთ-ი, სიმონ-ეთ-ი, ბაზალ-ეთ-ი, ამაშუკ-ეთ-ი და სხვ. მრ.

**დუხტელურ-ი** სასაძოვრე მინდვრების სახელებად გვხვდება ყაზბეგის რაიონის სოფლებში-გერგეტსა და ფანშეტში. აქვე, ფანშეტში, საძოვარ-სათიბ ადგილებს ეწოდება წინდუხტელური და უკანდუხტელური.<sup>374</sup> ხევის ეთნოგრაფიისა და ტოპონიმის ცნობილი სპეცია-

<sup>372</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 244.

<sup>373</sup> მასიგტ, I, თბ., 1964, გვ. 87, სტ. ვარიანი.

<sup>374</sup> ვ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 26-27.

ლისტი ვ.ითონიშვილი ამ სახელწოდებათა (დუხტელური||დოხტელური) შინაარსისა და წარმომავლობის (ენობრივი კუთვნილების) შესახებ არაფერს გვეუბნება. მკვლევარი მკითხველს მხოლოდ იმ ცნობას სთავაზობს, რაც ადგილობრივ ინფორმატორთაგან ჩაუწერია: დოხტელურში შემორჩენილია ნასახლარები და საქონლის სადგომთა ნაშთები. გადმოცემით აქ უცხოვრიათ წმინდა სამების ამშენებელ კალატოზებს. აქედან უზიდიათ ხარებს სამარხილე გზით სამების ტაძრისათვის გათლილი ქვა, რომელიც დოხტელურში მოიპოვებოდა.<sup>375</sup>

ჩვენი ფიქრით ტოპონიმი დუხტელური (დოხტელური) ჩაჩნურ-ინგუშური ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა. ყოველ შემთხვევაში, მისი პირველი ნაწილის (დუხტე) ჩაჩნურობაში ექვის შატანა შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ ჩაჩნურ-ინგუშურში სიტყვა დუხ||იუხ სოფლის მეურნეობის, უფრო ზუსტად, მესაქონლეობის დარგის ტერმინია და მსხვილფეხა საქონლის „ქვედა სასაძოვრე ზონის“ აღსანიშნავად იხმარება.<sup>376</sup> დუხ- სიტყვას დართული აქვს ჩაჩნურ-ინგუშურივე -ტე სუფიქსი, რომელიც ვეინახური (ჩაჩნურ-ინგუშურ) ტოპონიმიში, ზოგადად, სახელებში, ხშირად არის წარმოდგენილი და შინაარსით ქართულ „ზემო ნაწილს“, „თავს“, „გორაკს“... მიესადაგება.<sup>377</sup>

მაშასადამე მიკროტოპონიმი დუხტელური(დოხტელური) უნდა გავიზიაროთ როგორც დუხ-ტე-ლ-ურ-ი: „მსხვილფეხა საქონლის სასაძოვრე მამულების ზემოთ, თავზე“; „ადგილი, რომელიც მსხვილფეხა საქონლის საძოვრების ზემოთ მდებარეობს“.

ეს ტოპონიმი აქ უნდა შეექმნათ ინგუშეთიდან გადმოყვანილ (დაქირავებულ) მწყემსებს, რომელთაც მოხვევები მსხვილფეხა პირუტყვს ამწყემსვინებდნენ, თვითონ კი მხოლოდ მეცხვარეობას მისდევდნენ.

<sup>375</sup> იქვე, გვ. 127.

<sup>376</sup> ბ. გ. ა. მ. ყ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე., ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალბური მესაქონლეობა, თბ., 1982, გვ. 47.

<sup>377</sup> თ. უ. თ. უ. რ. გ. ა. ი. ძ. ე., ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966, გვ. 95-97.

**მბრძო-0** ძველი სამეფო დასავლეთ საქართველოში (წარმოიქმნა IV-V საუკ.). როგორც ადმინისტრაციული ტერმინი, ეგრისი, ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ორი მნიშვნელობით გამოიყენებოდა: ა) ეგრისი ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს; იგი ისევე გაიაზრებოდა, როგორც კოლხიდა (კოლხეთი) და ლაზიკა;<sup>378</sup> ბ) ეგრისი ერქვა მდინარე რიონისა და ეგრისწყალს შორის მოქცეულ ტერიტორიას. ეგრისი რომ ქვეყნის სახელწოდებაა, იქიდანაც ჩანს, რომ სწორედ მის მიხედვით არის წარმოქმნილი სატომო სახელი მეგრელი,<sup>379</sup> რაც „ეგრისის ქვეყნის მკვიდრს“ ნიშნავს: **ეგრისი — მ-ეგრის-ელ-ი — მ-ეგრ-ელ-ი** (-ელ სუფიქსის წინ -ის ელემენტის ჩაყარვის გზით).

ტოპონიმ ეგრისის წარმოშობის თაობაზე სპეციალისტებს სხვადასხვაგვარი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული. ივ.ჯავახიშვილის ვარაუდით ეგრისი **ჰეგარ||ეგარ||ეგრ-** სატომო სახელისაგან არის მიღებული: „ჰეგართა“ ქვეყანა იგივე ეგართა ქვეყანა, ეგრისი, კოლხეთი უნდა იყოს. <sup>380</sup> ამ ვარაუდს ჩვენში დღესაც არაერთი მეცნიერი იზიარებს, თუმცა არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც. პ.ინგოროყვა, მაგალითად, თვლიდა, რომ ეგრისი **ე-გურ-ისი||ე-გერ-ის** — ფორმისგან ყოფილა მიღებული, იმავე სიტყვისაგან, რომლიდანაც ქვეყნის სახელი გურია წარმოსდგებოდა.<sup>381</sup> ს.კაკაბაძის მიხედვით ეგრისი მდ. **ენგურს** უნდა დაკავშირებოდა, რაკი ეგრისწყალი და **ენგური** მას ერთ და იმავე სახელეზად მიაჩნდა.<sup>382</sup> ეგრისწყლისა და ენგურის იგივეობას მხარს უჭერს აკ.შანიძე.<sup>383</sup> ეს აზრი აღიარებულია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის

<sup>378</sup> საქართველოს ისტორია (ლექსიკონი), შემდგ. რ. მ. ე ტ რ ე ვ ე ლ ი, თბ., 1979, გვ. 303.

<sup>379</sup> Н.Я. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов, ЗВО, т. XVI, გვ. 169; ა რ ნ . ჩ ი კ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველ. ენებში, თბ., 1942, გვ. 144; ს . ჯ ა ნ ა შ ი ა, შრ. ტ. I, თბ., 1949, გვ. 255.

<sup>380</sup> ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია I, თბ., 1960, გვ. 292.

<sup>381</sup> პ . ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 139.

<sup>382</sup> ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტ. კრებ. წ. II, ტფ., 1928, გვ. 22, სქ. 3.

<sup>383</sup> ა შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, თბ., 1953, გვ. 138.



სპეციალისტების მიერაც.<sup>384</sup>

ეგრის-ი მართლაც ეგურ-||ენგურ- სიტყვისაგან ჩანს მიღებულ-  
ლი.<sup>385</sup> იგი ნიშნავს: „ეგურის (ენგურის) ქვეყანა“, „ეგურისისწყლის მხა-  
რე“, „ქვეყანა, სადაც მიედინება ეგრისის-წყალი, იგივე ენგური“.

მკლარ-ი საქვეყნოდ განთქმული დეკორატიული ქვის კარიერი ზემო იმერეთში (ს.ბორი, ხარაგაულის რ.). აქ მოიპოვება და მუშავდება ძვირფასი სამშენებლო (მოსაპირკეთებელი) ფილაქვა, რომელიც ეკლარის ქვის სახელწოდებით არის ცნობილი.

ტოპონიმი ეკლარი ეკლ-ნარ-ისაგან მომდინარეობს. იმერულ და, საერთოდ, ქართულ კილოებში, როცა -ნარ სუფიქსი ფუძისეულ ლთანხმოვანს მოსდევს, მაშინ სუფიქსისეული ნ ხშირად იკარგვის. ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ ფუძის ბოლოკიდური ლ სონორი ჩაეარდება, სუფიქსი კი მთლიანად შემოგვრჩება. ამ შემთხვევაში სუფიქსისეული ნ-არი დაკარგულა და შედეგად ეკლ-არ-ი მიგვიღია. მოსალოდნელი იყო ეკლ-ნარ-ის-ს მიღებაც, რაც ფაქტიურად დასტურდება კიდევ (იხ. ქვემოთ).

გამჭვირვალე შინაარსის მიუხედავად, ადგილობრივ მოსახლეობას ტოპონიმი ეკლარი თავისებურად გაუაზრებია. თქმულების მიხედვით ამ ადგილებში ერთ განთქმულ ხელოსანს სოფლის ტაძრისათვის საპერანგე ქვა უმზადებია, მაგრამ მოხუცებულობის გამო ხელობა თავისი უფროსი ვაჟიშვილისათვის მიუზღვია. მამა ტაძრის შემოსვას შესდგომია, შვილი კი ქრის ქვას და ხარებით გზავნის მშენებლობის ადგილზე. განთქმულ მშენებელს შეუმჩნევია, რომ ზოგი ფილაქვა „იბრიცად“ იყო გაქრილი. გამწყრალა, ქვები ძირს გადმოუყრია და ვაჟიშვილი თავისთან უზნია. შვილი მიმხვდარა მამის საყვედურს, მაგრამ თავი მაინც უმართლებია: „ეგ ლარი რომ მქონოდა (მამის იარაღზე უთქვამს), მეც სწორად გაქრიდი ქვასო“. ამ ამბის შემდეგ იმ ეკლესიისათვისაც და ადგილისთვის-

---

<sup>384</sup> თ . ბ ე რ ა ძ ე , ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან: საქართველოსტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 134-142.

<sup>385</sup> შდრ. ზ ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 444; ამ ვარაუდის მიხედვით საპირისპირო პროცესი მომხდარა: მდინარეს მიუღია ქვეყნის სახელი.

საც ეგლარი ანუ ეკლარი შეურქმევიათო, — მოგვითხრობს ხალხური თქმულება.

იმკრანთა ასეთი ადგილი ყოფილა ცნობილი შუასაუკუნეების-დროინდელ ჭავჭავთში. „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით აქ, ეკრანთას, კახთა მეფე აღსართანმა და მეფეთ-მეფე გიორგიმ „დაიფიცნეს“ და ამის შემდეგ შემოირიგეს კლდეკარის ერისთავი ივანე ლიბარტიძე: „დაიმ-ტიცა ივანე კლდე-კართა და სამშვილდესა ზედა“.<sup>386</sup>

ტობონიმი ეკრანთა ძველი -თა სუფიქსით გაფორმებული ქარ-თული სახელწოდებაა. იგი იმნაირადვეა წარმოქმნილი, როგორც ბერ-თა, ქუაბ-თა, მოწამე-თა... ფუძეა ეკრან-, რომელიც, ზენი ღრმა რწმენით, ეკნარ- სიტყვისგან მომდინარეობს. ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია, თუ არა ეკ(ლ)ნარ-ი. ტობონიმ ეკრანთა-ში ერთდროულად ორი სუფიქსია წარმოდგენილი: ეკლ-ნარ-თა. ამავე დროს ფუძეში მო-მხდარა ნ-რ სონორი ბგერების მეტათეზისი (ადგილშენაცვლება): ეკ(ლ)-ნარ — ეკრან — ეკრან-თა. აქ ზუსტად ისეთი ფონეტიკური პროცესია მომხდარი, როგორც მუხნარ-მუხრან- ტობონიმში დასტურ-დება.

ქართულ მიკროტობონიმიაში ანალოგიური სახელები აქა-იქ შეი-ნიშნება, უმეტესად -თა სუფიქსის დაურთველად. ასე, მაგალითად, ს.ზე-დაბაშში (სამტრედიის რ.) არის სათესი ნაკვეთი, რომელსაც ეკრანა ეწოდება. ეს, რა თქმა უნდა, იგივე ეკლ-ნარ-ა ფორმაა. ადგილის სახე-ლებად ეკრანა||ეკნარა განსაკუთრებით ხშირია გურია-აქარაში: ს.ზე-ნითში და ს.კობალაურში (ქაბათის სას.ს.) ტყეს ჰქვია ეკრანაი,<sup>387</sup> სოფ. ზევში და საქორისთავში (ჩოხატ. რ.) ტყეს და სათეს მინდორს ეწოდე-ბა ეკნარა. ბუჩქნარი ადგილების სახელებად ეკნარა დადასტურდა აგ-რეთვე ს.გამოლმა ბაილეთში, ს.გოგიეთში, ს.კვირიკეში, ს.ქაბათში, ს.ქე-დაში და სხვაგან. ეკნარა, მამასადამე ის ამოსავალი ფუძეა, რომლისა-განაც ეკრანა და ეკრანთ სახელები მიგვილია.

<sup>386</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 316, 15.

<sup>387</sup> გ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე , საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, 1982, გვ. 6.

ელტურა სოფელია შიდა ქართლში (სამაჩაბლო), ცხინვალის რეგიონში. სახელწოდება ელტურა ქართული საისტორიო წყაროებისათვის უცნობია; იგი ფიქსირებული არ არის არც ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს აღწერაში“ და არც იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“. მაშასადამე, ელტურა გვიანდელი ხანის წარმონაქმნი ერთეულია. მაგრამ ეს ფორმა თავდაპირველი არ არის, იგი მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილების გზით მიგვიღია. საქმე ისაა, რომ ცნობილ გერმანელ მოგზაურს იოჰან გიულდენშტედტს (1745-1781) საქართველოში, კერძოდ, ლიახვის ხეობაში, მოგზაურობის დროს (1770-1773 წლები) ჩაუწერია სოფლის სახელი *Ертыла*,<sup>388</sup> რომლისაგანაც მეტათეზისის ანუ ბგერათა ადგილშენაცვლების გზით *Ертыра* მიგვიღია. მაგრამ საკითხავია, რას უნდა ნიშნავდეს თვით ტოპონიმი ერთულა? ვფიქრობთ, იგი დამახინჯებული სახეა იმავე ხეობაში მდებარე ისტორიული სოფლის სახელწოდებისა შერთულა, რომელიც გერმანელ მოგზაურს მცდარი ფორმით (*Ертыла*) ჩაუწერია. ადგილობრივი ტოპონიმების არასწორი ჩაწერის შემთხვევები იგიუდღენშტედტის მასალაში სხვაც არაერთია: *Гриа* — ღვრია, *Ахмедши* — ახმაჯი, *Чрасма* — ცხრაქმა, *Дшедшо* — ჭეჭორა და მისთ.<sup>389</sup>

ტოპონიმ შერთულს ვახუშტი სწორედ ამ რეგიონში, პატარა ლიახვით მრწყველ სოფლებში, ძვეერასა და ტყვიავს შორის ასახელებს.<sup>390</sup> შერთული ნიშნავს: ორი მდინარის (ხევის) შესართავთან მდებარე სოფელი, იგივე ზერთვისი. უთუოდ მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, როცა სამხრეთ-ოსეთის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში შექმნილმა სპეციალურმა „ტერმინოლოგიურმა კომისიამ“ სცადა ტოპონიმ შერთულის გაუქმება, მის ნაცვლად რეკომენდაცია მისცა ოსურ ადაჯინ-ფორმას, რაც „ხეგებიან ადგილს“ ნიშნავს.<sup>391</sup> საბედნიეროდ, ისტორიული შერთული, როგორც სოფლის სახე-

<sup>388</sup> ზ. ცხოვრებოვა, სამხრეთ ოსეთის ტოპონიმი წერილობითი წყაროების მიხედვით, თბ., 1979, გვ. 118.

<sup>389</sup> იქვე, გვ. 114-132.

<sup>390</sup> ვახუშტი, აღწერა... თბ., 1941, გვ. 75.

<sup>391</sup> ზ. ცხოვრებოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

ლი, არ დაკარგულა (სოფელია მოსაზღვრე გორის რაიონში). მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი ხელოვნურად (შეცდომით) შექმნილ ელტურას თავისი ძველისძველი სახელი შერთულა დაუბრუნდებოდა.

**პრტიმს-ი** სოფელია ალგეთის ხეობის ქართლში (თეთრი წყაროს რ.), ისტორიული ტაგნაგეთის სამხრ.-აღმოსავლეთით.

ხალხურ გადმოცემას თუ დავუჭერებთ, მთელი ეს ადგილები სქერია ერთ კაცს, ყოფილა ერთისი და ამიტომაც შეერქვა სოფელს ერთისი ანუ ერთისი (არჩილ აფციაური, ს.ღვევი).

სპეციალისტთა ერთი ნაწილი სახელწოდება ერთისს ეთნიკურ (სატომო) სახელ ჰერ-თან აკავშირებს (ი.მაისურაძე), მაგრამ ამგვარი ვარაუდის გაზიარება ერთობ ქირს, რადგან ამ შემთხვევაში აუხსნელი დაგვრჩება ფუძემი -ტ- თანხმოვნის ჩართვის მიზეზი: (ჰერ-ჰერტ-?). იმავე სპეციალისტის მიერ ერთისი რატომღაც წარმოდგენილია ისეთი ტოპონიმების გვერდით, როგორცაა: *ერეთა/ო*, *ერედა*, *ერედვი*, *ერისწყალი* და სხვ. რაკი ყოველი მათგანი *ერ-* მარცვლით არის დაწყებული.<sup>392</sup> ჩვენი ვარაუდით ტოპონიმ ერთისის *ერ-* ელემენტამდე დაყვანა გაუშართლებელია, რადგან ერთისის ძირია *ერტ-* სიტყვა და არა *ერ-* საწყისი მარცვალი. თვითონ *ერტ-* ძირი უნდა მომდინარეობდეს ქართლურ დიალექტში საკმაოდ გავრცელებული სიტყვისაგან *ეტი*, რომელიც სამეურნეო (მევენახეობა-საირიგაციო დარგის) ტერმინია და სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა: *ეტი* 1. ვაზების რამდენიმე მწკრივი ერთად (რასაც ერთ გავლაზე კრეფენ); — სვე რთველში. 2. კუთხ. ქართლ. ვენახის ან ბაღის თითოეული ის ნაწილი, რომელთა შორის ბილიკი ან საურმე გზა არის დარჩენილი. ძვ. კვალი, რომელიც მიჯნად იყო გამოყენებული მამულში.<sup>393</sup>

ალბათ გაგვახსენდება ცნობილი პოეტის ნიკო სამადაშვილის (1905-1963) ლექსი „ჩემი სოფელი“, რომელშიც ნათქვამია:

„უძრავი ტახტი, წალო, ზანდუკი,  
ფერისცვალობა, საფლავზე ხილი,...

<sup>392</sup> ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1979, გვ. 38.

<sup>393</sup> ქეგლ. ტ. III, თბ., 1953, (იხ. აგრეთვე: კირიონი, ნ. კეცხოველი, შ. ძიძიგური, პ. ხუბუტია, პ. გაჩეჩილაძე ...).

პირველი თრთოლვა, როგორც შარბათი,  
ეთიდან ეტში იების გუბე,  
დილით თივის ქვეშ სველი ბარათი...<sup>394</sup>

ქართველი ეთნოგრაფების მიერ გამოვლენილია ეტის, როგორც სამეურნეო ტერმინის, დამატებითი მნიშვნელობანი. „ეთი ვენახის ვაკის ეწოდება“. „ვენახში ხელოვნურად გაშენებულ, მოვაკებულ კვლებს ეტი ეწოდება“. „ბოსტნის ტერასი ყველა მისი შემადგენელი ნაწილით ტახტია, ხოლო მასზე გამოცალკევებული ვაკისი — ეტი“.<sup>395</sup>

ცნობილი ყოფილა ეტის სხვა მნიშვნელობაც: „რუებიდან გადაყვანილი იყო... ნაკადელები („ნაკადულები“)... ნაკადელებიდან გაყვანილი იყო წყლის უფრო მცირე სადინარები — ეტები ანუ საქცევები“.<sup>396</sup>

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ტერმინი ეტი, კერძოდ, „ვენახის ეტი“ იგივე არაკალი ყოფილა.<sup>397</sup> შესაძლებელია ამ ტერმინთან (არაკალი) იყოს დაკავშირებული სოფლების დიდი არაქალის და პატარა არაქალის (ნინოწმინდის, ყოფ. ბოგდანოვკის რ.), აგრეთვე არაქელის (ბოლნისის რ.) სახელწოდებანი. შინაარსობრივად ისინი სარწყავი ეტების ანუ არაკალების არსებობას უნდა უკავშირდებოდნენ. ტერმინი არაკალი (არიკალი?) ვფიქრობთ, თურქ. *arık* („არხი“, „წყლის ნაკადელი“) სიტყვის გაქართულებული ფორმაა;<sup>398</sup> იგი ზუსტად მიესადაგება ეტის ნაბესაძისეულ განმარტებას. საფიქრებელია, რომ ადგილს, რომელსაც პატარა-პატარა ეტებით ანუ ნაკადელებით რწყავდნენ, ანუ ადგილს, რომელზედაც სავენახე კვლები (ტახტები, ვაკისები) ხელოვნურად იყო გაშენებული, ეტ-ის-ი იგივე ერტ-ის-ი ეწოდებოდა

<sup>394</sup> ნ. ს ა მ ა დ ა შ ვ ი ლ ი , წუთისოფლიდან უკვდავებამდე, თბ., 1989, გვ. 31.

<sup>395</sup> ნ. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე , ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1976, გვ. 71.

<sup>396</sup> ნ . ა ბ ე ს ა ძ ე , სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება: კრებ. საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური ატლასი (მასალ.) თბ., 1980, გვ. 30.

<sup>397</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , სიტყვის კონა, თბზ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 64.

<sup>398</sup> სიტყვა არაკალის სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. შ . ბ ე რ ი ძ ე , საქცხე-ჩავახეთის ტოპონიმური ლექსიკისათვის: კრებ. აქარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1987, გვ. 89.

(-რ- სონორი ტ თანხმობის წინ ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი). შემდგომ, როცა აქ სოფელი გაშენებულა, ხალხს მისთვის აღრინდელი სამიწათმოქმედო ობიექტის კუთვნილი სახელი შეურქმევია.

ზოგი მკვლევარი ერთისის წარმომავლობას რატომღაც საკულტო ტერმინ ესტატეწმინდას უკავშირებს,<sup>399</sup> თუმცა სარწმუნოდ არის გარკვეული, რომ ესტატეწმინდისაგან ერთაწმინდაა წარმომდგარი (აქ.შანიძე, ზ.ჭუმბურიძე) და არა ერთისი.

ერთისის მიხედვით არის წარმოქმნილი ცნობილი ქართული გვარი ერთელიშვილი,<sup>400</sup> რომელიც თავდაპირველად ერთ-ელ-ის-შვილად უნდა ყოფილიყო ცნობილი: ერთ-ელ-ი → ერთ-ის-ელ-ი: „ერთისიდან საცხოვრებლად სხვაგან გადასული კაცის შთამომავალი“.

მრწო მხარე, კუთხე დღევ. თიანეთის რაიონში; ისტორიული „ერწოს ქვეყანა“. ტოპონიმი ერწო, თიანეთთან და ჟალეთ-სიონთან ერთად, ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული სახელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ყველაზე პირველად ერწო მოხსენიებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ უძველეს რედაქციებში. ერწო||ერწუ ნახსენებია აღმ. საქართველოს მთიანეთში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ამბებთან დაკავშირებით, როცა ნინო კაპადოკიელი თავის თანმხლებ პირებთან — იოვანესთან და დიდ საერო მოხელესთან — „ვინმე ერისთავთან“ ერთად „გადავიდა ერწულ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა“.<sup>401</sup>

ტოპონიმი ერწუ||ერწო შინაარსის თვალსაზრისით დიდი ხანია სპეციალისტთა ყურადღებას მიიპყრობს. საინტერესო ისაა, რომ ამ სახელს მკვლევრები იმთავითვე ჩაჩნურ ენობრივ ფაქტად მიიჩნევდნენ. ჯერ კიდევ ნ.მარი შენიშნავდა, შესაძლებელია ერწო ჩაჩნურ სატომო

<sup>399</sup> კ. ხ ა რ ა ძ ე , საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (ქვემო ქართლი), თბ., 1991, გვ. 90.

<sup>400</sup> ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 314; ი . მ ა - ი ს უ რ ა ძ ე . ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 61.

<sup>401</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ ძქალძ I, თბ., 1964, გვ. 89.

სახელ წორ-თან იყოს დაკავშირებული.<sup>402</sup> აკ.შანიძე კი ვარაუდობდა, ერწო ბაცბურ-ქისტური სახელია, ქართულად ტბას (ქვაბულს) ნიშნავსო; ეს ვარაუდი სპეციალისტთა შორის კამათს თითქოს არ იწვევს",<sup>403</sup> მაგრამ აქ აღნიშნული თვალსაზრისების ხელაღებით გაზიარება, ალბათ, არ შეიძლება. მართალია, ხევსურული *ერაწ*-ი და თუშური *ერაწუნაყი* („პატარა ქვაბი“) ნახური (ჩაჩნური) ჰერწ- („ქვაბი“) სიტყვისაგან მომდინარეობენ (თ.უთურგაიძე, ალ.ქინქარაული), მაგრამ არსებითი ხასიათის დაბრკოლება მაინც იჩენს თავს; ასახსნელი რჩება, კერძოდ, ტობონიმ ერწუს ბოლოკიდური უ ხმოვნის წარმომავლობა.

ჩვენი ვარაუდით ჰერწო (-ერწუ) ორი სიტყვისაგან შემდგარი ჩაჩნური წარმოშობის ტოპონიმი. მისი პირველი ფუძე უნდა იყოს ეთნონიმი ჰერი, ანუ სახელი იმ ხალხისა, რომელიც ძველი ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ვრცელ მიწებზე სახლობდა და რომელთა ქვეყანაც ადრეული საუკუნეებიდანვე (III-VII ს.ს.) ჰერეთად მოიხსენიებოდა;<sup>404</sup> მეორე ფუძედ ვვარაუდობთ, აგრეთვე, ჩაჩნურ-ინგუშურ წუ (||წა||წა) სიტყვას, რაც ნიშნავს: ღმერთი, ღვთაება, ღვთის სახლი, ეკლესია.<sup>405</sup> მაშასადამე, ჰერ-წუ (-ჰერ-წო - ერწო) უნდა ნიშნავდეს: „ჰერების სალოცავი, ჰერების ეკლესია- ჰერეთში მცხოვრები ხალხის ეკლესია“. საგულისხმოა, რომ ამა თუ იმ ეკლესიის (სალოცავის) რომელიმე ტომისათვის მიკუთვნების ტენდენცია ჩაჩნურ-ინგუშურ მიკროტოპონიმიში ხელშესახები ფაქტია: შდრ. ჰირი

---

<sup>402</sup> ნ მ ა რ ი , კავკასიური სატომო სახელწოდებანი და მათი ადგილობრივი პარალელები, პეტროგრ., 1928, გვ. 28-31 (რუს.).

<sup>403</sup> ნ ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წ. (საანგარიშო მოხსენება). საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ., 1964, გვ. 117.

<sup>404</sup> გაეიხსენოთ იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ის ადგილი, სადაც ვარსკენ პიტიახშის სპარსეთიდან დაბრუნების ამბავია მოთხრობილი: „და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუყყანასა მას ჰერეთისასა ზრახვაყო...“

<sup>405</sup> იბ. ჩაჩნურ-რუსული ლექსიკონი (შედგ. ა . მ ა ც ი ე ვ ი ს მიერ), მოსკოვი, 1961, გვ. 487 (რუს. ენაზე).

საყდარაშ „ოსების საყდრები“.<sup>406</sup> ასე რომ ტოპონიმ ერწოს „ჭერების სალოცვად“ გავება მოულოდნელი არ ჩანს.

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ის ფაქტიც, რომ ვ.აბაგევი ამჟამინდელ ყორნისის (ჯავის) რაიონში მდებარე სოფელ ერწოს კავკასიური ჭერ-სატომო სახელთან კავშირში განიხილავს.<sup>407</sup> მართალია, მკვლევარი არაფერს ამბობს წო ფუძის შესახებ, მაგრამ მის მიერ ტოპონიმ ერწოს ეთნონიმ ჭერ-თან დაკავშირების ფაქტი უთუოდ მრავლისმეტყველია. აქვე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ისტორიულ შიდა ქართლში არსებული სოფელი ერწო მოსახლეობის მთიანი რეგიონებიდან მიგრაციის შედეგად უნდა იყოს გაჩენილი. ამ ვარაუდს ის ფაქტიც განამტკიცებს, რომ ძველად აქ უცხოვრია ფშაველი ჩეჭურიშვილების რამდენიმე ოჯახს (ნ.ბერძენიშვილი), რაც თიანეთის ერწოდან ქართლში მოსახლეობის ნაწილობრივ მიგრაციაზე მეტყველებს.

სოფელი ერწო (ამჟამად ნასოფლარი) დადასტურებულია აგრეთვე ქვემო ქართლში, კერძოდ, ალგეთის ხეობაში. მითითებულია, რომ ერწო მცენარის სახელისაგან ყოფილა წარმომდგარი.<sup>408</sup> შიდა ქართლში არსებული სოფელი ერწო (აქედან — ერწოს ტბა) დიდი ხნოვანებისა არ არის. ისტორიულ წყაროებში იგი XVI საუკუნის I ნახევრიდან მოიხსენიება.<sup>409</sup> ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ერწო კი, სავარაუდოა, უკვე ადრეფეოდალური ხანებიდან (IV-VI ს.ს.) არსებობს.

ხალხური ცოდნა, რა თქმა უნდა, ვერ წვდება სახელწოდება ერწოს შინაარსს და მას უბრალოდ რწევვა, რწება ზმნურ ფორმებს უკავშირებს: „პირველათ რო ხალხი ნაკლებათ იყო, ადგილიც ბევრი იყო. აქ სულ ტბა ყოფილა, ტბა მდგარა, გორებამდე უწევდა. შიგა ყოფილა გაშენებული ნადირი. ლერწამი ყოფილა ერთიანათ და, რავი, ვინ იქნებოდა, რა იქნებოდა, მაღლიდან რო დაუნახიათ, თურმე ქარი ქრის

<sup>406</sup> რ . ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე , ქართულ-ქისტური ენობრივი ურთიერთობანი ტოპონიმთა მიხედვით: კრ. ტოპონიმთა II, თსუ, 1980, გვ. 331.

<sup>407</sup> ვ . ა ბ ა გ ე ვ ი , ოსური ენა და ფოლკლორი I, მოსკ.-ლენინგრ., 1949, გვ. 246 (რუს. ენაზე).

<sup>408</sup> კ . ხ ა რ ა ძ ე , საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (ქვემო ქართლი), თბ., 1991, გვ. 82.

<sup>409</sup> მასიგტ I. თბ., 1964, გვ. 82.



და ეს ჩალა გადად-გადმოდის და ნახე, როგორ ერწებაო ეს ჩალა და ლერწამიო“ (ტასო დავითის ასული ობგაიძე, ს.ნაქალაქარი, თიანეთის რ.). სხვაგვარი ვერსიით ერწო ერის, ხალხის წვასთან ყოფილა დაკავშირებული: „აქ ყოფილა დიდი ქალაქი. მტერი რო შემოსულა, ჯერ ვერაფერს გამხდარა, მერე თურმე ჰკვა იხმარეს და ისრებზე ნავთში ჩამბალი ტილოები უხვევიათ და ისერიან ქალაქში. გაჩენილა ამაზე დიდი ცეცხლი და რო დაუნახავთ, უთქვამთ: „ერი იწვის, ერი იწვოდაო“. დარქმევია ერწო“ (რუბენ ქიტესაშვილი).

კ.ჭანის მოსაზრებით ერწო წარმოქმნილა მეცნ. ერწოს სახელის მიხედვით. მისი თქმით ამ ადგილებში გავრცელებული ყოფილა მცენარე, რომელსაც ერწოს უწოდებენო.<sup>410</sup> საბას ლექსიკონი მართლაც იცნობს მცენარე ერწოს,<sup>411</sup> მაგრამ არა გვეგონია ისტორიული ერწო (ჰერწუ) ამ მცენარის სიმრავლის გამო იყოს შექმნილი, რადგან მაკრო ტოპონიმებად ბალახეულ-მცენარეთა სახელები გაუფორმებლად, ე.ი. სუფიქსაციის გარეშე, წესისამებრ, არ გვხვდება. თუ გვაქვს, ისინი მიკროტოპონიმებია და სათანადო სართებიოაც არიან წარმოდგენილი: ბალახ-(ო)ვან-ი, ჩხამ-ოვან-ა, ნარ-ოვან-ი, შამბ-იან-ა, ცირცლ-ოვან-ი და სხვ. მრ.

ჰერწუ უნდა დასდებოდა საფუძვლად კახეთ-ჰერეთის ერთ-ერთი დიდი მდინარის ჰერწუხი-ს სახელწოდების წარმოშობასაც.<sup>412</sup> ჰიდრონიმი ჰერწუხი (ისევე როგორც ჰერწუ||ჰერწო||ერწო) წარმოშობით ჩაჩურ-ინგუშურია და ნიშნავს: „ჰერების ხალოცავის წყალი“. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ჰერწუხი მდ. ივრის უძველესი არაქართული სახელწოდება ყოფილა.

მხმამ-ი ცნობილი სოფელია ზემო იმერეთში (საჩხერის რ.). აქაა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი — ებეკვის ღვთისმშობლის ტაძარი „ღედა ღვთისა“ (XI ს. I ნახ.).<sup>413</sup> რომე-

<sup>410</sup> СМОЛИК, 40, ტფ., 1909, გვ. 163.

<sup>411</sup> თზ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 247.

<sup>412</sup> ჰერწუხთან გამართა დავით აღმაშენებელმა განძის ათაბაგთან დიდი ბრძოლა, რომელიც მან ბრწყინვალედ მოიგო 1104 წელს.

<sup>413</sup> ვ. ბ. რ. ი. ძე, ქართული ხელოვნება I, თბ., 1942.

ლიც ძლიერ დააზიანა 1991 წლის 29 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ. აქ ჩამოედინება პატარა მდინარე ეხვევრა ანუ ეხვეურა.

ხალხური გადმოცემა ტოპონიმ ეხვევის წარმოშობას ხვევნას, მოხვევნას უკავშირებს: „ერთი მორწმუნე ქალი დაიარებოდა თურმე აქანე, მოვიდოდა და ლოდები რომაა ეკლესიის, იმას თურმე კოცნიდა და ეხვევოდა და რავარც ახლა ადამიანმა რომ ადამიანს უთხრას რისამე სიტყვა, ისთე ელაპარაკებოდა, შენე! უთქვამს ერ კაცს, რო იმ ქვებს რო ეხვევი, რავა, დედაა შენი თუ რაო? დოუთქმევია ეხვევი“ (მიხეილ საგანელიძე, ქ.ქიათურა). საინტერესოა, რომ ეგვე ხალხური ეტიმოლოგია საფუძვლად დასდებია კ.ჭანის თვალსაზრისსაც; ეხვევს ისიც ზმნურ ხვევნას უკავშირებდა,<sup>414</sup> თუმცა იქვე გაოცებული შენიშნავდა. ეს უცნაური სახელი ახსნა-განმარტებას არ ექვემდებარებაო.

ეხვევის, როგორც ტოპონიმის პირველი მეცნიერული ეტიმოლოგია აკ.ჭანიძეს ეკუთვნის. მან ტოპონიმში სრულიად სამართლიანად გამოყო -ევ სუფიქსი, რომელიც -ებ სუფიქსის ფარდად გვევლინება ზემოიშარულ დიალექტში. ამის კვალობაზე მკვლევარი დაასკვნის: „გეოგრაფიული სახელწოდება ეხვ-ევი იგივე იხვ-ევი-ად ან იხვ-ებ-ად შეიძლება ვთარგმნოთო“<sup>415</sup> ჩვენი ვარაუდით აქ სხვაგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია, ზემოიშარულ დიალექტში ხშირად ვითარდება ვ- ბგერა: ბურთვი, თოკვი, ნაპრაგლი (-ნაპრალი), ბოძვი, ვეჭვი...<sup>416</sup> ეხვევიც, ჩანს, ამოსავლად იყენებს სიტყვა ეხს („გამოქვაბული კლდე“), რომელშიც ვ ბგერა ფონეტიკურად განვითარებულია: ეხვ-ი, ეხვ-ევი-ი „ეხიანი, გამოქვაბულიანი ადგილები“. საყურადღებოა, რომ სოფელ ხუნევი (ხარაგაულის რ.) ადგილის სახელად დასტურდება ეხნარ-ი,<sup>417</sup> ჭაც ამ არეალში სიტყვა ეხის გავრცელებულობაზე მიგვანიშნებს.

მაშასადამე, ეხვევი-ი ნიშნავს: „სოფელი, რომელშიც არის კლდე-ეხიანი გამოქვაბული ადგილები“

<sup>414</sup> СМОНИК, 40, ტფ., 1909, გვ. 163.

<sup>415</sup> აკ. შანიძე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: საქ სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე II, №8, 1941, გვ. 766.

<sup>416</sup> ქ ძო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიშარული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 47, 77, 115.

<sup>417</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 73.

**ქვისწყალ-ი** იმავე **ეხ-** სიტყვისაგან მომდინარეობს სოფ. ჯუგანის (სიღნაღის რ.) ერთ-ერთი უბნისა და იქვე გამომდინარე წყაროს სახელი, რომელიც ნიშნავს: „ქლდის ეხიდან გამოსული წყარო“. სახელწოდების „გაშიფრვას“, როგორც ვხედავთ, დიდი ჯაფა და სპეციალური კვლევა არ ქირდება, იგი ისევეა ნაწარმოები, როგორც ვთქვათ: მინდვრის თავი, ხევის ბოლო, ახოს წყარო და სხვ. ამის მიუხედავად, ადგილობრივ მოსახლეობას ამ ტოპონიმის სხვაგვარად გადაზრიალება, მასში რაღაც საინტერესო ამბის დანახვა უცდია:

„ერთი მოხუცი კაცი მოდენილა ურმით. დადლილა და თავის ხარებიანად აქ დაუსვენია. დაულევია ეს წყალი და ძალიან მოსწონებია. წასულა მერე და გზა გაუგრძელებია. რამდენიმე ხნის შემდეგ წყალი ისევ მოსწყურებია და თურმე უნატრია: „**ეხ, ის წყალი მაინც დამიგლო ვინმემ აქაო!**“ — გვამცნობს ეს გულუბრყვილო თქმულება.

### — 3 —

**ვაზიან-ი** სამ სოფელს ეწოდება საქართველოში (გარდაბნის, მცხეთის და ჩოხატაურის რაიონები). ტოპონიმის შინაარსი, რომ იტყვიან, დღესავით ნათელია: არსებით საზოგადო სახელ ვაზს დართვია მქონებლობის აღმნიშვნელი -იან სუფიქსი და იგი ისეთ საკუთარ სახელად უქცევია, რომელშიც გადმოცემულია ადგილმდებარეობის დახასიათება. **ვაზ-იანი** ნიშნავს: „ვაზით მდიდარი ადგილი“, „მინდვრები, სადაც ბევრი ვაზი დგას“, „ვენახებიანი ადგილი“. ამის მიუხედავად ხალხში სხვაგვარი ახსნა-განმარტება გავრცელებულა: „მანდ უომნია ერეკლე მეფეს და თათარი ძაან ბევრი ყოფილა და ერეკლეს ხალხი ბევრი დაჰზოცია. ამაზე დაუჩივლნია, რო: — ვა, ზიანი მომივიდაო! ასე იგი, რო: ვაიმე, ეს რა ზიანი ვნახე, ეს ამოდენა ხალხი როგო ჩამელუპაო! ზიანი დიდი მადგელია“ (მიხეილ დავითის ძე ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი , იგივე მიშა თ ა თ ა რ ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი , ს.კარდენახი). სხვაგვარი ვერსიით, თვითონ ერეკლეს, როდესაც აქ გაუვლია, მხლებლებისათვის სიამაყით უთქვამს: „მე აქ მტერი ვაზიანეო“.

**ვარდგინეთ-ი** სოფელია ბორჯომის ხეობაში (ყვიბისის სას. საბჭო). ამ სოფლის სახელწოდების წარმოშობას ადგილობრივი მცხოვრებნი ერთ კურიოზულ ამბავს უკავშირებენ: „ოდესღაც სამი ძმა მოსულა აქ საცხოვრებლად, მაგრამ სოფელს ახლადმოსულები არ მიუღია. ორი ძმა მაშინვე აყრილა და სხვაგან წასულა, უმცროსი კი აქვე დარჩენილა, ოჯახი გაუჩენია. გასულა კარგა ხანი და ძმებს წერილი გამოუგზავნიათ, როგორ ცხოვრობო. უმცროს ძმას მიუწერია: „ვარ გინებით, მაგრამ დაეწვირლშვილდი და სხვაგან ველარსად წავალ“. ძნელი არ არის იმაში დარწმუნება, რომ ეს გადმოცემა ხელოვნური და ნაძალადეგია. სახელწოდება ვარდგინეთი ფაქტიურად სულ სხვაგვარადაა წარმოქმნილი. მისი ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო ოსური ვარდიგინა, რაც ვარდნარ ადგილს ნიშნავს. ოსურ ენაში -გინა||-ჯინა სუფიქსი, როგორც სპეციალისტების მიერ არის გარკვეული (ა.ცაგავა, თ.გაგლოვა, ზ.ცხოვრებოვა...), შეესატყვისება ქართულ -იან, -ნარ, -ოვან სუფიქსებს.

ქართულ ვარდ სიტყვას დართვია ოსური -გინა სუფიქსი, ხოლო შემდგომ მას გეოგრაფიული -ეთ სუფიქსიც მიმატებია. ასე რომ ვარდგინეთი ნიშნავს: „ვარდი-გინა-ეთ-ი“, „ვარდნარი ადგილი“. უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამავე არეალში არის სოფელი, სახელად ვარდევან-ი, რაც ვარდ-ოვან-ის სახეცვლილი ფორმა ჩანს.

XVII-XVIII საუკუნის ქართული ისტორიულ-ეკონომიკური წყაროები ზუსტად ამ არეალში ასახელებენ ვარდის სოფელს.<sup>418</sup> გვიანდელი ოსური გაფორმების ვარდიგინა (ვარდიგინა-ეთ-ი — ვარდგინ-ეთ-ი) სწორედ ამ ქართული ვარდისოფლის კალკი ჩანს.

**ვაშნარ-ი** ადგილთა სახელებად ხშირად გვხვდება ბათუმ-ხელვაჩაურის, აგრეთვე ხულოს და ქობულეთის ტერიტორიებზე. ამათგან საკმაოდ ცნობილია ქობულეთთან ახლო მდებარე სოფელი ვაშნარი, როგორც მნიშვნელოვანი არქეოლოგიური გათხრების უბანი. სახელწოდების შინაარსი საკმაოდ ნათელია. იგი ნიშნავს: „ვაშლ-ნარ-ი“; „ადგილი, სადაც მრავალი ვაშლის ხე დგას“ (მდრ. ფიჭვ-ნარ-ი, თხილ-ნარ-ი, მუხ-ნარ-ი, სხა(ლ)-ნარ-ი, ლეკ-ნარ-ი; დაფ(ნ)-ნარ-ი,

<sup>418</sup> იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , აღწერა... თბ., 1986; გვ. 45.

ეკ(ლ)-ნარ-ი, კობიტ-ნარ-ი...). ვაშ-ნარ- ფორმაში ნიშანდობლივი ფონეტიკური მოვლენა მომხდარა: ფუძისეული -ლ- თანხმოვანი ჩავარდნილა -ნ- სუფიქსისეული თანხმოვნის მეზობლობაში (შდრ. ეკნარა, რომელიც აშკარად ეკლ-ნარ-ა ფორმისაგან არის წარმომდგარი...).

ამის მიუხედავად, უკანასკნელ ხანს გამოითქვა ერთობ საეჭვო ვარაუდი, თითქოს ტოპონიმი ვაშნარი მეორეული, გვიანდელი სახე იყოს ზანური „ვაშინერი“ (||„უჯენარი“) სიტყვისა.<sup>419</sup> საქმე ისაა, რომ როდესაც ვაშნარის ნანგრევები გამოჩენილ ფრანგ არქეოლოგსა და მოგზაურს დიუბუა დე მონპერეს უნახავს (XIX ს-ის 30-იანი წლები), ვაშნარის სახელი ჩაუწერია „უჯენარის“ ფორმით. (როგორც ჩანს, ადგილობრივი ინფორმატორის ზეპირ ცნობაზე დაყრდნობით). ვაშნარისათვის „უჯენარის“ სახელის მიკუთვნება რომ შეცდომა იყო, ამის შესახებ ჭერ კიდევ მარი ბროსე და დიმ.ბაქრაძე (მოგვიანებით სიმ.ჭანაშიაც) მიუთითებდნენ.<sup>420</sup>

ვარაუდი ტოპონიმ ვაშნარის ზან. „ვაშინერი“||„უჯენარი“ ფორმებისაგან მომდინარეობის თაობაზე მეცნიერულ არგუმენტაციას მოკლებულია და, ამდენად, მიუღებელიც. როგორც ზემოთ ვთქვით, აჭარა-გურიის ტერიტორიაზე მცენ. ვაშლი არაერთ მიკროტოპონიმს უდევს საფუძვლად, ზანური (მეგრული) სიტყვა „ვაშინერი“ კი აკრძალვითი, ტაბუირებული სიტყვაა; მის უბრალოდ წარმოთქმასაც კი გაუჩიან, ერიდებიან; ამიტომ ამ მაგიური სიტყვის საკუთარ სახელად (ტოპონიმად) ქცევა წარმოუდგენელია. ვაშნარ-ი -ნარ- სუფიქსიანი ქართული სახელია და მას საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს ზანურ მაგიური შინაარსის „ვაშინერ“- სიტყვასთან, რომელიც ქართულად დაახლოვებით ამას ნიშნავს: „ღმერთმა ნუ ქნას“, „ღმერთმა დაგიცვათ“, „ამის თქმაც არ შეიძლება“, „სათქმელადაც საშიშია“ და მისთ.

მმრმ მდინარე და ხეობა ქალაქ თბილისში და მის შემოგარენში. მდ. ვერე, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, „გამოსდის დიდ-

---

<sup>419</sup> იხ. გ. გ რ ი გ ო ლ ი ა , ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხები: სიკვ, VII, თბ., 1989, გვ. 38.

<sup>420</sup> ს . ჭ ა ნ ა შ ი ა , ფეოდალური რევოლუცია საქართველოში: შრ. I, თბ., 1949, გვ. 30.

გორის მთას... ერთვის მტკვარს დასავლიდამ, ტფილისის ჩდილოთ კერძ<sup>421</sup>.

მისივე თქმით ვერეს ძველ სახელწოდება სკვირეთი ყოფილა: „ხოლო კოერის ჩდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე“<sup>422</sup>.

სახელწოდება ვერე ძველ საქართველოში რამდენიმე ობიექტს ერქვა. ვერა, ვერისხევი ცნობილი ყოფილა ცენტრალურ ქართლშიც, რასაც ვახუშტის „აღწერაშიც“ ვხვდებით: „კვლავ ატენის-წყალს მიერთვის აღმოსავლიდამ ვერის-ხევი... ვერის დაბის დასავლით, დანახვისის მთის ძირს არს მონასტერი კეთილშეენიერი ყოვლად წმიდისა“<sup>423</sup>. პლატონ იოსელიანი კი ვერეს, აღნიშნულთა გარდა, „სკვირეთშიც“ ასახელებდა: „ვერე საქართველოში კიდევ ორგან გვხვდება, ატენის ახლოს, ქართლის ხეობაში და სკვირეთშიო“<sup>424</sup>. აქვე მკვლევარი შენიშნავს იმასაც, რომ სახელწოდება ვერემ, რომელიც ივერიას მოგვაგონებს, ბევრი მცდარ დასკვნამდე მიიყვანაო.<sup>425</sup>

ტოპონიმ ვერეს ახსნა პირველად თეიმურაზ ბატონიშვილს უცდია, თუმცა უშედეგოდ. საქმე ისაა, რომ მან ეს სახელწოდება უკუთქმით „ვერა“ ნაწილაკს დაუკავშირა: „ვერა უკუთქმითი ქართული სახელი არს“<sup>426</sup>.

ანეკდოტურია კ. შანის მიერ გამოთქმული ვარაუდი, სახელი ვერე სომხ. ვერ- სიტყვას უკავშირდება, რაც ზემო-ს ნიშნავსო.<sup>427</sup> როგორც ჩანს, ვერე მას ესმოდა (ან სურდა გაეგო) როგორც „თბილისის ზემოთ, ჩრდილოეთით მდებარე რაიონი“. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტოპონიმი ვერე|ვერისა-ხევი თბილისის შემოგარენში და-

<sup>421</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ. 1941, გვ. 49, 2.

<sup>422</sup> იქვე.

<sup>423</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 57, 4-5.

<sup>424</sup> პ . ი ო ს ე ლ ი ა ნ ი , ტფილისიდან მცხეთამდე (მოგზაურის ჩანაწერები), ტფილისი, 1871, გვ. 21.

<sup>425</sup> იქვე. გვ. 21.

<sup>426</sup> შ . მ ე ს ხ ი ა , საისტ. ძიებანი III, 1986, გვ. 418; თ . ბ ე რ ი ძ ე , ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, 1977, გვ. 63.

<sup>427</sup> CMOMIIK, 40, 1909, გვ. 31.

ახლ. XIII საუკუნიდან მოიხსენიება, მაშინ კ.ჰანის ზემოაღნიშნული მოსაზრება თავისთავად კარგავს დამაჭერებლობას.

კ.ჰანი თითქოს არ კმაყოფილდება პირველი ვერსიით და მოჰყავს მეორე, არანაკლებ ანეკდოტური ვარაუდი, თითქოს მდინარე ვერე ნიშნავდეს „მე შევერიე მტკვარს“. <sup>428</sup> უნებურად გვაგონდება ვახუშტისეული მოსაზრება მდ. მაშავერის შესახებ: „მა, შავერიე ქციას“. <sup>429</sup>

ვერე, შესაძლებელია, წარმოშობით მერე სიტყვის ბგერინაცვალი ფორმა იყოს. იგი ხშირად მონაწილეობდა ძველი ქართული ტოპონიმების წარმოქმნაში. მდინარე ვერეს ჩვენეული ეტიმოლოგია საბოლოო არ არის, დამატებით კვლევას მოითხოვს.

**მერძა** ცნობილი ადგილია ქსნის ხეობაში (ახალგორის რ.). აქაურ მკვიდრებს რომ ჰკითხოთ, ადგილს ვერძა იმიტომ შერქმევეია, რომ აქ ოდესღაც მდგარა ოქროსრქიანი ვერძი, რომელსაც ხალხი აღმერთებდა, მოდიოდნენ, ლოცულობდნენ, სანთელს ანთებდნენ რქებზე და საქონლის გამრავლებას ეხვეწებოდნენ. ეს გადმოცემა, ვფიქრობთ სინამდვილიდან შორს დგას; იგი ხალხურმა ეტიმოლოგისტმა შეთხზა მხოლოდ იმის გამო, რომ ადგილის სახელი ვერძა მას სხვას არაფერს ეუბნებოდა.

საინტერესო ისაა, რომ ამ კუთხის ისტორიული გეოგრაფიის ცნობილი სპეციალისტი გ.გვასალია ტოპონიმ ვერძას ასევე ვერძ-სიტყვასთან აკავშირებს და მას ქსნის ხეობაში მესაქონლეობის განვითარების მაუწყებელ ფაქტად მიიჩნევს. <sup>430</sup>

სახელწოდება ვერძას, ჩვენი ვარაუდით, საერთო არაფერი აქვს ვერძ- („ყოჩი“, „მამალი ცხოვარი“) <sup>431</sup> სიტყვასთან. იგი წარმოსდგება მლაშე მინერალური წყლის აღმნიშვნელი ვეძა სიტყვისაგან ფუძეში რთანხმოვნის ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენის გზით. მაშასადამე, სახელწოდება ვერძა ნიშნავს: „ადგილი, სადაც გამოდის მლაშე მინერალური

<sup>428</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>429</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , „აღწერა“, 1941, გვ. 38, 39.

<sup>430</sup> გ გ ვ ა ს ა ლ ი ა . ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საიკითხები: საქართველოს ისტორიული გეოგრაფ. კრებ., III, თბ., 1967, გვ. 23.

<sup>431</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. IV, 1965.

წყალი, ვეძა", „ვეძებიანი, მლაშობი ადგილი“.

ჩვენეული ვარაუდის სისწორეს უთუოდ მხარს უჭერენ ის ტოპონიმებიც, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

**მერიძისთავა** ვინ მოთვლის, რამდენ საინტერესო, ჯერ კიდევ ამოუხსნელ საიდუმლოს ინახავს ხვამლის მთა, რომლის მელოტი თხემიდან შეგიძლიათ თვალი მოავლოთ მთელ დასავლეთ საქართველოს, ლურჯად მოლივლივე შავი ზღვის უკიდვანო სივრცეს, ზურმუხტოვან მთებს, ხავერდად დაფენილ რიონისა და ენგურის დაბლობებს... მაგრამ ერთ-ერთი მისი საოცრებათაგანი აქვეა, ხვამლის მთაზე. ეს საოცრება პატარა მდინარეა, სახელად ვერძისთავა, რომლის შესახებაც აქ, ლეჩხუმში, არაერთ ვადმოცემას, ზოგჯერ დაუჯერებელ ამბებსაც კი გაიგონებთ. ვერძისთავა კარსტული წარმოშობის მდინარეა. იგი ხან ზედაპირზე მოედინება, ხან კი მღვიმეებში გაუჩინარდება და სადღაც, კლდეების იქით ამოყოფს თავს! ბოლოს დედა რიონს მიერთვის ტვიშის კლდეკართან და ზღაპარიც თითქოს ამით მთავრდება. ლეგენდები კი განაგრძობენ „მოგზაურობას“... ერთ-ერთი ასეთი ლეგენდა სოფელ ლახევის მონადირეების გამოაგნებელ თავგადასავალს ეძღვნება.

ერთხელ ხვამლის მთაში სანადიროდ წასულ ლახეველებს ხელი მოსცარვიათ. სირცხვილს ისინი გადაურჩენია ერთ უზარმაზარ ვერძს, რომელიც მათ შუა გზაზე მორჩილად წინ გადასდგომია. მონადირეებს ვერძი მოუკლავთ, აუქნიათ, მწვადი აუგიათ და სანაქებო დრო უტარებიათ. მოკრილი ვერძის თავი ერთ-ერთ მონადირეს იქვე პატარა ტბაში ჩაუგდია. მონადირეები შინისკენ წამოსულან, მაგრამ ხვამლის გამოქვაბულთან რომ მისულან, გოცებისაგან თმა ლამის ყალყზე დასდგომიათ: ტბაში ჩაგდებული ვერძის თავი მდინარის გამოსავალში წინ დახვედრიათ! ერთ-ერთ მონადირეს ვერძის მოკრილი თავი ხვამლის მთაზე აუტანია და ისევ ტბაში ჩაუგდია. რამდენიმე ხნის შემდეგ წყალს ვერძის თავი კვლავ ხვამლის გამოქვაბულთან გამოუტანია! მონადირეებს ხვამლის მდინარე სასწაულმოქმედ, წმინდა წყლად მიუჩნევიათ და მისთვის ვერძისთავა უწოდებიათ.

ამ ლამაზ ლეგენდას, სამწუხაროდ, ახსნა ეძებნება: ტოპონიმ ვერძისთავას ყოჩის მოკრილ თავთან და მის ტბაში ჩაგდებასთან საერთო არაფერი აქვს. სახელწოდება მომდინარეობს ვეძა სიტყვისაგან,



რომელიც ლეჩხუმურ, რაჭულ და ზოგ სხვა დიალექტში ვერძას სახით არის დადასტურებული. საყურადღებოა, რომ რაქა-ლეჩხუმის ყველა ის ადგილი, რომელთაც ვერძა ან ვერძებში||ვერძებში... ეწოდება, მლაშობი ადგილებია და შორიანხლოს უეჭველად მლაშე წყალი (ვეძა) გამოედინება. რაჭულ დიალექტში სიტყვა ვერძა აღნიშნავს მჟავე მინერალურ წყალს; ვერძას ძალიან ეტანება საქონელი, აგრეთვე ნადირი.<sup>432</sup> რაჭულ-ლეჩხუმური ვერძა ფშავ-ხევსურულ დიალექტებში დაცული მუჯა||მუნჯა და მიტალა სიტყვების სინონიმია (იხ. ქვემოთ). ასე რომ ვერძისთავა ნიშნავს: „ვეძაწყარობიანი ადგილის ზემოთ“, „ადგილი, საიდანაც სათავეს იღებს მჟავე (მლაშე) მინერალური წყარო“. ჩვენი ეს მოსაზრება, უფრო სარწმუნო რომ გახდეს, მკითხველს აქვე წარმოვუდგენთ ვერძა სიტყვის შემცველ ზოგიერთ ტოპონიმს, რომლებიც რაქა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე არის დადასტურებული:

ვერძებში ადგილებია უწერაში, ლაგვანთასა და ღარში; გამოდის მჟავე წყლები.

ვერძა, ვერძითავ-ი საძოვარი ადგილი ს.ძეგლევში (ონის რ.) „კლდეში გამოდის მჟავე წყალი, ვერძა“ (ავთ.ხიდეშელი). ვერძისთავა||გველეშაპის წყარო (ს.ლახეთა) „მლაშე წყალი“. ვერძიგან-ი სახნავ-სათესი ნაკვეთები ს.ურავში (ამბროლაურის რ.) „ახლოს ამოდის მჟავე წყალი“, (განი რაჭულში ადგილს, მიწის ნაკვეთს ეწოდება).

ვერძითავიდელე პატარა ღელეა, გამოდის კლიდან. „ნადირი ეძალება ამ წყალს“ (ს.წმენდაური, ონის რ.).

ვერძირუ ადგილებია სოფ. ხიდეშლებში (ონის რ.). „აქ ამოდის დიდი რაოდენობით სამკურნალო მჟავე წყლები. ჩვენი წინაპრები ვერძას მჟავე წყალს ეძახდნენ“ (ლავრენტი გლახუას ძე ხიდეშელი, ჩაიწერა მაყვალა ხიდეშელმა).<sup>433</sup>

ამის მიუხედავად ტოპონიმი ვერძისთავა ქართველ ეთნოგრაფთა ერთი ნაწილის მიერ გააზრებულია როგორც ლეჩხუმის ყოფისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული რიტუალი. უფრო მეტიც, ვერძის (ყოჩის) თავის წყალში ჩაგდების რიტუალს ანალოგს უძებნიან ლაშხეთის ეთნიკურ ყოფაში. ტოპონიმ „ვერძის თავასთან“ აკავშირებენ, აგრეთვე,

<sup>432</sup> ა ლ . კ ო ბ ა ხ ი ძ ე , რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1967, გვ. 48.

<sup>433</sup> სვ, რვ. 381.

იმ ვერძს, რომელიც თითქოს ლამარიას გამოუშვია დევის მიერ აშენებული კლდის თუ კედლის („დავა კოჯ“) გასანგრევად და დაგუბებული ენგურის გასაშვებად. ვერძი რქებით დაჯახებია კლდეს, მდინარისათვის გზა მიუტია და ლამარია დახრჩობისაგან გადაურჩენია. ანალოგიური გადმოცემის ანარეკლი ხომ არ არის ლეჩხუმური სახელწოდება „ვერძისთავაცო?“ — ვკითხვლობთ ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ, თავისთავად ძალზე საინტერესო და ორიგინალურ, გამოკვლევაში.<sup>434</sup>

ჩვენი მკითხველისათვის კი, ვფიქრობთ, უკვე ნათელია, თუ როგორი წარმოშობისაა ტოპონიმი ვერძისთავა: იგი, როგორც ვთქვით, ვერძა||ვეძა სიტყვისაგან არის წარმომდგარი და საკულტო ვერძთან, ან თუნდაც მის თავთან, საერთო არაფერი აქვს.

**მერხმელ-ი** პატარა სოფელია თიანეთის რაიონში (ზარიძეების სას. საბჭო). ნათელი ეტიმოლოგიის მიუხედავად ხალხში გავრცელებულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სათათრეთში მარცხით დაბრუნებული სარდლისთვის ფაშას უკითხავს: „ვერ ახველიო?“ სინამდვილეში ტოპონიმი ვერხველი მცენ. ვერხვის მიხედვით არის წარმოქმნილი.<sup>435</sup> - ვერხვთ-ველი, ვერხვიანველი). ამიტომ მისი ზმნურ „ვერ ახველ“ ფორმასთან დაკავშირება გაუმართლებელია.

**მეჭინე-ი** ისტორიული სოფელია კახეთში (გურჯაანის რ.). ქართულ საისტორიო წყაროებში იგი X საუკუნის შუა წლებიდან მოიხსენიება. გვიანდელ საბუთებში ცნობილია ვეჯინ- და ვეჟინ- ფორმებით.<sup>436</sup> ვახუშტი ბატონიშვილი სახელწოდება ვეჯინის წარმოშობის შესახებ არაფერს ვეუბნება, უბრალოდ აღნიშნავს, ვეჯინი ალაზნის დასავლით „ცივის მთის ძირს“ არის გაშენებულიო.<sup>437</sup> „მატიანე ქართლისაჲ“, „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი“ და სხვა მემატრიანენი მხო-

---

<sup>434</sup> მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , წყლის კულტის გადმონაშთები ლეჩხუმში: კრებ. ლეჩხუმი, თბ., 1985, გვ. 138-139.

<sup>435</sup> ვ . თ ო ფ უ რ ი ა , შრ. III, თბ., 1979, გვ. 246.

<sup>436</sup> მასიგტ I, 1964, გვ. 91.

<sup>437</sup> აღწერა, 1941, გვ. 99, 3.

ლოდ ვეჟინ-ს იცნობენ,<sup>438</sup> მაგრამ ეს ფორმა არაფერს გვეუბნება ისეთს, სახელწოდების გარკვევაში რომ გვეხმარებოდეს. ადგილობრივ მოსახლეობას „გამოსავალი“ მაინც მოუძებნია და მშობლიური სოფლის სახელწოდების წარმოშობა თამარ მეფის ამ კუთხეში მოსვლასთან დაუკავშირებია: „თამარ მეფეს სპარსელები რომ დაუმარცხებია, შინ დაბრუნებულს კახეთის სოფლები მოუხანხულებია. მოდენილა სოფელ-სოფელ და თავის ხალხს თურმე დიდძალ ოქრო-ვერცხლს ურიგებს. ჩვენს სოფელში რომ მოსულა, თამარს თავისი ამაღა გაუჩერებია და უთქვამს: „დედას აი, აქ ვეჯინეო, ე.ი. დედას კალთაში აქ ვეჭვიო“ (ქეთევან ჭავჭავაძის შვილი, ს.ქანდარი). აღნიშნული გადმოცემა მცირეოდენი ცვლილებით ჩაუწერია ეთნოგრაფ-ისტორიკოსს ნ.მჭედლიშვილს.<sup>439</sup>

საქართველოში სოფ. ვეჯინის გარდა არსებობს ვეჯინის უბანიც ს.გლდანში. მათი ურთიერთმიმართების საკითხი (პირველადობა) გასარკვევია.

## — ზ —

**ზანაპ-ი** სოფლებს ჰქვია ადიგენისა და ბორჯომის რაიონებში. სენაკის რაიონშია ს.ზანა. ერთ-ერთი უძველესი ქართული საისტორიო თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ზანავს ასახელებს იბერიის დედაქალაქის — მცხეთის — უბნად. ზანავი აქ მოხსენიებულია ჯერ კიდევ იმ ამბებთან დაკავშირებით, როდესაც იბერიაში ალექსანდრე მაკედონელი მოსულა. მან „პოვნა ციხე-ქალაქნი ძლიერნი შუა-ქართლ... ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა...“<sup>440</sup>

ასევე: „ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანა ხარკითა; და დასხდეს იგინი ზანავს და ეპყრა იგი“.<sup>441</sup>

<sup>438</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 264-11, 321, 22, 308, 28.

<sup>439</sup> იბ. მისი „ვეჯინი“: მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბ., 1985, გვ. 63.

<sup>440</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 17, 21.

<sup>441</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“: ძქალძ I, თბ., 1964, გვ. 81, 15.

იბერიის სამეფოს ძველი დედაქალაქის — მცხეთის — შემოგარენ-ში მემატიანის მიერ დასახელებულ ზანავს ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ეთნონიმ ზან-ს უკავშირებს. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ფაქტი იმ შორეული ეპოქის გამოძახილია, როცა ამ კუთხეში დასავლური (მესხური, აგრეთვე მეგრულენოვანი) ტომები მოსულან და თავიანთი სახლობის მაჩვენებელ-შაუწყებელი ტოპონიმები (ზანავ-ი, მცხეთა...) შეუქმნიათ. ამ თვალსაზრისს დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი გამოთქმული იყო თვალსაჩინო ქართველი მეცნიერების მიერ ჩვენი საუკუნის დასაწყისშიც და მოგვიანებით, 30-40-იან წლებშიც.<sup>442</sup> ეს თავისთავად საყურადღებო და მნიშვნელოვანი თვალსაზრისი თანამედროვე სპეციალისტ-მკვლევართა შორის არავითარ დავას და დაექვევას არ იწვევს; იგი ერთხმად არის გაზიარებული და შეუვალ ქვეშარიტებად მიჩნეული (ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

ზანავი, ჩვენი ღრმა რწმენით, არ შეიძლება სატომო სახელისაგან (ზანი) იყოს წარმომდგარი, რამდენადაც ქართულ ტოპონიმიაში ჩვენ ვერ დავადასტურებთ შემთხვევას, ეთნონიმური წარმოშობის გეოგრაფიულ სახელებში სუფიქსად -ავ ელემენტი რომ გვხვდებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ტოპონიმის საყრდენი (ამოსავალი) ფუძე ეთნონიმია, სატომო სახელია, მაშინ -ავ სუფიქსის მქონელობა გამორიცხულია. როგორც არა გვაქვს ტოპონიმი ქართლ-ავ-ი, კახ-ავ-ი, მესხ-ავ-ი, თუშ-ავ-ი, ჭავჭავ-ავ-ი და სხვ., ასევე არ შეიძლებოდა ენაში გაჩენილიყო ეთნონიმური წარმოშობის ზან-ავ- ფორმაც. აქ სულ სხვა ვითარებასთან უნდა გვექონდეს საქმე. პირველ რიგში საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ ფაქტს, რომ -ავ სუფიქსი (ძველისძველი -ევ სუფიქსის ფარდი ელემენტი) ჩვეულებრივ საზოგადო არსებით სახელებს მიერთვოდა: მან-ავ-ი, ფხუნდ-ავ-ი, ცურტ-ავ-ი, ფიტ-ავ-ი, თელ-ავ-ი, ბოდ-ავ-ი, ტუგი-ავ-ი და სხვ. თუ ამ წესს დავემყარებით, მაშინ უნდა დავუშვათ; რომ საკვლევი ტოპონიმის ზან- ძირიც საზოგადო არსებითი სახელი იყოს. ამის თქმის უფლებას ის ფაქტი გვაძლევს, რომ ლეონტი მროველისეულ „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ რედაქციაში ზანავი, სწორედ ის გეოგრაფიული ობიექტი, რომელიც მცხეთის შემოგარენში იყო

<sup>442</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა , თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი... „ენიმკის მოამბე“ I, თბ., 1937, გვ. 195.

სახელდებული, წყაროდ, (ჰიდრონიმად) არის დადასტურებული: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი და მუნიოტ ბულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა, მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰრქვან ზანავი და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰრქვან ხერკ ხარკისა მისთჳ“. <sup>443</sup> თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ძველ ქართულში წყლის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებში გვხვდება ზან-სიტყვა (ალა-ზან, ნარ-ზან...), <sup>444</sup> მაშინ ეგებ ზან-ავ ფორმაშიც ამოსავლად ჰიდრონიმული ტერმინი ზან გვევარაუდა და არა ეთნონიმი ზანი. მაშასადამე ზანავი უნდა გავიგოთ, როგორც „წყაროები“, „წყარომრავალი ადგილი“. ანდა ხომ არ შეიძლება ზან- ძირი ზენ-სიტყვად გავიაზროთ, როგორც მისი სახეცვლილი ფორმა და ამრიგად იგი ზმნიზედური წარმოშობის ერთეულად ვცნოთ: ზენ-ავ-ი?

დასასრულ იმასაც ვიტყვით, რომ ზემო აქარის მიკროტოპონიმი-აში (ხულოს რ. სოფელი ბელღეთი) ვრცელი სათიბი მინდვრის სახელად დადასტურდა ზანავები, <sup>445</sup> რაც კიდევ უფრო გვიმტკიცებს რწმენას იმის თაობაზე, რომ ზანავი არ შეიძლება ეთნონიმური წარმოშობის ტოპონიმი იყოს. ეთნონიმი ზან-ი ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმი-აში (ზან-ა, ზანათ-ი, სა-ზან-ო...), აღმოს. საქართველოს, კერძოდ, მცხეთა-საგურამოს რეგიონის ტოპონი-მაში კი მისი გულკება და ძიება გაუმართლებლად გვეჩვენება.

**ზარზმე** ქართული საეკლესიო არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია სამცხეში (ადიგენის რ.). ეს სახელგანთქმული ტაძარი, როგორც ამას ბასილი ზარზმელის ჰაგიოგრაფიული თხზულება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ მოგვითხრობს, VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე

<sup>443</sup> ქართლის ცხოვრება 1, თბ., 1955, გვ. 16, 2.

<sup>444</sup> ერთ-ერთ ზანავს მტკვრის ხეობაში სოფლისა და მდინარის სახელად („ზანავ-რვილის ხევი“) ვახუშტიც ასახელებს თავის „აღწერაში“. (გვ. 83, 25), სოფ. ზანავს იცნობს იოანე ბატონიშვილიც (ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 45).

<sup>445</sup> სფ.

დაუარსებია წმიდა მამას, მიქაელ პარეხელის უსაჩინოეს მოწათეს — სერაპიონს, რისთვისაც მას ზედწოდებად „ზარზმელი“ მიუღია. დროთა სიავის გამო ზარზმის მონასტერი იავარკმნილა. აღგვილა პირისაგან მიწისა და მისგან ცალკეული ფრაგმენტების მეტი აღარაფერი გადარჩენილა.<sup>446</sup>

ამჟამინდელი ტაძარი, აგრეთვე მისი სამრეკლო, XVI საუკუნეშია აგებული და მოხატული,<sup>447</sup> მაგრამ ძველი ტაძრის მასშტაბები და კონფიგურაცია შენარჩუნებული და დაცულია. რაც შეეხება თვითონ სახელწოდება ზარზმას, იგი განმარტებულია ჯერ კიდევ X საუკუნეში, თვით ბასილი ზარზმელის, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ავტორის, მიერ. ბასილის თქმით, მონასტრისათვის სახელი შეურქმევია იმ ხალხს, რომელნიც მოწმენი გამხდარან უჩვეულო მიწისძვრისა, რასაც ტბა ნაპირებიდან გადმოუყვანია და რომლის შემყურე ხალხსაც უიშისაგან ანუ ზარისაგან გრძნობა წართმევია: „მიერითგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას, რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს“.<sup>448</sup> ასევე: „ხოლო ნეტარმან სერაპიონ... ყოველი წარმოუთხრა... განწმობისათვის ტბისა და კაცთა ურჩთა დაფარვისა და ყოველივე, რაჲცა იქმნა... თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ეწოდა ზარზმა ერთა მიერ სასწაულთა საკვრველთა ზარგანჯდითა“.<sup>449</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში ზარზმა ისეთივე —მა სართიანი ტოპონიმების რიგში არის განხილული, როგორიცაა: ბოქორ-მა, უჯარ-მა

---

<sup>446</sup> გადარჩენილ ფრაგმენტებს შორისაა X საუკუნ. მიწურულის ერთი საუცხოო წარწერა, რომელშიც ნათქვამია, „სკლიაროსი გავაკეთეთ“. ეს წარწერაც შემთხვევით გადარჩენილა: იგი ჩაუტანებიათ XVI საუკუნეში აგებული სამლოცველოს კედელში (იხ. ვ ა ხ ტ . ბ ე რ ი ძ ე , მოგონებები, თბ., 1987, გვ. 342).

<sup>447</sup> ვ ა ხ ტ . ბ ე რ ი ძ ე , დასახ. ნაშრ. გვ. 342.

<sup>448</sup> ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ: ძქალძ I, 1964, გვ. 333, 41.

<sup>449</sup> იქვე, გვ. 336, 18.

და სხვ.<sup>450</sup> ამ თვალსაზრისის მიხედვით ძნელდება ზარზ- ძირის შესახებ მსჯელობა. უფრო მოსალოდნელი ხომ არ უნდა იყოს ზარზმა სახელის ორფუძიანობა: ზარ-ზმა? ეს უკანასკნელი სიტყვა (ზმა) ჩვენ ჟამის ფონეტიკურად სახეცვლილ ფორმად გვეჩვენება: ზარის ჟამა||ზარ-ჟმა → ზარ-ზმა. ჟამ- სიტყვის კუმშვის შემთხვევები ძველ ქართულში და თვით „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც“ არაერთგზის გვხვდება: „და ვითარცა იყო ჟამი სამჟმისაჲ, ვილოცევდით...“<sup>451</sup> აქ ისეთ მოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე, როგორც ეს ტოპონიმ ცხრაზმის (დევტიმოლოგიზაციით — ცხრაძმა) წარმოქმნის დროს მომხდარა: ცხრაჟამის ეკლესია → ცხრაჟამა → ცხრაჟმის — ცხრაზმის — ცხრაძმის (ხეობა) → ცხრაძმა.

**ზედაზენი-ი** საგურამოს ქედის უმაღლეს მთაზე (1178 მ. ზღვ.დ.), ტყიანი მასივის მწვერვალზე დგას ადრეფეოდალური ხანის შესანიშნავი ძეგლი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ბაზილიკა, რომელიც VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე ერთ-ერთ ასურელ წმ. მამას — იოანე ზედაზენელს აღუმართავს. მონასტერი აუცილებლად იმ ადგილას, სადაც, მემატიანეთა გადმოცემის თანახმად, უხსოვარი დროიდან მდგარა ქართველთა წარმართული პანთეონის ერთ-ერთი დიდი ღვთაების — ზადენის — კერპი. ფიქრობენ, რომ სახელწოდება ზედაზენი სწორედ ღვთაება ზადენის მიხედვით წარმოქმნილა (ვახუშტი ბატონიშვილი, ნ.მარი, ლ.მელიქსეთ-ბეგი, ს.ჯანაშია, გ.მელიქიშვილი, ა.აფაქიძე, ზ.ჭუმბურიძე, ალ.ღლონტი...). ამგვარი თვალსაზრისის გაჩენას, ბუნებრივია, ხელს შეუწყობდა „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებში დაცული ტრადიციული ცნობა, რომლის მიხედვითაც მემატიანეები ზადენგორაზე ზადენის კერპის აღმართვას მეფე ფარნაჯომს მიაწერენ: „ამან ფარნაჯომ მეფემან... აღაშენა ციხე ზადენი და შექმნა კერპი სახელით ზადენ და ამართა ზადენს.“<sup>452</sup>

ვახუშტი ბატონიშვილი რამდენადმე აზუსტებს ლეონტი მროვე-

<sup>450</sup> ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 134.

<sup>451</sup> სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება: ძქალძ, I, თბ., 1964, გვ. 332, 6

<sup>452</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 29, 2.

ლისეულ ცნობას და დასძენს: „ალაშენა ციხე მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზენი.“<sup>453</sup> ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს მხოლოდ ამ ისტორიულ კონტექსტში უწოდებს ზედაზენს, თორემ თავისი „აღწერის“ სხვა ადგილებში მას იმხანად გავრცელებული და დაკანონებული ზედაძენ- ფორმით მოიხსენიებს: „მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძნისა“, „სამკრით მთა ზედაძნისა“, „მთა ზედაძნისა წარვალს უჯარმამდე“, „კვალად ზედაძნის სამკრით არს ამავე მთის განკიდულს გორასა ზედა... ჯვარის მონასტერი“.<sup>454</sup> როგორც ჩანს, გვიანფეოდალური ხანის ქართლში, ზედაზადენი ზეპირმეტყველებაში უკვე აღარც არსებობდა, რადგან ვახუშტის გარდა მას ზედაძენ-ად იცნობდა დავით გურამიშვილიც:

„წმინდა იონე კახეთს ზედაძენს

სასწაულობით ქეთიკირს ცრემლთ აღენს“.<sup>455</sup>

შევნიშნავთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დატული ვერსია ზადენ-გორაზე ფარნაჯომ მეფის მიერ წარმართული ღვთაების ზადენის კერპის აღმართვის თაობაზე, (რის გამოც მთასაც ზადენის სახელი შეერქმევიდა) ქართველ მეცნიერთათვის ერთნაირად მისაღები როდი იყო. პირველი, რომელმაც ეჭვი შეიტანა ამ ცნობის რეალურობაში, ივანე ჯავახიშვილი იყო. მან საგანგებოდ მიუთითა, რომ წარმართულ ღვთაებათა პანთეონში ზადენი არ ჩანს; ყოველშემთხვევაში მას არც ეფთვიმე მთაწმიდელი ახსენებს და არც ქართულმა ხალხურმა რწმენა-გადმოცემებმა იცის რაიმე ზადენის შესახებო.<sup>456</sup> აქვე მკვლევარი დასძენს: „გამოსარკვევია, თვით „ზედა-ზენი-ც ზადენისაგან არის წარმომდგარი თუ არა? მისი აგებულება („ზედა-ზენი“) უფრო „ქვედა-ზენი“-

<sup>453</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 93, 41.

<sup>454</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 94, 5-14.

<sup>455</sup> დ . გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი , საფლავის ქვაზედ დასაწერი: ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980, გვ. 99. გურამიშვილის მიერ ზედაძენ-ის კახეთში მოხსენიება ბუნებრივია: XVI-XVII საუკუნიდან მოკიდებული ზერკი-საგურამო და არაგვის მარცხენა სანაპირო მიწები, უინვან-თვალისა და მთელი ფშავის ხეობის ჩათვლით, კახეთის სამეფოში შედიოდა.

<sup>456</sup> ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია 1, 1960, გვ. 110.



ს და ძირეულად „ზე“-სა და „ზენი“-ს არსებობას უფრო გვაგულისხმებინებს, ვიდრე ზადენისას... ზადენის შესახებ საკითხს ჯერ კიდევ გულდასმით შესწავლა სჭირდებაო.<sup>457</sup> დიდ მეცნიერს ამ ექვს ის გარემოებაც უძლიერებდა, რომ ზედაზენი მცხეთის შემოგარენისა და ახალციხის თემში ნასოფლარ „ზადენის“ გარდა არც საგეოგრაფიო სახელებში და არც საკუთარ საგვარეულო სახელებში სხვაგვან არსად შემოგვრჩენოდა.<sup>458</sup>

ქართული ტოპონიმის შემდგომმა შესწავლამ ზედაზენი ქანეთში, ხოფის თემშიც გამოავლინა მაღალი გორაკის სახელად;<sup>459</sup> მაგრამ ეს ფაქტი არა თუ უწყობს ხელს ზედაზენ-ფორმაში ლვთაება ზადენის გულვებას, არამედ, პირიქით, რამდენადმე გვიმტკიცებს რწმენას, რომ მცხეთა-ხერკის ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმ ზედაზენს წარმართულ ლვთაება ზადენთან საერთო არაფერი აქვს და რომ ზედაზენი მართლაც ჩვეულებრივი ორფუძიანი ტოპონიმია; პირველი ფუძეა ზმნი-ზედური ზედა, მეორე კი — ზენი, რომელიც ხშირად „თავის“, „წვერის“, „შემალეებული ადგილის“ აღმნიშვნელ სახელად ჩნდება ტოპონიმებში. საგულისხმო ფაქტია, რომ იქვე, ზედაზენთან ახლოს, ჯვრის მონასტრის სამხრეთით, დადასტურდა მიკროტოპონიმი ზედაველა.<sup>460</sup> რაც შეეხება ტერმინ ზენ-ს, იგი ქართულ ტოპონიმიაში მსაზღვრელადაც გვხვდება (ზენ-ობანი|ზე-ობანი, ზენუბანი, ზენდიდი...), საზღვრულ ფუძედაც (ნარა-ზენი, დობერა-ზენი, ჯვარ-ზენი...) და ცალკე დამოუკიდებელ ფუძედაც: ზენი, ზენისი...<sup>461</sup> სხვათა შორის, არაგვის ხეობის ფშავში (ს.კუდოხილიანა) დასტურდება მიკროტოპონიმი დიდზენა და პა-

<sup>457</sup> ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი დასახ. ნაშრ. გვ. 110.

<sup>458</sup> იქვე. გვ. 110.

<sup>459</sup> ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , ქანეთი (ლაზეთი), თბ., 1977, გვ. 60.

<sup>460</sup> ა ლ . ლ ო ნ ტ ი , მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. 49. შეიძლებოდა გაგვეხსენებინა ცნობილი ზედაველაც ქართლში (მასიგტ I, 1964, გვ. 93), აგრეთვე, ზედა რუ (ს.ხიდისთავი, გორის რ.).

<sup>461</sup> ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , დასახ. ნაშრ. გვ. 60. ტოპონიმი ზენისი ინფორმატორის მიერ ასეა განმარტებული: „მაღალი გორაა, თავზე მოვაკება და სახელიც აქედან წარმოდგება“ მაშ ზენის-ი უნდა გავიგოთ როგორც ვაკისი, ვაკისა.

ტარა ზენა, რაც ამ თვალსაზრისით ერთობ საინტერესო ფაქტად გვეჩვენება. დასასრულ, გვინდა შევნიშნოთ, რომ ზედაზადენი-საგან ზედაზენი-ს მიღებას სერიოზული ენობრივი სიძნელენი ელოდება. კერძოდ, რანაირად მოხდა, რომ ღვთაების სახელი ზადენი ზენ სიტყვით შეიცვალა? თუ ზადენი მართლაც ღვთაება იყო, როგორ მოხდა, რომ მას მსაზღვრელად სიტყვა ზედა გაუჩნდა? ქართულ თეონიმური წარმოშობის ტოპონიმებში თითქოს არ უნდა გვხვდებოდეს ამგვარი შემთხვევები: ზედა გიორგი, ზედამარიამი, ზედა იოანე, ზედა წმინდა სტეფანე და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზედაზენი ნიშნავს: „ზემო ვაკე ადგილი“, „მთა, რომელსაც ვაკობი წვერი აქვს“, „ზემო ზენი“...

**ზუზდილი-ი** ქალაქი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი დასავლეთ საქართველოში.

ხალხური ტრადიციული გადმოცემის მიხედვით ტოპონიმი ზუგდიდი სიტყვა ზურგს უკავშირდება: „ქალაქის ციხეს მტერი ადვილად ვერ აიღებდა, რადგან მეომრები ერთიმეორეს ზურგით უდგნენ, ერთიმეორეს ზურგს უმაგრებდნენ, მტერი ვეღარსაიდან ვერ შემოიპარებოდა“. (ვალეკო კემულარია, ქ.ზუგდიდი).

სპეციალისტ-მკვლევართა უმრავლესობა თვლიდა და ახლაც თვლის, რომ სახელწოდება ზუგდიდი წარმოქმნილა ზურგ-სიტყვისაგან, რომელსაც საზღვრულად ზედსართავი დიდი დართვია: ზურგ-დიდი — ზუგ-დიდი (მარი ბროსე, პლ.იოსელიანი, დიმ. ბაქრაძე, ნინო ხოშტარია, ზ.ქუმბურიძე, შ.გოგატიშვილი...) ამგვარი გაფორმება გეოგრაფიული სახელებისა დასავლეთ საქართველოსათვის, კერძოდ, აქარასამეგრელოსათვის, ძალზე ნიშანდობლივია: გადიდი, ზენდიდი, ივანდიდი, კონდიდი, მარადიდი, ნოღადიდა||ლოღადიდა, ქყონდიდი<sup>462</sup> და სხვ. ზუგდიდის ზურგ-დიდი-საგან მომდინარეობას ბევრი იზიარებდა და იზიარებს, თუმცა ამ ვარაუდს იმთავითვე მოწინააღმდეგეც ბევ-

---

<sup>462</sup> აღმ.საქართველოში ამგვარი წყობის ოიკონიმები (დაბა-სოფლების სახელწოდ.) თითქმის არა გვაქვს. ერთადერთია მსხალდიდი (ნატახტარ-გორის გზის სიახლოვეს).

რი ჰყავდა. პოეტი რაფიელ ერისთავი, მაგალითად, თვლიდა, რომ ასეთი რამ „მეტისმეტად ნაძალადევი ეტიმოლოგია“ იყო.<sup>463</sup> ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ვინც ყურადღება მიაპყრო ზუგდიდის წარმოშობის ისტორიას, მის ეტიმოლოგიურ მხარეს, გამოჩენილი ფრანგი მოგზაური, ეთნოგრაფი და არქეოლოგი დიუბუა დე მონპერე იყო. მისი ვარაუდით ტოპონიმისათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო სიტყვა ზუბი, რაკი ძველ დოკუმენტებში ზუგდიდი ზუბდიდის სახით არის წარმოდგენილი და სამეგრელოს მოსახლეობაც მას ზუფუს (\*-ზუბუ) უწოდებდაო. აღნიშნული თვალსაზრისი (ზუგდიდი — ზუბდიდი) შემდგომ განავრცო და დამატებითი ეთნოგრაფიული მასალით შეეცაო გამოჩენილმა ისტორიკოსმა შ.მესხიამ. მისი ვარაუდითაც ზუგდიდი ზუბდიდისაგან უნდა გვეყონოდა მიღებული; ხალხს სიტყვა ზუბის შინაარსი მოგვიანებით ვეღარ გაუგია და ზუგ(ღ)ზუგ(-) სიტყვად გაუაზრიანებიაო.<sup>464</sup>

ნ.მარმა ზუგდიდის წარმომავლობის სულ სხვაგვარი ვერსია წამოაყენა. მან კატეგორიულად უარყო როგორც ზურგ-ღღუგ- და ზუბ- სიტყვები, ისე ზედსართავი საზღვრული დიდი. სამაგიეროდ მან ტოპონიმ ზუგდიდში სატომო სახელი სგუ ივარაუდა, რომელიც, თითქოს სკუთსკევით ეთნონიმისაგან მოდიოდა. ამ ფუძისაგან თავის მხრივ დროთა განმავლობაში მიგვიღია სუგ-და ანუ სუგუ-და ფორმები, რომელშიც ბოლო -და ელემენტს მრავლ. რიცხვის აღნიშვნა ჰქონია დაკისრებული. დასასრულ, ფუძეში მომხდარა ს-ანის გამჟღერება ზ-თანხმონად და საბოლოოდ ზუგუდა სიტყვისაგან ზუგიდაღღუგიდი ჩამოყალიბებულაო.<sup>465</sup>

ერთობ მოულოდნელი ვარაუდი გამოთქვა კ.ჭანმაც: ზუგ არაბულად „ბაზარს“ ჰქვია და, მაშასადამე, ზუგდიდი დიდ ბაზარს ნიშნავსო.<sup>466</sup> საინტერესოა, რომ მკვლევარი იქვე სრულიად განსხვავებულ

<sup>463</sup> იხ. ლ. ცხაკაია, ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან: გაზ. „მებრძოლი“, 3 ოქტ. 1958.

<sup>464</sup> შ. მესხია, „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“: კრებ. „ორიონი“, მიძღვნ. აკ. შანიძის დაბად. 80 წლისთავისადმი, თბ., 1967, გვ. 249.

<sup>465</sup> ნ. მარია, თხზ. ტ. V, მოსკ.-ლენინგრადი, 1935, გვ. 31 შენიშვ. 2.

<sup>466</sup> СМОНІК, 40, ტფ., 1909, გვ. 63.

(ჩვენი აზრით, მართებულ!) ვარაუდს გვთავაზობს, რომლის თანახმადაც ზუგდიდი ესაა იგივე **ზურგ-დიდი** ("нольшая спина", "нольшой хребет") და მნიშვნელობით მეორე ცნობილ ტოპონიმს **ოზურგეთს** უკავშირდება.<sup>467</sup>

ზუგდიდის სვან. ზუგ- სიტყვასთან შესაძლო კავშირის შესახებ აღნიშნული ჰქონდა ჯერ კიდევ ევგ.გაბლიანს (იხ. მისი „სვანეთი“, მანქანაზე გადაბეჭდილი ხელნაწერი, დაცული სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, გვ. 48).

ჩვენი ფიქრითაც **ზუგდიდ-სახელში** ამოსავალია ქართველური **ზუგ-||ზუგვ-** სიტყვა („ბორცვი“, „გორაკი“, „შემალღებული ადგილი“), რომელიც თავისი პირვანდელი მნიშვნელობით დღეს ყველაზე უკეთ სვანურს დაუცავს. **ზუგ-** აქ სამოქმედო არეალი გაუფართოვებია და საფიხვნოს, სანახშოს, სოფლის თავშეყრის ადგილის აღნიშვნაც უკისრია: სვანური პოეზიის ნიმუშებში ვკითხულობთ:

„დედე დვარან **ზუგვ-თე** ადერ, დედილამ, წადი ბორცვისაკენ,  
**ზუგვ-ლადუი** ლახშდირალან!“ ბორცვაკზე ითამაშე!<sup>468</sup>

**ზუგ-||ზუგვ-** სიტყვა საფიხვნოს, სანახშოს გაგებით თანამედროვე ქართულ ლიტერატურაშიც გვხვდება: „იციონენ ზალდელებმა: ეს ნიშანი იყო, რათა **ზუგზე** ანუ საფიხვნოზე შეკრებილიყვნენ...“ „სოფლის ავ-კარგი მათ არ ეკითხებოდათ და ამიტომ არც **ზუგზე** გამოჩენილან“.<sup>469</sup>

როგორც ვხედავთ, საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ზუგ-დიდი გავიაზროთ როგორც „ბორცვდიდი“, „ადგილი, სადაც სხვა ბორცვთაგან განსხვავებული მაღალი ზუგი (ბორცვი) იდგა“ (ან დგას).

ზუგდიდის შესახებ უკანასკნელ წლებშიც არაერთი საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად.

<sup>467</sup> СМОМПК, 40. გვ. 63.

<sup>468</sup> სვანური პოეზია I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შ ა ნ ი ძ ე მ , ვ ა რ ლ . თ ო ფ უ რ ი ა მ და მ ე რ ი გ უ ჯ ე ჭ ი ა ნ მ ა , თბ., 1939, გვ. 172.

<sup>469</sup> თ . მ ა ლ ლ ა ფ ე რ ი ძ ე , გაულ გავზე (რომანი): ჟურნ. „ცისკარი“, №12, 1975, გვ. 87-88.

ქლომათიძის ნაშრომი.<sup>470</sup> მასში ხაზგასმულია, რომ რეალურად არსებულ ზუბდიდ-ზუგდიდ ფორმებისათვის ამოსავალია ზუგვ-დიდი, რაც მიესადაგება ტოპონიმის ტრადიციულ გაგებას: „ბორცვ-დიდი“, „ზუგვ-დიდი“.

ერთობ საყურადღებო მიმოხილვითი ხასიათის წერილი გამოქვეყნდა 1987 წელს. მასში დაწვრილებითაა წარმოდგენილი საკითხის შესწავლის ისტორია. წერილის ავტორი გურია-სამეგრელოს ტოპონიმის მკვლევართა (ი.სიხარულიძე, გ.ელიავა) მიერ მოპოვებულ მდიდარ მასალაზე დაყრდნობით ემხრობა იმ აზრს, რომ ზუგდიდი მართლაც ზუგ-||ზურგ- („ბორცვი“) სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს.<sup>471</sup>

შეგვიძლია დავასკვნათ: გამოჩენილი ქართველოლოგის, ჩვენი ეროვნული ლიტერატურისა და კულტურის დიდი მოამაგის მარო ბროსეს მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოთქმულმა ვარაუდმა ზუგდიდის ზურგ||ზუგ („გორაკი“, „ბორცვი“) სიტყვისაგან მომდინარეობის თაობაზე.<sup>472</sup> (რომელსაც თავის დროზე პლ.იოსელიანმაც დაუჭირა მხარი), დროის გამოცდას გაუძლო; დღეს მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ თვალსაზრისს ადგას.

— თ —

**თაბორი**-ი ეს ბიბლიური წარმოშობის გეოგრაფიული ნომენი საქართველოში გვხვდება როგორც ცალკეული ადგილების, ისე სოფლის სახელწოდებებად. თაბორი სოფელია ლეჩხუმში (ცაგერის რ.). აქაა აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლი — თაბორის ეკლესია (VI ს.). ჩვენში, ებრაულის მი-

<sup>470</sup> ქ. ლ. ო. მ. ა. თ. ი. ძ. ე., კომპლექსითაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში, თბ., 1984, გვ. 9, შნშ. 12.

<sup>471</sup> ა. ტ. უ. ლ. უ. შ. ი., კვლავ ზუგდიდის ეტიმოლოგიისათვის: კრებ. ონომასტიკა I, თბ., 1987, გვ. 158-164.

<sup>472</sup> მ. ბ. რ. ო. ს. ე., მოხსენებითი ბარათი საქართველოსა და სომხეთში არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ, სანკტ-პეტერბურგი, 1849 (ფრანგ. ენაზე).

ბაძვით, საეკლესიო ნაგებობებს ხშირად არკმევდნენ ბიბლიურ სახე-  
ლებს. ასეა წარმოქმნილი წმიდა ადგილთა სახელებად „სიონი“, „ბეთ-  
ლემი“, „ბეთანია (||ბეთენია), „გესაშანია“ (||გეთსიშანია) და სხვ.  
ამავე რიგისაა ზემოხსენებული თაბორი-ც. თაბორი ეწოდება ეგრეთვე  
თბილისის ერთ-ერთ ქედს — თრიალეთის ქედის განტოტებას. პლ. იოსე-  
ლიანის ცნობით ამ მთაზე ოდესღაც მდგარა ფერიცვალების სახელობის  
ეკლესია (იერუსალიმშიც, როგორც ცნობილია, სწორედ თაბორის მთა-  
ზე მომხდარა ქრისტეს ფერიცვალება). რაჟის თაბორის სახელრკმევაც  
ამ გადმოცემასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ თაბორი  
მთის სახელწოდებად ქსნის ხეობაშიც დასტურდება. სოფელ თაბორს  
სახელი ეკლესიის მიხედვით შერკმევია, ისევე როგორც: ნიკორწმინდა,  
მიქარწმინდა (მიქაელ წმინდა), სტეფანწმინდა, კვირიკე, კვირიკეთი  
და სხვ.

ცნობილი მკვლევარი კ. შანი სახელწოდება თაბორს რატომღაც  
რუსულ Табор („ცული“) სიტყვასთან აკავშირებდა: „ამ სოფელში დიდი  
რაოდენობით უმზადებიან ცულებიო“. <sup>473</sup> ჩანს, კ. შანი თბილისის თა-  
ბორს რაღაცნაირად უკავშირებდა სპარსული წარმოშობის თაბერ||თა-  
ბერესტან-თან, რომელსაც სპარსელები ასევე „ცულების ადგილს“  
უწოდებდნენ. <sup>474</sup> ადგილობრივი (ლეჩხუმური) ზეპირგადმოცემის მიხედ-  
ვით თაბორი თურმე თა-გორი-საგან გვქონია მიღებული („მთა-გორები-  
ანი ადგილი“), რაც, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება.

**თავგატეხილას წყარო (||წყალ-ი)** ცნობილი წყაროა  
ქ. სიღნაღში. ეს წყარო იმდენად პოპულარული ობიექტი იყო, რომ მან  
1900-იანი წლების მხატვრულ პუბლიცისტიკაშიც კი იჩინა თავი. ასე,  
მაგალითად, 1907 წელს დაარსებულ სატირულ ჟურნალ „ეკალში“  
გამოქვეყნდა ლექსი „სიღნაღელების სიმღერა“, რომელშიც ვკითხუ-  
ლობთ:

„გავმართეთ დიდი სადილი „თავგატეხილას წყალზედა“,  
თამადად დავსვით დიდყურა, გადადის თასი თასზედა“. <sup>475</sup>

<sup>473</sup> СМОНІК, 40, ტფ., 1909, გვ. 64.

<sup>474</sup> იხ. შ ა რ დ ე ნ ი ს მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1975, გვ. 338.

<sup>475</sup> იხ. გ . ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე , სიცილის არქივიდან, თბ., 1971, გვ. 238.

ხალხური გადმოცემა ამ სახელწოდების წარმოშობას უკავშირებს თავგატეხილას წყალზე (წყაროზე) სიღნაღის უბნებს შორის ატეხილ დიდ ჩხუმს, რომლის დროსაც ბევრი თავგატეხილი წასულა შინ.

სინამდვილეში „თავგატეხილა“ პიროვნული სახელია. როგორც ჩანს, ეს წყარო ვინმე თავგატეხილას პირადი ინიციატივით ან შემწეობით გამოუყვანიათ“. „თავგატეხილა“ რომ ადამიანის საკუთარი (შერქმეული) სახელია, ნათლად ჩანს XVIII ს-ის კახეთის ხალხთა აღწერის მასალებშიც. აქ მოხსენიებულია ვინმე იასე, თავგატეხილის შვილი და ნადირა თავგატეხილი, ახალგაყრილი.<sup>476</sup>

**მბჰმრ-0** ლეჩხუმის (ნაწილობრივ რაჭის) ისტორიული სახელწოდება. ვახუშტის ცნობით თავკერი, მართალია, ერთი კონკრეტული ობიექტის (მთის) საკუთარი სახელი ყოფილა, მაგრამ ეს სახელწოდება იმავდროულად ვრცელი ტერიტორიის (ლეჩხუმის ხეობის) აღმნიშვნელ ერთეულადაც გამოდიოდა: „ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ვეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თავკერად.<sup>477</sup> თვითონ სახელწოდება თავკერს, ვახუშტისავე თქმით, სახელი „მოუგია“ გარემოსთა მთათაგან, კვერსავით მდებარისა — იხილუ ესე მთა კვერი“.<sup>478</sup>

სახელწოდება თავკერ-ში სპეციალისტები გამოყოფენ სვანურ-ერ-სუფიქსს,<sup>479</sup> რომელიც ძალზე ხშირად გვხვდება აქაურ სახელებში: ცაგ-ერ, ნასპ-ერ, ლატრ-ერ, ფხუტრ-ერ, მაზ-ერ, შყალ-ერ, ლენჯ-ერ, უცხ-ერ, ლამხ-ერ, ცალ-ერ და სხვ.

რაც შეეხება თავკ- ძირს, მისი წარმომავლობის შესახებ არაფერია ცნობილი. საინტერესოა, რომ ლეჩხუმის მიკროტოპონიმიაში გვხვდება კვერ||კვერე- ფუძიანი სახელები: საკვერე, თავკერა (ასნის მთის განშტოებანი), კვერეშულა, კვერეში გვერდი...<sup>480</sup> რაც უნებუ-

---

<sup>476</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები I, თბ., 1967, გვ. 28.

<sup>477</sup> ვახუშტი, აღწერა, თბ., 1941, გვ. 148, 19.

<sup>478</sup> იქვე, გვ. 148, 20.

<sup>479</sup> მ. ქალღანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ(||-შ) სუფიქსის საკითხისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963, გვ. 75.

<sup>480</sup> იხ. კრებ. ლეჩხუმი, თბ., 1983, გვ. 30.

რად კვირეს (კვირაცხოველს) გვაგონებს. მთაკვირე? ანდა, ხომ არ შეიძლება დაუშვათ თაკვ-ერ-ის მცენარე ბოკვის (ნეკერჩხალი) სვანური სახელისაგან მომდინარეობა? სვანურში მაღალმთიან ბოკვს თეკ-რა ეწოდება. იქნებ გვევარაუდა ტობონიმ თაკურის სვან. -თეკვ-რა||თე-კუ-ერ-ა ფორმებთან რაიმე კავშირი? თაკვ-ერ-ი — „ადგილი, სადაც ბევრი მთის ბოკვი ანუ ნეკერჩხალი ხარობს“?

**თარანგელი** ადგილების სახელებად გვხვდება ზემო აპარაში, ს.კვატიასა და ს.ფუშრუკაულში (ზულოს რ.). აპარის ტობონიმიის სპეციალისტები (შნიჟარაძე, გ.დიასამიძე, მ.ქამადაძე...) სამართლიანად მიუთითებენ, რომ ტობონიმი თარანგელი ქრისტიანული ღვთისმსახურების ნაშთია და რომ იგი მთაკვარანგელოზისაგან მომდინარეობს. სახელის შემოკლების შემთხვევები აპარულ და, საერთოდ, ქართულ-ქართველურ ტობონიმიში ხშირია. ადგილობრივ მოსახლეობაში კი სრულიად სხვაგვარი ახსნა არის ცნობილი. ს.კვატიაში დაცული გადმოცემის მიხედვით თარანგელი თურქული თარან („ადგილი“) და ქართული გველი||მგელი სიტყვებისაგან ყოფილა შემდგარი. იგი, თურმე, ნიშნავს: „სამგლე ადგილი“. არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ უცნაური, თქმულება, გავრცელებული ს.ფუშრუკაულის მცხოვრებთა შორის: „თამარს ჭერ აუგია სხალთის ეკლესია, შემდეგ ხიხანში დაუპირებია ციხის აგება. ხალხს ეს ამბავი შეუტყვია და დალოდებიან სოფელს კვატიაში, სადაც მეფეს უნდა გამოეცლა. ყველა მოუთმენლად უყურებდა იმ გორას, რომელზედაც თამარი თავისი ამალით გამოჩნდებოდა. მართლაც სულ მალე გამოჩენილა თამარ მეფე. ხალხს უყვირია: „თამარ გელ“, რაც ნიშნავს: „თამარი მოდის“. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

**თბილისი**-ი საქართველოს დედაქალაქი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. თანამედროვე თბილისის ტერიტორია, როგორც ცნობილია, დასახლებული ყოფილა 5-6 ათასი წლის წინათ; მაშინდელი პატარა სოფელი გაშენებული უნდა ყოფილიყო დღევანდელ აბანოსუბანში, რადგან სახელწოდება ტფილისი სწორედ აქ გამომდინარე თბილი (ძველი ქართული გამოთქმით ტფილი) გოგირდოვანი მინერალური წყაროების გამო წარმოქმნილა. აქვე იყო ტფილისის უძველესი ციხე-სი-



მაგრაც.<sup>481</sup> ლეონტი მროველის თქმით ქართველმა მეფეებმა ტფილისი ააშენეს „ციხედ მცხეთისა“. ეს ციხე, მემამტიანის ცნობითვე, აუგია მეფე ვარაზ-ბაკურს IV ს-ის II ნახევარში. ამ დროიდან იწყება ქალაქის აღ-მავლობა და დაწინაურება. როცა სპარსელებმა ქართლი ხელში ჩაიგ-დეს (V ს-ის დამდეგი), შაჰმა ქართლში თავისი მოხელე — პიტიახში გამოაგზავნა, რომელიც დაჯდა არა მცხეთაში, არამედ „ტფილისად, კა-ლად-ციხედ“.<sup>482</sup> ამ დროისათვის ტფილისი აღმ. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი ხდება. ეს ის პერიოდია, როცა „მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“.<sup>483</sup> VI საუკუნიდან ტფილისი უკვე იბერიის სამეფოს დედაქალაქია და მას შემდეგ პირვე-ლობა არცერთი ქალაქისათვის აღარ დაუთმია. ტფილისის სწრაფ და-წინაურებას, მის მძლავრ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად ქცევას ხელს უწყობდა ხელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და ის უმოკლესი და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები, რომლითაც საქარ-თველო წინა აზიის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს უკავ-შირდებოდა.

უცხოურ წყაროებში თბილისი პირველად VI ს. II ნახევრის ბი-ზანტიელი ისტორიკოსის თეოფანეს თხზულებაშია მოხსენიებული თი-ფილისის სახით.<sup>484</sup> საგულისხმოა, რომ თბილისი ამ პირველ წყაროში-ვე ქვეყნის დედაქალაქად მოხსენიება. მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც თბილისი უცხოელი ისტორიკოსების მიერ ნახსე-ნები ყოფილა არა VI ს-ში, არამედ IV ს-ის II ნახევარში. კერძოდ, რომელი გეოგრაფის — კასტორიუსის რუკაზე აღნიშნული პუნქტი ფილადო||პილადო, რომელიც სომეხი მეცნიერის ს.ერემიანის ვარაუ-დით არის თბილისის „შერყვნილი“ ფორმა.

ტოპონიმ თბილისის წარმოშობის საკითხს არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი შეხებია. ცნობილია ვარაუდი, რომლის მიხედ-

<sup>481</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა , შრ. I. თბ., 1949, გვ. 12-13; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი , შ. მ ე ს ხ ი ა , თბილისის ისტორია, 1952, გვ. 16.

<sup>482</sup> თბილისის ისტორია, 1958, გვ. 9.

<sup>483</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძქალძ, 1964, გვ. 95, 10.

<sup>484</sup> თბილისის ისტორია, 1958, გვ. 13.

ვითაც თბილისი თურმე ქართველთა შორეული წინაპრების თუბალების სატომო სახელთან ყოფილა დაკავშირებული: თუბალების თუ თობალე-ბის მთავარ ქალაქს თუბალ-ის-ი||თობალისი||თობელისი ანუ თბილისი უნდა რქმოდო. <sup>485</sup> ეს თვალსაზრისი ქართველი ისტორიკოსების (შ.მე-სხია, დ.გვრიტიშვილი, მ.დუმბაძე, ა.სურგულაძე) მიერ უარყოფილია როგორც ხელოვნური და სარწმუნო ფაქტებს მოკლებული. მართლაც ყველა უძველეს წყაროში ჩვენი დედაქალაქი მოხსენიებულია ტფილი-სად||თიფილისად და არსად, არცერთხელ — თობალისი||თუბალისად.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტფილისი||თბილისი წარმოქმნილა აქ არსებული ცხელი გოგირდოვანი წყაროების გამო, რაც საფუძვლად დასდებია ულამაზეს ხალხურ ლეგენდას ვახტანგ გორგასლის ნადირობისა და მის მიერ მოკლული ხოხობის შესახებ, რომელშიც ქალაქის სახელდების ოდინდელი ისტორიაა გაცხადებული.

**თქლამ-ი** ისტორიული ქალაქი კახეთში. ძველ ქართულ წყაროებში თელავი XI საუკუნიდან არის ცნობილი, მაგრამ როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, თელავი ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ ძველი ბერძენი გეოგრაფის პტოლომეს (ახ. წ. ა. II ს.) „გეოგრაფიაში“. თელავი აქ მოხსენიებულია თელედა-ს სახით.

თელავის ძველისძველ დასახლებაზე და მის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ აქ არის აგებული ძველი ქართული ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლი — ღვთაების ეკლესია (V-VI ს.ს.).

სახელწოდება თელავი ხალხში გავრცელებული გულუბრყვილო ეტიმოლოგიის მიხედვით სომხური თე და ლავ სიტყვებისაგან ყოფილა წარმომდგარი, რაც, თურმე, ქართულად ნიშნავს: „თუ კარგია“.

„ერთი სომეხი დასახლებულა თელავში. ძალიან მოსწონებია იქაური ჰაერი, წყალი და მეორე ძმისთვის მიუწერია, შენც აქ ჩამოდი საცხოვრებლადო. იმ ძმას მოუწერია: თე ლავ? ე.ი. თუ კარგია, ჩამოვალო“.

მკვლევართაგან დღეს არავის ეპარება ეჭვი, რომ თელავის ამგვარი განმარტება ნაძალადევია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

აქ.შანიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ თელავი წარმოშობით

<sup>485</sup> იქვე, გვ. 13-14.

მცენარე თელას სახელს უკავშირდება და ნიშნავს „თელნარი ადგილი“, „თელიანი ადგილი“ (შდრ. მან-ავ-ი). თავდაპირველ ფორმად, უნდა გვქონოდა თელ-ევ-ი („თელები“), რომლისგანაც საბოლოოდ თელავ-ი მიგვიღია.

**თერჯოლა** რაიონული დაქვემდებარების ქალაქი ზემო იმერეთში. სახელწოდება თერჯოლის წარმომავლობა სარწმუნოდ არის გარკვეული. იგი მომდინარეობს თეთრ- და ბჟოლა (ჟოლა) სიტყვების შეერთებით.<sup>486</sup> სახელწოდებაში მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილება მომხდარა: რე კომპლექსი ქართული ენისათვის უჩვეულოა, ამიტომ აფრიკატიზაციის შედეგად (რე — რჯ) და თეთრ- სიტყვაში თანის ბუნებრივი ჩავარდნით საბოლოოდ თერჯოლა მიგვიღია (თეთრჟოლა — თერჟოლა — თერჯოლა). სულხან-საბა ორბელიანის თქმით, ბჟოლა ქართულია, მისი შესატყვისი თუთა კი უცხო სიტყვაა, ქართულში იგი არაბულიდან შემოსულა.<sup>487</sup>

ტოპონიმ თერჯოლის განმარტებით ძველადვე დაინტერესებულან. კ.ჰანი ამ სახელწოდებაში სწორად გამოყოფდა სიტყვა თეთრ-ს, ოღონდ მეორე ფუძე ჯოლა მას ესმოდა როგორც ჟოლი: „из тетр-жолю от тетр-ри (белый) и жолю (малина)“.<sup>488</sup>

თერჯოლა ნიშნავს: „თეთრი თუთის ხეებით მდიდარი ადგილი“.

**თიანეთი**-ი დაბა, რაიონული ცენტრი მდ. ივრის ხეობაში; ისტორიული კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, კახეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია. თიანეთი და მისი მცხოვრებნი — „თიანელნი“ ჯერ კიდევ „ქართლის მოქცევაშია“ (X-XI ს.) ნახსენები: „გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთს და უქადაგეს ერწო-თიანელთა“.<sup>489</sup>

თიანეთი ეტიმოლოგიურად ნათელი სახელია. იგი მომდინარეობს

<sup>486</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს. I, თბ., 1964, გვ. 121.

<sup>487</sup> იხ. ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 451.

<sup>488</sup> СМОМПК. 40, 1909, გვ. 136.

<sup>489</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 126, 1.

მთა სიტყვისაგან, რომელსაც ჭერ ქონება-თვისების აღმნიშვნელი -იან სუფიქსი, ხოლო შემდეგ — გეოგრაფიული -ეთ სუფიქსი დართვია,<sup>490</sup> სხვათა შორის, თიანეთის სწორი ეტიმოლოგია ჭერ კიდევ კ.ჭანმა შემოგვთავაზა: от мта "гора": "страна гор".<sup>491</sup>

ნათელი შინაარსის მიუხედავად სპეციალისტთა ერთი ნაწილი თიანეთს ვითომცდა წინააზიიდან საქართველოში შემოსული წარმართული ღმერთის თიანა-ს სახელს უკავშირებს. ამავე სპეციალისტთა მიერ რატომღაც უარყოფილია ტოპონიმის მთ-იან-სახელისაგან მომდინარეობის შესაძლებლობა: „საქართველოში ბევრგან არის მთიანი ადგილები, მაგრამ „თიანეთი“ არსად არ გვხვდებაო”.<sup>492</sup> ამგვარი „არგუმენტის“ მოხმობა ტოპონიმების მეცნიერული კვლევისას მიზანშეუწონელია; ასე რომ იყოს, მდ. არაგვი სათავიდან მტკვართან შეერთებამდე 30-ზე მეტ დიდ და პატარა სოფელს ჩამოუდის, მაგრამ არაგვისპირი მხოლოდ ერთ სოფელს უწოდა ხალხმა; სამი გორის ერთად არსებობის მაგალითი საქართველოში საკმაოზე მეტია, მაგრამ სამგორი მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადგილს შერქმევია; ასევე, ვინ მოთვლის, რამდენი აყვავებული ქართული სოფელია აღუგვია პირისაგან მიწისა მომხდურ მტერს, რამდენი ჩაუქცევია და იავარუყვია, მაგრამ იმათგან ზოგლე სოფლის სახელად მინცდამაინც ერთს, კასპის რაიონში მდებარე სოფელს, შემორჩენია...

ზემოხსენებული ვარაუდი სარწმუნოობის თვალსაზრისით თითქმის არაფრით განსხვავდება ადგილობრივ გავრცელებული ხალხური თქმულებისაგან, რომლის მიხედვითაც თიანეთი თურმე ქალის სახელს თინას უკავშირდება; იგი იორამის (აქედან — იორი) სატრფო ყოფილა.<sup>493</sup> სხვათა შორის ასევე ადამიანის სახელისაგან მომდინარედ მიიჩნევდა თიანეთს ვახუშტი ბატონიშვილიც: „გარნა სახელი ეწოდა თია-

<sup>490</sup> ს . ჭ ა ნ ა შ ი ა , შრ. II, თბ., 1952, გვ. 49.

<sup>491</sup> СМОМПК, 40, Тифл., 1909, გვ. 138.

<sup>492</sup> ჯ . ლ ო მ ა შ ვ ი ლ ი , თიანეთის შესახ.: გაზ. „ახალი თიანეთი“, 5.09.1981, № 105, გვ. 4.

<sup>493</sup> ლეგენდა ჩაუწერია აკად. გ . ჩ ი ტ ა ი ა ს . იხ. თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში (დღიურები): ენიშკის მოამბე XI, თბ., 1941, გვ. 61.

ნეთს, ვინაღდან არს ძველივე, ვგონებთ ძეთაგან კახოსისათა“.<sup>494</sup>

როგორც უკვე ვთქვით, თიანეთის ერთადერთი, მეცნიერული ახსნა არის მთიან-ეთ-ი: „მთიანი ქვეყანა“. ტყუილად როდი უწოდებდა ლეონტი მროველი ერწო-თიანელებს მთეულებს,<sup>495</sup> მემატინე ჭუანშერი კი თვით თიანეთის მხარეს — კახეთის მთიულეთს.<sup>496</sup>

**თოღენჯი-ი** დიდი სოფელია ერწოში (თიანეთის რ., სიმონიან-თხევის სას. ს.). ტოპონიმის წარმოშობის თაობაზე არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს ვარაუდი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ერთადერთი, მეცნიერულად სწორი და სანდო პასუხი არ მოგვეპოვება. არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტოპონიმი თოღენჯი თურმე თურქ. დიღენჯი-საგან („მათხოვარი“), გექონია მიღებული. ამ თვალსაზრისს აშკარად აკლია დამაჯერებლობა; სულ რომ არაფერი, თოღენჯი ქართულ საისტორიო წყაროებში თოღენჯი-ს სახით X საუკუნიდან არის ცნობილი: „თოღენჯს შედგომაჲ დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ა, ქალამანი ა“.<sup>497</sup>

კ.ჰანის ვარაუდით თოღენჯი წარმომდგარი ყოფილა სიტყვა კოლინჯი-საგან, რომელიც თურმე კუს ნიშნავს. „Черепашье устье“.<sup>498</sup> სიტყვა კოლინჯის ამგვარი გაგება („კუ“) ქართული ენის დიალექტებში თითქოს არ დასტურდება. იგი ძირითადად ცნობილია, როგორც ნაწლავის დაავადების ერთი სახეობა ან მუწუკი, აგრეთვე პატარა, უშნო და მახინჯი ადამიანი.<sup>499</sup> საიდან აიღო კ.ჰანმა კოლინჯის ზემოაღნიშნული განმარტება, ჩვენთვის გაურკვეველია.

როგორც ვთქვით, ტოპონიმი თოღენჯი უნაროდ (თოღენჯი) უძველეს წყაროებშია წარმოდგენილი.<sup>500</sup> XVI-XVII საუკუნეებისდროინ-

<sup>494</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 91, 38.

<sup>495</sup> ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. III, 9.

<sup>496</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 217, II.

<sup>497</sup> ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე , საისტორიო კრებული, წ. IV. ტფ., 1929, გვ. 5.

<sup>498</sup> СМОНПК, 40, Тифл., 1909, გვ. 139.

<sup>499</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , სიტყვის კონა, თხზ. IV, 1965, გვ. 384.

<sup>500</sup> მასიგტ I, 1964, გვ. 107.

დელ ქართულ ეკონომიკურ საბუთებში იგი საკმაოდ იცვლის ფორმას (თორეჯნი).<sup>501</sup> ადგილობრივ მკვიდრთა შორის ამჟამად თოლენჯის პარალელურად თვალენჯი დასტურდება (ძირითადად ფშაურ მოსახლეობაში): „წინავ არ იყო შკოლა, მასწავლებლებიც არ იყვნენ თვალენჯშია“.<sup>502</sup> ასევე: „გემდური, ერწოს მინდორო, თვალენჯის არემარეო“.

თოლენჯი, ჩვენი ვარაუდით, ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმი. ამოსავალი ჩანს საკუთ. სახელი დოლენჯი||თოლენჯი||თვალენჯი. ყველა ეს ფორმა წერილობითაა დადასტურებული როგორც საისტორიო წყაროებში,<sup>503</sup> ისე ქართულ ხალხურ პოეზიასა<sup>504</sup> და მხატვრულ პროზაში.<sup>505</sup> XVII-XVIII საუკ. ქართულ ეკონომიკურ საბუთებში გვხვდება საკუთ. სახელისაგან (დოლენჯი) გაფორმებული გვარი დოლენჯაური (დოლენჯიანი),<sup>506</sup> და დოლენჯიშვილი.<sup>507</sup>

თოლენჯი ისევე ჩანს მიღებული თოლენჯიშვილ||დოლენჯიშვილი-საგან, როგორც ამავე არეალის მეორე ფშაური ტოპონიმი ჩეკურო<sup>508</sup> ჩეკურიშვილისაგან. საკუთარი სახელი დოლენჯი||თოლენჯი ნ.კეცხოველის მიერ თოლენჯი-ს სახით არის გააზრებული.<sup>509</sup>

მრან-ი სოფელია ერწოში (თიანეთის რ., დუღელების სას. ს.). სახელწოდების წარმოშობა უცნობია. მართალია, ადგილობრივი მოსახლეობა მას უკავშირებს სიტყვას „მთვრალი“, — აქაურ ხალხს ძალიან უყვარდა სმა და თრობა, ხატში და სხვა საკრებულო ადგილას სულ მთვრალები დადენილანო, მაგრამ ამგვარი განმარტების ხელოვნურობა და ნაძალადეობა აშკარაა. ნ.კეცხოველი ამ სოფელს რატომღაც თრი-

<sup>501</sup> იქვე, გვ. 107, 154.

<sup>502</sup> ქართული დიალექტოლოგია I, თბ., 1961, გვ. 160.

<sup>503</sup> ივ. ჯავახიშვილი, სეიძ I, 1967, გვ. 32.

<sup>504</sup> ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1970, გვ. 48.

<sup>505</sup> გ. ლენიძე, ნატურის ხე, გვ. 18, 21.

<sup>506</sup> მასიგტ I, 1964, გვ. 76, 77.

<sup>507</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 150.

<sup>508</sup> ვახუშტი, აღწერა, 1941, გვ. 206.

<sup>509</sup> ნ.კეცხოველი, მორბის არაგვი, არაგვიანი, თბ., 1971, გვ. 237.

ნი-ს სახით მოიხსენიებს,<sup>510</sup> მაგრამ გვგონია, რომ ეს ბექდვის შეცდომა უნდა იყოს.<sup>511</sup>

ძველ ქართულ ეკონომიკურ საბუთებში, კერძოდ, ერწოს საკათალიკოზო გამოსაღების ნუსხაში, რომელიც X ს-ის ძეგლად ითვლება, დღევანდელი ფორმა თრანი იკითხება.<sup>512</sup> გამოთქმულია ვარაუდი თრანისა და თილთუბნის იგივეობის თაობაზე (გრ. ზარდალიშვილი), თუმცა იგი სამართლიანად არის უარყოფილი.<sup>513</sup>

ვფიქრობთ, რომ ერწოს რეგიონის ეს სოფელი, ისევე როგორც სხვა აქაურ სოფელთა უმრავლესობა, ანთროპონიმული წარმოშობისა უნდა იყოს. ამოსავალი ჩანს ეპონიმი თარა (შდრ. კახური გვარი თარაშვილი). მაშასადამე ისტორიულად სოფლის სახელად თარა-ან-ი უნდა გვქონოდა, საიდანაც შემდგომ თრ-ან-ი მიგვიღია. უთუოდ ანგარიშგასაწევიან ის ფაქტი, რომ ქიზიყში, ს.ზემო მანჩხანის ერთ-ერთ უბანს თარაანთ უბანი || თარაან-ი ეწოდება.<sup>514</sup>

**მრუსი** ხეობა ყაზბეგის რ-ში. ეს რეგიონი ძირითადად სამ ხეობაშია მოქცეული: თერგის ხეობა, თრუსოს ხეობა და სნოს ხეობა. პირველი მთლიანად მოხვევებით არის დასახლებული, მეორე — ძირითადად ოსებით, სნოს ხეობაში კი მოხვევებთან ერთად ხევესურებიც ცხოვრობენ (ს.ჭუთა). ტოპონიმ თრუსოს მეცნიერული ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. XIV-XV საუკ. ისტორიულ თხზულებაში „ძეგლი ერისთავთა“ ეს ტოპონიმი მოხსენიებულია როგორც თრუსუ: („მაშინ ჩავიდა თრუსუს (ვირშელ ერისთავი, გ.ბ.) და მოეგებნეს თრუსუელნი მრავლითა ძღუენითა“; „მოაოჯრნეს ყოველნი ჳვენი დვალეთისანი და

<sup>510</sup> იქვე, გვ. 237.

<sup>511</sup> სამწუხაროდ ამ წიგნში უამრავი კორექტურული შეცდომაა გაპარული: ვეძისხევი (ვეძათხევას ნაცვლად), რაიონის გორა (სიონგორის ნაცვლად) და სხვ. მრ.

<sup>512</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე , საისტ. კრებ. წ. IV, ტფ., 1929, გვ. 5.

<sup>513</sup> რ. ქ ი ტ ე ს ა შ ვ ი ლ ი , თილთუბნის შესახ. ვაზ. „ახალი თიანეთი“, 6.III.1979.

<sup>514</sup> ა . ლ ლ ო ნ ტ ი , ქიზიყის ტოპონიმია, თბ., 1982, გვ. 48.

შემესრნეს და დაარღვნეს ყოველნი ციხენი თრუსუით აჩაბეთამდის).<sup>515</sup>

ჩენი ფიქრით ტოპონიმი თრუსო უნდა მომდინარეობდეს მცენარე ურძნის (ურძანი, ურძენი)<sup>516</sup> ინგუშური სახელისაგან თურსა, რომელიც აღმ. საქართველოს მთიანეთის მიკროტოპონიმიაში ერთობ ხელშესახებად არის წარმოდგენილი. თუშეთში, მაგალითად, ხშირად გვხვდება ადგილის სახელად თურსიენ-ი (იხ. ქვემოთ) და სათურსო-ან-ი (ს.ომალო), რომელიც აშკარად გვაპარაულებინებს თურს- ფუძეს. მიკროტოპონიმი სათურსოანი სწორედ „ურძნ-იან“-ად არის განმარტებული თუში მკვლევრის გკურდღელაიძის მიერ.<sup>517</sup>

მაშასადამე, ტოპონიმი თრუსო მიღებული გვქონია მცენარე ურძნის ჩაჩნურ-ინგუშური სახელწოდებისაგან თურსა. მოსალოდნელია, თურსა თავდაპირველად ერქვა ამ ხეობის ერთ რომელიმე კონკრეტულ ობიექტს, შემდეგ კი ეს მიკროტოპონიმი მთელი ხეობის სახელად ქცეულა. ტოპონიმს განვითარების ასეთი გზა გაუვლია: თურსა → თრუსა → თრუსო.

თუშ-ი სოფელია იმერეთში (თერჯოლის რ.). სახელწოდება, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, წარმოშობით თურქულია, დუზ „კაკე“.<sup>518</sup> მაშასადამე თუში (-დუზ-ი) უნდა გავიგოთ როგორც „კაკე ადგილზე გაშენებული სოფელი“, „კაკე“, „კაკისი“.

თუ ჩვენ სარწმუნოდ მივიჩნევთ ტოპონიმ თუშის თურქული ენობრივი სამყაროდან მომდინარეობას, მაშინ შეიძლებოდა გაგვეხსენებინა თურქულივე სიტყვა **tuz**, რაც ნიშნავს: „მარილი“, „ადგილი, სადაც გამოედინება მლაშე მინერალური წყალი“, „სამკურნალო გოგირდოვანი აბანო“, „მლაშობი ადგილები“. ტერმინი **Туз** საკმაოდ ხშირად გვხვდება შუა აზიისა და აღმოსავლეთის ხალხთა ტოპონიმიაში. შდრ. **Тузлар**<sup>519</sup> იმავე მნიშვნელობით: „მლაშე ადგილი“, „მარილიანი ადგილები“.

ადგილობრივი მოსახლეობა მშობლიური სოფლის სახელწოდების

<sup>515</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 106, 113.

<sup>516</sup> ა ლ . მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს მიხედვით: უზანი (1961, გვ. 67).

<sup>517</sup> გ . კ უ რ დ ღ ე ლ ა ი ძ ე , თუშეთი, თბ., 1983, გვ. 109.

<sup>518</sup> იხ. ზ . ქ ე შ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987.

<sup>519</sup> Ф а с м е р , Э С Р Я ტ. IV, М., 1987, გვ. 116.



წარმოშობას ერთ უცნაურ ამბავს უკავშირებს: წასულან სანადიროდ მონადირეები, შეუნიშნავთ კურდღელი, მაგრამ სროლა ვერ მოუსწრიათ, კურდღელი გაქცეულა. ერთ-ერთი მონადირე გამოკიდებია. მეორეს უთქვამს, კარგად ნახე და თუ ზის, ნიშანი მოგვეციო. ამის პერე სოფლისათვისაც თუზი შეურქმევიათო.<sup>520</sup>

**თურსიეხ-ი. თურსიეღ-ი** სალოცავის, წმიდა ადგილის სახელად დასტურდება თუშეთისა და ხევსურეთის რამდენიმე სოფელში (ბოქორნა, ვაკისძირი, ფარსმა, შტროლთა, ქონთიო, ჯვარბოსელი; არდოტი...). ტოპონიმი ორი ფუძისაგან არის შედგენილი. პირველი ფუძეა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სიტყვა **თურსი**, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, ინგუშურია და ქართულად ურძანს ნიშნავს. რაც შეეხება მეორე ფუძეს, ესაა თუშეთის და, საერთოდ, აღმოს. საქართველოს ტოპონიმიში ფართოდ გავრცელებული სიტყვა **ეხ-ი**, რომელიც წარმოშობით ასევე ინგუშურია (ჰეხ) და ნიშნავს: ბუნებრივი გამოქვაბული კლდეში; „კლდე გამონახეთქი ქვაბივით“ (საბა); ხევსურულ, ფშაურ და თუშურ კილოებში ჰეხ-ი||ეხ-ი ეწოდება ბუნებრივ მღვიმეს. გამოქვაბულს, რომელსაც ავდარში პირუტყვი ან ადამიანი თავს აფარებს (ვაჟა-ფშაველა, აკ.შანიძე, თ.უთურგაიძე...). ადგილობრივ შეიძლება **თურსიეხის** ნაცვლად **თურსიელი** გაიგონოთ, მაგრამ ეს სახელწოდების შინაარსს არ ცვლის:

„თურსიელ, წყარო მდინარო, გრილო მალლისა მთისაო,  
ჩამთქმელო თეთრის ცხენისა, ზედ კაის ქაბუკისაო“...

ქონთიოს ზევით ადგილია **თურსიელი**, სადაც... კვირიაკის წინა დღით ხატობა (ხალარჯობა) იციან. იქ ნიშია ღვთისმშობლის სახელზე და ცხენების გაქენება იციან. ნიშის ქვემოთ, ბილიკის პირას, ერთი ქაობია, სადაც მხედარი ჩავარდაო, ამბობენ და ცოცხლად დაიფლა ცხენთან ერთადო“. (მღვდ. პავლე აზიკურაძის ნაამბობი).<sup>521</sup>

მაშასადამე **თურსიეხი||თურსიელი** ნიშნავს: „ეხი, რომლის ახლოსაც **თურსი** ანუ **ურძნის** ხე დგას“.

**თურსა||თურსი** მთელს თუშეთში წმიდა ხედ ითვლებოდა და ახ-

<sup>520</sup> სფ.

<sup>521</sup> აკ. შანიძე, თხზ. I, თბ., 1984, გვ. 234.

ლაც ითვლება. მის ტოტებს თუშები მაგიურ ძალას და ზემოქმედებას მიაწერდნენ. „მფარველი ძალის მქონედ „უძძარაზა თურსა“ — უბრად მოტანილი ურძნის ხის ტოტები — იყო მიჩნეული...<sup>522</sup> „თურსის პატარა ტოტებს გაურკობდნენ ბოსლის კარების თავზე. ამის შემდეგ მუშა პირუტყვს. ძროხის ნაწველსა და ნაღვეებს ავი თვალი ველარაფერს დააკლებდა“.<sup>523</sup>

„ხარებობის დღეს, ძვ. სტილით 25 მარტს, დილით ადრე ოჯახის უფროსი „უძძარაზა“ (უბრად) წავიღოდა ტყეში და მოიტანდა „თურსა“ (ურძნის)<sup>524</sup> ტოტებს, რომელთაც მოკლე... ნაქრებად დაქრიდნენ და საქონელს წითელი ბაწრით კულზე შეაბამდნენ (ხალხის რწმენით ეს „უძძარაზა თურსა“ საქონელს ავი თვალისა და ავი სულისაგან იფარავდა), რკინაზე გადააბიჯებინებდნენ და მინდორში ისე გაუშვებდნენ“.<sup>525</sup>

„ინგუშურად თურსი ურძნის ხის სახელწოდებაა (ხავერდოვანი ხეა), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი წმინდა ხედ თვლიან და ზებუნებრივ თვისებებს მიაწერდნენ... ხევსურეთში თურსიენი ღვთისმშობლის ხატიც კი ყოფილა. თუშეთში დღეობაა თურსიენობა...<sup>526</sup>

ეს ამონაწერები ნათლად გვიჩვენებს თუშების და, საერთოდ, მთიელთა რელიგიურ რწმენას ურძნის ხის (თურსას) მაგიური ძალის მქონებლობაზე. ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ თურსის (ურძნის) ხეებიანი გამოქვაბული მოსახლეობას წმინდა ადგილად მიუჩნევია და იქ ხატობა დაუწესებია.

**თუხარის-ი** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის — ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ისტორიული ციხე-სიმაგრე და ქალაქი. აქედანაა გვარი **თუხარელი** (← თუხარისელი), აგრეთვე კრე-

<sup>522</sup> გ. ც. ო. ც. ა. ნ. ი. ძ. ე., გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987, გვ. 92.

<sup>523</sup> გ. ც. ო. ც. ა. ნ. ი. ძ. ე., დასახ. ნაშრ. გვ. 92.

<sup>524</sup> შეცდომით დაბეჭდილია — ყურძნის.

<sup>525</sup> ნ. ა. ზ. ი. კ. უ. რ. ი., კოტორი როგორც რიტუალური პური თუშეთში: მასალები საქართველო-ენოგრაფიისათვის, XXIII, თბ., 1987, გვ. 223.

<sup>526</sup> მ. ქ. ა. ნ. თ. ა. რ. ი. ა., დროის გამოთვლის ხალხური წესები ჩაჩნეთ-ინგუშეთში: „მაცნე“ (ისტ. არქ. ეთნ. და ხელოვნ. სერია) №4, 1977, გვ. 65.

ბითი თუხარლი-ანი.<sup>527</sup>

თუხარისი, დიდი ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის ცნობით, აუგია ოძრახოსს, მცხეთოსის ძეს,<sup>528</sup> მაგრამ ასეთი თვალსაზრისის გაჩენა მხოლოდ იმის შედეგი უნდა იყოს, რომ თუხარისი ტერიტორიულად სამცხის ერთ-ერთ კუთხეში, კერძოდ, ოძრახეში, მდებარეობდა. ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ უცვლელად იმეორებს ლეონტისეულ ცნობას: „აღაშენა... ოძრახოს, ძემან მცხეთოსისაჲმან“.<sup>529</sup>

თუხარისის შინაარსის გარკვევა ყველაზე პირველად ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსს მემატიანე ჭყანშერს უცდია. მისი თქმით, როცა ვახტანგ მეფე თუხარისს მისულა, ციხისათვის შეუხედავს, ძლიერ მოსწონებია („შეუყუარდა“) და უთქვამს: „ქეშმარიტად, თუ ხარ შენ ციხე!“<sup>530</sup> ვახუშტი ბატონიშვილი მემატიანის ამ გამონათქვამსაც უცვლელად იმეორებს: „მოიგო სახელი სიმაგრით სიმტკიცისათჳს — „თუ ხარ შენ ციხე და არა სხვა“.<sup>531</sup>

თუხარისის წარმოშობის თაობაზე სხვაგვარი მოსაზრებებიც არის ცნობილი. კერძოდ, ფიქრობენ, რომ ტოპონიმს საფუძვლად დასდებია დიდგვაროვანი ქალის სახელი თუხარ, რომელსაც დართვია -ის სუფიქსი. ქალის სახელი თუხარ XVII ს-ის დამდეგის ერთ-ერთ ისტორიულ დოკუმენტში ყოფილა მოხსენიებული.<sup>532</sup> თვალსაზრისი უთუოდ საყურადღებოა, ოღონდ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეების ეპოქის ქართულ ტოპონიმიაში -ის სუფიქსი მიერთვოდა არა ადამიანის საკუთარ სახელს, არამედ ზედსართავეებს და საზოგადო არსებით სახელებს: მანგლ-ის-ი, ტფილ-ის-ი, ფარცხ-ის-ი, ვეძ-ის-ი, მონ-ის-ი, რუ-ის-ი, ურბნ-ის-ი, ტაძრ-ის-ი, ბებნ-ის-ი და სხვ. მრ. მართალია, დღევანდელ გეოგრაფიულ სახელებში -ის სუფიქსი საკუთარ სახელებთან აქა-იქ გვხვდება (თამარ-ის-ი, ჭულ-ის-ი...), მაგრამ აშკარაა, რომ სახელთა ამგვარი წარმოება სრულიად ახალია და რამდენადმე ზელოვ-

<sup>527</sup> ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 518, 21.

<sup>528</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 9, 24.

<sup>529</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941; 136.

<sup>530</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 177, 19.

<sup>531</sup> ვახუშტი, აღწერა, გვ. 136, 7-8.

<sup>532</sup> ზ . კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ. 1987, გვ. 452.

ნურიც; ისინი მიძღვნიტ-მემორიალურ სახელტა წყებას განეკუტვნებიან. ამდენად ისტორიულ ებოქაში ტუხნარ-ის-ი (ქალის სახელი + -ის) თით-ქოს მოულოდნელი ჩანს. ვფიქრობტ, ტობონიმი ტუხნარისი წარმომდგარი უნდა იყოს არა პიროვნული სახელისაგან, არამედ პირველადი ტობონიმისაგან (შდრ. გომი — გომარეთი, ქობი — ქობარეთი, ყვარა — ყვარელი, სალებე — სალებელი, დული — დულელები, ურავი — ურაველი...). ტუხნარისში შეიძლება გამოვეყოტ ადგილის სახელი ტუხ-ი, რომელსაც ადამიანის სადაურობის მაჩვენებელი ძველი -არ სუფიქსი დართვია: ტუხ-არ „ტუხ-ელ-ი“: „კაცი (ხალხი“ სოფელ ტუხიდან“. იგი ისეთივე გაფორმებისა უნდა იყოს, როგორც შუა საუკუნეებში წარმოქმნილი არაერთი სხვა ქართული ტობონიმი: ოპიზარი, ზერთვისარი, ოლთისარი, გარეჯარი... საინტერესოა, რომ XIV საუკუნის დამლევს შედგენილ ერთ-ერთ საისტორიო საბუტში მოხსენიებულია სოფელი ტუხარი: ამ სოფელში არსებულ მოციქულტა საყდრის შეწირულება განუახლებია ალექსანდრე მეფეს მცხეთის სვეტიცხოვლისათვის.<sup>533</sup> ამ ტუხ-არ ფორმას დართვია -ის მაწარმოებელი და შედეგად ტუხარ-ის-ი მიგვილია. მაგრამ ყველაფერი ეს ვარაუდის სფეროს განეკუტვნება, მისი ყოველმხრივ სარწმუნო ეტიმოლოგია კი მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

— o —

**იანქო-ი** სოფელია ქვემო იმერთში (სამტრედიის რ.). როგორც უკვე სარწმუნოდაა გარკვეული, იანეთი მომდინარეობს პიროვნული ივან-ეთ-ის-საგან ფუძეში ვ თანხმოვნის ჩავარდნის გზით.<sup>534</sup> იგი ისევეა -ეთ სუფიქსით წარმოქმნილი, როგორც სხვა ანთროპონიმული ტობონიმები: გობრონ-ეთ-ი, სიმონ-ეთ-ი, ბასილ-ეთ-ი, გრიგოლ-ეთ-ი და სხვ.

ადგილობრივ სოფლის წარმოშობის თაობაზე კი ერთი საკმაოდ გულუბრყვილო გადმოცემა არის გავრცელებული: „ამ სოფელში ერთ-

<sup>533</sup> მასიგტ, I, ტბ., 1964, გვ. 109

<sup>534</sup> ზ. ქუტუბურიძე, რა გქვია შენ? ტბ., 1971, გვ. 196.

თხელ მომხდარა მკვლელობა. დააბრალეს რუსს, რომელსაც მაშინ აქ უცხოვრია. რუსს თავი უმართლებია და შეკრებილი ხალხისათვის უთქვამს: "Я нет, я — нет!" მას შემდეგ სოფლისთვის იანეთი დაურქმევია-თო". (კუყური ილიას ძე კობალეიშვილი ქ.სამტრედია).

საინტერესოა, რომ ამ კუთხიდან გამოსული ცნობილი ქართველი პოეტის კ.კალაძის ლექსის რუს მთარგმნელს იანეთი განუმარტავს როგორც „იების ქვეყანა“.<sup>535</sup> რამდენადაც ვიცით, თვითონ პოეტი კარლო კალაძეც იანეთს სიტყვა იას უკავშირებდა.

**იოსების-ი** სოფელი ზემო იმერეთში. (ჭიათურის საქალაქო საბჭო, სას. საბჭოს ცენტრი). მდ. ყვირილის აუზში სოფელი ითხვისი ერთ-ერთი უძველესი სოფელია. იგი ქართულ ისტორიულ ძეგლებში XV საუკუნის დამლევებიდან დასტურდება ითხვისურ-ფორმით. აქ, კერძოდ, აღნიშნულნი არიან სოფ. ითხვისურის მცხოვრებნი ითხვისურველნი.<sup>536</sup>

ტოპონიმ ითხვისის თავკიდურა იხმოვანი ისეთივე მორფოლოგიური ფუნქციისა უნდა იყოს, როგორც ეს იძრვის-, იქცევის-, ისროლის-... სახელებში არის დადასტურებული. მაშასადამე ტოპონიმი ითხვისი მიმღობური შინაარსის სახელად უნდა წარმოვიდგინოთ. ჩვენი ფიქრით, ითხვისი ნიშნავს: ი-თხრ-ვ-ის-ი „ადგილი, სადაც მიწის ქანი ითხრება“, „მადნის სათხრელი ადგილი“.

ითხვისი (— ითხრვისი) ზუსტად უნდა მიგვანიშნებდეს მდ. ყვირილის აუზში ოდითგანვე განვითარებულ მანგანუმის შემცველი ქანების (მადნის) ოდინდელ ხალხურ რეწვაზე, რაც ამ ხეობაში მომუშავე არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალითაც ნათლად მტკიცდება.<sup>537</sup>

**ილემ-ი** მთავორიანი ლამაზი სოფელია იმერეთში (ზესტაფონის რ.) გაშენებულია მდ. ბორიმელას მარჯვ. მხარეს. აქვე ჩამოდის პატარა მდინარე-ხევი ილმულა (—ილემ-ულა) „ილემის წყალი“. სოფლის სახე-

<sup>535</sup> იხ გაზ. „პრავდა“ 2 მაისი, 1980 წ., №123, გვ. 6.

<sup>536</sup> ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე , საისტორ. მოაზრე VI, ტფ., 1924, გვ. 66-67.

<sup>537</sup> ჯ . ნ ა დ ი რ ა ძ ე , ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

ლი იღეში საკმაოდ ძველია; ქართულ ეკონომიკურ საბუთებში იღეში XV საუკუნის დამლევდიან მოიხსენიება: იმერთა მეფე გიორგის აქაური აზნაურებისათვის გოგია და გოგნია მაქავარიან-სიქღურიშვილებისათვის განუახლებია სოფლების ზოვრეთის, წევისა და იღემის შეწირულება.<sup>538</sup>

ტოპონიმ იღემის წარმოშობა გაურკვეველია. ადგილობრივ გავრცელებული ლეგენდა ამ სოფლის სახელს სიტყვა ირემს უკავშირებს: „სანადიროდ წამოსულან ცხრა ძმა მაისურაძენი. თითოს მოუკლავს თითო ირემი და სოფელსაც მას შემდეგ ირემი შერქმევია; იგი მალე იღემად გადასხვაფერებულა“ (ტარიელ მდივნიშვილი).

არსებობს მეორე გადმოცემა: „მამა და შვილი წასულა სანადიროდ. ტყეში რომ შესულან, პირველად ბავშვს დაუნახავს ირემი და მამისათვის ხელით უჩვენებია: ე, მამა, იღეში, იღეში!“

მას შემდეგ სოფლისთვის ირემი ანუ იღეში შეურქმევიათ.<sup>539</sup> ორივე გადმოცემა სინამდვილესაა მოკლებული. სულ რომ არაფერი, ცხოველთა საზოგადო სახელები (ირემი, მგელი, შველი, ტურა, მაჩვი, ქორი, დათვი, ბუ...) სოფლებს ასე პირდაპირ, გაუფორმებლად არასოდეს არ ერქმევათ. როცა ხალხი ცხოველთა სახელების მიხედვით ქმნის მიკროტოპონიმებს თუ სოფლების სახელებს, მათ ყოველთვის ურთავს სხვადასხვა აფიქსებს: სა-ირმ-ე, სა-ბუ-ე, სა-მგლ-ე, სა-ყვავ-ე, სა-შევარდნ-ე/ო; კაკაბ-ეთ-ი, სა-სირ-ეთ-ი; სა-დათვ-ია, სა-ლორ-ია, სა-ტურ-ია, სა-მაჩვ-ია... ამ წესის მიხედვით შეუძლებელია სოფელს ირემი დარქმეოდა. თუ მაინცდამაინც ირემი იქნებოდა ამოსავალი, მაშინ ზემოხსენებულ სოფელს საირმე, ირმეთი, ირმ-იან-ი ან სხვა, ამის მსგავსი სახელი მოეძებნებოდა.

**იმერეთი-ი** დასავლეთ საქართველოს ყველაზე დიდი ეთნიკურ-ტერიტორიული ერთეული. მას უკავია ვრცელი რეგიონი ლიხის (სურამის) მთის დასავლეთით, ვიდრე სამეგრელოს, გურიის და რაჭა-ლეჩხუმის სანახებამდე. იმერეთი ორ დიდ ერთეულად იყოფა: ზემო და ქვემო

---

<sup>538</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 111 სოფლის სახელი ზოვრეთი აქ შეცდომით ზოვრეთად არის დაბეჭდილი. შტრ. ვახუშტისეული ზორეთის-ხევი (აღწერა, გვ. 153, 25).

<sup>539</sup> სფ.

იმერეთი. ამ ორი კუთხის ტერიტორიაზე განლაგებულია ოთხი რესპუბლიკური (ქუთაისი, ქიათურა, ტყიბული, წყალტუბო) და რვა რაიონული დაქვემდებარების (ზეესტაფონი, ვანი, სამტრედია, საჩხერე, ხონი, ბაღდათი, ხარაგაული, თერჯოლა) ქალაქი თავისი დაბა-სოფლებითურთ. სულ ზემო და ქვემო იმერეთის ტერიტორიაზე დღეისათვის 518 დიდი და პატარა დასახლებული პუნქტია (ქალაქი, დაბა, სოფელი, მუშათა ქალაქური ტიპის დასახლება); ამათგან ზემო იმერეთშია 246, ხოლო ქვემო იმერეთში — 272 დასახლებული პუნქტი.

სახელწოდება **იმერეთი** ჯერ კიდევ ჩვენი მემკვიდრეების მიერ იყო სწორად განმარტებული, როგორც **ლიხს იმიერი** ანუ **ლიხსიმიერეთი** ქვეყანა. მაშასადამე, **იმიერეთი**||**იმერეთი** (იე — ე) რომელიღაც სიტყვის საზღვრული ყოფილა: „[ლიხის მთის] იმიერი მხარე“. როცა ძველად მთის ან გადასასვლელის იქით მდებარე ქვეყნის აღნიშვნა სურდათ, ტოპონიმის მსაზღვრელ წევრად ზედსართავ **იმიერ-ს** იყენებდნენ. ასე აღინიშნებოდა, მაგალითად, **იმიერ-ტაო**<sup>540</sup> („სამზრეთ კავკასიონის იქითა მხარეში მდებარე ქვეყანა“). გვიანფეოდალური ხანის საქართველოში ცნობილი იყო სოციალური ტერმინები: „**ლიხთამერი**“ („ლიხთაქათი“) და „**ლიხთ-იმერი**“.<sup>541</sup> ასე რომ მოხმობილი მასალის მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ **იმერი**||**იმერელი** ეთნონიმ **ივერს**||**იბერს** კი არ უკავშირდება, არამედ ზმნიზედურ „**იმიერ**“ სიტყვას.

საინტერესოა, რომ ტერმინი **ლიხთ-იმერი** („ლიხის მთის იმიერი, იქითა ქვეყანა“) IX-X საუკუნის ერთ-ერთ ქართულ ეკონომიკურ ძეგლშია დადასტურებული: „გარდავე **ლიხთ-იმერით** და მოვიღე თავისუფლობასა ბრძანება კოსტანტინესა და ბაგრატიისი, კახთა მეფეთა ფალღესი(?) და კუ[ი]რიკესი“.<sup>542</sup> ეს დოკუმენტი („ბეგრის დაღების დაწერილი შიომღვიმისადმი“) 893-918 წლებშია შედგენილი.

ტრადიციულ ცნობას იმერეთის **იმიერ** სიტყვისაგან მომდინარეობის შესახებ ზუსტად მიჰყვება ვახუშტი ბატონიშვილიც. მისი თქმით ტერმინი „**იმერეთი**“ ბაგრატიონთაგან მოდის: „რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამე-

<sup>540</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 277, 5.

<sup>541</sup> ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 34, 2; გვ. 229, 13.

<sup>542</sup> ქართული სამართლის ძეგლები II, თბ., 1965, გვ. 4.

რეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი უმეტეს შვერ-  
თებისათჳს და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთსა.<sup>543</sup>

ქართველ სპეციალისტთა უმრავლესობაც სწორედ ამ ვარაუდს  
თვლის სარწმუნოდ.<sup>544</sup>

00რ-0 დიდი მდინარეა აღმოსავლეთ საქართველოში. მდ.  
ალაზნის მარცხ. შენაკადი. იორი სათავეს იღებს კავკასიონის კალთებ-  
ზე, მასარის ქედის სამხრეთ ფერდობზე (2827 მ. ზღვის დონიდან). იგი  
გამოივლის მთელს ერწო-თიანეთს, გაივლის კახეთის აღმოსავლეთ მხა-  
რის ნახევარსტეპებს და ბოლოს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიერთვის  
მდ. ალაზანს. მდინარის საერთო სიგრძე 300 კმ-ს აღწევს.

ჰიდრონიმ იორის ეტიმოლოგიის გარკვევით არაერთი სპეციალის-  
ტი დაინტერესებულა. პირველი მკვლევარი, ვინც იორის განმარტება  
მოგვცა, ვახუშტი ბატონიშვილი იყო; თუმცა მის მიერ შემოთავაზებუ-  
ლი ვარაუდი („იორა ამ მდინარემ“)<sup>545</sup> აშკარად ხელოვნურია, რადგან  
ქართულ ენაში ჰიდრონიმთა ამ წესით გაფორმება („ი-სამ-ა“, „ი-ოთხ-  
ა“...) არ ხდება. ამის მიუხედავად ვახუშტისეულ მოსაზრებას კ.ჭანი სა-  
რწმუნოდ მიიჩნევდა: ი-ორ-ი — "Раздвоенная (может быть,  
подразумевается с "Алазанью", приток которой она составляет".<sup>546</sup>

ტოპონიმ იბერიაზე საუბრისას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ცნო-  
ბილი მკვლევარი მ.ჭანაშვილი იორს ქართველთა მეორე სატომო სა-  
ხელთან ივერ-თან აკავშირებდა. აქედან გვაქვს მიღებული ივერ-ეთ-ი,  
ხოლო მოგვიანებით — ჰერეთიცო.<sup>547</sup> სხვათაშორის ამ მოსაზრებას სა-

<sup>543</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 144, 14.

<sup>544</sup> ტოპონიმ იმერეთის იბერ-||ივერ- ეთონიმიისაგან მომდინარეობის ვერსიას  
პრინციპულად უარყოფდა ექვთ.თაყაიშვილიც. იგი ნ.მარის ხსოვნისადმი  
მიძღვნილ წერილში საგანგებოდ მიუთითებდა, იმერეთს იბერიასთან კავშირი  
არა აქვს, იგი „იმერ“, „იმიერ“ სიტყვისაგან წარმოსდგებო (გაზ.  
„საქართველო“ პარიზი, 1935, №7: გადმობეჭდ. ჟურნ. ქართული მწერლობა,  
№3, 1990, გვ. 64).

<sup>545</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, გვ. 88, 24.

<sup>546</sup> СМОНІК, 40. Тифл., 1909, გვ. 66.

<sup>547</sup> მ . ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , СМОНІК. XXVII, Отд. IV, Тифлис, 1909.



რწმუნოდ მიიჩნევდა კირიონი და იორს Ивериа-ს უწოდებდა.<sup>548</sup>

ზოგიერთი მკვლევარი თვლიდა, რომ ძველ ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული მდ. პელორი იორის შესატყვისის სახელწოდება იყო.<sup>549</sup> ამგვარმა მოსაზრებამ ქართველ ისტორიკოსთა შორის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. პროფ. ნ.ლომოური პრინციპულად მიუთითებს, პელორი მდ. არაგვს შეესაბამება და არა იორსო. საინტერესოა, რომ იორი გვიანდელი ხანის ქართველ და არაქართველ ისტორიკოს-მწიგნობართა ნაწერებში სხვადასხვანაირად არის დადასტურებული. ისქანდერ მუნში, მაგალითად იორს ყაბარს („ყაბრი“) — უწოდებდა,<sup>550</sup> იოანე ბატონიშვილი კი — დანუხს.<sup>551</sup>

მდ. ივრის სახელწოდებას ხუნძური (ღუნძური) ენიდან მომდინარე სახელად თვლიდა ივ.ჭავჭავიძე; მათ ენაზე შორ (წარმოითქმის ხახისძიერი ხშვით: ყჰორ) ხევსაჲ აღნიშნავს და მდინარესაცო.<sup>552</sup> ხუნძურში შორ სიტყვის ეს მნიშვნელობა ფაქტობრივად დადასტურებულია: შორულ — შურულ „მდინარისა“.<sup>553</sup> იორის ხუნძური შორ („ხევი“, „მდინარე“) სიტყვისაგან წარმომავლობა სარწმუნო ჩანს. მართალია, ამ სახელწოდებაში -ორ სეგმენტი სუფიქსად არის მიჩნეული (როგორც ეს გომბ-ორ, კოჯ-ორ, ყად-ორ ტიპის სახელებშია),<sup>554</sup> მაგრამ ფაქტიურად იგი ძირისეულ მასალად უნდა ვცნოთ და არა სადერივაციო (საწარმოქმნო) ელემენტად.

---

<sup>548</sup> ეპისკოპოსი კ ი რ ი ო ნ ი , სალექსიკონო მასალა: კრებ. „ძველი საქართველო“, ტფილისი, 1913, გვ. 126.

<sup>549</sup> ლ . გ ო თ ე ა , იორის სახელწოდ. შესახ.: ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“ №23 1971, გვ. 35-36.

<sup>550</sup> ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. ვ ლ . ფ უ თ უ რ ი ძ ი ს თარგმ. 1969, გვ. 83.

<sup>551</sup> იხ. ი . ბ ე ჟ ა ნ ი შ ვ ი ლ ი , მდ. იორი: გაზ „ახალი თიანეთი“ №60, 24 მაისი, 1973.

<sup>552</sup> ი ვ . ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს კავკასიის ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 53-54.

<sup>553</sup> ტ . გ უ ღ ა ვ ა , თანხმოვანთკომპლექსებისათვის ხუნძურში: იკე, XVII, თბ., 1970, გვ. 184, სქ.

<sup>554</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატ. საფუძვ. I, თბ., 1973, გვ. 55.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მიკროტოპონიმიში კავკასიელ ტომთა ენობრივი დანაშრევები ხელშესახებად არის წარმოდგენილი, მაშინ იორის ხუნძურენოვანი წარმომავლობაც თითქოს მოულოდნელი არ უნდა იყოს. თუმცა საბოლოო სიტყვის თქმა მხოლოდ სამომავლო კვლევას შეუძლია.

**ირმებსაჩოქია** (||**ირმებისაჩოქია**) ასე უწოდებენ ერთ-ერთ მინდორს ზემო აქარის სოფელ კვატიის მკვიდრები. ეს მინდორი ტყის შუაგულში ყოფილა მოქცეული, იქვე თურმე საუცხოო მინერალური წყაროები მოჩხრიალებენ. ადგილობრივ მცხოვრებლებს რომ ჰკითხოთ, მინდორს **ირმებსაჩოქია** (||**ირმისაჩოქია**) იმიტომ შერქმევია, რომ წყაროს წყალს ნადირი დაჩოქილი (მუხლმოყრილი) სვამსო.<sup>555</sup>

ჩვენი ფიქრით, ნადირის წყაროს წყალთან დაჩოქება არაფერ შუაა. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს შექუჩება სიტყვისაგან: **ირმების საქოჩია**||**ირმის საქუჩია**: „ადგილი, სადაც ირმების გუნდი ქუჩდება“; „მინერალურ წყაროსთან ირმის ჯოგის შესაყრელი, შესაქუჩებელი ადგილი“.

**იუხო** პატარა სოფელია მთიულეთში, ხადის ხეობაში (დუშეთის რ.). გაშენებულია სოფ. შონჩოს გადასასვლელის ქვემოთ. ხალხური გადმოცემის მიხედვით სახელწოდება **იუხო** სიტყვა უხვს, სიუხვეს უკავშირდება: „აქ სუ პირველათ ორი ძმა მოსულა, გვარად ყოფილან ზაქაიძები. წამოსულან რო მოხნან, მოთესონ, საქონელი გაიჩინონ. ღარიბათ სადმე ყოფილან. იმათ მასწონებია ეს ადგილი, დაუმუშავებია, გაუტეხია და რო გასულან სამკლადა, უმცროსს უთქვია, რო ესე როგო **იუხვა** ყანამაო, ხატ-სალოცავები ჩვენეე ყოფილაო. დაჰქვიენეს ამაზე თურმე **იუხო**“. (გოგია ჯერმიზაშვილი, ს.წკერე).

ჩვენი ვარაუდით ტოპონიმი **იუხო** ჩრდილოეთ კავკასიელი მეზობლების — ინგუშების — ენობრივი ფაქტია. იგი წარმოქმნილია ჩახნურ-ინგუშური **იუხ-||დუხ-სიტყვისაგან**, რაც მსხვილფეხა საქონლის

<sup>555</sup> სფ.

ქვედა (იქითა მხრის) სასაძოვრე ზონას ნიშნავს.<sup>556</sup> ის ადგილები, რომლებიც ამჟამად სოფ. იუნოს ეკუთვნის, როგორც ჩანს, თავის დროზე ინგუშეთიდან აქ სამუშაოდ გადმოსული მწყემსებისათვის მართლაც აღიქმებოდა მთის მეორე მხარეს მდებარე ქვედა სასაძოვრე ზოლად. იუნო და ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ხევის მიკროტოპონიმი **დუხტელურ-ი** (იხ.), ერთი და იმავე ხალხის მიერ ერთსა და იმავე ეპოქაში შექმნილი სახელები უნდა იყოს.

— კ —

**კაიშაურებ-ი. კაიშაურნ-ი** სოფელია მთიულეთში (ქვეშეთის სას. საბჰო, დუშეთის რ.). იგი ნიშნავს: „კაიშაურთა სოფელი“, „სოფელი, რომელშიც ძირითადად კაიშაურები სახლობენ“. ადგილობრივ გავრცელებული თქმულების მიხედვით კი გვარი „კაიშაური“ თურმე „კარგი შაური“-საგან გვქონია მიღებული.<sup>557</sup> ფაქტიურად ეს გარი ამოსავლად იყენებს ადამიანის საკუთ. სახელს (კაიშა), რომელსაც სუფიქსი -ურ-ი აქვს დართული. საყოველთაოდ არის ცნობილი ტოპონიმი „კაიშაურის ველი“. იგი მიხეილ ლერმონტოვის ცნობილ მოთხრობაში „ჩვენი დროის გირი“ („ბელა“) დადასტურებულია როგორც *кайшаурская долина*. ძველი წყაროების მიხედვით კაიშაურის ველს XV-XVI საუკუნეებში ზადის ვაკე რქმევია: „ზოლო ვირშელმან დაიდვა ნადიმი ვაკესა ზადისასა და ძლუენი ყოველი მიითუაღნა. აღდგა, ლომისას გამოვიდა და გაუშვა ლაშქარი ყოველი“.<sup>558</sup>

გვარი კაიშაური წერილობით (ეპიგრაფიკა) დადასტურებულია მღეთის სალოცავის — ლომისის კარის ოთხსტრიქონიან წარწერაში - ასოთა მოხაზულობა პალეოგრაფიული ნიშნებით XVI საუკუნეს განეკუთვნება). ტექსტი ასე იკითხება: „ქსახელითა ღმრთისაჲთა მქედელნი კიშური ლაზარე და ბუთხუზი გიორგი ჯელთ ფასი არა აიღეს. სულსა

<sup>556</sup> ბ. გ. მ. ყ. რ. ე. ღ. ე., ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალბური მესაქონელობა, თბ., 1982, გვ. 36.

<sup>557</sup> ღ. ი. ა. კ. ა. ი. შ. ა. უ. რ. ი., მთიულური ტექსტები, თბ., 1978, გვ. 83.

<sup>558</sup> „ძეგლი ერისთავთა“: ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 114.

მათსა შეუნდვენ ღმერთმან. ნასლაისძემან ვეფხიამ მოგორთო პური კეთილი, ზორა და რკინა. სულსა მათსა შეუნდვენ ღმერთმან. ამინ".<sup>559</sup> საინტერესოა, რომ გვარი კიშური (აგრეთვე ბუთხუზი) მოხსენიებული ყოფილა ახალგორის ხეობის სოფ. გავაზის ეკლესიის ჯვრის წარწერაშიც.<sup>560</sup> გავაზის ეკლესია IX-X საუკუნეების ძეგლია და, მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ქართული გვარები, მათ შორის კიშური (კაიშაური) და ბუთხუზი ადრეფეოდალურ ხანაში უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა.

**პარახტიონებ-ი, პარახტიონის ხიდ-ი** ცნობილი ადგილია დღშეთის რაიონში (ანანურის სას. საბჭო). აქ, ძველ საქართველოს სამხედრო გზაზე, მდ. არყალის ხეობაში 1860-იან წლებში აგებულა ხიდი, რომელსაც კარახტინის ხიდი ეწოდება. მართალია, ტოპონიმი კარახტინი სპეციალურ ლიტერატურაში გაურკვეველი წარმოშობის სახელწოდებად არის მიჩნეული,<sup>561</sup> მაგრამ მისი რუსული ენიდან მომდინარეობა ექვს არ იწვევს. ქართულ ენაში რუსული карантин-ი საკმაოდ მყარად დამკვიდრებულა კარახტინის სახით. გავიხსენოთ.

„ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიქერსა,  
კარახტინები შეუქრეს, ლეკში არსად გადვიდესა“.<sup>562</sup>

როგორც ჩანს, გასულ საუკუნეში საქართველოს სამხედრო გზის პირას რუსი ჯარისკაცების მიერ საკონტროლო პუნქტი ("карантин"-ი) ყოფილა დაარსებული და ადგილსაც ამიტომ შერქმევია ეს სახელი. საგულისხმოა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აღმოსავლეთშიც

---

<sup>559</sup> ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები: საქართველოს ისტორ. გეოგრაფ. საკითხ., III, თბ., 1967, გვ. 31; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წარწერის ტექსტი პირველად წაუკითხავს (განსხვავებულად) ს.მაკალათიას (იხ. მისი მთიულეთი თბ., 1930, გვ. 172).

<sup>560</sup> ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრ. გვ. 31-32.

<sup>561</sup> ფ. მაკალათია, საქართველოს მთიანეთის უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები: კრებ. „კავკასიის ონომასტიკა“, მაჰაჩყალა, 1977, გვ. 49 (რუს. ენაზე).

<sup>562</sup> არსენას ლექსი: კრებ. „ლექსო, არ დაიკარგები“, (რედაქტ. შემდგენ. ალ. ქინქარაული, თბ., 1985, გვ. 174).

და დასავლეთშიც, რუსული карантин-ი კარახტინ- ფორმით შესულა. სოფ. ქანიეთში (ოზურგეთის რ.) არის ადგილი, რომელსაც კარახტინი ეწოდება: „იქანე, კარახტინძე რო ძიძგი-ძიძგინი იყო, მაშინ წვედა მა-მაჩემი ოზურგეთს“.<sup>563</sup> ეგვევ სახელწოდება გვხვდება ს.ქაქუთში (გურია), ს. ციხისძირში (ღუშეთის რ.) და სხვ. საინტერესოა, რომ ლეჩხუმში (ს.ქვედა ალვი) არის ადგილი ნაკარახტინებში, რომელიც ამ ადგილას ძველი კარანტინის არსებობაზე მეტყველებს. ქართლურ დიალექტში „კარანტინი“ ასევე კარახტინის ფორმით არის დაცული.<sup>564</sup>

**პარღანახ-ი||პარღენახ-ი** ცნობილი სოფელია კახეთში (გურჯანის რ.—; პოეტ იოსებ ნონეშვილის მშობლიური სოფელი. კარღენახის ტერიტორიაზე შემორჩენილია მნიშვნელოვანი არქიტექტურული და საკულტო ძეგლები. ერთ-ერთი მათგანია ბაზილიკის ტიპის ეკლესია, აგებული VI საუკუნეში, მეორე კი („საბაწმინდა“) XIII საუკუნეს განეკუთვნება.

სახელწოდება კარღანახი||კარღენახი ძველ ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ საბუთებში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი: კარღენახი, კარღანახი, კარღანეხი. ამათგან უძველესი ფორმა კარღენახი ჩანს, რომელსგანაც დანარჩენი ორი წარმომდგარა. სხვათაშორის თავიანთ მშობლიურ სოფელს ადგილობრივი მოსახლეობა კარღენახს უწოდებს. კარღენახი დასტურდება ამ სოფლის მკვიდრის, გამოჩენილი ქართველი პოეტის, იოსებ ნონეშვილის ლექსებშიც:

„კარღენახულ ღვინოს აქებს

ბიჭი კარღენახელი“.<sup>565</sup>

კარღენახი დასტურდება იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“<sup>566</sup> და „კალმასობაში“.<sup>567</sup> XVIII საუკ. I ნახევრის კახეთის ხალხთა აღწერის დავთრებში მოხსენიებულია გვარი კარღენული: კარ-

<sup>563</sup> იხ. პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე , გურული დიალექტი I, თბ., 1977, გვ. 102.

<sup>564</sup> ქართული დიალექტოლოგია I (ქართლური ლექსიკონი) 1961, გვ. 638.

<sup>565</sup> ი ნ ო ნ ე შ ვ ი ლ ი , ლექსები, თბ., 1988, გვ. 122.

<sup>566</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1986, გვ. 68.

<sup>567</sup> „საღამოს დროს მიიწიენენ კარღენახს“: კალმასობა, კ . კ ე ე ლ ი ძ ი ს ა და ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, ტფ., 1936, გვ. 138.

დენული პატა, კვამლი ა, თავი ა, თოფი ა; კარდენული აპრილა კვამლი ა...<sup>568</sup> კარდენახი (კარდენაჯი) დასტურდება 1735-1737 წლებში შედგენილ საბუთშიც.<sup>569</sup>

ამავე პერიოდის სხვა დოკუმენტებში კარდანახ- ფორმასაც ვხვდებით;<sup>570</sup> ფუძისეული ე ხმოვანი ბოლოკიდურ ა-ს დაუმსგავსებია. საყურადღებოა, რომ XV საუკუნის ერთ-ერთ ეკონომიკურ საბუთში (შედგენილია 1455 წ.) მოსალოდნელი კარდენახის ნაცვლად კარდანე-ხი იკითხება: „გიორგი მეფემ მეღვინეთ-უხუცეს ასა ვაჩნაძეს განუახლა წყალობა ვეჯინ(ი)სა და ვეჯინის პირ(ი)ს სოფლებისა: კარდანეხის, კარ-დანუცის, ბაკურციხის, ჩალამოტის, კოლაგის, კექასი და კალაურნი-სა“;<sup>571</sup> როგორც ჩანს, კარდენახ||კარდანეხ- ფორმათა აღრევა აღრეულ ხანებშივე დაწყებულა. სახელწოდებათა აღრევისათვის სემანტიკურ ბუნ-დოვანებას უნდა შეეწყო ხელი.

რას ნიშნავს კარდენახი (||კარდანეხი||კარდანახი)? სახელწოდე-ბის შინაარსის გასარკვევად სრულიად არაფერს გვეუბნება ადგილობ-რივ მოსახლეობაში არსებული ვერსია, რომლის მიხედვითაც კარდენა-ხი თურმე კითხვითი შინაარსის შესიტყვებისაგან („-კარგა ნახე?“) ყო-ფილა წარმომდგარი: „მანდ არი დიდი ხევი. ერთხელაც ბიჭები ჩაგვიც-ვივდა იმ ხევში და ხალხი წასულა საძებნელათ. ჩასულან, ჩასულან და თურმე, ვინც ზემოთ დარჩა, ეძახიან, — არ არიანო? — არაო, არ არი-ანო. კიდევ დაუძახეს ამ ზემოურებმა, რო: კარგა ნახეო? — კარგა ვნახეთო და არ არიანო. დაურქმევიათ ამაზე კარგა ნახე, იგივე კარ-დანახი“ (რომან გიორგის ძე ჯაოშვილი, დ. წნორი, 1971 წ.).

სხვაგვარი ვერსიით ადგილს კარდენახი იმიტომ დარქმევია, რომ ამ სოფელში თურმე მუდამ კარგი ვენახი იცოდა (გია უშანგის ძე ჭი-ქურაშვილი, ს.კარდენახი, ჩაწერ. 1978 წ.). საინტერესოა, რომ ხალხმა მშობლიურ კარდენახში სიტყვა „ვენახი“ ამოიციწო. ჩვენი ვარაუდითაც კარდენახი ორი ფუძისაგან შედგენილი სახელია. პირველია კარი, და-სმული თან-იან მრავლობითში (კართ.), მეორე ფუძე (საზღვრული)

<sup>568</sup> ი ვ . ქ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი , სეიძ I, თბ., 1967, გვ. 85.

<sup>569</sup> საქართველოს სიძველენი III, გვ. 430.

<sup>570</sup> ი ვ . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 252.

<sup>571</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 91, სტ. ვეჯინი.

არის ვენახი.<sup>572</sup> მაშასადამე თავდაპირველად უნდა გვქონოდა კართ-ვენახი-ი, საიდანაც თ-ანის დ-ონად გამქლერებით კარდვენახი, საბოლოოდ კი კარდენახი მიგვიღია. აქ ისეთსავე ფონეტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორც ტოპონიმ ღვედორაკის განმარტებისას აღვნიშნავდით.

კარის ვენახი ანუ კართ ვენახი საცხოვრებელი სახლის (სოფლის) წინ მდებარე ვენახს ეწოდება:

„ამილახვარი მეწვია, სამზადისები მზა იყო,

კარის ვენახი იქვე მაქ, მარანი ქვევრით მზა იყო“.<sup>573</sup>

ან: „ამირინდო ახალუხა დახვდათ სავაზეთი ხელში. ის-ის იყო ამოსულიყო კარის ვენახიდან“.<sup>574</sup>

კარის ვენახი („სახლის, კარის წინ მდებარე მამული“) ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა ფორმით დასტურდება: კარზეყანა, კარზევენახი, კარის მამული;<sup>575</sup> კარის მიწა (საბლის მიწა, კალოს მიწა),<sup>576</sup> კარისპირული ყანა,<sup>577</sup> კარჩიყანები,<sup>578</sup> გარემო ვენახი,<sup>579</sup> კარწინა ყანა (მესხ.), კარისპირის მიწა.<sup>580</sup> კარის მამული (შინავენა-

---

<sup>572</sup> საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველ ქართულ საისტორიო თუ ეკონომიკურ ძეგლებში კარდენახი ხშირად კარდენაჯ- (კარდანაჯ-) ფორმით მოიხსენიება, რაც უფრო სარწმუნოს ხდის ფუძეში ვენაჯ- სიტყვის არსებობას.

<sup>573</sup> ლექსო, არ დაიკარგები (შემდგენ. ა ლ . ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი ) თბ., 1985, გვ. 85.

<sup>574</sup> ი . ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე , რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1985, გვ. 365.

<sup>575</sup> ა ლ . კ ო ბ ა ხ ი ძ ე , რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 58.

<sup>576</sup> გ . ჭ ა ლ ა ბ ა ძ ე , მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 220.

<sup>577</sup> ა ლ . ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი , ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 202.

<sup>578</sup> ლ . კ ა ი შ ა უ რ ი , მთიულურის დარგობლივი ლექსიკა. თბ., 1967, გვ. 210.

<sup>579</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 87.

<sup>580</sup> ბ . გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, თბ., 1989, გვ. 37.

ხი)<sup>581</sup> და სხვ. მაშასადამე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კარდენახი მომდინარეობს კართ ვენახისაგან. იგი ნიშნავს: „კარის ვენახი“, „კარის-პირა ვენახი“, „საცხოვრებელ სახლთან ახლო მდებარე ვენახები“.

ქვემო ქართლში დადასტურებულია ნასოფლარი „წინვენახები“). (კ.ხარაძე, 1991, გვ. 86).

**პარსან-ი** პატარა მთაგორიანი სოფელია მცხეთის რაიონში. ტოპონიმის წარმოშობას ხალხური ტრადიციული გადმოცემა სიტყვა კარს უკავშირებს: „ამ სოფელს ძველად შემოვლებული ჰქონია დიდი ქვიტყირის გალავანი; გალავანში დატანებული ყოფილა სამი კარი: ერთი — მცხეთისა, მეორე სადიდგორო, მესამე საქალაქო. ამ სამი კარის გამოთ სოფელს დარქმევია კარ-სამი, მერე და მერე კარსამი გადაკეთებულა კარ-სანად და დღესაც ვერე ეძახიან“ (გიორგი სულხანიშვილი, ქ.მცხეთა, ჩაწერ. 1976 წ.).

საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა ეს ხალხური ვერსია შეიძლება სარწმუნოდაც კი მიიჩნიოს, მაგრამ სპეციალისტს იგი, ბუნებრივია, ვერ დააკმაყოფილებს, რადგან მონათხრობი ამბის ხელოვნურობა აშკარაა. საქმე ის გახლავთ, რომ ქართულ ტოპონიმებში რაოდენობითი რიცხვითი სახელები (სამი, ხუთი, შვიდი, ცხრა) მხოლოდ პირველ ფუძედ (მსაზღვრელად) შეიძლება შეგვხვდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული ენისათვის ბუნებრივი და აუცილებელია ასეთი წყობა: სამ-გორი, ცხრა-წყარო (მეგრ. ჩხორო-წყუ), ორ-წყალი, ხუთ-პანტები, ოთხ-თვალა ტყე, სამ-ზიარი, სამთა-წყარო, ორ-ბოძალა, ორ-გორა, ორ-პირი, ორ-ხევი, ცხრა-ფონა... წარმოუდგენელია რიცხვითი სახელის ბოლოში გადასმა: გორ-სამი, წყარო-ცხრა, წყალ-ორი, ხევ-ორი, ფონა-ცხრა და ა.შ. თუ ამ უგამონაკლისო წესით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ცხადი გახდება რომ კარსანი კარი-სამი-საგან არ შეიძლებოდა მიგვეღო.

სპეციალისტათვის ცნობილია სხვაგვარი მოსაზრებაც. ი.მ.იუსუ-რაძის ვარაუდით კარსანი ეს იგივე კარისანია, რაც თურმე „ბუნებრივად ეგუება ამ ადგილის როგორც მდებარეობას, ისე მის ფაქტობრივ

---

<sup>581</sup> ლ ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი , ნიადაგის ათვისების ტრადიციები საქართველოში, 1989, გვ. 129.



როლს ქართლის (არმაზის) დაცვაში.<sup>582</sup> აღნიშნული მოსაზრება უთუ-  
ოდ საყურადღებოა და ანგარიშგასაწევიც, მაგრამ მისი საბოლოოდ გა-  
ზიარება, ჩვენი ფიქრით, მაინც ჭირს, რადგან კარისანი რაღაც შესი-  
ტყეების ფრაგმენტს (ნაშთს) მოგვაგონებს („ზღუდენი კარისანი“, „აღ-  
გილნი კარისანი“, „ნაშთნი კარისანი“?..), თანაც უძველესი ქართული  
საისტორიო წყაროები ამ ტოპონიმს იცნობენ როგორც კარსანი და  
არა კარისანი. ყოველ შემთხვევაში ტოპონიმი კარსანი ქართულ ეკო-  
ნომიკურ საბუთებში XIV საუკუნიდან მხოლოდ ამ ფორმით დასტურ-  
დება.<sup>583</sup> ქართული საისტორიო წყაროები სოფლის სახელად გვიდასტურ-  
ებენ აგრეთვე კარასანს.<sup>584</sup> და კარანს,<sup>585</sup> მაგრამ ჩვენ ორივე ეს ფორ-  
მა გადამწერთა მექანიკურ შეცდომად მიგვაჩნია. კარსანი ძალზე დიდი  
ბნოვანების ტოპონიმაა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (X ს.) იცნობს დიდ  
საეკლესიო მოღვაწეს ლონგინოზ კარსნელს, რომელსაც ელიოზ მცხე-  
თელთან ერთად მცხეთაში („საუფლო ქალაქში“) იესო ქრისტეს კვართი  
ჩამოუტანია.<sup>586</sup> ყველა წყაროში გარკვევითაა მოცემული კარსანი, ნავა-  
რადღევი კარისანი კი არსად დასტურდება.

ტოპონიმ კარსანის წარმოშობის ისტორია შეიძლება გავარკვევი-  
ნოს ქართული ენის დიალექტთა მონაცემებმა. ჯავახურ კილოში, მაგა-  
ლითად, დადასტურებულია სიტყვა ქარსანი. (მესხ. ქარსანგი), რაც  
ნიშნავს; „ცომის მოსაზელი ხის გობი“, „ვარკლი“.<sup>587</sup> სოფელი კარსანი  
მართლაც ვარკლისებრი მოყვანილობის ღრმულში, ორ ქედს შუა მო-  
ქცეულ ჩოღედშია გაშენებული, რაც ზუსტად მიესადაგება მესხურ-ჯავა-  
ხურში დატული ქარსან-||ქარსანგ- სიტყვის შინაარსს. შეიძლება ვიფიქ-  
როთ, რომ ადრეულ საუკუნეებში სიტყვა ქარსანი ვარკლის მნიშვნე-

<sup>582</sup> ა ლ . ლ ო ნ ტ ი , მცხეთის ტოპონიმა, თბ., 1975, გვ. 12.

<sup>583</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 118-119.

<sup>584</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი  
გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ ი ნ ა  
ე ნ უ ქ ი ძ ე მ და გ . ბ ე ლ ო შ ვ ი ლ მ ა , თბ., 1986, გვ. 30.

<sup>585</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 153.

<sup>586</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 36, 20.

<sup>587</sup> ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი , ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ.,  
1984, გვ. 247.

ლობით აღმოს. საქართველოს დიალექტებშიც იყო გავრცელებული და სოფლის სახელიც მის მიხედვით წარმომდგარა.

**კაციჭამია** როცა ამა თუ იმ კუთხეში ჩვეულებრივი ტოპონიმებისაგან განსხვავებული, რამდენადმე უცნაური შინაარსის სახელწოდებები ჩნდებიან, ადგილობრივ მოსახლეობას მათ მიმართ განსაკუთრებული ინტერესი აღძვრის ხოლმე; სურთ უქველად გაიაზრონ, „გაშიფრონ“ ასეთი ტოპონიმები. ეს უჩვეულო სურვილი კი მიზეზი ხდება იმ უამრავი ლეგენდა-გადმოცემებისა, რომლებიც აქ შეიძლება გაიგონოთ.

პატარ-პატარა ობიექტების სახელწოდებად „კაციჭამია“ საკმაოდ ხშირად დასტურდება აღმოს. საქართველოში, განსაკუთრებით — ქართლსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე.

კაციჭამია ეწოდება ადგილს მტკვარზე, ს.ძეგვის გასწვრივ. ხალხური რწმენით ამ ადგილს კაციჭამია იმის გამო შეერქმევიან, რომ საშინადად ადგილი იყო: „კლდე არი მანდა, ზედ მტკვარზეა გადმოსული, გეგონება, ხიდი ვისმე დაუწყია და აღარ დაუმთავრებიაო. მანდ რო მეტივეები მიდიან, მაგ ალაგას ისე ვერ გაივლიან, ტივზე თუ არ გეეკარენ; არც ფეხზე დგომა შეიძლება და არც ჭდომა, ვერ გაეტევა, კლდე გასრესავს. მაგ კლდეს ბევრის სიცოცხლე შაუქამია, ამიტომაც მაგ ადგილისათვის კაციჭამია უძახნიან“ (გიორგი სულხანიშვილი).

კაციჭამია ჰქვია მინდორს ს. დიდი ატენის ჩრდილოეთით. აქაურ მკვიდრებს რომ ჰკითხოთ, ამ ადგილას თურმე ძველად, ძალიან დიდი ხნის წინათ, „ადამიანისმაგვარ ცხოველებს აქაური ხალხი დაუქამიანო“.<sup>588</sup>

ქართლში, სოფელ წინარეხის გაღმა, ერთი მწირი, უტყეო ადგილია, რომელსაც კაციჭამია სერი ეწოდება. ხალხური თქმულების მიხედვით აქ ოდესღაც კაციჭამია ხალხის სოფელი ყოფილა გაშენებული. ერთ წინარეხელ ქალს, რომელიც აქ ყოფილა გამოთხოვილი, შეუნიშნავს, რომ ქმრისეულნი მას რაღაცას უმაღავდნენ. „ძირის სახლში“ ქალს მიუგნია ქილებისათვის, რომლებშიც ჩამუყუყუებული კაცის ხორცი ჰქონიათ შენახული. შეშინებულ ქალს ერთადერთი ძუძუთა ბავშვისთვის ხელი დაუვლია და ხევ-ხევ გამოქცეულა წინარეხისაკენ. გზაში

<sup>588</sup> სფ.

ბავშვს მოშვივინია; დედას ძუძუ მიუცია. კავთურას ხიდზე რომ შემდგარან, ბავშვს დედისათვის ძუძუზე მაგრად უკბენია. „მოსწი, გვარისაო!“ — უთქვამს დედას (ე.ი. შენც შენი გვარისა მოგდგამსო) და შვილი ადიდებულ წყალში ჩაუგდია.<sup>589</sup>

ამ თქმულებაში თითოეული ამბავი ისე დეტალურად, ისეთი სიზუსტით არის აღწერილი (ქალის მიერ „ძირის სახლში“ ქილების პოვნა, წინარებისაკენ ზევ-ზევ გაქცევა...), რომ ამის გამგონე კაცს უსიამოვნო განცდაც კი დაგეუფლება, მაგრამ ყოველივე აქ თქმული მხოლოდ ხალხის უკიდევანო ფანტაზიის ნაყოფია.

დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ კანიბალიზმი აქ არაფერ შუაა. ჩვენ სხვაგანაც შეგვიძლია ანალოგიური სახელდების ობიექტების დადასტურება.<sup>590</sup> და, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ამ ტოპონიმთა შექმნას ადგილობრივი მოსახლეობა კაცობაშიობას მიაწერს, აშკარაა, რომ აქ სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. ყველა ამ ტიპის სახელისათვის ამოსავალია ნადირის მიერ ადამიანის შეჭმის ფაქტი. ცნობილია, რომ გარეული მტაცებელი ცხოველები (მგელი, დათვი, ფოცხვერი...) ადამიანს ჩვეულებრივ თავს არ ესხმიან, გაურბიან მასთან პირისპირ შეყრას, მაგრამ ზოგჯერ, როცა ნადირი უკიდურესად მძიმე პირობებში აღმოჩნდება (უხვთოვლიანობა, ტყვილისაგან გაშმაგება...) მაშინ იგი ადამიანსაც არ ინდობს და თავს ესხმის. აი, ასეთი ცალკეული შემთხვევები უნდა დასდებოდა საფუძვლად ზემოხსენებულ მიკროტოპონიმთა წარმოქმნას. „კაციჭამია“ „ცხვარიჭამიას“ ტიპის სახელწოდებაა. ამ უკანასკნელზე საგანგებოდ ქვემოთ გვექნება საუბარი.

**მპჭრპმ-ი** დიდი სოფელია (რკინიგზის სადგური) გარეკახეთში (გურჯაანის რ.). „ერთხელ — მოგვითხრობს ხალხური გადმოცემა, — კახეთს დიდძალი მტერი შემოსევია. ეს ჩვენი ჯარი ისე ცოტანი ყოფილან, რო ერთზე რატო ასი თათარი არ მოდის. მაინც არ გატეხილან და შეუტიეს ამ თათარს, მაგრამ ზღვას კოვზით ვინ დაფლევს? ძან გა-

<sup>589</sup> დაწვრ. იხ. გ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი, ქაშნიკი, თბ., 1964, გვ. 61.

<sup>590</sup> ს.რველის ახლოს (ბორჯომის რ.) დასტურდება „კაციჭამიის კლდე“. ს.დვირსა და ქვაბისხევში (იმავე ბორჯომის რ.) — „კაციჭამიას ღელე“ და სხვ.

უქირდათ, ისე არიან დადლილები, რო ლამის ხელი აიღონ, მაგრამ ვერც წინ წასულან, ვერც უკან გამოსულან; იმდენი არიან, როგორც ქვიშა. მაშინ წინ წასდლოლია ჩვენი სარდალი, ხმლით მიჰკაფ-მოჰკაფაჰს თურმე როგორც ბალახსა და თან დაუძახნია: „კაქეთ, ბიქებო, როგორც ერთიო!“ მას მერე ამ ადგილისათვის“ დაუძახნიათ კაჭრეთი, როცა გაუმარჯვიათ და გაკაქეჲ მტერი“ (ლევან მიხეილის ძე ბაცანაძე, ჩამწ. ნელი ხუციშვილი).<sup>591</sup>

აი, კიდეც ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ, რა გზით ხდება ხალხში ტოპონიმების ახსნა-განმარტება. ეტიმოლოგისტს კაჭრ-ძირში კახური სიტყვა კაქვა („გაკაფვა“) დაუნახავს, -ეთ სუფიქსი კი რიცხვით სახელად (ერთი) გაუაზრებია.

კაჭრეთი, ისტორიული კაწარეთი,<sup>592</sup> ქართულ საისტორიო წყაროებში XVII-XVIII ს.-დან მოიხსენიება: „და ვინცა ვინ წმინდის სამების ეკლესიის ყმანი იყვენით, ყველანი მოგკრიფნათ და ხაშმზედ დაგაყენათ. და ვინცა ვინ კაწარეთს მსახლობელნი იყვენით, თქვენს მამულს ველარა სწვდებოდით და ზემო ხაშმზე მსახლობელის კაცთ ბეითალმანი მამულები... გაგიყავით და მოგეცით“.<sup>593</sup> ტოპონიმი უნდა მომდინარეობდეს ძვ. ქართული კაჭარ- სიტყვისაგან, რაც საბას მიხედვით არის: „უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვა“.<sup>594</sup> მაშასადამე, კაჭარ-ეთი (-კაჭრ-ეთ-ი) ნიშნავს: „უწყლო, ნარიყალი ადგილი“. -ეთ სუფიქსი ამ არეალში კაჭარ-ის (რიყის ქვის) სიმრავლეზე მიგვანიშნებს.

კაჭრეთის წარმოშობას კჰანი რატომღაც მცენ. ქაცვის („ინჲერიჲ“) სახელთან აკავშირებდა.<sup>595</sup>

კაჭარო, როგორც ქვის ერთ-ერთი სახეობა, სამეგრელოშიც ყოფილა ცნობილი: „ეკის სამრეკლოს“ კედლები აგებულია ნამსხვრევი და

<sup>591</sup> სფ.

<sup>592</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 120.

<sup>593</sup> ქართული სამართლის ძეგლები (ი ს . დ ო ლ ი ძ ი ს რ ე დ.), ტ. III, 1970, გვ. 916.

<sup>594</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. IV, თბ., 1965, გვ. 366.

<sup>595</sup> СМОНІК, 40. 1909, გვ. 76.

ადგილობრივი კაჭარის კირქვისაგან,<sup>596</sup> — ნათქვამია სპეციალურ ლიტერატურაში.

დასასრულ შეიძლება ტრონიმ კაქრეთის წარმოშობის კიდევ ერთი გზა გვევარაუდა. ქართლური ლექსიკა იცნობს სიტყვა კაჭარს რაც ნიშნავს: მაღალი და უხეში ბალახი, ამოდის ყანაში და მკას ხელს უშლის.<sup>597</sup> ქართლური დიალექტის ლექსიკონში სიტყვა კაჭარი არ ჩანს; სამაგიეროდ მოტანილია კაჭახი, იმავე უხეში ბალახის, სიმინდის ხმელი ღეროების და სხვათა აღსანიშნავად.<sup>598</sup> თუ ჩვენ კაჭარ||კაჭახ- სიტყვათა ამ მნიშვნელობებსაც გავითვალისწინებდით, მაშინ ტრონიმი კაქრეთი შეიძლება ასე გაგვეაზრებინა: „ადგილი, სადაც მრავლად იზრდება უხეში, მსხვილღეროიანი ბალახი (იგივე, ლიხი, ჯოყარი)“.

**კოლაბ-ი** სოფელი გურჯაანის რაიონში ხალხური გადმოცემის მიხედვით კოლაგი „კაი ალაგი“საგან გვექონია მიღებული: „ძმას მიუწყე-რია ძმისთვის, ჩამოდი, ჩემთან იცხოვრე, ძალიან კაი ალაგიაო“. (გიორგი გომურაშვილი). ამგვარ ახსნას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. ჩვენი ფიქრით, კოლაგი, შესაძლებელია უკავშირდებოდეს ინგილოურში არსებულ ქულაგ-სიტყვას, რაც ქარს, („ქარიანი ადგილი“) ნიშნავს. ინგილოურში ეს სიტყვა აზერბაიჯანულიდან შესულა: ქულაქ (ქარი): ორი ფარაფი ქულაგ („ორმხრივი ქარი“, „გამკრავი ქარი“).<sup>599</sup> მაშასადამე, კოლაგი შეიძლება გავიაზროთ ქარიან ადგილად, „ადგილი, სადაც ხშირად ქრის ორმხრივი ქარი“. საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს კოლაგი დადასტურებული აქვს როგორც კოლაქი.<sup>600</sup>

<sup>596</sup> ი . ა დ ა მ ი ა , ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის ხუროთ-მოძღვრება: თურნ. „ძეგლის მეგობარი“, №57, 1981, გვ. 13

<sup>597</sup> ს ტ მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი , ქართლური სალექსიკონო მასალა, იკე XVII, 1970, გვ. 265.

<sup>598</sup> ქართლური დიალექტის ლექსიკონი (წემღვ. თ . ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი , მ მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი და ლ . ნ ო ზ ა ძ ე ), თბ., 1981, გვ. 244.

<sup>599</sup> რ ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე , ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 471.

<sup>600</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 208.

კონდიდი-ი სოფელია ქვემო აქარაში (ქობულეთის რ.). როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, სოფლის სახელწოდება კონდიდი რკოდიდი ანუ მუხადიდი-საგან გვქონია მიღებული.<sup>601</sup> ძველად რკო მუხის ხესაც აღნიშნავდა და მის ნაყოფსაც. ქართლში არის ცნობილი სოფელი რკონი. აი, სწორედ ამ რკონ- ფორმისაგან მიგვიღია ტოპონიმი კონ-დიდი, რომელშიც -ნ- თანხმოვანი მცენარის სიმრავლეს, გავრცელებულობას აღნიშნავს. კონ-დიდ- სიტყვას თავში ჩამოსცილებია რ- ბგერა, რაც დასავლური დიალექტებში, განსაკუთრებით, აქარულსა და იმერხეულში, ნიშანდობლივი მოვლენაა. მაშასადამე კონდიდი რკონ-დიდი-საგან გვქონია მიღებული. იგი ნიშნავს: „ადგილი, სადაც მდგარა მუხის დიდი ხე“.

კონდიდის წარმოშობის თაობაზე ადგილობრივ ერთობ გულუბრყვილო გადმოცემა არსებობს: კონდიდი ძველად ქართველი თავადების თავშესაყარი და გასართობი ადგილი ყოფილა; ჭერ ინადირებდნენ, ორსამ დღეს ნადირის ზოცვით თავს შეიქცევდნენ, მერე სვამდნენ, ქეიფობდნენ, თან ქაღალდს და კარტს თამაშობდნენ, ზოგჯერ კონს ჩადიოდნენ. თუ თანხა დიდი იყო, იტყოდნენ, კონდიდიო. დარქმევიან ამის გამო სოფელსაც კონდიდი.<sup>602</sup>

შეიძლება დაგვეშვა კონდიდის წარმოშობის სხვაგვარი ვერსიაც. კერძოდ, ხომ არაა ამოსავალი სიტყვა კონი? საბას განმარტებით კონი, იგივე საპალურა, არის „თევზთ საპყრობი“.<sup>603</sup> ნ.ჩუბინაშვილის მიხედვითაც კონი ორაგულის სანადირო ფაცერია, მდინარეზედ გაბმული; კონში „ჩაიდგმიან პირშექცეული გოდრები“.<sup>604</sup> მაშასადამე, კონდიდი შეიძლება გავიგოთ როგორც სათევზაო ადგილი, კონის დასაგებად ვარგისი ადგილები.

---

<sup>601</sup> ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი, 1959, გვ. 109; ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 458.

<sup>602</sup> სფ.

<sup>603</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თბ. IV, თბ., 1965, გვ. 387; IV<sub>2</sub>, გვ. 49.

<sup>604</sup> ნ . ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 252.

**კონჭკატი-ი** სოფელია გურიაში (ოზურგეთის რ.). სახელწოდება კონჭკატი ისევეა წარმოქმნილი გურია-აქარის ტოპონიმისათვის ნიშანდობლივი -ათ (-თ) სუფიქსით, როგორც სხვა მრავალი აქაური გეოგრაფიული სახელი: მამა-თ-ი, კვაჭალა-თ-ი, ბურნა-თ-ი, ჭანჭა-თ-ი, ჭინა-თ-ი, ჭუმა-თ-ი... -ათ (||-თ) სუფიქსი უპირატესად ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმებში დასტურდება და ამა თუ იმ სოფელში ამ გვარის მატარებელი ხალხის სიმრავლეზე მიგვანიშნებს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ კონჭკატიც ასეთივე შინაარსის სახელია. იგი კოჭკა||კონჭკა ებონიმისაგან უნდა მოდიოდეს. ადგილობრივ მოსახლეობაში კი ასეთი შინაარსის გადმოცემა არის გავრცელებული: „აქ ყოფილან ძველათ რუსის სალდათები. იმათ ცოდნია ცხენების წყალში გარონება, აბანაებდენ პირუტყვს. იმათი უფროსი ჭდანა თურმე ერთ ნაპირას და რამდენ ცხენსაც გაარონებდა სალდათი, იმდენს ითვლიდა: კონ-ერთი, კონ-ორი, რვაი, ცხრაიო და მერე — კონ-ათიო! დარქმევია სოფელს კონათი, მერე კი ვინცხას დუურქმევია კონჭკატი“ (აკაკი გლახუნას ძე ლოღია).

კონჭკათის წარმოშობის ხალხური ვერსია, როგორც ვხედავთ, ძალზე ხელოვნური და ნაძალადევეა; ანგარიში არ ეწევა იმ გარემოებას, რომ ქართულ ენაში საერთოდ არა გვაქვს რუსული და ქართული სიტყვების შეერთებით მიღებული ტოპონიმები.<sup>655</sup> არც ის არის მხედველობაში მიღებული, რომ ქართულ ორ და მეტფუძიან ტოპონიმებში რაოდენობითი რიცხვითი სახელი მხოლოდ სიტყვის თავში შეიძლება შეგვხვდეს და არა ბოლოში (იხ. სტ. კარსანი), მაგრამ ხალხურ ეტიმოლოგისტს გრამატიკის კანონები დიდად არ აინტერესებს. მისთვის მთავარია ტოპონიმში რაღაცა აზრის, რაღაც წინადადების „წაიხიზვა“ და იგი სრულიად საკმარისი ხდება ახალ-ახალი ეტიმოლოგიების შესაქმნელად. ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ ფაქტთან გვაქვს საქმე.

**კირბოშელ-ი** სოფელია ზემო იმერეთში (საჩხერის რ.). სოფლის სახელწოდება სხვადასხვა ფორმით (კოლბაური, კოლბეური,

<sup>655</sup> სულ სხვაა, როცა ხალხი იყენებს რუსულიდან შემოსულ სიტყვებს და მათ ქართულ საწარმოქმნო ფორმანტებს ურთავს: მაიაკ-ებ-ი, ნა-პალატკ-რ-ებ-ი, დვარეც-ებ-ი, კარახტინ-ებ-ი...

კოლბოური), დადასტურებულია XVII-XVIII საუკუნეების ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ წყაროებში: „მეფემ... შეყარა ოციათასამდე ჯარი და გასწია იმერეთისაკენ... კოლბაურს, სადაც მან კარავი დასცა, ვახტანგს მიეგებნენ წერეთლები...“<sup>606</sup>

„მეფემან სჳონ რომ გარდმოვლო კოლბეურის მთა, მივიდა ერთი დედაკაცი კოლბეურელი და... შეეხუეწა, რომე ჩემი შვილიც იახელითო“.<sup>607</sup>

ვახუშტი ბატონიშვილი კორბოულს კოლბოურ-ფორმით იცნობს:

„მოერთვის ძირულასვე კოლბოურის-გევი“.<sup>608</sup>

ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებაში უპირატესად გამოყენებულია კორბოული: „ჩემზე უხნე არავინ არა მგონია ამ კორბოულში“;<sup>609</sup> „მდებარე თოვლით კორბოულს ვერ აჯობებს ვერცერთი“;<sup>610</sup>

სახელწოდება კორბოული (||კოლბოურ-ი) აშკარად -ოულ კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსით არის გაფორმებული, რაც მის ანთროპონიმულ წარმოშობას გვაუარაულებინებს.

თვით კორბეულელებს რომ ჰკითხოთ, მათ სოფელს ასეთი სახელი იმიტომ შერქმევია, რომ აქ ძველად ბევრი კვერი (ჩაქუჩი) უმზადდებიათ, კვერ-ბევრი||კვერ-ბევრეული სოფელი ყოფილა (ნათელა შალვას ასული მაქარაშვილი-ვახაძისა, ქ.თბილისი). ზოგიერთი აქაური მკვიდრის განცხადებით სოფელი ძველითგანვე ყოფილა კომლ-ბეური „მრავალკომლიანი“ (სხვათა შორის კორბოული ზემო იმერეთის ერთ-ერთი დიდი სოფელია როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობით. დღეს აქ 1700-მდე კომლი სახლობს, 7.000-მდე მცხოვრებით). ზოგიერთის თქმით სოფლის „უმანდელი“ სახელი რკო-ბეური („მუხა მრავალი“) ყოფილა. ეს ვარაუდები ხალხური ეტიმოლოგიის სფეროს განე-

<sup>606</sup> კ . კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატ. ისტორია, II, თბ., 1941, გვ. 450.

<sup>607</sup> ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი , ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 377, 22.

<sup>608</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, გვ. 155, 11.

<sup>609</sup> ი ვ . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი , ვ . თ ო ფ უ რ ი ა , ი . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ქართული დიალექტოლოგია I, 1961, გვ. 447.

<sup>610</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 237.



კუთვნება, მაგრამ მათი ხელაღებით უარყოფა არ შეიძლება, რადგან მათში საინტერესო ინფორმაციაა დაცული.

**კორმალ-ი** სოფელია სამტრედიის რაიონში, საჯავახოსაკენ მიმავალ გზაზე. ამჟამად ამ სოფელს, ოფიციალურად **კორმალალი** ეწოდება,<sup>611</sup> მაგრამ მისი თავდაპირველი ფორმა **კორმალალი** ყოფილა. ასეა იგი დღეს დაცული ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებაშიც: „გვეილა, თუ იცი, კორმალალის ავტობუსი?“ „არ ხარ ჭერეთ ნამყოფი კორმალალიში? ძანიალი კაი სოფელია კორმალალი“ (ზურაბ იოსების ძე კახიანი, ს.ჭიჭუბანი, 1987 წ.).

ტოპონიმის პირველი ფუძე **კორ-**, ჩვენი ფიქრით, სიტყვა **რკო** უნდა იყოს, მეტათეზისის გზით მიღებული: **რკო** — **კორ**, ალბათ მომდევნო მანის გავლენით. მაშასადამე კორმალალი უნდა გავიგოთ როგორც „**რკომალალი**“; ოღონდ იგი ნიშნავს არა **მუხის ხეს** („მუხამალალი“), არამედ **რკოს** ჭიშის ვენახს: „ადგილი, სადაც რკოს ჭიშის მალლარი ვენახი ყოფილა გაშენებული“. საინტერესოა, რომ იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ლექსიკაში დღესაც დასტურდება ვენახის ერთ-ერთი სახეობის, ჭიშის აღმნიშვნელი სიტყვა **რკო**.<sup>612</sup> რკოვენახი შავ ყურძენს ისხამს; იგი იშვიათ ჭიშებს განეკუთვნება. ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი **კორმალალი** ანუ იგივე **რკომალალი** უნდა ნიშნავდეს: „ადგილი, სადაც რკოს ჭიშის მალლარი ვენახი ყოფილა გაშენებული“; „მალლობი ადგილი, სადაც რკოვენახი ხარობს“.

**კონინჯრობა** რიტუალური დღესასწაული და ამ რიტუალთან დაკავშირებული ადგილები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქარ-

---

<sup>611</sup> საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი, თბ., 1987, გვ. 74.

<sup>612</sup> ლ. ლე ვ ა ვ ა , მევენახეობის ტერმინები ჰიათურაში; თსუ სტუდენტთა საშეცნ. შრ. კრებული, III, თბ., 1948; ლ. ფ რ უ ი ძ ე , მევენახეობა-მელვინეობა საქართველოში, რაჭა, თბ., 1972; გ . ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე მევენახეობა-მელვინეობა ლეჩხუმში: კრებ. ლეჩხუმი, თბ., 1985, გვ. 25; ა . მ ი რ ო ტ ა ძ ე , მ . ბ რ ე გ ვ ა ძ ე , რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჭიშები, თბ., 1972; ლ . ა ს ა თ ი ა ნ ი , ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1979.

თლი, კახეთი, ზემო და ქვემო იმერეთი, ლეჩხუმი, რაჭა...). კოხინჯრობის რიტუალი (კოხინჯრობა) ძველად იმართებოდა ს.ბროწლეთში,<sup>613</sup> ს.ბაჯითსა და ს.ურუნაში (საჩხერის რ.),<sup>614</sup> ს.ლაბეკინასა და ოფიტარაში (ცაგერის რ.),<sup>615</sup> ს.მეორე ობჩაში (ბაღდათის რ.)<sup>616</sup>... ეს დღეობა იმართებოდა კოხის (სეტყვის) თავიდან აცილების მიზნით. მაშასადამე თვითონ ტერმინი უნდა გავიაზროთ როგორც კოხის ჯვრობა. ამოსავალია კოხისჯვარი (კოხის ხატი, კოხის სალოცავი), რომელსაც დართვია რიტუალურ-სარწმუნოებრივი შინაარსის სახელებისათვის ნიშანდობლივი -ობა ფორმანტი (შდრ. გიორგ-ობა, მარიამ-ობა, ხეთიშობლ-ობა, კვირაცხოვლ-ობა, გერისთა(ვ)-ობა, ლომის-ობა, ლაშარ-ობა, ცეცხლიჯვრ-ობა...).

კოხინჯრობა ფორმაში ფონეტიკურ ნიადაგზე ჯ-ს წინ ნ-თანხმოვანი გაჩენილა, ხოლო ჯვარ- სიტყვაში ვ-ინი ჩაუარდნილა.

რიტუალური დღესასწაული კოხინჯრობა<sup>617</sup> საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს იმართებოდა; რაჭაში (ს.მეორე ტოლა) ამ დღეობას იხდიდნენ ყოველი წლის 20 მაისს, სოჩხის მთაზე, საჩხერის რაიონში (ს.ბაჯითი) კოხინჯრობა იცოდნენ ამაღლების მერე, პირველ ორშაბათ დღეს.<sup>618</sup> რაც შეეხება კახურ რიტუალს, აქ კოხინჯრობა სცოდნიათ ამაღლების კვირა დღეს: „ამაღლებას, კვირას, ვენახში არ შევიდოდნენ: კოხინჯრობა — სეტყვა იცისო“.<sup>619</sup> საინტერესო აქ ისიცაა, რომ კახეთში კოხინჯრობა სეტყვის სინონიმად ქცეულა. ლეჩხუმში (ს.ოფიტარა) კოხინჯრობას უფრო მოგვიანებით, 20 ივლისს, ელიობა დღეს მართავდნენ ხვამლის მთაზე. კოხინჯრობის დღესასწაული

<sup>613</sup> ქართლური დიალექტის ლექსიკონი, 1981, გვ. 255.

<sup>614</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 414.

<sup>615</sup> მ. ა. ლავეიძე ლეჩხ. ზეპირსიტყ. (ეთნოგრაფია) თბ., 1951, გვ. 144.

<sup>616</sup> მერი ვასილის ასული გეგაძის ცნობით (1980 წ.).

<sup>617</sup> ლეჩხუმში კოხინჯრობას კოხინჯრობაც რქმევია (იხ. მ. ა. ლავეიძე, ლეჩხუმური ლექსიკა (საკანდ.დისერტ.) ქუთაისი, 1955, გვ. 87).

<sup>618</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 414.

<sup>619</sup> ნინო თოფურია, მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები კახეთში: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, თბ., 1981, გვ. 122.

ჩვეულებრივ ემთხვეოდა ელიობას („დარ-ავდრის ღვთაება“) ან ხვთი-შობლობას. ლეჩხუმში სეტყვისაგან დაცვის მიზნით „ხვამლობის“ გარდა მაისის თვეში კიდევ ორ დღესასწაულს იხდიდნენ. კოხინჯრობას (კოხინჯრობას) და კვირტობას.<sup>620</sup> საინტერესოა, რომ ამ ხალხური საწესჩვეულებო რიტუალის მიხედვით „კოხინჯრობა“ ელიას, კვირიას, ხვთიშობლის, აგრეთვე წმ. გიორგის დღეობებს ემთხვეოდა.

„კოხინჯრობა იცოდა ქუთაისში, კილო სიმონეთში. ჩემი რძალი იყო ქუთაისიდან და იმათა იცოდენ ასე თქმა, კოხინჯრობაო. ამ დღეს მთელ ეწერში იყო ელიობა. ჩემი დედულეთია იანეთი, იქ ხვთიშობლობა იცოდენ. ჭაგანს უძახით, იქ ხვთიშობლობა იყო. ერთ დღეს კ'არ იმართებოდა; კვირკობის შვითში იანეთში უწევდა, ჭაგანში — რვაში, მორე დღეს. ჭიხაისში კილო იცოდენ ჭაშვეთობა“ (მაშიკო კობალეიშვილი-კახიანისა, ს.ჯიქთუბანი, 1989 წ.).

ტერმინი „კოხინჯვარი“ ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით ნიშნავს კოხის (ქვის) ჭვარს და მას ქვაჭვარას ტიპის სახელად მიიჩნევს, მაგრამ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ესაა „სეტყვის ჭვარი“, „სეტყვის (კოხის) ხატობა“, „ხატობა, სადაც ადამიანები ღმერთს სეტყვის თავიდან აცილებას შესთხოვენ“.

ქმჯმრ-ი ცნობილი კლიმატური კურორტი თბილისის სამხრეთით. სადაბო საბჭოს ცენტრი. ქართულ საისტორიო ძეგლებში სახელწოდება კოჯორი ჩნდება XIV ს-ის შუა წლებიდან. 1338 წელს შედგენილ ერთ-ერთ წყალობის სიგელში კოჯორი კოჟორ-ფორმით არის დადასტურებული: „გიორგი მეფემ თორელ ივანე ჭავჭავაძის უბოძა მონასტერი ათენაგუენი კოჟორის ძირს“.<sup>621</sup> ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაშიც“ კოჟორი იკითხება: „კიკეთის ქვეით, ჯვესა შინა, არს მონასტერი კაბენისა... აღაშენა მეფემან თამარ. სამჯრით, მას ზემორ, არს ციხე აზუელასი და აწ კოჟრისა, თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამჯრით არს სასახლე მეფისა კოჟორი, აღაშენა მეფემან როსტომ, უმეტეს... მე-

<sup>620</sup> მ. ზ. მ. ა. კ. ა. თ. ი. ა., წყლის კულტის გადმონაშთები ლეჩხუმში: კრებ. ლეჩხუმი, თბ., 1985, გვ. 136.

<sup>621</sup> მასიგტ 1, 1964, გვ. 15, სტ. ათენაგუენი.

ფემან გიორგიმ და... მეფემან ვახტანგ".<sup>622</sup> როგორც აქედან ირკვევა, კოჯორს (კოჯორს) ძველად აზნეულა||აზნეულას ციხე რქმევია. ამ ცნობის მიხედვით კოჭრის ციხე XVII საუკუნის შუა წლებში აუგია მეფე როსტომს, დავით X-ის (დაუთხანის) ძეს (1632-1658), ხოლო შემდგომ განუფრციათ გიორგი მეფეს და ვახტანგ VI-ს. ვახუშტის ეს ცნობა თითქოს არ ეთანხმება ძველ საისტორიო წყაროთა მონაცემებს: კოჯორი ჭერ კიდევ XIV საუკუნიდან იყო ცნობილი, თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლებელია სხვა რომელიმე პუნქტს გულისხმობდეს, რადგან კოჭორი, კოჭრები გვიანფეოდალური ხანის (XVII-XVIII ს.ს.) საქართველოში სხვაგვანაც ჩანს. ასე, მაგალითად, 1948 წელს ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დროს აკად. ნ.ბერძენიშვილს ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია დღიურში: ფარცხის-ტბის შორის ორი ნასოფლარი ჩანს ეკლესიების ნანგრევებით. გამყოლმა (ფარცხისელმა) ერთ მათგანს კოჭრები უწოდა. უეჭველია, ამ სოფელს კოჭორი ერქვა.<sup>623</sup>

ხალხური გადმოცემის მიხედვით ტოპონიმი კოჯორი თურმე სომხ. ჯურ („წყალი“) სიტყვისაგან გვქონია მიღებული: „სომეხი მიდენილა კოჯრის გზაზე და ტყის პირას წყარო უპოვნია; დაუღევეა, მოსწონებია და უთქვამს: „კო ჯურ!“ („არის წყალი!“) (დავით აზარიაშვილი, დ.კოჯორი, ჩაწერ. 1971 წ.), როგორც ჩანს, ამ ვერსიას საკმაო ხნის ისტორია აქვს, რადგან იგი ამავე სახით 1900-იან წლებში ჩაუწერია კონსტ. ჰანს: *ка "есть" и жур "вода"*. აქვე კ.ჰანი თვალსაზრისის შესამაგრებლად დასძენს: თბილისის ახლოს მდებარე სააგარაკო ადგილზე, ადრე უეჭველად ბევრი წყაროები უნდა ყოფილიყო, ახლა კი ტყის საფარის განადგურებამ ისინი დააშროო. მკვლევარმა ამგვარი ვერსია, ეტყობა, არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და ამიტომ კოჯრის ეტიმოლოგიის დასადგენად მეორე სომხური სიტყვა *ხოჯორ* („დიდი“) გაიხსენა. კ.ჰანმა მესამე ვარაუდიც წარმოგვიდგინა: კოჯორი შეიძლება ქართული „ქოჩორი“ სიტყვისაგან მომდინარეობდესო.<sup>624</sup>

სხვათა შორის კ.ჰანისეული ვარაუდი კოჯრის სიტყვა ქოჩორისა-

<sup>622</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 47, 31.

<sup>623</sup> იხ. დ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , ორი ქვაჭვარის ბაზისი ქვემო ქართლიდან: ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 108.

<sup>624</sup> СМОНПК 40, Тифлис. 1909, გვ. 85.

გან მომდინარეობის თაობაზე ზოგიერთმა ავტორმა სარწმუნოდაც კი მიიჩნია.<sup>625</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია არსებობს თვალსაზრისი ტოპონიმ კოჯრის სვანური კოჯა („ქვა“, „აღლე“) სიტყვისაგან მომდინარეობის თაობაზე.<sup>626</sup>

მართალია, აღნიშნული ვარაუდი მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწევიც, მაგრამ იგი ტოპონიმის სპეციალისტთა დიდი ნაწილის მიერ მინც არ არის საბოლოოდ გაზიარებული. ამიტომაცაა, რომ ტოპონიმ კოჯრის წარმოშობის თაობაზე კვლავ არაერთი თვალსაზრისი ჩნდება. უანასენელ წლებში ერთ-ერთი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის თვალსაჩინო მკვლევარმა მ.გეგეშიძემ. მისი ვარაუდით ტოპონიმი კოჯორი ორი სიტყვისაგან შედგენილი რთული სახელია; ეს სიტყვებია რკო („მუხის ხე“) და ჭვარბი, რომელთაც ფონეტიკური ცვლილების გზით კო-ჯორი მოუციათ.<sup>627</sup> ამ მტკიცების მიხედვით კოჯორი („მუხა-ჭვარი“) ისეთივე აგებულებისა და წარმოშობის ტოპონიმია, როგორცაა ვაშლაჭვარ-ი, პანტისჭვარ-ი...

საფიქრებელია, რომ ტოპონიმი კოჯორი მომდინარეობს არა სვანური კოჯა||კოჯ- სიტყვისაგან, ან რკო-ჭვარი-საგან, არამედ ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული კოჯორ- სიტყვისაგან, რაც საზოგადოდ ჭეიან ადგილს, შემალღებულ ბორცვს, გორაკს, ზურგს აღნიშნავს. კოჯორის ეს მნიშვნელობა დადასტურებულია ქვემო ქართლში (აღგე-

---

<sup>625</sup> იხ. მ. ნოდია, თბილისი, 1954, გვ. 26 (რუს. ენაზე).

<sup>626</sup> თ. გონიაშვილი, ერთი ბეგრის ისტორიისათვის ქართულ ენაში: ენმისკის მოამბე, ტ. II, თბ., 1937, გვ. 129 (რუს. ენაზე); შესაძლებელია ამ თვალსაზრისმა ათქმევინა ასე გადაჭრით ნ. კეცხოველს: „კოჯორზე ბეგრს დაობენ, მაგრამ სადაო არაა, სვანურად ჭეიან ადგილს, რომელზედაც თანამედროვე კოჯრის ციხეა აგებული, კოჯო ეწოდება და კოჯორიც ამიტომ ეწოდა იმ არემარეს“ (იხ. მისი „მეცხრე მთაც გადავიარეთ“, თბ., 1976, გვ. 112).

<sup>627</sup> მ. გეგეშიძე, კოჯორი (ტოპონიმოლოგიური დაკვირვება) კრებ. საქართველოსა და კავკასიის ისტორიის საკითხები, თბ., 1966; მოსაზრება გაზიარებულია კხარაძის მიერ (იხ. მისი საქართველოს ისტორიის გეოგრაფია, 1991, გვ. 94).

თის ხეობა, ს.ფარცხისი),<sup>628</sup> იმერეთში,<sup>629</sup> აქარაში (კოჟორტალი, კილ-  
დიკოჟორი);<sup>630</sup> ამ სიტყვის მიხედვით არაერთი მიკროტოპონიმიც შექ-  
მნილა:

კოჟორ-ი მაღალი მთა ზეკარის გადასასვლელზე (ახალციხის რ.);

კოჟორ-ი ს.ინწყირვეთის (შუახევის რ.) ერთ-ერთი უბანი;

კოჟორა ბორცვი, გორაკი ს.მიქელგაბარიელსა და შუა ისნარში  
(ოზურგეთის რ.).

კოჟრებ-ი ტერასებად გაკეთებული ადგილებია მესხეთში.<sup>631</sup>

კოჟრის ზეგან-ი შემადლებული ადგილია ზემო იმერეთში  
(ს.მერევი, ქიათურის რ.) და სხვ.

მიკროტოპონიმებად კოჟორი ხშირად დასტურდება ზემო იმერე-  
თის სხვადასხვა სოფლებში (ზედა ორღული, თვალუეთი, მერევი, პერე-  
ვისა, სხვიტორი, ქორეთი, ღონა). კიდევ უფრო ხშირია ამ არეალში  
კოჟ- სიტყვის შემცველი მიკროტოპონიმები (ს.ს.გრიგალათი, მაქარაშვი-  
ლები, მღვიმევი, წირქვალი, ხალიფაური, ზედა საქარა, თაბაგრები, პე-  
რევისა, რგანი, ითხვისი, სარეკი...)<sup>632</sup>

კოჟ-ი იმერულში საზოგადოდ ეწოდება ამდლებულ ქვიან ად-  
გილს, პატარა სერს.<sup>633</sup> ამავე მნიშვნელობით ლეჩხუმურში გვხვდება კო-  
ჟე||კოჟე სიტყვები.<sup>634</sup>

ჩვენს მიერ მოხმობილი მასალა კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის  
იმ ფაქტს, რომ ტოპონიმი კოჯორი (||კოჟორ-ი) ადგილობრივი (ქარ-

---

<sup>628</sup> ს ტ . მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი , ქართლური სალექსიკონო მასალა, იკე, XVII;  
1970, გვ. 266.

<sup>629</sup> ი ვ . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქესს, IV,  
1974, გვ. 210.

<sup>630</sup> შ . ნ ი ე რ ა ძ ე , ქართული ენის აქარული დიალექტი (ლექსიკა),  
ბათუმი, 1971, გვ. 230.

<sup>631</sup> კრებ. „არქეოლოგიური გათხრები, ტ. IV, თბ., 1975, გვ. 42.

<sup>632</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმი I. ზემო იმერეთი (აკად. შ . ძ ი ძ ი გ უ რ ი ს  
საერთო რედაქციით), თბ., 1987, გვ. 108.

<sup>633</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 204.

<sup>634</sup> მ . ა ლ ა ვ ი ძ ე , ლეჩხუმური ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა  
I (პროფ. ვ . ბ ე რ ი ძ ი ს რედაქციით), თბ., 1938, გვ. 149.

თლური) სიტყვაა. იგი შემადღებულ, კლდიან ადგილს ნიშნავს, რასაც კოჭრის ოროგრაფიაც ზუსტად შეესატიყვისება.

**პრიხ-ი. ზემო პრიხ-ი** სოფელია რაქაში (ამბროლაურის რ.). აქვეა მდ. კრიხულა, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით „ისახელა დაბის კრიხისაგან“.<sup>635</sup> „კრიხულა პატარა წყალია, სათავე აქ სხვა-ვაში, გადის კრიხით, ჩაუდის ასე ამბროლაურს და იქ ერევა რიონს. სახელათ სულ ერთია, სხვავაშიდაც კრიხულას უძახიანა, (ქქუთაისი, 1980 წ.).

თვით სოფელ კრიხის წარმოშობას ადგილობრივი მოსახლეობა უკავშირებს ამ სოფელში თათრის ლაშქრის შემოსევისა და მისი განადგურების ამბავს — „მტერს კრახი განუცთია აქანეო“,<sup>636</sup> მაგრამ ძნელი არ არის ამ გადმოცემის ხელოვნურობაში დარწმუნება: კრიხი, როგორც სოფელი, X-XI საუკუნეებიდან უკვე არსებობს, სიტყვა კრახი კი რამდენიმე ათეული წლის წინათ შემოვიდა ჩვენს სამეტყველო მიმოქცევაში. სოფელში დღესაც დგას ეკლესია XI საუკუნის წარწერით: „ქ.სახელითა ღთისათა ესე ველი დავწერეთ ჩ-ნ კრიხმან სოფელმ[ან]. ვინცა ნაწირავი დაჰჳუთოს, საბერო და წილ[ი] საღთო და საღაპირო (სა(ა)ღაპო?) არა მისცეთ“.<sup>637</sup>

სათქმრებელია, რომ ტოპონიმი კრიხ-ი ზრიკ-თან (||ზრიკოლა||ზრიკოლა — ასე ეწოდება მცენ. დიდგულას ქვემო რაქაში),<sup>638</sup> ან გოგრის მთარაქულ ზრიკა<sup>639</sup> სიტყვასთან იყოს დაკავშირებული. კრიხ-ი (— ზრიკი — ზრიკოლა) უნდა ნიშნავდეს „დიდგულის ხეებით მდიდარი ადგილი“, „დიდგულიანი“...

**პრწანის-ი** ქალაქ თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანთაგანი: გაშენებულია დედაქალაქის სამხრ.-აღმოსავლეთით. მეცნიერულად სა-

<sup>635</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 158, 26.

<sup>636</sup> სფ.

<sup>637</sup> ლაპიდარული წარწერები, II. გამოსაცემად მოამზადა ვ . ს ი ლ ო გ ა ვ ა მ , თბ., 1980, გვ. 84-85.

<sup>638</sup> ა ლ . მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი , ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 24.

<sup>639</sup> იქვე, გვ. 14 (სტ. აყირო, ყელიანი გოგრა).

რწმუნო ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. უკანასკნელ ხანს გამოითქვა ვარაუდი ტოპონიმ კრწანისის ძველი ქართული „კაწან“- სიტყვისაგან მომდინარეობის თაობაზე.<sup>640</sup> კაწანი ძველად მართლაც ნიშნავდა ეკლიან ღობეს: „ძეძვი ზეღმართებით მოვლებული“;<sup>641</sup> მაგრამ ამგვარი ვარაუდის გაზიარება ერთობ ქირს.

პირველ რიგში ისაა გასათვალისწინებელი და ანგარიშგასაწევი რომ შუა საუკუნეებიდან მოკიდებული ყველა წყაროში გვაქვს კრწანის-ი და არცერთხელ კწანისი ან კაწანისი, რომელთაც ი.მაისურაძე კრწანისის თავდაპირველ (ამოსეულ) ფორმებად სახავს. მართალია, ამ თვალსაზრისის შესამაგრებლად მკვლევარს მოჰყავს ტოპონიმი კწანისი (იგი თეთრიწყაროს რაიონში ყოფილა ვ.ღონღაძის მიერ დასახელებული).<sup>642</sup> მაგრამ საკითხის გადაჭრას ვერც ამ ტოპონიმის მოხმობა შევლის. საქმე ის გახლავთ, რომ კწანისი მეორეული, გამარტივებული სახეა კრწანისისა, რომელიც სოფლის სახელად ჭერ კიდევ XIV საუკუნიდან ყოფილა ცნობილი მდ. ქიქვიას ხეობაში, მის მარჯვენა სანაპიროზე, დღევ. თეთრიწყაროს რაიონში: „საბარათიანოში მდებარე სამშვილდე მისი კრწანისითურთ შანავაზმა (ვახტანგ V-მ) უბოძა ელიზბარ ბოქაულთ-უხუცესს“; „საბარათაშვილოში სამშვილდის კრწანისი როსტომ მეფემ უბოძა სამკვიდროდ შიო მოლარეთ-უხუცესს“. კრწანისი ყოფილა სააკაძისეული სოფელი, როსტომ მეფეს უბოძებია იორამ სააკაძისათვის; გიორგი სააკაძის „გადაეარდნის“ შემდეგ იგი სახასო სოფელი გამხდარა.<sup>643</sup> აქედან ნათლად ჩანს, რომ პირველადი (უძველესი) ფორმა ყოფილა კრწანისი. ურაეო ფორმა — (კრწანისი), როგორც უკვე ვთქვით, გვიანდელი, განმარტივებული სახეა კრწანისისა: ცნობილია, რომ თანხმოვანთა ასეთ თანმიმდევრობაში (თანხმოვანი + სონორი რ +

---

<sup>640</sup> ი. მაისურაძე, კრწანისი: გაზ. „თბილისი“ №256, 9 ნოემბერი, 1978, გვ. 4.

<sup>641</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 226 (სტ. ზღედე).

<sup>642</sup> ვ. გონგაძე, თეთრი წყარო, თბ., 1959, გვ. 19.

<sup>643</sup> მსსპტ I, 1964, გვ. 128. იხ. აგრეთვე იოანე პატონიშვილი, ქაოლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 50. აქ სოფ. კრწანისი სამშვილდის, დაღულოა და ვანაო-ვარისის სოფლებს შორის არის მოხსენიებული.



თანხმოვანი) რ ჩვეულებრივ იკარგვის: ბრძ — ბძ, ბრჯ — ბჯ, მრთ — მთ, ზრქ — ზქ — სქ, გრძ — გძ, ფრჩხ — ფჩხ, ფრთხ — ფთხ; ამავე სტრუქტურისაა კრწანისიცი; რ თანხმოვნის ამ თანმიმდევრობაში დაკარგვა მოსალოდნელი იყო და იგი დაკარგულა კიდევაც.

ზემოთმოყვანილი საილუსტრაციო მასალიდან ჩვენს ყურადღებას ის გარემოებაც მიიქცევს, რომ კრწანისი ზოგადად რაღაც სამეურნეო დარგის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა იყოს. გამოთქმა: „სამშვილდის კრწანისი“, „სამშვილდე, მისი კრწანისითურთ“ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ძველად დიდ ქალაქებს ჰქონიათ თავისი საკუთარი „კრწანისები“ (სანადირო, სათევზაო ან საბოსტნე ნაკვეთები?) საფიქრებელია, რომ ტფილისის კრწანისიცი ამავე ფუნქციისა იყო. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ კრწან- და კრძალ- სიტყვათა სემანტიკური ნათესაობა? მითუმეტეს, რომ წ — ძ თანხმოვანთა მონაცვლეობა ტოპონიმიაში რეგულარულად არაა, მაგრამ აქა-იქ მაინც შეინიშნება: ხეკორძა — ხეკორწა,<sup>644</sup> ეჩმიაძინი — ეჩმიაწინი<sup>645</sup> და სხვ. იქნებ კრწან-ის-ი აღნიშნავდა საგანგებოდ დაცულ, კრძალ-ულ (შდრ. ნა-კრძალ-ი) ადგილებს? ძველ ქართულში ხომ კრძალვა დაცვას, მორიდებას, გაფრთხილებას ნიშნავდა! შდრ. „ალაგნი კრძალულნი აჩუენენ“; „დაშჯდე შენ ადგილსა კრძალულსა და უშიშსა“; ვეკრძალო მე უშჯულოებისა ჩემისაგან“ (II) — დავიცვა მე უშჯულოებისა ჩემისაგან“ (ფს. 17, 24).<sup>646</sup> აქვე გავახსენდება ალბათ „შუშანიკის წამების“ ის ადგილიც, სადაც იაკობ ხუცესი დედოფალს სარწმუნოების გაფრთხილებას დაცვას შესთხოვს: „ეკრძალე სარწმუნობასა ქრისტესსა“... ნიშნავს: დაიცავი, გაუფრთხილდი ქრისტეს სარწმუნოებას.<sup>647</sup>

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ტოპონიმი კრწანისი უნდა გავიგოთ როგორც „დაცული, ნაკრძალი ადგილი“, „ქალაქის შემოგარენში მდებარე სპეციალურად დაცული, ნაკრძალი ტერიტორია; სათევზაო

<sup>644</sup> ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ე , ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 203.

<sup>645</sup> მასივტ I, 1964, გვ. 272.

<sup>646</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>647</sup> ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი , შუშანიკის წამება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ, თბ., 1978, გვ. 25.

ან ფრინველზე სანადირო ადგილები”.

**კურსებ-ი** ცნობილი სოფელია ზემო იმერეთში, გელათთან ახლოს (ტყიბულის რ.). სარწმუნო ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. ვახუშტი ბატონიშვილი მას ყურსებ-ად მოიხსენიებს: „გელათს ზეთ წყალწითელას, მოერთვის, ყურსებს, საწირის-წყალი“.<sup>648</sup> როგორც ჩანს, ამ ყურსებ-ფორმამ უბიძგა ზალხს, რომ ადგილობრივ ასეთი ვერსია გაჩენილიყო: სოფელი გელათს ყურს ება (ყურის ძირში, იქვე არის გაშენებული), ამიტომ ყურსები შეურქმევიათო (გიორგი გოგოლაშვილის ცნობით).

ანეკდოტურია კ.ჭანის ვარაუდი, — სოფელს კურსები იმიტომ შერქმევია, რომ აქ ძველად ძალზე ბევრი რკინის მადნის სადნობი ქურები („горняки“) ჰქონიათ მოწყობილიო.<sup>649</sup>

სავარაუდოდ შეიძლება დაგვეშვა ზანური (მეგრული) სიტყვა კურზუ („შემალღებული ადგილი“, „ბორცვნარი“), თუ დაბრკოლებას არ შექმნიდა ბოლოკიდური უ ხმოვნის მოკვეცის შემთხვევა. ზ თანხმოვნის ს თანხმონად გარდაქცევა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში უჩვეულო და მოულოდნელი არ არის. ტოპონიმი კურსები თავდაპირველად, როგორც ჩანს, -ევ სუფიქსით იყო წარმოდგენილი: კურს-ევ-ი. ამ აზრისაკენ გვიბიძგებს ის ფაქტი, რომ XVI ს-ის დასაწყისის, კერძოდ 1510 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში იმერეთის ამ რეგიონში მოხსენიებულია სოფელი კურ-ევ-ი.

„კურევში მცხოვრებნი ქალანგირაძეები 5 კომლი, 1 კომლი კაკაბაძე და ქალანგირაძის 3 პარტახტი დაუბრუნა ბაგრატი (იმერთა) მეფემ გელათის წმ. გიორგის ეკლესიას“.<sup>650</sup>

ამას გარდა ერთობ საგულისხმო ჩანს ის ფაქტი, რომ ისტორიულ ოკრიბაში არსებობდა სოფელი კორსევი, რომლის ბგერინაცვალ ფორმად შეიძლება კურსები მივიჩნიოთ. -ევ- და -ებ სუფიქსთა ფუნ-

<sup>648</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 152, 18.

<sup>649</sup> СМОНЛК 40, ტფილისი, 1909, გვ. 91.

<sup>650</sup> მასიგტ, I თბ., 1964, გვ. 130.

ქციური თანხვდომა ლიტერატურაში ცნობილია.<sup>651</sup> ისიც უთუოდ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სწორედ ოკრიბის მეზობლად, დღევ. ყორნისის რაიონში (მსხლების სას. ს.) სოფლის სახელად დასტურდება ზემო და ქვემო კორსეგ-ი. საკვლევია კორს-||კურს- ძირების შინაარსი. როგორც უკვე ვთქვით, გამორიცხული არ უნდა იყოს მისი კავშირი მეგრ. კურზუ სიტყვასთან, თუმცა ამ ვარაუდის საბოლოოდ დამტკიცება გარკვეული რიგის სიძნელებთან არის დაკავშირებული.

საკითხავია, ხომ არ არის ტოპონიმი კურსები იმ უძველესი გეოგრაფიული სახელის გადმონაშთი, რომელიც საქართველოს ისტორიაში „კურასებას“ სახით იყო ცნობილი და რომელიც „შვიდ სოფლად“ (შებტა კომე) გაიაზრებოდა?<sup>652</sup>

**კუხირეთი-ი** სოფელია ცხინვალის რაიონში. აქ შემორჩენილია ერთნავეანი ეკლესია, რომელიც ადრეფეოდალურ ხანას (VIII-IX სს.) განეკუთვნება. კუსირეთის ეკლესია არქიტექტურული სტილით ფშავის არაგვის ხეობაში არსებულ თვალივის ეკლესიას მოგვაგონებს და ქრონოლოგიურადაც თანხვდება მას.<sup>653</sup> სოფლის სახელად კუსირეთი წყაროებში XVI-XVII საუკუნეებიდან არის ცნობილი. ვახუშტი მას მოიხსენიებს „დიდი ლიახვით მრწყველი სოფლების“ გვერდით, ქცხილვანსა და ტბეთს შორის.<sup>654</sup> ასევეა მოხსენიებული ეს სოფელი XVIII საუკ. ეკონომიკურ ძეგლებში. („ჩემან ჯვლმწიფემ მეფემ ერეკლემ მიბოძა ზვითი და კუსირეთი“)<sup>655</sup> და იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“.<sup>656</sup>

---

<sup>651</sup> ა. კ. შ ა ნ ი ძ ე , -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში სმამ II, №8, 1944.

<sup>652</sup> იხ. ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია, I (მეხუთე გამოც.), თბ., 1960, გვ. 419.

<sup>653</sup> კ . წ ე რ ე თ ე ლ ი , თვალივის წმ. გიორგის კათედრალური ტაძარი: არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1982, გვ. 174-175.

<sup>654</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 202.

<sup>655</sup> ქართული სამართლის ძეგლები III, 1985, გვ. 921.

<sup>656</sup> „აღწერა“, თბ., 1986, გვ. 41, იოანე ამ შემთხვევაშიც ვახუშტი ბატონიშვილს მიჰყვება: მასაც კუსირეთი ტბეთსა და ქრცხინვალს შორის აქვს დასახელებული.

ხალხური გადმოცემით სოფელს კუსირეთი იმის გამო შერქმევია, რომ მის მიდამოებში ძალზე ბევრი ყოფილა კუ, აგრეთვე წვრილი ფრინველი სირი (ერთგვარი ჩიტია).

ჩვენი ვარაუდით კუსირეთ-ი ანთროპონიმული წარმოშობის სახელია; ამოსავალი ჩანს კუსრა საკუთარი სახელი, რაც გვარშიც (კუსრაშვილი) შემოგვრჩენია. ფუძეში -ი- ხმოვნის ჩართვა სიტყვის გადაზრიანების შედეგად უნდა მივიჩნიოთ. კუსირეთი, მაშასადამე, ნიშნავს: „კუსრაშვილების სოფელი“, „სოფელი, რომელშიც პირველად კუსრაშვილებს უცხოვრიათ“, „კუსრაშვილების უბანი“.

**კუჭატანი-ი** სოფელი კახეთის გაღმა მხარში (ყვარლის რ.). ხალხური გადმოცემის მიხედვით სოფლის სახელწოდების წარმოშობას საფუძვლად დასდებია კახელი ვაჟკაცის; სახელად კუჭას უჩვეულო თავდადების ამბავი: „აქაურ სოფლებს ძველად თავს ესხმოდნენ ლეკები. მოდიოდნენ, იტაცებდნენ საქონელს, ხალხს, ეგრე კიდევ სხვა ძვირფასეულობას, ოქრო იქნებოდა, ფული იქნებოდა, მიჰქონებიათ. აქა ყოფილა ერთი ბრმა კაცის შვილი, ძან ვაშკაცი კაცი, უშიშარი და დაურიღებელი. იმას უთქომ, რო ერთ ათ ბიჭ შევეყრი ჩემი კკუისას და ნახონ მაგ ლეკებმა! დამუქრებულა. დაუფიცნიათ ერთათ, რო ან უნდა მტერს შეაკვდნენ, ან უნდა ხალხი დაიხსნან. მოსულა ერთხელაც ლეკის ჯარი. იმოტენანი არიან, ამ ზღვა ხალხს რა დაღლევს! დიდი უომიათ ამ კუჭას და იმის ხალხსა და ეს ამოტენა ლეკი უკანვე მიუბრუნებიათ! ეს კუჭა კიდევ სადღაც არი დაკარქული, ვერა ხედამენ. რა იქნა, სად წავიდა? ერთ ალაგას მივიდნენ და სისხლის გუბესავითა დგას, მორვეია რა, და კუჭაც იქ არი, უგონოთა გდია, იქი-აქა კიდევ ეს ლეკის ბიჭები უწვენია; ჩალასავით უკაქია და უყრია. ხოლოთ ამ კუჭას მთელი ტანი დაჩეხილი ჰქონია, ერთიანათ სისხლში ყოფილა ამოთხვრილი. ამის გამო, საცა ის ომი მამხდარა და საცა კუჭას ტანი სუ დაუჩეხიათ, იმ ადგილისათვის კუჭასტანი დაურქმევიათ“. (გიორგი გომურაშვილი. ს.აკურა).

ამ გადმოცემას, არაჩვეულებრივი გამომგონებლობითა და მდიდარი ფანტაზიით რომ შეუქმნია ხალხს, ალბათ დაგვეთანხმებით, სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს. ტოპონიმი კუჭატანი ჩვენი ფიქრით, წარმომდგარი ჩანს სიტყვებისაგან კუჭა („ამობურცული, ამოშვერილი

ადგილი, ბორცვაკი“) და ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სიტყვისაგან ტან-ი („მიწის ფართობი, ადგილ-მამული, საყანე მიწები“). სიტყვა კუჭი, კუჭობი, ბორცვის, გორაკის, მთის, წვერის, საერთო შემადლებული ადგილის აღსანიშნავად ძირითადად მთის კილოებში, თუშურსა და ფშავ-ხევსურულში, გვხვდება (თ.უთურგაიძე, გ.ცოცანიძე, ივ.ქეშიკაშვილი, ალ.კინქარაული). არაგვის ხეობის ფშავში სიტყვა კუჭი სოფლის სახელადაც კი დასტურდება: კუჭეჭა (კუჭეჭა-ხილიანა) იგი ნიშნავს: „უჭედი, კუჭიანი, წვერიანი ადგილი“. <sup>657</sup> მაშასადამე კუჭატანი უნდა გავიგოთ როგორც ბორცვებიანი ადგილი, „ბორცვიანა“. მართალია, ვახუშტის „აღწერაში“ კუჭატანი ჭუკატანად არის მოხსენიებული, <sup>658</sup> მაგრამ ეს ვითარებას არსებითად ვერ ცვლის; როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საზღვრულად გვაქვს სიტყვა ტანი.

## — ლ —

**ლაზოდექს-ი** ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი კახეთში (ისტორიული ჰერეთის ნაწილი). ქართულ საისტორიო წყაროებში ლაგოდები XI საუკუნის ამბებთან დაკავშირებით მოხსენიება: „კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა „მოიგო ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდექი“...“ <sup>659</sup>

XIV ს-ში ალექსანდრე მეფეს განუახლებია ლაგოდების შეწირულება სვეტიცხოვლისადმი (დოკუმენტი 1398 წელს არის შედგენილი). <sup>660</sup> ტოპონიმი ლაგოდები (ლაგოდეკი) რთული შედგენილობისაა. ძველი დაწერილობა ამ სახელწოდებაში ეხ- სიტყვას გვაუარაულებინებს: „ბუნებრივი გამოქვაბული“, „კლდე-უხი“, „უხიანი ადგილები“ რაც შეეხება პირველ ფუძეს (ლაგო), იგი, ჩვენი აზრით, მდ. ლაკვისხევეთან უნდა ავლენდეს ნათესაობას. ადგილობრივთა ცნობით, აქ ჩამოდის ლაკოს ხე-

<sup>657</sup> იხ ფ. მ. ა. კ. ა. ლ. ა. თ. ი. ა., ფშავის ტოპონიმია: კრებ. ტოპონიმია I, თბ., 1976, გვ. 166-167.

<sup>658</sup> ვახუშტი, აღწერა, თბ., 1941, გვ. 208.

<sup>659</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 295, 17; ქსდ. III, თბ., 1970, გვ. 23.

<sup>660</sup> მასიგტ, I, თბ., 1964, გვ. 131.

ვი. შემორჩენილია ლაკვასტის||ლაკუასტის ციხის ნანგრევები; იგი ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია ყოფილა.

ლაგოდების რაიონის მოსახლეობაში გავრცელებულია ერთი საკმაოდ გულუბრყვილო ვერსია, თითქოს მათი მშობლიური დაბის სახელი რუსული "Ларец отльиха"-ს შემოკლებული ფორმა იყოს: лар. отльиха: „აქ უწინ მდგარა რუსის ჯარი. მოდიოდა აფიცრობა ოჯახებით, ისვენებდნენ და ატარებდნენ დროს, წყალი კაია და ჰაერი, დაჩებათ ჰქონიათ ლაგოდები“ (სერგო კურტანიძე, ს.ყარსუბანი).

## ლ ა ზ ვ ი ა ნ - ი (იხ. ნ ა თ ო ბ ი ა ნ ი).

ლ ა ნ ჩ ხ უ თ - ი რაიონული დაქვემდებარების ქალაქია დასავლეთ საქართველოში (გურია). ქართულ საისტორიო წყაროებში ლანჩხუთი სხვადასხვა ფორმით მოიხსენიებოდა. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორი ბერი ვგნატაშვილი მას ლანჩხუტად წარმოგვიდგენს: „შეიყარა დადიანმან ლევან ჯარი და მიუქდა (სიმონ გურიელს) ლანჩხუტს“.<sup>661</sup>

XVII ს.დასაწყისის საბუთებში ლანჩხუთი უპირატესად -ნ- არის გარეშეა წარმოდგენილი: „არს ლანჩხუთს და ლესას აზნაურისშვილი და მსახური 30“.<sup>662</sup>

ვახუშტი მას ლანჩქუთს უწოდებს: „რაიონის კიდესა ზედა არს ლანჩქუთი“.<sup>663</sup> სახელწოდების წარმოშობის თაობაზე არაერთი მოსაზრება გამოთქმულა. მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან საერთო არაფერი აქვს კ.ჭანის მიერ მოწოდებულ თვალსაზრისს, ლანჩხუთი ლანჩა ("полошва", "онувь") და ყუთი ("яшик") სიტყვების შეერთებით გვაქვს მიღებულიო.<sup>664</sup>

ოთხიოდე წლის წინ ცნობილი გახდა კიდევ ერთი თვალსაზრისი (ნაბ. ლემონჯავა), რომლის მიხედვითაც ლანჩხუთი, თურმე, მეგრ. ლანჯი ("აკობიტი") და ქართული რიცხვ. სახელის ზუთის შეერთებით გვქო-

<sup>661</sup> ახალი ქართლის ცხოვრება, I ტექსტი: ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 419.

<sup>662</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 481.

<sup>663</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 174, 23.

<sup>664</sup> СМОНПК 40, Тифлис, 1909. გვ. 94.

ნია მიღებული: ლანჩი-ხუთი „ადგილი, სადაც კოპიტის ხუთი ხე მდგარა“. მაგრამ ამგვარი ვერსიის ხელოვნურობა აშკარაა, რადგან, როგორც უკვე შევნიშნავდით, რიცხვითი სახელი რთულფუძიან ტოპონიმებში მხოლოდ პირველ ფუძედ გამოდის და არასოდეს — საზღვრულად: არ შეიძლება წყალორი, მუხასამი, კოპიტი ხუთი, გორა სამი და ა.შ.

ლანჩხუთ-ი სვანური წარმოშობის გეოგრაფიულ სახელად მიაჩნდა ნ.მარს. იგი ამ ტოპონიმს მცენ. რცხილას (ცხუმ) უკავშირებდა.<sup>665</sup> ლანჩხუთის სვანურიდან მომდინარეობის ვერსიას სარწმუნოდ თვლიდნენ ივ.ჭავჭავაძის შვილი და ს.ჯანაშია (ლან-ნ-ჩხუტ- „სა-კენქ-ე ადგილი“, „კენქინარი“).

აკ.შანიძის ვარაუდით ლანჩხუთი ისევეა -უთ სუფიქსით გაფორმებული, როგორც გეგ-უთ-ი, შუხ-უთ-ი, უხ-უთ-ი და სხვა დასავლური ტოპონიმები, თუმცა მკვლევარი არაფერს გვეუბნება ლანჩხ-, გეგ-, შუხ-... ძირების შინაარსზე.<sup>666</sup> ზ.კუმბურიძემ სწორად მიუთითა, რომ უხმოვანი ძირის კუთვნილება იყო (ჩხუ, მეგრ. „ძროხა“) და არა სუფიქსისეული ხმოვანი. სუფიქსად ოდენ -თ- ელემენტი არის მიჩნეული. აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით ლანჩხუთი ზანური (მეგრული) წარმოშობის სახელია და ნიშნავს „სა-ძროხ-ე“.<sup>667</sup>

შეიძლება დავამატოთ: ლანჩხუთი ნიშნავს არა პირუტყვის უბრალო სადგომს, გომურს, ბოსელს, არამედ ძროხის რემის საძოვარ ადგილებს. ლანჩხუთი, მამასადამე, უნდა ყოფილიყო ისეთი ადგილი, სადაც საქონლის საუკეთესო საძოვრები მოიპოვებოდა. მორფოლოგიური თვალსაზრისით ტოპონიმ ლანჩხუთში თავკიდური ლა-ზანური დანიშნულების აღმნიშვნელი პრეფიქსია (შინაარსობრივად ქართ. სა- პრეფიქსს მიესადაგება), -ნ- ფონეტიკურად არის განვითარებული, ჩხუ ასევე ზანურია და ძროხას ნიშნავს, -თ- სუფიქსი კი ქონება-სიმრავლის აღმნიშვნელი ფორმანტია, რომლის ხმოვნიანი ვარიანტები (-ათ, -ით, -ეთ, -ოთ, -უთ... ხშირად გვხვდება საერთოქართულ ტოპონიმიაში).

<sup>665</sup> ნ . მ ა რ ი , ტერმინი „სკიოთი“: რჩეული შრ. ტ. V, 1935, გვ. 33.

<sup>666</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: სწამ II, №8, 1941, გადმობეჭდ. თზზ. II, 1981, გვ. 440.

<sup>667</sup> ზ კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 460.

ლაშუშა პატარა მთიანი სოფელია დუშეთის რაიონში (ხორხის ხეობა). სახელწოდება ლაშუშა, უჩნვალთან ერთად, ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული სახელია მთელს საარაგვოზე. იგი ქართულ საისტორიო წყაროებში XIII საუკუნიდან მოიხსენიება: „დავით მეფემ უბოძა გრიგოლ ქარმაულ ქაქნაისშვილს შუანის-ჯეგს“<sup>668</sup> ენოვანის შესავალი ლაშუშა.<sup>669</sup>

საფიქრებელია, რომ სოფლის სახელწოდება მომდინარეობდეს მც. ირმის ენის (Олений язык, козий язык, листовик“) მიხედვით, რომელსაც ადგილობრივ (ფშაურად) ლაოშა ეწოდება.<sup>670</sup> საინტერესოა, რომ იქვე ახლოს მდებარეობს მეორე პატარა ფშაური სოფელი ზირაუშა, რომელიც ზირაუშა (— ხილ-ლაუშა) ფორმისაგან მიღებულად გვეჩვენება. სიტყვა ზირაუშა მთის კილოებში (მთიულ., მოხეური) მოცვის სინონიმია.<sup>671</sup> მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზირაუშა (ხილ-ლაუშა) ნიშნავს: „მოცენარი“; „ადგილი, სადაც ხარობს მოცივი, იგივე ლაუშა (||ლაოშა)“. ხალხური (ტრადიციული) გადმოცემით ლაუშა პიროვნული სახელი ყოფილა. ადგილობრივი მთქმელის მიხედვით ამ ხეობაში მოსულან ძმები ქუჭა და ლაუშელა. ისინი ხევსურები ყოფილან, სოფ. ლეზაისკარიდან. მათი სახელების მიხედვით წარმომდგარა სოფლის ძირითადი გვარები — პაპკიაური (ქუჭას სახელისაგან) და ბეწუაშვილი (ლაუშელას სახელისაგან).<sup>672</sup>

ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულია აგრეთვე ვერსია, რომელიც ჩვენ უკვე მრავალჯის შეგვხვდა სხვა გეოგრაფიულ სახელებთანაც (იხ. გუდამაყარი, ვარდგინეთი, მალლაკი...): „სამი ძმანი წასულან სამოსახლო ადგილის შესარჩევად: ერთი ყრუ ადგილი მოსწონებიათ,

---

<sup>668</sup> შუანის-ჯეგვი უნდა გულისხმობდეს დღევანდელ მდ. ხორხულის ხევს, რომელიც მთიულეთის და ფშავის არაგვთა ხეობებს შორის არის მოქცეული. „შუანა ხევი“.

<sup>669</sup> მასიგტ I თბ., 1964, გვ. 173, სტ. ენოვანი.

<sup>670</sup> ა ლ . მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი , ბოტანიკური ლექსიკონი, 1961, გვ. 35.

<sup>671</sup> საფიქრებელია, რომ ფშაური სოფელი ზირაუშა (კუდო-ზირაუშა) ასევე მოცვთან იყოს კავშირში („მოცვიანა“) და არა ზოგადად ხილთან (ვაშლი, მსხალი...) და მისთ.

<sup>672</sup> გ . ხ ო რ ნ ა უ ლ ი , მთები და სახელები, 1983, გვ. 162.



მაგრამ ეს უმცროსი ძმა უარზე დამდგარა და ცალკე წასულა, იმას თურმე მთის გუმანი აქვს. ასულა მთაში და გაუკეთებია ადგილი, გაუზღია საქონელი; საძოვარი, ეგრე კიდევ ტყე და მამული ბლომად აქვს. უფროსი და შუათანა ძმა დარჩენილან ძველ ადგილას, მაგრამ ხირხატი, მიგდებული ადგილია, ქვიანი და ღორღიანი, ამიტომ ვერც მამულს მოკიდნენ. ამდგარან მერე და წასულან უმცროსი ძმის საძებნელათ, ნამდვილ ჭკვით დაგვაჭარბა, ვნახოთ ერთი, როგორ ცხოვრობსო. მისულან და სუ მთლად გადარეულან, ავსილია იქაობა, ცხვარი, ძროხა, წლის მოსავალი...

— კარქად მოსწყობილხარო, ძმაო, — დაულაპარაკნით ამ ძმებსა. — ალბათო კარქი ალაგი რამ მაგიველაო!

— კარქია, რა უშაო, — უთხრა ახლა უმცროსმა ძმამ. მას მერე იმ ადგილისათვის დაურქმევიათ რა უშა. აქედან წამოსულა ლაუშა“ (გოგია მაისურაძე, ს.ეინვალი).

საინტერესოა, რომ გურიაში (ს.გოგოური, ზემოხეთის სას. ს.) დადასტურებულია მიკროტოპონიმი ლაუშნარი, რომელშიც თითქოს ზემოხსენებული სიტყვა ლაუშა||ლაოშა და მცენარეული საფარის სიმრავლე — გავრცელებულობის მიმანიშნებელი -ნარ სუფიქსი გამოიყოფა: ლაუშ-ნარ-ი. როგორც ჩანს, ტერმინი ლაუშა ძველად უფრო გავრცელებული ყოფილა.

**ლაფანწყურ-ი** სოფელია თელავის რაიონში. სოფლის ძირითადი მოსახლეობა ჩვენი საუკუნის დასაწყისში თიანეთის მხრიდან გადმოსული ფშავლებია, რაზედაც აქ სოფ. ფშაველის არსებობაც მეტყველებს. ცნობილია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც სოფლის სახელწოდება მცენ. ლაფანს უკავშირდება: „ადგილი, ყურე, სადაც ბევრი ლაფანი ხარობს“.

სპეციალისტთათვის ცნობილია სხვაგვარი მოსაზრებაც: იგი, კერძოდ მცენ. ლაფანის ნაცვლად ვარაუდობს ლაფიან ყურს: ლაფ-ან (← ლაფ-იან-) ყურ(ი) მცენ. ლაფანი რომ იყოს ამოსავალი, მაშინ ლაფანის ყური უნდა გვკონოდაო.<sup>673</sup>

<sup>673</sup> თ . გ რ ე ლ ა შ ე ი ლ ი , კახეთის ტოპონიმიკის შესწავლისათვის. გაზ. „კოლმეურნის ხმა“ (თელავი), 25.06.1961 წ. №76.

**ლაშარი-ი, ლაშარის ჰმარ-ი** დიდი რელიგიურ-საკულტო ცენტრია არაგვის ხეობის ფშავში (დუშეთის რ.).

ლაშარის ჭვარი (შემოკლებით — ლაშარი) მდებარეობს მდ. ფშავის არაგვის ზემო წელზე, ხოშარისა და წითელაურთის თემებს შორის, სოფ. ხოშარის გადაღმა, ახადის ბოლოზე, ე.წ. ხმელგორზე (იგივე ლაშარის გორი). აქვეა თამარის ხატი (ნიში და პატარა ეკლესია).<sup>674</sup> სახელწოდება ლაშარი — ლაშარისჭვარი ტრადიციულად თამარ მეფისა და დავით სოსლანის შვილის — ლაშა-გიორგის (გიორგი IV) სახელს უკავშირდება. საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ყოველგვარი დაქვევების გარეშე წერს, ლაშარის ხატი ლაშა-გიორგის მიერ არის აგებული და ამიტომაც ჰქვია მას ლაშასჭვარიო: „აქ, ფშავსა შინა, არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჭვარნი ოქრო-ვერცხლისანი... და უწოდებენ ლაშას-ჭვარს და აქუთ სასიება მას ზედა ფრიად, რამეთუ ვერც ფშავი, ვერც ჰევსური, უკუეთუ იშოვნოს ოქრო ანუ ვერცხლი, ვერარაიდ იხმარებენ თავისად, არამედ მიუძღვნის ლაშას-ჭვარსა“.<sup>675</sup>

აღნიშნული ცნობა ვახუშტი ბატონიშვილს, საფიქრებელია, აღებული (ჩაწერილი) აქვს მოსახლეობაში მოარული ტრადიციული თქმულების მიხედვით, რადგან ამ ვერსიას (ლაშა-გიორგის მიერ ლაშარის ეკლესიის აგება) ქართული საისტორიო წყაროები არ იცნობენ. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოწოდებული ცნობით სარგებლობდა ნიკო ჩუბინაშვილი, რომელიც წერდა: „ლაშა, ლასა — ასურთა ენითა: მანათობელი, ანუ ბრწყინვალე. სახელი ესე ეწოდა თამარ მეფის ძეს გიორგი IV... ამისგან დაურქმევიათ ლაშაის ანუ ლაშარის ჭვარი. სჩანს, რომელ ნაქონი მისი არს და ფშავ-ხევსურნი ფრიად ესვიან მას და პატივსცემენ“.<sup>676</sup>

ლაშარის ჭვრის ლაშა-გიორგის სახელისაგან მომდინარეობა უქველ ფაქტად მიაჩნდა ვაჟა-ფშაველასაც: „გალავანს შიგნით იმყოფება საჯარო, სადაც ხევისბერების მეტი არავინ შვევა. საჯარის სამხრეთით აშენებულია ყორისავე საზარე... საზარეზედ არის მიყუდებული ლაშა-

<sup>674</sup> ვ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, მამაჩემი — ვაჟა-ფშაველა, თბ., 1977, გვ. 49.

<sup>675</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, 1941, გვ. 92, 24, 27.

<sup>676</sup> ნ . ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 30, 258.

რის ჯვრის დროშა. ამ ადგილს წინად ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკლესია წმინდის გიორგის სახელზედ, რომლისთვისაც მშენიერი ხატი წმინდის გიორგის შეუწირავს“.<sup>677</sup>

თვალსაზრისის ლაშარის სალოცავის მეფე ლაშა-გიორგის საკუთარი სახელისაგან მომდინარეობის თაობაზე სპეციალისტთა უმრავლესობა მხარს არ უჭერს. სპეციალისტ-მკვლევართა ერთი ნაწილი იმ აზრსაც კი იცავს, რომ ლაშარი მხოლოდ ადგილის სახელია, ფშაური ტოპონიმი (ივქემიაშვილი) და რომ ლაშარისჯვარი ისევეა ადგილის მიხედვით წარმომდგარი, როგორც ხახმატისჯვარი, გუდანისჯვარი, სახარისსამება, მუხროვნის წმინდა გიორგი და სხვ.

„პირველად ღმერთი ვადიდოთ, მით უფრომ დიდებულა,  
მემრე ვადიდოთ კვირაე, კვირაე კარამ ღვთისია,  
მემრე ვადიდოთ კობალე, კობალე კარატისია,  
მემრე ვადიდოთ გიორგი, გიორგი ხახმატისია,  
მემრე ვადიდოთ ფიწალე, ფიწალე დოკუშთისია,

— — — — —

მემრე ვადიდოთ ქიხალე, ქიხალე ხისოს მთისია...  
მემრე ვადიდოთ გიორგი, გიორგი ლაშარისია“.<sup>678</sup>

თუ ჩვენ ამ ვარაუდს სარწმუნოდ ჩათვთლიდით, მაშინ ლაშარი შეიძლებოდა მ-ლაშ-ნარ სიტყვისაგან წარმომდგარ ერთეულად მიგვეჩინა; თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ამგვარი თვალსაზრისი მაინცა და მაინც დამაჩერებლად ვერ გამოიყურება.

უკანასკნელ ხანს სახელწოდება ლაშარის წარმოშობის თაობაზე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ვარაუდი გამოითქვა. მათი ავტორები შესაძლებლად თვლიან, რომ ლაშარი, (ლაშარის ჯვარი, ლაშარობა) დაკავშირებული იყოს საომარ ლაშქრობასთან, ზოგადად ლაშქარ-სიტყვასთან. ტოპონიმ „ლაშარის გორის“ არსებობა აქ ლაშქრის შესაკრებ ადგილს უნდა გულისხმობდესო“.<sup>679</sup> ამ მოსაზრებას მხარს უჭერს

<sup>677</sup> ვ ა ე ა - ფ შ ა ვ ე ლ ა , თხზულებანი (შეადგ. მურმან ლებანიძე) თბ., 1986, გვ. 572.

<sup>678</sup> გ . ც ო ც ა ნ ი ძ ე , გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987, გვ. 58.

<sup>679</sup> ქ . ლ ო მ თ ა თ ი ძ ე , კვლავ „ლაშარის ჯვარის“ შესახებ: ეურნ. „მნათობი“ №8, 1985, გვ. 144.

ფშაური ხალხური ლეგენდა-გადმოცემები, ეთნოგრაფიული მასალები. უთუოდ ამ აზრის შემცველია ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ლექსის სათაურიც: „გალაშქრება ლაშარის ჯვრისა დროშით“. ამ დროშას, პოეტის თქმით, ფშავლები ქისტეთში გალაშქრების დროსაც კი „გამოაბძანებდნენ“ და ღმერთს (გიორგი ეტლიანს) გამარჯვებას შესთხოვდნენ. ბრძოლიდან დაბრუნების შემდეგ ფშაველთა ლაშქარი კვლავ ლაშარის ჯვარში უნდა შეკრებილიყო, ედიდებინათ კაიყმები, პიროფლიანთა მოსახსენებლად კი „საკარყმო“ შეესვათ:

„ადიდეს ლაშარელაი  
და თამარ მეფე წყნარია,  
კარგს ყმათ საკარყმოს ასმევენ,  
მაიხსენიეს მკვდარია  
პიროფლიანნი, ვინაც-კი  
ლაშქარს მოკლული არია“...<sup>680</sup>

ასეთივე საბრძოლო, სალაშქრო დანიშნულებისა ყოფილა ზევსურებისათვის გუდანის ჯვარი (ხატი). გუდანის „მოლაშქრე“ ხატს, ვითარცა ძლიერსა და სათაყვანებელ ხატს, საკუთარი დიდი სასაძოვრე მამულებიც ჰქონია ს.ანდაქში.<sup>681</sup>

ლაშარის ჯვრის სალაშქრო ფუნქცია კარგად ჩანს ერთ-ერთ ძველ თუშურ ხალხურ ლექსში „თუშეთის წმინდანები“, რომელიც ცნობილ ეთნოგრაფს ივანე ბუქუჩაულს ჩაუწერია:

„პირველად ღმერთი ვახსენოთ,  
ის უფრო დიდებულია,  
მემრენა სისკარ კვირაე  
ღვთის კარზე მდგომიარეა...  
მემრინას ლაშას გიორგი  
ლაშქართა წინამძღოლია“.<sup>682</sup>

მთის ხალხში განმტკიცებული აზრი ლაშარი-ლაშქრობის ხატი შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ლაშარი გორის სიახლოვეს,

<sup>680</sup> ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა , თხზულებანი, თბ., 1986, გვ. 26.

<sup>681</sup> ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979, გვ. 122.

<sup>682</sup> გ . შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი , კვირია-ცისკარი: თხზ. ოთხ. ტომად, ტ. IV, თბ., 1975, გვ. 234.

ადგილ ხმელგორზე, მდებარეობს თამარის სახელობის ხატი, სალოცავი; თამარ მეფე კი, როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის რწმენა-შეგნებაში უძლეველობის, მტერზე უეჭველი გამარჯვების სიმბოლოდ იყო იმთავითვე მიჩნეული. მეორეცაა და მთაში არსებული ყველა დიდი სალოცავი თავისი მრევლისათვის ყოველთვის იყო ლაშქრობაში მიმავალი ან ლაშქრობიდან დაბრუნებული მეომრების თავშეყრის ადგილი: აქ ლოცავდა ღვთის პირით ხვეისბერი მტერზე მიმავალ მოლაშქრეებს, ამწყალოებდა, გზას ულოცავდა, ბრძოლიდან დაბრუნებულებს ადიდებდნენ, ომში დაღუპულთა მოსაგონებლად კი „საკარგმო“ შეისმოდა...

ლაშარის ხატისა და ლაშქრობის რიტუალური თანხედრობა უეჭველია, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ამ ორ ტერმინს (ლაშარი-ლაშქარი) შორის არსებულ ენობრივ თანხედრობაზე. აქ უეჭველად არსებობს ერთგვარი ენობრივი დაბრკოლება; პირველ რიგში ჩვენ თითქოს არ გვაგონდება ლაშქარ-სიტყვაში ქ- თანხმოვნის დაკარგვის თუნდაც ერთი შემთხვევა. შდრ. ლაშქრობა, ლაშქარა (მცენ.) მოლაშქრე, სალაშქრო, დასალაშქრავი, ულაშქრო... ხევისურეთში გვაქვს მიკროტობონიმი „სალაშქრო ჭალა“. იგი ყოველგვარი ცვლილების გარეშეა შემონახული:

„შატილით გამაემართა,  
იყვა შუადლის ხანიო,  
სალაშქროს ჭალას შამავა,  
გამაახანნა გზანიო“.<sup>683</sup>

სპარსული წარმომავლობის „ლაშქარ“ სიტყვა ქართულ ენაში ადრეული ხანებიდან არის შემოსული,<sup>684</sup> მაგრამ მისი ფონეტიკური ცვლის შემთხვევები ენამ არ იცის. საეჭვოა, რომ სიტყვის ამგვარი ცვლილება (ფუძეში ქ- თანხმოვნის ჩაუარნა) მაინცდამაინც სალოცავის აღმნიშვნელ სიტყვაში იყოს მომხდარი. უნდა იმასაც გაეწიოს ანგარიში, რომ ფშავის რელიგიურ-საკულტო მსახურების აღმნიშვნელი ტერმინები საერთოდ დიდი მდგრადობით გამოირჩევიან.

დასასრულ გვინდა მკითხველს შევთავაზოთ ერთი მოსაზრება.

<sup>683</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. XII, თბ., 1980, გვ. 136, 41.

<sup>684</sup> იხ. ი. ლ. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე., „ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 208.

კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ლაშარობას, როგორც რელიგიურ-საკულტო რიტუალს, ქრისტიანულ ღვთაებათა დღეობებში კუთვნილი ადგილი მიჩენილი არასოდეს ჰქონია და არც ახლა აქვს, — იგი ბუნებით წარმართული, არაქრისტიანული ხატობაა,<sup>685</sup> — მაშინ შეიძლება დაგვეშვა ლაშარის, როგორც ტერმინის, უცხო ენობრივი სამყაროდან მოსულობა. ჩვენ პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს სპარსული რელიგიური შინაარსის სიტყვა „ლაშარიკ“, რომელიც სპარსულ ენაში უზენაესი ალაჰის ებითეტად გამოიყენება და უბადლოს, ერთადერთს, შეუდარებელს ნიშნავს.<sup>686</sup> როგორც ჩანს, ქართულში ის ზებირი გზით არის შემოსული. ქართულ ენას სპარსული „ლაშარიკ“ თავის საკუთარ ყალიბში მოუქცევია, მისთვის ჩამოუცილებია ბოლოკიდური კ თანხმოვანი, რის შემდეგაც ი ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშნად გააზრებულა.

გვაქვს თუ არა ქართულ თეონიმიში სალოცავის სახელის გარე-სამყაროდან შემოტანის შემთხვევები? რა თქმა უნდა, გვაქვს; საამისოდ თუნდაც აჭურამაზდას საკულტო მსახურების ფაქტი გამოდგებოდა, რასაც ადრეული ხანის ქართლის სამეფოს საზოგადოებრივ ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. „მოსულ“ ღვთაებათა შორის შეიძლება დაეასახელოთ „ათენაგენა“ („ათენგენობა), წარმართულივე შინაარსისა და ხასიათის „იახსარი“ და სხვ., რომელთაც თანამედროვე ქართველი მთიელი ტომების რელიგიურ-საკულტო წესჩვეულებებში საკმარისად დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ლაშარიკ, ჩვენი ფიქრით, სანახევროდ გაქრისტიანებული, სინკრეტიზებული სალოცავია, რომელმაც წარმართული, არაქრისტიანული ბუნების მიუხედავად ქრისტიანული ღვთაების — წმ. გიორგის სახელიც „მოირგო“. თუ ჩვენი მოსაზრება ქეშმარიტებასთან ახლოსაა, მაშინ ბუნებრივად დაისმება კითხვა: როდის მოხდა ამ სპარსული ტერმინის (ლაშარიკ) ქართულ ენობრივ სამყაროში შემოდწევა და როდის, რომელ საუკუნეში, იქცა იგი ფშავის უპირველეს სალოცავ ხატად? ამ მნიშვნელოვანი პრობლემის შესწავლა ჩვენი ისტორიკოს-ეთნოგრაფების საქმეა.

<sup>685</sup> იხ. მ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი , ლაშარის ჭვარი ფშაველთა ყოფაში: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XXIII, თბ., 1987, გვ. 190.

<sup>686</sup> სპარსულ-რუსული ლექსიკონი; მოსკოვი, 1983, გვ. 415 (რუს.).

**ლაშქარ-ი** ადგილის სახელად დასტურდება სოფ. ხეოთში (ახალციხის რ.). აქვეა მიკროტოპონიმები **ლაშქარის ხევი** და **ლაშქარისხევის წყარო**. ადგილობრივი მოსახლეობა ტოპონიმ **ლაშქარს** შესხეთში თათრების **ლაშქრის შემოსვლას** და მათ მიერ სოფლების უმოწყალო აკლებას უკავშირებს. სინამდვილეში **ლაშქარი** ნიშნავს „**მლაშე კარი**“, „ადგილი, სადაც მლაშე, ვედა წყაროები გამოედინება“.

საყურადღებოა, რომ სახელწოდება **ლაშქარ-ი||ლაშქარა** დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლებში და მათ შემოგარენში არაერთგან გვხვდება. სოფ. მერჯვეში<sup>687</sup> (ზემო იმერეთი, საჩხერის რ.) **ლაშქარა** ეწოდება მის ერთ-ერთ უბანს. ოკრიბაში (ზემო იმერეთი) არის ხეხილის ბაღი, სახელად **ლაშქარა**. მართალია, ამ კუთხის ტოპონიმის მკვლევარი ლ. გვენეტაძე **ლაშქარას** მცენ. **ლაშქარას** სიმრავლით ხსნის („**ლაშქარიანი ადგილი**“) მაგრამ ამ შემთხვევაშიც ამოსავალი ადგილის მლაშეანობა, ვედა წყაროების არსებობა უნდა იყოს.

ვფიქრობთ, იმავე (მ) **ლაშე** კართან უნდა ავლენდეს საერთოს ლეჩხუმში, ს. აღვსა და სანორჩხ შორის არსებული სალოცავი ადგილის **ლაშქარუშის** სახელიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტოპონიმი ზოგი სპეციალისტის მიერ „**ლაშქრობის**“ წარმართული ხანის სალოცავის არსებობის უტყუარ ფაქტად არის მიჩნეული.<sup>688</sup>

**ლაშქოღია** პატარა მდინარეა ლეჩხუმში. სათავეს იღებს ს. ნაკურალეშთან (სიგრძე 4,5 კმ.), ჩამოედის ს. აღვს, ოყურეშს... მიერთვის ცხენისწყალს. ადგილობრივ მოსახლეობას მიაჩნია, რომ **ლაშქოღია** წარმოშობით სვანურია და „**სარეცხ ადგილს**“ ნიშნავს. მდინარის წყალი მართლაც საუკეთესო თვისებებით გამოირჩევა, მაგრამ მისი სახელწოდება არც სვანურია და არც „**რეცხვა**“ სიტყვასთან ჩანს დაკავშირე-

---

<sup>687</sup> ტოპონიმ მერჯვესაც, როგორც ცნობილია, ვედა, მლაშე წყაროიანი ადგილთან აკავშირებენ. (იხ. ზ. ჭ. უ მ ბ უ რ ი ძ ე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 469). მერჯვეში უბნის სახელად **ლაშქარის** არსებობა კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ამგვარ ვარაუდს.

<sup>688</sup> მ. ჩ. ი. კ. ო. ვ. ა. ნ. ი., ტოპონიმიკური ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის შრომ. ტ. IX, ტფ., 1939, გვ. 141; მისივე, ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ., 1972, გვ. 55.

ბული. იგი ნიშნავს: „კოდში ამოსული მლაშე მინერალური წყალი“, „კოდის ვეძა წყალი“. ადგილის სახელი „ლაშ(ე) კოდი(ა)“ შემდგომ მდინარის საკუთარ სახელად ქცეულა. ადგილობრივ მოსახლეობაში შეხვდებით მდინარის სახელწოდების სწორ განმარტებასაც; მიუთითებენ, რომ „საიდანაც მდინარე გამოდის, იქ ყოფილა მლაშე წყლის კოდი, გამონავალა მლაშე წყალი დიდი რაოდენობით და უწოდებიათ ლაშკოდის დელე“. (ჩამწ. ელისო ედიშერის ასული ასათიანი).<sup>689</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში იყო ცდა ლაშკოდის სვანურ ლაპრეფიქსიან სახელად მიჩნევის თაობაზე (ლა-შკოდი-ა),<sup>690</sup> თუმცა აშკარაა, რომ შკოდ- სვანურად არაფერს ნიშნავს. ისტორიკოსი გ.გასვიანი მხარს უჭერს ლაშკოდის განმარტების ხალხურ ვერსიას („სარეცხი ადგილი“), თუმცა რაიმე საბუთიანობის გარეშე.<sup>691</sup>

**ლახუნდარი** სოფელია ზემო იმერეთში (ხარაგაულის რ. წყალაფორეთის სას. ს.). იმერეთის ტერიტორიაზე არაერთი ზანური (მეგრული) წარმოშობის ტოპონიმი დასტურდება, რომლებიც ძირითადად ზანურივე აფიქსებით არიან გაფორმებულნი (ო-კრიბ-ა. ო-ფურჩხ-ეთ-ი, ო-ნ-ჯონ-ეთ-ი, ჭყვ-იშ-ი, ყუმ-ურ-ი, ო-რაგვ-ე...). ვეარაუდობთ, რომ ლახუნდარაც ერთ-ერთი ასეთი ზანური წარმომავლობის სახელია. იგი წარმომდგარა მეგრული ლა- თავსართით (ლა-ნ-ჩხ-თ-, ლა-ჯონ-ა||ლა-ჯან-ა... სახელების მსგავსად). ძირისეულ მასალად უნდა გამოიყოს ხუნდ-ი (||ხუნჯ-ი), რომელიც სამეგრელოში დათვის, მელიის, კვერნის და სხვა ნადირის დასაქერ რკინის ხაფანგს ეწოდება.<sup>692</sup> ხუნდი, ჰ.ჯაჭანიძის ცნობით, ხის ბორკილი ყოფილა; ყმის დასასჯელად იხმარებოდაო; იგი ხაფანგადაც გამოიყენებოდა.<sup>693</sup> ერთობ საყურადღებოა ლეჩხუმურ

<sup>689</sup> სფ.

<sup>690</sup> მ. ქ ა ლ დ ა ნ ი , ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ (II-შ) სუფიქსის საკითხისათვის: კრებ. ქესს, ტ. III, თბ., 1963, გვ. 74.

<sup>691</sup> გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი , ლეჩხუმისა და რაჭის ტოპონიმიკის საკითხისათვის, „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის... სერია) №3, 1988, გვ. 93.

<sup>692</sup> ც ი ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე , გ . ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე , მკვდლობა სამეგრელოში კრებ. სამეგრელო, თბ., 1979, გვ. 95.

<sup>693</sup> კ . ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე , გურული დიალექტი I, თბ., 1977, გვ. 149.



კილოში არსებული მონადირული სიტყვა სახუნარი „ჩასასაფრებელი ადგილი“. „კაი სახუნარი ვიშოვეთ, თვარა გაგვიქირდებოდა ი დათვის მოკვლა“.<sup>694</sup> სახუნარი-ი აშკარად სახუნდარის გამარტივებული ფორმაა. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, სახუნდარი ნადირთ მოსავალი ადგილიაო.<sup>695</sup> ძველ საქართველოში (XVII-XVIII სს.) სახუნდარი (საუნდარი, სახუნდარა) სოფლის სახელადაც კი გვხვდებოდა: „სახუნდარაში ვენახი მიჰყიდა გასპარა დარისპანაშვილმა დოღმაზას“. „საქუნდარი ეკუთვნოდა რატიშვილებსა და ბაინდურა შანშიაშვილს, ნაზარალიხანმა უბოდა იგი მუსტათა ბაღირ-ბეგს“.<sup>696</sup>

ამას გარდა, ყოფილა მტრედზე, მწყერზე და სხვა გარეულ ფრინველზე სპეციალურად შერჩეულ-მონიშნული სანადირო ადგილები: სასახუნდრები, სატრედო (სატრედეთ-მიწა), სამწყრე (სამწყრის წყალი)<sup>697</sup> და სხვ.

მაშასადამე, შეგვიძლია დაბეჭითებით ვთქვათ, რომ ზემო იმერეთში არსებული ტოპონიმი ლახუნდარა წარმოშობით მეგრულია და ნიშნავს: „გარეულ ნადირ-ფრინველზე სანადირო ადგილები“, „სასახუნდრე“. როგორც ჩანს, დღევანდელი ლახუნდარა დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო სანადირო ადგილად იყო მიჩნეული, რაზედაც თვით სახელწოდება მეტყველებს.

**ლექსისპირ-ი** სოფელი (ადგილი) ხევსურეთში (დუშეთის რ.). ტოპონიმი რთული შედგენილობისაა. პირველი ფუძეა ძვ. ქართული სიტყვა ლები: „შავი საღებავი მიწა, მიწალები“ (საბა). ლები კარგადაა ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ ენისთვისაც. აქ ეს სიტყვა სილურჯის აღნიშვნელად გვევლინება:

„ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა, დააღება, დააღურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა“.<sup>698</sup>

<sup>694</sup> შ ა ლ ა ვ ი ძ ე , ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 154.

<sup>695</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი . თბ. IV, თბ., 1966, გვ. 82.

<sup>696</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 190.

<sup>697</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 186, 187.

<sup>698</sup> შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი , „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტება და ბოლოსიტყვა

ლებაისკარი შეიძლება განვმარტოთ როგორც „მიწალებით მდიდარი ადგილი“, „ადგილი, სადაც მოიპოვება ლები; შავად საღებავი მინერალი“. ხევსურეთში, ამას გარდა, ძველად სოფლის სახელად საღებე-ც უნდა გვქონოდა. სწორედ ამ საღებედან კახეთში (შუამთა) გადმოსულ ხევსურთა ოჯახებს დაუარსებიათ სოფელი საღებ-ელ-ი (თელავის რ.). საინტერესოა, რომ ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი თინათინ ოჩიაური ლებაისკარს სწორედ ლებისკარად იცნობს: „შატილის ხეობაში პირველი სოფელი ლებისკარია“. „წყლის გაღმა მხარეს კარგად დაცული სიბერდულად მოწვერილი ჩარდახიანი ციხე დგას, სადაც მაგრდებოდნენ მტრის თავდასხმის დროს ლებისკარელნი“.<sup>699</sup>

ლებაისკარი კ.ჭანის მიერ მცდარად იყო განმარტებული, იგი თვლიდა, რომ ლებაისკარი წარმომდგარი იყო ორი ქართული სიტყვის ლებან-ისა და კარი-ს შეერთებით: აქ ისეთი ვიწრო გასასვლელია, რომელიც თავისი ფორმით კაკლის ლებანს მოგვაგონებსო.<sup>700</sup>

ფაქტიურად ტოპონიმი, როგორც უკვე ვთქვით, მინერალ ლებს უკავშირდება: „ლებიანი ადგილი“, „ლების სათხრელი ადგილი“.

**ლეთეთ-ი** სოფლებია ცენტრალურ ქართლში (ქარელის რ.). აქაა ზემო და ქვემო ლეთეთი. ეს სახელწოდება ერთ-ერთი უძველესი ქართული სახელწოდებაა მთელს ცენტრალურ ქართლში ურბნისის, უფლისციხის, კასპის, მცხეთა-არმაზის, სარკინეს და სხვათა გვერდით. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქვენოდ ცნობილი ქართული ძველის „სინური მრავალთავის“ (864 წ.) ერთ-ერთი გადამწერი მაკარო ლეთეთელი ყოფილა, მაშინ ცხადი ხდება, რომ ამ სოფლის არსებობა სულ ცოტა VI-VII საუკუნეებიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ.

ლეთეთ-ი -ეთ სუფიქსიანი სახელია. ძირია ლეთი||ლეთა, (იგივე ლეთემ-ი), რომელიც სველი, ქონქყო, საფლობი ადგილის აღსანიშნავად დღეს გურულ დიალექტს შემოუნახავს.<sup>701</sup> ლეთა/ი თანამედროვე

---

დაურთო ნ . ნ ა თ ა ძ ე მ ( ა ლ ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი ს რ ე დ ა ქ ც ი ი თ ) თ ბ . , 1974, გვ. 188.

<sup>699</sup> თ . ო ჩ ი ა უ რ ი , ხევსურეთი და ხევსურები, თბ., 1977, გვ. 23.

<sup>700</sup> СМОМПК. 40. ტფილ., 1909, გვ. 96.

<sup>701</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა I, თბ., 1974, გვ. 327.

ქართულ სალიტერატურო ენაში ცოცხალი ფაქტია:

„შემოადგებათ კისრამდე ლეთა,  
ვერ მოასწრებენ ხელის დაქნევას“.<sup>702</sup>

მაშასადამე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლეთ-ეთ-ი ნიშნავდა: „ლეთიანი ადგილები“, „საფლობი, კონჟყო, ჟალტამი ადგილები“. უთუ-ოდ ამ ლეთ- სიტყვასთან არის დაკავშირებული სახნავი ადგილის სახე-ლი ლეჩხუმში (ს.ლაილაში) ლეთოთანა,<sup>703</sup> რომელიც სველ, ლეთოიან ადგილს უნდა ნიშნავდეს.

**ლექვან-ი** ადგილის სახელად გვხვდება ლეჩხუმში (ს.ნაკურაღე-ში). იგი იმავე არეალში ცნობილია წყაროს სახელადაც. ადგილობრივი მცხოვრებნი ლექვანს ერთ უცნაურ ამბავს უკავშირებენ: ამ წყაროში თითქოს ოდესღაც უნახავთ ძაღლის პატარა მკვდარი ლეკვი, რის გამოც ადგილს ლექვიანი შერქმევია. სხვა ცნობით ტოპონიმი ლექვან-ი ლეთა ხშირი შემოსევის მიმანიშნებელი ფაქტი ყოფილა. სინამდვი-ლეში ლექვან-ი ლექ-ოვან- ფორმისაგან გვაქვს მიღებული. იგი ნიშ-ნავს: „ლეკის ხეებით მდიდარი ადგილი“. „ლეკ-ნარ-ი“, „ადგილი, სადაც ხარობს ლეკი“ (იგივე ნეკერჩხალი|იფანი). -ოვან სუფიქსი წარმოქმნილ სახელებში ხშირად -ვან ფორმით არის დადასტურებული (იკარგვის ო-ხმოვანი): ბალახ-ვან-ი (← ბალახ-ოვან-ი), ჭალ-ვან-ი (← ჭალ-ოვან-ი), ბალ-ვან-ი (← ბალ-ოვან-ი, ბალ-ნარ-ი), ველ-ვან-ი (← ველ-ოვან-ი), ნარ-ვან-ი (← ნარ-ოვან-ი) და სხვ. მრ.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს აქაც საქმე: ლექ-ვან-ი (← ლექ-ოვან-ი). ლეჩხუმის მიკროტოპონიმიში მცენ. ლეკი საკმაოდ ხში-რად გვხვდება: ლეკიწყალი (წყარო ს.ზოგოში), ლეკიწყლები (წყა-რო ს.ცხმელური), ლექნარი (სათიბი ს.ღვირიშში) და სხვ. ამის მიუხე-დავად ლექვანს ზოგჯერ სვანურ ლე- პრეფიქსით ნაწარმოებ სახელად

<sup>702</sup> ე მ ზ . კ ვ ი ტ ა ი შ ვ ი ლ ი , ახალი ლექსები, „დაღმართი“: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 26.01.1979 წ. გვ. 3.

<sup>703</sup> ტოპონიმი ლეთოთანა გ.გასვიანის მიერ სვანური წარმოშობის სახელადაა მიჩნეული და იგი „თეთრ ქათქათა ადგილად“ არის განმარტებული. იხ. ეურნ „მაცნე“ (ისტორ. სერია) №3, 1988, გვ. 93.

მიიჩნევენ: ლე-კვან-ი,<sup>704</sup> თუმცა არაფერს ამბობენ კვან ფუძის სვანურობაზე. სხვათა შორის ანალოგიურადვე არის განმარტებული მიკროტოპონიმი ლეკნარი (სათიბია ს.ღვირიშში, ცაგერის რ.); მასაც ლეთავსართიან გეოგრაფიულ სახელწოდებად მიიჩნევენ, თუმცა აქ მცენარეული საფარის აღმნიშვნელი -ნარ სუფიქსისა და თვით მცენარე ლეკის არსებობა ექვს არ უნდა იწვევდეს.

**ლექის ჰვარ-ი** საკულტო ადგილია ს. ქურთის (ცხინვალის რ.) აღმოსავლეთით. დღეობა იმართება ყოველი წლის სექტემბერში, მესამე კვირა დღეს. სახელწოდების წარმოშობის თაობაზე აქ შემდეგი თქმულებაა გავრცელებული: „ძველად აქ ლეკების ჯარი შემოსულა, დიდძალი ქართველობა დაუტყვევებია, მაგრამ ველარ გაურკვია, რადგან იმათი ბელადი გამხდარა უცებ ძალიან ავად. გადარჩენას აღარავინ ფიქრობს. ქურთაში უცხოვრია ერთ მოხუცებულ ქალს, მეწამლეობით ყოფილა განთქმული და იმას უთქვამს, როცა დაუბარებიათ, რო მე შემიძლია შენი მორჩენაო, მაგრამ რაც მოგთხოვო, უნდა შემისრულოო. კეთილი, — დათანხმებულა ლეკის ბელადი. ქალს მოუთხოვია ტყვეების შინ გაშვება, განთავისუფლება და რჯულის შეცვლა; თუ ქრისტიანობას არ ეზიარები, ისე ჩემი წამალი ვერ გასქრისო. რაღას იზამდა, ლამის სულსა ლევს ბელადი, დათანხმებულა. ამ ქალს ავადმყოფი ჯერ ცხელ აბაზანაში გაუბანებია, მერე რაღაცა ბალახის წამალი დაუღვინებია და თან კისერზე დიდი ხის ჯვარი დაუკიდნია. ორი-სამი დღის მერე თათრის ბელადი მობრუნებულა, საიქიოს გამოჰქცევია და მიცემული პირობაც უკლებლივ შეუსრულებია. ამაზე ხალხი იძახოდა: „ლეკი ჯვარმა განკურნაო“. დაურქმევიათ იმ ადგილისათვის ლეკის ჯვარი“.<sup>705</sup>

ფაქტიურად ლეკი მცენარე ქორაფის (ნეკერჩხლის) ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა სახელით გვხვდება: ლეკა, ლეკის ზე (клен остролистный) მთიულ. ძელქვა, ფშაური, ხევსურ; რაქული, ლეჩხუმური ლეკი, ზემო იმერ. ქორაფი,

<sup>704</sup> მ. ქ ა ლ დ ა ნ ი , ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ (II-შ) სუფიქსის საკითხისათვის, ქესს III, 1963, გვ. 75.

<sup>705</sup> სფ.

აქარ. ლეკიხე.<sup>706</sup> როგორც ჩანს, ქართლურ დიალექტშიც, ფშავ-ხევსურულის მსგავსად, ქორაფს ლეკი ეწოდებოდა, რაზედაც ტობონიმი ლეკის ჭვარიც მეტყველებს. ლეკის ჭვარი შეიძლება გავიგოთ შემდეგნაირად: „საკულტო ხე“, „სალოცავი ადგილი, სადაც წმინდა ქორაფის ხე (ლეკი) მდგარა“. ლეკის ჭვარი ისევეა ნაწარმოები, როგორც ვაშლაჭვარი, მუხისჭვარი და სხვ.

**ლექსუმი-ი** მხარე, კუთხე დასავლეთ საქართველოში. მოქცეულია იმერეთსა და სვანეთს შორის. ლექსუმს ისტორიულად ის ტერიტორიები ეკავა, რომელიც ჩვენს ძველს წყაროებში თაკვერად მოიხსენიებოდა. ქართველი მემათიანე ბერი ეგნატაშვილი გარკვევით აღნიშნავდა: „თაკუერი, რომელსა აწ ჰქვან ლექსუმით“.<sup>707</sup> ზოგჯერ ლექსუმით აღინიშნებოდა ის ვრცელი ტერიტორია, რომელიც დღეს, საკუთრივ ლექსუმის გარდა, რაჭას და სვანეთს უჭირავს. ამ კუთხეს შესანიშნავად აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი: „არს ლექსუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს, ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათვის არა ეგოდენი სიმრავლით. მოსახლენი არიან აზნაურნი და გლენხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვიტკირისა და შენობანი ყოველნივე ქვიტკირისანი. და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართველნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მხნენი და მორჩილნი უფალთა თვისთა“...<sup>708</sup>

ლექსუმის ეტიმოლოგიურ კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი, ვინც ლექსუმის წარმოშობას შეეხო, ვახუშტი ბატონიშვილი იყო, თუმცა მისი ვარაუდი ხალხური ეტიმოლოგიის დონეს არ გასცილებია. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ლექსუმი ამ კუთხეს შერქმევია „ხომლის კლდის გამო — ესე არს ლეჩ ხომი“.<sup>709</sup> რას ნიშნავდა ლეჩ- ფუძე, ან როგორ მივიღეთ ხომლიდან ხომი. დიდ გეოგრაფს, ალ-

<sup>706</sup> ა ლ . მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი , ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 43.

<sup>707</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 149, 21.

<sup>708</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 349, 18.

<sup>709</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 148, 22.

ბათ, ნაკლებ აინტერესებდა.

ლეჩხუმის მეცნიერული ახსნა-განმარტების ცდა ივანე ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მან სახელწოდება ლეჩხუმში გამოყო სვანური ლე- თავსართი (ქართული სა- პრეფიქსის ფარდი ელემენტი) და ჩხუმ- ძირი, რომელიც ასევე სვანური სიტყვაა და რცხილას ნიშნავს. ამრიგად ლეჩხუმი განიმარტა როგორც „სა-რცხილ-ე“, „რცხილნარი ადგილი“. <sup>710</sup> აღნიშნულ ვარაუდს მხარი დაუჭირეს ისეთმა დიდმა მკვლევრებმა, როგორებიც იყვნენ ს.ჯანაშია, <sup>711</sup> გ.ჩიტაია, <sup>712</sup> პ.ინგოროყვა <sup>713</sup> და სხვ.

იმავე ჩხუმ|რცხუმ- („რცხილა“) ძირს ვარაუდობდნენ ნ.მარი, პ.ინგოროყვა და სხვანი სახელწოდება სოხუმისათვისაც. <sup>714</sup> აღნიშნული თვალსაზრისი სპეციალისტთა შორის დღეს თითქოს აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს.

ლეჩხუმის წარმომავლობის თაობაზე სხვაგვარი მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. იოს.ყიფშიძეს. მისი ვარაუდით ლეჩხუმი ზანური ჩხომ („თევზი“) სიტყვის მიხედვით ყოფილა წარმოქმნილი და, მამასა-დამე, იგი უნდა გავიგოთ როგორც „სათევზაო ადგილი“, „თევზით მდიდარი ადგილები“. აღნიშნული თვალსაზრისი დღემდე ერთ-ერთ სარწმუნო ვარაუდად რჩება.

სახელწოდების კვლევის ისტორიის გასათვალისწინებლად ისიც უთუოდ საინტერესო ფაქტია, რომ ლეჩხუმი ქართველ სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერ ეთნიკური წარმოშობის ტოპონიმად იყო მიჩნეული: ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებში დადასტურებული სახელი სკუმია, „სკვიმნია“ (პროკოფი კესარიელი VI ს.) ჩვენი მეცნიერების მიერ ლეჩხუმ-თან იყო გაიგივებული; სკვიმნია, სკუმია ლეჩხუმის ბერ-

<sup>710</sup> ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია I, 1913, გვ. 422.

<sup>711</sup> ს . ჯ ა ნ ა შ ი ა , შრ. II, 1952, გვ. 100.

<sup>712</sup> გ . ჩ ი ტ ა ი ა , ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელწიფო მუზეუმის მოამბე XII, თბ., 1944, გვ. 267.

<sup>713</sup> პ . ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 147.

<sup>714</sup> პ ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , დასახ. ნაშრ. გვ. 147.

ძნული გაღმობემაო.<sup>715</sup> უფრო ადრე ნ.მარმა ჩხუმ- ძირი ასევე სატომო სახელად მიიჩნია და იგი რატომღაც წინა აზიის უძველეს ხალხს შუემერებს დაუკავშირა: შუემერმა ჩუმერი მოგვცა, ჩუმერისაგან კი ჩხუმი მიგვიღიაო. ნ.მარისავე მტკიცებით ამ ჩხუმებს ძველად სკერიათ რიონის ზემო წელზე მდებარე მიწები და სწორედ მათი სახელის მიხედვით შეერქვა მთელ იმ კუთხეს ლე-ჩხუმ-ი „ჩხუმების ქვეყანა“.<sup>716</sup>

როგორც ვხედავთ, ლეჩხუმის წარმოშობის თაობაზე უამრავი ვარაუდი გამოუთქვამთ, მაგრამ რომელიმე თვალსაზრისის საბოლოოდ გაზიარება, ალბათ, არ შეიძლება. ზემოთ წარმოდგენილ ვარაუდთაგან, ჩვენი ფიქრით, განსაკუთრებით ორია მნიშვნელოვანი; ლეჩხუმი: „რცხილნარი ადგილი“ და ლეჩხუმი „თევზით მდიდარი ადგილები“. იგი ისეთივე შინაარსის სახელწოდება ჩანს, როგორც ლეკალმახე („სა-თევზ-ე ადგილი“).

დასასრულ შეიძლება კიდევ ერთი თვალსაზრისის წარმოდგენა. კერძოდ, ხომ არ შეიძლება ტოპონიმი ლეჩხუმი გავიზაროთ როგორც ჩხვიმიან||ჩხუმიან-თა საცხოვრებელი, ოდინდელი სამყოფი ადგილი? უთუოდ ამაზე მიგვანიშნებს ლე- თავსართი, რომელიც ხშირად გვხვდება საერთოქართულ ანთროპონიმულ ტოპონიმიში ერთი რომელიმე გვარის (ბუნის) ერთად მყოფობის, სიმრავლის თუ გავრცელებულობის აღმნიშვნელ პრეფიქსად (ლე-ახალ-ე, ლე-გოვი-ე, ლე-კეკელ-ე, ლე-შიქა-ე, ლე-სალ-ე, ლე-ქაჭაი-ე, ლე-ქობალ-ე...). თუ ამ თვალსაზრისის გავყვებით, მაშინ ლე-ჩხუმ-ი უნდა გავიზაროთ როგორც სა-ჩხუმ-იან-ო, სა-ჩხვიმ-იან-ო („კუთხე, სადაც ჩხუმიანებს (ჩხვიმიანებს) უცხოვრიათ“).<sup>717</sup>

<sup>715</sup> ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა II, გვ. 96; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 260, სქ.

<sup>716</sup> ნ. მ ა რ ი, აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ, 1938, გვ. 173, 225-226; 394... (რუს. ენაზე).

<sup>717</sup> ტოპონიმ ლეჩხუმის წარმოშობის შესახებ იხ. აგრეთვე მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, რას ნიშნავს ლეჩხუმი? გაზ. „კომუნისმის სხივი“ (ცაგერი 17 ივლისი, 1972 წ.); ქ. მ უ შ კ უ დ ი ა ნ ი ჟ ლ რ ნ. „მნათობი“ №1 1972, გვ. 148; ამბ. ჭკადუა, ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ძირითადი პრინციპები: კრებ. ონომასტიკა, I,

ვარაუდთა სიმრავლის მიუხედავად ლეჩხუმის ეტიმოლოგიური კვლევა არ შეიძლება საბოლოოდ დასრულებულად ჩაითვალოს.

**ლირსებ-0** ასე უწოდებენ ონის რაიონის სოფ. შარდომეთის მცხოვრებნი თავიანთი სოფლის ახლოს მდებარე სახნავ-სათეს მამულებს. სახელწოდება ლირსების წარმომავლობის შესახებ აქ დაბეჭიფებით ვერავინ ვერაფერს გეტყვით; იგი არც სპეციალისტებს უკვლევიათ საგანგებოდ. რაქული ლექსიკის, აგრეთვე, მიკროტოპონიმის გამოწვლილვითმა შესწავლამ გვაპარუდებინა, რომ ადგილის სახელი ლირსები წარმომდგარი უნდა იყოს ლისა სიტყვისაგან, მრავლ. რიცხვის ფორმით, ფუძეში -რ- თანხმოვნის მოსალოდნელი განვითარებით. რაქულში ლისა ეწოდება სილას, წვრილ ქვიშას.<sup>718</sup> მაშასადამე, ლისე-ბი||ლირსები უნდა გავიგოთ, როგორც „ლამიანი ადგილები“; „ქვიშნარი, ქვიშრობი მამულები“. სიტყვა ლამი საკმაოდ ბევრ ტოპონიმს უდევს საფუძვლად. ალბათ, პირველ რიგში გაგვახსენდება სოფ. ლამისყანა (კასპის რ.) სოფ. ანანურში (დუშეთის რ.) ერთ არაგვისპირა მინდორს ჰქვია ლამები; სოფ. მისაქციელის (მცხეთის რ.) ერთ-ერთ უბანს ასევე ლამი||ლამები ეწოდება. დუშეთის რაიონშივე არის სოფელი ლამოვანი და სხვ. როგორც ვხედავთ, აღმოსავლურ ქართულ ლამს დასავლეთის დიალექტებში, რაქულსა და ქვემო იმერულში ლისა||ლირსა შენაცვლებია. საინტერესოა, რომ ქვემო იმერეთის ხანისწყლის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში ლირსი დანალექს (შლამი, სილა...) ეწოდება.<sup>719</sup> სოფ. საკაოში (ონის რ.) არის სათიბი მამული, რომელსაც ლირსიანა ჰქვია. როგორც ჩანს, იგი კავშირშია სიტყვა ლის-თან (შდრ. ლისის ტბა — თბილისში). ამ თვალსაზრისით სარწმუნოდ გვეჩვენება გრ.ზარდალიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ლისის ტბა

---

თბ., 1987, გვ. 202; გ. გასვიანი, ლეჩხუმისა და რაჭის ტოპონიმის საკითხები: „მაცნე“ (ისტორიის... სერია), №3, 1988, გვ. 83-85 და სხვ.

<sup>718</sup> ვ. ე. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაქულ თქმათა, ს.პბ., 1912, გვ. 39.

<sup>719</sup> პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, 1976, გვ. 88.



„ქვიშიან ტბას“ ნიშნავს.<sup>720</sup>

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ლირსები ქვიშნარ, ლამიან, დანალექ ადგილს ნიშნავს.

**ლიხ-0. ლიხის მთა** მათაა სისტემა, ბუნებრივი საზღვარი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორი: წყალგამყოფი ქედი. ადგილობრივი მოსახლეობა ლიხის მთას ქოჩორას უწოდებს, რადგანაც იმერულ დიალექტში ქოჩორა ყველაზე მაღალი ადგილის, წვერის აღმნიშვნელი სიტყვაა: „თუ საკვამური არ გოუსწორდა სახლის ქოჩორს... კვამლი ნაკლებად წავა“.<sup>721</sup> ლიხის მთას ოფიციალურად სურამის ქედს უწოდებენ, თუმცა ადგილობრივ მეტყველებაში „ქოჩორა“ ქარბობს: „ხრესილიდან მოკიდებული ქოჩორამდი ნეფობდა... სოლომონ ბძენი“.<sup>722</sup>

გეოგრაფიული სახელი ლიხ-ი, ლიხთ-იმერი ქართულ საისტორიო ძეგლებში IX ს-ის დამლევიდან და X საუკუნის დასაწყისიდან არის ცნობილი (შიომღვიმისადმი ბეგრის დადების დაწერილი, 893-918 წწ.) „გარდავე ლიხთ-იმერეთ(ს) და მივიღე თავისუფლობისა ბრძანება კონსტანტინესა და ბაგრატიისი...“<sup>723</sup>

XII საუკ. ზოგიერთ წყაროში ლიხთ-იმერეთი გვხვდება: „მეფე გარდავიდის ლიხთ-იმერეთს და მიუწიის ზღუად პონტოსა“. აქა-იქ მარტო ლიხიც შეინიშნება: „ილაშქრა ლიხთ- იქით“.<sup>724</sup> საინტერესოა, რომ ძველ ქართულ წყაროებში ლიხის მთა მრავლობითი ფორმით (ლიხთ-) არის წარმოდგენილი.

ლიხ-ი ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანს სიტყვა ლიხი ასე აქვს განმარტებული: „ფრიად მაღალი შამბი“. ლიხი ამავე მნიშვნელობით დასტურდება

---

<sup>720</sup> გ . ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ტოპონიმიკური ეტიუდები: ჟურნ. „ციცყარი“ №2, 1974, გვ. 129.

<sup>721</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 459. აქვე ქოჩორი განმარტებულია როგორც სახურავის მაღალი ნაწილი, წვეტი.

<sup>722</sup> პ . გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე , იმერული დიალექტის სალექსიკ. მასალა, 1976, 141.

<sup>723</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 4; მასიგტ I, გვ. 133.

<sup>724</sup> ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 15.

მთიულურსა (ლ.კაიშაური) და ფშაურ (ივ.ჭეჭიკაშვილი, გ.ცოცანიძე) კილოებში. ადგილის სახელად ლიხ-ი ჩავიწერეთ ქსნის ხეობაში (ს.ბა-  
ლანის). ინფორმატორმა ვ.ბალაშვილმა ადგილი ასე დაახასიათა: „ლიხი-  
ანი სათიბია, მსხვილი, ჩხამა ბალახი იზდება, ჩირდილი ადგილია“. საინტერესოა ისიც, რომ ფშაურ დიალექტში ლიხი, უხეში, მაღალი ბა-  
ლახის გარდა, ნიშნავს: „მთა“, „მთის თხემი“ („ლიხზე გადადგა ხარ-  
ჯიხვი...“),<sup>725</sup> რაც მთლიანად მიესადაგება ლიხის მთის, ლიხის ქედის  
შინაარსს.

**ლიხაურ-ი** ცნობილი სოფელია გურიაში (ოზურგეთის რ.); სა-  
სოფლო საბჭოს ცენტრი (სოფლები: ლიხაური, ნიაბაური, აჭი, კვაჭა-  
ლათი). გაშენებულია მდ.აჭისწყლის სანაპიროზე. აქ, ამ სოფელში და-  
იბადა დიდი ქართველი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი  
დამაარსებელი, უწმიდესი და უთვალსაჩინოესი მამულიშვილი ექვთიმე  
თაყაიშვილი (1862-1953 წ.). მშობლიური სოფლის სახელწოდების ეტი-  
მოლოგიით ექვთ.თაყაიშვილი ჯერ კიდევ 1900-იან წლებში დაინტერესე-  
ბულა. არსებითია, რომ მკვლევარი ლიხაურის ნაცვლად ლეხაურ-  
ფორმას (შდრ. ვახუშტისეული ლეხეური; „ციხე ლეხეურისა“)<sup>726</sup> ანი-  
კებდა უპირატესობას, ხოლო ამ უკანასკნელს სიტყვა რებს უკავშირებ-  
და: „აჭისწყალი რომ რებს აყრის ნაპირებს, ამიტომ შეიძლება და ამ  
სოფელს რეხოული-ლეხაური დარქმეოდაო“.<sup>727</sup> მართლაც ლიხაურის  
ეკლესიის სამრევლოს თარიღიან წარწერაში (1422 წ.) სოფლის სახე-  
ლად რეხოელი იკითხება. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მცირე  
გრაფიკულ უზუსტობასთან შეიძლება გვქონდეს საქმე და რეხოელის  
ნაცვლად რეხო-ულ-ი წავიკითხოთ? საქმე ისაა, რომ გურიის ისტორი-  
ული ტოპონიმიკისათვის წარმომავლობის -ელ- სუფიქსი ცნობილი  
არაა, -ურ-||-ულ- სუფიქსი კი ძალზე ნიშანდობლივია (შდრ: ნიაბა-  
ურ-ი, სილა-ურ-ი. ბოხვა-ურ-ი, მელექედ-ურ-ი, გვიმრალა-ურ-ი,

<sup>725</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. XII, 1980, გვ. 52.

<sup>726</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 175, 25.

<sup>727</sup> ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი , არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი 1,  
ტფ., 1907, გვ. 26; მისივე, რჩეული ნაშრომები ტ. I, თბ., 1968, გვ. 182; (იხ.  
ი . მ ე გ რ ე ლ ი ძ ე , ექვთ.თაყაიშვილი, თბ., 1989, გვ. 14).

ჩოხატა-ურ-ი, ჩაკიტა-ურ-ი, გოგო-ურ-ი, ჩხაკო-ურ-ი, გორაბერე-  
ჟო-ულ-ი...). ასეა თუ ისე, სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალი  
ჩანს სიტყვა რეხ-ი, რომლის ძირითადი მნიშვნელობა ადგილის კვიანო-  
ბას, კლდიანობას უკავშირდება.<sup>728</sup> ექვთ.თაყაიშვილის მიხედვითაც რეხი  
მდინარის მოტანილი ქვა-ქვიშის, ხრემის, წვრილი ქვის სახელი ყოფი-  
ლა. რეხოულ- სიტყვას შემდგომ ფონეტიკურად მოსალოდნელი ფორმა  
ლესოური მოუცია (მდრ. რეხულა — ლესურა), აქედან კი ე ხმოვ-  
ნის დავიწროების შედეგად ლესოურ-ს ლიხოური||ლიხაურ-ი წარმო-  
უქმნია. მაშასადამე დღევანდელი ლიხაური||ლესაური წარმომდგარი  
ყოფილა რეხ- სიტყვისაგან. ნიშნავს: „ქვა-ღორღიანი ადგილი“.

**ლოქინ-ი. ლოქინის ხეხ-ი** პატარა მდინარე, ხევი გარეკა-  
ხეთში. „საქონელგამოშვებულნი ღვინის ურმები იღვნენ მწკრივად ლო-  
ქინის ხევის პირს. ხევში წყალი გოლვისაგან ისე მიღუღიყო, რომ  
ძლივსლა მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ“.<sup>729</sup>

ლოქინის ხევის ადრინდელი სახელი, ვახუშტი ბატონიშვილის  
ცნობით, ომანისხევი ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის საინ-  
ტერესო ცნობას: მარტყოფის წყალს საცხენისის ხევამდე მარტყოფის  
სახელი ჰქვია, შემდეგ კი მტკვრამდე ახლა, ამჟამად ლოქინს უწოდებ-  
ნო: „არს მარტყოფი. გამოსდის წყალი მისი ამასვე მთას (კუხეთს, გ.ბ.),  
საცხენისის ვევამდე — მარტყოფისა, ხოლო მას ქვეით მტკვრამდე უწო-  
დებენ აწ ლოქინსა, არამედ ძველად ეწოდა ომანის-ვევი“.<sup>730</sup>

ლოქინის ხევზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედე-  
გად მოპოვებული მასალის მიხედვით სპეციალისტები ამ არეალში მო-  
სახლეობის ინტენსიურ სახლობას ძვ. წელთაღრიცხვის X საუკუნეიდან  
ვარაუდობენ. აქ მიკვლევული ბრინჯაოსაგან ნაქედი ცხენის აღკაზმულო-  
ბის (X-IX სს.) გარდა აღმოჩენილია IV-VI სს. საცხოვრებელ ნაგებო-  
ბათა ნაშთები, რაც ლოქინის ხევის უძველეს განაშენიანებაზე მიგვანიშ-  
ნებს. შუა საუკუნეებიდან აქ იხსენიება სოფელი ლოქინი. სახელწოდება

<sup>728</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II (ალ.დლონტის რედ.), თბ., 1975, გვ. 60.

<sup>729</sup> ი . ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე , თხზ. ტ. II, თბ., 1988, გვ. 223.

<sup>730</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, 95, 4-5.

ლოჭინი-ს მნიშვნელობა საბოლოოდ გარკვეული არ არის, თუმცა მის შესახებ რამდენიმე ვარაუდია გამოთქმული. ვ.ჯანგიძის მიხედვით ტოპონიმი **ლოჭინი** უნდა მომდინარეობდეს სიტყვისაგან **ლოჭი** (ლოჭიან-ი), რაც „გაზაფხულზე მოკრილ და ტყეში გაუსხებავად დატოვებულ ხეს“ ნიშნავს.<sup>731</sup> ლოჭის ასეთი მნიშვნელობა ქართლურ დიალექტშიც ცოცხლად ყოფილა შემონახული: „ერთ ადგილას ტყეს რო გაჩეხავენ და შიგ ჩატოვებენ, ჩალოჭავენ, იმასა ჰქვია ლოჭი“.<sup>732</sup>

თუ ამოსავლად მართლაც ამ სიტყვას მივიჩნევთ, მაშინ **ლოჭინი** უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა (ლოჭი-ნი): „გაუსხებავი ხეების გროვა“, „ხერგული ადგილი“. ყურადღება უნდა მიექცეს იმერულ **ლოჭ**- სიტყვასაც, რაც ნიშნავს „დაგრეხილი“, „დაბრეცილი“, გადატ. **მიხრილ-მოხრილი**: „დაელოჭა სკამს ფეხები“, „ნუ დალოჭე მაგ სკამის ფეხები!“<sup>733</sup> ამ სიტყვის გათვალისწინებით **ლოჭინი** (— \*ლოჭ-ვილ-ი?) შეიძლება განგვემარტა როგორც „მიხვეულ-მოხვეული, მიხრილ-მოხრილი მდინარე“ (შდრ. სახელწ. **მადლაკი**||**მადლოკი** „მიხვეულ-მოხვეული, დაკლაკნილკალაპოტიანი მდინარე“ (პ.ცხადაია).

— 3 —

**მაპრანეთი-ი** ცნობილი სოფელია თიანეთის რაიონში (ერწოს მხარე, ღუღელების სას. საბჭო). ადგილობრივი მოსახლეობა მშობლიური სოფლის სახელწოდების წარმოშობას ნიადაგის **სიმაგრეს** (ქვიანობას) უკავშირებს: „ქვიანი ადგილია, მაგარი მიწაა და მაგრანეთი იმიტო დააქვივნეს“ (ა.ფეტვიაშვილი. ჩაწერ. 1973 წელს). სახელის ამგვარი ახსნა, რა თქმა უნდა, ხელოვნური და ნაძალადევაა, მაშასადამე, მიუღებელიც. შეიძლება ანგარიში გასწეოდა იმ ფაქტს, რომ მაგრანეთის მკვიდრთა შორის ყოფილა სოფელ **მადრანიდან** (ხევსურეთი, ღუშეთის რ.) გადმოსული მოსახლეობა (ალ.ჭინჭარაულის ცნობით), რომელთა

<sup>731</sup> ვ. ჯ ა ნ გ ი ძ ე . ისტორიული ლოჭინი: გაზ. „თბილისი“. 3 სექტ. 1974 წ.

<sup>732</sup> ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981, გვ. 270.

<sup>733</sup> მერვი ვასილის ასულ გ ე წ ა ძ ი ს მეტყველების მიხედვით (1982 წ.).

მიხედვითაც სოფელს მაგრანეთი შეიძლება შერქმეოდა. მაგრამ ამგვარ ვარაუდს გარკვეული სიძნელები ელოდება წინ. საქმე ისაა, რომ ქართული საისტორიო წყაროები მაგრანეთს (ვაგრანეთს) ერწოს სოფლებს შორის X საუკუნიდან იცნობს,<sup>734</sup> ხეგსურთა ერწოს ველზე საცხოვრებლად ჩამოსვლა კი გვიან საუკუნეებშია მომხდარი. თანაც, თუ ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა, მაშინ სოფელს მალრანელი (მალრან-ელ-ები) უნდა შერქმეოდა (შდრ. ღულ-ელ-ები, გულან-ელ-ები, ხალო-ელ-ები, ხორხ-ელ-ი, სალებ-ელ-ი...), აქ კი ჩვენ ძველი გეოგრაფიული - ეთ სუფიქსი გვაქვს: მაგრან-ეთ-ი.

სახელწოდება მაგრანეთის წარმოშობის გარკვევისათვის შეიძლება გვევარაუდა ტყის აღმნიშვნელი ძველი ქართული სიტყვა მალნარი რ-ნ ბგერათა მოსალოდნელი გადასმით: მალნარი → მალრანი → მალრან-ეთ-ი || მაგრან-ეთ-ი.<sup>735</sup> საინტერესოა, რომ ნ.კეცხოველი მაგრანეთს სწორედ მალრანეთად მოიხსენიებს.<sup>736</sup> ჩანს, ისიც სახელწოდება მაგრანეთს მალრან- სიტყვასთან კავშირში გაიაზრებდა.

ასევე ანგარიშგასაწევი გვეგონია ფრინველის სახელწოდება მალრანი, რომელსაც ვახუშტი საქართველოში გავრცელებულ „ხორცის მკამელ“ მტკაცებელ ფრინველთა შორის ასახელებს: ყაჭირი, სვაი, ორბი, არწივი, შავარდენი, გავაზი... მიმინო, მარჯანი... ყორანი, მახარა, შავი ყვაი, მალრანი, ყვაი, ბუ, ზარნაშო, წოტი...<sup>737</sup> თუ ამ ვარაუდს სარწმუნოდ მივიჩნევდით, მაშინ მაგრანეთი (— მალრან-ეთ-ი) ისეთივე წარმოების ტოპონიმად უნდა გვეცნო, როგორცაა ბუ-ეთ-ი, კაკაბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, ლაკლაკ-ეთ-ი... ამ შემთხვევაში მაგრანეთი უნდა გვევაზრებინა როგორც „მტაცებელი ფრინველით მდიდარი ადგილი“,

<sup>734</sup> ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე , საისტორიო კრებული, წ. IV, ტფ., 1929, გვ. 5, სოფელი მაგრანეთი ძველი ვაგრანეთ- ფორმით არის წარმოდგენილი ვახუშტის „აღწერაში“ (გვ. 206), აგრეთვე იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ (თბ., 1986, გვ. 65).

<sup>735</sup> გამორიცხული არ ჩანს იმის შესაძლებლობაც, რომ მალრანეთისაგან მაგრანეთის მიღება რუსული ოფიციალური დოკუმენტებისა თუ სხვა წერილობითი წყაროების გავლენით იყოს მომხდარი.

<sup>736</sup> იხ. მისი „მორბის არაგვი, არაგვიანი“, თბ., 1971, გვ. 237.

<sup>737</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 30, 23.

„მხარე, სადაც ბევრია ფრინველი მალრანი“.

დასასრულ შეიძლებადა ყურადღება შეგვეჩერებინა ინგილოურ დიალექტში არსებულ მაგრიან-სიტყვაზეც, რომელიც ეკლიანი ბარდებითა და ბუჩქნარით დაფარულ გაუვალ ადგილს ეწოდება: „ჩონ ადგილ მაგრიანი“. „ერ მაგრიანში კაცევ დამიხტნონ“...<sup>738</sup> ინგილოური ენის სპეციალისტის ნ.როსტიაშვილის განმარტებითაც მაგრიანი ისეთი ადგილი ყოფილა „სადაც კირს გასვლა“: მაგრიანში ნუ ზროვ.<sup>739</sup> უეჭველია, რომ აქაც ეკალ-ბარდებით დაფარული, გაუვალი ადგილი იგულისხმება.

მაშასადამე, მაგრან-ეთ-ი, შესაძლებელია მაგრიან-ეთ-სიტყვისაგან მომდინარეობდეს ფუძისეული -ია- ხმოვანთა მონოფტონგიზაციის გზით.

**მათხოჯ-ი** ქვემო იმერეთის სოფლებს შორის მათხოჯი უდავოდ გამოირჩევა თავისი მონდენილი გეოგრაფიული მდებარეობითაც, სილამაზითაც და მდიდარი ისტორიული წარსულითაც, მაგრამ რატომ შეურქმევია ხალხს მისთვის ასეთი საჩოთირო სახელი (მათხოჯი მეგრული მიმღეობური სიტყვაა და „მათხოვარს“ ნიშნავს; ქართული ენის დიალექტებშიც მათხოჯ-სიტყვას ამჟამად „ცულის“, „შეუხედავის“, „მახინჯის“ შინაარსი აქვს შეძენილი), გაუგებარია; რატომ დაერქვა ასეთი სახელი ამ ლამაზ და მიმზიდველ სოფელს, ძნელი ასახსნელიაო, — წერს ცნობილი მკვლევარი ზ.ქუმბურიძე.<sup>740</sup>

XVI-XVII საუკუნეებისდროინდელ საისტორიო წყაროებში დღევანდელი მათხოჯი მანთხოჯი-ს სახით არის წარმოდგენილი,<sup>741</sup> თუმცა მის თავდაპირველ ფორმად შეიძლება მათხოჯი ვივარაუდოთ, რადგან

<sup>738</sup> რ . დ ა მ ბ ა შ ი ძ ე , ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 289.

<sup>739</sup> ნ . რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი , ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, გვ. 125.

<sup>740</sup> ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , ლდაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 465.

<sup>741</sup> ქართული სამართლის ძეგლები II, თბ., 1965, გვ. 179; მასიგტ, თბ., 1964, გვ. 42, სტ. ბიჟინტა; ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე , საისტორიო კრებული I, 1928, გვ. 38; მანთხოჯ-ად იცნობს ამ სოფელს რ ა ფ . ე რ ი ს თ ა ვ ი ც , (იხ. მისი „ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები; გამოსაცემად მოამზადა თ . ჯ ა გ ო დ ნ ი შ ვ ი ლ მ ა , თბ., 1986, გვ. 104).

ნ- არის განვითარება სიტყვაში ჯ-ს წინა პოზიციაში უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ყრუ თ-ანის წინ. მაშასადამე უნდა გვქონოდა მათხონჯი. აქედან კი ნ- არის გადასმით მანთხოჯი მიგვიღია. მათხოჯი||მანთხოჯი მეგრული ენის კუთვნილებაა. როგორც ზემოთ ითქვა, მათხოჯი (მათხუჯი||მათხუნჯი) მიმღობური ფორმაა. მასში უნდა გამოიყოს საწარმოქმნო ფორმანტები — თავკიდური მა- (მ-) და -ოჯ||-ონჯ- სუფიქსი. ძირისეულ მასალად გვჩნება თხ, რაც თხოვნას აღნიშნავს. მაშასადამე, მა-თხ-ოჯ-ი უნდა გავიგოთ როგორც „მთხოვნელი“ (იქნებ: „გამოთხოვილი“, „ნაწყალობევი“, „ნაჩუქარი მიწები“?).

ერთ-ერთი ხალხური თქმულება-გადმოცემის მიხედვით ადგილობრივ მოსახლეობას მშობლიური სოფლისათვის ასეთი ცუდი (სალანძლავი) სახელი თურმე განგებ შეურქმევია, სეტყვისა და დარ-უამინდობის განმგებელ წმინდა ელიას „მათხოჯი“ არ მოეწონება და სეტყვას თავიდან ავიცილებთო. ხალხის რწმენით, ელია ისეთ სოფლებს მოუვლენს ხოლმე სეტყვას, რომელსაც სახელიც ლამაზი აქვს შერჩეული და მოსავლიანობითაც გამოირჩევა (თინა ჭელიძე, ქ. ხონი, 1986 წ.).

აღნიშნული გადმოცემა იმით მიიპყრობს პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას, რომ დაბა-სოფლებისათვის ცუდი შინაარსის სახელების შერქმევა, მათი სტიქიური უბედურებისაგან თავდაცვის მიზნით, სპეციალისტებისათვის ცნობილი არ ყოფილა. ასეთი რამ მხოლოდ ანთროპონიმის სფეროში შეინიშნებოდა: ძველი ბერძნები, სლავები, კავკასიის, აგრეთვე ციმბირისა, შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხები თავიანთ ახალშობილებს არქმევდნენ „ცუდ“ სახელებს, ბორბოტი სულეები რომ დამფრთხალიყვნენ და ჩვილი ბავშვები უვნებლად გადაარჩენილიყვნენ. ასეთი სახელებია: გლახა, ნასყიდა, გლახუნა, ძაღლიკა... ბერძნული ასკალონ („განუვითარებელი“), ვლასი („უბეში“, „გონებაჩლუნგი“, „მოუხერხებელი“), ბარბარე („უცხო“, „ტლანქი“)... არაბული იამუტ („მკვდრადშობილი“, „მკვდარი“), თურქული ითალმაზ („ძაღლიც არ შექამს, პირს არ ახლებს“), სათილმიშ („გაყიდული“, „გასხვისებული“) სკვითური ზევახ („უქნარა“, „ზარმაცი“) და სხვ.<sup>742</sup>

ადგილობრივ მცხოვრებთა შორის სახელწოდება მათხოჯის

<sup>742</sup> დაწვრ. იხ. ზ. ქუ მ ბ უ რ ი ძ ე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 284-285.

წარმოშობის შესახებ ცნობილია კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო, გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მათხოჯი თურმე მეგრული სიტყვებისაგან ქოვძირით მათეშ ხოჯი („ვიპოვეთ, მოვნახეთ მათეს ხარი!“) ყოფილა წარმომდგარი. სამეგრელოში მცხოვრებ ვინმე მათეს ერთხელ ცალი ხარი დაუყარგავს. დაუწყიათ მის მეზობლებს ძებნა და დაკარგული ხარი ღღევანდელ მათხოჯის ტერიტორიაზე, ცხენისწყლის გამოღმა უპოვნიათ. გახარებულ მძებრებს წამოუძახიათ: „ქოვძირით მათეშ ხოჯი!“ (თინა ქელიძე, ქ.ხონი). მაშასადამე, მათხოჯი „მათეშ ხოჯი“-საგან მიგვიღია. მაგრამ დაბეჭდვით შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული (ქართველური) ტოპონიმისათვის უცნობია გეოგრაფიულ სახელწოდებათა ამგვარი გზით წარმოქმნა; ალტაცების, მწუხარების, გაცების წამოძახილებით ტოპონიმები ჩვენში არასოდეს არ იქმნებოდნენ. ამ შემთხვევაშიც „ქოვძირით მათეშ ხოჯი“ (მოვიძიეთ, მოვნახეთ მათეს ხარი) მათხოჯის წარმომავლობის გასარკვევად, რა თქმა უნდა, არ გამოგვადგება.

**მაპმანმთ-ი** გურიაში (ოზურგეთის რ.) ასეთი სახელწოდების ორი სოფელია ცნობილი: ზემო მაკვანეთი და ქვემო მაკვანეთი. ხალხური ტრადიციული გადმოცემით მაკვანეთი თურმე სიტყვა აკვანს უკავშირდება: ამ სოფლებში ძველად მეაკვნეობით სახელგანთქმულ ხალხს უცხოვრია და სოფელსაც სათანადო ხელობის აღმნიშვნელი სახელი შერქმევიაო. ამგვარი მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევი და ყურადსაღებია, რადგან მაკვანეთ-ფორმაში თავკიდური მ მართლაც ადამიანის ხელობა-პროფესიის მაჩვენებელ ფორმანტად აღიქმება: მ-აკვან-ეთ-ი („მე-აკვნ-ე“, „აკვნის მ-კეთებელ-ი“). მაგრამ ამ საინტერესო ვერსიას გარკვეული რიგის დაბრკოლება მაინც ელოდება. საქმე ისაა, რომ ადამიანის ხელობის აღმნიშვნელი მე-ე აფიქსი ამგვარ ცვლილებას არასოდეს განიცდის; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე-ე არასოდეს არ გადაკეთდება ოდენ მ-ე აფიქსად.

უთუოდ საგულისხმოა ისიც, რომ გურულ დიალექტში სიტყვა აკვანი წარმოქმნილ ფორმებში ყოველთვის შეკუმშული სახით არის წარმოდგენილი: მე-აკვნ-ე, მე-აკვნ-ის და არა მე-აკვან-ე ან მე-აკვან-ის. ჩვენ რომ მაკვანეთში ამოსავლად სიტყვა აკვანი გვეპოვოდა, მაშინ ამის შესაბამისად მე-აკვნ-ეთ-ი უნდა მიგველო და არა მ-აკვან-ეთ-ი.



საფიქრებელია, რომ მაკვანეთ-ი მომდინარეობს არა აკვან- სიტყვისაგან, არამედ მაკვან- გვაროვნული თუ საზოგადო არსებითი სახელის ფუძისაგან, რომელსაც მაწარმოებლად კრებითობა-ეთარგვაროვნობის აღმნიშვნელი -ეთ სუფიქსი დართვია.

**მალთაყვა** ცნობილი კურორტი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე (ლანჩხუთის რ.). სარწმუნო ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. ადგილობრივ მოსახლეობაში ერთობ პოპულარულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მალთაყვა ბერძულიდან (რომაულიდან) მომდინარეობს: საზღვაო კატასტროფას გადარჩენილ და პალიასტომის ტბის სიახლოვეს გამორიყულ ბერძენ (ვარ.რომაელ) მეზღვაურებს თითქოს ლათინურად წამოეძახათ: **მალთა აკვა** („რა ბევრი წყალია!“).<sup>743</sup> აღნიშნული გადმოცემა ზოგიერთ მეცნიერს სარწმუნოდაც კი მიაჩნია და ცდილობს მას დამატებითი არგუმენტები მოუძებნოს: მალთაყვას ირგვლივ მართლაც ბევრი წყალია, მას უშუალოდ აკრავს შავი ზღვა, პალიასტომის ტბა, მდ.კაპარკინა და მდ.რიონიო.<sup>744</sup>

ჩვენი ფიქრით ტოპონიმი მალთაყვა ანთროპონიმული წარმომავლობის ერთეული უნდა იყოს, ისეთივე, როგორც ბობოყვათი და სხვა - ყვა სართიანი (-ყ-ვა?) დასავლური სახელწოდებები არიან.

**მალიქო-ი** ძველი ნასოფლარი ადგილის სახელია წყალტუბოს რაიონში, სოფ. წუგნის ახლოს. ცნობილი ენათმეცნიერი პოლიკარპე ჯაჭანიძე ამ ტოპონიმში სრულიად მართებულად გამოყოფდა -ეთ სუფიქსს, მაგრამ რადგანაც ფუძე **მალ-ი** მისთვის გაურკვეველი შინაარსისა იყო, მას უცნობი სემანტიკის სახელად მიიჩნევდა.<sup>745</sup>

ხალხური გადმოცემის მიხედვით „მალეთი მიტო შერკმეგია, რომ ამ ადგილას უწინ ცხოვრობდა შიკრიკად ნამსახური ხალხი; მალე და

---

<sup>743</sup> ლ. ნ. ო დ ი ა , რა ბევრი წყალია! გაზ. „ზარია ვოსტოკა“, №197, 23.08.1987, გვ. 4.

<sup>744</sup> შ. გ. ო გ ა ტ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., 1981, გვ. 28.

<sup>745</sup> კ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე , წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები: „მაცნე“, №3, 1976, გვ. III.

სწრაფად მივიდოდა და მოვიდოდა ეს ხალხი, ფენსწრაფი ყოფილა აქა-  
ნე ყველა, დიდი და პატარა".<sup>746</sup>

ჩვენი ვარაუდით სახელწოდება მალიეთი კომპოზიტად შერწყმუ-  
ლი სახელია. პირველი ფუძეა ზედსართავი ღრმა, რომელიც იმერულ  
კილოში ჩვეულებრივ ღმა-დ მარტივდება (შდრ. ღმა-შარა, ღმაშარის-  
თავი...) <sup>747</sup> და რომელიც ზოგჯერ ოდენ მა მარცვლის სახით არის ხოლ-  
მე სახელებში წარმოდგენილი. ტოპონიმის მეორე ფუძედ უნდა ვივარა-  
უდოთ სიტყვა ღია, რომელსაც -ეთ სუფიქსის დართვის შედეგად ა  
ხმოვანი ჩამოჭკვეცია და ღია-ეთ-ი (-ღია-ეთ-ი) მიგვიღია. მაშასადამე  
მალიეთი უნდა გავიგოთ როგორც ღრმა||ღმა ღიეთი „ადგილი, სადაც  
ღრმა ღიები დგას“, „ღრმა საფლობი ადგილები“. საინტერესოა, რომ  
იქვე ახლოს დადასტურებულია მიკროტოპონიმი ღიეთ-ი, <sup>748</sup> რაც ჩვენს  
ვარაუდს უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს.

შეიძლებოდა დაგვეშვა ამ ტოპონიმის სხვაგვარი ახსნაც: მალიე-  
თი — „სოფლის პირას მდებარე ნაკვეთები“, „ქარისწინა მამულები“,  
„სამალიო, საუტბათო მამული“, „გარემო მიწები“.

**მამიდაძეა. მამიდასძეა** ასე ეწოდება ერთ-ერთ საკულტო-  
საწესჩვეულებო ადგილს სოფ. თონეთში (მდ. ალგეთის ხეობა, თეთრი  
წყაროს რ.). „სოფელ გონნარის მთის თავზე ერთი ლოდი დევს. ხალხი  
იმას მამიდას ქვას ეძახის. თურმე ლეკები მოსდევენ ქალს. იმას უთ-  
ქვამს, ღმერთო, ოღონდ ამათ ხელში ნუ ჩამაგდებ და გამაქვავევო. ისიც  
გაქვავებულა. გვალვის დროს აქ მიდიან რუსები, იხდიან პარაკლისს,  
დაჭკრამენ ქვასა და ეტყვიან: „აგვეყ, მამიდაო“ და ასწევენ სუბუქათა...  
გადააბრუნებენ და გაავდრდება“.<sup>749</sup>

აქ აღწერილი ამბის მიხედვით გონნარის მთის თავზე ელიობის  
დღესასწაული სცოდნია ხალხს; ქვის ლოდის მსუბუქად აწევა, მისი  
გადაბრუნება და წვიმის მოსვლა კი სხვა არათერია, თუ არა საელიობო

<sup>746</sup> სფ.

<sup>747</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 214.

<sup>748</sup> პ . ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრ. გვ. 111.

<sup>749</sup> იხ. თ ა მ ა რ ს ა ლ ა რ ი ძ ე , ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978,  
გვ. 195; იხ. აგრეთვე: ლ ი ა ნ ა ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი , 1989, გვ. 140, სქ. 37.

რიტუალი. ამიტომ ვფიქრობთ, მაშინდას ქვა აქ არაფერ შუაა. ეს უნდა იყოს ამინდა ქვა, რომელიც მოგვიანებით, ადგილობრივი არაქართველი მოსახლეობის მეტყველებაში მაშინდას ქვა-დ გააზრიანებულა.

**მამკოდა (მანკოდა, მანკოდა)** ნასოფლარი გლდანის ჩრდ.-აღმოსავლეთ მხარეს. „გლდანს იქით, ცხვარიქამიას გზაზე, პაწია სოფელია (ახლა უკვე ნასოფლარი) მამკოდა“.<sup>750</sup> ვახუშტი ბატონიშვილი ამ ტოპონიმს მანკოდას უწოდებს და მას გრდან საგურამოს სოფლებს შორის მოიხსენიებს.<sup>751</sup> იმავე ეპოქის ზოგიერთ ქართულ ეკონომიკურ წყაროში მამკოდა წარმოდგენილია როგორც ვანკოდა: „სამწყსოსათჳს და სამრევლოთათჳს რაოდენიცა ქონან, ესე არიან: მარტყოფნი და ბოსტან-ქალაქელნი, ნასომხარნი, ვანკოდა და ლილო და გლდანი და ჭაქენი და ლელუბანნი და გარდაღმა კახეთთა შინა უტონი, ბულანი,<sup>752</sup> ჩოფაჩაური<sup>753</sup> და ხოვა...“<sup>754</sup>

იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერის“ ჩამონათვალში მამკოდა-ს ნაცვლად მანკოდა იკითხება.<sup>755</sup> საინტერესო აქ ისაა, რომ ყველა ეს ფორმა ტოპონიმის მეორე ფუძედ უტკვლვლად იმეორებს სიტყვა კოდა-ს. განსხვავებას მსაზღვრელი სიტყვა გვიჩვენებს (მამ-, მან-, ვან-). ეს ვითარება ტოპონიმის შინაარსის გარკვევაში როდი გვიწყობს ხელს, პირიქით, ფორმათა ასეთი სიმრავლე რამდენადმე ვნებს საკითხის სწორ კვლევა-ძიებას. რაც შეეხება სიტყვა კოდა-ს, ქართულ ენასა და მის დიალექტებში იგი სხვადასხვა მნიშვნელობით დასტურდება. მისი ძირითადი მნიშვნელობაა ხის გულამოღებული უძირო მორგვი, გეჭა, რომელიც ძირითადად წყლის ერთგვარ ავზად გამოიყენება.<sup>756</sup> შდრ. სოფლის სახელწოდება კოდა (თეთრიწყაროსა და ქარელის რაიონებში) კოდისწყარო (დუშეთის, კასპისა და ახალგორის რაიონებში), კოდიჭ-

<sup>750</sup> ა კ . ბ ა ქ რ ა ძ ე , ილია ჭავჭავაძე, ებილოგი, თბ., 1984, გვ. 158.

<sup>751</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 205.

<sup>752</sup> შეცდომაა, უნდა იყოს: ბულანი, ბულადანი.

<sup>753</sup> სწორია ჩოფაჩაური.

<sup>754</sup> თ . ე ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები III, თბ., 1967, გვ. 86.

<sup>755</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1985, გვ. 64.

<sup>756</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა I, თბ., 1974, გვ. 296.

ვარი (ახალგორის რ.)<sup>757</sup> და სხვ.

აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი მამკოდა ნამკოდა-საგან იყოს მიღებული მ-ნ თანხმობანთა ურთიერთმონაცვლეობის გზით (შდრ. ნეფე — მეფე, ნეზვი — მეზვი...): „ოღი, რომელშიც ნამივით მცირე წყალი ჩადენება“, „მცირედებიტიანი წყარო“.

**მანამ-ი** ცნობილი სოფელია გარეკახეთში (საგარეჯოს რ.). ამ ტოპონიმის წარმოშობის შესახებ ადგილობრივ რამდენიმე გადმოცემა არის გავრცელებული. ერთი ვერსიის მიხედვით სოფელი უწინ ტბებით ყოფილა შუაზე გაყოფილი. ერთ თავადს დაუძახნია იქით ნაპირას მდგარი ხალხისათვის: **მანდ ნავი** თუ არის, გამოგზავნეთო!

მეორე ვერსია, მართალია, ასევე მზარს უქერს სოფლის ტერიტორიაზე ტბების არსებობას, მაგრამ სახელწოდების წარმოშობას სულ სხვა ამბავს უკავშირებს: „აქ უწინ ყოფილა გაუვალი ქაობიანი ადგილები და ტბები. აქაურ ხალხს სახლები დადგმული ჰქონია ხის ბოძებზე, მანებზე და სოფელსაც მანავი ამიტომ დარქმევია. პაპაჩემისაგან გამიგონია, უწინ ამ ტბებში თევზს ვიჭერდით, მერე და მერე დაუშრიათ ქაობის წყალი და ნატბეურზე სოფელი დასახლებულაო“ (დათო შამიას ძე გოგუაძე, ს.მანავი).

სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალი მართლაც მანა სიტყვა ჩანს, ოღონდ არა ბოძის, საყრდენი მანის, არამედ მცენარე მანას, მანეულის მნიშვნელობით. მანავი (მან-ავ-ი) წარმოების მიხედვით ისეთივეა, როგორც თელ-ავ-ი, ზან-ავ-ი, ტყვი-ავ-ი, ბოდ-ავ-ი, ფხუნდ-ავ-ი და მისთ. მცენ. მანა, მანეული უნდა იყოს ამოსავალი ტოპონიმ მარნეული-სათვისაც, (ფუძეში რ- თანხმობის ჩართვის გზით), თუმცა მას მარან- სიტყვიდან მიღებულადაც მიიჩნევენ.<sup>758</sup> საინტერესოა, რომ მცენ. მანეული ზემოიმერულ დიალექტში მარნეულ||მარნიულ-ის ფორმით

<sup>757</sup> ალბათ, იმავე კოდში|კოდა სიტყვისაგან არის წარმოქმნილი სოფლის სახელწოდება კოდმანი (ქარელის რ.): კოდ-ვან-ი?

<sup>758</sup> ზ . ქ ე მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ 467; გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება (შემდგ გ.გვებმანი, ნ.გვებმანი, გ.ზარდალი-შვილი და ე.მესხი), თბ., 1965, გვ. 89.

არის დაცული.<sup>759</sup>

ზოგიერთი სპეციალისტის ვარაუდით ტოპონიმებში -ავ სუფიქსი (მან-ავ-) თურმე საგანთა სიმრავლეს აღნიშნავს. ამის მიხედვით მანავი უნდა გავიგოთ როგორც მან-ები-<sup>760</sup> მაგრამ ამ ვერსიის გაზიარება შეუძლებელია.

**მარადიდი**-ი ცნობილი სოფელია აქარაში (ხელვაჩაურის რაიონი, კირნათის სას. საბჭო); რაიონული ცენტრიდან 15-16 კმ.-ით არის დაშორებული. სოფელი გაშენებულია მდ. ქოროხის მარცხენა მხარეს.

სპეციალისტთა ერთი ნაწილის მტკიცებით სახელწოდება წარმომდგარი ყოფილა მარან- სიტყვაზე ზედსართავ დიდი-ს დართვით: მარან-დიდი > მარა-დიდი (სონორი ნ თანხმოვნის დაკარგვის გზით). ნ- არის ჩავარდნა სონორ ბგერათა გარემოცვაში ფონეტიკურად შეპირობებულია, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ტოპონიმი მარადიდი ემყარება ზანურ მარა სიტყვას, რომელიც ქართული მერე-ს ზუსტი შესატყვისია (ქართული ე — ზანური ა, ისევე, როგორც ეს ღელე-ღალ- და სხვა ტერმინებში დასტურდება). მერე (ზან. მარა), როგორც ცნობილია, მდინარისპირა ვაკე ადგილს აღნიშნავს. ტოპონიმი მარადიდი, იგივე მერედიდი, ამ ვითარებას რეალურად ასახავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტოპონიმის სახელდება მოტივირებულია. მარა-დიდი-ს ანალოგიური წარმოება მეგრული (ზანური) ტოპონიმისათვის ნიშანდობლივია. შდრ. ჭკონ-დიდი, ზუგ-დიდი, გა-დიდი („მთა დიდი“) და სხვ. მისთ.

**მარანის ხევი**-ი (დუშეთის ხევითმარაქლიანთ ხევი) პატარა მდინარეა, ჩამოედის ქ.დუშეთს სამხრ.-დასავლეთის მხრიდან. მიერთვის მდ. არაგვს საქართველოს სამხედრო გზის სიახლოვეს, ს. ახალბოდორნასთან. „ეს წყალი საცა გამოდის, იმ ადგილებს მარანას ვეძახით. ადრე იქ კარგა ძლიერი ტყე იყო, არღუნის იქით, ქონტილისკენ გადადიოდა. მარანასთანა ტყე მეორე არ იქნებოდა. იქ თამარ დედოფ-

<sup>759</sup> ა. ლ. მ ა ყ ა შ ე ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 46;

ქ ე თ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიშვრული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 231.

<sup>760</sup> ჯ . ლ ო მ ა შ ე ი ლ ი, წერილები, თბ., 1975, გვ. 152.

ლის ჩაყრილი ქვევრები უნახიათ, მარანი ჰქონია მოწყობილი. წყაროები ყოფილა ბევრი, ერთათ იკრიფებოდა და კარქა მოზდილი ხევი გამოდიოდა. ადგილის სახელობაზე მარანის ხევი დაურქმევიათ, თვარელიანთ ხევს კი შეცდომით ეძახიან". (ელადიმერ ივანეს ძე ქაზუმაშვილი, ქ.ღუშეთი).

**მარიამულა** პატარა მდინარე-ხეხია უკანა ფშავში. ამ მდინარეს უკვდავი სტრიქონები უძღვნა ანა კალანდაძემ:

„ჩაჩუმდა მარიამულა,

არაგვი რად არ იძინებს?

ქუთხის გორს შორი ვარსკვლავი

ციმციმებს, ქრება, ციმციმებს"...

მდინარის სახელწოდება საერთოქართული ტოპონიმია-ჰიდრონიმიისათვის დამახასიათებელი -ურა სუფიქსით არის გაფორმებული. ამ შემთხვევაში -ურა მაწარმოებელი დისიმილაციის ძალით -ულა სუფიქსად ქცეულა, მაგრამ სახელწოდებას ამით სხვა მნიშვნელობა, ბუნებრივია, არ შეუძენია.

ჰიდრონიმი მარიამულა, ჩვენი ფიქრით, უნდა მომდინარეობდეს, არა კონკრეტული პირის საკუთარი სახელისაგან (მარიამი), არამედ ხატის, სალოცავის (მარიამობა) სახელწოდებისაგან. მაშასადამე მარიამულა ნიშნავს: „ხევი, რომელიც ჩამოუდის მარიამობის ხატს"; „მარიამწმინდის ხევი".

**მატან-ი** დიდი სოფელია კახეთში (ახმეტის რ.). სარწმუნო და საბოლოო ეტიმოლოგია არ არსებობს. ერთობ გულუბრყვილოა ხალხური გადმოცემები სოფლის სახელწოდების წარმოშობის თაობაზე. გავრცელებულია ორი გადმოცემა:

„აქა ყოფილა დიდი რაოდენობით შადანი. ამისათვის სოფელს დაერქო შადანი, იგივე მატანი" (ნასყიდა ისაკის ძე ხოხობაშვილი).

„ერთხელ ეკლესიაში შესულან თათრები. ამ დროს მიუტანებიან ქართველებს და პირწმინდათ დაუხოციან. მერე ერთ კაცს რო უკითხია ეს ამბავი, მეორეს ხელით უჩვენებია: აი, იქ შადანეს, აი, იქ შადანეს ქართველებმაო! (მარინე ივანეს ასული მარუქაშვილი).

ჩვენი ვარაუდით მატანი საერთოს უნდა ავლენდეს ფშაურსა და

ხევსურულში არსებულ სიტყვასთან მიტალა||მატალა, რაც მომჟავო-მომლაშო მინერალურ წყალს, მუჯას ეწოდება. მიტალა ნიშნავს: „ოდნავ მომჟავო, ცუდი გემოს წყალი, იგივე მუჯა“.<sup>761</sup> შემთხვევითი არ არის, რომ მატანის ერთ-ერთ დიდ უბანს მარელისი იგივე მარილისი ეწოდება. ვაჟა-ფშაველა ამ სოფელს მატან-მარლის-ს უწოდებდა. უფრო ადრე სოფელს მარელისი||მარილისი რქმევია; მარილიანი ქანებისა თუ მლაშე ვეძა წყაროების აღმნიშვნელი ფშაურ-ხევსურული მიტალა-||მატალა გვიანდელი წარმოშობის ჩანს. საყურადღებოა, რომ უწინ მატანი ოფიციალურ წყაროებში თუ სპეციალურ ლიტერატურაში მარელის-ად მოიხსენიებოდა.<sup>762</sup> მარელისი — მარილისი თანდათან დავიწყებას მისცემია და უპირატესობა ადგილობრივი კილოსათვის ნიშანდობლივ მიტალა თუ მატალა ფორმას მისცემია, საიდანაც დღევ. მატანი წარმომდგარა.

ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ სოფ. მატანის შემოგარენში გვხვდება საკმაოდ ბევრი მიკროტოპონიმი, რომლებშიც ასახულია აქაური ნიადაგის ქარბმარილიანობა, მლაშე წყაროების სიმრავლე: დიდი ვეძა, პატარა ვეძა, ვეძა, ვეძათხევი, ვეძის ბექები, ვეძის ბოლო, მლაშეები... ამ ადგილების თავისებურება ის არის, რომ ყოველი მათგანის სიახლოვეს გამოედინება მლაშე მინერალური წყაროები. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ამ ადგილებს, ხოლო შემდგომ-სოფელს მარილისი||მარელისი შემთხვევით არ შერქმევია; ობიექტისათვის სახელრქმევა მოტივირებულია.

**მალაქა-ი** ქალაქ წყალტუბოსთან ახლოს, ვრცელ ვაკე ადგილას გაშენებულია ქვემო იმერეთის ერთ-ერთი ლამაზი სოფელი, რომელსაც ადგილობრივი ლანდშაფტისათვის შეუფერებელი სახელი — **მალაკი** — ჰქვია. გეოგრაფიულ პუნქტთა სახელებში, ჩვეულებრივ, მოცემულია რელიეფის ზუსტი დახასიათება (ორწყალი, გრძელველები, საქარა, კლდეკარი, ქვახვრელი, შუახევი, ციხისძირი, მთისძირი...), ამ

<sup>761</sup> ა. ლ. კ. ი. ნ. კ. ა. რ. ა. უ. ლ. ი., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 215.

<sup>762</sup> იხ. ა. ლ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., საქართველოს გეოგრაფია I, ტფილისი, 1926, გვ. 119.

შემთხვევაში კი სახელდების პრინციპი დარღვეულია — ველზე გაშენებული სოფლისათვის ხალხს მაღლაკი („მცირე მაღლობი“) შეურქმევია. ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფლის სახელწოდება მიგებითი შინაარსის წინადადებისაგან ყოფილა წარმომდგარი: „ხალხი აქანა დასახლებულა თამარ მეფის დროს. მაღლა ყოფილა უწინ სოფელი, იქ ნაცხოვრება. რო ჩამოსახლებულა, ძიენ გოუქირდაყე. ერთი მონადირე ყოფილა, ცხენოსანი, შეხვედერია აქოურ კაცს, აქანა რო სახლობს, მარა ფერი აქ სახეზეთ, რავალც ყვითელი კაკია, ისთეა მოქცეული. ამან კითხა, რომეო, რავალი ადგილია, თუ იცხოვრებაო. — ვერა ვძლევთაო, — უთხრა, — ხარივით შრომა გვაქ, მარა ჩემი ნაამაგვარი არ გამოჩთა, იქინე უფრო მძღავრი მიწა იყოვო, ჩვენთან უფრო ლალე მიწებიოა.

— აპაო, — ახლა ამ ცხენოსანს უთქმია, — დეიხსომე ჩემი ნათქმია, — იმისთანა დრო შეიძლება მევიდეს, ეს სოფელი ისთევლე თავის ადგილს დოუბრუნდეს. ხალხი აქანა ისისაწყლებს, ისისაწყლებს, მარა ბოლოს ისთევლე მაღლა სოფელში გადაბარგდება, მიტო რო იქინა ხაიერი კაია, მოსავალი და წყალი — სამაგალითო. — მაღლა კიო. — უთქმია, — მაღლა კი ყოვლისფერი მრავალი ქვეკონდაო. მას უღმა დოუთქმევიათ ახალი სოფლიზა მაღლაკი“ (ჯანია გოცირიძე, ქ. ზესტაფონი).

სპეციალისტთა ერთი ნაწილიც თვლის, რომ მაღლაკი სოფელს მაღლობზე სახლობის გამო შერქმევია: „მართალია, ამჟამად ეს სოფელი ვაკეზეა გაშლილი, მაგრამ... წინათ იგი რომელიმე მახლობელ ზეგანზე თუ მაღლობზე უნდა ყოფილიყო გაშენებულიო“, — წერს ზ. ქუმბურიძე.<sup>763</sup>

ამ უკანასკნელ ხანს ცნობილი გახდა მაღლაკის კიდევ ერთი, არსებულისაგან სრულიად განსხვავებული, ეტიმოლოგია. ახალი თვალსაზრისის მიხედვით მაღლაკი ზანური წარმოშობის სახელწოდება ყოფილა. იგი დამყარებულია ღლაკ-, ღლეკ-||ღლოკ- ზმნურ ძირებზე, რაც ნიშნავს: „მიხვეულ-მოხვეული“, „დაკლაკნილი“, „გაღუნული“, „ზიგზაგებიანი“ (შდრ. ქართ. გაღრეკილი||გადრეკილი“). სამეგრელოს ტერიტორიაზე დადასტურებულიც არის ტოპონიმები მაღლაკი, მაღლეკი და

<sup>763</sup> ზ. ქუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 468.



მადლოკი, პირველი — ადგილის, ხოლო ბოლო ორი — მდინარეთა სახელწოდებებდად. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მადლაკი თავდაპირველად ჰიდრონიმი უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი, მეტონიმიის წესის თანახმად, სოფელს შერქმევია. ასეთ „მადლაკ“ ობიექტად მდ. გუბისწყალი (ან მისი ერთ-ერთი რომელიმე მონაკვეთი) არის ნაგარაუდები.<sup>764</sup>

მოსაზრება სარწმუნო ჩანს. ვარაუდს ის ფაქტიც ამაგრებს, რომ წყალტუბოს რაიონის ტოპონიმიაში ძალზე ხელშესახებდად არის წარმოჩენილი ზანურენოვანი ტოპონიმიის უძველესი ფენა, რაც ამ რეგიონში მეგრული მოსახლეობის ოდინდელ „სხდომაზე“ მიგვანიშნებს.

**მაშაშვრა** მდინარეა ქვემო ქართლში (დმანისის რ.). არსებობს ერთი ძველისძველი ლეგენდა მდინარის სახელწოდების წარმოშობის თაობაზე: „ერთხელ თამარ მეფე თავისი ლაშქრით ამ მდინარეზე გადადიოდა. წყალი თურმე აღიდებული მოდენილა და მეფის ამაღა მდინარის მეორე მხარეს ვერ გადასულა. ეს ამბავი თამარისათვის მოუხსენებიათ. თამარ მეფე მდინარესთან ახლოს მისულა, უნახავს აღიდებული წყალი და იქ მყოფთათვის უკითხავს: „მაშა, ვერა? ე.ი. ვერ გახვედითო? მეფეს იქვე უბრძანებია ხიდის აგება, მდინარეს კი მასშემდეგ სახელად მაშავერა შერჩენია“.<sup>765</sup>

როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ხანია დაინტერესებულა მდინარე მაშავერას სახელის შინაარსით და მრავალნაირი ლეგენდებიც შეუთხზავს. ერთ-ერთი ასეთი მოართული ვერსიით უსარგებელია თვით ვახუშტი ბატონიშვილს, რომლის მიერ მოწოდებული ვარაუდის ხალხურობა აშკარაა; მდინარის სახელის წარმოშობა, ამ ვერსიის მიხედვით, ქციასთან შერევის გამო მომხდარა: „ხოლო ყარაღაჩისა და ტაშირის მთის ჩდილოთ კერძო არს დაბანისის ვეობა, და მდინარე მაშავერი, მომდინარე მის შორის. ხოლო იწოდა ქციის რთვისათვის:

---

<sup>764</sup> პ. ც. ხ. ა. დ. ა. ი. ა., მადლაკი და ქიშურა ტოპონიმთა წარმომავლობისათვის: კრებ. ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1990, გვ. 93-96.

<sup>765</sup> დაწვრ. იხ. კ. ხ. ა. რ. ა. ძ. ე., დმანისის ხევის ტოპონიმები: ჟურნ. „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლ. ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტ. სერია) №1, 1982, გვ. 124.

„მა, შავერიე ქციას“, და აწ მაშავრად წოდებული“.<sup>766</sup> მკითხველმა კი უკვე იცის, რომ ქართული ტოპონიმები ან ჰიდრონიმები (მდინარეთა სახელები) რაიმე შესიტყვევების მიხედვით არასოდეს წარმოიქმნებოდნენ. მდ. მაშავერას ეტიმოლოგია დამატებით კვლევას მოითხოვს.

ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი მაშავერას მოშავერად წარმოთქვამს: „დასახლებულა მოშავრის გალმა... შემდეგ გადმოსულან მოშავრის გამოდმა“...<sup>767</sup> ამ ფაქტის გათვალისწინებით შეიძლება მაშავერა ფერის აღმნიშვნელ ერთეულად მიგვეჩნია: „მო-შავრა“, „მოშავო ფერის წყალი“, „გამაშავებელი“ თუ რალაც ამის მსგავსი. მაგრამ ეს ერთადერთი დიალექტური ფორმა ალბათ საკმარისი არ არის ჰიდრონიმ მაშავერას მნიშვნელობის საბოლოოდ გასარკვევად.

**მაშნაარ-ი** სოფელი ქიზიყში (სიღნაღის რ.), ამჟამად სოფ. საქობოს ერთ-ერთი დიდი უბანთაგანი. ადგილობრივი მეტყველების მიხედვით — მაშნარი. როგორც ჩანს, მაშნარი გაფორმდა გურჯაან-, ოზაან-, ტიბაან-, მაჩხაან-, ფანიან-... სახელწოდება ანალოგიით. ვახუშტი ბატონიშვილი, აგრეთვე, იოანე ბაგრატიონი მაშნაარს მაშნაანის სახით იცნობენ.<sup>768</sup> აქ ნ-რ ბგერათა მეტათეზისის ისეთივე შემთხვევაა, როგორც ეს მუხნარ — მუხრან ფორმაში გვაქვს.

ხალხში გავრცელებული თქმულების მიხედვით მაშნარი კითხვით-შიგებითი წინადადებისაგან წარმოდგარა: „რავი, ომი იყო, ლხინი იყო, არ ვიცი, ხალხის კრებულობა რამ ყოფილა ძალიან დიდი და ვილაცას ეკითხა, უცხო გამლელი თუ ვინმე იყო, რომაო ესაო სოფელიაო? იქიდან დაუძახნიათ, რო სოფელია, მაშ რა არიო! მაშ რა არი, მაშ რა არიო და დაურქმევნიათ სოფლისათვი მაშნაარი!“ (სიმონ მიხეილის ძე კველიშვილი, ს.საქობო). სინამდვილეში სოფლის სახელწოდება მაშნარი||მაშნაარი სულ სხვა გზით ჩანს წარმოქმნილი. ქსიღნაღის ციხის გეგმის (შესრ. XIX ს-ის I ნახევარში) მიხედვით ნათელი

<sup>766</sup> ვახუშტი, აღწერა... 1941, გვ. 38, 37.

<sup>767</sup> გ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი (ტექსტები), თბ., 1974, გვ. 105.

<sup>768</sup> ვახუშტი, აღწერა... 1941, გვ. 208, 340; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 68.

ხდება, რომ ციხეს, საერთო შესასვლელის (მთავარი კარის) გარდა, დატანებული ჰქონია რამდენიმე მომცრო კიშკარი. ერთ-ერთ ასეთ შესასვლელს „ვაშნარის კიშკარი“ ეწოდება. თავ-თავისი სახელი ჰქონია შერქმეული ციხის კოშკებსაც. გეგმაზე გარკვევით იკითხება „ვაშნარის პირველი კოშკი“, „ვაშნარის მეორე კოშკი“.<sup>769</sup> ხალხის მენსიერებას დღემდე ცოცხლად შემოუნახავს ამ ტიპური ფეოდალური ციხე-კოშკებისა და კიშკრების საკუთარი სახელები. სიღნაღის ციხის გალავნის ერთ-ერთ კარს დღესაც მაშნაარის კარი (||მაშნაარის კიშკარი) ეწოდება.<sup>770</sup> ჩვენი ვარაუდით ტოპონიმი მაშნარი ვაშნარი-საგან უნდა მომდინარეობდეს; ვაშნარი კი სხვა არაფერია, თუ არა ვაშლნარი („ადგილი, სოფელი, სადაც ბევრი ვაშლის ხე დგას“; „ვაშლით მდიდარი ადგილი“). ვაშლნარი ქართული ენის დიალექტებში ჩვეულებრივ მარტივდება და ვაშნარ-ად წარმოითქმის. საერთოდ, თუ -ნარ სუფიქსის წინ ფუძისეული ლ ან სხვა სონორი ბგერა აღმოჩნდება, ეს უკანასკნელი უკვალოდ იკარგვის ან ასიმილაციის ძალით ნ თანხმოვანს ემსგავსება (შდრ. ეკლ-ნარ-ა — ეკ-ნარ-ა||ეკ-რან-ა, თხილ-ნარ-ა — თხინ-აალ-ა, სხალ-ნარ-ი — სხა-ნარ-ი, ქვალ-ნარ-ა — ქვან-ნარ-ა...) ამ შემთხვევაში ფუძისეული ლ- თანხმოვნის ჩაყარდნის გარდა, თავკიდურ პოზიციაში ვ-ის ადგილი მ-ანს დაუკავებია (შდრ. ვარსკვლავი — მასკვლავი, ნავთი — ნამთი, ხავსი — ხამსი, სავსე — სამსე, კოვზი — კომზი, ვიწრო — მიწრო, ვითომ — მითომ...) და ვაშნარი-ს ნაცვლად მაშნარი მიგვიღია, რომელსაც როგორც ზემოთ ვთქვით, კახური ტოპონიმიისათვის ნიშანდობლივი საწარმოქმნო მოდელის მიხედვით მაშნა-არ-ი მოუტია.

**მანინჯაურ-ი** საქვეყნოდ განთქმული კურორტია შავ ზღვაზე, ბათუმთან ახლოს. ტოპონიმის წარმოშობის შესახებ დღემდე სპეციალისტთა მიერ არაერთი ვარაუდი არის გამოთქმული, მაგრამ საბოლოო და სარწმუნო, ვფიქრობთ, ჯერ არ მოგვეპოვება. ადგილობრივ გავრცელებული ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით ამ ადგილს ძველად მა-

<sup>769</sup> კ ა რ მ . ზ ა ქ ა რ ა ი ა , საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973, გვ. 135.

<sup>770</sup> ა ლ . ლ ო ნ ტ ი , ქიზიყის ტოპონიმია, თბ., 1982, გვ. 54.

ზინჯ-გიაური რქმევია: ოსმალთა ბატონობის დროს აქ ქრისტიან ხალხს იკერდნენ, სახეზე ნაპრილობევეებით ამახინჯებდნენ, ამიტომაც იმ ადგილისათვის ხალხს მახინჯ-გიაური უწოდებია, საიდანაც მოგვიანებით მახინჯაური წარმომდგარა.<sup>771</sup>

სპეციალისტებისათვის ცნობილია სხვაგვარი ვარაუდებიც. გ.ლეონიძე, მაგალითად, თვლიდა, რომ მახინჯაური XIII საუკუნის მოღვაწის მახუნჯაგის პიროვნული სახელისაგან უნდა ყოფილიყო წარმომდგარი: მახუნჯაგ-ურ-ი „მახუნჯაგის კუთვნილი ადგილი“. მახუნჯაგურ- ფორმაში გ დაკარგულა, უ ი ხმოვნად ქცეულა და ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე (გადააზრიანებით) მახინჯაური მიგვიღიაო. ეს თვალსაზრისი უთუოდ საინტერესოა, მაგრამ დაბრკოლებაც ახლავს. კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ მახუნჯაგურს, აგრეთვე მახინჯაურს ქართული საისტორიო წყაროები, მათ შორის ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები და სხვანი საერთოდ არ იცნობენ. ეს ფაქტი კი იმას მიგვანიშნებს, რომ ტოპონიმი მახინჯაური მოგვიანებით, დაახლ. XIX საუკ. I ნახევარში არის წარმოქმნილი.

სპეციალისტთა უმრავლესობა ამჟამად მხარს უჭერს მახინჯაურის ზანური მახენჯი სიტყვისაგან მომდინარეობას, რაც ქართულად ნიშნავს „ქურდი“, „მპარავი“. აქედან მიიღო ქართულმა სიტყვა მახინჯმა „ხელმრუდის“, „ქურდის“ გაგება. ქართული ტოპონიმის ცნობილი სპეციალისტი ზ.კუმბურიძე შენიშნავს კიდევაც, გასაოცარია, რატომ ჰქვია ამ ლამაზ კურორტს ასეთი უცნაური, შეუფერებელი სახელი, მახინჯაურს ხომ მახინჯთან საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდესო.<sup>772</sup>

ტოპონიმ მახინჯაურს მეგრულ მახენჯ- სიტყვასთან („ქურდი“, „ხელმრუდი კაცი“) საერთო მართლაც არაფერი აქვს. იგი, ჩვენი ვარაუდით, წარმომდგარი უნდა იყოს მეგრული ზინჯ-ი სიტყვისაგან, რაც ქართულად ზიღს ნიშნავს. სახელწოდება მახინჯაური, მაშასადამე, შეიძლება მივიჩნიოთ ხელობის აღმნიშვნელ მიმღეობურ სიტყვად, რომელიც მა-ურ აფიქსით ყოფილა გაფორმებული: მა-ზინჯა-ურ-ი. იგი შეიძლება გავიაზროთ როგორც „მეხიდე კაცის კუთვნილი ადგილი“, „სო-

<sup>771</sup> იხ. ი. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა II, ბათუმი, 1959, გვ. 94.

<sup>772</sup> ზ. კ. უ. მ. ბ. უ. რ. ი. ძ. ე., რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 207.

ფელი, რომელშიც ხიდის (ბოგის) ხელოსან ხალხს უცხოვრია“.

**მგლიან-ი, მგლიანებ-ი** პატარა სოფელია ქართლში (დუშეთის რ.) „სოფელი აქ დიდხანს ვერ მოშენებულა, ნადირი სცოდნია თურმე ძალიან ბევრი, ნამეტნავათ — მგელი. ხალხი გარბოდა აქედანა და სხვაგან ესახლებოდნენ. აუარება მგელი რო სცოდნია ამ ადგილები-სათვის, მგლიანი დაუძახნიათ“ (მართა პაპკიაური-ფიცხელაურისა, 1978 წელი). სხვათა შორის ტოპონიმი მგლიანი ფაუნონიმად არის გაგებული ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტის მიერაც; ამიტომ განიხილავენ მას ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებების გვერდით, როგორიცაა: **ლომისხევი, საირმე, ნუკრიანი, მელაური, დათვისი და სხვ.** მისთ.<sup>773</sup>

შეიძლება დაბეჭითებით ვამტკიცოთ, რომ სოფლის სახელწოდება **მგლიანი**||**მგლიანები** მგლების სიმრავლეს არ უკავშირდება. ობიექტის სახელდებისათვის მგელი რომ ყოფილიყო ამოსავალი, მაშინ მას **სა-მგლე, მგლის ბუნაგები, სამგლეები** ან ამის მსგავსი რამ უნდა შერქმეოდა, ისევე როგორც ეს **სა-ირმ-ე, სა-ბუ-ე, სა-ტურ-ია, სა-დათვ-ია, სა-მარ-ე, სა-შეგარდნ-ე** და სხვა ფაუნონიმებთან გვაქვს. **მგლიან-ი**||**მგლიანებ-ი** ადამიანის გვარისაგან მომდინარე ტოპონიმია, რაზედაც სიმრავლე-კრებითობის -იან სუფიქსიც მეტყველებს. ისტორიული საბუთებიდან მართლაც ირკვევა, რომ ამ სოფლის პირველი მოსახლენი გვარად **მგლიშვილები** ყოფილან. სოფლის უხუცესი მკვიდრის, მოსე ფიცხელაურის გადმოცემით „ამ სოფელში სულ პირველად ორი ძმა დასახლებულა, გვარად მგლიშვილები ყოფილან. ერთი მგლიშვილადვე დაეწერა, ჩვენი პაპა კიდევ, — ამისი ძმა, — ფიცხელაურად. ჩვენ ერთი განაყრობა ვართ, მამიშვილობით ერთნი ვყოფილვართ“. საგულისხმოა, რომ ძველ საქართველოში **მგელი** მამაკაცის საკუთარ სახელად ხშირად გვხვდებოდა. XVII საუკუნის ერთ-ერთ ეკონომიკურ საბუთში აღნიშნულიც არის: „წოდორეთში მდებარე მგელისეული ორი დღის მიწა საქორია სულხანაშვილებმა ჭავახიშვილებს მიჰყიდესო“.<sup>774</sup>

<sup>773</sup> გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება (შემდგ. გ. გეხტმანი, ნ. გეხტმანი, გ. ზარდალიშვილი და ე. მესხი), თბ., 1965, გვ. 10.

<sup>774</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 188, სტ. საქორია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმი მგლიანი, მგლიანები ნაწარმოებია გვაროვნული -იან სუფიქსით და ნიშნავს: „მგლიშვილების სოფელი“; „სოფელი, რომლის ძირითადი, (თავდაპირველი) მცხოვრებნი მგლიშვილები ყოფილან“.

### მგლიან-ი (იხ. გლიან-ი).

**მეთრევეანა** ისტორიული სოფელია ქვემო ქართლში (თრიალეთი). XVI-XVII საუკუნისათვის მეთრევეანა მკიდროდ დასახლებული და ეკონომიკურად მძლავრი სოფელი ჩანს. იგი მანგლელის სამწყსოში შედიოდა და მანგლისის ტაძრის საკუთრებად ითვლებოდა.<sup>775</sup> ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვითაც მეთრევეანა თრიალეთზე მდებარე სოფელია. მეთრევეანას იგი შუასოფლის, საბოჭკუროს, საბროწლეს და ჩამძვრალას შორის მოიხსენიებს.<sup>776</sup>

ტოპონიმ მეთრევეანას ეტიმოლოგია დადგენილი არ არის. არც ხალხური გადმოცემა რამე არსებობს. ჩვენი ვარაუდით მეთრევეანა აქაური მიწის ქანების თრევეასთან<sup>777</sup> ანუ ნელ-ნელა დაცურებასთან, მეწყრიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, მიწის სავარგულების ამ თვისებაზე ხომ არ მეტყველებს იქვე არსებული ტოპონიმი ჩამძვრალა? საყურადღებოა, რომ ვერის ხეობაში ცნობილია პატარა მდინარე ათრევა. ეს სახელი მდინარე-ხევის ადგილობრივთა მტკიცებით, იმიტომ შეჩქმევია, რომ ნელა, ათრეულად მოედინება.<sup>778</sup>

**მელაოშხან-ი** სახნავი და სათივე ადგილ-მამულია ს.საკირეში (ბორჯომის რ.). ადგილობრივ მცხოვრებთ შორის პოპულარულია გადმოცემა: „სოფლელებს აქ მელა მოუყლავთ და ტყავი თუმნად გაუყიდიან“-ო. თუ მესხური წარმოშობის ტოპონიმებს დავაკვირდებით,

<sup>775</sup> იქვე, 140.

<sup>776</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 195.

<sup>777</sup> ამ ტერმინს ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობით განმარტავს აკ.შანიძე: მე-თრევე-ი — რაც დაეთრევა. მეთრევეს იგი მეტეხ-, მერევე-, მერწევე-... ფორმათა გვერდით განიხილავს (ქვეს I, 1973. 595).

<sup>778</sup> სფ.

შეგნიშნავთ, რომ აქაურ სახელწოდებებში ხშირად დასტურდება საზღვრულად სიტყვა **თუჰან-ი**, რაც **უბან-** სიტყვის ფარდია (შდრ. **ალა-თუჰან-ი**, **აბასთუჰან-ი**, **წარბასთუჰან-ი** და სხვ.) ასეთი ტოპონიმები ჩვეულებრივ ადამიანთა გვარებისაგან მომდინარე სახელებია. ამ შემთხვევაშიც ტოპონიმი **მელათუჰანი** ანთროპონიმული წარმოშობისად უნდა მივიჩნიოთ. იგი ნიშნავს: „მელაძეთა უბანი“, „ადგილი, რომელიც მელაძეებს ეკუთვნოდათ“. აღსანიშნავია, რომ **-უჰან** სიტყვის დაბოლოებული ტოპონიმები ჩვეულებრივ ორფუძიანი რთული სახელებია, რომელთა პირველი ფუძე (მსაზღვრელი) ყოველთვის თანიან მრავლობითში დგას (**ალა-თ-**, **აბას-თ**, **წარბას-თ-**) ამ **-თ** ნიშნის შეხვედრა **-უჰან** სიტყვასთან იწვევს მის **თუჰან** სიტყვასთან გადააზრიანებას. ამიტომაცაა, რომ ამ ტიპის სახელებს (აბასთუჰანი, მელათუჰანი) ხალხური ცნობიერება ჩვეულებრივ ფულის ერთეულს თუჰანს, უკავშირებს და არა უჰანს (||უბანს).

**მენმსო** სოფელია არაგვის ხეობაში (დუშეთის რ.). სოფლის სახელწოდების წარმოშობის შესახებ საინტერესო გადმოცემა არსებობს: „ორი კაცი წასულა სათიბად; თურმე ნარდად სთიბავენ. შუადღისას პურის საკმელად რო დამსხდარან, ერთს უთქვამს, ამ ფერდობს აქეთ სულ მე გავთიბეო. მეორეს სიბრაზისაგან ცეცხლი წაჰკიდებია, წამომხტარა ზეზე, ცელის ტარი მოწაზე დაურტყამს და დაუძახნია: შენ კი არა, ჩემი ნათიბია, შენ გავთიბე, შენ, ესო! ამის თქმა და თავის წაცლა ერთი ყოფილა: ჩამოქნეულ ცელის პირს თავი წაუქრია ხარბი მთიბავისათვის“. (ვალეკო ჭიკაძე, ს.დგანალი).

სახელწოდება **მენესო** ადამიანის საკუთარ სახელს უნდა უკავშირდებოდეს (შდრ. მთიულეთის სოფლის სახელწოდება **მანასეური**).

**მერეჟ-ი** სოფელია ზემო იმერეთში (ჭიათურის რ.).

სახელწოდება **მერეჟ-ი**, როგორც სპეციალისტთა მიერ სწორად არის გარკვეული, მომდინარეობს სიტყვა **მერე-**საგან, რაც მდინარისპირა დაბლობ ადგილს, ქალას ნიშნავს. ადგილობრივ მცხოვრებთა შორის კი ამ ტოპონიმის წარმოშობის შესახებ ასეთი გადმოცემა არის შემონახული: „საჩხერეში დასახლებულა სამი ძმა წერეთლები, რომლებსაც წვივშავიძეებიც ერქვათ. ერთი ძმა ათვალწუნებული ჰყოლიათ. იგი

იძულებული გამხდარა სამოსახლო სხვაგან მოედებნა. წამოსულა ის ძმა და დასახლებულა ნადარბაზევზე. კარგი სახლკარობა აუგია. ეს ამბავი ძმებს შეუტყვიათ და მიხტომიან კარზე. უმცროს ძმას უთქვამს: რას მერჩით, საჩხერეში ხომ მერეთოდით, აქაც მერევეითო?" (ჩამწ. ასანიძე ცარო ალექსანდრეს ასული).<sup>779</sup>

**მეწყნარ-ი** ადგილს ეწოდება ს.საჭავაძეში (სამტრედიის რ.).

თუ სახელწოდებას კარგად დაეაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ იგი -ნარ სუფიქსით არის წარმოქმნილი, ისევე როგორც მუხ-ნარ-ი, ვაშლ-ნარ-ი, ქვაგ-ნარ-ი წაბლ-ნარ-ი... თუ ტოპონიმს ამ -ნარ სუფიქსს ჩამოვაშორებთ, ფუძედ დაგვრჩება მეწყ- ელემენტი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მეწყერ- სიტყვის შეკუმშული ფორმა. ფუძის ცვლა -ნარ სუფიქსის დართვას გამოუწვევია. თავდაპირველად უნდა გვექონოდა მეწყერ-ნარ-ი, მაგრამ ფუძის კუმშვის შედეგად მეწყერ-ნარ-ი მიგვიღია. ქართული ენა, როგორც ცნობილია, ვერ იგუებს თანხმოვანთა ასე ერთად თავმოყრას (წყრნ), ამიტომ ფუძე გამარტივებულა, რ დაკარგულა და დღევანდელი მეწყ-ნარ-ი მიგვიღია. იგი ნიშნავს: „ადგილი, სადაც ხშირად ჩამოდის მეწყერი“, „სამეწყრე ადგილები“.

ხალხმა კი სრულიად სხვაგვარი გადმოცემა არის გავრცელებული: „უწინ აქ გაუვალი ტყე ყოფილა, მუდამ სიწყნარე სუფევდა, რის გამოც ტყეს მე-წყნარი შერქმევია“.

**მზითვივაკე** ადგილის სახელია ს.ბაჯიხევში (ონის რ.). ხალხს ამ რთული შედგენილობის ტოპონიმში სიტყვა მზითევი „ამოუცენია“ და ლეგენდაც ამის მიხედვით შეუთხზავს: „პატარძალი მიყოლებია მექორწილებს. დაცემიან გზაზედ ლეკები და თელი ზითევი წაუღიათ. იმ ვაკისათვი მერე ჩვენ ხალხს ზითვის ვაკე დაუთქმევია“.<sup>780</sup>

სინამდვილეში მზითევივაკე ნიშნავს: „გზის (გზი) თავისვაკე“. სიტყვა თავი-ს შეკუმშვის შედეგად თვი მიგვიღია (გზითვი-), რაც ხალხს უნებურად მზითევ- სიტყვასთან გაუაზრიანებია.

<sup>779</sup> სფ.

<sup>780</sup> სფ.



**მირზაან-ი** ცნობილი სოფელია ქიზიყში (დედოფლისწყაროს რ.) მკითხველს ალბათ არ გაუძნელდება იმის გარკვევა, რომ ეს ტოპონიმი წარმოშობით ანთროპონიმულია. ფუძედ აღებულია ადამიანის საკუთარი სახელი **მირზა**, რომელსაც გვაროვნული ერთობის (სიმრავლის) აღმნიშვნელი **-ან** სუფიქსი დართვია: **მირზა-ან-ი**. იგი ნიშნავს: „სოფელი, რომელშიც მირზას შთამომავლებს უცხოვრიათ“, „მირზაშვილების სოფელი“. **მირზა-ან-ი** ისევეა გაფორმებული გვაროვნული **-ან** სუფიქსით, როგორც კახეთის (ქიზიყის) სხვა სოფლების სახელწოდებანი: **გურჯა-ან-ი**, **ზეგა-ან-ი**, **კოჭბა-ან-ი**, **მელა-ან-ი**, **მანჩა-ან-ი**, **ოზა-ან-ი**, **ტიბა-ან-ი**, **ცლუნკა-ან-ი**, **ჭიკა-ან-ი**, **ჭუგა-ან-ი** და სხვ.

სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს ქიზიყის მოსახლეობაში გავრცელდა სრულიად მცდარი ვერსია, თითქოს **მირზაანი**, **ტიბაანი**, **მანჩაანი**, **ჭუგაანი** და სხვა ამათი მსგავსი სახელწოდებები ხანი („ბატონი“) სიტყვის დართვით (**ტიბა-ხანი**, **მანჩა-ხანი**, **ჭუგა-ხანი**...) გვეკონდეს მიღებული.<sup>781</sup>

როგორც ზემოთ ვთქვით, **მირზა-ან-ი** ანთროპონიმული წარმოშობის ქართული სახელია და მას თურქულ **ხან-თან** საერთო არაფერი აქვს.

**მირიან-ი** სოფელია ცენტრალურ ქართლში (კასპის რ. კავთისხევის სას. ს.) ადგილობრივი მოსახლეობა მშობლიური სოფლის წარმოშობას ქართველთა ლეგენდარული მეფის მირიანის სახელს უკავშირებს: საზაფხულო დასასვენებელი ადგილი მირიან მეფეს აქ, ამ სოფელში ჰქონიაო (ციური ივანეს ასული ილურიძე). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ **მირიანი** თავდაპირველად ერქვა (და ახლაც ჰქვია) მტკვრისპირას მდებარე ვრცელ სახნავ-სათეს მიწებს (თხოთის ქედის სამხრეთი კალთები), მაშინ ძალაუწებურად გაგვიჩნდება ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მირიანი ეს იგივე **მერიანი** (მერე — „მდინარისპირა ვაკე ადგილები“) უნდა იყოს (მდრ. ღუბიანი — ღუბეანი); (სათესი ადგილის სახელად გვხვდება ზემო აქარაში, სნაგერვეთი, ზედა ჩხუტუნეთის სას. საბჭო). მეორე მხრივ გამორიცხული არ უნდა იყოს მირიანის ან-

<sup>781</sup> იხ. ა. ლ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ი., ქიზიყის ტოპონიმი, თბ., 1982, გვ. 65 და 82; სტ. ტიბაანი და ჭუგაანი.

თროპონიმული წარმოშობა („მირიაშვილების სოფელი“). ამიტომაც სარწმუნოდ ველარ გამოიყურება ტროპონიმ მირიანის მითრას (მიპრა) საკულტო სახელთან დაკავშირების ვერსია,<sup>762</sup> რომლის მიხედვითაც მირიანის მიერ წმინდა ჯვრის აღმართვამდე და ეკლესიის აგებამდე მითრას წარმართული სალოცავი შეიძლება სწორედ აქ, თხოთის მთის შემოგარენში, ყოფილიყო.

ტროპონიმი მირიანი არ არის იმ ხნოვანებისა, რომ მისი წარმოშობის ისტორია წარმართულ ეპოქაში, კერძოდ, მითრას კულტმსახურებასთან კავშირში ვეძიოთ.

**მისაქციელ-ი** ცნობილი სოფელია ქართლში (მცხეთის რ.), საქართველოს სამხედრო გზაზე, ს.ნატახტრის ჩრდილოეთით.

ხალხური გადმოცემა ამ ტროპონიმის წარმოშობას ერეკლე მეფის სახელს უკავშირებს, თუმცა წინასწარვე უნდა ითქვას, რომ სოფელი მისაქციელი ამ სახელწოდებით ერეკლე მეფემდე ოთხი-ხუთი საუკუნით ადრე იყო ცნობილი. ტროპონიმი მისაქციელი ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში XIV საუკუნიდან მოიხსენიება.<sup>763</sup> ხალხური ლეგენდა კი მოგვითხრობს: „ერთხელ ბრძოლაგადახდილ მეფე ერეკლეს თავისი ლაშქრით აქ შეუსვენია. გამოუვლია ერთ კვრივ ქალს. მეფეს ქალი გაუჩერებია, ჯერ ამბავი უკითხავს, მერე უთქვამს, დოქით წყალი მოუტანე შენს მეფესო. ქალს სახლი თურმე იქვე ახლოს სდგამია. გახარებულს ეზოში შეურბენია და მეფისათვის დოქით წყალი მოუწოდებია, თან ხონჩით თორნიდან ამოდებული ცხელ-ცხელი ხაქაპური და ტაბაკად შებრაწული წიწილა მიუერთმევია. მეფეს ქალის სითამამე და სიყოჩაღე მოსწონებია და თავისი ამალისათვის უთქვამს: „უყურეთ მის საქციელსო!“ ამ ამბის მერე ჩვენს სოფელს დარქმევია მისაქციელი (გრიშა ივანეს ძე ზაქაიძე, ს.მისაქციელი, 1969 წ.).

მეორენაირი ხალხური ვერსიით აქ ერთხელ ცნობილ ქართველ ქალს ანაბაჯის ქიდაობაში ერთი ფალავანი დაუმარცხებია. იქ დამსწრე

---

<sup>762</sup> ი. გ ა გ შ ი ძ ე , სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წ. მუშაობის ანგარიში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, IV, თბ., 1975, გვ. 64-65.

<sup>763</sup> მასიგტ I, 1964, გვ. 143.

ხალხს ყიყინა დაუცია. უყურეთ მის საქციელსო! ორივე ლეგენდა ჩაუწერია და გამოუქვეყნებია ალ.ღლონტს.<sup>784</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისაქციელი ქართული საისტორიო წყაროებში XIV საუკუნიდან ჩნდება. სწორედ საფურცლე-მისაქციელზე გადიოდა ტფილის-მცხეთიდან შიდა ქართლისაკენ (მუხრან-ძალის-წილკანი) მიმავალი ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი გზა.<sup>785</sup> სოფელ მისაქციელიდან მიიქცეოდა (უხვევდა, მიემართებოდა) ცენტრალური ქართლის მნიშვნელოვან საეკლესიო (წილკანი) და ეკონომიკურად ძლიერ სოფელ-ქალაქებისაკენ (ძალისი, მუხრანი, ალაიანი...) სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მაგისტრალი. ამ ფაქტთან არის დაკავშირებული სოფლის სახელწოდების წარმოქმნაც.

ძველ საქართველოში ამგვარი გზასაქცევები (მისაქციელები) არაერთი ყოფილა; ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ იოანე ბატონიშვილი თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს სხვა მისაქციელთაგან გარჩევის მიზნით „არაგვის მისაქციელს“ უწოდებს.<sup>786</sup>

მისაქციელის ტიპის მიკროტოპონიმები საკმაოდ ხშირია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთსა და გურია-აქარაში (მოსაქცევი. მოსაქციელი, გადასაქციელი...)<sup>787</sup>.

**მლაშე** სოფელია ბაზალეთის ტბასთან ახლოს (დუშეთის რ.). ტოპონიმი სრულიად ნათელი და გამჭვირვალე შინაარსისაა: „სოფელი, რომელიც მლაშობ ადგილზეა გაშენებული“. ამის მიუხედავად სახელწოდება მლაშე კჰანმა რატომღაც საკუთარ სახელ ლაშას დაუკავშირა და განმარტა როგორც ბრწყინვალე (блестящий).<sup>788</sup>

სოფელი მლაშე გვიანფეოდალურ ხანაში (XVII-XVIII ს.ს.) ჩანს

<sup>784</sup> ა ლ . ღ ლ ო ნ ტ ი , მცხეთის ტოპონიმი, თბ., 1975, გვ. 56.

<sup>785</sup> იხ. ნ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფ. დღიურიდან: საქართველოს ისტორ. გეოგრაფიის კრებ. I, თბ., 1960, გვ. 163.

<sup>786</sup> ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ქართლ-კახეთის აღწ. თბ., 1986, გვ. 34.

<sup>787</sup> ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმი I, ბათ., 1958, გვ. გვ 86. 90, 92, 29.

<sup>788</sup> СМОИТК 40, ტფილისი, 1909. გვ. 104.

დაფუძნებული; ყოველ შემთხვევაში ამ პუნქტს თავიანთ აღწერებში ბაზალეთის სოფლებს შორის მოიხსენიებენ როგორც ვახუშტი, ისე იოანე ბატონიშვილები. უფრო ადრინდელი (XIV-XV სს.) ქართული ეკონომიკური და საისტორიო დოკუმენტები სოფ. მლაშეს საერთოდ არ იცნობენ.

**მოსვრიანთქარ-ი** ასეთი სოფელია დასახლებული „გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტების“ ერთ-ერთი შემდგენელ-ავტორის გ.ზარდალიშვილის მიერ.<sup>789</sup> სოფელი მოსვრიანთქარი მიჩნეულია ფაუნონიმად, ანუ ცხოველის სახელწოდებისაგან წარმომდგარ ტოპონიმად. ამიტომაც იგი განხილულია ისეთი სახელების გვერდით, როგორცაა: ბატიური, კურდღელაური, ჩიტინი...<sup>790</sup> ჩვენი ფიქრით აქ უბრალოდ, უნებურ შეცდომასთან გვაქვს საქმე. სოფელი მოსვრიანთქარი საქართველოში არ არსებობს. შეცდომის წყაროდ ქვეყლა დუშეთის შემოგარენში არსებული პატარა სოფლის მეზვრიანთქარის მოსვრიანთქართან ფონეტიკური სიახლოვე-მსგავსება.

რაც შეეხება თვითონ მეზვრიანთქარს, იგი აშკარად ტერმინ მეზვრე-საგან არის წარმომდგარი: „მეზვრიანი ანუ მეზვრიშვილების სოფელი“.

**მოუცადა** ასეთი მიკროტოპონიმი არის დასახლებული XVIII საუკუნის დამლევის ერთ-ერთ ეკონომიკურ საბუთში: კახეთის სოფლის გრემის მკვიდრები არზით მიმართავენ საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ს, რომ მან გაუმიჯნოს კუთვნილი სახნავ-სათესი მამულები ისე, როგორც ეს მათ მამა-პაპას სქერია: „...მამულის წყალობა რომ მოიღეთ, გზას ქვეით ხომ სახასო არის და გზას ზეით მოუცადა-მდისინ,<sup>791</sup> თავს ციხის ჭუარამდინ, ხიდის ყურის ბოგირებს ზეით- ამ მიჯნებით მამა-პაპასაც ისე სქერიათ და ჩვენც ამის წყალობას გვედრე-ბითო“. მეფე გიორგი XII-ს დაუკმაყოფილებია „ერთობით გრემელთა“

<sup>789</sup> გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბ., 1965, გვ. 10.

<sup>790</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>791</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 516. აქვე შევნიშნავთ, რომ ტომის საძიებელში მოუცადა გატანილია როგორც მოუცადა-მდის-ი, რაც აშკარაა შეცდომაა.

თხოვნა: როგორადაც კურთხეულის მამის- ჩვენის (ერეკლეს, გ.ბ.) დროს და აქამდის გიხნამთ. ახლაც ისე უნდა გეჭიროსთ და „ხნათ რიგიანათო“, მაგრამ საქმის არსი აქ მხოლოდ მამულთა გამიჯვნის დასტურში როდია; მთავარი ისაა, აქაურ მოსახლეობას როგორი ღრმაშინაარსიანი და საინტერესო ინფორმაციის შემცველი სახელი შეურქმევია თავიანთი კუთვნილი მამულისათვის — მოუცადა: „ადგილი, რომელიც არასოდეს არცერთ წელს არ მოცდებოდა“, „მოსავლიანობით განთქმული მამული“. სახელრქმევის ამ წესში ჩვენ პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ სოციალური თუ ყოფითი მხარე: გლეხობას ეკონომიკურად უჭირს და ერთ-ერთ ყველაზე უფრო უხვმოსავლიან მამულს სიყვარულით, ერთგვარი მოლოდინით და იმედით მოუცადა-ს არქმევს. ანალოგიური შემთხვევები მესაქონლეობის დარგშიც შეინიშნება. გურიაში, მაგალითად, ძროხას სახელად რქმევია უცთუბრად: „ყოველ წელს ნამატის მომცემი ძროხა“, „ძროხა, რომელიც არასდროს ბერწად არ რჩება. არ ცთება“.<sup>792</sup>

**მტკვარ-ი** საქართველოს დედამდინარე (სიგრძე 1364 კმ.). იგი სათავეს იღებს ანატოლიის მთიანეთში, გელის ღრმულში. ეს ადგილები ცნობილი იყო ძველი საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ რეგიონად, რომელსაც კოლა ეწოდება. პინგოროყვას თქმით კოლა<sup>793</sup> ძველად კორას-ს სახით ყოფილა ცნობილი და მტკვარიც თურმე ამ კორაკორა სიტყვისაგან მიგვიღია. მეცნიერის მტკიცებითვე მტკვრის პირვანდელი სახე დ-კორი ყოფილა, რომელსაც შემდგომ მდ-კორ-ი („კორის მდინარე“) მოუცია. როგორც ჩანს, ინგოროყვასეულ მოსაზრება მთლიანად ემყარება სტრაბონისა და სხვა ძველბერძენი და რომაელი ისტორიკოსების (აპიანე, პლუტარქე...) მონაცემებს, რომლებიც თავიანთ ნაწერებში მტკვარს კორაკურ და კირ სახელებით მოიხსენიებდნენ. მდინარე მტკვარი კუროს-ის სახით სულ პირველად ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ნაწერებში გვხვდება. იგი ამასთან, შენიშნავს ძველად კუროსს

<sup>792</sup> აკად. ქეთევან ლომთათიძის ცნობით

<sup>793</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, X საუკუნის მწერალი, თბ., 1954, გვ. 438, სქ. I.

კოროსი ერქვაო.<sup>794</sup> აპიანეს თხზულებაში მტკვარი კორნოსად არის მოხსენიებული: ალბანთა მეფე და არტაგი, იბერთა მეფე, პომპეუსს 70.000 მეომრით მდინარე კირნოსთან ჩაუსაფრდნენო.<sup>795</sup> ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, აგრეთვე, „ქართლის ცხოვრება“ რატომღაც მტკვრის სახელად არც კიროსს და არც კუროსს არ იცნობს ჩვენი ძველი მწერლები და მემატიანეები მას მტკვარს, ან უბრალოდ „დიდ მდინარეს“ უწოდებენ:

„იყო სოფელი ერთი... თავსა ზედა დიდისა მის მდინარისასა, რომელსა ჰქვან მტკუჟარი...“ ან: „მაშინ წარვიდა მღვდელი იგი თავსა ზედა მდინარისა მის დიდისასა და მისთანა სიმრავლე ქრისტიანეთა“.<sup>796</sup> ვახუშტი ბატონიშვილიც მტკვარს საქართველოს მდინარეთა შორის უდიდესს უწოდებს. მართალია, ვახუშტი არაფერს ამბობს მდინარე მტკვრის სახელწოდების წარმოშობის თაობაზე, მაგრამ დაწვრილებით აღწერს მას სათავიდან შესართავამდე: „გამოსდის კოლას ყალნუ-მთას, გამოვლის სამცხეს, ქართლს, ჰერეთსა, რანს შორის, განვლის მოვაკანს, მიერთვის რახს ჭავათს და სალიანს ქვეით ერთვის კასპიის ზღვას... ამ მტკვარს ერთვიან ყოველნი მდინარენი კოლისა, არტანისა, ჭავახეთისა, სამცხისა, ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა, რანისა, მოვაკანისა და თუთ არაზიცა. არამედ არს მტკვარი სასმელად გემოიანი და შემრგო, უმეტეს ქართლსა და სამცხესა შინა“.<sup>797</sup>

სახელწოდება მტკვრის წარმომავლობის შესახებ უამრავ ქართველ და არაქართველ სპეციალისტს გამოუთქვამს მოსაზრება. უმრავლესობა, როგორც ვთქვით, ძველ ბერძენ ისტორიკოსთა, ძირითადად სტრაბონის, გამონათქვამს უქერს მხარს. ამ ვარაუდის მიხედვით კუროს-ი თუ კოროს-ი პროვინციის სახელისაგან (კოლა) წარმომდგარა. სტრაბონი იმასაც აღნიშნავდა, მტკვრის სახელწოდება სპარსეთის ცნობილი მეფის კიროსის საკუთარ სახელს უკავშირდებაო. ზოგი იმდროინდელი ისტორიკოსი თვლიდა, კურ ზევსის ქალიშვილის სახელია და

<sup>794</sup> ს ტ რ ა ბ ო ნ ი , გეოგრაფია, XI, 3, §1 (პინგოროყვას მიხედვით).

<sup>795</sup> საქართველოს ისტორია, VII-X კლ. სახელმძღვანელო, თბ., 1968, გვ. 25.

<sup>796</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 183, 184.

<sup>797</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 33, 4.

მტკვარი (კუროსი) სწორედ ამ სახელისაგან მომდინარეობს.<sup>798</sup>

სპეციალისტთა შორის გამოჩნდნენ არანაკლებ ფანტასტიკური თვალსაზრისების ავტორებიც. თანამედროვე აზერბაიჯანელი მკვლევარი ა.ახუნდოვი, მაგალითად, სახელწოდება მტკვარს ძველალბანურ კურ-  
||ქაურ- სიტყვასთან აკავშირებს, რაც ნიშნავს „წყალსატევი“, „წყალსა-  
ცავი“. მეორე აზერბაიჯანელი ტოპონიმიკოსი ქალიევი კი თვლის, რომ  
მტკვარი ზოგადად „წყალს“, „მდინარეს“ აღნიშნავს.<sup>799</sup> არსებობს კიდევ  
ერთი აზერბაიჯანული ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც ქაურ-  
||კურ-ა თურმე ნიშნავს: „თავნება, დაუდგრომელი, ჭირვეული მდინა-  
რე“.<sup>800</sup> რუსი ტოპონიმისტი ვ.ნიკონოვი მტკვარს რატომღაც ასე გან-  
მარტავს: „хорошая вода“.<sup>801</sup> როგორც ჩანს სახელწოდება მტკვარს იგი  
მტკნარ- სიტყვასთან აიგივებს.

მეორე რუსი სპეციალისტი მ.ნ.მელხეევი ყოველგვარი დაქვეების  
გარეშე წერს, მტკვარი სპარსული სიტყვაა და წყალს, მდინარეს ნიშნავ-  
სო. აქვე ის ქაურ ფუძეს აზერბაიჯანული ენის კუთვნილებად მიიჩნევს  
და დაბეჭდვით აცხადებს, ასეთი სახელი მდინარეს კაპრიზული, და-  
უდგრომელი ხასიათის გამო შერქმევიანო.<sup>802</sup>

კ.ჰანი, როგორც ცნობილია, ხშირად იყენებდა სხვადასხვა ქარ-  
თულ და არაქართულ წყაროებში გაბნეულ ეტიმოლოგიებს, ვარაუდებს.  
ამ შემთხვევაშიც იგი მხარს უჭერს ვერსიას, რომლის მიხედვითაც курა  
მდინარეს შეიძლება მართლაც სპარსეთის მეფის კიროსის პატივსაცე-  
მად შეერქვაო. იგი, რა თქმა უნდა, ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს,  
რომ დიდ მდინარეებს მეფეთა სახელებს ჩვენში არასოდეს არქმევენ.  
აქვე კ.ჰანი საკუთარ თვალსაზრისსაც გვთავაზობს. მისი მიხედვით  
მტკვარი თურმე მთის წყალს („горная река“) ნიშნავს.<sup>803</sup> როგორც ჩანს,

<sup>798</sup> ვ. ა. ნ ი კ ო ნ ო ვ ი , მოკლე ტოპონიმიკური ლექსიკონი, მოსკოვი, 1966,

გვ. 221 (რუს.).

<sup>799</sup> იქვე, გვ. 221.

<sup>800</sup> იქვე.

<sup>801</sup> იქვე.

<sup>802</sup> ნ მ ე ლ ხ ე ე ვ ი , გეოგრაფიული სახელწოდებანი, მოსკ., 1961, გვ. 50 (რუს.).

<sup>803</sup> СМОНПК 40. ტფილისი, 1909, გვ. 90.

სახელწოდება მტკვარი კჰანს ქართულ-ლათინური სიტყვების ნაერთად ჰქონდა წარმოდგენილი: მტ-||მთ- იგივე მთა და ლათ. *akva arva* „მდინარე“. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იკითხავდა: *мтквари — тквари — горная река?*

ქართველ ფილოლოგ-ენათმეცნიერთაგან სახელწოდება მტკვრის წარმოშობის ახსნა პირველად, თუ არ ვცდებით, პ.კვიციანიძემ სცადა. მისი აზრით, მტკვარი „ზოგადი სახელია ყოვლის მტკნარათ, თქორვით, მიმდინარე წყლის ამრაკისა“.<sup>804</sup> ეს თვალსაზრისი თანამედროვე ქართველ მკვლევართა შორის ერთგვარი მოწონებითა და მხარდაჭერით სარგებლობს. ზ.ქუშბურიძე, მაგალითად, სარწმუნოდ მიიჩნევს სახელწოდება მტკვრის (რუს. კურა, თურქ. ქაჟურ) კოლას მთის მიხედვით წარმოქმნას, მაგრამ იგი ასევე უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ მტკვარი, საფიქრებელია, მდინარის, წყლის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იყოს, ისეთი, როგორიცაა „თქორი“.<sup>805</sup> აღნიშნულ თვალსაზრისს მხარს უჭერს მკვლევარი შ.გოგატიშვილიც. არნ.ჩიქობავა მტკვარ-სიტყვის ამოსავალ ფორმად მ-დ-კორ- ფუძეს მიიჩნევს, რომელშიც მ ფონეტიკურ დანართად, ხოლო დ კლასის ნიშნად გაიაზრება: მ-დ-კუარი — მ-ტ-კუარი (რეგრესული ასიმილაციის გზით).<sup>806</sup> მაგრამ ამგვარი თვალსაზრისები, ვფიქრობთ, დამატებით არგუმენტაციას ითხოვს. კერძოდ, თუ კურ-||კორ- ძირი წარმოშობით პროინციის სახელს (კოლა, კოლას მთები) უკავშირდება, მაშინ რატომ არ აისახა ეს ფაქტი ქართულ საისტორიო წყაროებში? რატომ არ შექმნა ადგილობრივმა მოსახლეობამ ჰიდრონიმი კოლას წყალი, კოლას ხევი? (შდრ. ეგრისი — ეგრის წყალი, აქარა — აქარისწყალი, ერწუ — ერწუხი...). მაშასადამე სახელწოდება მტკვარი სულ სხვაგვარი წარმოშობის ერთეულად უნდა ვცნოთ. პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ ფრიად საგულისხმო და ანგარიშგასაწევი მოსაზრება იმის შესახებ, რომ დიდ მდინარეებს თავიანთი სახელი უბირატესად ეძლევათ სათავეში, ზემო წელზე და არა შესართავთან; და რომ დიდ მდინარეებს სახელს აძლევს ის მოსახლეობა,

<sup>804</sup> პ. კ ვ ი ც ა ნ ი ძ ე , ქართული სწორმეტყველება, ტფ., 1888, გვ. 64

<sup>805</sup> ზ. ქ უ შ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 472.

<sup>806</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 130.



რომელიც მის სათავეებში ყოფილა ისტორიულ ეპოქებში განფენილი. (ვ.გეორგიევი, ვ.ნიკონოვი...), ასეთი ხალხი კი იყო **ზანურენოვანი მოსახლეობა** (მეგრულ-ქანები), რომელთაც ისტორიულ ეპოქაში კოლხეთის დაბლობებს გარდა, ეკირათ კოლა-შავშეთისა და ტაო-კლარჯეთის მთიანი ნაწილი, სწორედ ის რეგიონი, საიდანაც სათავეს იღებს ჩვენი დედამდინარე მტკვარი. ზანური მოსახლეობის აქ სხდომის ოდინდელ ფაქტს შესანიშნავად ადასტურებენ გეოგრაფიული სახელები: **არტანუჯი, ოპიზა, ტოპადა, ორჯონი** და სხვ., რომლებიც აშკარად მეგრულენოვანი ერთეულები არიან (ორჯონის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, **არტანუჯის, ტოპადისა და ოპიზის ზანურობის** თაობაზე კი ჩვენ აღარაფერს ვამბობთ, რადგან მათი ქართველური წარმომავლობა სარწმუნოდ აქვთ გარკვეული ნ.მარსა და აკ.შანიძეს).

მაშასადამე, მკითხველს მოულოდნელად და უცნაურად აღარ უნდა მოეჩვენოს, თუ ჩვენ მტკვარის სახელის ახსნას **ზანური** (მეგრულ-ქანური) ენის მონაცემთა მიხედვით შევეცდებით.

ჭიდრონიმი **მტკვარ-ი** ატრიბუტული შინაარსის სახელი ჩანს. **მ-არ-** მიმღეობური საწარმოქმნო აფიქსი უნდა იყოს; ძირად გამოიყოფა **ტკ(უ)||ტკ(ვ)** ელემენტი, სწორედ ის ფუძე, რომელიც **ზანურ მტკორ-||მტკურ-** სიტყვაში დასტურდება. ამ ენაში **მტკორ-ი** (**||მტკურ-ი**) ნიშნავს: „ველური“, „ტყიური“:

**მტკორი...** ბეოლი-თი ივენ (ველური, ტყიური ბეოლაც (თუთაც) იქნება...<sup>807</sup> **მტკური ქოთუმე „ტყის ქათამი“.** **მტკუი კაზი „გარეული ბატი“** (ტყიური ბატი).<sup>805</sup> **მტკური თხა „გარეული, ველური თხა“.**<sup>809</sup>

ისმის კითხვა: რამდენად არის დასაშვები და მოსალოდნელი, რომ მდინარეს სახელი ამ წესით შერქმეოდეს? თუ იძებნება ანალოგიური შემთხვევები მეზობლად მცხოვრები ან სხვა ტომის ხალხთა ტოპონიმიკაში? ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ ტყის ვრცელი მასივების არსე-

---

<sup>807</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ქანურ-მეგრულ-ქართული შეედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 126.

<sup>808</sup> იქვე, გვ. 97.

<sup>809</sup> ს . ჯ ი ქ ი ა , თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ შრ., ტ. 164, ენათმეცნიერება, თბ., 1975, გვ. 67.

ბობის გამო სახელი მისცემია არა მარტო ქალაქებს, სოფლებს და მდინარეებს, არამედ თვით იქ მცხოვრებ ეთნიკურ გაერთიანებებსაც კი.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საბერძნეთის ერთ-ერთ ტბას ლესბოს-ი ეწოდება, რაც ძველბერძნულად ტყიანს, ტყის ტბას ნიშნავს; იუგოსლავიაში არის ქალაქი დერვენტა, რომელიც ტყიან ადგილს აღნიშნავს. ასევე ტყესთან არის დაკავშირებული მდინარე დრეზნას სახელი (მოსკოვის ოლქი): „Лесная“, „ტყის მდინარე“, „ტყიური“, ბელორუსულში დრეზდაკ ახლაც ტყეს ნიშნავს.<sup>810</sup>

მდინარეებისათვის და დასახლებული პუნქტებისათვის სახელთა მიცემა ტყის მიხედვით მარტო სლავურენოვანი მოსახლეობისათვის როდია ნიშანდობლივი: ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ბალყარეთში, მდინარის სახელად დასტურდება ალაჯ-დან, რაც იმავე ბალყარულ ენაზე ტყის მდინარეს ნიშნავს.<sup>811</sup> საფიქრებელია, რომ მტკვარს ზანური მტკორ-ი||მტკური-ი შეერქვა სწორედ იმის გამო, რომ იგი ველურ, უსიერ ტყეში მიმდინარე წყალი იყო და „გარეული“, „ველური“ მდინარის თვისებები ჰქონდა.

რაც შეეხება უცხოენოვან კორ, კურა, ქაურ... ფუძეებს, ისინი უქვევლად მომდინარეობენ ზანური მ-ტკორ-ი||მტკური- ფუძეთაგან გამარტივების გზით, რამდენადაც ყველა აქ ჩამოთვლილი ენები გაურბიან სიტყვის თავკიდურ პოზიციაში თანხმობვანთა სიმრავლეს.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰიდრონიმი მტკვარი ზანური მტკორი||მტკური სიტყვისაგან წარმომდგარა. იგი ნიშნავს: „ტყის მდინარე“, „გარეული, ველური წყალი“. თავკიდური მტ- სეგმენტის ჩამოცილების შემდეგ მიგვიღია კურ, კორ- სიტყვა, რომელიც საფუძვლად დასდებია მდინარის არაქართულ, მათ შორის რუსულ (кыра) სახელწოდებასაც.

**მშრჰიპან-ი** ისტორიული სოფელი (ამჟამად ნასოფლარი) ჭავჭავთში (ახალქალაქის რ.). მდებარეობს მდ. ჭავჭავთის მტკვრის

<sup>810</sup> ვ. ა. ნიკონოვი, მოკლე ტოპონიმიკური ლექსიკონი, მოსკოვი, 1966, გვ. გვ. 120, 128, 233 (რუს. ენაზე).

<sup>811</sup> ვ. ი. აბაევვი, ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი I, მოსკ., 1958, გვ. 367 (რუს. ენაზე).

მარცხ. სანაპიროზე, სოფლების, პტენისა და დილისკის მიჯნაზე. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (XV ს.) მურჯიკანს სოფლად მოიხსენიებს ზერთვისის რაიონში (ახალციხის ლივა).<sup>812</sup> აღნიშნული სოფლის მიხედვითაა წარმოქმნილი გვარი მურჯიკნელი, ოღონდ საბოლოოდ გარკვეული არ არის თვითონ სოფლის სახელწოდების შინაარსი, წარმომავლობა.

ჯავახური დიალექტისა და ტოპონიმის მკვლევარი გრ. ბერიძე ტოპონიმ მურჯიკანში გემოყოფს -ან გვაროვნულობის აღმნიშვნელ სუფიქსს და მას ქავთარა-ან, ნადიბა-ან... ტიპის სახელად მიიჩნევს.<sup>813</sup> (თუმცა რაიმე მტკიცების გარეშე). სამცხის ტოპონიმის მკვლევარი მერ. ბერიძე მურჯიკანში ხედავს მურჯ- სიტყვას, რომელსაც თურმე ფალაური -კან||-აკან სუფიქსი ჰქონია დართული.<sup>814</sup> მურჯ- ძირის რაობაზე იგი არაფერს გვეუბნება.

მურჯიკანი ორი სიტყვისაგან შედგენილი ტოპონიმია. პირველი ფუძეა მურჯა, რომელიც აღმოს. საქართველოს მთიანეთში გავრცელებული მუჯა||მუნჯა სახელის ვარიანტი ჩანს (სიტყვა მუჯა, იგივე მუნჯა, მლაშე, ვეძა წყლის სინონიმია); მეორე ფუძეა კან-ი, რომელიც კარი-ს ფონეტიკური სახეცვლილება უნდა იყოს. თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ მურჯიკანი (-მურჯი(ს)-კარი) უნდა ნიშნავდეს: „სოფელი, სადაც მურჯა წყალი გამოედინება“. „მლაშე მინერალურწყაროებიანი ადგილი“, „მურჯების ხევი, მურჯების კარი“. (მდრ. სოფ. დიდი და პატარა მურჯები, მურჯქვევიდან<sup>815</sup> და თვით მურჯახეთი). ყველა ეს ტოპონიმი მუჯა (-მურჯა) სახელთან ჩანს დაკავშირებულ. ამასთან უნდა უარყოფთ ჯავახეთური ტოპონიმის მურჯახეთის „ლურჯი ხევისაგან“ მომდინარეობის ვარაუდი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ჭერ კიდევ

<sup>812</sup> ს რ ი ქ ი ა , გვლ. ტ., II, 1941, გვ. 13, 174.

<sup>813</sup> გ რ . ბ ე რ ი ძ ე , ჯავახეთის გეოგრაფიულ სახელთა წარმოება: ჟურნ. „მნათობი“, №11, 1972, გვ. 188.

<sup>814</sup> მ ბ ე რ ი ძ ე , სპარსული ელემენტები ჯავახეთის ტოპონიმიაში: კრებ. ონომასტიკა I, თბ., 1987, გვ. 28-29.

<sup>815</sup> მინდვრის სახელად გვხვდება ს.კოთელიაში (გ რ . ბ ე რ ი ძ ე , 1981, გვ. 198).

**მუჰამადი-ი** მალაღმთიანი სოფელია ქსნის ხეობაში (ახალგორის რ.). ადგილობრივ გავრცელებული გადმოცემის მიხედვით სოფლის სახელწოდება წარმომდგარა იმ ორი შველის მიხედვით, რომლებიც ხშირად ჩამოდიოდნენ სოფელში, არ უფრთხოდნენ არც ადამიანებს, არც ძაღლებს; შეეროდნენ სოფლის ნახირს, შებინდებისას კი კვლავ ტყეს მიაშურებდნენ. ხალხში ცოცხლობდა რწმენა, რომ ეს შველები იყვნენ დედინაცვლის მიერ ტყეში გადაყრილი ორი ობოლი და-ძმა, რომლებიც თურმე ერთ ნუკრმოკლულ დედა შველს თავისი რძით დაეზარდა. დადიოდნენ ასე ერთად ეს შველები ღრე-ტყეში, ველ-მინდვრებში, სოფლებში და დედის ნაკვალევს დაეძებდნენ (სოფიო ბერიანიძის მონათხრობი).

ქართულ ტოპონიმიაში, მართალია, აქა-იქ დასტურდება ცხოველ-ფრინველთა სახელებისაგან წარმომდგარი -ეთ სუფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები (კაკაბ-ეთ-ი, (მ)სვენ-ეთ-ი, გვეძინ-ეთ-ი, კვერნ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, ბატ-ეთ-ი, ბუ-ეთ-ი),<sup>817</sup> მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი აშკარად გვაროვნული (ანთროპონიმული) წარმომშობის ერთეულია. ამაზე მეტყველებს არა მარტო -ეთ სუფიქსი, რომელიც უპირატესად გვართაგან მომდინარე სოფლის სახელებში იჩენს თავს, არამედ ის ძველი დემოგრაფიული აღწერების მასალაც, რომელშიც XVIII საუკუნის დამლევის ქსნის ხეობის ონომასტიკონი არის წარმოდგენილი. ამ აღწერილობათა მიხედვით 1780-იანი წლებისათვის მშველიეთი მ-ანის გარეშე წარმოითქმოდა (და იწერებოდა!) ამასთან საყურადღებოა, რომ შველიეთის ძველ მოსახლეთა შორის გვხვდება ხიზანი ოჯახი, საცხოვრებლად გადმოსული ხადის ხეობის (მთიულე-

<sup>816</sup> ს . ჯ ი ქ ი ა , გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 335.

<sup>817</sup> გამორიცხული არ ჩანს, რომ მათი დიდი უმრავლესობა ადამიანთა გვარებისაგან (კაკაბაძე, კვერნაძე, ქორიძე, ბუაძე...) იყოს წარმომდგარი.

თი) სოფ. სეთურკარიდან, გვარად მშველაიძე (დათუნა და გლაზა).<sup>818</sup> საფიქრებელია, რომ სოფლის სახელწოდება მშველიეთი სწორედ მშველაიძეთა აქ გადმოსვლისა და დამკვიდრების შემდეგ იყოს წარმოქმნილი. თვით გვარი მშველაიძე მომდინარეობს შველ-ა ფორმისაგან (შდრ. საკუთ. სახელები: მგელ-ა, კურდღელ-ა, ფოცხვერ-ა, დათვი-ა...) იგი ნიშნავს: „შველივით სწრაფი, ამასთან მოხდენილი ადამიანი“. აქედანვეა წარმომდგარი გვარები: მშველიძე||შველიძე და შველაშვილი.<sup>819</sup>

**მცხეთა** ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, მტკვრისა და არაგვის შესაყართან, მომცრო ხერთვისზე აღმოცენდა ქალაქი მცხეთა, რომელსაც ღვთის განგებით ქართველი ხალხისა და მისი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიაში უპირველესი როლი უნდა ეთამაშა. IV-V საუკუნეებისათვის მცხეთა მართლაც იქცა მთელს ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქად, იბერიის სამეფოს პოლიტიკურ და კულტურულ-სარწმუნოებრივ ცენტრად, „მეორე იერუსალიმად“, ქართველთა დედაქალაქად „სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“.<sup>820</sup> მაგრამ მცხეთის, როგორც დიდი და მნიშვნელოვანი დასახლების, ისტორია ქრისტიანობამდელი ხანის ეპოქალურ სიღრმეებშია ჩაძირული. ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ მცხეთის თავდაპირველი აღმოცენების თარიღი, მაგრამ ის რომ ქრისტეს დაბადებამდე ბევრად უფრო ადრე არსებობდა, ამაში ექვის შეტანა შეუძლებელია. ძველი ქალაქი მცხეთა ძირითადად დღევანდელი არმაზის (არმაზციხის) შემოგარენში ყოფილა გაშენებული; ქალაქს თანდათანობით აღმოსავლეთისაკენ გადმოუწევია და საკმაოდც განვრცობილა, მტკვრის ორსავე ნაპირზე განსახლებულა. მტკვრის ამიერ და იმიერ გაშენებულ მცხეთის

<sup>818</sup> ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები I, თბ., 1967, გვ. 208; გვარი მშველაიძე წიგნში დაბეჭდილია როგორც მშველაიძე, მაგრამ ეს ბეჭდვის შეცდომა უნდა იყოს.

<sup>819</sup> ი . მ ა ი ს უ რ ა ძ ე , ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 192.

<sup>820</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 116, 15.

უბნებს თავთავისი მეფეები ჰყოლიათ.<sup>821</sup>

„ქართლის მოქცევის“ ავტორი მცხეთის, როგორც ქალაქის, დამფუძნებლად მეფე ბრატმანს მიიჩნევს: „და მეფობდა ბრატმან, რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო“.<sup>822</sup> იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი ძველი მცხეთის პირველ მეფედ აზოხ ასახელებს. როგორც ირკვევა, ბრატმანის ზეობამდე აქ კიდევ ექვს (ფარნავაზ, საურმაგ, მირვან, ფარნაჯომ, არსოკ, არიკ) მეფეს უმეფია. მცხეთის ქალაქმშენებლობა კი მირვან (მირვან) მეფეს დაუსრულებია.<sup>823</sup>

წარმართული ხანის ქალაქი მცხეთა, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო-საქარაუგრო გზების მნიშვნელოვანი კვანძი, ვრცელ და ლამაზ ქალაქად იყო ცნობილი. მის ტერიტორიაზე მრავლად იდგა მდიდრული სავაჭრო ქარვასლები და ქულბაქები, ერთიმეორეს გზას ვერ უქცევდნენ აქლემებისა და ურმების ქარავნები, უცხოფერადი საქონლით ვაჭრობდნენ აქ სპარსელები, ძველი ებრაელები, ხატაელები (ჩინელები) და ინდოელები; მოდიოდნენ და მიდიოდნენ დიდგვაროვანი ვაჭრები შუამდინარეთიდან, სირიიდან და ეგვიპტიდან, ხორეზმიდან, რომიდან და ალექსანდრიიდან. ყველას პირზე ეკერა იბერიის საოცრება-ქალაქი მცხეთა. ამიტომ შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ახალი სარწმუნოების, ქრისტიანობის, ქადაგება ნინო კაბადოკიელმა სწორედ აქ, „დიდთა მეფეთა საჯდომელ“ ქალაქში დაიწყო: „ხოლო ნინო... წარმოემართა მათთა კერძო ჩრდილოდმთა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა... და შექმნა სახე ჭუარისაჲ, ნახსლევისაჲ და მუნ დაადგრა და ილოცვიდა. და მეოთხესა წელსა იწყო ქადაგებაჲ და ხარებაჲ ქრისტეს ღმრთისა სჯულისაჲ და მეექუსესა წელსა არწმუნა ნანა დედოფალსა, ცოლსა მეფისასა... და მეშუდესა წელსა არწმუნა მირიან მეფესა სასწაული ქრისტესმიერითა და მსწრაფლ აღაშენა ეკლესიაჲ ქუემოჲ სამოთხესა შინა ძელისაჲ და სუეტი იგი პატიოსანი, რომელი თვთ აღე-

<sup>821</sup> ი ვ . ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართული ერის ისტორია I, თბ., 1960, გვ. 455; ა . ა ფ ა ქ ი ძ ე , ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 85, 170...

<sup>822</sup> ქალღ I, თბ., 1964, გვ. 82, 20.

<sup>823</sup> იქვე, გვ. 82.

მცხეთას, როგორც დიდ სახელმწიფოებრივ და რელიგიურ ცენტრს, თავისი მნიშვნელობა მაშინაც კი არ დაუკარგავს, როცა ვახტანგ გორგასალმა სამეფო ტახტი მცხეთიდან ტფილისში გადაიტანა (VI ს.). ეს იყო დრო, როდესაც „მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემციირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“.<sup>825</sup> ამის მიუხედავად მცხეთის როლი იბერიის პოლიტიკურ და სოციალურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაინც განუზომელი იყო. ამ ფაქტის დასტურია VI ს-ის დამლევსა და VII ს-ის დასაწყისში მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მთის მწვერვალზე ქართული არქიტექტურული ხელოვნების უნიკალური ძეგლის, ჯვრის მონასტრის, აგება. მცხეთის მნიშვნელობა არც შუასაუკუნეების დროს შემცირებულა. ამ დროსაც იგი კვლავ რჩებოდა ქართველთა „სამეფო ქალაქად“, უპირველეს და უმთავრეს საეკლესიო ცენტრად, რაც ჭერ სვეტიცხოვლის, ხოლო შემდეგ სამთავროს მონასტრის აგებით დაგვირგვინდა.

უთუოდ მისი დიდი პოპულარობით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ ტოპონიმ მცხეთის შინაარსის გარკვევა ჭერ კიდევ შუასაუკუნეებისდროინდელ მემატიანეებს, კერძოდ, ლეონტი მროველს უცდია. მისი ვარაუდით, მცხეთა დაუარსებია და თავისი საკუთარი სახელი მიუცია ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის მემკვიდრე მცხეთოსს: „ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა... აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგჯასა, და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა“.<sup>826</sup> ამ ვერსიას უცვლელად იმეორებდა ვახუშტი ბატონიშვილიც: „აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თჳსითა“.<sup>827</sup> ეს ნახევრადლეგენდური ვერსია შემდგომი საუკუნის ქართველ სწავლულებს, როგორც ჩანს, აღარ აკმაყოფილებდა. ამიტომაც იყო, რომ XIX ს-ის შუა წლებში პლატონ იოსელიანმა წამოაყე-

<sup>824</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, თბ., 1964, გვ. 84, 15.

<sup>825</sup> იქვე, გვ. 95, 10.

<sup>826</sup> ქართლის ცხოვრება I (ს ი მ . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ის რედაქციით) თბ., 1955, გვ. 9, 13.

<sup>827</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 60, 32.

ნა ახალი თვალსაზრისი. ამ ვერსიის მიხედვით მცხეთა წარმომდგარი უნდა ყოფილიყო სატომო სახელწოდებისაგან მესხი (მესხები), რომლებიც ქართლში საცხოვრებლად ადრეულ საუკუნეებში მოსულან.<sup>828</sup>

პლ.იოსელიანისეული თვალსაზრისი ტოპონიმ მცხეთის სატომო სახელისაგან (მესხი) მომდინარეობის თაობაზე იმდენად სარწმუნო აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტის თვალში ამ ვერსიას დამაჯერებლობა დღემდე არ დაუქარგავს. უფრო მეტიც, ალბათ არ არსებობს მკვლევარი, რომელიც ტოპონიმ მცხეთის წარმოშობის საკითხს შეხებოდეს და ამოსავლად ეთნონიმი მესხი არ მიეჩინოს.

ამის გამოა, რომ სახელწოდება მცხეთის წარმომავლობის ეს ვერსია ჩვენში დღემდე ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად არის გამოცხადებული. ამ აზრს აღიარებდნენ და აღიარებენ გამოჩენილი მკვლევარები: ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, ა.შანიძე, გ.ახვლედიანი, ს.აკაბაძე, არნ.ჩიქობავა, გ.მელიქიშვილი, ს.ყაუხჩიშვილი, ა.აფაქიძე, თ.მიქელაძე, ზ.ჭუმბურიძე, ალ.ღონტი და სხვ. მრ.

სახელწოდება მცხეთა ნ.მარის მიერ გაიაზრებოდა როგორც „მესხების საცხოვრებელი ადგილი“, <sup>829</sup> აკ.შანიძე კი მცხეთის მესხ-სატომო სახელისაგან წარმომავლობის მტკიცებასთან ერთად ტოპონიმის მორფოლოგიურ ანალიზსაც გვაწვდიდა. მისი ვარაუდით, ეთნონიმისეულ მცხ- ელემენტს დართვის -ეთ-ა რთული სუფიქსი, რომელშიც -ეთ გეოგრაფიულ სახელთა დერივატია, ბოლოკიდური -ა ხმოვანი კი — სიმცირე — კნინობითობის აღმნიშვნელი სუფისქი.<sup>830</sup>

ქართული ონომასტიკის ცნობილი სპეციალისტი ზ.ჭუმბურიძე საკმაოდ დაწვრილებით მოგვეთხრობს იმ ენობრივ ცვლილებების შესახებ, რომლის შედეგადაც მესხთა ფორმისაგან ჯერ მსხეთა მიგვილია, აქედან კი — მცხეთა.<sup>831</sup>

---

<sup>828</sup> პ. ი. ი. ს. ე. ლ. ი. ა. ნ. ი., საქართველოში ძველად არსებული და აწინდელი ქალაქები, ტფილისი, 1850, გვ. 53-55 (რუს. ენაზე).

<sup>829</sup> ნ. მ. ა. რ. ი., აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ, მ.-ლ. 1938, გვ. 192.

<sup>830</sup> შ. ა. ნ. ი. ძ. ე., ტერმინ ქართლისა („საქართველო“) და ქართველის ეტიმოლოგიის შესახებ: ჟურნ. ენათმეცნიერული საკითხები №4, მოსკ., 1978, გვ. 85.

<sup>831</sup> ზ. ჭ. უ. მ. ბ. უ. რ. ი. ძ. ე., დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 475



„მცხეთა რომ ეტიმოლოგიურად სამცხეს||მესხს უკავშირდება, ეს ახლა სადაოდ აღარ მიაჩნიათო, — წერს ალ.ლონტი.<sup>832</sup> მკვლევარი იქვე დასძენს: „მცხეთა ტოპონიმი იზოგლოსია სამცხისა,<sup>833</sup> ხოლო ორივე მათგანი მესხური ელემენტია ქართლურში, მთლიანად საერთო-ქართულში... ძირეული მორფემა მცხ მოტანილია მესხურ კილოზე მოლაპარაკეთა მიერ იბერიაში და მიგვანიშნებს. რომ ამ სახელწოდების დასახლებული პუნქტი ან მათ მიერაა აშენებული, ანდა მათი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოქცევის გამოძახილია“.<sup>834</sup> მესხურენოვანი მოსახლეობის დიდი ნაკადის შემოსვლას ქართლში და მათ აქ დაფუძნებას (სხდომას) ქართველი ისტორიკოსების ერთი ნაწილი ძვ. წელთაღრიცხვის VIII-IV საუკუნეებს მიაკუთვნებს.<sup>835</sup> სპეციალისტებისათვის ცნობილია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც მცხეთა წარმოშობით თურმე შეიძლება წარმომდგარი იყოს არმაზციხე-საგან.<sup>836</sup> საფიქრებელია, ამ შემთხვევაში, ამოსავლად ნაგულისხმევი იყო ციხე და მცხე-თა სიტყვებში ცხ თანხმოვანთა ფონეტიკურად მსგავსი ელერადობა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ექვის ქვეშ დავაყენოთ მესხურენოვანი მოსახლეობის ოდინდელი მიგრაციები ძველისძველ იბერიაში; ასეთი ეთნიკური გადანაცვლებები უწინაც ხდებოდა და ახლაც, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ტოპონიმი მცხეთა მესხების სატომო სახელისაგან არ უნდა იყოს წარმომდგარი. საქმე ის გახლავთ, რომ სახელწოდება მცხეთა, თუ კი ის მართლაც ეთნიკური წარმოშობისაა და საფუძვლად მესხი უდევს, არ შეიძლებოდა

---

<sup>832</sup> ალ.ლონტი, მცხეთის ტოპონიმი, თბ., 1975, გვ. 7.

<sup>833</sup> მესხთა ტომების ფართო განსახლების თეორიას იმ ფაქტით ამაგრებენ, რომ დღევ. ლეჩხუმში დასტურდება ტოპონიმი მცხეთაში-||ციხეთაში. მაგრამ იგი მეტყველებს არა მესხების ლეჩხუმში ოდინდელ „სხდომაზე“, არამედ ამ ტერიტორიაზე მცხეთის სვეტიცხოვლის გავლენის ფართო მასშტაბებზე (შღრ. ს.მცხეთისჯვარი ქართლში, ხაშურის რაიონში).

<sup>834</sup> ალ.ლონტი, მცხეთის ტოპონიმი, თბ., 1975, გვ. 3-4.

<sup>835</sup> გ.მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 87-88.

<sup>836</sup> გ.აკლიშვილი, კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მოსკოვი, 1964, გვ. 239 (რუს. ენაზე).

გაფორმებულიყო -ეთ-ა სუფიქსით:

ქართული ენის განვითარების თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია არ იცნობს ეთ-ა რთულსუფიქსიანი ეთნიკური შინაარსის ტოპონიმთა წარმოქმნის თუნდაც ერთ შემთხვევას; ქართული ენისათვის საერთოდ უცხოა სვან-ეთ-ა, კახ-ეთ-ა, თუშ-ეთ-ა, იმერ-ეთ-ა, კლარჯ-ეთ-ა, ჯავახ-ეთ-ა, აფხაზ-ეთ-ა, ხევსურ-ეთ-ა, მთიულ-ეთ-ა... ტიპის გეოგრაფიული სახელები! თუ ტოპონიმის ამოსავალი (საყრდენი) ფუძე სატომო სახელია (თუში, კახი, მესხი, ჯავახი...), მაშინ ენამ უნდა გამოიყენოს ან მხოლოდ -ეთ გეოგრაფიული სუფიქსი (თუშ-ეთ-ი, მესხ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, ჯავახ-ეთ-ი...) ან რთული სა-ო, სა-ეთ, ნა-არ (||ნა-აღ-), ნა-ევ-... აფიქსები: სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ინგილ-ო, სა-ჯავახ-ო; სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-სომხ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი; ნა-თუშ-არ-ი, ნა-სომხ-არ-ი, ნა-თათრ-აღ-ი; ნა-სპარს-ევ-ი, ნა-ზან-ევ-ი...

ამიტომაც ენაში არ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო მესხ-ეთ-ა ფორმა (საიდანაც თურქმე სახელწოდება მცხეთა მიგვიღია მესხ- ფუძეში ე ხმოვნის რედუქციითა და სხ- კომპლექსის -ცხ- კომპლექსად შეცვლის გზით).<sup>837</sup> ვიმეორებთ, ტოპონიმ მცხეთისათვის სატომო ტერმინი მესხ-ი რომ ყოფილიყო ამოსავალი, მაშინ ენაში ალბათ უნდა წარმოქმნილიყო ტოპონიმი მსხ-ეთ-ი, მცხ-ეთ-ი, ან ამის მსგავსი რაღაც. მაშასადამე, ტოპონიმ მცხეთა-ში უნდა გამოირიცხოს მცხ- ძირის მესხ-ეთნიკური ტერმინისაგან მომდინარეობის შესაძლებლობაც და მასში საწარმოქმნო ფორმანტად -ეთ-ა რთული სუფიქსის გულეგებაც, რადგან, ვიმეორებთ, მესხ-ეთ-ა ტიპის გეოგრაფიული სახელები ქართულ ენაში არასოდეს გვქონია.

ტოპონიმ მცხეთის წარმომავლობის გარკვევაში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ.თოფურიას მიერ ჯერ კიდევ 1920-იან წლებში გამოთქმულ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც მცხეთა ისეთივე -თა სუფიქსიანი ერთეული უნდა ყოფილიყო, როგორც უძველესი წარმოშობის სხვა ქართული სახელები: მოგუ-თა, ბერ-თა, ბზა-თა, მოწაშე-თა, ვან-თა, ანგელოს-თა...<sup>838</sup>

<sup>837</sup> ზ. კ. უ მ ბ უ რ ი ძ ე , რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 213.

<sup>838</sup> ვ. თ. თ. უ რ ი ა , გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისთვის ქართულში: „ჩვენი მეცნიერება“, №11-12, ტფ., 1924, გვ. 9.

დიდი მეცნიერის მიერ პრინციპულად არის დასმული საკითხი, რომ მცხეთა -თა სუფიქსიანი ტოპონიმი და არა -ეთ-ა რთულსუფიქსიანი წარმონაქმნი. მაგრამ -თა- სუფიქსის შემთხვევაშიც კი გაკვირვებულა ტოპონიმ მცხეთის ეთნონიმ მესხი-საგან მომდინარე ერთეულად მიჩნევა, რადგან საამისოდ ახლა სხვა ენობრივი დაბრკოლებების გადალახვა მოგვიწევდა. კერძოდ, გასარკვევი გვექნებოდა ფუძის ბოლოკიდური -ე- ხმოვნის რაობა: მესხ-ე? რა არის ეს ე ხმოვანი? თუ ის ფუძის კუთვნილებაა, მაშინ უნდა გამოირიცხოს მესხე ფუძის კუმშვა (მსხე?) რადგან ხმოვნით დამთავრებული ფუძეები, საერთო წესის თანახმად, კი არ იკუმშებიან, არამედ იკვეცებიან. ერთი სიტყვით ენობრივი დაბრკოლებანი, როგორც იტყვიან, საკმარისზე მეტია.

მაშასადამე, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, მცხეთის ეთნონიმ მესხისაგან მომდინარეობის ვარაუდი არ მტკიცდება. ამიტომ, ბუნებრივია, ტოპონიმის ახსნის სხვა გზას მივმართოთ.

თუ კარგად დავაკვირდებით ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ -თა სუფიქსიან ტოპონიმებს, დავრწმუნდებით, რომ ყველა მათგანი საზოგადო არსებითი ან მიმღეობური სახელია (მოგვი. ბერი, ბზა, მოწა-მე, ვანი („კლდეში ნაკვეთი ქვაბი“), ანგელოსი...) და არა ეთნონიმი, ანუ სატომო სახელი. ამის მიზეზით შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ მცხე- ძირიც წარმოშობით მიმღეობური (შდრ. მ-წღ-ე, მ-წ-ე (მე-მ-წ-ე) (მ)-ბქ-ე, მ-ხნ-ე, მა-ცნ-ე...) ან საზოგადო არსებითი სახელი იყოს. ასეთად წარმოგვიდგება უძველესი ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული სიტყვა მცხე, რომელიც ძველ ქართულში ნიშნავდა: „ქაღარა, თმაგათეთრებული, ასაკოვანი ადამიანი“; სიტყვასიტყვით — „უფროსი“, „ბრძენი“.<sup>839</sup>

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მცხეთას — იბერიის სამეფოს პოლიტიკურსა და რელიგიურ-საზოგადოებრივ ცენტრს, უპირველეს სამეუფო ქალაქს — გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა და შენების საქმეში, მაშინ შეიძლება დაგვეშვა, რომ ტოპონიმში აღნიშნული ყოფილიყო მამასახლისთა (მცხეთა) აქ მყოფობაც (შდრ. სა-მთავრ-ო). უადგილო არ იქნებოდა ამ

<sup>839</sup> შდრ. „...ვინ იყო ესრეთ მკცოვან გონებითა უწინარეს მკცეთასაცა“... (არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის... თბ., 1942, გვ. 90).

თვალსაზრისით ლეონტი მროველისეული ცნობის გახსენება: „ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თაჲადი, იგი იყვის მაზავებელ და ბჳე სხვათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა“.<sup>840</sup> ვახუშტის ცნობითაც მცხეთის მთავარი, მცხეთის მფლობელი „უწარჩინებულეს მთავრად და მამასახლისად“ იწოდებოდა.<sup>841</sup>

მცხეთა, მაშასადამე, უნდა მომდინარეობდეს მ-ვც-ე||მ-ხც-ე სიტყვისაგან -თა სუფიქსის დართვით. მხცეთა სიტყვისაგან ფონეტიკური ცვლილების შედეგად (მეტათეზისი) მოგვიანებით მ-ცხე-თა მიგვილია (ისევე როგორც მხცოვან-ისაგან მცხოვანი მივიღეთ). ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: სახელწოდება მცხეთა ნიშნავს: „მხცე-თა“; „მვცეთა სამყოფი ქალაქი“, „საუფროსო, სამთავრო ქალაქი“, „მვცეთა საბრძანისი“, „მხცეთა ადგილი“.<sup>842</sup>

ეს სახელი იბერიის სამეფოს დედაქალაქს ქართლში ქრისტიანობის შემოსვლამდე ბევრად უფრო ადრე, დაახლოებით, IV-III საუკუნეებში უნდა შერქმეოდა.

**მჭადიჭვარი-ი** ცნობილი ისტორიული სოფელია ქართლში მდ.ნარეკავის ხეობაში (დუშეთის რ.). ვინ მოთელის, რამდენი საოცარი თქმულება თუ გადმოცემა შეუქმნია ადგილობრივ მოსახლეობას ტოპონიმ მჭადიჯრის წარმოშობის თაობაზე. როგორც ჩანს, ამაში „ბრალი“ თვითონ სოფლის უცნაურ სახელწოდებას მიუძღვის, რადგან ფუძეები მჭადი და ჭვარი ერთმანეთს აზრობრივად არ ეთანხმებიან. ონომასტიკის მკვლევარს უნდა ახსოვდეს, რომ რთულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში ორივე ფუძე ყოველთვის ერთ აზრობრივ მთლიანობას ქმნის: ქვახვრელი, რკინისჭვარი, ხეკორძი, მთაწმინდა, დიდგორი, ხიდისთავი, გორმალაღი, ჭითაწყარი („წითელი წყალი“), ჩხოროწყუ („ცხრა წყარო“) ჭყონდიდი („მუხადიდი“), კუბურხინჯი („წაბლის ხიდი“), ცხენთარო („ცხენების თარო ანუ ეხი“), ციხისჭვარი... ტოპონიმ მჭადიჯვარ-

<sup>840</sup> ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 11, 3-5

<sup>841</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 12, 23.

<sup>842</sup> დაწვრ. იხ. ჩუენი „მოსაზრებანი ტოპონიმ მცხეთის წარმოშობის შესახებ“: კრებ.: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983, გვ. 83. 187-196.

ში კი ლოგიკური კავშირი ფუძეებს შორის აშკარად დარღვეულია: მკადი + ჭვარი? სწორედ ეს აზრობრივი შეუთავსებლობა გამხდარა იმის მიზეზი, რომ ხალხს ოდითგანვე უტღია ამ შეუსაბამობის დაძლევა და ტოპონიმის სხვაგვარი კუთხით ახსნა-განმარტება:

„ერთხელ სოფელს დიდძალი თათრის ჯარი დასცემია, — მოგვითხრობს ხალხური გადმოცემა. — როცა ციხევადის ყარაულებს მტრის შემოსევა უცნობებით, სოფლის მღვდელს ეკლესიიდან გამოუტანია პატროსანი თვლებით მოქედლი ოქროს ჭვარი და ჭაში ჩაუგდია, დაუმალია. თათრის ჯარი სოფელში შემოსულა, იქაურობა აუკლია, თუ რამ იზადებოდა, გაუტარცვია, ამდგარა და წასულა. თათარი რო წასულა, სოფლის მღვდელს დამალული ჭვარი ამოუღია, მოუტანია და ისევ ეკლესიის საკუთრბევებზე დაუბძანებია. ღვდელმა ჭაში ჭვარი დამალა, ჭაში ჭვარი დამალაო და სოფელსაც თურმე დარქმევია ჭაშიჭვარი. ბოლო-ბოლო ჭაშიჭვარი მკადიჭვარით შეუცვლია ჩვენს ხალხს“ (ილო ღარიბაშვილი, ქ. დუშეთი, 1956 წ.).

არსებობს სხვაგვარი თქმულებაც:

„ერეკლე მეფის დროს არაგვის ხეობას ლეკი შემოსევია. უნდათ, რო მიწასთან გაასწორონ აქაობა. დაუქერიათ დუშეთი, ბაზალეთი, მთელი ბოდორნა-ციხევადი და მოსულან ამ ციხის ასაღებად. იმათა შორის ერთი ნაიბი თუ ვიღაც უფროსი, რომელიც ძალიან ინდობს ხალხსა, არაგვის ხელს არ ახლებს, სხვასაც თურმე უშლის ხალხის აწიოკებას. ამ ბელადს ერთი აქაური გოგო უნახავს და ძან შეჰყვარებია. ჩავარდნია გულში ამ გოგოს სიყვარული. ამდგარა და მისულა ბოლოს დედასთან და შენი შვილი ცოლად უნდა გამატანო. ამ დედას ხო ჭეა აუგდია, გოგოს კიდევ ცხარე ცრემლით არაგვი დაუგუბებია, ისეთ ყოფაში ჩავარდნილა; ურჯულოს არ გავყვები, გინდა ეხლავე ხმლით ამკუწონო. მერე იმ ნაიბს დედის წინ დაუჩოქია, მე ურჯულო არა ვარ, მეც თქვენსავით ქრისტიანი ვარ, პატარაობაშივე წაუყვანივარ ლეკებს, მაგრამ იქ გაზრდილ კაცს იმათი მარტო ტანისამოსი შემრჩენია, გული და რჯული ისევ დედამამისეული მაქვსო.“

უცხო სტუმარი სუფრასთან მიუწვევიათ და ხელში რო აუღია მკადის კოკორი, ხელის გულებით ჭერ ჭვარი გამოსახავს და მერედა გადაუმტერვია. დაუჭერებიათ, რო ეს ბელადი მართლა ქრისტიანი ყოფილა და გოგოც თურმე გაუტანებია. ამ ბელადს კიდევ აუყრია მთელი

ეს ლეკობა და მოუშორებია სოფლისათვის, თითო აღარავისათვის დაუკარგებია. გადარჩენილა სოფელი, სახელი კი იქიდან დარჩენილა, რო ლეკს მკადზე ჭვარი გამოუსახნია. მკადის ჭვარიო, — უძახნია ხალხს და ბოლოს სულაც მკადიჭვარი დარქმევია“. (თებრო უნდილაშვილი — ხუ-ლუზაური, ქ. დუშეთი, 1983 წ.).

სინამდვილეში ამ მაღალი პოეტური ფანტაზიით შექმნილ თქმუ-ლება-გადმოცემებს რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ტოპონიმისა-თვის ამოსავლად გვესახება მეზობლად მდებარე ძველი პატარა სოფელი ჭაშა, რომლის სალოცავის მიხედვითაც (ჭაში(ს) ჭვარი) უნდა იყოს გაფორმებული ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი. თავდაპირველად დღე-ვანდელი სოფ. მკადიჭვარის შემოგარენში უნდა გვექონოდა სალოცავი ჭაშის ჭვარი. დროთა განმავლობაში ჩავარდნილა ნათეს. ბრუნვის ნიშ-ნისეული -ს- თანხმოვანი და ჭაში ჭვარი მიგვიღია. რომ არ ყოფილი-ყო ენაში ტოპონიმი ჭაშიჭვარი („ჭაშის ჭვარი“). ვფიქრობთ, არ შე-იქნებოდა ლეგენდა, მ დ ვ დ ე ლ მ ა მ ტ ე რ ს ჭ ა შ ი ჭ ვ ა რ ი დაუმალო. როცა შესიტყვება ჭაშიჭვარი ადგილობრივი მოსახლეობისა-თვის შინაარსობრივად დაბნელდა, გაბუნდოვანდა, ხალხს კვლავ უცდია ტოპონიმის გააზრინება, მისი „გაცოცხლება“, ასე მიგვიღია ახალი სა-ხელწოდება მკადი-ჭვარი. ეს პროცესი დაახლ. XV-XVI საუკუნეებში ჩანს მომხდარი, რადგან ვახუშტის „აღწერაში“ სოფელი მკადიჭვარი ზუსტად დღევანდელი ორთოგრაფიით არის წარმოდგენილი, თუმცა იმავე ეპოქის ზოგ ძეგლში ჭადისჭვარიც (მ-ანის გარეშე) იკითხება: „წირქოლს — ხიზანი მუხრანბატონის ყმა ჭადისჭვრელი ართანას შვი-ლი კომლი ა, თავი ა. ბერი“.<sup>843</sup> ათიოდე წლის წინ გამოითქვა განსხვა-ვებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტოპონიმი „მკადიჭვარი“ სიტყვა მკადა-საგან გვექონია მიღებული (იხ. ა ლ . ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი , რას ნიშნავს „მკადიჭვარი“? (ყურნ. „პირიმზე“, თბ. 1993, გვ. 189-196). თვალსაზრისი უთუოდ საინტერესოა, მაგრამ მას ახლავს დაბრკოლებაც: ტოპონიმიაში სიტყვა „მკადა“ ცალკე არ გვხვდება, მას მუდამ ახლავს საზღვრული სიტყვა „ქვა“ (იხ. ქეგლ, ტ. II. თბ., 1990, გვ. 761).

<sup>843</sup> იხ. ი ვ . ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები I, თბ., 1967, გვ. 197.

**ნაბეღლაზ-ი** ცნობილი სოფელია გურიაში (ჩოხატაურის რ.) მას საკვეყნოდ გაუთქვა სახელი შესანიშნავმა სამკურნალო მინერალურ-მა წყალმა „ნაბეღლავემა“. ნაბეღლავე ეწოდება იმ პატარა მდინარე-ღელესაც, სოფელს შუაზე რომ ჩამოუდის. როგორც ვხედავთ, სოფელს ეს სახელი მდინარისაგან მიუღია. მაგრამ რას ნიშნავს თვით სახელწოდება „ნაბეღლავე?“ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით სოფელს ნაბეღლავე იმიტომ შეერქმევია, რომ აქ თამარ დედოფალს სამეფო ბედლები ჰქონია აგებული. თამარის გარდაცვალების შემდეგ ამ მხარეს თათრები შემოსევნიან, სამეფო ბედლები ჯერ გაუძარცვავთ, დაუნგრევიან, მერე კი იქაურობა ცეცხლისათვის მიუციათ. ამ აოხრების შემდეგ სოფლისათვის ხალხს ნაბეღლავე შეურქმევიაო.

სატეილისტთა ერთი ნაწილიც თვლის, რომ ნაბეღლავე ბედელ-სიტყვისაგან გვაქვს მიღებული ნა-ავ თავსართ-ბოლოსართის დართ-ვით.<sup>844</sup> ამგვარ ვარაუდს დაბრკოლებანი ახლავს. პირველ რიგში ისაა გასათვალისწინებელი, რომ თუ ტოპონიმისათვის მართლაც ამოსავალი იქნებოდა სიტყვა ბედელი („სასიმინდე; ხორბლის, ხილის, ზოგადად, კირნახულის შესანახი მიწისზედა ნაგებობა, სათავსი“) ან ზოგადად რაიმე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ხელოვნური ნაგებობა (თავლა, სახლი, ნალია, გომური, ფარეხი, საბძელი, მარანი...), მაშინ ტოპონიმი ნა-ევე- ან ნა-არ- აფიქსით უნდა გაფორმებულიყო და არა ნა-ავ აფიქსით (მდრ. ნა-სახლ-ევე-ი|ნა-სახლ-არ-ი, ნა-ჯარჯვლ-ევე-ი, ნა-ქალაქ-ევე-ი||ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-სიმინდ-ევე-ი||ნა-სიმინდ-არ-ი, ნა-გომურ-ევე-ი||ნა-გომურ-ალ-ი. ნა-საკირ-ევე-ი||ნა-საკირ-ალ-ი და სხვ. დაუშვებელია: ნა-სახლ-ავ-ი, ნა-საკირ-ავ-ი, ნა-გომურ-ავ-ი... მაშასადამე, მოულონელი უნდა ყოფილიყო ნა-ბედელ-ავ- ფორმაც.<sup>845</sup> სხვათა შორის, აქარისა და იმერეთის მიკროტოპონიმიაში გვხვდება ბედელ-სიტყვის მიხედვით წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელები და ისინი, როგორც მოსალოდ-

<sup>844</sup> ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია I, ბათუმი, 1958, გვ. 145.

<sup>845</sup> ნა-ავ სუფიქსი უპირატესად ზმნურ ძირებთან დასტურდება: ნა-ხნ-ავ-ი, ნა-კლ-ავ-ი, ნა-მ-წვ-ავ-ი, ნა-შვ-ავ-ი...

ნელი იყო, ნა-არ, ნა-ევლ-ებ აფიქსებით არიან გაფორმებულნი:

ნაბელლარ-ი ა. სანახშირის (ზესტაფონის რ.) ერთ-ერთი უბანი.

ნაბელლარა — დაბლობი ადგილის სახელია ს.ფარცხნალში (ხარაგაულის რ.) სახნავია სოფ. ღუღუმეკედში (ხარაგაულის რ.).

ნაბელლებ-ი სამოვარი მამული ს.გაღმა ბოსლევსა (ზესტაფ. რ.) და კვესრებში (ხარაგაულის რ.)...

ყველა ეს ტოპონიმი უკლებლივ იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ ამ შემთხვევაში, მართლაც ბედელი ყოფილა ამოსავალი; ნაბელლარი ან ნაბელლები ნიშნავს: „ადგილი, სადაც უწინ სასიმიდნე ნალია (ბედელი) მდგარა“. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმ ნაბელლავს, იგი აშკარად სხვაგვარი წარმოშობისაა. ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს დასავლურ დიალექტებში (გურული, აქარული, რაჭული, ლეჩხუმური...) გავრცელებული სიტყვა ბ ე დ ე ლ ი , რომელიც, ძირითად მნიშვნელობასთან ერთად, გახდილი (გამოხდილი) ყავრის ერთად დადგმულ-დაწყობილ კუბურებსაც ეწოდება: „გახდილი ყავარი თუ ბეღლად არ დადგი, დაიბრიცება“.<sup>846</sup> გურულ დიალექტში ბედელი ნიშნავს ერთ საპალნედ დაწყობილი ყავრის შეკვრას, გროვას. ერთი ბედელი, როგორც მიუთითებენ, ხუთას ფურცელ ყავარს შეიცავს (ბ.ჭაჭანიძე). ზოგიერთის თქმით, ბედელში 10-12 ურეში ყავარია: „ყავარს გავწმედთ, დავაწყოფთ ჭვარის სახეთ, ბედლებათ, რომ გასწორდეს ყავარი, ბედელში ათ ურმიდან თორმეტამდე“.<sup>847</sup> ასე რომ ნაბელლავი ნიშნავს: „ადგილი, სადაც ყავარს ბედლაუნდენ, საპალნე გროვებად აწყობდნენ; ყავრის ბედლების დასაწყობი ადგილი“.<sup>848</sup> ტოპონიმ ნაბელლავში ასახულია აქაურ მკვიდრთა შინამრეწველობის ერთ-ერთი გავრცელებული დარგი-ყავრის გამოხდა (დაბელლვა) და მისი საპალნე გროვებად გამოზადება ანუ ბედლებად დადგმა. გურია-აქარის ტერიტორიაზე ცოტა როდია სწორედ ამ ბედელ სიტყვის მიხედვით წარმოქმნილი მიკროტოპონიმები (ნაბელლე-ვები,<sup>849</sup> ნაბელლავარი,<sup>850</sup> ნაბელლარი,<sup>851</sup> ნაბელლავები...<sup>852</sup>), რაც კიდევ

<sup>846</sup> ა ლ . კ ო ბ ა ხ ი ძ ე , რაჭული დიალექტის ლექსიკა. თბ., 1987, გვ. 20-21.

<sup>847</sup> ანალოგიური ვარაუდი აქვთ გამოთქმული შ . გ ო გ ა ტ ი შ ვ ი ლ ს და ზ . ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ს , (1987, გვ. 475).

<sup>848</sup> ქართული დიალექტოლოგია 1, 1961, გვ. 494.

<sup>849</sup> ს.წინწკალაშვილები (ხულოს რ.)



უფრო გვარწმუნებს ნაბელდავის ყავრის ბელელისაგან მომდინარეობის მართებულობა-მიზანშეწონილობის შესახებ.

**ნაბუთ-ი** ქალაქ ქიათურის ერთ-ერთი ცნობილი უბანთაგანი. ლეჩავების უბნის ზემოთ მოზრდილი მოვაკებაა. ნაგუთი სწორედ ამ ვაკე ადგილას არის გაშლილ-გაფართოვებული. შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით ტოპონიმი თითქოს მეგრული სიტყვებისაგან ნაგუ(შ)თი („ნაგუს ოჯახი, გვარი, ბუნი, მოდგმა“) იყოს მიღებული. უფრო თავისუფალი ფანტაზიის ადამიანებს რომ ჰკითხოთ, მოგიგებენ: გუთებს უცხოვრიათ ოდესღაც აქ და მიტომ ჰქვია ნაგუთიო. მაგრამ ალბათ ძნელი არ არის იმაში დარწმუნება, რომ გუთების აქ ცხოვრება მოგონილი ამბავია და რომ ნაგუთის წარმოშობასთან მას საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდეს.

ტოპონიმი ნაგუთი გამარტივების გზითაა მიღებული სიტყვა ნაგუთნი-საგან, რაც ნიშნავს: „ნაგუთნევი“, „გუთნით სახნავი მამული“. აღსანიშნავია, რომ ეგვევ ტოპონიმი (ნაგუთი) ზემოიშვრეთის სოფლებში ვენახების, ბუჩქნარი ადგილებისა და სხვათა სახელებად ძალზე ხშირად გვხვდება.<sup>853</sup> ასევე ხშირია აქ მიკროტოპონიმები: ნაგუთები (სსაირხე), ნაგუთნი (მოლითი, წიფა...), ნაგუთნები (შორაპანი, მანდაეთი, ზედა ბერეთისა), ნაგუთნევი (ქვედა ბერეთისა, ფუთი. ცხენთარო...)<sup>854</sup> ტოპონიმი ნაგუთი აგრეთვე ნაგუთნი და ნაგუთნევი ხშირად გვხვდება ზემო აჭარაშიც.

**ნადიკპალ-ი. ნადირკპალ-ი** პატარა ფერდობი ადგილია ზემო იშვრეთში (ს.ჩიხა, საჩხერის რ.) ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულია გადმოცემა, რომლის თანახმადაც ამ სოფელში დიდი თუ პატარა ხშირად პოულობდა უცხო ნადირის ნაკვალევს, რაღაც

<sup>850</sup> ს.წყავროკა (ქობულეთის რ.)

<sup>851</sup> ს.მაჩვისლრუ (ლანჩხუთის რ.)

<sup>852</sup> ს.ბელეთი (ზულოს რ.)

<sup>853</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმი I, ზემო იშვრ. (აკად. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს საერთო რედაქციით), თბ., 1987, გვ. 136.

<sup>854</sup> იქვე, გვ. 136.

ტერფის ანაბეკედებს, რის გამო ადგილისათვის ნადირ-კვალი შეურქმევიათ. სინამდვილეში ნადირის კვალი არაფერ შუაა. თავდაპირველად ამ ფერდობს, უნდა რქმეოდა ნადიკვარ||ნადიკვალი; „მამული, ყანა, რომელზედაც უწინ დიკას თესდნენ“, „ნა-დიკ-ევ-არ-ი მამული“. საყურადღებოა, რომ პურეული კულტურის აღმნიშვნელი სიტყვა დიკა ძალზე ხშირად არის წარმოდგენილი ზემო იმერეთის მიკროტოპონიმიაში: ნადიკარ-ი — საძოვ. ს.გულათუბანი; ნადიკევი — საძოვ. ს.ნავარძეთი; ნადიკვარ-ი — ვენახის, საძოვარის, სახნავის, ტყის სახელებად (28 ერთეული) გვხვდება ზემო იმერეთის 14 სოფელში.<sup>855</sup> შემდგომ, როდესაც მომხდარა ნადიკვალის შინაარსობრივი გაბუნდოვანება, ხალხს კვლავ უცდია მისი „გააზრიანება“ და იგი „გაუშიფრავს“ როგორც ნადი(რ)-კვალი („ნადირის კვალი“). ეს მაგალითიც ნათლად მიგვანიშნებს იმ მუდმივ შემოქმედებით პროცესზე, რომელსაც მოსახლეობა დაუცხრომლად ეწევა მშობლიურ მიკროტოპონიმიაში „თეთრი ლაქების“ შესასვებად.

**ნაპარკმი-ი** სოფელია ზემო იმერეთში (ჭიათურის საქ. საბჰო). ეს სოფელი ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში (X-XI ს.ს.) განთქმული სამეთუნეო ცენტრი ყოფილა. აქაური „ნავარძული“ ქვევრები ერთობ დიდი სახელით სარგებლობდა. ნავარძეთული ქვევრები იმ დროს რაქის სოფლებშიც მიჰქონებიათ: ეს კარგად ჩანს ისეთი მნიშვნელოვანი საისტორიო ძეგლიდან, რომელსაც „ნიკორწმინდის იადგარი“ ეწოდება. ეს ხელნაწერი 1071-1080 წლებს შორისაა შექმნილი. აქ ვკითხულობთ: „ნიკოლაოსწმიდას შევქმენ სახლი ქვითკირი ა და ზედა სახლი მუხისა კარგი, ა, მარანი ქვითკირი ა და დავჰვალ შიგან ქური ნავარძული ივ“.<sup>856</sup> ნავარძეთს, როგორც მნიშვნელოვან ეკონომიკურ-სამეურნეო სოფელს, არც გვიანფეოდალურ ხანაში დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. XVI საუკუნეში იგი კაცხის ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენს, XVII საუკუნის I ნახევრისათვის ნავარძეთი უკვე სამეფო სოფელია; ამიტომაც არის, რომ გიორგი (იმერთა) მეფე ამ სოფელს ხან

<sup>855</sup> ჭ. ძო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 608; საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემოიმერეთი. თბ., 1987, გვ. 136-137.

<sup>856</sup> ჭართული სამართლის ძეგლები III, ი ს . დ ო ლ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1970, გვ. 28.

ეპისკოპოსს აძლევს საჩუქრად, ხან კი ადგილობრივ დიდგვაროვანთ.<sup>857</sup>

ვახუშტი იცნობს ამ პუნქტს, უფრო სწორად — ნავარძეთის ციხეს; ზუსტად მიუთითებს მის ადგილმდებარეობას („ყვირილის ჩდილოთ კიდურსა ზედა“),<sup>858</sup> მაგრამ იგი არაფერს გვეუბნება სახელწოდების წარმოშობის თაობაზე.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ნავარძეთში იგივე ძირი უნდა იყოს, რაც ვარძია-ში გვაქვს, თუმცა აღნიშნული თვალსაზრისი საკირო არგუმენტაციით არ არის შემავრცელებული. გამორიცხული არ უნდა იყოს ამ ტოპონიმის გვაროვნული წარმოშობის შესაძლებლობა. ვფიქრობთ, ამოსავალია გვარი ნავაძე: ნავაძე-ეთ-ი „სოფელი, რომელშიც უცხოვრიათ ნავაძეებს“, „ნავაძეების სოფელი“. რ თანხმოვანი ძ აფრიკატის წინ ფონეტიკურ ნიადაგზე ჩანს განვითარებული: ნავა-რ-ძე-თ-ი. ჩვენს ამგვარ ვარაუდს უთუოდ მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ სოფ. ვარძიაში, აგრეთვე სოფ. ხიდარში (ხარაგაულის რ.) ვენახის სახელად დასტურდება ნავაძისოფლი, რაც ამოსავლად ნავაძეს გვავარაუდებინებს. საყურადღებოა ისიც, რომ სოფ. ბაჭითის (საჩხერის რ.) ერთ-ერთ უბანს ნავაძეების უბანი ეწოდება. ს.ცხომარეთში კი სახნავი ადგილის სახელად ნავაძის ყანა არის დადასტურებული.

**ნამოქვარა** წყარო, ადგილი ზემო აქარაში (ს. ჩაო, ხულოს რ.) ადგილობრივ მოსახლეობაში ძალზე პოპულარულია ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც ნათელვარა თურმე სიტყვა ნათელს უკავშირდება. ეს გადმოცემა იმდენად არის გავრცელებული და სარწმუნოდ მიჩნეული, რომ იგი ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაშიც კი გვხვდება:

„თურმე ყოფილხარ მზის ერთი სხივი  
და ნ ა თ ე ლ ვ ა რ ა ც შეგარქვეს მითომ“.<sup>859</sup>

სინამდვილეში ნათელვარა წინა ვითარების აღმნიშვნელი ერთი ჩვეულებრივი მიკროტოპონიმია, რომელიც ნა-არ აფიქსით არის გაფორმებული: ნა-თელ-ვ-არ-ა „ადგილი, სადაც უწინ თელის ხე მდგარა“. იგი ისევეა გაფორმებული როგორც ნა-პურ-ვ-ალ-ა, ნა-სელ-ვ-

<sup>857</sup> მასიგტ I. თბ., 1964, გვ. 160.

<sup>858</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, თბ., 1941, გვ. 156, 7.

<sup>859</sup> ვ . გ ო რ გ ა ნ ე ლ ი, ლექსები: ჟურნ. „მნათობი“, №1, 1979, გვ. 25.

**ნათობიან-ი (ლაზვიან-ი)** სოფელი შავი ანუ გუდამაყრის არაგვის ხეობაში. 1926 წლის აღწერის მასალების მიხედვით სოფ. ნათობიანში 36 კომლს უცხოვრია (კაცი-99, ქალი 83 - 171 სული). ძირითადი გვარი ლაზვიაშვილი ყოფილა,<sup>861</sup> საიდანაც წარმომდგარა სოფლის სახელი ლაზვიანი, თუმცა აქაურ მოსახლეობას მშობლიური სოფლის ძველი, ისტორიული სახელწოდება — ნათობიანი ასევე უცვლელად შემოუნახავს.

სახელწოდება ნათობიანი აშკარად ანთროპონიმული წარმოშობისაა. ამოსავალია ადამიანის საკუთარი (შერქმეული) სახელი, რომელშიც გადმოცემულია წინაპრის ხელობა-საქმიანობა — ხატის მნათე, ეკლესიის მსახური, რომლის მთავარ მოვალეობას სანთლების ანთება და ზარების რეკვა შეადგენდა. შემდგომ, საკუთარ სახელად ქცევის პროცესში, მნათე სიტყვას გვაროვნული-ობა სუფიქსი დართვია (მნათ-ობა), რომლისგანაც წარმომდგარა მნათობიშვილი. ჩვენთვის საინტერესო სახელში -იან-სუფიქსის გაჩენა გვიანდელია, მას მნათობიშვილთა გვარის კრებითობის აღნიშვნა აქვს დაკისრებული. გვარ-სახელებში -ობა სუფიქსი იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მაინც შეინიშნება: ნან-ობა-ის-შვილი (ნანობაშვილი), გიორგ-ობა-იანი (გიორგობ-იანი), კაც-ობა-ის-შვილი (კაცობაშვილი)<sup>862</sup> და სხვ. შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი მნათობა-ის-ძე (მნათობ-ის-შვილი) ფორმის სიტყვა მნათობ-თან (მზე, მთვარე...) დაკავშირების თაობაზე. ასეთი რამ მოულოდნელად გვეჩვენება, რადგან „მნათობი“ — ციურ სხეულთა აღმნიშვნელი ზოგადი სიტყვა, — მთიულეთ-გუდამაყრის მკვიდრთა სამეტყველო პრაქტიკაში თითქმის არ იხმარება, მნათე კი ცოცხალი და აქტიური ლექსიკური ერთეულია. მნათობ-იანი||ნათობ-იანი-ი ისევეა წარმოქმნილი, როგორც ხუც-იანი-ი (ხუციანი(ს)-ძე), ბერ-იანი-ი (ბერიანი(ს)-ძე), მღვდლ-იანი-ი (მღვდლიაშვი-

<sup>860</sup> დამოწმებული გვაქვს ი. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ის ნაშრომიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა I, ბათუმი, 1958.

<sup>861</sup> ს. მ. ა. კ. ა. ლ. ა. თ. ი. ა., მთიულეთი, ტფილ. 1930, გვ. 12, 66.

<sup>862</sup> ი. მ. ა. ის. უ. რ. ა. ძ. ე., ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. გვ. 34, 118, 236.

ლიმღვდლიშვილი) და სხვ.

**ნამკაშურ-ი** პატარა მდინარე-ხევია ლეჩხუმში (ცაგერის რ.). ნამკაშური ჩამოუდის ს.ლუხვანოს და მიერთვის მდ. ცხენისწყალს (მარჯვ. შენაკადი). ნამკაშური აქ ადგილის სახელადაც არის დადასტურებული. შესანიშნავი სტრიქონები უძღვნა ნამკაშურის ღელეს ანა კალანდაძემ:

„ნაკადულზე ჩამოსულან  
ნამკაშურის წისქვილები“.

აქაურ მცხოვრებთა შორის ფართოდ არის გავრცელებული გადმოცემა იმის თაობაზე, რომ სახელწოდება ნამკაშური თითქოს ნაკაშიძეების გვარს უკავშირდებოდეს: ძველად ეს ადგილები ნაკაშიძეების კუთვნილი ყოფილა, მათ სკერიათ და ასეთი სახელიც ხალხს მიტომ შეურქმევიაო. გადმოცემა უთუოდ საინტერესოა, მაგრამ უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება მისი სვანური ნაკ (აკე) სიტყვისაგან მომდინარეობა. სვანურში ნაკ- სიტყვის მიხედვით არაერთი გეოგრაფიული სახელია წარმოქმნილი. -ნაკ- ფუძის შემცველი სახელები გვხვდება, აგრეთვე, მეზობლად მდებარე ლეჩხუმში.<sup>863</sup>

ნამკაშურ- ფუძეში მ თანხმოვნის არსებობა დიდ დაბრკოლებად არ ჩაითვლება: ამ პოზიციაში სონორი მ-ანის ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენა დასავლური დიალექტებისათვის (იმერული, ლეჩხუმური...) ნიშანდობლივი ფაქტია.<sup>864</sup> სვანურ ნაკ- სიტყვას დართული აქვს სვანურივე -ა-შ სუფიქსი, რომელსაც მოსდევს კუთვნილების აღმნიშვნელი -ურ ელემენტი (იგი, ვფიქრობთ, გვიანდელი დანართი უნდა იყოს). მაშასადამე, ნამკაშური თავდაპირველად უნდა წარმოქმნილიყო სვანური ენისათვის დამახასიათებელი ფორმით: ნამკ-ა-შ-ი (-ნაკ-ა-შ-) „ვაკისა“, „ვაკობი ადგილი“; „მდინარე, რომელიც ვაკე, დაცემული ადგილიდან იღებს სათავეს“.

არანაკლებ საინტერესოდ გვეჩვენება ადგილობრივი (ლეჩხუმური)

---

<sup>863</sup> იხ. მ. ქალაძანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა იშ (II-შ) სუფიქსის საკითხისათვის, ქესს, ტ. III, 1963, გვ. 71.

<sup>864</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოყავი, თბ., 1973, გვ. გვ. 144, 175, 206, 232...

სიტყვა ნამკაშო (ნაკეაშე), რაც ნიშნავს: „იფნის მოკრილი უვარგისი ყლორტები“ (მ.ჩიქოვანი). „ნამკაშოს გამოაცლიან გადაბელილ ხეს გაზაფხულზე; იფანზე რამდენიმე საჭიგოე ტოტს დატოვებენ“. თუ ტოპონიმის ამოსავალ ფორმად ლეჩხუმურ ნამკაშოს ვივარაუდებდით, მაშინ ნამკაშ-ურ-ი უნდა განგვემარტა როგორც „გადასაბელი იფნის ხეებით მდიდარი ადგილი“.

**ნაწილა** სოფელია მცხეთის რაიონში, საქართველოს სამხედრო გზის სიანლოვეს. ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ ამ სოფლის სახელწოდებას რატომღაც არ მოიხსენიებს,<sup>865</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს დასახლებული პუნქტი ნავაზა ფორმით ქართულ ეკონომიკურ საბუთებში XV-XVI საუკუნეებიდან არის უკვე ცნობილი: 1398 წელს ამ სოფლის შეწირულების წიგნი სვეტიცხოვლისადმი განუახლებია ალექსანდრე მეფეს; ანალოგიური შეწირულება 1559 წელს კვლავ განუახლებია ქართლის მეფეს (სიმონს).<sup>866</sup> ამ შეწირულების მიხედვით მეფე სიმონს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს: „...კასპი, ციხე ბლავი,<sup>867</sup> სოფ. კუელენელნი, მისაქციელურნი (მამულნი) ნავაზა, აშს (გლებნი) ოდიშელისძენი, ფონთხელა... ქინძარა, ულუმბა, საგუდე, კოდმანი, ნასოფლარი სავანეთი, შუა მუხენარი...<sup>868</sup> სოფელი ნავაზა „მსახლობელ“ სოფლად შეტანილი აქვს იოანე ბატონიშვილს თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში“.<sup>869</sup> როგორც ჩანს, ვახუშტის დროს ნავაზა, როგორც მოქმედი სოფელი, მოშლილი იყო და იგი მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევისათვისღა აღორძინებულა.

სოფლის დღევანდელ სახელწოდებას (ნაოზა) ადგილობრივი მო-

---

<sup>865</sup> თუ მას არ შეესაბამება ს.ნაოტა, რომელსაც იგი ბაზალეთის მხარეში შემავალ სოფელთა შორის ასახელებს („აღწერა“, გვ. 199).

<sup>866</sup> მასიკტ I, თბ., 1964, გვ. 160.

<sup>867</sup> ციხე ბლავი ბელნაწერი ტექსტის არასწორი წაკითხვის, ან ბეჭდვის ბრალი უნდა იყოს. სავარაუდოა ციხებლავი, რომელიც ჩვენ ციხე-ბოლავის ვარიანტად გვეჩვენება.

<sup>868</sup> დასახ. ნაშრ. გვ. 153.

<sup>869</sup> იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 34.

სახლეობა რატომღაც რუსულ სიტყვას ИАВ03-ს უკავშირებს, ამ ადგილებში ძველად რუსის ჯარი მდგარა, გამართული ჰქონიათ ცხენის თავლები, უზიდნიათ ფურგონებით ცხენის ნაკელი და უშლიათ მინდვრებში. დაურქმევიათ ამაზე ნაოზა" (მიშა ჩილოშვილი, 1988 წ.). ამგვარი ვერსიის გაზიარება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. სულ რომ არაფერი, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ რუსების აქ მოსვლამდე რამდენიმე საუკუნით ადრე სოფელს ქართული სახელი რქმევია! დღევანდელი ნაოზა სწორედ იმ ისტორიული ნავაზა სიტყვისაგან მომდინარეობს — ვა მარცვლის ო ხმოვნად ქცევის გზით (შდრ. გვარი — გორი, თვალი — თოლი, ცხვარი — ცხორი, კვალი — კოლი...). რაც შეეხება თვითონ ნავაზას, იგი, ვფიქრობთ, ნავაზარ-ან ნავაზევ — ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს სახელის კვეცის (გამარტივების) გზით. იგი ისევე უნდა მიგველო, როგორც ნოსტევი-საგან — ნოსტე, სანება-საგან — სანე, რკვიანი-საგან — რკვია და სხვ. მრ. აქარაში, მაგალითად, დასტურდება მიკროტოპონიმი ქვარნა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ქვარნალა („ქვავნარი“, „ქვიანი ადგილი“, „ქვავრილები“).<sup>670</sup> ანალოგიური პროცესის შედეგად უნდა მიგველო ნავაზარ-საგან ნავაზა, საიდანაც დღევანდელი ნაოზა წარმოდგარა. იგი ნიშნავს: „ნავაზარი ადგილი „მამული, სადაც ძველად ვაზი ყოფილა გაშენებული“. შემთხვევით როდი შენიშნავდა ვახუშტი: „მისაქციელიდამ და ოხერ-ხიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი“.<sup>671</sup> ნაოზა ოდითგანვე მევენახეობით ყოფილა ცნობილი.

**ნაპინოვარი-ი** ამგვარი დასახელების სავენახე მამულები საკმაოდ ხშირად გვხვდება ზემო იმერეთის რეგიონში (ხარაგაულ-ქიათურა-საჩხერის მხარე). ხალხური გადმოცემა ნაპინოვარს წინაპრების აღმნიშვნელ სიტყვას — ნაპინავარს უკავშირებს (ტარიელ მდივნიშვილი), თუმცა ამკარაა, რომ მიკროტოპონიმი ნაპინოვარი ვაზის ჯიშის ერთერთ სახეობას პინო-ს მიხედვით არის წარმოქმნილი: „ადგილი, სადაც გაშენებული ყოფილა პინოს ჯიშის ვაზი“. პინო, როგორც ცნობილია,

<sup>670</sup> შდრ. ტოპონიმი ქვარნალიბოლო — ბუჩქნარი ადგილი. ს. ინაშარიძეში (აქარა): ი . ს . ხ . ა . რ . უ . ლ . ი . ძ . ე . , 1958, გვ. 62.

<sup>671</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 64. 14.

ფრანგული ვაზის ჯიშია; იყენებენ შამპანური ღვინოების დასაყენებლად. პინო საკმოდ კარგად შეეგუა იმერეთის მთიან ზოლს. იგი ხარობს და დიდ მოსავალსაც იძლევა ზესტაფონის, ხარაგაულის, საჩხერის და სხვ. რაიონების სოფლებში. (ბაჭითი, დილიკაური, უჩამეთი, ტაბაკინი...)<sup>872</sup> ნაპინოვარ-ფორმაში ვ-ვთანხმოვანი ხმოვანთგამყარის ფუნქციას ასრულებს, თუმცა შეიძლებოდა იგი -ევ სუფიქსის ნაშთადაც მიგვეჩინა (ნაპინო-ევ-არ-ი).

**ნარმოკვამ-ი** პატარა მდინარე ქართლში. მიერთვის მდ. არაგვს მცხეთა-ნატახტრის მიჯნაზე, ღართისკარის აღმართთან (მარჯვ. შენაკადი). მდ. ნარეკვაი სათავეს იღებს ლორწომის მთიდან (ალევე-ლომისის ქედის ერთი განშტოება), ს. გრემისხევთან ახლოს. მდინარის სახელწოდების ეტიმოლოგია უცნობია. ფორმის თვალსაზრისით იგი მიმდებარე სახელს მოგვაგონებს, ნა-ავ აფიქსით გაფორმებულს, მაგრამ რას უნდა უკავშირდებოდეს თვითონ -რეკვ-ძირი, ძნელი სათქმელია. XVII საუკ. ერთ-ერთ დოკუმენტში ნარეკვაი ნარეკვა ფორმით არის მოხსენიებული,<sup>873</sup> მაგრამ ეს ფაქტიც არაფერს გვეუბნება სახელწოდების წარმოშობის თაობაზე. უთუოდ საინტერესოა ისიც, რომ კ.ჰანს შიდრონიმი ნარეკვაი შეცდომით აქვს ჩაწერილი და განმარტებული: *кочовая трава „ნარი“ Ворона „ყვავი“*. სიტყვათა ამგვარ კავშირს თვით ჰანიც გაუოცებია: კაცმა არ იცის, საიდან მომდინარეობს ასეთი უცნაური სახელწოდება.<sup>874</sup> იქნებ: ნარეკვაი „სწრაფი დინებისაგან გარეგვილი ადგილები?“.

**ნაროულა||ნაროულას ხე-ი** პატარა მდინარეა უკანაფშავში (დუშეთის რ.) ჩამოუდის ს.ცაბაურთას. მდ. ფშაეის არაგვის მარცხ. შენაკადი. „ემა ცაბაურთას ხელმარჯვნივ ნაროულაი ჩამაუდის“.<sup>875</sup> სახელწოდება ნაროულას ხევი ანა კალანდაძის პოეზიაშიც არის დადასტურებული: „ციხეგორს გალობს ბულბული,

<sup>872</sup> ქ ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიპერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 302-303.

<sup>873</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 48, სტ. ბურნაყაული მიწა.

<sup>874</sup> СМОТРИК. 40, 1909, Тифл., გვ. 109.

<sup>875</sup> ქართული დიალექტოლოგია I თბ., 1961, გვ. 140.



ციხეგორს მოუღებენია...

ქვემოთ არაგვი გუგუნებს  
და ნაროულას ხევია".<sup>876</sup>

ტოპონიმი (აგრეთვე ჰიდრონიმი) ნაროულა ფშაურ ხალხურ პოეზიაშიც ხშირად იჩენს თავს:

„პირალმ ველარ მობრუნდება ქათამ თავქვე გაქცეული,  
ნაროულაზე დარბოდა ერთი თავპირდამტვრეული“.<sup>877</sup>

სახელწოდება ნაროულა -ურ-ა (||-ულ-ა) სუფიქსით არის გაფორმებული. ეს სუფიქსი საკმაოდ ხშირად ფიგურირებს არაგვის ხეობის ფშავის, ერწო-თიანეთის, აგრეთვე, ცენტრალური ქართლისა და დასავლურ ჰიდრონიმიაში. ამ სუფიქსით უპირატესად პატარა მდინარე-ხევის კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტისადმი (მთა, ტყე, სოფელი, დაბა...) კუთვნილება გადმოიცემა: ჩარგალი- ჩარგლ-ურა, დილომი — დილმ-ურა-ა, ხატხევი — ხატხე-ურა-ა, ლაშე — ლაშ-ურა-ა, ნეძვი — ნეძ-ურა-ა, შარახევი — შარახე-ულ-ა, ჩიხა — ჩიხ-ურა-ა, ძვერი — ძვერ-ულ-ა და სხვ. მრ. ამ შემთხვევაშიც ამოსავალი ჩანს მთის სახელი ნარა „ნარით დაფარული ადგილი, მთა“, რომელსაც ულ-ა სუფიქსის დართვით ბოლოკიდური ა ასიმილაციის წესით ო ხმოვნად ქცეულა: ნარა-ულ-ა — ნარო-ულ-ა.

**ნარუშაღ-ი** სახნავ-სათესი მინდვრის სახელად დასტურდება ზემო აქარაში (ს. აბუქეთა, ხულოს რ.) შეიძლება დაგვეშვა (და სრულიად მართებულადაც) მისი რუე-სიტყვისაგან მომდინარეობა (ნარუვალი — ნარუშაღი), მით უმეტეს, რომ ვ-მ სონორ თანხმოვანთა ურთიერთმონაცვლეობა (სუბსტიტუცია) ამგვარ პოზიციაში სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელია. მაშასადამე ნარუშაღი ნარუვალად-გილს უნდა ნიშნავდეს: „მინდორი, რომელზედაც ხელოვნური ან ბუნებრივი რუ გადიოდა“. რუ, რუეი მარტოოდენ მდინარეს არ გულისხმობს; რუ (რუა) შეიძლება თხრილს, ჩადაბლებულ ადგილსაც აღნიშნავდეს.

ასეა თუ ისე, ეს ჩვეულებრივი მიკროტოპონიმი ალბათ არ იძლეოდა იმის საბაბს, რომ ზოგიერთ მკვლევარს იგი ძველ ტომებთან რ უ-

<sup>876</sup> ანა, რჩეული, თბ., 1973, გვ. 216.

<sup>877</sup> ა ლ . ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი , მთას ვიყავ, თბ., 1980, გვ. 18.

მ ე ბ თ ა ნ დაეკავშირებინა და ამ ადგილებში მათი ოდინდელი მოსახლეობის მიმანიშნებელ ფაქტად ეცნო.<sup>876</sup> არავითარი ისტორიული ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, რომ ტრაპიზონის მხარეში მოსახლე რუმელებს (შდრ. თამარისდროინდელი ქვეყანა რუმი, რუმის სასულთნო...) შუასაუკუნეებში მაინცდამაინც ხულოს რაიონის ტერიტორიაზე ეცხოვრათ და თავიანთი აქ სახლობის მიმანიშნებელ ფაქტად ტოპონიმი ნა-რუმალი დაეტოვებინათ. როგორც ჩანს, მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა იმ გარემოებამ, რომ წინავეითარების აღმნიშვნელი ეთნონიმური შინაარსის ტოპონიმები სწორედ ამ ნა-არ (||ნა-ალ) ან ნა-ევ აფიქსებით წარმოიქმნებიან. (ნა-სომხ-არ-ი, ნა-სპარს-ევ-ი, ნა-ოს-არ-ი, ნა-რუს-ალ-ი...)<sup>879</sup> ამ შემთხვევაში ჩვენ სრულიად სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ბოლოს და ბოლოს ამოსავლად შეიძლებოდა გვევარაუდა ნა-ურმ-ალ-ი და არავითარ შემთხვევაში — რუმის ქვეყნის ხალხი, მათი საცხოვრისი ადგილი.

**ნასომხარ-ი** სოფელი იყო ქიზიყში (სიღნაღის რ.) საქობოსთან ახლოს. ამჟამად ნასომხარი ცალკე სოფლად აღარ არსებობს, იგი ს. საქობოს .ერთ-ერთ უბნად შეერწყა.

ვახუშტი ბატონიშვილი და, მის კვალად, იოანე ბატონიშვილი ნასომხარს შუამთის სოფლებს შორის ასახელებენ.<sup>880</sup>

ტოპონიმი ნასომხარი აშკარად ეთნონიმური წარმოშობისაა, იგი გაფორმებულია წინავეითარების აღმნიშვნელი ნა-არ სუფიქსით: ნასომხ-არ-ი. „ადგილი, სადაც სომხებს უცხოვრიათ“. ამის მიუხედავად, ადგილობრივ მოსახლეობაში ტოპონიმ ნასომხარის წარმოშობის შესახებ ასეთი გადმოცემა გავრცელებული: ერთხელ აქ ვილაც კაცს მამითადი ჰქონია. დაუკლავთ საკლავი, როცა მუშა ხალხი სადილად დაუს-

---

<sup>876</sup> მ . ბ ე ლ თ ა ძ ე , „ნათურქალის“ გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ჟურნ. „მაცნე“, №2, 1973, გვ. 59.

<sup>879</sup> იხ. ჩენი „ქართული ტოპონიმია და ეთნოლოგიურ საკითხთა კვლევის ზოგიერთი ასპექტი“: კრებული იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXII, თბ., 1980, გვ. 323.

<sup>880</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 207, იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 68.

ხამთ, უმეტვალყუროდ დარჩენილი ხარი მისულა არყის სახდელ კვამბ-თან და გამოქაჭული ჩენჩო და ნარჩენი სულ შეუქამია. ცოტა ხნის შემდეგ ხარი დამთვრალა, იქვე წაქცეულა, მას შემდეგ იმ ადგილებისათვის ხალხს ნასომ ხარი (ნასვამი ხარი) შეურქმევია. (თამარ ცხოვრებაშვილი, ს.საქობო) აი, კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ცდილობს მოსახლეობა ნათელი, გამჭვირვალე შინაარსის ტოპონიმებშიც კი მოძებნოს თავისებური, თუნდაც ხელოვნური, მაგრამ რაღაცით საინტერესო ამბავი.

**ნასპმრ-ი** პატარა ლამაზი სოფელია ლეჩხუმში (ცაგერის რ.) თავიანთი სოფლის სახელწოდების წარმოშობას ნასპერლები დასპერვას (მოსპობა, განადგურება, მუსრის გავლება) უყავშირებენ:

„თაბორლებს დიდი ბრძოლა ქონიათ, მარა მტერი ისე ბევრი ყოფილა, რომე თაბორლებს ეშმაკობა უხმარიაყე: მოკუნტული ჭოხებიზა ქეჩები გადოუფარებიათ. ეს ქეჩები თლა კაცებს დამგვანებია. მტერს უფიქრია, კაცებიო და დაუტხია ტყვიები. დოუხარჯია მთელი ტყვია-წამალი. მერეს გამოსულარიენ ციხიდან ჩვენები და თლა გოუწყვეტიაყე. მაშინ თქმულა: მტერი თლა დეისპერაო. დოუთქმევიათ იმ ადგილისათვი ნასპერი. (ბ.ქარსელაძე, ს.თაბორი).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდის მიხედვით ტოპონიმი ნასპერი სატომო სახელისაგან (სპერები, სასპერები) გვქონია მიღებული. ეს ტომები, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ადრინდელი საუკუნეებიდანვე სახლობდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციებში. ტოპონიმ ნასპერის ანალიზის საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც სპერების სამოსახლოები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებიდან თურმე ლეჩხუმის მიწებამდეც კი ვრცელდებოდა, რაკი სოფლის სახელი ნასპერი სპერების (სასპერების) ძველი საცხოვრისის აღმნიშვნელ სახელად იქნა გაგებული.<sup>881</sup> აღნიშნული ვარაუდის თანახმად ნასპერი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ეთნოტოპონიმი (ნა-სპერ-ი): „სოფელი, რომელშიც უძველეს ხანაში სპერების ტომს უცხოვრია“. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ სპერების (სასპერების) მიგრაცია დღევანდელი ლეჩხუმის ტე-

<sup>881</sup> თ . მ ი ქ ე ლ ა ძ ე . ძიებანი... თბ., 1974, გვ 13.

რიტორიაზე წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ თვითონ ნასპერის ლინგვისტური (ენათმეცნიერული) ანალიზი ამ ფაქტს მხარს არ უჭერს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტოპონიმი ნასპერი სრულიად სხვაგვარი ინფორმაციის შემცველი ერთეულია. პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური წარმომავლობის ტოპონიმები მართოდენ ნა-თავსართით არასოდეს არ ფორმდებოდნენ და არც ამჟამად ფორმდებიან. როცა ტოპონიმში ამა თუ იმ ტომის ოდინდელი სახლობა არის აღნიშნული, მაშინ ქართული ენა საამისოდ ნა-არ-(||ნა-აღ-), ნა-ევ- აფიქსებს იყენებს: ნა-კახ-არ-ი, ნა-თუშ-არ-ი, ნა-რუს-აღ-ი ნა-თათრ-აღ-ი, ნა-სომხ-არ-ი; ნა-სპარს-ევ-ი... შეუძლებელია ენაში გვქონოდა ასეთი წარმოების სახელები: ნა-კახ-ი, ნა-თუშ-ი, ნა-რუს-ი, ნა-თურქ-ი, ნა-სომხ-ი და მისთ. მაშასადამე, მოულოდნელია ენაში არსებულიყო ნა-სპერ-ი (ეთნონიმური გაგებით).

ჩვენი ვარაუდით ტოპონიმი ნასპერი სვანური ენის ფაქტია. ლეჩხუმის ტერიტორიაზე შენიშნულია მთელი წყება გეოგრაფიული სახელებისა, რომელთა შინაარსობრივი ახსნა მხოლოდ სვანურ ენაზეა შესაძლებელი. მათ რიგს უნდა მივაკუთვნოთ ნასპერიც. ეს ტოპონიმი შეიცავს წინავითარების ნა- პრეფიქსს და სვანური ტოპონიმისათვის ძალზე ნიშანდობლივ -ერ სუფიქსს (შდრ. ცაგ-ერ-ი, ისუნდ-ერ-ი, ცხუ-კუშ-ერ-ი, უცხ-ერ-ი, გვალდ-ერ-ი, ლადრ-ერ-ი, ლაშხრ-ერ-ი, ფხუტრ-ერ-ი, ლენჯ-ერ-ი, ცალ-ერ-ი და სხვ.). მაშასადამე, ნასპერ- სახელში ძირისეულ მასალად უნდა გამოიყოს -სპ- ელემენტი, რომელიც, როგორც ირკვევა, სვანური სიბ-ჟ სიტყვის შეკუმშული ფორმა ყოფილა. სიბ-ჟ სვანურად ბრუნვას, ტრიალს, გადაბრუნებას ნიშნავს. ბალსხემოურ კილოში მაგ., ლგ-სპ-ე მიწის გადაბრუნების, ყამირის გატეხის გაგებით დასტურდება (გიორგი ნიჟარაძის დამოწმებით). შდრ. ასევე უ-სპ-ა || ვი-სპ-ა „უ-ბრუნებ-ელ-ი“; „გადაუბრუნებლად გამომცხვარი პური“. (კლ.გაგუას ცნობით). ქა-ნა-სგპ („გადანაბრუნები“), ქა-ლი-სპ-ე „გადაბრუნება (ტანსაცმლისა) (ე.გაზდელიანის ცნობით). ყოველივე ამის შემდეგ ალბათ აღარ უნდა დაგვაეჭვოს ამ ფაქტმა, რომ ნასპერი (ნა-სპ-ერ-ი) არ შეიძლება ეთნონიმ სპერს, სასპერს უკავშირდებოდეს; იგი როგორც ვოქვით, სვანურია შინაარსობლივადაც და გაფორმების თვალსაზრისითაც. ნასპერი ნიშნავს: „ნაბრუნები მიწა, ადგილი“, „ახლადგადაბრუნებული, ახლადგატეხილი ყამირი“ (შდრ. ქართ. ნა-ტეხ-ი).

ნასპერი რომ ეთნონიმ სპერებს (სასპერებს) არ უკავშირდება, იქიდანაც ჩანს, რომ ამ შინაარსის და გაფორმების მიკროტოპონიმები ლეჩხუმში სხვაგანაც გვხვდება. ასე, მაგალითად, სოფ. თაბორში, ადგილ „ციხისგვერდის“ ახლოს არის ვენახი და სახნავ-სათესი ნაკვეთი, რომელსაც ნასპერა ეწოდება. მართალია, ამ ტოპონიმის წარმოშობასაც ადგილობრივ მტრის „დასპერვას“ (გაჟლეტა, პირწმინდად დახოცვა) უკავშირებენ, მაგრამ მისი ნამდვილი შინაარსი ჩვენთვის უკვე ცნობილია ს.ლაჭანაში (ცაგერის რ.) ადგილის სახელად გვხვდება აგრეთვე ნასპერალა ღელე.<sup>662</sup> ტოპონიმები ნასპერი, ნასპერა, ნასპერალა ღელე... კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ლეჩხუმის ტერიტორიაზე სვანურენოვანი მოსახლეობის ოდინდელი „სხდომის“ ფაქტზე. ეს კი, თავის მხრივ, გამოგვარიცხვინებს ტოპონიმ ნასპერის სპერების სატომო სახელის მიხედვით წარმომავლობას.

**ნასტემუნარი-ი** ცნობილი ადგილია გურიაში. აქ ქართველი არქეოლოგების მიერ ამ ოციოდე წლის წინათ მიკვლეული იქნა საკულტო-სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები. თვითონ სახელწოდება ნა-სტეფნარი-ი აშკარად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ აქ, ამ ადგილას, უწინ მდგარა სალოცავი, საკულტო-რიტუალური ნაგებობა, რომელიც წმ. სტეფანეს სახელობის ყოფილა. ქართულ თეონიმიში წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესიები საკმაოდ ხშირად გვხვდება. უთუოდ საინტერესოა, რომ უძველესი ხანის მცხეთაში, არჩილის (ვახტანგ გორგასლის პაპის) მეფობის უამს „კართა ზედა არაგვსათა“ აუფიათ „ეკლესია სტეფან-წმიდისა“.<sup>663</sup> სტეფანე პირველ-მოწამის სახელობის ეკლესიები მცხეთის გარდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც უშენებიათ. შეიძლება გავიხსენოთ ხევის (ყაზბეგის რ.) დიდი სალოცავი სტეფან-წმინდა, რომლის სახელიც მიკუთვნებული ჰქონდა დაბას. მერმინდელ ყაზბეგს.

ერთ-ერთი ასეთი სალოცავი ყოფილა აგებული აგრეთვე გურიაში, რომელსაც, ვფიქრობთ, „სტეფანე“ უნდა რქმეოდა. აქედანაა უშუალოდ წარმომდგარი „ნასტეფნარი“. სხვათა შორის, ქიზიყში (სოფ. ქვე-

<sup>662</sup> მ. ჩ. ი. კ. ვ. ა. ნ. ი., ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრ. IX, თბ., 1939, გვ. 144.

<sup>663</sup> ქართლის ცხოვრება I თბ., 1955, გვ. 140, 20.

მო მაჩხანნი) არის პატარა საკულტო ნაგებობა, რომელსაც ასევე „სტეფანე“ ეწოდება.

**ნატანმბ-ი** მდინარე და სოფელი გურიაში (ოზურგეთის რ.) მდინარე ნატანები სათავეს იღებს საყორნიას მთაში. ნატანები, აგრეთვე სუფსა გურიის მთავარი მდინარეებია. „გურია მდიდარია მდინარეებით. მათგან ყველაზე დიდია სუფსა და ნატანები მათი ურიცხვი შენაკადებით, რომლებიც აქარის მწვერვალთა ღრმა ხეობებით ჩამოედინებიან.<sup>864</sup> სოფელ ნატანებს სახელი მდინარის სახელწოდების მიხედვით შერქმევია. ნატანები (ძველი მიქელ-გაბრიელი) სასოფლო საბჭოს ცენტრია. მასში ოცამდე სოფელ-უბანია გაერთიანებული (ნატანები, შეკვეთილი ჭიშკილვანი, შავა, შრომა, ნარუჯა, საკუბრე (ქვედა და ზედა), დონაური, საღმთო, ჭაფარეული, ლეკურა, ახალშენი, მიქელგაბრიელი, ვაკე. ზედუბარი, ზედა ორმეთი, ხრიალეთი, მოცენარი...).

ტოპონიმ ნატანების ეტიმოლოგიით დიდი ხნის წინათ დაინტერესებულან. ადგილობრივ საკმაოდ პოპულარულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ნატანები „პატარძლის მზითვად გატანებული მამულები“ ყოფილა. ზოგიერთი სახელწოდება ნატანების შექმნას უფრო უცნაურ და უჩვეულო ამბავს უკავშირებს: ერთი პატარძალი, სახელად ნატა, ნებით გაჰყვა თავის საქმროს“ და თითქოს სოფელსაც ამის გამო შერქმევია ნატანები (გადმოცემა ჩაუწერია ნაირა ბაგრატიის ასულ თავაძეს, სფ).

საქართველოს ტოპონიმიით დაინტერესებული რუსი მკვლევარი კ.ჰანი სახელწოდება ნატანებს ზმნურ გატანებას უკავშირებდა, თუმცა იქვე შენიშნავდა, სახელწოდების ამგვარი წარმოშობის მიზეზი გაურკვეველიაო.<sup>865</sup>

კ.ჰანი ამავე სტატიაში ერთ ცნობასაც გვაწვდის: მდ. ნატანებს ძველად ი რ ი ს ი რქმევიაო. აქ უმეკველად რალაც უზუსტობასთან გვაქვს საქმე.

ჩვენი ვარაუდით ტოპონიმი ნატანები შექმნილი უნდა იყოს მდი-

<sup>864</sup> დ ი მ ბ ა ქ რ ა ძ ე , არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აქარაში, თბ., 1987, გვ. 88.

<sup>865</sup> კ . ჰ ა ნ ი , СМОНПК. 40. 1909, Тифл.: გვ. СМОНПК. 40, 1909. გვ. 109.

ნარე ნატანების ჰიდრომორფოლოგიური თვისების (მიწის ქანების სწრაფი რეცხვა) მიხედვით. როგორც ჩანს, ამ მდინარისათვის ნიშანდობლივია ქვიშის ძლიერი გამონატანები, რასაც უთუოდ ხელს უწყობდა მდინარის კალაპოტის დაქანება, დიდი დახრილობა ზღვისკენ. თუ გავიხსენებთ, რომ მთელი კოლხეთის დაბლობი შავი ზღვის ყოფილი უბეა, რომელიც წარმოქმნილა მდინარეთა მიერ საუკუნეთა განმავლობაში მოზიდული ნატანი მასით<sup>886</sup> (ლამი, ქვიშა, ხრეში...), მაშინ ნათელი უნდა გახდეს ტოპონიმ ნატანების წარმოქმნის ისტორიაც. მაშასადამე, ნატანები უნდა გავიგოთ როგორც მდინარის ნატანზე (ნატანებზე) აღმოცენებული სოფელი.

**ნატახტარ-ი** ისტორიული სოფელი ქართლში, საქართველოს სამხედრო გზაზე, მდ. არაგვის მარჯვ. ნაპირზე (მცხეთის რ.).

თუ ნებისმიერი კუთხის მცხოვრებთ სისხლბორცეულად უყვართ მშობლიური სოფლების სახელწოდებანი, ნატახტარის მკვიდრებს ეს გრძნობა განსაკუთრებით აქვთ გაცხოველებული, რადგან ისინი თავისი სოფლის სახელწოდებას ქართველთა სათაყვანებელი მეფე-ქალის — თამარის-სახელს უკავშირებენ, — თამარ მეფეს თავისი საზაფხულო რეზიდენცია აქ ჰქონდა, ხშირად მთელი მისი სახლეულობა ზაფხულის ცხელ დღეებს აქ ატარებდა და რადგან თამარს საზაფხულო ტახტი აქ ედგა, სოფელსაც ნატახტარი მიტომ შერქმევიაო. რას იზამ, ასეთთა ზალხის ნება და სურვილი, ოღონდ საჭიროა ვიცოდეთ, რომ საისტორიო წყაროები სულ სხვაგვარ ინფორმაციას გვაწვდიან. პირველი ისაა, რომ თამარს საზაფხულო რეზიდენციად ჰქონდა ტაბახმელა (სადაც მას ლაშა-გიორგი შეეძინა) და არა ნატახტარი; მეორეცაა და, ქართული საისტორიო წყაროების მონაცემებით აღრეულ და შუა საუკუნეებში ე.ი. თამარის ეპოქამდე და მას შემდეგაც, ვიდრე XVII საუკუნემდე, ამ სოფელს საფურცლე ერქვა და არა ნატახტარი.

ტოპონიმი ნატახტარი წინა ვითარების ამსახველი მიმღობური სახელია. დაინტერესებულ მკითხველს ალბათ უკვე აღარ გაუძნელდება მასში ნა- პრეფიქსისა და -არ სუფიქსის გამოყოფა. მაშ, ნატახტარი

---

<sup>886</sup> იხ. ბ. ი. ნ. ა. ს. ა. რ. ი. ძ. ე. სინამდვილედ ქცეული ლეგენდა ოქროს საწმისზე, ობ., 1987, გვ. 5.

ისევე ყოფილა გაფორმებული, როგორც, ვთქვათ, ნა-ციხარ-ი, ნა-ბად-არ-ი, ნა-ვენახ-არ-ი, ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-ბოსტნ-არ-ი... სახელწოდების ძი-რია ტახტი, ოღონდ ესაა არა სამეფო ტახტი, არამედ სამეურნეო დარგის სიტყვა თახტი, თახტა, იგივე ტახტი: „ბოსტანში ოთხკუთხა უჭრებად (კვლებად) დაყოფილი მიწის ნაკვეთები; უჭრები, დანაყოფები ბოსტნეულის (ხახვი, ნიორი, წიწკა, მწვანილეული...) მოსაყვანად“. თახტა||ტახტა/ი აღმოსავლური წარმოშობის სიტყვაა. იგი შესულია აზერბაიჯანულში, აქედან კი — ქართული ენის იმ დიალექტებში, რომელთაც მასთან უშუალო ენობრივი კონტაქტები აქვთ (ინგილოური, მაგალითად). სიტყვა Taxta გავრცელებულია ჩრდილო-კავკასიის (მალყარეთი, ყაბარდო, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ოსეთი...) ხალხთა ენებშიც, სადაც იგი, ბოსტნის კვლების გარდა ზოგადად ვაკობ ადგილს, ტერასულ სამეურნეო ნაგებობებსაც აღნიშნავს. სიტყვა თახტა||ტახტა ფართოდ არის გავრცელებული ინგილოურ, ჭავჭავურ, ქვემო ქართლის, ცენტრალური ქართლის, კახეთის და ა.შ. სამეურნეო ლექსიკაში.<sup>887</sup> განსაკუთრებით ხშირად იჩენს თავს სიტყვა თახტა||ტახტა/ი მებოსტნეობის, მევენახეობის და ხელოვნური სარწყავი სისტემის სამშენებლო ლექსიკაში: „ტახტი არ გვეშენა, ხეხილს ვერ გავზრდიდით, მიწას ვერ მოვრწყავდით“; „ვენახს ბევრი შრომა უნდა, ტახტი უნდა აუშენო. ტახტებს იმიტომ ვაშენებდით, რომ ხილი და ვენახი მოგვერწყო“.<sup>888</sup> საბოსტნე თუ სავენახე ნაკვეთებში თახტების (ტახტების) აშენება XVI-XVII საუკუნეების საქართველოში კარგად ყოფილა ცნობილი. 1690 წელს გაცემულ ერთ-ერთ წყალობის წიგნში ნათქვამია: როსტომ მეფემ უბოძა ვინმე ბატაძეს, ქალაქის მოურავის მანუჩარის შვილს, ადგილი გიორგი მამასახლისის დუქნების წინ. ბატაძემ ეს ნაბოძები ადგილი „ტახტებად ააშენა“, რომელიც შემდეგ გიორგი მამასახლისის დაუთმო, ტახტებს ზევით ად-

<sup>887</sup> ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, გვ. 122; გრ. ბერიძე, ჭავჭავური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981, გვ. 62; ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1978, გვ. 166; ნ. ჩიჭავაძე ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1976, გვ. 67.

<sup>888</sup> ნ. ჩიჭავაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 75, 100.



გილი რაც იყო, ის კი მიჰყიდა.<sup>889</sup>

როგორც ვხედავთ, სიტყვა **თახტი||ტახტი** ქართულ ენაში ძველ-თავანვე გავრცელებული ყოფილა. მას იცნობს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტების უმრავლესობა. ამიტომაცაა, რომ ამავე არეალის ტოპონიმიაში სიტყვა **ტახტი** საკმაოდ ხშირად გვხვდება:

**ნატახტარ-ი** გორა-ნამოსახლარი სართიქალის (საგარეჯოს რ.) ახლოს;

**ტახტისგორა** ადგილი კახეთში: „ბახტრიონიდან ტახტისგორამდე გაშლილ ველზე გაშენებულია ზემო და ქვემო ალვანი“.<sup>890</sup>

**ნატახტარ-ი** ადგილი ს.თავაწყაროში (დედოფლისწყაროს რ.)<sup>891</sup>

**ტახტისძირ-ი** სოფელია ქარელის რ-ში.

**ნატახტრებ-ი** სახნავი მამული ს.ორბელში (ლეჩხუმი).<sup>892</sup>

**კარატახტა** ადგილია ს. არბოშიკში (დედოფლისწყაროს რ.) და სხვ. მრ. აი, სწორედ ამ **თახტა||ტახტა** სიტყვისაგან წარმოქმნილ ტოპონიმთა რიგში არის განსახილველი ჩვენთვის საინტერესო სახელწოდება **ნატახტარიც**.

მართალია, სპეციალისტების ერთი ნაწილი მოსახლეობაში გავრცელებულ გადმოცემებს სარწმუნოდ მიიჩნევს და თვლის, რომ აქ ქართველ მეფეებს (ოლონდ არა თამარს, არამედ მეფე თეიმურაზს) სატახტო ადგილი ჰქონია და სოფელსაც თითქოს ამიტომ შერქმევია **ნატახტარი**,<sup>893</sup> მაგრამ აქ წარმოდგენილი ტოპონიმიკური მასალა, ვფიქრობთ, ნათელს ხდის, რომ სამეფო ტახტის არსებობა არაფერ შუაა. **ნატახტარ-ი** ნიშნავს: „ადგილი, სადაც ძველად საბოსტნე (სავენახე) ოთხკუთხა უჯრები (კვლები, დანაყოფები) ჰქონია ხალხს გაკეთებული“.

<sup>889</sup> მასიგტ I, თბ.. 1964, გვ. 214, სტ. ქალაქი (ტფილისი).

<sup>890</sup> ვ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ოჯახის ეკონომიური საფუძვლები წოვა-თუშებში კრებ. ივ.ჭავჭავიძის 100 წლისთავის საიუბილეოდ, თბ., 1976, გვ. 445.

<sup>891</sup> ე . ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი , კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრ. IV, თბ., 1980, გვ. 12.

<sup>892</sup> მ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი , ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრ. IX, 1939, გვ. 144.

<sup>893</sup> შ . გ ო გ ა ტ ი შ ვ ი ლ ი , 1981, გვ. 31.

„სოფელი, რომელიც ძველ ნათახტარზე (ნათახტარებზე) გაშენებულა“.<sup>894</sup> თუ გავიხსენებთ იმ ვითარებას, რომ ჩვენი საუკუნის 30-40-იან წლებამდე ძირითადად ნატახტარი იყო ქალაქ თბილისის მოსახლეობის მწვანულეულით მომარაგების მთავარი წყარო, მაშინ ტოპონიმ ნატახტარისათვის ამოსავალ სიტყვად თახტის („საბოსტენ კვალი“) გულგება მოულოდნელად აღარ უნდა მოგვეჩვენოს.

**ნაშარმულ-ი** დიდი და ცნობილი სოფელია შუა კახეთში (თელავის რ.). ნაფარეულის წარმოშობის შესახებ ხალხში რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი მათგანი მას „პარვა“ ზმნას უკავშირებს: „მოპარული ადგილი“. ამ ვარაუდის გავრცელებას, საფიქრებელია; სახელწოდების რუსულმა დაწერილობამ (Напареули) შეუწყო ხელი. ზოგის თქმით, ამ სოფლის გაუვალ ტყეებში თურმე შვიდი ქისტი ძმა იმალებოდა. მათგან მხოლოდ სამი გადარჩენილა და გვარად ფარეულიძე დაურქმევიათ: **ნა-ფარეულ-ი** „ფარეულიძეთა ნაქონი ადგილი“.

მეორე გადმოცემის მიხედვით აქ უწინ თუშებს ცხვრის ფარები ედგათ; სოფელი ნაფარევ ადგილზე გაშენებულა და ამიტომაც მისთვის ნაფარევი ადგილი ანუ **ნაფარეული** შეურქმევიათო.<sup>895</sup>

არანაკლებ პოპულარულია ადგილობრივ მოსახლეობაში თვალსაზრისი მისი **მოფარება**, **ეფარება** ზმნისაგან მომდინარეობის თაობაზე: სოფელს მთის ბორცვები ეფარება და ამიტომაც მისთვის ნაფარეული დაურქმევიათო.<sup>896</sup>

აღნიშნულ თვალსაზრისთაგან ანგარიშგასაწევი ჩანს მეორე ვერსია (ნა-ფარ-ევ-ი ადგილი), ოღონდ ასეთ შემთხვევაში ტოპონიმიში უპირატესად **ფარენ-** სიტყვა გვხვდება და არა **ფარა**: ნა-ფარენ-ლ-ებ-ი, ნა-ფარენ-ევ-ი, ნა-ფარენ-ლ-ევ-ი, ნა-ფარენ-ალთ გორი და მისთ. აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, კახეთისა და ერწო-თიანეთის, ტოპონი-

---

<sup>894</sup> პროფ. ზ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს დამოწმებით, მამამისი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ჯაფარიძე ნატახტარს ნათახტარად წარმოთქვამდა: ნათახტარის წყალი, ნათახტარის მწვანელი...

<sup>895</sup> თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ქართული ენის კაბინეტის ონომასტიკური ფონდი.

<sup>896</sup> კ. ჰ ა ნ ი , СМОНПК, 40, 1909, გვ. 108.

მიაში გავრცელებული ფორმებია, ნა-ფარ-ევ-ი, ნა-ფარ-ალ-ი კი თითქოს არსად დასტურდება.

ჩვენი ვარაუდით ნაფარეული ფშაური დიალექტის კუთვნილი სიტყვაა. იგი წარმოქმნილი ჩანს ამ რეგიონში ფშაური მოსახლეობის კახეთში „ჩამოწოლის“ შედეგად. ამ ფაქტით უნდა აიხსნას ალბათ ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ნაფარეულს საერთოდ არ იცნობს, მისი აღმწერლობითი შრომის გამგრძელებელი იოანე ბაგრატიონი კი ნაფარეულს უკვე ლალისყურ-სანიორეს შორის მდებარე სოფლად იხსენიება.<sup>897</sup>

ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს ფშაური სამეურნეო (სამიწათ-მოქმედო) ტერმინი ფარვა, ნაფარი. რაც ფარცხვას, დაფარცხულს ნიშნავს. ნაფარ-ი (ფშ.) დაფარცხული ყანა.<sup>898</sup>

დავაკვირდეთ ფშაური მეტყველების ნიმუშებს:

„თუ ამას მაძქნავ, ერთ დღესაც დაფთესაც, დაძჭარავ, მაშინ დაგანებებ თავსაც“.

„ადგა, დაიწყო ჯნვა ისევა... დათესა კიდეც-დ დაფარა კიდეც იმავ დღეს“.

„...როდისევე დაფარულ ამეში (ნაფარცხში, გ.ბ.). საით მოკრიფოს, რარიგ მოკრიფოს“...

„მიუძღვა ი ნაფარშია და დაუწყეს კრეფა იმ ქიანკველებმ“.<sup>899</sup>

სიტყვა ნაფარ-ი ფაქტიურად ნათეს (დაფარცხულ) ყანას ნიშნავს; მიწით დაფარული მარცვლეული“, „ნაფარცხი ყანები“. საინტერესოა, რომ ერთ ძველ ქართულ საბუთში (1792 წ.) გვხვდება იურიდიული ტერმინი „მიფარული კაცი“: „ღ-ნ იმდენი გამარჯვება მოქცეს, რამდენი კაცი საქართველოსი ავის ღროთი მიფარული იყოს და დაკარგული იყოს...“<sup>900</sup>

დაფარვა, დაიფარება, დაფარავს, დაფარცხვის მნიშვნელობით,

<sup>897</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 70.

<sup>898</sup> გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978, გვ. 233 (ლექსიკონი).

<sup>899</sup> მაგალითები დამოწმებ. გვაქვს გ. ცოცანიძის ზემოხსენ. ნაშრომის მიხედვით (1978, გვ. 130).

<sup>900</sup> ქართული სამართლის ძეგლები, VIII, ის. დოლიძის რედაქციით, თბ., 1985, გვ. 143.

მთიულური დიალექტისათვისაც არ არის უცხო.<sup>901</sup> ფარვა-დარუყვას, ბუნებრივია, იცნობს ხევსურულიც: „თესლს ფარავდნენ ფარცხით“; „ხარებს დილას მალედ აკმეითად, რო დროზე მოიხნასა და დაიფაროს“; „ბოლოდან დასტურები ფარცხს მოაყოლებდნენ და დაფარავდნენ“.<sup>902</sup>

ყოველივე ზემოთქმული აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტობონიმი ნაფარეული სამიწათმოქმედო დარგის ფშაური წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს: „ნაფარი (ნაფარცხი) მიწები“. იგი იმგვარადვეა გაფორმებული, როგორც რაჭული ბუგ-ეულ-ი (←გუბ-ეულ-ი), „ადგილი, სადაც წყლის ბუგეები (გუბეები) დგება“; მარნ-ეულ-ი, ბარ-ეულ-ი, ძირაგ-ეულ-ი და მისთ.

**ნაჭარმაგვე-ი** ისტორიული სოფელი ცენტრალურ ქართლში, ქართველ მეფეთა საზაფხულო ადგილსამყოფელი, განთქმული სანადირო ადგილებით: „გორს ზეით ლიახვს ერთვის გორისავე ქალისა და ნაჭარმაგვეის წყალი. ნაჭარმაგვეი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო და აწ კარაღეთად წოდვილი“.<sup>903</sup>

ტობონიმი ნაჭარმაგვეი დიდი ხნოვანობისაა. იგი შუასაუკუნეების დროინდელ ქართლის სამეფოში დაწინაურებულ და მნიშვნელოვან პუნქტად იყო ცნობილი. „დავით აღმაშენებლის ეპიტაფიაში“ ნაჭარმაგვეი მეფის რეზიდენციად არის მოხსენიებული:

„ვინ ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,  
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით გამესხნეს,  
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,  
აწლა ამათსა მოქმედსა ჯღლნი გულზედან დამესხნეს“.<sup>904</sup>

ამ ეპიტაფიას სპეციალისტთა ერთი ნაწილი შოთა რუსთაველის ნამოღვაწევად მიიჩნევდა, ზოგი კი თვლიდა, თამარ მეფის მიერ არის

<sup>901</sup> ლ. კ ა ი შ ა უ რ ი, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 199, 201.

<sup>902</sup> გ. ჭ ა ლ ა ბ ა ძ ე, მემინდვრეობის კულტურა აღმოს. საქართველოში, თბ., 1986, გვ. 125, 128...

<sup>903</sup> ვ. კ ე ლ ი ძ ე, ქართლის ცხოვრების ქრონიკები. III, თბ., 1980, გვ. 14.

<sup>904</sup> ჯარათული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980, გვ. 20.

შექმნილიო; ზოგიც მას ხალხური პოეზიის ნიმუშად მიიჩნევდა. ექვთ.თაყაიშვილის მიერ 1908 წელს შემთხვევით აღმოჩენილი შესანიშნავი ისტორიული ძეგლის „ხელმწიფის კარის გარიგების“ (გამოიცა 1920 წელს) საგულდაგულოდ შესწავლამ მისი აღმოჩენი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „ეპიტაფიის“ ავტორი იყო არა შოთა რუსთაველი ან მეფე თამარი, არამედ არსენ იყალთოელი (XI-XII ს.ს.ძიჯნა).<sup>905</sup> ამ აღმოჩენით საბოლოოდ დამტკიცდა, რომ თექვსმეტმარცვლიანი შაირით ჩვენში რუსთაველამდეც კარგა ხნით ადრე უწერიათ.

სახელწოდება ნაჭარმაგვეი წინაეითარების აღმნიშვნელი ნა-ევ აფიქსით არის წარმოდგენილი. იგი ისეთივე აგებულებისაა, როგორც ნა-ქალაქ-ევ-ი, ნა-დარბაზ-ევ-ი, ნა-მონასტრ-ევ-ი, ნა-ქულბაქ-ევ-ი, ნა-ღვარ-ევ-ი... გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ნა-ევ აფიქსი ძირითადად საზოგადო არსებით სახელებს დაერთვის, ჰარმაგი კი ზედსართავი სახელია (გამოხატავს ადამიანის ასაკობრივ და ფიზიკურ მდგომარეობას). საფიქრებელია, ამასვე უკავშირდებოდეს რაქის სოფელ კვაჟა-გომში დადასტურებული მიკროტოპონიმი ნაჭარმაგვეი. ტოპონიმი ნაჭარმაგვეი ახოვანი, ბრვე, ძლიერი ადამიანების საცხოვრებელ ადგილად ესახებოდა კ.ჭანს.<sup>906</sup>

არ არის გამორიცხული, რომ „ჭარმაგი“, რაღაც რელიგიური შინაარსის შემცველი სახელი იყოს. ნიშნდობლივია, რომ ადგილ ნაჭარმაგვეში (იგი მდებარეობს ს.კარალეთის დასავლეთით, მდ. ლიხვსა და კარალეთს შორის) შემორჩენილია კვირაცხოვლის ხატი. ჰარმაგი, ჩვენი ფიქრით, თეონიმად (საკულტო სახელად) ქცეული სიტყვა უნდა იყოს. (შდრ. პირქუში, პირქუშის ხატი, შემოქმედო, ბატონ ცვარიელი და თვით კვირია ცხოველი||კვირაცხოველი) და მისთ.

**ნოღაიდა** ძველი ნასოფლარი ადგილი ს.ხინოსთან (ქობულეთის რ.). „ნოღაიდა (||ლოღაიდა) სავაქრო ადგილი ყოფილა. ბიძის გადმოცემით ვიცი, რომ ნოღაიდაში ხალხი უწინ საქონელს შეკრებდა და ხდებოდა გაცვლა“.<sup>907</sup> სოფლის გარდა ნოღაიდა მთის სახელადაც

<sup>905</sup> ი . მ ე გ რ ე ლ ი ძ ე , ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989, გვ. 182.

<sup>906</sup> კ . ჭ ა ნ ი , CMOMIK, 40, 1909, გვ. 110.

<sup>907</sup> ნანული ჯემალის ასული ნოღაიდელის (ქ.ბათუმი) ნაამბობიდან.

გვხვდება იმავე ხინოს ტერიტორიაზე".

ტოპონიმი ნოლაიდა (||ლოლაიდა) წარმოდგარია ორი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვისაგან. ესენია: ნოლა („სოფელი, რომელსაც აქვს სავაჭრო ცენტრი, ბაზარი“, ქალაქის ტიპის დასახლება“) და დიდა ანუ დიდი. იგი ისევეა გაფორმებული, როგორც: მარადიდი, ქუონდიდი, ზუგდიდი... დროთა განმავლობაში ნოლაიდა გამარტივებულა და მისგან ნოლაიდა მიგვიღია (შდრ. ჭალაიდა (სახნავია ლეჩხუმში, ს.ლატორიაში),<sup>908</sup> ქვაიდა (||ქვადიდა) — ადგილის სახელია ტყიბულის რ-ში და სხვ.

ნოლაიდა სოფელს უნდა შერქმეოდა ამ კუთხეში არსებული სხვა დანარჩენი სავაჭრო დაბა-სოფლებისაგან გამოსარჩევად, განსასხვავებლად. ტოპონიმი ნოლაიდა გამხდარა ამოსავალი ცნობილი ქართული გვარისათვის ნოლაიდელი: „სოფელ ნოლაიდას მკვიდრი“; „ნოლაიდადან წამოსული ადამიანი“... მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც გვარი ნოლაიდელი თითქოს ტოპონიმ ნოლაითი-საგან მომდინარეობს,<sup>909</sup> მაგრამ როცა ფაქტობრივ დადასტურებულია სოფელ ნოლაიდას არსებობა, თანაც აქარაშივე, ვფიქრობთ, აღარ უნდა იყოს საჭირო არაქართული ნოლაითის თუ ნოლაეთის მოხმობა და მასზე ვარაუდის აგება.

**ნუქრიან-ი** ცნობილი სოფელია ქიზიყში (სიღნაღის რ.). ხალხურ თქმულება-გადმოცემებს დღემდე შემოუნახავთ არაერთი ვერსია სოფელ ნუქრიანის სახელწოდების წარმოშობის თაობაზე. ერთ-ერთი თქმულებით სოფელს თავისი სახელი ირმის ნუქრის მიხედვით შერქმევია. „ერთი ნუქრი სოფლის ხალხს მოსჩვევია, აღარავის უფრთხოდა, დიდს თუ პატარას ლუკმას ხელიდან აცლიდა. ერთხელაც ეს ნუქრი სოფელში დაფეთებული და გადარეული შემოვარდნილა. ხალხს უგრძნია, რომ სოფელს რაღაც საფრთხე ემუქრებოდა და ყველა ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილა. სოფელს მართლა დასცემიან ლეკები, მაგრამ ციხეში გამაგრებულ ხალხს დედაბუდიანად ამოუხოცნიათ, შინ ამბის წამლე-

<sup>908</sup> მ . ჩ ი ქ ვ ა ნ ი , 1939, გვ. 153.

<sup>909</sup> მ . ა ლ ა ვ ი ძ ე , შეხვედრები უზბუცეს გრამატიკოსთან: გაზ. „ქუთაისი“, №29, 2 ივლისი, 1977.

ბი აღარავინ გაუშვიათ“ მეორენაირი გადმოცემით „ერთხელ ქიზიყს თათრების ჯარი შემოსევია. როცა მათი ლაშქარი სოფელში შემოსულა (სოფელს მაშინ სხვა სახელი რქმევია) თათრის ბელადს შვლის ნუკრისათვის მოუკრავს თვალი. ნუკრს ბელადი სილამაზით გაუოცებია და მისი ცოცხლად დაქერა განუზრახავს. შვლის ნუკრი თურმე მიუშვებს ახლოს, მერე უცებ გახტება განზე და გაშორდება. ეს თათრის სარდალი თურმე სულ გადარია; მიუშვებს, გაქცევა, მიუშვებს გაქცევა. ესე ტყუებ-ტყუებით უტარებია თათრის ბელადი, სანამ ერთ ფრიადო კლდეზე არ გადაუჩიხია და თან თქვენი და ჩვენი დამაწყევრის ჭირი არ წაუღია“ (სიმონ კველიშვილი, ს.საქობო).

ამ მშვენიერ თქმულებებს, სამწუხაროდ, სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. ტოპონიმი ნუკრიანი სინამდვილეში მომდინარეობს არა შვლის ნუკრისაგან, არამედ ადამიანის საკუთარი სახელისაგან (ნუკრი) მასზე გვარის, ბუნის კრებითობა-სიმრავლის აღმნიშვნელი -იან სუფიქსის დართვის გზით. საქმე ისაა, რომ თუ ტოპონიმი ფუძედ ფრინველნადირის სახელს იყენებს, მაშინ ეს გეოგრაფიული სახელები ფორმანტებად სა-ე; სა-ია, სა-ეთ და სხვა აფიქსებს დაირთავენ: სა-ირმ-ე, სა-მგლ-ე, სა-ბუ-ე, სა-მაჩვ-ია, სა-ღორ-ია, სა-მტრედ-ია, სა-ცხენ-ეთ-ი, სა-შევარდნ-ე, სა-ორბ-ე და სხვ. მრ. როცა ტოპონიმი ფუძედ ანთროპონიმს (ადამიანის სახელ-გვარს) იყენებს, მაშინ საწარმოებელ სუფიქსებად, წესისამებრ -იან (||-იან-ებ-) და ან- (||იან-ებ-) ელემენტები გვხვდება.

მაშასადამე ნუკრიანი ნიშნავს: „სოფელი, რომელშიც ვინმე ნუკრის (ნუკრიას) შთამომავალს უცხოვრია“. სპეციალურ ლიტერატურაში კი ნუკრიანი მონადირეობის დარგის აღმნიშვნელ ტოპონიმად არის მიჩნეული და ისეთ სახელთა შორის განიხილება, როგორიცაა: დათვისი, გველეთი, კაკაბაური, ლომისხევი, მგლიანი, საირმე...<sup>910</sup>

ვიმეორებთ, ტოპონიმი ნუკრიანი ფაუნონიმი რომ იყოს, მაშინ ჩვენ სა-ნუკრ-ია, სა-ნუკრ-ეთ-ი, ნუკრ-ეთ-ი და მისთ. ფორმა უნდა გვქონოდა. ნუკრიანი ისევე გაფორმებული როგორც მგლ-იანი, შაშ-იან-ი, ფან-იან-ი, ბაკურ-იან-ი, ნან-იან-ი, შარუმ-იან-ი და სხვ.

<sup>910</sup> იხ. გეოგრაფიული სახელწოდებათა ახსნა-ვანმარტება. თბ., 1965, გვ. 10.

**ნუნის-ი** (||**ლილი**||**შპან-ი**) ლამაზი მთიანი სოფელია ზემო იმერეთში (ხარაგაულის რ. ზვარის სას. ს.). ამ სოფელს შორს გაუთქვა სახელი გოგირდოვანი მინერალური სამკურნალო წყაროების სიუხვემ და მისმა დიდმა ეფექტიანობამ. სოფლის სახელწოდება **ნუნის-ი** მეორეულია, იგი **მუნისი-საგან** მომდინარეობს და ნიშნავს: „მუნის (ქავანა, მღერი) სამკურნალო წყაროები“, „ადგილი, სადაც გამოედინება მუნის სამკურნალო წყლები“.

ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი, მართალია, **ნუნის** რატომღაც **ნონის** უწოდებს<sup>911</sup> და მასში სხვაგვარ შინაარსსაც დებს („**ნონას** შთამომავალთა სოფელი“), მაგრამ აქაურ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სწორად ხსნის მშობლიური სოფლის სახელწოდებას. „**ნუნისი** იყო მუნისი, მუნის აბანოა იქა“.<sup>912</sup>

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ტოპონიმიაში, კერძოდ. ზემოიმერეთში, გეოგრაფიულ სახელებს შორის ხშირად გვხვდება მუნის (მღერის) სამკურნალო წყაროების აღმნიშვნელი მიკროტოპონიმები. ს. მარელისში, მაგალითად, არის მინდორი, რომელსაც **მუნიაყანა** ეწოდება; ანალოგიური შინაარსის ტოპონიმები ბევრია ქართლშიც (მუნშიმწები, მუნისწყარო, მუნიაპკორდები (სამცხეში)... ერთ-ერთი ასეთი სახელია ჩვენთვის საინტერესო **ნუნისიცი**, რომლის თავდაპირველი ფორმა **მუნ-ის-ი** ყოფილა.

— ო —

**ობჩა** სოფლების — პირველი ობჩისა და მეორე ობჩის საერთო სახელი. ორივე სოფელი მდებარეობს ბაღდათის რაიონში, რაიონული ცენტრიდან 8-9 კილომეტრის დაშორებით. სოფელი პირველი ობჩა გაშენებულია მდ.ხანისწყლის მარჯვენა მხარეს (ზღვის დონიდან 240 მ). რაც შეეხება მეორე ობჩას, იგი დასახლებულია მდინარეების ყვირილისა და საკრაულის წყალგამყოფი ქედის ჩრდილო მთისწინეთში, მდ. ლუხუტის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) სანაპიროზე (ზღვ. დონიდან

<sup>911</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 155.

<sup>912</sup> ქ. ძოწეიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 581.



220 მ.). სოფლები გაშენებულია პატარ-პატარა, მწვანეში ჩამჯდარ, ტალღოვან გორაკებზე, რაც მხახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ობჩა ისტორიული სოფელია. ქართულ ეკონომიკურ და საისტორიო ძეგლებში იგი XVI საუკუნის პირველი ათეული წლებიდან მოიხსენიება. ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ აქ მოსახლე ბურჯანაძეების რვა კომლი ყმა-გლეხი მეფეთ-მეფე ბაგრატს ბიკვინტის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს.<sup>913</sup> იმავე პერიოდის ერთი ეკონომიკური საბუთის მიხედვით ოფჩელებს ეკლესიის „გამოსალები“ მართებიან.<sup>914</sup> ცნობილ „ბიკვინტის იადგარში“ (ეკლესიისათვის შეწირულ სოფელთა ნუსხა), რომელიც 1525-50 წლებშია შექმნილი, ობჩა ოფჩა-დ არის კვლავ მოხსენიებული: „გადრეთ ჩუენ მეფემან დიდმან ბაგრატ თქუენ საყდარსა ბიკვინტისა ღმრთისამშობლისასა და შემოგწირეთ... რაქას სოფელი ბარი... ლეჩხუმს — საჩხეური, წუგნა, კუებლევი...“<sup>915</sup> ოფჩას ბურჯანაძენი რვა კუამლი კაცი“.<sup>916</sup> ამ მონაკვეთის მიხედვით ცხადი ხდება, რომ XV-XVI საუკუნეებში ობჩა||ოფჩა ვრცელი რეგიონის, მთელი კუთხის სახელწოდება ყოფილა, რაკი იგი ძეგლში რაქისა და ლეჩხუმის ტოლ ერთეულად არის წარმოდგენილი.

ცნობილია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ობჩა სპარსული წარმოშობის ტოპონიმი ყოფილა. იგი თურმე სიტყვა აბ („წყალი“) და სპარსული კნინობითობის აღმნიშვნელი -ჩა ნაწილაკის შეერთებით გვექონია მიღებული. მოგვიანებით მდინარის სახელი აბ-ჩა სოფელზე გადასულა; იქვე ჩამომდინარ წყალს კი ადგილობრივი სახელი ლუხუტა შერქმევიაო.<sup>917</sup>

ჩვენი ვარაუდით ტოპონიმი ობჩა (||ოფჩა) ზანური ენობრივი წარმონაქმნი ჩანს. შესაძლებელია იგი მომდინარეობს ქანურ-შეგრული ო-ფშ-ა||ფო-ფშ-ა||ე-ფშ-ა ზედსართაული შინაარსის სიტყვისაგან, რაც

<sup>913</sup> მასიგტ 1, თბ., 1964, გვ. 168.

<sup>914</sup> იქვე, გვ. 168.

<sup>915</sup> ალბათ: კუეშლევი.

<sup>916</sup> ქსდ, II, თბ., 1965, გვ. 178.

<sup>917</sup> ი უ ს ტ . ა ბ უ ლ ა ძ ე , სამი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის: თსუ შრ. X, თბ., 1989, გვ. 281

ქართულ „სავსეს“, „ბევრს“ ნიშნავს.<sup>918</sup> სოფელს ეს სახელწოდება გამორჩეული სიუხვე-ნაყოფიერების გამო უნდა დარქმეოდა. სამუშაო ვარაუდად შეიძლებოდა დაგვეშვა მისი თურქული წარმომავლობაც: **ხოფ-ჩაი**: „ხოფის ეკლესიის მდინარე“. საქმე ისაა, რომ ობჩაში შემორჩენილია **ხოფის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი** (შუა საუკუნეები), რომელსაც შეიძლებოდა აქ გაშენებული სოფლისათვის სახელწოდება მიეცა. მაშასადამე **ოფჩა||ობჩა** უნდა გავიზროთ როგორც **ხოფ-ჩაი** (—**ჰოფ-ჩა**—**ოფ-ჩა**) თავკიდურა ხ||ჰ თანხმონის მოსალოდნელი დაკარგვით. იგი, ალბათ, ნიშნავს: „ხოფის [მონასტრის] მდინარე“.

**ოზანო** მთისა და საძოვარი მამულების სახელად გვხვდება გუდამაყრის ხეობაში (ს.ათნოხი, ღუშეთის რ.). აქვე დასტურდება მიკროტოპონიმები **ოზანოს ძირი** (ფერდობი ადგილი, და **ოზანოს ხევი**.<sup>919</sup>

სტეციალისტთა ერთი ნაწილი ოზანოს რატომღაც მეგრული წარმოშობის ტოპონიმად მიიჩნევს. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი ჯ.გვასალია თვლის, რომ ტოპონიმი **ოზანო** შესაძლებელია გავიგოთ როგორც „საზანო“, „ზანების საცხოვრებელი ადგილი“.<sup>920</sup> ანალოგიურ თვალსაზრისს ადგას (თუმცა ერთგვარი დაქვეებით) გ.ხორნაული. მისი თქმით, „შესაძლოა ესეც (ოზანო, გ.ბ.) ერთ-ერთი ზანური ტოპონიმი იყოს... ოზანო ქართულად ითარგმნება როგორც **საზანო ე.ი. ზანებისა, ზანების მთა**“.<sup>921</sup> გ.ხორნაულს შესაძლებლად მიაჩნია ოზანოს ადგილობრივი წარმოშობაც; ამოსავლად მიიჩნევს მცენარე უზანის სახელწოდებას.<sup>922</sup>

მართლაც ძნელია დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს მთიანეთში. კერძოდ, გუდამაყარში, იპოვებოდეს ზანურენოვანი წარმოშობის გეოგრაფიული სახელები. რაც მთავარია,

<sup>918</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებ. ლექსიკ. ტფილისი, 1938, გვ. 240.

<sup>919</sup> გ . ხ ო რ ნ ა უ ლ ი , მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 61.

<sup>920</sup> ჯ . გ ვ ა ს ა ლ ი ა , შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის: ჟურნ. „შაენე“ (ისტორიის... სერია), №1, 1976, გვ. 147.

<sup>921</sup> გ . ხ ო რ ნ ა უ ლ ი , დასახ. ნაშრ. გვ. 169.

<sup>922</sup> იქვე, გვ. 169.

ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ ეთნონიმური წარმომავლობის ზანურ ტოპონიმებში ო-თავსართი, ჩვეულებრივ, არ დასტურდება. იგი წესისამებრ დაერთვის საზოგადო არსებით სახელებს: ო-ირემ-ე, ო-რაგვ-ე, ო-კვინორ-ე, ო-კრიბ-ა, ო-ტორონჯ-ია, ო-ფურჩხ-ეთ-ი, ო-ცარც-ე, ო-კალმახ-ე, ო-ჩხომ-ურ-ი... მოულოდნელია: ო-მარგალ-ე, ო-ზან-ე, ო-ქორთ-უ, ო-შონ-ე და სხვ. ამ წესის მიხედვით უნდა გამოირიცხოს გუდამაყრული მიკროტოპონიმ ოზანო-ს მეგრული წარმომავლობა. იგი, საფიქრებელია, მართლაც მცენ. უზანის სახელისაგან არის წარმომდგარი უ||ო ხმოვნთა მონაცვლეობის გზით: უზან-ა—უზან-ო—ოზანო: „უზნიანი ადგილები“.

**ოზურბეკი-ი** რაიონული ცენტრი ჯურიაში. 1933 წლიდან დაბას მახარაძე შეერქვა, მაგრამ 1989 წელს მას კვლავ დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახელწოდება.

იშვიათია ტოპონიმი, რომლის წარმოშობის თაობაზეც ამდენი ვარაუდი გამოეთქვათ სპეციალისტებსაც და არასპეციალისტებსაც.

ადგილობრივ მოსახლეობაში დღესაც პოპულარულია ხალხური ახსნა: ოსურ გეთ „ქალიშვილი წაიყვანეს“ (თურქები აქედან ხშირად იტაცებდნენ ულამაზეს ქაბუკებს და ქალიშვილებს სამხრეთის ქვეყნების ბაზრებზე გასაყიდად). ამ ხალხურ ვერსიას, რა თქმა უნდა, სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს.

ტოპონიმი ოზურგეთი წარმოშობით მეგრულია. მასში გამოიყოფა თავსართი ო-, რომელიც ფუნქციურად ქართული სა- პრეფიქსის ფარდია (მდრ. მეგრ. ო-ირემ-ე და ქართ. სა-ირ-მე, მეგრ. ო-ტორონჯ-ია და ქართ. სა-მტრედ-ია (ტორონჯი-მტრედი), მეგრ. ო-კრიბ-ა და ქართ. სა-კრა(ვ)-ულ-ა (კირიბი-კრავი, ბატკანი)... ძირია დასავლურ ქართული (კოლხური) ზუგ-ი (აქედან რ-ს ფონეტიკური განვითარებით — ზურგი); იგი ნიშნავს „ბორცვი“, „გორაკი“, „შემადლებული ბუნებრივი გორა, პატარა მთა“. სახელწოდებას ბოლოში დართული აქვს ქართული გეოგრაფიული -ეთ სუფიქსი, რომელიც რაღაც საგანთა კრებითობაზე, გავრცელებულობაზე მიგვანიშნებს. მაშასადამე, ოზურგეთი (ო-ზუგ-ეთ-ი||ო-ზურგ-ეთ-ი) უნდა გავიგოთ როგორც „საზურგეთი“, „საბორცვეთი“; „ადგილი, სადაც მრავლად არის ბუნებრივი ბორცვები, ზუგები“. ვისაც თუნდ ერთხელ უნახავს ოზურგეთის შემოგარენი, და-

რწმუნდება, რომ ამ გეოგრაფიულ სახელწოდებაში ზუსტად არის ასახული გურიის ულამაზესი მიკროლანდშაფტი.

ტოპონიმ ოზურგეთის წარმომავლობის საკითხით მეცნიერები ძირითადად ჩვენი საუკუნის დამდეგიდან დაინტერესებულან. მის ირგვლივ სხვადასხვაგვარი თვალსაზრისები გამოუთქვამთ მ.ჯანაშვილს, ნ.მარს, თ.სახოკიას, იუსტ.აბულაძეს, გ.ლომთათიძეს, ი.სიხარულიძეს, ზ.ქუშუმბურიძეს, შ.გოგატიშვილს...

ნ.მარი ოზურგეთ ფორმაში გამოყოფდა ოზურ- (←ოსურ) სიტყვას („ქალი“, „ცოლი“) და გეთ- ელემენტს, რომელიც მას ჰე+თ სუფიქსისაგან მომდინარედ მიაჩნდა. იმავე -კეთ სუფიქსს ხედავდა ნ.მარი ისეთ ტოპონიმებში, როგორც არის აკეთი, ერკეთი და სხვ. და ეს მაშინ, როცა ამ ტოპონიმებში აშკარად გამოიყოფა არა -კეთ- ელემენტი, არამედ ქართული -ეთ სუფიქსი.

იუსტ.აბულაძე ოზურგეთს მიიჩნევდა მაზდეანობისდროინდელ ენობრივ ფაქტად. მკვლევრის ვარაუდით ტოპონიმის პირველი ნაწილი ოზურ- მომდინარეობდა არაბიზებული სპარსული სიტყვისაგან აზურ (აზურ) — ნიშნავს „ცეცხლი“; მეორე ფუძე კი წარმოადგენდა სპარსულსავე ქედ, ქედე სიტყვას („სახლი“). საბოლოო ვარაუდით ოზურგეთ-ი უნდა გაგვეზარებინა როგორც „ცეცხლის სახლი“.<sup>923</sup> ამავე წერილში იუსტ.აბულაძემ მკაცრად გააკრიტიკა მ.ჯანაშვილისეული თვალსაზრისი — ოზურგეთი საზურგეთს ნიშნავსო.<sup>924</sup> ამ ვარაუდს მან გაუგებრობა უწოდა.

თ.სახოკია, პირიქით, მხარს უჭერდა მ.ჯანაშვილს: „ოზურგეთი იგივე სა-ზურგეთია. ამ აზრისაა ოზურგეთის სახელწოდების შესახებ ისტორიკოსი მ.ჯანაშვილიცა“.<sup>925</sup> ოღონდ ტერმინი სა-ზურგ-ეთ-ი თ.სახოკიას გაგებული ჰქონდა საყრდენის, სიმაგრის მნიშვნელობით: ოსმა-

<sup>923</sup> იუსტ.აბულაძე, სამი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. X, 1939, გვ. 280-281.

<sup>924</sup> იხ. მ.ჯანაშვილი, ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ტფ., 1904, გვ. 321, შნშ. 528.

<sup>925</sup> თ.სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 20.

ლოს ჯარი ოზურგეთს იქით ველარ მიდიოდა, რადგან „გურულებს ამ ადგილას ზურგი ყოველთვის მაგრად ჰქონდათო“.<sup>926</sup>

სპეციალისტთა ერთი ნაწილი ოზურგეთს ორ-ზურგეთად წარმოიდგენს: ორი ზურგი, ორი მთა. გ.ლომთათიძე, მაგალითად, დარწმუნებით წერდა, ოზურგეთი ორ-ზურგეთ-ი-საგან მომდინარეობს, რადგან ქალაქი ორ მთას შუა იმყოფებაო.<sup>927</sup> ი.სიხარულიძის მიხედვითაც ოზურგეთი ორ+ზურგეთ-ი-საგან გვექონია მიღებული: აქ ორზურგიანი მთა არისო.<sup>928</sup>

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ტოპონიმი ოზურგეთი (ო-ზურგეთ-ი) ზანური (მეგრული) წარმოშობის სახელია და ნიშნავს: სა-ზურგეთ-ი, სა-ბორცვ-ეთ-ი; ადგილი, სადაც ბევრი ბუნებრივი ბორცვია; მთაგორიანი ადგილები.<sup>929</sup>

**ონჭიქეთ-ი** (ზემო და ქვემო ონჭიქეთი)<sup>930</sup> სოფლებია გურიაში (ჩოხატაურის რ.). ზოგიერთ ოფიციალურ, აგრეთვე, საისტორიო-გეოგრაფიულ წყაროში ამ სოფლის სახელწოდება წარმოდგენილია ხან ონჭიქეთად, ხან კი — ონჭიქედად.<sup>931</sup> სახელის ასეთი სხვადასხვაგვარი დაწერილობა იმის პირდაპირი შედეგი ჩანს. რომ ტოპონიმის შინაარსი მისი უშუალო მომხმარებელი ხალხისათვის იმთავითვე დაბნელებულა: მას ხან -ეთ სუფიქსიან სახელად მიიჩნევდნენ (ონჭიქეთ-ი), ხან -ქედ

---

<sup>926</sup> ეს თვალსაზრისი მთლიანად გაიზიარა და გაიმეორა შ.გოგატიშვილმა (1981, გვ. 29).

<sup>927</sup> გ.ლომთათიძე, ოზურგეთი: გაზ. „მუშა“, ტფ., 1928 წ. 11.03. №1592.

<sup>928</sup> ი.სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა I, ბათუმი, 1958, გვ. 54.

<sup>929</sup> იხ. ზ.კუშმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 482.

<sup>930</sup> ასეა მოხსენიებული იგი საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1977 წ. ცნობარში (გვ. 99) და, ამის შესაბამისად, ოკონომთა ინვერსიულ ლექსიკონში (იხ. კრებ. ტოპონიმიკა II, თბ., 1980, გვ. 103; შემდგენლები შუქია აფრიდონიძე და ფიქრია მაკალათია).

<sup>931</sup> ი.სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა) სიგე, IV, თბ., 1971, გვ. 98.

საზღვრულიან ტოპონიმად (ონქიქედ-ი), ხანაც -იქეთ საზღვრულიან სახელად (ონქ-იქეთ-ი).<sup>932</sup> ჩვენი ფიქრით ტოპონიმი ონქიქეთ-ი|ონქიკეთ-ი მომდინარეობს ზანური ოქინკეთი-საგან, რაც ნიშნავს: „სა-ქინკეთ-ი“, „ქინკების, ავსულების მოსაჩვენებელი (გადატ. საშიში) ადგილები“.

გურიის იმერეთისა და აქარის მიკროტოპონიმიაში არაერთგზის დასტურდება ჭინკა|ჭიმკა სიტყვის მიხედვით წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელები. ქვემო შუხუთში, აგრეთვე, ს.გორისფერდში (ლანჩხუთის რ.) ღელეების სახელად გვხვდება საჭინკია, რაც მეგრ. ო-ჭინკ-ეთ-ი-ს ზუსტი შესატყვისია. საინტერესოა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ყოფილა სოფელი ჭინკათხევი,<sup>933</sup> რაც ქანეთის ისტორიულ მხარეში ჭინკა ტერმინის ასეთსავე გავრცელებაზე მეტყველებს.

**ონჯოხეთი-ი** მთიანი სოფელია იმერეთში (ვანის რ., გადიდის სას. საბჭო). ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით სოფლის სახელწოდება სიტყვა ჯოჯოხეთი-საგან წარმომდგარა: „გაუთავებელი იცოდა ამ სოფელში სიცხეც და სიცივეც; თუ წვიმები იყო, აღარ გადიკარებდა, თუ დარი და მზე იყო, დაწვავდა ყოლიფერს... წვეთს აღარ მოწვიმდა, დოუთქმევიათ ჯოჯოხეთი. ჯოჯოხეთმაც მეტი და ვარესი რა იცის!“ (ზურაბ გიორგაძე, დ.ვანი). ამგვარი ვერსია თვით ტოპონიმ ონჯოხეთ-სიტყვასთან ფონეტიკურად მსგავსი ქდერადობის გამო უნდა გაჩენილიყო.<sup>934</sup>

ივ.ჭავჭავაძის შიშველი ონჯოხეთს ზანური წარმოშობის სახელწოდებად მიიჩნევდა.<sup>935</sup> ანალოგიურ აზრს ავითარებდა არნ.ჩიქობავაც,<sup>936</sup> ოლონდ

<sup>932</sup> შდრ. ჭვარიქეთი, ქეციქეთი...

<sup>933</sup> იხ. ნ. ბ. ო. ს. ტ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., იასე რაქველის (მეხუზლა) წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 36.

<sup>934</sup> არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური წარმომავლობისა იყოს სოფ. ომჯარეთის (ლანჩხუთის რ.) ერთ-ერთი კუთხის (უბნის) სახელწოდება ჯოჯოხეთი. როგორც ჩანს, აქაც ამოსავალი მეგრული ოჯოხეთი („სა-ძახეთ-ი“) უნდა ყოფილიყო; გადააზრიანების შედეგად კი ჯო-ჯოხეთი მიგვიღია.

<sup>935</sup> ივ. ჭ. ა. ვ. ა. ბ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 56.

<sup>936</sup> არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იკვ. ტ. XIX, თბ., 1974, გვ. 74.

არაფერი იყო ნათქვამი ამ ტოპონიმის კონკრეტულ შინაარსზე, მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული იყო სახელწოდების სრულიად სწორი გრამატიკული ანალიზი: **ო-ნ-ჯოხ-ეთ-ო**.<sup>937</sup> აშკარაა, რომ აქ **ო-ეთ** კონფიქსია, ძირია — **ჯოხ- ელემენტი**, **-ნ- კი** — ფონეტიკური დანართი.

ქანურში დაცული **-ჯოხ-** ძირი ქართული **ძახ-** ძირის ზუსტი შესატყვისია,<sup>938</sup> რაც **ძახ-ილ-** (**და**)-**ძახ-ებ-ა...** ფორმებში იჩენს თავს. ამ ფაქტის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ **ონჯოხეთი** ნიშნავს: „საძახებელა ადგილები“, „ექოს გამომცემი ადგილი“, „საყვირალა“, „სა-ძახ-ეთ-ი“ (იხ. სტ. **ორჯოხი**).

**ორთაქალა** ჩვენი დედაქალაქის ფუძე-უბანი, მისი ერთ-ერთი უძველესი კუთხეთაგანი. სახელწოდება **ორთაქალა** ქართულ საბუთებში XVIII საუკუნის I ნახევრიდან ჩნდება. **ორთაქალა** თავდაპირველად ერქვა კუნძულს, რომელსაც ორად განტოტვილი მტკვარი წარმოქმნიდა. XIX საუკუნეში კუნძულის საკუთარი სახელი „**ორთაქალა**“ მიმდებარე უბან-დასახლებასაც შეერქვა და მთელი იმ კუთხის საერთო სახელად იქცა. სპეციალისტთა ერთი ნაწილის ვარაუდით **ორთაქალა** ქართული წარმოშობის ტოპონიმია, თანაც „გამკვირვალე“ და „მეტყველი“ შინაარსის სახელი,<sup>939</sup> მაგრამ ვფიქრობთ, რომ **ორთაქალა** რთული შედგენილობის სახელია. პირველი ფუძეა **თურქ. ორთა**, რაც ქართულად **შუას** ნიშნავს (**შდრ. ორთაბათუმი**, „შუა ბათუმი“, **ორთაგაკე** „შუა ვაკე“ და მისთ.).<sup>940</sup> მეორე ფუძედ გამოდის ქართული სიტყვა **ქალა**. მაშასადამე, **ორთაქალა** უნდა განიმარტოს როგორც **შუაქალა**.<sup>941</sup> ჩვენი ვარა-

<sup>937</sup> იქვე, გვ. 74.

<sup>938</sup> **ა რ ნ . ჩ ი კ ო ბ ა ვ ა**, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 437.

<sup>939</sup> **ი . მ ა ი ს უ რ ა ძ ე**, პროგრამა ნორჩ ტოპონიმოკოსთა წრეებისათვის, თბ., 1974, გვ. 5.

<sup>940</sup> **ჯ . ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი**, ნარკვევები და ჩანაწერები, II, ბათუმი, 1972, გვ. 219.

<sup>941</sup> **თ . ბ ე რ ი ძ ე**, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, 1977, გვ. 105, სქ. 25.

უდიო ტობონიმის ორივე ფუძე თურქული წარმოშობისაა. თავდაპირველად იგი უნდა შემოსულიყო როგორც ორთა ტალა „შუა მინდორი, ველი“, ქართულში კი ეს უცხო „ტალა“ (შდრ. ახტალა „თეთრი მინდორი, თეთრი ველი“; ყარატალა „შავი მინდორი“...) გაიგივებული იქნა ქალა სიტყვასთან. საგულისხმოა, რომ თურქული ორთა, ასევე ტალა ძალზე ხშირად გვხვდება ჩრდილო კავკასიის თურქულენოვან, აგრეთვე, შუა აზიის მიკროტობონიშიაში. მალყარეთში დადასტურებული ადგილის სახელი ორთა-ტალა „შუა მინდორს“ ნიშნავს,<sup>942</sup> ყირგიზული ორთა-ორუქტუ კი რუსულ ენაზე გადატანილია როგორც „Средние Урюкты“.<sup>943</sup> საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის ერთ-ერთ ქართულ ეკონომიკურ საბუთში დღევანდელი ორთაქალის ტერიტორიაზე მდებარე ადგილი მოხსენიებულია როგორც წყალთაშუა: „დომენტი კათალიკოსმა უბოძა ხუდადა ზოჯაშვილს მტკვარზე წყალთა შუა საწყლისპირო“.<sup>944</sup>

საგულისხმოა ისიც, რომ XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრი ორთაქალას ქართული წარმომავლობის სახელად მიიჩნევდა: თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1845) გადაქრით მიუთითებდა, ორთაქალა ქართულია და „ორად გაყოფილ მდინარეთა საშუალო ქალაქს“ ნიშნავსო.<sup>945</sup> ამ თვალსაზრისის მიხედვით ორთა-ქართულ რიცხვით სახელთან (ორი) იყო გაიგივებული.

**ორჯონ-იქორჯონის მთა** ტყიანი ქედების მასივი ტაოკლარჯეთში, მდ. ქოროხის შუა წელზე. „ტაოს ტერიტორია ყოველმხრივ ბუნებრივი ქედებით არის შემოსაზღვრული... ჩრდილო-დასავლეთიდან... იგი შემოსაზღვრულია მაღარადაღის (იგივე ორჯონის მთა) ქედით“.<sup>946</sup> აღნიშნული მხარე XVI საუკუნის დამდეგისათვის კავკასიძეთა კუთვნილი ტერიტორია ყოფილა: „იშხნელის სამწყსო გურჯიბოლაზს

<sup>942</sup> ჯ. ნ. ქოქოვი, ს. ო. შაჰმურზაევი, 1970, გვ. 106.

<sup>943</sup> ნ. ბ. ბუტენკო, შუააზიური ონომასტიკა, მოსკ., 1978, გვ. 221.

<sup>944</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 145 (სტ. მტკვარი).

<sup>945</sup> წიგნში: შ. მეხია, საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1986, გვ. 419.

<sup>946</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 161.



აქეთ სულ თორთომი, ტაოსკარს ქვემოთი, არტანუჯის თავს საკრულავი ჰქვიან. იმას აქეთი, გაღმით, **ორჯოხის მთის** აქეთი, სულ საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოდმა...<sup>947</sup>

სახელწოდება **ორჯოხის წარმოშობის** ისტორიით ჩვენში ადრევე დაინტერესებულან. კ.ჰანი, მაგალითად, ტაობნიმ **ორჯოხს** ქართულ წარმონაქმნად მიიჩნევდა და მასში რიცხვით სახელს (**ორი**) და სიტყვა **ჯოხს** ხედავდა: **от ори два и жох и — палка: две палки.**<sup>948</sup> კ.ჰანი-სეულ „ახსნაში“ ყველაზე ფასეული ისაა, რაც მან ვერ ახსნა და მხოლოდ გულწრფელად აღიარა, უცნაური სახელწოდებააო.<sup>949</sup>

ჩვენი ვარაუდით **ორჯოხი** ზანური წარმოშობის ტაობნიმია. სახელწოდებისათვის ამოსავალი ჩანს **ჯოხ-ფუძე**, რაც ქართული **ძახ-ძი-რის** (**ძახ-ილ-ი, ე-ძახ-ი-ს, და-უ-ძახ-ა, გვე-ძახ-ი-ან...**) კანონზომიერი შესატყვისია (**ზანური ჯ, ქართული ძ-**, **ზან. ო, ქართ. -ა**). შდრ. ტაობნი-ში **ონჯოხეთი**, აგრეთვე, მეგრული: „**მითიქ ვა უჯოხუ** „არავინ დაუძახა“; „**სუმ-თუთაშ-კულე მიჯოხუ** „სამი თვის შემდეგ გამომიძახა (დამიძახა)...“<sup>950</sup>

ტაობნიმ **ორჯოხ-ში** თავკიდური **ო-** ზანური მორფოლოგიური ელემენტია, რომელიც ქართული სა-პრეფიქსის ეკვივალენტია. რაც შეეხება მის მომდევნო **რ** ბგერას, იგი ფონეტიკური დანართი ჩანს (შდრ. მეგრულ ენაში დადასტურებული **რჯოხო-ფორმა**: **სი მუ რჯოხო(ნ)?** „რა გქვია?“<sup>951</sup> მაშასადამე, ტაობნიმი **ორჯოხი** უნდა გავიგოთ როგორც „**სა-ძახ-ია**“, „ექოს გამომცემი კლდოვან-ქვაბოვანი ადგილები“. უთუოდ მრავლისმთქმელია ზანური **ორჯოხის** ადგილობრივი (თურქულში) სახელწოდება „**მალარა-დალ**“, რაც სხვა არაფერია, თუ არა „**გამოქვაბულებიანი მთა**“, „**მთა, სადაც ბევრია ქვაბები (ბუნებრივი გამოქვაბულები, იგივე მალაროები)**“. როგორც ჩანს, ისტორიულ ეპოქაში კო-

<sup>947</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III (ი . დ ო ლ ი ძ ი ს რედაქციით), თბ., 1970, გვ. 245.

<sup>948</sup> СМОНПК, 40, ტფილ., 1909, გვ. 113.

<sup>949</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>950</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 437.

<sup>951</sup> იქვე, გვ. 437

როხის შუა წელზე მცხოვრები ზანური მოსახლეობის მიერ შექმნილი სახელწოდება **ორჯოხი** თავის ენაზე გადაიღო (გადათარგმნა) აქ გვიან მოსულმა თურქულენოვანმა მოსახლეობამ და მისგან „**მადარა-დადი**“ შექმნა, რაც ფაქტიურად **ორჯოხის** („სა-ძახ-ია“), „სა-ძახ-ებ-ელ-ი ადგილები“...) შინაარსს ემთხვევა (მადარა/ო ხომ იმავე ექოს, ხმის გამომცემ ქვაბულებიან ადგილებს ეწოდება!).<sup>952</sup> ჩვენ აქ აღარ შევუდგებით ხელახლა იმის მტკიცებას, ტაო-კლარჯეთისა და კოლა-შავშეთ-არტაანის მიწები ოდითგანვე მეგრულ-ქანური ტომებით რომ იყო დასახლებული; ეს საკითხი საკმაოდ დამაჯერებლად არის გადაწყვეტილი ჩვენი დიდი მეცნიერების (ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, იოს ყიფშიძე, აკ.შანიძე...) მიერ და ამიტომ მათი ნააზრების ხელახლა გამეორებას საჭიროდ აღარ ვთვლით.

**მჩხამური-ი** დაბას და მდინარეს ეწოდება ქობულეთის რაიონში. ამ ტოპონიმის ბგერინაცვალ ფორმად მიიჩნევენ **ოჩხომურს** (სოფელი, მდინარე სამეგრელოში, ჩხოროწყუს რ.). სპეციალურ ლიტერატურაში<sup>953</sup> აღნიშნულია, რომ ერთიცი და მეორეცი შინაარსობრივად სიტყვა თევზს უკავშირდება: „სათევზური“, „სათევზაო ადგილი“, რაკი მეგრულად **ჩხომი** თევზის აღმნიშვნელი სიტყვაა. მაგრამ თუ **ოჩხომური** (ოჩხომ-ურ-ი) შეიძლება მართლაც თევზით მდიდარ ადგილს შერქმეოდა, **ოჩხამური** (ოჩხამ-ურ-ი) სრულიად სხვაგვარი წარმოშობის სახელწოდება უნდა იყოს. ამ უკანასკნელისათვის ამოსავალი ჩანს ქართ. **ცხემლა** (დიალ. **ცხემლა||თხემლა**), რომელსაც მეგრულში კანონზომიერი **ჩხამ-** (სრულხმონიანი ძირი) მოუყია. მაშასადამე, **ოჩხამური** უნდა გავიაზროთ, როგორც „**ცხემლნარი**“, „**ცხემლის ხეებით მდიდარი ადგილი**“, „**რცხილნარი**“.

<sup>952</sup> ფშავში, ს.კუდო-ხილიანაში (ღუშეთის რ.), არის კლდე, რომელიც ექოს გამოსცემს და ამიტომ ხალხი მას „**მკივან კლდე**“ უწოდებს (ეკატერინე მუშტაშვილის ცნობით). ანალოგიური შინაარსის მიკროტოპონიმები სამცხის, იმერეთის და გურია-აჭარის ტერიტორიაზე ათეულობით შეიძლება დაიჭებნოს (საკივარა, საძახილო ქვა, ყვირილგები, ოჩჯოხეთი...).

<sup>953</sup> ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დასახ. ნაშრ. გვ. 486.

მცხმ ისტორიული სახელწოდებაა სამცხის ერთ-ერთი ხეობისა, რომელიც ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ ძეგლებში უპირატესად ოძრხედ მოიხსენიება. ოცხე, იგივე ოძრხე, ტრადიციული გაგებით დღევ. აბასთუმანსა და მის შემოგარენ ტერიტორიას (მიწებს) მოიცავდა. ოცხედან ქართლში მომავალი გზა თორის ანუ ამჟამინდელი ბორჯომის ხეობით შემოდიოდა. „ამან (უსუფთაშამ, გ.ბ.) დაანება გზა როსტომ მეფესა, გარდმოვლო ოცხე და ჩამოვიდა ქართლსა...“<sup>954</sup> ნიშანდობლივია, რომ ძველი ქართული საისტორიო ძეგლები უპირატესად ოძრახე||ოძრხე ფორმებს გვიდასტურებენ,<sup>955</sup> ოცხე კი, რომელიც ოძრხეს-ს ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს,<sup>956</sup> მხოლოდ გვიანდელი ხანის მასალაში იჩენს თავს.

1970-იან წლებში გამოთქმულმა ვარაუდმა იმის თაობაზე, თითქოს ოცხე ზანური ეკვივალენტი იყოს ქართული სამცხისა (მეგრ. ოქართ. სა-, თავკიდურ მ- თანხმოვნის განვითარების გზით),<sup>957</sup> მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, ოცხე გვიანდელი წარმონაქმნია; თავდაპირველი ფორმაა ოძრახე||ოძრხე, ამ უკანასკნელის მისადაგება კი სამცხესთან მეთოდოლოგიურად არ შეიძლება (იმის მიუხედავად, რომ ჩვენი მემატრიანეები ზოგჯერ ოძრახეს და სამცხეს ერთიმეორესთან აიგივებდნენ). სამცხე ქვეყნის, მხარის სახელია, ოძრახე (ოძრხე, ოძრჯე) კი ერთი კონკრეტული ხევის (თემის) სახელი, რომელსაც მხარის აღნიშვნის ფუნქცია უკისრია. ოძრხე სახელწოდებისგან ოცხეს-ს მიღება ფონეტიკურად დაბრკოლებას არ ქმნის.

ცნობილია ტოპონიმ ოცხეს ახსნის სხვაგვარი ვერსიაც. ალ.ლლონტი, მაგალითად, მხარს უჭერს თვალსაზრისს, რომლის მიხედ-

---

<sup>954</sup> ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი , ახალი ქართლის ცხოვრება: ქართლის ცხოვრება II, თბ., 1959, გვ. 420, 26.

<sup>955</sup> ქართლის ცხოვრება, I (ს . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედ.) თბ., 1955, გვ. 416.

<sup>956</sup> აკად. ს. ჭ ი ქ ი ა პირდაპირ მიუთითებს: ოძრხე უფრო ძველი სახელია, რომელმაც შემდგომ განიცადა ფონეტიკური ტრანსფორმაცია და „ოცხე“ მოგვცაო“ (იხ. მისი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, 1958, გვ. 163).

<sup>957</sup> თ . შ ი ქ ე ლ ა ძ ე , მესხთა საკითხისათვის: კრებ. ივ . ჯ ა ვ ა ხ ი - შ ვ ი ლ ი , 100 წ. თბ., 1976, გვ. 118.

ვითაც ოცნე წარმომდგარი ყოფილა ოჩხი („თევზი“) და ხევი სიტყვების შეერთებით: ოჩ (ხის) + ხე (ვ)-ი „თევზთ საბუღარი“, <sup>558</sup> ამასთან დაკავშირებით მკითხველს კვლავ შევახსენებთ, რომ ოცნე ოძრხე-საგან მომდინარე ტოპონიმია და ამიტომ მისი სხვადასხვა თვალსაზრისით განმარტება დაუშვებელია. ოცნე-ს ნამდვილი შინაარსი მხოლოდ მას შემდეგ გახდება ცნობილი, როცა განიმარტება მისი ამოსავალი ტოპონიმი ოძრახე|ოძრხე.

**მცხლქბ-0** საძოვარ ადგილს ეწოდება ს.შევაბურში (ქედის რ.). ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტოპონიმის წარმოშობას ორ ციხეს უკავშირებს: უწინ აქ ორი ძველი ციხე მდგარა და ადგილსაც მიტომ შერქმევია ორციხელები ანუ ოცხლებიო. სახელწოდების წარმოშობის ამგვარი ვერსია იმდენად პოპულარულია, რომ აქარის ტოპონიმის ერთ-ერთ მკვლევარს გუგული დიასამიძეს იგი სარწმუნოდაც კი მიაჩნია. <sup>559</sup> მაგრამ დაბეჭდვით შეიძლება იმის თქმა, რომ აღნიშნული ტოპონიმისათვის ამოსავალია სამცხის ერთი კუთხის სახელწოდება ოცხე, რომელსაც დართვია ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსი, ხოლო სულ ბოლოს — კრებითობა-სიმრავლის -ებ სუფიქსი. მაშასადამე ოცხელები (=ოცხელები) უნდა გავიგოთ როგორც „ოცხედან მოსული ხალხი; ამ ხალხის კუთვნილი ადგილები“. საინტერესოა, რომ იმავე რეგიონში დადასტურებულია ტოპონიმი ყარხლები. იგი ნიშნავს: „ყარხელები“; „ყარსიდან საცხოვრებლად მოსული ხალხი“.

**მძმს-0** რამდენიმე სოფელს ეწოდება ქართლში (ღუშეთისა და ხაშურის რაიონები). ძველად ოძისი სოფელს რქმევია მანგლისთან ახლო. ამ ფაქტის შესახებ ერთი ასეთი ხალხური გადმოცემაც არსებობს:

---

<sup>558</sup> ა. ლ. ლ. ო. ნ. ტ. ი., ტოპონიმიკური ძიებანი I. თბ., 1971, გვ. 39, სქ. I. აქვე სრულიად სამართლიანად გაკრიტიკებულია ცნობილი რუსი ტოპონიმიკოსი ვ. ა. ნ. ი. კ. ო. ნ. ვ. ი., რომელსაც ოცხე შეცდომით აქვს განმარტებული „დათვის საბუნაგედ“ (1966, გვ. 14).

<sup>559</sup> გ. დ. ი. ა. ს. ა. მ. ი. ძ. ე., აქარის ტოპონიმის საკითხები (საკანდ. დისერტ.), 1985.

„ძველ მანგლელებსა და ოძელებს“<sup>960</sup> შორის საზღვრის გამო დავა ატეხი-  
ლა. ორი ქალწული გაუშვიათ სირბილით და სადაც ისინი შეყრილან,  
იქ ჭვარი ჩაუსვამთ და სამანიც დაუდვიათ“.<sup>961</sup> ამას გარდა, XVII საუ-  
კუნის დამლევის ერთ-ერთ ეკონომიკურ საბუთში, სოფელი ოძისი „მან-  
გლისის გარშემო“ ადგილად არის მოხსენიებული: „იოანე დიასამიძემ,  
ქართლის კათალიკოსმა, გაბრიელ მანგლელ ჭავჭავაძის სამწყსოდ მი-  
სცა ალგეთს გაღმა (ადგილები და სოფლები): ვაჟე, ღორისთავი (-ღვა-  
რისთავი), გუდარეხი, ცხოვრეთი, გარისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი...  
და მის ზემოთ ქციასა და ალგეთს შუა მანგლისის გარშემო ოძისი და  
კველთა“.<sup>962</sup>

სახელწოდება ოძისის ასეთი სიმრავლე იმით არის გამოწვეული,  
რომ საქართველოში საკმაოდ ხშირად ვხვდებით მლაშე მინერალურ  
წყაროებს, რომელთაც ზოგადად ვეძახ ვუწოდებთ. ამ სიტყვის მიხედ-  
ვით სოფლებსაც ჰქვიათ სახელად ვეძათხევი (დუშეთის რ.), ვეძებ-  
ი (ახმეტის რ.), ვეძათხევა (თიანეთის რ.), ვეძისი (ქ.თბილისის ერთ-ერ-  
თი უბანი და სხვ. ქართლურ მეტყველებაში თავკიდური ვე მარცვალი  
ო ხმოვნით შეცვლილა და ვეძისის ნაცვლად ოძისი მიგვიღია. შინაარ-  
სობრივად ოძისი (-ვეძისი) ნიშნავს: „ადგილი, სადაც მლაშე წყაროე-  
ბი გამოედინება“, „ვეძის გამოსადენი ადგილი“.

ხალხური გადმოცემა ოძისის წარმოშობას ორ ძმას უკავშირებს:  
„ეს ადგილები უწინ ორ ძმას სქერია. ორ ძმისი ყოფილა და მერე  
სოფლისთვისაც ორძმისი ანუ ოძისი დაუძახნიათო“.

---

<sup>960</sup> სწორედ ამ სოფლის ძველი მკვიდრი უნდა ყოფილიყო არსენა მარაბდელი  
(ოძელაშვილი): ოძ-ელ-ა („ოძის-ელ-ი კაცი“, „ოძისიდან გადასული ადამიანი“).

<sup>961</sup> ვ ა რ ლ . თ ო ფ უ რ ი ა , ქვაჭვარანი საქართველოში: მასალები  
საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. IV, თბ., 1942, გვ. 32.

<sup>962</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 18, სტ. ალგეთი.

**პისაწერ-ი. პისაწრის ქედ-ი** ცნობილი ადგილია ს.მგლიან-ში (ყვავილის სას. საბჭო, დუშეთის რ.). „ფხუნდაეს რო აცედებით და აღმა შავუბრუნდებით, ბექობი ადგილია. იმას ჩვენ პისაწრიქედს ვეძახით. იქ ვინაც გაილის, კაცია, ქალია, არ შეიძლება ისე გასცდეს, რო იმან პირჯვარი არ დაიწეროს. ძველიდანვე ყოფილა დასვენებული აფხავწმინდა გიორგის ხატი. მერე, ვინ იქნებოდა, არ ვიცი, ნიში აუშენებიათ. ისაც ხო აფხავწმინდა გიორგია! რაც მე თავი მახსომს, სუ ეგრე მიდი-მოდის ხალხი და ლოცულობს“. (ეენია მოსეს ასული ფიცხელაური, 1986 წ. ს.ანანური). გადმოცემის მიხედვით ნათელი ხდება, რომ პისაწერი (პისაწრის ქედი) სხვა არაფერია, თუ არა „პირჯვრის საწერი ადგილი“. საინტერესოა, რომ პისაწერს ზუსტი ანალოგი (ენობრივი და შინაარსობრივი) მოუპოვება ლეჩხუმში. გადმოცემით ს.ოფიტარასა და ს.ოყურეშს შორის არის ადგილი, რომელსაც ადგილობრივ პიდააწერს უწოდებენ. „პიდააწერი ოყურეშის ადგილია. აქ დგას დიდი მუზნის ხე, რომელზედაც უწინ ეკიდა ვერცხლის დიდი ჯვარი. ჯვარი დაკარგულა ამ 60 წლის წინათ. მგზავრი რო გეიარდა, აქ უქვევლად შედგებოდა, პირჯვარს დასწერდა და გზას დაილოცავდა (მ.ბურჯალიანი, ცაგერის რ.). მაშასადამე როგორც პისაწერი. ისე პიდააწერი საერთო წარმომავლობის რელიგიური შინაარსის გამომხატველი მიკროტოპონიმები ყოფილან. საინტერესოა ისიც, რომ მათში ენის ეკონომიის პრინციპი ერთნაირად გატარებულა — ორივე შემთხვევაში სიტყვა „ჯვარი“ ჩავარდნილა: პი(რ ჯვრის) საწერი, პი (რ ჯვრის) და (ს) აწერი (ადგილი)“.

ანალოგიური შინაარსის მიკროტოპონიმების წარმოქმნა კავკასიაში მცხოვრები სხვა ხალხის ყოფისათვისაც არა ყოფილა უცხო. ასე, მაგალითად, ჩრდ. ოსეთის სოფ. კარცაში ერთ-ერთ ხატის მამულს ადგილობრივი მოსახლეობა ზუდისან-ს უწოდებს. იგი ნიშნავს: ზუდ („ქუდი“) და ზმნური ისან- („მოხდა“): „ადგილი, სადაც ქულებს იხდიან“.<sup>963</sup> ანალოგიური შინაარსის მიკროტოპონიმი დადასტურდა ხევსურეთში. აქ

<sup>963</sup> ა . ძ . ც ა გ ა ე ვ ა , ჩრდ ოსეთის ტოპონიმია, ორგონ, 1975, ტ. II, გვ. 104.

ყოფილა ადგილი (გორაკი), სახელად „ქუდსაჯდელა“, სადაც გამვლელ-გამოვლელმა უეკველად ქუდი უნდა მოიხადოს და თან დაიჩოქოს“.<sup>964</sup>

საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ რელიგიურ-საკულტო შინაარსის შემცველი სიტყვები ხალხურ ზეპირმეტყველებაში ხშირად იცვლის თავდაპირველ სახეს. შდრ. მთიულური თორმეწიამ („მთავარმოწამე“),<sup>965</sup> ბრავალძა (რაჭაში) — („ბრავალძალი“ || მრავალძალი“), დღი-აწველი („დღესასწაული, ხატობა“),<sup>966</sup> ლიკორწმინდა („ნიკორწმინდა“) და მისთ. საკულტო-რელიგიური შინაარსის ტოპონიმთა ამგვარი ცვლის შემთხვევები სხვაც არაერთი მოგვეპოვება.

## — უ —

**შანაშრაბ** სოფელია გურიაში (ნაგომრის სას. საბჭო, ოზურგეთის რ.). ჩვენს მკითხველს ალბათ უკვე აღარ უჭირს იმის გარკვევა, რომ -ურ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში სხვადასხვა მნიშვნელობასთან ერთად ობიექტის ვინმესადმი ოდინდელ კუთვნილებასაც აღნიშნავს (ბესია-ურ-ი, გვაზა-ურ-ი, ამბროლა-ურ-ი, ანან-ურ-ი, თოხლია-ურ-ი, მახათა-ურ-ი...) ამის კვალობაზე ტოპონიმი ჟანაურიც (ჟანა-ურ-ი) ასეთივე გაფორმების სახელად უნდა ვცნოთ. ოღონდ, გასარკვევია ტოპონიმში საკუთარი სახელის ჟანა-ს წარმომავლობა, პირველადია იგი თუ არა?

სპეციალისტთათვის კარგად არის ცნობილი, რომ უ ბგერა ქართულ ენაში გვიანდელი წარმონაქმნია. იგი წარმოსდგება სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ი-ს დასუსტებით ა და ო ხმოვნის ან სონორის შეზობლობაში (ი-ა-ე-ე). ასეა მიღებული გვარები: ჟორდანია (— ღორდანია — იორდანია), ჟვანია (— ფვანია — ივანია), ჭაკობია \* (—

<sup>964</sup> ი ვ . ქ ე შ ი კ ა შ ვ ი ლ ი , ლმერობები, მითები, რიტუალები, თბ., 1990, გვ. 39, 40.

<sup>965</sup> გ . ხ ო რ ნ ა უ ლ ი , მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 158.

<sup>966</sup> მთარაქულ სიტყვათა ლექსიკონი, შედგ. გა ლ ი ნ ა რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი - ლ ი ს შიერ: დიალექტოლოგიური კრებ. თბ., 1989; ა ლ . კ ო ბ ა ხ ი ძ ე , რა-ქული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 47.

ეკობია — დაკობია)...<sup>967</sup> ასე რომ ტოპონიმი **ჟანაურა**, საფიქრებელია, **მანა-ურ-** || **მვანა-ურ-** ფორმისაგან გვექონდეს მიღებული. ანალოგიური წარმოშობისა უნდა იყოს ზემოაჭარული სოფლის სახელი **ჟანი-ვრ-** ი (—**ჟანი-ურ-**ი). როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ამოსავალია ადამიანის საკუთარი სახელი **ჟანა**, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, შეიძლება **მანა**||**მვანა** სახელისაგან მომდინარეობდეს. შდრ. ერთი მხრივ, სოფლის სახელი **იან-ეთ-ი** (სამტრედიისა და ოზურგეთის რაიონებში), აგრეთვე **იან-ეულ-ი** (ჩოხატაურის რაიონში), ხოლო მეორე მხრივ, **ივან-ეულ-ი** (ტყიბულის რ.).

XVI-XVII საუკუნეებში ქუთაისთან ახლოს, კერძოდ, დღევანდელ წყალტუბოს რაიონში, არსებობდა სოფელი **ჟვანეთი**<sup>968</sup> (დღეს მას **ჟონეთი** ეწოდება), რომელიც შინაარსით იმავე „ივანეთს“ ნიშნავს.<sup>969</sup>

**შინვალი-ი** ცნობილი ისტორიული სოფელია არაგვის ხეობაში (დუშეთის რ.). ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ს.ჟინვალი ძველი სამოსახლოდან აიყარა და ორ ახალ პუნქტად დაესახლა. ერთ-ერთ მათგანს დაბა ჟინვალი ეწოდა (აქაა ჰიდროკომპლექსის მშენებლობის ადმინისტრაცია შესაბამისი დაწესებულებებით: სკოლა, კინოთეატრი, აფთიაქი, საავადმყოფო, ფოსტა-ტელეგრაფი, სავაჭრო ცენტრი...) დაბაში აიგო თანამედროვე მრავალსართულიანი სახლები საინჟინრო და ტექნიკური პერსონალისათვის, მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის. სოფლის მკვიდრი მოსახლეობა კი ძირითადად განსახლდა ძველი ჟინვალის ბალ-ვენახებში, არაგვის დაყოლებით, მდინარის მარცხენა სანაპიროზე. ამ ახალ დასახლებას ადგილობრივი სადაბო საბჭოს მესვეურთა (შალვა გულბათაშვილი) აქტიური მხარდაჭერითა და მცდელობით დაერქვა **წობენი** (წობნები). ეს სახელი ჯერ კიდევ „ქართლის მოქცევაშია“ მოხსენიებული წმ. ნინოს ქრისტიანულ-მისიონერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით: „წარვიდეს და დადგეს წობენს და მოუწოდეს მთეულთა ყოველთა, ქართალელ-ფხო-

<sup>967</sup> ს . ე ლ ე ნ ტ ი . ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა I, თბ., 1960, გვ. 122.

<sup>968</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 173.

<sup>969</sup> დაწვრ. იბ. ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , რა გკვია შენ? თბ., 1982, გვ. 226.



ელთა, წალკასნელთა (წილკანელთა)<sup>970</sup> და შემოკრბა ერი ურიცხვ... და უქადაგა სარწმუნობეაჲ ძისა ღმრთისაჲ, ხოლო მათ, ვითარცა ესმა ქადაგებეაჲ... იღრქენდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოჲსთჳს...<sup>971</sup> აქ, წობენში, ნინომ, როცა მისივე ბრძანებით ერთმა ერისთავმა გაჩუტებულ მთიელებზე „მცირედ მახული წარმართა“, მათ შიშით „ნათელი იღეს“ და „დალენწეს კერპნი მათნი“.<sup>972</sup> ამის შემდეგ წმ. ნინო ერწოში გადასულა და ჟალეთში დამდგარა („დაბასა ედომსა“) და „ნათელსცა ერწოთიანელთა“.<sup>973</sup> რადგან სპეციალისტთა ერთი ნაწილი წობენს ძველი ჟინოვანის სანახებში მდებარე პუნქტად მიიჩნევს, ამიტომ ჟინვალის ახალი უბნის სახელად ისტორიული წობენის (და არა წობნები!) აღდგენა მიზანშეწონილი ჩანს.

ტოპონიმი ჟინვალი არაგვის ხეობის ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული სახელია. როგორც აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევადიებამ ცხადყო, ჟინვალის ტერიტორიაზე მოსახლეობა უკვე მკვიდრობს ძვ.წ. V-IV საუკუნეებიდან. თვითონ სახელწოდება ჟინვალი (ჟინოვანი) ქართულ საისტორიო წყაროებში შუა საუკუნეებიდან (XI-XII ს.ს.) ჩნდება. ამ ცნობების მიხედვით ჟინოვანი არაგვის ხეობის დასახლებულ პუნქტებს შორის ერთ-ერთი დაწინაურებული და ძლიერი ციხე-ქალაქი ყოფილა: „ხოლო ჟინვანი არს შავისა და თეთრის არაგვის შესაკრებელს შორის ციხე შენი და მაგარი და იყო ქალაქი და აწ უქმ არის“.<sup>974</sup> ჟინვალს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება-ყ-

---

<sup>970</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ეს ადგილი, კერძოდ, იკითხვისი „წილკანელთა“ ჩვენ მიერ გასწორდა როგორც „წინკარელთა“ ნიშნავს: ფშავის წინკარი იგივე „კართანა“. მაშასადამე, წმ. ნინოს უქადაგებია მთიულთათვის (ქართალელნი), ხევსურთათვის (ფხოელნი) და ფშაველთათვის (წინკარელნი) ე.ი. უოველთა მთეულთათვის.

<sup>971</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები I, თბ., 1964, გვ. 88.

<sup>972</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>973</sup> იქვე.

<sup>974</sup> ვახუშტი ფშავ-ხევსურეთის არაგვს შავ არაგვს. ხოლო მთიულეთ-გუდამაყრისას თეთრ არაგვს უწოდებს. სინამდვილეში თეთრი არაგვი (მთიულეთისა) და შავი არაგვი (გუდამაყრისა) დაბა ფასანაურში ერთიან ერთიმეორეს და არა ჟინვალთან.

ვაკებისათვის XI-XIII საუკუნეებში მიუღწევია. იგი განადგურდა თემურ-ლენგის შემოსევის დროს. ამის შემდეგ ქალაქი ფეხზე ველარ და-მდგარა და პატარა სოფლად (ნაქალაქრად) ქცეულა. XV საუკუნიდან არაგვის ხეობაში აღმავლობას იწყებს ანანური.

როგორია სახელწოდება ჟინვალის წარმოშობის ისტორია, რა უდევს საფუძვლად ამ უძველეს ქართულ ტოპონიმს? შუა საუკუნეების-დროინდელ ქართულ საისტორიო წყაროებში ჟინვალი სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. იგი მოხსენიებულია როგორც ჟინოვანი || ჟინოანი და ჟინვანი || ჟილვანი.<sup>975</sup> კერძოდ, ამირსპასალარ ჭიაბერის მიერ შიომღვიმისადმი მიცემულ შეწირულების სიგელში (1189-1192) ნათქვამია: „ჩემსა ჟინოვ(ა)ნისა ქონებასა შინა ვჰკადრე და მოვახსენე ღმრთის სწორსა მეფეთა მეფესა თამარს... მიხითარაის ძენი დავითის შვილნი: ოქროი და მახარაი, ბრაქი და იოვანე მათითა სახლითა და მამულითა ნასყიდითა და უსყიდელითა“.<sup>976</sup>

„დავით მეფემ (დიმიტრი თავდადებულის შვილი, იგივე დავით VIII გ.ბ.) უბოძა გრიგოლ ქარმაულ კაქნაისშვილს შუანის ხევს ჟინოვანის შესავალი ლაუშა“<sup>977</sup> და სხვ.

თუ სახელწოდება ჟინოვანს შედგენილობის თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ტოპონიმის საყრდენი ძირია ჟინ-, რომელსაც -ოვან- სუფიქსი დართვია: ჟინ-ოვან-ი. ყველა დანარჩენი დაწერილობა ამ ტოპონიმისა (ჟინოანი, ჟინვანი, ჟილვანი) ჟინოვანის სახეცვლილი ფორმებია.

ისიც ცნობილია, რომ -ოვან- სუფიქსი უპირატესად მცენარეული საფარის აღმნიშვნელ ტოპონიმებში გვხვდება: ვაშლ-ოვან-ი, მუხრ-ოვან-ი, ქრცხილ-ოვან-ი, თხილ-ოვან-ი, (მ)სხლ-ოვან-ი, თელ-ოვან-ი, ნარ-ოვან-ი... -ოვან- სუფიქსი -იან- და -ნარ- სუფიქსითა ფარდი ელემენტია, ამიტომაც არის, რომ ამ სუფიქსით წარმოქმნილი ტოპონიმები ქართულში საკმაოდ ბევრია: წაბლ-იან-ი, შვინდ-იან-ი,

<sup>975</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 173. ჟილვანი გვიანდელი წარმონაქმნია. იგი ჟინვანის დისიმილირებული ფორმა (ნ - ლ) ჩანს.

<sup>976</sup> ქართული სამართლის ძეგლები (ი ს . დ ო ლ ი ძ ი ს რედაქციით) ტ. II, თბ., 1976, გვ. 187.

<sup>977</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 173 (საბუთი შედგენილია 1298 წელს).

პანტ-იან-ი, მუხ-იან-ი, ვაზ-იან-ი, თხილ-იან-ი/ა, მაყვლ-იან-ი; მუხ-ნარ-ი, კობიტ-ნარ-ი, არყ-ნარ-ი, წიფლ-ნარ-ი (წიფ-ნარ-ი — წიფ-რან-ი),<sup>978</sup> ბზა-ნარ-ი, თხმელ-ნარ-ი... მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმის (ქინოვანი) საყრდენი ფუძეც მცენარის აღმნიშვნელი სიტყვაა. მაგრამ დღეს ქართლურ ან კახურ დიალექტებში უინ- (ენა) აღარ ჩანს. უინა (ენინაჟი) დაუცავს თუშურ დიალექტს; უინა ახალგაზრდა ნორჩი ფიქვის ხის აღმნიშვნელი ტერმინია.<sup>979</sup> თუშეთში უინა სიტყვისაგან მიკროტოპონიმებიც წარმოქმნილა. სოფ. დადიკურთაში, მაგალითად, არის ადგილი, რომელსაც უინაიან გორი ჰქვია; ს.გუდანთაში კი გვხვდება რიტუალურ-საკულტო ადგილი ჭვარუინა, რაც ნიშნავს „სალოცავი ფიქვი“, „ადგილი, სადაც ფიქვის წმინდა ხე ღვას“. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უინ-ოვან-ი ადგილობრივ ქართლურ დიალექტზე ძველად გაიზარებოდა როგორც „ფიქვენარი“, „წიწვოვანი ტყე“, „ადგილი, სადაც ხარობს ფიქვენარი ტყის კორომი“.<sup>980</sup> მოგვიანებით სიტყვა უინა ქართული ენიდან მთლიანად განუდევნია ბერძნულ პიტიუსს („ფიქვი“). უინა სიტყვის ენაში გამოყენების ფაქტი კი ძველთაძველ ტოპონიმ უინ-ოვან-ს შემოუნახავს.

უინოვან- სახელში მოგვიანებით -ოვან- სუფიქსი გამარტივებულია (ო- ხმოვანი დაკარგულა ვ თანხმოვნის მეზობლობაში) და შედეგად უინ-ვან-ი მიგვიღია. -ოვან- სუფიქსის გამარტივების ტენდენცია ენაში ცნობილია. შდრ. თხილ-ვან-ი, ცხინ-ვალ-ი (—ქრცხილ-ოვან-ი), ბალახ-ვან-ი (—ბალახ-ოვან-ი), ლელ-ვან-ი (—ლელ-ოვან-ი), ტყელ-ვან-ი (—ტყემლ-ოვან-ი), ბზ-ვან-ი (—ბზ-ოვან-ი) და სხვ. მრ. ეს ენობრივი ცვლილება (უინ-ოვან-ი — უინ-ვან-ი) ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დოკუმენტობრივ არის ასახული. ისიც ითქვა, რომ დღევანდელი ოფიციალური სახელწოდება უინ-ვალ-ი უინ-ვან- ფორმისაგან მომდინარეობს დისიმილაციური განმსგავსების გზით (ძველად უინ-ვან-ის

<sup>978</sup> ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , ფშავის ტოპონიმია: კრებ. „ტოპონიმია I, თბ., 1976, გვ. 187.

<sup>979</sup> პ. ხ უ ბ უ ტ ი ა , თუშური კილო, თბ., 1969.

<sup>980</sup> საინტერესოა, რომ მთელს არაგვის ხეობაში ღინვალი ერიოდერთი სოფელია, რომლის შემოგარენშიც გვაქვს ფიქვის კორომი.

გვერდით უილ-ვან- ფორმაც გვექონია). ერთი და იმავე ტოპონიმის ფორმათა ამგვარი სიმრავლე უთუოდ იმით არის გამოწვეული, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ოდითგანვე უცდია სახელწოდებაში ჩადებული შინაარსის ამოცნობა, მისი „წაკითხვა“. ხალხში დღესაც გაიგონებთ ასეთ გადმოცემას: ქართველებს მტერზე აქ უინიც უყრიათ და ვალიც გადაუხდიათო. ეს გადმოცემა ჩაწერილი და გამოქვეყნებული აქვს ცნობილ დიალექტოლოგს პროფ. გრ.იმნაიშვილს.<sup>981</sup> ამავე მკვლევარს ჩაუწერია სხვაგვარი ხალხური ვერსიაც, თითქოს უინვალი სახელწოდება შირვანს უკავშირდებოდეს.<sup>982</sup>

საპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ უინვალი ზანურენოვანი (მეგრული) წარმოშობის სახელია და ნიშნავს ზემო ციხე (მეგრ. უინ „ზემო“ და ვან-ი „ციხე“, „სადგომი“). ამგვარი თვალსაზრისის გაზიარება, ვფიქრობთ, არ შეიძლება, რადგან სიტყვა ვან-ი აქ არაფერ შუაა; როგორც უკვე ვთქვით, ტოპონიმის უძველესი, ამოსავალი ფორმა იყო უინოვანი და არა უინვანი.<sup>983</sup>

ვაჟა-ფშაველას ნაწერებში მხოლოდ უინვანი დასტურდება:

„უინვანს მოვიდა ქალაღლი

მოწერილობა მეფისა:

აბა, არაგვო, აჩქარდი

შენი ერეკლე გელისა“.

ან:

„არაგვმა ლახტი აიღო

ამირანისა, რა ხანი...

კართანას ფარი წაართვა

უინვანს მოჰგლიჯა ჩაჩქანი“...<sup>984</sup>

<sup>981</sup> გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართლური დიალექტი II, თბ., 1974. გვ. 143.

<sup>982</sup> იქვე, გვ. 143.

<sup>983</sup> იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ ი ნ ა ე ნ უ ჯ ი ძ ე მ , ვ . ს ი ლ ო გ ა ვ ა მ და ნ შ ო შ ი ა შ ვ ი ლ მ ა , თბ., 1984, გვ. გვ. 74, 96.

<sup>984</sup> ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა , თხზულებანი ორ ტომად (შემდგ. ა ლ . ქ ი ნ ჯ ა - რ ა უ ლ ი ) ტ. I, თბ., 1976, გვ. გვ. 66, 433.

ქართული ტოპონიმის ცნობილი მკვლევარი კ.ჰანი სახელწოდება ჟინვან-ში სიტყვა ჟინის ("капрыз") არსებობას ვარაუდობდა, თუმცა თვითონვე გაოცებული წერდა, გაუგებარია, სოფელს ასეთი სახელი რატომ უნდა შერქმოდარი.<sup>925</sup>

— რ —

**რბჭა** დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული კუთხეა. ადრეულ საუკუნეებში რაქა დამოუკიდებელ საერისთაოს წარმოადგენდა. გვიანფეოდალურ ხანაში რაქა იმერეთის სამეფოს გამგებლობაშიც შედიოდა. უფრო მოგვიანებით, რუსეთის იმპერიის მიერ დასავლეთ საქართველოს მიტაცების შემდეგ, რაქა ცალკე მაზრად არსებობდა ქუთაისის გუბერნიაში. ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთ მაზრად ითვლებოდა რაქა საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათეულ წლებშიც. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით რაქა ორ — ამბროლაურისა და ონის — რაიონს მოიცავს. რაქის ამ ორივე რაიონში დღეისათვის 140-მდე სოფელია, თუმცა ხშირი მეწყრიანობისა და მოსახლეობის შიდა მიგრაციების გამო რაქის სოფლების რიცხვი, სამწუხაროდ, თანდათან მცირდება.

რაქის ისტორიულ-გეოგრაფიულ თუ ეკონომიკურ-ეთნოგრაფიულ დახასიათებას საუცხოოდ წარმოგვიჩენს ვახუშტი ბატონიშვილი: „...არს რაქა ფრიად მაგარი მთითა, კლდითა. ურამითა, ჯეკითა და ტყითა; შეუქვალი გარე მტრისაგან. ჰავით არს კეთილმშვენი, ზაფხულის გრილი, ზამთარ-თბილი და უქარო; მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი... პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი და არა მრავლად. ცხოვარი უღუმო, ღორი — სიცოცხლე მათი! მდინარეთა შინა კალმახნი მრავალნი, სხვა თევზნი არარაი, არცა რაიონსა შინა. კაცნი ტანოვანნი, მკნენი,

<sup>925</sup> К.Ф. Г а н, СМОМІІК. XL. 1909, зз. 60.

ბრძოლასა შემმართველნი, ძლიერნი... სხვათა მათარნი, მომხვეჭნი და ძვირნი... ქალნი შვენიერნი, მკაცვენი ეგრეთნივე, რბილნი”.<sup>986</sup>

ზოგადი დახასიათების გარდა ვახუშტი ბატონიშვილი რაქის ზოგიერთ მნიშვნელოვან ადგილსაც საკმაოდ დაწვრილებით აღწერს. მას უყურადღებოდ არ რჩება აქაური ბუნების „უცნაურობანი“: „სხოვისვეზედ არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა ღის წყარო, და ვერ განწყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულის ჰყინავს სრულიად, რომელი ამოულეველი არს, რაოდენცა სკრას მრავალმან კაცმან. გარნა თუ შთავიდეს კაცი უცხო, თვინიერ მუნ მყოფისა, აცივებს წელსა ერთსა“; „არს დაბა ძე გ ლ ე ვ ი , აქა, ეკლესიასა შინა, არს ზეთი ჭიჭითა და მღუღარებს მარადის და, რაოდენ იღებენ, არა აკლს ჭიჭასა მას“; აქავ, უ წ ე რ ა ს , არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებელად, რომელი დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ესე უმეტეს ძალიანი, რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მას ზედა ჩამოვარდების სუნისაგან”.<sup>987</sup>

რაქას ვახუშტი, როგორც ჩანს, უშუალოდ იცნობდა. ამიტომაც აღწერს იგი ამ კუთხეს ასე ვრცლად და საინტერესოდ.

მხარის (კუთხის) აღმნიშვნელ ტერმინად რაქა ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ ძეგლებში შუა საუკუნეებიდან (XII-XIII ს.ს.) მოიხსენიება, რაქის „ქვეყანაში“ შემავალი ზოგი სოფელი კი (ზნაკვა, ნიკოლაოსწმიდა,<sup>988</sup> ველიქრული, ხოტევი, ხივში,<sup>989</sup> შქმერი, ცხილათი, ბაჯითი, საწირე, შხრო, კაჩაეთი, ხევხმელა...) უფრო ადრეული ხანიდან (XI ს-ის II ნახევარი) არის ცნობილი.<sup>990</sup>

სახელწოდება რაქა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, დიდი ხანია სპეციალისტების ყურადღებას მიიპყრობს. საინტერესოა, რომ დღეს საყოველთაოდ გავრცელებული ხალხური ეტიმოლოგია (უჰ, რა ქაა!)

---

<sup>986</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ . ლ ო მ ო უ რ ი ს და ნ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1941, გვ. 162.

<sup>987</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. გვ. 159, 160, 161, 162.

<sup>988</sup> დღევანდ ნიკორწმინდა.

<sup>989</sup> შდრ. დღევანდ. ხივში.

<sup>990</sup> ნიკორწმინდის იადგარი, შექმნილი 1071-1080 წლებს შორის: ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 27-34.

ჭერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილისათვის ყოფილა ცნობილი. იგი წერს: „ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ: „იხილე, რა ჭა არს ადგილი ესე!“<sup>991</sup> ხალხური გადმოცემა აღნიშნული ვერსიას ერთგვარად აკონკრეტებს: „ნაქერალას მთაზე მიდენილა მგზავრები და რო გადაუხედია ძირისაკე და რო უნახია ეს ამხელა ღმა ხევი, დოუძახებია, რომეო შეხედე ერთი, რა ჭააო!“ საფიქრებელია, ეს ხალხური ეტიმოლოგია ვახუშტის განმარტებისგან იღებდეს სათავეს; თუმცა ისიც არ არის მოულოდნელი, რომ თვით ვახუშტის ჰქონდეს გამოყენებული ხალხური ვერსია რაქის წარმოშობის თაობაზე (მსგავსი შემთხვევები ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერაში“ არაერთგზის დასტურდება).

რაქის მეცნიერული ახსნიდან დღეისათვის ორი ძირითადი მოსაზრებაა ცნობილი.<sup>992</sup> პირველი ვარაუდით ტოპონიმი რაქა მისი უძველესი მფლობელის საკუთარ სახელს (რატი) უნდა უკავშირდებოდეს (ა.შანიძე). ამ მოსაზრების მიხედვით რაქა ნიშნავს: „რატისა“, „სარატიო“. სხვაგვარი თვალსაზრისით ტოპონიმი რაქა უკავშირდება სვანურ რაქუ სიტყვას, რაც კურდღელს ნიშნავს.<sup>993</sup> მასასადამე რაქა უნდა გავიანროთ როგორც „საკურდღლე ადგილები“. პირადად ჩვენ ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება.<sup>994</sup>

**რბან-ი** (ლილი რბან-ი) სოფელი ზემო იმერეთში, ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე. აქვე ჩამოედინება პატარა მდინარე რგანულა, იგივე რგანის დედე (მიერთვის ყვირილას ჭიათურასთან). ცნობილია მიკროტოპონიმი რგანიჭალა, რომელიც ჰქვია ტყეს და მინ-

<sup>991</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოს, თბ., 1941, გვ. 162, 30.

<sup>992</sup> ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , „დედაენა ქართული“, თბ., 1987, გვ. 489.

<sup>993</sup> იქვე, გვ. 489.

<sup>994</sup> უკანასკნელ ხანს ცნობილი გახდა კიდევ ერთი მოსაზრება რაქის სატომო სახელისაგან (ქანი) მომდინარეობის თაობაზე. ამ თვალსაზრისის მიხედვით რაქა თურმე ლაქან („სა-ქან-ო“) ფორმისაგან გეჭონია მიღებული რ და ლ სონორთა მონაცვლეობის გზითა და ბოლოკიდური ნარის კვცით (იბ. თ . მ ი ბ ჩ უ ა ნ ი , დასაველეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 72).

დორს ს. ნავარძეთში, ხეობას სოფ. თაბაგრებში და თვით რგანში.<sup>995</sup> ტოპონიმ რგანის წარმოშობის შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება. ხალხური გადმოცემა სახელწოდების ეტიმოლოგიას ობიექტის სიმრავლეს უკავშირებს: „მადანა ყოფილა რგვალი მამულები, რკოვენახი ცოდნია ძანიალი. კიდევ ცოდნია მანავი. რკოს გამს მანავი, თხელი ტევანი აქ, ღებამს ძანიალი კაათ. ეს მამულები ყოფილა ძველი ნამბილარი მიწა, კოპწა-კოპწა იყო ასთე გვალათ გაკეთებული, ყველა გვაროსნობაზე. დოუთქვამთ გვალი ყანები. მერე და მერე ეს გვალი რგანად გადოუსხვაფრებია ყე აქაურელ ხალხს“ (მიხეილ საგანელიძე, ქ. ქიათურა).

ჩვენი ვარაუდით სოფლის სახელწოდება რგან-ი წარმომდგარი უნდა იყოს გან-ი სიტყვისაგან, რომელიც ქართულ ენაში მიწის ფართობის, ადგილის აღმნიშვნელ ზოგადი შინაარსის ერთეულად გამოიყენებოდა (კუყ. ბერიძე). თავკიდურ პოზიციაში, მკლერი განის წინ სონორი რ-ე ფონეტიკური დანართი ჩანს (რ-გან-ი), ისევე გროგორც ეს რ-ზენ- სიტყვაში გვაქვს. ზენი||რზენი („ვაკე“) ხშირად დასტურდება სამეგრელოს ტოპონიმიაში: ჭვარზენი (← ჭვარ-რზენი) „ჭვარის ვაკე“, თარზენი („მთა-ვაკე“), იყურდგელე რზენი („საკურდლლე ვაკე“)<sup>996</sup> და მისთ.

სიტყვა განი როგორც ადგილის აღმნიშვნელი საზოგადო ტერმინი, გავრცელებულია გურია-იმერეთის ტოპონიმიაში: თხილაგან-ი (ჩოხატაურის რ.), ჭაგანი (სამტრედიის რ.), გოდოგან-ი (თერჯოლისა და მარტვილის რაიონებში). ალბათ, აქვე უნდა წარმოვადგინოთ დოლოგან-ი (სოფელია აქარაში, ქედის რ.) და საყოველთაოდ ცნობილი ოროგრაფიული ტერმინი ზეგან-ი, რომელიც სოფლის სახელად დასავლეთ საქართველოში ექვსგან გვხვდება (იხ. სტ. ჭაგან-ი). რ- თანხმოვნის განვითარების შემთხვევები სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ცნობილია (კინა-რკინა, ცხემლა||ცხმელა — რცხმელა...) შდრ. აგრეთვე სოფლის სახელი რცხილათი და რცხმელური (ქიათურისა და ლენტეხის რაიონებში). შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმ რგანისათვის ამოსა-

<sup>995</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 165.

<sup>996</sup> იხ. პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 118-119.



ვალი ყოფილა ძვ. ქართული სიტყვა გან-ი („ადგილი“, „მიწის ფართობი“), რომელსაც მოგვიანებით რთულშემადგენლიან ტოპონიმებში საზღვრულის ფუნქციაც უყისრია.

**რეჰია-ი (რეჰე)** პატარა ხევია გულამაყარში (დუშეთის რ.); ჩამოდის სოფ. ბურსაკირთან, შემდეგ კი ს.დუმაცხოსთან მიერთვის მოზრდილ ხევს — ქუდოს, რის შედეგადაც წარმოიქმნება გულამაყარის არაგვი (შავი არაგვი); იგი დ.ფასანაურთან შეერთვის მთიულეთის ანუ თეთრ არაგვს. მთიულეთ-გულამაყარის ტოპონიმის მკვლევარი გ.ხორნაული ჰიდრონიმ რეჰიას რუსული река სიტყვისაგან წარმომდგარ ერთეულად მიიჩნევს, რაკი XIX ს. I ნახევარში, როცა საქართველოს სამხედრო გზა გულამაყარზე გადადიოდა, აქ რუსეთის არმიის სამხედრო ნაწილები მდგარა. ს.ბურსაკირში მათ ყოფნაზე მეტყველებს შემორჩენილი ტოპონიმები: ნაკაზარმლები, ნაკანუშნარაი, რუსების გზა... მდ. რეჰია, მართალია, პატარაა, მაგრამ ავდრობისას საშინელი აღიდება იცის და ალბათ ამის გამო ხუმრობით შეარქვეს რუსებმა ხევს река, გულამაყარელებს კი თავისებურად დაუბოლოვებიათ კნინობითობის სუფიქსითო, — წერს მკვლევარი.<sup>997</sup>

ჩვენი ფიქრით, მდინარე-ხევის სახელწოდება რეჰია წარმომდგარი უნდა იყოს მოხეური რეჰე სიტყვისაგან, რაც ამჟამად უძალო, სუსტი, დაძაბუნებული (გადატ. უტვინო, გამოჩერჩეტებული) აღამიანის აღმნიშვნელ სიტყვად გვხვდება.<sup>998</sup> მდინარეს თავისი სიპატარავისა თუ უმნიშვნელობის გამო მართლაც შეიძლებოდა სახელად რეჰე შერქმეოდა, ხოლო -ა სუფიქსის დართვის შემდეგ რეჰე-ა, ბუნებრივია, რეჰია ფორმას მოგვეცემა. მამსადამე რეჰე, რეჰია შეიძლება განვმარტოთ როგორც „პატარა, სუსტი, უძალო ხევი“.

დასასრულ, შეიძლებოდა კიდევ ერთი ვარაუდის წარმოდგენა. ეგრძოდ, ხომ არ უნდა გავიაზროთ რეჰია, როგორც ლეჰია („ლეჰის მომყოლი წყალი“, „მდინარე, რომელიც ფსკერზე ლეჰს იღებს“).

<sup>997</sup> გ. ხორნაული, მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 170.

<sup>998</sup> იხ. ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985, გვ. 301.

რპმლ-ი ცნობილი ისტორიული სოფელია ბორჯომის რაიონში (ყვიბისის სას. საბჭო). საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტების მიხედვით ამ სახელწოდების სოფელი თორის „ქვეყანაში“ უძველესი ხანიდან ყოფილა ცნობილი. რველი მდ. ბანისხევისა და მტკვრის შესაყარში განლაგებულ ყვიბისთან და განსაკუთრებით ზანავთან ერთად XII-XIII ს-ში კარგად ორგანიზებულ თავდაცვით სისტემას ქმნიდა.<sup>999</sup> ამიტომაც არის, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ამ ორ სოფელს შერწყმულად (ზანავრვილი) მოიხსენიებს.<sup>1000</sup> იოანე ბატონიშვილი კი მათ უკვე დამოუკიდებელ, გვერდიგვერდ მდებარე სოფლებად წარმოგვიდგენს.<sup>1001</sup> როგორც ვხედავთ, ცალკე ტოპონიმი რველი არც ვახუშტისათვის და არც იოანესათვის ცნობილი არ არის. ამ ტოპონიმს ისინი რვილს უწოდებენ, რადგან რვილი აშკარად გვიანდელი ფორმაა; იგი რველი-საგან მომდინარეობს. ეს ფაქტი ნათლად არის დადასტურებული დ.ბერძენიშვილის მიერ დიდი სიზუსტით შედგენილ V-X საუკუნეების თორის მხარის ისტორიულ რუკაზე.<sup>1002</sup> განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა გამოთქმული ს.ჭიქიას. მისი ვარაუდით თავდაპირველი ფორმა რვილი უნდა იყოს, რვილი კი ახალია, მისგან წარმოქმნილი. ამგვარი აზრისაკენ მკვლევარს, ეტყობა, იმ ფაქტმა უბიძგა, რომ ქართულ ენაში არსებობდა (და ამჟამადაც არსებობს) საზოგადო სახელი რვილი<sup>1003</sup> — საბას მიხედვით — ერქვნის (გუთნის) ხე.<sup>1004</sup> ამ მოსაზრებას თითქოს მხარს უჭერს დ.ბერძენიშვილიც, რაკი თორის ქვეყანას იმავეთვე დაწინაურებული ადგილი ეკავა ხე-ტყის სააღმშენებლო მასალის დამზადების თვალსაზრისით. ჩვენი ვარაუდით კი რველის თავდაპირველობაში (უძველესობაში) ექვის შეტანა არ შეიძლება, რად-

<sup>999</sup> დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი — თორი, ჭავჭავთი), თბ., 1985, გვ. 41.

<sup>1000</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 83, 25.

<sup>1001</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 45.

<sup>1002</sup> დ ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ. გვ. 38.

<sup>1003</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , სიტყვის კონა, თხზ. ტ. IV<sub>2</sub>, თბ., 1966, გვ. 12.

<sup>1004</sup> ს . ჭ ი ქ ი ა , გურჯისტანის ველაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, თბ., 1958, გვ. 492.

გან, როგორც უკვე ვთქვით, თორის მხარის V-X საუკუნეების რუკაზე რველი არის დატანილი და არა რველი. ამას გარდა (და ეს, ვფიქრობთ, ყველაზე არსებითია!) რველი „წესიერი“, „კანონიერი“ წარმოშობის უძველესი ტოპონიმია; იგი, ჩვენი ღრმა რწმენით, შეიცავს -ელ სადაურობის სუფიქსს, როგორც ეს სანებ-ელ, ურავ-ელ, ქარ-ელ, ახატ-ელ, ყვარ-ელ... ტოპონიმებში დასტურდება. ძირისეულ მასალად გვრჩება რვ-, რომელიც შექველად რუ სიტყვისგან მოდის და თორის მხარეში არსებულ ძველი სოფლის რუისის სახელს უნდა უკავშირდებოდეს. მაშასადამე, რველი რუ-ელ-ს ანუ რუის-ელ-ს („რუისიდან ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასული ადამიანი“) ნიშნავს. ქართულ ტოპონიმიაში შეინიშნება ფაქტები, როცა ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელი ზედწოდება სოფლის სახელადაც იქცეოდა. ასე მაგალითად, ძველ ქართლში არსებობდა სოფელი დისევი. აქედან სხვაგან წასულ პირს ეწოდებოდა დისეველი (||დისველი). ეს ფორმა სოფლის სახელად იქცა, რაც წერილობითაც დადასტურებულია: „დისველს ეწერა ოთხი სახასო მოლაშქრე“.<sup>1005</sup>

ამჟამად რუისი სოფლის სახელად მხოლოდ ქარელის რაიონშია დასტურდება, ძველად კი რუისი (რუისები) მდებარეობდა თორის მხარეშიც, კერძოდ, გუჯარეთში.<sup>1006</sup> სწორედ იქ, სადაც დღეს ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი რველია. რუისი (რუისები) გუჯარეთის ხეობაში მას შემდეგ გამქრალა, როცა მისგან წარმოქმნილა ახალი ტოპონიმი რველი, რომელიც, როგორც ვთქვით, რუის-ელ-ს ნიშნავს. ძველ ქართულში როცა -ეთ და -ის სუფიქსიან ტოპონიმებს ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსი მიერთვოდა, მაშინ წინამავალი -ის- და -ეთ- სუფიქსები იკარგოდნენ: ბოლნ-ის-ი → ბოლნ-ელ-ი, თბილ-ის-ი → თბილ-ელ-ი, მანგლ-ის-ი → მანგლ-ელ-ი; თიან-ეთ-ი → თიან-ელ-ი, კახ-ეთ-ი → კახ-ელ-ი, ბაზალ-ეთ-ი → ბაზალ-ელ-ი, კაკაბ-ეთ-ი → კაკაბ-ელ-ი... ანალოგიური ფონეტიკური პროცესია მომხდარი რუ-ელ- ფორმაშიც, რომელიც აშკარად რუის-ელ-ისაგან მომდინარეობს და რომელსაც საბოლოოდ რუ-ელ-ი, იგივე რველ-ი მოუტია უ და ვ თანხმოვანთა შენაცვლების გზით.

<sup>1005</sup> მასიგტ, 1, თბ., 1964, გვ. 74.

<sup>1006</sup> დ. ბ. ე. რ. ძ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ. გვ. 146.

**რიკოსი-ი** აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი წყალგამყოფი ქედი; იგივე ლიხის, ანუ სურამის გადასასვლელი.

„**რიკოთის პერევალს** იქით ზესტაფონამდე გზა ნამეტარი წამხთარია, თელათ წოუხთენია თოვს. ახლა დოუყენებია გზის მუშები“ (შოთა გურულის ნაამბობი, ს.მეორე ობჩა, 1987 წ.).

სახელწოდება რიკოთი, ჩვენი ვარაუდით, დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისათვის დამახასიათებელი -თ სუფიქსით არის წარმოქმნილი: რიკო-თ-ი. -თ სუფიქსი, როგორც ცნობილია, ძირითადად ადამიანთა და მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმებში იჩენს თავს: ვერხვა-თ-ი, მუხა-თ-ი, რცხილა-თ-ი, წიფელა-თ-ი...<sup>1007</sup> მაშასადამე ტოპონიმ რიკოთში ამოსავალ სიტყვად (ძირად) უნდა მივიჩნიოთ რიკო-ელემენტი, რომელიც ჩვენ რკო სიტყვის სახეცვლილ ფორმად მიგვაჩნია. (რ და კ თანხმოვნებს შორის გამყარად ი ხმოვანი გაჩენილა). თვით სიტყვა რკო იმერულ (აგრეთვე რაქულ და ლეჩხუმურ) კილოებში აღნიშნავს როგორც მუხის ნაყოფს (რკო), ისე ყურძნის (ვაზის) ერთგვარ ჭიშს (ისხამს შავ და თეთრ ნაყოფს. დგება მომეჯეო გემოს. ღვინო).<sup>1008</sup>

ამრიგად რიკოთი (რკო-თ-ი) უნდა გავიაზროთ: „ადგილი, სადაც კარგად ხარობს რკოს ჭიშის ვენახი, რკო-ეთ-ი“. რიკოთი თავდაპირველად ერთ კონკრეტულ ადგილს უნდა რქმეოდა. მოგვიანებით კი მთელი მთიანი მასივის აღმნიშვნელ სახელად ქცეულა.

**რიონი-ი** საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა. იგი სათავეს იღებს სვანეთში, შხარის მთის კალთებზე, უშგულთან ახლო. მდ.რიონი მოედინება რაქა-ლეჩხუმზე, გამოივლის ქუთაისს და იმერეთის ვაკობის ცენტრალურ ნაწილს; შუაზე ჰყოფს კოლხეთის დაბლობს და ქ.ფოთთან მიერთვის შავ ზღვას.

რიონი ოდითგანვე უდიდეს როლს ასრულებდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებაში. როგორც ისტორიული კოლხეთის უმნიშვნელოვანეს არტერიას, რიონს მუდამ წა-

<sup>1007</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, ზემო იმერეთი (აკად შ. ძ ი ძ ი გ უ - რ ი ს ს აერთო რედაქციით), თბ., 1987, გვ. 344-345.

<sup>1008</sup> ა ლ . კ ო ბ ა ხ ი ძ ე , რაქული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 89.

მყვანი ადგილი ეკავა იმ საერთაშორისო სავაჭრო მიმოქცევაში, რომელსაც კოლხეთისა და იბერიის სამეფოები ეწეოდნენ დასავლეთის (მცირე და წინა აზია), აგრეთვე აღმოსავლეთის (მტკვრის აუზში გადა-ნაცვლებით) ქვეყნებთან (ირან-ინდოეთი, ჩინეთი).

რიონი ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებთან (მემნონი, პლინიუსი, პტოლომეოსი, პროკოპი კესარიელი, პლუტარქე, სტრაბონი...) სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი: როანი, რეონი, ფაზისი||ფასისი... პლუტარქეს ერთ-ერთი ცნობის მიხედვით „ფასისი სკვითის მდინარეა, იგი ქალაქს (ე.ი. ფასისს, გვიანდელ ფოსს, გბ.) ჩამოუდის“<sup>1009</sup> ეს ცნობა, მართალია, ერთგვარ უზუსტობას შეიცავს — კოლხეთი სკვითასთან არის გაიგივებული, მაგრამ მდ. ფასისი რომ რიონია, ხოლო „ქალაქი“ კი — ფოთი, აშკარაა. რიონს ფაზისს || ფასისს უწოდებდა სტრაბონიც. პლინიუსის ნაწერებში როანი გვხვდება, პროკოპი კესარიელის თხზულებებში კი — რეონი. როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, მდინარის სახელწოდება ფასისი ბერძნებს შეუქმნიათ კავკასიონის მთიანეთში არსებული ფასის მთის სახელის მიხედვით; აქედან გამოედინება რიონის ერთ-ერთი სათავე.<sup>1010</sup> რაც შეეხება რეონს, როანს და თვით რიონს, მათ შესახებ მეცნიერთა შორის სხვადასხვა თვალსაზრისია გავრცელებული. სპეციალისტთა ერთი ნაწილი სახელწოდებაში გამოყოფს -ერ -ორ- არ -რ- სეგმენტს (მარცვალს), რომელიც ძველ ინდოევროპულ ენათა მასალის მიხედვით „დენას“, „მოძრაობას“, „სველს“, „სისველეს“ „ხევს“ „წყალს“, „მდინარეს“ და სხვა ზოგადი შინაარსის ჰიდროლოგიურ ცნებებს უკავშირდება.<sup>1011</sup> ცნობილია, აგრეთვე, თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც რიონი თურმე

<sup>1009</sup> იხ. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ. VI, გამოსაცემად მოამზადა თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა , თბ., 1987, გვ. 132.

<sup>1010</sup> იხ. ზ . კ . უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 490.

<sup>1011</sup> გ . მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 230; ლ . ა ს ა თ ი ა ნ ი , ქართული ჰიდრონიმების რიონის და არაგვის ეტიმოლოგიის შესახებ: კრებ. „კავკასიის ონომასტიკა“ (რუს.) ორჯონ., 1980, გვ. 97; 100; ვ ა ხ ტ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , არაგვი და არაგველები, თბ., 1989, გვ. 14-16, 17...

უკავშირდება ინდოევროპულსავე რო-, რუდ- სიტყვებს, რომლებიც ზოგიერთ ევროპულ, აგრეთვე, სპარსულ, ენაში „მდინარეს“, „არხს“, „თხრილს“, „ხევს“... აღნიშნავს. ამ ძირთაგან მიღებულად ითვლება ევროპის ცნობილი მდინარეების რაინისა და რონას სახელწოდებანი.

ქართული ტოპონიმის ენთუზიასტი მკვლევარი კ.ჭანი ჭერი კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში მიუთითებდა, რომ რიონი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან რიო („დენა“, „მდინარება“) ან სვანური რიენ-ფორმისაგან, რაც ზოგადად „დიდ მდინარეს“ ნიშნავს.<sup>1012</sup> 1970-იან წლებში გამოითქვა კიდევ ერთი განსხვავებული თვალსაზრისი რიონის ლათინური რიო „მდინარე“ სიტყვისაგან წარმომავლობის თაობაზე.<sup>1013</sup> თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ავტორი რიონის ეტიმოლოგიისას რატომღაც სათვალავში არ აგდებს ჰიდრონიმის მეორე -ონ-||-ნ- სეგმენტს, რომლის განმარტების გარეშე შეუძლებელია პირველი ფუძის სწორი, მეცნიერულად სარწმუნო და გასაზიარებელი თვალსაზრისის გამომუშავება. მართალია, ამგვარ სეგმენტაციას (სახელწოდების ორ ფუძედ დაყოფას) პირველად ნ.მარმა მიმართა (თუმცა მან ორივე ფუძე სატომო სახელად ჩათვალა),<sup>1014</sup> მაგრამ, ალბათ, ძნელი არ უნდა იყოს იმაში დარწმუნება, რომ ჰიდრონიმ რიონის ამ გზით ახსნა გაუმართლებელია; სულ რომ არაფერი, მოულოდნელია მდინარის სახელის პირველი ფუძე რი- (-რიჰ-) ეტრუსკულიდან მომდინარე სიტყვა იყოს, -ონ კი — იონურიდან. ქართულ ტოპონიმიაში მსგავსი ენობრივი წარმონაქმნები არც ძველად და არც შემდგომ არასოდეს გვქონია.

საინტერესოა, რომ მდინარე რიონის ეტიმოლოგიზაცია ქართულ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა სცადა. მართალია, ვახუშტისეული განმარტებანი სიზუსტით და თანმიმდევრობით არ გამოირჩევიან — ერთ შემთხვევაში მკვლევარი მდინარის სახელწოდებას სოფელ რიონს უკავშირებს („ხოლო სახელი მოიგო მდინარემან რიონმან დაბის რიონის გამო...“), მეორე შემთხვევაში ამოსავლად დაბა ონი არის ჩათვლილი, მესამე შემთხვევაში კი წყლის

<sup>1012</sup> СМОЛНІК, 40, ტფ., 1909, გვ. 119; მ . ნ . მ ე ლ ხ ე ე ვ ი , 1961, გვ. 71.

<sup>1013</sup> ჟ . ლ ო მ ა შ ვ ი ლ ი , წერილები, თბ., 1975, გვ. 185.

<sup>1014</sup> ნ . მ ა რ ი , აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ (რუს. ენაზე), მ.-ლ., 1938, გვ. 180.

სწრაფი დინება გამხდარა სახელწოდების მოტივი („რიონ და ჩქარა დინებამან...“),<sup>1015</sup> მაგრამ ქართულ ენობრივ მასალაზე ყურადღების გადატანა თავისთავად მნიშვნელოვან მომენტად უნდა ჩაითვალოს. ვინ იცის, ეგებ ჰიდრონიმ რიონის წარმოქმნა მართლაც ქართველურ ენათა, პირველ რიგში — სვანურის — მონაცემებთან იყოს დაკავშირებული და ამ „თავსატების“ ახსნა სწორედ ქართველური ენების მასალის გათვალისწინებით გახდეს შესაძლებელი.

**რკვია** (მარცხენა რკვია, მარჯვენა რკვია) სოფლებია იმერეთში (ზესტაფონის რ.). რკვიანი მდინარეა ამავე არეალში: „რკვიანი ერთობა (ერთვის) დუმალას“.<sup>1016</sup>

ხალხური გადმოცემა ამ სახელწოდების წარმოშობას ზმნურ „გაგნებას“, „გარკვევას“ უკავშირებს: „თათარი შამოსულა, როის, არ ვიცი. თამარ მეფე იქნებოდა მაშინ დაბადილი, ხოლოთ ამ თათრის ჯარს უნა, რო თელათ დეიმყროს და დეიმისოს იმერეთი. აქანა უმალ ისეთი დეზი ტყე ყოფილა, რომე, ქვის ჩიტს ვეტყვით, იგი ვერ გაძრობოდა შით, შევიდა, ძეობს გზას ეს ულუსი ჯარი. მარა ვერ გაარკვია თურმე მათმა ბელადმა ეს ამოდენა ჩალიხული გზაი. დაბრუნდა უკანი. ვერ გაგარკვიე მეო. იმ ადგილეთს დარჩა და დარჩა სახელათ რკვია“ (ჯანია გოცირიძე, ქ. ზესტაფონი). ეს ხალხური გადმოცემა კიდევ ერთხელ ნათლად გვიჩვენებს იმ ფაქტს, თუ როგორი ძლიერი სურვილი აქვს ხალხს, შეიცნოს, განმარტოს ყველა ის უჩვეულო, უცნაური სახელწოდება, რომელიც კი მის ნაცნობ მიკროსამყაროში არსებობს. ასეა „ახსნილი“ ტოპონიმი რკვიაც, რომელმაც ხალხურ ეტიმოლოგისტს პირველ რიგში გზის გარკვევა გაახსენა. სინამდვილეში ზმნური „გარკვევა“ აქ არაფერ შუაა. სახელწოდება რკვია უნდა მომდინარეობდეს იმერული ყურძნის ერთ-ერთი ჯიშის აღმნიშვნელი სიტყვისაგან რკო (რკო ვენახი), (შდრ. ტოპონიმი მუხების ვენახი ს. ჩინა, საჩხერის რ.). რკო იმერეთში ეწოდება შავი ყურძნის ჯიშს;<sup>1017</sup> რაკაში რკო თეთრი ჯიში-

<sup>1015</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი . აღწერა... თბ., 1941, გვ. 147.

<sup>1016</sup> ქ ძ ო წ ე ნ ი ძ ე . ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 148.

<sup>1017</sup> ლ . ლ ე ე ა ვ ა , მევენახეობის ტერმინები კიათურაში: თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული III, თბ., 1948, გვ. 63.

საც ყოფილა: ვაზის ჭიშია, გვხვდება როგორც შავი, ისე თეთრი რკო: „რკომ დამწიფება იცის გვიან, ღვინო მკავევა ცოტა“,<sup>1018</sup> „ჩვენ გვაქ საფერე იმერული და კახური; ქვიშხური... კუნძა, რქაწითელი, კრახუნა, რკო („შავი მარცვალი აქ, ნაკლები შაქრიანობისაა, ვიდრე ძველშავი...“).<sup>1019</sup> მამასადამე, რკვია || რკო-ია რკო-იან-ი-საგან გვქონია მიღებული და ნიშნავს: „ნაკვეთი, ადგილი, სადაც რკოს ჭიშის ვენახი ყოფილა გაშენებული“.

**რქონ-ი** ისტორიული სოფელია (ამჟამად ნასოფლარი) კასპის რაიონში. სოფელს სახელი გაუთქვა აქ აგებულმა მონასტერმა, რომელიც საქართველოს ისტორიაში კრკონის მონასტრის სახელით არის ცნობილი. „ერთაწმიდის დასავლით არს ციხე დრისა, მალალს კლდესა ზედა. ამის სამკრით, ზემოთ თემის მდინარესა ზედა არს კრკონს მონასტერი გუნბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუალს ადგილს“, — მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი.<sup>1020</sup> „ქართლ-კახეთის აღწერაში“ იოანე ბატონიშვილი (რომელიც წყაროდ ფაქტიურად ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერას“ იყენებს), თემის ხეობაში არსებული კრკონის გარდა კიდევ ორგან ასახელებს ამ სახელწოდების სოფელს, ერთს ქართლშივე, ძამის ხევში (საციციანოს), ხოლო მეორეს — ქვემო ქართლში, ბალიქის ხეობაში.<sup>1021</sup> როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევრისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში სახელწოდება კრკონი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ამის მიზეზად, ალბათ, სახელის მიგრაცია უნდა ჩაითვალოს. მიჩნეულია, რომ რკო (კრკო) ქართულში ბერძნული კვერკუს. სიტყვისაგან მომდინარეობს. ძველად რკო აღნიშნავდა როგორც მუხის ნაყოფს (განსაკუთრებით ქვემო იმერულ და აქარულ დია-

<sup>1018</sup> ა ლ . კ ო ბ ა ხ ი ძ ე , რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 89; ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ეკონომიური ისტორია, II ნაწ. გვ. 439.

<sup>1019</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 433.

<sup>1020</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი . აღწერა, თბ., 1941, გვ. 56, 21.

<sup>1021</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1966, გვ. 31, 32, 35.



ლექტებში),<sup>1022</sup> ისე თვით მცენარეს, მუხას. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვითაც კრკო ხესაც ჰქვია და მის ნაყოფსაც, რომელსაც დიდი ლექსიკოგრაფი „მუხის ხულს“ უწოდებს.<sup>1023</sup> ქართულ ტოპონიმიში ორივე ტერმინმა გავრცელება ჰპოვა, თუმცა აშკარაა, რომ კრკო||რკო სიძველით და, რაც მთავარია, გავრცელებით, მუხას ბევრად ჩამორჩება (შდრ. მუხნარი||მუხრანი, მუხიანი, მუხაესტატე, მუხათგვერდი, მუხათწყარო, მუხათი, მუხანი...)<sup>1024</sup> თვით სოფელი რკონი (||კრკონი) ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ ძეგლებში გვიანფეოდალური ხანიდან (XVI-XVII ს.ს.) ჩნდება: „რკონში მოსახლე დუღასძეები, სთველიაშვილები და ერდგულა მამულებით ეკუთვნოდა ზაქარია ჭავჭავიძის ვილსო“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ საბუთში, რომელიც 1624 წლით არის დათარიღებული. მეორე საბუთში უკვე მიწის ნასყიდობაზეა საუბარი: „სიმონ ეტიფონეშვილმა პაპია კყონიაშვილს მიჰყიდა ოთხი დღის მიწა რკონში, მელის ნასახლართან, „შინდასთან“ (1661 წ.).<sup>1025</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში რკონი მიჩნეულია ისეთ გეოგრაფიულ ნომენად, რომელშიც ობიექტის პირობითი (უფუნქციო) სიმრავლეა გადმოცემული (-ნ- სუფიქსის მეშვეობით): რკონ-ი.<sup>1026</sup> ამრიგად, რკონი მიიჩნევა ძველი საწარმოქმნო ნორმის მიხედვით გაფორმებულ ისეთსავე ტოპონიმად, როგორცაა: აგარა-ნ-ი, ჭვარა-ნ-ი, იწრო-ნ-ი, ქვაჭვარა-ნ-ი, ჭვართყელ-ნ-ი, მყინვარ-ნ-ი... სხვაგვარი თვალსაზრისის მიხედვით შესაძლებლად არის მიჩნეული რკონ-ში -ონ სუფიქსის გამოყოფა: კრკ-ონ-ი || რკ-ონ-ი, რაკი ქართულში არსებობს სიტყვა გურკა.<sup>1027</sup> თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ კრკ-ონ-ი || რკ-ონ-ი უნდა გავიგოთ როგორც: „მუხ-იან-ი“, „მუხ-ნარ-ი“, რამდენადაც ზანური -ონ

<sup>1022</sup> ა . მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი , ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 52.

<sup>1023</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 393.

<sup>1024</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 146-147.

<sup>1025</sup> იქვე, გვ. 176; იხ. აგრეთვე გვ. 128

<sup>1026</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. თბ., 1973, გვ. 136.

<sup>1027</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ე ა , სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში, თბ., 1942, გვ. 19.

სუფიქსის ფარდად ქართულში ძირითადად -იან-, -ოვან-, -ნარ- სუფიქსები გვხვდება.

რკო და აქედან ნაწარმოები რკონ-ი ჩვენი ფიქრით, მუხა სიტყვის სინონიმად არ უნდა აღვიქვათ. როგორც ჩანს, სიტყვა რკო ენაში (ამდენად ტოპონიმიაში) დამოუკიდებლად იხმარებოდა და იგი ვაზის დაბლარი ჭიშის აღმნიშვნელ სიტყვად გამოიყენებოდა. საფიქრებელია, რომ ვაზის აღმნიშვნელი რკო ტერმინი ძველად უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე დღეს. ამდენად, საფიქრებელია, რომ რკონი დაკავშირებული იყოს ვაზის კულტურასთან: „რკო ვენახი“, „ადგილი, სადაც რკოს ჭიშის ვაზი ხარობს“. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ სიტყვა „მუხა“ ქართულ ტოპონიმიაში ძველთაგანვე შეუზღუდავად მოქმედებდა და ამჟამადაც მოქმედებს. საინტერესოა, რომ თვით კასპის რაიონში, იქ, სადაც ტოპონიმი რკონი გვაქვს, საკმარის ხშირია მუხა სიტყვისაგან წარმოქმნილი მიკროტოპონიმები: „მუხები“, „მუხიან-ი“, „ცხრა მუხები“...<sup>1028</sup> მაშასადამე აქაც უპირატესობა მუხას ჰქონია მინიქმებულ და არა ნაყოფის აღმნიშვნელ რკო სიტყვას.

შეიძლება დაუშვათ, რომ ყველა ის მიკროტოპონიმი, რომელიც რკო სიტყვისაგან არის წარმომდგარი, შინაარსობრივად ვაზის ერთერთ უძველეს ჭიშთან იყოს დაკავშირებული და არა ადგილის მუხნარისანობასთან.<sup>1029</sup>

უთუოდ ამ ფაქტით არის შეპირობებული ტოპონიმიაში რკოს ერთგვარი შეზღუდულობა და მუხა სიტყვის გავრცელებულობა. ის ფაქტიც ანგარიშგასაწევია, რომ კრკონი||რკონი ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში საერთოდ არ ჩანს, მუხა სიტყვა კი ქართული ტოპონიმის ერთი უძველესი „ბინადართაგანია“.

**როდინაულ-ი** სოფელია იმერეთში (ზესტაფონის რ.) ადგილობრივი (ხალხური) ფორმაა როდინოული. გავრცელებულია გადმო-

---

<sup>1028</sup> ვ. მ ა ლ რ ა ძ ე , შიდაქართლის (კასპის რეგიონი) ტოპონიმია, თბ., 1986, გვ. გვ. 11, 25, 26.

<sup>1029</sup> უთუოდ ასე უნდა გავიაზროთ აქარაში (ს. მახუნცეთი) არსებული მიკროტოპონიმი კოქედლი||რკოქედლი (ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , 1958, გვ. 51, 149): „ქედი, სადაც რკოვენახი ყოფილა გაშენებული“.

ცემა, რომლის მიხედვითაც აქაური მოსახლეობა თურმე ოდითგან ხის როდინების დამზადებით ირჩენდა თავს. ზოგიერთის გადმოცემით „სოფლის დებარეობა მოგვაგონებს როდინს“. ზემოდან რომ დახედოს კაცმა, როდინი გამეიხატება. დაბალი ადგილია, ირგვლივ თები აქ მოდგმული, როდინივითაა“ (ვახტანგ ბიქტორის ძე გეწაძე, ს.მეორე ობჩა, 1998 წ.). მართლაც უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხური განმარტება ზუსტია და როდინაული უნდა გავიგოთ როგორც როდინის მსგავსი ადგილი; დუბე, ჩავარდნილი ადგილი. საინტერესო ისაა, რომ ზემო იმერეთის არაერთ სოფელში დადასტურდა როდინ-სიტყვის შემცველი მიკროტოპონიმები. ს.შორაპანში, მდ. ყვირილას სანაპიროს ერთ-ერთ ადგილს აქაური მოსახლეობა როდინა-ს უწოდებს. ამ სახელწოდებაში -ა ხმოვანი აშკარად თვისება-მქონებლობის სუფიქსია. ნიშნავს: „როდინის მსგავსი“. ასევე, სოფ. ზედა ქალოვანში ერთ-ერთ ადგილს ნაროდინები (||ნაროდინევი) ჰქვია. საგულისხმოა, რომ მეორენაირად იმავე ადგილს აქ ტბებს უწოდებენ,<sup>1030</sup> ეს კი თითქოს მიგვანიშნებს ობიექტის ჩავარდნილობაზე. აქაც ნაროდინები უნდა გავიაზროთ როგორც დუბე, ჩადაბლებული, ჩოლი ადგილი. მაშასადამე, სოფლის სახელწოდება როდინაული (როდინა-ულ-ი) ოროგრაფიული შინაარსის სახელი ყოფილა და ნიშნავს: „როდინის მსგავსი ჩადაბლებული, ჩოლი, დუბე ადგილი“.<sup>1031</sup>

შეიძლებოდა ამოსავლად გვევარაუდა როდინა სიტყვის გურული მნიშვნელობა: „ხის ღარი“: „ადგილი, სადაც მდგარა საქონლის (ფრინველის) დასარწყულებელი ისარნა, ხის ღარი“.

**რ შ ხ მ** ცნობილი ადგილია ხევში (ყაზბეგის რ.). „დაზღვევებია სოფელჩიგათ მდევარი, გამაზღვგია ჟკენა. რუხეს ვეძახით, ყირვნის ძირი, დასწევინ იქა. დვალთ ღორღს ვეძახით, რუხის გადასავალჩი, იქ

<sup>1030</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I, ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 143.

<sup>1031</sup> თვითონ სიტყვა როდინი იმერულ დიალექტში ნიშნავს: „ღიდი ქვა, მრგვალად ამოკვეთილი, ხმარობენ თიხის (ზოგჯერ მარილის) დასანაყად. წინათ ფეტვისა და ღომის გასაცეხად იყენებდნენ (იხ. პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე , იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976, გვ. 115).

ჩეყარა“.<sup>1032</sup> ადგილობრივ ამ ტოპონიმს ხსნიან ფერის აღმნიშვნელი სიტყვის („რუხი“) მიხედვით. ამგვარი ვარაუდის დაშვება მოულოდნელი არ არის, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ იგი რუ-ხევის შემოკლებული ფორმა უნდა იყოს. რუხევი-ი ნიშნავს: „ხევი, რომელიც რუხებად ჩამოდის“, „შრალი რუხევი“.

— ს —

**საბუქია** ზემოიმერეთის მიკროტოპონიმიაში (კიათურის, საჩხერისა და ხარაგაულის რ.— არაერთი ადგილის სახელად გვხვდება საბუქია, რომლის ახსნასაც ადგილობრივი მოსახლეობა სასულე-ჩასაბერი ინსტრუმენტის — ბუკის გამოყენებას უკავშირებს. ხარაგაულის რაიონის ს. საქარიქედში ტოპონიმ საბუქიას წარმოშობის თაობაზე ასეთი გადმოცემა ყოფილა გავრცელებული: „ჩვენთან ხალხი უმალ გაშლით ყოფილა, ისეთ კი არა, ახლა რაა. ერთი ეგერ ნაცხოვრება, თაში, მეორე — ეგერ. თუ რამე კრება იყო ან ყრილობა დანიშნული, ამ ადგილიდან ბუკს ცემდენ, ხალხს ამგროვებდენ, ომის საქმე იქნებოდა, თუ სხვა რამე დიდი ამბავი. თელი კიცხის ხეობა ბუკის დაძახებაზე თურმე წუთში იყრიდა თავს, ტილიფონი კ'არ იყო. მაშითვე შემგროვდებოდა სოფელი“.<sup>1033</sup>

ჩვენი ფიქრით ტოპონიმი საბუქია სრულიად სხვაგვარი წარმომავლობისაა. მისთვის ამოსავალი ჩანს ქართული ენის დასავლურ (იმერული, გურული...) დიალექტებში გავრცელებული სიტყვა ბუკი; რომელიც ნიშნავს „ფუტკრის სკა, როფი, გეჯა“: „ორი ბუკი ფუტკარი მყავდა“.<sup>1034</sup> ასე რომ, საბუქია უნდა გავიგოთ, როგორც „ბუკების დასადგმელი ადგილი“; „ადგილი, სადაც ფუტკრის სკებს დგამენ გამოზამთრების შემდეგ“ ან: „ფუტკრის სკების ანუ ბუკების დასამზადებელი ადგი-

---

<sup>1032</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ქართული ენის მონეური დიალექტი, თბ., 1985, გვ. 119.

<sup>1033</sup> სფ.

<sup>1034</sup> პ . გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე , იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976, გვ. 28.

ლი“. სიტყვა ბუკი ფუტკარის სკის აღსანიშნავად ქვემო იმერეთშიც დასტურდება. სოფ. ობჩაში (მაიაკოვსკის რ.) არის ადგილი, რომელსაც **ხებუკნარა** ეწოდება. თუ ჩვენ ამ სახელწოდებას -ნარ სუფიქსს ჩამოვაშორებთ, ფუძედ დაგვრჩება **ხებუკ-ი**, რომელიც შინაარსით უთუოდ იმავე ფუტკარის სკას, ფუტკარის ბუკს უკავშირდება: **ხებუკი**, **ხე-სკა**, ფულუროიანი ხე, რომელშიც ფუტკარს ჰქონია ბინა. სხვა ხეთაგან გამორჩეული იმ ხე-ბუკის გარშემო მდებარე ადგილებისათვის ხალხს **ხებუკ-ნარა** შეურქმევია.

**სადემეტრაო** ისტორიული სოფელია იმერეთში (ბაღდათის რ.). თანამედროვე **წითელხევი**. ეს სახელწოდება სადემეტრაოს საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულში, 1930-იან წლებში შეარქვეს,<sup>1035</sup> მიუხედავად იმისა, რომ სადემეტრაო ჯერ კიდევ გიულდენ-შტედტის „მოგზაურობაშია“ მოხსენიებული. სოფლის დღევანდელი სახელწოდება **წითელხევი** მიძღვნილი, კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი ერთეულია. ამდენად იგი პრინციპულად განსხვავდება ისეთი ტოპონიმებისაგან, რომლებიც ობიექტის ფიზიკურ-გეომორფოლოგიური ნიშან-თვისების აღმნიშვნელ სიტყვა „წითელს“ შეიცავენ: **წითელა** — მდინარეა ზესტაფონის რ-ში; **წითელი კლდე** სოფელია დუშეთის რ-ში; **მიწაწითელი** — სოფელი წყალტუბოს რ-ში; **წყალწითელა** მდინარეები ბაღდათის, თერჯოლისა და ლანჩხუთის რ-ებში; სოფლები ტყიბულის რ-ში; **წითელათანა** — ცნობილი ადგილია ხევსურეთში, სოფ. არხოტთან და სხვ. თვით ტოპონიმი **სადემეტრაო** წარმოქმნილია **სა-ო** აფიქსით, საყრდენი ფუძეა **გვარი დემეტრაძე**, რომლის ბოლო მარცვალი (ძე) ჩამოკვეცილია (ჩავარდნილი). მაშასადამე, **სა-დემეტრაძე-ო** → **სა-დემეტრა-ო** „დემეტრაძეების მამული“, „დემეტრაძეთა სოფელი“. გვართაგან მომდინარე **სა-ო** კონფიქსიან ტოპონიმებში გვაროვნული ძე და შვილ სართები წესისამებრ იკარგვიან: **სა-გურამ-ო** (←**სა-გურამიშვილ-ო**) **სა-კობიან-ო** (←**სა-კობიაშვილ-ო**), **სა-ჯავახ-ო** (←**სა-ჯავახიშვილ-ო**)... ანალოგიურად არის წარმომდგარი **სადემეტრაო** (←**სა-დემეტრაძე-ო**).

<sup>1035</sup> ე დ . გ ი ო რ გ ა ძ ე , რ ა ხ დ ე ბ ა ს ა დ ე მ ე ტ რ ა ო შ ი ? ! გ ა ზ . 7 დ ლ ე , 17 ო კ ტ . 1990.

**სადმელ-ი** ცნობილი სოფელია რაქაში (ამბროლაურის რ.) სოფელს, როგორც ჩანს, სახელი გაუთქვა ადგილობრივმა ვაზის საუკეთესო ჯიშმა სადმელურმა მწვანემ, რომლისგანაც რაქველები მაღალი ხარისხის ღვინოს აყენებენ.<sup>1036</sup> სადმელი რამდენიმე დიდი უბან-სოფლისაგანაა წარმოქმნილი. ეს უბნებია: კანაფეული, სამგლიანი, ქოველი, ჭარბეული. სადმელი თავისი ისტორიული ციხე-სიმაგრით კარგად იყო ცნობილი გვიანფეოდალური ხანის საქართველოში: „სადმელს არს ციხე კლდესა ზედა შენი, შეუალი მტრისა... ხოლო ხიდის კარიდამ წავალს მცირე მთა კლდიან-ქარაფიანი ჩდილოთ, ვიდრე კავკასამდე. ამაზედ არს ეკლესია თხემსა ზედა შენი, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. უწოდებენ მთითურთ ველიეთსა. ამ ეკლესიაზედ გარდავალს გზა სადმელს და თვინიერ მისა არა სადა...“<sup>1037</sup>

სადმელელებს თავიანთი სოფლის სახელწოდების წარმოშობის თაობაზე ერთობ უცნაური ლეგენდა შეუქმნიათ:

„ერთხელ თამარ მეფე წამოსულა თავისი ამალით სვანეთში. გზად ლამაზი მელია დაუქერიათ, ამოუშენებიათ ქვის ყორე და მელია შიგ ჩაუსვამთ, დაებრუნდებით და წავიყვანთო. რრცა სვანეთიდან დაბრუნებულან, მეფეს და მის ამალას მელა იქ აღარ დახვედრიათ. დაუწყიათ ძებნა, თან იქაურ ხალხს ეკითხებიან: სადაა მელა? მათ უთქვამთ, არაფერი ვიცით, სად ჩვენ, სად მელაო?! მერე სოფლისთვისაც სადმელა ანუ სადმელი შეურქმევიათ“ (რეზო სამსონის ძე კერესელიძე, ქ.თბილისი).

ავსკარაა, რომ ამ გადმოცემას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. ჩვენი ვარაუდით ტობონიმი სადმელი წარმოქმნილია ადამიანის სადაურობა-წარმომავლობის მიმანიშნებელი -ელ სუფიქსით, რაც ამ სოფლის მიგრირებული მოსახლეობის მიერ შექმნაზე მეტყველებს (შდრ. ურაგ-ელ-ი, ხორხ-ელ-ი, ყვარ-ელ-ი...). ასეთ ძირეულ სოფლად მიგვაჩნია სამცხის ისტორიული პუნქტი ხმადა, რომლისაგანაც უნდა მიგვე-

---

<sup>1036</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია ტ II, თბ., 1935, გვ. 445; ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში წ. I, რაქა, თბ., 1974, გვ. 37; ალ. კობახიძე, რაქული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 91 (სტ. სადმელური|სადმელური მწვანე).  
<sup>1037</sup> ვახუშტი, აღწერა... თბ., 1941, გვ. 158-159.

ლო სმად-ელ-ი, ხოლო აქედან — სადმელი (ფუძეში მეტათეზისის გზით, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო სახელის დეეტიმოლოგიზაციას).

**სათიბონა||სათიბონებ-ი** პატარა სათიბ-საძოვარი მინდვრების სახელად გვხვდება ხევის სოფლებში — თოთსა და გარბანში.<sup>1038</sup> სათიბონა პოეზიაშიც არის დადასტურებული:

„მზემ დახედა სათიბონას...

გული ჭავრით ნათიბია...“<sup>1039</sup>

ტოპონიმი აშკარად -ოვან- სუფიქსით არის გაფორმებული, ოღონდ მასში ვ-ინის ჩავარდნას ა ხმოვნის გაუჩინარებაც გამოუწვევია: სათიბ-ოვან-ა → სათიბ-ოან-ა → სათიბ-ონ-ა. ამ პროცესზე მიგვანიშნებს სათიბონას პარალელური ფორმა სათიბონებ-ი, რომელიც ამოსავლად უეჭველად სათიბოვნებ-ს გვაპარაუდებინებს.

**სათუხალო** (||სათუხარო||სართუხალო) ასე უწოდებენ ერთ-ერთ დიდ და ძველ ნასოფლარ ადგილს ახალქალაქის (კასპის რ.) სასოფლო საბჭოში. ტოპონიმი სათუხალო, აგრეთვე მისი ფონეტიკური ვარიანტები სათუხარო და სართუხალო, სა- — -ო აფიქსით წარმოქმნილი გვაროვნული კუთვნილების აღმნიშვნელი ტოპონიმებია. წარმომდგარია თუხარელი-საგან და ნიშნავს „სა-თუხარლ-ო“, „თუხარელე-ბის სოფელი“. მაშასადამე, სა-თუხა(რ)ლ-ო იმგვარადვე ყოფილა გაფორმებული, როგორც სა-გუარამ-ო, სა-შაბურ-ო, სა-კირინთლ-ო, სა-ციციან-ო...

როგორც ზემოთ ვთქვით, სათუხალო სა-თუხარლ-ო-საგან მომდინარეობს. ამაზე ნათლად მეტყველებს ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმა სართუხალო, რომელშიც ბგერათა მეტათეზისი მომხდარა.

**საიმედო** ასე ეწოდება იმერეთის ერთ-ერთ სოფელს (ბაღდათის რ.). ადგილობრივ გავრცელებული გადმოცემის მიხედვით სოფელს საიმედო იმის გამო შერქმევია, რომ მას მტერი ვერასოდეს იღებდა. „უწინ ეს ადგილები ყოფილა დიდათ გამაგრებული. თელი მოსახლეობა

<sup>1038</sup> ვ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ხევის ტოპონიმოკა, თბ., 1971, გვ. 24, 25.

<sup>1039</sup> ლ ი ა ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი , ჭავრისა (ლექსები), თბ., 1990, გვ. 25.

ამ ციხე-სიმაგრეს აფარებდა თავს, მტერი ვერ ეკარებოდა ვერსაითგან, მიუვალი ადგილი იყო და მიტო. ხალხიც მშვიდათ გრძნობდა თავს; დოუთქმევია ამიზა საიმედო“.

უფრო მართებული იქნება, თუ ჩვენ ამ ტოპონიმს იმედაძეთა გვარს დავუკავშირებთ. სა-იმედ-ო ისევეა წარმოქმნილი, როგორც სა-კილასონი-ო, სა-კობიან-ო, სა-შაბურ-ო, სა-კორინთლ-ო, სა-ნაჭყე-ბი-ო, სა-ოდიშარი-ო, სა-ქადაგიან-ო, სა-ქორჩი-ო, სა-წულღისკირ-ო და სხვ. მრ. მაშასადამე, სა-იმედ-ო უნდა გავიაზროთ როგორც სა-იმედაძე-ო, „იმედაძეებით დასახლებული სოფელი“, „იმედაძეების კუთ-ვნილი ადგილ-მამული“.

**საინიღქლე** სახნავ-სათესი მინდვრების სახელწოდებაა ს.ბეყა-თუბანში (მოლითის სას. საბჭო, ხარაგაულის რ.).

ხალხური რწმენით საინი თათრების ბელადი ყოფილა. ის თავისი ურიცხვი ლაშქრით თურმე ხშირად ესხმოდა თავს საქართველოს და ქვეყანას საშინლად აოხრებდა. ერთხელ ამ ღელესთან ახლოს საინის ჯა-რი სასტიკად დაუმარცხებია თამარ მეფეს (მეორენაირი ვერსიით — გი-ორგი სააკაძეს) და სწორედ ამ გამარჯვების აღსანიშნავად დარქმევია ადგილს საინის ღელე. (თინა ლაცაბიძე, ს.მოლითი).

გადმოცემას, ცხადია ქეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს; ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ცნობილი არ არის რომელიმე თათრის ბელადი სახელად საინი. მაგრამ ყველაზე არსებითი და მნიშ-ვნელოვანი ისაა, რომ ქართველი ხალხი გეოგრაფიულ პუნქტებს ან ცალკეულ ობიექტებს დამპყრობელთა დამარცხებული ბელადების სახე-ლებს არასოდეს არქმევდა. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენს ტოპონი-მიაში ანალოგიური შინაარსის სახელებს სათვალავი არ ექნებოდა!

ტოპონიმი საინიღელე (||საინისღელე) წარმომდგარი ჩანს სი-ტყვისაგან ინ-ი (საღებავი ნივთიერება). იგი გაფორმებულია დანიშნუ-ლების სა-ე აფიქსით: სა-ინ-ე (||სა-ინ-ე ღელე). ნათესაობით ბრუნვაში მას სა-ინ-ის ღელე მოუცია. საინტერესოა, რომ ასეთივე შინაარსის მიკროტოპონიმი („საინის ქედი“) რაქის ტერიტორიაზეც გვხვდება. იგი ნიშნავს: „ადგილი, სადაც ინის საღებავი ითხრება“ (მდრ. ხევს. სა-ღებ-ე: „ღების (მიწასაღებავია) მოსაპოვებელი ადგილი“.



**საირხე** ცნობილი სოფელია ზემო იმერეთში (საჩხერის რ.). გაშენებულია ისტორიული ციხე-სიმაგრის მოდინახეს სამხრეთით. საირხეში ქართველ არქეოლოგთა მიერ ამ 30-35 წლის წინათ გათხრილი იქნა ანტიკური ხანის ქალაქური ტიპის დასახლება, აგრეთვე საკულტო ნაგებობა, რომელიც სპეციალისტთა მიერ ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებულ ტაძრად იქნა მიჩნეული. ამ აღმოჩენის შედეგად ქართველ ისტორიკოს-არქეოლოგებს კიდევ უფრო განუმტკიცდათ რწმენა იმის თაობაზე, რომ საირხე||საირხე ესაა კლავდიოს პტოლომეს მიერ კოლხეთის ძველ ქალაქებს შორის მოხსენიებული **სარაკე**.<sup>1040</sup> ვარაუდი უთუოდ საინტერესოა, თუმცა მისი საბოლოოდ მიჩნევა და უყოყმანოდ გაზიარება ალბათ გაძნელებდა. გამორიცხული არ უნდა იყოს იმის შესაძლებლობაც, რომ პტოლემესეული **სარაკე** ძვ. ქართ. **სა-რაგე-ე** (შდრ. ზანური **ო-რაგე-ე**) ან სულაც **სარაპან** (ქართ. შორაპანი) სახელის დამახინჯებული (შეცვლილი) გადმოცემა იყოს. იყო ცდა ტოპონიმი **საირხე||საირხე** ქართულ **სარყე** სიტყვასთან კავშირშიც კი ყოფილიყო განხილული, რაკი მიკვლეული ანტიკური ხანის ტაძარი ნაყოფიერების ღვთაების სახელობის იყო და მის საკულტო მსახურებაში მთავარი ადგილი ზის კულტს ეკავა.<sup>1041</sup>

ტოპონიმთა წარმომავლობის გარკვევაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სახელწოდების სტრატეგიაფიას, ანუ ქრონოლოგიურ-ენობრივი ფენების (დანაშრევების) ასაკობრივ შესწავლას. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ტოპონიმი საირხე დიდი ხნოვანობის არ ჩანს; მას არ იცნობს ძველი ქართული ისტორიოგრაფიული წყაროები, ვთქვათ, „ქართლის ცხოვრება“, ან თუნდაც აღორძინების და გვიანფეოდალური ხანის ქართული ისტორიულ-სოციალური და ეკონომიკური შინაარსის ძეგლები (ანდერძები, შეწირულობანი, სულთა მატიანეები, სიგელ-გურჯები, დაწერილები, კომლთა ნუსხები, აღწერილობათა მასალები...) რაც მთავარია, ტოპონიმ საირხეს არ იცნობს არც ვახუშტი ბატონიშვილი და არც შემდგომი ხანის საქართველოს აღმწერი იოანე ბაგრატიონი. და ეს მაშინ, როცა ვა-

<sup>1040</sup> ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე , ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 145; ვ . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , კიათურა, თბ., 1977, გვ. 56-57.

<sup>1041</sup> ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 145.

ხუმტი ბატონიშვილი, საკმაოდ დაწვრილებით აღწერს დასავლეთ საქართველოს კუთხეებს, კერძოდ, ოკრიბას (დღევ. ქიათურა-საჩხერის მხარე). როგორც ჩანს, ტოპონიმი საირხე გვიან (XIX ს-ის I ნახევარი) არის შექმნილი. იგი სა- — ე აფიქსით გაფორმებული სახელია და იმავე ტიპის სახელწოდებათა რიგში დგება, როგორცაა: სა-ირმ-ე, სა-ჯოგ-ე, სა-კრავ-ე, სა-მტრედ-ე, სა-კურდღღ-ე, სა-შეგარდნ-ე, სა-ქორ-ე. ტოპონიმი სა-ირხ-ე, მაშასადამე, ისეთი გეოგრაფიული სახელია, რომელშიც რაღაცის სიმრავლე, კრებითობა, გავრცელებულობა არის აღნიშნული. -ირხ- ძირს ჩვენ ვაკავშირებთ ზემო-იმერულ დიალექტში კარგად დაცულ ირხე- სიტყვასთან, რომელიც აქ იხვის, კვანტის პარალელურად გამოიყენება: „ირხეები თუა მოსული, ნახე“.<sup>1042</sup>

ძალზე საყურადღებოა და არსებითი ის ფაქტი, რომ ამავე არეალში (საჩხერის რ.) დასტურდება მიკროტოპონიმი საირხია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა იგივე საირხვია, მომდინარე სა-ირხვ-ე-ა ფორმისაგან (მდრ. სამტრედია — სამტრედე-ა, საფიჩხია — საფიჩხე-ა, სალორია — სალორე-ა, სამაჩვია — სამაჩვე-ა და სხვ.) მაშასადამე, საირხე (← სა-ირხვ-ე||სა-ირხვ-ია) უნდა გავიაზროთ როგორც „ადგილი, სადაც იხვი მრავლად ბუდობს“, „იხვებზე სანადირო ადგილები“ მდრ. მეგრ. ტოპონიმი ო-კვანტიეშ-ი სა-კვატი-ე“. საინტერესოა, რომ ტოპონიმი საიხვე (ზემო და ქვემო) ცნობილი იყო ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეების სამცხე-საათაბაგოში.<sup>1043</sup> საიხვია დადასტურებულია სკურსებშიც (ისტორ. ოკრიბა), ზემო აქარაშიც (გოდერძის უღელტეხილზე მდებარე ტბას ეწოდება)<sup>1044</sup> და ოზურგეთის რაიონშიც (სოფ. მერია). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სოფ. სპეთში (საჩხერის რ.) სათიბი და სახნავი ადგილების სახელწოდებად გვხვდება მიკროტოპონიმი საირხია||საირხეები, აგრეთვე მათი ბგერით-

<sup>1042</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1977, გვ. 177.

<sup>1043</sup> ს . ჯ ი ქ ი ა , გვდ II, 1941, გვ. 19.

<sup>1044</sup> ი . ს ი ბ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთდასავლეთ საქართველოს ტოპონიმია I, ბათუმი, 1958, გვ. 126.

ნაცვალის საერხია,<sup>1045</sup> რომელიც, რა თქმა უნდა, ტოპონიმის საირხვი-ად გააზრებას უწყობს ხელს.

დასასრულ შეიძლება კიდევ ერთი ვარაუდის დაშვება. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ტოპონიმი საირხე წარმომდგარი იყოს ქანური ირხ-ი სიტყვისაგან, რომელიც წარმოშობით თურქულია და „ცხენის ჯოგ“, „რემას“ ნიშნავს.<sup>1046</sup> თურქულ ირხ- სიტყვას („რემა“) ქართული ენის გარემოცვაში მოხვედრის შემდეგ შეიძლება „მიეთვისებინა“ ქართული საწარმოქმნო აფიქსი სა-ე და იგი სა-ირხ-ე-დ ქცეულიყო. მაშასადამე, ამ უკანასკნელი ვარაუდის მიხედვით ტოპონიმი საირხე უნდა გავიაზროთ როგორც „ცხენების საძოვარი ადგილი“, „საცხენე ადგილები“, „მთა, სადაც ცხენების რემას მწყემსავენ“. (შდრ. საცხენის-ი).

ამ ორ ვარაუდთაგან უპირატესობას ჩვენ მანძე პირველს ვაკუთვებთ: სა-ირხე-ე → სა-ირხ-ე (გ- სონორის დაკარგვით). (შდრ. აქარ ინწყირ-ეთ-ი (-ინწყირვ-ეთ-ი)).

**საპრაქსა** სოფელია იმერეთში (ბაღდათის რ.). ამავე რაიონში საკრალა დასტურდება მთისა და მდინარის სახელწოდებადაც. როგორც ჩანს, პირველადია მთის სახელწოდება, შემდეგ კი იგი მდინარეს, ხოლო აქედან სოფელს გადასცემია. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ვარაუდი ტოპონიმის კრავ- სიტყვისაგან მომდინარეობის თაობაზე: საკრა(ვ)-ულა „საკრავე ადგილები“, „კრავებისათვის განკუთვნილი ადგილი“.<sup>1047</sup> ხალხური რწმენით მდინარეს საკრალა იმიტომ შერქმევია, რომ ზაფხულში, როცა იგი ძალიან პატარავდება, „კრავსაც კი შე-

<sup>1045</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმი I. ზემოიმერეთი (გამოსაცემად მოამზადეს ი. ბ ა ქ რ ა ძ ე მ , შ . ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე მ და ვ . ჯ ო რ ჟ ა მ ) თბ., 1987, გვ. 170-171.

<sup>1046</sup> ს . ჯ ი ქ ი ა , თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან: თსუ შრომები, 164, ენათმეცნიერება, თბ., 1975, გვ. 67; ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ქანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), ტფილისი, 1936.

<sup>1047</sup> შ . ა ლ ა ვ ი ძ ე , ლეჩხუმის ტოპონიმი: ჟურნ. „განთიადი“ №1, 1982, გვ. 181; შ . გ ო გ ა ტ ი შ ვ ი ლ ი , 1981, გვ. 36; ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 495.

უძლია ზედ გადახტომა“.<sup>1048</sup> როგორც ვხედავთ, საკრალულას სპეციალისტებიც და ადგილობრივი მოსახლეობაც კრავ-სიტყვას უკავშირებენ.

საყურადღებოა, რომ იმერეთშივე (ხარაგაულის რ.) ჩამოედინება ღელე, რომელსაც მსგავსი სახელი საკრეულა ეწოდება.

ქართულ სამეურნეო ტოპონიმიაში გვხვდება მსგავსი შინაარსის სახელები. ისტორიული ო-კრიბა-ა („საკრავე“) ამის ნათელი დადასტურებაა. ოკრიბას გარდა ცნობილია ოფუჟე „სა-ფურ-ე“ („მეწველი ძროხების სასაძვრე ადგილები“), სა-ხარ-ე, სა-მშრალო-ე-ბი („მთა, სადაც მშრალ ცხვარს მწყემსავენ“), სა-ბერწ-ე („უხნი, ბერწი საქონლის საძვრები“) და სხვ. ამის მიუხედავად შეიძლებოდა დაგვეშვა ტოპონიმ საკრალულას წარმომავლობის სხვაგვარი ვარაუდიც. კერძოდ, ხომ არაა მოსალოდნელი, რომ საკრალა მომდინარეობდეს საკარა სიტყვისაგან, რომელიც მთიან სამეგრელოში საზაფხულო (საზამთრო) სადგომს ნიშნავს? ესაა კარე-ს დასადგმელი ადგილი. საკარეში მწყემსები ცხოვრობენ კიდევ. „საზამთრო საკარაში ზამთრობით საქონელი ჰყავთ, ხოლო ზაფხულობით მიწას ამუშავებენ და ჭირნახული მოჰყავთ. საზამთრო საკარა ლეხურაში გვაქვს“.<sup>1049</sup>

მაშასადამე, ტოპონიმი საკრალა შეიძლება ორგვარად გავიზაროთ: 1. სა-კრავ-ულ-ა „კრავების საზაფხულო საძვრები“. 2. სა-კრავ-ულ-ა „მწყემსთა კარეების გასამართავი (დასადგმელი) ადგილები“.

სალეპელ-ი ხევსურებით დასახლებული სოფელია კახეთში (თელავის რ., თეთრიწყლების სას. ს.). სოფლის სახელწოდებაში ცოცხლად არის შემორჩენილი ის ფაქტი, რომ საღებელი ხევსურეთის სოფელ საღებე-დან მოსულ მოსახლეობას შეუქმნია, რაზედაც ნათლად მიგვანიშნებს ადამიანთა სადაურობა-წარმომავლობის აღმნიშვნელი -ელ- სუფიქსი. საღებ-ელ-ი, მაშასადამე, იმავე წესით ყოფილა გაფორმებული, როგორც: ყვარ-ელ-ი, ხორხ-ელ-ი, სანებ-ელ-ი, ურავ-ელ-ი, ფხოვ-ელ-ი, ახატ-ელ-ი..

თვითონ ამოსავალი სახელწოდება საღებე (სა-ღებ-ე) ნიშნავს: „სოფელი, სადაც მოიპოვება მინერალი, საღებავად სახმარი ტალახი

<sup>1048</sup> სფ.

<sup>1049</sup> მასალები შინამრეწველობის ისტორიისათვის I, გვ. 388.

ლები“, იგივე მიწალები, არჯასპი.<sup>1050</sup> მოსახლეობა მას ოდითგანვე იყენებდა როგორც ბუნებრივ საღებავს (ღებავდა შავად ან მუქლურჯად). ამიტომაცაა, რომ სიტყვა ლები, როგორც სილურჯის აღმნიშვნელი სიტყვა, ძველქართულშივე კარგად იყო ცნობილი. დაღებება (ცემისაგან დალურჯების მნიშვნელობით) შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ რამდენიმეგზის არის სხვადასხვა ფორმით დადასტურებული:

„ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,  
დააღება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა“.

„ჟმა წავიდა სევედიანი, მკერდსა იცემს, ამაღ იღებს“...

„ჩვენთა მტერთანი გიჩვენენ წყლულნი მით, ვაგლახ, ლებულნი!“

**სამდათვია** ტყეა ზემო იმერეთში (სქვედა სვერი, ქიათურის რ.). სახელწოდების წარმოშობას ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტყეში სამი დათვის არსებობას უკავშირებს. გადმოცემით უწინ აქ დიდი, უსიერი ტყეები ყოფილა „ჟაცი ვერ გეიარდა შით“. იქვე ბუნაგი ჰქონია სამ უზარმაზარ დათვს, „არაფელის რომ იმათ არ ეშინოდა, იტაცებდენ და მიყავდენ სოფლიდანი, ხო იქნებოდა თუ ძროხა“. ამის გამო ამ ადგილისათვის „დოუთქმევიათ“ სამდათვია“ (ნინა ქოჩლაძე-გეწაძისა, 1987 წ.).

ფაქტიურად რიცხვითი სახელი სამი აქ არაფერ შუაა. ტოპონიმის თავდაპირველი სახე უნდა ყოფილიყო სა-დათვ-ია (ამ ტიპის მიკროტოპონიმები ზემო იმერეთში და, საერთოდ, მთელ დასავლეთ საქართველოში, ძალზე ხშირად დასტურდება: სა-ლორია, სა-ფიჩხ-ია, სა-ფუტკრ-ია, სა-მაჩვ-ია, სა-ქათმ-ია, სა-იხვ-ია, სა-პრას-ია...). საპრეფიქსიან ტოპონიმებში ადგილობრივი მოსახლეობა, გრამატიკული კანონების უცოდინარობის გამო, სა- ელემენტს ხშირად რიცხვით სახელად (სამი) გაიაზრებს, მით უმეტეს მაშინ, როცა სა- პრეფიქსს ფუძისეული მ თანხმოვანი მოსდევს (ასეთ შემთხვევებზე ქვემოთაც გვექნება სპეციალურად საუბარი). ტოპონიმ სამდათვიაში მ თანხმოვანი დეეტი-მოლოგიზაციის გზით არის გაჩენილი.

<sup>1050</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ლექსიკონი ქართული, თბ. ტ IV, თბ., 1965, გვ. 491.

საბოლოოდ სამდათვია (სა-მ-დათვ-ია) ნიშნავს: სა-დათვ-ია „ტყე, რომელშიც მრავლად ბუნაგობს დათვი“.

**სამთავის-ი** სოფელი ცენტრალურ ქართლში (კასპის რ.). გაშენებულია მდ.ღეხურას (რეხულას) მარცხ. სანაპიროზე. ამავე სახელს ატარებს შუა საუკუნეებში (1030 წ.) აქ აგებული საქვეყნოდ ცნობილი სამთავისის ტაძარი, რომელიც სამთავნელი ეპისკოპოსის ილარიონ ყანჩელის სახელს უკავშირდება.

მცხეთის „სამთავროს“ თანადროული ეს გუმბათოვანი ტაძარი, როგორც გადმოცემები გვაუწყებენ, XI საუკუნის I ნახევარში აღუმართავთ ადრექრისტიანული ხანის (VI ს.) ეკლესიის ნაშალზე, (მისი აგება მიეწერება ერთ-ერთ ასურელ წმინდა მამას ისიდორეს — ეზდერიოს). ხალხურ გადმოცემებს მართლაც შემოუნახავს ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ტერიტორიაზე ჭერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროიდან ყოფილა აგებული ეკლესია. გადმოცემით, ვახტანგ მეფეს ოსი გოლიათი ბაყათარი რომ მოუკლავს, ცოდვის მოსანანიებლად ოთხი ეკლესია აუგია: თბილისის სიონი, მეტეხის, წილენისა და სამთავისის ტაძრები. ეს უკანასკნელი იმ სამზე კარგი ყოფილა, ამიტომაც შეურქმევია ხალხს მისთვის „სამთავისი“ ე.ი. დანარჩენი სამი ეკლესიის თავი,<sup>1051</sup> სამთავეზე უკეთესი, უმჯობესი.<sup>1052</sup>

არსებობს სხვაგვარი ლეგენდაც: ერთ დიდ ქართველ ხუროთმოძღვარს აუგია მცხეთისა და მეტეხის ეკლესიები, სამთავისის აგება კი თავისი შეგირდისათვის მიუზღვია. შეგირდს ოსტატისათვის უჯობნია, იმ სამში მას ყველაზე უკეთესი (თავი) ეკლესია აუგია, რის გამოც შურიან ოსტატს შეგირდისათვის ხელი მოუჭრია, მაგრამ პატივი მაინც მიუგია და თავისი მოწაფე სამთავისის ახლადაგებულ ტაძარში დაუკრძალვინებია. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს გადმოცემა სვეტიცხოვლის ამგების — კონსტანტინე არსუყისძის მკლავის მოკვეთის ლეგენდის მი-

<sup>1051</sup> იხ. პ. კ ა ლ ე ლ ი, კლდემაღალას ციხე (ისტორიული ლეგენდა), გაზ. „დროება“, ტფ., 1875 წ., №38-39.

<sup>1052</sup> ანალოგიური ვერსიის შესახებ (მცირე სხვაობით) იხ. იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს „კალმასობა“: ქართული მწერლობა, ტ 8, თბ., 1990, გვ. 407-408.

ხედვით არის ნასაზრდოები, მაგრამ არა გვერდია იგი, ისევე როგორც პირველი, სარწმუნო პასუხს იძლეოდეს ტაძრის სახელწოდების — სა-მთავისის წარმომავლობაზე. ჩვენი ვარაუდით სამთავისი ხალხური დე-ეტიმოლოგიზაციის შედეგად ჩანს წარმოქმნილი. რიცხვითი სახელი „სა-მი“ აქ, ისევე როგორც ბევრ სხვა მსგავსი გაფორმების სა- აფიქსიან ტოპონიმში, გააზრდიანების გზით არის გაჩენილი. სახელწოდების თავდა-პირველი ფორმა სა-თავ-ის-ი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, სწო-რედ აქედან იღებდა სათავეს ლეხურიდან „წაღებული“ ის ძველი რუ, ტირიფონისა და ქართლის ვაკის სხვა უნაყოფო ველ-ჰინდურებს რომ რწყავდა. სათავისი-საგან სამთავისის მიღება ალბათ დიდ დაბრკოლე-ბას არ უქმნიდა ხალხს, მითუმეტეს, რომ ანალოგიური ფონეტიკური მოვლენები და აზრობრივი გადახრები არაერთ ტოპონიმში გვაქვს და-დასტურებული.

**სამტვერე (||სამტერე)** ცნობილი ადგილია ხევში (ს.ყანობი, ყაზბეგის რ) ადგილობრივი მოსახლეობა ტოპონიმ სამტვერეს წარმო-შობის ორ ვერსიას იცნობს: 1. ადგილი, სადაც ხშირად დგება მტვერი ქარის ან ტრანსპორტის გავლის დროს; 2. მტრის სახხლოში ადგილი (ძველად აქ ყოფილა ფიქვის გაუვალი ტყე და მტერიც სწორედ აქ უსაფრდებოდა ხალხს ძარცვის მიზნით). მოსახლეობა დღეს ამ უკანას-კნელ ვარაუდს (სა-მტერ-ე) უპერს მხარს. სამტვერეს სამტერე ფორმი-საგან მომდინარეობას თითქოს სარწმუნოდ თვლის ხევის ეთნოგრაფია-ტოპონიმის ცნობილი სპეციალისტი ვ.ითონიშვილი.<sup>1053</sup>

**სამტვერე (||სამტერე)** მთელ ხევში ოდითგანვე განთქმული ად-გილი ყოფილა თავისი არაჩვეულებრივად ხშირი ტყით. ტოპონიმი სა-მტვერე (სამტვერო) აღ.ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერ გოჩაში“ სა-მგზის არის მოხსენიებული და სამივეჯერ საგანგებოდ არის ხაზგასმული ამ ობიექტის ხშირტყიანობა: „...სამტვერო, შემკობილი მშვენიერის სა-ძოვრით, წყალითა და ტყითა, ბუნებითვე ძნელს გასატებს სიმაგრედ შექმნილი, ხევისთვის წარსულს ცხოვრებაში ერთსა და უპირველეს სა-ნუგეშო ადგილად ითვლებოდა“; „მოხვევნი ამაგრებდნენ... სამტვეროს ტყესა“. და, ბოლოს, ეს ტყე იქცა შვილისმკვლელი ხევისბერისათვის

<sup>1053</sup> ვ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ხევის ტოპონიმია, თბ., 1971. გვ. 15, 60

საბოლოო თავშესაფრად: „მხოლოდ სამტვეროს ტყე გადაიქცა ყველა-სათვის მოსარიდებლად, რადგანაც იქ ჩასახლდა კკუაზედ შემცდარი გოჩა...“<sup>1054</sup> ეს ფაქტი (ობიექტის განსაკუთრებული ნიშანი — ტყიანობა) გვიბიძგებს იქითკენ, რომ სამტვერე||სამტვერო-ს წარმომავლობა დაუ-კავშიროთ არა მტვერ- ან მტერ- სიტყვებს, არამედ ტვერ-ს („დიდი და კშირი ტყე“ — საბა). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტობონიმისა-თვის ამოსავალი გამზდარა ტერმინი სა-ტვერ-ე (—სა-მ-ტვერ-ე), საი-დანაც შემდგომ ხალხს, ტვერ- სიტყვის აზრობრივი გაბუნდოვანების გამო, შედარებით უფრო ნათელი შინაარსის ტობონიმები (სამტვერე, სამტერე) შეუქმნია. რაც შეეხება სახელწოდება სამტერეს („ადგილი, სადაც მტერი ადგილობრივ მოსახლეობას ძარცვავდა და იტაცებდა“). ამ მოტივით მისი შექმნა მოულოდნელი ჩანს, რადგან მოხვევები (და, საერთოდ, მთის ქართველი ტომები) ასეთ მოსარიდებელ, საშიშ ადგი-ლებს ჩვეულებრივ აღნიშნავდნენ არა ზოგადი შინაარსის მტერ- სიტყ-ვით, არამედ მათ მეზობლად მცხოვრები მარბევლების (ლეკები, ქისტე-ბი, ოსები...) კონკრეტული სატომო სახელებით: „საქისტო ყელი“, „სა-ლეკო გორი“, „დვალთ ღორლები“, „ლეკთ სასხლომები“ და მისთ.

**სამტრედიას** ცნობილი ქალაქია ქვემო იმერეთში, იმერეთ-სა-მეგრელოს მომიჯნავე ტერიტორიაზე; მნიშვნელოვანი სარკინიგზო და საკომუნიკაციო კვანძი. სამტრედიას, როგორც დასახლებულ პუნქტს, გვიანდელ ხანებში, XIX ს-ის I ნახევარში ჩაჭყრია საფუძველი. იგი წარმოიქმნა ფოთი-თბილისის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის თანად-როულად. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სახელწოდება სამტრე-დიაც ახალია!

სამტრედია ერქვა იმ ვრცელ ადგილებს, რომლებიც იმერეთის მე-ფეებს თუ თავად-აზნაურობას გარეულ მტრედზე სანადიროდ, „სასახუნ-დრე“ ადგილებად ჰქონდათ ამორჩეული. ამგვარი „სატრედოები“ თუ

<sup>1054</sup> ა. ლ. ყ ა ზ ბ ე გ ი, „ელგუჯა“, „ხვეისბერი გოჩა“ (გამოსაც. მოამზადა ლ ა დ ო მ ი ნ ა შ ვ ი ლ შ ა ), თბ., 1989, გვ. 297-298.



„სატრედეთ-მიწები“ XVII-XVIII საუკუნის საქართველოში ადგილთა სახელებად კარგად იყო ცნობილი.<sup>1055</sup>

მოგვიანებით, როცა ამგვარ „სატრედე“ მიწებზე სამოსახლოები გაჩნდა და ქალაქს საფუძველი ჩაეყარა, ადგილის სახელი სა-ტრედ-ე — სა-ტრედ-ია მექანიკურად შეერქვა დასახლებულ პუნქტს და იგი იქცა სამტრედიად. მ თანხმონის გაჩენას უთუოდ ხელს შეუწყობდა სახელწოდებაში რიცხვითი სახელის („სამი“) მოაზრება. ადგილობრივ მოსახლეობაში მართლაც მყარად არის ფეხმოკიდებული ლეგენდა სამი მტრედის შესახებ, რომლებიც ვითომ სისტემატურად, ყოველ საღამოს სხდებოდნენ ქალაქის ცენტრში, ამჟამინდელი რკინიგზის სადგურთან მდგარ სამ დიდ ხეზე. აი, ამ სამი მტრედის გამო შერქმევიდა ქალაქს სახელად სამტრედიაო (ნანა ვარლამის ასული სტურუა, ქ.სამტრედია). სინამდვილეში, როგორც უკვე ვთქვით, სამტრედია ნიშნავს: „გარეულ მტრედზე სანადირო ადგილები“, „გარეული მტრედით მდიდარი ადგილები“. ამიტომაც, ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს შ.გოგატიშვილი, რომელიც ტოპონიმ სამტრედიის წარმოშობას სიტყვა ტრედს („ნაწილი“) უკავშირებს: აქედან გზა სამ ტრედად, სამ ნაწილად მიემართებოდაო.<sup>1056</sup>

**სამუშის ვაპქ** ადგილია თუშეთში (ს.დანო, ახმეტის რ.). ამ სახელწოდების წარმოშობას თუშები სამ მუშას, სამი მუშის საქმიანობას უკავშირებენ. ადგილობრივი მკვიდრის — ნელი ხაპრიძის — გადმოცემით ციხე „ბაქანის“ პატრონს, სახელადაც ბაქანს, ყანის სამკალად მუშა ჰყოლია შეყრილი. შესვენების დროს მომკვლებს თავს დასცემიან ქისტები და „რეულობაში“ სამი მუშა მოუყვავთ. ამ ამბის საშინაოვროდ იმ ადგილისათვისაც სამი მუშის ანუ სამუშის ვაკე დაურქმევიათო.

<sup>1055</sup> იხ. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის I (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაც. მოაზნადეს ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე მ და შ . ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე მ , თბ., 1964, გვ. 187.

<sup>1056</sup> შ . გოგატიშვილი, საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., 1981, გვ. 36.

სინამდვილეში სამუშის ვაკე ნიშნავს: „ვაკე ადგილი, სადაც ხალხს ცაცხვის მუში უმზადებია“. მუში („ცაცხვის შიდა ქერქისაგან დაგრეხილი თოკი“) თუშური, აგრეთვე, ფშავ-ხევსურული დიალექტების კუთვნილი სიტყვაა. „ადამიანები დიდ ცაცხვებს სადღვებელ-კასრებისათვის ქრიან. ქორთა ბაყილოებს კიდევ ტყავს აძრობენ, უნდა მუში გავაკეთოთ.“<sup>1057</sup> „ქისტი ხყოლია იმ ხევსურს ძმობილი და მუშ უყრავის, ტყეში ყოფილა და ხერის ი მუშსა“.<sup>1058</sup>

საყურადღებოა, რომ სიტყვა მუში-საგან რამდენიმე ტოპონიმი წარმოქმნილა არაგვის ხეობის ფშავშიც. ს.ქალილოში, მაგალითად, ადგილთა სახელებად დადასტურებულია სამუშია, სამუშის გორი. ს.ქალილოს გარდა, ფშავის სხვა ადგილებში გვხვდება მიკროტოპონიმები ზემოთა სამუშია და ქვემოთა სამუშია.<sup>1059</sup> ასე რომ, მუში და მისგან წარმომდგარი ადგილთა სახელები ნიშანდობლივია როგორც უშუალოდ თუშეთისათვის, ისე ფშავისა და ხევსურეთისათვის ე.ი. სიტყვა მუშის გავრცელების არეალისათვის. როგორც დავინახეთ, სამუშე, სამუშის გორი, სამუშია ადგილობრივი მოსახლეობის შინამრეწველობის ერთ-ერთი დარგის აღმნიშვნელი სახელწოდება ყოფილა და მას ქისტების მიერ სამი მუშის მოკვლის ამბავთან საერთო არაფერი ჰქონია.

**სამღერეთ-ი. სამღრეთ-ი** ახლად აღორძინებული სოფელი ქვემო ქართლში, მდ. ხრამის ხეობაში (თეთრი წყაროს რ.).

ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ სამღერეთს ორგან ასახელებს. ერთი მინიშნებულია ქვემო ქართლში, მდ. ტორნეს (ქციის შენაკადი) ხეობაში, მეორე კი — არტაან-ერუშეთში: „ამ ჰევზედ, სამღერეთს ზეით, გვიანას, არს მონასტერი მცირე...“<sup>1060</sup>

<sup>1057</sup> თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ე ლ ი (იხ. ქველ-ი, ტ. V, 1958).

<sup>1058</sup> გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე , ფშავური დიალექტი, თბ., 1978, გვ. 154.

<sup>1059</sup> ფ მ ა კ ა ლ ა თ ი ა , ფშავის ტოპონიმია: კრებ. ტოპონიმია I, თბ., 1976.

<sup>1060</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 44, 16.

„ხოლო სამღერეთისა და ერუშეთის-წყლის შესართავს ზეთ არს არტაანი, ქალაქი მცირე, რომელიცა აღაშენა ჭავჭავაძის, ძემან მცხეთოსი-სამან...“<sup>1061</sup>

სამღერეთი ხშირად გვხვდება ძველ ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ ძეგლებში. ამ ძველი საბუთების (XVI-XVIII სს.) მიხედვით სამღერეთი სააკაძეთა კუთვნილი სოფელი ყოფილა, — იგი სიმონ მეფეს ფრიდონ სააკაძის შვილებისათვის უბოძებია; მოგვიანებით სოფელი როსტომ მეფეს გოდერძი და შერმაზან სააკაძეთა შვილებისათვის გადაუცია, ხოლო 1634 წ. თეიმურაზ მეფეს სააკაძეთა განაყოფი მამულები იოვანე სააკაძისათვის უწყალობებია. ძველ საბუთებში შემორჩენილია, აგრეთვე, ცნობა იმის შესახებ, რომ სამღერეთლებს დავა ჰქონიათ მიწების გამო მეზობელ ნადარბაზეველებთან.<sup>1062</sup>

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს სამეფოს აღწერაში“ ტოპონიმი სამღერეთი ერთადერთი ფორმით (სამღერეთი) არის მოხსენიებული. ამიტომაც დღეს ოფიციალურად მიღებული სამღერეთი<sup>1063</sup> არასწორად მიგვაჩნია და ის ისტორიულად დადასტურებული სწორი სამღერეთ- ფორმით უნდა შეიცვალოს.

როგორ გავიაზროთ სახელწოდება სამღერეთი, რას ნიშნავს იგი?

სპეციალისტთა ერთი ნაწილი ამ ტოპონიმის წარმოშობას ზმნურ მღერას, სიმღერას უკავშირებს. ადგილობრივ მოსახლეობას დღემდე მართლაც შემოუნახავს ლეგენდა სამი მომღერალი ქალის, სამი დის თავგანწირვის შესახებ: ქალებს სოფელში შემოქრილი მტერი უჩვეულოდ ტკბილი, მომხიბლველი სიმღერებით გაუოგნებიათ და შეუჩერებიათ; ამასობაში სოფელიც გახიზნულა და ქართველთა მეფეს ლაშქრის შეყრა მოუსწრია.

---

<sup>1061</sup> იქვე, გვ. 132, 24.

<sup>1062</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 185.

<sup>1063</sup> საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი, თბ., 1987, გვ. 216. ეს უზუსტობა გასწორებელია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს მიერ: აქ უკვე მართებული ფორმა სამღერეთი არის წარმოდგენილი იხ. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987, გვ. 90.

სინამდვილეში როგორია ტობონიმ სამღერეთის წარმომავლობა?

პირველ რიგში საჭიროა გავარკვიოთ სახელწოდების ძირი და საწარმოქმნო ელემენტები (გრამატიკული სართები). სამღერეთი, ჩვენი რწმენით, გაფორმებულია სა-ეთ აფიქსით, ძირად კი გამოიყოფა - მღერ- სიტყვა, რომელიც ხალხს შეეცდომით სიმღერასთან გაუიგივებია. სამღერეთი (სა-მღერ-ეთ-ი) ისევეა წარმოქმნილი, როგორც სა-სირ-ეთ-ი, სა-ქორ-ეთ-ი, სა-ქაშ-ეთ-ი, სა-ცხენ-ეთ-ი, სა-რკინ-ეთ-ი, სა-ლი-ეთ-ი, სა-ბუ-ეთ-ი, სა-ვან-ეთ-ი და სხვ. აქ ჩამოთვლილ სახელებში სა-ეთ აფიქსი მიერთვის მხოლოდ საზოგადო არსებით სახელებს (ქორი, სირი, ცხენი, რკინა, ლია, ბუ, ვანი...) და არა მეტყველების სხვა რომელიმე წევრს (ზმნა, ზმნიზედა, ნაცვალსახელი, ზედსართავი ან რიცხვითი სახელი). ეს ფაქტი თავისთავად გამოგვარიცხვინებს სამღერეთში ზმნური მღერა სიტყვის არსებობას. მაშასადამე, უნდა დავუშვათ, რომ ტობონიმ სამღერეთ წარმომდგარა საზოგადო არსებითი სახელისაგან მღერ-ი (მუნი, ხორა);<sup>1064</sup> მღიერი, მეფხანოვანი, ქეცი, სენი მუწუყებიანი, ყეცოტა.<sup>1065</sup> სა-ეთ აფიქსი მღერ სიტყვას შემდეგნაირად გავააზრებინებს: „მღერის სამკურნალო ადგილი“, „ადგილი, სადაც გამოედინებოდა ან გამოედინება მღერის (ქავანას, მუნის) სამკურნალო მინერალური წყარო“. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი სწორედ ამ არეალში (დმანისის ხევში) მიუთითებს ამგვარი სამკურნალო წყლის არსებობას: „არს აქა წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუყთა. აქავ არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა და დააყრევინებს სმითა“.<sup>1066</sup>

საინტერესოა, რომ საქართველოში მრავლად გვხვდება ადგილთა სახელები, რომლებშიც აღნიშნულია მუნის სამკურნალო თვისებები: სამღერია (წყარო ს.მერევეში, კიათურის რ.),<sup>1067</sup> მუნისწყარო<sup>1068</sup> (ადგი-

<sup>1064</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ლექსიკონი ქართული: თბზ, IV, თბ., 1965, გვ. 531.

<sup>1065</sup> ნ . ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 301.

<sup>1066</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 39, 28.

<sup>1067</sup> ხალხური რწმენით ამ წყაროს სამღერია იმიტომ შერქმევია, რომ თითქოს იგი მიწის წიაღიდან სიმღერით (მღერა-მღერით) მოედინებოდეს. ფაქტიურად ესაა მუნის (მღერის) სამკურნალო თვისებების მქონე წყალი.

ლი ს.ჩოჩეთში, კასპის რ.), მღერისწყალი (პატარა მდინარე ს.ყუმის-  
თავთან, წყალტუბოს საქ. საბჭო),<sup>1069</sup> მუნიმიწა, მუნიმიწის ქედი (ად-  
გილებია ს.პავლეურში, დუშეთის რ.), მუნიაყანა (მინდორი, ტყე ს.მა-  
რელისი, ხარაგაულის რ.), მუნისი (||სუნისი) სოფელი ზემო იმერეთ-  
ში, მუნიმიწებ-ი (მამულები ს.ტირძნისში, გორის რ.), მუნიჰკოდე-  
ბი||მუნიჰკორდები (ადგილია ჭავჭავთვაში), მუნის საყდარ-ი (სამლოც-  
ველო მდ. კავთურას ხეობაში, ს.წინარეხში, ე.წ. ჩადრის საყდრის  
მახლობლად)<sup>1070</sup> და სხვ. მრ. საბოლოოდ, სამღერეთი ნიშნავს: „ადგი-  
ლი, სადაც მღერის (მუნის, ქავანას) სამკურნალო წყაროები გამოდის“.

**სამძიმია** ადგილს ერქვა ზემო იმერეთის სოფ. დაბაძველში  
(ტყიბულის საქ. საბჭო). ამჟამად სამძიმია ტყიბულის წყალსაცავის  
ზოლშია მოქცეული. ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით მას სა-  
მძიმია ძნელად სავალი გზების გამო შერქმევია, სამძიმო იყო იქანა მი-  
სვლათ (სოსიკო ბარათაშვილი, ს.სიქთარვა). სინამდვილეში ტოპონიმი  
წარმომდგარია მცენ. მძივანას მიხედვით სა — ეა თავსართ-ბოლო-  
სართის დართვით, რასაც შედეგად სა-მძივ-ია||სა-მძიმ-ია მოუტია. იმა-  
ვე სამძივე ტოპონიმის მიხედვით წარმოქმნილა შუა საუკუნეების ცნო-  
ბილი ფეოდალური სახლის სამძივართა ზეწოდება.

სამძიმია, ამრიგად, ნიშნავს: „ადგილი, სადაც მცენ. მძივა (მძი-  
ვანა) ყოფილა გავრცელებული“.

---

<sup>1068</sup> მუნისწყარო, როგორც ადგილის სახელი, გვხვდება აგრეთვე სბელელაში  
(თუშეთი, ახმეტის რ.), ს.ტონჩაში (გრემისხევის სას. ს., დუშეთის რ.) და სხვ.

<sup>1069</sup> ო . ჩ ხ ე ი ძ ე , რელიქტიური ხეობები რიონცხენისწყლის მდინა-  
რეთშუეთში: საქ. გეოგრ. საზოგადოების შრომები, ტ. XVIII, თბ., 1990, გვ. 17.

<sup>1070</sup> აქ მკურნალობდნენ მუნით დაავადებულებს. მოჰყავდათ წითელი მამლები  
და ღმერთს განკურნებას შესთხოვდნენ. იქვე ახლოს ყოფილა რაღაც  
მძაფრსუნიანი მიწა, რომელსაც მუჭით ტანზე ისვამდნენ (დაავადებულ  
ადგილებს შეიზელდნენ) და ამგვარად განიკურნებოდნენ (იხ.  
ს . მ ა კ ა ლ ა თ ი ა , კავთურას ხეობა, თბ., 1960 გვ 19-20).

**სამცხე** ისტორიული ოძრხის „ქვეყანა“; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი კუთხეთაგანი. დღეს სამცხე მოიცავს მესხეთის უდიდეს ნაწილს (ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონები).

იშვიათია მეორე ისეთი ქართული გეოგრაფიული სახელწოდება (მცხეთასთან ერთად), რომელსაც სპეციალისტ-მკვლევართა ესოდენ დიდი ყურადღება დაემსახურებინოს. ტოპონიმ სამცხის ეტიმოლოგიურ კვლევას სულ ცოტა, ორასწლოვანი ისტორია აქვს. პირველად სამცხე ვახუშტი ბატონიშვილს განუმარტავს, თუმცა მისეული ვარაუდი ხალხური (არამეცნიერული) ეტიმოლოგიისაგან დიდად არ განსხვავდება. ვახუშტის მიხედვით სამცხეს „სამი ციხე“ დასდებია საფუძვლად: „ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან ციხე დემოთს, სამთა ციხეთათვის... ესე იგი არს სამციხეთა, ამით იწოდა სამცხე“.<sup>1071</sup>

ამ ვერსიას უცვლელად იზიარებდა კ.ჭანი; მისი მტკიცებითაც სამცხე სამ ციხეს, სამ გამაგრებულ ნაგებობას ნიშნავდა.<sup>1072</sup> ეგვევთქმულება თუ გადმოცემა ჩაუწერია ცნობილ ფრანგ მისიონერსა და მოგზაურს ჟან პოლ შარდენს. იგი წერს: „სამცხე არის ქართული სახელი და ნიშნავს „სამ ციხეს“; ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით თითქოს ნოე კიდობნიდან გადმოსვლის შემდგომ ამ მხარეში დასახლებულა და მის ვაჟებს აქ თითო ციხე აუშენებიათ.“<sup>1073</sup> ვერსია: სამცხე — სამი ციხე ჩვენს სამეცნიერო წრეებში დღემდე ცოცხლობს: „სამცხემ; როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულმა ერთეულმა, — წერს ი.სიხარულიძე, — განვითარების გრძელი გზა განვლო. ამ პრობლემის შესწავლა ეს-ეს არის დაიწყო და ამიტომ არც არის გასაკვირი, თუ ჭერჭერობით არც სამცხის პირველყოფილი „ციხის“ ადგილმდებარეობაა გარკვეული და არც სამცხის ხევისა თუ სამცხის მსხვილი გაერთიანების წარმოქმნაა მეცნიერულად შესწავლილი“.<sup>1074</sup>

<sup>1071</sup> ვახუშტი, აღწერა... თბ., 1941, გვ. 121, 17

<sup>1072</sup> СМОЛІК, 40, ტფ., 1909, გვ. 124.

<sup>1073</sup> იხ. შარდენის მოგზაურობა (ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი მზ. მგალობლიშვილის მიერ), თბ., 1975, გვ. 296.

<sup>1074</sup> ი.სიხარულიძე, ტბელ აბუსერიძე, ცხოვრება ქვითხურომსა ბასილისა, ბათუმი, 1981, გვ. 30.

ვარაუდი ტოპონიმ სამცხის სამი ციხისაგან მომდინარეობის თაობაზე ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის ქართულ ინტელიგენციას უკვე აშკარად აღარ აკმაყოფილებდა. ამიტომაც ჩნდება ძველისაგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისები. 1850-იან წლებში ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ პლატონ იოსელიანმა (1809-1875) წამოაყენა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელწოდება სამცხე (აგრეთვე მცხეთა) მომდინარეობდა სატომო მესხტერმინისაგან. ამ თვალსაზრისის მიხედვით სამცხე უნდა გაგებულიყო როგორც სა-მესხ-ე („მესხებით დასახლებული ქვეყანა“). რაც შეეხება მცხეთას, იგი მესხ-ეთ-ა ფორმისაგან მიღებულად წარმოიდგინებოდა.<sup>1075</sup> პლ. იოსელიანის მიერ გამოთქმული ეს ვარაუდი იმდენად დამაჯერებელი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ იგი ჩვენს დღეებამდე მკვლევართა უდიდესი ნაწილისათვის ქრესტომათიულ ქეშმარიტებად არის გამოცხადებული. მართალია, 1900-იან წლებში სამცხე-მცხეთის წარმოშობაზე მოსე ჭანაშვილმა გამოთქვა სრულიად სხვაგვარი თვალსაზრისი (იგი, როგორც ერთ, ისე მეორე სახელწოდებას ცხება, დაცხება ზმნას უკავშირებდა),<sup>1076</sup> მაგრამ პლ. იოსელიანისეულ ვარაუდს იმთავითვე მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდა. პირველ რიგში იგი გაიზიარა ივ. ჯავახიშვილმა. სამცხე რომ მესხთა სატომო სახელს შეიცავდა, ამის შესახებ ი. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველსავე გამოცემაში (1908) მიუთითებდა: „ქართების დაბინავებას, — წერდა დიდი მეცნიერი, — უნდა კახებისა, კუხებისა და ქართების აღრევა მოჰყოლოდა. ამ აღრევის დროს ქართებს გაუმარჯვნიათ. ამგვარივე აღრევა ქართებს იბერნარევეს მესხებთანაც მოსვლიათ. აქაც გამარჯვება ქართებს დარჩენიათ და მესხების სახელი მხოლოდ ერთს კუთხეში იღას. სამცხეში, შერჩენილა“<sup>1077</sup>

<sup>1075</sup> პლ. იოსელიანი, საქართველოში ძველად არსებული და ამჟამინდელი ქალაქები, ტფილისი, 1850, გვ. 53 (რუსულად).

<sup>1076</sup> მ. გ. ჭანაშვილი, ქართველური ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგია (რუსულ ენაზე): ყფრნ. СМОЛІК. 40, ტფილისი, 1900, გვ. 127-128.

<sup>1077</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია (VI გამოცემა), თბ., 1960, გვ. 437.

მესხეთისა და სამცხის ურთიერთკავშირზე (სა-მცხ-ე — სა-მესხ-ე) დაბეჭილებით მიუთითებდა აგრეთვე ნ.მარი. მისი ვარაუდითაც ტოპონიმ სამცხეში ზუსტად ის ეთნიკური ტერმინი (მესხი) უნდა გვქონოდა, რაც მცხეთაში, ოლონდო, — შენიშნავდა დიდი მეცნიერი, — სამცხეს ქართული სა-პრეფიქსი ემატებაო.<sup>1078</sup> აღნიშნული თვალსაზრისი ნ.მარს გერ კიდევ 1915-1920-იან წლებში ჰქონდა გამოთქმული.<sup>1079</sup>

ბუნებრივია, პლატონ იოსელიანისეული ვარაუდის აღიარება დიდი მოაზროვნეების — ივ.ჯავახიშვილისა და ნ.მარის მიერ ხელს შეუწყობდა საზოგადოების ფართო ფენებში მის საბოლოოდ განმტკიცებას. და მართლაც, ეს თვალსაზრისი დროთა მსვლელობაში სულ უფრო და უფრო მეტ მხარდამკერს იძენდა. ტოპონიმ სამცხის ეთნონიმ მესხი-საგან წარმომავლობის უეკველობაზე მრავალგზის მიგვანიშნებდა ა.შანიძე. როცა მეცნიერი ტოპონიმ მცხეთის წარმოშობას იკვლევდა და ასკენიდა, მცხეთა ეთნონიმ მესხი-საგან მომდინარე სახელი უნდა იყოსო, (მესხ-ეთ-ა), იგი აქვე დაბეჭილებით შენიშნავდა, ამგვარივე წარმომავლობისაა სამცხეცო<sup>1080</sup>

ეს მოსაზრება ა.შანიძემ 80-იან წლებშიც უცვლელად გაიმეორა.<sup>1081</sup> თვალსაზრისი სამცხის სა-მესხ-ე ფორმისაგან მომდინარეობის თაობაზე აკ.შანიძეს გაცილებით ადრე ჰქონდა შემუშავებული. ყოველ შემთხვევაში, ასეა იგი წარმოდგენილი „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების“ 1953 და 1973 წლის გამოცემებშიც. სამცხის სა-მესხ-ე ფორმისაგან მომდინარეობას არც არნ.ჩიქობავა<sup>1082</sup> უარყოფდა. ეს პო-

---

<sup>1078</sup> ნ. მ ა რ ი , აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ (რუს. ენაზე), 1938, გვ. 51.

<sup>1079</sup> მისივე „პირენის გურიიდან“ (რუს. ენაზე), 1927, გვ. 3.

<sup>1080</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , ტერმინ „ქართლისა“ და „ქართველის“ ეტიმოლოგიის შესახებ: ჟურნ. „ენათმეცნიერების საკითხები“, №4, 1978 (რუს.); იგივე: ჟურნ. „გეორგია“, იენა-თბილისი, 1978.

<sup>1081</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქართლი, ქართველი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრ., 23, თბ., 1980.

<sup>1082</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ადგილის სახელთა წარმოების ტიპები... იკვ, XIX, თბ., 1974, გვ. 75.



პულარული თვალსაზრისი დაწვრილებით არის გადმოცემული ზ. ჭუმბურიძის ცნობილ წიგნში „რა გვქია შენ?“, აგრეთვე 1987 წელს გამოცემულ მისსავე ნაშრომში „დედაენა ქართული“. აქ ნათქვამია: „თუ სამცხე-ში სა-პრეფიქსსა და -ე სუფიქსს გამოვყოფთ, გვჩვენებს მცხ ძიარი, რომელიც მესხ-ისაგან არის მიღებული: სა-მესხ-ე ხმოვნის შეკუმშვის შემდეგ მოგვცემდა სამსხე ფორმას, მაგრამ აქ კიდევ მომხდარა მცირე ცვლილება: ხ-ს წინ ს ქცეულა ც-დ და საბოლოოდ მივიღეთ „სამცხე“. იქვე ავტორი დაასკვნის: „როგორც მესხეთი, ისე სამცხე იწარმოება ერთი ფუძისაგან (მესხი)... სამცხე ნიშნავს „სამესხეს“.<sup>1053</sup>

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანის მიერ გასული საუკუნის შუა წლებში გამოთქმული ვარაუდი სამცხის მესხ-სატომო სახელისაგან მომდინარეობის თაობაზე დღემდე ინარჩუნებს თავის სიცოცხლისუნარიანობას. ამიტომ განსხვავებული აზრის გამოთქმა ამ საკითხზე ჩვენში ერთგვარ მკრეხელობად ითვლება. მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ 150 წლის წინათ წამოყენებული და აქსიომად ქცეული თვალსაზრისი, გარეგნული ეფექტის მიუხედავად, შეიცავს არსებითი ხასიათის ენობრივ დაბრკოლებას, რაც ძალაუფლებურად გვაიძულებს ვეძებოთ ტომონიმ სამცხის ახსნა-განმარტების სრულიად სხვაგვარი გზა. პირველ რიგში, ყველაზე არსებითი და ანგარიშგასაწვევი მომენტი ის არის, რომ ეთნიკური (სატომო) სახელების მიხედვით გაფორმებულ ტომონიმებში არასოდეს არ გვაქვს სა-ე აფიქსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ტომონიმის საყრდენი (ამოსავალი) ფუძე ეთნიკური ტერმინია (ქართველი, მეგრელი, ინგილო, სვანი, კახი, ზანი, თუში, მესხი, ჭავანი, იმერი...), მაშინ საწარმოქმნო ელემენტებად აუცილებლად სა-ო, -ეთ ან სა-ეთ აფიქსი უნდა გვექონდეს! ასეც გვაქვს: სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ინგილ-ო; სვან-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი... ენამ არ იცის ეთნოტომონიმთა სა-ე აფიქსით გაფორმების არცერთი შემთხვევა; დაუშვებელია სა-ქართველ-ე, სა-მეგრელ-ე, სა-სვან-ე, სა-კახ-ე, სა-თუშ-ე, სა-ინგილ-ე, სა-ზან-ე... ტიპის სახელწოდებათა არსებობა. მაშასადამე ასევე დაუშვებელი უნდა ყოფილიყო სა-მესხ-ე ფორმის წარმოქმნაც! სამცხე რომ ეთონიმ მესხი-საგან მომდინარეობდეს, მაშინ სა-მესხ-ო უნდა გვექონოდა და არა სა-მესხ-

<sup>1053</sup> ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 497.

ე, რადგან, ვიმეორებთ, დაუშვებელია ეთნონიმური (აგრეთვე გვარ-სახე-  
ლური) ტოპონიმების სა-ე კონფიქსიანი წარმოება, წესი უგამონაკლი-  
სოა!

მაშ, როგორი წარმომავლობისა უნდა იყოს სამცხე? ჩვენი ფიქ-  
რით, იგი წარმომდგარია არა სა-მესხ-ე-საგან, როგორც აქამდე ვარაუ-  
დობდნენ, არამედ ტერმინ სა-მცხეთ-ო-საგან ბოლოკიდური -ო მარ-  
ცვლის მოკვეცის გზით. ქართულ ტოპონიმიაში ცოტა როდია ისეთი  
გეოგრაფიული სახელები, რომლებიც სწორედ ბოლოკიდური ხმოვნის  
ჩამოცილების (კვეცის) შედეგად არიან მიღებულნი: ნოსტე (- ნოსტ-  
ე-ი),<sup>1084</sup> ხოვლე (- ხოვლ-ე-ი),<sup>1085</sup> ქულე (- ქულ-ე-ი),<sup>1086</sup> გორდ-ი  
(- გორდიდ-ი),<sup>1087</sup> კარბ-ი (- კარბ-ის-ი)...<sup>1088</sup> ანალოგიურად ჩანს  
წარმოქმნილი სამცხე-ე (- სა-მცხეთ-ო). იგი ნიშნავს: „მცხეთის ეპარ-  
ქიის კუთვნილი ადგილ-მამულები“, „მცხეთის საყმო დაბა-სოფლები“,  
„მცხეთის საპატრიარქოს საგამგებლო ტერიტორია“.

სამცხეთო, მაშასადამე, ისევე ყოფილა გაფორმებული, როგორც  
სა-გარეჯ-ო, სა-მაჩაბლ-ო, სა-მუხრან-ო სა-ციციან-ო, სა-ჯავახ-ო,  
სა-ქვათახევ-ო... თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ მცხეთის ეპარქია ად-  
რეული საუკუნეებიდანვე, ჭერ კიდევ „არაბობამდე“ და მას შემდეგაც,  
VIII-IX საუკუნეების ჩათვლით, ენერგიულად ცდილობდა სამხრეთ-და-  
სავლეთ საქართველოს კუთხეებში (ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, კოლა-არ-  
ტაანი...) მართლმადიდებლური მრევლის გაჩენას და საეკლესიო მამუ-

---

<sup>1084</sup> იბ. „ქართლის ცხოვრება“, II, 1959, გვ. 390, 21-23: „ხოლო სცნა რა  
მოურავმან (გიორგი სააკაძემ, გ.ბ.) საქმე ესე, გარდიხვეწა... განელო გზა  
გელიყარისა და მივიდა ნოსტევეს... ხოლო გამოუსია მეფემან სპა და  
მოვიდნენ ნოსტევეს და მოიცვეს ნოსტევი და შეუკრეს გზები  
ყოველგზით“.

<sup>1085</sup> საქართველოს სიძველენი II, 1909; თ. ზ. უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ტოპონიმის  
შესწავლისათვის, ქესს, II, თბ., 1961, გვ. 149.

<sup>1086</sup> ვ. ბ. ე რ ი ძ ე, მოგონებები, თბ., 1987, გვ. 344.

<sup>1087</sup> ბ. ჭ. ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის: კრებ. იკვ, XXV,  
თბ., 1986, გვ. 28.

<sup>1088</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 118.

ლების, დაბა-სოფლების სვეტიცხოვლისადმი დაქვემდებარებას,<sup>1089</sup> მაშინ ნათელი უნდა გახდეს, რომ ხსენებულ რეგიონში ტოპონიმ სამცხეთოს წარმოქმნა მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური ფაქტორებით ყოფილა შეპირობებული. ტოპონიმი სამცხეთო და მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი — სამცხეთარნი — წერილობითაა დადასტურებული „ქართლის ცხოვრებაში“. ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელი ტერმინი სამცხეთარ-ი სამცხეთოში მცხოვრები ხალხის ზოგადი სახელწოდებაა: „შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა, სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა და სადაცა ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო...“<sup>1090</sup> სახელწოდება სამცხეთარი, უქვევლია, ისევე არის გაფორმებული ადამიანთა სიმრავლე-კრებილობის აღმნიშვნელი ძველი -არ ფიქსით, როგორც შუასაუკუნეებისდროინდელი ზოგიერთი სხვა ანთროპო ტოპონიმი: ოპიზ-არ-ი („ოპიზ-ელ-ი“), ოლთის-არ-ი („ოლთის-ელ-ი“), სამძივ-არ-ი („სამძივ-ელ-ი“, „სამძივის მფლობელი“), ზერთვის-არ-ი („ზერთვის-ელ-ი“) და სხვ. ამის კვალობაზე სამცხეთარი უნდა გავიაზროთ როგორც „სამცხეთოს მცხოვრები“ და არა როგორც „სამცხელ-ი“.<sup>1091</sup>

შეიძლება დავასკვნათ: ტოპონიმი სამცხე არ შეიძლება წარმომდგარიყო სამეხსე სიტყვისაგან; ბოლოს და ბოლოს ენაში არ უნდა გაჩენილიყო ტერმინ სა-მეხს-ე-ს შექმნის აუცილებლობა, რამდენადაც ოდითგანვე არსებობდა ეთნოტოპონიმი მეხს-ეთ-ი; ხომ არ შეიძლება ენაში გვექონოდა ერთდროულად კახ-ეთ-ი და სა-კახ-ეთ-ო, ხევსურ-ეთ-ი და სა-ხევსურ-ო, მთიულ-ეთ-ი და სა-მთიულ-ო? ასევე არ უნდა ყოფილიყო დაპირისპირებული მეხს-ეთ-ი და სა-მეხს-ო, თუნდაც სა-მეხს-ე!

ამ უკანასკნელ ხანს კვლავ გამოითქვა ვარაუდი სამცხე ფორმის სა-მეხს-ე-საგან, უფრო სწორად, სამეხსეთი-საგან მომდინარეობის შე-

<sup>1089</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 18;23; ქსქ, ტ. II, გვ. 418.

<sup>1090</sup> ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 18, 14

<sup>1091</sup> შდრ. ა რ ნ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ადგილის სახელთა წარმოების ტიპები... კრებ. იკე, ტ. XIX, თბ., 1974, გვ. 73.

სახებ (ა . ლ ო მ თ ა ძ ე ), თუმცა აშკარაა, რომ ა რ ა რ ს ე ბ უ ლ ი სა-მესხ-ეთ- ფორმის მოხმობა მტკიცებისათვის არ გამოდგება. ეს ფაქტი ძველი თვალსაზრისის რეანიმაციის მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე პრობლემის გადაჭრაში მეცნიერულად არგუმენტირებული ფაქტების მოხმობის აუცილებლობას! სამცხე უქველად მომდინარეობს ტერმინ სამცხეთო-საგან, რომელშიც შესანიშნავად არის ასახული იბერიის სამეფოს და მცხეთის საეკლესიო ხელისუფალთა ენერგიული ბრძოლის ის უძძაფრესი პერიპეტეიები, რომელთაც ისინი ეწეოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული ტერიტორიების („საყმოების“) შემოსაერთებლად. ტოპონიმი სამცხეთო სწორედ იმ მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ბრძოლა-მოღვაწეობის პირდაპირი შედეგია.<sup>1092</sup>

**სამწევრის-ი** სოფელია ქვემო ქართლში (ბოლნისის რ.) თუ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის გავრცელებულ გადმოცემას დავუჭვრებთ, უწინ აქ ყოფილა შესანიშნავი სანადირო ადგილები; ნადირობდნენ გარეულ ცხოველებზე მწვევრებით და სოფლისთვისაც სა-მწევრის-ი შეურქმევიათო. სხვაგვარი გადმოცემით სამწევრისი სამწვერისი (სამი მთა, სამი წვერი) სიტყვისაგან ყოფილა წარმომდგარი.<sup>1093</sup>

ჩვენი ვარაუდით ტოპონიმ სამწვერისის ამოსავალი უნდა იყოს სიტყვა წერი — შავი მინერალური მასა, კუპრისფერი გამონადენი; იყენებდნენ და ამჟამადაც იყენებენ მეთუნეობაში საღებავად (მღრ. იმერული წერი — „ნიგვზის ხის კანი, რომლის გამონახარაშ წვენში ურევენ ლიას და ხმარობენ შალების საღებავად“).<sup>1094</sup>

მინერალ წერს ქიზიყში წერნაქს უწოდებენ.<sup>1095</sup> სახელწოდება სამწვერისში მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები მომხდარა. პირველ რიგში პრეფიქსი სა-, როგორც ეს ხშირად ხდება, ადგილობრივ

<sup>1092</sup> დაწვრ. იხ. ჩვენი ტოპონიმ სამცხის ისტორიისათვის: კრებ. ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1990, გვ. 3-13.

<sup>1093</sup> იხ. კ . ხ ა რ ა ძ ე . საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი, თბ., 1991, გვ. 101.

<sup>1094</sup> ვ უ კ . ბ ე რ ი ძ ე . სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912 (ფოტოპირული გამოცემა), თბ., 1986, გვ. 75.

<sup>1095</sup> ს ტ . მ ე ნ თ ე შ ა შ ე ი ლ ი . ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943, გვ. 241.

მოსახლეობას რიცხვით სახელად (სამი) გაუაზრიანებია. (იხ. სამტრედია, სამუშის ვაკე, სამთავეისი, სამდათვია...). რაც შეეხება წერ-ფუძეს, მასშიც მომხდარა ვ თანხმოვნის ჩართვა, — საფიქრებელია, ამ შემთხვევაშიც წევრ-სიტყვასთან გადააზრიანების გზით; ბოლოკიდური -ის სუფიქსი კი ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი საწარმოქმნო ელემენტია, რომელიც სისტემატურად იჩენს თავს ცენტრალური ქართლის ტოპონიმიში. მაშასადამე, სამწევრის-ი (სა-მ-წევ(ვ)რ-ის-ი) ნიშნავს: „წერის (წერნაქის) შემცველი ადგილები“, „სოფელი, რომლის შემოგარენშიც მოიპოვება წერი“. სამწევრისის ზუსტი შესატყვისია ტოპონიმი სამწერის-ი (სოფელი ცენტრალურ ქართლში, ქარელის რ.), რომელშიც სამწევრისი-საგან განსხვავებით, ფუძეში სონორი ვ აღარ განვითარებულა, თუმცა სა-პრეფიქსთან მაინც უჩნია თავი -მ- თანხმოვანს. ჩანს, ქართულ დიალექტებში ერთობ ძლიერია სა-პრეფიქსის ძირთან შერწყმისა და მისი ერთ სიტყვად აღქმის ტენდენცია.

**სამჭიკია. სამჭიკიის ძვე** ცნობილი ადგილია სოფ. ჭგილათში (თერჯოლის რ., თუზის სას. ს.) „გამჟღებელი ადგილია კლემი. სიბნელეა ძანიალი შით: ზოგი ბედად შევა, მარა ბევრი შესვლას ვერა ბედამს, საშიშია და მიტო“.<sup>1096</sup>

ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული ვერსიის მიხედვით სახელწოდება სამჭიკია შედგენილი ყოფილა რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან სამი, რომელსაც მოსდევს სიტყვა ჭიკია, რომლის შინაარსიც უცნობიაო. ამ ტიპის სახელები იმერეთში სხვაც არაერთია (სამჭიკიას წყარო, სამჭიკაო, სანჭიკაო...)<sup>1097</sup> ნიშანდობლივია, რომ ყველა ობიექტი, რომელსაც სამჭიკიას უწოდებენ, წარმოადგენს ბნელ, კლდოვან ღელეს, საშიშ ადგილს ამიტომაც ხალხს მათთვის საჭიკია შეურქმევია, ეს ფორმა ფონეტიკური პროცესის გზით (ნ||მ) საჭიმკიად ქცეულა, მაგრამ მეტათეზისის შედეგად საბოლოოდ სამჭიკია მიგვიღია (დაწვრილებით იხ. სტატ. ონქიქეთი).

<sup>1096</sup> მთხრობელი ტარიელ მღვინიშვილი (ს.ილეში, 1989).

<sup>1097</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმი I, ზემო იმერეთი, თბ., 1957.

**სართიქალა** დიდი და ცნობილი სოფელია გარეკახეთში (სა-გარეჯოს რ.), მდ. ივრის ხეობაში. ხალხში დღესაც გაიგონებთ გადმო-ცემას, თითქოს ძველად ეს ადგილები შეუსყიდია ერთ ქართველ თა-ვადს და საფასურის გასათანაბრებლად (შესავსებლად) მამულის პატრო-ნისათვის სართი მიუცია. მას შემდეგ სოფელსაც **სართი(ს)ქალა** შე-რქმევიაო. ასეთი ვერსია აშკარად ხალხური ფანტაზიის (გადააზრიანე-ბის) შედეგია, რადგანაც ძველი ქართული საისტორიო და ეკონომიკუ-რი ძეგლები ამ ტოპონიმს მხოლოდ **სათის ქალა** ფორმით იცნობენ: „პატრონი ალექსანდრე მიეგება ლალა ფაშას **სათისქალას**“.<sup>1098</sup> **სათის-ქალას** იცნობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „მუნით განვლის ხაზი სა-მგორსა და ჩადივარს შუა და მრავალწყაროსა და **სათისქალას** შუა და მიაღვების ბერთ-უბნის დელესა“.<sup>1099</sup> **სათისქალად** იცნობს ამ ტოპონიმს იოანე ბატონიშვილიც. იგი **სათისქალას** ლილო-აშკარეთის სოფლებს შორის, მულანლო-ხორაუგის შუა მდებარე პუნქტად მოიხსენიებს.<sup>1100</sup> ამის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილობრივ მოსახ-ლეობას სახელწოდება **სართიქალა** საკმაოდ გვიან, ალბათ XIX საუკუ-ნის 40-50-იან წლებში, შეუქმნია. საქმე ისაა, რომ 1800 წლის 26 აპ-რილს შედგენილ არზაში (დავით ბატონიშვილის ოქმით) ჯერ ისევ **სა-თისქალა** იკითხება.<sup>1101</sup> „სამართლის ძეგლების“ ამ ტომის გამომცემელს კანონიერი **სათის ქალა** დღევანდელი თვალსაზრისის მიხედვით „გაუ-მართავს“ და მასში რ ალუდგენია (**სა(რ)თისქალა**).<sup>1102</sup>

როგორი წარმომავლობისაა სინამდვილეში **სართიქალა**? ჩვენ უკ-ვე ვთქვით, რომ სიტყვა **სართი** აქ არაფერ შუაა; იგი გადააზრიანების გზით არის გაჩენილი. ძველი **სათის-ქალა** კი ემყარება სპარსული წარმოშობის სიტყვა **სათ-ს**, რაც, სულხან-საბა ორბელიანის განმარტე-

<sup>1098</sup> ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი , ახალი ქართლის ცხოვრება II, თბ., 1959, გვ. 523, 22.

<sup>1099</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 51, 39.

<sup>1100</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 66.

<sup>1101</sup> ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ., 1985, გვ. 630.

<sup>1102</sup> იქვე, გვ. 630.

ბით გიშერს ნიშნავს.<sup>1103</sup> მაშასადამე სათისქალა შემდეგნაირად უნდა გავიაზროთ: „ქალა, ადგილი, სადაც გიშრისფერი (შავი) მინერალური სითხე გამოედინება“, „სათისფერი წიაღისეული გამონადენები“, „ნავთობის შემცველი ქანები“, „ნავთიანი ქალები“. ისტორიული სახელის სათის-ქალის — რეალურობა არქეოლოგიურმა მასალამაც დაადასტურა: „სართიქალის მიდამოებში (ივრის გამონატანში) საკმაოდ ხშირად გვხვდება გიშრის ქვარგვალები, რაც ამართლებს სათიქალის ისტორიულ სახელწოდებასო, — ასკვნიან ჩვენი მეცნიერი არქეოლოგები.<sup>1104</sup>

მართალია, ზოგიერთი სპეციალისტი არ იზიარებს სათიქალის სათი-საგან მომდინარეობის ვერსიას და მას სხვაგვარი წარმომავლობისად მიიჩნევს, მაგრამ ვფიქრობთ აქ საკმაოდ და საეჭვო არაფერია. შემთხვევით როდი უწოდებს ამ რეგიონში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობა სათიქალის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიას ყარაიაზს, რაც შავ ველს ნიშნავს.<sup>1105</sup>

**სარკვევითობა** - სოფელია ზემო იმერეთში (ქიათურის საქ. საბჭო). ტოპონიმის წარმოშობის თაობაზე ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფლის სახელწოდება დაკავშირებული ყოფილა ქურის სარკველის შემთხვევით პოვნასთან: „უმაღ, სანამ აქ სოფელი გაშენდებოდა, ყოფილა დიდგანი ტყეები, კაცი ვერ გეიარდა. რაქიდგან წამოსულა მითან სამი ძმები, შიშარობა კარ იყო, წამოსულა ეს ძმები ერთათ, უნდა ნახონყე კაი სამოსახლო. ახლა მოდიან და ამ ძმეფს ამ უვალ ტყეში გზა დაბნევეია ყე. ასე უვლია დითხანს, დადიენ უგზოუკვლოთ და სადანაც ახლა სოფელია, რო მოვიდენ, უნცროს ძმას უთქვამს, რომეო აქიდანი მე გაგიყვანთ, რაცადას მევიაზრეფო. წასულა და რო მიდის, საცხა კალოსხელა

<sup>1103</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ლექსიკონი ქართული, თხზ. ტ. IV<sub>2</sub>, თბ., 1966, გვ. 32.

<sup>1104</sup> იხ. თ . მ გ ე ლ ი ა შ ე ი ლ ი , მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, გაზ. „კომუნისტი“, 28 თებერვალი, 1988, გვ. 3. მ ი ს ი ე ე , საქართველოს გეოარქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 70-73.

<sup>1105</sup> იხ. ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , „დედაენა ქართული“, თბ., 1987, გვ. 498.

ტოფი შეხვდებოდა. ფარჩხია თლა დაყრილი. გაუვლია და იქ თურე ჩადგმულია ერთი ქური, სარქვეელი ქვე გადახდია და არ სტუკა ფეხი ამ ძმამ შით! წვალოფს ახლა, ჩავარდნილია, უნდა გეიმთავისუფლოს, რათ უნდა ამას კითხავი! რაძახანაირათე ამოსულა, ამოწვადა თურე ფეხი და რო ჩეიხედა ამ ქურში, დიდი ქურია ძანიალი, კილაშე შეიშალა ქკუაზე: თლა ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტებით არი ეს ქური გაზეპილი! რავადაც იქნებოდა, ამოსულა, და არი ასე გასუნგული, ვერ იღებს ხმას. მერე რო ამოსულა, მოუნიშნებია ადგილი, სარქვეელი უწინდებურად ქვე დოუხურებია და წამოსულა. რავაც იყო, მიუგნია ძმებისათვი, იმათ კილო დოუწყიაყე საყვედურები, საანა იყავი აქამდიო, რა მოხთაო? — საანა ვიყავი და ასთე და ასთეა ჩემი საქმე, ერთი ქური ნავზე, იმანო ჩვეც უნდა შავგინახოს და თელი ჩვენი მამავლობაცო. წასულა ეს ძმები, აუხთია სარქვეელი და გაგიჟდენ სიხარულით. ოუშენებია კაი-კაი სახლები, გოუშენებია მამული, იმათოდენი დილარე აღარვინ დადიოდა. სოფელი რო მოშენებულა, ამათ დოუთქმევია სარქვეელეთუბანი, ქურმა ჩვენ ცხოვრება გვანახაო, ამას რავა დავკარგავთაო. ასთე მაქ განაგონი ჩვენი ძველებისაგან, რაჭიდან რო გადმოსულა ხალხი, მაშითავე დოუთქმევიათ ეს სახელი“. (შიხეილ საგანელიძე, ქკითაურა).

სინამდვილეში სოფლის სახელი სარქველეთუბანი წარმოდგარი ჩანს გვარისაგან ქველიძე. თავდაპირველად უნდა გვქონოდა სა-ქველეთუბანი-ი „ქველიძეთა უბანი“, „საქველიძეო“. ტოპონიმის შინაარსობრივი გაბუნდოვანება არსებითად გამოუწვევია ქ თანხმონის წინ რ სონორის ფონეტიკურ განვითარებას (ჩართვას), ხოლო შემდეგ მომხდარა მისი „სარქველ“-სიტყვასთან გაიგივება (გააზრიანება). ზემო იმერეთში, კერძოდ, ზესტაფონისა და ჭიათურა-საჩხერის რეგიონში იშვიათი როდია მიკროტოპონიმები, რომლებიც ქველიძეთა (ქველაძეთა) გვარისაგან არიან წარმოდგარნი: ქველაძეების უბანი (ს.თვრინის უბანი); ქველეთუბანი-ი — ს.დილიკაურის ერთ-ერთი უბანი; ქველოურ-ი — ბუჩქნარი, სახნავი ს.ქვედა კლდეეთში და სხვ. რაც მთავარია, თვითონ სოფ. სარქველეთუბანში გვხვდება მინდორი, რომელსაც ქველაძისოული ეწოდება.<sup>1106</sup> ეს ფაქტი მზარს უპერს ჩვენეულ ვარაუდს სარქველეთუბნის ქველაძე-ქველიძე გვარისაგან მომდინარეობის თაობაზე.

<sup>1106</sup> საჭარტველოს სსრ ტოპონიმია I, ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 209.



**სარწივის ხეივანი** ასეთი ადგილის არსებობას ადასტურებს ძველი ქართული საისტორიო წყაროები და ეკონომიკური საბუთები ქართლში, დიდგორის მთაზე.<sup>1107</sup> ერთი შეხედვით შეიძლება იგი საარწივის ხევად მივიჩნიოთ, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ საარწივისხევი სხვაგვარი წარმოშობის მიკროტოპონიმია. მისთვის ამოსავალია სიტყვა წივა; რაც მსხვილფეხა საქონლის ნაკელს ეწოდება.<sup>1108</sup> მამასადამე თავდაპირველად ყოფილა ტოპონიმი სა-წივ-ე („ადგილი, სადაც უგროვებიან საქონლის ნაკელი“), ხოლო შემდეგ წარმომდგარა მეორეული ტოპონიმი სა-წივ-ის ხევი; წ თანხმოვნის წინ ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულა სონორი რ ბგერა და საბოლოოდ მიგვიღია საარწივის ხევი. შინაარსობრივად საარწივის ხევი (||სა-წივ-ის ხევი) იგივეა, რაც ერწო-თიანეთური ქურთისკარი (იხ.) და გუდამაყრული ბართ-კარ-ი (— ბართ-კალი||ბარტ-კალი) (იხ.) ასეთი სახელწოდებები ძირითადად იქ წარმოიქმნებოდა, სადაც მსხვილფეხა პირუტყვის საზაფხულო საძოვრები არსებობდა. დიდგორის მთები კი ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასაძოვრე რეგიონი იყო ძველ საქართველოში, თრიალეთის სხვა საძოვრებთან ერთად.

**სასიანო** ადგილის სახელად დასტურდება გარეკახეთში, სოფ. სართიქალის ტერიტორიაზე. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ტოპონიმს ასე განმარტავენ: „ერთავად სიო ქრის, ნიაქარიანი ადგილია, ქარი სისინებს და იმიტომაც დაურქმევიათ სასიანო“ (როინ ნიკოლოზის ძე ჯარიაშვილი, დ.სართიქალა, 1958 წ.). მიკროტოპონიმი სასიანო ფაქტიურად ნიშნავს: „სა-სიონ-ო“, „სიონისაკენ მიმავალი გზა“ (სიონი სოფელი და ისტორიული ადგილია ერწო-თიანეთში).

**საშიქრია** კლდოვანი ადგილებია ზემო იმერეთში, ცხრუკვეთ-თვალუეთის გზაზე (ქიათურის რ.). ადგილობრივ ერთობ პოპულარულია გადმოცემა, რომლის თანახმადაც ადგილს საფიქრია შერქმევია სიტყვა „ფიქრთან“ კავშირის გამო: „ძველად ამ ადგილებში უსიერი ტყეები ყოფილა და იქ გავლა დიდად საძნელო და საფიქრალი გახდო-

<sup>1107</sup> იხ. მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 96; სტ. ზემო შავნი.

<sup>1108</sup> ქველ (ერთტომეული), თბ., 1986, გვ. 562.

მოდა ხალხს; ზოგს ყაჩაღის ეფიქრებოდა, ზოგსაც ავი სულების, კიმკე-  
ბის, ათასი მოჩვენება აფთხობდა ხალხს" (ნუნუ ვასილის ასული  
გეწაძე).

სინამდვილეში სულ სხვა ვითარებასთან უნდა გვეკონდეს საქმე.  
საფიქრია, ჩვენი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა „საფიქლია“, „ფიქ-  
ლოვანი ადგილი“, „კლდეები, რომლებიც ფიქალ-ფიქალ არის ნაგები“. საყურადღებოა, რომ ქართულ ტოპონიმიაში, განსაკუთრებით მთიანი  
მასივების რეგიონებში, საკმაოდ ხშირად გვხვდება ფიქალ-(||ფიქარ-)  
სიტყვის მიხედვით წარმოქმნილი მიკროტოპონიმები: ფიქარკლდე —  
ადგილია ს.გერგეტში (ყაზბეგის რ.),<sup>1109</sup> ფიქარ-იან-ი — საძოვარი ადგი-  
ლები ს.შარახევში (თიანეთის რ.), ფიქარულა — განთქმული საზაფხუ-  
ლო საძოვარი მესხეთში, ს.ზველის ტერიტორიაზე, ე.წ. „ქვეშამთაზე“  
(ასპინძის რ.)<sup>1110</sup> და სხვ. აქვე შევნიშნავთ, რომ იმავე ფიქალ- სიტყვი-  
საგან არის წარმომდგარი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ცნობილი გე-  
ოგრაფიული ობიექტის სახელწოდება ფიქარისგორა, რომლის შესახებაც  
ქვემოთ გვექნება საუბარი.

**საყველაშ** ადგილის სახელია ზემო იმერეთში (ხარაგაულის  
რ.). ადგილობრივთა გადმოცემით „აქ ძველ დროში ხალხს ყოლებია  
ბევრი საქონელი. წველიდენ და აკეთებდენ საუკეთესო ყველს. ამის  
გამო დოუთქმევიათ საყველო იგივე საყველაშ" (დავით ორჯონიკიძე,  
ს.დორეშა). ამავე პირის მიერ ჩვენ ჩავიწერეთ სრულიად სხვაგვარი  
ვერსია, რომელიც სინამდვილესთან, რა თქმა უნდა, უფრო ახლოსაა:  
„ეს ადგილი წინათ ყოფილა თავისუფალი, ვისაც დრო და შეძლება  
ქონდა, ხარები და გუთანი ქონდა, ყველას შეეძლო მისი მოხვნაც და  
მოსავლის მოწყვაც. საყველაშ იყო ეს მიწა, ყველას მიწა იყო“ თუ  
გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ასეთი წესით მიწის ნაკვეთების სარგებლო-  
ბა ნიშანდობლივი ყოფილა რაქა-ლენჩხუმისათვის, მთიულეთ-გუდამაყრი-  
სა თუ ფშავ-ხევსურეთისათვის (სანაცვლო, საონავრო||საორავნო, სა-

<sup>1109</sup> ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 133.

<sup>1110</sup> მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესაქონლეობა მესხეთში: კრებ. მესხეთ-ჯავახეთი, თბ.,  
1972, გვ. 53.

რიგო...), მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ საყველამ მართლაც „ყვე-  
ლასთვის თანაბრად მოსახმარი მამულის“ სახელი ყოფილა.

**საყულის** სოფელი წყალტუბოს რაიონში. როგორც დასახლე-  
ბული პუნქტი, საყულია ახალი შექმნილი ჩანს. შესაძლებელია იგი XIX  
ს-ის I ნახევარში იყოს დაფუძნებული, რამდენადაც საყულია მოხსენიე-  
ბული არ არის არც ვახუშტის, არც იოანე ბაგრატიონის „აღწერებში“.  
რაც მთავარია, საყულია არ იხსენიება არც გვიანდელი ხანის (XVII-  
XVIII სს.) დასავლურ-ქართულ ეკონომიკურ საბუთებსა თუ სოცია-  
ლურ დოკუმენტებში. და ეს მაშინ, როცა ამ წყაროებში დასავლეთ სა-  
ქართველოს არაერთი მცირე, ნაკლებმნიშვნელოვანი ობიექტიც კი არის  
მოხსენიებული (აღისმერეთი, ზეგანი, კოლოშნარი, ტყუბუშორი, ოფის-  
კვიცი, ჯიმასტაროს წყარო, საჯიმანშტარო, მლაშის ღელე, ფანიაურის  
თავი, საყუავის ტყე, ჩუნეში, ბუკისუბანი, ჭუარისა, კორთხა, პიტინისბე-  
ვი, ზოლასკური, ატმანის ღელე, კორთხის წყალი, გუბა და სხვ. მრ.).<sup>111</sup>

ჩვენი საუკუნის დასაწყისში საყულიას უკვე მიუქცევია მკვლევარ-  
თა ყურადღება. კ.ჭანი ამ მხრივ პირველია: მაგრამ, როგორც მოსა-  
ლოდნელი იყო, იგი ამ საინტერესო ტოპონიმის შინაარსს სწორად ვერ  
ჩაწვდა. მისი აზრით საყულია თურმე ღვინის სასიძის — კულას —  
უკავშირდება.<sup>112</sup>

საყულიას ეტიმოლოგიური კვლევა ჩვენს დროშიც გრძელდება.  
ზ.კუმბურიძე მას სრულიად მართებულად ყულ- სიტყვისაგან მომდინა-  
რე ტოპონიმად მიიჩნევს (სა-ყულ-ია). ოღონდ სწორი არ ჩანს ძირეული  
სიტყვის განმარტება: ყული მონას, ყმას, ტყვეს ნიშნავს და ამიტომ სა-  
ყულ-ია იმ დროის გადმონაშთად უნდა მივიჩნიოთ, როცა საქართვე-  
ლოში ტყვეებით ვაჭრობა იყო გაჩაღებულიო. ამგვარივე წარმომოხმობისად  
თვლის იგი ტოპონიმ ყულევ-საც.<sup>113</sup> წინასწარ გვინდა შევნიშნოთ, რომ  
არაბული წარმომოხმობის ყულ- სიტყვა ქართულში მხოლოდ ზემოაღნიშ-  
ნული მნიშვნელობით არ გვხვდება. ეს სიტყვა ქართულ ენაში ძირითა-  
დად რელიგიურ-საკულტო მნიშვნელობითაა თურქულის გზით შემოსუ-

<sup>111</sup> იხ. ქართული სამართლის ძეგლები III, თბ., 1970, გვ. გვ. 326, 331, 332

<sup>112</sup> СМОТРИК, 40, ტფილისი, 1900, გვ. 123.

<sup>113</sup> ზ. კ. უ მ ბ უ რ ი ძ ე, „ღვინა ქართული“, თბ., 1987, გვ. 498, 520.

ლი. ყულიშკარი, მაგალითად, ეკლესიის კარს ნიშნავს და არა მონის (ტყვის) კარს; ლეჩხუმის სოფელ ცხუკუშერში ყანის სახელად დასტურდება „საყულიე გორა“, რაც ეკლესიის გორად არის მოსახლეობაში გააზრებული.<sup>1114</sup> ასე რომ საყულია შეიძლება განიმარტოს როგორც „სალოცავი ადგილი“, „საჭვარია“, „ადგილი, სადაც ყულე (ციხე, კომ-კი...) მდგარა. (დაწვრ. იხ. სტ. ყულევი).

**საჩხერამ** რაიონული ცენტრი ზემო იმერეთში, გამოჩენილი ქართველი პოეტების, პაოლო იაშვილის და მუხრან მაქავარიანის მშობლიური ქალაქი. იგი გაშენებულია საჩხერის ქვაბულის ჩრდ. დასავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 530 მ. დაბა საჩხერე იმთავითვე მნიშვნელოვან პუნქტად იყო ცნობილი მთელი ზემო იმერეთის მოსახლეობისათვის. აი, რას წერდა იაკობ გოგებაშვილი საჩხერის შესახებ 1912 წელს: „ზემო იმერეთში... შესანიშნავი დაბა არის საჩხერე, სადაც წელიწადში ერთხელ და დიდს პარასკევს გაიმართება ხოლმე დიდი ვაჭრობა, იარმუკა“.<sup>1115</sup> ისტორიულ წყაროებში საჩხერე ძირითადად XVII საუკუნიდან იხსენიება. საბუთების მიხედვით იგი საწერეთლო მამული ყოფილა.<sup>1116</sup> ვახუშტი ბატონიშვილი საჩხერეს ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათების გარდა, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც წარმოაჩენს: „კვალად ჭრუქის შესართავს ზეით, ყვირილას სამჭრით კიდევდ, არს საჩხერე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ“.<sup>1117</sup>

ხალხური ტრადიციული გადმოცემა საჩხერეს რატომღაც სიტყვა „ჩხირს“ უკავშირებს: „საჩხერის რაიონი უფრო თიანია. უწინდელ დროში ყოფილა დოუსახლებელი. მერე აქარიდან გამოქცეული გლეხი

---

<sup>1114</sup> მ . ჩ ი ქ ვ ა ნ ი , 1939, გვ. 147.

<sup>1115</sup> ი . გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი , დასავლეთ საქართველო: „საგანძური“, თბ., 1987, გვ. 253.

<sup>1116</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 189

<sup>1117</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 156, 26. (აქვე მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ 1991 წ. 29 აპრილს, ნაშუადღევს, საჩხერე და მისი შემოგარე სოფლები დაანგრია ძლიერმა მიწისძვრამ, რასაც მოჰყვა ადამიანთა მახვერპლი).

მოსულა, გვართ გოგიბაძე... საჩხერეს სახელი კ'არ ერქვა მაშინ. რაღაი აქარიდან იყო გამოქცეული, გედიტქვა გვარი, დეითქვა მაქარაშვილი. დეიწყო ცხოვრება... მეფის მონადირეებმა მოახწიეს ამ დიდ თებს. ნახეს ერთი კარამი (-კარავი), მივიდენ ამ მაქარაშვილთან, ლამე გეითიეს. რო დაბრუნდენ, მეფეს მოახსენეს: მისთანა ადგილას ნახეთ კაცი, რო ჩხირი არ აკლიათ. ამის მერე დააჩქვეს ჩვენ ხარეს საჩხერე".<sup>118</sup>

ნ.კეცხოველი საჩხერის წარმოშობას შეფარვით უკავშირებდა მეგრულ ჩხერ- სიტყვას; დაჩხვერვა მეგრულად „ღომის დაცეხვას“ ნიშნავსო. ამ ვარაუდთან ერთად ნ.კეცხოველი საჩხერეს მდ.ჩიხურას სახელთანაც უძებნიდა საერთოს: სა-ჩიხურ-ე.<sup>119</sup> ყვირილის ხეობის სიძველეთა ცნობილი მკვლევარი არქეოლოგი ჭურხა ნადირაძე შესაძლებლად თვლის სახელწოდება საჩხერისა და უძველესი ტოპონიმის ჩიხას ურთიერთ კავშირს, რაკილა არგვეთის ერისთავთა რეზიდენციად აღრეფო-დალურ ხანაში (IX ს.) ჩიხა იყო ცნობილი.<sup>120</sup> მათიანე ქართლისაში ეს პუნქტი ხშირად იხსენიება გიორგი I აფხაზთა მეფის (ლეონის ძის) და მისი მეუღლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით („მას ქამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი“; „ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი (მაზლის შვილი ბაგრატი, გ.ბ.), ერისთავი ჩხისა... და შთააგდეს... ზღუასა...“<sup>121</sup> მაგრამ, არა გვეონია ამ ქალაქს რაიმე საერთო ჰქონდეს გვიანდელი წარმომავლობის საჩხერესთან.

უკანასკნელ ხანს გამოითქვა კიდევ ერთი, ადრინდელთაგან სრულიად განსხვავებული, თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც საჩხერე თურმე „საჩხარე“ ტერმინისაგან ყოფილა წარმომდგარი: „საჩხარე გზა“, „ჩხარისაკენ მიმავალი გზა“.<sup>122</sup>

---

<sup>118</sup> თქმულება ჩაუწერია ქ ე თ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე ს . (იხ მისი ზემოიშვრული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 455).

<sup>119</sup> ნ . კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი . მეცხრე მთაც გადავიარეთ, თბ., 1976, გვ. 290.

<sup>120</sup> ჭ . ნ ა დ ი რ ა ძ ე , ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 76, 156.

<sup>121</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 258, 6-9.

<sup>122</sup> შ . გ ო გ ა ტ ი შ ვ ი ლ ი , სგს, 1981, გვ. 37.

ტოპონიმი საჩხერე აშკარად სა-ე აფიქსით არის გაფორმებული. იგი ისევეა წარმოქმნილი, როგორც სა-ფურცლ-ე, სა-ფინხულ-ე, სა-წალიკ-ე, სა-ჯოგ-ე, სა-ხარ-ე, სა-ჯვარ-ე და მისთ. ტოპონიმის სა-ყრდენი სიტყვაა ჩხერ-ი, რომელიც ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა მნიშვნელობით არის დადასტურებული. ჩხერ- სიტყვის ორი მნიშვნელობა თვით ზემოიშვრულ კილოს შემოუნახავს. ერთია „ჩანჩქერი“, „წყალვარდნილი“, „ჩქერი“, ხოლო მეორეა „თევზის დასაქერი მახე“, „ფაცერი“. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა დღესაც ცოცხლად არის დაცული ზემოიშვრულ დიალექტში: „ჩვენ ხვადაბუნში, სადაც დავაკდებოდა ყვირილა, წინეთ უგებდენ ჩხერს და ამიტომ დევრქვა იმ ადგილედს საჩხერე“.<sup>1123</sup> ჩხერ- სიტყვისა და ჩანჩქერის იგივეობა კარგად ჩანს ვახუშტისეულ ინფორმაციაში, რომელსაც იგი ზემო იშვრეთის აღწერისას გვაწვდის: „მლაშეს ზეით არს ჩხერის ციხე. ამ ციხისაგან ისახელა მდინარე ესე ჩხერიმელად ანუ წყლის ჩხერისაგან კლდესა ზედა დინებითა“.<sup>1124</sup> შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ძველი რაქის მოსახლეობა საჩხერეს კრებითობა-სიმრავლის აღმნიშვნელი სა-ჩხერეთ- ფორმით მოიხსენიებდა: „სავაქროთ უნდა წევიდეთ საჩხერეთ — ჩიხაში“.<sup>1125</sup> აშკარაა, რომ საჩხერეთი ჩხერმრავალ, წყლის ჩანჩქერებიან მხარედ გაიაზრებოდა.

ჩხერის ეს უკანასკნელი მნიშვნელობა („ჩანჩქერი“) უნდა იყოს ჩადებული ხევში (ყაზბეგის რ.) არსებული მდინარის სახელში ჩხერი (მდ. თერგის მარცხ. შენაკადი). აქვე მისგან წარმოქმნილა მიკროტოპონიმი ჩხერიპირა.<sup>1126</sup> თუ ჩვენ ამ მნიშვნელობებს გავითვალისწინებთ, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმი საჩხერე ორი თანაბრად მოსალოდნელი და თანაბრადღირებული სიტყვისაგან წარმომდგარა: 1. „ჩხერებით (ჩანჩქერებით) მდიდარი კუთხე, მხარე“, 2. „ადგილი, სადაც თევზსაქერ ჩხერებს (ფაცერს) უგებდნენ“.

<sup>1123</sup> ქ ე თ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიშვრული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 418.

<sup>1124</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 155, 20.

<sup>1125</sup> შ . ძ ი ძ ი გ უ რ ი , ქართული დიალექტოლოგიის მასალები, 1974, გვ. 305

<sup>1126</sup> ვ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 32.

**საძმ(ო)რი-ი** ისტორიული რეგიონი, მხარე ერწოს ველზე. ტოპონიმი **საძმორი** ქართულ საისტორიო წყაროებში უძველესი ხანიდანვე მოიხსენიება. მემატინანე ჭუანჭერი VII-VIII საუკუნის ამბების თხრობასთან დაკავშირებით გადმოგვცემს არჩილ მეფის მიერ საძმორის ტერიტორიაზე ეკლესიის აგების ფაქტს. ეს საძმორი ვარაუდობს იმ ადგილს, სადაც არჩილის მონასტერია აგებული და სადაც განისვენებს თვითონ წმინდა მოწამე მეფე არჩილ II. არჩილის მონასტერი, როგორც ვიცით. მდებარეობს ერწოს სოფელ სიონგორში. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მემატინანისეული **საძმორი** („არჩილ... აღაშენა ეკლესია **საძმორს**“)<sup>1127</sup> ერთი კონკრეტული პუნქტის აღმნიშვნელი ტოპონიმი არ ყოფილა; იგი, ჩვენი აზრით, აღნიშნავდა ერწოს ველის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. რომელზედაც დღეს **სიონგორი**, **ბაღებისხევი**, **ღულელები**, **საყდრიონი**, **ნაქალაქრები** და **ვეძათხევა** არის გაშენებული. თვით ტერმინი **საძმორ-ი||სა-ძმორ-ე** უნდა გავიგოთ როგორც „სა-ვეძ-ო ადგილები“, „მლაშე ვეძა-წყლიანი ადგილები“. ამ ვარაუდის სისწორეს ადასტურებს ერწოს ამ რეგიონში სოფელ **ვეძათხევას** არსებობა. საყურადღებოა, რომ ძველ ქართულ ენაში მლაშე მინერალური წყლის, იმავე **ვეძის**, აღმნიშვნელი სიტყვა **ძმორ-** (მღრ. დღევ. ძმ-არ-ი) ფუძით გადმოიციმოდა. ახე აღინიშნებოდა ტოპონიმი **ხევეძმარა** („არაგუს გაღმართი **ვევე-ძმორამდის**“), **-ვევე-ძმორას** ქუეშოთი და ფშავის-წყალს აქათი“)<sup>1128</sup> ეს არქაული **ძმორ-** ფუძე შემონახულა ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმ **სა-ძმორ-ში**. რომელიც, როგორც, ვთქვით, **სა-ვეძ-ო**, **ვეძაწყაროები**ან **მხარეს**. ნიშნავს.<sup>1129</sup>

**საძმრახმ** მთა არის ზემო იმერეთში (ს.ხიდარი, ხარაგაულის რ.). სახელწოდება **საძმრახე** აშკარად **სა-ე** აფიქსით არის წარმოქმნილი. ძირისეულ მასალად გვრჩება **-ძრახ-** ელემენტი; რომელიც, ჩვენი აზრით, **ძახ-ილ**, **და-ძახ-ებ-ა**, **სა-ძახ-ებ-ელ** სიტყვებს ეხმიანება. **-რ-** ფონეტიკურადაა განვითარებული: **სა-ძახ-ე** — **სა-ძრახ-ე**. იგი ზუსტად ისეა გაფორმებული, როგორც ზანურ-ქართული წარმოშობის **ო-ძრახ-ე** (იხ.)

<sup>1127</sup> ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 348-349.

<sup>1128</sup> იქვე, გვ. 348-349.

<sup>1129</sup> იხ. ჩვენი „ერწო-თიანეთის ტოპონიმია“, თბ., 1980, გვ. 171.

მაშასადამე, საძრახე უნდა გავიგოთ როგორც „ხმა-ექოიანი, საძახებელა (საძახია) ადგილები“, „გამოქვაბულები, ხმის გამომცემი კლდოვანი ადგილები“. საძრახე ძვ. ოძრახეს „ტყუბისცალია“.

საწირი სოფელია ზემო იმერეთში (ტყიბულის რ.). მკითხველს უკვე შეუძლია გაარკვიოს, რომ ტოპონიმი საწირე სა-ე აფიქსით არის წარმოქმნილი; ძირია წირ- სიტყვა, რომელიც, ჩვენი ფიქრით, მიწის წიაღიდან გამომდინარე ერთგვარ თხევად შავ მასას აღნიშნავს.

ამ მინერალს ძირითადად მეთუნეობაში იყენებენ; მას მეორენაირად წერნაქი||წარნაქი ჰქვია. ეს არის ერთგვარი საღებავი მიწა, რომელსაც თიხის ქურქელს გამოწვის დროს ზოლზოლად ან რაიმე დეკორატიული მოტივის მიხედვით წაუსვამენ. წირი თიხის ნაწარმს გამოწვის შემდეგ წითლად აჩნდება. ვფიქრობთ, ეგვე წირ- სიტყვა უნდა გვკონდეს მეზობელ კიათურის რაიონის ერთ-ერთი სოფლის წირქვალის სახელწოდებაშიც. სიტყვა წირ-ი აღმოს. საქართველოს ტოპონიმიისათვისაც არ არის უცხო. ამ გზით ჩანს წარმოქმნილი სოფლის სახელი წირქოლი (კორინთის სას. საბქო, ახალგორის რ.), ს.წირა (წყურეთის სას. საბქო, ახალციხის რ.), ს.წილკანი (— წირ-კარი) მცხეთის რ. და სხვ. წირ-ი აღმოს. საქართველოს დიალექტებში წერი-ს სახითაც არის გახმოვანებული. წერ- სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს სოფ. წეროვან-ი (მცხეთის რ.), წერაქვ-ი (მარნეულის რ.), წერ-ეთ-ი (ნასოფლარი ცენტრალურ ქართლში, გორის რ.)<sup>1130</sup> და მისთ.

რაც შეეხება ხალხურ გადმოცემას, სახელწოდება საწირე წარმომდგარი ყოფილა კითხვითი წინადადების მიხედვით: „სად წირე?“

„ერთი მგზავრი მიდენილა. შეხედერია მღვდელი. კაათ არის ნასვამი, უკითხავს: „სა წირე, მამაო?“ — „საანა ვწირე და საცა წირემენო, — უთქვამს ღვდელს და უჩვენებია სოფელზე. ამ ამბის მერე ჩვენი სოფლისათვის დოუთქმევიათ საწირე“.<sup>1131</sup>

---

<sup>1130</sup> ამ დასახლებული პუნქტის მიხედვითაა წარმომდგარი ცნობილი ქართული გვარი წერეთელი (წერ-ეთ-ელი), რომელიც ზემო იმერეთში ჩანს მიგრირებული და შემდგომ გავრცელებული.

<sup>1131</sup> სფ.



**სელიობო** რიტუალური ადგილია ზემო იმერეთის სოფელ ილემში, აგრეთვე გაღმა გოლათუბანში. ადგილობრივთა მეტყველებაში სელიობოს ნაცვლად შეიძლება „საქალებო“ ფორმაც გაიგონოთ, თუმცა „საქალებო“ თვით რიტუალის აღმნიშვნელ ტერმინად უფრო გვხვდება: „დღეს სელიობოზე არის საქალებო. ანთებენ სანთლებს, მიაქვთ შესაწირი“.

„სელიობოზე საღმთო ყოველ გაზაფხულზე იმართება“.<sup>1132</sup> სახელწოდება სელიობა, ჩვენი ფიქრით, ელიობის დღესასწაულს უნდა უკავშირდებოდეს. შემთხვევითი არ არის, რომ სელიობაზე საღმრთო რიტუალი გაზაფხულობით იმართება, რაც ელიობის დროს თანხვდება. თავკიდური ს თანხმოვანი სა-პრეფიქსის ნაშთად უნდა მივიჩნიოთ, რაზედაც სიტყვის ბოლოკიდური -ო ხმოვანიც მიგვანიშნებს. მაშასადამე, თავდაპირველად სა-ელიობ-ო (ადგილი) უნდა გვექონოდა, რომელსაც დროთა ვითარებაში ს-ელიობ-ო მოუცია. ჩვენს ამ ვარაუდს უთუოდ ამაგრებს ის ფაქტიც, რომ სოფ. დრბოში (საჩხერის რ.) არის სალოცავი, რომელსაც ასევე საელიებო||საელიობო. ეწოდება. საელიობო ამ არეალში მიკროტოპონიმებად სხვაც არაერთგზის არის დადასტურებული.<sup>1133</sup>

**სვანეთი** საქართველოს დასავლეთ მთიანეთის ერთ-ერთი უღამაზესი კუთხეთაგანია. იგი მოიცავს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებს, კერძოდ, მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ზემო აუზში მდებარე ვრცელ ტერიტორიას. ისტორიულად სვანეთი გაცილებით უფრო მეტ სივრცეზე იყო განფენილი. მასში შედიოდა მდ.კოდორის ზემო აუზი (ე.წ. აფხაზეთის სვანეთი), სამეგრელოს ჩრდილო ნაწილი, აგრეთვე, ლეჩხუმისა და რაჭის მომიჯნავე რეგიონი. სვანეთში შედიოდა მდინარეების ყუბანისა და ბაქსანის სათავეებში მდებარე ხეობებიც.

ადრინდელ საუკუნეებში სვანეთი ჯერ კოლხეთის, ხოლო შემდეგ ეგრისის სამეფოში შემავალი კუთხე იყო, XI-XV საუკუნეებში კი სვანეთი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ ძლიერ საერისთავოს წარმო-

<sup>1132</sup> სფ (ჩამწ. ნონა თემერის ასული ლაშაშიძე).

<sup>1133</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I, ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ :69.

ადგენდა. XV საუკუნეში, როცა საქართველო ცალცალკე სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცდა, სვანეთის საერისთაოც ვერ ასცდა ფეოდალურ პარტიკულარიზმს და ისიც მცირე საგამგებლოებად დაიშალა. ასეთი იყო, მაგალითად, ზემოსვანეთის სამთავრო (შედიოდა ენგურის ხეობა, ბალის ქედის ქვემო მხარე) — გვიანდელი სადადეშქელიანო; ბალსზემო სვანეთის სამთავრო ანუ „თავისუფალი სვანეთი“ (მოიცავდა ზემო სვანეთის აღმოსავლეთ რეგიონს); ქვემო სვანეთის სამთავრო, იგივე ცხენისწყლის ხეობის სვანეთი, მოგვიანებით — სადადიანო სვანეთი (შედიოდა ლაშხეთის, ჩოლურისა და ლენტეხის თემები).

დღევანდელი სვანეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ორ მთავარ რეგიონად იყოფა. ესაა: ზემო სვანეთი (ცენტრი დ.მესტია) და ქვემო სვანეთი (ცენტრი დ.ლენტეხი).

სვანური ქართულთან და ზანურთან (მეგრულ-ჭანური) ერთად ქმნის ქართველურ ენათა ოჯახს. სამივე ეს ენა სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ენებია. იშვიათია მეორე ქვეყანა, ასე მცირე ტერიტორიაზე ამდენ დიალექტზე მოლაპარაკე ხალხი რომ სახლობდეს. სვანურში ოთხ დიალექტს გამოყოფენ. ესენია: ბალსზემოური და ბალსქვემოური (ზემო სვანეთში), ლაშხური და ლენტეხური (ქვემო სვანეთში).

სვანეთში მკვიდრი სვანური მოსახლეობა ისტორიული ეპოქებიდან სახლობს. როგორც ჩვენი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, სვანურ მოსახლეობას ძვ. წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებიდან უფრო სამხრეთით, მდ. ფაზისის (რიონის) ზღვასთან შესართავი და მისი მიმდებარე მიწებიც კი უნდა სჭეროდათ.<sup>1134</sup> შემდგომ მათ კიმერიელი ტომების მოძალების გამო ჩრდილოეთით გადაუნაცვლებიათ, თუმცა ძლიერი და მებრძოლი ქვეყნის სახელი მაინც შეუნარჩუნებიათ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ანტიკური მწერლები და ისტორიკოსები კავკასიაში მცხოვრებ ძირითადი მოსახლეობის ჩამოთვლისას იბერების, კოლხების, აგრეთვე, ალბანელების გვერდით ყოველთვის

---

<sup>1134</sup> იხ. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 64-65, 67-68.

მოიხსენიებენ ჰენიოზებს, იმავე სანიგებს, რომლებიც დღევ. სვანებთან არიან გაიგივებულნი.<sup>1135</sup>

ქვეყნის სახელწოდება სვანეთი ისევეა გაფორმებული ქართული -ეთ სუფიქსით, როგორც საქართველოს ზოგი სხვა კუთხის სახელი: ქან-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, ჭავჭავ-ეთ-ი, მესხ-ეთ-ი, იმერ-ეთ-ი, ხევსურ-ეთ-ი, ჰერ-ეთ-ი, მთიულ-ეთ-ი... მაშასადამე სვან-ეთ-ი ნიშნავს: „სვანებით დასახლებული ქვეყანა“ ტოპონიმ სვანეთის წარმოშობის საკითხს პირველად ვახუშტი ბატონიშვილი შეხებია. მისი ვარაუდით სვანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ძურძუკეთიდან (ჩრდილო კავკასია) გამოუყვანია ქართველთა მეფე საურმაგს, რომელსაც მათთვის საუკეთესო სამოსაბლო („სვანე“) მიუცია და მხარის სახელწოდებაც თითქოს ამ ფაქტთან იყოს დაკავშირებული: „ოდეს ვერ-ღარა იტევდა ძურძუკეთი კაცთა, ბ მეფემან საურმაგ აჰყარა მუნიდამ და მისცა აქა სვანე და დასხნა სულნი ღიდდალნი. ამის გამო იწოდა სვანეთი“.<sup>1136</sup> სვანთა მოსულობის საკითხი სხვა ქართველ ისტორიკოსთა შორისაც (აღ. ხახანაშვილი, ივ. ჭავჭავიშვილი, ს. ჭანაშია...) თითქოს ექვს არ იწვევდა, ოღონდ ითვლებოდა, რომ სვანები აქ წინა აზიიდან მოსულან ძვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში. ვახუშტისეული ეტიმოლოგია სვანეთის სვანე სიტყვისაგან მომდინარეობის. თაობაზე ერთობ პოპულარულია. მას იცნობს, მაგრამ ნაკლებ სარწმუნოს უწოდებს თანამედროვე რუსი ტოპონომიკოსი ვ. ა. ნიკონოვი,<sup>1137</sup> მეორე რუს მკვლევარს ნ. მელხეევს კი აღნიშნული თვალსაზრისი სარწმუნოდ მიაჩნია.<sup>1138</sup> როგორც ჩანს, იგი მთლიანად ეყრდნობა ბატონიშვილ ვახუშტის მიერ მოწოდებულ ცნობას. სინამდვილეში კი, როგორც უკვე ვთქვით, სახელწოდებისათვის ამოსავალია ეთნონიმი სვანი, რომელსაც კრებითობა-სიმრავლის აღმნიშვნელი -ეთ სუფიქსი აქვს დართული.

<sup>1135</sup> იქვე, გვ. 65.

<sup>1136</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 173, 25. აქვე შევნიშნავთ, რომ სვანეთს სიტყვა სვანესთან აკავშირებდა ვ ა უ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ც .

<sup>1137</sup> ვ . ა . ნ ი კ ო ნ ო ვ ი , მოკლე ტოპონომიკური ლექსიკონი, მოსკოვი, 1966, გვ. 372 (რუს. ენაზე).

<sup>1138</sup> მ . ნ . მ ე ლ ხ ე ე ვ ი , გეოგრაფიული სახელები, მოსკოვი, 1961, გვ. 74 (რუს. ენაზე).

სვანეთის უბან-ი ქ.თბილისის ერთ-ერთი უბანთაგანი. იგი წარმოიქმნა XIX ს-ის I ნახევარში. სვანეთის უბანში ძირითადად შედის ლამის ქუჩა და მისი მიმდებარე უბნები. ტოპონიმ სვანეთის უბნის წარმოშობას უკავშირებენ ეთნონიმ სვანს: „ეს უბანი თავდაპირველად დასახლებული იყო სვანებითო“, — წერდა გრ.ზარდალიშვილი. აქვე იგი გვაწოდის ცნობას, სვანეთის უბნისათვის მოგვიანებით შრომისუბანი შეურქმევიათო.<sup>1139</sup> სვანეთის უბანი, როგორც დგინდება, ეთნონიმ სვანთან არაფერ კავშირშია. ამ უბნის პირველმოსახლენი, როგორც ისტორიული საბუთებით მტკიცდება, გორის რაიონიდან ჩამოსული სვენელები ყოფილან. სოფ. სვენეთის მცხოვრებთა თბილისში გადმოსვლისა და მათი კომპაქტურად დასახლების ფაქტი ნათლად ასახულა ტოპონიმში, რომელიც თავდაპირველად სვენეთის უბნად გამოითქმოდა. სვენეთის უბანი (იგივე სვენელების უბანი) დროთა განმავლობაში სატომო სახელ სვანთან გააზრიანებულა და შედეგად სვანეთის უბანი მივიღია.

სვანეთ-ი სოფელია გორის რაიონში. ქართულ საისტორიო და ეკონომიკურ ძეგლებში XIII საუკუნიდან არის დადასტურებული. ყველაზე პირველად სვენეთი მოხსენიებული უნდა იყოს გიორგი IV-ის ანუ ლაშა გიორგის მიერ ქვათახევის ეკლესიისათვის მიცემულ შეწირულების სიგელში (1213-1222 წ.წ.) „სულ(ა) ქართლის ერისთავი, ძე რატი სურამ(ლისა), გუეშაჟა და მო(გუაჟ)სენა, რაითამც(ა) შევიწყალეთ და ქართლის სოფელი სუელეთი მონასტერსა მისსა ქვათაჲვეს შევსწირეთ. ჰქონდეს ქვათაჲვეს მონასტერსა სუელეთ(ი), (მთ)ითა, (ბ)რითა, ტყითა, ველითა, წყლითა...“<sup>1140</sup> ამავე სიგელის ზოგ ნუსხაში, აგრეთვე, სხვა საბუთებში, სუელეთის გვერდით სუელნეთიც იკითხება: „დაგუაჟერა ღმერთმან. ვისმინეთ ჰაჟაი და მოჴსენებაჲ ერისთავთ-ერისთავის სულა ქართლის ერისთავისაი და სუელნეთი გამოგუჟილია საქართველოს ერისთავისაგან და შეგუიწირავეს... ქვათაჲვევისადმი“.<sup>1141</sup> მოგვიანო ხანის ეკონომიკურ საბუთებში ძირითადად სველნეთი მკვიდრდება; აქა-იქ

<sup>1139</sup> გ რ . ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი , თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, 1987, გვ. 64.

<sup>1140</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 35.

<sup>1141</sup> იქვე.

გვხვდება სოლნეთ- ფორმაც.<sup>1142</sup> უფრო მოგვიანებით სველნეთი სვერ-  
ნეთ-ის სახითაც დადასტურდა.<sup>1143</sup> (თუ იგი კორექტურული შეცდომა  
არ არის, რაც ამ გამოცემაში საკმაოზე მეტია).

ქართული ტოპონიმის ცნობილი მკვლევარი ალ.ლონტი ტოპო-  
ნიმ სველნეთ-ში -ნ- თანხმოვანს მრავლობითობის აღმნიშვნელ ფორმან-  
ტად მიიჩნევს (სველ-ნ-ეთ-ი) და მას სიტყვა დალტობასთან აიგი-  
ვებს.<sup>1144</sup> ვარაუდი უფრო სარწმუნო იქნებოდა, ამ არეალში ამოსავალი  
სველნ-ი ფორმა რეალურად რომ დადასტურებულყო. მეორეცაა და  
მრავლობითობის -ნ- ფორმანტის შემდეგ რაიმე სხვა სუფიქსები ტოპო-  
ნიმებში თითქოს არ შეინიშნება (შეუძლებელია ჯვარ-ნეთ-ი, ქვაბ-ნ-იან-  
ი...). ამის მიხედვით სველნეთის (სველ-ნ-ეთ-ი) ამგვარი გაგება თითქოს  
უნდა გამოირიცხოს. აკ.შანიძე ამ ტოპონიმში გამოყოფს -ეთ სუფიქსს.  
სვენ- ფუძის შესახებ კი შენიშნავს, მისი მნიშვნელობა ამჟამად ნათელი  
არ არისო.<sup>1145</sup> თუ დავუშვებდით, რომ -ნ- თანხმოვანი ძირისეულია, მა-  
შინ შეიძლებოდა იგი მსუენ- („ხელიკი“) სიტყვისაგან მომდინარე ერ-  
თეულად მიგვეჩნია. თუ ჩვენი მოსაზრება ქეშმარიტებასთან ახლოსაა,  
დღევ. სვენეთი უნდა გავიგოთ როგორც მ-სუენ-ეთ-ი („ადგილი, სა-  
დაც მსუენი ყოფილა გავრცელებული“: „სა-ხელიკ-ეთ-ი“). ამ ვარაუდის  
საბოლოოდ გაზიარებას თითქოს ხელს უშლის ის ფაქტი, რომ შუასაუ-  
კუნეებისდროინდელ ძეგლებში ეს ტოპონიმი -ლ- თანხმოვნითაა წარმო-  
დგენილი: სუელეთი||სუელნეთი. საბოლოოდ: სოფლის სახელწოდება  
სვენეთის წარმოშობა შეიძლება ორგვარად წარმოვიდგინოთ: ა) „წყა-  
რომრავალი, სველი ადგილები“; ბ) „ადგილი, სადაც ბევრი მსვენი ანუ  
ხელიკი ბინადრობდა“.

**სილა-სურ-ი** სოფელია გურიაში (ოზურგეთის რ.). ადგილობრივ  
გავრცელებულ ხალხურ გადმოცემას თუ ვერწმუნებით, სოფელს ასეთი  
სახელი იმიტომ შერქმევია, რომ აქ ყოფილა ნამდინარევი, სილიანი,  
ძალზე ნოყიერი და უხვმოსავლიანი ადგილები (კმეჭვებიშვილი, ს.სილა-

<sup>1142</sup> მასიგტ I, 1964, გვ. 194.

<sup>1143</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბ., 1974, გვ. 462.

<sup>1144</sup> ა ლ ლ ო ნ ტ ი , ტოპონიმოლოგიური ძიებანი I, თბ., 1971, გვ. 37.

<sup>1145</sup> ა შ ა ნ ი ძ ე , ქართული გრამატიკის საფუძვლები I, თბ., 1937, გვ. 138.

ური). ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს, ოღონდ -ურ||-ულ- სუფიქსით გაფორმებული სოფლის სახელები გურიაში ძირითადად გვარსახელები წარმოშობისანი არიან: ნიაბაური, იანეული, გოგოური, ღიხაური, ბოხვაური, მშვიდობაური, ჟანაურა, ჟანიეთური, შველაური, ქადაგაური, ციცაბაური, ჩონატაური, ჩაკიტაური...).

ამის კვალობაზე შეიძლება სილაურიც ანთროპონიმული წარმოშობის სახელად მივიჩნიოთ,<sup>1146</sup> ოღონდ სილა- ფუძეს ფონეტიკური ცვლილება განუცდია. იგი, სავარაუდებელია, უკავშირდებოდეს გვარ სირაძეს. თავდაპირველად უნდა გვექონოდა სირა-ურ-ი, მაგრამ დისიმილაციის შედეგად საბოლოოდ სილა-ურ-ი მიგვიღია. სილაური, ამრიგად, კუთვნილების აღმნიშვნელ სახელად უნდა მივიჩნიოთ. იგი ნიშნავს: „ადგილი, რომელიც ძველად სირაძეთა საკუთრება ყოფილა“. როგორც ჩანს, სილაური ძველად ერქვა ერთ-ერთ მიკროობიექტს (მინდორი, მთა, ქალა), შემდეგ კი აქ გაშენებული სოფლის საკუთარ სახელად ქცეულა.

**სიქთარვა** ცნობილი სოფელია ზემო იმერეთში (თერჯოლის რ.). ადგილობრივ მოსახლეობაში ფართოდ არის გავრცელებული ვერსია იმის თაობაზე, რომ თითქოს სიქთარვა წარმოშობით თათრული იყოს და უხამს, ვულგარულ შინაარსს შეიცავდეს. ეს თვალსაზრისი იმდენად პოპულარულია, რომ ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი სიქთარვას მართლაც თურქული სალანძღავი სიტყვისაგან მომდინარე ტოპონიმად მიიჩნევს. სპეციალისტთა უმრავლესობა კი ერთხმად უჭერს მხარს მის ქართულ წარმომავლობას და თვლის, რომ ტოპონიმი წარმომდგარია ორი სიტყვისაგან: სირთა რუა („ჩიტების რუ“, „ჩიტების ღელე“).. ეს ვარაუდი პირველად ივ.ქავთარაძის მიერ გამოითქვა მეოთხედი საუკუნის წინათ.<sup>1147</sup> ამჟამად იგი გაზიარებულია წამყვანი სპეციალისტების მიერ. კერძოდ, აღნიშნულია, რომ კომპოზიტის პირველი სიტყვა სირი („ჩიტი“) ტოპონიმში წარმოდგენილია ძველებური მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (სირ-თა), მეორე ნა-

<sup>1146</sup> ცნობილია განსხვავებული თვალსაზრისიც. კერძოდ, თვლიან, რომ ტოპონიმი სილაური წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვისაგან სირი („ჩიტი): სირა-ურ-ი — სილა-ურ-ი: „ჩიტების სასხდომი ადგილი“ (ბ.დარჩია).

<sup>1147</sup> იხ. ეურნ. „ცისკარი“, Nelli, 1968.

წილი კი ყოფილა სიტყვა რუ, რომელსაც ა სუფიქსი ჰქონია დართული. ამრიგად სიქთარვა (ძველი ფორმით სირთა-რუა) ნიშნავს „ჩიტთა რუ“, „ჩიტების ღელე“.<sup>1148</sup> თვალსაზრისი უთუოდ საინტერესოა, მაგრამ მას, ჩვენი აზრით, სერიოზული დაბრკოლებებიც ახლავს. პირველ რიგში, დასავლურქართულ, კერძოდ, ზემოიმერულ ტოპონიმიაში თითქოს არ ჩანს ძველი ნათესაობითი ბრუნვის -თა ელემენტი ორშემადგენლიან (ორფუძიან) ტოპონიმებში. სპეციალურ ახსნას მოითხოვს ბოლოკიდური -უ ხმოვნისაგან -ვა კომპლექსის მიღების შესაძლებლობაც: სირთა რუ — სიქთარვა? გასარკვევია, აგრეთვე სირთა ფორმის სიქთა ფორმად ცვლის ფონეტიკური საფუძველი და სხვ. ალბათ უფრო სარწმუნოდ მოჩანს ამ ტოპონიმის სირ- და თარო||თარა სიტყვებისაგან წარმომავლობის დაშვება. მაშასადამე -თა- ელემენტი ტოპონიმში უნდა გავიგოთ არა როგორც ძველი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, არამედ როგორც თარა||თარო სიტყვის თავკიდური მარცვალი. თუ ეს ასეა, მაშინ სიქთარვა შეიძლება გავიზაროთ როგორც „სირ-თარო“. გამოქვაბული, სადაც ჩიტები სხდებიან“, „ჩიტების სახლომი ადგილი“.

ნიშანდობლივია, რომ თარა||თარო (თარან-ი, დარან-ი) ლეჩხუმურ და იმერულ დიალექტებში ცოცხალი სიტყვაა. იგი ნიშნავს: ეხი, გამოქვაბული, სადგომი; მყუდრო, უქარო ადგილი.<sup>1149</sup>

**სოლანლუღ-ი** ისტორიული სოფელი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს; ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უბანთაგანი; ამჟამინდელი ფონიჭალა. გვიანფეოდალური ხანის ქართულ წყაროებში სოლანლული ძირითადად მოიხსენიება როგორც „გზის კარი“ (ნიშნავდა: „განჯისაკენ მიმავალი გზის კიშკარი“); აქა-იქ სოლანლუღის ადგილას დასტურდება „ყურყუთა“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ თურქულენოვანი ტოპონიმის წარმომავლობის ისტორიისა და მნიშვნელობის გარკვევის ცდა დიდი ხნის წინათ დაწყებულია. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოლანლუღი თურქული წარმომავლობის აზერბაიჯანული სიტყვაა და ხაზვნარას, სახაზვეთს ნიშნავს: აზერბ. სოხან („ხახვი“) და

<sup>1148</sup> ზ. კ. უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 501-502.

<sup>1149</sup> მ. ა. ლ ა ვ ი ძ ე , ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 139-164;

ქ. ძ. ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 164.

-ლულ, რომელიც ქართული -იან, -ნარ, -ოვან სუფიქსების ფარდი მნიშვნელობის სიტყვაა. ტოპონიმის არაქართული ქლერადობა გამხდარა იმის მიზეზი რომ ქართულ ზეპირმეტყველებაში და ოფიციალურ სამწერლო ენაში იგი იმთავითვე სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებულა: „სოღალული“, „სოღალუხი“, „სოღანლუხი“, „სონღალუხი“, „სონღალული“, „სოღალული“... საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ეს ტოპონიმი ერსა და იმავე დოკუმენტში ნაირგვარი დაწერილობით გვხვდებოდა.<sup>1150</sup> ამ დაწერილობათაგან ყველაზე უფრო მყარ ერთეულებად ქართულ ენას სოღანლული-ი და მისგანვე ნ თანხმოვნის გადასმით მიღებული სონღალული შემორჩა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი სოღანლულს და სონღალულს სხვადასხვა შინაარსისა და წარმომავლობის ტოპონიმებად მიიჩნევს. ქ.თბილისისა და მისი ძველი უბნების ისტორიის ცნობილი მკვლევარი თეიმურაზ ბერიძე, მაგალითად, თვლის, რომ სოღანლული თურქულია და ქართულად სახანვეს თუ სახანვეთს ნიშნავს, სონღალული კი ფრინველის სახელწოდება სონღულს უკავშირდებაო,<sup>1151</sup> ამავე მკვლევარს შესაძლებლადაც კი მიაჩნია ერთიმეორეს დაუკავშიროს სონღალული და ყურყუთა, რაკი, სონღულიც და კირკითაც შავარდნისნაირთა ოჯახის წარმომადგენელი ფრინველია (ორივე ღია ადგილებში ბინადრობსო), როგორც ჩანს, — წერს იგი, — ტერმინ ყურყუთას სონღალულად გარდაქმნას სიტყვის სემანტიკა (მნიშვნელობა) არ შეუცვლიაო”.<sup>1152</sup> არადა, როგორც ზემოთ ვთქვით, სონღალული სოღანლულის მეტათეზისური ფორმაა (ნ გადმომჭდარა ფუძისეული ღ-ანის წინ). მისი უცხოური წარმომავლობა და ხანვ-სიტყვასთან უშუალო კავშირი კი ჭერ კიდევ ეან პოლ შარდენს და პლ.იოსელიანს ჰქონდათ შენიშნული. თავის

<sup>1150</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები 1, თბ., 1967, გვ. 181-182; ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ., 1985, გვ. 145, 677; თ. ეორდანიას, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 429-430, გვ. 92.

<sup>1151</sup> თ. ბერიძე, და აღმოცენდა თბილისი, 1977, გვ. 104.

<sup>1152</sup> იქვე, გვ. 94,95. ანალოგიური თვალსაზრისისათვის იხ. აგრეთვე თ. კვიციანი, თბილისის აღმშენებლობის ფრაგმენტები სახელწოდებებში: ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №4, 1984, გვ. 122.



„მოგზაურობაში“ შარდენი წერს: „ღამე გავათენე დიდ სოფელში, რომელსაც ეწოდება სოდანლული ე.ი. „ხახვების ადგილი“ და რომელიც მდ. მტკვარზეა გაშენებული“.<sup>1153</sup> პლატონ იოსელიანის მიხედვითაც ამ დასახლებული პუნქტის სახელწოდება არის სოდანლული (და არა სონდალული); წარმოშობით ის თათრულია, ნიშნავს სახახვებს, მაგრამ რატომ და როდის შეერქვა მას თათრული სახელი, არ ვიციო.<sup>1154</sup> სოდანლული „ხახვის ველად“ აქვთ განმარტებული გრ.ზარდალიშვილს და შ.გოგატიშვილს.<sup>1155</sup> მართლაც სრულიად აშკარაა, რომ სოდანლული (||სონანლული) აქ XVIII ს-ში შემოსულ და დასახლებული აზერბაიჯანელი ხალხის მიერ მოტანილი ტოპონიმი (ისევე როგორც ნავთლული,<sup>1156</sup> ყარაია, ახტალა, სამადლო, ორთატალა||ორთაქალა, ყაჯილუხი და სხვ.). იგი ნიშნავს „ხახვ-ნარა“, „სახახვე ადგილები“, „ხახვ-იან-ი“; ამიტომ მისი სხვაგვარი ახსნა (ვთქვათ, ფრინველის სახელწოდება სონდულთან დაკავშირების გზით) აშკარად გაუმართლებელია.

**სპარსანბელოზ-ი** ცნობილი სალოცავია ხევში (სსსრ, ყაზბეგის რ.). წმ.გიორგის სახელობის ეს ძლიერი ხატი მდებარეობს წვერის მთაზე, რის გამო მას ხშირად წვერის ანგელოზს ან წვერის სპარსანგელოზს უწოდებენ. აღექსანდრე ყაზბეგი სპარსანგელოზს და წმიდა სამებას „მთელი ხევის მთავარ სალოცავ ხატად“ მიიჩნევდა.<sup>1157</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით ტოპონიმის პირველი ფუძე (სპარხ-) უნდა უკავშირდებოდეს მხედ-

---

<sup>1153</sup> შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1975, გვ. 358.

<sup>1154</sup> პ ლ . ი ო ს ე ლ ი ა ნ ი , ტფილისიდან ახტალამდე (მოგზაურის ჩანაწერები), ტფილისი, 1850, გვ. 4 (რუსულად).

<sup>1155</sup> გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბ., 1965, გვ. 122; შ. გ ო გ ა ტ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა ახსნა-განმარტება, თბ., 1981, გვ. 37.

<sup>1156</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ (თბ., 1986) ნ ა თ ლ უ ლ ი ი კ ი თ ე ბ ა (გვ. 29).

<sup>1157</sup> ა ლ . ყ ა ზ ბ ე გ ი , მამის მკვლელი, თბზ. ტ. I, თბ., 1948, გვ. 346.

რობის, ლაშქრის აღმნიშვნელ ძვ. ქართულ სპა სიტყვას. ამ ვარაუდის მიხედვით სპარს-ანგელოზი უნდა გავიაროთ როგორც „მხედრობის (ლაშქრობის) ღვთაება“. ამოსავალ ფორმად ნავარაუდევია სპაის-ანგელოზი. შესაძლებლად არის მიჩნეული მისი მრავლ. რიცხვის ფორმისაგან მომდინარეობაც: სპათ-ანგელოზი. შემდგომ, როცა სპა სიტყვის მნიშვნელობა დაბნელებულა, იგი „ხალხური ეტიმოლოგიის“ ანუ გადაზარიანების შედეგად სპარს- სიტყვად შეცვლილა.<sup>1158</sup> საინტერესოა, რომ თვით ალ. ყაზბეგიც ამ სალოცავს სპარსთ-ანგელოზს უწოდებს.<sup>1159</sup> სპარს ანგელოზი მხედრობის, ლაშქრობის ღვთაებად აქვს განმარტებული ალ. დლონტს.<sup>1160</sup> ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს ამ სახელწოდების სალოცავს, ოღონდ მას მდ. ლიახვის სათავეებთან ათავსებს და ეტიმოლოგიურად სპარსებს უკავშირებს: „ყეხვის აღმოსავლეთიდან ლიახვს ერთვის ჳევი სვერსა და ქემერტს შუა; ჩამოვარდების ჩდილოდამ... ამ მთის თხემზედ არს ეკლესია სპარსის წმიდის გიორგისა და არს ხატი დიდი ოქროსი, სპარსთაგან ქმნული, სასწაულისათჳს მის მიერ ქმნულისა და აწცა არს სასწაულიანი“.<sup>1161</sup>

ხალხური ტრადიციული ცნობით სახელწოდება სპარსანგელოზი ასევე სპარსეთს უკავშირდება: სილამაზით სახელგანთქმული მოხვევე ქალი სეენჯა გოდერძიშვილი სპარსელებს ტყვედ წაუყვანიათ და განჯის ციხეში ჩაუსვამთ. აქ მას ძილში გამოსცხადებია წმ. გიორგი, რომელსაც მისთვის გაქცევა ურჩევია. სეენჯა მართლაც გამოქცეულა და წმ. გიორგის სასწაულებრივი ძალით მეორე დღესვე მოსულა სოფ. სნოში. „სპარსელთაგან სეენჯას მხსნელი წმ. გიორგისათვის მას შემდეგ უწოდებიათ სპარსანგელოზი“.<sup>1162</sup> სხვაგვარი ხალხური ვერსიით ათენგენის წვერისანგელოზს სპარსეთიდან მოსული ანგელოზის სახელი „სპარსანგელოზი“ ეწოდაო.<sup>1163</sup> საერთოდ სპარსანგელოზის მოსულობის ვერსია

<sup>1158</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი , ალ. ყაზბეგის ლექსიკონი: თბზ. ტ. I, 1948, გვ. 512.

<sup>1159</sup> ალ. ყაზბეგი, ელგუჯა, თბზ. ტ. I, თბ., 1948, გვ. 21.

<sup>1160</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1975, გვ. 110.

<sup>1161</sup> ვახუშტი, აღწერა, თბ., 1941, გვ. 77, 13.

<sup>1162</sup> დაწვრ. ახ. ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 153-154.

<sup>1163</sup> ს მ ა კ ა ლ ა თ ი ა , ხევი, თბ., 1934, გვ. 252.

ხალხში ერთობ პოპულარული და ფესვგადგმულია. თვითონ მოხვევე ბერები (ხუცესები) ლოცვის დროს სპარსანგელოზს „ოვსეთით მოსულ ხატს უწოდებენ: „დიდება წვერის სპარსანგელოზს, ოვსეთით მოსულსა!“

უკანასკნელ ხანს კვლავ ბევრი იწერება სახელწოდება სპარსანგელოზის წარმოშობის თაობაზე. მზ.ანდრონიკაშვილი, მაგალითად, მხარს არ უჭერს შ.ძიძიგურის მოსაზრებას სპარს-ანგელოზის ეთნონიმ სპარს-თან ან სპა („ლაშქარი“) სიტყვასთან დაკავშირების თაობაზე: ასეთი ვარაუდი დამაჯერებელი არ არისო. თავის მხრივ იგი უშვებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც თეონიმი სპარსანგელოზი ადგილის სახელიდან (ტოპონიმიდან) ყოფილა წარმომდგარი. ასეთ ტოპონიმად მკვლევარი ასახელებს ფარს-ს ან პარს-ს, რომელის წინაც ს განვითარებულა. ამოსავალ ფორმად მიჩნეულია ირანული ფარსუ რაც ნიშნავს „გვერდი“, „მხარე“, „ნეკნი“. ფარსუ სკვითურში ყოფილა შერჩენილი, ახალი ირანული ენებიდან კი — ოსურში. აქ მას დამატებითი მნიშვნელობებიც შეუძენია: „ფერდი“, „თან“, „ახლოს“... ამ თვალსაზრისის მიხედვით სპარსანგელოზი შეიძლება გავიგოთ როგორც „გვერდითა ან განაპირა ანგელოზი“. ამგვარივე წარმოშობის ტოპონიმად დასახელებულია თუშური ოიკონიმი ფარსმა.<sup>1164</sup>

ვარაუდი უთუოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, ოღონდ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ტოპონიმი ფარსი ან პარსი ხევში საერთოდ არ არსებობს, ამიტომ უფრო მიზანშეწონილი ჩანს მისი სხვაგვარი თვალსაზრისით ძიება. ძვენი ვარაუდით გამორიცხული არ უნდა იყოს სახელწოდება სპარსანგელოზის რუსული Спасангел-ისაგან მომდინარეობის შესაძლებლობა: Спас, Спаситель — მაცხოვარი, მხსნელი.<sup>1165</sup> სახელწოდება სპარსანგელოზის გაუფრცხვლებლობა (ერთი კონკრეტული კუთხით შემოფარგვლა), როგორც ჩანს, მისი უცხოურობით (მოსულობით) უნდა ავხსნათ.

<sup>1164</sup> მზ. ანდრონიკაშვილი, ირანული ტოპონიმიკური ელემენტები ზოგიერთ ქართულ დიალექტში: კრებ. „ონომასტიკა 1, თბ., 1987, გვ. 7-8.

<sup>1165</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 271.

სპმ-ი (გალმა სპეთი, გამოღმა სპეთი) სოფლებია ზემო იმერეთში (საჩხერის რ. ქალის სას. საბჭო). ამ სახელწოდებაში აშკარად გამოიყოფა -ეთ სუფიქსი, რაც საკმაოდ ხშირია ზემო იმერეთის მიკროტოპონიმიშიც და სოფლების სახელწოდებებშიც (დარკვეთ-ი, ბუკვეთ-ი, ცნომარ-ეთ-ი, ამაშუკ-ეთ-ი, სალი-ეთ-ი, ქვიან-ეთ-ი, რუხმ-ეთ-ი, ონჯარ-ეთ-ი, ჭი-ეთ-ი, ფიქალ-ეთ-ი...) <sup>1166</sup> ძირადა გვაქვს სპ- ელემენტი, რომელსაც, ჩვენი ფიქრით, -ეთ სუფიქსის გავლენით კუმშვა განუცდია (ფუძიდან ხმოვანი ამოვარდნილა). სავარაუდოა, რომ სპ-ეთ-ი სიპ-ეთ-ი ფორმისაგან იყოს წარმოქმნილი, რაც ამ კუთხეში სიპი (||ლიპი) ჭვისაგან შედგენილი ქანების არსებობას გვახარაულებინებს. ძალზე არსებითია ის ფაქტი, რომ სოფ. სპეთში არის წყარო, რომელსაც სიპიწყაროს||ლიპი(ს)წყალს უწოდებენ. <sup>1167</sup> ტერმინი სიპი(||ლიპი) საკმაოდ ხშირია ზემოიმერეთის ტოპონიმიში. სიპი||სიპები ადგილთა სახელებად აქ დადასტურებულია ათამდე სოფელში (ზოდი, პერევისა, რცხილათი, სხვიტორი, ქვედა ქალოვანი, ნიგოზეთი, ვანი, რგანი); ზედა ორლულში კი არის კლდე, რომელსაც სიპიკარი ეწოდება. ეგვე სახელი გავრცობილი (სრული) სახით — სიპისკარი ოთხ სოფელში არსებობს (ამაშუკეთი, კვესრევი, ბორითი, ითხვისი). სამოთხგან გვხვდება ჰიდრონიმი სიპიდელე||სიპდელე. <sup>1168</sup> საინტერესოა, რომ აქაურ მიკროტოპონიმიში ასევე ხშირად დასტურდება სიტყვა ლიპი. სვერტყვიქალაში, მაგალითად, არის კლდე, სახელად ლიპ-ურ-ი, <sup>1169</sup> რომელიც ჩვენ ფიქლ-ურ-ა-ს ანალოგად გვესახება.

დასასრულ შეიძლება დაგვეშვა ტოპონიმ სპეთის სპეტ- სიტყვისაგან წარმომავლობის შესაძლებლობა. ეს სიტყვა დღეს გურულ დიალექტშია დაცული. მოსპეტელი ნიშნავს „ციცაბო ადგილი“ (შდრ. იქვე მოსპეტიალებული — „ერთიანად მოწმენდილი, მოსუფთავებული“

<sup>1166</sup> იხ. საქართველოს სსრ ტოპონიმი I, ზემო იმერეთი (გამოსაც. მოამზადეს ი. ბ ა ქ რ ა ძ ე მ , შ . ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე მ და ვ . ჯ ო ჯ უ ა მ ), თბ., 1987, გვ. 190.

<sup>1167</sup> იქვე, გვ. 118.

<sup>1168</sup> იხ. საქართველოს სსრ ტოპონიმი I, ზემოიმერეთი, თბ., 1987, გვ. 190.

<sup>1169</sup> იქვე, გვ. 118.

ლი".<sup>1170</sup> ამ ვერსიის მიხედვით სპეთ-ი შეიძლებოდა გაგვეაზრებინა როგორც „ფერდობი ადგილი“, „ციცაბო ადგილზე გაშენებული სოფელი“. სპეტის ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობა ზუსტად მიესადაგება სოფლის ფიზიკურ-ოროგრაფიულ მახასიათებლებს. რაც შეეხება ვარაუდს ტოპონიმ სპეთის ძველი ქართული სპა („ჭარი, ლაშქარი“) სიტყვისაგან წარმომავლობის თაობაზე, იგი, ჩვენი ფიქრით, უნდა გამოირიცხოს.

**სურამბ-ი** გურიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთიანი მასივების საერთო სახელია. იგი შერქმევია სოფ. ზემო სურებსაც (ჩონხატაურის რ.), რომელსაც მანამდე დიდი ვანი რქმევია. სახელწოდება სურების წარმომავლობას და შინაარსს მკვლევართა ყურადღება ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარშივე მიუქცევია. აკად. ნ.მარი, მაგალითად, თვლიდა, რომ ტოპონიმი სურები ეთნიკური, ანუ სატომო სურ-||სოორ-სიტყვისაგან იყო წარმომდგარი. თუმცა კი ძნელია დავასახელოთ რომელიმე ქართულ-ქართველური სატომო სახელწოდება, რომელშიც ეს -სურ-||-სოორ- სიტყვა მონაწილეობდეს. რა თქმა უნდა, დამაჯერებლობას არის მოკლებული ნ.მარის აღნიშნული მოსაზრების მიხედვით შექმნილი თანამედროვე ვერსია -სურ- ელემენტის გულვების შესახებ ტერმინ ზევსურ-ში (ამის შესახებ სპეციალურად ქვემოთ გვექნება საუბარი).

ხალხური განმარტების მიხედვით ეს ადგილები ყოფილა სულურები ე.ი. მთლად უვალი, ადამიანის ფეხდაუდგმელი, გაუვლელი ადგილები; „აკაცი ვერ გვიარდა“, ამიტომ სოფელსაც სურები შერქმევიაო.

ჩვენი ვარაუდით სოფლის (მთათა სისტემის) სახელწოდება სურებ-ი (ზემო სურები, შუა სურები, თავსურები...) შეიძლება თურქულ ენობრივ ერთეულად ვცნოთ. საქმე ისაა, რომ თურქული sürü („ჯოგი“, „ფარა“, „გროვა“...) (შდრ. ცხვრის სური ცხვრის ფარა) — საკმაოდ მყარად ყოფილა ფეხმოკიდებული როგორც აქართლსა და იმერხეულში, ისე ქანურში (ლაზურში) და მესხურში.<sup>1171</sup> სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულიც არის, რომ მეცხოველეობის დარგის ტერმინი

<sup>1170</sup> ა . ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე , გურული კილო, I, თბ., 1977, გვ. 113.

<sup>1171</sup> შ . ნ ი ე ა რ ა ძ ე , აქართული დიალექტი, ბათუმი, 1975, გვ. 174; ჯ . ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი , თხზ. III, ბათ., 1977, გვ. 139.

სურს („წერილდება საქონლის — ცხვარი, თხა — ჯოჯი, ფარა“) აკარულ დიალექტში თურქულიდან ყოფილა შემოსული.<sup>1172</sup> ამ სიტყვის მიხედვით გაფორმებულა მიკროტოპონიმი ნასურვალი (სოფ. კვირიკეთში, კობულეთის რ.),<sup>1173</sup> რომელიც ნაცხვრევ. ნაფარებალ ადგილს ნიშნავს. საინტერესოა, რომ სურუ, ცხვრის ფარის მნიშვნელობით, XVIII ს-ის ოფიციალურ დოკუმენტებსა და საბუთებშიც შეინიშნება: „ახალქალაქის წყალზედ... დამიხვდა თარხნიშვილი თავის კაცებით. ერთი მეცხვარე მომიკლეს, (სამი) სურუ ჩემი მეცხვარი და ორი სურუ ჩემის სახელო რაიათისა და სხვა, რაც გვებადა, იარალიც დაგვცარცვეს და წავიდნენ“.<sup>1174</sup> ამის კვალობაზე შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ სურებ-ი თავდაპირველად აღნიშნავდა საცხვრე იალაღებს, ადგილებს, სადაც ცხვრის ფარებს აძოვებდნენ და მწყემსავდნენ. შემდგომ კი სოფლებსაც შერქმევია.

**სუფსა** უდიდესი მდინარეა გურიაში. ეგევე სახელი ჰქვია ამ მდინარის პირას გაშენებულ დიდ და ლამაზ სოფელს. ლანჩხუთის რაიონში. გეოგრაფიულ სახელ სუფსას მკვლევრებმა აღრიდანვე მიაქციეს ყურადღება. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“ ეს ჰიდრონიმი სუფსეის-ს სახით არის წარმოდგენილი: „ჯუმათის მთის სამკრით დის მდინარე სუფსეი“.<sup>1175</sup> მდინარე სათავეს იღებს აქარის მთიანეთში, სურების მთებში. ამიტომაც სპეციალისტთა უდიდესი ნაწილი თვლის, რომ მდინარის სახელწოდება სურების მთების მიხედვით არის წარმომდგარი. ცნობილია განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც სუფსა, იგივე სურების მთის წყალი მიღებული გვქონია სატომო სახელისაგან სურ-ი, რომელთაც ძველად მთელს ზღვისპირეთში, თვით ქორო-

<sup>1172</sup> შ ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე , მეცხვარეობის ლექსიკონისათვის აკარულში: IX რესპ. სანეცნ. დიალექტოლ. სესიის თეზისები; ქგორი, 1987, გვ. 46.

<sup>1173</sup> თ . კ უ ე უ ლ ა ძ ე , თურქიზმები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ტოპონიმიში. XI რესპ. სანეცნ. დიალექტ. სესიის თეზისები, გორი, 1987, გვ. 30.

<sup>1174</sup> ქაძ, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 360.

<sup>1175</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 175, 2.

ხამდე უცხოვრიათ.<sup>1176</sup> ნ.მარი უარყოფს გავრცელებულ მოსაზრებას სუფსის თურქულ სუ- („წყალი“) სიტყვასთან შესაძლო კავშირის თაობაზე. სამაგიეროდ უშვებს ვარაუდს იმის შესახებ რომ სუფსა მთელი გურიის უძველესი სახელწოდება უნდა ყოფილიყო.<sup>1177</sup>

ზ.კუმბურიძე თითქოს მხარს უჭერს ვარაუდს სუფსის ქართულ-ჩერქეზული სიტყვისაგან მომდინარეობის შესახებ. ქართ. სურ („წყალი“) და ჩერქეზული (ადილეური) ფს („წყალი“, „მდინარე“), მაგრამ საბოლოოდ იგი უპირატესობას მაინც სუფსის სურ-ფსა- ფორმისაგან („სურების წყალი“, „სურების მდინარე“) წარმომავლობას ანიჭებს.<sup>1178</sup>

ჭიდრონიმ სუფსის წარმოშობის კვლევა შემდგომშიც უნდა გავრძელებდეს, რადგან ყველა აქ მოყვანილი თვალსაზრისი უფრო მეტი არგუმენტის საჭიროების სურვილს აძლრავს.

**სწროფავ-ი** პატარა სოფელია ფშავის არაგვის ხეობაში (ღუშეთის რ. ჟინვალის სად. საბჭო). გაშენებულია მდ.ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე. დასახლებულია ფშავლებით (7 კომლი, 1988 წ) სახელწოდება **სწროფავ-ი** შეიძლება -ავ სუფიქსით წარმოქმნილ ერთეულად მივიჩნიოთ (ისევე როგორც: მან-ავ-ი, თელ-ავ-ი, ბოდ-ავ-ი, ვარგ-ავ-ი, ფხუნდ-ავ-ი, ტყვი-ავ-ი, ზან-ავ-ი და სხვ.), მაგრამ დაბეჭითებით ვერაფერს ვიტყვით **სწროფ-** ძირის მნიშვნელობაზე. ადგილობრივ არსებულ გადმოცემას თუ ვერწმუნებით, **სწროფავი** სოფლისათვის ადგილმდებარეობის მზიანობის გამო შეურქმევიათ: „ფიცხი ადგილია, ყველაფერი, ხილიც, ყანაც, სხვა მოსავალიც, **სწრაფად** შემოდის; მზისგული ადგილია და სიმხურვალით ადრე მოდის ყველაფერი“ (მარიამ შეთეს ასული ჩარბოლაშვილი). მაგრამ ამგვარი განმარტება მხოლოდ ხალხური ფანტაზიისა და გამომგონებლობის ნიმუშად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

<sup>1176</sup> ნ. მ ა რ ი , რჩეული ნაწერები, ტ. IV (რუს.), 1937, გვ. 48; მისივე, აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ (რუს.), 1938, გვ. 179.

<sup>1177</sup> ნ. მ ა რ ი , პირენეის გურიიდან (რუს.), ტფილისი, 1927, გვ. 57.

<sup>1178</sup> ზ . კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , „ღედაენა ქართული“, თბ , 1987, გვ. 505.

ტაბაკიანი ცნობილი სოფელია ზესტაფონის რაიონში (კლდე-თის სას. ს.). სოფლის სახელწოდების წარმოშობის შესახებ ადგილობრივ სხვადასხვა გადმოცემები არსებობს. ერთი ვერსიის მიხედვით სოფელს ტაბაკიანი იმის გამო შერქმევია, რომ ნატბეურ ადგილზე გაშენებულია. „აქ ყოფილა უწინ ტბა, რომელიც დამშრალა და ხალხს იქ სახნავ-სათესი მამულები გაუშენებია, მერე სოფელიც დასახლებულა“ (ციცო გუგულის ასული აბრამიშვილი). სხვაგვარი გადმოცემით სოფელს ასეთი სახელი ტაბაკთან მიმსგავსების გამო შერქმევია: „ზემოდან რომ დახედოს კაცმა, ტაბაკივით მრგვალად არის გაშენებული“ (პოლიექტ ბიქტორის ძე გაჩეჩილაძე). არსებობს კიდევ ერთი, სრულიად განსხვავებული ვერსია, რომლის მიხედვითაც ამ სოფლის ძველი მკვიდრები მთელ იმერეთში ხის საოჯახო ნივთების, მათ შორის, ტაბაკების დამზადებით ყოფილან ცნობილნი და სოფელსაც, თითქოს ამიტომ შერქმევია ასეთი სახელი. ამ გადმოცემაში შეუძლებელი თითქოს არაფერია: დასახლებულ პუნქტებს სახელები მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების სიახლოვის გამოც ერქმევათ (მთისძირი, ციხისძირი, მეჭუდისპირი, ხიდისთავი, ეწერფერდი, ტაბაწყური, სამგორი, წყალთაშუა...) და მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინების მიხედვითაც (ბოსლები, სატივე, საბოლოკე, ბელევეი, სათივე, საჩალე, საწაბლე...), მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარად სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ახსნას მოითხოვს ტოპონიმის მეორე ფუძე - კინ-ი (ტაბა-კინ-ი) თუ -ინ-ი (ტაბაკ-ინ-ი). სანამ გარკვეული არ იქნება -კინ- და თუნდაც -ინ- სეგმენტთა ფუნქციური მიმართება მსაზღვრელ ტაბა სიტყვასთან, მანამ შეუძლებელია იმის დადგენა, საყრდენ სიტყვად ამ ტოპონიმში ტბა გვაქვს თუ ტაბაკ-ი.

სავარაუდოდ შეიძლებოდა დაგვეშვა ტაბაკინის ზანური წარმოშობა. მაშინ პირველი ფუძე ტაბა ზანური ტობა („ტბა“) სიტყვის ასიმილირებულ ფორმად უნდა მიგვეჩნია. რაც შეეხება მეორე ფუძეს (-კინ-ი), იგი ზანურივე ყინ-ი||ყინ-ი („ყინული“)<sup>1179</sup> სიტყვის სახეცვლილ

<sup>1179</sup> ა რ ნ . ჩ ი კ ბ ა ე ა , ქანურ-მეგრულ-ქართული შედარ. ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 190.



ერთეულად უნდა ჩავთვალოთ. თუ ეს თვალსაზრისი სარწმუნოა, მაშინ სოფლის სახელი ტაბაკინი-ი შეიძლება გავიაზროთ, როგორც „ტაბაყინული“, „ცივი ტა“, „ტა, რომლის წყალიც ყინულოვით ცივია“.

მოულოდნელი არ უნდა იყოს, აგრეთვე, ვარაუდი ტაბაკინის დუბლეტური წარმოშობის თაობაზე: ქართ. ტაბა (შდრ. ტაბახმელა, ტაბაწყური...) და მეგრ. ტინი-ი თუმცა ასეთი დაშვებაც კი საერთო ვითარებას არ ცვლის: როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ტაბაკინი ტაბაკინი უნდა გავიგოთ როგორც „ტაბაყინული“. „ცივი ტა“. ტბის სახელი გადასცემია მის ახლოს გაშენებულ სოფელს. ამრიგად, ტაბაკინი-ი შემდეგნაირად უნდა გავიაზროთ: „სოფელი, რომლის სიახლოვეს არსებობს (ან ყოფილა) ცივი ტა“.

ტანა მდინარეა ცენტრალურ ქართლში (გორის რ.). ამ სახელწოდების წარმოშობის თაობაზე ხალხში არაერთი გადმოცემა არის შემონახული გადმოცემათა შორის ყველაზე გავრცელებული ვარაუდი, რომლის მიხედვითაც სახელწოდება ტანა თურმე სიტყვა ტინს („კლდე“) უკავშირდება. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს აშკარად ხალხური ვერსია ზოგიერთ სპეციალისტს სარწმუნოდაც კი მიუჩნევია. უფრო მეტიც: თურმე იმავე ტინი სიტყვისაგან ყოფილა წარმომდგარი ცნობილი ტაბაკინი ატენი.<sup>1180</sup> ამგვარი ვარაუდი, როგორც ჩანს, ტანა და ტინსიტყვების მსგავსი ფონეტიკური ძღერადობით არის შეპირობებული.

ფაქტურად ტანა (ტანა) ქართლური დიალექტური ერთეულია. იგი ნიშნავს: მდინარის ერთიანი ტანი; „მდინარე, რომელიც შენაკადებს არ შეირევს“; „თავი წყალი“. ამ თვალსაზრისით უთუოდ მნიშვნელოვანია გურული ტანწყალი, რაც ნიშნავს: „მდინარის მთავარი ნაწილი შენაკადებს გარეშე“.<sup>1181</sup> ქართლურშივე სიტყვა ტანს მნიშვნელობა გაფართოვებია და მდორედ, თხლად მიმავალი წყლის აღნიშვნა უკისრია: „სადაც თხელია წყალი, ტანს ვეძახით“. „ტანზედაც დაგერიყება ტი-

<sup>1180</sup> იხ. შ. გ. გ. ა. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ., დასახ. ნაშრ. 1981, გვ. 38

<sup>1181</sup> გ. შ. ა. რ. ა. შ. ი. ძ. ე., გურული ლექსიკონი: კრებ. ქართველურ ენათა ლექსიკა I, თბ., 1938, გვ. 63.

ვი...<sup>1182</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სიტყვა ტანი ეწოდება ხის ღეროს, რომელსაც გაცლილი აქვს ფესვები და ტოტები.<sup>1183</sup> „სწორი, ლიტაო ხე“ (ქიზიყ.).

ტანა გაფორმებულია ა სუფიქსით, რაც ობიექტის რაღაცასთან მსგავსებაზე მიგვანიშნებს (შდრ. თაფლა — „თაფლისფერი“, შვინდა „შვინდისფერი“, ნიშ-ა „თეთრი ნიშნის მქონე“, ბაწარ-ა „ოქროსფერი სოკო; ერთბაშად ამოდის ბევრი და ბაწარივით გაებმება“.<sup>1184</sup> მაშასადამე, ჰიდრონიმი ტანა შეიძლება გავიაზროთ როგორც „ერთიანი, უშენაკლო მდინარე“.

**ტაშისკარ-ი** ისტორიული სოფელია ქართლში (ხაშურის რ.).

ქართული ხალხური ტრადიციული გადმოცემის მიხედვით ტაშისკარ-ი ტაშისკარი ნიშნავს: „ხელისგულივით სწორი, ვაკე ადგილი“, საგულისხმოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ისტორიულ ტაშ-ირ-ფორმაშიც სწორედ ამ მნიშვნელობას დებდა: „ტაშირი — სივაკისათჳს“.<sup>1185</sup> სამაგიეროდ ვახუშტი არის ის მკვლევარი, რომელმაც მოგვცა ტაშისკარის პირველი, მეცნიერულად სარწმუნო ეტიმოლოგია: „აქ, მოვიწროებულსა შინა, არს განსაეალი კარი... ქართლიდამ ჳობასა შინა სავალი, ამის მიერ ეწოდა ტაშისკარი (ესე არს ქვის-კარი)“.<sup>1186</sup> მართალია, ვახუშტი ბატონიშვილი, საგანგებოდ არაფერს ამბობს ტაშ-სიტყვის წარმომავლობაზე, მაგრამ აშკარაა, რომ სწორედ თურქულ ტაშ- (აქვა, კლდე) სიტყვა დასდებია საფუძვლად ტაშისკარი-ს წარმოშობას. ტაშისკარი, როგორც ირკვევა, ჰიბრიდული წარმოების სახელი ყოფილა; ნათესაობით ბრუნვაში დასმულ თურქულ ტაშ სიტყვას ქართული საზღვრული კარ-ი ტაშისკარ-ფორმისაგან მიღებულ სახელად მიიჩნევს

---

<sup>1182</sup> ქართლური დიალექტის ლექსიკონი (შემდგ. თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, მ. ქაბაშვილის რედაქციით), თბ., 1981, გვ. 386.

<sup>1183</sup> ქეგლ, VI, გვ. 1242.

<sup>1184</sup> ბ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 101.

<sup>1185</sup> ვახუშტი, აღწერა, თბ., 1941, გვ. 37.

<sup>1186</sup> ვახუშტი, აღწერა, თბ., 1941, გვ. 37, 83.

ზ. კუმბურიძე.<sup>1187</sup>

ანეკდოტურია კ. ჰანის მიერ შემოთავაზებული თვალსაზრისი ტაშისკარის წარმოშობის თაობაზე. იგი ფიქრობდა, რომ ტოპონიმის პირველი ფუძე (ტაშ-) ქართულ ტაშტ- სიტყვას უკავშირდებოდა. მისი რწმენით ადგილობრივი მცხოვრებნი მტრის (თურქების) შემოსევის დროს სპილენძის ტაშტებს ურტყამდნენ და თავისიანებს მოსალოდნელ საფრთხეს ასეთი წესით ატყობინებდნენო. საფიქრებელია, რომ კ. ჰანის ეს მოსაზრება რომელიმე ხალხური გადმოცემისაგან მომდინარეობდეს.

**ტილიანა** პატარა მდინარეა ქართლში (ხაშურის რ.). მდ. სურამულას მარცხენა შენაკადი. „ზემო-ქართლის ფერდობი... დასერილია ყორნისის ანუ ფრონეს, ფცის, ატოცის, ლაფნის, ქერათხევის, ტილიანას, სურამულას წყალთა სათავეების და შოლას ხევეებით“.<sup>1188</sup> ასეთივე სახელწოდების მდინარე (ტილიანი) მოედინება ცხინვალის რაიონში (აღმოსავლეთის ფრონის მარცხ. შენაკადი).<sup>1189</sup> ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით მდინარის სახელწოდება სიტყვა „ტილს“, „მკბენარს“ უკავშირდება: „ერთ გოგოს, სახელად ანას, ქორწილი ჰქონია, რთავენ საპატარძლოდ, მაგრამ ნახეს, რომ პატარძალს ტანზე უამრავი წვრილი ტილი ასევია. ქალებმა ანა ჩუმათ, ყველასგან მალულად წაიყვანეს მდინარეზე და შიგ შუა წყალში შეიყვანეს. გახადეს ტანთ. გოგოს ტირილი დაუწყია, საქმრომ ეს ამბავი რომ გაიგოს, ახლოს აღარ გამიკარებსო. საპატარძლო უნუგეშებიათ: „აღარ გეყოლება ტილი, ანა!“ იმ ამბის შემდეგ მდინარისათვის ხალხს ტილიანა შეურქმევია“.<sup>1190</sup>

ჩვენ ადგილობრივ ჩაიწერეთ კიდევ ერთი, პირველზე არანაკლებ უცნაური, გადმოცემა, რომლის სიუჟეტური ქარგაც ზუსტად მიესადაგე-

<sup>1187</sup> ზ. კუმბურიძე, „რა გქვია შენ?“ თბ., 1982, გვ. 243.

<sup>1188</sup> ალ. ჯაფარიძის შვილი, საქართველოს გეოგრაფია I, გეომორფოლოგია, ტფ., 1926, გვ. 252.

<sup>1189</sup> საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 98.

<sup>1190</sup> თბილისის ყოფილი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქართული ენის კაბინეტის ონომასტიკური ფონდი (პსფ).

ბა ხალხის ცნობისმოყვარულ ფანტაზიას: „ერთხელ ამ ხეობაში თამარ მეფე მოდენილა თავისი ამალით. სუ დარჩეული ვაჟკაცები ჰყოლია. მდინარეზე რომ გადადიან, ერთ-ერთ ცხენს წაუბორძიკნია და მხედარი წყალში გადმოვარდნილა. ველარაფერი უშველეს და დამხრჩვალა. ჩოჩქოლზე თამარს უკან მოუხედია და უკითხავს, რა ამბავია, რა მოხდაო? როცა ყველაფერი მოახსენეს, მეფეს გაოცებით წამოუძახნია: „ამ ტილიანმა წყალმა ეს ამოდენა ვაჟკაცი კაცი როგორ დაახრჩოო?“ (ავთანდილ ბლიაძე, 1989 წელი, დსუტრამი). ალბათ ძნელი არ არის იმის დადგენა, რომ ამგვარი „ეტიმოლოგიები“ ნაძალადევი და ხელოვნურია, მათ სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვთ.

ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით მდინარის სახელი ტილიანა თურმე ძვ. ქართულ სიტყვა მტილ-თან ყოფილა დაკავშირებული,<sup>1191</sup> მაგრამ ამგვარი თვალსაზრისი ნაკლებ სარწმუნო ჩანს, რამდენადაც არქაული მტილ- სიტყვის მიხედვით წარმოქმნილი მდინარის სახელები ჩვენში თითქოს არ უნდა დასტურდებოდეს. უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება ჰიდრონიმ ტილიანას სიტყვა ტინთან დაკავშირება. ტინი საკმაოდ ხშირად ფიგურირებს ქართულ, კერძოდ, ქართლურ ტოპონიმიში (შდრ. ტინისხიდი, ტინისხევი, ტინისწყარო...). ტილიანაც ამ წყების სახელებშია განსახილველი. ტილიანა, მამასადაძე, უნდა გავიაროთ, როგორც „ტინ-იან-ა“, „წყალი, რომელიც ტინიან (კლდოვან-ფიქლოვან) ადგილებში გამოედინება“.

სიტყვა ტინ-ი („კლდე“) საკმაოდ ხშირად გამოვლინდება ზემო იმერეთის მიკროტოპონიმიშიც. აქ ღელე-ნაკადულების, აგრეთვე სახნავ-სათესი მინდვრის საკუთარ სახელებად გვხვდება როგორც ტილიანა, ისე ტილიანებ-ი; ს.არაგვეთსა და სავანეში დადასტურებულია ტილიანა ღელე, იგივე ღვრიაღელე. ძალზე საინტერესოა, რომ ზოგიერთ აქაურ მიკროტოპონიმში მსაზღვრელი ტინ- სიტყვის მხოლოდ პირველი მარცვალი (ტი-) შემოგვრჩენია: ტიგზის ვაკე (სახნავი მინდორია ს.ვაჭევში, შორაპნის სას. ს.); აქვე დასტურდება მიკროტოპონიმი ტიგზის ტყე. აღნიშნულ სახელწოდებაში თავკიდური ტი- მარცვალი რომ სწორედ ტინ- სიტყვის ნაშთია, კარგად ჩანს მათსავე მეორე (ადგილობრივ) სახელებში: ტიგზის ვაკეს პარალელურად კდიგზის

<sup>1191</sup> ა. ლ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ი., ტოპონიმიკური ძიებანი 1, თბ., 1971, გვ. 12.

ვაკე-ც ეწოდება, ტიგზის ტყეს კი — კდიგზის ტყე.<sup>1192</sup> მაშასადამე ტიგზა იგივე ტინგზა (ტინის გზა) ყოფილა.

**ტირიფონა||ტირიფონის მკლ-0** ვრცელი ვაკეა ცენტრალურ ქართლში. იგი წარმოადგენს შიდა ქართლის ვაკის ჩრდილოეთ მონაკვეთს. აქ გაყვანილი ტირიფონის არხი (გორისა და ცხინვალის რაიონები) მთელ დაბლობს საუკეთესო სამეურნეო სავარგულებად აქცევს. ძველად კი ტირიფონის ველი ხალხის ცნობიერებაში გვალვა-მოუსავლიანობის სინონიმად იყო ქცეული. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ტირიფონის ველი სწორედ ასეა დახასიათებული:

“რას ვაქნევ შავშევებ-ნაწრეტსა,<sup>1193</sup>

ტირიფონაზე მამულსა?

ვერც ნახავ წყალსა, წისქვილსა,

ვერცა ხილს, ხეზე მოსხმულსა“.

სახელწოდება ტირიფონა ძველი წარმონაქმნი არ ჩანს. ყოველშემთხვევაში ის მოხსენიებული არ არის არც „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ და არც ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიაში“. „ტირიფონას მინდორი“ დადასტურებული აქვს იოანე ბაგრატიონს (ერეკლე II-ის შვილიშვილს), რომელსაც თავისი „ქართლ-კახეთის აღწერა“ ერეკლე მეფისა და მამის — გიორგი XII-ის დავალებით 1794-1799 წლებში შეუსრულებია. ისიც ცნობილია, რომ იოანე ბაგრატიონი თავისი ნაშრომის ძირითად წყაროდ ვახუშტისეული „აღწერის“ მასალებს იყენებდა, მაგრამ ამატებდა ახალ მასალასაც, რაც ვახუშტისათვის უცნობი იყო, ან მას გამორჩენოდა. სწორედ ამგვარ დანართ მასალად მოჩანს იოანეს „აღწერაში“ სახელწოდება ტირიფონას მინდორი, „რომელში წილი ამილახვრიანთაცა აქუს“.<sup>1194</sup>

ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით ტირიფონი თურმე „ტირის“ ზმნისაგან ყოფილა წარმომდგარი: „ტირის ფონი“. ამგვარი „ახსნის“ ხელოვნურობა აშკარაა. სულ რომ არაფერი, იმას მაინც უნდა გაუუწიოთ ანგარიში, რომ ქართულ ტოპონიმებში პირველ ფუძედ ზმნის, ხო-

<sup>1192</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემოიპერეთი, თბ., 1987, გვ. 98, 196.

<sup>1193</sup> შავშევები და ნაწრეტი სოფლებია გორის რაიონში.

<sup>1194</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 80.

ლო მეორე ფუძედ საზოგადო არსებითი სახელის მქონებლობა საერთოდ გამორიცხულია.

სპეციალისტ-მკვლევართათვის კარგად არის ცნობილი ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ტირიფონა წარმოქმნილა მცენარე ტირიფისაგან მასზე დართული ქანურ-მეგრული -ონ- სუფიქსით: ტირიფ-ონ-ა.<sup>195</sup>

უნდა შევნიშნოთ, რომ ზანურ (მეგრულ-ქანურ) ტოპონიმიში მართლაც ძალზე ბევრია -ონ- სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები (ჭველეთ-ონა, ნემ-ონა, სუჯ-ონა, კაჟ-ონა, სხულ-ონა, ბერწულ-ონ-ი...) ამ ტიპის სახელებში ძირითადად გადმოცემულია რისამე სიმრავლე-კრებითობა. მაგალითად, ნემ-ონა კაკლიან, კაკლნარ ადგილს აღნიშნავს, სუჯ-ონა — სურობიან ადგილებს, კაჟ-ონა — კაჟის ქვით მდიდარ ქანებს, სხულ-ონა — მსხალნარს და ა.შ. მაგრამ ისიც უდავოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ტოპონიმიში -ონ||-ონა სუფიქსის არსებობა მოულოდნელი და არაბუნებრივია. -ონ||-ონა სუფიქსის მქონებლობა ტოპონიმებში ზანური მოვლენაა. ამიტომაც არის, რომ აღნიშნული ფორმანტი მხოლოდ ზანური (მეგრულ-ქანური) წარმომავლობის ფუძეებთან შეიძლება შეგვხვდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული საზოგადო არსებითი სახელები მეგრულ -ონ||-ონა სუფიქსს არასოდეს დაირთავდნენ. შეუძლებელია ტოპონიმებად გვქონოდა: ვაშლ-ონა (შდრ. მეგრული უშქურ-ონა), მსხალ-ონა (შდრ. მეგრ. სხულ-ონა), კაკლ-ონა (შდრ. მეგრ. ნემ-ონა), ქლიავ-ონა, შვინდ-ონა, ატმ-ონა და მისთ. მცენარე ტირიფ-ი მეგრულმა საერთოდ არ იცის. მის ნაცვლად ძენწნა||ძეწნა იხმარება. მაშასადამე, თუ სწორია დებულება, რომლის თანახმადაც -ონ||-ონა სუფიქსი მხოლოდ ზანური წარმომავლობის სიტყვებთან დასტურდება, მაშინ უნდა გამოირიცხოს ქართლის ტოპონიმ ტირიფონა-ში მეგრული -ონ||-ონა სუფიქსის გულვება.

ჩვენი ვარაუდით ტოპონიმი ტირიფონა ორფუძიანი სახელია პირველი ფუძეა ტირიფი, რომელიც ნათესაობით ბრუნვაშია დასმული (ბრუნვის ნიშანი -თ მოკვეცილია), მეორე ფუძე კი — სიტყვა ფონი||ფონ-ა რომელიც ქართული ენის დიალექტებში ძირითადად თხელ,

<sup>195</sup> ა რ ნ . ჩ ი კ ო ბ ა ვ ა , -ონ სუფიქსი მეგრულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, ტფ., 1926, გვ. 306.

მდორედ მიმავალ წყალზე ან ჩოლედში გასასვლელ ადგილს ეწოდება. ჩვენი მასალის მიხედვითაც ფონ-ი ზოგადად ჩადაბლებულ ადგილზე გასასვლელს აღნიშნავს. ქართლის მიკროტოპონიმიაში დადასტურებულია კუნდი(ს)ფონი, თხილების ფონი და მისთ. როცა ტოპონიმში ნათ. ბრუნვის ნიშანი (-თ თანხმოვანი) დაიკარგა და ფუძის ბოლოკიდური ფ თანხმოვანი მომდევნო სიტყვის თავკიდურ ფ-ს მეზობლად აღმოჩნდა (ტირიფ-ფონ-ი), ენაში მოქმედი წესის (ელიზია) მიხედვით, ერთ-ერთი მათგანი უნდა დაკარგულიყო და დაიკარგა კიდევ; ასე მივიღეთ ტირიფ-ფონი-საგან დღევანდელი ტირიფონ-ი.

ცნობილია სხვაგვარი ვარაუდიც. კერძოდ, თვლიან, რომ ტირიფონი შეიძლება ტირიფ-ოვან- ფორმისაგან იყოს წარმომდგარი.<sup>1196</sup> ეს ვარაუდი უთუოდ ანგარიშგასაწევია, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებული ვარაუდი (ტირიფ-ფონი) შედარებით უფრო არგუმენტირებულია და, მაშასადამე, ბევრად უფრო სარწმუნოც.

**ტოლათსოფელ-ი** (ძველი ამტნის ხევი) ცნობილი დასახლებული პუნქტია ერწო-თიანეთში (თიანეთის რ.). ამ სოფელში მასწავლებლობდა დიდი ვ ა ე ა - ფ შ ა ვ ე ლ ა . სახელწოდება ტოლათსოფელი აშკარად ანთროპონიმული წარმოშობისაა, რაზედაც სხვათა შორის ნათესაობითი ბრუნვის -თ ნიშანიც მეტყველებს: „ტოლახ შთამომავლების სოფელი“, „ტოლაშვილების სოფელი“, „სოფელი, რომელშიც ტოლათ (-ტოლათსოფელი) ოჯახიშვილობა სახლობდა ან სახლობს“.

ნათელი შინაარსის მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტოპონიმი ტოლათსოფელი განმარტებულია როგორც „ორი ტოლი (ტყუბები) ძმის მიერ დასახლებული სოფელი“: „ორი ტყუბი ძმა ყოფილა, ტოლები ყოფილან, დევი მოუკლავთ აქა და იმის ნაჭერ მამულში თავად დასახლებულან“ (ბაბო კინჭარაული, ტოლათსოფელი, 1973 წ.).

**ტყაჩირ-ი** სოფელია წყალტუბოს რაიონში (პატრიკეთის სას. ს.). ხალხური გააზრიანებით ტყაჩირი თურმე ნიშნავს: „ტყე-ჩშირი“:

<sup>1196</sup> შ . გ . გ . ა . ტ . ი . შ . ვ . ე . ლ . ი , საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა ახსნა-განმარტება, თბ., 1981, გვ. 39.

„როდესაც ჩვენი სოფელი გაშენებულა, მაშინ აქ ხშირი და გაუვალი ტყეები ყოფილა, ნადირს ვერ აუქცევდა კაცი ფეხს, ხოცავდა ხალხი და რჩენილობდა ასე თავს. დაურქმევიათ ამ ადგილებისათვის ტყე-ხშირი; მერე და მერე კი ხალხს ტყახშირად და ტყაჩირად შეუცვლია“ (რეზოგოგაძე, ს.ტყაჩირი, 1986 წ.).

სოფლის სახელწოდების მეცნიერული ეტიმოლოგია, თუ არ ვცდებით, პირველად მიხ. ალავიძემ მოგვცა. მისი დაკვირვებით ტყაჩირი ზანური (მეგრული) წარმოშობის სახელწოდებაა: ტყა („ტყე“) და ჩირე||მ-ჩირე („ვრცელი“). ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქვა ზ.ქუმბურაძემაც: „ტყეფართო“, „ტყე ვრცელი“.<sup>1197</sup>

აქ, ვფიქრობთ, მცირეოდენ უზუსტობასთან უნდა გვქონდეს საქმე. ტოპონიმისათვის ამოსავალ სიტყვად, რა თქმა უნდა, მეგრული ტყა უნდა ვცნოთ, ოღონდ საზღვრულ ფუძედ ჩირ-||მჩირ- კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ მეგრული ნათეს. ბრუნვის -შ + ირ- სუფიქსი, რომელიც ხშირია მთიან სამეგრელოშიც<sup>1198</sup> და იმერეთშიც (ქუტ-ირ-ი, ქვატ-ირ-ი, დან-ირ-ი, ტყვ-ირ-ი || ტყ-ირ-ი...)<sup>1199</sup> მაშასადამე ტყა-ჩირი მიღებული ჩანს ტყა-შ-ირ- ფორმისაგან, რომელიც „ნატყევარ ადგილად“ უნდა გავიაზროთ.

## — უ —

უღმევი-ი სოფელია ზესტაფონის რაიონში. ეს სახელწოდება საკმაოდ ხშირად გვხვდება აგრეთვე ცალკეული მსხვილი ბუნებრივი გეოგრაფიული ობიექტების (მთები, ტყეები...) საკუთარ სახელებად. უღევი ეწოდება მთას და ტყიან მასივს ზემო იმერეთში, ქ.ქიათურის სამხრეთით. ამ სახელწოდების მთა გვხვდება ლეჩხუმში, ს.ლუხვანოში, ხოლო იმავე რეგიონის სოფ. ლაცორიაში არის ვრცელი სახნავე, რო-

<sup>1197</sup> ზ. ქუმბურაძე, „დედაენა ქართული“, თბ., 1987, გვ. 508.

<sup>1198</sup> ვ. ცხადაია, „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“, თბ., 1985, გვ. 40.

<sup>1199</sup> შეჰაძღვებელია, ამგვარივე წარმოების სახელად ვცნოთ სვ-ირ-ი.



მელსაც უღემიტყვიდე ჰქვიან.<sup>1200</sup> უღვევის მინდვრები მთელს ზემო იმერეთში არის ცნობილი. დასავლეთ საქართველოს ზოგადი მიმოხილვისას იაკობ გოგებაშვილს ეს ტოპონიმი მხედველობიდან არ გამორჩენია: „მდინარე ყვირილის პირად ვიწრო და სწორე ჭალებია ატეხილი. ეს ჭალები დაბა შორაპნის ზემოთ განივრდება და იპყრობს მშვენიერ უღვევის მინდვრებს აღმოსავლეთით და აჭამეთს სამხრეთით“.<sup>1201</sup>

უღვევი ცნობილი ყოფილა როგორც რელიგიური კულტმსახურების ადგილი: „შვიდმაისობა დღეს იცოდნენ თემობა უღვევზე“.<sup>1202</sup> უღვევი ზემოიმერელთა ყოფაში ცნობილი და მნიშვნელოვანი ტოპონიმი: „აქედან მევიდენ უღვევზე და დაქვფანტეს ჩვენ“.<sup>1203</sup>

ხალხური გადმოცემა ტოპონიმ უღვევის წარმოშობას ობიექტის სიდიდეს, უღვეველობას, დაუსრულებლობას უკავშირებს: „არ იღვევა, არ გათავდება, ისეთი ტყეა“ (ტარიელ მდივნიშვილი).

საფიქრებელია, რომ სახელწოდება უღვევი-მცენარე უღვევარას||უღვეველას უკავშირდებოდეს. მცენ. უღვეველა (იგივე უცვეთელა) საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ხარობს, ამიტომ ამ მცენარის სახელწოდების მიხედვით წარმომდგარი ტოპონიმები ბევრგან გვხვდება ასე, მაგალითად, უღვევარი ეწოდება ერთ-ერთ დიდ სახნავ-სათეს მინდორს ს.მარტყოფში; უღვენარა (—უღვევ-ნარა) კი მინდორია ზემო აქარაში (ს.ნაკალვევი). მართალია, ს.მარტყოფში ტოპონიმ უღვევარის წარმოშობას სხვაგვარად ხსნიან: „აქ მოჰხდომია ომი გიორგი სააკაძეს და: ე, რამოტენა ჯარი ჰყოლია ამ თათრებს, უღვევარი ყოფილანო“ (მთქმ. ანტონ ბედიანაშვილი), მაგრამ აშკარაა, რომ ამ ხალხურ ვერსიას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. როგორც აღვნიშნეთ, უღვევი, შესაძლებელია მცენ. უღვეველ-თან იყოს კავშირში. გამორიცხული არ არის, რომ უღვევი უკავშირდებოდეს სიტყვა ოღვე-ს; ოღვე

<sup>1200</sup> მ ი ხ . ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი , ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრომები, IX, 1939, გვ. 148.

<sup>1201</sup> ი გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი , „საგანძური“. დასავლ. საქართველო, თბ., 1987, გვ. 251.

<sup>1202</sup> ბ . წ ე რ ე თ ე ლ ი , ზემოიმერული ლექსიკონი, 1938, გვ. 128, სტ. შვიდმაისობა.

<sup>1203</sup> ქ ე თ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 507.

საბას მიხედვით ველთა შუა „მოგრძე ტყე“ არის.<sup>1204</sup> ოლ-ევ-ი → ულ-ევ-ი (გადააზრიანების გზით).

**ურაგველ-ი** ცნობილი სოფელი და მდინარეა (ძვ. ჩახრახულა) ახალციხის რაიონში. აღნიშნული ტოპონიმის წარმოშობის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს, მაგრამ წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი ვერ უბასუხებენ მეცნიერულ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ კ.ჰანი დაინტიერესებულა ურაველის შინაარსის დადგენით. მისი ვარაუდით ურაველი ორსიტყვიანი ტოპონიმი ყოფილა: ურა „ფიცხი, ფეხმარდი ცხენი: ბედაური“ და ველ-ი „დაცემული ადგილი“,<sup>1205</sup> თუმცა მკვლევარს ყურადღება არ მიუქცევია სახელწოდების შემადგენელი ფუძეების აზრობრივი შეუსაბამობისათვის. ხომ აშკარაა, რომ ურა ცხენისა და სიტყვა ველის შინაარსობრივი შეხამება დარღვეულია. ამგვარი შეუსაბამობის გამო, რა თქმა უნდა, არ შეიძლება სარწმუნოდ ვცნოთ კ.ჰანისეული ვარაუდი: ბედაური და ველი.

ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით ურაველი თურმე მოწონების წამოძახილისაგან მიგვიღია: „ორ ამხანაგს მდინარის ახლოს ვაქე მდელი მოსწონებია. ერთს უთქვამს: — „უ, რა ველია!“ მას შემდეგ იქ გაშენებულ სოფელსაც ურაველი დარქმევია“ (თქმულება ჩაწერა თამაზ შერმადინის ძე ინასარიძემ, ს.კობარეთი). ამავე პირს ჩაუწერია კიდევ ერთი გადმოცემა: „ყოფილან მეგობრები. წასულან და უნდა ნახონ სამოსახლოდ საუკეთესო ადგილები. ერთი დიდი მინდორი მოსწონებიათ. ერთად მოხნეს, დათესეს ხორბალი, შემოდგომაზე უღეველი მოსავალი აუღიათ. დაურქმევიათ ურაველი“.

ტოპონიმი ურაველ-ი ადამიანის სადაურობის მაჩვენებელი გეოგრაფიული სახელი ჩანს. ის იმგვარადვეა წარმოქმნილი, როგორც: ყვარ-ელ-ი, საღებ-ელ-ი, ღულ-ელ-ებ-ი, ხორხ-ელ-ი, ოცხ-ელ-ებ-ი, ყარხ-(ე)ლ-ებ-ი... ურავ-ელ-ი, მაშასადამე, უნდა გავიგოთ როგორც „სოფელ ურავიდან (რაქა) მესხეთში საცხოვრებლად გადასული ადამიანი“. ურაველ-ი ჯერ პიროვნული სახელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც შემდეგ სოფლის სახელწოდების აღნიშვნა უკისრია (შდრ. სოფლის სა-

<sup>1204</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. ტ IV, თბ., 1965, გვ. 604.

<sup>1205</sup> С.М.ОМПК. 40. ტფილისი, 1909, გვ. 142.

ხელი დისევი და აქედან წარმოქმნილი პიროვნული სახელი (ზედწოდება) დის(ე)ვ-ელ-ი, რომელიც იმავედროულად სოფლის სახელადაც შემოგვრჩენია.

ჩვენი ვარაუდი ურაველის რაქის სოფელ ურავი-საგან მომდინარეობის შესახებ ლინგვისტურ ასპექტშია წარმოდგენილი. იგი უფრო მეტ დამაჩერებლობას შეიძენს, თუ ისტორიულად დადასტურდა რაქის კუთხიდან სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის თუნდაც ნაწილობრივი მიგრაციის ცალკეული შემთხვევები.

**ურემ-ი** ცნობილი დაბა და საბავშვო კურორტი გურიაში (ოზურგეთის რ.). საყოველთაოდ არის გავრცელებული ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ თითქოს დაბის სახელწოდება წარმოსდგებოდეს ხშირი, დაბურული და გაუვალი ტყვის აღმნიშვნელი გურული სიტყვისაგან „ურეკი“.

„აქ ყოფილა ძველათ უსიერი და გაუვალი ტყე. მარეკებიც კი ნადირს ვერ ერეკებოდენ; ნადირობა არ შეიძლებოდა, ვერ გამოდენიდი მაგიდან ნადირს“ (რუბენ გიორგის ძე ლოღია, 1989 წ. ქ.თბილისი).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ურეკი კოლხური სიტყვაა და გაუვალ, უღრან ტყეს ნიშნავს. დადასტურებულად ითვლება ის ფაქტიც, რომ აქ თურმე შეუძლებელი იყო ნადირობა: „წინათ ბატონები სანადიროდ რომ წავიდოდნენ, ტყეში მარეკებს დაგზავნიდნენ ნადირის დასაფრთხობად და გამოსარეკად... ურეკი ერქვა ისეთ ტყეს, სადაც ასეთი რამ არ ხერხდებოდა ე.ი. სადაც ნადირობა შეუძლებელი იყო ხშირი, გაუვალი ტყის გამო. ურეკში უღრანი ტყე დიდი ხანია აღარ არის, მაგრამ ადგილს კი ეს სახელი შერჩა“.<sup>1206</sup>

ჩვენი აზრით, ტოპონიმ ურეკის ამგვარი ახსნა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. მართალია, ურეკის ახსნის შემოთავაზებული ვარაუდი (ურ-ეკ-ი) წარმოქმნის მხრივ დასაშვები ფორმაა (შდრ. უ-ტენ-ი, უ-წყვეტ-ი, უ-ხნავ-ი, უ-თეს-ი...),<sup>1207</sup> მაგრამ მაინც გვეჩინია, რომ ამ შე-

<sup>1206</sup> ზ კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , „დედაენა ქართული“, თბ., 1987, გვ. 510.

<sup>1207</sup> ტოპონიმი ურეკი სპეციალურ ლიტერატურაში ოდენპრეფიქსული წარმოების ტოპონიმთა რიგში განიხილება: ნა-გუთნ-ი, სა-რეკ-ი, უ-რეკ-ი

მთხვევაში საქმე გვაქვს ზანური ურუ-ეკ-ილქურუ-ეკ-ი სიტყვის ქართულად გადაზრინებასთან. ტოპონიმის პირველი ფუძე -ურ (-ქურ-უ) მართალია სიტყვასიტყვით ყრუს ნიშნავს, მაგრამ იგი ტოპონიმებთან გვხვდება „ბნელის“, „გაუვალის“, „ულრანის“ მნიშვნელობითაც, ისევე როგორც სიტყვა შავი შეიძლება შეგვხვდეს „უსიერის“, „ულრანის“ გაგებით: შავი ტყე — (კოჭოთან ახლოს) გაიაზრება როგორც „ხშირი, გაუვალი ტევრით დაფარული ტყე“. რაც შეეხება მეორე ფუძეს (ეკი), იგი ალბათ მომდინარეობს სიტყვა ლეკი-საგან, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „შლამი“, „ქვიშაშლამიანი ადგილი“.<sup>1208</sup> მაშასადამე, ეურ-უ-დეკ-ილქურ-ეკ-ი შეიძლება გავიაზროთ როგორც „ღრმა, გაუვალი შლამნარი ადგილი“, „შლამით მდიდარი ადგილები“. სენაკის რაიონში (ზემო ქალაქის სას. საბჭო) არის უხვმოსავლიანი ადგილი, რომელსაც ასევე ურეკი ეწოდება. იგი განმარტებულია როგორც „ძლიერ დაშლამული და ნოყიერი მიწები“.<sup>1209</sup>

როგორც ვხედავთ, ურეკის ჩვენებულ განმარტებას („შლამიანი ადგილი“) სამეგრელოს სხვა ტოპონიმებიც უქერენ მხარს. ამიტომ ჭირს ზემოხსენებული ვარაუდის („ხშირტევრიანი, ურეკი სანადირო ადგილები“) გაზიარება. ჩვენ ასევე ვერ გავიზიარებთ ამ უკანასკნელ ხანს გამოთქმულ თვალსაზრისს ურეკის სვანური ენიდან მომდინარეობის შესახებ.<sup>1210</sup>

**უსტარაშლის წყარო** განთქმული, კეთილგემოვნებით გამოჩეული წყაროა სოფ. ცხირეთის (შუა ქართლი) შემოგარენში, ადგილ მისახედ-მოსახედში. ადგილობრივ გავრცელებულია თქმულება-გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ამ წყაროს ამგები ყოფილა ვინმე რ ა უ -

---

(იხ. ბ . ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე , ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის. იკე, ტ. XXV, თბ., 1986, გვ. 28.

<sup>1208</sup> მთიან სამეგრელოში დადასტურებულია მიკროტოპონიმები ნა-ეკ-ურა- („ნა-შლამ-არი“) ო-ლეკ-ე-ში („შლამიანი ადგილი“) (ბ . ც ხ ა დ ა ი ა , 1985, გვ. 60, 63).

<sup>1209</sup> გ . ე ლ ი ა ვ ა , სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989, გვ. 19.

<sup>1210</sup> თ მ ი ბ ი უ ა ნ ი , დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 224.

ლი, რომელიც ხალხში უსტას („ხელოსანი“, „ოსტატი“) სახელით ყოფილა ცნობილი უსტა რაულის ლეგენდა იმდენად პოპულარულია, რომ მისი არსებობა, როგორც განთქმული ხელოსნისა, ბევრს, მათ შორის მწერლებსაც (ლევ. გოთუა, გიორგი ხორგუაშვილი), უმკველ ფაქტად მიაჩნიათ.<sup>1211</sup> სინამდვილეში უსტარულ-ი ჩვეულებრივი -ურ- სუფიქსიანი გვარია, რომლის საყრდენი (ამოსავალი) ფუძეა უსტარი/ა. იგი აღმოსავლური წარმოშობისაა და ბრძანს, უსინათლოს (გადატ. ბეჩავი, გონებასუსტი...) ნიშნავს. უსტარ-||უსტარ- ფორმა კარგად არის დაცული ქართული ენის მთის კილოებში (მთიულურში, ფშაურში, ხევსურულსა და თუშურში), აგრეთვე, ქართლურ დიალექტში.<sup>1212</sup> უსტარაშვილი დღესაც მოქმედი გვარია. საქართველოში უსტარაშვილის გვარს 136 პირი ატარებს. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ფორმას, უსტარაულს, იგი ამჟამად გვარად აღარ შემონახულა, თუმცა მის მფლობელებს უსტარაული მუშტარაულად გაუაზრებიათ და ამ სახითვე გაჰგვარებიათ (2-3 პირი).

**უსარშავთანა** ასეთი უცნაური სახელდების მიკროტოპონიმი ყოფილა თუშეთში (გომეწრის ალაზნის ხეობა). იგი მდებარეობს სოფ. ბუხურთის ზემოთ, მაღალ მთაზე. ბუხურელები ამ ადგილს მეორენაირად „აშადგის უხარშავთანას“ უწოდებენ.<sup>1213</sup> სახელწოდების წარმოშობის თაობაზე არსებობს ამგვარი გადმოცემა: ძველად, ხატობისას, როცა ბუხურელები (სოფ. ბუხურთის მკვიდრები, გ.ბ.) საკლავის ხორცს მოსახარშავად ცეცხლზე შემოდგამდნენ, ატეხდნენ ჩხუბს, მამაკაცები ერთიმეორეს დაერეოდნენ და ცემა-ტყეპით სოფელში ჩამოვიდოდნენ. ამ ჩხუბსა და დავიდარაბაში ქვაბის მისახედად აღარავის ეცალა და ხორცი მოუხარშავი რჩებოდა. ქვაბს მთიდან სოფელში ჩამოიტანდნენ, იქ მოხარშავდნენ და მერე გაიშლებოდა საერთო სუფრა... ამიტომ ჰქვია ამ ადგილს „უხარშავთანაო“, — მოგვითხრობენ ბუხურელები.<sup>1214</sup>

<sup>1211</sup> იხ. გ. ხორგუაშვილი, ცხირეთის თავეადასავალი, გაზ. „ნაკადულის“ სალიტერატურო გაზეთი“ №6, მაისი, 1996, გვ. 11.

<sup>1212</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა II, 1975, გვ. გვ. 139, 141.

<sup>1213</sup> გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987, გვ. 147.

<sup>1214</sup> იქვე, გვ. 147.

აღნიშნული ტოპონიმის წარმოშობის ისტორიას ნათელი მოეფინება. თუ გავიხსენებთ, რომ ქართველ მთიელთა ერთ ნაწილს, კერძოდ, ფშავლებს, ჰქონიათ ისეთი საკულტო-რიტუალური სალოცავები, რომლებშიც ხატი (ღვთაება) მლოცველებს უკრძალავს („უმიზეზებს“) ხატისკარზე საკლავის ხორცის მოხარშვას. ეს წესი ცნობილი ყოფილა უკანაფშავის სოფ. ნინახში. ნინახის სალოცავში ხატისათვის შეთქმულ საკლავს მლოცველები დაკვლით კი კლავდნენ, მაგრამ ხორცს იქ ვერ მოხარშავდნენ, უკანვე უნდა წამოეღოთ და სახლში ან სხვა რომელიმე ხატისკარს მოეხარშათ: „ნინახში რასაც დაკლავდნენ, ანუ სულ სახლში მოჰქონდათ, ან გამოიტანდნენ ავისგორს, სადაც იახსრის მთავარი სადღეობოა, აქ გაატყავებდნენ, ხორცსაც აქვე მოხარშავდნენ“.<sup>1215</sup> ანალოგიური წეს-ჩვეულება სცოდნიათ ძველად გომეწრის ხეობის თუშებს ამადაგის ხატობაშიც. აქედან წარმომდგარა ტოპონიმი „ამადაგის უხარშავა“ („უხარშავთან“). საფიქრებელია, რომ ამადაგის სალოცავშიც, ისევე როგორც ნინახში, ხატი „მიზეზობდა“ საკლავის ხორცის ადგილზე მოხარშვას და სარიტუალო სუფრების გაშლას.

რაც შეეხება თუშთა ხატიონის ჩხუბსა და აყალმაყალს, იგი გვიან შექმნილი ყოფითი დატალი ჩანს, რომლის სწორი კვალიფიკაცია ეთნოგრაფების კითხულია.

**უსმღარა** ადგილს ეწოდება სოფ. საკაოში (ონის რ.). რაქული ხალხური გადმოცემის თანახმად „ამ ადგილებში უწინ ხედნიდენ ცხენებს. ზოგი გამოერეოდა უჭილაგო, გიჟი, გადარეული, მოკვდებოდა და კაცს არ შეიქდენდა ზრუგზე. მოუყვანიათ მასეთი ავი ზნის, რავალც იქნა, შემედარა, ძიენ მაგარი ყოფილა ვინცხა, მარა ჩამოუგდია და ფეხით მოუქლამს. უთქმიათ, უხედარ ცხენზე, სანამ არ გეიხედნება კათ, ზეთ შექდომა არ იქნებო. საანაც კაცი ფეხით მოუქლამს იმ უხედნავ ცხენს, იმისათვი დაუთქმევიათ უხედნარა თუ უხედარა“ (მიხეილ მიხეილის ძე საგანელიძე, ქ.ქიათურა).

სინამდვილეში სახელწოდების წარმოშობას ცხენის გახედნა-გაუხედნაობასთან საერთო არაფერი აქვს. უხედარა ისეთი ადგილია, რო-

---

<sup>1215</sup> ა ლ . ო ჩ ი ა უ რ ი , ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოს. საქართველოს მთიანეთში (ფშავი), თბ., 1991, გვ. 42.

მელიც არსაიდან არ იხედება, არ მოჩანს, ჩავარდნილი, ჩოლედი ადგოლია. (მდრ. ქართლური, აგრეთვე, ჭავჭავაძის ტოპონიმი ჩამძვრალა — გორისა და ახალქალაქის რ.რ.). ანალოგიური შინაარსის მატარებელი სახელწოდება ჩანს საფარა (ცნობილი სამონასტრო კომპლექსი სამცხეში). უხედარა ჩვეულებრივი ოროგრაფიული ტერმინია. შინაარსობრივად იგი ენათესავება თურქული წარმოშობის ჩუღურ||ჩუყურ სიტყვას, რაც ჩადაბლებულ ადგილს აღნიშნავს. ამ მხრივ შეიძლება გავიხსენოთ თბილისის ერთ-ერთი უბნის-ჩუღურეთის — სახელწოდებაც, რომელიც ხევებით დასერილ, ჩაღრმავებულ ადგილად უნდა გავიგოთ. ქართულ ტოპონიმიაში გვაქვს საპირისპირო შინაარსის სახელებიც: საჩინ-ო, დანახვ-ის-ი... („ადგილები, რომელიც თვალწინ ხელისგულევით მოჩანს“, „ადგილი, საიდანაც ყველაფერს გარკვევით ხედავ“).

## — ფ —

**ფარახეთი-ი** მესტირული ხელოვნებით (ერაძეები, ტოგონიძეები...) ცნობილი სოფელი ზემო რაქაში (ონის რ.); სასოფლო საბჭოს ცენტრი (სოფლები: ფარახეთი, სევა, შარდომეთი, ჭობრევი) ეტიმოლოგია უცნობია. მოსახლეობაში გავრცელებულია გადმოცემა, თითქოს ამ სოფლის ახლოს მდებარე ტყეში „უმალ“ მდგარა დიდი მუხის ხე, რომლის ფუღუროდან ერთ ღარიბ მწყემსს დიდძალი ფული („ფარა“) ამოუღია, მაგრამ განძს მისთვის ბედნიერების ნაცვლად უბედურება მოუტანია: ღამით „კაჩალები“ დასცემიან, მწყემსი მოუკლავთ და, თუ რამ ებადა, ფარასთან ერთად ისიც წაუღიათ. ეს გადმოცემა, აშკარად თვით ფარახეთის ხალხური გააზრიანების ნაყოფია, ამიტომ იგი ტოპონიმის შინაარსის გარკვევაში, რა თქმა უნდა, ვერ დაგვეხმარება.

სავარაუდოდ შეიძლება დაგვეშვა სიტყვა „ფარახი“, რომელშიც -ეთ სუფიქსის დართვის შედეგად ფუძისეული ე ხმოვანი გაფართოვებულა და ა ხმოვნად ქცეულა: ფარახ → ფარახ (მდრ. თიანეთური მიკროტოპონიმი ნაფარახლები). ისიც საინტერესოა, რომ მოხეურ დი-

ალექტში ტერმინ -ფარეხს- სწორედ „ფარახი“ შეესატყვისება.<sup>1216</sup> მთის დიალექტებსა და რაქულ დიალექტს შორის კი, როგორც ცნობილია, ფონეტიკური თვალსაზრისით ბევრი რამ არის საერთო. საბოლოოდ ფარახეთი უნდა გავიზაროთ როგორც „საქონლის ფარების დასაყენებელი ადგილი“, „ფარეხების მოსაწყობი ადგილები“.<sup>1217</sup> ანალოგიური თვალსაზრისი გამოუთქვამს დოც. მ.ალავიძეს (იხ. მისი „აკაკის მოგზაურობა რაქა-ლეჩხუმში“, ქუთ., 1990 (II გამოც.), გვ. 107).

**ფასანაურ-ი** დაბა, ცნობილი სამთო-კლიმატური კურორტი მთიულეთში (დუშეთის რ.); გაშენებულია მთიულეთის არაგვის მარჯვენა სანაპიროზე იქ, სადაც ერთიმეორეს მიერთვის თეთრი (მთიულეთის) და შავი (გუდამაყრის) არაგვი.<sup>1218</sup>

ტობონიმი ფასანაური ახალი წარმონაქმნია. მას არ იცნობდა არც ვახუშტი და არც იოანე ბატონიშვილი. ფასანაურის, როგორც დასახლებული პუნქტის, დაარსებას და განვითარებას ხელი შეუწყო საქართველოს სამხედრო გზის გაყვანამ ტფილის-ვლადიკავკაზს შორის (XIX ს-ის II ნახევარი) და აქ, გეოგრაფიულად და სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელ ადგილას, სამხედრო საგუშაგოების შექმნამ. საინტერესოა, რომ ფასანაურის ერთ-ერთ გზისპირა უბანს დღესაც „ზასტაო“ (რუს. „застава“ „კარიბჭე“; „საგუშაგო“, „სადარაჯო“)<sup>1219</sup> ეწოდება.

---

<sup>1216</sup> ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მობეური დიალექტი, თბ., 1985, გვ. 335.

<sup>1217</sup> წალკის რაიონში ძველად იყო სოფელი ფარეხა, რომელსაც დღეს რატომღაც აშკალას ეწოდებენ (იხ. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 19).

<sup>1218</sup> ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ თეთრი და შავი არაგვის შესაკრებ ადგილად წინვანს თვლიდა: „ხოლო წინვანი არს შავისა და თეთრი არაგვის შესაკრებელს შორის...“ (გვ. 93, 10). ფაქტიურად წინვალთან ერთდება ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთ-გუდამაყრის არაგვი. შავი და თეთრი არაგვი ფასანაურთან ერევანს ერთიმეორეს და არა წინვალთან (იხ. გ. ხორნაბული, მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 8, გვ. 10). იხ. აქვე სტ. არაგვი.

<sup>1219</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 186.



სახელწოდება ფასანაური ცნობილი ხდება 1840-50-იანი წლებიდან. იგი, როგორც ერთ-ერთი საფოსტო სადგური სამხედრო გზაზე, მოხსენიებულია ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“: „სტანციაში შევიტყვე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მიმავლისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად თურმე აკლდებათ. მირჩიეს ფ ა ს ა ნ ა უ რ ა მ დ ე ცხენი მეჭირავნა და ცხენ-და-ცხენ გადავსულიყავ“.<sup>1220</sup>

არსებობს ფასანაურის წარმოშობის რამდენიმე ხალხური ვერსია. ერთ-ერთი მათგანი ასეთია: „აქ იყო, რაც თავი მახსოვს, სავაჭრო დუქნები. ხალხს თუ რამე ჰქონდა გასაყიდი, ყველა იქ მიარბენებდა. ქალაქიდან ხო ბევრნი მოდიოდნენ, დუშეთიდან და ანანურიდანაც იქ ავდიოდით, ურმებით შეშა აქვქონდა, ვყიდიდით. ბევრიც მოდიოდა ყაზიბეგიდან, კავკავიდან.<sup>1221</sup> დიდძალი ხალხი ტრიალებდა, ვისაც როგორ უნდოდა, თავის საქონელს ისე ჰყიდიდა. ფასები სუ ნაურაზე<sup>1222</sup> იყო; დღეს რო ერბო მანეთი ღირდა, ხვალ შეიძლება სამ აბაზზე ჩამოსულიყო. კერძოობა იყო, ფასს თითონ ხალხი ადებდა; ზოგი ძვირათ, ზოგი — იაფათ. დაურქმევიათ ჩვენ ძველ ხალხს სოფლისთვი ფასანაური. ფასები რო ნაურაზე ყოფილა, იმიტომ. მაინც კარქა მოგებით ვაქრობდენ“.. (პავლე ნიკოლოზის ძე ბელოშვილი. სოფ. ანანური). ანალოგიური ვერსიები მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობაშიც არაერთია: „ფასანაური იმაზე ჰქვიან, რო აქ იყო ზასტაო, გამვლელ-გამომვლელს ბაჟს ახდევინებდა ნიკოლოზი. ცხენი გაივლიდა, ცხორი გაივლიდა, ფასი უნდა გადაგვეხადა“.<sup>1223</sup> საინტერესოა, რომ ამ ხალხურ ვერსიას თითქოს სარწმუნოდაც კი მიიჩნევენ. გ.ხორნაული, მაგალითად. ფასანი||ფასანა ფორმას ფას-სიტყვის კნინ სახელად მიიჩნევს („ფულანი“-ს ანალოგიით).<sup>1224</sup>

მთიულურ-გუდამაყრულ მეტყველებაში ტოპონიმი ფასანაური

<sup>1220</sup> ილია ჭავჭავაძე (მოთხრობები), თბ., 1937, გვ. 24.

<sup>1221</sup> დღევ. ქორჯონიკიძე (სულ ახლახან მას კვლავ დაუბრუნეს მეფის რუსეთისდროინდელი სახელი ვლადიკავკაზი).

<sup>1222</sup> ალბათ რუსული "на ура!"

<sup>1223</sup> გ. ხორნაული, „მთები და სახელები“, თბ., 1983, გვ. 181

<sup>1224</sup> იქვე, გვ. 181.

ძალზე ხშირად ფასანეურად ისმის: „განა კი სახლშია ვარ, ფასანეურში ვიყავ. დილიდანა ვარ გასული, კომიკორმას ელოდენ, მაიტანენო. როგო დამიღამდა, ვერ გავიგე“ (მიხა წიკლაური, ს.ჰოშპიტელი). „ფასანეურს როდის მიხლო?“ (ს.დგნალი); „ფასანეურში დიდი გართობები მაიტანეს“ (ს.ხანდო).<sup>1225</sup> ეს ფაქტი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ფასანაური ანთროპონიმული (აღამიანის სახელისაგან მომდინარე) წარმოშობის ტოპონიმია. ამ ვარაუდს კუთვნილება-წარმომავლობის-ურ სუფიქსიც ნაწილობრივ უჭერს მხარს (შდრ. ღუღა-ურ-ი||გუღა-ურ-ი, ანან-ურ-ი, ბულაჩა-ურ-ი, ბანც-ურ-ი, შალა-ურ-ი, მეღა-ურ-ი, ქისტა-ურ-ი, ამბროლა-ურ-ი...).

მაშასადამე, შეიძლება დავუშვათ, რომ ფასანაური წარმომდგარა არა ფასების თვითნებური აწევ-დაწევის გამო, არამედ აღამიანის ზედმეტი, შერკმეული ბასანა||ფასანა სახელისაგან. ერთობ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღამიანის ზედმეტი (თიკუნ) სახელად ფაცანა (აქედან-გვარსახელი ფაცანაანი) დღესაც დასტურდება სოფ. ქვემო გომში (ქართლი).<sup>1226</sup>

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელწოდება ფასანაური წარმოშობით ანთროპონიმულია. ამოსავალი ჩანს შერკმეული ანუ ზედმეტი სახელი ბასანა||ფასანა (-ფასანა-ურ-ი). იგი უნდა გავიაზროთ როგორც „ფასანას სოფელი“, „სოფელი, რომელშიც ფასანას შთამომავლებს უცხოვრიათ“

**ფიქრის ბორა** თბილისის ცენტრში, ვარაზისხევისა და გმირთა მოედნის შესაყარში აღმართულია მოზრდილი კლდოვანი გორაკი, რომელსაც ფიქრის გორა ეწოდება. აქედან, ამ მაღალი გადასახედიდან, ქალაქის არაჩვეულებრივად მომხიბლავი პანორამა იშლება. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ალბათ ამიტომაც შეურკმევია ჩვენს ხალხს მის-

<sup>1225</sup> მანანა კობაიძის მიერ შეკრებილი მთიულური დიალექტური მასალიდან (კრებ. დიალექტოლოგიური კრებული, 1990).

<sup>1226</sup> აღამიანის საკუთარი სახელი ბასანა ფიქსირებულია ქსნის ხეობის 1774 წ. კომლობრივი აღწერის დემოგრაფიულ მასალებში. (იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, 1, თბ., 1967, გვ. 193).

თვის ასეთი ამადლებული პოეტური სახელი — ფიქრის გორა. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი სულ სხვა გზით არის წარმომდგარი. ფიქრის გორა, როგორც ტოპონიმი, კვლევის საგნად ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან იქცა. გამოითქვა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც იგი წარმომდგარი ყოფილა სიტყვა ფეიქრისაგან, ეო — ი-ს გზით: ფეიქრის გორა — ფიქრის გორა.<sup>1227</sup> აღნიშნულ თვალსაზრისს ბევრი მკვლევარი იზიარებს.<sup>1228</sup> ეს ვარაუდი არსებითად ემყარება იმ ფაქტს, რომ ფიქრისგორის სიახლოვეს, მდ. ვერეს მარჯვ. ნაპირზე, გაშენებული იყო თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა (საფეიქრო კომბინატი). ობიექტის სახელრქმევა ამ პრინციპით შეიძლება მართლაც მოხდეს; შდრ. ღვინის აღმართი (ძველი სირაჯხანის აღმართი), ბაშბის რიგი — უბანი და ქუჩა სიონის ეკლესიასთან (აქ ძველად ბაშბა იყიდებოდა), ვერცხლის ქუჩა ანუ ოქრომქედლების რიგი — ქუჩა თბილისის ცენტრში; აქ თბილისელი იუველირები ყიდდნენ თვითნაკეთ ნივთებს, სხვადასხვა სამკაულებს და მისთ. ტოპონიმი ფიქრის გორა კი, როგორც უკვე ვთქვით, სხვა გზით ჩანს წარმოქმნილი. პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ქართულ ტოპონიმიაში წესისამებრ არ გვაქვს აბსტრაქტული შინაარსის სახელთა გამოყენების შემთხვევები. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ორ და მეტფუძიან სახელში ერთ-ერთი ფუძე რეალურად არსებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვაა (გორა, ხევი, მთა, ველი, უბანი, მიწა, კლდე...), მაშინ ტოპონიმის მეორე შემადგენელი წევრიც უეჭველად კონკრეტული არსებითი (ზედსართავი, რიცხვითი...) სახელი უნდა იყოს: კლდე-წითელი, თეთრი მიწები, დიდ-გორი გრძელ-ხევი... შეუძლებელია ტოპონიმში გვექონდეს კონკრეტული და აბსტრაქტული შინაარსის სახელთა ერთობლიობა, სინტაგური შეთავსებადობა: სიხარულის გორაკი, ბედნიერების ხევი, ოცნების ღელე, სიმამაცის ვაკე, სევ-

<sup>1227</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ზოგადი ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1946, გვ. 166.

<sup>1228</sup> ი ბ . კ . ხ ა რ ა ძ ე , საქართველოს ძველი და ახალი ტოპონიმების შედარებითი კვლევის ზოგი საკითხისათვის: კრებ. გეოგრაფიული საზოგად. შრ. ტ. XIV, თბ., 1980, გვ. 167.

დის უბანი,<sup>1229</sup> გპირობის ქალა და მისთ.

ჩვენი კარაუდით სახელწოდება ფიქრისგორა ჩვეულებრივი ოროგრაფიული (ფიზიკური დახასიათების შემცველი) ერთეულია. იგი ბევრად უფრო ადრე ჩანს წარმოქმნილი, ვიდრე აქ საფიქრო კომბინატი აიგებოდა. ტოპონიმის პირველი ფუძე (ფიქრის) წარმომდგარია ფიქალ-სიტყვისაგან, დასმული ნათესაობით ბრუნვაში (ფიქლ-ის). აი, სწორედ ამგვარი სიტყვათშეხამება (ფიქლის გორა) უნდა გაეაზრებინა ხალხს შედარებით უფრო პოეტურ, ამალღებულ სახელად და მისგან ფიქრის გორა წარმოექმნა. მაშასადამე ფიქრის გორა ჩვენ უნდა გავიგოთ როგორც „ფიქლის გორა“ („გორაკი, რომელიც ფიქალ-ფიქალ, ფიქლურად არის ნაწყობი“). გეომორფოლოგიური თვალსაზრისით აღნიშნული ობიექტი მართლაც შრეებად, ირიბად განლაგებული მოზრდილი ფიქლებით არის ნაგები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ადგილთა სახელეზბად „ფიქრის გორა“ საკმაოდ ხშირად დასტურდება როგორც აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლი, კახეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ქიზიყი...), ისე გურიაში და, ვგონებ, იმერეთშიც. ლანჩხუთში, მაგალითად, 1880-90-იან წლებში ცნობილ სათემო ადგილს, სოფლის საკრებულო გორაკს „ფიქრის გორა“ რქმევია. „ჩვენს წინ, მინდორში, არის პატარა გორაკი, რომელსაც დაარქვეს „ფიქრის გორა“, სადაც უორდანიები იკრიბებოდნენ... აქვე ისვენებდა ყველა მოსეირნე და საუბრის მოყვარულნი“; ან: „როცა ხელმწიფის და მისი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას გავეცანი, მინდოდა „ფიქრის გორა“-ზე ეს საგანიც აღმეძრა“.<sup>1230</sup> როგორც ვხედავთ, ლანჩხუთში არსებული ფიქრის გორა ადგილობრივ მოსახლეობას საჯარო საკრებულოს (სვან. ზუგი, იგივე ბორცვი, გორაკი; იხ. სტ. ზუგდიდი) ფუნქციით ჰქონია გამოყენებული. საკითხავია, ლანჩხუთის „ფიქრისგორა“ თბილისის „ფიქრის გორა“-საგან დამოუკიდებ-

---

<sup>1229</sup> ბესიკისეული „სევდის ბაღი“ პოეტური ლიცენციის ნიმუშია და არა რეალურად არსებული, კონკრეტული ობიექტის სახელწოდება. ამ ტიპისად უნდა გაეიაზროთ ტოპონიმი „მთაწმინდა“, აგრეთვე ზოგი დეეტიმოლოგიზებული ერთეული, ისეთი, როგორიცაა „ველკეთილი“ — „ვარკეთილი“ და სხვ.

<sup>1230</sup> იხ. ნოე უორდანიანი, ჩვენი წარსული, თბ., 1990, გვ. 12-13.

ლად შეიქმნა, თუ სახელწოდების მიგრაციასთან გვაქვს საქმე? მოსალოდნელია, რომ საქართველოში არსებული ყველა „ფიქრის გორა“ თბილისის ფიქრის გორასგან იყოს დასესხებული.

ფიქალ-სიტყვა საკმაოდ ხშირად იჩენს თავს ტოპონიმთა წარმოქმნის დროს. მესხეთში, მაგალითად, ე.წ. ქვეშა მთაზე არის ცნობილი საზაფხულო საძოვარი, რომელსაც ფიქრულა ეწოდება;<sup>1231</sup> ფიქრულა კი სხვა არაფერია, თუ არა იგივე ფიქლურა („ფიქალ-ფიქალ ნაგები მთა“). მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმის (ფიქრისგორა) ფიქალ-სიტყვისაგან მომდინარეობა მოულოდნელად აღარ უნდა გვეჩვენოს, თუმცა ჩვენში დღესაც ბევრს ღრმად სწამს რომ ფიქრის გორა მაინცადამაინც ცნება „ფიქრი“-საგან გეკონია მიღებული.<sup>1232</sup>

საბოლოოდ: ფიქრის გორა (—ფიქლის გორა) „გორაკი, რომელიც ფიქლური წყობით არის აგებული“, „ფიქალგორა“.

**ფრონე. ფრონის ხეობა** მდინარე, ხეობა ცენტრალურ (შიდა) ქართლში (ქარელის რ.). ჰიდრონიმი ფრონე საკმაოდ დიდი ხნოვანობისაა. ქართულ ნარატიულ ძეგლებსა თუ ეკონომიკურ-სამართლებრივ საბუთებში ფრონე XV-XVI საუკუნეებიდან იჩენს თავს. გვიანფორდალური ხანის პერიოდის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით ვინმე ხოსიტა მალანაშვილს (მალალაშვილი?) თავისი წილი ტყე მიუყიდა ქავთარა სამხარაძისათვის „ქვეით ფრონის პირამდი საფანქველურო, იქით — მესხის მიწამდი.“<sup>1233</sup>

საინტერესოა, რომ დღეს ამ რეგიონის მცხოვრებთა მეტყველებაში სიტყვა ფრონე მდინარის, ხევის, წყლის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად არის ქცეული, ისევე როგორც თუშებისათვის — ალაზანი, რაქველებისათვის — რიონი, მთიულ-გუდამაყრელებისათვის — არაგვი და ა.შ.

<sup>1231</sup> მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , 1972, გვ. 53.

<sup>1232</sup> აკად. ს.დურმიშიძე, მაგალითად, თავის წიგნში „ზოგი რამ წარსულიდან“ (თბ. 1985) იგონებს პოეტ იოსებ გრიშაშვილთან შეხვედრის ეპიზოდებს და წერს: „პრავალი წელია, რაც იოსებ გრიშაშვილი თვალს მიეფარა, მის ქალაქში მისი ფიქრების მრავალი გორაა ახლაც შემონახული“ (გვ. 276). ფიქრის გორას სიტყვა „ფიქრთან“ აიგივებდა აკად. ნიკო კეცხოველიც.

<sup>1233</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 211.

ფრონის ხეობა მოიცავს სამი პატარა მდინარის (დვანის, ალისა და ფცის წყლები) აუზს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ სამივე მდინარეს სართაულ სიტყვად ფრონეს უმატებს: არადეთის ფრონე, ალის ფრონე<sup>1234</sup> და სხვ. დროთა განმავლობაში ფრონემ თვითონ შეითავსა წყლის აღმნიშვნელი სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა, რასაც უნდა მოჰყოლოდა მსაზღვრელი სიტყვის (დვანის, ალის...) თანდათანობით გაუჩინარება. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი ფრონე და ფონ-ი („თხელი წყალი“) სიტყვების მოსალოდნელი ურთიერთკავშირის თაობაზე, რაც ანგარიშგასაწევად გვეჩვენება.

**ფშაპ-ი** აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზეს კუთხეთაგანი, დიდი ვაჟა-ფშაველას მშობლიური მხარე, ისტორიული ფხოვი. ვახუშტი ბატონიშვილი ტერმინ ფხოვ-ის ქვეშ, ფშავის გარდა, ხევსურეთსაც გულისხმობდა: „ხოლო მზღვრის ფშავს აღმოსავლით მთა კავკასიდამ ჩამოსული (გომბორის ქედი, გ.ბ.) სამჯრით — მთა, ამასა და თიანეთს შორისი; ჩილოთ კავკასი, ამასა და ღლიღვს შორისი; დასავლით მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამჯრით, ამასა და ჰევსურეთს შორისი... არამედ ძველად ეწოდა ამ ორთა კერბათა ფხოელნი და აწ უწოდებენ ესრეთ“.<sup>1235</sup>

ფშავი, როგორც გეოგრაფიული სახელწოდება, დიდი ხანია სპეციალისტთა კვლევა-ძიების საგნად არის ქცეული; მის ირგვლივ არაერთი ვარაუდი გამოუთქვამთ მკვლევრებს, მაგრამ მეცნიერულად სანდო და სარწმუნო ეტიმოლოგია დღემდე არ მოგვეპოვება. სპეციალისტთა ერთი ნაწილი ფშავს სატრმო სახელთან აიგივებს.<sup>1236</sup> ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით ტოპონიმი ფშავი უნდა უკავშირდებოდეს ჰიდრონიმულ ტერმინ ფშა-ს. ს.მაკალათია წერდა: „ფშავი... შესაძლებელია დაკავშირებული იყოს „ფშა“-სთან, რაც ნიშნავს ფშაურად მდინარის ნაპირიდან გამომდინარე წყაროს. ასეთი ფშანი წყაროები ბევრია უკანაფშავის

<sup>1234</sup> ჯ . გ ვ ა ს ა ლ ი ა , ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები: კრებ. სიგე VII, თბ., 1989, გვ. 3.

<sup>1235</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 93, 6.

<sup>1236</sup> პ . ი ო ს ე ლ ი ა ნ ი . ფშავი: გაზ. "Кавказ", №134, 1872.

თემში.<sup>1237</sup> გრ.ზარდალიშვილიც ამავე აზრს ადგა: „ძველთაგანვე ქართული „ფშა-ფხა“ ფუძიანი სიტყვები წყალს, მდინარეს და მსგავს ცნებას აღნიშნავენ. აქედანაა ნაწარმოები „ფშავ(ეთ)ი“ და ფშაველ(ებ)ი.“<sup>1238</sup>

სახელწოდება ფშავის წარმოქმნას სიტყვა ფშას უკავშირებდა თვით ვაჟა-ფშაველა. პოეტის ახლახან აღმოჩენილ ერთ უცნობ ლექსში იგი ასე მიმართავს თავის მეგობარს დ.ბაკურაძეს:

„ფშავი ფშა-წყაროს შეუქმნავ, მცხეთა — მირონის ცხებასა,  
სვანეთი — წმინდა სვანეს, ხალხი — ადგილის დედასა.“<sup>1239</sup>

სიტყვა ფშავი „ფხოვ“-ის ვარიანტად მიაჩნდა აკ.შანიძეს,<sup>1240</sup> რაკი ფხოვ- ტოპონიმს გულისხმობდა იგი უკანაფშავის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება შუაფხო-ში.<sup>1241</sup> თუმცა უნდა ითქვას, რომ მეზობლად მცხოვრები კავკასიელი ტომები — ვაინახები (ჩაჩან-ქისტები) ფხისიტყვას მხოლოდ ხევსურთა აღსანიშნავად იყენებენ, ფშაველების სახელდებისას კი ისინი სხვა ფუძეს (შუიბ) მიმართავენ (მხოლოდ. შოკ||შობ). მაშასადამე მათთვის ხევსური და ფშაველი (მ-შავ-ელ-ი) ეთნიკური თვალსაზრისით განსხვავებული ერთეულებია.

უკანასკნელ ხანს იყო ცდა ტოპონიმ ფშავის სიტყვა შავ-თან საეგებო დაკავშირების თაობაზე (ფ.მაკალათია, 1976), მაგრამ — წარუმატებლად. ტოპონიმ ფშავის ეტიმოლოგია დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს.<sup>1242</sup>

<sup>1237</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , „ფშავი“, თბ., 1985, (II გამოც.), გვ. 20.

<sup>1238</sup> გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება (შემდგენლები გ. გ ე ხ ტ - მ ა ნ ი , ნ. გ ე ხ ტ მ ა ნ ი , გ . ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი და პ. მ ე ს ხ ი) , თბ., 1965, გვ. 135.

<sup>1239</sup> ვ ლ . ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი , ვაჟას უცნობი ლექსი: გაზ. „ერი“, 24.06.1991, გვ. 3.

<sup>1240</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 139.

<sup>1241</sup> იქვე.

<sup>1242</sup> საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ტოპონიმი შუაფხო, რატომაც, -ორ სუფიქსიან სახელად არის წარმოდგენილი: „შუაფხო<sup>რ</sup>ის ქვევით რომ წყალის პირზედ დიდი კლდის ქვაბია, იქაძლის მოაწივა იმათმან (შაპ-აბასის, ვ.ბ.) მხედრობამან... (გვ. 431).

**ფსუნდაჰ-ი** სოფელია ქართლში (დუშეთის რ.). ადგილობრივ ამ სოფელს **შაღანთკარს** უწოდებენ, რადგან აქ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა (ძირითადი გვარი) **შაღაშვილებია**. სოფელი გვიანფეოდალურ ხანაში ჩანს წარმოქმნილი, რადგან აღრინდელი ქართული საისტორიო წყაროები მას არ იცნობენ. ვახუშტი ბატონიშვილი, და მის კვალად იოანე ბაგრატიონი, ფხუნდავს **ფხუნდა-ს** სახით წარმოგვიდგენენ.<sup>1243</sup> როგორც ჩანს, XVIII საუკუნისათვის **ფხუნდა-ავ**- ფორმაში უკვე მომხდარა გამარტივება (-ავ- სუფიქსის ოდენ ა ხმოვნით წარმოდგენა), ისევე როგორც ეს **ნოსტე** (-ნოსტ-ევ-ი), **ჭულე** (-ჭულ-ევ-ი), **სანე** (-სან-ებ-ა) და სხვა არაერთ ტოპონიმში დასტურდება. მაშასადამე, **ფხუნდა ფხუნდავ-** ფორმისაგან გვქონია მიღებული. შინაარსობრივად **ფხუნდავ-ი**, საფიქრებელია, სიტყვა **ხუნდს** უკავშირდებოდეს. ჯუნდი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ტრედთა და გვრიტთა და მისთანათასა... მართვეს ეწოდება“.<sup>1244</sup> ასევე განმარტავს სიტყვა ხუნდს ნიკო ჩუბინაშვილი: „მართვე ტრედთა, ქედანთა, გვრიტთა და მისთანათა“<sup>1245</sup> (საინტერესოა, რომ ხევსურეთში მტრედის შვილს წიწილას/) „ჯუნდურა“ ეწოდება.<sup>1246</sup> ქართული ენის ქართლურ დიალექტში მ თანხმოვნის სიტყვის თავიიდურა პოზიციაში განვითარება (დართვა) ხშირად ხდება, განსაკუთრებით აფრიკატებისა და უკანაენისმიერთა წინ: (მძვალი, მხვლიკი, მწვინტლი, მცხვარი (მემცხვარე), მძუვი, მშური, მძვირი, მწვეტი... ასევე განვითარებული ჩანს **მხუნდ-** ფორმაში მ თანხმოვანი (მხუნდ-ი), რომელიც შემდეგ **ფ** თანხმოვნად ქცეულა (შდრ. მხალი — ფხალი). -ავ- სუფიქსის დართვით არსებით სახელს ტოპონიმის ფუნქცია შეუძენია. **ფხუნდა-ავ-ი**, მაშასადამე, ნიშნავს: „მტრედის ხუნდზე სანადირო ადგილები“, „მტრედის (ქედნის) ხუნდით მდიდარი ადგილები“, ან: „გარეულ ფრინველ-ნადირზე ხუნდის (ხაფანგი, მახე) დასაგები ადგილები“.

<sup>1243</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 199; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 34.

<sup>1244</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 444.

<sup>1245</sup> ნ . ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 473.

<sup>1246</sup> მ . ბ ა ლ ი ა უ რ ი , ნ . მ ა კ ა ლ ა თ ი ა , მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისათვის, თბ., 1989, გვ. 146.



სოფ. ფხუნდავი და მისი შემოგარენი ძველად მართლაც გან-  
თქმული ყოფილა გარეული მტრების (ქედნის), აგრეთვე, ნაღირის სიმ-  
რავლით. საგულისხმოა, რომ ფხუნდავის ახლოს მდებარე ტყიან სერს  
სამგლე||სამგლეები და ციყვიანები ეწოდება.

— ჟ —

**ქაისხევი-ი** სოფელი ქართლში (დუშეთის რ., ანანურის სას. სა-  
ბქო) ქაისხევი დღევანდელი ს.თანდილაანთკარის (მწერალ შ ი ო  
ა რ ა გ ვ ი ს ბ ი რ ე ლ ი ს მშობლიური სოფელი) ძველი სახელწოდებაა.  
იგი გაშენებულია მდ.ვედათხევის მარცხენა შენაკადის, არყალის, ხეობა-  
ში, მის ორივე ნაპირზე.

სახელწოდება ქაისხევი ფონეტიკური ცვლილების შედეგია. თავ-  
დაპირველად უნდა გვეკონოდა **ქასრის-ხევი**, რომლისგანაც მოგვიანებით  
**ქასრის ხევი** მიგვილია. ასეა წარმოდგენილი ეს ტოპონიმი იოანე ბაგ-  
რატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“.<sup>1247</sup> **ქასრის ხევს** იოანე, რო-  
გორც მოსალოდნელი იყო, სდებს საფერშეთვეძისხევსა და აფხავანა-  
ნურს შორის, ზუსტად იმ არეალში, სადაც დღეს ეს სოფელი მდებარე-  
ობს.

1781 წლის არაგვის ხეობის ბარის სოფლების დემოგრაფიული  
აღწერის მასალებში **ქასრის-ხევი** გამარტივებულად, რაეს გარეშეა  
წარმოდგენილი: **ქაისხევი**.<sup>1248</sup> აქედან არის მიღებული შემდგომი გა-  
მარტივებით დღევ. **ქაისხევი**. სახელწოდების ასეთი ნაირგვარი დაწერი-  
ლობა უთუოდ მისი შინაარსობრივი ბუნდოვანებით არის გამოწვეული.  
ქაისხევის ადგილობრივი ხალხური სახელწოდებაც სხვადასხვა ფორმით  
(**ქაისხევი**, **კარისხევი**, **ქარისხევი**) გვხვდება. რუსული წყაროები  
(კ.ჰანი) მას იცნობს **каспис-хевил**-ს სახით. ქართული **ქასრის-ხევი**,

---

<sup>1247</sup> იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსა-  
ცემად მოამზადეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილ-  
მა, თბ., 1986, გვ. 35.

<sup>1248</sup> ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები  
I, თბ., 1967, გვ. 123.

როგორც ზემოთაც ვთქვით, კასრის-ხევი-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. სიტყვა კასრი ძველ ქართულში ნიშნავდა „ციხეს“, „კოშკს“: „მე-წია წმიდასა მას მახლობელად კასრისა“.<sup>1249</sup>

სახელწოდება კასრის-ხევი წარმოქმნილი ჩანს სოფ. ანანურის ცნობილი ციხე-სიმაგრის მიხედვით: აქედან მიიქცეოდა გზა ისტორიული კასრისხევისაკენ ანუ დღევანდელი ქაისხევისაკენ. მაშასადამე კასრისხევი უნდა განემარტოთ როგორც „ციხის-ხევი“.

ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“ წარმოდგენილი სახელწოდებები. კასრი, კასრის-ვეობა, კასრის-კარი,<sup>1250</sup> რომელთაც იგი ვალაგირისა და ფაიკომის დასავლეთით სდებს, ასევე ძვ. ქართული კასრი-სიტყვისაგან ჩანს მიღებული. ამ სახელებისათვისაც ამოსავალია „ციხე“, „კოშკი“ (მდრ. ციხე, ციხის-სოფელი, ციხისუბანი, კოშკები და მისთ.).

**ქართლ-ი** აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი „ქვეყანათაგანი“. ქართლის ამჟამინდელი ტერიტორია 15 რაიონს მოიცავს ესენია: ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის (ქვემო ქართლი — ალგეთ-ქციისა და მაშავერა-ფინეზაურის ხეობები); ბორჯომის, გორის, დუშეთის (სამხრ.-აღმოს. რეგიონი), კასპის, მცხეთის, ქარელისა და ხაშურის რაიონები. აქვე უნდა დავასახელოთ შიდა ქართლის რაიონები, რომლებიც 1991 წლამდე ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იყვნენ გაერთიანებულნი. ესენია: ლენინგორის (ისტორ. ახალგორი), ზნაურის (ისტ. ოქონა), ყორნისისა და ცხინვალის რაიონები.

საყოველთაოდ არის ცნობილი ის ფაქტი, რომ ძველი იბერიის სამეფოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ისტორიულ პროცესში ქართლს მუდამ უმთავრესი პოზიციები ეკავა. ქართვების ქვეყნის უძველეს დედაქალაქში — მცხეთაში — დაირწა ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს სვებედნიერი აკვანი. აქ იჭდა ქართლოსიანთა დინასტიის პირველი და ბრწყინვალე მეფე ფარნავაზი“. და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა

<sup>1249</sup> ილ. აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბ., 1973, გვ. 193.

<sup>1250</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, გვ. 113-116.

ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა".<sup>1251</sup>

სახელწოდება ქართლი ჩვენი გეოგრაფიული ნომენკლატურის ერთ-ერთი უძველესი „ბინადარია“. პირველად იგი მოხსენიებულია მცხეთის ჯვრის მთავარ წარწერაში, რომელიც VI საუკუნის დასასრულისა და VII საუკუნის დამდეგით, კერძოდ, 585/6-604/5 წლებით არის დათარიღებული:

(ჭუარ)ო მაცხოვრისაო სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შ(ეი-წყალ)ე.<sup>1252</sup> ეს ის ხანაა, როცა ჩვენში ქრისტიანულმა რელიგიამ საბოლოოდ გაიმარჯვა და უკვე ნათელი შეიქნა, რომ ქართლის სამეფოს და „ყოველი ქართლის“ სახელმწიფოებრივი განვითარება ქრისტიანული დროშის ქვეშ უნდა წარმართულიყო. ამ საქმის მოთავედაც ქართლის სამეფოს პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ცენტრი „სამეფო ქალაქი“ მცხეთა გამოდიოდა.

გეოგრაფიული სახელწოდება ქართლის შინაარსით თუ წარმოშობის ისტორიით ჩვენში უძველესი დროიდანვე დაინტერესებულან. ლეონტი მროველი სრულიად გარკვევით მიუთითებდა, რომ ქართლი თავისი წარმოშობით თარგამოსის ძის — ქართლოსის სახელს უკავშირდებოდა: „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, რომელსა ეწოდების არმაზი... და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა მას ქართლი და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი...“<sup>1253</sup> „მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი“.<sup>1254</sup> მემბტიანე მარტოოდენ ამ ცნობების მოწოდებით როდი კმაყოფილდება, ის დაწვრილებით შემოხაზავს საზღვრებს იმ ქვეყნისას, რომელიც თარგამოსს თავის რვა შვილთაგან ერთ-ერთისათვის, ქართლოსისათვის, მიუცია: „განუყო თარგა-

---

<sup>1251</sup> ქართლის ცხოვრება ტ. I, (ს . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით), თბ., 1955, გვ. 26, 9.

<sup>1252</sup> ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ე , ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, 1973, გვ. 12-13.

<sup>1253</sup> ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 8, 11.

<sup>1254</sup> იქვე.

მოს ქუეყანა და ნათესავი თვისი რვათა ამათ გმირთა... ღირსებისაებრ მათისა. მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი აღმოსავლეთით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ზღუა პონტოსი, სამკრით მთა, რომელი მიჰყევბის ბერდუჯის მდინარის თავსა და მთა, რომელი მიჰყევბის დასავლით კერძო, რომლისა წყალი მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყევბის მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს, ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი დადო, მთა მკირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან... რომელსა აწ ჰქვიან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს“.<sup>1255</sup>

ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებისათვის სახელთა რქმევა თარგამოსიან-ქართლოსიანთა შტოსი ეთნარქთა საკუთარი სახელების მიხედვით შუა საუკუნეების ისტორიკოს-მემატიანეთათვის ერთადერთი, ამასთან ძირითადი საწარმოქმნო საშუალებაა. ამგვარადვე მისცეს საკუთარი სახელები ქვეყნის სხვადასხვა კუთხე-პროვინციებს ქართლოსის ძმებმა: ბარდოსმა (ქალაქი ბარდავი), ჰეროსმა (ჰერეთი), ეგროსმა (ეგრისი), ლეკანმა (ლეკეთი), კავკასოსმა (კავკასია). კუთხე-ქალაქებისათვის სახელთა რქმევის ამ წესს მიჰყებიან ქართლოსის შვილებიც: უფროსი, ძმებში ყველაზე „უგმირე“ შვილის-მცხეთოსის — სახელის მიხედვით წარმომდგარა სახელწოდება მცხეთა, გარდაბოსისაგან — გარდაბანი, კახოსისაგან — კახეთი, კუხოსისაგან — კუხეთი, გაჩიოსაგან — გაჩიანი...<sup>1256</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მემატიანის მიერ ჩამოთვლილ პირთა და ქვეყნის სახელწოდებები ეტიმოლოგიური კვლევა-ძიებისათვის რაიმე ფასეულ ინფორმაციას არ შეიცავენ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ამგვარი ცნობები საქართველოს ისტორიის მკვლევრებს იმთავითვე არ აკმაყოფილებდა. შემთხვევითი არ არის, რომ მემატიანის ეს მონაცემები თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ლამის „ბიბლიურ ზღაპრებან“ არის მიჩნეული.<sup>1257</sup>

მაგრამ ამგვარად ჩვენ საკითხის მეორე მხარე უფრო გვაინტერესებს. კერძოდ, რა აზრი არის ჩადებული სახელწოდება ქართლში, ვის

<sup>1255</sup> იქვე, გვ. 4-5

<sup>1256</sup> ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 8-9.

<sup>1257</sup> იხ. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 18.

მიერ და როდის არის იგი შექმნილი; პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად უნდა აღვიქვათ იგი, თუ ეთნონიმად ქცეულ საზოგადო სახელად? აი, საკითხთა ერთი წყება, რომელიც სახელწოდება ქართლის ეტიმოლოგიური კვლევის დროს წამოიჭრება სპეციალისტის წინაშე.

წინასწარვე უნდა ითქვას, რომ ქართველ ისტორიკოსთა ერთ ნაწილში დღემდე სამუშაო ჰიპოთეზად რჩება და, მაშასადამე, თავის აქტუალობას არ კარგავს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ვერსია ქართველი ხალხის (ქართვების) ალექსანდრე მაკედონელის დროს არიან ქართლიდან გადმოსახლების თაობაზე.<sup>1258</sup> თუ ეს ასეა, მაშინ თვითონ ტერმინი ქართ-ი, ქართ-ლ-ი უცხოენოვანი სამყაროს კუთვნილება ყოფილა და არა საკუთრივ ქართვების ენობრივი ფაქტი (რისი რწმუნებაც ერთობ ჭირს). აღნიშნულმა გარემოებამ მკვლევრები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ტერმინი ქართ-ლ-ის წარმოშობა უშუალოდ ქართული ენის წიაღში უნდა მომხდარიყო.

შემთხვევითი არ ჩანს ის ფაქტი, რომ დიდი ვაჟა-ფშაველა ტერმინ ქართლის წარმოშობას სიტყვა ქარს („ქარიანი ადგილები“) უკავშირებდა. დ. ბაკურაძისადმი მიძღვნილ ერთ იაჟის ლექსში ვაჟა ასე წერდა:

„ხო მ ი ც ი, ქ ა რ თ ლ ი ქ ა რ მ ა შ ვ ა,  
ა დ გ ი ლ თ ს ი ტ უ რ ფ ე მ — ჯ ა ლ ე თ ი,  
თ ბ ი ლ ჰ ა ვ ა მ — ი ბ ე რ თ ქ ა ლ ა ქ ი,  
კ ო ნ მ ა და ს ე ტ ყ ვ ა მ — კ ა ხ ე თ ი.  
ფ შ ა ვ ი ფ შ ა - წ ყ ა რ ო ს შ ე უ ქ მ ნ ა ვ,  
მ ც ხ ე თ ა — მ ი რ ო ნ ის ც ხ ე ბ ა ს ა,  
ს ვ ა ნ ე თ ი — წ შ ი ნ და ს ა ვ ა ნ ე ს,  
ხ ა ლ ხ ი — ა დ გ ი ლ ის დ ე და ს ა.“<sup>1259</sup>

სპეციალისტ-მკვლევართა ერთ ნაწილს სარწმუნოდ მიაჩნია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ტოპონიმი ქართლ-ი და ქართველ-ი შეიძლება წარმომდგარი იყოს სიტყვა ქართა-საგან, რომელიც ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (იმერული, გურული) ქართა||ქალტა-ს

<sup>1258</sup> გ მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასაც. ნაშრ., გვ. გვ. 15, 20, 28.

<sup>1259</sup> იხ. ვ ლ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ვაჟას უცნობი ლექსი (ჩემს მეგობარ ქართველს, ოსებში ნამყოფს): გაზ. „ერი“, 24 ივლ., 1991, გვ. 3.

სახით არის დადასტურებული. „საქონელს რო ვამწყვრევთ თაზე, შემოკრაგვამთ წყნელით და სარებით... საქონელს ამწყვრევენ, ქართას უძახით...“<sup>1260</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც ქართა საქონლის ბაკთან არის გაიგივებული.<sup>1261</sup> იგივე ქართა||ქალტა საქონლის სადგომის მნიშვნელობით მეგრულსა (ქართა) და სვანურშიც (ლექგრთე) დასტურდება. იოსებ ყიფშიძის მიხედვით ქართა მეგრულში საქონლის საზაფხულო სადგომს, ბაკს აღნიშნავს: „лѣтний хлев (простое загороженное место, открытое сверху)“. ამ სიტყვას აქ დანიშნულების ტერმინიც შეუქმნია — ო-ქართე „место, годное для хлева“ ანუ საბაკე ადგილი. სწორედ ამ ქართა ტერმინს მიიჩნევდა ქართლისათვის ამოსავლად სარგაკაებაძე, რომელიც, მისი თქმით, ქართულ-ქართველურ ენებს გარდა, რამდენიმე კავკასიურ ენაშიც გვქონია შემონახული.<sup>1262</sup>

აღნიშნულმა ვარაუდმა, როგორც უკვე ვთქვით, სპეციალისტთა ერთი ნაწილის მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა.

„ისეთი ფორმების არსებობა, როგორცაა „ქართი“ (მეგრ. ქართუ „ქართველი“, „საქართველო“ და სხვ.), რომელთა კავშირი „ქართლი“ — სახელწოდებასთან ექვს გარეშეა, უცილობელს ხდის, რომ „ქართლ“-ში „ლ“ ცნობილი ქართული დეტერმინანტი-სუფიქსია, ასე რომ ძირეული მასში „ქართ“ ან, უფრო ზუსტად, სწორედ „ქართა“ უნდა იყოს. მნიშვნელობის მხრივაც დასავლურ-ქართული „ქართა“-ს „ქართლთან“ დაკავშირებას დიდი დაბრკოლება არ ხვდება, რამდენადაც... ქართლი უნდა ყოფილიყო ქართლის მეფეთა უძველესი რეზიდენციის დიდი, გალავანშემოვლებული ციხე-სიმაგრის თავდაპირველი სახელი“.<sup>1263</sup>

ეს ვარაუდი შეიძლებოდა სარწმუნოდაც მიგვეჩინა, მაგრამ ჩვენ არ გვაგონდება თუნდაც ერთი ისეთი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ქვეყანას საკუთარი სახელი რაღაც ნაგებობასთან მსგავსების მიხედვით შეარქმეოდეს. ქვეყნებს სახელებს ჩვეულებრივ მის ტერიტორიაზე მცხოვ-

<sup>1260</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიპერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ 400.

<sup>1261</sup> ქეგლ (ერთტომეული), თბ., 1986, გვ. 453.

<sup>1262</sup> ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე , საისტორიო მოამბე I, ტფ., 1924, გვ. 5-8.

<sup>1263</sup> გ . მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ. გვ. 238.

რები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ტომის სახელის მიხედვით არ-  
 ქმევენ: ქართველი (საქართველო), სპარსი (სპარსეთი), რუსი (რუსე-  
 თი), თურქი (თურქეთი), ფრანგი (საფრანგეთი)... შესაძლებელია ერთ  
 ეთნიკურ სიმრავლეში არსებულ ცალკეულ ტომებს სახელი ძირითადი  
 საქმიანობის ან ცხოვრების განსაკუთრებული წესის მიხედვითაც შეარ-  
 ქვან, მაგრამ მტკიცება: „ქართა“ საქონლის ბაკს ნიშნავს და ქართველ  
 მეფეთა რეზიდენციაც შემორჩაღულ-შემოსაზღვრული უნდა ყოფილი-  
 ყო; ამიტომ ქვეყნის სახელწოდებაც, გინდა თუ არა, ამ ფაქტთან არის  
 დაკავშირებულიო, — ერთობ საეჭვოდ გამოიყურება. ამასთან, ძალზე  
 არსებითად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ სიტყვა ქართა(ქალტა) ძველმა  
 ქართულმა საერთოდ არ იცის. ქართა არ დასტურდება არც  
 ქართული ენის ფუძეძალიექტებში — ქართლურსა და კახურში  
 და არც მთის დიალექტებში (მთიულური, ფშავ-ხევსურული, თუ-  
 შური მოხეური), სადაც მესაქონლეობის დარგის ამ ტერმინის არსებობა  
 ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო. ქართა მეგრულსა და სვანურში,  
 ხოლო აქედან — იმერულსა და გურულში თურქულიდან ან ჩრდილო  
 კავკასიის ძირძველი მოსახლეობისაგან (ადილეები, ჩერქეზები, ოსე-  
 ბი...) ჩანს ზეპირი გზით შემოსული. საქმე ისაა, რომ ჩვენებური ქართა  
 უნდა მომდინარეობდეს აღმოსავლური ქართ-ქართ-ქართა სიტყვისა-  
 გან, რომელიც ძალზე ხშირად ფიგურირებს სპარსულ, ჩუვაშურ, ოსურ,  
 მორდოვულ, კომი, მანსი და ხანტურ ტოპონიმიში. ზოგი სპეციალისტი  
 ქართა სიტყვას სპარსული წარმომავლისად თვლის. ეს ფორმა ჩრდილო-  
 ეთის ხალხთა ენებში სკვითების მიერ შეტანილ სიტყვად არის მიჩნეუ-  
 ლი. ჩუვაშურ ენაში სიტყვა ქართა ზუსტად ბაკს, სადგომს, შემოლო-  
 ბილ ადგილს ნიშნავს, მორდოვულსა და ოსურში კი ქართ- ეზოს აღ-  
 ნიშნავს. ქართ-ქართა სიტყვას სახე უცვლია ყაზახურსა და შუა აზიის  
 ხალხთა (ჩუვაშურ, აგრეთვე, ავღანურ) ენებში; ეს სიტყვა აქ ისმის  
 როგორც ქარდა, კანდ-, ქენდ-, კენტ- (სამარყანდ, ტომკანდ||ტამ-  
 კენტ („ქვის ქალაქი“), ჩიმკენტ...),<sup>264</sup> სომხურში ამ საერთო გავრცე-  
 ლების სიტყვას კიდევ განუცდია ცვლილება და კერტ- ფორმად ქცეუ-

1264 იხ. ე. და ვ. მურზაევი, გეოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონი,  
 მოსკოვი, 1959, გვ. 100, 108; ე. მ. მურზაევი, ტოპონიმიკური  
 ნარკვევები, მოსკოვი, 1974, გვ. 230 (რუსულად).

ლა (შდრ. სტეპანაკერტი — ძვ. ტიგრანო — კერტი).<sup>1265</sup> ეს სიტყვა იძებნება არა მარტო უნგრულ-ფინურ, შუა აზიის, ყაზახეთის, სპარსეთის, ავღანეთის, დასავლეთ ციმბირის ტოპონიმიაში, იგი გავრცელებული ყოფილა ჩინეთის ზოგიერთ რეგიონშიც და ჩვენი კონტინენტის დასავლეთ ნაწილშიც, კერძოდ — გერმანიაში. აქ სიტყვა ქართა||ქალტა კარ||კერტი||გარტ- ფორმით არის ტოპონიმებში წარმოდგენილი: შტუტ-გარტ — სიტყვასიტყვით: „ცხენების ბაკი, ეზო“; „ცხენების შესარკვი მოღობილი ნაგებობა“.<sup>1266</sup>

როგორც ვთქვით, სიტყვა ქართა ფართო გავრცელების ერთეულია. დასავლეთ ციმბირში (ჩელიაბინსკის ოლქი) არის ქალაქი ქართალი, რომელიც თურქ. ქართა („ლობე“, „ბაკი“) სიტყვისა და მრ. რიცხვის აღმნიშვნელი -ლი ფორმანტის შეეერთებით არის წარმოქმნილი. იგი ნიშნავს: „ბაკები“, „ბაკ-თა“.<sup>1267</sup> მაგალითის დასახელება კიდევ არაერთის შეიძლება. ზემოთქმული, აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ აღმოსავლური წარმოშობის ქართ-(||ქართა) სიტყვა ქართული ენის დასავლურ დიალექტებში აგრეთვე შეგრულსა და სვანურში, ბევრად უფრო გვიან ჩანს ნასესხები, ვიდრე თვით სახელწოდება ქართლი წარმოიქმნებოდა. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ქართ-, გარტ, კერტ-, კანდ-, ქენდ-... სიტყვები უპირატესად დასახლებული პუნქტების (ქალაქი, დაბა, სოფელი) სახელწოდებებში გვხვდება და არა მხარე-ქვეყნების სახელებში (მაკროტოპონიმია).

როგორც ჩანს, ტოპონიმ ქართლის ქართა სიტყვისაგან მომდინარეობის ეს ვერსია არანაირად არ აკმაყოფილებდა ქართველ სპეციალისტებს. ამიტომაც არ შეწყვეტილა ჩვენში ქართლ-სახელწოდების სრულიად სხვაგვარი გზით ახსნის მცდელობა. 1970-იან წლებში აკ. შანიძემ წამოაყენა ვარაუდი, რომლის თანახმადაც ქართ-სატომო სახელია, სუფიქსი -ლ- (ქართ-ლ-) კი — მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნ

<sup>1265</sup> დაწვრ. იბ. ვ. ი. აბაევი, ოსური ენა და ფოლკლორი I, მოსკოვი-ლენინგრადი, 1949, გვ. 55 (რუს.).

<sup>1266</sup> ვ. ა. ნიკონოვი, მოკლე ტოპონიმიკური ლექსიკონი, მოსკ., 1966, გვ. 480.

<sup>1267</sup> იქვე, გვ. 181.



ფორმანტის ბგერინაცვალი: ქართ-ნ-ი — ქართ-ლ-ი.<sup>1268</sup> უკანასკნელი წლებში დიდმა მკვლევარმა ეს ფრიად საინტერესო ვარაუდი რატომ-ღაც შეცვალა და მის ნაცვლად საკმაოდ საეჭვო თვალსაზრისი შემოგვთავაზა. ახალი ვერსიით ეთნონიმი ქართვ-ელ-ი თურმე სატომო სახელისაგან პართ-ნ-ი, პართ-ელ-ი გვექონია მიღებული 3-ქ მონაცვლეობის გზით.<sup>1269</sup> ამ უკანასკნელ ვარაუდს ავ.შანიძე, როგორც ჩანს, ძალზე მნიშვნელოვან და უცილობელ ვარაუდად მიიჩნევდა, რაკი იგი ჯერ საკავშირო ორგანოში ("Вопросы языкознания, №4, 1978) დაბეჭდა, ხოლო შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოშვებულ ლინგვისტურ ჟურნალშიც („გეორგია“, იენა-თბილისი, 1978) გამოაქვეყნა. აღნიშნულმა თვალსაზრისმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველ სპეციალისტებს შორის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.<sup>1270</sup> ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ, რომ განსხვავებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართუ-ქვეყნის სახელის აღმნიშვნელი სიტყვაა, -ელ კი (ქართუ-ელ-ი) — ადამიანის სწაფრობის მიმანიშნებელი სუფიქსი.<sup>1271</sup>

ჩვენი ვარაუდითაც ქვეყნის სახელწოდება ქართლ-ი წარმოდგარჩი ჩანს ეთნონიმ ქართი-საგან, რომელშიც დეტერმინანტ სუფიქსად -ლ- (- ალ) გამოვლინდება: ქართ-ლ (-\*ქართ-ალ-). ქართლ- ძირისაგან წარმოდგარ სადაურობის მაჩვენებელ სახელში ქართლ-ელ-ი ეს -ლ თავის ადგილზეა, ხოლო მისგანვე წარმოქმნილ ქართვ-ელ- ფორმაში სუფიქსი -ლ- აღარ ჩანს, მის ადგილს ვ იკავებს. ვ თანხმობის გაჩენა ამ ფორმაში კვალიფიცირებულია როგორც „ეთილხმოვნებისათვის ჩართული თანხმოვანი“, ისევე როგორც ეს რაჭ-ვ-ელ ფორმაში გვაქვს. ქართვ- ფუძის :ზუსტი შესატყვისია მეგრული ქორთ-უ-, რაც გვარ ქორთუა-ში დასტურდება. საგანგებო ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მეგრულად თბილისს ქართი (ქვეყნის სახელი) ეწოდება, ეთნონიმი ქართველი კი კანონზომიერი მეგრული ხმოვანმონაცვლეობით (ქორთუ) არის წარმოდგენილი. ეს ფაქტი აღნიშნულ სიტყვათა მეგრულში ნასეს-

<sup>1268</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 53.

<sup>1269</sup> მისივე, ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქართლი, ქართველი: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 23, თბ., 1980, გვ. 7-9.

<sup>1270</sup> იხ. ა ლ . ლ ლ ო ნ ტ ი , ქიზიყის ტოპონიმი, თბ., 1982, გვ. 6, სქ. 13.

<sup>1271</sup> ი ვ . ჯ ა ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია I, თბ., 1960, გვ. 411.

ზობის სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე უნდა მიგვანიშნებდეს.

**ქართ-(||ქართ-უ-||ქართ-ვ-)** ძირის მნიშვნელობა, ისევე როგორც სხვა არაერთი ქართული ეთნონიმისა (კახ-ი, ფშავ-ი, ბესხ-ი, თუშ-ი, სვან-ი, ლაზ-ი შავშ-ი, კლარჯ-ი...), დღესდღეობით გაურკვეველი შინაარსის ერთეულად უნდა მივიჩნიოთ. ერთი რამ აშკარაა: სახელწოდება **ქართლ-ი** ქართული ენობრივი სამყაროს პირმშოა და მას აღმოსავლური (resp. თურქული) წარმოშობის **карда||карта||гард||гордум-(-город)**... სიტყვებთან საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდეს.

**ქარისებ-ი** ეწოდება ვრცელ ადგილებს თბილისის აღმოსავლეთით (ვარკეთილის, სამგორისა და ნაწილობრივ — აეროპორტის ტერიტორია). გ.ზარდალიშვილი ქარისებს ქარ-ი სიტყვისაგან წარმომდგარ ერთეულად მიიჩნევდა.<sup>1272</sup> ქარისებს ადგილის მუდმივი ქარიანობის გამო წარმოქმნილ ტოპონიმად განმარტავს დოც. უშ.სახლთხუციშვილიც თავის საკანდიდატო დისერტაციის მასალებში. სინამდვილეში ტოპონიმ ქარისებს სიტყვა ქარ-თან საერთო არაფერი აქვს. იგი სპარსული ქაჭარიზ-სიტყვისაგან ჩანს წარმომდგარი, რაც ხელოვნურად გათხრილ მიწისქვეშა ქას, წყალსაკრებს, ზოგადად, წყაროს ნიშნავს. როგორც ჩანს, ეს მიწისქვეშა ქეები აქ XVI-XVII საუკუნეებში უნდა იყოს ნაგებ-ნაშენები და იგი მთავარი დასარწყულელებელი უნდა ყოფილიყო სპარსეთ-აზერბაიჯანიდან თბილისისაკენ სავაჭროდ მომავალი ქარაევან-შექარავენებისა. „ქაჭარიზს“ იცნობს სულხან-საბა ორბელიანი, ოღონდ მას ტერმინ ღრუდოსთან „აგზავნის“ — „ესე არს ორმო და ორმო ამოთხრილი წყალთ პოვნისათვის ურწყულთა ადგილთა, რომელსა სპარსნი ქაჭარიზს უწოდვენ.“<sup>1273</sup> უნდა გაეიხსენოთ, რომ ქარისები ნახევრად უდაბნო ადგილებია, უწყლო და ხორშაკიანი და იქ სასმელი წყლის ძიება ხელოვნური ქეების გათხრით ხდებოდა. ტერმინი ქაჭარიზი ქეჭარიზს||ქეჯარიზ ფორმით, როგორც მოსალოდნელი იყო, დაცულია ქართული ენის ინგილოურ დიალექტში იმავე მნიშვნელობით: „ქა, ღრმული, წყლიანი ხარო“: „ვეზირევ გადას (-ვაჟი) ერ ღრუმ ქევერიზში აგ-

<sup>1272</sup> იხ. თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, 1978, გვ. 69.

<sup>1273</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ., ტ. IV, თბ., 1966, გვ. 257.

**ქაპრიზ-** ფორმას ქართულში მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია — დაკარგულა ჰ თანხმოვანი, ისევე როგორც სპარსულიდან ნასესხებ სხვა სიტყვებში მოხდა (ბალაჰვარ — ბალაეარ, ფაჰლაეან — ფალაეან, შაჰყულა — შაყულა, ალაჰვერდ — ალავერდი და მისთ.); ამას გარდა ბოლოკიდური ზ ს-ანად ქცეულა და ასე გადაქართულე-ბულ ქარის- ფორმას სიმრავლე-კრებიტობის -ებ- ფორმანტიც და-რთვია და საბოლოოდ ქ ა რ ი ს ე ბ ი მიგვიღია.

ვიმეორებთ: ტოპონიმი ქარისებ-ი არამც და არამც არ უკავ-შირდება ადგილის ქარიანობას. იგი წარმოშობით სპარსულ-აზერბაიჯან-ულია და წყლის ხელოვნურ კებს, ღრუდობებს ნიშნავს. ამ ადგილებში ქაპრიზების არსებობა უთუოდ მიგვანიშნებს იმ ცხოველ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომელიც ძველ საქართველოს აღმოსავლე-თის ქვეყნებთან ჰქონდა დამყარებული.

**ქემერტი-ი** სოფელია ცხინვალის რაიონში. აქედანაა ცნობილი ქართული გვარი ქემერტელიძე. ტოპონიმ ქემერტის წარმოშობა, შესაძლებელია, ანთროპონიმული მონაცემების გათვალისწინების გზით გაირკვეს. საქმე ისაა, რომ გასული საუკუნის დამლევს შედგენილ ამიერ-კავკასიის მხარის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რუკაზე სოფელი ქემერტი დატანილია როგორც ქემერთა (КЕМЕРТА). სხვათაშორის, ზოგი ჩვენი ისტორიკოსი და არქეოლოგიც ამ ტოპონიმს ქემერთა-დ მოიხსენიებს.<sup>1275</sup> მაშასადამე, ტოპონიმის საწარმოქმნო მოდელი (ქემერ-თა, ქემერ-თ-ი) გვაფიქრებინებს მის ანთროპონიმულ წარმომავლობას. ტოპონიმისათვის, კერძოდ ამოსავალი ჩანს გვარი ქიშერიძე. ამ გვარის, ბუნის ერთად მყოფობა ტოპონიმში გაფორმულა როგორც ქიშერ-თ-ი (-ქემერ-თ-ი||ქემერ-თა) — „ქიშერიძეების სოფელი“, „ქიშერიძეების დასახლებული უბანი“.

<sup>1274</sup> რ . ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე . ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 457, ნ . რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი , ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, გვ. 190.

<sup>1275</sup> კ ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი , აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII ს.ს.) თბ., 1973, გვ. 27.

ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავის ცნობილ ნაშრომში ამ სოფელს ქიმერეთ-ად მოიხსენიებს: „ახალდაბას ზეით ერთვის მტკვარს სამხრიდამ ზევი ქიმერეთისა... ქიმერეთისხევს ზეით ერთვის მტკვარს სამხრიდამვე ზევი კორტანეთისა“.<sup>1276</sup> ეს სოფელი ქიმერეთი-ს საბით არის მოხსენიებული იოანე ბატონიშვილის ქართლ-კახეთის აღწერაში.<sup>1277</sup> ტოპონიმს, მაშასადამე, ასეთი ფონეტიკური ცვლილებანი განუცდია: ქიმერეთ-ი||ქიმერთ-ი → ქემერთა → ქემერტა → ქემერტ-ი.

ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით სოფლის სახელწოდების წარმოშობა ძმათა მიერ ახალი სამოსახლოს ძიებასთან ყოფილა დაკავშირებული: „რაქიდან წამოსულა ერთი კაცი-ოთინა მანსურაძე და აქ დასახლებულა. მოწყობილა კარგად. მერე მონატრებია რაქა, წასულა და ძმებს რო უნახიათ, უკითხავთ, როგორ მოეწყვე, როგორ ცხოვრობო? კარგად ვარო, უთქმია ოთინას, მარა ქე მარტო ვარო. წამოყოლიან იქიდან ი ორი ძმა ყაულა და ღერკენა და დოუსახლებია თავისთან ახლოს. ესენი რო გამრავლებულა, ოჯახ-ოჯახ სახლობენ თურმე, ძმა-ბიძაშვილობა და მამიშვილობა ერთათ არიან და ისე გასულან, რო უბნებათაც გამოყოფილან. იმ უბნებს ახლა ერთს ოთინაანთს უძახიან, მეორეს ყაულაანთ, მესამეს კილო ღერკენაანთ უბანს. ძმების სახელობაზე მოდენილა“.<sup>1278</sup>

სინამდვილეში, როგორც უკვე ვთქვით, სოფლის სახელწოდება ქემერტი ქიმერიძეთა გვარიდან ჩანს წარმომდგარი: ქართლის სოფლებს შორის ქიმერ-ეთ-ი XV-XVI საუკუნის ეკონომიკურ ძეგლებშიც არის მოხსენიებული.<sup>1279</sup> ...

..

**ქვაბულა** სოფელი და მდინარე გურიაში (ჩოხატაურის რ.). ზემო გურია საქართველოს ერთ-ერთი რეგიონია, სადაც ალბათ ყველაზე ხშირად შეხვდებით გეოგრაფიული სახელწოდებების უცნაურ გააზრებებს, ათასგვარ ხალხურ გადმოცემებს, ლეგენდებს და თქმულებებს. ამ მხრივ

<sup>1276</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 83, 22.

<sup>1277</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , 1986, გვ. 45.

<sup>1278</sup> სფ.

<sup>1279</sup> ს . ჯ ი კ ი ა , გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი II. თბ., 1941, გვ. 21.

გურიას მთიანი რაქა-ლეჩხუმი და ზემო იმერეთი თუ დაუდგება გვერდით. ყველაფერი ეს ჩვენი ხალხის უსაზღვრო ფანტაზიასა და გამომგონებლობა-წარმოსახვის დიდ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

მდინარის სახელწოდება ქვაბლა (მისი სახელი სოფელზედაც გადასულა) ადგილობრივ განიმარტება როგორც „ქვა ბღავის“. ხალხს თავისი მოსაზრების დასტურად ასეთი გადმოცემა შეუქმნია: „ქვაბლა მთის სწრაფი დინარეა, სუფთა წყალია, ფსკერზე ქვაი ჩანა. ქვები გალეულია, წყლის დინებითაა გალეული, გადარეცხილია. რომ ეცემა წყალი ქვას, თითქო ბღავა. შეურქმევეიათ ქვა ბღავა, აქიდან კი ქვაბლა დარჩენილა“ (გია გურამის ძე ნინიძე, დ.ნატანები).

ჩვენი ვარაუდით ჰიდრონიმის -და ელემენტი ზანური (მეგრული) დალის („ლეღე, მდინარე“) შეკვეცილი სახე უნდა იყოს, ქვაბ- ფუძე კი ქართულია: („კლდეში ნაკვეთი ქვაბი, ქვაბული“). ამრიგად ქვაბლა შეიძლება განვმარტოთ როგორც ქვაბის, მღვიმის წყალი: „მდინარე, რომელიც სათავეს იღებს გამოქვაბულებიან ადგილებში“.<sup>1265</sup> შდრ. ქვაბის-ხევი (მდინარე და სოფელი ბორჯომის რაიონში). როგორც ვხედავთ, ქვაბ-ლა(ლი) და ქვაბის-ხევი ზუსტი „ტყუპისცალები“ ყოფილან.

**ქვაბლა** ადგილის სახელად დასტურდება ზემო იმერეთში (ტყიბულის რ.). ხალხური ტრადიციული გადმოცემა ტოპონიმის წარმოშობას ერთ საკმაოდ უცნაური ამბავს უკავშირებს: „ხალხს უმალ მამულებზე ხშირათ დავა ქონებიენ. ერთ მეკომურს თურმე მეზობლის ადგილი ნანდომება, მამაპაპით ჩემი იყო და მე უნა მოვხნა და კიდეც უნა შევიწიო მოსავალიო. სხვა ოჯახი არ ანებებდა, ჭკარზე დევიფიცავ, ეგ ყანა ჩემი მამა-პაპის კუთვნილი იყოო. მადანა მარტო სიმიდის ნამცვენით ვინახავდი ჭალათსო. მოუყვანიენ სუღია და უნდა. იმან გოუჩინოს მართალი და ტყუანი. — აბა, ახლა ვისი სადანა იყო, თქვით სიმართლითო. დაყვირილი კ'არ ყოფილა. ერთს უთქვამს, ჩემი აქანობამდი იყო, ე, ლეღე რო ჩამოდის, იქანა ქვა იდგავო. — თუ საზღვრის ქვა მადანა იდგა და მეზობლებიც გემოწმენ, ნანდვილა შენი ყოფილა, — უთქვამს ამ სუღიას და შოურიგებია მოდავენი. იმ ადგილზეა მერე ქვა-

<sup>1260</sup> ქვაბლა, ზ.ქუმბურიძის ვარაუდით „ქვა-ყრილს“ ნიშნავს (ქართ. ქვა და კან. ბლა „დაყრილი“): რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 251.

იღვა უძახნიათ“ (მიხეილ საგანელიძე, ქ.ქიათურა).

სინამდვილეში ტოპონიმს სასაზღვრო (სამიჯნაო) ქვის დებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. სახელწოდების თავდაპირველი ფორმა ქვა-დიდა უნდა ყოფილიყო, საიდანაც ფუძის გამარტივებით, (ერთი დონის ჩავარდნით) საბოლოოდ ქვაიდა მიგვიღია (იხ. სტ. ნოღაიდა).

**ქვაფთქარი-ი** ვრცელი ტყის მასივია მთიან რაქაში (ს. საკაო, ონის რ.). ტრადიციული ხალხური გადმოცემა ტოპონიმ ქვაფთქარის წარმოშობას სიტყვა აფთარს უკავშირებს. ამის გამო ხალხს ასეთი ლეგენდაც შეუქმნია:

„ერთ წყემს გოგონას აფთარი გამოკიდებია. ქალიშვილი გამოქცეულა თავის შეყვარებულთან, რომელიც ცხვარს იქვე ახლოს აძოვებდა, მაგრამ შეშინებულს თურმე მუხლი მოკვეთია და გულწასული მიწაზე დავარდნილა. საქმროს ეს გაუგია და მისკენ გაქცეულა. ვაჟს ქალიშვილი მოუხულიერებია. ამ დროს დაუნახავს აფთარი, რომელიც გოგონას კვალზე მოსდევდა. ქალი საქმროს გულში ჩაჰკვრია და უნატრია: ნეტავ ახლა აფთარი ქვად იქცეს და როცა საქმროს სიყვარული მომბეზრდება, მხოლოდ მაშინ გააცოცხლოს ღმერთმაო. გოგონას ნატვრა ღმერთს შეუსმენია და აფთარი იქვე გაუქვავებია. ახლაც ქე აგღია ის ლოდი მიდორში“.

ამ შესანიშნავ ლეგენდას ტოპონიმ ქვაფთქარი-ს წარმოშობასთან საერთო, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს. ქვაფთქარი ნიშნავს ქვაბთ-კარი („კლდეში ნაკვეთი ადგილები“), ოღონდ მას მცირე ფონეტიკური ცვლილება განუცდია (მედერი ბ ყრუ თ-ანის მეზობლობაში ასიმილაციის წესით დაყრუებულა და ფ თანხმონად ქცეულა. აქ ზუსტად ისეთი პროცესი მომხდარა, როგორც ეს სახელწოდება გუფთა-ში (იხ.) და ქოფთაში (იხ.) დავადასტურეთ. ანალოგიური შემთხვევა ქართულ ტოპონიმიაში სხვაც არაერთი გვხვდება. შეიძლება, მაშასადამე, დავასკვნათ, რომ ქვაფთქარი სხვა არაფერია, თუ არა ქვაბთ კარი — („გამოქვაბული ადგილები“). საინტერესოა, რომ ზემო იმერეთში, სოფ. წირქვალში არის ადგილი, რომელსაც ქვაფუტქარი ჰქვია.<sup>1281</sup> საფიქრებელია, ეს ტოპონიმიც იმავე ქვაფთქარი-საგან მომდინარეობდეს,

<sup>1281</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I, ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 207.

ოღონდ ქვაბთკარი||ქვაფთკარი ადგილობრივ ფუტკარ-სახელთან გაუზრიანებიათ. ანგარიშგასაწევია, რომ ზემო იმერეთშივე (ს.მიქაუტიძეები) არის ტოპონიმი ქვაბთა||ქვაფთა, რაც ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს.

**ქვანხრედი-0** ცნობილი ისტორიული სოფელი ცენტრალურ ქართლში (გორის რ.). ეს სახელწოდება საკმაოდ დიდი ხნოვანებისაა. იგი ქართულ საისტორიო ძეგლებში X ს-ის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება: „მოვიდა დავით კურაპალატი, ჩამოდგა ქუაჭურელთა. მოეგება წინა ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძე, აღიღო მისგან უფლისციხე“.<sup>1282</sup> **ქვანხრელი** ორფუძიანი სახელია: ქვა და ხვრელი. იგი ნიშნავს: „კლდე, რომელშიც ბუნებრივი გამოქვაბულებია, ხვრელებია“.

ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებაში **ქვანხრელი ქანხრელ-**ად გამოითქმის: „ხანულობა ...ქანხრელში ორ-ორმა იციან“. „ქანხრელში რძეს რო მიუტანენ და რო გასცლიან ქურქელს, შიგ ბურის ლუკმებს ჩაუყრიან და ისე მიუბრუნებენ“.<sup>1283</sup> დიალექტური ფორმა **ქანხრელი** უნდა დასდებოდეს საფუძვლად ტოპონიმ ქვანხრელის ხალხურ განმარტებას: „ერთხელ ქალები წყალზე მიდნენილან. გზად გაუვლიათ კლდის ძირში. ერთ-ერთ ქალს კლდეში რაღაც ხვრელი შეუმჩნევია და გაოცებულს წამოუძახია: უი, ქა, ხვრელი!“

საინტერესოა, რომ ქვანხრელის ანალოგიური სახელი დადასტურდა ლეჩხუმში, ს.აღუში (ცაგერის რ.). აქ კლდოვან ადგილს ეწოდება **ქვანხრელი!** (ქვანხრელის ძველი ქართული ფორმა). ხალხური განმარტებით **ქვანხრელი** ადგილს თითქოს იმიტომ შერქმევია, რომ ესაა ქვიანი ადგილი და **სიცხეში ქვა ხურს**. ასეთი განმარტება ხალხური ეტიმოლოგიის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

**ქვემოქვანა** საყანე ადგილია ს.გორდში (ზონის რ.). ქვემოიშვრულ დიალექტში, როგორც ცნობილია, ზმნიზედური ქვედა გადმოიცემა ქვერა სიტყვით, ისევე როგორც გადა- ზმნისწინის ნაცვლად გარა-

<sup>1282</sup> „მატიანე ქართლისა“ ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 272, 17.

<sup>1283</sup> ი. გიგინეიშვილი, ვთოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია I, 1961, გვ. 290.

გვხვდება (გარევიდა „გადავიდა“, გარეირია „გადაირია“...). ამის მიხედვით ქვერახანა უთუოდ ქვედა ყანას ნიშნავს „სოფლის ქვემო (ქვედა) მხარეს მდებარე მამული“.

აქაურ მოსახლეობაში კი ასეთი თქმულებაა გავრცელებული: „ერსი ლეჩხუმელი ნათესავი, სტუმრად მოსვლია გორდელ კაცს. მოწონებია ძალიანი სიმიდის ყანა და უთქვამს: „დედა, ქვე, რა ყანააო!“

**ქვეშეთი-ი** სოფელია მთიულეთში, მდ. არაგვის მარჯვენა სანაპიროზე. სასოფლო საბჭოს ცენტრი. ქვეშეთი გვიანდელი დასახლებული პუნქტია, იგი XIX საუკუნის შუა წლებიდან დაფუძნებულია. ამიტომაც არის, რომ ამ სოფლის არსებობა უცნობია ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებისათვის. ადგილობრივ სწორად განმარტავენ მის წარმოშობას: „დიდველის“<sup>1284</sup> დაბლაა, ქვეშ არი და ქვეშეთი იმიტომა შქვია“.<sup>1285</sup>

მართლაც, ტოპონიმი მსაზღვრელდაკარგულ სახელად მოჩანს. იგი რადაცის ქვეშეთია, რომელიდაც ობიექტის ძირში, ქვეშეთ მდებარე ადგილია. ასეთად კი უნდა იგულისხმებოდეს საყოველთაოდ ცნობილი ჭერის უღელტეხილი თავისი ურთულესი რელიეფითა და ზიგზაგად, ქარაფების თავზე გაყვანილი სამხედრო გზით. სოფელი მღეთა და უფრო ცოტა ქვეშეთ-ქვეშეთი (ძველი ქიმბარიანის კუთვნილი მიწები) მართლაც გზა — კიბის ქვეშეთად მოჩანს. სახელრქმევის მოტივაცია სრულიად გამართლებულია.

**ქვიღრიღელი** ასე ეწოდება ერთ-ერთ პატარა ხეობას ზემო აქარაში (ხულოს რ.). სახელწოდებაში ძნელი არ არის სიტყვა დღელ-გამოყოფა. წინამავალი ქვიღრი-კი, ჩვენი ფიქრით, არის ნათესაობით ბრუნვაში დასმული. შესიტყვება ქვის ღარი (— ქვის ღარის — ქვი(ს)ღრის — ქვიღრი). ეს ღარ-სიტყვის კუმშვის იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ რთული შედგენილობის სიტყვაში (კომპოზიტში) ასეთი რამ მოსალოდნელია (მდრ. გვარი პატარქლიშვილი, რომლის ერთი შემად-

<sup>1284</sup> იგივე — კაიშაურის ველი, მწერალ მ.ლერმონტოვის მიერ "Койшаурская долина"-დ დასახლებული ობიექტი.

<sup>1285</sup> ჩაწერილია გ ხ ო რ ნ ა უ ლ ი ს მიერ (იხ. მისი „მთები და სახელები“, თბ., 1983, გვ. 183).



გენელი სიტყვა — ჩვეულებრივ უკუმშველი ფუძე ქალი რედუცირებული სახითაა წარმოდგენილი: ქლი(ს). ამ შემთხვევაშიც: ღარ-ის — ღარ-ის — ღრი.

მაშასადამე, ზემოაქარული მიკროტოპონიმი ქვიღრიდელე ნიშნავს: „პატარა წყალი, დელე, ხევი, რომელზედაც ქვის ღარი ყოფილა დადგმული“. აქარის ტოპონიმიკის ცნობილი სპეციალისტის გუგული დიასამიძის ცნობით უწინ ამ ადგილს მართლაც მდგარა ქვის ღარიანი პატარა წისქვილი.

**ქოფთა** კლდოვანი ადგილების საერთო სახელწოდებაა მთიულეთში, ხადის ხეობის დასაწყისში (დუშეთის რ.).

ტრადიციული (ხალხური) გადმოცემის მიხედვით ქოფთა წარმომდგარა სიტყვა ქორი-საგან (უფრო სწორად, ქორის ფრთისაგან), რომელსაც საფუძვლად დასდებია ერთობ გავრცელებული თქმულება: „უწინ, ქოფთის თავებს ვეტყვი, მთიბავები თურმე სთიბვენ. სადილი რომ მიუტანია, ქობი მიწაზევე დაუდგამ ქალებსა. სად რა იქნებოდა. რა იცის კაცმა; წამოსულა გველი და ამ ცხელ ქობში ჩახარშულა! ახლა მოიდენ ეს მთიბლები და უნდა რო პური ჰკაონ. ამიიღებს ეს ქალი ქიტაითა<sup>1266</sup> ამ წვენსა და რო, უნდა დაასხას, წამაუქროლებს ეს ქორი და გაჰკრავს ამ ფთასა, აღვრეინებს წვენსა. კიდავა. ამიიღებს და კიდავეგი. არა და არ დაასხმეინა. გაცეტდენ ეს მუშები. დაგვისხი, ნუ დაგვხოცე მშვივრები, კაცო! აბა რა დაგისხათ, ხო უცქერთ, ეს ქორი რასაც ამეს ჩაადენს! მერე მაუფიქრებია. რო აბა, კაცო, ავდგეთ და ვნახოთ ერთი, რა არი! ჩაუხედნია ამ ქობში და — თქვენი ავად მახსენებელი! — გველია აეგე შიგათ ჩახარშული! მამრე უთქომ რო. აჰაი, როგო გადურჩენივართ ამ ქორსა! დაჰქვივნეს მას. მემრე იმ ადგილებსა ქოფთა, მითამ ესე, რო ქორის ფთამ დაიცვა იმოტენა ხალხი დაწამლასა“. (ბედოიძე მარო გიგოლას ასული, ს.ბედონი, 1966 წ.). ძნელი არ არის მიეხვდეთ, რომ ეს ამბავი ცნობილი მოარული თქმულების ერთი ვარიანტთაგანია, ოღონდ თუ ზოგ ვერსიაში მუშებს ყვავი გადაარჩენს („ყვავის საყდარი“), აქ ლეგენდის შემთხვევლი იძულებულია ყვავის ნაცვლად მთიბლების გადარჩენა ქორს მიაწეროს, რადგან სახელწოდება

<sup>1266</sup> ქიტი (მთიულ.) ხის დიდი კოვზი, საწენე, ჩაშა (ლ. კაიშაური).

ქოფთა მას ქორის ასოციაციას უჩენდა და არა ყვავისას. სინამდვილეში ტოპონიმი ქოფთა წარმოდგარა „ქვაბ“- სიტყვის მთიულური „ქობი“ ფორმისაგან, რომელსაც საწარმოებელ სუფიქსად -თა სუფიქსი დაურთავს: ქობ-თა „ქვაბებიანი, ანუ ბუნებრივ გამოქვაბულებიანი კლდოვანი ადგილები“. ქოფ-თა სახელში ფ მქლერი ბ-ანის ასიმილაციური დაყრუების შედეგად მიგვილია. აქ ზუსტად ისეთი პროცესი მომხდარა, როგორც ტოპონიმ გუფთაში შეგვხვდა. რაც შეეხება ო ხმოვანს, იგი აშკარად ვა- კომპლექსისაგან მომდინარეობს (მღრ. გვარი — გარი, ცხვარი — ცხორი, თვალი — თოლი, ჭვარი — ჭორი, კვალი — კოლი, ძვალი — ძოლი...).

არ არის გამორიცხული, ისიც, რომ ტოპონიმი ქოფთა რთული ქოფთავი-საგან გქონდეს მიღებული, რადგან, როგორც ვიცით, ქართული ენისათვის ნიშანდობლივია კომპოზიტ სიტყვათა გამარტივებისაკენ ლტოლვის საერთო ტენდენცია.

ქსრთა სოფლებია ქართლში, ახალგორისა და ცხინვალის რაიონებში. სახელწოდების სარწმუნო ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. სტრუქტურული თვალსაზრისით ქურთა განხილულია -თ-ა სუფიქსიანი ტოპონიმების (კორინ-თ-ა, ქორ-თ-ა, ღარ-თ-ა, ჩხიკვ-თ-ა...) გვერდით.<sup>1267</sup> სუფიქსი -თ- ამ ტიპის გეოგრაფიულ სახელწოდებებში გაიაზრება როგორც ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ნიშანი: ქორ-თ-ა (-სახლ-ებ-ი), ღარ-თ-ა (-ღარ-ებ-ი, ღარ-ებ-ის-ა; „ადგილი ღარები-სა“)...<sup>1268</sup> ამ თვალსაზრისს რომ გავყვეთ, მაშინ ქურ-თ-ა უნდა გაგვეგოროგორც „ქურ-ებ-ის-ა“ ანუ „ქურების ადგილი“. სინამდვილეში აქ სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. ტოპონიმისთვის ამოსავალი გამხდარა ქართული ენის მთის კილოებისათვის (ფშავ-ხევსურული, მთიულური) კარგად ცნობილი სიტყვა ქურთ-ი, რომელიც საქონლის გამხმარ ნაკელს ეწოდება; იგივე წივა: „საზამთრო-საზაფხულო, ღროებით საცხოვრებელ ნაგებობებს მარტო ნაკელითაც გოზავენ (-ლესავენ). გახმობის შემდეგ ამ ნაკელს ქურთი ეწოდება და მას საწვავად იყენე-

<sup>1267</sup> ა. ლ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ი., მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. 23.

<sup>1268</sup> ა. ლ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ი., დასახ. ნაშრ. გვ. 23.

ბენ“.<sup>1289</sup> ქურთ-ი საქონლის ნაკელი, რომლითაც მიწური საბლების კედ-  
ლებს ლესავენ და მიუვალ სოფლებში ზამთარში ცეცხლშიაც სწვამენ,  
წივა.<sup>1290</sup>

მაშასადამე ქურთა (ქურთ-ა) უნდა გავიაზროთ როგორც „ქურ-  
თიან-ა“; „ადგილი, სადაც ქურთს საწვავად ხმარობენ“; „მწყემსთა სა-  
ზაფხულო სადგომი, სადაც ქურთით შეღესილი ქობებია“. „ადგილი, სა-  
დაც საქონლის ან ცხვრის დრემლის გროვებია“.

მესაქონლეობა-მეცხვარეობის დარგის სიტყვა ქურთი უღევს სა-  
ფუძვლად ივრის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფელ (ამჟამად ნა-  
სოფლარ) ქურთისკარს. აღნიშნული ტოპონიმის წარმოშობას, მართა-  
ლია, სატომო სახელს — ქურთს — უკავშირებენ (ვლ.აბრამიშვილი,  
იბეჟანიშვილი),<sup>1291</sup> მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს  
ტოპონიმიც იმავე ქურთ- სიტყვისაგან არის წარმომდგარი. მოხეურ დი-  
ალექტში ქურთს („საქონლის გამხმარი ნაკელი. წივა“)<sup>1292</sup> ბართი ჩა-  
ნაცვლებია. აქედან მომდინარეობს გუდამაყრული მიკროტოპონიმი ბარ-  
თკარი, იგივე ბარტკალი (იხ.) აგრეთვე მოხეური ტერმინი ქვაბართაი  
(„ქვაზე დამხმარი ბართი ანუ ნაკელი“).<sup>1293</sup>

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ შიდა ქართლში, აგრეთ-  
ვე, ქსნის ხეობაში დადასტურებული სოფლის სახელები ქურთა მომდი-  
ნარეობს სიტყვა ქურთი-საგან („საქონლის გამხმარი ნაკელი ან ცხვრის  
დრემლა“) და იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს ადგილები ძველად  
მთიელი მწყემსების საზაფხულო იალალებად ყოფილა გამოყენებული.

ქცობა (||ხრამ-ი) ცნობილი მდინარეა ქვემო ქართლში იგი სა-

---

<sup>1289</sup> ა. ლ. ჭი ნ. კ. ა. უ. ლ. ი., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960,  
გვ. 277.

<sup>1290</sup> ლ. ი. ა. კ. ა. ი. შ. ა. უ. რ. ი., მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967,  
გვ. 237. იხ. აგრეთვე, მ. ბ. ა. ლ. ი. ა. უ. რ. ი. და ნ. შ. ა. კ. ა. ლ. ა. თ. ი. ა., თბ., 1989,  
გვ. 47.

<sup>1291</sup> იხ. ჩვენი ერწო-თიანეთის ტოპონიმი, თბ., 1980, გვ. 186-187

<sup>1292</sup> მასალები საქართველოს შინაპრეწველობისა და ხელოსნობის ისტო-  
რიისათვის I, თბ., 1976, გვ. 182.

<sup>1293</sup> ი. ვ. ქ. ა. ვ. თ. ა. რ. ა. ძ. ე., ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985,  
გვ. 341.

თავეს იღებს დაბაძველისა და ნარიანის სანახებიდან. ტოპონიმიის სპე-  
ციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა უშენიშვნოდ იზიარებს ვა-  
ხუშტი ბატონიშვილის ვერსიას, თითქოს მდინარე ქციას სახელი „მოე-  
გოს“ დაუდგრომელი ბუნების გამო: „ვინათგან ა ქ ც ე ვ ს კ ი დ თ ა ,  
რავდენცა მტყიცე ქვიტყირისა იყოს, მის გამო იწოდა ქ ც ი ა“.<sup>1294</sup>  
სხვათა შორის ვახუშტი ასეთივე „დამაქცევარ“ მდინარედ მიიჩნევდა  
მდ.ტეხურასაც, რაკი მასში „ტეხ“ ძირს ხედავდა: „დის მდინარე ტე-  
ხ უ რ ი . იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შე მ უ ს რ ა ვ ს და  
მ ტ ე ხ ა რ ე შ ყ ო ფ ს ჯიღსა თუ სხვასა რაის“.<sup>1295</sup> დიდი გეოგრაფო-  
სის ამ ნააზრევის ხელაღებით გაზიარების<sup>1296</sup> მიუხედავად, ჩვენ მაინც  
მიგვაჩნია, რომ ჰიდრონიმი ქ ც ი ა სულ სხვაგვარი წარმოშობის ერ-  
თეული უნდა იყოს. პირველ რიგში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ  
ძველ ქართულში, V საუკუნიდან მოკიდებული შუა საუკუნეების ჩა-  
თვლით, ქც ძირის შემცველი ზმნა-ტერმინი მხოლოდ საგნის, ობიექტის  
მოდრაობის მიმართულების აღმნიშვნელად გამოდიოდა (სათანადო  
ზმნისწინების დართვით). ნგრევის, დაქცევის აღსანიშნავად იმ ეპოქებში  
„დამხობა“ ზმნა გამოიყენებოდა („შუშანიკის წამება“, „ვეფხისტყაოსა-  
ნი“). ამ თვალსაზრისით მრავლისმთქმელია საინტორიო ძეგლი „ქარ-  
თლის მ ო ქ ც ე ვ ა“, რომელშიც ერის შემობრუნების, სააქეთო (სა-  
ქრისტიანო) მოქცევის იდეაა დაფიქსირებული.

„დაქცევა“ ზმნამ ნ გ რ ე ვ ი ს შინაარსი როგორც ჩანს, გვიან,  
დაახლ. XVI-XVII სს.-დან შეიძინა. საინტერესო ის არის, რომ თვითონ  
ვახუშტი მდინარის დინების მიმართულების შეცვლას მ ი ქ ც ე ვ ა  
ზმნით აღნიშნავს: „მდინარე ესე ბ ე რ დ უ ჯ ი ... დის აღმოსავლით ქოქ-  
კნამდე, მერმე მ ო ი ქ ც ე ვ ი ს (დაყოფა ჩვენია, გ.ბ.) და დის ჩდილოთ  
კერძ და მიერთვის ქციის მდინარე“; „მოერთვის რიონს ჯ ე ჯ ო რ ი ს .  
მდინარე. დის კუდაროს ჩასავლით... მერმე მ ო ი ქ ც ე ვ ი ს და დის  
ჩდილოთ, რიონამდე“.<sup>1297</sup> უთუოდ ამნაირადვეა წარმოქმნილი ჰიდრონიმი

<sup>1294</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ, 1997, გვ. 44, 6.

<sup>1295</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , იქვე, გვ. 167, 28.

<sup>1296</sup> იხ. კ . ხ ა რ ა ძ ე , 1991, გვ. 71.

<sup>1297</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წ. II, ქართლი, მ ო ს ე  
ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ი გამოც ტფ., 1895, გვ. 50.

ქცია, რომელიც ჯერ სამხრეთიდან მდინარებს ჩრდილოეთით, ნაზიდურიდან კი ის მკვეთრად უზევს აღმოსავლეთისაკენ ანუ სხვა მხარეს მიიქცევა. ქცია, მაშასადამე, ისეთივე შინაარსის ერთეული ყოფილა, როგორცაა: მისაქციელი, მოსაბრუნე, გადასაქციელი... მდ. ქციას, დროა მოეხსნას უსამართლოდ მიკუთვნებული ბრალდება, როგორც „ქვეყნის დამაქცევარს“, ხიდების დამანგრეველს და ა.შ. ქცია, უბრალოდ, ის მდინარეა, რომელიც დინების მიმართულებას მკვეთრად იცვლის, სხვა მხარეს მიიქცევა.

## — ლ —

**ღამეკლე** (||**ღამეკლდე**) ასე უწოდებენ ზემოიმერეთის სოფ. ზოდის, აგრეთვე რგანისა და ხალიფაურის მცხოვრებნი თავიანთი სოფლების შემოგარენში არსებულ მღვიმეებს, კლდე-ქვაბულებს. რგანისა და ზოდის მოსახლეობის ერთი ნაწილი ღამეკლეს მეორენაირად ღამეტყეს უწოდებს, მაგრამ ეს ფაქტი, ვფიქრობთ, სახელწოდების გადააზრიანებით უნდა იყოს გამოწვეული. თვითონ ტოპონიმი ღამეკტე (||ღამეკდე) ნიშნავს: „ბნელი გამოქვაბული“, „მღვიმე, რომელშიც დღის სინათლე არ ატანს“.

საინტერესოა, რომ ზემო იმერეთის მიკროტოპონიმიაში სიტყვა ღამე აქა-იქ გვხვდება სიშავის, სიბნელის სინონიმად. ასე, მაგალითად ს.მაქათუბანში (ხარაგ. რ.). ტყის სახელად დადასტურებულია ღამითავი. აქე ჩამოედინება პატარა წყალი, რომელსაც ღამისთავის დეღე ჰქვია. სოფ. უბისში არის სახნავი მამული, სახელად ღამისთავი.<sup>1298</sup> ამჟამინდელი მამული ნატყევარ ადგილზეა გაშენებული, ამიტომ იმ ადგილებში მდგარ ტყესაც ღამისთავი უნდა რქმეოდა.

ანალოგიური შინაარსის ტოპონიმები შეინიშნება არაგვის ხეობის ფშავშიც (დუშეთის რ.). აქ, ვაკისოფელში, ადგილ ციხეგორთან, ჩამოედინება პატარა მდინარე, რომელსაც ღამეხევა ეწოდება.<sup>1299</sup> იგი, იმე-

<sup>1298</sup> იხ. საქართველოს სსრ ტოპონიმია I, ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 212.

<sup>1299</sup> მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, წყლის კულტის გადმონაშთები ქვემო ქართლში. კრებ. ქვემო ქართლი, თბ., 1990, გვ. 188.

რული ტოპონიმების მსგავსად, უნდა გავიგოთ როგორც „შავი (ბნელი) ხევი“, „მდინარე, რომელიც ბნელ, უმზეო ხეობაში მოედინება“. იმავე უმზეობა — სიშავის (სიბნელის) მიხედვით განიმარტება ტოპონიმი ჰარკილო|არკილო „უმზეო, ბნელი ადგილი“ (თ.უთურგაიძე).

**ღარმისკარი** ისტორიული ადგილია მცხეთის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ნარეკავისა და არაგვის შეერთების ახლოს. ადგილის სახელწოდება ღართა (აქედანაა ღართისკარი) ერთ-ერთი უძველესი ქართული ტოპონიმა. იგი მოხსენიებულია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“, აგრეთვე „მატიანე ქართლისა“-ში ჯერ წმინდოს მოღვაწეობის, ხოლო შემდგომ ბაგრატ IV-ის ფადლონის წინააღმდეგ ბრძოლის ამბებთან დაკავშირებით.<sup>1300</sup> აღნიშნულ ქრონიკებში ღართა მოხსენიებულია როგორც „იწრონი ადგილნი“; ვახუშტი ბატონიშვილსაც ღართისკარი „ღრმა ხევად“ აქვს მოხსენიებული: „ვევი ღრმა და მშრალი“.<sup>1301</sup>

ტოპონიმი ღართა (ღართისკარი) წარმომდგარია სიტყვა ღარისაგან, რომელიც თავდაპირველად ხევის, ღრმულის სინონიმი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ ღარ-სიტყვის მიხედვით ჩვენში არაერთი სოფლის სახელი და უფრო მეტი მიკროტოპონიმი წარმოქმნილა: ღართა (სოფელია ქართლში, ხაშურის რ.), ღარ-ი (სოფელია რაჭაში, ონის რ.), ღარისთავ-ი (სოფელი შიდა ქართლში, ზნაურის რ.), ღარისწყალა (ქვემო და ზემო) (ღუშეთის რ.), ღარისხევ-ი (სოფელი ზემო იმერეთში, ხარაგაულის რ.), ღარულა (მდინარე ონის რ.-ში, რიონის მარცხენა შენაკადი), ქოხისღარ-ი — წყაროა ს.უბისში (ხარაგაულის რ.), შავი ღარ-ი ღელეა ს.ცხენთაროში (ზესტაფონის რ.), ღარათა — ღელეა ზემო იმერეთში (სოფ. ითხვისი, ქორეთი, შროშა),<sup>1302</sup> — ღარა მთა, „დაღარულ-ხევებიანი მთა“.

ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ღართისკარი მეორეული ტოპონიმა. იგი, როგორც უკვე ვთქვით, წარმომდგარა დამოუკიდებლად არსებული ღართა მიკროტოპონიმისაგან. თავის მხრივ ღართა გაფორ-

<sup>1300</sup> იხ. ქართლის ცხოვრება ტ. I, თბ., 1955, გვ. 110, 16; 311, 7.

<sup>1301</sup> ვ ა ხ უ ბ ე ტ ი , აღწერა... 1941, გვ. 62, 26.

<sup>1302</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმა I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 212.

მებულია უძველესი ქართული -თა სუფიქსის გამოყენებით, რომელსაც ძირითადად კრებითობა-სიმრავლის აღნიშვნა ჰქონდა დაკისრებული. შდრ. ბერ-თა, ვან-თა, მოგვ-თა, მცხე-თა, ქვაბ-თა, გუბ-თა, ჩხიკვ-თა, მოწამე-თა... მაშასადამე, ტოპონიმი ღარ-თა ნიშნავს „ღარებად დახრამული ადგილი“, „ხევეებიანი ადგილი“. შემდგომ ღართას დართვია საქართველოს ტოპონიმიაში ერთობ გავრცელებული სიტყვა „კარი“, რომელიც სიტყვასიტყვით ადგილს ნიშნავს. შდრ. კლდეკარი, წყაროთკარი, ქვაბთკარი, ხილიკარი, სიპიკარი, ოხვამეკარი (-სალოცავის კარი ანუ ადგილი), ბანცურთკარი (-ბანცურების სოფელი), ჯინხასკარი (-ციხისკარი), ტაშისკარი, მალაროსკარი და სხვ. მრ.

ნათელი ეტიმოლოგიის მიუხედავად (ღარი- ღარ-თა) ტოპონიმს რატომღაც სიტყვა ღარდას უკავშირებენ.<sup>1363</sup>

**ღარჩხელა** მოზრდილი ღელე-ხევიკა, სოფ. სუხჩაში (ზონის რ., მათხოჯის სას.ს.). ეტიმოლოგია უცნობია. როგორც თვით სოფლის სახელწოდება (სუხჩა - სურ-ჩხე/ა „წყალთეთრა“), ღარჩხელა-ც ზანური (მეგრული) ენის კუთვნილებაა, თანაც ის იმავე შინაარსის შემცველია, რაც სუხჩა („წყალი თეთრი“): ოღონდ საქმე ისაა, რომ ღარჩხელა სახელს მეტი ფონეტიკური ცვლილება განუცდია. პირველ ყოვლისა სახელში უნდა გამოიყოს საზღვრული ფუძე რჩელ-ა, რომელიც ჩვენ მეგრ. ჩხე||ქჩე („თეთრი“) სიტყვის გადაბგერებად მიგვაჩნია, (თუკი მას მეორეგვარი ახსნა არ მოეძებნა. რჩელი „დაფენილი ადგილი“). რაც შეეხება პირველ (მსაზღვრელ) ღარ- ფუძეს. იგი მეგრულივე ღალ- („მდინარე“, „ღელე“) სიტყვისაგან არის წარმომდგარი მომდევნო რ სონორთან ასიმილაციური ზემოქმედების შედეგად, თუ ჩვენი ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ღარჩხელას თავდაპირველ ფორმად ღალ-რჩელა უნდა ვცნოთ და „წყალთეთრად“ განვმარტოთ. ღალ სიტყვის ღარ-ად ქცევაში ალბათ ლომის წილი ქართულენოვან (იმერულ) მოსახლეობასაც უდევს, რომელმაც მეგრ. ღალი ღარ სიტყვად გაიაზრა.

**ღაბი** ცნობილი სოფელი რაქაში (ონის რ.). ადგილობრივ შეიძ-

<sup>1363</sup> შ. გოგათიშვილი, საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა ახსნა-განმარტება, თბ., 1981, გვ. 42.

ლება შეგვხვდეთ სოფლის მეორე სახელი რაჭისთავი, რაც მარტოოდენ მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე არ უნდა მიგვანიშნებდეს; ეს სახელწოდება სოფელს, ალბათ, მისი დაწინაურებული მდგომარეობის გამო შეერქვა. ღები ისტორიულად ძლიერი, ხალხმრავალი სოფელი იყო; იგი გამოირჩეოდა აღებ-მიცემობის დიდი მასშტაბებით; ღებელები ხომ იმთავითვე სახელგანთქმული ჩოდრები ანუ ცოცხალი პირუტყვით მოვაქრე ხალხი იყო.<sup>1304</sup> ამასთანავე ღებელები მხიარულებითა და ენაკვიმატობითაც გამოირჩეოდნენ.<sup>1305</sup>

ვახუშტი ბატონიშვილი ზემო რაჭის სოფლებთან განსაკუთრებით გამოყოფს ონს, ქიორას და გლოლა-ღებს: „არს გლოლა, დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღვსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჭვართა და წიგნებითა, ძველადვე ხიზნულნი... არს ქიორა, დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი, გოდლოვანი. ამას ზეით, ჩდილოთ კერძოდ, დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი... მაგარი, ვიწრო და შეუღალი მტერთაგან“.<sup>1306</sup> ღების ეტიმოლოგიას ვახუშტის ნაშრომში ვერ ვხვდებით. როგორც ჩანს, ხალხური ვერსია — სოფელ ღების საღებავ- (ღებვა) სიტყვისაგან მომდინარეობის თაობაზე მის დროს ცნობილი არ ყოფილა. აქაურთა თქმით სოფელს ღები იმიტომ შერქმევია, რომ აქ ითხრებოდა საღებავი მიწა (ღები?), რომლითაც შალეულს და ყოველგვარ ქსოვილს ღებავდნენ.

სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ღები წარმოშობით სვანურია. ღგებ|ღებ ფუტკრის გობს ანუ სკას აღნიშნავს.<sup>1307</sup> ასეთი რამ ზემო რაჭის ტოპონიმიისათვის მოულოდნელი არ არის, რადგან ამ კუთხეში სვანური წარმომავლობის ოიკონიმები, ანუ სოფლების სახელები აქა-იქ თუ იჩენს თავს (სვანურის გავლენის კვალი უფრო ხელშესახებია ლეჩხუმის ტოპონიმიისაში). ოღონდ ღები უნდა გავიანზროთ არა როგორც უშუალოდ ფუტკრის სკა (გეჭა, გობი), არამედ როგორც „საფუტკრე ადგილი“, „ადგილი, სადაც ფუტკრის სკებს დგამენ გაზაფხულ-შემო-

<sup>1304</sup> იხ. ლ. ფ რ უ ი ძ ე , რაჭა ეთნოგრაფის თვალთ, თბ., 1986, გვ. 13.

<sup>1305</sup> ღებელთა ენამასვილობის ერთ-ერთი ნიმუშია: არ გამბერე ტყუილებით?! — აბა, შე კაცო, ამდენი მართალი სად არი?

<sup>1306</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 161, 20.

<sup>1307</sup> ზ . კ . უ მ ბ უ რ ი ძ ე , „დედაენა ქართული“. გვ. 518.



დგომობით“ (მდრ. ტოპონიმი ხა-სკ-ია (-სა-სკე-ა). ლების სვანური წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მესტიის რაიონში არის სოფ. ღვებრა („საფუტკრეები?“), ლენტეხის რაიონში კი — სოფ. ღობ-ი, იგივე ღვებ-ი.

**ღორეშა** სოფელია ზემო იმერეთში (ხარაგაულის რ.) გაშენებულია კვადოურას ზევის ორივე ნაპირზე. „კვადოურა დინარე არ არი, მოსიარულე წყალია, ღორეშას ორ ნაწილად ყოფს“.<sup>1302</sup> „ჩვენთან დინარე წყალი ბევრია. ჩამოდის, ელუბრას უძახიან, ჩემო ბატონო. ხუცისო-ულ ღელეს ვიტყვით ჩვენე კიდო. კვადოურა არი, იმან იცის ძანიალი ადიდება, ხან ერთ მხარეს გადავარდება, ხან მეორე ხარეს, მოსიარულე წყალს უძახით იმას ჩვენე. არის კიდო პატარავანი წყაროწყლები, მარა ყველეს ვინ მოყობა!“ (დავით ორჯონიკიძე, ქ.თბილისი).

ხალხური განმარტების მიხედვით სახელწოდება ღორეშა თურმე გარეული ღორის სიმრავლეს უკავშირდება: „როცა მოვიდენ, ეს ხალხი ჩაესახლენ, თა იყო ეს მიდამოები და გარეული ღორები იყვენ და და-არქეს ღორეშა“.<sup>1303</sup> სხვაგვარი გადმოცემით სოფლის სახელი ღორეშა თურმე გარეული ღორის ეშვებთან ყოფილა კავშირში: „აქანა იტყვიან დიდვან ტყეებს, კაცი ვერ გეიარდა. ყოფილა ასე. უმანდელი რაც გამი-გონია, ასთეა, რომეო უმოწყალო ცოდნია ჩვენს ტყეში ღორი. უმალამ-დელი ამბავია, ახლა როა, ასთე კარ ყოფილა. ცოდნია უმოწყალოთ გარეული ღორი. აქანა ყოფილა რაქიდგან გადმოსული სამი ძმა, სამივე კაი-კაი მონადირე, სუ გამზადილი ქონებია იარალი. იმათი მონახსოვრე ახლა აღარავინაა. ბაბუასგან მაქ განაგონები. როიცა რო დააპირებდენ ნადირობას, გაამზადებდენ კინას დათვისათვი ან გლის დასაქირავათ, გა-იმზადებენ საგძალს, ნავანშმიეფს დეისვენებდენ კათ, მერე დილაბინდში ისთე გევიდოდენ სახლიდან, არავის რო არ ცოდნებოდა, შეიპარავდენ ფეხს. ამათ ნავხეს, რო ქერეხივითაა დაყრილი ღორის ეშვი. დოუწყენ თვალეირი, რა არი, სიდანი არი. თვალცხად ღორის ეშვია, სათვალავი არ ქონებიენ! ახლა ამგენს ქვალი ასვიენ, რო თელათ ეს ღორის ეშვი წამეილონ და მოიტანონ უკლებლივ. იკვირთეს ეს ამოდენი ეშვი, მოდი-

<sup>1302</sup> ქ ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, 1974, გვ. 586.

<sup>1303</sup> მ ი ს ი ე ე , ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 404.

ენ ჩაგანძულივით. — რაიანო, რო კითხენ, ვერ დამალენ, გოუმცხადენ, რო ასთე და ასთე ნავხეთ, თლა ღორის ეშვია დაგებული ჩვენს ტყე-შიო. მას შემდეგ სოფლიზა დოუთქმევეია ღორ-ეშვა იგივე ღორეშა“ (დავით ორჯონიკიძე, თბილისი, 1979).

გადმოცემა უთუოდ მიმზიდველი და მრავლის მთქმელია. პირველ რიგში ისაა საინტერესო, თუ როგორც ცდილობს ხალხური ეტიმოლოგიების მოყვარული პირი მოგონილი ამბის ისეთნაირად წარმართვას, რომ მსმენელი ფაქტის უქველობაში დაარწმუნოს. აქვე კარგად ჩანს მთქმელის პოეტური წარმოსახვის დიდი უნარიც: ერთმა კონკრეტულმა, მაგრამ მისთვის გაუცნობიერებელმა სიტყვამ შეაქმნევინა უცნაური ამბავი მონადირეთა მიერ ტყეში ღორის ეშვების პოვნის თაობაზე.

თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რომ ნებისმიერი კუთხის ტოპონიმია აქ მცხოვრები ხალხის ენობრივ (დიალექტურ) ნორმებს არის დაქვემდებარებული, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ღორეშა ზემო იმერული დიალექტის კუთვნილებაა და მისი ახსნაც ამ დიალექტის მონაცემებით უნდა ვცადოთ. ჩვენი ფიქრით ღორეშა ორი ფუძისაგან შედგება: ღორ- (იგივე ღვარ-) და ზმნური რეშ- (რეშავს; და-რეშ-ილი, და-რეშ-ვა) ძირი. ზემოიმერული დიალექტის მიხედვით დარეშვა ნიშნავს ერთბაშად მრავალი რაღაცის (მცენარე, ხეები...) მიჭრით დაფენას, დაწვენას: „თელი ყანები დარეშილია“.<sup>1310</sup> დარეშვა გადატანით აღამიანებზედაც ითქმის, როცა რამდენიმე პირი ერთდროულად ავად შეიქნება. შდრ. „თელი ოჯახი დარეშილია სახალით“.<sup>1311</sup> იმერულშივე ცნობილია მრეში წვიმა.<sup>1312</sup> სოფ. ვახანში დადასტურებული მიკროტოპონიმი ნარეშავი (ვენახის ნაკვეთია), რომელიც იმავე რეშავს ზმნისაგან არის წარმოქმნილი. ამავე ზმნისაგან ჩანს მიღებული რეში („ფიცხი“, „გაათრებული“). რეშვა, დარეშვა დიდი წვიმის აღმნიშვნელი სიტყვაა ზემო იმერეთში: „ისე დარეშა, რო სულ წალეკა ყანები“.<sup>1313</sup>

<sup>1310</sup> ქ ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, 1974, გვ. 124.

<sup>1311</sup> ი ვ . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , მასალები იმერული ლექსიკონისათვის: კრებ.

ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, თბ., 1963, გვ. 131.

<sup>1312</sup> იქვე, გვ. 143; იხ. აგრ. პ . გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე , 1976, გვ. 60.

<sup>1313</sup> ბ წ ე რ ე თ ე ლ ი , ზემოიმერული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, 1938, გვ. 119.

სიტყვა რეში (დიდი წვიმის მნიშვნელობით) ქართლურ დიალექტშიც დადასტურდა, თუმცა ეს ფაქტი იმერიზმად უნდა ვცნოთ, რადგან რეში, დარეშვა იმერეთის მომიჯნავე სოფ. ჩუმათელეთის მეტყველებაშია ფიქსირებული.<sup>1314</sup> ამას გარდა ზემო იმერეთის (ხარაგაულის რ.) მიკროტოპონიმიში გვხვდება რეშ- ფუძისაგან წარმოქმნილი ჰიდრონიმებიც. ახალსოფელში (ფარცხნალის სას. ს.) დასტურდება ღელისა და მინდვრის სახელი მარეშელა. აქვეა მარეშელას წყარო, ს.ხიდარში კი მოედინება მდინარე-ხევი მარეშელას დელე. სოფ. ხიდარისავე ერთ-ერთ უბანს ღელის სახელი მარეშელა ეწოდება.<sup>1315</sup>

როგორც მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რეშ-||რიშ- ძირები მნიშვნელობით დიდ წვიმას, თქემს, ღვარცოფს უკავშირდება; დარეშილი, ჩარეშილი, გადარეშილი კი ამგვარი წვიმა-დელგმის შედეგს აღნიშნავს. ამდენად შეუძლებლად არ გვეჩვენება იმის დაშვება, რომ ღორეშა (ღვარეშა) ისეთ ადგილს უნდა შერქმეოდა, რომელსაც მდინარე-ხევეები ხშირად რეშავს, ქვაღორლით და სილით მორეშავს; დარეშილი ადგილები.

**ღორისთავი-ი** ძველისძველი ნასოფლარია ქვ.ქართლში, სოფ. კაზრეთის (მადნეულის) შემოგარენში (მდ. მაშაერის ხეობა). ვახუშტი ბატონიშვილი სოფელ ღორისთავს სწორედ მაშაერის ხეობაში შემავალი სოფლების ნუსხაში წარმოადგენს. XVI-XVII საუკუნეების ქართული საისტორიო და ეკონომიკური მასალების მიხედვით სოფელი ღორისთავი საკმაოდ დიდი და ძლიერი სოფელი ჩანს. იგი საბარათიანოს საგამგებლოში შედიოდა, თუმცა მოგვიანებით სააკაძეთა გვარის კუთვნილ მამულადაც ქცეულა. ამასთან ერთად ცნობილია ისიც, რომ გუდარეხელებს და ღორისთაველებს გაუთავებელი დავა ჰქონიათ მამულების გაყოფის თაობაზე.<sup>1316</sup> XVII ს-ის შუა წლების ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია: „გუდარეხელნი და ღორისთაველნი ბედენზედ სა-

<sup>1314</sup> ქართლური დიალექტის ლექსაკონი, თბ., 1981, გვ. 176.

<sup>1315</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემო იმერეთი (გამოსაცემად მოამზადეს ი. ბ ა ქ რ ა ძ ე მ , შ . ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე მ და ვ . ჯ ო ჯ უ ა მ ), აკად. შ . ძ ი ძ ი გ უ რ ი ს რედაქციით. თბ., 1987, გვ. 121-122.

<sup>1316</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 192.

მძღვარს“ ეცილებოდნენ ერთმანეთს. დავის გარიგების წიგნით **ლორის-თაველთ** დარჩათ „რაც წყალი ნათლისმცემლის ქვეშეთ წირამთისკენ დაიქცევის“. <sup>1317</sup> მეორე საბუთის მიხედვით: „**ლორისთაველებს**: ზურაბა ფანიაშვილს, გოგია ხუციშვილს და ჯიმშერა მექვაბიშვილს ხატზე უნდა დაეფიცათ, რომ გუდარეხის ღვთისმშობელსა და გუდარეხელებს ამ ადგილებზე ხელი არა ჰქონდათ“. <sup>1318</sup> **ლორისთავი** მკვიდრი მამული იყო ამოწყვეტილი სააკაძისა“ (1700 წ.). <sup>1319</sup>

ხალხური ვერსია სოფელ **ლორის-თავის** წარმოშობას რატომღაც სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გაგებას უქერს მხარს: მაშავრის ხეობას ერთხელ ურიცხვი მტერი შემოსევია, მაგრამ ქართველთა მცირე ლაშქარს ღვთის განგების გაუმარჯვია და ურჯულოებისათვის თავები **ლორებივით** წაუჭრიათო. ამ ხალხურ გადმოცემას ზოგიერთი ჩენი მკვლევარი რატომღაც სარწმუნოდ მიიჩნევს: „ეს თქმულება ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ეს ადგილი ქ.დმანისისაკენ მიმავალ ცენტრალურ გზაზე მდებარეობდაო“. <sup>1320</sup> უნდა ითქვას, რომ მკვლევარი იცნობს ვარაუდს: **ლორის-თავის** **ღვარის-თავისაგან** მომდინარეობის შესახებ (იგი ეუთენის ლ.მუსხელიშვილს), მაგრამ გადამწყვეტ მნიშვნელობას მაინც რატომღაც ხალხურ ვერსიას ანიჭებს. **ლორის-თავი** რომ მართლაც **ღვარის** **თავი-საგან** არის წარმომდგარი („სადვარე ადგილის ზემო ნაწილი, თავი“), სრულიად აშკარაა. რაკაში, (ს.ჟოშხა), მაგალითად, არის ადგილი (გორაკი), რომელსაც **ლორიკუდი** ეწოდება. მართალია, ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტოპონიმსაც პირდაპირი მნიშვნელობით განმარტავს (აქ იკრიბებოდნენ საქეიფოდ თავადები, რომელთაც ყვარებიან შემწვარი **ლორის** **კუდი** და სუფრაზედაც ბლომად მოატანინებდნენ ხოლმე; ადგილსაც ამიტომ შერქმევია **ლორიკუდიო**). მაგრამ ნათელია, რომ ამ შემთხვევაშიც ადგილის სახელდებისათვის სიტყვა **ღვარი** გამხდარა: **ღვარის** **კუდი** („ღვარის სათავეები“).

<sup>1317</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 232.

<sup>1318</sup> იქვე, გვ. 232-233.

<sup>1319</sup> იქვე, გვ. 233.

<sup>1320</sup> კ. ხ ა რ ა ძ ე , დმანისის რაიონის ტოპონიმები: „მაცნე“ (ისტორიის სერია) №1, 1982, მ ი ს ი ე ე . საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი, თბ., 1991, გვ. 38

შდრ. ერწო-თიანეთური „ივრის კულები“ („ადგილი, სადაც სათავეს იღებს მდ. იორი“).

— ყ —

**ყარათუბანი**-ი სოფელია სამცხეში (ადიგენის რ.). ხალხური გადმოცემის მიხედვით სოფლის სახელწოდება თურმე სიტყვა ყორესთან ყოფილა დაკავშირებული. ძველად თათრის ჯარი შემოსევია მესხეთს და ეს აყვავებული სოფელი მთლიანად დაუნგრევია, ყორედ უქცევია; ხალხს კი მისთვის ყორეთუბანი შეურქმევიაო. ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ ტოპონიმის პირველი ფუძე თურქ. ყარა სიტყვისაგან („შავი“) გვაქვს მიღებული და ამიტომ ყარათ-უბანი „შავუბნად“ უნდა გავიგოთ.<sup>1321</sup> ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქმულია სხვა ქართველი გეოგრაფების მიერაც.<sup>1322</sup> თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში სიტყვა უბანი-ი ჩვეულებრივ, გვარებისაგან წარმომდგარ ტოპონიმებში გვხვდება (ლეჩუბანი, ქველეთუბანი, გუდათუბანი...), მაშინ ყარათუბანიც ქართულ ანთროპონიმულ სახელწოდებად უნდა ვცნოთ. ნიშანდობლივია ისიც, რომ პირველი ფუძე თანაირ მრავლობითშია დასმული და ამიტომ იგი ისეთსავე სახელად გვეჩვენება, როგორცაა: მარტო-თუბანი, ჭიქ-თუბანი. ყველაან-თ-უბანი, რუსაან-თ-უბანი, მთიულ-თ-უბანი, ქველეთ-უბანი, მაქა-თ-უბანი, გუდა-თ-უბანი, ხელ-თ-უბანი, ბეჟა-თ-უბანი...

ყარათ-უბანი, მაშასადამე, შეიძლება გავიაზროთ როგორც ყარაშვილთა (ყარალაშვილების?) უბანი.

---

<sup>1321</sup> შ. გოგატიშვილი, საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებების აბსნა-განმარტება, თბ., 1981, გვ. 42.

<sup>1322</sup> გეოგრაფიულ სახელწოდებათა აბსნა-განმარტება, (შედგ. ვ. პ. გუგუშვილის, ნ. ზ. გუგუშვილის, გ. ი. ზარდალიშვილის და ე. პ. მესხის მიერ), თბ., 1965, გვ. 137.

**ქაზბარ-ი** ნასოფლარი ადგილია ივრის ხეობის სათავეებში (თიანეთის რ.) ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არსებული გადმოცემის მიხედვით ყაფარი „ძველი სოფელია, ციხეები მდგარა, იმათი ყორე-ნაშალი ახლაც ჩანს. ციხე მუდამ მეორე ციხეს გასცქერდა, მტერი ვერსაით შაუილოდა. ერთხალაც შამოსულა აქა თათრის ჯარი, უნდა რო აიღოს და ჩადგეს თვითონ და ახდენოს კულუხი და წაიღოს... ციხეში რო ხალხი დგას, იმათ თურე წინ-წინვე დაჰკვიღვეს და თოფით ისრე დაუხატრია, რო კაცი აღარ გაუშვია ცოცხალი. რახან **დახაფრეს**, გაუქვივნებაე **ხაფარი**“ (ალექსი დულუზაური, ს.არხალი). ზოგიერთის ცნობით სოფელი გაშენებული ყოფილა კლდოვან ფერდობებს შორის: „აქათ რო დაჰკვიღლებდი, იქიდან შამოგძახებდა, **მყეფარი** ადგილები იყო“ (ილო ბეჟანიშვილი, დ.თიანეთი). ამ ვერსიათაგან არცერთი სწორი არ არის. ტობონიმი **ყაფარი** ძველ ქართულ ენაში, აგრეთვე დღევანდელ დიალექტებში, ცნობილი სიტყვაა, იგი დაქანებულ, ფრიალო ადგილს, ციკაბო აღმართს ეწოდება. საბა ასე განმარტავს ყაფარს: „ვაკესა რა მცარე აღმართობა შეეტყობოდეს, უწოდენ ამრეცსა, და მისსა უძნელესსა — აღმართი და სრულიად ძნელი — ფრიალო და ყაფარი“.<sup>1323</sup>

საინტერესოა, რომ სიტყვა **ყაფარი** (||**მყაფარი**) ზუსტად ამ მნიშვნელობით ჯერ კიდევ გიორგი მერჩულის (X ს.) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ არის დადასტურებული: „და კუალად ოდესმე ეამსა ყინელისასა ძმანი ტყესა მას ხანცთისასა შთამოჰყრიდეს ძელსა და მათ თანა იყო ნეტარი გრიგოლ... და ძმა ვინმე მოხუცებული ადგილსა ძელისა სავალსა განვიდოდა და ძმათა მათ სხუათა უმეცრად ძელი ფრიად დიდი განუტევეს. და ვითარცა იხილა ძმამან მან ძელი იგი მძაფრიად მიმავალი, შეშინდა და ჯმა ყო დიდითა ჯმითა: „მაშაო, შემეწიე!“ ხოლო მან (გრიგოლმა, გ.ბ.) ჯუარი დასწერა ძელსა მას და ჰრქჳა: „სახელითა ქრისტესითა დადგე, ძელო!“ და სიტყუამან მისმან, ვითარცა კლდემან უძრავმან, დააყენა ადგილსა მას **მყაფარსა** მყინვარსა ზედა მოქანებული საშინელად...“<sup>1324</sup>

ნასოფლარ ყაფარის ადგილმდებარეობა ამართლებს ყაფარის ამ

<sup>1323</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. ტ. IV, თბ., 1965.

<sup>1324</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, თბ., 1964, გვ. 294, 35.

მნიშვნელობას: ის მართლაც ძნელადსავალი აღმართი ადგილია. მოხე-  
ურ დიალექტში დადასტურებული ქაფარი („დიდი ფრიალო კლდე“)<sup>1325</sup>  
უთუოდ საერთოს ავლენს ყაფარ- სიტყვასთან; თავის მხრივ მოხ. ქა-  
ფარი სალიტერატურო ქარაფი-ს სახენაცვალი ფორმა ჩანს. ყაფარ-ი,  
ქაფარ-ი, ქარაფ-ი ერთ სემანტიკურ ბუდეს უნდა ქმნიდეს.

**ყვირილა** (||**დიღვჩალი**, **შავი წყალი**) დასავლეთ საქარ-  
თველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდინარე. ვახუშტი ბატონიშვილი  
საკმაოდ დაწვრილებით აღწერს მდინარის მთელ „თავგადასავალს“, მისი  
„დაბადებიდან“ რიონთან შეერთებამდე: „ხოლო გამოსდის ყვირილა ერ-  
წოს ტბას და მოდის ჩდილოდამ სამკრეთად ქალამდე, ქალიდამ ნავარ-  
ძეთამდე — აღმოსავლეთიდან დასავლად, გრეხით: ნავარძეთითამ შო-  
რაპნამდე — ჩდილოდამ სამკრით; შორაპნიდამ რიონის შესართავამდე  
— აღმოსავლიდამ დასავლეთად და მცირედ ჩდილოთ კერძოდ მიწვეით.  
არამედ (დის) საჩხერიდამ შორაპნამდე კლდოვანსა და მალას ვრამო-  
ვანსა შინა და შორაპანს ქვეით — ფლატოვანს-ქალოვანსა შინა. ამ  
ყვირილასა შინა იპყრობის თევზნი... ყოველნი, თვინიერ ზუთხისა, ხო-  
ლო საჩხერეს ზეით არს კალმახთა სიმრავლე და სხვა არარაი და არს  
სასმისად გემოიანი და შემრგო და თვინიერ უხმარი“.<sup>1326</sup>

ვახუშტი უყურადღებოდა არ ტოვებს მდინარის სახელწოდების  
წარმოშობის ისტორიასაც: „მდინარემან ამან მოიგო სახელი ესე თვისის  
ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა. ვინათგან ხმოვანებს შორ სასმე-  
ნელად“.<sup>1327</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მდ. ყვირილის ამგვარი განმარტება  
ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსების ნაწერებში გვხვდება. კერ-  
ძოდ, ცნობილ ბიზანტიელ მწერალს, პროკოპი კესარიელს (VI ს.) ნა-  
თქვამი აქვს, რომ მდინარე რეონს (იგივე რიონი) ერთვის მდ. გლავი-  
კოსი (გლავკოს). იგი ქართულად გადმოითარგმნება როგორც ყვირი-

<sup>1325</sup> ი ვ . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985,  
გვ. 340.

<sup>1326</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 151, 4.

<sup>1327</sup> იქვე, გვ. 151, 4.

ლი, ხმაური, ძახილი.<sup>1328</sup> საკითხავია, რომელი წყაროდან სარგებლობს ვახუშტი: იცოდა მან პროკოპი კესარიელის ეს ცნობა, თუ მის დროსაც არსებობდა ანალოგიური ხალხური ვერსია მდ. ყვირილის ზმნური ყვირილისაგან მომდინარეობის თაობაზე? არსებითი კი ამ შემთხვევაში ისაა, რომ მდ. ყვირილის ეტიმოლოგია სულ მცირე, VI საუკუნიდან უკვე ცნობილი ყოფილა. საინტერესოა, რომ ძველი ბერძნები ქართულ სახელებს ჩვეულებრივ თარგმნიდნენ, ან კალკირებას ახდენდნენ (შდრ. ჰიპპოს — ცხენისწყალი; როდოპოლის — ვარდციხე||ვარციხე; სარაპანის — შორაპანი, ბოას — ყვირილა...) სახელწოდება ყვირილა შინაარსობრივად იმდენად გამქვირვალედ მოჩანს (ყვირილი, ძახილი, ხმაური...), რომ შესაძლებელია ვახუშტი ბატონიშვილს ამგვარი ეტიმოლოგია დამოუყიდეზღად მოეხდინა (გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სწავლული ბატონიშვილი გეოგრაფიული სახელების ახსნა-განმარტებით დიდად ყოფილა გატაცებული, რაზედაც მისი ათეულობით ეტიმოლოგია მეტყველებს). ყვირილის ვახუშტისეული განმარტება — „ვინათგან ხმოვანებს შორ სასმენელად“ — დღეს სპეციალისტთა უდიდესი ნაწილის მიერ გაზიარებულია.<sup>1329</sup>

მდინარე-ხევებისათვის საკუთარი სახელების შერქმევა მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით ცნობილი ფაქტია (შდრ. ძირულა, შხივანა, ჩახრიელა, ჩაბარუხი, ხუფხუფა წყარო, (ი)დუმალა...) მაგრამ ამ შემთხვევაში მდინარე ყვირილის სახელების მოტივი წყლის ხმაურიანობასთან კავშირში განსახილველი არ უნდა იყოს. მდინარე ყვირილა წარმოქმნილი ჩანს ერთი რომელიმე კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტის (ტყის, მთის) საკუთარი სახელის მიხედვით. „ყვირილა“ უნდა იყოს ადგილი, სადაც ხშირად ირმის ყვირილი, ირემთა მაკეობის დროს ხაჩირემთა მიერ ამოჩემებული (დათეგრებული), სამყვირალო ადგილი (როგორც ჩანს, აქ არის მლაშე მინერალური წყაროები

<sup>1328</sup> ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია I, (მეხუთე გამოც.), თბ., 1960, გვ. 425.

<sup>1329</sup> ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტოპონიმია I, ბათუმი, 1958, გვ. 9; გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბ., 1965, გვ. 137-138; ზ . კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 520 და სხვ.



ან მლასობი ადგილები). ყვირილა — „ხარირმების საყვირილო მთა“; „ირმების საყვირილო მთის სიახლოვეს მომდინარე წყალი“. ნიშანდობლივად გვეჩვენება ამ თვალსაზრისით ბუნების დიდი მცოდნის ალ. არაბულის ნათქვამი: „ყვირილობის დროს ხარირში ისეთ უბანს იჩვენებს, სადაც წყალი ახლოს არისო“.<sup>1330</sup> საინტერესოა ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ამ მდინარეს ზოგჯერ „ყვირილის მდინარედ“ მოიხსენიებს.<sup>1331</sup> ეს ფაქტი ჩვენს მოსაზრებას თითქოს ერთგვარად ამაგრებს.

დასასრულ მკითხველს უნდა შევთავაზოთ კიდევ ერთი ვერსია: კერძოდ, ხომ არ შეიძლება გვეფიქრა, რომ ყვირილა იყოს ხმაექოიანი, საყვირალა ადგილების აღმნიშვნელი კონკრეტული სახელწოდება, ტოპონიმი, რომელიც შემდგომ იქვე შორიახლოს ჩამომდინარე ხევის სახელადაც ქცეულა (მეორეული ნომინაცია)? თუ ჩვენ ამ ვერსიას გავიზიარებდით, მაშინ ჰიდრონიმი ყვირილა უნდა გავიგოთ როგორც სამყვირალო, საძახებელა, ღრუ ადგილების სიახლოვეს ჩამომდინარე წყალი, ხევი, „ყვირილა კლდეების მდინარე“.

**ყინცვის-ი ||ყინწვის-ი** ისტორიული სოფელი ქარელის რაიონში (ზღუდრის სას. საბჭო). აქ, სოფლის სიახლოვეს, მწვანით დაბურული გორაკის ვაკე თხემზე აგებულია თამარის დროის ერთ-ერთი ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლი — ყინცვისის წმ.ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელშიც დაცულია ყინცვისის აგნელოზის ფრესკული გამოსახულება — ქართული იკონოგრაფიის სწორუბოვარი ნიმუში. ვახუშტი ბატონიშვილი საკმაოდ დაწერილებით აღგვიწერს, ამ კუთხეს: „ხვედურეთის დასავლით არს მონასტერი ყინცვისის,<sup>1332</sup> წმიდის ნიკოლოზისა, გუნბათიანი, დიდშენიერად ნაშენი, მალალსა ადგილსა ზედა. ამის სამკრით, მთასა შინა, არს სარკეს<sup>1333</sup> მონასტერი უგუნბათო, ფრიად კეთილნაშენი და აწ უქმი. ყინცვისის დასავლით არს ძამის ჯობა, გამო-

<sup>1330</sup> ალ არაბული; როგორ გაპოვნინა დავთმა? ფუტკარი, თბ., 1989, გვ. 141.

<sup>1331</sup> ვახუშტი, აღწერა, გვ. 150, 38.

<sup>1332</sup> ყინცვისის უწოდებს სოფელს იოანე ბაგრატიონიც (1986, გვ. 32)

<sup>1333</sup> ხომ არ შეიძლება სახელწოდება სარკე „ხასკე ადგილად“ გავიგოთ?

სდის თორის მთასა, მოდის საგლონის კალამდე...<sup>1334</sup>

ხალხური ტრადიციული გადმოცემა სახელწოდება ყინცვისის წარმოშობას **ყინულ-** და **ცურავს** სიტყვებთან აკავშირებს: „აქ ყოფილა დიდი უღრანი ტყე და თოვლის მოსვლა სკოდნია ძაან დიდი. რო გაჰყინამდა, აღარ აიღებდა. კარქა გვიანობამდე იღო. ჩირდილი ალაგი იყო, გაჰყინამდა და კაციშვილი ფებს ვეღარ მაჰკიდებდა, **ყინულივითა ცურამდა**. ფეხი **ყინულზე ცურამსო**, **ყინცურა** ადგილიაო, იტყოდენ“ (გიორგი მწარიაშვილი, 1968 წ. ყინწვისი).

ამგვარი ხალხური ეტიმოლოგია უშუალოდ უკავშირდება **მდ.ყინცურას**, რომელიც ეკლესიის გვერდით ჩამოედინება და რომელიც თავის მხრივ ყინცვისისაგან არის წარმოქმნილი (**ყინცვის-ურა** — **ყინც(ვ)-ურა**). ასე რომ ყინცვისის ამოსავალი მნიშვნელობის გარკვევისათვის ამ ხალხურ ვერსიას არავითარი დახმარების გაწევა არ შეუძლია.

სახელწოდება **ყინცვის-ი**, შესაძლებელია შესიტყვება **ყინ-ცივი-**საგან მომდინარეობდეს: **ყინ-ცივი-ის-ი** (ფუძისეული ი ხმოვნის რედუქციით). სამუშაო ვარაუდად უნდა მივიჩნიოთ ხალხში მოარული მეორე ცნობა, რომლის მიხედვითაც **ყინწვისი** (ყინცვისი) თურმე **ყინწ-კინწ-**სიტყვასთან ყოფილა დაკავშირებული: **კინწი- „კისერი“**, **„ქედი“**.<sup>1335</sup> (გადატ. მაღალი ადგილი).

რაც შეეხება სოფლის ოფიციალურ სახელწოდება **ყინწვისს**, იგი, ვფიქრობთ, **ყინცვის** ფორმით უნდა შეიცვალოს, რადგან ქართული ისტორიოგრაფიული წყაროები, XI საუკუნიდან მოკიდებული, ამ ტოპონიმს **ყინცვისად** იცნობენ. ასეა იგი ნახსენები მელქისედეკ კათალიკოსის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისათვის მიცემულ შეწირულობის წიგნში (1029-1033 წწ.): „**ყინცუისი** შესავლითა მისითა“.<sup>1336</sup> **ყინცვისი** და **ყინ-**ცველი დასტურდება გვიანდელი ხანის (XVIII ს.) ხალხის აღწერის დავთრებშიც: „აქავ ყმა ბოგანო **ყინცველი** კანდელაკიშვილი ბერუა, ამი-

<sup>1334</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ 58, 8

<sup>1335</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტ.), 1986.

<sup>1336</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 22.

სი ბიძაშვილი ადამა და ადამის შვილი სესია, კომლი ა, თავი გ“<sup>1337</sup> მა-  
შასაღამე, სწორია ყინცვისი და არა ყინწვისი.

**ყულევი-0** სოფელია სამეგრელოში (ხობის რ.). სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერ ყულევი მიჩნეულია ისეთ სახელად, რომელშიც თითქოს ასახული იყოს საქართველოს ბედუქუღმართი ეპოქა, როცა ჩვენს ქვეყანაში ტყვეებით ვაჭრობა იყო გაჩაღებული. იმავე დროის ანარეკლად არის მიჩნეული სოფლის სახელი საყულიაფ (წყალტუბოს რ-ნი): „ტყვედ გაყიდული ქართველები აქედან გემებით მიჰყავდათ უცხოეთში“<sup>1338</sup>.

აღნიშნული თვალსაზრისი არსებითად ემყარება იმ ენობრივ ფაქტს, რომ აღმოსავლური წარმოშობის სიტყვა ყული ქართულად „ტყვეს“ „მონას“ ნიშნავს. მაგრამ ყულის ეს მნიშვნელობა მაინცაღამაინც ქართველი ტყვეების წსაყვანი ადგილის არსებობას არ უნდა გულისხმობდეს. საკმე ისაა, რომ ქართულ ენაში ყული გვხვდება როგორც რელიგიურ-სარწმუნოებრივი ტერმინი. მართალია, იგი მონას, ტყვეს ნიშნავს, მაგრამ აქ უნდა ვიგულისხმოთ არა გასაყიდად შეპყრობილი ადამიანი, არამედ ღვთის მიერ „დაქერილი“ მონა, მსახური, ყმა, მორჩილი, ტყვე... ეს რომ ასეა, ამას აღმოსავლური (მუსულმანური) ონომასტიკის მონაცემებიც ადასტურებს. გავიხსენოთ: იმამ-ყული-ხანი, ალი-ყული-ხანი, შაჰ-ყული; ყულიაშვილი, ყულიჯანაშვილი... და სხვ. ეს ნიშნავს იმამის (ალის, შაჰის...) ყმა, მონა, ერთგული მსახური და მისთ. საგულისხმოა თვით ის ფაქტიც, რომ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც თურქული ენა მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენდა (აქარა, გურია, სამეგრელო, ქვემო ქართლი), შემორჩენილია არაერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელი, რომელშიც სიტყვა ყული მონაწილეობს. აქაც, ამ სახელებშიც, აღნიშნულია არა ტყვეების გასაყიდად წაყვანის ადგილი, არამედ რაღაც რიტუალური ნაგებობის ოდინდელი არსებობის დამადასტურებელი ფაქტი. ზემო იმერეთში (ტყიბულის რ.) ადგილის სახელად გვხვდება საყულია,

<sup>1337</sup> ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები 1, 1967, გვ. 164.

<sup>1338</sup> ზ . კ . უ მ ბ უ რ ი ძ ე , „დედაენა ქართული“. თბ., 1987, გვ. 520.

რომელიც აშკარად სა-ყულ-ე-ა ფორმისაგან მომდინარეობს, ს.ცხუკუ-შერში (ცაგერის რ.) არის შემადღებული ადგილი, რომელსაც საყულ-ე გორა ეწოდება. რაც შეეხება აქარის რეგიონს, აქაურ ტოპონიმებში სიტყვა ყულიყულე ძალზე ხშირია. თვით სიტყვა ყულე წარმოშობით არაბულია და ნიშნავს: კოშკი, ჭიხური, ციხე, თავდაცვითი ნაგებობა).<sup>1339</sup> ნაყულევი-ი, ნაყულევა დადასტურებულია ადგილთა სახელებად ს.არსენაულში, ს.ქალახმელაში, ს.სადორეთში, ს.კაპნისთავში, დ.ხელვაჩაურში, ს.ვაიოში<sup>1340</sup> და სხვაგან. აქარულში ყულე სიტყვას მნიშვნელობა გაფართოვებია; აქ იგი აღნიშნავს როგორც კოშკს, ისე გოდოლს, ციხე-სიმაგრეს და სრა-სასახლესაც კი.<sup>1341</sup> გავისხენოთ: „ვამას ყულე დუშმგრიე, სასახლეს გეულე კარი“.<sup>1342</sup> ყულყულე სიტყვათაგან მომდინარე გეოგრაფიული სახელები საკმაოდ ხშირად ჩანს სამეგრელოს ტოპონიმიაშიც. ზუგდიდის რაიონში, მაგალითად, ძველად არსებობდა სოფელი ყულიშკარი-ი;<sup>1343</sup> ყულიშკარი კი სხვა არაფერია, თუ არა „ხატის, ეკლესიის კარი“.<sup>1344</sup> აქვე მოედინება მდ.ყულიწყარი (მდ. ჭუმის შენაკადი), რაც „ხატის წყალს“ ნიშნავს.<sup>1345</sup> საინტერესო ცნობას გვაწოდის ე.თაყაიშვილი ყულიშკარის ხატის შესახებ:

„ზუგდიდიდან ცხრა ვერსზედ მდებარეობს სოფელი ყულის-კარი

<sup>1339</sup> დ. ა. მ ა გ ა ზ ა ნ ი კ ი, თურქულ-რუსული ლექსიკონი, მოსკოვი, 1945, გვ. 367 (რუს.)

<sup>1340</sup> ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია I, ბათ., 1958, გვ. გვ. 48, 50, 54, 58, 59...

<sup>1341</sup> შ. ნ ი ე რ ა ძ ე, ქართული ენის აქარული დიალექტი. ლექსიკა, ბათ., 1971, გვ. 376.

<sup>1342</sup> გაზ. „ივერია“, ტფ., 1877, №13

<sup>1343</sup> ყულიშკარი იგივე ყულისკარი ისტორიულად მირცხულავების სოფლად იყო ცნობილი. გადმოცემით მათ ჰყოლიათ წინასწარმეტყველი დიაკვანი, გვარად მირცხულავა, რომელსაც თითქოს კარაბადინში ჩაეწეროს: „სამეგრელოს დადიანები იმეფებენ ექვს გვირგვინამდე, მერე კი მოვა ვილაც „წითელი კაცი“ და მთელ სამეგრელოს დაეპატრონებაო. (იხ. СМОНИК, XXXII, ნაწ. III, გვ. 123).

<sup>1344</sup> ა ლ ლ ო ნ ტ ი, ტოპონიმოლოგიური ძიებანი I, თბ., 1971, გვ. 80.

<sup>1345</sup> იქვე, გვ. 95.

(იგივე ყულიშკარი), რომელშიც ინახება სასწაულთმოქმედი ჭვარი... ეს ჭვარი განთქმულია მთელს სამეგრელოში თავისი სიძლიერით. მეგრულს არც ერთი ხატი და ჭვარი ისე არა სწამს და სასწაულთ-მოქმედათ არ მიაჩნია, როგორც ყულისკარის ხატი“.<sup>1346</sup> მაგალითების მოყვანა კიდევ არაერთის შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია დავრწმუნდეთ იმაში, რომ ყული||ყულე- ძირიანი ტოპონიმები, ამ შემთხვევაში, ყულევი, აგრეთვე, საყულია, აღნიშნავენ არა მონების გასაყიდ ადგილს, არამედ ადგილს, სადაც მდგარა ხატი, ჭვარი, ეკლესია ან რაღაც ისტორიული ძეგლი (ციხე, კოშკი, თავდაცვითი ზღუდე, ჩიხური და სხვ.). ჩვენს ამ ვარაუდს უთუოდ მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის დამდეგისათვის ყულევს რედუტ-ყალე ჩქმევია, რაც აქ დიდი ციხე-სიმაგრის არსებობაზე მეტყველებს.<sup>1347</sup>

ისიც უთუოდ საინტერესოა, რომ XIX საუკუნის II ნახევრის „შემოქმედის ქრონიკაში“ სოფ. ყულიშ-კარი მოხსენიებულია როგორც ყულევა: „მობრძანდა ზღვით ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოს ყულე-ბას ზუგდიდს, დადიანთან გაიარა და ქუთა(ის)ს წაბრძანდა“.<sup>1345</sup>

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ყულევი (ყულე-ვე-ი?) ნიშნავს: „ციხესიმაგრიანი ადგილი“. მას ტყვეების გაყიდვასთან საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს.

## — უ —

**შ ა მ ნ ა ბ ა ლ ა** წარმოუდგენლად მდიდარია ჩვენი ხალხის მეტაფორული აზროვნება. ადამიანები გეოგრაფიულ ობიექტებს პოეტური ალღო-გუმანით შეურჩევენ ისეთ სახელებს, რომლებშიც ხატოვნად არის წარმოჩენილი მათი ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნები: ხშირი ნისლიანობა, გამოკვეთილ-გამორჩეული სიმაღლე; რაიმე ნიშანდობლივი თვისება

<sup>1346</sup> ე ქ ე თ . თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი , არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში: ძველი საქართველო. III, 19:3-1914, გვ. 199.

<sup>1347</sup> თ . ე ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967, გვ. 797; მ . გ ო ნ ი კ ა - შ ე ი ლ ი , იმერეთი XVIII-XIX სს. მიჯნაზე თბ., 1979, გვ. 113.

<sup>1348</sup> თ . ე ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები III. თბილისი, 1967 გვ. 645

ან მსგავსება მეორე ობიექტთან და სხვ. ასე, მაგალითად, თუ რომელიმე კლდოვანი ქედის წვერი ორ ვულკანურ ამონაზარდად მოჩანს, ხალხი მას უნაგირას შეარქმევს; თუ ქედის (მთის) რომელიმე ნაწილი თავბოლოში ამოწეულია, შუაგულში კი — ჩავარდნილი, მას შეიძლება აკავანა ანუ აკვანა შეარქვან. აქარაში არის მთა, რომელიც ნისლ-ტენიანობით გამოირჩევა. „სახალხო ნათლებმაც“ არ დააყოვნეს და მას მტიორალა უწოდეს. ზემო რაქის ერთ-ერთ მაღალ მთაზე აზიდულა პატარა სოფელი, რომელიც ქვემოდან ღრუბლის პაწაწა ქულასავით მოჩანს. პოეტური ბუნების რაქველებს ბექდის ძვირფასი თვალივით ცაში მოლივლივე სოფლისათვის ზეციეთა შეურქმევიათ! გავიხსენოთ, რამდენი მოხდენილი, ქეშმარიტად პოეტური სახელწოდების ობიექტი არის ცნობილი ამიერ და იმიერ საქართველოში! რამდენი ლამაზი ლეგენდის წყაროდ ქეუულა ცალკეული ქვაკაცები და ქალქეები, რომლებიც მხოლოდ თავიანთი კონფიგურაციით თუ მოგვაგონებენ უიღბლო პატარძლებს და დევებთან მებრძოლ რაინდ ვაჟკაცებს. ანდა გავიხსენოთ, რამდენი „უძირო ტბა“, „დედოფლის წყარო“ და „ოქროყანა“ არსებობს საქართველოში! ამათ წყებას ეკუთვნის ტოპონიმი შავნაბადაც. ეს ქედი თბილისს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ემხრობა. როცა მწუხრის წინ ამ წაგრძელებულ, უტყეო ქედს ქალაქიდან უმზერ, იგი მართლაც შავი ნაბადივით წამოჰხურვია ორთაქალისა და ფონიქალის ზემო სანახებს.

სახელწოდება შავნაბადა საქართველოში რამდენგანმეა დადასტურებული. ერთ-ერთ მათგანს ვახუშტი ბატონიშვილი თრიალეთში ასახელებს: „არს კვალად მთა თავკვეთილი... კვალად არს შავნაბადი შაორსა და თავკვეთილს შუა. არა არს მთათა ამათ ზედა ტყე ანუ ხე, გარნა ჰვეთა მცირე არყნალნი, ნადირი მრავალნი, ირემი და არჩვი ჯოგად, მშველი, დათვი“.<sup>1349</sup> როგორც ვხედავთ, ვახუშტი შავნაბადა მთის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად უტყეობას ასახელებს. ხომ არ არის ამგვარ ობიექტთა სახელდებისათვის ტყის უქონლობა ერთი ძირითადი ნიშანთაგანი?

ვახუშტის მიერ მოხსენიებული შავნაბადი დღევანდელ სოფელ ბარალეთში (ახალქალაქის რ.) არსებულ მთას — შავნაბადას — გულისხმობს. ნათელი ეტიმოლოგიის მიუხედავად თანამედროვე ბარალე-

<sup>1349</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, გვ 43, 12.

ლებს მაინც უცდიათ ამ სახელწოდების სხვაგვარი გააზრება, რაც აშკარად ამდარებს სახელწოდების პირველი „ნათლის“ პოეტურ ალღოს და ხელოვნებას: „მანდ იყო შავნაბადიანი კაცი და ამიტომ შავნაბადას უწოდებენ. მანდ ბინადრობდა შავნაბადა. შავ ნაბადაში იყვნენ ჰარამბაშები (ყაჩაღები)“. როცა მანგლისიდან ვარძიაში მიმავალ ერთ დიაკვანს ხმლით მოუკლავს ყაჩაღი, სახელად შავნაბადი, მის აგანელ შეყვარებულს (ს.აგანა სამ კილომეტრზე ყოფილა შავნაბადას მხარეზე) ასეთი ლექსი გამოუთქვამს: „შავნაბადაო, გიყვარდა ტათაში ნამწვავი ხავიწი, შენ რომ მარხილით მიჰყამდი, მე კი სირცხვილით დაეიწვი“.<sup>1350</sup> აშკარაა, რომ შავნაბადა აქ პიროვნულ სახელად არის გაგებული, თუმცა კარგად ვიცით, რომ შავნაბადა ჩვენში მხოლოდ გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელ სახელად არის გამოყენებული.

**შარაულა||შარაულა** მდინარეა რაქაში; გამოდის სოფ. ნიკორწმინდასთან ახლოს, ღრმა კანიონში. ფიქრობენ, რომ შარაულა ეს იგივე ნიკორწმინდის ზემოთ კლდოვან ღრმულში დაკარგული მდ. შაორის წყალია, ახალ ადგილას ამოსული. სახელწოდება შარაულა, როგორც მართებულად მიუთითებენ, სოფელ შავრას მდინარეს (შა(ვ)რაულა) ნიშნავს.<sup>1351</sup> გამორიცხული არ უნდა იყოს თვით შავრა-ს მდ. შაორ-თან ენობრივი კავშირი. ადგილობრივ შარაულა||შარეულა გაგებულია შემდეგნაირად: „წყალი, რომელიც შარეულია (-შერთულია) სხვა წყალთან“.

**შარახემ-ი** სოფელია არაგვის ხეობის ფშავში (დუშეთის რ.). შარახევი ჰქვია ამ ხეობაში მომდინარე პატარა მდინარესაც. მდინარის სახელის მიხედვით წარმოქმნილა სოფლის სახელწოდება მეზობელ თიანეთის რაიონშიც: ზემო და ქვემო შარახევი.

ტოპონიმ (ჰიდრონიმ) შარახევის შინაარსს ადგილობრივი მოსახლეობა მდინარე-ხევის შარაინობას, მიწეზიანობას (მოულოდნელი გამოვარდნა, საქონელ-ხალხის მსხვერპლი) უკავშირებს. მაგრამ მოსახლეობის ერთი ნაწილი, ვფიქრობთ, სრულიად სწორად ხსნის სახელწოდ-

<sup>1350</sup> იხ. გრ.ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988, გვ. 259-260.

<sup>1351</sup> ა ლ . ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე , მოგონებები, თბ., 1988, გვ. 18, სქ.

დება შარახევის წარმოშობის ისტორიას: „შარი და ადიდება არაფერ შუა არ არი. ამ ხევს ქალიდან რო გაჰხედავ, სულ შარასავით სწორი გზა მიდის. ნამდვილი შარაგზა არისო და ამიტომ დარქმევია შარახევი“ (უმანგ ბოძაშვილი, ქ. დუშეთი 1974 წ.).

**შარმანი** ძველი ნამოსახლვეი ადგილია ს.ჯუთაში (ყაზბეგის რ.). ხალხური ტრადიციული ცნობით შარვანი კაცის სახელი ყოფილა. ეს ცნობა მოსახლეობაში ისე მყარად არის განმტკიცებული, რომ ერთ-ერთ ნასახლარს შარვანის სამოსახლოდაც კი მიიჩნევენ.<sup>1352</sup> შარვანის ტერიტორიაზე დგას სალოცავი შარვანელა, რომელსაც ასევე პიროვნულ სახელს შარვანს უკავშირებენ. ჩვენი ფიქრით კი სახელწოდება შარვანელაში აღნიშნული უნდა იყოს ხატის (სალოცავის) სადაურობა-წარმომავლობა თუ კუთვნილება: „შარვან-ელ-ი ხატი“, „შარვანიდან გადმობრძანებული ხატი“.

თვითონ სახელწოდება შარვანი სხვა არაფერია, თუ არა შარვან-ი „ადგილი, რომელზედაც ძველად შარაგზა გადიოდა“, „ნაშარობი ადგილი“, -ოვან- სუფიქსის „-ვან სუფიქსად-ქცევა წარმოქმნილ სახელებში იშვიათად მოვლენა როდია: ბალახ-ვან-ი (-ბალახ-ოვან-ი), თხილ-ვან-ი (-თხილ-ოვან-ი), ქალ-ვან-ი (-ქალ-ოვან-ი), ნარ-ვან-ი (ნარ-ოვან-ი) და მისთ.

## — ჩ —

**ჩაბარუხ-ი** პატარა მდინარეა მთიულეთში (დუშეთის რ., ფასანაურის სად. საბჭო), თეთრი ანუ მთიულეთის არაგვის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ალევის ქედის აღმოს. კალთებზე (2355 ზღვ.დ.) მდინარის სიგრძე 7 კმ-ს აღწევს. ჩაბარუხი მოედინება ვიწრო და ღრმა კლდოვან ხეობაში. გზადაგზა იგი აჩენს არაერთ ლამაზ ჩანჩქერს ანუ მთიულურად ჩაბარუხებს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩაბარუხი (ჩანჩქერი, ჩხერი, ჩაქუხა) მდინარეს გაუკეთებია არაგვის შესართავის სიახლოვეს, საქართველოს სამხედრო გზასთან. წყალვარდნილის ხმიანობა სა-

<sup>1352</sup> ვ. ი. თ. ო. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ხევის ტოპონიმიკა, 1971, გვ. 171.



კმოდ შორ მანძილზე ისმის. თავისი ეგზოტიკური სილამაზით იგი არაერთ ტურისტს და მოგზაურს იზიდავს.

საყურადღებოა, რომ ჩაბარუხი განვრცობილი, -ეთ- სუფიქსიანი ფორმით, ვახუშტის მიერ დასახელებულია ქსნის ხეობაშიც:

„აწერის-ხევის... ზეით ერთვის ლიახვს კვეი ჩაბარუხეთისა, გამო-სდის გერის მთას, დის აღმოსავლით, ერთვის ლიახვს დასავლიდამ“.<sup>1353</sup> ქართლურ დიალექტში დადასტურებული ჩაბახური,<sup>1354</sup> რა თქმა უნდა, იმავე ჩაბარუხის მეტათეზირებული ფორმაა. აქვე მოვა, ალბათ ზემოი-მერული ჩაბუხარა სიტყვაც. სოფ. სხლითში, მაგალითად, მდ.ძირულახე არის საბანაო ადგილი, რომელსაც ჩაბუხარა ეწოდება.

**ჩაილური**-ი მდინარეა გარე-კახეთში, მდ. ივრის მარცხ. შენაკადი (საგარეჯოს რ.) იყენებენ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სავარგულ-ების მოსარწყავად. მდინარის სახელწოდება დასდებია საფუძვლად აქვე გაშენებულ სოფელს დიდ ჩაილურს. საყოველთაოდ ცნობილია ქართული ფრაზეოლოგიური შესიტყვება „ჩაილურის წყალი დალია“, რაც საქშის უნაყოფოდ დასრულებას, მიზნის შეუსრულებლობას, იმედის გადაწურვას... ნიშნავს. „თუ მოტაცებულ საქონელს ამ წყალს გაატარებდნენ, მერე პატრონი მას საბოლოოდ დაკარგულად თვლიდა“ (თ.სახოკია) შდრ. გამოთქმა „კაკას ხიდი გაიარა“.

ხალხური გადმოცემის მიხედვით სახელწოდება ჩაილური თურქული და სპარსული სიტყვების ნაზავი ყოფილა: თურქ. ჩაი („წყალი“) და სპარს. ლური („ხევი“): „ხევის წყალი“ (ალექსანდრე ელერდაშვილი). ზოგი მკვლევარი იმ აზრს ემხრობა, რომ ჩაილური თურქულენოვანი მოსახლეობის შემონათანი სახელწოდებაა, ოღონდ იგი ნიშნავს არა „ხევის წყალს“, არამედ ზოგადად წყალს. სპეციალისტთა ერთი ნაწილი კი თვლის, რომ ჩაილური ქართულად ნიშნავს „წყლები“: ჩაი

<sup>1353</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 71, 7.

<sup>1354</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II (წემდგ. ალ.ლონტი), თბ., 1975, გვ. 255. (დადასტურებული ყოფილა კირიონთან). ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტი ჩაბარუხს რატომღაც ჩაფარუხად მოიხსენიებს (იხ. ჯ. გვასალია, რას გვიდასტურებს ძველქართული სახელწოდებები, გაზ. „კომუნისტი“, 9.IX.1990).

(„წყალი“) + ლარ (-ლურ), რომელიც მრ. რიცხვის ნიშანია, ქართ. -ებ- ფორმანტის ფარდი ელემენტი. განსხვავებულ თვალსაზრისს გამო- თქვამს შ.გოგატიშვილი. მისი მიხედვით ჩაი წყალია, ლურ-ი კი თურმე ლულ-ი სიტყვისაგან ყოფილა წარმომდგარი, რაც ნიშნავს „ღენა“. მა- შასადაძმე, ჩაილური||ჩაილული. უნდა გავიგოთ როგორც „მიმდინარე წყალი“.

ჩენი ვარაუდით ტოპონიმისათვის ამოსავალია არა ჩაი („წყა- ლი“), არამედ თურქული წარმოშობის სიტყვა ჩაირ-ი („მინდორი“, „მდელი“, „საძოვარი“, „სათიბი“).<sup>1355</sup> ამ ჩაირ- სიტყვას დართვია ქარ- თული -ურ- სუფიქსი, რასაც, თავის მხრივ, ფუძისეული -რ- თანხმოვ- ნის გადაბგერება (დისიმილაცია) მოჰყოლია და იგი ლ-ასად უქცევია: ჩაირ-ურ-ი — ჩაილ-ურ-ი. ქიზიყურ დიალექტში პროცესი მთლიანად დასრულებულა; აქ ჩაილური ჩაილულ-ად გამოითქმის.

ადგილის სახელად ჩაირი დადასტურებულია XVII-XVIII სს. ქართულ ეკონომიკურ საბუთებში: „ნაოჯარნი ჩაირს, ვიდრე იო- რადმდე, ხოლო მთანი იკულივნი ერწოდმდე, ბოლო სახნაენი მინდორნი მარტყოფთა შინა, ყარაი(ი)ს თავად შთასქრის“.<sup>1356</sup> საყურადღებოა, რომ ამ ძეგლში ნახსენები ადგილები (იორი, იკულივი, მარტყოფი, ყარაია...) ემთხვევა იმ არეალს, რომელზედაც მოედინება მდ.ჩაილური და რომე- ზედაც მდებარეობს ამჟამინდელი ჩაილურის ვრცელი საძოვარი იალა- ლები.

ჩაირ- სიტყვის შემცველი ტოპონიმები განსაკუთრებით ბევრია საქართველოს სამხრეთ რაიონებში, სადაც თურქულის გავლენა შედა- რებით უფრო ხელშესახებია. ჩაირი აქაურ ტოპონიმებში უპირატესად საზღვრულ სიტყვად არის წარმოდგენილი: გოგას ჩაირი, დიდჩაირი, კონანთ ჩაირი ნერგიანის ჩაირი, პატარა ჩაირი, ყიჭულას ჩაირი...<sup>1357</sup> სოფ. კობარეთში (ასპინძის რ.) არის სათიბი ადგილი, რო-

<sup>1355</sup> დ. ა. მ. ა. გ. ა. ზ. ა. ნ. ი. კ. ი., თურქ.-რუს. ლექსიკონი, მოსკოვი, 1945.

<sup>1356</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II (პროფ. ისიდ. დოლიძის რედაქციით) თბ., 1965, გვ. 365.

<sup>1357</sup> შ. კ. ე. მ. უ. ლ. ა. რ. ი. ა., თურქულ-აზერბაიჯანულენოვანი ელემენტი ქვემო ქართლის ქართული სოფლების ტოპონიმიაში: კრებ. „ონომას-ტიკა“ 1, თბ., 1987, გვ. 87.

მელსაც უარაჩაირი ეწოდება. ადგილობრივ უარაჩაირს შავქალად განმარტავენ. მოხუცთა თქმით უწინ აქ დიდი ბრძოლა და სისხლის-ღვრა მომხდარა და ადგილს უარაჩაირი ანუ შავი ქალა ამიტომ შე-არქვესო.

ტერმინ ჩაირის გამოყენებას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. მას XV-XVI სს. უკვე ვხვდებით: „ვიზიადან ჩაირი არღისველი ძველი-დანვე ხსენებული სოფლის სათიბი არის, (ასევე) ჩაიწერა დავთარ-ში“.<sup>1358</sup>

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარეუკანეთში არსებული ტოპონიმი ჩაილური წარმომდგარია თურქული სიტყვისაგან ჩაირი, რაც „საძოვრებს“, „საბალახე ადგილებს“ ნიშნავს.

**ჩამძვრალა** სოფელია ჭავახეთში (ახალქალაქის რ.). ადგი-ლობრივ ხალხურ გადმოცემებს შემოუნახავს საინტერესო თქმულება, რომლის მიხედვითაც ეს სოფელი დიდი ხნის წინათ ძლიერ მიწისძვრას უფსკრულში ჩაუქცევია, თან ჩაუტანია, რის გამოც მისთვის ჩამძვრალა უწოდებიათო. სინამდვილეში ჩამძვრალა ჩვეულებრივი ოროგრაფიული ტერმინია. იგი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სოფელი ჩავარდნილ, ჩოლედ ადგილში ყოფილა გაშენებული (მდრ. უხედარა, საფარა, აგრეთვე საპი-რისპირა შინაარსის ტოპონიმი დანახვისი, კუქქეა და მისთ.).

**ჩარბალი. ჩარბლისქარ-ი** ცნობილი სოფელია არაგვის ხე-ობის ფშავში (დუშეთის რ., მალაროსკარის სას. საბჟო). აქ, ამ სოფელ-ში დაიბადა და აღიზარდა დიდი ვაჟა-ფშაველა — ქართული კლასიკუ-რი მწერლობის ქეშმარიტი სიამაყე.

„ჩარგალი არაგვის მარცხენა ნაპირზედ არი, შუაზე ჩარგლულა ჩამაუდის. აბაბაი, ძნელად ლამაზ სოფელია, სუ შიგაით ერჩევა“ (თამარ ხელაშვილი).<sup>1359</sup> ადგილობრივი მოსახლეობა „შობლიურ სოფელს უპი-რატესად ჩარგლისკარს უწოდებს, თუმცა ხშირად გვხვდება ოფიცია-ლური სახელწოდება ჩარგალიც. ფშავ-ხევსურულ პოეზიაში ორივე

<sup>1358</sup> გურჯისტანის ეილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, 194!, გვ. 103.

<sup>1359</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიცა, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბ., 1961.

ფორმაა დადასტურებული:

„ჩემო ჩარგალო, ცოტინააო,  
აბრეშუმის საბლით მაზომილო...“

„ჩარგალ ცას შადგავ ღრუბლიანსაო,  
დლით სამჭერ იცვლის გუნებასაო...“<sup>1360</sup>

„რბოლით დაკრიფნა ზურაბმა გრძელნი არაგვის გზანიო,  
ჩარგლის-კართ დახვდა მშავლები, აყოლეს სისხლის კვა-  
ლიო...“<sup>1361</sup>

ჩარგალი ვაჟა-ფშაველას ნაწერებშიც ორივე ფორმით გვხვდება, მაგრამ უპირატესობა მაინც ჩარგლის-კარს უნდა მიენიქოს: „ჩარგლის-კარს რო შამოვჩნდი, დავინახე ზევით, ქალის თავში თითქოს ცეცხლის ნაკვერჩხალს რაღაც ისვრის, ხან ჩაქრება, ხან გამოჭივლავდე-ბა“.<sup>1362</sup>

ასევე ჩარგლისკარი იკითხება ცნობილი ფშაველი სახალხო პოეტის მიხა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ლექსში „ალაზნის პირზე“:

„ნეტავენ, წყალო, ტიალო / გასწავლა საუბარიო,  
მეკითხნა, შენაც გეუზნა / ფშავლები როგორ არიო,  
წინ — გუდარების ქალები, / გამოდმა — ჩარგლისკარიო“.<sup>1363</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით ტოპონიმი ჩარგალი ადამიანის საკუთარ სახელს — ჩარგალას უკავშირდება: „რაზიკაშვილების გვარი ისტორიულ ფხოვში — ახლანდელ უკანა-ფშავეში, ცაბაურთის დიდ თემში ჩამოყალიბდა; იგი ცნობილია მე-16 საუკუნიდან. თემის ერთი თავკაცი ჩარგალა წინაფშავეში გადმოსახლებულა და სოფელსაც მისი სახელი დარქმევია“.<sup>1364</sup>

ჩარგლის მიხედვით წარმომდგარა აქ ჩამომდინარე ხევის სახელიც

---

<sup>1360</sup> „ლექსო, არ დაიკარგები“ (შემდგ. ა ლ . ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი ), თბ., 1985, გვ. 65.

<sup>1361</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>1362</sup> ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა , „ერუბენტელა აღმზრდელი“; თხზულებანი, ტ. II, (ა ლ . ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი ს რედაქციით), თბ., 1979, გვ. 235.

<sup>1363</sup> ლექსი და ცხოვრება მიხა ხელაშვილისა, თბ., 1989, გვ. 24

<sup>1364</sup> ი ვ . ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი , „ბაჩანა“ (დაბადების 120 წლისთავი): გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №49 (2569), 5 დეკემბერი, 1986, გვ. 7.

-ჩარგლურა (||ჩარგლულა). ტოპონიმ ჩარგლის ანთროპონიმული წარმოშობა გამორიცხული არ არის, მითუმეტეს, რომ ქართველურ საკუთარ სახელთა შორის დადასტურებულია: ჩარაგა, ჩარგა, ჩარგა-ლა, ჩარეგ<sup>1365</sup> და სხვ.

**ჩეკ-ი, ჩეკის მღვიმე** ცნობილი ადგილია სამეგრელოში, ცენტრალური ოდიშის პლატოზე. ჩეკის მღვიმე საქართველოს კარსტულ მღვიმეთა შორის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტთაგანია. „სადღისოდ კავკასიაში გამოკვლეულ კლასტოკარსტულ მღვიმეთაგან აღსანიშნავია ნოდის, სავეკუოს, ნაზოდელაეოს, მაჩხაპეს, ყალიჩონას... ჭიხაშკარის, ჭაქვინჯის, ჩეკის, ჩელალის, ტარშიას, კორცხელი, ცაიშის... ბუნებრივი მღვიმეები“.<sup>1366</sup>

სახელწოდება ჩეკ-ი რთული შედგენილობის (ორფუძიანი) სახელია. მისი პირველი ფუძეა ჩე, რომელიც მეგრ. ქჩე („თეთრი“) სიტყვისაგან გვაქვს მიღებული; მეორე ფუძეა ეკი, მომდინარე იმავე მეგრული სიტყვისაგან ლეკი („ქვიშა“, „შლამი“): შდრ. ნა-ჟე-ურ-ა (-ნა-ჟე-ურ-ა), ო-ლეკ-ე-შ-ი („შლამიანი ადგილი“).<sup>1367</sup> მაშასადამე, ჩეკი-ს ამოსავალი ფორმა (ქ)ჩე+ეკ-ი ყოფილა. იგი ნიშნავს: „თეთრშლამიანი ადგილები“, „თეთრქვიშნარი“.

**ჩითახეშ-ი** სოფელი და მდინარე ისტორიული თორის მხარეში (ბორჯომის რ.). სოფელი გაშენებულია მდ.მტკვრის მარცხ. მხარეს (დვირის სასოფლო საბჭო). ჩითახეშში შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი — „მონასტერი“, რომელსაც მეორენაირად „მწვანე მონასტერსაც“ უწოდებენ. ძეგლი აგებულია არაუადრეს XIII ს-ისა. კომპლექსში შეინიშნება გვიანდელი ხანის (XV-XVI სს.) ნაგებობებიც. სახელწოდება „მწვანე მონასტერი“ ძეგლის საპერანგე ქვის ფერიდან წარმოსდგება, ისევე როგორც თბილი-

<sup>1365</sup> ა. ლ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ი., „ქართველური საკუთარი სახელები“, თბ., 1967, გვ. 144-145.

<sup>1366</sup> ბ. გ. გ. რ. გ. ე. დ. ა. ვ. ა., კავკასიის კლასტოკარსტული რაიონების მღვიმური ლანდშაფტების გამოკვლევა და მათი გამოყენების პერსპექტივები:

<sup>1367</sup> პ. ც. ხ. ა. დ. ა. ი. ა., მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 60, 63.

სის „ლურჯი მონასტერი“, ქუთაის-გეგუთის „მწვანეყვავილა“ და სხვ. სოფლის სახელწოდება ჩითახევი მდინარის სახელის მიხედვით წარმოქმნილა. ვახუშტი ბატონიშვილი ჩითახევს არ იცნობს. ჩითახევი, როგორც სოფელი ან მდინარე, უცნობია სხვა საისტორიო წყაროებისათვისაც. სამაგიეროდ, ვახუშტი ბატონიშვილი, აგრეთვე, იოანე ბაგრატიონი საბაბაშო სოფლებს შორის ასახელებენ სოფელ მონასტერს,<sup>1368</sup> რომელიც ჩითახევის ადრინდელ სახელად უნდა ვცნოთ. თვითონ სახელწოდება ჩითახევი, საფიქრებელია, ჩიტახევი-საგან მომდინარეობდეს თანის მეზობლობაში მკვეთრი -ტ-თანხმოვნის ჩავარდნის (გამარტივების) გზით. (შდრ. მოხ. ჩითაფაფობა — რელიგიური დღესასწაული — ჩითიფაფობა, იგივე ჩიტთა ფაფობა ანუ ფრინველთა დაბურება (ნათესების გადარჩენის მიზნით)).<sup>1369</sup> მამასადამე ტოპონიმი ჩიტთა ხევი უნდა გავიგოთ როგორც „ჩიტმრავალი ადგილი“, „ადგილი, სადაც ჩიტების გუნდი ხშირად იყრის თავს“ (შდრ. მიკროტოპონიმი საჩიტე — მთა კასპის რ-ში, აგრეთვე, საჩიტია — ვენახის სახელად დასტურდება სოფ. კვალთში (ზესტაფონის რ.) და სხვ.

**ჩიტინი-ი** სოფელია ქსნის ხეობაში (ახალგორის რ., ლარგვისის სას. საბჭო). ხალხური გადმოცემა ტოპონიმის სახელწოდების წარმოშობას, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ადგილებში ჩიტების სიმრავლეს უკავშირებს: „სანადირო ადგილები იყო აქ. თავადები ხშირად ნადირობდნენ ფრინველზე. იმდენი ფრინველი ყოფილა, რომ იმათი გუნდიც ას აბნელებდა. დაურქმევიათ ჩიტინი ალაგი“ (ვასო ბალაშვილი, ს.ბაღაანი, ახალგორის რ.).

სხვათა შორის ტოპონიმი ჩიტინი სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერაც რატომღაც ჩიტისაგან (ფრინველი) მომდინარე სახელწოდე-

<sup>1368</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, თბ., 1941, გვ. 204; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 45.

<sup>1369</sup> ი ვ . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985, გვ. 366.

ბად არის მიჩნეული.<sup>1370</sup>

ფაქტიურად ჩიტიანი ჩიტიშვილების სოფელია, რაზედაც გვაროვნული სიმრავლე-ერთობლიობის აღმნიშვნელი -იან- სუფიქსიც ნათლად მეტყველებს (იხ. სტ. მგლიანი, ნუკრიანი...).

ჩვენი ფაუნის წარმომადგენელთა სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმებში მაწარმოებლად -იან- სუფიქსი ჩვეულებრივ არ გვხვდება; საამისოდ ენა სა-ექსა-ია, იშვიათად სა-ეთ ან მხოლოდ -ეთ აფიქსებს იყენებს: სა-ირმ-ე, სა-მგლ-ე, სა-მტრედ-ია, სა-ქორ-ეთ-ი, სა-ცხენ-ეთ-ი; კაკაბ-ეთ-ი, ბატ-ეთ-ი, კვერნ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, ბუ-ეთ-ი... მოულოდნელია: ირმ-იან-ი, მელ-იან-ი, დათვ-იან-ი, ქორ-იან-ი, კაკაბ-იან-ი, მტრედ-იან-ი და ა.შ. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც უნდა გამოირიცხოს ტოპონიმ ჩიტ-იან-ის ფაუნონიმური წარმოშობის შესაძლებლობა. ჩიტიან-ი, როგორც უკვე ვთქვით, ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმია. იგი ნიშნავს: „სოფელი, რომელშიც ჩიტიშვილები სახლობენ“, „ჩიტიშვილების უბანი“. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლებოდა მოგვეხმო ქსნის ხეობის მოსახლეთა კომლობრივი აღწერის (აღწერა ჩატარებულია 1774 წელს) მასალები, რომლის მიხედვითაც სოფელ ჩიტიანთ კარში ჩიტიანთ გვარის 9 კომლს უცხოვრია.<sup>1371</sup> ამას გარდა, ადამიანის საკუთარი სახელი ჩიტი, ჩიტა იმავე ხეობის (1781 წ.) აღწერის მიხედვით, სხვა სოფელშიც ყოფილა ცნობილი.<sup>1372</sup> აღნიშნულ მასალებში ადამიანის საკუთარ სახელად, ჩიტის გარდა, დადასტურებულია: გერიტი, გოჭი, ლომა, ირემა, შოშია, მგელი, ვეფხია, ქურციკა, ყოჩი, კურდღელა, ძაღლუა, ჩიტუკა... მაშასადამე, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ „ჩიტიანი“ ესაა ჩიტიშვილების სოფელი“, „სოფელი, უბანი, სადაც ჩიტიშვილების ოჯახები ცხოვრობენ (ან უცხოვრიათ)“.

---

<sup>1370</sup> გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება (შემდგ. გ. გეხტმანი, ნ. გეხტმანი, გ. ზარდალიშვილი და ე. მესხი) თბ., 1965, გვ. 10.

<sup>1371</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები I, თბ., 1967, გვ. 190.

<sup>1372</sup> იქვე, გვ. გვ. 199, 208, 213, 214, 220...

ჩიხუშრა პატარა მთის მდინარეა ზემო იმერეთში (საჩხერის რ.), ჩამოუღის დაბა საჩხერეს, სოფ. სხვიტორს და მიერთვის ყვირილას მარჯვენა მხრიდან. საჩხერის რაიონშივე არის სოფელი ჩიხა, რომლის სახელწოდებისაგანაც წარმომდგარა ჰიდრონიმი ჩიხურა (მდრ. ლაშე — ლაშურა, ჭრუჭი — ჭრუჭულა, ნუნისი — ნუნისურა, საირხე — საირხულა, ნავანები — ნავანებურა, კვერეთი — კვერეთულა და სხვ.) ჩიხურის ნაპირებთან გაატარა დიდმა აკაკი წერეთელმა თავისი სიყმაწვილის დაუვიწყარი წლები. ამიტომაც იგონებდა პოეტი ასეთი სიყვარულით მდინარე ჩიხურას: „წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიყმაჟი ხევის წყალი მირჩვენია და მათში კი უპირატესობას ერთს მათგანს — ჩიხურას ვაძლევ: ეს იყო საკუთარი ჩემი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე“.<sup>1373</sup>

სახელწოდება ჩიხურა, როგორც ცნობილია, წარმოქმნილია -ურა სუფიქსით; ძირია ჩიხ(ა), რომლის შინაარსიც გარკვევას საჭიროებს. ჩვენი ვარაუდით, ჩიხი, ჩიხ-ა დაკავშირებული უნდა იყოს მცენარე ლელის დიალექტურ ფორმასთან. ლელის ეს სახელწოდება, მართალია, დღეს მხოლოდ კახურ კილოში არის შემონახული,<sup>1374</sup> მაგრამ საფიქრებელია, თავის დროზე იგი იმერულშიც გვქონოდა. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ზემო იმერეთის ტოპონიმიში (ს.ლეღვანი) დადასტურებულია ადგილის სახელად ჩიხ-ნარ-ი, აგრეთვე ჩიხნარის დელე და ჩიხნარის წყარო.<sup>1375</sup> -ნარ- სუფიქსი კი, ჩვეულებრივ, მცენარეთა სახელებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმებში იჩენს თავს (ვაშლ-ნარ-ი, თხილ-ნარ-ი, მუხ-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი, ტყემლ-ნარ-ი, ანწლ-ნარ-ი...). მაშასადამე, ჩიხურა უნდა გავიგოთ, როგორც „ლელიანი ადგილი“, „გუბე-ტბორებიანი ადგილები, სადაც ლელი (ტბის ჩალა) ხარობს“ ან ხარობდა უწინ.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ზემოიმერულ დიალექტში არსებული სიტყვა ჩიხი, რაც ნიშნავს: „ფარეხი“, იგივე „ქართა“.<sup>1376</sup> შესაძ-

<sup>1373</sup> აკ. წერეთელი, რჩეული ნაწერები ტ. II (ს. გორგაძისა და ს. აბაშელის რედაქციით) ტფ., 1926, გვ. VIII.

<sup>1374</sup> ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 43.

<sup>1375</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმი I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 225.

<sup>1376</sup> ვუკ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ., 1912, გვ. 70.



ლებელია ამ შემთხვევაში ჩიხია/ა გავიგოთ როგორც „მთებით შემოზღუდული, დაცული ადგილი“, „ბუნებრივი საჩხეი, ქართლსავეთ შემოკავებული ადგილი“.

**ჩოხატაური-ი** (ძვ. ბირკნალა) რაიონული დაქვემდებარების ქალაქია დასავლეთ საქართველოში (გურია), გაშენებულია მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირზე. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტოპონიმს **ჩოხატაურის** უწოდებს, -**ოურ**||-**ოულ**- სუფიქსიანი ტოპონიმები კი ძირითადად ანთროპონიმული წარმომავლობისანი არიან. ამდენად, საფიქრებელია, თავდაპირველად გეკონოდა **ჩახატაურ-ი** (||**ჩახატ-ოურ-ი**), საიდანაც დღევანდელი **ჩოხატა-ურ-ი** მიგვიღია.

საყურადღებოა, რომ სოფ. დაბლაციხეში სათესი ადგილის სახელად დადასტურებულია **ჩახატაურის ქალა**, რომელიც ი.სიხარულიძის მიერ ასე არის განმარტებული: „ძველი **ჩახატაური**“ (ჩხატარაშვილის-ული).<sup>1377</sup> ამავე მკვლევარს ზემო აჭარაში (ს.სამოლეთი, უჩაშბის სს.ს.) ჩაუწერია მიკროტოპონიმი **ჩახათაური** (||**ჩახათავრი**),<sup>1378</sup> რომელიც ამოსავლად კვლავ და კვლავ ადამიანის საკუთარ სახელს **ჩახათა** (||**ჩახატა**) გვაპარაულებინებს.<sup>1379</sup> გუდამაყარში (ღუშეთის რ.) არის მთა, რომელსაც **ჩახატაის მთა** ეწოდება. იგი წარმოშობით ანთროპონიმულია.<sup>1380</sup> ძალზე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გამოჩენილი ისტორიკოსი დ.ბაქრაძე ჩოხატაურს სწორედ **ჩახატაურად** იცნობს: „ოზურგეთიდან... მოჩანს ერთი მხრიდან ქართლ-იმერეთის ქედის **ჩახატაურის** განტოტება... ხოლო მის იქით, შორს მოჩანს კავკასიონის მთაგრეხილი“.<sup>1381</sup>

ჩოხატაური, მაშასადამე, შეგვიძლია გავიაზროთ როგორც „ჩოხატას (ჩახატას) კუთვნილი მამული“. ტოპონიმ ჩოხატაურის ანთროპონიმული წარმომავლობა (ჩახატარაშვილი — ჩალატარაშვილი — ჩხატარაშვილი) სპეციალურ ლიტერატურაში რეალურ ფაქტად არის მიჩნეუ-

<sup>1377</sup> საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, 1971, გვ. 119

<sup>1378</sup> ი. ს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა I ბათ.: 1958, გვ. 83.

<sup>1379</sup> შეიძლება გავვეხსენებინა **ჩაღათა** (ნოინი), ჩინგინყაენის შვილის სახელი.

<sup>1380</sup> ვ. ხ ო რ ნ ა უ ლ ი , მთები და სახელები, 1983, გვ. 186.

<sup>1381</sup> დ ი მ . ბ ა ქ რ ა ძ ე , არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (II გამოც.) ბათ., 1987, გვ. 15.

**ჩუღურაძე-ი** ქალაქ თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანთაგანია. იგი მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეს და მოიცავს ბარათაშვილისა და კარლ მარქსის ხიდებს შორის აყოლებულ ტერიტორიას. სახელწოდება ჩუღურეთი საისტორიო წყაროებში XVIII საუკუნის პირველი ათეული წლებიდან მოიხსენიება „ჩუხური“-ს ფორმით (ქართული -ეთ-სუფიქსის მოგვიანებით გაჩენილად). XVIII საუკუნის II ნახევრისათვის ვახუშტი ქალაქის გეგმაზე ჩუღურეთს დედაქალაქის ერთ-ერთ განაპირა სოფლად წარმოგვიდგენს.<sup>1383</sup> ამ გეგმის მიხედვით ჩუღურეთს საზღვრავს: სამხრეთ აღმოსავლეთ მხრიდან — ჩუღურეთის ხევი, სამხრეთით — მტკვარი, აღმოსავლეთის მხრით — სოფელი კუკია, დიდხევი და უფრო მოშორებით — სამგორის მინდვრები. სახელწოდება ჩუღურეთი წარმომდგარია თურქული ჩუხურ||ჩუკურ- სიტყვისაგან, რომელსაც ქართულში სხვადასხვა შინაარსის ტერმინი შეესაბამება: „ღრმა ადგილი“, „ჩადაბლებული. დაცემული ადგილი“, „ჩოლელი“, „ფლატი“, „ორმო“, „ფოსოებიანი ადგილი“ და სხვ. ჩუღურეთი 1824 წლიდან შეუერთდა ტფილისს, როცა მდ. მტკვარზე აიგო ერთმალისანი რკინის ხიდი, „მუხრანის ხიდად“ წოდებული. „მუხრანის ხიდის“ ადგილას 1960-იან წლებში აგებულ იქნა ახალი, ორიარუსიანი ხიდი, რომელიც დიდი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს ატარებს.

**ჩხერიძე** პატარა მდინარეა ზემო იმერეთში (ბარაგაულის რ.) „პატარა წყალია, მარა ჩქარია და გამოვარდნა იცის. სოფელია ქვები და იმის ბოლოზე ჩამოდის. საიმტერესო სახელი აქ: ჩხერიანი ადგილებია ბევრი და იმის გაღმით და გამოღმით მელა ბუდობს ძანიალი ბევრი დაათქვეს ამაზე ჩხერის მელა. ნადირობდენ თურმე ძველათი და ხოცემდენ ბევრს“ (დავ.ორჯონიკიძე, ქ.თბილისი, 1980 წ.).

ვახუშტი ბატონიშვილი საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს მდინარის სახელწოდების წარმოქმნის ისტორიას: „ხოლო ხარაგეულს ზევით არს ჩხერიმელაზედ მლაშე. მლაშეს ზევით, ჩხერიმელაზედვე, არს სამხრით

<sup>1382</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, თბ., 1987, გვ. 150.

<sup>1383</sup> თ. ბ ე რ ი ძ ე , ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.

ჩხერის ციხე, მაგარი და მტრისაგან აულებელი. ამ ციხისაგან ისახელა მდინარე ესე ჩხერიმელად, ანუ წყლის ჩხერისაგან კლდისა დინებითა... არამედ ეს ჩხერიმელა მებოძირილამ ხარაგუულამდე მიდის აღმოსავლი-  
დამ დასავლეთად“.<sup>1384</sup>

როგორც ვხედავთ, ჩხერიმელა ჩხერის მელა-საგან გვექონია მი-  
ღებული, ოღონდ ამ სახელწოდებაში განმარტებას მოითხოვს მეორე  
ფუძე მელა, რომელიც ზემო იმერეთის ჰიდრონიმიაში საკმაოდ ხშირად  
გვხვდება. შდრ. ბორიმელა, ხერხემელა,<sup>1385</sup> წირამელა<sup>1386</sup> და სხვ.  
მართალია, ზემო იმერეთის მოსახლეობა ამ -მელა სიტყვას მელისა სიმ-  
რავლესთან აიგივებს, მაგრამ ის ძველი ქართული მერე-ს სახეცვლილი  
ფორმა უნდა იყოს: მერე- „მდინარისპირა ველი. ქალა“; „მდინდრის  
ვიწრო ზოლი მდინარის სანაპიროზე“. მაშასადამე ჩხერიმელა უნდა  
განმარტოს როგორც „ჩხერის (წყლის) მერე“, „ჩხერის ვაკე“.<sup>1387</sup>

**ჩხოროწყუშ** დაბა, რაიონული დაქვემდებარების ქალაქი (1960  
წლიდან) დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო). გაშენებულია მდ.ხო-  
ბისწყლის მარცხ. ნაპირზე. სახელწოდება ჩხოროწყუს ორივე შემადგე-  
ნელი ფუძე მეგრულია: ჩხორო („ცხრა“) წყუ („წყალი“, „წყარო“).  
როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, ჩხოროწყუ ისე არ  
უნდა გავიგოთ, თითქოს აქ უთუოდ ცხრა წყარო დიოდა; უბრალოდ ეს  
ადგილი მდიდარი ყოფილა წყაროებით; ცხრა საკრალური რიცხვია და  
წყაროთა სიმრავლეზე უნდა მიგვანიშნებდეს.<sup>1388</sup> სიტყვა ჩხორო  
(„ცხრა“) მართლაც საკმაოდ ხშირად იჩენს თავს როგორც დასავლეთ,  
ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში: ჩხორთოლი (ნიშნავს:  
„წყაროს ცხრა თვალი“ ანუ „ცხრაწყარო“) — მდინარე გალის რ-ში,  
ოხოჯის მარცხ. შენაკადი; ჩხოროწყარო (||ჩხოროწყუ) — მდინარე  
მარტვილის რ-ში, ტეხურის მარცხ. შენაკადი. რიცხვითი სახელი

<sup>1384</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 155, 20.

<sup>1385</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიქრული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 587.

<sup>1386</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I, თბ., 1987, გვ. 238.

<sup>1387</sup> ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , „დედაუნა ქართული“, თბ., 1987, გვ. 523.

<sup>1388</sup> დაწვრ იხ. პ ც ხ ა დ ა ი ა , მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985,

გვ. 178, 181.

„ცხრა“ ხშირად გვხვდება რაქა-ლეჩხუმის, იმერეთის, ქართლ-კახეთის და სხვა რეგიონთა ტოპონიმიში. „ცხრა“, აქ „მრავალის“ სინონიმა (შდრ. მცენარე მრავალძარღვა და მისი დიალექტური შესატყვისი ცხრაძარღვა (გურ. ძარღვა-ძარღვა, კან. შქვითდამაი „შვიდ ძარღვა“, მეგრ. მაჭარღვია,<sup>1389</sup> რაქ. ბრავალძარღვა||ბრავალძაღა||ბრავალძაყა,<sup>1390</sup> იმერ. ბრავალძარღვა...)<sup>1391</sup> რიცხვითი სახელი „ცხრა“ მდინარეების და მთა-სოფლების სახელებშიც არის წარმოდგენილი: ცხრამუხა — სოფელი ხაშურის რ-ნში; ცხრაფონა — სოფელი ქობულეთის რ-ნში, ცხრაწყარო — სოფელი ზესტაფონის რ-ნში; ცხრამულა — მდინარე ქართლში, ქსნის მარცხ. შენაკადი, ცხრაწყარო — მთა ახალგორის რ-ნში, ხარულის ქედზე; ეგვეე სახელი (ცხრაწყარო) ჰქვია მთას ბორჯომის რაიონშიც, თრიალეთის ქედის დასავლ. ნაწილში.<sup>1392</sup> ბევრია „ცხრა“ სიტყვის შემცველი მიკროტოპონიმები ხარაგაულისა და კიათურა-საჩხერის რაიონებში.<sup>1393</sup>

როგორც ვხედავთ, ჩხოროწყუს საერთო-ქართულ ტოპონიმიში მრავალი ანალოგი ეძებნება, ამიტომ იგი მხოლოდ „წყარომრავალ ადგილად“ უნდა გავიაზროთ და არა იმგვარად, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ვარაუდობს.

## — 3 —

**ცაბმრ-ი** ლეჩხუმის მთავარი დასახლებული პუნქტი (ქალაქი 1968 წ-დან); რაიონული ცენტრი. გაშენებულია მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე; ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის მიჯნაზე.

ლეჩხუმის არაერთი სოფლის სახელწოდება სვანურიდან იღებს სათავეს (ლარჩვალი, ნასპერი, ისუნდერი, ლასურიაში, ზოგიში, მახაში,

<sup>1389</sup> ა. ლ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 52.

<sup>1390</sup> ა. ლ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 23.

<sup>1391</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 56

<sup>1392</sup> საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 123-124.

<sup>1393</sup> იხ. საქართველოს სსრ ტოპონიმი I. ზემოიმერეთი, თბ., 1987, გვ. 232.

ნაკურალეში ცხუკუშერი, ქორენიში, ლაილაში, ლეშკედა...). ამათ რიცხვშია განსახილველი ტოპონიმი ცაგერი, რომელიც წარმოდგარა სვანური სიტყვისაგან ცაგ, რაც „ეკალს“ ნიშნავს.<sup>1374</sup> -ერ- ღერივატიც სვანურია. იგი ხშირად გვხვდება სვანური წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებში: ტვიბ-ერ-, ნასპ-ერ-, ისუნდ-ერ-, ლეუშ-ერ-, ფა-ხუნდ-ერ-, მაზ-ერ-, ეც-ერ-, ლადრ-ერ-, ლაშხრ-ერ-, ფხუტრ-ერ-, შუალ-ერ- და მისთ. ამრიგად, ცაგერი (ცაგ-ერ-) უნდა გავიგოთ როგორც „ეკლნარა“, „ეკლებიანი ადგილი“. ტოპონიმ ცაგერ-ის მიხედვით გაფორმებულია გვარი ცაგარ-ელ-ი. რომელშიც აშკარად გამოიყოფა თვით ტოპონიმი და მასზე დართული ადამიანის სადაურობა-წარმომავლობის აღმნიშვნელი ქართული -ელ- სუფიქსი. გვარი ცაგარელი აღგადგენინებს ამოსავალ სვანურ -არ- სუფიქსს.

**ცერიონის-ი** სოფელია ქართლში (ქარელის რ. ავლევის სას. ს). გაშენებულია შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. შუა ფრონის მარჯვენა ნაპირზე. ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ ცერიონის ფცის-წყალზედ მდებარე სოფლებს — თამარაშენისა და საციხურს-შორის ათავსებს.<sup>1395</sup> ზუსტად ასე აქვს მონიშნული ცერიონისი იოანე ბაგრატიონსაც.<sup>1396</sup>

ადგილობრივ გავრცელებულია აზრი, თითქოს სოფელს ეს სახელი წეროების სიმრავლის გამო შერქმეოდეს. გადმოცემით, აქ ჩამომდინარე ფრონის ნაპირები წეროებს ჰქონიათ ამოჩემებული, ყოველ გადაფრენა-მოფრენის დროს უამრავი წერო სხდება ფრონეზეო. ამგვარი ვერსია, რა თქმა უნდა, სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება. ჩვენი ფიქრით, სახელწოდების ამოსავალი ფორმა წეროვნისი შეიძლება ყოფილიყო, რაც ამ ადგილებში შავი მინერალური მასის — წერის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს (მდრ. სოფელი წეროვანი მცხეთის რაიონში, თბილისი-გორის საავტომობილო გზაზე). ცერიონის- ფორმაში -ონ სეგმენტი -ოვან- სუფიქსის ნაშთად შეიძლება მივიჩნიოთ ჯერ ა ხმოვნის ჩა-

<sup>1374</sup> ვ. თ. ო. ფ. რ. ი. ა., შრომები I, სვანური ენა, ზნა (II გამოც.) თბ., 1967, გვ. 190, სქ.

<sup>1375</sup> ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., აღწერა... თბ., 1941, გვ. 203.

<sup>1376</sup> ი. ო. ა. ნ. ე. ბ. ა. გ. რ. ა. ტ. ი. ო. ნ. ი., ქართლ-კახეთის აღწერა. თბ., 1986, გვ. 43.

ვარდნით (ოვან — ოვნ), ხოლო შემდგომ -გ- თანხმოვნის გაქრობით. მაშასადამე სახელწოდების თეორიული ტრანსფორმაცია შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: წერ-ოვან-ის-ი → წერ-ოვნ-ის-ი → წერ-ონ-ის-ი. რაც შეეხება წ და ც თანხმოვნების ურთიერთ შენაცვლებას, იგი ისეთნაირადვე უნდა შეფასდეს, როგორც ეს ყინცვის-ყინწვის ფორმებში გვაქვს. საინტერესოა, რომ XIX ს-ის დასაწყისის ერთ-ერთ საბუთში (წიგნი ანტონ II-ისა რევაზ ერისთავისადმი სვეტიცხოვლის ყმის მიზარების შესახებ) წეროვნის ნაცვლად ცეროვანი იკითხება.<sup>1397</sup>

**ციკპარი** ასეთი გეოგრაფიული პუნქტი არის მოხსენიებული მთიულეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ზოლში; აქედან გადადიოდა გზა ხევში (დღევ. ყაზბეგის რ.). ამასთან ერთად ჩვენი მემატრიანების მიერ საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება ციკარეს ტერიტორიაზე თავდაცვითი ციხე-ზღუდეების სიმრავლეზე და, საერთოდ, მის საუცხოო სტრატეგიულ ადგილ-მდებარეობაზე. ქართულ საისტორიო თხზულება „უამთააღმწერელში“, რომელშიც XIII-XIV და მომიჯნავე ხანების საქართველოს მდგომარეობაა გადმოცემული, ციკარე „მტერთაგან შეუვალ“ ხეობად არის მოხსენიებული. აქ კარგად არის აღწერილი ის ეპიზოდი, თუ როგორ გაიხიზნა ხადის ხეობაში ციკარეს, მეფე დავით VIII, დიმიტრი თავდადებულის შვილი და კვალდაკვალ როგორ მისდია მის მცირე ლაშქარს ხუტლუ ბუდამ: „და ვითარ ცნა დავით ორგულობა შალვა ქვენიფნეველისა, შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე მტერთაგან შეუვალ იყო... ხოლო ვითარ ცნა ხუტლუბუდა მეფისა ციკარის დგომა, განყო ლაშქარი და რომელიმე წარავლინა ცხავატით გზასა, რათა ეგრეთ შევლონ ციკარესა, რომელი ესე შეუძლებელ იყო“.<sup>1398</sup>

მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებისათვის ისტორიული ციკარე ციკარად ქცეულა“. ვადის ჩდილოთ, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი — არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და კოშკოვანი... და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას დასავლით გარდავალს გზა ჰევსა შინა. ხოლო ციკარის აღმოსავლეთით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი. და ამას ქვეით იყოფის ციკარას წყალი ორად და მიერთვის

<sup>1397</sup> ქართლის ცხოვრება (სიმ.ყაუხჩიშვილის რედ.) ტ. I, თბ., 1955, გვ 18-19.

<sup>1398</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. II, თბ., 1958, გვ. 305, 9; 305, 17-18.

არავს ხარხელის<sup>1399</sup> ზეით და ქვეით ჩდილოდამ<sup>1400</sup> იონანე ბატონიშვილი თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ასახელებს ციკარას სოფელს, ოღონდ მას ხევის სოფლებს შორის სდებს.<sup>1401</sup> დღეისათვის მთიულეთხადის რეგიონში ციკარე ან თუნდაც ციკარა არ დასტურდება. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ციკარა დღევ. წკერე-ს არაქართული (რუსული) გადმოცემის შედეგი უნდა იყოს.<sup>1402</sup> საისტორიო თხზულება „ქამთაალმწერელში“ დადასტურებული ციკარე ფორმა რუსული ენის გავლენას თითქოს გამოგვიჩვენებს.

**ციხე-დიდი-ი** ისტორიული ციხე-სიმაგრე და დასახლებული პუნქტი ქ.მცხეთის შემოგარენში, დღევ. ს.ძეგვისა და ს.მარტაზისხევის შორის. მემატთანე ციხე-დიდს მოიხსენიებს წმ.წინოს მიერ ქართველთა მოქცევის ამბებთან (IV ს.) დაკავშირებით. ლეონტი მროველის მიხედვით ციხე-დიდი თითქოს „დიდი მცხეთის“ ერთ-ერთი უბანია. როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ქართლში შემოვიდა, — წერს იგი, „პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთჳი მტკურისა, ოძრვე, თუხარისი... ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი: სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა და რუსთავი და დედა-ციხე სამშულდე და მტუერის ციხე“.<sup>1403</sup> ამ მონაკვეთის მიხედვით ციხე დიდი თითქოს სარკინეთის საზღვრული სიტყვაა და იმას მიგვანიშნებს, რომ სარკინე იმ დროს დიდი და მნიშვნელოვანი ციხე ყოფილა. ასევე ქალაქი დიდი უთუოდ უფლისციხის

<sup>1399</sup> დღევ. ხარხეთი (ქვეშეთის სას. საბჭო, დუშეთის რ.).

<sup>1400</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, გვ. 65-66. აქვე შევნიშნავთ, რომ ვახუშტისეული ციკარას რუსული Цикара დაწერილობა ზოგ ჩვენს გეოგრაფს გადმოუღია, როგორც წიქარა: წიქარის წყალი (იხ. რ. შ. მე რ ლ ი ნ გ ი , ვ ა ხ ტ დ ო ლ ი ძ ე , თბილისიდან კავკავკად. თბ., 1991, გვ. 16).

<sup>1401</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 36.

<sup>1402</sup> გ . ბ ო რ ნ ა უ ლ ი , კარტოგრაფიული მასალა როგორც წყარო ქართული ტოპონიმების შესასწავლად: კრებ. ონომასტიკა I. თბ., 1987, გვ. 246

<sup>1403</sup> ქართლის ცხოვრება (ს ი მ . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რ ე ლ ) ტ I თბ., 1955, გვ. 18-19.

მიმართ აქვს ნათქვამი შემადიანეს და არა მცხეთის მიმართ. თუ ამგვარ წაკითხვას მივიღებდით, მაშინ ტექსტი ასე უნდა გაგვეგო: „პოვნა ციხე-ქალაქნი... ურბნისი, კასპი და უფლისციხე-ქალაქი დიდი, მცხეთა და უბანნი მისნი: სარკინე — ციხე დიდი და ზანავი — უბანი ჰურიათა და რუსთავი — დედა-ციხე, სამშვილდე და მტუერის ციხე“.

ასეა თუ ისე, სახელწოდება ციხე-დიდი ერთ-ერთი უძველესი ქართული პოსტოპოზიციური (შებრუნებული რიგი) წყობის ტოპონიმია. ამ ტიპის სახელები აღმოსავლეთ საქართველოში ერთობ იშვიათია. ისინი ძირითადად დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში გვხვდება: ზუგდიდი, კონდიდი, ქყონდიდი, მარადიდი, გადიდი და მისთ.

გვიანდელ ხანებში ციხე-დიდი ქართლში სოფლის სახელადაც აღმოცენებულა. იგი გვიანფეოდალურ ხანაში (XVIII ს.) გაუჟაცრიელე-ბულა.

**ციხეცდავ-ი** სოფელია დუშეთის რაიონში (მკადიჯვრის სას. საბკო). გაშენებულია მდ.ნარეკვავის მარცხენა ნაპირზე. ქართულ საისტორიო თუ ეკონომიკურ-სამართლებრივ ძეგლებში იგი XIV საუკუნიდან იხსენიება.<sup>1404</sup> ქართლ-კახეთ-შესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, რომელიც 1392 წელს არის შედგენილი, სოფელი ციხეცდავი მოხსენიებულია როგორც ციხეცდავი,<sup>1405</sup> XVII საუკუნის წერილობით ძეგლებში კი იგი ციხეცდავ-ფორმით არის წარმოდგენილი.<sup>1406</sup> ამ დროისათვის სოფელი ციხეცდავი წილქნელის სამწყსოში შემავალ სოფლად ითვლებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილი ციხეცდავს მუხრანის სამთავრო სოფლებს შორის სდებს და მას ციხე-ბოდავს უწოდებს.<sup>1407</sup> ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრე იოანე ბაგრატიონი კი ძველ ფორმას — ციხეცდავს აღადგენს.<sup>1408</sup> როგორც ჩანს, ვახუშტის ხელთ ჰქონია უძველესი ქართუ-

<sup>1404</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 1103.

<sup>1405</sup> იქვე, გვ. 179.

<sup>1406</sup> მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის I. თბ., 1964, გვ. 251.

<sup>1407</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 199.

<sup>1408</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.



ლი სიგელ-გუჯრები; დაწერილობა ციხე-ბოდავი სწორედ ამ ძეგლებიდან უნდა იყოს წარმომდგარი. ტოპონიმ ციხევადვის დაწერილობა ქართულ ეკონომიკურ და სამართლებრივ ძეგლებში ნაირგვარია. წილენის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელში“ (1669) ამ სოფლის სახელი წარმოდგენილია როგორც ციხევდა.<sup>1409</sup> თუმცა, ვფიქრობთ, იგი იმავე ციხევდავ-ფორმის შემოკლებული სახე უნდა იყოს. ციხევდავ-||ციხებდავ-ფორმათაგან ციხე-ბოდავი-ს გაჩენა ვახუშტის „აღწერაში“ ვახუშტისეულ ეტიმოლოგიად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც ბოდავი ციხევდავთან ტერიტორიულად ახლო მდებარეობს.

**ციხისძირი-ი** პატარა სოფელია მთიულეთ-ქართლის შესაყარ ზოლში (ღუშეთის რ., ანანურის სას. საბჭო). სოფელი გაშენებულია საქართველოს სამხედრო გზის ორივე მხარეს, მდ. არაგვის მარჯვ. სანაპირზე. ადგილობრივი მოსახლეობა მშობლიურ სოფელს ციხისძირს უწოდებს (იკარგვის ნათესაობითი -ის ბრუნვის ნიშნის ს თანხმობანი). სოფლის სახელწოდება წარმოდგება შუა საუკუნეებში აგებული ციხის მიხედვით, რომელიც აღმართულია ამ სოფლის სამხრეთით მდებარე ტყიან გორაკზე, მდ. ჭახის მარცხ. ნაპირზე. ჭახის ციხის კოშკი თავდაპირველად ოთხსართულიანი ყოფილა (ბეს.ჟორბენაძე), ამჟამად ზედა ორი დაქცეულია. ჭახის ციხე ერთ-ერთი რგოლია არაგვის ხეობაში განლაგებულ სასიგნალო-თავდაცვითი ციხე-კოშკების ნაგებობათა სისტემაში. ეს ციხე ალბათ იცავდა იმ მოსახლეობასაც, რომელსაც მდ. ჭახის შემოგარენში უცხოვრია: აქ ე.წ. თხილობის ქალაში არქეოლოგთა მიერ მიკვლეულია შუა საუკუნეებისდროინდელი ქვის სამარხებიანი სამაროვანი.

სიტყვა „ციხე“ და მისი ზანური შესატყვისი „ჭიხა“ ძალზე ხშირად გვხვდება საქართველოს ტოპონიმიაში. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ტოპონიმების — ციხედიდისა და ციხევადვის გარდა, გვხვდება სხვა ტოპონიმებიც: ციხისძირი (სოფლებს ეწოდება მცხეთის, ხარაგაულის და ქობულეთის რაიონებში). ქსნის ხეობაში (ახალგორის რ.) არის ციხისოფელი, ტყიბულის საქალაქო საბჭოში (გურნის სას. საბჭო) კი — სოფელი ციხია; ციხიანი სოფელია მთიულეთში (ღუშეთის რ.), ცი-

<sup>1409</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 543.

ზისუბანი ეწოდება სოფლებს ადიგენის, ვანისა და დუშეთის რაიონებში. ციხისფერადი სოფელია გურიაში (ოზურგეთის რ.), ციხისჯვარი კი სოფელია ბორჯომის რაიონში, მდ. შავიწყლის (ბორჯომულას ერთ-ერთი შენაკადი) სანაპიროზე. საკმაოდ ბევრია ტოპონიმი, რომელშიც საზღვრულ ფუძედ სიტყვა ციხე ფიგურირებს: ქვაციხე, დაბლაციხე, ახალციხე, ვარციხე, ბაკურციხე, ბუკისციხე, ველისციხე, ქუმლისციხე, უფლისციხე, გორისციხე და მისთ. შდრ. აგრეთვე ზანური წარმოშობის ტოპონიმები: ჯიხა, წალენჯიხა, ჯიხაშკარი, ჯიხანჯირი და სხვ

**ცხენთარო** ცნობილი სოფელია იმერეთში (ზესტაფონის რ.). სოფლის სახელწოდების წარმოშობის ისტორიით სპეციალისტები ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დაინტერესებულან, თუმცა მათ მიერ შემოთავაზებული ვარაუდები ე.წ. ხალხური ეტიმოლოგიის დონეს ვერ სცილდება. საოცრად გულუბრყვილოა, მაგალითად, კ.ჰანის თვალსაზრისი, რომელიც ამ სახელწოდებაში ორ სიტყვას — ცხენსა და ტაროს ("кучурышный порок") გამოყოფდა. ამ სოფელში, — დასძენდა იგი. — ცხენებს სიმინდის ტაროთი კვებავდნენო.<sup>1410</sup>

ამჟამად სპეციალისტთა შორის საკმაოდ გავრცელებულია თვალსაზრისი სახელწოდება ცხენთაროს ცხენთა რუ-საგან მომდინარეობის თაობაზე.<sup>1411</sup> ვარაუდი არსებითად ემყარება მოსაზრებას, რომ ცხენთარო სახელში პირველ ფუძედ წარმოდგენილია სიტყვა ცხენი თან-იან მრავლობითში (ცხენთა), მეორე ფუძედ კი გვექონია ირანული რუდ, რომელიც ქართული ენის ზოგ დიალექტში რო ფორმით შემოგვრჩენია. ამრიგად, ტოპონიმი ცხენთარო განიმარტება როგორც „ცხენთა რუ“, „ცხენების დედე“.<sup>1412</sup> ჩვენი ვარაუდით ცხენთარო სრულიად სხვაგვარი წარმოშობის სახელი უნდა იყოს. პირველ რიგში ახსნას მოითხოვს ის შემთხვევა, თუ რანაირად იცვალა იმერულ დიალექტში სპარსული რუდ -რო- სიტყვად. და ეს მაშინ, როცა აღმ. საქართველოს ყველა

<sup>1410</sup> СМОНІК 40. Тиф., 1909, გვ. 153.

<sup>1411</sup> ი ვ . ქ ა ე თ ა რ ა ძ ე , რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ ჟურნ. „ცისკარი“, №11, 1968.

<sup>1412</sup> თვალსაზრისი გაზიარებულია ზ . ქ უ მ ბ უ რ ი ძ ი ს მიერაც. იხ. მისი „დედაენა ქართული“, თბ., 1987, გვ. 526.

დიალექტში იგი -დ ბგერის მოსალოდნელი ჩავარდნით -რუ ფორმით არის შემონახული. რუდ → როდ → რო პროცესის სამტკიცებლად ალბათ არ გამოგვადგება მრუველი-საგან მროველი-ს მიღება,<sup>1413</sup> რადგან სულ სხვა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ფუძეში ვ-ინის მეზობლად უ→ო პროცესს და სულ სხვა — იმავე პროცესს სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც ყრუ, ცრუ, ბუ, ტლუ... სიტყვათაგან ვერასოდეს მივიღებდით ყრო, ცრო, ბო, ტლო... ფორმებს, ასევე ვერ მივიღებთ ენაში რუ-საგან რო სიტყვას. უთუოდ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ცხენთარო ახალი, ლამის ჩვენს თვალწინ შექმნილი ტოპონიმია. მას, რა თქმა უნდა, არ იცნობს არც ვახუშტი და არც იოანე ბატონიშვილი. უფრო მეტიც, კარტოგრაფ ე.კონდრატენკოს მიერ შედგენილ რუკაზე, რომელზედაც დატანილია ამიერკავკასიის სამაზრო და სათემო საზღვრები 1862-1897 წლების მდგომარეობით, აღნიშნული არ არის ცხენთარო, ზესტაფონის ნაცვლად კი **Квирилы** გვხვდება. მაშასადამე, ცხენთარო ისეთი ახალი წარმონაქმნი ყოფილა, რომ გვინდა თუ არ გვინდა. მასში ირანული ნასესხობის ვერსია თავისთავად უნდა მოიხსნას. ჩვენი ფიქრით, ტოპონიმი ცხენთარო იმერულ გარემოში, იმერული დიალექტური მასალით შექმნილი სახელია. პირველ ფუძედ წარმოდგენილია ნათესაობით ბრუნვაში დასმული ცხენ- სიტყვა, მეორე ფუძედ ანუ საზღვრულად ფიგურირებს იმერულში კარგად ცნობილი სიტყვა თარო, რომელიც თარა, თარანი (შდრ. დარანი) ფორმითაც გვხვდება და ნიშნავს: „შედრმავებული ადგილი კლდისა, სადაც თბა ან ჭიხვი თავს შეაფარებს ავდარში“.<sup>1414</sup> სიტყვა თარა, თარანი ზემოიმერულში ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობით არის დადასტურებული: „შედრმავებული ადგილი ქვის ქვეშ მდინარეში, სადაც თევზი იბუღებს“.<sup>1415</sup> თარანი იგივეა, რაც მესხურ-ჯავახური დარანი — მიწისქვეშა ხელოვნური ხვრელი, რომელსაც ში-

<sup>1413</sup> იხ. ზ . კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დასახ. ნაშრ. გვ. 526.

<sup>1414</sup> მ . ა ლ ა ვ ი ძ ე , ლეჩხუმური ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა I. თბ., 1938, გვ. 146

<sup>1415</sup> ბ წ ე რ ე თ ე ლ ი . ზემოიმერული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა I, თბ., 1938, გვ. 109.

შიანობის დროს სამალავად იყენებდნენ.<sup>1416</sup> ნ.ჩუბინაშვილის მიხედვითაც დარანი არის: „ქუბი, ნაპრალი კლდესა ანუ მიწასა შინა“.<sup>1417</sup> მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ცხენთარო ნიშნავს: „ადგილი, სადაც ცხენები უამინდობისას თავს აფარებენ“. „ცხენის თავშესაყარი ადგილი“. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტსაც, რომ იმერეთსა და აქარაში გვხვდება ადგილები, რომელთა სახელწოდებებშიც სიტყვა თარო იჩენს თავს. ასე, მაგალითად ზემო იმერეთში არის გამოქვაბული, რომელსაც თაროკლდე ეწოდება, ხოლო სოფ. ცხემლისში (შუახევის რ. აქარის ასსრ) სათიბი ნაკვეთის სახელად დასტურდება თარო. ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი ხალხური განმარტების მიხედვით ცხენთარო სოფელს ცხენების თავშესაყარ ადგილის გამო შერქმევია. „აქ ყოფილა ნოყო, სველი, ჭაობიანი ადგილი და არც იმ კუთხეში ცხენი იყო, იქანა მოდენილა ზამთრობით, ბალახს ძოვდენ, ინახამდენ თავს. თაროს ვიტყვიტ ჩვენ, თუ დაბალი ადგილია და ამ თარო ადგილას არ ყინამდა, აქეთ აჯამეთის ტყე, იქით თარო ადგილი და ბალახს რა გამოლემდა, იყო უღვეველი, დეერქვა ცხენთარო, ცხენების შესანახავი ადგილი“ (სოსიკო ალექსანდრეს ძე გეწაძე, ს. მეორე ობჩა, 1988 წ.). ზემოთქმული აშკარად მიგვანიშნებს ცხენთაროს იმერულ წარმომავლობაზე. იგი ნიშნავს: „ცხენთარო“, „ცხენ(ების) თარო“; ტყით ან გორაკებით შემოზღუდული დაბალი ადგილი, სადაც სოფლის ცხენები დამლობით დგებიან, „საცხენე ადგილი“ (შდრ. ტოპონიმი საცხენისი გარეკახეთში); „ცხენების მიერ ამორჩეული (დათვარებული) საზამთრო საძოვარი“.

**ცხენთარო** სოფელია მცხეთის რაიონში, თბილის-თიანეთის გზაზე. გაშენებულია საბადურის ქედის სამხრ.-აღმოსავლეთ კალთებზე, მდ. თეზმის ხეობაში. სოფლის ძველთაძველი სახელი ზვარეთი ყოფილა.

ადგილობრივ საკმაოდ პოპულარულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფლის სახელწოდება ხშირ ლეკიანობასთან ყოფილა დაკავ-

<sup>1416</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა I, თბ., 1974, გვ. 184.

<sup>1417</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 194.

შირებული;<sup>1418</sup> „აქ გადმოდენილა ლეკი. ვეძახით სალევო გორას, იქიდანა სცოდნიათ მოსვლა. არბეედენ სოფლებს. ეგენი გადენილან არაგვგაღმაც, არაგვგამოღმა ხო იმათი ლუკმა იყო. ართმევდენ ხალხს პირუტყვის, რაც რამეს დაითავისებდენ, მიჰქონებიათ. ხოლოთ ბანაკი აქა ჰქონიათ, ამ ჩვენ სოფელში; ახლოშივე მდგარან. დატაცებული ცხვარ-ძროხა აქ მაჰყოლებიათ. გამოულეველათ ჰქონიათ ცხვრის ხორცი, ერთავათ ცხვარსა შუამდენ, დაჰკლამდენ და იყვნენ ერთ ამბავში. მაუქვიენებით ცხვარიჭამია“ (ივ.წოწკურაშვილი, 1974 წ.).

არანაკლებ პოპულარულია მეორე გადმოცემა, რომლის მიხედვით ცხვარიჭამია ადამიანის პიროვნული სახელი ყოფილა: „ეს სოფელი სუ პირველათ გაუშენებია ერთ მწყემს; იმისათვი სახელათ უძახნია ცხვარიჭამია, ჭერზე წლის თოხლი თურმე არა ჰქმაობდა და ცხვარიჭამია მაუქვიენებიათ. ის რო აღარა ყოფილა, ახლა სოფლისათვი დაურქმევეით იმისი სახელი“ (მ.ჩოხელი, 1974 წ.).

ქართულ ენაში მართლაც გვაქვს ანალოგიური წარმოშობის ანთროპონიმები (ზაქიჭამია, ბატკნიჭამია...), მაგრამ ამ შემთხვევაში. ვფიქრობთ, სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. ცხვარიჭამია სოფელს უნდა შერქმეოდა არა პიროვნული სახელის, არამედ ადგილის სახელის მიხედვით. ცხვარიჭამია, ჩვენი აზრით, ისევეა წარმოქმნილი, როგორც ხარიკალია (ბორჯომის რ.), კაციჭამია (იხ.) და სხვა მისთ. ცხვარიჭამია, ამრიგად, უნდა გავიზიაროთ ადგილად. სადაც მგელი ან სხვა მტაცებელი ნადირი ხშირად ჰკამს (იტაცებს) ცხვარს; „სამგლე ადგილები“.<sup>1419</sup>

აქვე გვინდა წარმოვადგინოთ სხვაგვარი ახსნაც. მთიულურ დიალექტში დაცულია ტერმინი ბატკნიჭამია — სახელია ერთგვარი თეთრბუხუსებიანი ბალახისა, რომელიც ბატკნებს აბრუებს და ხოცავს (იხ. ლია კ ა ი შ ა უ რ ი , მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ. 1967. გვ.

<sup>1418</sup> ხალხური ლეგენდა ჩაუწერია ალ. ლლონტს (იხ. მისი „მცხეთის ტოპონიმია“, თბ., 1975, გვ. 72); იხ. ავრეთვე შ. გოგატიშვილი, 1981, გვ. 46.

<sup>1419</sup> ცხვარიჭამია ეწოდება სოფ. სამთავისის (კასპის რ.) ერთ-ერთ უბანს; აქვეა „ცხვარიჭამიას ვზა“. შეიძლება ამ შემთხვევაში სახელწოდების გააღრმავებულად (შიდა მიგრაციასთან) გვექონდეს საქმე.

185). როგორც ჩანს, ძველ ზეარეთშიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო ამგვარი შხამა ბალახი, რომელიც ცხვარს (ბატყანს) ხოცავდა და ადგილსაც მიტომ შერქმევია ცხვარიქამია. ამ ახსნათაგან უპირატესობა, ჩვენი ფიქრით, პირველ ვერსიას უნდა მივაკუთვნოთ.

**ცხენკელა** (||**ცხენკელა**) ნასოფლარი ჭავახეთში. ადგილობრივი მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ მათ სოფელს ასეთი სახელი ცხენების ნაკელის გამო შერქმევია.<sup>1420</sup> ჭავახური დიალექტის ცნობილ მკვლევარს გრ.ბერიძეს ამგვარი ეტიმოლოგია, ბუნებრივია, არ აკმაყოფილებს; იგი მას საექვო განმარტებად მიიჩნევს. თუმცა თავდაპირველ ფორმად მკვლევარი რატომღაც უშვებს ცხენკელა-ს (ნ-არის მეტათეზით) და მას ორგვარად გაიაზრებს: 1. ცხენის კელი — ცხენის ნაკელი; 2. ცხენ-კელი ანუ ცხენკული (ძვ. ქართ. კელობა-კოქლობა).<sup>1421</sup> ამ მოსაზრებათაგან, ვფიქრობთ, არცერთი არ არის ანგარიშგასაწევი. ცხენკელა, ჩვენი ფიქრით, მცენარის ზანური სახელწოდების ცხაკ-||ცხეკ- ძირს უნდა უკავშირდებოდეს (შდრ. ცხეკი — მდინარე ზემო სვანეთში, მესტიაქალის მარცხ. შენაკადი); ცხეკერეთა — სათესი ნაკვეთი აქარაში (ს.ვეგენიძეები),<sup>1422</sup> ცხაკამერია — ტყე არის სოფ. დოლოგანში, მახუნცეეთის სას. საბჭო (აქარა)<sup>1423</sup> და სხვ. მისთ. უთუოდ ამ ცხაკ- ძირთან კავშირში უნდა გავიაზროთ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ცხეკელა (-ცხეკ-ნალ-ა) სამცხე-ჭავახეთის ტოპონიმიში დასავლურ ქართული, კერძოდ, ზანური ელემენტის არსებობა მეცნიერულად დასაბუთებულია.<sup>1424</sup>

<sup>1420</sup> გრ. ბერიძე, ქართული ენის ჭავახური კილო, თბ., 1988, გვ. 149.

<sup>1421</sup> იქვე, გვ. 149.

<sup>1422</sup> ი. ს. იხარულაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია I. ბათ., 1958, გვ. 48.

<sup>1423</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>1424</sup> გ. თოფჩიანი, ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმია): ეურნ. „მაცნე“, №6 1968, თ. მ. იქელაძე, 1974, გვ. 26-30 და სხვ.

**ცხვედიანი-ი** პატარა სოფელია მთიულეთში (ფასანაურის სა-  
დაბო ს., დუშეთის რ.). გაშენებულია მთიულეთის არაგვის მარცხენა  
სანაპიროზე. ამჟამად სოფელი ძირს, სამანქანო გზის სიახლოვეს გადმო-  
დის. 1926 წლის დემოგრაფიული აღწერის მასალების მიხედვით ცხვედი-  
ეთში 33 ოჯახს უცხოვრია (166 სული. აქედან: ქალი 90, კაცი-76). ძი-  
რითადი გვარი ყოფილა აფციანური და წიკლაური.

ს.მაკალათიას თავის ცნობილ გამოკვლევაში ცხვედიეთი დასახე-  
ლებული აქვს როგორც **ცხვედიანი**.<sup>1425</sup> როგორც ვხედავთ: ეს ტოპონი-  
მიც ისევე ყოფილა გაფორმებული გვაროვნული სიმრავლის -ნ, -ან  
სუფიქსით, როგორც მთიულეთ-გუდამაყრის სხვა არაერთი სოფლის სა-  
ხელწოდება (შდრ. ნადიბა-ან-ი, ყველა-ან-ი, შარში-ან-ი (||შარში-  
ან-ი), ციხი-ან-ი, კაიშაურ-ან-ი, ჩოხელ-ან-ი, ბედო-ან-ი, ყოყო-ან-ი,  
თორელა-ან-ი, ჯალმი-ან-ი (||ჯალში-ან-ი), ბახა-ან-ი, უშარ-ან-ი და  
სხვ. მრ.).

ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს ძველი ქართული ანთროპონი-  
მული (წინაპრის საკუთარი ან შერკმეული სახელი) — მცხუედი, რო-  
მელიც ენაში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარებოდა: „მცირე“, „გვი-  
ანი“,<sup>1426</sup> „ზარმაცი“: „ნუ გეშინინ... მცხუედო (||მცირეო) ჩემო ისრა-  
ელ“.<sup>1427</sup>

მთიულურ დიალექტში მცხუედ-||მცხუედია სახელს თავკიდური  
მანი ჩამოშორებია და ცხვედია მიგვიღია.<sup>1428</sup> მამასადაჲე ცხვედიეთი  
(მთიულ. ცხვედიათი) უნდა გავიგოთ როგორც „ცხვედიას შთამომავალ-  
თა სოფელი“, „ცხვედ-იან-ი“.

**ცხინვალ-ი** ქალაქი (1922 წლიდან) შიდა ქართლში. გაშენებუ-  
ლია მდ. დიდი ლიახვის ორივე ნაპირზე. ისტორიული ქრცხილვანი (—  
ქრცხილ-ოვანი-ი). ქართულ საისტორიო წყაროებში იგი XIV საუკუნის  
დამლევადან არის ცნობილი. ამ დროისათვის ქრცხილვანი (||ქცხინვა-  
ლი) სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულია: აქ მოსახლე ელიოზიძის შუწი-

<sup>1425</sup> „მთიულეთი“, თბ., 1930, გვ. 13.

<sup>1426</sup> შდრ. ფშაური გვარი გვიანაშვილი.

<sup>1427</sup> ი ლ ა ბ უ ლ ა ძ ე , ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 307.

<sup>1428</sup> ანალოგიური ვითარება გვაქვს დასავლურ ქართულ ცხვედაჲე გვარში.

რულება აღექსანდრე მეფეს სვეტიცხოვლისათვის კვლავ განუახლებია.<sup>1429</sup> მომდევნო ხანებში ქრცხილვანი დედოფლის სახასოდ ქცეულა: აქ მოსახლე ვაშაყაშვილისეული გლეხი ივანე ხმელაშვილი მარიამ დედოფალს თამაზ მაჩაბლისათვის უბოძებია.<sup>1430</sup> XV საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში (შეწირულების დაწერილი) ქრცხინვალი უკვე **კრცხილვან**||**კრცხილვან** — ფორმით არის წარმოდგენილი: „ამირეჯიბმა რამინ გაბელისძემ და მისმა ძმამ — საყდრის ამილახორმა შესწირეს სვეტიცხოველს **ქრცხილვან**ში მცხოვრები ლალასძე და ერგნეთში მცხოვრები ჯოხასძე მათი მამულებითურთ“.<sup>1431</sup> „**კრცხინვალელი** ურია ესტატე მოწმე იყო გოგია თევდორესშვილის მიერ ბახუტა ჩივაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა“, — ნათქვამია XVII ს-ის ერთ დოკუმენტში.<sup>1432</sup>

ტოპონიმი ქრცხილ-ვან-ი (ქრცხილ-ოვან-ი), როგორც ეს სარწმუნოდ არის სპეციალისტთა (ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, ავ.შანიძე...) მიერ გარკვეული, წარმომდგარია მცენარე **ქრცხილის** ძველი ქართული სახელისაგან **ქრცხილა**||**კრცხილა**.<sup>1433</sup> ფუძეზე დართულია ძველივე -ოვან-სუფიქსი (ქრცხილ-ოვან-ი), რომლის თავკიდური ო ხმოვნის ჩაყარდნის შემდეგ **ქრცხილვანი** მიგვილია.<sup>1434</sup> მაგრამ სახელწოდების ფონეტიკური პროცესი ამ დონეზე არ შეჩერებულა. სახელდობრ, ჯერ **ნ-ლ** თანხმოვანთა მეტათეზისი, ანუ ბგერათგადასმა მომხდარა (ლ თანხმოვნის ადგილზე სუფიქსისეულ **ნ** თანხმოვანი „გადმომჯდარა“) და **ქრცხილ-ვან**-ის ნაცვლად **ქრცხინ-ვალ-ი** მიგვილია; ამის შემდგომ კი თავკიდურ პროცესში თანხმოვანთა თავმოყრა (**ქრცხ-**) ენას გამარტივების გზით დაუძლევია და გვიანი ხანის სამეტყველო მიმოქცევაში იგი **ცხინვალ-ად** დამკვიდრებულა.

<sup>1429</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 227.

<sup>1430</sup> იქვე, გვ. 227.

<sup>1431</sup> იქვე, გვ. 128.

<sup>1432</sup> იქვე, გვ. 128.

<sup>1433</sup> მთიულურ დიალექტშია **კირცხილა** (ლ . კ ა ი შ ა უ რ ი , 1967, გვ. 210).

<sup>1434</sup> აქ ჩვენ ზუსტად ისეთ ფონეტიკურ პროცესთან გვაქვს საქმე, როგორც ტოპონიმ **ჟინ-ოვან-თან** დადასტურდა: **ჟინ-ოვან-ი** — **ჟინ-ვან-ი**||**ჟილ-ვან-ი** — **ჟინვალი**.



სპეციალურ ლიტერატურაში ნ.მარი იყო პირველი, რომელიც სახელწოდება ცხინვალის წარმოშობისა და სტრუქტურის საკითხებს შეეხო. ნ.მარისათვის სადავო არ ყოფილა ამოსავალი სიტყვის (ქრცხილა) მნიშვნელობა, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვი იმ თვალსაზრისის შესახებ, რომელსაც იგი -ან სუფიქსის ირგვლივ გამოთქვამდა. მკვლევრის ვარაუდით ეს -ან სუფიქსის სიმრავლის გამომხატველი უძველესი ელემენტი იყო, რომელიც სწორედ ტოპონიმ ქრცხილ-ვან-ში შემოგვანახვია ქართველური (სვანური) სიმრავლის აღმნიშვნელი -არ სუფიქსის ნაცვლად.<sup>1435</sup> ნ.მარისეული თვალსაზრისი, როგორც მოსალოდნელი იყო. სპეციალისტთა მიერ არ იქნა გაზიარებული.<sup>1436</sup> მართლაც ტოპონიმ ქრცხილვან-ში -ვან- ელემენტია მთლიანად საკლევო და არა -ან- სეგმენტი, რამდენადაც -ან- ამ შემთხვევაში აშკარად -ვან-(ოვან-) სუფიქსის ნაწილია და არა დამოუკიდებელი საწარმოქმნო ფორმანტი. თუ -ან ელემენტს რთული შედგენილობის -ოვან- სუფიქსში ცალკე არსებულ დამოუკიდებელი მნიშვნელობის სეგმანტად მივიჩნევდით, მაშინ ეგვევ საკითხი დაგვიდგებოდა ყველა -ი-ან, აგრეთვე -ევან- (შამბ-იან-ი, ავშნ-იან-ი, ხილ-იან-ა; მაწ-ევან-ი, რატ-ევან-ი, შანკ-ევან-ი, ბარ-ევან-ი...) სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმების კლავის დროს, რაც, რა თქმა უნდა, სასურველ შედეგს არ მოგვცემდა.

ქრცხილ-ოვან-ი (— ქრცხილ-ვან-ი|ქრცხინ-ვალ-ი|ცხინ-ვალ-ი) ძველი ქართული ენის ისტორიული ფაქტია. იგი შესანიშნავად ადასტურებს სახელში მომხდარი ფონეტიკური პროცესების რეალობასაც და მის შედეგსაც; იგი ისევეა გაფორმებული მცენარეული საფარის სიმრავლის აღმნიშვნელი ძველისძველი -ოვან- სუფიქსით, როგორც ისტორიული ეპოქის სხვა გეოგრაფიული სახელები: დლოვანი, ყინოვანი, მუხროვანი, მაყვლოვანი, ბაბილოვანი...

ქრცხილა, ანუ დღევანდელი რცხილა საქართველოში ძალზე გავრცელებული ენდემური ჩიშია. იგი ქართველური ენების თითქმის ყველა დიალექტისათვის არის ცნობილი: ქართლ. შავი რცხილა, შავ-

<sup>1435</sup> ნ. მ ა რ ი, ხეებისა და მცენარეთა იაფეტური სახელწოდებანი: მეცნ. აკად. მოამბე (რუსულ ენაზე), 1915, №10. გვ. 938.

<sup>1436</sup> იხ. ა რ ნ . ჩ ი ქ ბ ა ვ ა , -ონ სუფიქსი მგვრულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. ტ. VI, 1926, გვ. 308-309.

რცხილა; მთიულ., ფშაური კირცხილა (ქრცხილასთან ყველაზე ახლოს მდგომი ფორმა); რაქ., ლეჩხ. რცხმელა; გურ., აჭარ. რცხემლა, ცხემლა; ინგილ. ცხილაი; ქან. მცხუბრი, ცხემური; მეგრ. ცხიმური, ცხემური; სვან. ცხიმრა, ცხვიმრა, ცხუმ.<sup>1437</sup> მაშასადამე, ქრცხილოვანი ანუ დღევანდელი ცხინვალი უნდა გავიაზროთ როგორც „რცხილნარი ადგილი“, „რცხილის ბუნებრივი საფარით მდიდარი ადგილი“, „რცხილოვანი“. რცხილა სიტყვა ცხილა ფორმით ცნობილი ყოფილა ზემო-იმერული დიალექტისათვისაც. უთუოდ ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იქაური სოფლების ერთ ნაწილში დადასტურებულია ადგილთა სახელებად ცხინვალი (—ცხილ-ვან-ი || ცხილ-ოვან-ი). შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმერეთში გავრცელებული ყოფილა როგორც ცხემლა||ცხევლა, ისე ცხილა.

ქართულ ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირია მცენარის სახელწოდებისსაგან მომდინარე ტოპონიმები: თხილვანი||თხინვალი, ვაშლოვანი, პანტია-ნი, მუხნარი, თელოვანი, თელიანი, თელეთი, წაბლნარა, კომშიანა, ფიჭვნარი, ბარდნალა და მისთ. ცხინვალიც ამათ რიგში დგას.

## — ძ —

**ქაბნაკორა (ძმბნაკორა)** ნასოფლარი ადგილია ს.ლაფანაან-კარის სანახებში, მდ. აბანოსხევის (არაგვის მარცხ. შენაკადი) ჩრდილო-ეთით, მარჯვენა მხარეს (დუშეთის რ.).

„მზვარე ფერდობი ადგილია და იმას ვეძახით ძეგნაკორას. აქ არი ძველისძველი ნასახლარები, სოფელი ყოფილა, ხალხს უცხოვრია, ნაშალი ადგილებია“ (ბაირამ ოდიშელიძე, ქ.დუშეთი, 1974 წელი).

ხალხური ტრადიციული გადმოცემა ტოპონიმ ძაგნაკორის წარმოშობას ორი ძმის სახელს — ძაგანასა და კორას საქმიანობას უკავშირებს: „აქ დასახლებულან ორნი. ძმები ყოფილან ერთს ძაგანა რქმევია, უმცროსს — კორა. ესენი წამოსულები ყოფილან დასაველეთ საქართველოდან, არ ვიცი გურიიდან, არ ვიცი — სამეგრელოდან. ხოლოთ გამოქვეულები კი ყოფილან, ბატონს გაჰქევიან. მოსულან და ფე-

<sup>1437</sup> ა ლ მ ა ყ ა შ ე ი ლ ი , ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 36.

ხი აღარ მოუცვლიათ. დაუწყიათ აქ ცხოვრება. მერე და მერე იმათი ცოლები თურმე ვეღარა ჰხდებიან ერთიმეორეს. ჰქონიათ მუდამ ლაბარაკი და ჩხუბი. ამდგარან ეს ძმები და ცოლებთან რო ვეღარაფერი გაუწყვიათ, ცალცალკე დასახლებულან. თანდათან გაშენებულა იმათი შვილებისა და შვილიშვილებისაგან ორი სოფელი. ამ ძაგანას შთამომავლები დაწერილან ძაგანაშვილებათ და ძაგნიძეებათ, კორას მოსადევარი კიდევ — კორაშვილებათ, ნაწილიც — კორახაშვილებათ. მერე და მერე ამ ხალხს ჟამი გასჩენია, სუ გადაშენებულან. დარჩენილა ერთი ფეხმძიმე ქალი, ვერ ვიცი, რა გვარისა — ძაგანაშვილი თუ კორახაშვილი. ხოლო ამ ქალს დაუბადნია ბიჭი და იმისთვის გვარათ მიუცია ოდიშელიძე, ალბათ რახან დასავლეთიდან იყვნენ მოსულები, იმიტომ“ (ვანო ლათანაშვილი, ს.ბულაჩაური, 1961 წ.)

ამ საინტერესო გადმოცემას, ფაქტიურად, სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. იგი, ჩანს, ემყარება ტრადიციულ ხალხურ ვერსიას ამ კუთხეში არსებული გვარის ოდიშელიძის ოდიშიდან (სამეგრელო) მოსულობის თაობაზე, თუმცა თავისთავად ეს ვერსიაც სარწმუნოდ ვერ გამოიყურება: გამორიცხული არ ჩანს იმის შესაძლებლობა, რომ გვარისათვის ამოსავლად სოფ. ოძისი დავსახოთ: ოძისელი(ს)ძე → ოდისელის(ს)ძე → ოდიშელიძე (დისიმილაციის გზით).

ქართულ ისტორიულ ძეგლებში ტოპონიმი ძაგნაკორა XIV საუკუნის დამლევებიდან მოიხსენიება. ასე, მაგალითად, ქართლ-კახეთ-შეხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში (1392 წ.)<sup>1438</sup> ძაგნაკორა ისტორიულ ხერკი-საგურამოს შემოგარენში მდებარე, ერწოს მოსაზღვრე სოფლად, უფრო სწორად, ხეობად (თემად) არის სახელდებული. გუჯარის შემდგენელი ჩამოთვლის ჯერ ერწოში შემავალ სოფლებს (ჩეყური, ნოდოკრა, მონასტერი,<sup>1439</sup> ვერნაულა,<sup>1440</sup> თვალეჯი,<sup>1441</sup> გორონა... ხოლო ამას მოსდევს ძაგნაკორაში შემავალი მამულები (ლაფირას-შვილისა და შერგილას-შვილისა) და საარაგვოს მარცხენა მხარის სოფ-

<sup>1438</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III თბ., 1970, გვ. 176-181.

<sup>1439</sup> იგივე არჩილის მონასტერი (დღევ. სიონგორი).

<sup>1440</sup> ალბათ დღევ. კვერნაულა.

<sup>1441</sup> დღევ. თოლენჯი

ლები: კობორტი, ქვემო და ზემო ბიწმენი<sup>1442</sup> და სხვ.<sup>1443</sup>

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ძაგნაკორნა „არაგვის პირის თიანეთში“ მდებარეობდა,<sup>1444</sup> ეს ტერიტორია კი დღევანდელ კობორტ-ბულაჩაურ-დავათის მიწებს გულისხმობს. ძაგნაკორას ოდნავ ქვემოთ, საგურამოს სანახებში ათავსებდა პ.ინგოროყვა. ამდენად სადავოდ გვეჩვენება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ძაგნაკორნა(თა) ქსნის ხეობის შუა წელსა (ყანჩაეთ-ლოწობანი) და პატარა ლიანხვის სათავეებს შორის (აწერის-ხევი) მდებარე პუნქტად მიიჩნევა.<sup>1445</sup> ჩვენი ვარაუდით ძაგნაკორნა||ძაგნაკორნა ორი, მეზობლად მდებარე, სოფლის ძაგვისა და ნაკორნას (იგივე ნოკორნას) სახელწოდებათა შეერთებით არის მიღებული. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ აქაური, ტერიტორიულად მომიჯნავე, ოიკონიმები (სოფლის სახელები) ხშირად ტოლად შერწყმულ სახელებად ფორმდებოდნენ (ბოდავ-ფუძნარი, კუდო-ხილიანა, ვარცლადოლოშა, ნოჯა-ნოკიყეთი...), ძაგნაკორნაც ძველისძველ ქართულ ეკონომიკურ საბუთებში ორ, ცალ-ცალკე, მაგრამ მეზობლად მდებარე, სოფლებად — ძაგვად და ნაკორნად არის მოხსენიებული: „ნოკორნას შედგომა ვერცხლი დრამა ე, ქრთილი კაბიწი ბ, შოლტი ქალამანი ა“; ძაგუს შედგომა დღე-ღამე ბ, ვეცხლი დრამა დ ქრთილი კაბიწი ბ ცხურის ტყავ-მკარი ქალამანი ა“.<sup>1446</sup> როგორც ვხედავთ, ძაგვი და ნაკორნა (||ნოკორნა)<sup>1447</sup> დოკუმენტობრივ ორ ცალკე სოფლად არის დადასტურებული. მათი შერწყმით მიგვიღია ძაგ(ვ)-ნაკორ(ნ)ა (ხალხ. ძეგნაკორნა) ამ სახელწოდებამ არ შეიძლება უნებლიეთ არ გაგვახსენოს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში კარგად ცნობილი ტერმინი „ძაგნაკორული ლექსი“. ხომ არ მიგვანიშნებს ეს ფაქტი იმაზე, რომ ძველი

<sup>1442</sup> დღევ. ბიწმენი.

<sup>1443</sup> ქსდ III, გვ. 180-181.

<sup>1444</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, გვ. 94, 206.

<sup>1445</sup> დ . მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი , კახეთ-ჭერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს-ში: სიგე III, თბ., 1967, გვ. 82-83.

<sup>1446</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III (ი ს . დ ო ლ ი ძ ი ს რედ.). თბ., 1970, გვ. 235.

<sup>1447</sup> ასე აქვს დამოწმებული ეს პუნქტი ს კ ა კ ა ზ ა ძ ე ს (იხ. მისი „საისტორიო კრებული“ წ. IV, ტფ. 1929, გვ. 5).

დაგნაკორნა ერთ-ერთ დიდ ლიტერატურულ-კულტურულ კერად მივიჩნით? საგულისხმოა, რომ აქვე არაგვის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრთა მიერ ამ რამდენიმე წლის წინათ მიკვლეული იქნა ადრეფოდალური ხანის მნიშვნელოვანი ძეგლი დავათის ეკლესია ძალზე საინტერესო სტელით, რომელზედაც ქართული ანბანია ამოკვეთილი. ამ ფაქტს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სწორედ ერწოს სოფელ ნადოკრაში (ისტორ. ნოდოკრა-||ნოტკორა)<sup>1448</sup> არის აგებული არჩილის მონასტერი (VIII ს.), რომელშიც დაკრძალულია მისი ამგები, წმინდანად შერაცხილი მეფე არჩილი, მაშინ ჩვენთვის ცხადი უნდა გახდეს, რომ ერწო-არაგვისპირის გაღმა მხარე ძველი საქართველოს ეროვნული კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული კერა უნდა ყოფილიყო.

**ქპპ-ი** ცნობილი სოფელია მცხეთის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე. ვახუშტი ბატონიშვილი ძეგვს მცხეთის სოფლებს შორის, ციხე-დიდისა და ხეკორდის შუა სდებს: „დასავლით არმაზისა არს ციხე-დიდი. მის დასავლით — ჳევი ძეგვისა, სდიან სხალ-დიდს, მიერთიან მტკვარს სამჯრიდამ. არს ღვინო და მბალი მუნებური (-აქაური გ.ბ.) კეთილი“.<sup>1449</sup>

ადგილობრივ მოსახლეობაში არსებობს ძეგვის წარმოშობის საკმარად ხელოვნური გადმოცემა: „ერეკლე მეფის დროს ძეგვი თათრებს აუკლიათ. მთელი სოფელი გაუძარცვიათ. ვისაც მოესწრო, გახიზნულიყო. ერთხელ თათრებს სოფელში გაუვლიათ. დაინახეს ერთი ყმაწვილი, გამოსულა და ბანს ცოცხითა ჳგვის. თურმე გაუკვირდათ და ერთიმეორეს უთხრეს: შეხედე, ძე გვისო! ამის შემდეგ ჩვენი სოფლისათვის ძეგვი შეურქმევიათ“ (ეკა სიმონის ასული ყიფშიძე, ს.ძეგვი, 1990 წ.).

ჩვენი ფიქრით, ძეგვი მიმღობური შინაარსის სახელი უნდა იყოს: ძეგვი-ილ-ი (შდრ. გა-ძეგ-ილ-ი — სეტყვისაგან ან ღვარცოფისაგან გადათელილი ნათესი, ქირნახული). სახელდებისათვის გამორიცხული არ უნდა იყოს მცენ. ძიგვი, ძიგ(ვ)-ურა „ეკალიქი“ (შდრ. ლეჩხ. ძეგვი-

<sup>1448</sup> ვფიქრობთ, ტოპონიმ ნაკორნა||ნოკორნასა და ნოდოკრა||ნოტკორას შორის ნათესაური კავშირი უნდა არსებობდეს.

<sup>1449</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, 1941, გვ. 197.

„გაუჟალი, ეკლიანი ჩირგვი“).<sup>1450</sup> იმერულსა და რაჭულში ამავე მნიშვნელობით ძიგვე გვაქვს.<sup>1451</sup> ძეგვის ეტიმოლოგიის საბოლოოდ გასარკვევად დამატებითი კვლევა-ძიება არის საჭირო.

ძმმმნა სოფელია ცენტრალურ ქართლში (გორის რ.). ხალხური ტრადიციული გადმოცემა ამ ტოპონიმის წარმოშობას ოჯახის უძეოდ გადავლას უკავშირებს: „საიდღანაც აქ მოსულა ცოლ-ქმარი. მოსწონებიათ და აღარ წასულან, დარჩენილან. გაუკეთებიათ სახლი, მამული გაუშენებიათ, მდიდრათაც ყოფილან, მაგრამ წერა იყო, რა იყო, რაღაცის ბრალი ქე იქნებოდა, უჩნდებოდათ სუ გოგოები, რამტენიც ბიჭი ეყოლათ, არცერთი არ შერჩენიათ. ქე ვერა და ვერ გაზარდეს, გვარი არ გაუმრავლდათ. ქე ვერ იყოლესო და ამიტომ დაურქმევიათ ძევერა (ზაგრატ გიორგის ძე ჯოღბორდი).

ტოპონიმი ძევერა წარმომავლობის თვალსაზრისით შეიძლება სავრთოს ავლენდეს იმერეთში დადასტურებული სოფლის — ძევერის სახელწოდებასთან (ძევერი სოფელია თერჯოლის რ-ში—, აქვეა მდ. ძევერულა. ქართლში არსებული ტოპონიმი ძევერა, შესაძლებელია, იმერეთიდან იყოს გადმოტანილი მიგრირებული მოსახლეობის მიერ.

ვახუშტი აღწერს იმერეთის ძევერს და ძევერის-წყალს: „ამ აჯამეთის-წყალს ერთვის ძევერის-წყალი, დაბის ძევერისაგან სახელდებული... მოერთვის ყვირილას ჩდილოდამ“.<sup>1452</sup> ჩვენი სახელოვანი გეოგრაფი აქვე გვაწოდის ტოპონიმ ძევერას (ძევერის) ახსნის ცდას. იგი ამოსავლად მიიჩნევს ძევს ზმნას და თან სანახევროდ ლეგენდურ ამბავს გადმოგვცემს: „ძევერს არს ხიდი ქვიტყირისა და სვეტთა ზედა წერილ არს: „არა მამამან ძე მანდა,<sup>1453</sup> არა სულმან წმიდამან და ძე მანდა...“<sup>1454</sup> იტყვიან განძსა მდებარესა დანიშნავს ამით“.<sup>1455</sup>

<sup>1450</sup> მ. ა. ლ. ა. ვ. ი. ძე, ლეჩხუმური ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა I, თბ., 1938, გვ. 160.

<sup>1451</sup> ვ. უ. კ. ბ. ე. რ. ი. ძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ., 1912, გვ. 74.

<sup>1452</sup> ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., აღწერა... თბ., 1941, გვ. 152.

<sup>1453</sup> სწორია: ძემან და...

<sup>1454</sup> ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., დასახ. ნაშრ. გვ. 152.

გამორიცხული არ არის, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ამგვარი განმარტება ემყარებოდეს იმ დროისათვის ხალხში მოარულ რაღაც გაღმაცემას ძვერის ხიდში ვითომცდა განძის არსებობის თაობაზე.

ტოპონიმ ძვეერის შინაარსის გასარკვევად რამდენადმე გვეხმარება XVIII ს-ის ერთ ქართულ დოკუმენტში დამოწმებული სოფელი ძევარა: „ერთი კომლი ივანაშვილი ძევარას არის“.<sup>1456</sup> ხომ არ შეიძლება ძევარას (მ)ძივარა-დ აღდგენა? (შდრ. ტოპონიმი სა-ძივ-ი და აქედან წარმოქმნილი გვარწოდება სამძივარი; ანდა ძევარა — დევ-არ-||დებ-არ-ა (მიწა)? ზემოიშვრულ დიალექტში დებარე მიწა ისეთ ნიჲდაც ეწოდება, რომელსაც წყალი ვერ ჩამორეცხავს, „ვერ დარიყავს, მუღმივ არი“.<sup>1457</sup> იქნებ: დევერა(-ან-ი)? შდრ. გვარი დევერაშვილი, დევერაშვილი.

**ქველკვიან-ი** სახნავ-სათესი მამულის სახელად გვხვდება ზემო იმერეთში (ს.ჯალაურთა, საჩხერის რ.) ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი თვლის, რომ სახელწოდება ძველკვიანი ადგილს ძელქვის ხეების სიმრავლის გამო შერქმევია. „მდგარა ძელქვის დიდვანი ხეები. ხალხი უძახოდა ძელქვიანს. ახლა იქ მამულებია, ვენახია, მარა ძველებურათ მაინ ძელქვიანს უძახიენ. ზოგი ძველკვიანს ამბოფს, ზოგი ძელკვიანს. ძელქვაა სტორი“ (მიხეილ საგანელიძე, ქ.ქიათურა). შეიძლებოდა ექვი არ შეგვეტანა ამგვარი თვალსაზრისის სისწორეში, რადგან ზემო იმერეთის ტოპონიმიში ძელქვა სიტყვის გამოყენება საკმაოდ ხშირია: ძელქვავენახ-ი — ვენახი სოფელ ქვედა საზანოში; ძელქვები-ი — ვაკობი ს.ზედა კლდეეთში, ძელქვის ყანები — სახნ. ს. მეორე სვირში (ზესტაფონის რ.) და სხვ. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ძველკვიან-ი მცენ. ძელქვასთან კავშირში არ უნდა იყოს. ტოპონიმი ძველკვიან-ი აშკარად ორფუძიანი სახელია. პირველია ზედსართავი ძველი, წარმოდგენილი სუფთა ფუძით (შდრ. ძველნასახტრი, ძველყანები, ძველწყარო...), მეორე შემადგენელი სიტყვა კვიან-ი კი უნდა

<sup>1455</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმი I. ზემო იმერეთი თბ., 1987, გვ. 166.

<sup>1456</sup> ქართული სამართლის ძეგლები (ი ს . დ ო ლ ი ძ ი ს რ ე დ.) ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 371.

<sup>1457</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიშვრული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 135.

იყოს რკვიანი-ს (იხ.) ურავო ფორმა. საინტერესო ისაა, რომ სოფ. ჯალაურთაში სახნავი მამულების სახელად დადასტურდა რკვიანა (||რკვიან-ებ-ო). ჯალაურთას გარდა მიკროტოპონიმებად რკვიანა გვხვდება ს.მოდში (საჩხერის რ.), აგრეთვე ს.უსახელოში (ჭიათურის რ.).<sup>1458</sup> შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველრკვიან-ი იგივე ძველრკვიანია და ნიშნავს: „მამული, ნავენახარი ადგილი, სადაც უწინ რკოს ჯიშის ვენახი ყოფილა გაშენებული“.

**ძრუხულა** პატარა მდინარეა იმერეთში (ვანის რ.). ჩამოუდის სოფლებს: ზედა ბზვანს, ისრითს, რომანეთს, სულორს და ძულუხს. ადგილობრივ ამ მდინარეს წყალშავასაც უწოდებენ.<sup>1459</sup> ძნელი არ არის იმის დადგენა, რომ ჰიდრონიმი ძრუხულა სპეციფიკური -ურა სუფიქსით არის გაფორმებული, მაგრამ ფუძეში (ძირში) სონორი რ-ავს არსებობის გამო -ურა -ულა სუფიქსად ქცეულა. ისიც ცნობილია, რომ ჰიდრონიმი ფორმანტი -ურა ობიექტის კუთვნილებას გამოხატავს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ძრუხ- ფუძე წარმოშობით ტოპონიმი (სოფლის სახელი) უნდა იყოს. საკითხის გარკვევაში დიდად გვიწყობს ხელს ლელის მეორე, ადგილობრივ ცნობილი, ძულუხურა ფორმა, რომელსაც სპორადულად ძულუხურადაც გაიგონებთ. მაშასადამე, თავდაპირველ ძულუხურას („სოფელ ძულუხის წყალი“, „ძულუხთან ჩამომდინარი ლელე“) ჯერ ძულუხურა მოუცია, აქედან კი მეტათეზისი ძრუხულა მიგვიღია.



**წალკა** ქვემო ქართლის (თრიალეთი) ერთ-ერთი უძველესი სახელწოდებათაგანი. ისტორიულ წყაროებში ეს ტოპონიმი სხვადასხვა სახელით არის დადასტურებული: ეძანი, ლივადა,<sup>1460</sup> გუნიაყალა... ვა-

<sup>1458</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 166.

<sup>1459</sup> საქართველოს ტოპონიმია II. უ . ს ა ხ ლ თ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს და პ . ც ხ ა დ ა ი ა ს რედაქციით, თბ., 1999, გვ. 169.

<sup>1460</sup> იხ. ვ ა რ ლ . თ ო ფ უ რ ი ა , „ქვაჭვარანი საქართველოში“: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ IV, თბ., 1942, გვ. 33.



ხუმტი ბატონიშვილის „აღწერის“ მიხედვით ეძანი და წალკა ორ, ცალცალკე არსებულ, ერთეულად არის წარმოდგენილი, ლივადან კი იგი საერთოდ არ იცნობს. საფიქრებელია, ეს სახელწოდება გვიანდელი წარმონაქმნია. ვახუშტი წალკას საეპისკოპოსო ეკლესიად წარმოგვიდგენს, ეძანს კი — რიგითი სოფლის სახელად:

„ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიანი წალკას დიდი, კეთილნაშენი, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი თრიალეთისა“.<sup>1461</sup>

„ეძანს ზეით ერთვის ქციას ბეშენაშენის-ვევი ჩდილოდამ“.<sup>1462</sup> დიდი გეოგრაფი არაფერს გვეუბნება სახელწოდება წალკის წარმოშობის თაობაზე. ამის შესახებ ვერც სხვა ავტორებთან ვკითხულობთ რაიმე საგულისხმოს.

ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს რამდენიმე მოსაზრება: ნ.ბერძენიშვილის ვარაუდით წალკა მცენ. წალკის სახელის მიხედვით ყოფილა წარმომდგარი. ამ თვალსაზრისს მთლიანად იზიარებს თ.ჩიქოვანი. აღნიშნული ვარაუდით წალკა „ხაწალიკე ადგილად“ უნდა გავიგოთ.<sup>1463</sup>

წალკის ეტიმოლოგიას შეეხო მ.გეგეშიძეც. მისი ვარაუდით ტოპონიმი წალკა ორი სიტყვისაგან ყოფილა შედგენილი. პირველი ფუძეა წალ (წ(ალ), რომელსაც იგი წყალ- სიტყვის არქტიპად სახავს. მკვლევრის მსჯელობა ამ შემთხვევაში ემყარება ცნობილ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ წყალ- ფორმაში ყ მეროეული (განვითარებული) უნდა იყოს, რასაც სვანური ლი-ც (-წყალი“) სიტყვაც უკერს მხარს. მეორე -კა სიტყვის მნიშვნელობის შესახებ მ.გეგეშიძე არაფერს გვეუბნება; იგი ახსნას მოითხოვს.<sup>1464</sup> მკვლევრის ვარაუდი ტოპონიმ წალკის წყალ- სიტყვასთან დაკავშირების თაობაზე არსებითად განუპირობებია იმ ფაქტს, რომ „თრიალეთის ეს ნაწილი ისტორიულადვე გამოირჩეოდა

<sup>1461</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... გვ. 42, 22.

<sup>1462</sup> იქვე, გვ. 42, 16. თვით ტოპონიმი ეძანი შეიძლება წარმოვიდგინოთ ე ე ძ ა სიტყვის განვრცობილ ფორმად: ე ე ძ ა - ნ - ი . საყურადღებოა, რომ იგიულდენშტედს ე ძ ა ნ ი დადასტურებული აქვს როგორც ე ე დ ზ ა ნ ი (იხ. კ . ხ ა რ ა ძ ე , 1991, გვ. 63), რაც ჩვენ ვარაუდს მხარს უკერს.

<sup>1463</sup> იხ. კრებ. „თრიალეთი“, თბ., 1976, გვ. 11, სქ.

<sup>1464</sup> მ . გ ე გ ე შ ი ძ ე , ჰიდრონიმული წარმოშობის ქართული ტოპონიმები. კრებ. ონომასტიკა 1, თბ., 1987, გვ. 44.

წყლის (წყარობის) სიმრავლით".<sup>1465</sup> თრიალეთის ტერიტორია მართლაც მუდამ გამოირჩეოდა: „კეთილი ჰავით“, „ბალახოვან-ყვავილოვნობით“ და „წყაროიანობით“, რომელიც სასმელად იყო „შემრგო და გემოიანი“. <sup>1466</sup> მაგრამ არა ვგონია თვითონ სახელწოდება წალკა წყლის ასეთი სიუხვის გამო იყოს გაჩენილი. სულ რომ არაფერი, იგი არ ჩანს იმ ხნოვანობისა, როცა საერთოქართულ ფუძე-ენაში ყ ბგერა (წყალ-სიტყვისა) ჭერ კიდევ არ ყოფილა განვითარებული.

ცნობილია ტოპონიმ წალკის სხვაგვარი ეტიმოლოგიაც. „გეოგრაფიულ სახელთა ახსნა-განმარტების“ შემდგენლები, მაგალითად, თვლიან, რომ წალკა შინაარსობრივად „წალეკვას“ უკავშირდება. „ეს სახელი (წალკ-კა) უხსოვარი დროიდან ქართველებს მიუციათ იმის გამო, რომ ქციას კალაპოტს აქ მეტად ვაკე ნაპირები აქვს და აღიდების დროს წალეკს ხოლმე მთელ არე-მარეს“.<sup>1467</sup>

მკითხველი უთუოდ შენიშნავდა, რომ როგორც მგეგეშიძე, ისე „ახსნა-განმარტების“ ავტორები წალკას ორშემადგენლიან სახელწოდებად წარმოიდგენენ: წალ-კა და წალკ-კა, მაგრამ არაფერს ამბობენ მეორე ფუძის (-კა) რაობაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტოპონიმ წალკის ამგვარი სეგმენტაცია (შემადგენელ ელემენტებად დანაწევრება) გაუშართლებელია, რადგან სიტყვის (სახელის) ანალიზი მხოლოდ მას შემდეგ უნდა მოვახდინოთ, როცა ყოველი სეგმენტის რაობა ჩვენთვის ცხადი გახდება. კერძოდ, უნდა ვიცოდეთ, რა არის ტოპონიმის ამოსავალი ძირი (ფუძე) და რა — საწარმოქმნო ელემენტები. სახელწოდება წალკის მეცნიერული კვლევა (წალკ-ა? წალ-კარი?) სამომავლო საქმედ გვესახება.

**წასნე, წასნის ჰმარ-ი** რიტუალურ-საკულტო ადგილია თუშეთში, სოფ. ომალოში. შენიშნულია, რომ თუშეთის სოფლებში ხშირად მთელ სოფელს საერთო სალოცავი აქვს, ერთ „ჭვარს“ ეყმობიან. დიკლოს მცხოვრებნი მაგალითად, „ლალი ფიჭებელის“ ყმებია, შენაქოე-

<sup>1465</sup> იქვე, გვ. 44.

<sup>1466</sup> კ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, გვ. 42-43.

<sup>1467</sup> გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება (შემდგენლები:

გ . გ ე ხ ტ მ ა ნ ი , ნ გ ე ხ ტ მ ა ნ ი , გ ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი , ე . მ ე ს ბ ი ), თბ., 1965, გვ. 145.

ლები — „ხანმატის ჯერისა“, ომალოელები — „წასნის ჯერისა“, ბოკორ-  
ნელები — „ხინჭრიკევისა“<sup>1468</sup> და სხვ.

სახელწოდება წასნე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების — ინგუშე-  
ბის ენობრივი ფაქტი ჩანს. იგი ორი სიტყვისაგან უნდა შედგებოდეს:  
პირველი ფუძეა წა (წა||წუ) და ნიშნავს: „ღვთაება“ (გადატ. ღვთის  
სახლი, სალოცავი ადგილი, ეკლესია);<sup>1469</sup> მეორე ფუძედ უნდა ვივარაუ-  
დოთ სნე, რომელიც ჩვენ ქართული სანეს-ს შეეკუმშულ სახეობად მი-  
გვაჩნია. სანე კი სხვა არაფერია, თუ არა სანება. იგივე სამება. აღსა-  
ნიშნავია, რომ სამების სახელობის საკულტო ნაგებობანი ხანძახს სახით  
საკმაოდ ხშირად დასტურდება კავკასიის მთიანეთში, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა  
და ოსეთის ტერიტორიაზე.<sup>1470</sup> საკულტო ტერმინ სამების შემოკლებული  
ფორმა სანე დასტურდება ხევსურეთშიც. ალკინქარაულის ცნობით სა-  
ნე ერთ-ერთი მთავარი სალოცავი ყოფილა პირაქეთ ხევსურეთში. იგი  
მდებარეობს ს.გულდანის ზემოთ, მალა მთაზე. მკვლევარი აქვე მიუთითებს  
სახელწოდება სანეს სანება||სამება ფორმისაგან მომდინარეობას.<sup>1471</sup> მაშა-  
სადამე ტოპონიმი წასნე უნდა გავიაზროთ როგორც წაძსანე („სანე-  
ბის||სამების ხატი“, „სამების სახელობის ხალოცავი“).

**წაღვერ-ი** რესპუბლიკური მნიშვნელოვანი მთის კლიმატურ-  
ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომის რაიონში. დაბა წალვერი გაშე-  
ნებულა მდ.გუჯარეთისწყლის ნაპირებზე. ვახუშტი ბატონიშვილი სა-  
დგრის (სადგერის) ხეობის სოფლებს შორის ასახელებს წალველს,<sup>1472</sup>  
მაგრამ მის მიერ მოტანილი ჰიდრონიმი (მდინარის სახელი) წაღველს-  
წყალი ამჟამინდელი ქარელის რაიონის ტერიტორიას გულისხმობს:  
„აბანოს ერთვის ამ წყალს (ივარაუდება ბრედის-წყალი, გ.ბ.) წაღველს-

<sup>1468</sup> გ. ც. ო. ც. ა. ნ. ი. ძ. ე., „გიორგობიდან გიორგობამდე“, თბ., 1987, გვ. 8.

<sup>1469</sup> ჩაჩნურ-არუსული ლექსიკონი (შემდგ. ა. გ. მ. ა. ც. ი. ე. ე. ე.), მოსკ., 1961,  
გვ. 487.

<sup>1470</sup> ა. ძ. ც. ა. გ. ა. ე. ე. ა., ჩრდილო ოსეთის ტოპონიმია, II ნაწ., ორჯონიკიძე,  
1975, გვ. გვ. 56, 189, 284... (რუს. ენაზე).

<sup>1471</sup> იხ. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი (შემდგ. ა. ლ. კ. ი. ნ. ქ. ა. რ. ლ. ი.)  
თბ., 1969, გვ. 237.

<sup>1472</sup> ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., აღწერა... 1941. გვ. 204.

წყალი, და ბრემსს მოერთვის აბანოს-წყალი".<sup>1473</sup> იოანე ბატონიშვილის ჰართლ-კახეთის აღწერაში წაღველის ნაცვლად დადასტურებულია წაღვი,<sup>1474</sup> რაც მათ შორის ერთგვარ ისტორიულ კავშირს გვაგვარაულებინებს. კერძოდ, ხომ არ არის ვახუშტისეული წაღველი ადამიანის სადაურობის მიმანიშნებელი სახელი, ისევე, როგორიცაა: რველი (იხ.), დისველი (იხ.) და სხვ. წაღვ-ელ-ი — „წაღვლიდან საცხოვრებლად გადასულ კომლთა ახალი სამოსახლო“. „წაღვლ-ელ-თა სოფელი“? როგორც ჩანს, მოგვიანებით მომხდარა ამ -ელ სუფიქსის -ერ სუფიქსად ცვლა (შდრ. ვახუშტისდროინდელი ბაკულიანი და დღევ. ბაკურიანი), მამასადაძე, წაღვერი (წაღვლ-ელ-ი) — ადამიანის სადაურობის მიმანიშნებელ ტოპონიმად უნდა ცნოთ. ისიც უთუოდ მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფაქტია, რომ ხაშურის რაიონში არის სოფელი წელვერი (წაღვლის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე). ეს გარემოება კიდევ უფრო გვიმტკიცებს რწმენას წაღვერისა და წაღვლ-. წელვერის ურთიერთკავშირის თაობაზე. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია სრულიად საწინააღმდეგო ვარაუდი, რომლის მიხედვითაც წაღველი „იქითა ველად“, წიაღ-ველად ანუ „გაღმა მხარეს მდებარე ველად“ გაიზარება.<sup>1475</sup> თუმცა აშკარაა, რომ ვ თანხმოვანი წაღვ(-ლ) ფუძის კუთვნილებაა და არა სიტყვა „ველი“-ს თავკიდურა თანხმოვანი. ამის მიუხედავად ეს თვალსაზრისი სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერ გაზიარებულია: მართლაც ასეთია ძველი წაღვრის მდებარეობა აწინდელ წაღვერთან მიმართებით.<sup>1476</sup> როგორც ვთქვით, წაღველში სიტყვა წიაღისა და ველის (წიაღი-იქითა, გაღმა მხარე) გულვება გაუმართლებლად გვეჩვენება.

**წეღის-ი** სოფლები ქართლსა და ზემო რაქაში (გორისა და ონის რ.). ქართლის სოფელი წეღისი გაშენებულია თრიალეთის ქედის

<sup>1473</sup> იქვე, გვ. 79, 39.

<sup>1474</sup> იოანე ბატონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 46.

<sup>1475</sup> ი. შაისურაძე, მშობლიურ ადგილთა სახელები: გაზ. „ბორჯომი“, 1968 წ. 25. VII.

<sup>1476</sup> იხ. კრებ. „გუჯარეთი“, თბ., 1987, გვ. 56.

ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. ათრევის (ტანის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. რაქის წედისი მდებარეობს კუდაროს ქედის დასავლეთ კალთაზე. მდ. ჭეჯორის (რიონის მარცხენა შენაკადი) ხეობაში. საისტორიო-ეკონომიკურ ძეგლებში ქართლის სოფელი წედისი XVII-XVIII საუკუნეებიდან არის მოხსენიებული. ამ ეპოქის ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ წედისს, ატენს, ოლოზღუარებს (?) ჯოხისს და ბნავისს მდებარე სურხან თურმანიძის მამულები თეიმურაზ მეფეს იოთამ ამილახორისათვის უბოძებია. იოთამს ეს მამულები მხოლოდ თურმანიძის ცოლის ქეთაონის გარდაცვალების შემდეგ უნდა დაეკავებინა<sup>1477</sup>. ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“, ბუნებრივია, ასახელებს ორივე წედისს:

„მტკვრის სამხრეთ-დასავლეთიდან ერთვის ატენის წყალს წედისის-ხევი. წედისს არს ციხე მცირე. და არს ხეობა ესე კენახოვანი, ხილიანი“<sup>1478</sup>.

„ჭეჯორისავე აღმოსავლეთ არს დაბა წედისი და ციხე მცირე“... აქვე ვახუშტის მოჰყავს ცნობა. რომელიც შეიძლება განმსაზღვრელი აღმოჩნდეს სახელწოდება წედისის ეტიმოლოგიის გარკვევაში. ვახუშტის თქმით წედისში „არს ლითონი რკინისა და იღებენ მრავალსა“<sup>1479</sup>. წედისი აშკარად -ის სუფიქსით არის გაფორმებული. ძირია წედ-, რომელიც ჩვენ წიდ- სიტყვის დიალექტურ ფორმად გვესახება. წიდა კი ეწოდება მადნის გადამუშავების (წვის) შედეგად მიღებულ ნარჩენ მასას.<sup>1480</sup> მაშასადამე ტოპონიმ წედისში ასახული ყოფილა რაქასა და ქართლში ოდითგან არსებული მეტალურგიული შინაარსის ფაქტი. ქართლის წედისი რკინის მადნით, საფიქრებელია, ადგილობრივი კარიერებიდან მარაგდებოდა (შდრ. ტოპონიმები სარკინე, სარკინეთი, მადნეული...); რაც შეეხება რაქაში არსებულ წედისს, იგი ძველთაგანვე მნიშვნელოვანი მეტალურგიული კერა ყოფილა. ამის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სარწმუნოდ არის მოთხრობილი. საბოლოოდ წედისი ნიშნავს: „სოფელი, სადაც რკინის სადნობი ქურები ყოფილა მოწყობილი“.

<sup>1477</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 258.

<sup>1478</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 57, 2

<sup>1479</sup> იქვე. გვ. 160, 16.

<sup>1480</sup> ქეგელ (ერთტომ.), თბ., 1986, გვ. 562.

წმინდა-მამა-მარტოპატარა სოფელია მცხეთის რაიონში. მდებარეობს მუხრანის ვაკის სამხრ.-აღმოსავლეთ მხარეს, სხალტბის ქედის ჩრდილო-ეთით დაფენილ კალთაზე, მცხეთა-ნატახტარ-გორის საავტომობილო გზაზე. სოფელი წეროვანი დიდი ხნოვანობის სოფელია: XIV საუკუნის დამლევისათვის, კერძოდ, 1394 წელს, წეროვნის სვეტიცხოვლის ეკლესიისათვის შეწირულების გუჯარი კვლავ განუახლებია ალექსანდრე მეფეს.<sup>1481</sup> მამასადამე, წეროვანი შეწირულების განახლებამდე ერთი-ორი საუკუნით ადრე მაინც სვეტიცხოვლის კუთვნილი სოფელი ყოფილა. სოფლის დაფუძნება კი ალბათ გაცილებით უფრო ადრე, დაახლ. VII-VIII საუკუნისათვის უნდა ვივარაუდოთ, რადგანაც წეროვნის ახლოს, მის შემოგარენში არის ჩვენამდე მოღწეული ე.წ. კეხიჯგრის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევები, რომლის აგების თარიღად სპეციალისტები ადრეფეოდალურ ხანას, კერძოდ, VIII-IX საუკუნეებს, ვარაუდობენ.<sup>1482</sup>

შუა საუკუნეებში წეროვანი საკმაოდ დაწინაურებულია და საფურცლე-სხალტბის რეგიონში ერთ-ერთი ცნობილი სოფელი გამხდარა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ XI საუკუნის I მეოთხედში აქ აუგი-ათ წმ. სამების სახელობის დარბაზული ტიპის შესანიშნავი ეკლესია, რომლის მადლოსტატურად შესრულებული ჩუქურთმები ყველას აცვიფრებდა (კანკელის გადარჩენილი, მხატვრული დეკორით ნაკვეთი ორი მოზრდილი ფილა ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული).<sup>1483</sup>

საინტერესოა თვით ტოპონიმ წეროვანის განმარტებაც. სახელწოდება რომ ქონების აღმნიშვნელი ძველი -ოვან სუფიქსით არის გაფორმებული, აშკარაა (შდრ. ქრცხილ-ოვან-ი, ყინ-ოვან-ი, წყალშატროვან-ი, ლელ-ოვან-ი, ვაშლ-ოვან-ი, გორ-ოვან-ი...). ძირისეულ მასალად გვრჩება წერ-ი, რომელიც ეწოდება შავი ფერის თხევად მინერალურ მასას, ნავთობის მსგავს გამონადენს. აკ.შანიძის განმარტებითაც წერი „მიწიდან ამოღებული ნავთობია“.<sup>1484</sup> საინტერესოა, რომ წერი ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (რაჭული, ლეჩხუმური, გურული,

<sup>1481</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 258.

<sup>1482</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII, თბ., 1987.

<sup>1483</sup> იქვე.

<sup>1484</sup> ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, §163, გვ. 125.

იმერული...) ეწოდება კაკლის ხის ქერქის გამონახარშს საღებავს, რომელიც ქსოვილს მოყავისფრო-შავად ღებავს.<sup>1485</sup>

მაშასადამე, წერ-ოვან-ი ისეთ ადგილს უნდა რქმეოდა, სადაც ამგვარი ნავთობი (შავი ფერის მინერალური თხევადი მასა) გამოედინებოდა. ეს იგივე „ნავთ-იან-ი“ არის. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იმავე რეგიონში, ს.ნიჩბისთან ახლოს არის ადგილი, რომელსაც წერათხვევი ეწოდება.<sup>1486</sup> ძალზე საყურადღებოა, რომ მეზობელ ქარელის რაიონში არის სოფელი ცერონისი, რომლის ამოსავალი ფორმა წერონისი (—წერ-ონ-ის-ი) უნდა ყოფილიყო.<sup>1487</sup>

იმავე წერ-სიტყვისაგან მომდინარეობს სოფლის სახელი წერეთ-ი გორის რაიონში (მდრ. წერეთის ქედი — ქედი გორისა და კასპის რაიონებში, თრიალეთის ქედის ჩრდ. შტოქედი).<sup>1488</sup> უთუოდ ამ სოფლის მიხედვით არის გაფორმებული გვარი წერეთ-ელ-ი.

ქართულ ენაში შეინიშნება წერ- და წირ- ძირთა ოდინდელი მონაცვლეობა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ წეროვანის ახლოს, ერთ გეოგრაფიულ ზოლში მდებარეობს ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელი წილკანი, რომელშიც ამოსავლად იმავე წირ-სიტყვას ვვარაუდობთ (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ).

წირ- ძირის შემცველი ტოპონიმები შეინიშნება როგორც ქარ-

---

<sup>1485</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტ.), თბ., 1986, გვ. 561; იხ. ა. ლ. კ. ბ. ა. ხ. ი. ძ. ე., რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 127; ბ. გ. ა. ჩ. ე. ჩ. ი. ლ. ა. ძ. ე., იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976, გვ. 166.

<sup>1486</sup> ა. ლ. ლ. ო. ნ. ტ. ი., მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. 73.

<sup>1487</sup> ქართლის ცერონისის წერონისად აღადგენს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ცნობილი სპეციალისტი პროფ. დ. მ. უ. ს. ხ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. მართალია, იგი ტოპონიმ წერონისის ფრინველ წერონთან აკავშირებს და ისეთივე წარმოშავლობის სახელად მიიჩნევს, როგორცაა: გავაზი, ჩიხკვათა, ორბეთი, სატრედო... (იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული III, თბ., 1967, გვ. 83), მაგრამ ამას რაიმე არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ის, რომ ცერონისის ნამდვილი სახელი წერონისი ყოფილა და რომ ის შინაარსობრივად წეროვანს ფარავს.

<sup>1488</sup> საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 127.

თლში, (წირქოლი), ისე ზემო იმერეთსა (წირქვალი) და აქარაში. აქ, მაგალითად, ადგილის სახელად დადასტურდა წირვანი, რომლიც გ. დიასამიძის სწორი განმარტებით წირ-ოვან-ს („წირის შემცველი“) ნიშნავს.

ადგილობრივი ხალხური ტრადიციული გადმოცემით კი წეროვანი თურმე წეროების დასასვენებელ ადგილს ნიშნავს: „წერო მოდენილა აქა დიდძალი. დასხდებოდენ, დაისვენებდენ, მერე კაცის თვალუნახავათ ისე გაფრინდებოდენ. ერთხელაც მოფრენილა წერო, და მსხდარან ღამის თევაზე, დაუსვენიათ, ხოლოთ დილით ნახევარიც ვეღარ აფრენილან. აღბათ ან ქყანტი ან საფლობი ადგილი თუ რამ შახვდათ, ეგრე კი დამჩლან ადვილზე. მერე და მერე, დიდი ხანი რო იქნებოდა გასული, იქ ხალხს უნახიათ წეროების ჩონჩხები. ტყესავით ყოფილა. კაცო, ეს ამოდენა წერო რამ დახოცაო, — გაკვირვებულან. მას მერე დაურქმევიათ იმ ადგილებისათვი წეროვანი“ (გივი ილიას ძე მაქარაშვილი).

წიად-ი. წიახ-ი პატარა მინდორია ს.ზოტიკიანთკარში (ანანურის სას. საბჭო, დუშეთის რ.), მდ. ვეძათხევის (იგივე მდ. არყალა) მარჯვენა ნაპირას, ანანურ-ზოტიკიანთკარის მიჯნაზე. ტოპონიმი უნდა უკავშირდებოდეს ძვ. ქართულ სიტყვა წიადს, რაც ნიშნავს: „გაღმა“, „იმ მხარეს“; „გამოდმა“, „ამ მხარეს“.<sup>1489</sup> ეს თვალსაზრისი თითქოს სარწმუნოდ მოჩანს იმიტომაც, რომ ობიექტი წიადი||წიახი მდინარე ვეძათხევის გაღმა მხარეს, მის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მაგრამ ტოპონიმისათვის ამოსავალი უნდა იყოს ქართლურ დიალექტში დატყული სიტყვა წიადი, წიადიანობა, რაც პურის ძარღვიანობასთან, წელვადობასთან არის დაკავშირებული. წიადიანობა პურის მაწიერობა-ყუათიანობასაც ნიშნავს.<sup>1490</sup> მაგალითები ქართლური დიალექტიდან: „დოლიპური ყველას სჯობიან წიადით, გემოვნობითა“; „რომელიც იწვლება და თონე კარქა იქერს, წიადიანი არი“; „წიადიანი პური თონეში არ ჩაცვივა“; „შარშან ძაან წიადიანი პური იყო, წრევანდელი არ ვარგა“. „ტალახს... აღარ უნდა დაზღუდვი, ერთათ რო შეთვისდება, წიადი მიე-

<sup>1489</sup> ი. ლ. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 543.

<sup>1490</sup> გ. შ. ა. ბ. ბ. ე. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, ქაშნიკი, თბ., 1964, გვ. 120.



ცაო, იტყვიან“.<sup>1491</sup> ქართლურ დიალექტსვე დაუცავს წიად-სიტყვის ოდნავ სხვაგვარი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო, მნიშვნელობაც: „მოსავლიანი“, „ნაყოფიერი“ (იტქმის ნიადაგის მიმართ): „წიალიანი ნიადაგი ის არი, კაი ღონიერი ნიადაგი რო იქნება“.<sup>1492</sup> მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი „წიალი“ შინაარსობრივად სწორედ ობიექტის უხვმოსავლიანობის აღნიშვნას უკავშირდება.

„წიალი“-სიტყვიანი ტოპონიმები იმერეთშიც არაერთი გვხვდება.<sup>1493</sup>

წიალი ეწოდება ერთ-ერთ მთას ს.მ.ოლითში (ხარაგაულის რ.). ადგილობრივი მოსახლეობის მიხედვით ობიექტს წიალი იმის გამო შერქმევია, რომ ეს ადგილები „მდიდარი ყოფილა წიალისეულით“.<sup>1494</sup> სამტრედიის რაიონში არის სოფელი, რომელსაც წიაღუბანი ჰქვია. ვარაუდობენ, რომ წიაღუბანი ძველი ქართული წიაღ-სიტყვისაგან არის წარმომდგარი და განიმარტება როგორც „გაღმა-უბანი“.<sup>1495</sup> რამდენადაც თვითონ წიალი ნიშნავს: „წყლის (მდინარის) გაღმა მხარე“. ჩვენი ფიქრით, წიაღუბანში ჩადებული უნდა იყოს ობიექტის ფიზიკური თვისების აღმნიშვნელი ცნება — წიაღიანობა. ანუ მიწის ძარღვიანობა, უხვმოსავლიანობა და არა წიაღის ის მნიშვნელოვნელობა, რომელიც მშობლად უძველეს წერილობით ძეგლებში დასტურდება და რომელიც ვერა და ვერ დამკვიდრდა ენის აქტიური ლექსიკის ფონში.

**წიმიელათანა** ცნობილი ადგილია ხევსურეთში, არხოტის ქალაში. აგებულების მხრივ იგი მთის ტოპონიმიისათვის კარგად ცნობილი -**თანა** სუფიქსით არის გაფორმებული. ისევე როგორც სხვა არაერთი ხევსურული, თუშური ან ფშაური მიკროტოპონიმი: **კალოთანა**, **ტბათანა**, **ხითანა** (-**ხილთანა**), **კართანა**... ყველა ამ სახელწოდების საყრდენი ფუძეა საზოგადო არსებითი სახელი: **კალო**, **ტბა**, **ხიდი**. **კარი** (იგივე კლდეკარი, ვიწრო გასასვლელი). ჩვენთვის საინტერესო

<sup>1491</sup> ქართლური დიალექტის ლექსიკონი (შემდგ. თ ბ ე რ ო ზ ა შ ე ი ლ ი , მ . მ ე ს ხ ი შ ე ი ლ ი , ლ ნ ო ზ ა ძ ე ) , თბ . 1982 . გვ . 499 .

<sup>1492</sup> იქვე, გვ. 499.

<sup>1493</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმი I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 236

<sup>1494</sup> სფ (ჩამწ. ხათუნა ოლეგის ასული კ ვ ი ნ ი კ ა ძ ე , 1989 წ.).

<sup>1495</sup> ზ კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართულა, თბ., 1987, გვ. 529.

ტოპონიმის ფუძედ ზედსართავი სახელი გამოდის, რომელსაც სუფიქსად -ა დართვა: წითელ-ა. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მასში აღნიშნულია წითელ ფერთან მიმსგავსება, მისადაგება (შდრ. თეთრ-ა, ლურჯ-ა, ნისლ-...), თუ მიკროტოპონიმებში გამოყენებულია სიტყვა წითელი, იგი წესისამებრ მიგვანიშნებს აღნიშნული კონკრეტული ობიექტის მიწის ქანების წითლად შეფერილობას, ნიადაგში რკინისა და გოგირდის შემცველობას და ა.შ. ასეა წარმოქმნილი ჩვენში უამრავი ტოპონიმი<sup>1496</sup> და ჰიდრონიმი: მიწაწითელი (სოფელი წყალტუბოს რ.), კლდეწითელი (წითელი შეფერილობის კლდეა ს.ანანურისა და ს.ციხისძირის მიჯნაზე, დუშეთის რ.) წყალწითელა (მდინარეებია თერჯოლის, ბაღდათისა და ლანჩხუთის რაიონებში). ასეთივე წარმომავლობისაა მეგრ. ჭითაწყარი (სოფელი და მდინარე ზუგდიდის რ-ში) და მისთ. უთუოდ ამგვარივე გზით არის წარმოქმნილი ხევსურული მიკროტოპონიმი წითელათანა. იგი უნდა ნიშნავდეს: „ადგილი, სადაც მიწა წითელი შეფერილობისა“, „წითელადგილათანა“. საინტერესოა, რომ სახელწოდება წითელათანა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გააზრებულია როგორც „ხალხნახოცი ადგილი“, „სისხლიანი ადგილი“, „ბრძოლამომხდარი ადგილი, სადაც მიწას დღემდე აჩნევია სისხლის ფერი“. აღბათ ეს თვალსაზრისი არის ასახული ერთ-ერთ ხევსურულ ლექსში, რომელშიც ნათქვამია: „წითელათანა გაივსა არხოტ ნაჯოცით მკვდრი-თაო“. ამიტომაც დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება ვარაუდი აღნიშნული ტოპონიმის მცენარე წიფელთან დაკავშირების თაობაზე.<sup>1497</sup> როგორც ვთქვით, წითელათანა ფერის აღმნიშვნელი სიტვისაგან („წითელი“) არის წარმომდგარი და იგი ობიექტის წითლად შეფერილობაზე მიგვანიშნებს. ანალოგიური მაგალითი არაერთია მეზობელი კუთხეების,

---

<sup>1496</sup> უნდა გავარჩიოთ ამათგან წითელ- მსაზღვრელიანი ტოპონიმები (წითელსოფლის ტიპისა), რომლებიც ძირითადად მემორიალურ-მიძღვნითი ხასიათის სახელები არიან; მათი შექმნა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით არის შეპირობებული: წითელხევი (ყოფ. მირონწმინდა, ხარაგ. რ.), წითელწყარო (ყოფ. ნათლისმცემელი, გორის რ.) და მისთ.

<sup>1497</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, §171, გვ. 136.

თუშეთისა და ფშავის, მიკროტოპონიშიაში.<sup>1498</sup> ხეცურეთის გეოგრაფიულ სახელებში მცენარე წიფელი, თუ არ ვცდებით, საერთოდ არც დასტურდება.

**წილკან-ი** ისტორიული სოფელია ქართლში (მცხეთის რ.). გაშენებულია მუხრანის ვრცელ ვაკეზე, მდ. ნარეკავის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. წილკანი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფელია. მართალია, იგი დოკუმენტობრივ X საუკუნიდან მოიხსენიება („ქართლის ცხოვრების“ შატბერდული ნუსხა), მაგრამ ჩვენი მემკვიდრეების მიერ წილკანი ნახსენებია IV-V საუკუნეების ქრისტიანულ-საგანმანათლებლო ამბებთან დაკავშირებით. ლონტი მროველის ცნობით წილკნის ეკლესია აუგია მეფე ბაქარს, მირიან ქართველთა მეფის ძეს.<sup>1499</sup> „მოკცევაჲ ქართლისა“ წილკნის ეკლესიის ამგებად ბაკურ რევის ძეს ასახელებს“.<sup>1500</sup>

ბაქარ მირიან მეფის ძის მიერ აგებული ტაძარი მალე იქცა საეპისკოპოსო კათედრალურ ცენტრად. V საუკუნის II ნახევრიდან წილკნის საეპისკოპოსო ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ საეკლესიო ცენტრად იყო აღიარებული. იშვიათია სახელწოდება, რომლის წარმოშობის შესახებაც სპეციალისტებს ამდენი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, თვალსაზრისი გამოეთქვათ. ნ.მარი, მაგალითად, თვლიდა, რომ წილკანი წარმოდგარი იყო წილ (-ჰილ-) სატომო სახელისაგან, თუმცა ასეთი ტომის არსებობა საქართველოში უცნობია. მკვლევარი ასევე არაფერს ამბობდა მეორე ფუძის -კან-ის რაობის შესახებ.<sup>1501</sup> ნ.მარის ამ თვალსაზრისმა სპეციალისტთა მხარდაჭერა, ბუნებრივია, ვერ ჰპოვა და იგი ჰიპოთეტურ ვარაუდად დარჩა.

ქართველ ტოპონიმიკოსთა და ისტორიული გეოგრაფიის სპეცია-

---

<sup>1498</sup> ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , ფშავის ტოპონიმიკა: კრებ ტოპონიმიკა I, თბ., 1976, გვ. 187, სტ. წითელი.

<sup>1499</sup> ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 131, 10.

<sup>1500</sup> იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, თბ., 1964, გვ. 91, 25.

<sup>1501</sup> ნ მ ა რ ი , აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ (რუს. ენაზე), მ.ლ., 1938, გვ. 310.

ლისტთა შორის დღეს საკმაოდ პოპულარულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც წილკანი წარმომდგარი ყოფილა წინკარი-საგან.<sup>1502</sup> ოლონდ უნდა შევნიშნოთ, რომ უძველეს ქართულ საისტორიო თუ ეკონომიკურ ძეგლებში წილკანი წინკარ-ად არსად დადასტურებული არ არის, ყველგან წილკანი და მისგან წარმომდგარი ფორმები (წილკნელი, წილკნის, წილკანის...) გვხვდება.<sup>1503</sup> ამიტომ ალბათ გაქირდება წილკნის წინკარისაგან მომდინარეობის ვერსიის გაზიარება. თანაც საკითხავია, თუ მართლაც არსებობდა შინაარსობრივად სრულიად ნათელი წინკარი, რატომღა წარმოიქმნებოდა მისგან შინაარსობრივად ბუნდოვანი და გაუცნობიერებელი ტოპონიმი წილკანი? სხვა საქმეა როცა რომელიმე ტერმინი ახალ სოციალურ გარემოში კარგავს თავის ძველ შინაარსს, რის გამოც ფონეტიკური ცვლილების ობიექტი ხდება და აზრობრივად დაბნელებულ ტოპონიმთა წყებაში ხვდება (ამის მაგალითად უინგალის ან ქრცხილვან-||ცხინვალის დასახელებაც იკმარებდა).

თუ წილკანი მართლაც მეორეული წარმონაქმნია, მაშინ იგი სავარაუდოდ წირ-კარი-საგან უნდა მომდინარეობდეს და არა წინკარი-საგან. ამას ერთი საკმაოდ ანგარიშგასაწევი გარემოება გვაფიქრებინებს: წირ-ი იგივე წერ-ი („ნავთობის ერთგვარი შავი მინერალური გამონადენი“) აქაურ ტოპონიმიში წერ-ოვან-სა და წერ-ონის-ში არის დადასტურებული. საგულისხმოდ გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ ახალციხის რაიონში არის სოფელი წირა, რომელიც იმავე წირ სიტყვას უნდა შეიცავდეს. დღევანდელი წილკანი ანუ ძველი წირ-კარ-ი („წირ-ოვანი ადგილი“) იმავე გეოგრაფიულ ზოლში მდებარეობს, რომელსაც წეროვანი და წერონისი შემოსაზღვრავენ. მაშასადამე, სამივე ეს სახელი ამ არეალში ნავთობის მცირე დებიტის გამონადენის არსებობაზე უნდა მი-

<sup>1502</sup> იხ. ვ. გ ა მ რ ე ე ლ ი , დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის: ისტორიის... ინსტიტუტის შრ. ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 48; ჯ გ ვ ა ს ა ლ ი ა , მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან: კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული III, თბ., 1971, გვ. 203-204; ა ლ . ლ ო ნ ტ ი , მცხეთის ტოპონიმი, თბ., 1975, გვ. 74; ზ . ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე , რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 265.

<sup>1503</sup> იხ. მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 259-260; ქართული სამართლის ძეგლები, III თბ., 1970, გვ. გვ 542, 564, 628, 929... და სხვ.

გვანიშნებდეს და არა რაღაცის წინ-კარობაზე (რასაც წილკნის გეოგრაფიული მდებარეობა არაფრით არ ამართლებს): გაურკვეველი რჩება, რისი წინ-კარი უნდა ყოფილიყო მუხრანის დაბლობზე გაშენებული ეს უძველესი სოფელი?

თანაც გასათვალისწინებელია, რომ მსაზღვრელი წინა(წინ) ტოპონიმებში ჩვეულებრივ არ იცვლება (მდრ. წინარეხი, წინუბანი, წინგენახი, წინზახორი, წინსაგარეჯო, წინწყარო და სხვ.), რაც შეეხება ვარაუდს წილკნის წირ-კარი-საგან მომდინარეობის შესახებ, მას შეიძლება მეტი ანგარიში გაეწიოს. რამდენადაც, როგორც უკვე ვთქვით, იძებნება სახელწოდების წარმოქმნის რეალური საფუძველი (ამ რეგიონში წერის ანუ იმავე წირის მინერალის არსებობა) და ენობრივი (ფონეტიკური) ცვლის კანონზომიერებაც: წირ-კარ-ი → წილ-კარ-ი → წილკან-ი.

აქვე დავძენთ, რომ ჩვენს მოსაზრებას არა აქვს საბოლოო ვარაუდის პრეტენზია. იგი, შესაძლებელია, ანგარიშგასაწევი აღმოჩნდეს მომავალი კვლევა-ძიების დროს.

**წიფრან-ი** ცნობილი სოფელია არაგვის ხეობის ფშავში (დუშეთის რ., მალაროსკარის სას. ს.), მდ. არაგვის მარჯვენა მხარეს. გაშენებულია გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე (ზღვის დ. 1400 მ.). სოფელს საკმაოდ მარჯვე ექსპოზიცია უკავია როგორც მდინარის მიმართ, ისე მთიან რელიეფზე განლაგების თვალსაზრისით. უთუოდ ამით უნდა იყოს შეპირობებული ის გარემოება, რომ აქ, წიფრანის შემოგარენში, ე.წ. „მძივიანა მამულებში“ ჯინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეული იქნა გვიანანტიკური ხანის (III-IV სს.) სამაროვანი ქრისტიანობამდელი ხანის ნამარხით. სოფლის შემოგარენში არსებობს რამდენიმე მატერიალური კულტურის ძეგლი, რომლებიც აქ მოსახლეობის უწყვეტ ეკონომიკურ-სოციალურ კავშირებზე მიგვანიშნებენ (რ.რამიშვილი, ბ.ჯორბენაძე). სპეციალურ ლიტერატურაში სწორად არის გარკვეული წიფრანის წარმოშობა: იგი მცენ. წიფელს უკავშირდება.<sup>1504</sup> ოღონდ არა გვეგონია ტოპონიმს ცვლა-განვითარების ის რთუ-

<sup>1504</sup> ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , ფშავის ტოპონიმია: კრებ. „ტოპონიმია“ 1, თბ., 1976, გვ. 187.

ლი გზა გაეკლოს (წიფელნარი — წიფლნარი — წიფლრანი — წიფრანი),<sup>1525</sup> რომელსაც მკვლევარი ვეთავაზობს: ენამ (დიალექტმა) შეიძლება ესა თუ ის ფორმა ამგვარი ფონეტიკური საფეხურების გავლის გარეშე წარმოქმნას იმ მორფოლოგიურ-ფონეტიკური მოდელის მიხედვით, რომელიც ენაში პოტენციურად წინასწარ არის ჩადებული. სხვა სიტყვების რომ ვთქვათ, ფშაურ დიალექტში წიფრანი წიფელნარ-||წიფლრან- ფორმათა გარეშე უნდა გაჩენილიყო, რადგან ქართულ კილოებში ამგვარი ფონეტიკური პროცესი (მეტათეზისი, ფლნ მიმდევრობაში სონორი ლ-ს ჩაყარდნა...) ბუნებრივი და ნიშანდობლივია. წიფრან- სახელში ისეთივე ფონეტიკური პროცესია მომხდარი, როგორც ეს მუხრანში არის დადასტურებული: მუხნ-ნარ- — მუხნ-რან-ი. წიფლ-ნარ- ფორმის ულასო ვარიანტი წიფნარ-ი ადგილის სახელად რამდენგანმეა დადასტურებული: კასპის რაიონში იგი ტყვეს ეწოდება, ხოლო გურიაში (ჩონატაურის რ.) ამავე სახელწოდების სოფელი არსებობს. უთუოდ მკენარე წიფელთან არის დაკავშირებული მეორე აქაური სოფელი წიფნაგვარა რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა გავიაზროთ როგორც წიფნა(რის) გორა.

**წიფნამურ-ი** ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმი აღმოსავლეთ საქართველოში. ანტიკური ხანის ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის მიერ იგი მოხსენიებულია როგორც ს ე ვ ს ა მ ო რ ა ( || ს ე უ მ ო რ ა ), — კლდეზე გამაგრებული ციხე-ქალაქი. ამ ნიშნის მიხედვით დღევანდელი სოფელი წიწამური სტრაბონისეულ სევსამორას თითქოს არ ემთხვევა; ის ალბათ არმაზის ციხის მიდამოებშია საძებარი. ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიხედვით ძველი სევსამორა ნაციხარი ბებრის ციხე უნდა იყოს.<sup>1526</sup>

ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით სევსამორა, იგივე წიწამური, ე.წ „დიდი მცხეთის“ ერთ-ერთი უბანთაგანი იყო. ჩვენი ფიქრით დღევანდელი სოფელი წიწამური, გაშენებული მდ. არაგვის მარცხენა, შემადლებულ, სამხრეთისაკენ დახრილ ფერდობზე, ტერიტორიულად არ უნდა ემთხვეოდეს სტრაბონისეული ხანის სევსამო-

<sup>1525</sup> ფ მ ა კ ა ლ ა თ ი ა , დასახ. ნაშრ. გვ. 187.

<sup>1526</sup> ლ . მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი , სტრაბონისეული სევსამორის ძიებაში. ტფილისი, 1917, გვ. 11-12 (რუსულად).

რა||სევიმორას; სტრაბონის მიხედვით ზომ სევსამორა კლდეზე აღმართული ციხე-სიმაგრე იყო. ამჟამინდელი სოფელი წიწამური გვიანდელი დასახლებული ჩანს. საინტერესოა, რომ გრდან-საგურამოს ტერიტორიის აღწერისას ვახუშტი ამ სახელწოდების სოფელს აქ არც ასახელებს; წიწამურს არ იცნობს არც ერთ-ერთი უძველესი ქართული საისტორიო თხზულება „მოქცევაჲ ქართლისა“ (X ს. ხელნაწერი) და არც „ქართლის ცხოვრების“ სხვა ძველი რედაქციები. საისტორიო მიმოქცევაში სოფელი წიწამური მხოლოდ XVII საუკუნის I ნახევრიდან შემოდის. იგი ორგზის არის დასახლებული ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ (პირველი ტექსტი): „და რა ესმა ბატონს თეიმურაზს საქმე ესე (შაჰაბასის შემოკრა კახეთში, გბ.). შეიყარა სპა, მოვიდა დაესხა თავსა წიწამურს ზეით... და იქმნა ბრძოლა ძლიერი და გამარჯვა ბატონს თეიმურაზს დიდად და მოსცა ღმერთმან ძლევა და შუადლითგან მოკიდებული ჯოცეს თათარნი, ვიდრე ბინდამდე... და გააქცივეს“.<sup>1507</sup>

მეორედ წიწამური ბერი ეგნატაშვილის მიერ ნახსენებია გიორგი სააკაძის მიერ ყიზილბაშთა ლისის ახლოს განადგურების ამბავთან დაკავშირებით: „მივიდა მოურავიცა სამოცის კაციოთა და შეება გულმესისხლედ და... მოისრა კაცი შეიდასი, თვით განვიდა, წიწამურის გზები ჩახერგა და ღართისკარიც შეუკრა და მუნ მომავალნი ყიზილბაშნი დაჯოცა“.<sup>1508</sup>

ვახუშტის „აღწერაში“, ხოლო მის კვალობაზე იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“, წიწამური კახეთის სამეფოში შემავალ სოფელთა შორის არის წარმოდგენილი.<sup>1509</sup>

სახელწოდება წიწამურის ეტიმოლოგიურ კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1916 წელს გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წიწამური კლდის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა იყოს, რადგან იმერულ და რაჭულ კილოებში იგი დღესაც ციცაბო კლდის აღსანიშნავად

<sup>1507</sup> ქართლის ცხოვრება II, თბ., 1958, გვ. 400, 17.

<sup>1508</sup> იქვე, გვ. 409, 17.

<sup>1509</sup> ვახუშტი, აღწერა... თბ., 1941, გვ. 206; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 64.

ვალ გვხვდება.<sup>1510</sup> ამ თვალსაზრისის მხარი დაუჭირა პროფ. ლ.მელიქ-სეთ-ბეგმა და, შესაძლებელია, სწორედ ამიტომ ივარაუდა, სტრაბონისე-ული სევსამორა||სევემორა-დ ნაციხარი ბებრისციხე უნდა მივიჩნიო-თო.<sup>1511</sup>

ჩვენი აზრით, ტოპონიმი წიწამური წარმომდგარია არა იმერულ-რაქული დიალექტური სიტყვისაგან (წიწამური — „ციცაბო კლდე“), არამედ ქართლურსა და ივრის ხეობის ფშაურ დიალექტებში დაცული სიტყვისაგან: აქ წიწამური გვხვდება ხვატის, სიცხის ბურის, გვალვიან-ნობის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულად.

„სიცხის დროს რო ბურუსი დგას და აფუქებს ნათესსა, ეგრე კიდევ ხილსა და ვენახსა, იმას ჩვენ, ჩვენცა და კახეთის მხარეშიც, ვეძახით წიწა-მურის დაცემას. წიწამური დაეცაო, მოსავალი აღარ იქნებაო, იტყვიან“ (ნიკო ობგაიძე, ს. ზემო ნაქალაქარი, თიანეთის რ. 1973 წ.).

„მამულებია, წიწამურებს ვეძახით. წიწამურს ეტყვიან, ხვატი და ბურუსიანი ამინდი რო ჩადგება, ნისლი და ცხელი აერი წამოიდაო, წიწამურია დადებული, ყანებს სუ აფოდავსო. ეგ იცის გოლკების დროს, ნამი რო არ ექნება ციდანა“ (გიორგი ხუმარაშვილი, ს. ჩეკურაან-თგორი, 1973 წ.).

როგორც ამ მონათხრობთაგან ჩანს, წიწამური დარის აღმნიშ-ვნელი ძველი სამეურნეო ტერმინი ყოფილა. ალბათ ამით უნდა აიხსნას სიტყვა წიწამურის ხშირი გამოყენების შემთხვევები აღმოსავლეთ სა-ქართველოს ტოპონიმიაში. მცხეთის რაიონის გარდა წიწამური||წიწა-მურები ეწოდება სახნავ-სათეს სავარგულს თიანეთის რაიონში, ერწო-ში, ხოლო დუშეთის რაიონის მკალიჯურის სასოფლო საბჭოში არის პა-ტარა სოფელი წიწამურა.

წიწამურს, როგორც ჩანს, არკმევდნენ მზისგულ, ხვატიან ლე-ჩხუმ. ღვაპი, მოხეური სიბინი...), სიცხის ბურით ცნობილ ადგი-ლებს. სოფელი წიწამური მართლაც მზვარე, ხრიოკ ადგილზეა გაშენე-ბული. იგი სავსებით მიესადაგება ტერმინ წიწამურის ზემოთ მოყვანილ მნიშვნელობებს: „გვალვიან-ხვატიანი ადგილები, სადაც ცხელი ჰაერის

<sup>1510</sup> გ. ბ რ ე გ ვ ა ძ ე . სახელწოდება წიწამურის ისტორიის შესახებ: გაზ „საქართველო“, №244, 1916 წ. 2 ნოემბერი.

<sup>1511</sup> ლ . მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი . დასახ. ნაშრ., გვ. 11-12.



გამო მარცვლელუი და ხილი ხშირად იოდება“.

**წრომ-0** ისტორიული სოფელი ცენტრალურ ქართლში (ხაშუ-რის რ.). სოფელი მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. აქ დგას სახელგანთქმული წრომის ტაძარი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომლის აგების თარიღადაც სპეციალისტები VII საუკუნის I ნახევარს, კერძოდ 626-634 წლებს სდებენ. წრომის ტაძრის არქიტექტურა ბევრ ისეთ ნიშანს შეიცავს, რომელიც საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების, როგორც მიმდინარეობის, შემდგომ განვითარებას.<sup>1512</sup>

არანაკლებ საინტერესოა ამ უძველესი გეოგრაფიული სახელწოდების წარმოშობის საკითხი. ერთი შეხედვით იგი ისეთივე -ომ სუფიქსიანი ტოპონიმი ჩანს, როგორცაა: ბათ-ომ-ი, თორთ-ომ-ი, ბორჯ-ომ-ი, ლორჯ-ომ-ი, დიდ-ომ-ი, ღრ-ომ-ი... მაგრამ ჩვენ არ ვიცით რა შინაარსისაა წრ- ძირი. შესაძლებელია იგი ამოსავალში შეიცავდა რომელიმე ხმოვანს (წერ-, წარ- წირ-...). მაგრამ იგი ჩავარდნილი უნდა იყოს მომდევნო ო ხმოვნის გავლენით. მაშასადამე, შეიძლება აღვადგინოთ ტოპონიმ წრომის სავარაუდო ფორმები: წირ-ომ-ი, წერ-ომ-ი, ან წარ-ომ-ი. ამათგან უპირატესობა ალბათ პირველ ორს უნდა მივანიჭოთ მაშასადამე, წრ-ომ-ი უნდა გავიგოთ როგორც:

ა) (მ)წირ-ომ-ი „მწირი, უნაყოფო მიწა“;

ბ) წირ-ომ-ი „წირის შემცველი ქანები“ (იხ. სტ. სა-წირ-ე).

არანაკლებ მოსალოდნელია სავარაუდო წერ-პიტყვა, რომელიც ქართლურსავე ტოპონიმებში დასტურდება: წერ-ეთ-ი (სოფელია გორის რაიონში), წერ-ოვან-ი (სოფელი მცხეთის რაიონში), წერ-ონ-ის-ი (სოფელია ქარელის რაიონში)... აქედან გამომდინარე წერ-ომ-ი შეიძლება გავიაზროთ როგორც წერ-ომ-ი: „წერის შემცველი ადგილები“, „ადგილი, სადაც გამოედინება შავი ფერის სითხე, ნავთობიანი მინერალი“. სხვათაშორის შეიძლება წარ-ომ- ფორმის წარ- ფუძეც შეიძლება იმავე წერ- სიტყვის მონათესავე წარნაქ- ფუძეს დავუკავშიროთ. წარ-

<sup>1512</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, თბ., 1987. გვ. 346.

ნაქი ეწოდება მოყვითალო ფერის საღებავ მიწას, რომელსაც მეთუნეობაში იყენებენ (უსვამენ თიხის კურქელს; გამოწვაში წითლდება).<sup>1513</sup> ასე რომ წრომ-ი (-წერ-ომ-ი, წირ-ომ-ი) შეიძლება წერ-ეთ-, წერ-ოვან- სახელთა მონათესავე ერთეულად ვცნოთ. ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულია ვერსია, რომლის მიხედვითაც სახელწოდება წრომი თითქოს ამ მიდამოებში წრომის (ქოტის) სიმრავლის გამო იყოს წარმოქმნილი.<sup>1514</sup> ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადგილთა სახელები, მითუმეტს, დასახლებული ობიექტებისა, ფრინველთა სახელებისაგან გაუფორმებლად ე.ი. თავსართ-ბოლოსართების დაურთველად, სუფთა ფუძით არ წარმოიქმნებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოფლის სახელად არ შეიძლება გვქონდეს: წერო, ქორი, ქათამი, კაკაბი, როქო, შაშვი, ჩხიკვი, ქოტი და სხვა. ეს სახელები ტოპონიმებად რომ იქცნენ, ისინი სხვადასხვა მორფოლოგიურ სართებს საკიროებენ: სა-ქორ-ე, ჩხიკვ-თა, სა-ქათმ-ია, კაკაბ-ეთ-ი და სხვ. ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ფრინველის სახელისაგან რომ იყოს წარმომდგარი, მაშინ წრომის ნაცვლად ხა-წრომ:ე, წრომ-თა, წრომ-ეთ-ი ან ამის მსგავსი რაღაც უნდა გვქონოდა.

**წუბროვანი-ი** ვრცელი სასაძოვრე ადგილები ხევსურეთში, ბარისახო-შატილის სამანქანო გზასთან ახლოს, ადგილ დათვისჯვართან. აქ იღებს სათავეს წუბროვნის წყალი, რომელიც გუროს წყალთან შეერთების შემდეგ ქმნის შატილის წყალს, ანუ არაგვს.

„გზამ გაიარა სოფლები ღული, გუდანო, ქორმეშავი, ბისო, ხანმატი. ველკეთილის გადასასვლელზე გადასქრა კავკასიონის ქედი და წუბროვანის ვაკემდე მიიღწია, სადაც საზაფხულო ბინები აქვთ... ბარის კოლმეურნეობების მეცხვარეებს“ (გ.ლეონიძე). ტოპონიმი წუბროვანი კარგად ცნობილი გეოგრაფიული ერთეულია. იგი ხშირად მოიხსენიება ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში:

„სულ-ცხონებულმა გარამა ხმელეთი დაიარაო  
შაყარა ძიმე ლაშქარი, ბოროლა გადიარაო,

<sup>1513</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომ.) თბ., 1986, გვ. 557.

<sup>1514</sup> თეა კუკუჩის ასული შ უ ბ ი თ ი ძ ე (სფ, 1989).

წითელ-ყვითელმა დროშამა წუბროვან ჩაიარა“.<sup>1515</sup>

ასევე: „შამახდა წუბროვანჩია, წითლად ეჩვენეს მთანიო“...<sup>1516</sup>

„ორთავ მადღურიშვილებსა წუბროვანს უძე ბინაო“.<sup>1517</sup>

სახელწოდება წუბროვანი (||წუბროანი), ჩვენი ფიქრით, წარმომდგარი უნდა იყოს წურბელა-საგან -ოვან სუფიქსის დართვით, რასაც სიტყვის ფუძეში გარკვეული რიგის ფონეტიკური ცვლილებები გამოუწვევია: წურბლოვან-ი||წურბრ-ოვან-ი—წუბრ-ოვან-ი: „ტბორებიანი ადგილი, სადაც დიდი რაოდენობით არის წურბელა“. ამგვარ ვარაუდს ერთგვარად უჭერს მხარს ის ფაქტი, რომ ამ ადგილებში მართლაც გვხვდება ქაობიანი გუბეები. შემთხვევითი არ არის, რომ აქ ერთ-ერთი ადგილისათვის ხალხს ჭანჭახი შეურქმევია, რაც უეჭველია, სველი, ნოტიო, ქაობნარი ადგილების არსებობაზე მიგვანიშნებს. ოღონდ დაბრკოლებას ქმნის ის გარემოება, რომ ამ რიგის ტოპონიმებში -ოვან სუფიქსი თითქმის არ უნდა გვქონოდა, რადგან მწერებისა და ფრინველ-ნადირთა სახელწოდებების მიხედვით წარმოქმნილ გეოგრაფიულ ერთეულებში ჩვეულებრივ სა-ე კონფიქსი ან -იან სუფიქსი გვხვდება: სა-მგლ-ე, სა-ირმ-ე, სა-წურბლ-ია;<sup>1518</sup> ხვლიკ-იან-ა... მოულოდნელი ჩანს: ირმ-ოვან-ი, ჭიხვ-ოვან-ი, გველ-ოვან-ი და მისთ. ფორმები. ამის მიუხედავად შეიძლება ვივარაუდოთ წუბროვანის სიტყვა წურბელა-საგან მომდინარეობის შესაძლებლობა, რადგან ენამ მაინც იცის ამ ტიპის სახელებში -ოვან- სუფიქსის გამოყენების თითო-ორი შე-მთხვევა: ხარ-ოვან-ი, კამბეჩ-ოვან-ი (ქიზიყის ისტორიული სახელწოდება).

შეიძლებოდა დაგვეშვა წუბროვანის წუმპე||წუმპე სიტყვისაგან მომდინარეობის მიზანშეწონილობაც: წუბროვანი — წუმპრ-ოვან-ი (მანის ჩავარდნით ბ-ს მეზობლობაში და ფუძეში რ სონორის მოსა-

<sup>1515</sup> ა ლ . კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი , ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 389.

<sup>1516</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. XII, თბ., 1980, გვ. 136

<sup>1517</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ., 1975, გვ. 88.

<sup>1518</sup> ცნობილი ადგილია სოფ. ეწრისა და სოფ. ჭიქთუბნის მიჯნაზე (სამტრედიის რ.).

ლოდნელი ჩართვით: შდრ. მუხ-რ-ოვან-ი, კოხ-რ-იან-ა...)<sup>1519</sup> მაშასადამე, წუბროვანი უნდა გავიგოთ როგორც „წუმბე-ქაობიანი ადგილები“, „გუბე-ტბორებიანი მამულები“, „ქანკრობი“.

**წყაროტყრებ-ი** ასეთი უცნაური სახელი ჰქვია ერთ-ერთ ადგილს სხარბალში (ახალგორის რ.) ტოპონიმ წყაროტყრების წარმოშობის შესახებ ადგილობრივ გავრცელებულია ამგვარი თქმულება: „აქ იყო კაი ცივი წყარო, თიხის მილი ჰქონდა დაგებული, ცივით ინახამდა. ისე არავინ გაივლიდა, ის წყალი არ დაეღია. ერთხელაც აქ დაუსვენია სამ მონადირეს. ესენი ყოფილან ძმები. მისულან. ჯერ უფროს ძმას დაუღევია, მერე იმის მომდევნოს, სუ ბოლოს, უმცროსსაც აუღია და დაუღევია. ამათ ჰყამთ მოკლული ტახი, მწვადები უნდათ რო შაწვან. ახლა მისულა ეს უფროსი და რას ხედამს, კაცი ცუდათ არი. უნდათ უშველონ და ვერაფერს ვერა შევლიან. მამკვდარა კაცი. გავიხედოთ და შუათანა ძმაც ეგრეა, ვერც იმას უშველა ვერაფერი. წამამხტარა ეს ბოლონა ძმა, მიშველეთო, ყვირის. დურღული ტყე არი, ხმა არ გადის! ამდგარა, გაქცეულა და ჩავარდნილა სოფელში, ასე და ასეა ჩვენი საქმე, ძმები დამეხოცნენ!.. უკითხიათ, რითაო? — წყაროს წყალი დავლიეთო. — ალბათაო, მოწამლა რამანმეო. — არაო. — მაშინაო, — უთხრეს, — გულები გაჰხტეჩიათო, ცივ წყალს დაღალულები დასწაფებიანო. შენც რო იმათთან დაგვლია, არ გადაჯრჩებოდო.“

იმის მერე წყაროსთვი დაურქმევიათ წყაროთმკვდრები. ეხლა კი ეგრე გადააკეთეს და წყაროტყრებს ვეძახით სუყველანი“ (ს.ბერუაშვილი).

სინამდვილეში ადგილის სახელწოდება სულ სხვაგვარად არის წარმომდგარი. თავდაპირველად უნდა გვქონოდა წყაროთკარ-ი, (შდრ. ტოპონიმი წყაროკარი სოფ. ღვანკითში) (თერჯოლის რ.), შემდგომ საზღვრულ კარ-ს სიმრავლე-კრებითობის აღმნიშვნელი -ებ ნიშანი რომ დართვია, მას წინამავალი კარ სიტყვა შეუტყუშმავს და წყაროთკარებ-ი მოუცია, საიდანაც ასიმილაციის წესით საბოლოოდ წყაროტყრებ-ი მიგვიღია (შდრ ქვიტიკრი — ქვიტიკრი, ბარტკალი — ბართ-კალ-ი

<sup>1519</sup> მთა არის თიანეთის რაიონში, მდ. ივრის სათავეებში. კოხი — მაგარი ჩიშის ქვა; იყენებენ ევრის მოსაკობავად

— ბართ-კარ-ი და სხვ). წყაროტყრები, მაშასადამე, ნიშნავს: „წყარომ-რავალი ადგილები“, „წყაროიანი“.

### — ჭ —

ჭაბან-ი სოფელი სამტრედიის რაიონში (ღანიჩის სას. ს.) ვა-ნის რაიონში გვხვდება ამავე დასახელების სოფელი, ოღონდ როგორც ტოლად შერწყმული ერთეული: ჭაგან-ჭყვიში (შუამთის სას. ს.). ხალ-ხური ეტიმოლოგიის მიხედვით ჭაგან-ი თურმე „ჭა განიერს“ ნიშნავს: „ძველათე ყოფილა ერთი ხელოსანი, ჭების ამშენებელი კაცი. ამას ყამ-და სამი ვაჟი. სულ უმცროს მამის ხელობა უსწავლია. ერთხელ სოლო-მან ბძენს ეს ოსტატი თავისან დოუბარებია, მაგალითი ჭა უნდა ამო-ქრა, ასთე გაქ ნაბძანებო. დოუწყია ქრა. დასრულებას ცოტა რომ და-კლებია, ძანილი გლახათ შექნილა. გაჩერდა თელი საქმე. კტება ახლა. ვაზირს უკოხნია, შენი დაწყილი საქმე ვინ გეგულება, რო დაასრულო-სო? — მანდამან ჩემა შეილმა უნდა მოათაოსო. მოუყვანიენ აი ბიჭი და ჭის შენება რო უნახია, დაუყინებია, მე ამას ხელს არ მოკიდებო. კითხენ მიზეზი. — ჭა განიერია, წყალს ცივათ ვერ შეინახამსო და ტყვილა მე უნდა დამანაშაულოთაო. მამამ რო შეილის ამბავი შეიტყო, გეიხარა, ჩემა შეილმა ჩემი გაბლანული საქმე თუ გაასწორა, აწი უცე-ფურათაც რო მოვკტე, არაუშავს, მე ჩემი კუთხული მოვჩიო. დაათქვეს სოფელს ჭაგანიერი. მერე და მერე ხალხს ჭაგანი დოუძახებია“ (ყორა მიმინოშვილი, სოფ. ჯიქთუბანი, სამტრედიის რ. 1989 წ.).

ფაქტიურად ჭაგანი წარმომდგარი ჩანს ჭა (← ჭია) „წითელი“, „რუხი“ და -გან- სიტყვების შეერთებით. გან-ი ქართულ ენაში ადგი-ლის მნიშვნელობით ძველ ქართულ ენაშივეა დადასტურებული,<sup>1520</sup> უპი-რატესად სა- პრეფიქსის გამოყენებით — სა-გან-ი (უუკბერიძე). განი ადგილის მნიშვნელობით სიტყვა კიდევანში (მდრ. უ-კიდევან-ო) გვაქვს შემონახული. განი („ადგილი“) ხშირად ფიგურირებს დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიში: გოდოგანი, დოლოგანი, თხილაგანი

<sup>1520</sup> სიტყვა განი გურულ დიალექტს მანძილის მნიშვნელობით შემოუნახავს: „კაი განი გზაი გამოგვიარია“ (თამარ გიორგაძე-ლოდია, ს.ხვარბეთი, 1990 წ.).

(სოფლებია). -გან- სიტყვის მიხედვით არის წარმომდგარი საყოველთაოდ გავრცელებული ოროგრაფიული ტერმინი ზეგან-ი „ზედა, ზემო ადგილები“. რაც შეეხება ჭა ფორმას, იგი უთუოდ შერწყმის წესით არის მიღებული ჭია- სიტყვისაგან (შდრ. ჭიათურა — ჭათურა||ჭეთურა).<sup>1521</sup> ამრიგად, ჭა-განი (-ჭია-განი) უნდა განიმარტოს როგორც „წითელმიწიანი ადგილი“ (შდრ. სოფელი მიწაითელი||მიწაწითელი) (წყალტუბოს რ.). (ჭია სიტყვის მნიშვნელობის შესახებ დაწვრ. იხ. სტ. ჭიათურა).

ჭარნალ-ი ხელვაჩაურის რაიონში (აქარა) ჭარნალი ერთ-ერთი დიდი სოფელია. იგი რამდენიმე კუთხე-უბნისაგან შედგება, რომელთაგან ცნობილია ორი დიდი დასახლება: გაღმა ჭარნალი და გამოღმა ჭარნალი. სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია ცნობილია: მას ჭალა სიტყვისაგან მომდინარედ მიიჩნევენ ლ-რ თანხმოვანთა მეტათეზისის გზით: ჭალ-ნარ-ი — ჭარ-ნალ-ი.<sup>1522</sup> ამიტომაც განიხილავენ მას ისეთი ტოპონიმების გვერდით, რომლებიც სიტყვა ჭალას შეიცავენ: გრძელი-ჭალა; ჭალისუბანი, ჭალისოფელი, ჭალისთავი, ჭალადიდი, ჭალანხმელა, ჭალატყე, ჭალოვანი, ხევისჭალა<sup>1523</sup> და სხვ. ჩვენი ვარაუდით სოფელი ჭარნალი (და იქვე ამავე სახელწოდების მდინარე) წარმომდგარი ჩანს არა ჭალა სიტყვისაგან, არამედ დასავლეთ საქართველოს მიკროტოპონიმიაში კარგად ცნობილი ჭარ- სიტყვისაგან, რომელიც სველი, ნოტიო, წყლიანი საფლობტალახიანი ადგილების აღსანიშნავად გვხვდება. ჭარ- ძირის შემცველი გეოგრაფიული სახელები არაერთგზის დასტურდება გურია-იმერეთის, აგრეთვე, რაქის ტერიტორიაზე. ზოგი მათგანი -ობ (-ოფ) სუფიქსით შეიძლება გამოვლინდეს. ჭაროფ-ი — ნესტიანი ადგილი (მაგრამ არც მთლად ჭაობი).<sup>1524</sup> ამავე ჭარ- ძირის შემცველ ტოპონიმად მიგვაჩნია მხარის სახელწოდება აჭარაც (იხ.).

მაშასადამე ჭარნალი უნდა გავიაზროთ არა როგორც ჭალ-ნარ-ი („ჭალიანი ადგილები“), არამედ როგორც ჭარ-ნალ-ი: „სველი, ნო-

<sup>1521</sup> ლ. ლ. ე. ა. ვ. ა., მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით: ივე, IX-X, თბ., 1958, გვ. 179.

<sup>1522</sup> ზ. კ. უ. მ. ბ. რ. ი. ძ. ე. დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 533.

<sup>1523</sup> იქვე, გვ. 533.

<sup>1524</sup> ა. ლ. კ. ო. ბ. ა. ხ. ი. ძ. ე. რაქული დიალექტის ლექსიკონი., თბ., 1987, გვ. 130.

ტიო, ქანკრობი ადგილები“; „სოფელი, რომლის ტერიტორიაზეც მრავ-  
ლადაა გუბებტობრებიანი, ჭარი ადგილები“.

**ჭარ-** ფუძიანი მიკროტოპონიმები, რა თქმა უნდა, ყველაზე ხში-  
რად აჭარაშივე დასტურდება. ასე მაგალითად, ს.მილისში არის სათესი  
ნაკვეთი, რომელსაც **ჭარნალები** ეწოდება. **ჭარნალ-**ი ჰქვია ტყეს და  
ღელეს სოფ. კოლოტაურში, აგრეთვე საძოვარ მინდორს სოფ. სირთ-  
ში.<sup>1525</sup> შესაძლებელია, იმავე **ჭარ-** სიტყვისაგან იყოს წარმომდგარი  
სოფლის სახელი შიდა ქართლში **ჭარებ-**ი „სველი, ნოტიო, ქანკრობი  
ადგილები“ და ჰიდრონიმი **ჭარებულა**, — მდ.აძურის (—აძვ-ურა)  
მარჯვ. შენაკადი (გორისა და ცხინვალის რაიონებში). **ჭარ-** სიტყვა  
ქართული ენის დიალექტებში გვხვდება სხვაგვარი ფორმებითაც: **ჭანარ-**  
**ი** (ქართლ.) ნესტიანი, ნოტიო, სველი; **ჭანარი ამინდი** — ნესტიანი  
დარი, წვიმიანი ამინდი,<sup>1526</sup> **ჭანჭახ-**ი (ფშ., ხევს.) — ქაობი ადგილი.<sup>1527</sup>  
**ჭყანტი**, **ჭყანტობ-**ი „სველი, წყლიანი, მცირე საფლობი ადგილები“  
(არაგვის ხეობის ქართლი, ს.ანანური) და სხვ. მრ.

მეორე მხრივ, ამოსავლად შეიძლებოდა გვევარაუდა ქვემო აჭა-  
რული სიტყვა „**ჭარი**“, მნიშვნელობით: „ქვიანი ადგილი“, „ქვეანარი“,  
„ქვაყრილი ადგილი“. უთუოდ ამ შინაარსს შეიცავენ მიკროტოპონიმები  
**ჭარნალი-** ღელე და ტყე ს.კოლოტაურსა და ს.სირთში, აგრეთვე **ჭარ-**  
**ნალები** — სათესი სოფ. მილისში. ამრიგად, სახელწოდება **ჭარნალი**  
ორგვარად შეიძლება გავიაზროთ: 1. **ჭარიანი** ანუ სველი, ქაობიანი ად-  
გილები; 2. **ქვეანარი**, **ქვაყრილი** ადგილები.

**ჭარჩხულ-**ი ცნობილი ღელეა სოფ. სათემოში (თერჯოლის რ.,  
ბარდუბნის სას. საბჭო).

დასავლეთ საქართველოს მიკროტოპონიმის გამოწვლილვითი შე-  
სწავლა ცხადად ადასტურებს იმ ცნობილ ვერსიას, რომ დღევანდელი

---

<sup>1525</sup> მასალას ვიმოწმებთ ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს წიგნიდან სამხრეთ-დასავლეთ  
საქართველოს ტოპონიმია I, ბათუმი, 1958, გვ. 55, 59, 139...

<sup>1526</sup> გ შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი , თვალაღწერი ქართულის ქაშნიკი, თბზ. ტ. IV,  
გვ. 426.

<sup>1527</sup> ა ლ . ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი , ხევსურელის თავისებურებანი, თბ., 1960,  
გვ. 225.

იმერეთის, ლეჩხუმის, გურიის... ტერიტორია ისტორიულ ხანაში ზანუ-რენოვან მოსახლეობას ეკავა. ამ ფაქტს წერილობით წყაროებზე უკეთ ტოპონიმები ცხადყოფენ. ჰიდრონიმი **ჭარჩხულ-ი** ჩვენ ერთ-ერთ ასეთ უძველეს ენობრივ დანაშრევად გვესახება. თავდაპირველად, საფიქრებელია, გვერდა **წარ-ჩხე**, რაც მეგრულია და **წყალ-თბილს** ნიშნავს. ცვლა-განვითარების შემდგომ ეტაპზე, ქართულენოვანი მოსახლეობის გარემოცვაში, თავიღერი **წ** აფრიკატი ფუძისეულ **ჩ** აფრიკატს ასიმილაციის ძალით მკვეთრ **ჭ** თანხმოვნად უქცევია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო **-ულ-** სუფიქსის დართვაც. მაშასადამე, **წარ-ჩხე - წარ-ჩხ-ულ-ი - ჭარჩხ-ულ-ი** (სემანტიკური გაბუნდოვანებით).

დასასრულ იმასაც დავძენთ, რომ ს.ზედა სიმონეთსა და სოფ. ძევრში დადასტურდა ჰიდრონიმი **ჭარჩხურა||ჭარჩხურა ღელე**,<sup>1528</sup> რომელიც შინაარსობრივად ფარავს ზემოხსენებულ **ჭარჩხულ** ჰიდრონიმს: „წყალთბილა“. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ ამ უკანასკნელ ფორმაში ისტორიული **წარ** („წყალი“) ძირი რა-ეს გარეშეა წარმოდგენილი, რაც მის შედარებით სიახლეზე მეტყველებს.

**ჭახტქპარ-ი** მოზრდილი მამულია სოფ. სონჩოში (მთიულეთი, დუშეთის რ.). ეტიმოლოგია უცნობია. საზღვრული ფუძის კარი-ს მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ჭახტ-** სიტყვა საზოგადო არსებითი სახელია, დასმული ნარ-თანთან მრავლობითში, რომლის ნიშანი (თ) კარ- სიტყვის კ თანხმოვნის მეზობლობაში ასიმილაციის გზით **ტ** ბგერაც ქცეულა: **თკ - ტკ**, ზუსტად ისე, როგორც ეს **ბარტკალ-** და **წყაროტკრებ-** ტოპონიმებში დადასტურდა (იხ.). საყრდენ სიტყვად უნდა ვცნოთ მოხეურსა და მთიულურ დიალექტებში კარგად ცნობილი სიტყვა **ჩაღდ-ი** (ხალიკ-ი) „საყენად დაწყობილი შეშა“. შეშის **ჩაღდები** ედგა ტყეჩი (ოთ.ჭაჭაია).<sup>1529</sup> შეშა კუბიკურ საყენად აგებული; „ჩაღდი

<sup>1528</sup> საქართველოს ტოპონიმია II თბ., 1999, გვ. 171

<sup>1529</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა II, ა ლ . ლ ო ნ ტ ი ს რედ., თბ., 1975, გვ. 264.



ჩავდგი" (ს.ცდო.)<sup>1530</sup> სოფ. ცდომივე ყოფილა საძოვარი მამული, რომელსაც საჩაღდე ქედი ეწოდება. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით აქ ადრე ტყე მდგარა. „მოკრილ შეშას ამ ქედზე აგებდნენ თოვლის მოსვლამდე, ხოლო შემდეგ თოვლზე დააცურებდნენ. ასე აგებულ შეშას მოხეურად ეწოდება ჩაღდი. ხოლო ადგილს, სადაც შეშის ჩაღდები იდგა, შეარქვეს საჩაღდე ქედი“.<sup>1531</sup> სიტყვა ჩაღდი ჭანდის („დაწყობილი, დალაგებული შეშა“) სახით ზემოაქარულ დიალექტშიც ცნობილი ყოფილა.<sup>1532</sup> მაშასადამე თავდაპირველ ფორმად ჩაღდთ-კარი უნდა ვცნოთ, საიდანაც ჯერ ჩახთ-კარი, ხოლო აქედან ასიმილაციური გამკვეთრებით ჩახტ-კარი||ჭახტკარი<sup>1533</sup> მიგვილია.

**ჭიანჭური** ქალაქია ზემო იმერეთში. საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. ქიათურა ჩვენი რესპუბლიკის „ახალგაზრდა“ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის: იგი არსებობის საუკუნეზე ოდნავ მეტს ითვლის. მანამდე პატარა დასახლებული პუნქტი უცებ იქცა მნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქად, როგორც კი აკაკი წერეთლისა და იმდროინდელი ტექნიკური დარგის ინტელიგენციის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლების მიერ აქ მარგანეცის დიდი საბადოები იქნა მიკვლეული.

ზემო იმერეთის მოსახლეობაში დღესაც ცოცხლობს გადმოცემები, რომლებშიც კარგად არის ასახული ქიათურის „შავი ქვის“ მოპოვების პირველი ნაბიჯები. ამ გადმოცემათა მიხედვით სულ პირველად მარგანეცის „ორი შავი ქვის ბეგი“ ბასილისკლდის ძირში ჩამოუქრევინებია რუს ებრაელს, გეოლოგ აბიხს, რასაც აკაკი წერეთლის დიდი დაინტერესება და პრაქტიკული შედეგებიც მოჰყოლია: „აკაკიმ ზედა რგანიდან — კვირცხნალიდან — ჩამოატანინა დიდი პლასტი სიმონ ვაშაძეს“.

---

<sup>1530</sup> ი. ვ. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე , ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985, გვ. 364.

<sup>1531</sup> ვ ა ლ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ზევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 136.

<sup>1532</sup> ამგვარი ფონეტიკური პროცესების შესახებ მთიულურ ტოპონიმიაში იხ. გ . ხ ო რ ნ ა უ ლ ი მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 33-34.

<sup>1533</sup> შ . ნ ი ე ა რ ა ძ ე , ქართული ენის აქარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1961.

შემდეგ კი შავი ქვის პირველი ურემი, დატვირთული ამ პლასტიტით „აკაკიმ შეატანია ზესტაფონში ოტია ლეჟავასა და სიმონ ვაშაძეს“. „1899 წლებში გვიდა 51.000 ფუთი ქიათურიდან. ეს იყო პირველი დიდი გაზიდვაი. ფოთში წვეიდა“.<sup>1534</sup>

ქალაქ ქიათურის წარმოქმნამდე აქ ცნობილი იყო პატარა მდინარე ქიათურა (მდ. ყვირილის ერთ-ერთი შენაკადი), რომლის სახელიც საფუძვლად დასდებია ტოპონიმს. გასული საუკუნის დამლევინათვის და ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში ზემო იმერეთის მკვიდრი მოსახლეობა ამ ახლად წარმოქმნილ ქალაქს „შავ ქვას“ უწოდებდა. ეს ვითარება დავით კლდიაშვილის პროზაშიც არის ასახული: „ტყუილად დაეხეტება ხან შავ-ქვაში, ხან რკინიგზაზე, ვერსად ვერ შოულობს სამუშაოს“.<sup>1535</sup>

ხალხური ტრადიციული გადმოცემის მიხედვით სახელწოდება ქიათურა თურმე კითხვითი შინაარსის წინადადებისაგან წარმომდგარა: „ქიაა თუ რა?“ ამბობენ, ვიდაც მგზავრს, ზოგის თქმით, — ზემო იმერეთის მთებში სანადიროდ გადმოსულ რაჭველს, — ყვირილის ქვაბულში ვერცხლისფრად დაკლავილი, მიხვეულ-მოხვეული მდინარე რომ დაუნახავს, გაოცებულს წამოუძახია: „ქიაა, თუ რაო?“ ეს ხალხური იქმნულება იმდენად პოპულარული გახდა, ისე მყარად მოიკიდა ფეხი მოსახლეობის ცნობიერებაში, რომ მას ზოგჯერ სინამდვილედაც კი მიიჩნევენ.<sup>1536</sup>

ტოპონიმ ქიათურის მეცნიერული ეტიმოლოგია, რამდენადაც ვიცით, დღემდე არ მოგვეპოვება, თუმცა სამისო ცდები არაერთი ყოფილა.

სახელწოდების სწორი განმარტებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საყრდენი ფუძისა და სუფიქსების ზუსტად გარკვევას. ჩვენი ფიქრით ტოპონიმ ქიათურაში საწარმოებელ ელემენტად გამოიყოფა რთული გეოგრაფიული -ურ-ა სუფიქსი. მაშასადამე ძირისეულ მასალად უნდა ვცნოთ ქიათ- ფუძე, რომელიც ენაში თავდაპირველად

<sup>1534</sup> იბ. ქ ე თ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე . ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 521

<sup>1535</sup> დ ა ვ . კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი , თხზ. ტ. I, თბ., 1980, გვ. 287.

<sup>1536</sup> ვ . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , ქიათურა (ტურისტული გზამკვლევი), თბ., 1977, გვ. 8-9.

ჭიათა ფორმით უნდა გვეჩინოს. ბოლოკიდურ ა ხმოვნის მოკვეცა გამოუწვევია ჭიათა- ფუძეზე -ურ-ა სუფიქსის დართვას: ჭიათა-ურ-ა → ჭიათ-ურ-ა.

რას უნდა ნიშნავდეს ფუძე ჭიათა? იგი, ვფიქრობთ, ორი დამოუკიდებელი სიტყვისაგან არის შედგენილი. ესენია: ჭია და თა- ფუძეები. პირველი სიტყვა „ჭია“ წითელი ფერის აღმნიშვნელი ზედსართავია; ჭიაფერი ქართული ენის დიალექტებში, განსაკუთრებით დასავლურში, არცთუ იშვიათად გვხვდება. იმერეთში, მაგალითად, არის მცენარე ჭიაფერა. იგი ისხამს წვრილ, მოწითალო-მოშავო ფერის მარცვლებს, რომლის ნაყენითაც წითლად ლებავენ ნაქრებს ან სააღდგომო კვერცხს. „ჭიაფერთან ბოვებები ფხილავს წთლა ვიღებავდით“ (მაშიკო კობალეიშვილი-კახიანი, ს.ჭიტუბანი, სამტრ.რ.). საინტერესოა, რომ მცენ. ჭიაფერას კახეთში იმერული საფერავი ეწოდება, გურიაში — ფერა-ფერა, ლეჩხუმურში — მეფერვიე. რაქულში კი — ფერუა.<sup>1537</sup> ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ ზემოიმერულ კილოში ჭიამაიას წითელი მარია ეწოდება: „წითელი მარია გაფრინდა“<sup>1538</sup> ასეთივე ვითარება შენიშნულია ლეჩხუმურშიც. ერთ-ერთ აქაურ ხალხურ წითელ წამალს (წითელი კრისტალური ნივთიერებაა) „ჭიისფერი“ ეწოდება: „თვალი რომ წითელი ქონდეს, ბიდი ებურებოდეს... ბროწეულის ყვავილი ჭიისფერი ქალის (ე.ი.უღალი, მოწითალო ფერის ქალის) რძეში გალესე, თვალში ჩაუშვი დღეში ორჯერ-სამჯერ, მორჩება“.<sup>1539</sup>

მამასადამე, ჭია-თა უნდა გავიაზროთ როგორც წითელი მთა. ზემოიმერულ, აგრეთვე ქართული ენის არაერთ დიალექტში სიტყვა მთა მ-ანის გარეშე წარმოითქმის: „ერთი მიდის თეთრ თაზე, მეორე — შავ თაში“. (შდრ. თაგადადამიელი (←მთაგადადამელი, მთასიქითელი). „საჩხერის რაიონი უფრო თიანია“. „ფუტიეთი, ბრავაძა ონს ეკუთვნის. ონში თა გვაქ გადასავლელი“; „აქ თა ალაგია, ბური იცის“; „ერთხელ

<sup>1537</sup> ა ლ . მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი . ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 95.

<sup>1538</sup> ქ ე თ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე . ზემოიმერული ლექსიკონი. თბ., 1974, გვ. 481.

<sup>1539</sup> ლ . ს ო ს ე ლ ი ა , მკურნალობის ხალხური ტრადიციები ლეჩხუმში: კრებ ლეჩხუმში, თბ., 1985, გვ. 175.

წვევდი... კალმახზე თაში. ამ თის წყალს ქვია საკრეულია“.<sup>1540</sup>

შემთხვევითი სულაც არ არის ის ფაქტი, რომ ჭია-თა სწორედ ამ ადგილებში არსებულ ერთ-ერთ მთას შერქმევია. საქმე ისაა, რომ ქიათურის რეგიონი ძირითადად წითელი შეფერილობის ქანების შემცველი ლანდშაფტით ხასიათდება, რაც მარგანეცის საბადოების არსებობით არის განპირობებული ჭიათა ანუ წითელი მთა (||მთაწითელი) უთუოდ ამ ფაქტზე მიგვანიშნებს. მანგანუმის მადნის ჭია (წითელი) ფერით აღნიშვნა ქართულის გარდა, სლავური და ბალტიურ-რომანული ენებისთვისაც ნიშანდობლივია. ასე, მაგალითად რუსული სამთო რეწვის ტერმინი Руда „მადანი“ (железная руда „რკინის მადანი“) ძველ სლავურ ენაში, აგრეთვე დღევანდელი რუსულის ზოგ ჩრდილოურ დიალექტში, სერბულ-ხორვატულ, ჩეხურ და სხვა ენებში ნიშნავდა და ნიშნავს წითელს. ევროპის რიგ ენაში Руда („მადანი“) ასევე წითელს ნიშნავს; რუსულ, აგრეთვე უკრაინული ენების დიალექტებში იგი „სისხლის“ (წითელი ფერი!) აღმნიშვნელადაც ვგვხვდება. როგორც ჩანს, ასევე ამ Руда სიტყვას უკავშირდება გერმ. rot „წითელი“.<sup>1541</sup>

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ქიათურის რეგიონში მანგანუმის საბადოების არსებობა (ქანების წითელი შეფერილობით) რეალურ საფუძველს ქმნიდა ტოპონიმ ჭიათის წარმოსაქმნელად. ჭიათა, იგივე ჭიათა საფუძვლად დასდებია ჭია მთის შორიახლო ჩამომდინარ პატარა ხევს და წყლის ამ ობიექტისადმი კუთვნილება ხალხს - ურ-ა სუფიქსით გამოუხატავს. ჰიდრონიმ ქიათურას („წითელი მთის წყალი“), თავის მხრივ, წარმოუქმნია დასახლებული პუნქტის სახელი ჭიათურა, რომელიც შინაარსობრივად თანხვედება თავისი „მშობელი“ მდინარის სახელს. საბოლოოდ ჭიათურა ნიშნავს „წითელი მთის წყალი“, „ჭია მთის შორიახლო ჩამომდინარე ხევი“, „ქალაქი, რომელიც ამ მდინარეზე არის გაშენებული“.

---

<sup>1540</sup> მაგალითები დამოწმებული გვაქვს ქ ე თ . ძ ო წ ე ნ ი ძ ი ს ზემოხსენებული წიგნიდან.

<sup>1541</sup> იხ მ . ფ ა ს მ ე რ ი , რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, III, მოსკოვი, 1987, გვ. 513 (გერმანულიდან რუსულად თარგმნილი ო.ნ.ტრუბაჩოვის მიერ).

**ჭილურტი-ი** პატარა სოფელია დუშეთთან ახლო (მჭადიჭ-ვრის სას. ს.). ეტიმოლოგია უცნობია. სახელწოდების წარმომავლობის გასარკვევად, რა თქმა უნდა, ვერ დაგვეზმარება აშკარად რუსულ ყაი-დაზე გამართული **Чилурта** (ჩილიურტა), რომელიც ს.მაკალათიას გამოკვლევის („მთიულეთი“, ტფ., 1930) თანდართულ რუკაზე არის და-ტანილი. აშკარაა, რომ რუკის შემდგენელს ქართული ტოპონიმიკური რთული სუფიქსი **-ურ-თა** აღმოსავლური (თურქ. წარმოშობის **იურტა** სიტყვასთან გაუიგივებია (შდრ. სოფ. ჰასავიურტი დაღესტანში, აგ-რეთვე სოფლები **ყარანჯიურტი** და **ყარაგასიურტი** ბაშკირეთში და სხვ.).<sup>1542</sup> საფიქრებელია, რომ დღევ. **ჭილურტი-ი** **ჭილურთ-** ფორმისა-გან მომდინარეობდეს ბოლოკიდური **თ-ანის ტ-არად** ქვევის გზით. რა-შიც „ლომის წილი“ რუსულ ენას უნდა მიუძღოდეს. არ უნდა დაგვაფი-წყდეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, დუშეთის მაზრის, კარტოგრაფირებას XIX საუკ. ბოლოს და ჩვენი საუკუნის და-საწყისში რუსი გეოლოგ-ტოპოგრაფები და სხვა ტექნიკური დარგის სპეციალისტები ახდენდნენ.<sup>1543</sup>

ტოპონიმი **ჭილურტი** (**- ჭილ-ურ-თ-ი**), ჩვენი რწმენით, ან-თროპონიმიული წარმოშობის ერთეულია; ამოსავალია ადგილის (მამუ-ლის) ძველი მფლობელების — თავად **ჭილაშვილების** გვარი. ამ ფეო-დალური გვარის დიდი ციხედარბაზი დღესაც დგას ქ.დუშეთის დასავ-ლეთით. სოფელ მილახერიანთკარში (იგივე ამილახერიანთკარი). მაშასა-დამე, **ჭილურთ-ი** უნდა გავიგოთ როგორც **ჭილაშვილების** კუთვნილი მამული“, „ჭილური მიწები“.

**ჭობარეთი-ი** ცნობილი სოფელია მესხეთში (ასპინძის რ. ზვე-ლის სას. ს.). ადგილობრივ მოსახლეობაში ტოპონიმის წარმოშობის შე-სახებ რამდენიმე გადმოცემა არის შემონახული. ზოგი მათგანის მიხედ-ვით **ჭობარეთი** თურმე „**ბჭობა**“ სიტყვისაგან ყოფილა წარმომდგარი:

<sup>1542</sup> ი უ რ ტ ა სიტყვის მნიშვნელობისა და გავრცელების შესახებ დაწვრ. იხ. ე. და ვ. მ უ რ ზ ა ე ვ ე ბ ი, გეოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონი, მოსკოვი, 1959, გვ. 262.

<sup>1543</sup> იხ. გ. ხ. ო რ ა უ ლ ი, კარტოგრაფიული მასალა როგორც წყარო ქართული ტოპონიმიის შესასწავლად. კრებ. ონომასტიკა I, თბ., 1987, გვ. 247

„ძველად აქ ხალხი შეკრებილა, დიდი ბჭობა ჰქონიათ, ყველა საქმეზე ბჭობა ყოფილა და თავეთი სოფლისთვისაც ჭობარეთი დაურქმევიათ“ (თამაზ შერმადინის ძე ინასარიძე).

არსებობს მეორე გადმოცემა: „ჩვენთან უწინ მოსულან წყემსი თუშები. უნდა რო ნახონ კაი-კაი ჩაირები. ამათ ყამთ ძიენ ბევრი ცხვარი, ასულან ერთ თაზე, სოფლის ზემოთ არი, გადმოიხედეს და ერთ თუშს უთქომ მეორისთინ: „ჭო, ბარი ყოფილა აქაო, საძოვარათ გამოვიყენამთ ამასაო“. (თამაზ ინასარიძე, ს.ჭობარეთი). ცხადია, არცერთი ეს გადმოცემა სინამდვილეს არ შეესაბამება.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით სახელწოდება ჭობარეთი (აგრეთვე, ჭობური და სამცხის სხვა ჭობ-ძირიანი ტოპონიმები) წარმოშობით უკავშირდება ზანურ (მეგრულ) ჭუბურ- („წაბლი“) სიტყვას, -ო- ხმოვნის -უ- ხმოვანში გადასვლის გზით.<sup>1544</sup>

სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიაში ოდინდელი ზანური ელემენტის არსებობა დღეს მეცნიერულად დასაბუთებულად ითვლება, მაგრამ ჩვენ გვიჭირს ჭობარეთიც ამ რიგის წარმონაქმნად მივიჩნიოთ. საქმე ისაა, რომ ჭობარეთს როგორც სოფელს, ძველი ქართული საისტორიო ძეგლები („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდდთანი“...) საერთოდ არ იცნობენ. ჭობარეთი არ ჩანს არც სპეციალურ გამოცემაში („მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის I, 1964 წ.), რომელშიც საკმაოდ წვრილად არის აღწუსებული ქართულ-ქართველური ტოპონიმები, დადასტურებულნი X-XVII საუკუნეების ქართულ საისტორიო-ეკონომიკურ საბუთებში. პირველი საისტორიო-საგეოგრაფიო წყარო, რომელშიც ჭობარეთი უფრო სწორა, ჭობარეთის-ხევი არის მოხსენიებული, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს სამეფოს აღწერა“ (XVIII ს-ის შუა წლები): „არს საფარას მონასტერი, დიდშენი, გუნბათიანი, ყოვლად-წმიდისა... დაეფ-

---

<sup>1544</sup> გ. თ. ო. უ. რ. ი. ა., ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონომიკიდან): ჟურნ. „მაცნე“ №6, 1968, გვ. 167-171; მისივე, ქართულ-ქართველური ეთნონომიკის ლინგვისტური საკითხები I, მესხ-ეთნონიმის ისტორიისათვის (წინასწარი მოხსენება): იკვ. ტ. XVII, თბ., 1970, გვ. 121.

ლოდნენ ათაბაგნი და აწ არს ხუცის ამარ. ამავე კვეს ზეით, ცუნქის კვეს, მოერთვის ჭობარეთის — ჭევი, გამომდინარე მისვე მთისა (ამას ვგონებთ ზინგის მდინარედ)".<sup>1545</sup> ვახუშტის ეს ცნობა ნათელს ხდის, რომ „აღწერის“ შექმნის დროს ჭავჭავთში უკვე ყოფილა სოფელი ჭობარეთი (სხვანაირად არ გვექნებოდა ჰიდრონიმი ჭობარეთის-ხევით), მაგრამ ამ ცნობაში, ისიც უთუოდ საყურადღებოა, რომ ვახუშტი ჭობარეთისხევის პირველადობას ერთგვარი ექვის ქვეშ აყენებს — ამას უწინ ზინგის-მდინარე უნდა რქმეოდაო. ჩვენი ვარაუდითაც სახელწოდება ჭობარეთი ადგილობრივი, მესხეთ-ჭავჭავთრი, ტოპონიმი არ ჩანს; იგი აქ მოტანილი უნდა იყოს თორის მხარიდან (დღევ. ბორჯომის რ.) გვიან საუკუნეებში (XVI-XVII სს.) მიგრირებული მოსახლეობის მიერ.

მოსახლეობის ამგვარი მიგრაციის რეალურობა თვით ტოპონიმ ჭობარეთის სტრუქტურული ანალიზით შეგვიძლია დავადგინოთ. კერძოდ, თუ ტოპონიმს -ეთ- სუფიქსს ჩამოვაცილებთ, ფუძედ დაგვჩვენებთ ჭობარ-, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, გაფორმებულია ჭობ- ძირზე ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელი -არ- სუფიქსის დართვით. -არ- ელემენტი, როგორც ვიცით, ზანური წარმოშობისაა. იგი ქართული -ელ- სუფიქსის შესატყვისია.<sup>1546</sup> ასე რომ ჭობ-არ-ი ჭობ-ელ-ს („ობი-დან საცხოვრებლად გადასული პირი“) ნიშნავს. ზანური წარმოშობის -არ- დერივატი, მართალია, შუა საუკუნეებში ძირითადად ზანურენოვანი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიაზე შეინიშნებოდა: ოპიზ-არ-ი („ოპიზ-ელ-ი“), ოდიშ-არ-ი („ოდიშ-ელ-ი, ოდიშის მცხოვრები“), ოლთის-არ-ი („ოლთის-ელ-ი“), მტბევ-არ-ი („ტბეთ-ელ-ი“)...<sup>1547</sup> მაგრამ ეგვე -არ- სუფიქსი გვიან შუა საუკუნეებში სამოქმედო არის გაფართოვების გზით თავს იჩენს როგორც სამცხე-ჭავჭავთის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ ონომასტიკონაში: შდრ. ხერთვის-არ-ი („ხერთვის-ელ-ი“), სამძივ-არ-ი („სამძივის მფლობელი“, სამძივ-ელ-ი), სომხით-არ-ი („სომხითის მკვიდრი“). „სამცხეთ-არ-ი („სამცხეთოს მცხოვრები“)... მათ რიცხვს ემატება ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი

<sup>1545</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი . აღწერა... თბ., 1941, გვ. 127, 5.

<sup>1546</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , ვინაობის სუფიქსი არ ქართულ ენაში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები I. თბ., 1957, გვ. 30.

<sup>1547</sup> ა . შ ა ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრ. გვ. 29.

ჭობ-არ-ეთ-ი, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ჭობ-ელ-ს, ჭობის მცხოვრებს ნიშნავს. ჭობ-ი რეალურად არსებობდა ისტორიულ თორის ქვეყანაში (დღევ. ბორჯომის რ.). ვახუშტი ბატონიშვილი სოფელ ჭობისხევს სწორედ ბორჯომის ხეობის სოფლებს შორის ასახელებს.<sup>1548</sup> ასევე განსაზღვრავს სოფელ ჭობის (ჭობისხევის) ადგილმდებარეობას იოანე ბაგრატიონიც.<sup>1549</sup>

ისტორიული თორის მხარე (თორელთა საგამგებლო), როგორც ცნობილია, უშუალოდ ემეზობლებოდა სამცხის მიწებს. ამდენად ჭობისხევის ძველი მოსახლეობის მიგრაცია ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებულ სამცხე-ჯავახეთში მოულოდნელად აღარ უნდა გვეჩვენოს. რაც მთავარია, ამგვარი ფაქტის რეალურობაზე თვით ტოპონიმი ჭობარეთი მეტყველებს. ჭობ-არ-ეთ-ი ისევეა წარმოქმნილი, როგორც: გომ-არ-ეთ-ი (სოფელია დმანისის რ.-ში), ცხომ-არ-ეთ-ი (სოფელია საჩხერის რაიონში) და სხვ. პირველი ნიშნავს: „სოფელი, რომელშიც ქართლის გომიდან გადმოსული ხალხი ცხოვრობს“. ანალოგიურად არის წარმოქმნილი ცხომ-არ-ეთ-ი: „ცხომ-ელ-ი ანუ ცხუმი-დან (სოხუმიდან) გადმოსული ხალხის საცხოვრისი“.

მაშასადამე, ჭობარეთი რეალური ისტორიული ფაქტის აღმნიშვნელი ქართული ტოპონიმი ყოფილა; მასში, როგორც ვთქვით, ასახულია გვიან საუკუნეებში (XVI-XVII ს.ს.) თორის ქვეყნიდან სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის ნაწილობრივი მიგრაციის ფაქტი. ამიტომაც მის ფუძედ ზანური ჭუბურ („წაბლი“) სიტყვის გულვება საეჭვოდ გამოიყურება.

**ჭობნარ-ი** სოფლებია დასავლეთ საქართველოში, თერჯოლისა და სამტრედიის რაიონებში. ქართულ ტოპონიმიში ცოტა როდია ისეთი სახელწოდებები, რომლებიც მცენარეთა სახელებისაგან არიან წარმომდგარნი და სუფიქსადაც -ნარ- ელემენტს დაირთავენ: ბუკ-ნარ-ი, სხა-ნარ-ი (-სხალ-ნარ-ი), მოცვ-ნარ-ი, თხილ-ნარ-ი, მუხ-ნარ-ი, ვაშ-ნარ-ი (-ვაშლ-ნარ-ი), კობიტ-ნარ-ი, იფ-ნარ-ი (-იფნ-ნარ-ი). პანტ-ნარ-ი და მისთ. სწორედ ამგვარ სახელთა წყებას ეკუთვნის სოფ-

<sup>1548</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 204.

<sup>1549</sup> იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-ჯავახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 45.



ლის სახელი ჭოგნარი, რომელშიც აშკარად გამოიყოფა მცენარეული საფარის სიმრავლის აღმნიშვნელი -ნარ- სუფიქსი. საყრდენი (ამოსავალი) ფუძეა ჭოგრი, რომელიც იმერულ კილოში სარს, გრძელ ჭოხს, კაკლის დასაბერტყ ხალას ეწოდება<sup>1550</sup> (იგივე ჭოკი“).<sup>1551</sup> „სამოვარზე გვაქ მოწყობილი საჩხეხები, ჭოგრებით არი შამორაგული“.<sup>1552</sup> მაშასადამე, ჭოგნარ- ფორმაში ფუძისეული რ დაკარგულა სუფიქსისეული რ-ს გავლენით (მოსალოდნელი იყო დისიმილაციაც, მაგრამ იგი არ მომხდარა იმის გამო, რომ ფუძეში გვაქვს ნ სონორიც): ჭოგრ-ნარ- — ჭოგნარ-ი: „სოფელი, სადაც იჭრება გრძელი ლატმები (კაკლის საბერტყი ხალები) ან სარები ლობეთა შემოსარაგვავად“ შდრ. სასარეთ-ი (ადგილია ს.ავენისთან, ღუშეთის რ.).

**ჭყონალი-ი** მდიდარი, მრავალფეროვანია ზემო რაჭის მიკროტოპონიმია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან რაჭის მთიანეთი (ონის რ.) ის რეგიონია, სადაც საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა მონათესავე ენების (სვანური, ზანური, ქართული) მონაცემთა საურთიერთო კონტაქტები. ენობრივი ინტერფერენციის შედეგები, ბუნებრივია, ადგილობრივ ტოპონიმიაში აისახებოდა. ნარევი მასალის გამოვლენა და მისი სათანადო ენათმეცნიერულ დონეზე კვლევა-ძიება სპეციალისტთა მხრივ დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. გვხვდება ისეთი მიკროტოპონიმები, რომლებიც გარეგნულად სხვა მონათესავე ენიდან შემოდღეულ ერთეულებს გვაგონებენ; მათ გულდასმით შესწავლას კი სულ სხვა დასკვნებთან მივყავართ. სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ მიკროტოპონიმი **ჭყონალი**, რომელიც სოფ. ღების ერთ-ერთ სათიბ მთას ეწოდება (აქვეა მიკროტოპონიმი **ჭყონალი(ს)ახო**). შესაძლოა ტოპონიმიაში ნაკლებგაცნობიერებულ პირს ამ სახელწოდებამ მეგრული **ჭყონი** გაახსენოს და, მაშასადამე, **ჭყონალი-ი** მუხნარად გაიაზროს. სინამდვილეში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. ტოპონიმი **ჭყონალი-ი** ემყარება რაქულ დიალექტურ **ჭყორ** სიტყვას. რომელიც მცენარე ბაძგის სინო-

<sup>1550</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 496.

<sup>1551</sup> პ ო ლ . გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე , იმერული დიალექტის სალექსიონო მასალა, თბ., 1976, გვ. 171.

<sup>1552</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე . ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 410.

ნიმია.<sup>1553</sup> ჭყორ- ფუძეზე -ნარ- სუფიქსის დართვას მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოუწვევია: პირველ რიგში ძირისეული რ-აე ნარად ქცეულა, -ნარ- სუფიქსი კი — ნალად, რასაც საბოლოოდ ჭყონ-ნალ-ფორმას ჭყო-ნალ-ი მოუცია (წინა ნარის ჩავარდნით). როგორც ვხედავთ, რაჭულ ჭყონალ-ს ზანურ ჭყონ სიტყვასთან საერთო არაფერი ჰქონია.

— ხ —

**საბაროულა** პატარა ღელეა სოფ. ოჯოლაში (ტყიბულის საქალ. ს., ჯვარისას სას.ს.). სპეციალისტები სამართლიანად თვლიან, რომ მცირე მოცულობის გეოგრაფიულ ობიექტთა სახელებში გამოვლენილი -ოულ- სუფიქსი ძირითადად დასავლურქართულია და იგი ობიექტის ვინმესადმი კუთვნილებას აღნიშნავს. ამ შემთხვევაშიც საფიქრებელია, **ხაბარ-** ძირი ანთროპონიმული წარმოშობის იყოს, ოღონდ იგი, ვფიქრობთ, ბ და რ თანხმოვანთა ადგილმონაცვლებით გვაქვს მიღებული. მაშასადამე, ტოპონიმი **ხაბარ-ოულ-**ა უნდა გავიგოთ როგორც **ხარაბ-ოულ-**ა და ხარაბადის კუთვნილ ობიექტად ვცნოთ. უფრო ზუსტად: „ღე-ღე, რომელიც ვინმე ხარაბადის კუთვნილ ადგილ-მამულს ჩამოუღის“.

**ხარაბაულ-ი, ხარაბოულ-ი** რაიონული ცენტრი ზემო იმერეთში, მდ. ძირულის ხეობაში. ადგილობრივთა მეტყველებაში უპირატესად **ხარაგოული** დასტურდება, თუმცა **ხარაგაულიც** ხშირად ისმის: „ამას სააბაშიო ქვია ფონამდი წიფის სერზე რო ახვალ, იწყება სააბაშიო, ხარაგაულს ქვეით არ ჩადის“.<sup>1554</sup> „სააბაშიოს უძახიან ხარაგოულ ზეითა“.<sup>1555</sup>

ამჟამად, რომ ტოპონიმი **ხარაგაული** (ხარაგოული) კუთვნილების აღმნიშვნელი -ა-ულ-||-ო-ურ- სუფიქსით არის გაფორმებული (-ა-ულ-||-ო-ულ- სუფიქსი დისიმილაციის შედეგია). მაშასადამე, **ხარაგაუ-**

<sup>1553</sup> იხ. ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987,

გვ. 132.

<sup>1554</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოვავი, თბ., 1973, გვ. 336.

<sup>1555</sup> იქვე, გვ. 344.

ლი||ხარაგოული ისეთივე გაფორმების ტოპონიმი ყოფილა, როგორიცაა: ბერძენაული, ბარათაული, არსენაული, როდინაული, ჯაფარაული; კვიტოული, კორბოული, რამინოული, გორაბერეჟოული და მისთ.

უთუოდ ამ ფაქტმა უბიძგა ზოგ მკვლევარს საიმიოსდ, რომ ხარაგოული ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმად ეცნო და იგი ხარაძის გვართან დაეკავშირებინა: ხარაძეული.<sup>1556</sup> უკანასკნელ ხანს ცნობილი გახდა კიდევ ერთი, პირველისაგან სრულიად განსხვავებული, ვარაუდი, რომლის მიხედვითაც დაბის სახელწოდება ხარაგოული წარმომდგარი ყოფილა ძველი ხანაგა სიტყვისაგან; იგი თურმე ნიშნავს „დავრდომილთა და ობოლთა თავშესაფარი“, „სასტუმრო“. ამ თვალსაზრისის მიხედვით დღევანდელი ხარაგოული ხანაგაური-საგან გვექონია მიღებული. ავტორი იქვე შენიშნავს: ეს სიტყვა („ხანაგა“) დღეს აღარ იხმარება, მაგრამ იგი ამ „ერთ-ერთ ძველ და საინტერესო ტოპონიმში“ შემოგვრჩენიაო.<sup>1557</sup>

სპარსული წარმოშობის სიტყვა „ხანაგა“ ქართულ ენაში რომ დიდი ხნის „მკვიდრია“, საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს; იგი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ არის დადასტურებული:

„რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლეა დასადებლად,

მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად;

ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად!..“

ხანაგა სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ობლების საკრებულო სახელია, „ქარვასლა[სა]კით არის, ობლების საკრებულო“.<sup>1558</sup>

ანალოგიურად განმარტავს სიტყვა ხანაგას ნ.ჩუბინაშვილიც: „საგლახაო და ობოლთ საკრებულო სახელი“, „догодельня, сиротский дом“.<sup>1559</sup> ოღონდ შევნიშნავთ, რომ სიტყვა ხანაგა არც ენაში შემოგვრჩა და, ამდენად, აღარც ტოპონიმიაში ჩანს სადმე. ხარაგოული ენობრივი თვალსაზრისით არც თუ ძველი წარმონაქმნია. ამიტომ არა გვეონია, იგი ხა-

<sup>1556</sup> მ ი ხ . ა ლ ა ვ ი ძ ე , 1956, გვ 9.

<sup>1557</sup> იხ. ზ . კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , გარდაქმნა და ტოპონიმია, გაზ. „თბილისი“, №51, 1 მარტი. 1990, გვ. 4.

<sup>1558</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თხზ. ტ. IV, თბ., 1966, გვ. 413.

<sup>1559</sup> ნ . ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 462.

ნაგა სიტყვისაგან იყოს წარმომდგარი; ტოპონიმში -ა-ულ-||-ო-ულ- სუფიქსის არსებობა ამ მხრივ ჩვენს ექვს უფრო განამტკიცებს.

ეფიქრობთ, ტოპონიმი **ხარაგაული** უნდა მომდინარეობდეს გვარისაგან **ხარაბაძე**. მაშასადამე, **ხარაგაული** თავდაპირველად **ხარაბაულის** ფორმით უნდა გვექნოდა. საინტერესოა, რომ სოფლის სახელად **ხარაბაული** მართლაც დასტურდება ქვემო იმერეთში, ხონის რაიონის დედალაურის სას. საბჭოში. ტერმინი **ხარაბა**, საიდანაც გვარი **ხარაბაძე** წარმომდგარი, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა XVII-XVIII საუკუნეებისდროინდელ საქართველოში. იგი ნიშნავდა უპატრონოდ, უმეთვალყუროდ მიტოვებულ ბეთალმან ადამიანს, აგრეთვე სოფელს, მამულს, ვენახს და ა.შ. XVIII ს-ის დასასრულის ერთ-ერთ არხაში ვინმე ზაალ დავითიშვილი ერეკლე მეფეს სთხოვს მოაგვაროს ნათესავებს შორის ატეხილი დავა „**ხარაბა სოფლის**“ გამო: „ბატონის გასამყრელთ სომხითში სოფელი გვექონდა, ის მივართვით. ბატონმა ის **ხარაბა** სოფელი აღარ ინება...“<sup>1560</sup> „შენ ჩემი ვენახები სულ გადაგი**ხარაბავებია** და დაქცეულებს მძღვე“.<sup>1561</sup> „ერთი კოშკი ამიშენებია, ფეხი მამიკიღნია და ახლა ნულარ გამახარაბებინებ... ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ბეჭითი ოქმი გვიბოძეთ, რო... ხელმიორეთ აღარა გა**ხარაბავდეს**“.<sup>1562</sup> „როცა მეფე ერეკლე სოფელ ნავთლულში ციხე-გალავანს აგებდა, იგი გა**ხარაბებული**, გაპარტახებული სოფელი ყოფილა.“<sup>1563</sup> მაგალითების მოყვანა კიდევ არაერთის შეიძლება. **ხარაბა** სიტყვა ჭავჭავაძე დიპლომატში დღესაც ძველი შინაარსით იხმარება. იგი ნიშნავს: ნანგრევებად ქცეული ადგილი; ნასოფლარი.<sup>1564</sup> როგორც ვხედავთ, გვარი **ხარაბა(ბ)-ძე** სოციალური შინაარსის („უპატრონო, უმეთვალყუროდ მიტოვებული ადამიანი“) შემცველი ერთეული ყოფილა.

ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“ ჩვენთვის საინტერესო ტო-

---

<sup>1560</sup> ქართული სამართლის ძეგლები (ი ს დ ო ლ ი ძ ი ს რედ.) ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 33.

<sup>1561</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>1562</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>1563</sup> თ. ბ. რ. ი. ძე, და აღმოცენდა თბილისი, 1977, გვ. 142.

<sup>1564</sup> ა რ მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი. ქართული ენის ჭავჭავაძე კილო, თბ., 1984, გვ. 253.

პონიმი ხარაგეულად არის მოხსენიებული: „ვარძის -ვეს ზეით,<sup>1565</sup> ძირულაზედ არს ხარაგეულს ციხე“, მაგრამ ეს ფაქტი ვითარებას არ ცვლის — ძირად აქაც ხარაგ- გამოდის. მაშასადამე, ხარაგაული უნდა გავიაზროთ, როგორც „ხარაბა (პარტახი) სოფელი“ ან: „ხარაბაძი-სეული“ „ხარაბ(ახ)ოული“. ინტერესს არ არის მოკლებული ის ფაქტი, რომ ზემო იმერეთის სოფ. ზვარესთან გამოვლენილია ნასოფლარი, რომელსაც ხარაგაული ეწოდება, ხოლო მეზობელ სოფელ კვალითში (ზესტაფ. რ.) არის ტყე, მამული, სახელად ხარაბაშვილისოფლი.<sup>1566</sup> მაშასადამე ხარაგაულის ხარაბა სიტყვასთან დაკავშირება დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ.

**ხაწირი** ველტყიანი მთა, გორაკი დ.თიანეთთან ახლო, მდ. თეთრახევას ნაპირზე. ტოპონიმი ხაწირი მიმდებარე სახეა ფშაურივე ახაწირება, ახაწირებული ფორმებისა. იგი ნიშნავს: „ერთად შეგროვებული, შექუჩებული, ზვინისმაგვარად დადგმული თივა“. „თივის ბულულა“. გეოგრაფიული ობიექტი, გორაკი, რომლისთვისაც ფშაველებს ერთობ ხატოვანი, მოხდენილი სახელი შეურქმევიათ, მართლაც მოგვაგონებს ამოწვერილ თივის ზვინს. ვაჟა-ფშაველა სიტყვა ხაწირს სწორედ ზვინის მნიშვნელობით იყენებს: „დაგროვდა ფრინულის თავები, ვითა ლოდები ყორისა, იმათ ბუმბულიც ისეა, როგორც ხაწირი მოლისა“.<sup>1567</sup>

„თივის სახვეტზე იყენენ ცოლ-ქმარნი... ხედავს, იქითა ხაწირი ჩუჩუნებს“.<sup>1568</sup>

ტოპონიმი ხაწირი ერთ-ერთი ცნობილი სახელწოდებაა თიანეთში. იგი პოეზიაშიც არის ასახული:

„მხოლოდ თეთრახევას ყელთან დარჩენილა,  
კიდევ ხაწირის მთის იქით,  
სადაც ჩვენ დავკბოდით

<sup>1565</sup> ჩანს, ვახუშტი აქ ნავარძეთს გულისხმობს.

<sup>1566</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 248.

<sup>1567</sup> ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი (აღ. ჭ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი ს რ ე დ.) 1969, გვ. 335.

<sup>1568</sup> გ ხ ო რ ნ ა უ ლ ი , შვინტლიცა, თბ., 1988, გვ. 77.

ჩვენს ტებულ ბალობაში...<sup>1567</sup>

ადგილობრივ ერთობ პოპულარულია ხალხური ვერსია ტოპონიმ ხაწირის წარმოშობის თაობაზე. თვლიან, რომ იგი ხატ-წირვი-საგან ყოფილა წარმომდგარი: აქ იყო ძველად ძლიერი ხატი, რომელშიც დიდი წირვა-ლოცვა იმართებოდა და ადგილსაც ხატწირვა ანუ ხაწირი შერქმევიაო (ილო ბეჟანიშვილი, დ.თიანეთი, 1973 წ.), ფშავში, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში, უყვართ გეოგრაფიულ სახელწოდებათა „ჩხრეკვა“, მათში საინტერესო და უცნაური ამბების ამოცნობა-წაკითხვა. ხაწირის ხატ-წირვად „მონათვლაც“ ერთ-ერთ ასეთ „ჩხრეკვა-ძიების“ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ.

**სახმატ-ი** ცნობილი სოფელია ხევსურეთში (დუშეთის რ.). აქაა საქართველოს მთიანეთში განთქმული ხატი (სალოცავი) სახმატის ჭვარი. ეტიმოლოგია უცნობია. ჩვენი ფიქრით, სახმატი წარმომდგარი უნდა იყოს ქართ. სახ-ი (ვაჯ-ი) („წვიმისაგან ჩამოლვარული, ჩამოხახული, ნამზღლევი ადგილი“) და ჩაჩხური (ბაცბური) მათი/ე (← მათე) სიტყვათა შეერთების გზით. სახმატი, მაშასადამე, უნდა გავიაზროთ როგორც „ვაჯ-იან-ი ადგილი“.<sup>1570</sup> სიტყვა სახ-ი საკმაოდ ხშირად გვხვდება თუშ-ფშავ-ხევსურეთის, აგრეთვე, ხევის მიკროტოპონიმიაში. ასე, მაგალითად, სოფ. ყანობში (ყაზბეგის რ.) პატარა მდინარისა და ადგილის სახელად დადასტურებულია ვაჯმელაჲ, რომელსაც, მართალია, ვაჯ-ველად განმარტავენ, — აქ ერთდროულად გვაქვს ვაჯიც („ჩამოქცეული და ნიაღვრით დაღარული ადგილი“) და ველიც-ო,<sup>1571</sup> მაგრამ ვაჯმელაჲ აშკარად ვაჯ-ვმელა-საგან („მშრალი, უწყლო, ხმელი ვაჯები“) არის წარმომდგარი.

<sup>1569</sup> ბ ხ ა რ ა ნ ა უ ლ ი , ლექსები, თბ., 1984, გვ. 41

<sup>1570</sup> იხ. ჩვენი ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 203, სტ. წითელ-სახნ-ი. ტოპონიმ სახმატის ამგვარი გზით წარმოშობაზე მიუთითა დოკ. ი ვ ქ ე შ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა ც (იხ. მისი „ღმერთები, მითები, რიტუალები“, თბ., 1990, გვ. 52).

<sup>1571</sup> ვ ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 64.

**ხეშეხანარა||ხეშეხანარა** ცნობილი ადგილია სოფ. მეორე ობ-  
 ჩისა და სვირის შესაყარში. „ხეშეხანარას ჩვენ ვეძახით ადგილს, რომე-  
 ლიც ძველი ნატყვევარია. სკოლა რომ არი ჭყებნარაში, სანამ ჩვესკე  
 გადმოუხვევ, იქანაა, გზის ზემოთ. ახლა იქ ხალხი ესახლება“. (ვახტანგ  
 ბიქტორის ძე გეწაძე, ს.მეორე ობჩა, 1982 წ.). ტოპონიმისათვის ამოსა-  
 ვალია **ხეშეხა**-ი ანუ **ხე-სკა** („ფულუროიანი ხე, რომელშიც ფუტკარის  
 ოჯახი ბუდობს“). ამ თვალსაზრისით უთუოდ მრავისმეტყველია ის ფაქ-  
 ტი, რომ აქარაში, ს.ოლადაურის ერთ-ერთ უბანს **ხეფუტკარი** ეწოდე-  
 ბა. ს.გამოდმა ტომაშეთში კი არის სათესი ნაკვეთი, რომელსაც ზუს-  
 ტად ეგვევ სახელი (ხეფუტკარი) აქვს შერქმეული.<sup>1572</sup> სიტყვა **ბუც-თან**  
 („სკა“, „ფულურო“) შინაარსობრივად ახლოს დგას იმერულივე **ბუცი**  
 და **ბოყვი**, აგრეოვე, **ბოლო** („ხის გული გამომპალ-გამოფუტურობუ-  
 ლი, — ფულურო“).<sup>1573</sup> „**ხებოყვნარი** ჩვენთან მაღალი ადგილია, მთაში.  
**ხებოყვნარში** მივდივარო, — ვიტყვით, იქანა **ხებუცი** იყო ბევრი, ფუ-  
 ლუროიანი“ (ლალი შოთას ასული გურული, 1988 წ.).

საგულისხმოა, რომ ანალოგიური სახელწოდება **ხებოყნარი||ხე-  
 ბოყნარი** ტყისა და სავენახე ნაკვეთის სახელად დადასტურდა ს.ს.მარ-  
 ტოთუბანსა და სვეტმაღალში (ზესტაფონის რ.).<sup>1574</sup> საბოლოოდ, ადგი-  
 ლის სახელი **ხეშეხანარა** (||**ხეშეხანარა**) უნდა გავიგოთ როგორც „ფუ-  
 ლუროიანი ხე, რომელშიც ფუტკარი ბინადრობს“. -ნარ სუფიქსს ამ  
 შემთხვევაში აშკარად არ გააჩნია თავისი ძირითადი ფუნქციის (რალა-  
 ცის სიმრავლე-კრებილობის) გამოხატვის უნარი: იგი კონკრეტულად მი-  
 უთითებს იმ ადგილზე, სადაც ყველა ხისაგან გამორჩეული საფუტკრე  
 ხე მდგარა.

**ხეშესურამი-ი** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი  
 უღამაზესი კუთხეა. იგი განფენილია კავკასიონის მთავარი ქედის სა-  
 მხრეთ, ნაწილობრივ — ჩრდილოეთის კალთებზე. ფიზიკურ-გეოგრაფიუ-  
 ლი ნიშნების მიხედვით ხევსურეთი ორ ძირითად რეგიონად იყოფა: პი-

<sup>1572</sup> ი. ს. ი. ხ. ა. რ. ლ. ი. ძ. ე. 1958, გვ. 90, 95.

<sup>1573</sup> პ. ო. ლ. . გ. ა. ჩ. ე. ჩ. ი. ლ. ა. ძ. ე. იმერულის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.  
 გვ. 26.

<sup>1574</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმიკა, I. ზემოიმერეთი, თბ., 1987, გვ. 249.

რაქეთა (მდ. ხევსურეთის არაგვის ხეობა, ბარისახოსა და გუდანის სასოფლო საბჭოების ტერიტორია) და პირიქითა ხევსურეთად (არდოტის, შატილისა და არხოტის ხეობები).

თვითონ ხევსურები „ხევსურეთს“ მხოლოდ პირაქეთა ხევსურეთს ეძახიან: პირიქითელები კი შატილიონებად და არხოტიონებად იწოდებიან.

ჩრდილოეთის მხრიდან ხევსურეთს ესაზღვრება ჩაჩნეთ-ინგუშეთი, აღმოსავლეთით — თუშეთი, სამხრეთით — ფშავი და გუდამაყარი, დასავლეთით — ხევი (ყაზბეგის რ.).

XVIII საუკუნის დამლევამდე ხევსურები ფშავლებთან ერთად ერთ ხალხად — ფხოვლებად იყვნენ ცნობილნი. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „არამედ ძველად ეწოდა ამ ორთა ჯეობათა ფხოელნი და აწ უწოდებენ ესრეთ“.<sup>1575</sup>

მძიმე ეკონომიკური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების მიუხედავად (უგზობა, მკაცრი უხვთოვლიანობა, სახნავი მიწების სიმცირე და მწირმოსავლიანობა...) ხევსურეთი ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული კუთხე იყო. 1926 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით ხევსურეთის ოთხივე თემის (ბარისახო, ბაცალიგო, შატილი და არხოტი) 48 სოფელში 833 კომლი (3. 573 სული) ცხოვრობდა.

ხევსურეთის მოსახლეობის მიგრაციის ცალკეული შემთხვევები ხევში, ივრის ხეობასა და კახეთის მთიანეთში XVIII ს. II ნახევრიდანვე დაწყებულა. ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო ხევსურთა ბარად ჩამოსახლების სრულიად გაუმართლებელი, ეკოლოგიურად მავნე პროცესი, რამაც ხევსურეთი, განსაკუთრებით შატილისა და არხოტის თემები, კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა. დღეისათვის ხევსური მოსახლეობის დიდი ნაწილი გაფანტულია დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ახმეტის, მცხეთის, თელავის, საგარეჯოს, წითელწყაროს, გარდაბნის და სხვა რაიონებში.<sup>1576</sup>

1980-იანი წლებიდან დაიწყო ხევსურეთის მიტოვებული სოფლე-

<sup>1575</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 93, 6.

<sup>1576</sup> ა ლ . ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი , ხევსურულის თავისებურებახი, თბ., 1960, გვ. 09.



ბის რეგენერაცია (აღდგენა). პირველ რიგში გაყვანილ იქნა სამანქანო გზა, რომელმაც პირიქით ხევისურეთის უკიდურესი პუნქტი შატლილი რაიონულ ცენტრთან — დუშეთთან დააკავშირა. საავტომობილო გზის გაყვანა აქ ახალ-ახალი ტურისტული ბაზების შექმნის კარგ პერსპექტივას ქმნის; ხევისურეთი ერთობ მდიდარია თავდაცვითი თუ ყოფითი ხასიათის ისტორიული ძეგლებით. დღესაც უამრავ მოგზაურსა და ტურისტს იზიდავს ციხე-სოფელი შატლილი, ანატორის აკლდამები, აგრეთვე, ახიელის, ლებაისკრის, მუცოს, ხახმატის ძველი ციხეები.

ხევისურეთი მუდამ გამოირჩეოდა თავისი განუმეორებელი სილამაზით, ეთნოგრაფიული ყოფით, პოეზიისა და მითოლოგიის უძველესი კულტურითა და თავისთავადობით. მაგრამ არანაკლებ ინტერესს აღძრავს თვით სატომო სახელი ხევისური და აქედან წარმოქმნილი მხარის სახელწოდება — ხევისურეთი. ერთ-ერთი პირველი სწავლული, რომელმაც ეთნოტოპონიმ ხევისურეთის წარმომავლობის გარკვევა სცადა (და, ფაქტიურად სწორადაც განმარტა), არნოლდ ზისერმანი იყო. გერმანელი მკვლევრის მიხედვით ხევისური უნდა გაგვეგო როგორც „ხევის მცხოვრები“ („Ушельный“).<sup>1577</sup> მართალია, იგი არაფერს ამბობდა ხ თანხმობის შესახებ (ხევ-ს-ურ-ი), მაგრამ მას რომ ნათეს. ბრუნვის ნიშნის ფუნქციას აკისრებდა (Ушельный — ხევ-ის — მცხოვრები), აშკარა იყო. აღკინქარაულის დასკვნითაც ხევისური იგივე ხევ-ის-ურ-ი ე.ი. ხევის-ელ-ი, ხევის მცხოვრებია.<sup>1578</sup>

საინტერესოა, რომ ეთნონიმ ხევისურის ამგვარი გაგება („ხევის მცხოვრები“) აღნიშნული ჰქონდა რაფ.ერისთავს: „Слово Хевсур или хевсури означает "житель ушелья“.“<sup>1579</sup>

სპეციალისტთა შორის ცნობილია განსხვავებული თვალსაზრისი. ს.მაკალათია, მავალითად, თვლიდა, რომ ამ კუთხეს „ხევისურეთი“ დიდი მთავორიანობისა და ღრმა ხევებით დაღარულობის გამო შერქმე-

---

<sup>1577</sup> ა . ზ ი ს ე რ მ ა ნ ი , ოცდახუთი წელი კავკასიაში I, 1879 (რუს. ენაზე), გვ. 209.

<sup>1578</sup> ა ლ . ჭ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი , ხევისურელის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 73 (სქ); მ ი ს ი ვ ე , მთას ვიყავ... თბ., 1980. გვ. 52.

<sup>1579</sup> რ ა ფ . ე რ ი ს თ ა ვ ი , ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები (გამოსაცემად მოამზადა თ . ჭ ა გ ო დ ნ ი შ ვ ი ლ მ ა ), თბ., 1986, გვ. 60.

ვია. იგი ხვესურეთს ასეც განმარტავდა: „ღრმა ხევებიანი ადგილი“.<sup>1580</sup> ვარაუდს, როგორც ვხედავთ, აკლია სიზუსტე; აშკარაა, რომ ტოპონიმი ხვესურეთი ეთნონიმ ხვესურთ-საგან არის წარმომდგარი გეოგრაფიული -ეთ სუფიქსის დართვის გზით. ამიტომ ხვესურეთის (ხვესურის) მართოდენ ხევ- სიტყვასთან დაკავშირება ვითარებას სრულად ვერ დაგვიხატავს; საამისოდ აუცილებლად საჭიროა -ს- ელემენტსა და -ურ- სუფიქსს სათანადო კვალიფიკაცია მიეცეს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვითაც ს თანხმობანი თურმე -ურ- სეგმენტის კუთვნილება ყოფილა და, მაშასადამე, -სური ერთ მთლიან, დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვად უნდა აღვიკვათ. აღნიშნულ თვალსაზრისს თუ ვირწმუნებთ, ხევსურ- (ხვესურ-ეთ-) ფორმაში ამოსავლად ხევ-ი და სატომო სახელი -სურ-ი გვექონია; ეს სურები, მკვლევართა რწმენით, ამჟამად თვით ხვესურეთში აღარ შემორჩენილა, მაგრამ სურების ტომის ხალხს საქართველოში ოდესღაც რომ ნამდვილად უცხოვრია, რაქასა და გურიაში შემონახული ტოპონიმები სორ-ი და სურ-ებ-ი მეტყველებენო.<sup>1581</sup> როგორც ჩანს, მკვლევართ საამისოდ უბიძგა ნ.მარის ცნობილმა თვალსაზრისმა იმის თაობაზე, თითქოს გურიის მთავარი მდინარის სუფსის სახელწოდებაში სურ- სატომო სახელი იკითხებოდეს: სურ-ფსა „სურების ტომის წყალი“.<sup>1582</sup> დაბეჭივებით შეიძლება იმისი თქმა, რომ ამგვარი სახელწოდების ტომს (სურებს) საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს უცხოვრია. შეცდომის წყაროდ ქხეულა ის უბრალო ფაქტი, რომ -ს- თანხმობანი ტოპონიმში არასწორად იქნა კვალიფიციკრებული: იგი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაშთია (ი სმოვანდაკარგული) და არა -სურ- სეგმენტის კუთვნილება. მაშასადამე, სწორია ხევ-ის-ურ-ი და არა ხევ-სურ-ი. ხვეისურ- ფორმას ი-ს ჩავარდნით საბოლოოდ ხევ-სურ-ი მოუცია და ენაშიც ასევე დამკვიდრებულა. მართალია, სახელთა

<sup>1580</sup> ს . მ ა კ ა ლ ა თ ი ა , ხვესურეთი, 1984 (II გამოც.) გვ. 9; იხ. აგრეთვე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია XI, 1987, გვ. 452.

<sup>1561</sup> ა ლ . ლ ლ ო ნ ტ ი , ჰიდრონიმთა ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფებისათვის: კრებ. ორიონი (ა.შანიძის 80 წლისთავს) თბ., 1967, გვ. 272; მისავე ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 32-33).

<sup>1582</sup> ნ . მ ა რ ი , რჩეული თხზ., ტ. IV, მოსკ.-ლენ., 1937, გვ. 48 (რუს. ენაზე).

წარმოქმნის პროცესში ნათესაობითი ბრუნვის -ის- დერევატი უპირატესად თანხმობან -ს-ანს კარგავს (ხიდიკარი, წალიკარი, ციხიძირი, ვაკიბოლო, კუდიწყარო, ფონიჭალა, სათიჭალა...), მაგრამ აქა-იქ გვხვდება -ი- ხმოვნის ჩავარდნის ცალკეული შემთხვევებიც. ასეა წარმოქმნილი საყოველთაოდ ცნობილი რუ-ს-თავ-ი: მოსალოდნელი იყო რუ-ის-თავ-ი (შდრ. რუ-ის-ი, რუ-ისპირ-ი, რუ-ის ბოლო)... (შდრ. ძვ. ქართ. რუ-ს-თვისა რუ-ს გამოიღო...)<sup>1583</sup> ასევე დაკარგული ჩანს -ი ხმოვანი მიკროტოპონიმებში: დავითსოული და დავითსოულის დელე<sup>1584</sup> (ს.სხლითი, ხარაგაულის რ.). სუფიქსისეული ე და ი ხმოვნის დაკარგვის შემთხვევა დასტურდება გვარებში გომართელი (← გომართ-ელ-ი) და თუხარსელი (← თუხარ-ის-ელ-ი). შდრ. აგრეთვე გვარი თიანლიშვილი (← თიან-ელ-ი(ს)შვილ-ი)<sup>1585</sup> და მისთ. როგორც ვხედავთ, -ის, აგრეთვე -ეთ და -ელ სუფიქსებში ხმოვნითი ელემენტის ჩავარდნის შემთხვევები ენაში იშვიათად, მაგრამ მაინც გვქონია. მაშასადამე ხევ-ის-ურ- ფორმისაგან ხევ-ს-ურ-ის მიღება მოულოდნელად არ უნდა გვეჩვენოს. რაც მთავარია, ეთნონიმ ხევსურის სრული, -ის სუფიქსიანი, სახეობა წერილობით არის დადასტურებული. 1880 წელს შედგენილ ერთ-ერთ ეკონომიკურ საბუთში ვკითხულობთ: „ვემისურო და ერთობით ლიქოკელნო...“<sup>1586</sup>

აქვე საგანგებოდ უნდა გავიხსენოთ სატომო სახელწოდება ხევსურის ხალხური განმარტება, რომლის მიხედვითაც ხევსური თურმე ხევის ურიას ნიშნავს. ხალხური ეტიმოლოგია ხევსურის ხევის ურია-საგან მომდინარეობის თაობაზე ვერ შეიქმნებოდა, ცოცხალ სამეტყველო მიმოქცევაში ხევ-ის-ურ- ფორმა რომ არ არსებულყო! ამ თვალსაზრისით ძალზე საგულისხმოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ქსნის ხეობის 1781 წლის დემოგრაფიული აღწერის მასალებში ქალის მცხოვრები მო-

<sup>1583</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 91.

<sup>1584</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 60.

<sup>1585</sup> ამ შემთხვევაში ორმაგ ჩავარდნასთან გვაქვს საქმე.

<sup>1586</sup> იხ. ი ვ ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ქართული ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 210.

სახლეობის ერთი ნაწილი ე.წ. ჭალისურები<sup>1587</sup> დოკუმენტის შემდგენელს ჭალის ურიად აქვს მოხსენიებული:

„აქვე ჭალის ურია კომლი ა, თავი გ ივანე ბერი და შერმაზან“.<sup>1588</sup>

„საძეგურს, ქსნის ერისთვის ყმა ჭალის ურია შერმაზანის შვილი, კომლი ა, თავი ბ, მახარებელი და იოანე“.<sup>1589</sup>

„აქვე ჭალის ურია დათოს შვილი, კომლი ა, თავი ბ, დათუნა და ოთარა“.<sup>1590</sup>

მაგრამ: „აქვე ჭალისურის გიორგის შვილი, კომლი ა, თავი ა“.<sup>1591</sup>

როგორც მაგალითები ცხადყოფენ, ამ შემთხვევაშიც ზუსტად იმავე მოვლენასთან გვექონია საქმე, როგორც ეს ხევსურ-წვევის ურია ფორმებთან დადასტურდა. როგორც ჩანს, მოსახლეობაში ძველად ადამიანის წარმომავლობის აღმნიშვნელ სახელებში -ურ- სუფიქსი და მისი მომდევნო -ი ხმოვანი (სახელ. ბრუნვის ნიშანი) ქვეცნობიერად სატომო სახელ ურია-დ გაიაზრებოდა.

საბოლოოდ, ხევსური ნიშნავს ხევისელს, ხევის მცხოვრებს, ხევსურ-ეთ-ი კი — ამ ხალხით დასახლებულ კუთხე-ქვეყანას.

**ჩვევები** ხეობა და პატარა პერიოდული მდინარე თბილისის ჩრდილოეთით. გამოსდის თბილისის ზღვას — მლაშე ტბების ქედის სამხრეთ კალთებს, გაჰყვეთს ღრმადელეს და მტკვარს მიერთვის მარცხენა მხრიდან. ვახუშტი ბატონიშვილი საკმაო სიზუსტით აღწერს ამ რეგიონს: „ავჰალა არს მტკვრის კიდესა ზედა, სანადირო კეთილი. ამ ავჰალის ბოლოს არს ჯევქმარი, ჩამოვარდების მშრალი ჯევი ქვიტიკრის-ლილოდამ მტკვრამდე. და ესე არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთი-

---

<sup>1587</sup> იქვეა სოფ. მოჭალიეთი, რომელიც ჩვენ მნიშვნელობით მოჭალიე ანუ ჭალაში მცხოვრები ხალხის სოფლად გვესახება.

<sup>1588</sup> ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 216.

<sup>1589</sup> იქვე, გვ. 194.

<sup>1590</sup> იქვე.

<sup>1591</sup> იქვე, გვ. 216.

სა. აქამდე უწოდებენ საგურამოს“...<sup>1592</sup>

ხევძმარის ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ამჟამად თბილისის ერთ-ერთი საცხოვრებელი მასივი („ხევძმარის დასახლება“) შენდება, ხევძმარას ლელითა და ჭაობის მოყვარულ სხვა მცენარეებით ამწვანებული ხევი კი ბეტონისა და ასფალტის საფარის სამუდამო სარკოფაგში იგმანება. ხევძმარის ზემო წელი ჩვენი საუკუნის 70-80-იან წლებამდე სამხედრო ნაწილების სადგომი იყო, სადაც მცირე პოლიგონებიც იყო აშენებული. ამჟამად ეს ტერიტორიები თბილისის საქალაქო საბჭოს (მერიის) განკარგულებაშია გადასული.

სახელწოდება **ხევძმარა** ორი სიტყვისაგან შედგენილი ტოპონი-  
მია. მისი საზღვრული ფუძე **ძმარ-ი** ქართულ დიალექტებში სიმლაშის  
აღსანიშნავ სიტყვად გვხვდებოდა. მთიულურში, მაგალითად, ყველის  
წათხს „**მარილის ძმარი**“ ეწოდება.<sup>1593</sup> ასევეა ხევსურულშიც; აქაც  
**ძმარი** მლაშეს ნიშნავს.<sup>1594</sup> ანალოგიური ვითარებაა ზანურშიც. ქანურ  
კილოში, მაგალითად, მარილი და ძმარი ერთიდაიმავე **ჭუმ-** სიტყვით  
აღინიშნება. მეგრულში მარილს **ჯიმ-უ** ეწოდება. ძმრის აღმნიშვნელი  
სიტყვა კი ქართულიდან შეუთვისებია. ქართული **ძმ-არ-ი**, მეგრ. **ჯიმ-უ**  
(„მარილი“) ქანური **ჯიმ-უ** („მარილი“), აგრეთვე **ჯომ-ორ-ი** („ძმა-  
რი“)<sup>1595</sup> შინაარსობრივადაც და ფონეტიკურადაც სრულად ესიტყვებიან  
ერთიმეორეს.

მაშასადამე **ხევძმარა** (ისტორ. ვევ-ძმორა) ნიშნავს: „მლაშე  
წყლის ხევი“, „მლაშობი ადგილები“, „ვეძაწყლიანი ადგილები“ (შდრ.  
სვედათხევა, და ვედათხევი თიანეთისა და დუშეთის რაიონებში) (იხ.  
სტ. სამძ-ორ-ი).

---

<sup>1592</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს  
გეოგრაფია) ნ ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა და თ . ლ ო მ ო უ რ ი ს  
რედაქციით), თბ., 1941, გვ. 94, 33

<sup>1593</sup> ლ . კ ა ი შ ა უ რ ი , მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967,  
გვ. 246.

<sup>1594</sup> ა ლ . ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი , ხევსურულის თაჯისებურებანი, თბ., 1960,  
გვ. 269.

<sup>1595</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი,  
თბ., 1938, გვ. 176.

**ხმთაბჟთ (პიხმ)** საგვარეულო თავდაცვითი ხასიათის ძველი ციხის ნაშთია ხევში (ყაზბეგის რ.). ნათელი შინაარსის მიუხედავად („ხეთაგურების ციხე“) ადგილობრივ მოსახლეობას მაინც უცდია მისი სხვა თვალსაზრისით განმარტება. აქაური ხალხის ერთი ნაწილის რწმენით ხეთაგეთ ციხე წარმომდგარი ყოფილა ბრძანებითი შინაარსის წინადადებისაგან: **ხით აგეთ!**

„ეხლა, ციხე ჩამაიშალა ემანდა, ვერც რაით ვერ აგებდეს. მაგრამ იმ ჩუენს ძუელს ვისლაც ეთქო: აილეთ ხეები, შეკონეთ და ხით აგეთო... ამაზე დაჰქუინეს ხეთაგეთი, ითომ ხით აგეთო“.<sup>1596</sup> აი, ხალხური ეტიმოლოგიურ-წარმოსახვითი კვლევა-ძიების კიდევ ერთი ნათელი და შთამბეჭდავი მაგალითი!

**ხმქორძ-ი** სოფელია ქართლში (მცხეთის, რ., ძეგვის სას. ს.), გაშენებულია თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხეკორძელის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. სახელწოდება **ხეკორძი** ქართულ საისტორიო-ეკონომიკურ ძეგლებში XIV საუკუნიდან მოიხსენიება. ზოგ ლოკუმენტში **ხეკორწა** ფორმითაც იკითხება. ასეა იგი წარმოდგენილი ერთ-ერთ უძველეს საბუთში (1398 წ.), რომლის მიხედვითაც ალექსანდრე მეფეს სვეტიცხოვლისათვის განუახლებია წავკისის (მახრაჯითა და ხეკორძით) შეწირულების გუჯარი.<sup>1597</sup> ძველი ქართული ლოკუმენტები ხეკორძს ასახელებენ ქვემო ქართლშიც, ალგეთის პირზე. აქ ამჟამად მართლაც დასტურდება ნასოფლარი **ხეკორდი**.<sup>1598</sup> ამავე ფორმით (ხეკორდი) იცნობს ვახუშტი მცხეთის სოფელ **ხეკორძს**.<sup>1599</sup> იოანე ბატონიშვილი ხეკორძს რატომღაც **ხერკორდის** სახით მოიხსენიებს.<sup>1600</sup> ერთი **ხეკორდი** იოვანეს მინიშნებული აქვს ქვემო ქართლში, ზრბითის ხევში, ცხირეთ-გუდარენისა და დვალთა — მოლავს შორის.<sup>1601</sup> როგორც ჩანს,

<sup>1596</sup> ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მთხერური დიალექტი (ქემდ), თბ., 1985, გვ. 139.

<sup>1597</sup> მასიგტ I, თბ., 1964, გვ. 272.

<sup>1598</sup> სსრ კავშირის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 187.

<sup>1599</sup> ვახუშტი, აღწერა... 1941, გვ. 197

<sup>1600</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 30.

<sup>1601</sup> იქვე, გვ. 47.

ამგვარი სახელწოდებები აღმ. საქართველოში ძველად გავრცელებული ყოფილა.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი ხეკორძს ხევ- და კორძ- სიტყვების ნაერთად მიიჩნევს,<sup>1602</sup> თუმცა აშკარაა, რომ აქ ხევი არაფერ შუაა. ტოპონიმი რომ ხევ- სიტყვის მიხედვით იყოს წარმომდგარი, მაშინ იგი ძველ საბუთებში ჯევე-კორძად უნდა ყოფილიყო აღნიშნული და არა ხ-ანიანი ფორმით (ხეკორძი). ჩვენი ფიქრით ხეკორძი (ხოლო აქედან — ჰიდრონიმი ხეკორძ-ულა) წარმომდგარია ხე და კორძ- სიტყვებისაგან. იგი ნიშნავს: „ადგილი, სადაც დგას (მდგარა) კორძიანი ხე“. კორძი ეწოდება დაავადებულ გამონაზარდს, ჭირყვალს, რომელიც ხეს ტანზე უჩნდება. ასეთი „ხე-კორძი“ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჭერ ორიენტირულ მიკროტოპონიმად ქცეულა, ხოლო შემდგომ აქ ხალხის დასახლებასთან დაკავშირებით — სოფლის სახელადაც. ქართულ ტოპონიმიაში ცოტა როდია შემთხვევა, როცა ადგილთა სახელები სწორედ ამგვარი სპეციფიკური ნიშნის მქონე ცალკეული ხე- ორიენტირების მიხედვით წარმოიქმნებიან: ვაშლაჭვარა, შავჭირკის დელე, შეკევაა ნაძვი, ხებუკ-ი, (— ხებუკნარ-ა), ხეკრებულნი-ი, ხომულუშქური („ხმელი ვაშლი“), ყიყვიანი ცხემლა და მისთ. აი, სწორედ ასეთი ყიყვიანი (კორძიანი, გამონაზარდიანი) ხე უნდა მდგარიყო იმ ადგილას, რომლისთვისაც შემდგომ ხალხს ხე-კორძი შეურქმევია. ხეკორძი ძველი წარმოების ე.წ. შებრუნებული რიგის ტოპონიმია. იგი იმავე წესით არის წარმოქმნილი, როგორც: კლდე-კარი, ქვაჭვარა, დაბაძველი, ქეონდიდი, წარჩე (წარი||წყარო-ჩე||ქჩე „თეთრი“: „წყალი თეთრი“), ქვაყუდე (—ქვა-ყუდე „ქვა-სახლი“),<sup>1603</sup> ქვახვრელი და სხვ. მრ. ეს ფაქტი ტოპონიმ ხეკორძის დიდ ხნოვანებაზე მეტყველებს.

**ხერითულა** მდინარეა ზემო იმერეთში (საჩხერის რ.), მიერთვის მდ. მოხვურას (მარჯვენა შენაკადი).

ხალხური ტრადიციული გადმოცემით მდინარის სახელწოდებას

<sup>1602</sup> ნ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ისტორიის საკითხები VIII, თბ., 1975, გვ. 31; ა ლ . ლ ლ ო ნ ტ ი , ტოპონიმიკური ძიებანი I, თბ., 1971, გვ. 32.

<sup>1603</sup> იხ. ზ . კ უ მ ბ უ რ ი ძ ე , დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 515.

საფუძვლად დასდებია ის ფაქტი, რომ ამ ხევს სკოდნია უეცარი აღი-  
დება. როცა ის აღილდება, ყველაფერი თან მოაქვს, ქვის ლოდები, ხე-  
ბი, ღორღი. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, მდინარე მოხვეურასთან შეერ-  
თების ადგილას „იმდენი ხე რთულა, რომე წყალზეთ ფეხით გეღიარ-  
და გზავრი“. სხვაგვარი გადმოცემით „ეს ხევი რთულა (ე.ი. მიხვეულ-  
მოხვეულად) ნაღინარა და სახელადაც ასთე დოუთქვამთ“.

სინამდვილეში ტოპონიმის წარმოშობის გზა სულ სხვაგვარია.  
კერძოდ, ამოსავალია ადგილის სახელი **ხერთა** (სახნავი მამულია ს. მო-  
ხვაში);<sup>1604</sup> ამ სახნავ-სათესი ფართობის ახლო ჩამომდინარე წყალს, ბუ-  
ნებრივია, **ხერთა-ულა**, იგივე **ხერთ-ულა** შეერქმეოდა. -**ურა||-ულა**  
სუფიქსი ზემოიშვრულ ჰიდრონიმიაში საკმაოდ ხშირად იჩენს თავს:  
**ლაშე — ლაშურა, ნუნისი — ნუნისურა, საირხე — საირხულა,**  
**ჩინა — ჩინურა, ლეღვანი — ლეღვნურა, დარყი — დარყულა,**  
**ვანანი — ვანანურა, კრუჭი — კრუჭულა და სხვ. მრ.**<sup>1605</sup> მამასა-  
დამე **ხერთულა** ნიშნავს „ხერთის წყალი“, „მდინარე, რომელიც ად-  
გილ ხერთას ჩამოუდის. თვით ტოპონიმ ხერთას შინაარსი გაურკვევე-  
ლია (ხე-თა „ტყიანი მთა“?) რ- სონორის განვითარება ყრუ თ-ანის წინ  
ზემოიშვრული დიალექტისათვის ერთობ ნიშანდობლივი ფაქტია (მურ-  
თაქა, სართაკილო, გამორთქმა...).<sup>1606</sup>

**ხმრპ-0** ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ სა-  
ქართველოში, მდ. არაგვის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მარ-  
ცხენა სანაპიროზე, დღევანდელი მცხეთისა და ღუშეთის რაიონების ტე-  
რიტორიის ნაწილი. ხერკის სანახები ძირითადად მოიცავდა იმ ადგი-  
ლებს, რომლებზედაც დღეს საგურამო-თეზმის ხეობათა სოფლებია გან-  
ლაგებული. ტოპონიმ **ხერკი** ერთ-ერთი უძველესია აღმოსავლეთ საქარ-  
თველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის. მემატინე ლეონტი  
მროველი (XI ს.) ხერკს მოიხსენიებს იმ უძველეს ამბებთან დაკავშირე-

<sup>1604</sup> საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემოიშვრეთი, თბ., 1987, გვ. 250.

<sup>1605</sup> ანალოგიური გაფორმებისა ჩანს ცნობილი ზემოიშვრული ჰიდრონიმი  
ძირულა, რომელიც მიკროტოპონიმ ძირის მიხედვით უნდა წარმო-  
ქმნილიყო: ძირ-ულა „ძირის მდინარე“.

<sup>1606</sup> ქ. ძო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიშვრული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 43, 77.



ბით, როდესაც მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმიდან აყრილი და ლტოლვილი ებრაელები ქართლში შემოსულან და მცხეთის მამასახლისის ისინი **ხერკ**ში დაუსახლებია. საინტერესოა, რომ ლეონტი მროველი აქვე სახელწოდება ხერკის ეტიმოლოგიასაც გვთავაზობს: „და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ (ლტოლვილ ებრაელებს, გ.ბ.) ხარკითა, აწ ჰქვან ხერკ ხარკისა მისთჳს“.<sup>1607</sup> როგორც ვხედავთ, ხერკის ამ ეტიმოლოგიას ათასწლოვანი ისტორია ჰქონია. ვახუშტი ბატონიშვილი ზუსტად იმეორებს მემათიანის ცნობას: „ეწოდებოდა ხერკი ამის გამო, ოდეს ლტოლვილნი ნაბუქოდონოსოსაგან მოსრულნი ურიანი დასხნა აქა მცხეთელ მამასახლისმან და ყვნა მეხარკედ“.<sup>1608</sup> აქვე ვახუშტი იძლევა ხერკის გეოგრაფიულ აღწერილობას, მის საზღვრებს: „ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა. და არს ამათ შორის ხერკი, არამედ აწ საგურამო ანუ თეზმის-ხევი; აქუს ხერკს აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისი; სამკრით-მთა ზედაძნისა; ჩრდილოთ ნოკორნა-ბოკოწანს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდან არაგვამდე; დასავლით-არაგვი, ხოლო მთა ზედაძნისა წარვალს უჯარმამდე“.<sup>1609</sup>

ამ მონათხრობიდან აშკარა ხდება, რომ ხერკი ძველი სახელი ყოფილა იმ რეგიონისა („ქვეყნისა“), რომელსაც ვახუშტის დროს საგურამო და თეზმის-ხევი რქმევია.

ცნობილია, რომ გეოგრაფიული ობიექტების ნომინაცია (სახელის შერქმევა) ძირითადად მათი ფიზიკური ნიშან-თვისებების გათვალისწინებით ხდება. ამ გზით არიან წარმოქმნილი ისეთი ტოპონიმები, როგორებიცაა, მაგალითად, აკვანა, უნაგირა, დამპალო, ბალახვანი, მუხიანი...

ამავე გზით ჩანს წარმომდგარი მთების სისტემათა აღმნიშვნელი სახელწოდება ხერკიც. ის ადგილები, რომელსაც ისტორიულად ხერკი ეწოდებოდა (საგურამო — ზედაზენი — თეზმის ხევი — გალავანი — ზაქარო...), უმეტესწილად მშრალი, ხრიოკი, ბუჩქნარ-ჭაგვიანი, უწყლო, ხირხატი ადგილებია. შემთხვევითი სულაც არაა, რომ აღნიშნული რე-

<sup>1607</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 16, 2.

<sup>1608</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... თბ., 1941, გვ. 86, 23.

<sup>1609</sup> იქვე, გვ. 94, 7.

გიონის მიკროტოპონიშიაში ერთობ ხშირია გვალვა-ხვატიანობის, უწყლობის, ქვა-კლდიანობის აღმნიშვნელი მიკროტოპონიმები: ბური-ანხევი (მდინ.-ხევი ს.ზაქაროსთან). ბორი-ხმელი ნისლი მტერის მსგავსი (საბა), დიდღელის კრიახ-ი (ჯაგნარი ს.ბიწმენდთან), კრია-მიწა ვშირად ქვიანი (საბა); კლდიან-ხევ-ი — ხევი ს.კოდმანთან ახლო; კოხია-ნის მთებ-ი — მთა წერათხევის ზემოთ, ნიჩბისთან ტიტველა გორაკ-ი — გორაკი საგურამოს აღმოსავლეთ მხარეს; ქაჩალგორ-ი — მთა ს.ნავდარაანთკართან (გალავნის სას. ს); ქვიან-ი/ა — ადგილი მცხეთის ჩრდ.-აღმოსავლეთით, ს.კოდმანთან; შავმუხიან-ი — მზვარე ფერდობი ადგილი ს.ზაქაროში; წიწამურ-ი<sup>1610</sup> სოფელი. ნიშნავს „ხვატიანი, გვალვიანი ადგილი“...

ამდენად, შეიძლება დაგვეშვა, რომ ტოპონიმი ხერკი მეტათეზირებული სახე იყოს ხრეკ-ფორმისა. შდრ. გა-ხრეკ-ილ-ი „მწირი, ქვიანი, უბალახო, შიშველი ადგილი“ ( „არ გაგონდებათ სადმე სოფლის ბოლოში გახრეკილი ეზო და შიგ მძოვარე ფერდებ-ჩაქცეული... ულაცი?“ (ი.გედევანიშვილი).

მამასადამე, საწყის (ამოსავალ) ფორმად უნდა გვექონოდა ხრეკ-ი<sup>1611</sup> (შდრ. მისი სინონიმები: ხრიოკი, ხრიაკი,<sup>1612</sup> კრიახ-ი, („გაკრიახულნი მთანია“, ვაჟა),<sup>1613</sup> ფხეკი, ფხაკო; ფხაქები,<sup>1614</sup> ფხაწალი...),<sup>1615</sup> საიდანაც ხერკ-ი მიგვიღია (ხრიაკი → ხრეკი → ხრეკი — ხერკი). ალბათ ამ ხრეკ-ძირთან ავლენს საერთოს ხრუკ- (ხრუკ-ავ-ს, გადა-ხრუკ-

<sup>1610</sup> მასალა დამოწმებულია ა ლ . ლ ო ნ ტ ი ს წიგნიდან მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975.

<sup>1611</sup> მიკროტოპონიმად ხრეკი დადასტურებულია ხევში, ს გველეთში (იხ. ვ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი . ხევის ტოპონიმია, 1971, გვ. 35).

<sup>1612</sup> ადგილის სახელად გვხვდება ისტ. ხერკში, ს.წიწამურთან (ა ლ . ლ ო ნ - ტ ი , 1975, გვ. 43) და ს.კარკუჩაში (ვ . ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 43).

<sup>1613</sup> „ჩონჩხიანი, კლდოვანი ადგილი“. ბ . ფ ო რ ხ უ ა , თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I, 1987, გვ. 90.

<sup>1614</sup> კლდოვანი ფერდობებია ს.ავენისში (დუშეთის რ.).

<sup>1615</sup> „კლდიანი, მიუდგომელი (ადგილი)“ ბ ი ძ . ფ ო რ ხ უ ა , დასახ. ნაშრ., გვ. 89.

ულ-ი) ფუძეც („შიშველი, გადამწვარი“), აგრეთვე ფხაკ-ფხეკ-  
ფხრეკ-||ფხრუკ-ფხროკ-, ზოროგ (იმერ.) ძირები, რომლებიც ზოგადად  
ობიექტის სიშიშველეს, სიმშრალე-ქვიანობას, მცენარეული საფარის სიმ-  
წირეს და ა.შ. გამოხატავს.

**სვანძობარა** ცნობილი სოფელია რაქაში (ამბროლაურის რ.);  
გაშენებულია მდ. რიონის მარჯვ. სანაპიროზე, ამბროლაურ-ქუთაისის  
საავტომობილო გზაზე. XVII-XVIII საუკუნეებში ზვანჭკარა უკვე ცნო-  
ბილი იყო როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად და-  
წინაურებული სოფელი, თუმცა იგი რატომღაც წარმოდგენილი არ  
არის ვახუშტის „საქართველოს აღწერაში“. ზვანჭკარა რომ ძველადვე  
ქვემო რაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა, ამაზე ნა-  
თლად მეტყველებს სოფელში შემორჩენილი შუა საუკუნეებისდროინდე-  
ლი თავდაცვითი ნაგებობანი ე.წ. „ქვედა ციხე“ და „ზედა ციხე“,  
რომელთაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწიეს. აქვეა ერთი დარბა-  
ზული ეკლესია, რომელიც გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

სახელწოდება **ზვანჭკარა** საყოველთაოდ არის ცნობილი ენდემუ-  
რი ჭიშის ყურძნის წყალობით, რომლისგანაც მხადდება სახელგანთქმუ-  
ლი სუფრის ტკბილი ღვინო „ზვანჭკარა“. „ზვანჭკარას“ აყენებენ ალექ-  
სანდრეულის შავი ყურძნისა და მუჭურეთული ყურძნის შერევით.<sup>1616</sup>

სახელწოდება ზვანჭკარა დიდი ხანია სპეციალისტთა კვლევის სა-  
გნად იქცა, მაგრამ მეცნიერულად სანდო, სარწმუნო თვალსაზრისი  
დღემდე არ მოგვეპოვება. რა თქმა უნდა, აშკარად ხელოვნური და მი-  
უღებელია ხალხური ვერსია, რომლის მიხედვითაც ზვანჭკარა თურმე  
„ზვნა ჩქარა“-საგან ყოფილა წარმომდგარი: „უმალ აქ ხალხს ჩქარა გა-  
ქონებია სახნავში გუთანი“ (მიხეილ ერმილეს ძე სირაძე, ქ.თბილისი).

ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ **ზვინჭა||ზვინჭკ-ია**, რომე-  
ლიც ქართული ენის ზოგ დიალექტში (რაქული, ლეჩხუმური, გურული,  
ქიზიყური) ნიშნავს: „წვრილი ქვა, კენკები“, „წყალთ კენკი“ (საბა),  
„ქვის წვრილი ნატეხი“, „ქვიშა-კენკი“; მოზვინჭკული — მოკირწყლული,

<sup>1616</sup> ა ლ კ ო ბ ა ხ ი ძ ე , რაქული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 13.

მოკენქილი“.<sup>1617</sup> მაშასადამე ხვანჭკარა უნდა გავიგოთ როგორც „ქვავნარი ადგილი“, „კენჭნარა“, „ხვანჭის კარა“.

**ხვარბქმ-ი** სოფელია გურიაში (ოზურგეთის რ.), მდ. ნატანეების მარჯვენა მხარეს; ქართველი ხალხის საამაყო შვილის, არმიის გენერალ კონსტანტინე ლესელიძის მშობლიური სოფელი. ტრადიციული ხალხური გადმოცემით სოფელს **ხვარბეთი** იმიტომ შერქმევია, რომ იგი მთელ ოზურგეთში **ხორბლის** (ხვარბლის) ბელლად ყოფილა ცნობილი (რუბენ გიორგის ძე ლოღია, ქ.თბილისი). სხვა გადმოცემის მიხედვით აქაურ მეურნეთაგან ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანით სახელი გაუთქვამს ზემო რაქიდან აქ საცხოვრებლად გადმოსულ ორ ძმას, გვარად ბერიძეს. რომლებისთვისაც ხალხს მეორე გვარად **ხორბალაძე** მიუცია. დროთა განმავლობაში ბერიძეთა შთამომავლები სამცხეში გადასახლებულან, ოზურგეთში დარჩენილთ კი გვარად **ხორბალაძე** დარჩენიათ. მალე ხორბალაძეები ისე გამრავლებულან, რომ მათი სოფლისათვის მეზობლად მცხოვრებ გურულებს **ხვარბალაძეთი** შეურქმევიათ. ბოლოს და ბოლოს ხალხს ეს სახელწოდება შეუშოკლებია და „**ხვარბალაძენის**“ ნაცვლად **ხვარბეთი** დაუქანონებია“.

ამ ხალხურ ცნობას ალბათ ანგარიში უნდა გაეწიოს, რადგან გურიაში ცოტა როდია ადამიანთა გვარისაგან მომდინარე სოფლების სახელწოდებები. რომლებიც **-ეთ** და **-ურ** სუფიქსებით არიან გაფორმებულნი: **ბოხვაურ-ი** (მდრ. გვარი ბოხუა), **ჩანჩ-ეთ-ი** (ჩანჩიბაძე) **იან-ეთ-ი** (— ივანეთი), **გრიგოლ-ეთ-ი**, **ნიაბა-ურ-ი**, **ციციბა-ურ-ი**, **მშვიდობა-ურ-ი** (მშვიდობაძე), **სილა-ურ-ი** (სირაძე) **ჩაკიტა-ურ-ი** და მისთ. ჩვენი ფიქრით, ამგვარივე წარმომავლობის ტოპონიმად უნდა ვცნოთ **ხვარბეთი-ც**, რომელიც, როგორც ვთქვით, შეიძლება **ხვარბალაძეთა** სოფლად გავიაზროთ.

**ხომლქ** ისტორიული სოფელია ქართლში (კასპის რ.). აქ დაიბადა ქართული ეროვნული მეცნიერების უპირველესი ბურჯი, დიდი მამულიშვილი **ივანე ჯავახიშვილი** (1876-1940). სოფელი ხოვლე

<sup>1617</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, თბ., 1975, გვ. 369. ამ თვალსაზრისს ადგას შ. გოგატიშვილი (1981, გვ. 49).

ცენტრალური ქართლის ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტა-განია. იგი გაშენებულია მდ. ხევსმელას (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ხოვლის ტერიტორიაზე არსებული საკულტო ნაგებობათა სიმრავლე, აგრეთვე აქ მოპოვებული დიდძალი და დიდადმნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ეს რეგიონი ქართველთა შორეულ წინაპრებს სამოსახლოდ ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის XVI-XV საუკუნეებში ჰქონიათ დაკავებული. მიწისზედა ქრისტიანული ძეგლებიდან ძალზე საყურადღებოა შუა საუკუნეთა ეპოქის დარბაზული ეკლესიის ე.წ. „ნიღბლიანი საყდრის“ ნაშთები. ხოვლის შემოგარენში დგას კვართის წმ. გიორგი ეკლესია (XI-XII ს.ს.) და „წითელი ეკლესია“, რომელიც იმავე პერიოდს განეკუთვნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლიდან 4-5 კმ-ზე მდებარე საკულტო ნაგებობა (წმ. გიორგის სახელობისა), რომელიც მცხეთის ჯვრის ხნოვანობისაა (VI-VII ს.ს.); ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილია XI-XII საუკუნეების კანკელის ფრაგმენტები. ხოვლის ხეობის უძველესი და დიდი კულტურის არსებობაზე მეტყველებს გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლი — ხოვლეგორა, რომლის წიაღიდან მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა შთამბეჭდავად მოგვითხრობს აქ მოსახლე უძველესი ხალხის 3500-4000-წლოვანი ისტორიის ბოროქარი ამბების შესახებ.<sup>1618</sup> ტაპონიმი ხოვლე, როგორც მიუთითებენ, ხოვლე-ფორმისაგან ყოფილა წარმომდგარი -ეგ სუფიქსის თანხმონებით ნაწილის მოკვეცის გზით,<sup>1619</sup> ზუსტად ისე, როგორც ეს ნოსტე-ში მომხდარა (ნოსტე-ვი — ნოსტე). უთუოდ ხოვლე-ეგ-ფორმის რეალურად არსებობამ უბიძგა ხალხური ეტიმოლოგიის ავტორს, რომ ასეთი კითხვა-პიგებითი შინაარსის თქმულება შეეთხზა: „ძველად ამ სოფელში დიდძალი თათრის ჯარი შემოსულა. რაც რამ შეხვედრიათ, ერთიანად დაუწვამთ და გადაუბუვიათ. თათრებს ტყვეთ ჩაუგდიათ ერთი ქართველი მეომარი, ძაან მამაცი და უშიშარი. წაუყვანიათ და ერთ ღრმა ხაროში ჩაუგდიათ, არც ასმევენ, არც აქმევენ, უნდათ რო ათქმევიონ

<sup>1618</sup> დაწვრ. იბ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი , ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.

<sup>1619</sup> თ . ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი , ტაპონიმიის შესწავლისათვის: ქესს II., თბ., 1961, გვ. 149.

მეფის ოჯახის საიდუმლო ადგილსამყოფელი. მერე და მერე, ძაან რო გაუქირდა, წყალი უთხოვია, ამ თათრებს კიდევ, ამდგარან და მიუტანი-ათ ცხენის რძე, აჰა და, დალიეო. იმას პირს როგორ დააქარებდა! წაუ-ლიათ უკან. ერთი დღის მერე კიდევ მიუტანიათ ეს ცხენი რძეი, დალიე, არც ახლა დადღევო? ეს ბიჭი კიდევ ზიზღომს ამ რძესა, სიკვდილს ათავებს, მაგრამ რანაქნას? აულია და ერთი ყლუპი რის გულიკვლით დაუღევია. — დალიეო, დალიეო, — ეძახიან. — ხო ვღევო, — ამოუგ-მინია ამ ბიქსა, გადაბრუნებულა და დაუღევია სული“ (ნ.კოშაძე, ს.ხოვლე).

არსებობს სხვაგვარი გადმოცემაც. ამ ვერსიის მიხედვით აქ უწინ უცხოვრიათ ფხოვიდან გადმოსულ ხალხს, ამიტომ სოფლისთვისაც ფხოვლე ანუ ხოვლე შეურქმევეათო (შ.ბაისონაშვილი).

რა თქმა უნდა, არცერთი ამ გადმოცემათაგანი სინამდვილეს არ შეესაბამება. ტოპონიმი ხოვლე უკავშირდება დიალექტურ ვოლ-სიტყვას, რაც დაქცეულ, ჩაქცეულ, უბატრონოდ მიტოვებულ ნაგებობას ნიშნავს. ხევსურულში, მაგალითად, ყოველგვარი საცხოვრებელი ნაგებობის ნანგრევს ნაშალი, ვოლ-ი ეწოდება. აქ ყოფილა ადგილი, რომელსაც ვოლისკალუანი („ნანგრევთ კალოები“) რქმევენ.<sup>1620</sup> ფშაურ დიალექტში ვოლ-სიტყვის ნაცვლად გვხვდება ვოვლი. აქ, შარახევის შემოგარენში, დღესაც არის ნასოფლარი ვოვლიანა („კარგ მებაჭრედ ითვლებოდნენ კუდოში მცხოვრები თათარ თანდილაშვილი, ხილიანაში მცხოვრები ივანე თურმანაული, ხოვლიანაში მცხოვრები ბადოხარა ხარანაული“).<sup>1621</sup> ვოვლ-სიტყვას განიხილავდა ცნობილი მწერალი, ქართლური დიალექტის მკვლევარი გიორგი შატბერაშვილი. მისი თქმითაც თემძის-ხევის სოფელი ხოვლე განთქმულია უძველესი საცხოვრისებით ანუ ნახოვლარი ადგილებით, სადაც უწინ ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ რაღაც მიზეზით აყრილა ან ამომწყდარა. სიტყვა ხოვლეს გ.შატბერაშვილი ზოგადქართულ ერთეულად მიიჩნევს, რადგანაც ის, ფშავ-ხევსურეთისა და ლეჩხუმის გარდა, ქართლშიც გვხვდება სოფლის სა-

<sup>1620</sup> ა ლ ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი , ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 298.

<sup>1621</sup> ლ . ბ ო ძ ა შ ვ ი ლ ი , ფშავი და ფშაველები, თბ., 1988, გვ. 40.

ხელადო.<sup>1622</sup>

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს **ხოვლის-ხევს** და მის ტერიტორიაზე, **ხოვლეს** გარდა, კიდევ რვა სოფელს ასახელებს (გრაკალი, დოესი, აგარა, აბანო, ზესი, აკეთი, ისციხე (||ისციხე) და საყავრე).<sup>1623</sup> იოანე ბაგრატიონის მიხედვით **ხოვლის-ხევი** ახალი სახელწოდება ყოფილა, ძველად მას **მდულრის ხევი** რქმევია.<sup>1624</sup>

ტოპონიმ **ხოვლეს** სხვაგვარი წარმოშობისად მიიჩნევა ნ.ბერძენიშვილი. იგი დასაშვებად თვლიდა **ხოვლეს** კავშირს **ხულევ||ხულე**-სიტყვებთან. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ იგი ხოვლეს განიხილავდა როგორც სპეციფიკურ საცხოვრის და არა როგორც დანგრეულ-დანაქცევ და ჩახოვლილ ადგილს. იგი წერდა: „ხოვლე სხვა გორაებისაგან განსხვავებული, განსაკუთრებულ ნაგებობათა შემცველი ხომ არ იყო და ამიტომ ხომ არ ეწოდება ეს სახელი?... ამ გვარს (ერთ გორაზე მცხოვრებ ხალხს, გ.ბ.) აქ **ხულევი** უნდა ჰქონოდაო“.<sup>1625</sup>

ჩვენი ფიქრით ტოპონიმ **ხოვლევის** (— ხოვლე) **ხულა** (ხულევ) სიტყვასთან დაკავშირება ნაკლებად არის მოსალოდნელი, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში არასოდეს გვქონია (და არც ამჟამად გვაქვს) **ხულა**-სიტყვისაგან წარმომდგარი გეოგრაფიული სახელწოდებები. **ხოვლე** აღმოსავლურქართული ძველისძველი სიტყვაა (როგორც ვნახეთ, ფშავ-ხევსურეთში მისგან ტოპონიმებიც წარმოქმნილა) და სრულიად ბუნებრივია, რომ მას ქართული ენის დედადიალექტშიც (ქართლურში) სათანადო ასახვა უბოვია. **ხოვლე**, მაშასადამე, უნდა გავიგოთ როგორც „დაქცეული, მოსაზღვობისაგან უპატრონოდ მიტოვებული ძველი სამოსახლოები“. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ არქეოლოგიური გათხრების უბანში, **ხოვლეგორაზე**, მიკვლეული რვა(!) სამოსახლო ფენა, რომლებიც აქაურ უძველეს მკვიდრთა საკმაოდ შფოთიან, გამანადგურებელი

---

<sup>1622</sup> გ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი , თვალადური ქართული ქაშნიკი, თბ. ტ. IV, 1975, გვ. 432-433.

<sup>1623</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა, გვ. 198.

<sup>1524</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , 1986, გვ. 31.

<sup>1525</sup> ნ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 30.

ომებითა და ხანძრებით აღსავსე ისტორიაზე მეტყველებენ. სახელწოდება **ხოვლე**, როგორც ვხედავთ, ზუსტად მიესადაგება ძველ მღვდლის-ხეველთა ნგრევებითა და კვლავ აღმშენებლობითი ენერგიით სავსე ისტორიას.

**ს(ლ)დ(ბ)რ-ი** ასეთი სოფელი ყოფილა ძველ ფშავში, გომეწარის ხეობაში. ამჟამად აქ ნასოფლარიღა არის შემორჩენილი. „ძველად ეს ჩვენი გომეწარი ერთ სოფლად კი არა სახლებულა. სუ გომეწარი ქვივნილა, რაც ამ დაყოლებაზე ხალხს უცხოვრია: ციხეთსოფელიო, კიდევ: მუნჯანი, გულიანი, კოლდგორი, კაკაბაური, ნაფეტვარი. ყოფილა კიდევა უკვენმადარო, ყელყვითელი, სიბისკალო“ (სფ).

ტოპონიმი **ხოლდგორი** წარმომდგარი ჩანს ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული **ვოლ-||ვოვლ-** სიტყვისაგან. **ხოლდ-** ფუძე ფონეტიკური ცვლილების შედეგია: **ვოლ-** სიტყვას დართული ჰქონია **თ** ნიშანი (**ვოლ-თ-**), რომელიც მომდევნო მედერი **გ-**ს მეზობლობაში ასიმილაციის ძალით გამჟღერებულა და **დ-ონად** ქცეულა (**ხოლთ-გორი** → **ხოლდ-გორი**). ამ შემთხვევაშიც ზუსტად ის პროცესი მომხდარა, როგორც დევდორაკსა და მუხათგვერდში დავადასტურეთ. ძალზე არსებითია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა **ხოლდგორს** მეორენაირად „ნასახლარების გორს“ უწოდებს, რაც ჩვენს ვარაუდს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის. საბოლოოდ: **ხოლდგორის** (← **ვოლთ-გორი**) ნიშნავს: „ნასოფლარი, ხოლი ადგილები“, „გორაკი, რომელზედაც ძველი ნანგრევები არის შემორჩენილი“.

ხოლდგორის წარმომავლობა დღეისათვის ადგილობრივ მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის კარგავს რეალურ შინაარსს; ჩვენს თვალწინ ხდება სახელწოდების დეცტიმოლოგიზაცია: ზოგი, მაგალითად, ფიქრობს, თითქოს **ხოლდგორი** რუსული „Холодные горы“-საგან იყოს წარმომდგარი, რაც პრინციპულად უარსაყოფი და მიუღებელია.

**ს(ლ)ტ(მ)მ-ი** ერთ-ერთი უძველესი სოფელია რაქაში (ამბროლაურის რ.). გაშენებულია რაქის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. საისტორიო წყაროებში დადასტურებულია XI საუკუნიდან. იგი რაქის მნიშვნელოვან სოფლებთან ერთად მოხსენიებულია საყოველთაოდ ცნობილ ძეგლში „ნიკორწმინდის იადგარში“, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, XI ს-



ის 70-80-იან წლებშია შექმნილი. აქ ვკითხულობთ: „ხოტევის ვიყიდე გაბოშისაგან მიწაჲ და მივეც ვარი ა“.<sup>1626</sup> სოფელი ხოტევი ადრიდანვე ეკონომიკურად ძალზე დაწინაურებულა, რადგანაც იგი იმერეთ-ქვემო რაქის დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა და მთელ სატრანსპორტო-საეკპრო მიმოქცევას მტკიცე კონტროლს უწევდა. სოფელში შემონახულია მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, რომელიც შუა საუკუნეების (ხოტევის დაწინაურების ეპოქა) (XI—XII სს.) პირშეა.

ხოტევი ეტიმოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილი არ ყოფილა. მართალია, მასში გამოყოფენ -ევ სუფიქსს, მაგრამ ხოტ- საყრდენი ძირი მნიშვნელობადაბნელებულ სიტყვად არის მიჩნეული.<sup>1627</sup>

ჩვენი ვარაუდით ტოპონიმი ხოტევი წარმოშობით უნდა უკავშირდებოდეს სიცხე-გვალვიანობის აღმნიშვნელ ზვატ- სიტყვას (ვა — ოს გზით). მაშასადამე, ხოტ-ევ-ი (- ზვატ-ევ-ი) უნდა გავიაზროთ როგორც ზვატიანი, სიცხის ბურიანი, ხშირგვალვიანი ადგილი. დასავლური დიალექტები (იმერული, ლეჩხუმური, რაჭული...) კარგად იცნობენ ზვატ- სიტყვას როგორც კლიმატურ-მეტეოროლოგიური შინაარსის ტერმინს: „სიმხურვალე, ზვატი ახთენს ყურძენს“; „გაფურჩქნა უნდა ვენახს. რომ არ შეიხუთოს და არ წახთეს კუმბლები, რომ არ დახვატოს“.<sup>1628</sup> იმერულში ზვატი ზვარტი-ს სახით არის დადასტურებული. მნიშვნელობა აქაც იგივეა: ძლიერი სიცხე, პაპანაქება: რა ზვარტი არი! დახვარტამს ნაყოფს“, „დღეს ზვარტია“.<sup>1629</sup> იმერული დიალექტის ერთი თქმის — ხანისწყლის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაშიც ზვარტი გვხვდება: „ძლიერი სიცხე მოღრუბლულ ამინდში“.<sup>1630</sup>

ადგილობრივი მოსახლეობის სასაუბრო მეტყველებაში ხოტევის ნაცვლად აქა-იქ ხოტებ-ი შეიძლება შეგვხვდეს („ჩვენებური იყვნეს ხოტებსა“),<sup>1631</sup> მაგრამ ეს ახალს არაფერს გვეუბნება; აქ, უბრალოდ,

<sup>1626</sup> ქსტ, III, თბ., 1970, გვ. 30.

<sup>1627</sup> ა ლ . ჯ ი ნ ჯ ა რ ა უ ლ ი , ეტიმოლოგიური შენიშვნები: იკვ, XXII, 1981.

<sup>1628</sup> ლ . ა ს ა თ ი ა ნ ი , მევენახეობის ლექსიკა ქართულში, თბ., 1978, გვ. 81.

<sup>1629</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 510.

<sup>1630</sup> ბ . გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე , იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976, გვ. 176.

<sup>1631</sup> შ . ძ ი ძ ი გ უ რ ი ს რაჭული დიალექტური მასალის მიხედვით.

-ევ- და -ებ- სუფიქსთა მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, რაც საერთოდ ნიშანდობლივია იმერულ და ლეჩხუმურ-რაჭული კილოებისათვის.

ხალხური წარმოდგენით **ხოტევის** წარმოშობა თურმე თამარ მეფის სახელთან ყოფილა დაკავშირებული: „ერთი ჩვენი თავადი წასულა უმალ თამარ დედუფალთან. ადგილ-მამული არ ქეყოფნის და რაცაბანა-ირად უნდა გვიშველოო. მიუცია მიწები, ზოგი ლეჩხუმიტგან, იქით კიდო სხვა მამულები. მერე დაიმტერესთა თვითონ მეფე, წავალ, ნავხავ, რაფლა არიენო. მისულა და რას ნახავს: ამუშავებენ ამ მიწეთს, მარა რას ამუშავებენ. გახარებია მეფეს და შეკითხებია. აქანა ხო ეტევიო? — ხო, ვეტევიო! — დაუთქვამთ მას მერე იმ ადგილებისათვის ხოეტევი, იგივე ხოტევი“ (მიხეილ ერმილეს ძე სირაძე).

სხვაგვარი გადმოცემის მიხედვით ტოპონიმ **ხოტევის** წარმოშობა მტრის შემოსევასთან ყოფილა დაკავშირებული: „მტერი შემოსევია რაქას. ხალხი ციხეში შეხიზნულა, დიდი და პატარა იქ ყოფილა. უკითხია ქართველების წინამძღოლს: ხალხო, ხო ეტევიო? დარქმევია სოფელს ხოტევი“ (ლია რევაზის ასული კერესელიძე, 1989 წ. ქ.თბილისი).

**ხრესილ-ი** სოფელია ზემო იმერეთში (ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე). გაშენებულია მდინარეების წყალწითელისა და ქალის ხეობაში. ხრესილის სას. საბჭოში შედის სოფლები: ახალდაბა, ბუეთი, გადაღმა წყალწითელა. გადმოდმა წყალწითელა, ივანეული, ლედვა და ძუყნური. სოფ. ლელვას გოგირდოვანი მინერალური წყლების ბაზაზე ხრესილში საფუძველი ჩაეყარა ალდგენითი მკურნალობის მცირე სტაციონარულ საავადმყოფოს.

სოფელი ხრესილი ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. ესაა „შეწირულების წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი“, რომელიც 1696-1742 წლებს შორისაა შექმნილი. აქ, კერძოდ, ნათქვამია: „ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, ჩვენ ცვა-ფარვათა თქუნთა მინდობილმა და შეწევნისა შენისა მსასოებელმან და მოსავმან სიწმინდისა თქუნისამან ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმან... გკადრეთ და მოგიძღვენით მცირე ესე შესაწირავი რაქას ბარისთავს ვარდის გორა ქბო-სასახლე... ოკრიბას. საწირეს — კუპლაშვილები გაძვერიასშვილი ჟოჟუა და დათუა... ხრესილზედ — ობოლადენი, თავს შათირისშვილები ხოსია და ივანა, ერთი

შამახური სანთელი".<sup>1632</sup>

საქართველოს ისტორიაში კარგად არის ცნობილი **ხრესილის** 1757 წლის 14 დეკემბრის ბრძოლა თურქთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ, რომელიც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა მეფე სოლომონ I-ის ხელმძღვანელობით.<sup>1633</sup> ეს ბრძოლა გაიმართა ხრესილის ახლოს მდებარე ვრცელ ველზე, ადგილ „თათროულთან“, რომლის სახელშიც შემონახული ჩანს ამ ისტორიული ფაქტის რეალიები. სოლომონ I-ის ქება არის გადმოცემული ერთ ხალხურ ლექსში: „მეფე სოლომონს აქებენ ხელმწიფეში გვარიანსა. **ხრესილზე** ჩამამჯდარიყო, ხმალს ილესდა ღარიანსა...“<sup>1634</sup> რაც შეეხება თვით სახელწოდება **ხრესილს**, იგი მიმდებარეობს შინაარსის ერთეულია. ნიშნავს: „ჩამოშვავებული ადგილი მთაზე“, იგივე **ხრეწილი** „ნიაღვრებისაგან ჩამორეცხილი ადგილი კლდეზე (სინონ. დღოწი).“<sup>1635</sup> **ხრესილი** ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი: **დღღეზილი**, **ხრიანწო**, **შვაჯი**, **ჩამონაცური**, **ფხნეკი**, **ღრიანტელი**, **ნამზღვლევი**...<sup>1636</sup> **ხრესილი** იმერული დიალექტის კუთვნილება ჩანს. ადგილთა სახელებად **ხრესილი** ზემო იმერეთის მიკროტოპონიმიაში ათეულობით არის დადასტურებული: **ხრესილები** — ფერდობია ს.ზედაქალოვანში (ქიათურის საქ. საბჭო), **ხლესილი** — კლდე ს.ღურევსა და ს. ცხომარეთში (საჩხერის რ.); ქვიშრობი ადგილი ს.ქორეთში (საჩხერის რ.); სახნავ-სათესი ს.გედსამანიაში (ხარაგაულის რ.); **ხრესილისთავი** — ტყე და საძოვარი მინდვრები ს.ღურევში (საჩხ. რ.); **ხრესილის დელე** — ლეღე-მდინარე ს.ზედაქალოვანში (ქიათურის საქ. საბჭო); **ხრესილის**

<sup>1632</sup> ქართული სამართლის ძეგლები (ი ს . დ ო ლ ი ძ ი ს რ ე დ.) ტ. III, თბ., 1970, გვ. 766.

<sup>1633</sup> დაწვრ. იხ. მცირე ქრონიკები. გამოსაც. მოამზადა ჯ . ო ლ ი შ ე ლ მ ა , თბ., 1968; აგრეთვე მ . რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი , იმერეთი XVIII ს-ში, თბ., 1982; საქართველოს ისტორის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 638-639.

<sup>1634</sup> „ლექსო, არ დაიყარგები“, თბ., 1985, გვ. 31 (შემდგ. ა ლ ქ ი ნ ქ ა რ ა - უ ლ ი ).

<sup>1635</sup> ქ . ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 520.

<sup>1636</sup> ბ . ფ ო ჩ ხ ე ა , ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი I. თბ., 1987, გვ. 89.

ძირ-ი — ადგილია ს.დურევი (საჩხერის რ.)<sup>1637</sup> და სხვ. მრ. ყველა ობიექტი, რომელსაც ზრესილი (||ზრესილები) ეწოდება, არის ჩამონაშვავი, ჩამონაქცევი, დღოწი ადგილი. სწორედ ამნაირი ნიშნებით ხასიათდება ხაშურის რ-ში არსებული ერთ-ერთი მთა (თრიალეთის ქედის განშტობა), რომელსაც ზრესილა ეწოდება. ამ შემთხვევაშიც მოსალოდნელია იმერული კილოს გავლენა.

**ხუშკიან-ი. ხუშკიანებ-ი** პატარ-პატარა ახო-საძოვრებია სოფ. ანანურში (დუშეთის რ.), მდ. არაგვისა და მდ.ვეძათხევის წყლის შესართავთან. ადგილობრივ გავრცელებული გადმოცემის მიხედვით ამ ადგილებში ოდესღაც ვინმე ხუშკიას და მის შთამომავალთ, ხუშკიაშვილებს უცხოვრიათ და ადგილსაც თითქოს ამიტომ შერქმევია ხუშკიანები (რუბენ გიორგის ძე როსტიაშვილი, 1985 წ.), მაგრამ ამგვარი ვერსია აშკარად ხელოვნურია, რამდენადაც არაგვის ხეობაში ხუშკიაშვილების გვარს არასოდეს უცხოვრია.

თუ ჩვენ ტოპონიმ ხუშკიანს (ხუშკიანები მეორეული, გვიანდელი ფორმა) მკონებლობის -იან- სუფიქსს ჩამოვამორებთ, ფუძედ დაგვრჩება სიტყვა ხუშკი, რომლის მნიშვნელობა არაგვის ხეობის ქართლურში, აგრეთვე მეზობელ მთიულურ კილოში ამჟამად სრულიად დაბნელებულია. სამაგიეროდ სიტყვა ხუშკი ცოცხალი ენობრივ ერთეულია ალგეთის ხეობის ქართლურ მეტყველებაში. მას კარგად იცნობს მესხეთ-ჯავახური, აქარული და კახური კილოები. ამ კილოთა მიხედვით ხუშკი ნიშნავს: „ცხერის ნაკელი, დრემლა, ცურცილი“: „ცხვარი მოხუშკავს“<sup>1638</sup> ჯავახურ დიალექტში ხუშკი წივის ნარჩენს, გამხმარ (დამწვარ) ნაკელს ეწოდება (ილ.მაისურაძე).<sup>1639</sup> აქარულში ხუშკი, ხუშკურა ცხენის ნაკელს (ჩონჩორიკი) ჰქვია: „ბოსტანში ხუშკური

<sup>1637</sup> დამოწმებული გვაქვს წიგნიდან: საქართველოს სსრ ტოპონიმია I. ზემო იმერეთი (აკად. შ. ძიძიგურიის საერთო რედაქციით). თბ., 1987, გვ. 253.

<sup>1638</sup> თ.სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური., თბ., 1978, ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981, გვ. 526.

<sup>1639</sup> წიგნში: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა II (ალ. დლონტის რედ.) თბ., 1975, გვ. 385.

რამ დაგაყრევია, ქო, არ იცოდი, დაწვავდა თესლ?".<sup>1640</sup> აქარაშივე გვხვდება ტოპონიმი **ხუშკურაძირი** (ს.ზემოხვეი, ბარათაულის სას. საბჭო).<sup>1641</sup> მესხეთში **ხუშკი** ნიადაგის გასანოყიერებლად დიდი ხანია გამოიყენება, მას ვაზის ძირში ყრიდნენ.<sup>1642</sup> მესხეთის მიწის მეურნეები ხუშკის (ცხვრის დრემლის) გამოყენების სხვა მეთოდებსაც იცნობდნენ. კერძოდ, როცა დიდი თოვლი მოვიდოდა და მზე მას დიდხანს ვეღარ აიღებდა (რითაც ფერხდებოდა საანეულო გუთნის დროულად გატანა), მიწათმოქმედი გლეხები იძულებულნი ხდებოდნენ თოვლის დნობა ხელოვნურად დაეჩქარებინათ: გრძელი ჯოხებით თოვლის სქელ საფარს ჩაზვრეტდნენ და ნასვრეტებში ცხვრის ხუშკს (უურცლს) ჩაყრიდნენ. ხუშკი თავისი მხურვალეობით აჩქარებდა თოვლის საფარის დაწვეას. ამ პროცესს მესხეთ-ჯავახეთში ამჟამად **ხუშკით დასულვა ეწოდება**.<sup>1643</sup>

როგორც ჩანს, ძველად ხუშკით თოვლის ხელოვნურად გადნობა და ანეულის დაჩქარება არაგვის ხეობის მთიან ზოლშიც ცოდნიათ — აქ ხომ თოვლის სიმაღლე ხშირად 1,5-2 მეტრს აღწევდა! თვითონ ობიექტი **ხუშკიანი** ექსპოზიციურად ნაკლებ ხელსაყრელია, მას მზე მცი-რეხნით ანათებს, მით უმეტეს, ადრიან გაზაფხულზე. ამდენად მოსა-ლოდნელია, რომ უწინ აქაც თოვლის სქელ საფარს გლეხობა ხუშკის დაყრით აღნობდა. სახელწოდება **ხუშკიანი-ი** მეურნეობის სწორედ ამ წესზე მიგვანიშნებს.

---

<sup>1640</sup> შ . ნ ი ჟ ა რ ა ძ ე , ქართული ენის აქარული დიალექტი (ლექსიკა) ბათ., 1971, გვ. 350-44!.

<sup>1641</sup> ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია I. ბათ., 1958, გვ. 76.

<sup>1642</sup> ნ . ჩ ი ჯ ა ე ა ძ ე , 1976, გვ. 94.

<sup>1643</sup> გ . ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე , მემინდვრობა მესხეთ-ჯავახეთში: კრებ. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972, გვ. 19; მ . მ ა კ ა ლ ა თ ი ა , მესაქონელობა მესხეთში, იქვე, გვ. 42.

**ჯავახიშვილი** ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში (ზემო ქართლი). ამჟამად ჭავჭავთვი ძირითადად მოიცავს ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონების ტერიტორიებს. სახელწოდება ჭავჭავთვი არაქართულ წყაროებში პირველად ძვ.წ.ა. VIII საუკუნის დამლევეს, 785 წელს არის მოხსენიებული ურარტუს მეფის — არგიშთ I-ის წარწერაში. ამ ძეგლის მიხედვით ჭავჭავთს **ზაბახა** ეწოდება.<sup>1644</sup> ქართული საისტორიო წყაროები ჭავჭავთს იმ დროიდან ასახელებენ, როცა ჩვენში ქრისტიანული რელიგია იღვამდა ფეხს. ჭავჭავთი, როგორც მთლიანი ქვეყანა, მოხსენიებულია ერთ-ერთ უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც X საუკუნეს განეკუთვნება: „და თთუესა მეოთხესა წარვედ მთათა ზედა ჭავჭავთისათა, რადთა ვცნა, თუ სადაჲთ არს მცხეთა და მივემთხუ მთათა ზედა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარავნა და დავდეგ მუნ ორ დღე“.<sup>1645</sup> სხვათაშორის, ამ წყაროში ისიც არის ნათქვამი, რომ ჭავჭავთის მთები სასაძოვრე ადგილებად ჰქონიათ გამოყენებული ქართლის მომთაბარე მწყემსებს და რომ ამ მთების მწვერვალები ზაფხულშიც კი თოვლით ყოფილა დაფარული: „და მწყემსნი იყვნეს მასვე ადგილსა... და ვჰკითხე ერთსა მათგანსა, თუ რომლისა სოფლისანი ხართ თქუნენ? ხოლო მან მომიგო მე: „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით“<sup>1646</sup> და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ! მივხედენ მთათა ჩდილო მთასათა, რამეთუ დღეთა ზაფხულისათა საესენი ჩნდეს... თოვლითა სასტიკითა და შვეძრწუნდი ფრიად“.<sup>1647</sup>

ჭავჭავთის კეთილშავიანობის, წყარომრავლობის და ბალახყვავილიანობის შესახებ მოგვითხრობენ როგორც ძველი ქართველი ისტორიკოსები, ისე უცხოელი მოგზაურები და არაქართველი მემკვიდრეები. ჭავჭავთის ფლორისა და ფაუნის სიმდიდრეზე გარკვევით მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „ესე არს ჭავჭავთი და არიან ამ ტბებთა და

<sup>1644</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, 1987.

<sup>1645</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები წ. I, ილ. აბულაძის რედ. თბ., 1964, გვ. 115-116.

<sup>1646</sup> დღევ. სნატახტარი (მცხეთის რ.).

<sup>1647</sup> ძქალძე I, 1964, გვ. 116.

მდინარე-წყევთა ზედა დაბნები და მოსახლენი... და არს სრულიად უტყეო, ბალახ-შამბ-ყვაელიანი და წყაროიანი, ხოლო ფოსოს კერძონი და წყაროსთავის კერძო მტკვრამდე-ტყიანი, ნადირ-ფრინველიანი. ახლო ჭავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუტდენელი. ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი<sup>1648</sup> და ჭოგნი მრავალნი; თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მათა გვარობენ, მრავალნი; თაფლნი მრავალნი; კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შვენიერ-ჰაეროვანნი... სარწმუნოებით გლეხნი ჭრეთ ქრისტეანენი სრულიად, არამედ არღარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა ჰყავთ მღვდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამქირნეობისათჳს ოსმალთა“.<sup>1649</sup>

ჭავახეთის ეკონომიკური ძლიერება, მაღალი მოსავლიანობა და ღალა-ბარაქიანობა კარგად არის გადმოცემული ერთ-ერთ ქართულ ხალხურ ლექსში, რომელშიც ჭავახეთის მხარეს ძალით მოწყვეტილ-გადახვეწილი გლეხკაცის სინანული იგრძნობა:

„მე ჭავახეთს რა მიქირდა, / მთვარე იდგა მზესავითა,  
კალმახი და ქერის პური / წინ მეყარა ბზესავითა“<sup>1650</sup>

ჭავახეთი, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული, უძველესი ხანებიდანვე საქართველოს ძლიერებას ედგა მხარში. XI საუკუნიდან იწყება ჭავახეთის ეკონომიკური და კულტურულ-საზოგადოებრივი აყვავება (ცენტრი — ახალქალაქი). XII-XIII საუკუნეებში აქ არაერთი მნიშვნელოვანი ფეოდალური ქალაქი (დლივი, ბოჟანო, ალასტანი, ღრტილა) იწყებს დაწინაურებას, შენდება გზები, ხიდები, ქარვასლები, მდიდრული ეკლესია-მონასტრები. ამ დროს კლდეში იკვეთება ბრწყინვალე მღვიმე-ქალაქი — ვარძია. მხარის ზეაღსვლა ჭერ მონგოლთა გამანადგურებელმა შემოსევებმა შეაჩერა, შემდეგ საუკუნეებში კი თათროსმალებმა გამოიღეს ხელი. XV საუკუნისათვის ჭავახეთი თურქული ორიენტაციის ათაბაგთა სამფლობელო, სამცხე-საათაბაგო, ხდება, XVI საუკუნიდან კი მთელი ჭავახეთი, საქართველოს სამხრეთის მიწებთან

<sup>1648</sup> მროწლე-პირუტყვის (ძროხის, ხარის...) ნახარი.

<sup>1649</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 131.

<sup>1650</sup> წიგნი: „ლექსო არ დაიკარგები“, თბ., 1985, გვ. 84.

ერთად, ოსმალეთმა მიიტაცა და იქ ოსმალური მმართველობისა და რელიგიის განმტკიცება-დანერგვას შეუდგა. ჭავჭავთი თანდათან იცვლება. ამ მხარის აბორიგენი ქართული მოსახლეობა ტოვებს თავის ისტორიულ ფუძეს და ქვეყნის შიგნით, იმერეთისა და ქართლის ტერიტორიებზე იწყებს დასახლებას. ჭავჭავთი ლამის მთლად გაუქცავიერდა. საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსათვის და მთელი მისი სამხრეთი პროვინციებისათვის, კერძოდ, მესხეთ-ჭავჭავთისათვის, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, რომლის დამთავრების შემდეგ მეფის მთავრობამ აქ ჩამოასახლა ოსმალეთიდან აყრილი სომხებისა და ბერძნების 6.000-ზე მეტი ოჯახი. ცარიზმის ერთგულმა მოხელეებმა ლტოლვილებს გულუხვად დაურიგეს სამცხე-ჭავჭავთის, ძირითადად, ახალციხე-ახალქალაქისა და წალკა-ბოგდანოვკის, ტერიტორიებში შემავალი ნაყოფიერი მიწები. ამ ხელოვნურ კოლონიზაციას სულ მალე მოჰყვა რუსული კოლონიების შექმნა. ამას გარდა, ცარიზმი ჩვენს ქვეყანაში ასახლებდა რუსეთის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დევნილ „მწვალებლებს“ და სექტანტებს-დუხობორებს, მოლაკნებს, სკოპცებს და სხვებს. 1845 წლისათვის ამ დევნილთა რიცხვმა 10.000 სულს მიაღწია.<sup>1651</sup> ქართველობისაგან დაცლილ მიწებზე არაქართული მოსახლეობის (სომხები, ბერძნები, რუსი კაზაკები, რუსი დუხობორები და სხვა რელიგიური მრწამსის ხალხი) დამკვიდრებით ცარიზმი იმთავითვე ქვეყნის გარუსებას, ხოლო სამცხე-ჭავჭავთში მორჩილი, ნაკლებსაშიში ეთნიკური ელემენტისათვის ყოველგვარ ხელისშეწყობას და წაქეზებას ცდილობდა. ამასთან ერთად, ცარიზმი შეგნებულად აღვივებდა შულღს და უნდობლობას ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მცირე ნაწილსა და მუსულმანურ სარწმუნოებაზე გადასულ, გათურქებულ მოსახლეობას შორის, რამაც საბოლოო ჯამში მძიმე ეთნიკური კონფლიქტები წარმოქმნა. ეს ვითარება, ცხადია, შლიდა და ასუსტებდა მხარის ეთნიკური კონსოლიდაციის საფუძველს, რაც ცარისტული დამპყრობლური პოლიტიკის უმთავრეს და უპირველეს მიზანს შეადგენდა.

ამჟამად ჭავჭავთის დემოგრაფიული მდგომარეობა რამდენადმე უმჯობესდება: აქ კომპაქტურად სახლებიან 1989 წლის სტიქიით დაზა-

---

<sup>1651</sup> საქართველოს ისტორია (შემდგ.-რედაქტორი გ. მელიქიშვილი), თბ., 1990, გვ. 299.



რალეზულ აქარელთა ოჯახები, იქმნება ახალი ქართული სოფლები... მაგრამ ჯავახეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ყოფაში ჯერ ისევ ხელშესახებია არაქართული მოსახლეობის გავლენა და ზედრითი წონა.

თვითონ გეოგრაფიული სახელწოდება ჯავახეთი წარმომდგარია სატომო სახელისაგან ჯავახ-ი. მას დართული აქვს გეოგრაფიული -ეთ სუფიქსი, რაც ტოპონიმს ჯავახთა ტომის ხალხთა ერთადმყოფობის, სიმრავლის, გავრცელებულობის შინაარსს სძენს. ჯავახ-ეთ-ი, მაშასადამე, იმგვარადვეა წარმოქმნილი, როგორც სხვა ეთნიკური ტოპონიმები: მესხ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი, ჭიქ-ეთ-ი, მთიულ-ეთ-ი, ხევსურ-ეთ-ი...

საინტერესოა, რომ ჯავახეთის შინაარსის გარკვევა, მისი წარმომავლობის დადგენა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში უცდიათ ჩვენს მემკვიდრეებს. ლეონტი მროველის მიხედვით სახელწოდება ჯავახეთი წარმომდგარი ყოფილა ლეგენდარული მცხეთოსის უმცროსი შვილის ჯავახოსის საკუთარი სახელის მიხედვით. როცა ქართლოსის ძემ, მცხეთოსმა, თავის სამ შვილს, უფლოსს, ოძრხოსს და ჯავახოსს, თავთავისი სამფლობელო გაუჩინა, ჯავახოსისათვის მიუცია ტერიტორია ფარავნის ტბიდან მოკიდებული, „ვიდრე თავადმდე მტკვრისა“. მემკვიდრეებთან დაშორებით იმასაც გვაცნობებს, რომ ჯავახოსს თავის სამკვიდროში ორი ციხე-ქალაქი აუშენებია: „წუნდა და ქალაქი არტანისა“; მაშინ არტანს ქაჯთა ქალაქი ერქვა, ამჟამად კი ჰურს უწოდებენო.<sup>152</sup>

ლეონტი მროველისეული განმარტება ტოპონიმ ჯავახეთისა ტრადიციულია: მხოლოდ ასე „იხსნებოდა“ საქართველოს ცალკეული ქალაქებისა თუ კუთხე-ქვეყნების სახელწოდებები ქართლოსიანი მამამთავრების საკუთარი სახელების მიხედვით — მცხეთოსს ალუშენებია მცხეთა, უფლოსს — უფლის-ციხე, ოძრახოსს — ოძრჯე, გარდაბოსს — გარდაბანი, გაჩიოსს — გაჩიანი და ა.შ.

ამიტომ მემკვიდრის ცნობა ჯავახეთის ჯავახოსისაგან წარმომავლობის თაობაზე დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. ტოპონიმი ჯავახეთი, როგორც ზემოთ ვთქვით, უდავოდ სატომო ჯავახ-სახელისაგან არის წარმომდგარი, ოღონდ სპეციალისტთათვის დღემდე სარწმუნო-

<sup>152</sup> ქართლის ცხოვრება ტ. I (ს. ყ ა უ ზ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ.) თბ., 1955, გვ 10, 1.

ნოდ არ არის გარკვეული თვით ტერმინ ჯავახ-ის რაობა. ერთი რამ აშკარაა: ქართული ეთნონიმების ერთი ნაწილი ფუძის ბოლოციდურ თანხმონად ზ თანხმონანს იჩენს: მეს-ზ-ი, კოლ-ზ-ი, კა-ზ-ი, კუ-ზ-ი, ტაო-ზ-ი, კარდუ-ზ-ი... გამოთქმულია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ამ სახელთა ფუძეები ქვეყნების აღმნიშვნელი ოდენობებია, ზ კი — ეროვნების აღმნიშვნელი საკვეცი ფორმანტი.<sup>1653</sup> თუ მართლაც კოლზ-, ტაოზ-, კარდუზ- სიტყვებს ზ ელემენტს ჩამოვაშორებთ, დაგვრჩება კოლ-, ტაო- და კარდუ- (||ქართუ) ფუძეები ანუ იმ ქვეყანათა (მხარეთა) სახელწოდებები, რომლებშიც აღნიშნული ტომები სახლობდნენ ისტორიულად. ტაოზი უდრის ტაოელ ტომს, კოლზი კი კოლაელ ხალხს, იმ ხალხს, რომლებიც მტკვრის სათავეებში ცხოვრობდნენ;<sup>1654</sup> თუ დავუშვებთ, რომ ტაო მართლაც ის ქვეყანაა, რომელშიც ტაოზები სახლობდნენ და რომელსაც ტრადიციულად ჯავახეთი ეწოდებოდა, მაშინ შეიძლება გვეფიქრა ტაოზ- დაოზ- ჯაოზ-||ჯავახ- სატომო სახელთა ურთიერთკავშირის შესახებ, თუ კი ტ — დ — ჯ პროცესს ფონეტიკური თვალსაზრისით დიდი წინააღმდეგობა არ შეხედებოდა. მაშასადამე, ჯაოზ-||ჯავახ- ეთნონიმი თეორიულად შეიძლება ტაოზ||დაოზ- ფორმათაგან მომდინარე ერთეულად ვცნოთ. როგორც ვხედავთ, ჯაოზ-ეთ-ი (||ჯავახეთი) ზუსტად ისე გვქონია მიღებული, როგორც სხვა ეთნოტოპონიმები: მესზ-ეთ-ი, კოლზ-ეთ-ი, კაზ-ეთ-ი (—კასზ-ეთ-ი)<sup>1655</sup> და მისთ.

ჯავახ-ი ასეთი, ერთი შეხედვით უცნაური, სახელწოდების, სოფელი არსებობდა ძველ ქართლში, გლდან-საგურამოში შემაველ ტერიტორიაზე, დღევ. ავქალის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“ სოფელი ჯავახი სწორედ ავქალის სოფელთა შორის არის ნაჩვენები ლელუბან-ტუტალასა და ფოსო-ჯვარ-წიწამურს შორის.<sup>1656</sup> იოანე ბატონიშვილის მიხედვით ყველა ეს სოფელი „ახეთს მიეწერება“; „ქახეთს რაც სოფლები მიეწერება, ჩრდილოეთის კერძო

<sup>1653</sup> ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია I. თბ., 1960, გვ. 411. (მე-5 გამოც.).

<sup>1654</sup> ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 411.

<sup>1655</sup> იქვე, გვ. 406.

<sup>1656</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... 1941, გვ. 206.

რომელიც მდებარეობს, გრდანიისა და საგურამოს ხეობისა, არიან შე-  
მდგომნი ესე სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლები  
და ადგილნი: ქ.გრდანი, ქ.ავჭალა, ქ.მანკოდა, ქ.ტუტალა, ქ.ჭაჭვი, ქ.ფო-  
სო, ქ.ჯვარი, ქ.საგურამოს ციხე, ქ.წიწამური“...<sup>1657</sup>

ჩვენმა მკითხველმა უკვე კარგად იცის, რომ ხალხი მშობლიურ  
სოფლებს სახელებს გარკვეული მოტივაციით არქმევს. მათში აუცილებ-  
ლად მინიშნებულია ობიექტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება  
(ორწყალი, სამგორი, ხიდისთავი, რუისპირი, ქვაზვრელი, ტაბახ-  
მელა...); წინავითარება (ნასაკირალი, ნასპარსევი, ნადარბაზევი,  
ნაქალაქარი...); ობიექტის ოდინდელი კუთვნილება (ანასეული, პა-  
ტარძეული, ფარსმან-ნაყანევი (— ფარცხანაყანევი), სილაური,  
ივანეული, ჩოხატაური, საგურამო, სამაჩაბლო...); სხვა ობიექტთა-  
გან განმასხვავებელი სპეციფიკა (ოქროყანა, ხეკორძი, ხრესილი,  
თავკვეთილი...) და მისთ. ამ შემთხვევაში კი სულ სხვა ვითარებასთან  
გვაქვს საქმე — სოფლისათვის შეურქმევიათ გაუფორმებელი საზოგადო  
არსებითი სახელი ჭაჭვი. ეს არაა ჭაჭვე-ეთ-ი, სა-ჭაჭვე-ე, ნა-ჭაჭვე-არ-ი...  
რომ მათგან მსმენელმა რაიმე წარმოსახვითი ინფორმაცია მიიღოს. თა-  
ვისთავად ტერმინი ჭაჭვი, გამოყენებული სოფლის სახელად, თითქოს  
არაფრისმთქმელი, „მუნჯი“ სახელწოდებაა. მაგრამ ირკვევა, რომ ტოპო-  
ნიმი ჭაჭვი საკმაოდ ფართო ინფორმაციის შემცველი ერთეული ყოფი-  
ლა. საქმე ისაა, რომ ძველ საქართველოში მიწის მზენელ-მთესველები  
სახნავი თუ სათიბ-საძოვარი მამულების ასაზომ საშუალებად იყენებდა  
ჭაჭვს. შიდა ქართლში, მაგალითად „ათი ჭაჭვი მიწა“ ერთი ქცევა იყო.  
„ერთი ქცევის გატანა“ კვალის (თიბვა, ხვნა...) ერთი თავიდან მეორე  
თავამდე დასრულებას ნიშნავდა და ახლაც ნიშნავს. მიწის საზომ ერთე-  
ულად გლეხობა, როგორც ირკვევა, ძირითადად თოკს ხმარობდა, თუმ-  
ცა გამოვლენილია სიგრძის საზომად ტერმინ „ჭაჭვის“ გამოყენების შე-  
მთხვევებიც. გარეკახეთის ზოგიერთ სოფელში ქართველ ეთნოგრაფთა  
მიერ გამოვლენილია საზომ ერთეულად სიტყვა „ჭაჭვის“ ხმარების  
ცალკეული ფაქტები. „ორმოცდაათი ჭაჭვი“ მიწა ხუთ ქცევას აღნიშნავ-  
და; ამდენი და ამდენი გადება ჭაჭვისა (ან უღლისა) შესაბამისი ზომის  
ფართობს გულისხმობდა. მეშინდერეობაში საზომ საშუალებად გამოყე-

<sup>1657</sup> იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986. გვ. 64.

ნებული ტერმინი „ჩაკვი“ შემდგომ საფუძვლად დასდებია სოფლის სახელს. მაშასადამე, სოფელი ჩაკვი გაშენებულია იმ მამულებში, რომლებსაც ძველად ჩაკვით ზომავდნენ; „ამდენ და ამდენ ჩაკვი მამულზე გაშენებლი სოფელი“.

ძველად მეურნეობაში, როგორც ვთქვით, მიწის საზომად გამოიყენებოდა სიტყვა „თოკი“. ამის შესაბამისად სამცხეში შექმნილა სოფელი თოკი (ასპინძის რაიონი). შესაძლებელია იმავე სამეურნეო პროცესთან იყოს დაკავშირებული გარეკახეთის სოფლის სახელწოდება ანთოკი-ც (ანათოკი?).

მიწის სავარგულების თოკით აზომვის პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის ხალხთა სამიწათმოქმედო პრაქტიკაში. გაზომვის ეს მეთოდი ცნობილი ყოფილა ძველი რუსეთის მიწათმოქმედთა შორისაც. აქ თოკით აზომვის ოდინდელ პრაქტიკაზე მეტყველებს ენაში შემორჩენილი ტერმინი "вервление" აგრეთვე, "веревка", რაც 1.850 მ<sup>2</sup> მიწის ფართობს უდრდა.<sup>1658</sup>

ჩვენში ასეთივე ხალხურ საზომ ერთეულად მიღებული უნდა ყოფილიყო ეტი, რომლის მიხედვითაც ქვემო ქართლში შექმნილია სოფლის სახელი ეტისი, იგივე ერტისი (იხ.).

**ჰიქითუბან-ი** ისტორიული სოფელი იმერეთში (სამტრედიის რ., ეწრის სას. ს.). იგი გაშენებულია იმერეთის დაბლობზე მდ.ცხენისწყლის მარცხენა მხარეზე; ზღვის დონიდან 35 მ. შუა საუკუნეებში (XI-XII ს.ს.) ჩიქითუბანში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა ერთ-ერთი საზაფხულო სასახლე ყოფილა აგებული. აქვე იდგა მთავარანგელოზის სახელობის მონასტერი (XV ს. I ნახევარი), დღევ. წმ. ელიას ტერიტორიაზე. ეს შესანიშნავი, ქვით ნაგები ეკლესია, ისევე როგორც მრავალი სხვა ძველი საკულტო ნაგებობა, პირწმინდად დაინგრა და აღიგავა პირისაგან მიწისა ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში, მასობრივად გაშლილი ანტირელიგიური კომპანიის დროს. „ჩვენთან იდგა გორაზე დიდი ეკლესია, იცოდენ იქ ელიობა. რო შამოვიდენ, თლა დაამგრიეს, აგური და ქვაი აღარ დატიენ, ყოლაფერი წეიდენ რაფრა ნაშენი ეკ-

<sup>1658</sup> В.Дан-ის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით; იხ. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე . მემინდერეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 227.

ლესია იყო, რა ერჯენდელი ხეები იდგა! დიდვანი ხეები იყო, სამი კაცი, ოთხი კაცი ხელს ვერ შამოატოლებდა. ქე გადოულენ სურათები. ეკლესია იყო მაღალი, მაღალი ქონდა გაკეთებული ბირკვილი. პეტერე ვიყავი, ევილოით ბაღნები ზეთ და იქიდან მოჩანდა ყოლაფერი. რა ხალხი დეიარებოდა! სა იყო მაინც იმდონი ულუსი ხალხი! გარდამოხსნას უძახოდენ, სითგან არ მოდიოდენ. ელიაში ზემოთ ყავდენ ორი ძმა, ერთი — კოსტანტილე, მიორეს, მგონია დავითს უძახოდენ, არ მახსოვს კათა. ასთე იტყოდენ, რომეო ორი ძმებიაო. ერთად მოყავდენ, ერთათ ეწვინენ იმ დასაწვავში და ისთე მოყავდენ, ბუდოკი იყო გძელი, ე, იმხელვანე და იმას უკრავდენ. ლუკაია იყო, ძაძამიე, პრიჩენდიკი, საროსტას უძახოდენ, იგი უკრავდა ძალიანი კარგათ. ზოგს კ'არ ჭეროდენ, ამთენხანს კეტარს რავა შეინახავენ, სამთელის არის გაკეთებულიო! რაცხა წამლები იყო, იმითი უვლიდენ. დიაკონი იყო, ღვდელი იცოდენ, კიდევ ანიკიე იყო მაღაზონი, პატარა ქალი იყო, მარტო, სამოძირო არ ყავდა საცოდავს. ისინი უვლიდენ და პატრონობდენ გვამეფს. მაღლა ინახავდენ. ბირკვილითგან რო ჩამეიყვანდენ, ასე ერთათ მოყავდენ და უკრავდენ ბუდოკს. რა პლანათ არ დოუკრავდენ ამ ზარეფს!

მერე კილო ელიობას იცოდენ ხატის გამოყვანა. წეიყვანდენ ხატს, გალობით მიყავდენ, გუბისწყალს უძახით, იქინე მიყავდენ და მოსული სა იყვენ, თლა დასოვლებული იყო ხალხი. ნამეტანი გაწუმდებოდა! ახლა აღარც ხატის ჭერავენ, აღარც ელიობის და მიტოა ასთე ყოლიფერი გადასხვაფრებული. წევიდოდენ და მერე ჯარათ ამევიდოდენ. ასე ჭგუფ-ჭგუფა მოდიოდა იმდონი ალაზანი ხალხი. შუალმისას კი არა, დღისულ. მზისით, თლა სოველი იყო ყოლაფერი!" (მაშიკო ამბაკოს ასული კობალეიშვილი ს.ჭიქთუბანი, 1988 წ.).

ქართულ საისტორიო წყაროებში სოფელი ჭიქთუბანი გვიან ჩნდება. პირველი ცნობები მის შესახებ XVII საუკუნის 20-იან წლებს განეკუთვნება. „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალის მოსაყრებლობის დავთარში“, რომელიც 1621 წელს არის შედგენილი, აღნიშნულია, რომ ჭიქთუბანის სასახლის ყმების (ჩამოთვლილია: მამაგულა კობალეისშვილი, ივანია კობალეისშვილი, ნასყიდა ქვარკვეალიძე; სოფ. ჭანგას<sup>1659</sup>

---

<sup>1659</sup> ჭანგა, ჩენი ფიქრით, დღევანდელი ჭაგანი უნდა იყოს. იგი გადამწერის შეცდომა ჩანს: ჭაგანს — ჭანგას.

მცხოვრები მამაცა და მამისთვალა რუხვაძეები, გოგიჩა და სჰონა რუხვაძეები...) გამოსაღების ჭუმალი (-ჯამი) შეადგენდა 80 კოკა ღვინოს, 8 ურემ ღომს, 14 საკლავს, 80 კოკა კიდევ სხვა ღვინოს. „სულა ყველა ღვინო ას სამოცი არის“.<sup>1660</sup> ამ დოკუმენტის მიხედვით ისიც ირკვევა, რომ სოფელი ჭიქთუბანი (ჭიქთობანი) ერთი კონკრეტული სოფლის სახელი კი არ ყოფილა, არამედ, როგორც საეკლესიო ცენტრი, შეიცავდა რამდენიმე ახლომდებარე უბან-სოფელს, როგორც იყო იგივე ჭაგანი (ძეგლის მიხედვით ჭანგა!) ქოცნათი, თლია და სხვ.

ტოპონიმი ჭიქთუბანი ანთროპონიმული (გვაროვნული) წარმოშობის ერთეული ჩანს. თვით მსაზღვრელი სიტყვის, ეთნონიმ ჭიქ-ის, თანთან მრავლობითში დასმა, რაც საკმაოდ ნიშანდობლივი მოვლენაა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, იმერეთის ანთროპონიმულ ტოპონიმიაში (შდრ. გოლათუბანი, გუდათუბანი, ბეჟათუბანი, მაქათუბანი, ქველეთუბანი, სარქველეთუბანი, მარტოთუბანი და მისთ.). ცხადად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ტოპონიმს საფუძვლად დასდებია სხვადასხვა კუთხე-უბანთა კრებითობა და ამ უბნებში მცხოვრებ ხალხთა ერთობლიობა. ჭიქთ-უბანი||ჭიქების უბანი. უთუოდ ინტერესს აღძრავს იმის გარკვევა, ვინ იყვნენ სოფლის პირველი დამფუძნებლები — ჭიქების (ზიხების) კავკასიურ ტომის წარმომადგენლები თუ ამ ეთნონიმის მიხედვით გაფორმებული მეგრული გვარის ჭიქიების პირველი მეკომურები? ჩვენ უფრო სარწმუნოდ ეს უკანასკნელი მიგვაჩნია.

სოფ. ჭიქთუბანს წარმოების თვალსაზრისით ზუსტ ანალოგს უძებნიან ვანის რაიონში სოფ. ჭიქეფონი-ს სახით, რომელშიც -ეფ ქართული თ- მრავლ. რიცხვის ნიშნის ფარდი ელემენტი ყოფილა: ჭიქეფ-ი — ჭიქ-ნ-ი||ჭიქ-თ-უბანი.<sup>1661</sup> იქნებ: ჭიქე-ფონი? შდრ. იქვე მიქე-ლეფონი (მიქელეთფონი?) და საყოველთაოდ ცნობილი ზესტა-ფონი, აგრეთვე, ძველი შორა-ფონი (||შორაპანი).

შეიძლება დავასკვნათ: ჭიქთუბანი ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმია; იგი უნდა გავიაზროთ როგორც „ჭიქიების სოფელი“, „ჭიქიების საცხოვრებელი ადგილი“. ეს კი თავისთავად გამოგვარიცხვინებს მის

<sup>1660</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 411-412. იხ. აგრეთვე: მასიგტ I, 1964, გვ. 283. სტ. ჭიქთუბანი (ჭიქთობანი).

<sup>1661</sup> ს ჭ ა ნ ა შ ი ა , შრომები III, თბ., 1959, გვ. 45.

სატომო სახელ ჭიჭი-საგან (||ზიხი) მომდინარეობის შესაძლებლობას.

**ჯოლხეტი-ი** სოფელია ზემო იმერეთში (ქიათურის საქალაქო საბჭო). გაშენებულია მდ. ღვითორის (ბუჯის მარცხ. შენაკადი) თვალწარმტაც ხეობაში. ტოპონიმი **ჯოლხეტი** გაფორმებულია გეოგრაფიული -**ეთ-** სუფიქსით, რომელიც უპირატესად სატომო (ეთნიკური) და გვაროვნული ფუძეებისაგან წარმომდგარ ტოპონიმებში იჩენს თავს (იმერ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, მესხ-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი, ჭავჭავ-ეთ-ი, მთიულ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი; დადიან-ეთ-ი, ივან-ეთ-ი, უჩან-ეთ-ი, გრიგოლ-ეთ-ი, ბასილ-ეთ-ი, ბაზალ-ეთ-ი, გოგი-ეთ-ი, ინწყირვ-ეთ-ი, ყანჩავ-ეთ-ი, ჯალაბ-ეთ-ი...).

თუ სახელწოდება **ჯოლხეტი**-ს მაწარმოებელ -**ეთ-** სუფიქსს ჩამოვაცილებთ, ფუძედ დაგვრჩება **ჯოლხე**, რომელიც ჩვენ ზანური (მეგრული) წარმომავლობის გვარად, უფრო სწორად, სამეგრელოდან იმერეთში გამოთხოვილი ქალის გვარსახელად, გვესახება. ძველად ქალს, ჩვეულებრივ, მამისახელობით მოიხსენიებდნენ. ეს ზედწოდება ზუსტად აღნიშნავდა მამისეულ ოჯახს, საიდანაც ესა თუ ის ქალი (რძალი) იყო წამოსული. ამის მიხედვით **ბარამიხე**, **გალდავახე**, **გაგუახე**, **ლომთათიხე**, **ჩაგუნავახე**, **სარიხე**... ნიშნავდა იმას, რომ ოჯახში შემოსული რძალი გამოთხოვილი იყო ბარამიას (ბარამიძის), გალდავას, გაგუას, ლომთათიძის, ჩაგუნავას, სარიშვილის... ოჯახებიდან. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ **ჯოლხე** ანუ **ჯოლიხე** **ჯოლიას** გვარიდან გამოთხოვილი ქალის აღსანიშნავი ზედწოდება ყოფილა. როგორც ჩანს **ჯოლიხე** (ჯოლიას ქალი) დროთა განმავლობაში ისეთი პოპულარული და ცნობილი ზედწოდება გამხდარა, რომ მისი მიხედვით უბნის, სოფლის სახელწოდებაც კი წარმოქმნილა (მდრ. ანასეული, თამარაშენი||თამარანაშენი, თინიკაანი...). **ჯოლიხე** („ჯოლიას ქალი“) რომ სამეგრელოში ცალკე გვარადაც არსებობდა, ამაზე ნათლად მეტყველებს სოფლის სახელწოდება **ღეჯოლიხე** (წალენჯიხის რ.). როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის შენიშნული, **ღე-** თავსართი ჩვეულებრივი გვაროვნული კრებითობა-სიმრავლის აღმნიშვნელი დეტერმინანტია მეგრულ, აგრეთვე, სვანურ ონომასტიკაში;<sup>1652</sup> **ღე-ბაჩიღე**, **ღე-ხაინდრ-ე**, **ღე-სი-**

<sup>1652</sup> ა. ც ა გ ა რ ე ლ ი , მეგრული ეტიუდები, II გამ., ს.პტბ., 1880, გვ. 50-51 (რუს.). მ . ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი . ქართული ვრამატიკა, ტფ., 1906, გვ. 10;

ქინე, ლე-გოგიე, ლე-გერსამე, ლე-წურწუმე... აქედან გამომდინარე, ლე-ჟოლიხე უნდა გავიაზროთ როგორც „ჯოლიხეების სოფელი“, „სოფელი, რომელშიც ცხოვრობენ (ან ცხოვრობდნენ) ჟოლიხეს გვარის ოჯახები“.<sup>1663</sup> რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმ ჟოლიხეთს, ისიც, როგორც ვთქვით, იმავე ჟოლიხე- გვაროვნული ფუძისაგან არის წარმოქმნილი, ოღონდ მას, ლე-ჟოლიხე-საგან განსხვავებით, -ეთ- სუფიქსი აქვს დართული. ორივე შემთხვევაში ამ გრამატიკულ ელემენტებს (ლე- პრეფიქსსა და -ეთ- სუფიქსს) ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ დაკისრებული; ესაა ჟოლიხეების გვარის წარმომადგენელთა ერთად მყოფობისა და სიმრავლის აღნიშვნა.

**ჰორწყუ** მდინარეა სამეგრელოში (მარტვილის რ.); სათავეს იღებს ასხის მთის მასივში, მიერთვის მდ.აბაშას (მარცხენა შენაკადი). ჯორწყუს სახელი გაუთქვა ასხის მთის მასივზე, ს.ბალდასთან არსებულ-მა ძალზე საინტერესო კარსტულმა მღვიმემ, რომელიც ჩვენში ჯორწყუს მღვიმის სახელით არის ცნობილი. ამ მღვიმეში, რომლის საერთო სიგრძე 250 მეტრს შეადგენს, გვხვდება სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების, აგრეთვე, კირქვის ნალენთებით ნაგები ზღაპრული სილამაზის სვეტები. იგი საკმაოდ მდიდარია მღვიმური ფაუნით. მღვიმეში წლის ყოველ დროს ერთნაირი ტემპერატურა (13,5°C) დგას. ჯორწყუს მღვიმეს აქვს უამრავი განშტოებები. მღვიმეში მიედინება წყლის ნაკადი.

სახელწოდება ჯორწყუ ორი სიტყვისაგან არის შედგენილი. პირველი ჯორ- ფუძე, საფიქრებელია, ქართულიდან მეგრულში შესული ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა ჯორი||ჯორი იყოს; მეორე ფუძე „წყუ“ აშკარად მეგრულია. ნიშნავს: „წყალი“, „მდინარე“, „წყარო“.

---

ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 193-197; გ კ ა ქ ა რ ა ვ ა , ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების აგებულებისათვის ქართველურ ენებში: ა.ს.პუშკინის სახ.პედინსტიტუტის შრ.ტ. XV, თბ., 1960; პ . ც ხ ა დ ა ი ა . მთიანი სამეგრ. ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 72.

<sup>1663</sup> არსებობს მოსაზრება, თითქოს ორივე ამ ტოპონიმისათვის (ჯოლიხეთი და ლეჯოლიხე) ამოსავალი იყოს გვარი ჯოლიხეა (პ . ც ხ ა დ ა ი ა ).



შდრ. ჩხორთოწყუ („ცრა წყარო“ ანუ „წყარომრავალი ადგილი“), წყურგილიშრზენი — სათიბი ადგილია ს.ჩხორთოლში (გალის რ.), ბული(შ)წყუ („ბლის წყარო“) — სოფელი ხობის რაიონში; ჭითა-წყურგილი („წითელი წყარო“) — ადგილია სოფ. საბერიოში, გალის რ. და სხვ. მრ. მაშასადამე, ჯორწყუ (— ჯორ(იშ)-წყუ) უნდა გავიაზროთ, როგორც ჯორის წყალი, ჯორის მდინარე.

ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არსებული გადმოცემის მიხედვითაც ჯორწყუ ჯორის წყალს ნიშნავს (შდრ. ცხენისწყალი); აქ ჯორები მოყავდა ხალხს დასარწყულებადო. იქნებ: ჯვარწყუ „ხატის წყალი“?

**ჯუგაან-ი** დიდი სოფელია ქიზიყში (სიღნაღის რ.); პოეტ სანდრო შანშიაშვილის მშობლიური სოფელი. ჯუგაანი გაშენებულია გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთების ძირას. ტოპონიმი ჯუგაანი წარმომდგარია ადამიანის საკუთარი სახელის (ჯუგა||ჯულა) მიხედვით, რომელსაც დართვია აქაური ტოპონიმიისათვის ერთობ ნიშანდობლივი -ან- სუფიქსი.<sup>1664</sup> ეს ფორმანტი საერთოდ ხშირად ვხვდებოდა კახეთის, აგრეთვე, ქართლისა და მისი მთიანეთის ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმებში. მისი ფუნქციაა — აღნიშნოს ამა თუ იმ სოფელში მცხოვრები ძირითადი გვარის სიმრავლე, კრებითობა: ნან-იან-ი, ფან-იან-ი, ნუკრ-იან-ი, ოზა-იან-ი, მირზა-იან-ი, ტიბა-იან-ი, ჭიკა-იან-ი, ცლუნკა-იან-ი, მელა-იან-ი, ოთარა-იან-ი, ზეგა-იან-ი, ბულა-იან-ი, ჯულა-იან-ი, მაჩხა-იან-ი, გურჯა-იან-ი და სხვ. მრ.

ამის მიხედვით ჯუგა-იან-ი უნდა განიპარტოს, როგორც „ჯუგას შთამომავალთა სოფელი“; „სოფელი, რომლის პირველი და ძირითადი გვარი ჯუგაშვილი ყოფილა“. მოსალოდნელია, რომ ჯუგა მასზე უფრო გავრცელებული სახელის ჯულას გადაბგერებული ვარიანტი იყოს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ თელავის რაიონში არსებობს სოფელი ჯულაანი. ამ ორი სახელწოდების ერთიანიმავე საკუთარი სახელისაგან წარმომავლობა ექვს არ იწვევს.

**ჯურიუხვიტი-ი** სოფელია გურიაში (ლანჩხუთის რ.), გაშენებუ-

<sup>1664</sup> როცა საყრდენი ფუძე თანხმოდნით მთავრდება, მაშინ -ან- სუფიქსის ნაცვლად იმავე დანიშნულების -იან- სუფიქსი იჩენს თავს

ლია გურიის დაბლობზე ზღვის დონიდან 30 მეტრზე, ტაპონიმი ჭურუყვეთი, ისევე როგორც ამ რეგიონის არაერთი სოფლის სახელი, გაფორმებულია -ეთ- სუფიქსით, რაც მის გვაროვნულ წარმოშობაზე მიგვანიშნებს (მდრ. გრიგოლ-ეთ-ი, ჩანჩ-ეთ-ი, მაჩხვარ-ეთ-ი, იან-ეთ-ი, ხვარბ-ეთ-ი, ქანი-ეთ-ი, მაკვან-ეთ-ი, გოგი-ეთ-ი...) მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაშიც ტაპონიმი ჭურუყვეთ-ი საყრდენ (ამოსავალ) ძირად ადამიანის გვარს ჭურუყვეა-ს იყენებს. ჭურუყვეა- კი ისეთივე გურული ანთროპონიმული წარმონაქმნია, როგორც ინგოროყვეა, ღელეყვეა, როყვეა, ბობოყვეა(თი), ქანუყვეა(ძე) და მისთ. მართალია, მეცნიერებს შორის ნაწილობრივ არის გაზიარებული ვარაუდი - ყვეა სიტყვის (სართის) ჩერქეზული (ადიღეური) ენიდან მომდინარეობის თაობაზე, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ ეს -ყვეა||-ქუა||-ქვა ელემენტები ადგილობრივი (კოლხური) წარმომავლობის ენობრივ ფაქტად ვცნოთ. შესაძლოა შემდგომმა კვლევა-ძიებამ -ყვეა სართის -ყ- სეგმენტი ძირისეულ მასალად მიგვაჩვენოს, ხოლო -გა ელემენტი — მეგრული გვარების საწარმოებელ სუფიქსად. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვანხენდეს ის ფაქტი, რომ „ტბეთის სულთა მატთანეში“ ფიქსირებული ძველი ქართული სახელ-გვარების ერთი ნაწილი გაუფორმებელი ფუძის ბოლოს ყ თანხმოვანს იჩენს: მორთულაყი, შავჩიტყი, მურუყა, ჩუფაკისაყი...<sup>165</sup> საფიქრებელია, ეს ყ გადმოსცემდა ხმის შემართვას მომდევნო -ჟა||-ვა სუფიქსის წინ: მორთულა-ყ-, მურუ-ყ-, ჩუფაკისა-ყ-... დროთა განმავლობაში ყ ბოლოკიდური თანხმოვანი -ჟა||-ვა სართის მეზობლობაში ჩაეარდნილა. იგი მხოლოდ რამდენიმე მაგალითში შემოგვრჩენია.

მაშასადამე, ჭურუყვეა (ჭურუყვე-ეთ-ი) უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ჭურუ-ყ-ვა (||დურუ-ყ-ვა) და იგი ჭურუს შთამომავლის აღმნიშვნელ სახელად მივიჩნიოთ. ამრიგად, ჭურუყვეთი ნიშნავს: „ჭურუს (დურუ?) მოგვარეთა სოფელი“, „ჭურუყვეების სოფელი“.

ჯეშლის-ი პატარა სოფელია მთიულეთში (დუშეთის რ., ქართლის სას. საბჰო). გაშენებულია მდ. ჯულისურას (არაგვის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, გუდამაყრის ქედის დასავლეთ კალთაზე. სახელწო-

<sup>165</sup> ტბეთის სულთა მატთანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თინათინა ქიქციანი (ნ. შოშიაშვილის რედაქციით), თბ., 1977, გვ. 167.

ვნილებას აღნიშნავს: „ჭულა-ის შთამომავლობის სოფელი“, ჭულ-ის-ი. შეიძლება ითქვას, რომ ჭულისი ბოლო სოფელია, სადაც წყდება ქართლის ბარისათვის ესოდენ დამახასიათებელი -ის სუფიქსი. ამ პუნქტის ზემოთ, მთელს მთიულეთ-გუდამაყარში, -ის სუფიქსიანი სოფლის სახელი აღარ დასტურდება. -ის სუფიქსის გამოყენება საერთოდ შეზღუდულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტოპონიმიაში. საკმარისია ითქვას, რომ ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის 80 დასახლებული პუნქტიდან მხოლოდ ერთია -ის სუფიქსიანი სახელი (დათვ-ის-ი). დაახლოვებით ასეთივე ვითარებაა შექმნილი ამ რეგიონში -ეთ- სუფიქსის გამოყენების თვალსაზრისითაც.<sup>1666</sup>

---

<sup>1666</sup> იხ. ჩვენი „ერწო-თიანეთის ტოპონიმია“ (ან ტ კ ი ზ ი რ ი ა ს რედაქციით), თბ., 1980, გვ. 18-19.

ტობონიმიკის, როგორც ლექსიკოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სპეციფიკური დარგის, მეცნიერულ შესწავლას უაღრესად დიდი შედეგებითი მნიშვნელობა ახლავს. ტობონიმიკური სისტემის სათანადო მეთოდოლოგიურ დონეზე შესწავლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი ენის ისტორიული ფონეტიკის კანონზომიერებათა დადგენა, რამდენადაც გეოგრაფიულ სახელწოდებებში ენის ცვლა-განვითარების ისეთი უძველესი მოვლენებია დაფიქსირებული, რომლებიც ბევრად უსწრებენ სამწერლობო ენის ჩამოყალიბებას.

კლასთა საზოგადოებრივი განვითარება გარესამყაროსთან მჭიდრო კონტაქტების გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენი უძველესი წინაპრებისათვის ბუნებრივი გეოგრაფიული ობიექტები (მღვიმე-გამოქვაბულები, მდინარეები, გარეულ ნადირთაგან კარგად დაცული კლდოვანი ხერგილები...) წარმოადგენდა ერთდროულად საცხოვრებელსაც და საკვების მოპოვების საიმედო წყაროსაც. დროთა განმავლობაში ადამიანებმა თანდათანობით იწყეს მათ კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული, სასიცოცხლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელწოდებების შექმნევა. სახელრქმევის პრინციპი ძირითადად მოტივირებული იყო იმ მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც ობიექტისათვის ყველაზე გამოკვეთილი და ნიშანდობლივი იყო — მთის სიმაღლე-სიდაბლე, ტყიანობა-უტყეობა, მზვარიანობა-ჩრდილიანობა; მდინარის სიჩქარე-სიმდორე, ტემპერატურა, ფერი, გემო და მისთ. ამ ნიშანთა მიხედვით ხდებოდა გეოგრაფიული ობიექტების ერთიმეორისაგან გამოყოფა, გარჩევა. ტობონიმთა ნომინაციის ეს პრინციპი დღემდე მოქმედებს, ამასთან, საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებასთან ერთად იხვეწება და უფრო სრულყოფილი ხდება (შდრ. კლდეკარი, ქვახვრელი, უჩაღალი („შავწყალა“), წყალტუბო („წყალთბილა“), ტაბახმელა („ხმელი, დამშრალი ტბა“), პირღებული, თავკვეთილი, ოჩხომური („სათევზია“), ხერთვისი, ტაბაწყური („ტბა-წყური“) და სხვ.მრ.).

ტობონიმებში მისი შემქმნელი და მომხმარებელი ხალხის ძველი და საინტერესო თავგადასავალია მოთხრობილი. ნიმუშად მარტო ჩვენი დედაქალაქის, თბილისის უბნებისა და ქუჩა-მოედნების მიკროტობონიმიაც იკმარება. თბილისურ ტობონიმებში შთამბეჭდავად არის არეკლილი მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის მშფოთვარე ისტორია: ადგილობრივი უძველესი ქართული ტობონიმების (ტფილისი, მტკვარი, მთაწმინდა, საგოდებელი, ზარის საყდარი...) გვერდით VIII საუკუ-

ნიდან მოკიდებული აქ არაბი დამპყრობლების მიერ მოტანილი ცალკეული სახელები ჩნდებიან (ისნი||ისანი, ყალა, ჰავლაბარი), შემდგომ სპარსულ-ირანული და სხვა აღმოსავლური ტომები გამოდიან ასპარეზზე: ნარიყალა, ხარფუხი, სეიდაბადი, ჩორსუბაზარი... მათ გვერდით თანაარსებობენ ძველი ქართული სახელები: ციხისუბანი, ცხენისტერფი, კალოუბანი, ლურჯი მონასტერი... მერე კვლავ ახალი, ამჟერად თურქულენოვანი ნაკადი, იჭრება დედაქალაქის ტოპონიმიაში: მეიდანის, სოლანლუდი, ორთატალა (||ორთა ქალა), ნავთლუდი, ჩულურეთი... დედაქალაქის ტოპონიმიაში სხვა, უცხოენოვანი. მოსახლეობის, კერძოდ, გერმანელების, მცირე ხნით „სხდომაც“ არის ასახული („კირიჩნი“ — გერმ. Kirche „ეკლესია“, Semel (ცნობილი გერმანელი ფარმაცევტის გვარი) და სხვ.

ქართული ტოპონიმის მეცნიერული შესწავლის ისტორია დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მართალია, საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობანი და ცალკეულ მნიშვნელოვან სახელწოდებათა ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების ნიმუშები ვახუშტი ბატონიშვილის დღემდე სამაგიდო წიგნშიც („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, საქართველოს გეოგრაფია) გვხვდება, მაგრამ ჩვენ მას მაინც ვერ მივიჩნევთ ტოპონიმურ ნაშრომად (თანამედროვე გაგებით). ის კი უეჭველია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ამ ნაშრომმა, აგრეთვე, იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერამ“ დიდი ბიძგი მისცა ჩვენში საზოგადოებრივი მეცნიერული დარგების, კერძოდ, ონომასტიკის განვითარებას, რაც ასე ცხადად აისახა XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I ნახევრის ქართველ განმანათლებელ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა (იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები, პლატონ იოსელიანი, დიმ.ბაქრაძე, გაიოზ რექტორი, დავით და ნიკო ჩუბინაშვილები, რაფ.ერისთავი...) ნაშრომებში.

ამავე დროს არ შეიძლება საგანგებოდ არ ითქვას იმის თაობაზეც, რომ ჩვენში გეოგრაფიულ სახელწოდებათა შესწავლის საქმეში, განსაკუთრებით ეტიმოლოგიის სფეროში, დღემდე საკმაოდ დიდი და შესაძინევი ხარვეზები გააქვს. მიზეზი ამ ნაკლებობებისა იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალისტთა ერთი ნაწილი ჭერ კიდევ ვერ გათავისუფლებულა ტოპონიმთა კვლევა-ძიების ძველისძველი ტრადიციული ჩვეებისაგან, როცა შესადარებელ ერთეულთა ფუძეების ნათესაობა ფონეტიკურად მსგავსი ელერადობის გზით იხსნებოდა. ამიტომაც ცხადდებოდა ერთი და იმავე წარმოშობისად თიანეთი და აღმოსავლური თიანა, შავიზღვისპირეთის ხოფა და ერწო-თიანეთის ხოფცა, ჰიდრონიმი

არაგვი და არამეულ-ლათინური არ-აკვა||არ-აგვა („მთის მდინარე“) და სხვ. მრავალი, რომელთაც ქემმარიტ საენათმეცნიერო კვლევასთან საერთო არაფერი აქვს.

წინამდებარე ნაშრომის ავტორი პირველ რიგში მიზნად ისახავს მკითხველს (წიგნის კვალიფიციურ მომხმარებელს) შესთავაზოს კვლევის თანამედროვე მეთოდებზე დამყარებული შედეგები. ეს მეთოდოლოგიური სიახლე რამდენიმე ამოსავალი დებულებით არის ნაშრომში რეალიზებული:

1. საკვლევი ტოპონიმის ფუძესა და საწარმოქმნო აფიქსებს შორის დამყარებული უნდა იყოს გრამატიკულ-ლოგიკური ურთიერთშეპირობებულობა: თუ ტოპონიმის ფუძედ ვთქვათ, რომელიმე ფაუნონიმი (დათვი, მგელი, კურდღელი, ირემი...) გამოდის მაშინ საწარმოებელ სუფიქსად მოულოდნელია -ეთ, -იან, -ურ-, -ოვან, -ნარ- და მისთანათა მქონებლობა; ფაუნონიმური წარმოშობის ტოპონიმებში დერივატ ელემენტებად უპირატესად აფიქსები (თესართ-ბოლოსართები) იჩენს თავს. მაშასადამე, მოულოდნელია ტოპონიმად აღმოგვაჩნდეს: დათვ-ეთ-ი, მგლ-ეთ-ი, ირმ-ეთ-ი... მათ ნაცვლად უნდა გვქონდეს (და გვაქვს კიდევაც!) სა-დათვ-ია, სა-მგლ-ე, სა-ირმ-ე...

2. შედგენილ (რთულფუძიან) ტოპონიმებში ფუძეთა შორის დამყარებული უნდა იყოს ლოგიკურ-აზრობრივი კავშირი: როდესაც რთული ტოპონიმის ერთ-ერთ ფუძედ რეალურად არსებული ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტი გვაქვს, მეორე ფუძე მას მატერიალურად და შინაარსობრივად უნდა შეესატყვისებოდეს. ამდენად კანონიერი წარმოებისაა: მთა-მალალი, ხევხმელა, თეთრახევა, ორწყალი, სამგორი, ჭყონდიდი, ცხრაწყარო, დიდგორი..., რადგან სახელის შემადგენელ ფუძეებს შორის სრული აზრობრივი თანხმობაა დამყარებული. იმ შემთხვევაში კი როცა ფუძეთა ურთიერთშეთანხმება (აზრობრივი თანხედომა) დარღვეულია (მჭადი-ჭვარი, ფიქრის-გორა (აბსტრაქტული ფიქრი+ფიზიკურ-მატერიალური გორა!) მუნიის კორდები...), იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ამ და მათ მსგავს არალოგიკურ ტოპონიმებს მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდიათ და რომ მათი თავდაპირველი სახის აღდგენა (ან, თუნდაც, ალოგიკურობის გამომწვევი მიზეზების დადგენა) სპეციალისტისაგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს.

3. თუ ორ-და მეტფუძიან ტოპონიმში ერთ-ერთ შემადგენლად რიცხვითი სახელი გამოდის, იგი, წესისამებრ, მხოლოდ პირველ ფუძედ (მსაზღვრელად) გვევლინება. ეს წესი უგამონაკლისოა; იგი საერთოა ყველა ქართველური ენის საწარმოქმნო მოდელისათვის: ორწყალი, სამთა-

წყარო, ცხრაწყარო (||ჩხოროწყუ), ორჭადრები, სამბოძალა, სამგორი, ცხრაძმითი, სამწყალი და მისთ. დაუშვებელია წყალორი, წყარო-ცხრა, ცხესამი, გორსამი, ჭადრებორი... ტიპის წარმოება. ამ ზოგად-თეორიული წესების გაუთვალისწინებლობამ, ან, უბრალოდ, იგნორირებამ შესაძლოა მკვლევარ-ტოპონიმიკოსი მეცნიერულად დაუსაბუთებელ და მიუღებელ დასკვნებამდე მიიყვანოს. სწორედ აღნიშნული წესების გაუთვალისწინებლობის შედეგია ის, რომ ტოპონიმი ლანჩხუთი ამ უკანასკნელ ხანს განიმარტა როგორც ლანჯი-ხუთი („კოპიტი-ხუთი“) და ეს მაშინ, როცა სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი და გაზიარებულია ლანჩხუთის სწორი ეტიმოლოგია „საძროხე“, „საძროხე ადგილები“. ასევე მცდარად განმარტავენ ტოპონიმებს: მგლიანი, მელაური, კურდღელაური, ნუკრიანი და სხვ. რომელთაც ფაუნონიმებად მიიჩნევენ, მათი ანთროპონიმული წარმომავლობა კი ექვს არ იწვევს. ყველა ეს ტოპონიმი წინამდებარე ლექსიკონში სათანადო არგუმენტაციით არის მოწოდებული.

4. გაიკვია, რომ ეთნონიმთაგან, აგრეთვე შიდასატომო სახელთაგან და პირის გვარ-სახელებისაგან წარმომდგარი ტოპონიმები წარმოების სპეციფიკურ ჯგუფს ქმნიან. ეს სპეციფიკურობა იმითაა გამოხატული, რომ ისინი ძირითად საწარმოქმნო აფიქსად იყენებენ სა- — -ო თავსართ-ბოლოსართს და არასოდეს — სა- — -ე აფიქსს: დაუშვებელია: საქართველ-ე, სა-მეგრელ-ე, სა-ინგილ-ე, სა-ჯავახ-ე, სა-კორინათლ-ე, სა-გურამ-ე, სა-მაჩაბლ-ე, სა-ბარათიან-ე... ფორმები. შდრ. სწორი (კანონიერი) წარმოების საქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ინგილ-ო, სა-ჯავახ-ო; სა-კორინთლ-ო, სა-გურამ-ო, სა-მაჩაბლ-ო. სა-ბარათიან-ო... აღნიშნული წესის დადგენამ სულ სხვაგვარად აგვახსნევინა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიული პროვინციის („ქვეყნის“) საკუთარი სახელი ს ა მ ც ხ ე , რომელიც მთელი ორი საუკუნის მანძილზე სა-მესხ-ე ფორმისაგან მიღებულად ითვლებოდა. ეთნონიმთაგან მომდინარე ტოპონიმებში სა- — -ე კონფიქსის გამორიცხვამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ სამცხე არ შეიძლებოდა ეთნონიმ მესხი-საგან ყოფილიყო წარმომდგარი. გაიკვია, რომ სამცხე ტერმინ სა-მცხეთ-ო-ს ბოლო მარცვალმოკვეცილი ფორმა უნდა ყოფილიყო. სამცხეთო, თავის მხრივ, ნიშნავს „მცხეთის სვეტიცხოვლის ეპარქიაში შემავალი ქვეყანა“, „მცხეთის საკათედრალო ტაძრის სამრევლო“, „მცხეთის ეპარქიის იურისდიქციაში მყოფი მხარე“. ჩვენი ეს ვარაუდი საისტორიო წყაროების მონაცემებმაც დაადასტურა: „ქართლის ცხოვრებაში“, მაგალითად, გვხვდება ტერმინი „სამცხეთარი“ („სამცხეთართა“ ფორმით), რაც სამცხეთოს ქვეყნის

მცხოვრებს აღნიშნავს, თუმცა ჩვენამდე ეს ტერმინიც **მესხეთ-არად** („მესხ-ელ-ი“) გაიაზრებოდა. საბოლოოდ დადგინდა, რომ ტოპონიმი **სა-მცხე** მიღებული ყოფილა არა **სა-მესხ-ე** (არარსებული) ფორმისაგან, არამედ რეალურად არსებული **სა-მცხეთ-ო** გეოგრაფიულ-სატომო შინა-არსის ტერმინისაგან.

5. ტოპონიმებში საწარმოებელი ელემენტების ფუნქციური განაწილების პრინციპის მომარჯვებით ასევე, ვფიქრობთ, სარწმუნოდ გაირკვა ძველი იბერიის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრის მცხეთის სახელწოდებაც, რომელიც ტრადიციულად (შეიძლება ითქვას, მექანიკურადაც კი! სატომო მესხ-ტერმინს უკავშირდებოდა: **მესხეთ-ა — მსხ-ეთ-ა — მცხ-ეთ-ა** (ბლ.იოსელიანი, ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, აკ.შანიძე, ს.ყუხუჩიშვილი, გ.მელიქიშვილი, ა.აფაქიძე, ზ.კუმბურიძე, გ.ლომთათიძე, ალ.დლონტი...). გამოითქვა, მოსაზრება, რომ ეთნონიმთაგან და სატომო სახელთაგან წარმომდგარ ტოპონიმებში საწარმოებელ ელემენტად არასოდეს გვქონია რთული -**ეთა** სუფიქსი. ასე რომ თეორიულად სავარაუდო, ფაქტობრივად არარსებულ **მესხ-ეთ-ა** ფორმას არ შეეძლო მოეცა **მცხეთა**, რომელშიც, აკად. ვარლ.თოფურჩიას მართებული მოსაზრებით, სუფიქსად უნდა გვქონოდა უძველესი ქართული -**თა** ელემენტი და არა შედგენილი -**ეთ-ა** დერივატი. მაშასადამე, სწორია დეფინიცია **მცხე-თა** და არა **მცხ-ეთა**. უძველესი გეოგრაფიული -**თა** სუფიქსის ფუძეებისადმი ფუნქციურმა კავშირმა გამოგვათქმევინა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც **მცხე-** ფუძე ისეთივე მიმღეობური შინაარსის ერთეული უნდა ყოფილიყო, როგორიცაა: **მ-წ-ე, მ-ძლ-ე, მ-ხნ-ე** (||**მ-ვნ-ე**), **მ-ტ-ე, მ-წლ-ე, მ-ცხ-ე**... ეს უკანასკნელი თავის მხრივ, წარმომდგარა ძველისძველი **მ-ვც-ე** სიტყვისაგან, რომელსაც მოგვიანებით, დაახლოებით IV-III საუკუნეებში (ძვ.წ.ა.), **მ-ცხ-ე** უნდა მოეცა, როგორც ეს **მ-ვც-ოვ-ან — მ-ხც-ოვან** (||**მ-ცხ-ოვან-**) მიმღეობებში მოხდა. აი, სწორედ ეს **მვცე||მხცე||მცხე** ტერმინი უნდა დასდებოდა საფუძვლად ტოპონიმ **მცხე-თას**, რომელიც **მხცეთა** (ანუ მამასახლისთა) სამყოფ ადგილად გაიაზრება (ზღრ. **მოგვ-თა, ბერ-თა, მოწამე-თა, ვან-თა, (უბანი) ჭუ-რია-თა** და მისთ.).

6. ასევე მკაცრადაა განაწილებული სუფიქსები ეთნონიმთაგან მომდინარე წინავითარების აღმნიშვნელ ტოპონიმებში. ძირითადი „ლატირთვა“ ამ ტიპის ნომენებში **ნა-** — **-ევ, ნა-** — **-არ** (||**ნა-** — **-ა** კონფიქსებზე მოდის. ამიტომაც გაჩნდა ექვი ისტორიული ხერკის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმის; **ზ ა ნ ა ვ ი - ს** ზანების ოდინდელი საცხოვრებელი ადგილის აღმნიშვნელ ერთეულად მიჩნევის გამო. ეთნიკური ჯგუ-



ფების ამა თუ იმ ტერიტორიაზე ადრინდელი ცხოვრების („სხდომის“) აღსანიშნავად ქართული ენა არასოდეს იყენებდა ოდენ -ავ- სუფიქსს (ზან-ავ-ი); მაშასადამე, უნდა გამოგვერიცხა ზანავის ეთნონიმური წარმომავლობა, რადგან -ავ- სუფიქსი ტოპონიმებში მხოლოდ სახელურ ფუძეებთან იჩენს თავს: მან-ავ-ი, სწროფ-ავ-ი, თელ-ავ-ი, ტყვი-ავ-ი, ბოდ-ავ-ი, ფხუნდ-ავ-ი, ვარგ-ავ-ი... ამის მიხედვით ზან-ავ- ფორმაც სახელური წარმოშობის ერთეულად უნდა ვცნოთ. შესაძლოა ზან- ძირი საერთო-კავკასიური გავრცელების წყლის, მდინარის აღმნიშვნელი სიტყვა იყოს (ალა-ზან-ი, ნარ-ზან-ი...). მცხეთის შემოგარენში არსებული ტოპონიმის ზან-ავ-ის წყლიანობასთან კავშირს მემპტიანე ლეონტი მროველიც აღნიშნავს.

ანალოგიური ხასიათის ნაკვლევი „ლექსიკონში“ სხვაც არაერთია.

„ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ მომზადდა იმ ვრცელი სალექსიკონო ფონდის მიხედვით, რომელიც არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ონომასტიკური კვლევის ლაბორატორიაშია დაცული. ივარაუდება მთელი მასალის შემდგომი დამუშავება და II და III ნაწილად (წიგნად) გამოცემა.

წინამდებარე „ლექსიკონი“ ანალოგიური ხასიათის ნაშრომთაგან ბევრი რამით განსხვავდება. პირველ რიგში იგი საინტერესო უნდა აღმოჩნდეს დარგის სპეციალისტებისათვის, მეორე მხრივ — წიგნის მოყვარული საზოგადოებისათვის, მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური სოფლების, დაბა-ქალაქების, მდინარე-ხევების და სხვათა ისტორია ენათმეცნიერის თვალთ დანახული და შეფასებული.

ყოველ საყურადღებო, სამომავლოდ გამოსადეგარ აზრს წიგნის ავტორი მადლიერებით მიიღებს: თბილისი-5, პ.ინგოროყვას ქ. №8; არნ.ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

(იენისი, 2001 წელი).

## Summary

Toponymy is one of the most important branches of lexicology. It is a well-known fact that the language-development processes and their results are already reflected in the geographic names. The data they give us are usually previous to the data given in a literary language. Therefore the linguistic study of the toponames has got a special importance when investigating a language system.

Throughout the centuries people used to give names to their living territory, such as the mountains, the rivers, the valleys, the forests and so on. The motivation of such names depended on certain characteristics, e.g. *Kldekari* 'a door in a roc'), *Kvaxvreli* 'a hole in a ston'), *Tsqaltubo* (= *cqalthila* - 'warm wate') and so on. This principle is in use nowadays as well.

The toponames reflect not only the history of a language but also the history of a nation. Such examples can be found in the micro-toponymy of Tbilisi, the capital of Georgia. (Tbilisi -'war'; Mtatsminda -'the holly mountai'; Sagodebeli -'the mourning plac'). In the VIII century there appeared the toponames of the Arab origin alongside the Georgian ones: *Isani*, *Qala*, *Havlabari* and so on. Later the micro-toponymy of Tbilisi was enriched with Iran and Turkish toponames such as: *Xarpuxi*, *Nariqala*, *Seidabadi*, *Meidani*, *Chugureti*. But in the process of nomination the Georgian toponames still appeared: *Lixisubani*, *Kalotubani* and others. In Tbilisi there are also some toponames related to existing the German population there, e.g. *Kurichni* (Kirche), *Zemeli* (Semel is the surname of the German chemist who lived there).

The history of toponymic studies is connected with the name of Ivane Javakhishvili - the great Georgian historiographer. The early signs of such studies are found in the well-known book of Vakhushti Batonishvili (XVIII cent.) "The Description of the Georgian Kingdom" (in Geor. "*ugcera samcposa Sakartvelosa*"). The similar works of the XIX-XX cent: authors are also well-known and have certain importance but they can not be called 'toponymic works' in pure sence. Though the role these works played in the development of etymology and onomastic is undoubtedly great. Among these authors we must mention Platon Ioseliani, Dimitri Bakradze, David Chubinashvili and some others.

It must be noted the study of geographical names especially from the etymological viewpoint should have been more advance. The main reason as it seems to us is that a number of specialists can not escape the influence of the old investigating methodology that is explaining the relationship

between two or more comparable stems of toponames only by their phonetical similarity. According to that, methodology such toponames as *tiancli* and *tiana*, *xopa* and *xorca* or hydronames *aragvi* and *arakla* / *aragva* (Arameolatin origin) were supposed to have the same origin. Such hypotheses have nothing common with scientifically based suggestions.

The author of the given work aims to present the results based on the new methodology of the etymological studies of Georgian toponames. That methodology can be stated briefly in the following theses:

1. There should be some grammatical-logical relationship between a stem and its derivative affixes, e.g. if a fauno-name (bear, hear, deer and so on) is evident as a stem of a toponame that such affixes as *-ct*, *-ian*, *-ur*, *-ovan*, *-nar* are not expected to occur. So instead of *datv-et-i* (*datvi* - a bear), *mgl ct-i* (*mgl-i* - a wolf), *irm-et-i* (*irmi* - a deer) we must have (and we really have) *sa-datv-ia*, *sa-mgl-e*, *sa-irm-e*.
2. In the compound toponames the logical relation between the several stems must be stated: if a real geographical object is evident as one of the stems of such a toponame the other stems must correspond it in meaning and in material. According to this rule the following toponames are derivated: Mtamagali, Xcvxmela, Tetraxeva, Orcqali, Samgori, Chnendidi and others. If the parts of the compound toponames do not correspond with each other such unlogically derived toponames should be considered to have had undergone great changes which are now difficult to investigate.
3. If in a compound toponames one of the first stems is represented by a numeral as a rule it is evident only as the first stem. This rule has no exceptions and it is common for all Kartvelian languages: *Orcgali*, *Samtaqaro*, *Chxratsqaro* (// *čxorocqu*), Samgori and so on. To ignore this rule leads to important misunderstanding. The toponames Lanchxuti is explained as *lanži-xuti* ('five trees') while in special literature it is very clearly identified as having the etymology of 'place where cows are fed' - *saxroxe*. Like that such toponames as *mgliani*, *melaury*, *kurdgelauri* are wrongly interpreted. They are considered to be phauno-names while they are

undoubtedly antroponyms. The presented dictionary includes the explanations on such toponyms.

4. It has been found out that the toponyms originated from ethno names and personal names create special group. Their peculiarity is exhibited in choosing the derivative affixes *sa - o* and never *sa - e*, i.e. *sa-kartvel-c*, *sa-mcgrcl-c*, *sa-ingil-e*, *sa žavax-e* forms are wrong; *sa-kartvel-o*, *sa-mcgrcl-o*, *sa-ingil-o*, *sa-žavax- o* forms are right. Having admitted this rule we could easily explain the toponym Samtsxe - the name of a region in the South Georgia - which was considered, during the last century, to be derived from the form *sa-mesx-e*. Having admitted that *sa - e* confix is forbidden in ethno names we conclude that the toponym *samecxe* can not be originated from the ethnonym *mcxsi* but it must be derived from the form *samcxeto* which means 'the country within the boundaries of Mtskheta', or 'Mtskheta-Svetitskhoveli Cathedral's territory'
5. Operating with the distributing principle in the toponyms we conclude that the name of the old Iberian cultural and religion centre Mtskheta should have been considered to be derived from the participle stem *mcxe* and not the term *mesxi* (*mesx-et-a* → *msx-et-a* → *mcx-et-a* (N. Marr, Iv. Javakhishvili, Ak. Shanidze, S.Kaukhchishvili and others). We notice that the complex suffix *et+a* never appears in the ethnonyms. So the form *mesx-et-a* could not ever existed thus it could not give the form *mcx-et-a*. Academician Varlam Topuria suggested that there we must have had the Old Georgian *ta* derivative element and not the complex derivative suffix *et+a*. And here comes conclusion that the name *mcxeta* originated from the word *mhce*, which gave us *mcxe* like it happened in the participle forms *m-hc-ov-an* → *m-xc-ov-an* (// *m-xc-ov-an*) (IV-III cent.). Thus the name *mcxeta* must be considered as *mxeta* which means 'the place of mxce (housekeepers or watchguards)' (cf. *mogv-ta*, *ber-ta*, *mocame-ta* and others).
6. While studying the etymology of the toponym Zanavi we noticed that the distribution principle words in the toponyms which reflect 'pre-conditions' and there we have confixes *na-ev*, *na-ar* (// *na-a*). That led us to the hypothesis that *zan-av-i* may

denote the place where once lived Zans. But then we conclude that it must denote 'water' or 'river' as the root *zan* is evident with the same meaning among many Caucasian languages.

"The Explanatory-Etymological Dictionary of the Georgian Toponames" was compiled on the basis of the large lexical funds kept in the onomastic laboratory of the Arn. Chikobava Institute of Linguistics of the Georgian Academy of Sciences. We intend to work further and to publish the II and III parts of the dictionary. It must be interesting not only for linguistics but for larger number of scientists and readers.

ა) პირთა, საგვაროვნო და ეთნიკურ-სატომო სახელები

- ა  
 აბაევი, ვ. 50, 144, 266, 424  
 აბესაძე, ნინო 141  
 ალაჩაური. შუშანა 30  
 ალიევი, ქ. 263  
 აბრამიშვილი, ვლ. 415, 421, 435  
 აბულაძე, ილ. 10, 102, 209, 221, 305, 418, 419, 479, 496, 550  
 აბულაძე, იუსტ. 305, 308  
 ადამია, ი. 197  
 აზიკური, ნანული 178  
 ალაიძე, მ. 19, 61, 76, 202, 206, 225, 231, 302, 347, 383, 405, 475, 486, 523  
 ალბანელები 378  
 ალექსანდრე (კახთა) მეფე 83  
 ალექსიძე ზ. 26, 353  
 ამილახორი იოთამი 493  
 ამირეჯიბი (გაბელისძე) რამინი 480  
 ანაჰიტა (ავესტ.) 42  
 ანდრონიკაშვილი შზია 19, 387  
 ანიკიე მალაზონი 557  
 ანტონ კათალიკოსი 470  
 არაბული აღ. 61, 448  
 არაგვისპირელი, შიო 417  
 არსენ იყალთოელი 301  
 არტაგი, იბერთა მეფე 261  
 არჩილ II (წამებული) 485  
 არხოტიონები 527  
 ასათიანი, ლილი 40, 201, 296, 333, 545  
 ასლანოვი, ა.მ.  
 აფაქიძე, ა. 159, 269, 272  
 აფრიდონიძე, შუქია 68, 347, 388  
 აფხაზავა, ი. 5  
 აშოტ კურაპალატი 117  
 ახვლედიანი, გ. 19, 22, 50, 272
- ახვლედიანი, ხ.74  
 ახუნდოვი, ა.262  
 აჰურამაზღა 50
- ბ  
 ბაგრატ (იმერთა) მეფე 210  
 ბაგრატ IV 438  
 ბადოხარა, ხარანაული 542  
 ბაზლიძე, იოანე 71  
 ბაკურაძე, დ. 415, 421  
 ბალიაური, მ. 416, 435  
 ბანცური 410  
 ბარამია 559  
 ბარამიძე, აღ. 189, 559  
 ბარდაველიძე, ვერა 114  
 ბარდოსი 420  
 ბასილი ზარზმელი 157  
 ბატაძე 296  
 ბატკნიკამია 477  
 ბაქანი 353  
 ბაქარ მეფე 499  
 ბაქრაძე, აკაკი 242  
 ბაქრაძე, დიმ. 18, 162, 149, 294, 465  
 ბაქრაძე, იზა 68, 347, 388  
 ბედოშვილი, გ. 22, 193, 417  
 ბედოშვილი ლია 343  
 ბელთაძე, მ. 289  
 ბეჟანიშვილი, ი. 185, 435, 446, 525  
 ბერაძე თ. 136  
 ბერიანიძე 124, 284  
 ბერიაშვილი, ლიანა 191, 242  
 ბერიძე, გრ. 28, 64, 94, 105, 266, 267, 296, 478, 455  
 ბერიძე, ვახტ. 61, 145, 158, 362  
 ბერიძე, ვუკ. 206, 232, 328, 364, 464, 485, 509

ბერიძე, თ. 16, 19, 25, 311, 384,  
466, 524  
ბერიძე, მერაბი 64, 141, 267  
ბეროზაშვილი, თამარი 197, 393,  
496  
ბერძენიშვილი, დ 204, 330  
ბერძენიშვილი, ნ. 17, 19, 24, 43,  
56, 79, 143, 204, 259, 326, 489,  
534, 543  
ბექიშვილი, თედო 36  
ბლიაძეები 82  
ბოძაშვილი, ლ. 540  
ბოხუა, ა. 540  
ბრაქი, მიხითარაის ძე 322  
ბრეგვაძე, მ. 201  
ბრეგვაძე, გ. 503  
ბროსე, მარი 17, 21, 104, 149, 162,  
165  
ბუთხუზი, გ. 187  
ბურჯანაძე, შ. 26, 353  
ბუქურაული, ივ. 220

გ  
გაბაშვილი, სამადავლე 128  
გაბლიანი, ეგნატე 103, 164  
გაგლოევა, თამარი 148  
გაგოშიძე, იულონი 42, 257  
გაგუა, კლარა 292  
გავაშელი, ა. 103  
გაზდელიანი ელიზავეტა 292  
გაიოზ რექტორი 18  
გალდავაძე 559  
გამრეკელი, ვ. 121, 499  
გამყრელიძე, ბ. 135, 186, 191  
გარდაბოსი 93, 420  
გარეჯარი 107  
გასვიანი, გერ. 224, 227, 232  
გაჩილაძე, პ. 61, 109, 140, 232,  
339, 420, 442, 495, 520, 527,  
545

გაძვერიასშვილი, ყოყუა 546  
გეგეშიძე, მ. 19, 205, 489  
გიდევანიშვილი, ი. 538  
გეორგიევი, ვ. 264  
გუბტმანი, გ. 28, 244, 462, 490  
გუბტმანი, ნ. 28, 244, 462, 490  
გვასალია, ჯ. 124, 151, 187, 306,  
413, 457, 499  
გვენეტაძე, ლუიზა 81, 223  
გვრიტიშვილი, დ. 168  
გიგინეიშვილი, ივ. 5, 114, 200, 431  
გიორგი მერჩულე 136, 261  
გიორგი XII 260  
გიორგაძე, ედ. 341  
გიულდენშტედტი, ი. 139, 489  
გოგატიშვილი, შ. 40, 65, 118, 162,  
241, 264, 280, 297, 308, 347, 353,  
373, 385, 393, 399, 439, 445,  
457, 476, 539  
გოგებაშვილი, ი. 372, 400  
გოგიბაძე 373  
გოგიჩა, რუხვაძე 557  
გოგოჭური, დავ. 39  
გოდერძიშვილი, სეენჯა 386  
გოთუა, ლ. 184, 404  
გოლიაძე (გოლიაძნები) 106  
გომართელი 107, 531  
გონგაძე, ვ. 208  
გონიაშვილი, თინა 40, 204  
გორგაძე, ს. 464  
გრემელაშვილი, თამარი 217  
გრიგოლ ხანძთელი 117  
გრიგოლია, გ. 149  
გრიშაშვილი, იოს. 413  
გუბაზ შეფე 110  
გუდავა, ტ. 185  
გუდამაყრელნი 113  
გურამიშვილი, დავ. 160  
გუჯეჩიანი, მერი 164

დ  
დადიანები 452  
დავით აღმაშენებელი 130, 145  
დავით ბატონიშვილი 366  
დავით VIII (ძე დემეტრე  
თავდადებულისა) 470  
დავითიშვილი, ზაალი 524  
დალი, ვლადიმერ 556  
დარჩია, ბ. 382  
დეკარაშვილი 487  
დვალისვილი, რ. 34  
დიასამიძე, გუგული 70, 138, 168,  
316, 433, 495  
დიასამიძე, ი. 317  
დიუბუა დე მონპერე 149, 163  
დოლენჯიშვილი 174  
დოლიძე ვახტ. 92, 471  
დოლიძე, ის. 28, 196, 282, 299,  
313, 322, 458, 484, 487, 546  
დონდუა, დ. 44, 127  
დუმბაძე, მ. 110, 169  
დურმიშიძე, ს. 413

ე  
ებრაელები 270, 536  
ეგნატაშვილი, ბერი 69, 199, 213,  
229, 315, 366, 420, 503  
ელიავა, გ. 49, 78, 165, 404  
ელიოზ მცხეთელი 193  
ენუქიძე, თინა 22, 193, 324, 417,  
562  
ერაძე 407  
ერემიანი, ს. 169  
ერთელიშვილი|ერთელიშვილი 142  
ერისთავი, რაფ. 238, 529  
ერწო-თიანელნი 142, 171  
ეტიფონეშვილი, სიმ. 337

ვ  
ვაინახები 415

ვაჟა-ფშაველა 33, 173, 177, 246,  
324, 399, 414, 421, 460, 523  
ვარაზ-ბაკური 168  
ვაქრიძე, პ. 90  
ვახტანგ გორგასალი 179, 203  
ვახუშტი 17, 24, 39, 77, 86, 109,  
131, 151, 167, 179, 197, 200, 206,  
218, 250, 262, 271, 287, 325, 342,  
356, 366, 386, 372, 394, 418, 436,  
469, 485, 491, 502, 519, 528, 534,  
550

ზ  
ზარდალიშვილი, გ. 16, 28, 175,  
232, 244, 253, 259, 380, 385, 414,  
426, 462, 490  
ზაქარაია, პარმ. 25, 250  
ზაქიქამია (პირის სახ.) 477  
ზისერმანი, ა. 529  
ზურაბიშვილი, თამარი 362, 541

თ  
თამარ მეფე 154, 219, 300, 322  
თარგამოსი 93, 419  
თაყაიშვილი, ექვთ. 104, 183, 234,  
300, 452  
თევდორესაშვილი, გოგია 480  
თიანა (წინააზ.ღვთ.) 172  
თიანელნი 171  
თიანლიშვილი 531  
თოიძე, ლ. 101  
თოფურია, გ. 478, 518  
თოფურია, ვარლ. 19, 79, 114, 118,  
154, 164, 200, 274, 431, 469, 488  
თოფურია, ნინო 202  
თრუსუელნი 175  
თურმანაული, ივანე 542  
თურქები 300  
თუში 273  
თუშიშვილი, ნ. 43



თუხარლიანი 178  
თუხარსელი 531

ო  
იაკობ ცურტაველი 9, 209  
იაშვილი, პაოლო 372  
იბერები 378  
ივანაშვილი (ძეგარელი) 487  
ითონიშვილი, ვ. 41, 71, 123, 125,  
127, 134, 297, 343, 370, 374, 386,  
456, 526, 538  
ითონიშვილი, ვახტ. 333  
ითხვისი, ითხვისურველნი 181  
იმნაიშვილი, გრ. 25, 37, 83, 249,  
324  
ინაიშვილი, ა. 74  
ინგოროყვა, პ. 19, 60, 94, 117,  
136, 230, 261, 483, 562  
ინგუშები 185, 490  
ინასარიძე, ტ. 64  
იოანე ბატონიშვილი 22, 83, 96,  
148, 193, 208, 243, 250, 286, 299,  
350, 366, 397, 417, 469, 471, 491,  
519, 534, 542  
იოანე ზედაზნელი 159  
იოსელიანი, პლ. 18, 48, 50, 150,  
162, 165, 271, 359, 384, 414  
იშხნელი 312

ქ  
კაზალიკაშვილი, ნინო 127  
კაზალიკაშვილი, იაგორა 127  
კაიშაური, ლია 49, 46, 99, 187,  
191, 233, 299, 435, 477, 480, 533  
კაკაბაძე, სარგ. 19, 33, 47, 58,  
124, 136, 173, 174, 181, 210, 224,  
236, 238, 272, 422, 484  
კალანდაძე, ანა 110, 284, 288  
კანდელაკი, მარინე 221  
კანდელაკიშვილი, ბერუა

(ყინცველი) 450  
კაბადოკიელი, ნინო (იხ. წმ.ნინო)  
კარდენული, აპრილა 189  
კარდუხი 553  
კაჭარავა, გ. 559  
კახი 273, 553  
კეკელიძე, კორნ. 19, 189, 199  
კემულარია, მ. 458  
კეცხოველი, ნ. 112, 140, 174, 204,  
373, 413  
კვირკველია, თ. 384  
კვიტაიშვილი, ემზარ 226  
კვიცარიძე, პ. 263  
კიზირია, ანტ. 563  
კიმერიელები 378  
კირიონი 140, 184  
კიშური, ლაზარე 187  
კლიაშვილი, დავითი 514  
კლიშოვი, გ. 273  
კობაძე, მანანა 409  
კობახიძე, ალ. 5, 153, 191, 280,  
319, 332, 336, 342, 468, 494, 510,  
521, 539  
კობიძე, დ. 19  
კოლხი 553  
კოლხები 378  
კონდრატენკო, ე. 475  
კუკულაძე, თამარი 390  
კუბლაშვილი 546  
კურდღელაძე, გ. 31, 176  
კუსრაშვილი 211  
კუხი 553  
კუხოსი 420  
ლ  
ლალასძე (ქრციხოვანს  
მცხოვრები) 480  
ლანდია რუსუდანი 103  
ლაშა-გიორგი 217, 218, 295, 380  
ლებისკრელნი 226

ლევან დადიანი 214  
ლემონჯავა, ნაბ. 214  
ლეონიძე, გიორგი 174, 251, 506  
ლეონტი მროველი 47, 93, 156,  
178, 271, 419, 471, 536  
ლეჟავა, ლია 201, 335, 509  
ლიქოკელნი 531  
ლომაშვილი, ჯ. 40, 56, 87, 172,  
244, 334  
ლომთათიძე, გიორგი 308  
ლომთათიძე, ქეთევანი 104, 164,  
219, 261  
ლომიტაშვილი, დ. 42  
ლომოური, თამარი 17, 24, 325  
ლომოური, ნ. 184  
ლონგინოზ კარსნელი 193

## მ

მაგაზანიკი, დ. 79, 98, 105, 451,  
458  
მათიაშვილი, სანდრო 22  
მაისურაძე, ილია 19, 28, 140, 142,  
192, 208, 269, 284, 311, 492, 548  
მაკალათია, მზია 154, 202, 370,  
412, 437, 549  
მაკალათია, ნუნუ 416, 435  
მაკალათია, ს. 19, 99, 115, 127,  
283, 386, 414, 516, 529  
მაკალათია, ფიქრია 19, 188, 212,  
323, 354, 415, 498, 501  
მამულაშვილი მიხ. 129  
მანგლელი 331  
მარი, ნიკო 19, 41, 50, 94, 136,  
142, 159, 163, 214, 230, 265, 272,  
308, 314, 334, 360, 499, 530  
მარიამ დედოფალი 479  
მარტიროსოვი, არ. 193, 524  
მარუაშვილი ლ. 50, 127  
მარუშისძე, ივანე 431  
მალღაფერაძე თეიმურაზი 164

მალრაძე, ვახტ. 63, 338  
მაყაშვილი, ალ. 175, 207, 215,  
228, 244, 336, 464, 468, 481, 515  
მაჩაბელი, თ. 479  
მაცეივი, ა.გ. 143, 491  
მაჭავარიანი მუხრანი 372  
მაჭავარიანი-სიქდუროშვილი 181  
მახუნჯავი (ქალის სახ.) 251  
მგალობლიშვილი მზია 358  
მგელიაშვილი, თ. 367  
მგლიშვილები 253  
მეგრელი 136  
მეგრელიძე, იოს. 111, 234, 301  
მეგრულ-ქანები 264  
მელიქიშვილი, გ. 19, 159, 273,  
333, 378, 420, 422, 552  
მელიქსეთ-ბეგი, ლ. 50, 159, 502,  
503  
მელქისედეკ ქართლის  
კათალიკოსი 113, 213  
მელხევი, მ.ნ. 263, 334, 379  
მენტეშაშვილი, სტ. 77, 126, 196,  
205, 365  
მესხი, ე. 244, 253, 462, 490  
მესხია, შ. 19, 25, 150, 163, 168  
მესხიშვილი, მერი 197, 393, 496  
მეფე არჩილ I (ვახტანგ  
გორგასლის პაპა) 293  
მეფე ბრატმანი 269  
მეფე ფარნავაზი 269  
მიბჩუანი, თ. 327, 404  
მითრა (||მიჰრა) 257  
მირუან (მირვან) მეფე 269  
მირიან მეფე 257, 270, 499  
მიროტაძე, ა. 201  
მიქაელ პარეხელი 157  
მიქაუტიძეები 430  
მიქელაძე, თეიმ. 272, 291, 478  
მიხითარაისძე, ოქროი 322  
მრაკველი, სეხნია 98

მტბევარი 519  
მურზაევი, ე. 423, 517  
მურზაევი, ვ. 423, 517  
მურჯიკნელი 266  
მუსხელიშვილი, დ. 484, 495, 541  
მუსხელიშვილი, ლ. 444  
მუშკუდიანი, ქ. 231  
მშველაიძე (დათუნა, გლახა) 268  
მშველიძე 268  
მცხეთოსი 178, 271, 355, 420, 553  
მკედლიშვილი, ნ. 155

## ნ

ნადეჟდინი, ნ.ი. 15  
ნადირაძე, კოლაუ 75  
ნადირაძე, ჯ. 181, 345, 373  
ნათაძე, ნ. 225  
ნაკაშიძეები 284  
ნანა დედოფალი 270  
ნანობაისშვილი 284  
ნასპერლები 290  
ნასლაისძე, ვეფხია 187  
ნიკონოვი, ვ.ა. 22, 40, 74, 262,  
265, 316, 371, 424  
ნინოშვილი, ეგნ. 23  
ნიჟარაძე, გ. 292  
ნიჟარაძე, შ. 19, 168, 205, 389,  
452, 513, 548  
ნიშნიანიძე, გ. 166  
ნოღია, ლ. 241  
ნოღია, მ. 204  
ნოზაძე, ლამარა 197, 393, 496  
ნონეშვილი, იოს. 189  
ნოღაიდელი ნანული 301  
ნოღაიდელი, ჯ. 311, 389

## ო

ოდიშარი 519  
ოდიშელი, ჯ. 547  
ოდიშელისძენი 286

ოზბეგისშვილი, დუშია 132, 134  
ოლთისარი 519  
ოპიზარი 107, 519  
ორაგველიძე 49  
ორბელიანი, სულხან-საბა 28, 61,  
67, 77, 98, 109, 119, 141, 151, 173,  
195, 198, 224, 233, 337, 356, 367,  
401, 426, 523  
ოფჩელები 305, 306  
ოქროპირიძე, ნუნუ 121  
ოჩიაური, თინა 92, 114, 226, 406  
ოცხლები 402  
ოძრაბოსი (მცხეთოსის ძე) 178  
ოძრკოსი 553

## პ

პაპკიაური 216  
პართელები 424  
პირქუში (ხატი) (პირ-შუქი?) 301  
პროკოფი კესარიელი 230

## შ

შან პოლ შარდენი 166, 358  
შორდანია, თ. 76, 130, 243, 319,  
384  
შორდანია, ნოე 412  
შლენტი, ს. 319

## რ

რაბატელნი 550  
რადე, გუსტავ 33  
რაზიკაშვილი, ვახტ. 217  
რაზიკაშვილი, თ. 354  
რატი სურამელი 380  
რატიშვილები 224  
რეხვიაშვილი, გალინა 29, 319  
რეხვიაშვილი მიხ. 547  
რობაქიძე, ალ. 114  
როსტიაშვილი ნათელა 45, 237,  
296, 426  
როსტომ მეფე 26, 203, 296

როსტომაშვილი, ივ. 28

რუსელი 331

რუმები 289

ს

სააკაძე, გ. 69, 132, 362, 503

საბანისძე, იოვანე 6

სავინა, ე.ი. 52

სალარიძე თამარი 63, 242, 548

სამადაშვილი, ნიკო 140

სამღერეთი, სამღერელები 355

სამძივარი (ფეოდ. სახლი) 107, 357, 519

სამცხელი 363

სამცხეთარნი (სამცხეთოელები) 363

სანიგები 379

სასპერები (სპერები) 291

სახლთხუციშვილი, უ. 426, 488

სახოკია, თ. 119, 120, 308, 457

სერაპიონ ზარზმელი 157

სვანი (ეთნონ.) 379

სვანიძე, ალ. 108

სილოგავა, ვ. 207, 324

სიმონ (ქართლის) მეფე 286

სიხარულიძე, ვენერა 345, 514

სიხარულიძე, ი. 19, 47, 60, 74,

161, 165, 197, 251, 259, 279, 283,

287, 308, 338, 346, 358, 448,

465, 478, 510, 527, 548

სკურლატოვი, ვ.ი. 108,

სოსელია, ლ. 515

სპარსელები 270, 300

სპერები (სასპერები) 291

სტრაბონი 261

სულა (ქართლის) ერისთავი 380

სულეიმანოვი, ა.ს. 96, 97

სურგულაძე, ა. 169

ტ

ტაბიძე, ტიცვანი 35

ტაოელები 554

ტაოხი 553

ტატაშიძე, ზურ. 17

ტრუბაჩევი, ო.ნ. 516

ტულუში, ა. 165

უ

უთურგაიძე, თ. 19, 56, 95, 96, 135, 143, 173, 177, 212, 438

უკლება, დ. 5

ურია, ურიანი 156

უსტარაული 404

უსტარაშვილი 405

უფლოსი 553

უჯარმელაშვილი 131, 134

ფ

ფარეულიძე, როსტ. 143

ფასმერი 9, 176, 516

ფიცხელაური კიაზო 297, 427

ფოჩხუა, ბიძ. 538, 547

ფოცხვერა (პირის სახ.) 268

ფრონელი (ხიზანაშვილი) ალ. 46

ფრუიძე, ლევ. 201, 342, 440

ფუთურიძე, ვლ. 185

ფუტყარაძე, შუშანა 389

ფშავ-ხევსურნი 218, 414

ფხოელნი 113

ქ

ქავთარაძე, ივ. 19, 79, 80, 114, 171, 189, 200, 205, 329, 339, 407, 435, 442, 446, 462, 474, 512, 531, 534

ქავთარაძე, შოთა 36

ქალღანი, მ. 19, 167, 224, 227, 285

ქამადაძე, მიხ. 168

ქანთარია, მ. 178

ქართველიშვილი, ივ. 460  
ქართლოსი, ძე თარგამოსისა 93,  
419, 420, 553  
ქართლოსიანნი 275  
ქაჭაია, ოთ. 512  
ქეშერტელიძე 427  
ქეშიკაშვილი, ივ. 131, 212, 218,  
233, 318, 526  
ქინჯარელნი (ქინძარელნი) 550  
ქიტესაშვილი, რუბ. 145, 175  
ქოქოვი, ჯ.ნ. 65

ლ  
ლამბაშიძე, როგნედა 197, 237,  
426

ლერკენა (პირის სახ.) 428  
ლონტი, ალ. 19, 84, 110, 159,  
161, 175, 250, 257, 272, 315, 381,  
396, 425, 434, 452, 460, 476,  
499, 512, 530, 534, 548  
ლორისთავი (-ღვარის თავი),  
ლორისთაველები 443

შ  
ყაზბეგი, ალ. 385, 386  
ყარსლები (ყარსელები) 316, 402  
ყაუხჩიშვილი, თინა 73  
ყაუხჩიშვილი, სიმ. 19, 17, 27, 33,  
73, 230, 272, 315, 333, 418, 470,  
471, 553  
ყიფშიძე, იოს. 19, 61, 91, 230,  
314, 422  
ყინცვისი, ყინცველი 450

შ  
შათირისშვილები 546  
შამელაშვილი, რ. 104  
შანიძე, აკაკი 19, 42, 78, 93, 106,  
114, 145, 164, 170, 173, 185, 210,  
214, 254, 265, 272, 314, 327, 337,

360, 381, 415, 424, 480, 494, 498,  
519  
შანშიაშვილი, ს. 561  
შარაშიძე, გ. 126, 393, 394  
შარდენი, ჟან პოლ 166, 358  
შატბერაშვილი, გ. 194, 220, 496,  
511, 542  
შატილიონები 527  
შაჰმურზაევი, ს.ო. 65  
შოთა რუსთაველი 28, 225, 300,  
349  
შოშიაშვილი, ნ. 324, 562

ჩ  
ჩაჩან-ქისტები 415  
ჩიტაია, გ. 114, 172, 230  
ჩიქობავა, არნ. 12, 19, 104, 118,  
136, 265, 272, 275, 306, 310, 313,  
337, 347, 363, 392, 398, 410,  
533, 559  
ჩიქოვანი, თ. 489  
ჩიქოვანი, შიხ. 223, 285, 297, 302,  
372, 400  
ჩიჭავაძე, ნ. 141, 295, 549  
ჩუბინაშვილი, დავ. 18  
ჩუბინაშვილი, ნ. 18, 44, 61, 98,  
198, 207, 218, 356, 387, 416, 475,  
476, 523  
ჩხეიძე, თენგ. 66  
ჩხეიძე, ო. 357  
ჩხვიმიანი||ჩხუმიანი 231

ც  
ცაგაევა, ა.ბ. 53, 96, 148, 318, 491  
ცაგარელი, ალ. 90, 469, 559  
ციციშვილი, ელიშუქ 98  
ცოცანიძე, გ. 82, 88, 117, 212,  
219, 233, 299, 354, 405, 479, 490  
ცხადაია, პ. 19, 68, 101, 115, 116,  
139, 148, 162, 236, 248, 328, 400,

404, 461, 467, 488, 559, 560

ძ

ძაგანა (პირის სახ.) 482

ძველაია, მირ. 65

ძიძიგური, შ. 67, 75, 102, 103,

140, 206, 281, 386, 545

ძოწენიძე, ქეთევანი 29, 68, 89,

102, 109, 146, 191, 206, 233, 244,

287, 304, 373, 383, 401, 441, 442,

513, 515, 520, 545, 547

წ

წერეთელი, აკაკი 118, 464, 495,

513

წერეთელი, ბაბო 475

წერეთელი, კ. 211

წერეთლები 199

წილკანელნი 113

წილკნელი 500

წმ. ნინო 112, 438, 471

წორი (ეთონი.) 142

წმ. ელია 556

ჭ

ჭაბაშვილი, მიხ. 5, 393

ჭავჭავაძე, ილია 95, 133, 191, 235,

408

ჭალისურები 531

ჭანტურია, ტარიელი 41

ჭართალელნი 112

ჭელიძე ვახტ. 300

ჭიაბერ ამირსპასალარი 322

ჭილაშვილი 517

ჭილაშვილები 133

ჭინჭარაული, ალ. 33, 114, 188,

191, 212, 225, 236, 246, 278, 288,

324, 434, 459, 460, 491, 506, 511,

528, 529, 533, 542, 545, 547

ჭკადუა, ამბ. 231

ქობარი (ქობელი) 519

ქუმბურიძე, ზ. 16, 22, 29, 38, 48,

76, 86, 97, 110, 137, 142, 159, 162,

171, 176, 197, 215, 222, 239, 244,

248, 252, 264, 272, 274, 280,

308, 320, 333, 347, 367, 371,

383, 394, 400, 403, 451, 467,

497, 500, 510, 523, 535

ხ

ხარანაული ბაღოხარა 542

ხარანაული ბესიკი 525

ხარაძე, კ. 55, 107, 114, 142, 144,

205, 249, 364, 411, 436, 444, 489

ხახანაშვილი, ალ. 38, 379

ხახუილაგი 30

ხევსური (ხევ-ის-ურ-ი) 529

ხერთვისარი 107, 519

ხელაშვილი, მიხა 460

ხორგუაშვილი, გ. 404

ხორნაული, გ. 19, 25, 45, 77, 112,

116, 123, 131, 216, 319, 329, 408,

409, 432, 465, 471, 513, 517, 525

ხოშტარია, ნინო 162

ხუბუტია, პ. 140, 323

ხუშკიაშვილი 548

ხუციანი 283

ხუციანისძე 284

ჯ

ჯაგოდნიშვილი, თ. 238, 529

ჯავახიშვილი, ივანე 19, 30, 40,

50, 111, 136, 159, 160, 167, 174,

185, 189, 210, 214, 220, 229, 247,

269, 278, 310, 314, 336, 342, 360,

384, 410, 417, 425, 447, 450, 463,

480, 540, 553

ჯავახიშვილი (თორელი) ივანე

(XIV ს.) 203

ჯავახიშვილი, მიხეილი 63

ჯავახი (სატომო სახ.) 273  
ჯავახოსი 553  
ჯაკობია 319  
ჯალაბაძე, გ. 191, 201, 224, 300,  
556  
ჯანაშვილი, მ. 17, 47, 59, 184,  
307, 359, 436  
ჯანაშია, ნ. 128  
ჯანაშია, სიმ. 19, 24, 25, 59, 136,  
149, 156, 159, 168, 171, 214, 230,  
370, 558  
ჯანგიძე, ვენერა 235  
ჯანელიძე, ალ. 455  
ჯათარაძე ზ. 298  
ჯაჭანიძე, პოლიკარპე 188, 224,

241, 388  
ჯიქია, ს. 22, 29, 85, 105, 107,  
265. 266, 267, 315, 330, 346, 347,  
428  
ჯორბენაძე ბ. 108, 362, 403, 501  
ჯორბენაძე, ბესიკი 473  
ჯოჭუა, ვილენა 68, 347, 388  
ჯუანშერი 179

ჰ  
ჰანი. კონსტ. 21, 39, 70, 91, 133,  
146. 184, 214, 259, 298, 301, 334,  
474  
ჰაჭიხალილოვი, მ. 94  
ჰეროსი 420

## ბ) გეოგრაფიული სახელები

ა  
აბაზტურმა 22  
აბანო 542  
აბანოსუბანი 168  
აბანოსწყალი 491  
აბანოსხევი 482  
აბასთუმანი 21, 254, 315  
აბაშა (მდ.) 560  
აბუქეთა 289  
აგანა 454  
აგარა 542  
აგარანი (-გარდაბანი) 93  
აგიდაყუა (მდ.) 23  
ადიგენი, ა-ის რაიონი 155, 473  
ავენისი 24, 538  
ავლაბარი, ჰავლაბარი 16, 25  
ავშნიანი 481  
ავქალა 16, 27, 532, 554  
აზავრეთი 28  
აზერბაიჯანი 184  
აზეულა, ა-ს ციხე

ათენაგუენი (კოქრის ძირს) 203  
ათენგენის წვერის ანგელოზი 386  
ათნოხი 306  
ათრევა (მდ.) 254, 492  
აკაურთა 122  
აკეთი, ა-ისწყალი 542, 111  
აკვანა 537  
აკვანეთა 125  
აკტიუბინსკი 16  
ალაზანი 7, 157, 184  
ალათუმანი 23, 254  
ალასტანი 63, 551  
ალატოვნის ხორხი 31  
ალაქანი 29  
ალისმერეთი 371  
ალის ფრონე|ალისწყალი 413  
ალგეთი 11, 317,  
ალგეთისპირი 534  
ალგეთის ხეობა 140, 205, 548  
ალევი, ა-ის მთა 53, 70, 456  
ალევ-ლომისის ქედი 287

ალექსანდრია 270  
 ალოტი 30  
 ალპანა 124  
 ამაშუკეთი 20, 32, 134, 388  
 ამბროლაური 38, 88, 410, 538  
 ამოენი 33  
 ამილახვრიანთკარი 517  
 ამტნისხევი 32, 399  
 აშლა 114  
 ანაკლია 34  
 ანანური 35, 188, 232, 417, 473, 498, 548  
 ანასეული 555  
 ანატოლია, ა-ის მთიანეთი 261  
 ანატორი 528  
 ანგელოსთა 274  
 ანდაქი 220  
 ანდრიაწმინდა 85, 100  
 ანთოკი 555  
 არაგვი 7, 38, 53, 156, 269, 470  
 არაგვისკარნი 293  
 არაგვის მისაქციელი 259  
 არაგვისპირი 172  
 არაგვისპირის თიანეთი 483  
 არაგვის ხეობა 255, 277, 548  
 არაგვისხეობის ფშავი 288  
 არადეთი 41  
 არადეთის ფრონე 43  
 არამაზდი (მთა) 51  
 არანისი 43  
 არაქელი 141  
 არახეთი 45  
 არბოშიკი 297  
 არგეთი 46  
 არგეთა 46, 125  
 არგუნი (მდ.) 53  
 არდისი 11, 458  
 არდისუბანი 43  
 არდოტი 173, 177, 527  
 ართხმო 123  
 არმაზი 50, 169, 419, 485  
 არმაზციხე 50, 269, 273  
 არსენაული 451, 522  
 არტანი (სოფ.) 57  
 არტანნი 101, 262, 355  
 არტან-ერუშეთი 354  
 არტანუჯი 264  
 არღუანი ზჷნ 53  
 არღუნი 52, 245  
 არყალა (მდ.) 53, 496  
 არყლისხევი 55, 188  
 არშა 71  
 არჩვეული 55  
 არჩილის მონასტერი 483  
 არჩოული 55  
 არქილო 55  
 არხალი 56  
 არხილო||არხილოსკალო 20, 57  
 არხლიანთკარი||არხალი 56  
 არხოტი 46, 527, 528  
 არხოტის ქალა 497  
 არხულა 58  
 ასისფორი 46  
 ასპინძა, ა-ის რაიონი 358, 370, 517, 549  
 ასურეთი, ა-ისხევი 93  
 ასხი, ა-ის მთები 500  
 ატენი, აისწყალი 150, 393  
 ატმანის ღელე 71  
 ატოცი 395  
 აფხაგ-ანანური 417  
 აფხაზეთი 379, 546, 553  
 აფხაზეთის სვანეთი 377  
 ალაიანი 58, 259  
 ალას კაკალი 58  
 ალაჯდან (მდ.) 266  
 აღვი 223, 431  
 აღმოსავლეთის ფრონე 395  
 აღტალა 65  
 აში 286



აშკალა (ძვ. ფარეხა) 407  
 აშპაშხანა 16  
 აჩაბეთი 175  
 აძურა (აძვურა, აძვისურა) 511  
 აწერის ხევი 456, 484  
 აქი (სოფ.) 59, 234  
 აქარა 59, 476, 510  
 აქარა-გურიის მთები 110  
 აქარის ქედი 59  
 აქარისწყალი 78, 264  
 აქისწყალი 234  
 აქყვა (მდ.) 59  
 ახალი 217  
 ახალი ბოდორნა 245  
 ახალგორი, ა-ის რ-ნი 92, 123, 151,  
 187, 267, 462, 507  
 ახალდაბა 427, 546  
 ახალსოფელი 443  
 ახალქალაქი, ა-ის რ-ნი 104, 266,  
 459, 549  
 ახალშენი 294  
 ახალციხე, ა-ის რ-ნი 205, 266,  
 358, 376, 474  
 ახალციხის მხარე 85  
 ახატანი 62  
 ახატელი 331, 348  
 ახაშენი 63  
 ახიელი 528  
 ახმაჯი 139  
 ახმეტა 246, 353, 528  
 ახტალა 64  
 ახტილა||იხტილა 64  
 ახტუბა 16  
 აჯამეთი 401  
 აჯამეთის ტყე 66, 476  
 აჯამეთისწყალი 486  
 აჯამურა 66

**ბ**  
 ბაბილოვანი 481

ბაგავენახები 67  
 ბაგათალა 65  
 ბაგე (ადგ.) 67  
 ბაგები 68  
 ბაგიათა 68  
 ბაგიბუგე, ბ-ის ეკლესია 69  
 ბაგიკალა 68  
 ბაზალეთი 69, 96, 277, 559  
 ბაზალეთის ტბა 72, 259  
 ბაზალთ მთა 71  
 ბაზარეების ვენახი 72  
 ბათისი (მდ.) 73  
 ბათომი||ბათუმი 72, 148, 505  
 ბაილეთი 111  
 ბაკთა (ადგ.) 122  
 ბაკულიანი||ბაკურიანი 492  
 ბაკურის ციხე 34  
 ბაკურციხე 190, 474  
 ბალი, ბ-ის ქედი 378  
 ბალანი 233, 462  
 ბალანთა 122  
 ბალახვანი 75, 145, 227  
 ბალდა (სოფ.) 560  
 ბალებისხევი 375  
 ბალვანი||ბალოვანი 227  
 ბალსზემო სვანეთი 378  
 ბალყარეთი||მალყარეთი 266  
 ბანისხევი 329  
 ბანცურთკარი 439  
 ბარი (სოფ.) 305  
 ბარათაული 522, 548  
 ბარალეთი 454  
 ბარდავი 420  
 ბარდნალი 76  
 ბარდნალა 76, 482  
 ბარდნალიანი 76  
 ბარდუბანი 43, 105, 511  
 ბარევანი 481  
 ბარეული 300  
 ბართკალა 78

ბართკარი 369  
ბარისახო 506, 528  
ბარტკალი 77, 512  
ბარტკალა 78  
ბარცხი 78  
ბარცხანა 78  
ბასილეთი 180, 558  
ბასილის კლდე 513  
ბასილისკლდის ძირი 513  
ბატეთი 268, 463  
ბატიური 260  
ბაქსანი (მღ.) 377  
ბაღდათი, ბ-ის რ-ნი 79, 182, 304  
ბალიანთკარი 68  
ბაშკირეთი 516  
ბაცალივო 528  
ბახანი (სოფ.) 122, 479  
ბახვისწყალი 111  
ბახტრიონი 297  
ბაბულაანთუბანი 82  
ბაჭითი 201, 283, 326  
ბაჭიხევი 256  
ბაჭურა (მღ.) 66  
ბეზნისი 179  
ბებრისციხე 502  
ბედენი 443  
ბედონი (სოფ.) 479  
ბეთანია||ბეთენია 81, 165  
ბეთლეჰმი 81, 165  
ბელთაქელი 79  
ბენტქოულა 80  
ბეჟათუბანი 105, 544, 445, 558  
ბერდაძორი 62  
ბერდუჭი 436  
ბართა 122, 138, 274  
ბერთემი 80  
ბერთუბანი, ბ-ის დეღე 366  
ბერძენათი 109  
ბერძენაული 522  
ბერწულონი 398

ბელელა (სოფ.) 357  
ბელლევი 392  
ბელლეთი 157, 280  
ბეშკენაშენი  
ბეშქენ(ნ)აშენი 489  
ბეშქენაშენისხევი 489  
ბზათა 274  
ბზანალა, ბზისღელე 81  
ბზანარი 81  
ბზარნალი 81  
ბზვანი 81, 323  
ბირკნალა 464  
ბისო 506  
ბიწმენდი 84, 483, 537  
ბიჭენი 82  
ბიჭვინტა 238, 546  
ბლიაცაური 82  
ბნავისი 11, 492  
ბოას||ყვირილა 448  
ბობოყვათი 109, 241, 562  
ბოდავი 156, 244, 391, 473  
ბოდორნა 277  
ბოკონი 83  
ბოკოტანი 83  
ბოკოწინი/ა 83  
ბოლნისი, ბ-ის რ-ნი 93, 129, 364  
ბოჟანო 551  
ბორი (სოფ.) 84, 106, 137  
ბორითი 388  
ბორიმელა (მღ.) 84, 181, 467  
ბორჯომი 73, 85, 147, 155, 194, 505  
ბორჯომის ხეობა 85, 147, 315  
ბორჯომულა 474  
ბოსელი (სოფ.) 130  
ბოსლები 392  
ბოქორმა, ბ-ის ციხე 87, 158  
ბოქორნა 173, 177, 490  
ბოხვაური 234, 382, 540  
ბრავალდა(ლი) 319

ბრავადა 515  
ბრედა, ბ-ისწყალი 491  
ბროწეულა 88  
ბროწულეთი 201  
ბუბა (მთა) 103  
ბუბუას (||ბუმბუას) ხიდი 90  
ბუგაულის-ხევი 89  
ბუგეული 69, 88, 300  
ბუეთი 237, 268, 463, 546  
ბუკვეთი 89, 388  
ბუკისუბანი 371  
ბუკისციხე 474  
ბუკნარი 520  
ბულაჩაური 410  
ბურიანხევი 537  
ბურნათი 198  
ბურსაქირი 130, 329  
ბულაანი 561  
ბუზურთა 405

გ  
გაბაშვილების მამულები 128  
გადასაქციელი 258, 437  
გადაღმა წყალწითელა 546  
გადიდი 91, 108, 162, 245, 472  
გადმოღმა წყალწითელა 546  
გაეაზი, გ-ის ეკლესია (IX-X ს.)  
187, 495  
გალი, გ-ის რ-ნი 467, 560  
გალაენი (სოფ.) 83, 537  
გამოღმა ბაილეთი 138  
გამოღმა ნოლა 125  
გამოღმა სპეთი 387  
გამოღმა ტომაშეთი 526  
გამოღმა ქარნალი 510  
განდა, გ-ის ათაბაგი 145  
განჯა, გ-ის ციხე 386  
გარბანი 92, 343  
გარდაბანი (||გარე დაბანი) 18, 92,  
93, 147, 420, 528, 553

გარდატენი 92  
გარეკახეთი 100, 194, 243, 369,  
457, 476  
გარეჯი (||\*გარეჯვარი)  
გარისი 317  
გარუბანი 92  
გაღმა ბოსლევნი 279  
გაღმა გოლათუბანი 377  
გაღმა სპეთი 387  
გაღმა ქარნალი 510  
გაჩიანი 18, 420, 553  
გეგუთი 214  
გელსამანია||გეთსიმანია 81, 165,  
547  
გელათი 109, 209  
გელათის წმ. გიორგის ეკლესია  
210  
გელის ღრმული 261  
გელიყარა 362  
გელსუნდა 94  
გერი, გ-ის მთა 456  
გერგეთი||გერგეტი 95, 370  
გვალდერი 292  
გველეთი 96, 303, 538  
გველეშაპისწყარო 153  
გვერძინეთი 97  
გვეძინეთი (გვიძინეთი) 98, 268  
გვიანა (ადვ.) 354  
გვიმრალაური 234  
გზისკარი (-სოლანლული) 383  
გზოვანი, გ-ის ტყე 99  
გზოვნისწყერი 99  
გიორგიწმინდა (სოფ.) 100  
გლავეიკოსი||გლავეკოსი 447  
გლდანი 155, 242  
გლდან-საგურამო 554  
გლინაევი||მგლინაევი 101, 253  
გლინაველდე 102  
გლოლა 102  
გლოლა-ღები 440

გობრონეთი 32, 134, 180  
გოგასჩაირი 458  
გოგიეთი 138, 559  
გოგოური 217, 234, 382  
გოდერძის ულელტეხილი 346  
გოდოგანი 328, 509  
გოკია||გოკიო 104  
გოლათუბანი 82, 102, 105, 558  
გოლაისოული 106  
გოლაციხე 106  
გოლიათოური 106  
გომარეთი 106, 179, 520  
გომართა 122  
გომბორი 11, 185  
გომბორის (ცივ-გომბორის) ქელი 561  
გომეწარი 406  
გომეწარის ალაზანი 405  
გომეწარის ხეობა 406, 543  
გომეწარულა 58  
გორაბერეჟოული 234, 522  
გორაციხე 106  
გორგასოული 55  
გორგილეთი 32  
გორდი 107, 167, 431  
გორდიონი 108  
გორისციხე 474  
გორისპალა 300  
გორმალალი 200, 276  
გოროვანი 494  
გოროვნა 483  
გოქი (სოფ.) 105  
გოხნარი (სოფ.) 242  
გრაკალი 542  
გრდანცი||გლდანი 93, 554  
გრდან-საგურამო 242, 502  
გრემი 260  
გრემისხევი 70, 288, 357  
გრიგალათი 109, 206  
გრიგოლეთი 180, 540, 561

გრძელათი 109,  
გრძელველები 247  
გრძელი ქალა 510  
გრძელმინდორი 7  
გრძელხევი 411  
გუასპურაგანი 117  
გუბა 371  
გუბაზეული 110  
გუბთა 122, 439  
გუბთკალთა (ადგ.) 123  
გუბილა||ბუგილა 77, 248, 557  
გუბისწყალი 123  
გუბნი 123  
გუბთკრისწყარო||გუბტკრისწყარო 123  
გუდათუბანი 281, 445, 558  
გუდამაყარი 112, 114, 329, 527  
გუდამაყრის (შავი) არაგვი 38, 329  
გუდამაყრის ქელი 562  
გუდამაყრის ხეობა 306  
გუდანი 112, 491, 506  
გუდანელები (სოფ.) 236  
გუდანისჯვარი 218  
გუდარები 112, 317  
გუდარების ღვთისმშობელი 444  
გუდაური||ლუდაური 115  
გუდრუხი 112  
გუთანდამპალა (ადგ.) 116  
გულიანი 543  
გულსუნდა||გელსუნდა 95, 116  
გუნათლე, გ-ისვანი 117  
გუნდაეთი 14, 118  
გუნდაეთის წმ.გიორგი 118  
გუნდეებისწყარო 118  
გუნიაყალა 488  
გურია 118, 473, 561  
გურიანთა 122  
გურიის დაბლობი 561  
გურნა (სოფ.) 473

გურჯაანი 64, 154, 561  
გურჯიბოლაში 312  
გუფთა 120  
გუფთები 121, 123  
გუფთისხევი (ადგ.) 123  
გუფტკრისწყარო 123  
გუჯარეთი 331  
გუჯარეთისწყალი 491

## დ

დაბალხანა 16  
დაბაძველი (ზ.იმერ.) 357, 435, 535  
დაბლაციხე 465, 474  
დადანეთი 124  
დადიანეთი 123, 558  
დადიკურთა 323  
დავითოული 55  
დავითსოული 530  
დავითსოულის ღელე 530  
დათვისი 253, 303, 563  
დათვისჯვარი (ადგ.) 506  
დათოვლა 124  
დათოული 125  
დამპალო 537  
დანახვისი, დ-ის მთა 150, 459  
დანო (სოფ.) 353  
დართლო 57  
დარიალი, დ-ის ციხე 96  
დარიალანი 52  
დარკვეთი 388  
დარუბანდი 52  
დარყულა 536  
დასავლეთი საქართველო 162  
დასავლეთი ციმბირი 424  
დაფაქუეთა 125  
დაფნარი 148  
დაღეთი 208  
დაღესტანი 516  
დედალაური 523

დედამოკა 80  
დედაციხე 87  
დედოფლისწყარო 57, 297  
დედღორაკი 126, 190, 544  
დედღორაკისწყალი 126  
დევსნაკარალნი 128  
დევთქობაი 128  
დევთქობისთავი 128  
დევისქობი 128  
დელისი 128  
დემოთი 358  
დერვენტა 265  
დვალეთი 175  
დვალთა 122  
დვალთა-მოლავე 534  
დვალთლორდი 339  
დვანისწყალი 41, 413  
დვარეცები 199  
ღვირი 194, 461  
ღიდგორი, დ-ის მთა 149, 369, 411, 466  
ღიდდაბალი 7  
ღიდებულისძის ნაბინაყარი 126  
ღიდზენა 161  
ღიდი ავიდაყუა 23  
ღიდი არაქალი 141  
ღიდი ატენი 194  
ღიდი გუფთა 120  
ღიდი ვანი 389  
ღიდი ვეძა 247  
ღიდი ლიახვი 479  
ღიდი მურჯები 267  
ღიდი რგანი 327  
ღიდი ჩაილური 457  
ღიდღელის კრიახი 537  
ღიდღაირი 458  
ღიდწყალი||შავიწყალი||ყვირილა 447  
ღივირი 9  
ღიკლო 57, 490

დილიკაური 287, 368  
დილისკა 266  
დისევი 331, 402  
დისველი 129, 331, 492  
დიღმურა 289  
დიღომი 27, 289, 505  
დიხაშხო 92  
დლივი 551  
დმანისი, დ-ის რ-ნი 106  
დობერაზენი 249  
დოესი 161  
დოლოვანი 542  
დონაური 78, 328, 478, 509  
დორეულევი 294  
დოჭუ, დ-უს მთა 219  
დობტელური||დუბტელური 134  
დრბო (სოფ.) 377  
დრეზნა 265  
დუბიანი (ადგ.) 257  
დულუზაურები 56  
დუმალა (მდ.) 335, 448  
დუმაცხო (სოფ.) 123, 130, 329  
დურევი 547  
დურიჩუ 132  
დური ტოტი 132  
დუშეთი 69, 132, 245, 257, 277,  
316, 473, 478, 517  
დუშეთისხევი 245  
დუცხუნი 92  
დუბტელური 134, 186  
დღიანველი 319

ე  
ეგვიპტე 270  
ეგრისი 90, 118, 120, 135, 420  
ეგრისწყალი 264  
ედომი (დაბა) 321  
ევანისი||ევენისი 24  
ევგენიძეები 478  
ეკი, ეკის ნათლისმცემელი 196

ეკლარი 137  
ეკნარი/ა 138, 148  
ეკრანა 138  
ეკრანთა 138  
ელია 81  
ელტურა 138  
ელუბრა 441  
ენგური 34, 136, 377  
ერედა 140  
ერედვი 140  
ერეთო 140  
ერთაწმინდა 142, 336  
ერისწყალი 140  
ერტისი 140  
ერუშეთისწყალი 355  
ერწო 32, 87, 142, 458, 483  
ერწო-თიანეთი 30, 62, 184, 288,  
399  
ერწოს ველი 236  
ერწოს მთა 537  
ერწოს ტბა 447  
ერწუხი 264  
ესტატეწმინდა 142  
ეტისი||ერტისი 556  
ეცერი 469  
ეძანი 488  
ეწერი 81, 202, 507, 556  
ეწერფერი 392  
ეხვევი||\*იხვევი 146  
ეხვევის „დედახვთისა“ 145  
ეხვევრა||ეხვეურა 145  
ეხისწყალი 146  
ეხნარი 146

ზ  
ვაგრანეთი (||მაგრანეთი) 236  
ვაზიანი 147  
ვაიო 451  
ვაკე (ადგ.) 294  
ვაკიბოლო 530

ვაკისოფელი 437  
ვაკისძირი 173, 177  
ვალაგირი 418  
ვანი, ვ-ის რ-ნი 79, 182, 208, 310, 473, 488  
ვანათ-გორისი 208  
ვანთა 122, 274, 439  
ვარაზისხევი 410  
ვარგავი 391  
ვარდგინეთი 147, 148  
ვარდევანი 148  
ვარდისგორა 546  
ვარდისოფელი 148  
ვარდციხე|ვარციხე 448, 474  
გარიანი 134  
ვარძია 84, 282, 454, 551  
ვარძიისხევი 524  
ვარციხე 474.  
ვარხოვნა 317  
ვაშლიჯვარი/ა 205, 228, 535  
ვაშლოვანი 482, 494  
ვაშნარი 148, 520  
ვაშნარის I და II კოშკი 250  
ვაშნარის კიშკარი 250  
ვაჭევი 81, 123, 396  
ვახანი 442  
ვახანურა 536  
ველვანი|ველოვანი 227  
ველიეთი 342  
ველისციხე 474  
ველიქრული 326  
ველკეთილი 506  
ვერე|ვერა 128, 149, 411  
ვერისხევი 150  
ვერის ხეობა 254  
ვერტყვიქალა 388  
ვერცხლის ქუჩა (თბილ.) 411  
ვერძა 151  
ვერძეები 153  
ვერძიგანი 153

ვერძითავილელე 153  
ვერძისთავი/ა 151, 153  
ვერძირუ 153  
ვერხვათი 332  
ვერხველი 154  
ვეძა 247  
ვეძათხევი 53, 247, 317, 417, 496, 533  
ვეძათხევა 32, 317, 375, 533  
ვეძათხევის წყალი 548  
ვეძათხევის ხევი 53  
ვეძები 317  
ვეძისი 179, 317  
ვეძისბექები 247  
ვეძისბოლო 247  
ვეჯინი 154, 190  
ვეჯინისუბანი (გლდანში) 155  
ვრაცდაშტი 94

## ზ

ზადენი (მთა) 159  
ზამთრეული (სოფ.) 114  
ზამლეთი 122  
ზანა 155  
ზანავი 155, 244, 330, 391, 471  
ზანავები 157  
ზანათი 157  
ზანავ-რვილი 330  
ზანავ-რვილის ხევი 157  
ზანდუკლიანთკარი 44  
ზანდუკლისხევი 44  
ზარზმა 157, 158  
ზარიძეები 154  
ზასტაო (რუს.) 408  
ზაქათალა 66  
ზაქანი 77  
ზაქარო 537, 538  
ზეგაანი 256, 561  
ზეგანი (სოფ.) 328, 371  
ზეგარდა 132

ზეკარი, ზ-ისყელი 205  
ზელა ბაში 138  
ზელა ბერეთისა 281  
ზელა ბზვანი 81, 488  
ზელაველა 161  
ზელაზენი 159, 537  
ზელა კლდეეთი 487  
ზელა მახუნცეთი 123  
ზელა ორმეთი 294  
ზელა ორღული 206, 388  
ზელა რგანი 513  
ზელარუ 161  
ზელა საკუბრე 294  
ზელა საქარა 206  
ზელა სიმონეთი 512  
ზელუბანი 299  
ზელა ჩხუტუნეთი 257  
ზელაციხე 539  
ზელაძენი 160, 537  
ზელა წიფლავეაკე 102  
ზელა ქალოვანი 339, 547  
ზემო ალვანი 297  
ზემო აქარა 157, 185, 289, 432  
ზემობარი 55  
ზემო იმერეთი 145, 181, 222, 303, 513  
ზემო კორსევი 210  
ზემო კრიხი 206  
ზემო ლეთეთი 226  
ზემო მაკვანეთი 240  
ზემო მაჩხანანი 175  
ზემო ნაქალაქარი 504  
ზემო ონქიკეთი 309  
ზემო რაქა 103, 492, 407  
ზემო საიხვე (ადგ.) 346  
ზემო(თა) სამუშია 354  
ზემო სვანეთი 378  
ზემოსურები 389  
ზემო ქართლი 7, 549  
ზემო ღარისწყალა 438

ზემო შავნი 369  
ზემო შარახევი 455  
ზემო ქალადილი 404  
ზემო ხაშმი 195  
ზემოხევი 548  
ზემოხეთი 217  
ზენი 161  
ზენდილი 108, 161, 162  
ზენითი 138  
ზენისი 161  
ზენობანი||ზენუბანი 161  
ზეობანი 161  
ზესი 542  
ზესტაფონი 66, 182, 279, 474, 487, 527, 558  
ზეციეთა 454  
ზვარე 102, 303, 524  
ზვარეთი 476  
ზეელი 370, 517  
ზნაკვა 326  
ზოგიში 227, 468  
ზოლი 388  
ზოვრეთი 181  
ზორეთისხევი 181  
ზოტიკიანთკარი 496  
ზრბითი, ზ-ისხევი 534  
ზუბდილი 163  
ზუგდილი 34, 92, 108, 162, 245, 302, 453, 472, 498  
ზურაბები 33  
ზურტაკეტი||ზორტაკეტი 55  
ზღუდერი 449

თ

თაბაგრები 206, 327  
თაბორი (სოფ.) 819 165, 292  
თაბორის ეკლესია (VI ს.) 81  
თავაძეების უბანი 105  
თავგატეხილას წყარო 166  
თავი-შეშათა 10, 122



თავკვეთილი 3, 454, 555  
 თავსურები 389  
 თავწყარო 297  
 თათროული (აღგ.) 547  
 თავვერი/ა 167, 229  
 თამარაშენი 469, 559  
 თამარისი 179  
 თამარისხატი 217  
 თამრგვალა 130  
 თანათფიაშინარაყი 115  
 თანდილაანთჟარი 417  
 თარაანი, თ-თ უბანი 175  
 თარანგელო 168  
 თარზენი 328  
 თაროკლდე 476  
 თბილისი 168  
 თბილისის ზღვა 532  
 თეზამი, თ-ის ხეობა 476  
 თეზმისხევი 537  
 თეთრახევა 4, 7, 525  
 თეთრიმიწები 411  
 თეთრიწყარო 242, 354  
 თეთრიწყლები (სოფ.) 348  
 თელავი 156, 170, 217, 244, 298, 528, 561  
 თელეთი 482  
 თელიანი 482  
 თელოვანი 482  
 თერგი, თ-ის ხეობა 7, 38, 92, 175  
 თერჯოლა 69, 170, 182, 365, 486, 511  
 თეძმისხევი 542  
 თეჯისი 11  
 თვალენჯი (იხ. თოლენჯი) 173  
 თვალივი, თ-ის ეკლესია 211  
 თვალუეთი 206, 369  
 თვარელიანთხევი 245  
 თვრინი (სოფ.) 368  
 თიანეთი 30, 56, 83, 142, 154, 171, 175, 507, 525, 528, 559  
 თლია 558  
 თოთი 343  
 თოკი (სოფ.) 555  
 თოლენჯი 173, 483  
 თონეთი 242  
 თორი, თ-ის მზარე 85, 315, 329, 440, 519  
 თორელაანი 479  
 თორმეწია 131, 319  
 თორთომი 73, 312, 505  
 თრანი 174  
 თრანულა 58  
 თრიალეთი, თ-ის ქელი 11, 165, 253, 454, 468, 488, 492, 534, 550  
 თრუსო/უ 175  
 თუზი 176, 365  
 თურსიეხი||თურსიელი 175, 176  
 თუშეთი 82, 357, 379, 490, 498, 527, 563  
 თუზარისი 178, 179, 471  
 თხილაგანი 328, 509  
 თხილვანი||თხინვალი 323, 482  
 თხინვალი||თხილვანი 482  
 თხილებისფონი 398  
 თხილნარი 148, 520  
 თხილობისკალა 476  
 თხილოვანა 128  
 თხოთი, თ-ის ქელი 257  
 ◦  
 იანეთი 180, 202, 320, 540, 561  
 იანეული 320, 382  
 იბერია, ი-ის სამეფო 90  
 იდუმალა (მღ.) 3  
 იერუსალიმი 165, 536  
 ივანდიდი 162  
 ივანეული 320, 546, 555  
 ივერეთი 184  
 ივერია 18  
 ივრისკულები 444

ივრის ხეობა 30, 171, 366, 528  
იოხვისი 181, 206, 388, 438  
ილეში 106, 181, 377  
ილმულა 181  
იკვლივი 458  
იკორთა 122  
იმერეთი 182, 467  
იმერეთის დაბლობი 556  
იმიერტაო 183  
ინგუშეთი 135  
ინაშარიძეები 287  
ინწკირვეთი||ინწკირეთი 205, 347, 559  
იორი||ივრის ხეობა 7, 18, 171, 184  
ირისი (მღ. ნატანები) 294  
ირმებისაჩოქია||ირმებისაჩოქია 185  
ისაკყაუ 101  
ისანი||ისნი 16  
ისპირ-ტრაპიზონი 313  
ისრითი 488  
ისუნდერი 292, 468  
ის ციხე||ის ციხე 542  
იუხო 78, 186  
იფნარი 520  
იშუტუტრუქი 16  
იწრონი 337, 438

## კ

კაბერი, კ-ის მონასტერი 203  
კაეთა, კ-ის ხეობა 357  
კავკასი, კავკასია 167, 342, 420  
კაზრეთი (||მადნეული) 443  
კაიშაურები, კაიშაურნი 187, 479  
კაკაბაური 303, 543  
კაკაბეთი 182, 237, 463  
კალა (ციხე) 169, 270  
კალაური, კალაურნი 190  
კალერთა 123  
კალოთანა 497  
კალოუბანი 16

კამბეჩოვანი (ქიზიყი) 507  
კამიშთალა 65  
კანაფეული 342  
კაპარკინა (მღ.) 241  
კაპნისთავი 451  
კაჟონა (ადგ.) 398  
კარათი 89  
კარალეთი 300  
კარატახტა (ადგ.) 297  
კარატე (მთა)  
კარატის კოპალე (სალოც.) 219  
კარახტინი, კარახტინები 188, 199  
კარახტინის ხიდი 188  
კარდანახი||კარდანეხი||კარდენახი 189  
კარდანუცი 190  
კართანა 320, 497  
კარისხევი 417  
კარკუჩა 538  
კარსანი 191  
კარჩიყანები 191  
კასპი, კ-ის რ-5ი 58, 155, 286, 471, 477, 540  
კასპიის ზღვა 262  
კასრი (სოფ.) 417, 418  
კასრისკარი 418  
კასრის ხეობა 418  
კაჩაეთი 326  
კაციკამია (ადგ.) 193, 477  
კაციკამიას ღელე 194  
კაცხი, კ-ის ეკლესია 81, 282  
კაწარეთი (-კაჭარეთი) 195  
კაჭრეთი 194  
კახათი 109  
კახეთი 64, 154, 184, 379, 421, 554  
კახეთის მთიანეთი 87, 528  
კახეთის მთიულეთი 172  
კლიგზის ვაკე||ტიგზის ვაკე 396  
კეხვი 386

კეზიგვარი 494  
კეპა 190  
კვადოურა 441  
კვალითი 525  
კვაყა-გომი 301  
კვართა, კ-ის წმ. გიორგი 540  
კვატია 168, 185  
კვაშხიეთი 55  
კვაჭალათი 109, 198, 234  
კველთა (სოფ.) 317  
კვერეთი 463  
კვერეთულა 463  
კვერეშიგვერდი 167  
კვერეშულა (მღ.) 167  
კვერნაულა 483  
კვერნეთი 268, 463  
კვეესრები (სოფ.) 279  
კვესრევი 388  
კვირაცხოველი 81  
კვირე 132  
კვირიკე 138  
კვირიკეთი 100, 390  
კვირიკეწმინდა 166  
კვირცხნალა (ადგ.) 513  
კვიტოული 522  
კიკეთი 203  
კილდიკოური 205  
კირნათი 244  
კლარჯეთი 46, 420  
კლდეეთი 391  
კლდეკარი 247, 439, 539  
კლდეწითელი 411, 498  
კლდიანხევი (ადგ.) 537  
კობალაური 138  
კოლბეური||კოლბოური||კორბოულ  
ი ||კოლბაური 199, 522  
კოდმანი 243, 286, 537, 538  
კოდორი 377  
კოთელია 267  
კოლა (მხარე) 261

კოლაგი||კოლაქი 190, 197  
კოლას მთა 264  
კოლა-შავშეთი 264  
კოლბაური (იხ. კოლბეური) 199  
კოლოტაური 511  
კოლოშნარი 371  
კოლხეთი, კ-ის დაბლობი 111, 332,  
264  
კომშინა (სოფ.) 482  
კონანთ ჩადრი 458  
კონდიდი 92, 108, 162, 197, 472  
კონქკათი 198  
კოპიტნარი 148, 520  
კოჟორი/ა 149, 205  
კოჟორტალი 205  
კოჟრები (ნასოფლ.) 204, 205  
კოჟრის ზეგანი 206  
კოჟრის ციხე 203  
კორთხა, კ-ის წყალი 371  
კორმალალი||გორმალალი 200  
კორსევი (სოფ.) 210  
კორტანეთი, კ-ისხევი 427  
კორცხელი, კ-ის მღვიმე 216  
კოქელი 338  
კოშკები 418  
კოშკი(ს)ტანები 63  
კოქბაანი 256  
კოზიანი 537  
კოზრიანა 507  
კოჯორი 185, 203, 404  
კრეფა (სოფ.) 317  
კრია-შიწა 537  
კრიხი 206  
კრიხულა, კრიხისწყალი 206  
კრკონი, კ-ის მონასტერი 336  
კრწანისი (თბილისისა) 207  
კრწანისი (სამშვილდისა) 208  
კუდარო, კ-ოს ქედი 436, 492  
კუდო 542  
კუდო-ხილიანა 161, 216, 314

კულიწყარო 530  
კუელენელი (სოფ.) 286  
კუეშლევი (II\*კუებლევი) 305  
კუკია 466  
კუნლიფონი 398  
კურასება („შეიდსოფელი“) 210  
კურდღელაური 38, 260  
კურევი (იხ. კურსები) 210  
კურსები 209, 210  
კურუმიაშინარაყი 115  
კუსირეთი 211  
კუპატანი 63, 211  
კუპეკა 212, 459  
კუპეკა-ბილიანა 212  
კუხეთი 160, 420, 537

## ლ

ლაბეკინა 201  
ლაგოდები 213  
ლადრერი 292, 469  
ლაზვიანი (IIნათობიანი) 213  
ლაილაში 468  
ლაკვისხევი 213  
ლაკლაკეთი 237  
ლაკუასტი, ლ-ისციხე 213  
ლალისყური 298  
ლამი||ლამები 232  
ლამისყანა 232  
ლამხერი 167  
ლანჩხუთი 213, 224, 310, 561  
ლარგვისი 11, 123, 462  
ლარჩვალი 468  
ლასურიაში 468  
ლატრერი 167  
ლაუშა (სოფ.) 214, 322  
ლაუშნარი 217  
ლაფანანთკარი 482  
ლაფანყური 217  
ლაფნისხევი 395  
ლაშარი, ლ-ისჯვარი 217

ლაშარისგორი||ხმელგორი 217  
ლაშე 289, 463  
ლაშისღელე 110  
ლაშკარი/ა 222, 223  
ლაშკარისხევი 222  
ლაშკარისხევის წყარო 222  
ლაშკარუში 223  
ლაშკოდიის ღელე 223  
ლაშურა 66, 289, 463, 536  
ლაშხეთი, ლ-ის თემი 378  
ლაშხრერი 292, 469  
ლატორიაში (სოფ.) 400  
ლახეფა (სოფ.) 152  
ლახუნდარა 224  
ლაჯანა 224, 292  
ლაჯონა 224  
ლეახალე 231  
ლებაისკარი 115, 528  
ლებაჩილე 559  
ლებისკარი||ლებაისკარი 225  
ლეგერსამე 559  
ლეგოგიე 231, 559  
ლეთოთანა 227  
ლეკი (-ლეკეთი) 188  
ლეკეთი 420  
ლეკიკელე 231  
ლეკვანი 227  
ლეკთასახლომები 352  
ლეკისჯვარი 228  
ლეკიწყალი||ლეკიწყლები 227  
ლეკნარი 148, 227  
ლეკურა (ადგ.) 294  
ლელოვანი 494  
ლელუბანი 243, 554  
ლემიქაე 231  
ლენტეხი, ლ-ის თემი 378  
ლენტჯერი 167, 292  
ლეჟავების უბანი 280  
ლეჟუბანი 105, 445  
ლესალე 231 .

ლესბოსი 265  
ლესიკინე 559  
ლუშერი 469  
ლექაჯაიე 231  
ლექობალე 231  
ლელვა 546  
ლელვანი 323, 464  
ლელვანურა 536  
ლემკედა 468  
ლემხუმი, ლ-ის ხეობა (||თაკვერი)  
76, 152, 165, 167, 229, 284, 290,  
297, 468  
ლენურწუმე 559  
ლენანდრე 559  
ლენაური 234  
ლენეური, ლ-ის ციხე 234  
ლენურა||რეხულა 234, 348, 350  
ლენოლიხე 559  
ლიახვი, ლ-ის ხეობა 7, 120, 122,  
123, 139, 300, 386, 456  
ლიეთი 242  
ლივადა 488  
\*ლიკორწმინდა 319  
ლილო 93, 243  
ლილო-აშკარეთი 366  
ლიპიწყალი 388  
ლიპნი 317  
ლიპური 388  
ლირსები 231  
ლირსიანა 232  
ლისი 122, 503  
ლისის ტბა 232  
ლიხი, ლ-ის მთა 232, 420  
ლიხაური 234, 382  
ლიხთამერი 183  
ლიხთიმერი (-ლიხის მთის იმიერი)  
183, 233  
ლიხის (სურამის) მთა 182  
ლიხის ქედი (||ქოჩორა) 331  
ლომაურეთი 32

ლომისა. ლ-ის მთა 100, 187  
ლომისხევი (ლომისის ხევი?) 252,  
303  
ლორწომი, ლ-ის მთა 287  
ლოჭინი, ლ-ის ხევი 235  
ლურჯი მონასტერი 16, 461  
ლუხვანო (სოფ.) 284, 400  
ლუხუტა 304, 305

მ  
მაგრანეთი 236  
მადნეული (||კაზრეთი) 443, 493  
მაზერი 167, 469  
მათხოჯი 238, 439  
მაიაკები 199  
მაკვანეთი 106, 240, 561  
მალთაყვა 240  
მალიეეთი 241  
მალყარეთი||მალყარეთი 296  
მამათი 109, 198  
მამიდაქვა||მამიდასქვა 242  
მამკოდა 242  
მანავი 156, 170, 243  
მანგლისი 179, 316, 454  
მანდაეთი 281  
მარადიდი (-მერედიდი) 108, 244,  
301, 472  
მარანა (ადგ.) 245  
მარანისხევი 245  
მარგასტანი||მარგისტანი 64  
მარელისი||მარილისი 246, 304,  
357  
მარემელას დელე 443  
მარემელას წყარო 443  
მარიამულა 245  
მარიშულა 443  
მარნეული 244, 300  
მარტაზისხევი 471  
მარტვილი 467  
მარტოთუბანი 527, 558

მარტყოფი||მარტყოფნი 93, 242,  
401, 458  
მარტყოფისწყალი 235  
მარცხენა რკვია 335  
მარჯვენა რკვია 335  
მასარა, მ-ის ქელი 184  
მატანი, მატან-მარლისი 246  
მაქათუბანი 437, 445, 558  
მაღალმიწები 7  
მაღარადალი||ორჯოხი||ო-ის მთა  
312  
მაღლაკი 247  
მაღლეკი 248  
მაღლოკი||მაღლაკი 236, 248  
მაღრანი 236  
მაყვლოვანი 481  
მაშავერა, მ-ის ხეობა 129, 151,  
243, 249  
მაშნაარი 250  
მაჩვისლრუ (სოფ.) 280  
მაჩხაანი 250, 561  
მაჩხაბე, მ-ის მღვიმე 461  
მაჩხვარეთი 561  
მაცხუბანი (||ბურსაქირი) 131  
მაწევანი 481  
მაქარაშვილები 206  
მახათა 4  
მახაში 468  
მახინჯაური 251  
მახრაჯი 534  
მახუნცეთი 78, 338, 478  
მაჰმულტალა 66  
მგელისეულიმიწა 253  
მგლიანი||მგლიანები 12, 252, 303,  
317  
მგლინავი||გლინავი 253  
მდულრისხევი 542  
მებოძირი 466  
მეზერიანთკარი 260  
მეთრევანა 253

მეკევია ნაძვი 535  
მელაანი 561  
მელათუმანი 254, 410  
მელაური 253, 410  
მელექედლური (||\*მერექედლური) 234  
მელისნასახლარი (აღვ.) 337  
მელიტალა 66  
მელიქაშენი 66  
მენესო 255  
მეორე ობჩა 201, 304, 326  
მეორე სვირი 487  
მეორე ტოლა 202  
მერევი 206, 255  
მერია 346  
მერჯევი 222  
მესტიაქალა 478  
მესხეთი 85, 205, 370, 379, 517,  
548, 553  
მესხეთ-ჯავახეთი 551  
მესხისმიწა 413  
მეჩხეთა 125  
მეწყენარი 255  
მეჭულა, მ-ისპირი 392  
მზითვივაკე 256  
მთაწმინდა 276  
მთიანი სამეგრელო 115  
მთისძირი 247, 392  
მთიულეთი 379, 553, 562  
მთიულეთ-გულდამაყარი 562  
მთიულეთის (თეთრი) არაგვი 38  
მთიულთუბანი 445  
მიკოტახილი 80  
მილაზერიანთკარი||ამილაზერიანთკა  
რი 133, 517  
მილისი 510, 511  
მირზაანი 256, 561  
მირიანი 257  
მისაქციელი 20, 132, 232, 258,  
286, 437  
მისახედ-მოსახელი (აღვ.) 404

მიქარწმინდა 166  
 მიქელგაბრიელი (სოფ.) 205, 294  
 მიქელწმინდა 100  
 მიწათთელი (-მიწაწითელი) 341, 498, 509  
 მკივანიკლდე 314  
 მლაშე (სოფ.) 109, 259, 416  
 მლაშეები (ადგ.) 247  
 მლაშე ტბები 532  
 მლაშისღელე 371  
 მღეთა 187  
 მოგვთა||მოგუთა 122, 274, 479  
 მოდინახე 345  
 მოვაკანი 262  
 \*მოზერიანთკარი (იხ. მეზერიანთკარი) 259  
 მოკლე მამული 7  
 მოლითი 281, 344, 497  
 მონასტერი (-ლარავისი) 461, 483  
 მორძგვეთა 125  
 მოსაბრუნე 437  
 მოსაქცევი 259  
 მოსაქციელი (||მისაქციელი) 259  
 მოუცადა (ადგ.) 260  
 მოცენარი (სოფ.) 294, 520  
 მოძვი 487  
 მოწამეთა 122, 125, 138, 274, 439  
 მოქალიეთი (სოფ.) 531  
 მოხვა (სოფ.) 535, 536  
 მოხვეურა||მოხურა (მდ.) 535  
 მოხისი 179  
 მრავალწყარო (შდრ. ცხრაწყარო) 366  
 მსხალდიდი 108, 162  
 მსხლები (სოფ.) 210  
 მტირალა 453  
 მტკვარი 6, 7, 13, 261, 266, 269, 270, 532, 550  
 მტკვრის ხეობა 157  
 მტვერის (მტუერის, მტკვრის ციხე) 471  
 მუნიაყანა 304, 357  
 მუნნიმიწა||მუნნიმიწები 304, 357  
 მუნნიმიწის ქელი 357  
 მუნისი||ხუნისი 357  
 მუნისწყარო 304, 357  
 მუნისპორდები||მუნისპორდები 304, 357  
 მუნჯანი 543  
 მუნჯები||მუჯები (-ვედა წყალი) 543  
 მურჯახეთი 267  
 მურჯიკანი (-\*მურჯი(ს)კარი) 267  
 მურჯქვევიდან (ადგ.) 267  
 მულანლო-ხორაუგი 366  
 მუცო (სოფ.) 528  
 მუხათი 332, 337  
 მუხაესტატე 337  
 მუხათგვერდი 337, 544  
 მუხათწყარო 337  
 მუხანი 337  
 მუხიანი 537  
 მუხისჯვარი 228  
 მუხებისვენახი 335  
 მუნნარი 148, 482, 520  
 მუხრანი, მ-ის ვაკე 132, 258, 259, 337, 472, 493  
 მუხროვანი, მ-ის წმ. გიორგი 218, 481, 507  
 მღვრისწყალი (შდრ. მუნისწყარო) 357  
 მღვიმევი 206  
 მყინვარი 337  
 მშველიეთი 267  
 მშვიდობაური 382, 540  
 მძივიანა (მამულეები) 501  
 მცირე აზია 108  
 მცხეთა 18, 50, 83, 122, 147, 169, 191, 258, 269, 418, 420, 421, 439, 471, 476, 493, 550  
 მცხეთა-ნატახტარი 287

მცხეთაში|ცხეთაში 272  
მცხეთისჯვარი (სოფ.) 272  
მწარეწყალი 7  
მწვანე მონასტერი 461  
მწვანეყავილა 461  
მკადიჯვარი 276, 472, 504

## ნ

ნაბელავი 278  
ნაბელავარი 280  
ნაბელავეები 280  
ნაბელეები 279  
ნაბელევეები 280  
ნაბელლარი/ა 279, 280  
ნაგერკეთი 257  
ნაგომარი 319  
ნაგუთი 280  
ნაგუთები 281  
ნაგუთნები 281  
ნაგუთნევი 281  
ნაგუთნი 281, 403  
ნადარბაზევი 555  
ნაღიბაანი 479  
ნაღიკარი 281  
ნაღიკევი 281  
ნაღიკვალი 281  
ნაღიკვარი 281  
ნაღირაძეების უბანი 105  
ნაღირკვალი 281  
ნაეკურა||ნაეკურა 404, 461  
ნავაზა||ნაოზა 286  
ნავაისოული 283  
ნავანები 110, 463  
ნავანებურა 463  
ნავაძეების უბანი 283  
ნავაძის ყანა 283  
ნავარძეთი (-\*ნავაძეთი) 281, 282,  
327, 447, 524  
ნავარძეთის ციხე 282  
ნავდარაანთკარი 537

ნავთლული||ნავთლუხი||ნათლული||  
ათლუხი 16, 385, 524  
ნაზოდელაგო, ნ-ოს მღვიმე 461  
ნათელვარა 283  
ნათობიანი (სოფ.) 213, 283  
ნაკაზარმლები 329  
ნაკალევეი (სოფ.) 401  
ნაკანუშნარი (ადგ.) 329  
ნაკარახტინები (ადგ.) 188  
ნაკორნა||ნოკორნა 488  
ნაკურალეში 227, 468  
ნამკაშური 284  
ნანიანი 561  
ნაოზა||ნავაზა 285  
ნაოტა (სოფ.) 285  
ნაოვარნი 458  
ნაპალატკრები 199  
ნაპინოვარი 287  
ნაპურვალა 283  
ნარაზენი 161  
ნარეკვა 288  
ნარეკვაი 276, 287, 438, 442,  
472, 499  
ნარეანი 227, 456  
ნარიანი 435  
ნარიყალა 16  
ნაროდინები||ნაროდინევი 339  
ნაროვანი 145  
ნაროულა, ნ-ასხევი 288  
ნარუმალი (ადგ.) 289  
ნარუჯა 294  
ნასაკირალი 279, 555  
ნასახლარების გორი 544  
ნასელვარა 283  
ნასომხარი||ნასომხარნი 243, 273,  
289, 290  
ნასპარსევი 273, 289, 555  
ნასპერი/ა 167, 290, 468,, 292  
ნასპერალა ღელე 293  
ნასტაგისი||ნასტაკისი 293



ნასტეფნარი 293  
ნასურვალი (ადგ.) 390  
ნატანები 293, 539  
ნატანტარი 258, 295, 550  
ნატანტარ-გორის გზა 162  
ნატანტრები 297  
ნაფარახლები 407  
ნაფარეული 298  
ნაფარეხალთგორი 298  
ნაფარეხლები 298  
ნაფეტვარი 543  
ნაქალაქარი||ნაქალაქევი 62, 279, 555  
ნაქალაქრები 375  
ნაქერვალა 283  
ნაქულბაქევი 301  
ნალვარევი 301  
ნაყულევი/ა 451  
ნაწრეტი (სოფ.) 397  
ნაქარმაგევი||ნაქარმაკევი 300, 301  
ნაქარმაგევისწყალი 300  
ნახიდური 93, 436  
ნახიზორა||ნახიზვარა||ნახიზენარა 14  
ნერგიანისჩადრი 458  
ნეძვი 289  
ნეძეურა||ნეძურა 289  
ნეძონა 398  
ნიაბაური 234, 382, 540  
ნიგოზეთი 388  
ნიკოლასწმიდა 282, 326  
ნიკორწმინდა 100, 166, 455  
ნინოწმინდა, ნ-ის რ-ნი 116, 549  
ნიღბლიანი საყდარი 540  
ნიჩბისი 495, 537  
ნიქაბერეთი 32  
ნოდოკრა 483  
ნოკორნა-ბოკოწინის გორები 537  
ნოსორნა||ნოკორნა||ნადოკრა||ნადოკრალი 62

ნოსტე 287, 362, 541  
ნოსტევი 287, 362  
ნოტკორა||ნოკორნა||ნადოკრა 485  
ნოლა, ნ-ის მღვიმე 461  
ნოლადიდა||ლოლაიდა 162  
ნოლაეთი 302  
ნოლაიდა||ნოლადიდა 301  
ნარზანი 157  
ნუკრიანი 253, 302, 561  
ნუნისი 303  
ნუნისურა 536

## ო

ობჰა (მეორე, პირველი) 304  
ოდიში, ო-ის პლატო 461  
ოვსეთი||ოსეთი 387  
ოზაანი 256  
ოზანო 306  
ოზანოსძირი 306  
ოზანოსხევი 306  
ოზურგეთი, ო-ის რაიონი 23, 188, 205, 307, 465, 473  
ოთხთვალატყე 192  
ოკვანტიეში 346  
ოკრიბა 210, 224, 346, 546  
ოლადაური 526  
ოლეკეში||ოდეში 404, 461  
ომალო 57, 175, 490  
ომანისხევი (-ლოქინი) 235  
ომფარეთი (სოფ.) 310  
ონი, ო-ის რ-ნი 153, 231, 256, 406, 440  
ონჭიქეთი 309  
ონჯარეთი 388  
ონჯოხეთი (სოფ.) 92, 224, 310  
ოპიზა 107, 264  
ორაგვე 14, 49, 224  
ორაგვეთი 13  
ორბეთი 495  
ორბელი 297

ორბოძალა 192  
ორგორა 192  
ორთაბათუმი 311  
ორთავაკე 311  
ორთაქალა 311, 454  
ორპირი 192  
ორწყალი 39, 192, 247, 555  
ორქადრები (აღვ.) 192  
ორხევი 192  
ორჯოხი (||მალარა-დალ) 13, 312  
ოსეთი 296, 491  
ოსიაური 38  
ოსმალეთი 551  
ოფისკვიცი (||ოფშკვითი) 371  
ოფიტარა 201, 202, 318  
ოფურჩხეთი 224  
ოფუჭე 348  
ოქონა 101  
ოქრომქედლებისრიგი||ვერცხლის  
ქუჩა (თბილისში) 411  
ოქროყანა 16, 555  
ოყურდგელე რზენი 328  
ოყურეში 318  
ოჩხამური 314  
ოცხე 21, 314  
ოძისი 316, 483  
ოდრახე 119, 178  
ოდრხე||ოდრჰე 18, 315, 471, 553  
ოჰარა, ო-ას ტყე 61  
ოხვამეკარი 439  
ოხოჯა 467  
ოჯოლა (მდ.) 522

პ  
პავლეური (სოფ.) 357  
პალავრა 62  
პალიასტომი, პ-ის ტბა 241  
პანტიანი 482  
პანტისჯვარი 205  
პანტნარი 520

პატარძეული 555  
პატრიკეთი 399  
პატარა არაქალი 141  
პატარა გუფთა 120  
პატარა ვეძა 247  
პატარა ზენა 161  
პატარა ლიხხვი 484  
პატარა მურჯები 267  
პატარა ჩადრი 458  
პელორი (-მდ. იორი) 184  
პერევი 81  
პერევისა 206, 388  
პეტერბურგი 71  
პილააწერი (აღვ.) 318  
პირაქეთა/ი ხევსურეთი 491, 527  
პირველი ობჩა 304  
პირველი ქოლა 115  
პირიმზე-ფუძის ანგელოზი 132  
პირიქითა/ი ხევსურეთი 527  
პისაწერი, პ-რის ქელი 14, 317  
პიტინისხევი 371  
პომპეუსის ხიდი 90  
პონტოს ზღვა 233, 419  
პტენა (სოფ.) 266

## ჟ

ჯალეთი 142, 171, 321, 421  
ჯანაურა 319  
ჯანიეთური 382  
ჯანიერი 320  
ჯახუნდერი 469  
ჯვანეთი 320  
ჯინაიანგორი (აღვ.) 323  
ჯინვალი 39, 215, 480  
ჯინვან-თვალცივი 160  
ჯინოვანი 215, 480, 494  
ჯონეთი||ჯვანეთი (იხ.)  
ჯოჯონი (სოფ.) 479  
ჯოშხა 444

რ  
რამინოული 522  
რანი 262  
რატევიანი, რ-ენისკალა 129, 481  
რაჰა 20, 88, 202, 282, 538  
რაჰა-ლეჩხუმი 332, 467  
რაჰისთავი (-ლები) 439  
რახსი (-არაქსი) 262  
რგანი 206, 327, 388, 437  
რგანისდღე 327  
რგანიკალა 327  
რგანულა 327  
რედუტ-ყალე (-ყულევი) 453  
რევაზიანი 124  
რეონი (||რიონი) 447  
რეჟე||რეჟიაი (მდ.) 329  
რეხოული||ლეხაური 234  
რველი (-რუელი, რუისელი) 194, 329, 492  
რვილი (||ზანავ-რვილი) 330  
რიკოთი 331  
რიკოთულა 110  
რიონი (||რეონი) 7, 18, 206, 241, 332, 447, 538  
რკვია 287, 335  
რკვიანი/ა||რკვიანები 335, 487  
რკინისჯვარი 276  
რკონი 197, 336  
რკოქედი 338  
როლინა (ადგ.) 339  
როლინაული 338, 522  
როლინოული 338  
რომი 270  
რომანეთი 488  
როშკა (სოფ.) 92  
რუისი 179, 331, 530  
რუისბოლო 530, 555  
რუისპირი 530, 555  
რუმი, რ-ის სასულთნო 289  
რუსაანთუბანი 445

რუსებისგზა 329  
რუსთავი (-დელაციხე) 471, 530  
რუხე 339  
რუხმეთი 388  
რცხილათი 328, 332, 388  
რცხმელური 328

ს  
საარავკო 215  
საბადური, ს-ის ქედი 14, 476  
საბარათიანო 129, 208, 443  
„საბაწმინდა“ (XIII ს.)  
კარდენახისა 189  
საბერძნეთი 273  
საბერწე (ადგ.) 343  
საბუე 182  
საბუკია 89, 340  
საბურთალა/ო 4, 128  
საგარეჯო, ს-ოს რ-ნი 243, 362, 366, 528  
საგლონისკალა 449  
საგოდებელი 8  
საგურამო (-საგურამიშვილო) 156, 341, 463, 532, 537, 555  
საგურამოს ციხე 554  
სადადეშქელიანო 378  
სადადიანო სენეთი 378  
სადათვია (ადგ.) 182  
სადაბლო 66  
სადგერის (||სადგრის) ხეობა 85, 491  
სადემეტრაო 341  
სადმელი, ს-ისხევი 89, 341  
საელიებო||საელიობო (ადგ.) 377  
საერხია 347  
სავანეთი 286, 356  
სავეკუო, ს-ოსმღვიმე 461  
საზანო 69, 157  
სათემო 511  
სათიბონა||სათიბონები 343

სათივე 392  
სათისქალა 366  
სათურსოანი 175  
სათუხალო||სათუხარო 343  
საიმედო (-საიმედაძეო) 343  
საინგილო 273  
საინისქელი 344  
საინილეუ 344  
საირმე 182, 253, 303, 463  
საირხე 281, 345  
საირხეები 346  
საირხია 346  
საირხულა 66, 536  
საიხვია 346, 349  
საკეკეასიძო 313  
საკაო (\* საკაეო) 232, 406  
საკარა 348  
საკვერიე 167  
საკივარა 314  
საკილასონიო 344  
საკირე (სოფ.) 254  
საკობიანო 341  
საკოეთი 62  
საკობაძო 79  
საკორინთლო 344  
საკრავე 346  
საკრაულა (\*სა-კრავ-ულა) 304, 347  
საკრეულა (მღ.) 348, 515  
საკრულავი 312  
სალაშქროქალა 221  
სალაჭური (\*სარაჯ-ულ-ი) 114  
სალებე 14, 344, 348  
სალებელი 130, 237, 348, 402  
სალეკოგორა/ი 352, 476  
სალიანი (აზერბ.) 262  
სალიეთი 356, 388  
სამადლო 385  
სამაჩაბლო 138, 362, 555  
სამაჩვია (აღგ.) 13, 182, 303, 349

სამგლე||სამგლეები 182, 303, 416, 463  
სამგლიანი 342  
სამგორი 18, 172, 192, 366, 392, 466, 555  
სამდათვია 349  
სამება, ს-ის ტაძარი (ხევში) 135  
სამეგრელო 34, 48, 273, 450  
სამზიარი 192  
სამთავისი, ს-ის ტაძარი 350, 477  
სამთავრო 275  
სამთაწყარო 192  
სამოლეთი 465  
სამოქალაქო 46  
სამტვერე||სამტერე (აღგ.) 351  
სამტრედია 13, 138, 200, 303, 352, 463, 508, 556  
სამუშია (აღგ.) 354  
სამუშისგორი 354  
სამუშისვაცე 13, 353  
სამუხრანო 362  
სამღერეთი 354  
სამღერია 357  
სამშვილდე 208, 471  
სამშრალეები 348  
სამჭიკაო 365  
სამჭიკიასწყარო 365  
სამჭიკიისყდე 365  
სამცხე 13, 18, 46, 100, 157, 262, 304, 314, 358, 406, 518, 555  
სამცხეთო 363  
სამცხე-საათაბაგო 346, 551  
სამცხე-ჯავახეთი 519  
სამძივი||სამძივე 107  
სამძიშია (აღგ.) 357  
სამწევრისი 367  
სამწყრე, ს-ისწყალი 225  
სანახშირე 81, 279  
სანაწყებო 344  
სანე 287

სანებელი 331  
სანიორე 298  
სანორჩი (სოფ.) 222, 223  
სანკიკაო 365  
საოდიშარიო 344  
საორბე 303  
საპრასია 349  
სარგვეში 123  
სართიქალა 297, 366, 530  
სართუხალო||სათუხარლო 343  
სარაკე 345  
სარეკი 206, 403  
სარკე, ს-ის მონასტერი 449  
სარკინე 155, 471, 493  
სარკინეთი 14, 356, 493  
სარკველეთუბანი 367, 558  
სასახუნდრე 99  
სასიანო 369  
სასკია 440  
სასირეთი 182  
სასომხეთი 273  
სატივე 392  
სატრედეთმიწა 225  
სატრედო 130, 495  
სატურია 182  
საფანქველურო 413  
საფარა 406, 459, 518  
საფარიძეებისუბანი 78  
საფერშეთ-ვეძისხევი 417  
საფიქრია 369  
საფიჩხია 349  
საფიჩხულე 374  
საფრანგეთი 273  
საფურცლე||ნატახტარი 258, 295, 349, 374, 550  
საქადაგიანო 344  
საქარა 247  
საქართველო 18, 273  
საქარიქელი 340  
საქაშეთი 356  
საქვათახევი 362  
საქისტოველი 352  
საქობო 250, 290  
საქორე 346  
საქორეთი 463  
საქორია 253  
საქორისთავი 138  
საქორქიო 344  
საღმთო 294  
საღორეთი 451  
საღორია 182, 303  
საყავრე 542  
საყდრიონი 375  
საყვავე 182  
საყვავის ტყე 371  
საყველაო 370  
საყორნია, ს-ას მთა 293  
საყულია 371, 451  
საყულიეგორა 372, 451  
საშაბურო 344  
საშევარდნე/ო 182  
საჩალე 392  
საჩალდექელი 512  
საჩხერე, ს-ის რ-ნი 67, 145, 182, 222, 281, 255, 372, 374, 447, 463, 487, 535  
საჩხერეთი 374  
საჩხერის ქვაბული 372  
საჩხურე (სოფ.) 305  
საციციანო 362  
საციხური 469  
საცხენეთი 303  
საცხენისი 347  
საცხენისისხევი 235  
საძახილოქვა 314  
საძეგური 531  
საძმორი (-სავეძო) 375, 533  
საწაბლე 392  
საწალიკე 374  
საწერეთლო 371

საწირე 326, 376, 546  
საწირისწყალი 209  
საწურბლია 507  
საჰინკია 310  
სახარე (მთა) 348  
სახარის სამება 218  
სახუნდარია 224  
საჯავახო 200, 255, 273, 341, 362  
საჯვარე 374  
საჰიმანშტარო 371  
საჯოგე 346, 374  
სევა (სოფ.) 407  
სეკსამორა||სეუმორა 505  
სეთურთკარი 268  
სეიდაბადი 16, 18  
სენაკი, ს-ის რ-ნი 80  
სვანეთი, ს-ისუბანი 377, 380, 421  
სვენეთი, ს-ისუბანი 380  
სვენელებისუბანი 380  
სვერი 386  
სვერნეთი 381  
სვეტიცხოველი 180, 272, 470  
სვეტმალაი 527  
სვირი 400, 526  
სილაური 234, 381, 540, 555  
სიმონეთი 32, 90, 173, 180, 202  
სიონი 92, 165, 369  
სიონგორი 375, 483  
სიბები 388  
სიბიკარი 388, 439  
სიბისკალო 544  
სიბიწყარო 388  
სირთი 510, 511  
სირია 270  
სიქთარვა 382  
სიღნაღი, ს-ის რ-ნი 146, 166, 250, 302, 561  
სკვირეთი, ს-ის მდინარე 149  
სკუმია||სკვიმნია (-ლეჩხუმი) 230  
სკურდი 108

სნო, ს-ოს ხეობა 175, 385  
სოლნეთი||სველნეთი 381  
სომხითი 130, 524  
სონღალული 16, 384  
სონღალუზი 384  
სონჩო (სოფ.) 512  
სორი (სოფ.) 530  
სოღალული||სოღალუზი 384  
სოღანლული 16, 383  
სოღანლუზი 384  
სოღდებილი („საგოღებელი“) 25  
სოხუმი 230  
სპარსანგელოზი||\*სპარსთ  
ანგელოზი 385, 386  
სპეთი 106, 346, 387  
სტეფანე (სალოც. ჰიზიყუმი) 293  
სტეფანწმინდა 100, 166, 293  
სუელეთი||სუელნეთი 380  
სულორი 11, 79, 488  
სურამის ქელი||ქოჩორა 233  
სურამულა 395  
სურები 530  
სურხჩე/ა 439  
სუფსა 59, 110, 111, 293, 390, 464, 530  
სუზჩა 439  
სუჯონა 398  
სწროფავი 391  
სხალდიდი 485  
სხალთა, ს-ის ეკლესია 164  
სხა(ლ)ნარი 148, 520  
სხალტბა, ს-ის ქელი 493  
სხვავა (სოფ.) 206  
სხვიტორი 11, 206, 388, 463  
სხლითი 457, 531  
სხოვისხვევი 326  
სხულონა 398

ტ

ტაბაკინი (\*ტაბაცინი) „ტბა-

- ყინული“ 66, 287, 391  
 ტაბაწყური 392  
 ტაბახმელა 4, 295, 555  
 ტაგნაგეთი 93, 140  
 ტანა 393, 492  
 ტაო 420  
 ტაო-კლარჯეთი 117, 264, 312, 363  
 ტაოსკარი 312  
 ტარშია, ტ-იისმღვიმე 461  
 ტაშისკარი 394, 439  
 ტაძრისი 179  
 ტახტიგორა 297  
 ტახტისძირი 297  
 ტბა (სოფ.) 203  
 ტბათანა 497  
 ტბები 339  
 ტბეთი 211  
 ტბისი 203  
 ტეხურა 436, 467  
 ტვიბერი 469  
 ტიბაანი 250, 561  
 ტიგზისვაკე 396  
 ტიგზისტყე||კდიგზისტყე 396  
 ტილიანი/ა 395  
 ტილიანა ღელე||ღვრიაღელე 396  
 ტინისმთა 70  
 ტინისწყარო 396  
 ტინისხევი 396  
 ტინისხიდი 396  
 ტირიფონა, ტ-ისველი 396  
 ტირიფონასმინდორი 397  
 ტირძნისი 357  
 ტიტველაგორაკი 537  
 ტკბილწყარო 7  
 ტობანიერი 92  
 ტოლათსოფელი 399  
 ტონჩა (სოფ.) 357  
 ტორნე (მდ.) 354  
 ტოპადა 264  
 ტრაპიზონი 289  
 ტუტალა 554  
 ტფილისი||თბილისი 149, 179  
 ტყაჩირი (სოფ.) 399  
 ტყელვანი (-ტყემლვანი) 75, 232  
 ტყვიავი 139, 156, 244, 391  
 ტყვირი||ტყირი 400  
 ტყიბული 81, 182, 209, 302, 320  
 ტყიბულის წყალსაცავი 357  
 ტყუბუშორი 371  
 უ  
 უბისი 437, 438  
 უკანა (უკენა) ფშავი 245, 288, 414  
 უკანდუხტელური 134  
 უკენმაღარო 544  
 ულევ (სოფ.) 400  
 ულევარი (ადგ.) 401  
 ულემიტყვიკიდე (ადგ.) 400  
 ულენარა (||ულევნარა) 401  
 ულუმბა 286  
 უნაგირა 537  
 უნაგირამთა 3  
 ურავი 153, 179  
 ურაველი 130, 179, 331, 342, 401  
 ურარტუ 549  
 ურბნისი 155, 179, 471  
 ურეკი 403  
 უსახელო 487  
 უსტარაულისწყარო 404  
 უტო||უტონი 30, 243  
 უტუნაშინარაყი 115  
 უფლისციხე 18, 431, 471, 553  
 უშარნი 479  
 უშგული 332  
 უჩამბა 465  
 უჩამეთი 287  
 უჩანეთი 558  
 უჩალალი 4  
 უცხერი 167, 292

უძირო ტბა 3  
უწერა 326  
უხარშავთანა 405  
უხედარა 459  
უხუთი 214  
უჯარმა 158, 160, 537

ფ  
ფაზისი (-რიონი) 378  
ფაიკომი||ფაიქომი 418  
ფანიანნი||ფანიანი 250, 561  
ფანიურისთავი 371  
ფანშეტი 95  
ფარაუნი||ფარაუნა 550  
ფარაუნის ტბა 553  
ფარახეთი 407  
ფარეხა (სოფ.) 407  
ფარსმა 173, 177, 387  
ფარსმანაყანევი||ფარსმანაყანევი 555  
ფარცხისი 18, 179, 203, 205  
ფარცხნალი 297, 443  
ფასანაური 38, 99, 329, 408, 478  
ფაფა (სოფ.) 85  
ფაფარენა (სოფ.) 92, 113  
ფილადო||პილადო (-ტიფლისი) 169  
ფიტავი (ნასოფლ.) 156  
ფიქალათი 109  
ფიქალეთი 388  
ფიქარკლდე 370  
ფიქრიანი 370  
ფიქრისგორა 410  
ფიქრულა (||ფიქლურა) 370, 412  
ფიცართ ძირი||ფიცარნი 125  
ფიწალე 219  
ფიქვენარი 148, 482  
ფოთი 332  
ფონთხელა (სოფ.) 286  
ფონიქალა 383, 454

ფოსო 552  
ფრიგია 108  
ფრონე, ფ-ის ხეობა 395, 413  
ფუთი (სოფ.) 281  
ფუტიეთი 515  
ფუშრუჯაული 168  
ფშავი, ფ-ის ხეობა 160, 217, 421, 498, 527, 543  
ფშაველი (სოფ.) 217  
ფშავის არაგვი 38, 217, 288  
ფშავისწყალი (-ფშავ-ხევსურეთის არაგვი) 375  
ფშავ-ხევსურეთი 563  
ფცა, ფ-ისწყალი, ფ-ისფრონე 413, 395  
ფხვენისი 11  
ფხოვი 414, 460, 542  
ფხოველი 348, 528  
ფხუნდა 415  
ფხუნდავი||შალაანთკარი 156, 317, 391, 415  
ფხუტრერი 167, 292, 469

ქ  
ქადაგაური 382  
ქაისხევი 53, 417  
ქალილო (სოფ.) 354  
ქარელი 97, 226, 297, 331  
ქართალი (ადგ.) 424  
ქართლი 18, 46, 50, 156, 192, 262, 276, 287, 418, 419, 499, 536, 540  
ქართლის ბარი 562  
ქართლ-კახეთი 467, 532  
ქარისხევი 417  
ქასისხევი 417  
ქასრისხევი 417  
ქაქუთი 188  
ქაჩალგორი 537  
ქაჯთაქალაქი 553  
ქელა, ქ-ის რ-ნი 138, 316



ქემერთა||ქიმერთა 427  
ქემერტი 386, 427  
ქეპოტი 128  
ქეშალთე 95  
ქვაბთა||ქვაფთა 430, 439  
ქვაბიკარი 439  
ქვაბისხევი 194  
ქვაბლა 428  
ქვავნარი 256  
ქვათახევი, ქ-ის მონასტერი 380  
ქვაიდა||ქვადიდა 302, 429  
ქვარნალა, ქ-ლიბოლო 287  
ქვატირი||ქუტირი 400  
ქვაფთკარი 430  
ქვაფუტკარი 430  
ქვაყუდე 535  
ქვაციხე 474  
ქვაცხელები 14  
ქვახვრელი 132, 247, 276, 431,  
535, 555  
ქვაჭვარა 535  
ქვაჭვარანი 337  
ქუტირი||ქვატირი 400  
ქვები (სოფ.) 466  
ქვედა აღვი 188  
ქვედა ბერეთისა 281  
ქვედა ბზვანი 81  
ქვედა კლდეეთი 368  
ქვედა საზანო 81, 487  
ქვედა საკუბრე 294  
ქვედა სვერი 349  
ქვედა ციხე 539  
ქვედა წევა 102  
ქვედა წიფლავეკე 81, 102  
ქვედა ქალოვანი 388  
ქველაძეების უბანი 368  
ქველაძისეული 368  
ქველეთუბანი 368, 445, 558  
ქველოური 368  
ქვემო ალვანი 297

ქვემო აპარა 197  
ქვემო გომი  
ქვემო იმერეთი 91, 180  
ქვემო კორსევი 210  
ქვემო ლეთეთი 226  
ქვემო მაკვანეთი 240  
ქვემო მაჩხაანი 293  
ქვემო ონქიქეთი 309  
ქვემო რაჭა 539  
ქვემო საიხვე (ადგ.) 346  
ქვემო სვანეთი 378, 468  
ქვემო ქართლი 7, 106, 144, 249,  
443, 488, 534  
ქვემო ღარისწყალა 438  
ქვემო შარახევი 455  
ქვემო შუხუთი 310  
ქვემოთა სამუშია 354  
ქვერაყანა 431  
ქვეშამთა 370, 412  
ქვეშეთი 187, 432  
ქვიანია 537  
ქვიანეთი 537  
ქვიტიკრისლილო 532  
ქვილილელე 432  
ქიზიყი 250, 256, 290, 293, 302,  
365, 507, 561  
ქიმბარიანი 432  
ქიმერეთი, ქ-ისხევი 427  
ქიმერთი||ქემერთი 427  
ქინძარა 286  
ქისტაური 410  
ქმოსტი 92  
ქობულეთი 148, 197, 301, 390,  
468  
ქოველი 342  
ქორეთი 206, 237, 268, 438, 463  
ქორენიში 468  
ქოფთა 122, 433  
ქოფთისთავები 433  
ქოჩორა (-ლიხის მთა) 232

ქონათი 558  
ქოხისლარი 438  
ქროლი 81  
ქრცხინვალი||ცხინვალი 211, 479  
ქსანი 7, 456, 468  
ქსნის ხეობა 151, 166, 267, 462, 484, 531  
ქუაბთა 138  
ქულო (მდ.) 329  
ქუთაისი 182, 202, 332  
ქუთხისგორი 245  
ქუმლისციხე 474  
ქურთა 122, 228, 434  
ქურთისკარი 78, 369, 435  
ქუფთალეღე 122  
ქცია||ხრამი 18, 317, 354, 435, 436, 488

ღ  
ღადო, ღ-ოს მთა 420  
ღამეკდე||ღამეკლდე 437  
ღამეტყე (-ბნელი, გაუვალი, უსიერი ტყე) 437  
ღამეხევა 437  
ღამითავი||ღამისთავი 437  
ღამისთავის ღელე 437  
ღანირი 400, 508  
ღანუხი (-მდ. იორი) 185  
ღარი (სოფ.) 438  
ღარათა||ღარამთა 438  
ღართა 438  
ღართისკარი 287, 438, 503  
ღართისკარის აღმართი 287  
ღარისთავი 438  
ღარისხევი 438  
ღარჩეღა (-\*ღალ-ჩეღა) 439  
ღარულა 438  
ღვინის (სირაჯხანის) აღმართი 411  
ღები 439, 521  
ღელისვაკე 92

ღერკენანთუბანი 428  
ღვანკითი 508  
ღვებრა 441  
ღვევი 140  
ღვთაების ეკლესია (თელავში) V-VI ს.ს. 170  
ღვითორი 11, 81, 558  
ღვრია 139  
ღვრიაღელე||ტილიანა 396  
ღლიღვეთი 414  
ღმაშარა 241  
ღმაშარისთავი 241  
ღობი||ღვები 441  
ღოდორა 89  
ღოდოვანი 481  
ღონა (სოფ.) 206  
ღორეშა 370, 441  
ღორიკუდი 444  
ღორისთავი 317, 443  
ღორჯომი 505  
ღოღათუბანი 303  
ღრელი 106  
ღრმაღელე 532  
ღრომი 505  
ღრტილა 551  
ღუღუშეჟედი 279  
ღული 506  
ღულეღები 33, 174, 179, 236, 375

ყ  
ყაბარი||ყაბრი (-მდ. იორი) 185  
ყაბარღო 296  
ყაბახი (მდ.) 126  
ყადორი 11, 185  
ყაზბეგი, ყ-ის რ-ნი 175, 293, 528  
ყალიჩონა, ყ-ასმღვიმე 461  
ყალნუშთა 262  
ყანჩაეთ-ლოწობანი 484  
ყანჩავეთი 559  
ყანობი 351, 526

ყარათალა 65  
ყარაია 385  
ყარაგასიურტი 516  
ყარაიაზი 367  
ყარაიისთავი 458  
ყარანგიურტი 516  
ყარაჩაირი 458  
ყარაჩაი-ჩერქეზეთი 296  
ყარსუბანი 213  
ყაულანთუბანი 428  
ყაფარი 445  
ყაჭილუზი 385  
ყელყვითელა 544  
ყვარელი 130, 179, 331  
ყველაანი 479  
ყველანთუბანი 445  
ყვიბისი 11, 147, 329  
ყვირილა 282, 304, 327, 400, 447, 448, 463, 475, 486  
ყვირილეები 314  
ყვირილის აუზი 181  
ყვირილის მდინარე 449  
ყვირილისგამოქვაბული 514  
ყვაილი (სოფ.) 317  
ყინცვისი||ყინწვისი 449  
ყინცურა||ყინცვისურა 450  
ყინწვისი||ყინცვისი 449  
ყირვნის ძირი 339  
ყიყვიანიცხემლა 535  
ყიჭულასჩაფრი 458  
ყორანთა 129  
ყორნისი, ყ-ის რ-ნი 68, 100, 210  
ყოროლისწყალი 79  
ყულემა (-ყულიშკარი) 453  
ყულევი (რედუტ-კალე) 453  
ყულისკარი||ყულიშკარი 372, 452  
ყულიწყარი 452  
ყუმისთავი (სოფ.) 357  
ყუმური 92, 224  
ყურსები||კურსები 209

ყურყუთა 383

შ

შავა 294

შავი (გულამაყრის) არაგვი 283

შავი ზღვა 78, 241

შავი ტყე 404

„შავი ქვა“ (-ქ.ჭიათურა) 513

შავი ღარი 438

შავი წყალი 374

შავი წყალი||ღიდწყალი||ყვირილა 447

შაემუხიანი 538

შაენაბადი/ა 453, 454

შაერა 455

შაერას მდინარე 455

შავსოფელი 16

შავშეთი 46, 363

შავშეები 397

შავწყალა 7

შავჭირკი, შ-ისლელე 535

შალაური 410

შალიანთკარი 124

შამბიანი 481

შამბიანა 145

შანკევანი 481

შაორი, შ-ისწყალი 454, 455

შარაულა||შარეულა 455

შარახევი 289, 370, 455, 542

შარახეულა 58, 289

შარვანი, შარვანელა (სალოც.) 455

შარდომეთი 231, 407

შარეულა||შარაულა (იხ.)

შარმინი||შარუმინი 479

შატილი 55, 100, 225, 506, 527, 528

შალანთკარი||ფხუნდავი 415

შევაბური 316

შევარდნისბუდე 126

შეკვეთილი 294  
შემოქმედი (ეკლეს.) 301  
შენაქო 490  
შერთულა 139  
შეშისთავი 10  
შველაური 382  
„შიდსოფელი“ 210  
შიდა ქართლი 100, 338  
შიმშილეები 14  
შინდა 337  
შიომღვიმე 233  
შირაქი 57  
შირვანი 324  
შოლა, შ-ისხევი 395  
შონხო 186  
შორაპანი 281, 339, 447, 448, 558  
შრომა 294  
შრომისუბანი 380  
შრომა 438  
შტროლთა 173, 177  
შუა აღვი 106  
შუა ისნარი 205  
შუამდინარეთი 270  
შუამთა 290, 508  
შუა მუხენარი 286  
შუანის-ხევი 215, 322  
შუა სურები 389  
შუა ფრონე 469  
შუაფხო 415  
შუაფხორი 415  
შუახევი, შ-ის რ-ნი 205, 247  
შუბანი 92  
შულავერი 93  
შუხუთი (შუა უხუთი) 214  
შქმერი 326  
შყალერი 167, 469  
შხარა, შ-ისმთა 332  
შხივანა 448  
შხრო 326

ჩ  
ჩაბარუხი (ჩანჩქ.) 448, 456  
ჩაბარუხეთი 456  
ჩაბუხარა (ადგ.) 457  
ჩალივარი 366  
ჩაღრისსაყდარი 357  
ჩაილური 457  
ჩაირი 458  
ჩაიკტაური 234, 382, 540  
ჩალამოტი 190  
ჩამძვრალა 254, 406, 459  
ჩანჩეთი 540, 561  
ჩაო (სოფ.) 283  
ჩარგალი||ჩარგლისკარი 289, 459, 460  
ჩარგლულა 459  
ჩარგლურა||ჩარგლულა 58, 289, 460  
ჩაფარუხი 457  
ჩაქვისწყალი 111  
ჩაჩნეთ-ინგუშეთი 96, 491, 527  
ჩახათაური||ჩახათავრი 465  
ჩახატაისმთა 465  
ჩახატაური 465  
ჩახატაურისკალა 465  
ჩახრაბულა 401  
ჩახრიელა (ადგ.) 448  
ჩეკი, ჩ-ისმღვიმე 461  
ჩეკური 483  
ჩელეთი 87  
ჩელალი, ჩ-ისმღვიმე 461  
ჩიბათი 109  
ჩითახევი 461  
ჩიტახევი 462  
ჩიტიანი 260, 462  
ჩიტიანთკარი 463  
ჩიხა 281, 289, 335, 373, 463  
ჩიხნარი, ჩ-ისლეღე 464  
ჩიხნარისწყარო 464  
ჩიხურა (მღ.) 66, 289, 373, 463,

536

ჩოლური, ჩ-ის თემი 378  
ჩორსუბაზარი 16  
ჩოჩეთი 357  
ჩოჩხათი 109  
ჩოხატაური (ძვ. ბირკნალა) 464  
ჩოხატაურის რ-ნი 147, 278, 309,  
382, 464, 555  
ჩოხელნი 479  
ჩრდილი (სოფ.) 123  
ჩრდილოეთი კავკასია 266  
ჩუმათელეთი 443  
ჩუნეში 371  
ჩულურეთი 16, 400, 465  
ჩულურეთისხევი 466  
ჩუხური||ჩულური 466  
ჩხაკოურა/ი 234  
ჩხამოვანა 145  
ჩხერი (მდ.) 95, 374  
ჩხერიმელა 84, 374, 466  
ჩხერიპირა 374  
ჩხერისციხე 466  
ჩხიკვათა 439, 495  
ჩხორთოლი 467, 560  
ჩხოროწყარი 467  
ჩხოროწყუ 114, 192, 270, 314,  
467, 560

ც

ცაბაურთა 288, 460  
ცაგერი, ც-ის რ-ნი 76, 124, 165,  
167, 290, 292, 468  
ცაიში, ც-ისმღვიმე 167  
ცალერი 167, 292  
ცაცხვიგორა 83  
ცდო (სოფ.) 512  
ცენტრალური ქართლი 288  
ცეროვანი 470  
ცერონისი||წერონისი 495  
ცივი, ც-ისმთა 154

ციკარა/ე 470, 471  
ცივილელე 7  
ცირცლოვანი/ა 145  
ციყვიანები||ციყვიანები 416  
ციცაბაური 382  
ციციბაური 540  
ციცქიური 109  
ციხეზღავი 286  
ციხეზღავი 472  
ციხეგორი 288, 437  
ციხეგოჯი 80  
ციხედავი 472  
ციხედიდი 7, 471, 485  
ციხედა 473  
ციხედავი 277, 472  
ციხეზღაღენი 157  
ციხეთსოფელი 543  
ციხია 473  
ციხიანი 473, 479  
ციხისგვერდი 292  
ციხისოფელი 418, 473  
ციხისუბანი 16, 418, 473  
ციხისფერდი 463  
ციხისძირი 32, 188, 247, 473, 498  
ციხიძირი 473, 530  
ციხისჯვარი 87, 260, 276, 473  
ცლუნჯაანი 256, 561  
ცუნქი, ც-ისხევი 518  
ცურტავი 156  
ცუცხვათი 81  
ცქრიალათი 109  
ცხავატი 470  
ცხაკამერია 478  
ცხეკი (მდ.) 478  
ცხეკერეთა 478  
ცხეკნელა||ცხეკნელა 478  
ცხეშლისი 476  
ცხენტარო 276, 281, 438, 475  
ცხენკელა||ცხენკელა 478  
ცხენისტერფი 16

ცენისწყალი 90, 284, 377, 448,  
468, 556  
ცვარიკამია 194, 242, 477  
ცვედიეთი 478  
ცხილათი 326  
ცხინვალი 211, 323, 479, 480  
ცხირეთი 404  
ცხირეთ-გულარეხი 534  
ცხმელური 227  
ცხმორისი 70  
ცხოვრეთი 317  
ცხომი 86  
ცხომარეთი 32, 283, 520, 547  
ცხრაზმა||ცხრადმა 139, 159  
ცხრამუხა, ც-ები 338, 468  
ცხრაფონა 192, 468  
ცხრადმა||ცხრაზმა (იხ.)  
ცხრადმულა 468  
ცხრაწყარო 192, 468  
ცხრუკვეთი 369  
ცხუკუშერი 292, 372, 451, 468

ძ  
ძაგვი (შდრ. ძაგვ-ნაკორნა) 484  
ძაგნაკორა 482, 483  
ძაგნაკორნა 483  
ძალისი 258  
ძამა, ძ-ის ხეობა 449  
ძეგვი 194, 471, 485, 534  
ძეგვისხევი 485  
ძეგლვეი 326  
ძეგნაკორა||ძაგნაკორა 482  
ძევარა||ძევერა 139, 486, 487  
ძევრი 289, 486, 512  
ძევრისწყალი 486  
ძევრულა 66, 289, 486  
ძელქვავენახი 487  
ძელქვები 487  
ძელქვისყანები 487  
ძველგარბანაი 92

ძველკვიანი 487  
ძველნასახტრი 487  
ძველყანები 487  
ძველწყარო 487  
ძირაგეული 300  
ძირეულა 524  
ძირეულა 3, 66, 448, 456, 522,  
536  
ძირეულის ხეობა 522  
ძრუხულა 488  
ძულუხი 488  
ძულხურა||ძულუხურა 488  
ძურძუკეთი 379  
ძუყნური 546

წ  
წაბლნარი/ა 256, 482  
წავკისი 534  
წალენჯიხა, წ-ის რ-ნი 474, 559  
წალიკარი 530  
წალკა 488  
წარბასთუმანი 23, 254  
წარჩე 535  
წაქვა 109  
წალვი 491  
წალვერი 491  
წალვლი, წ-ისწყალი 491  
წელისი 492, 493  
წელისისხევი 493  
წევა (სოფ.) 181  
წერათხევი 495, 537  
წერაქვი (სოფ.) 376  
წერეთი 376, 495  
წეროვანი 14, 376, 469, 493, 494,  
500  
წერონისი||ცერონისი 495, 500,  
წელვერი 492  
წვერისანგელოზი||წვერის  
სპარსანგელოზი 385  
წიალი||წიახი 496, 497

წილუბანი 497  
წითელსოფელი 488  
წითელწყარო (გორის რ.) ყოფ.  
ნათლისმცემელი 498  
წითელწყარო 528  
წითელხახნი 526  
წითელხევი (ყოფ. შირონწმინდა)  
498  
წითელი ეკლესია 540  
წითელი კლდე (ადგ.) 341  
წითელა (მღ.) 341  
წითელათანა (ადგ.) 341, 497  
წითელაურთა 217  
წითელო (ადგ.) 498  
წილკანი (\*წირკარი) 258, 376,  
473, 495, 499  
წინამძღვრიანთკარი 83  
წინარები 194, 357, 500  
წინაფშაეი 460  
წინდუბტელური 134  
წინვენახი 501  
წინვენახები 191  
წინზახორი 501  
წინკარი 320  
წინსაგარეჯო 501  
წინუბანი 500  
წინწყალაშვილები 280  
წინწყარო 93, 501  
წირა 376, 500  
წირამელა 467  
წირამთა 443  
წირვანი 495  
წირქვალი 206, 430, 495  
წირქოლი 376, 495  
წიფა 105, 281  
წიფელათი 332  
წიფნაგვარა 502  
წიფნარი 502  
წიფრანი 501  
წიქარისწყალი 471

წიწამური 502, 538, 554  
წიწამურა (სოფ.) 504  
წიწამურები 504  
წკადისი 11  
წკერე 471  
წმენდაური 153  
წმინდაელია 116  
წობენი (წწობნები) 320  
წოდორეთი 26  
წორბისი 11  
წრომი 73, 86, 504  
წუბროვანი, წ-ისვაკე 506  
წუგნა (სოფ.) 305  
წუნდა, წ-ის ტბა 471, 553  
წურტე 95  
წყავროკა 280  
წყალაფორეთი 224  
წყალთაშუა 312, 394  
წყალთბილა 7  
წყალტუბო 80, 182, 241, 247,  
320, 371, 497, 509  
წყალშავა 488  
წყალშატროვანი 494  
წყალწითელა 3, 209, 341, 498,  
546  
წყაროგლინავა 102  
წყაროთკარი||წყაროთკრები 439  
წყაროთუბანი 33  
წყაროკარი 508  
წყაროსთავი 550  
წყაროტკრები 507, 512  
წყრუთი (სოფ.) 376  
წყურგილიშ რზენი 560

ჰ

ჰგანი (\*ჰიაგანი) 202, 328, 508,  
557  
ჰგან-ჰყვიში 508  
ჰადისჯვარი 278  
ჰალა 85, 387, 447, 531, 546

კალადიდი 510  
კალაიდა 302  
კალატყე 510  
კალაზმელა 451, 510  
კალვანი 75, 89, 227, 456  
კალისტავეი 510  
კალისოფელი 510  
კალისუბანი 510  
კალოვანი 510  
კანგა 557  
კანი 30  
კანეთი 161, 374  
კანიეთი 188, 561  
კანჭათი 198  
კანჭახი 102, 507  
კაპალა 93  
კარბეული 342  
კარები 61, 511  
კარებისეკლესია 61  
კარებულა 511  
კართალი, კ-ისხვეი 70, 562  
კარნალი||კარნალები 510, 511  
კარჩხული (\*წარჩხე) 511  
კაუხი 92  
კაქვინჯი, კ-ისმღვიმე 461  
კაშა (სოფ.) 277  
კაჩხურა, კ-ისლელი 512  
კაჭარაქი 86  
კახათი 138  
კახტკარი (\*ჩაღდ-კარი) 512  
კბო 546  
კერათხვეი 395  
კერემ-ვეჯინი 64  
კველეთონა 398  
კიათურა (\*ჭია-თა-ურა) 20, 67,  
182, 206, 487, 513, 558  
კიბრევი 407  
კიეთი 388  
კითაწყარი 276, 498  
კიკიანი 256, 561

კილურტი (\*ჭილურთ-ი) 516, 517  
კინათი 198  
კინკათხვეი (ჭანეთში) 310  
კინჭაროული 55  
კიორა 440  
კობარეთი 107, 179, 458, 517  
კობარეთისხვეი 518  
კობისხვეი 519  
კობური 518  
კოგნარი 520, 521  
კონთიო 173, 177  
კონტილი (\*ჭოტ-ილ-ი) 245  
კონქაძე||ყვავეილი (სოფ.) 52  
კობორტი 62, 483  
კორმეშავი 506  
კოროხი 7, 244, 312  
კოკკანი 436  
კუბურხინჯი 276  
კურთა 122  
კყეპნარა (ადგ.) 526  
კყვიში 92, 224  
კყონალი (\*ჭყორ-ნალი) 521  
კყონალიაზო 521  
კყონდიდი 46, 92, 108, 162, 245,  
276, 302, 472, 535

## ს

საბაროულა (\*ხარაბოულა) 522  
სადა||ჯადა 122, 186, 433, 470  
სადილაანი 124  
სადის (ჯადის) ხეობა 45, 268  
სადოელები||სადუელები (სოფ.)  
236  
სალიფაური 72, 206, 437  
სანდისი||ჯანდისი.11  
სანისწყალი||სანურა 66, 232, 304,  
545  
სარაბაული (სოფ.) 523  
სარაბაშვილისოული 525  
სარაგაული||სარაგოული 82, 182,



279, 303, 522, 523  
 ხარაგეული 466, 524  
 ხარაგეულისციხე 524  
 ხარბალი 507  
 ხარიკალია 477  
 ხაროვანი 507  
 ხარული, ხ-ისმთა 468  
 ხარფუხი 16  
 ხარხეთი||ხარჯეთი 470  
 ხარხელი||ხარჯელი 470  
 ხატხევი||ვატხევი 289  
 ხატხეურა||ვატხე(ვ)ურა 58, 289  
 ხაშში 195  
 ხაშური, ხ-ის რაიონი 272, 316  
 ხაწირი||ვაწირი 525  
 ხახაზანი||ვაჯაზანი 99  
 ხახაზნისტყე 99  
 ხახმატი||ვაჯმატი 56, 506, 526, 528  
 ხახმატის (ვაჯმატის) ჯვარი 218, 526  
 ხახმელაი||ვაჯ-ვაჯმელაი 526  
 ხებუკი 535  
 ხებოყნარი 527  
 ხებოყენარი 527  
 ხებუყნარა (ადგ.) 340  
 ხევი (ყაზბეგის რ-ნი) 92, 351, 527  
 ხევი (სოფ.) 109  
 ხევისჭალა 510  
 ხევისჯვარი 109  
 ხეთაგეთციხე 533  
 ხევსურეთი||ვევსურეთი 20, 38, 55, 100, 236, 414, 491, 497, 527, 553  
 ხევშა||ვევშა 123  
 ხევძმარა||ვევძმარა 375, 532  
 ხევძმარას დასახლება 532  
 ხევძმორა||ვევ-ძმორა 533  
 ხევხმელა||ვევქმელა (მდ.) 326, 540  
 \*ხეკორდი 485, 534  
 ხეკორძი 276, 555  
 ხეკორძულა, ხ-ის ხეობა 534  
 ხეკორწა 209, 534  
 ხეკრებულნი 535  
 ხელვაჩაური, ხ-ის რ-ნი 78, 148, 244, 451, 510  
 ხელთუბანი||ველთუბანი 445  
 ხეოთი (სოფ.) 222  
 ხერთა (ადგ.) 535  
 ხერთვისი (მცხეთისა) 269  
 ხერთვისი (ქინვალისა) 39  
 ხერთვისი (ფასანაურისა) 39  
 ხერთვისი (ფშავ-ხევსურეთისა; ორწყალი) 39  
 ხერთვისი (ჯავახეთის მტკვრისა) 94, 107  
 ხერთულა (||\*ვევ-ართულა||ვევ-შერთულა) 535  
 ხერკი, ხ-ისმთა 62, 536, 537, (||ხრეკი)  
 ხერკი-საგურამო 83  
 \*ხერკორდი 534  
 ხერხმელა (\*ხე-ხმელა) 84, 467  
 ხეფინისხევი (||ვეფინის-ხევი) 109  
 ხეფნურა 110  
 ხეფუტყარი (-ხე-სკა) 526  
 ხვამლი (ხომლი), ხ-ისმთა 202  
 ხვანი 89  
 ხვანჭკარა 538, 539  
 ხვარბეთი 539, 561  
 ხვედურეთი 449  
 ხვითი 211  
 ხელიკიანა 507  
 ხთიშობელი 132  
 ხიდი (სოფ.) 67, 90  
 ხიდარი (სოფ.) 84, 283, 375, 443  
 ხიდიკარი 439, 530  
 ხიდისთავი (სოფ.) 121, 161, 276, 555  
 ხიდისკარი 342  
 ხიეში (||ხიმში) 326

ხითანა (ადგ.) 497  
ხილაუშა||ხირაუშა 216  
ხილიანა (სოფ.) 216, 481, 542  
ხინგის მდინარე (||ხინგისწყალი)  
518  
ხინო (სოფ.) 111, 301  
ხინოსწყალი 111  
ხინჭრიკვა 490  
ხირაუშა||ხილაუშა (იხ.)  
ხირზონისი (||ვირკონისი)  
ხიხანი (სოფ.) 164, 168  
ხლესილი||ხრესილი 547  
ხმელგორი||ხმელგორი (-ლაშარის  
ჯვარი) 217  
ხოზი, ხ-ისწყალი 450, 467  
ხოდაშენი 20  
ხოვა 243  
ხოვლე||ხოვლე 172, 540  
ხოვლეგორა 541, 543  
ხოვლევი 541  
ხოვლიანა||ხოვლიანა (ნასოფლ.)  
542  
ხოვლისხევი 542  
ხოვლის ხეობა 541  
ხოლასკური 371  
ხოლდგორი (\*ჰოლთ-გორი) 543  
ხოლის (ჰოლის) კალუანი (ადგ.)  
542  
ხოშლის (ხეამლის) კლდე 229  
ხოშულუშქური 535  
ხონი, ხ-ის რ-ნი 67, 78, 107, 182,  
431, 439  
ხორანთა 122  
ხორეზმი (||ხვარაზმი) 270  
ხორსი||ხორკი ხ-ის ხეობა 215  
ხორხელი||ხორკელი (სოფ.) 237,  
342, 402  
ხორხულა||ხორკულა, ხ-ისხევი 215  
ხოტევი 326, 544  
ხოფა, ხ-ისეკლესია 306

ხოშარა||ხოშარა 217  
ხოხ-დონ (ოს.) — არაგვი 40  
ხოხისქელი 126  
ხრამი||ქცია 18, 317, 354, 435, 488  
ხრეკი (ადგ.) 538 (იხ. ხერკი)  
ხრესილი||ხლესილი 233, 546, 548,  
555  
ხრესილები 546  
ხრესილისთავი 547  
ხრესილისღელე 547  
ხრესილისძირი 547  
ხრიალეთი (სოფ.) 294  
ხუდისან (ოს.) „ქუდსახდიელა“  
318  
ხუთპანტები 192  
ხულო, ხ-ოს რ-ნი 148, 283, 432  
ხულები||ხულები 543  
ხუნევი 146  
ხურთისი 11  
ხუფხუფაწყარო 448  
ხუშკიანი||ხუშკიანები 548  
ხუშკურადირი (ადგ.) 548  
ხუტისოულიღელე 441

ჭ

ჯაეა, ჯ-ის რ-ნი 68  
ჯავათი 262  
ჯავახეთი 104, 266, 459, 478, 518,  
549  
ჯავახთა 122  
ჯალაბეთი 487  
ჯალაღრთა 487  
ჯაფარაული 522  
ჯაფარეული 294  
ჯაფაროული 55  
ჯალმიანი||ჯალუმინი 479  
ჯაქვი (||ჯაქვინი) სოფ. 243, 554  
ჯახა (დიდი ჯახა, პატარა ჯახა)  
(მდ.) 473  
ჯახისციხე 473

გგელათი (სოფ.) 365  
გეგორა||გეგორისწყალი 139, 436, 492  
გვარი (სოფ.) 554  
გვარბოსელი 173, 177  
გვარზენი (\*გვარ-რზენი) 161, 328  
გვარჟინაი (ადგ.) 323  
გვართა 122  
გვართყელნი 337  
გვარისა 522  
გვარის მონასტერი||გვარის მონასტერი 160, 270  
გვარის უღელტეხილი 115  
გიმისტარო||გიმასთარო 371  
გიმასტაროსწყარო 371  
გინჯართალა 65  
გიქეთი 553  
გიქეფონი (\*გიქე-ფონი) 558  
გიქთობანი||გიქთუბანი 43, 105, 200, 445, 507, 556, 557  
გიქთუბნის სასახლე 557  
გიშკილვანი 294  
გიხა 474  
გიხაისი||გიხაიში 203  
გიხანჯირი 474  
გიხასკარი 439  
გიხაშკარი, გ-ისმღვიმე 461, 474

გოლბეეთი 558, 560  
გორჩი 132  
გორწყუ, გ-უსმღვიმე 560, 561  
გოხისი 492  
გოგოხეთი (სოფლ. უბანი) 310  
გრუქი, გ-ქისეკლესია 372, 463  
გრუქულა 66, 463, 536  
გუართაყელი 70  
გუარისა 371  
გუგანი 146, 256, 561  
გუთა 175, 455  
გუმი 452  
გუმათი, გ-ისმთა 111, 198, 390  
გურუყვეთი 561  
გულანისი 561  
გულისი 179, 562  
გულისურა 562

### ჰ

ჰასავიურტი 516  
ჰერაკლეა (||ანაკლია) 35  
ჰერეთი 184, 213, 262, 379, 419, 420  
ჰერწყუ||ჰერწყო („ჰერების წუ“, „ჰერთა სალოცავი“); (ჩაჩნ.) 143  
ჰერწყუნი (ჩაჩნ.-ინგუშ.) „ჰერების სალოცავის (სიონის) წყალი“ 145

## შემოკლებათა განმარტება

ადგ. — ადგილი  
ავესტ. — ავესტური  
აზერბ. — აზერბაიჯანული  
ალმ. — ალმანახი  
ამჟ. — ამჟამინდელი  
არქ. — არქეოლოგიისა,  
არქეოლოგიური  
აღმ., აღმოს. — აღმოსავლეთი,  
აღმოსავლური  
ახ. — ახალი  
ბათ. — ბათუმი  
გადატ. — გადატანითი  
მნიშვნელობით  
გაგრძ. — გაგრძელება  
გაზ. — გაზეთი  
გამოც. — გამოცემა  
გვ. — გვერდი  
დ. — დაბა  
დაახლ. — დაახლოებით  
დასახლ. — დასახლებული  
დიალ. — დიალექტური  
დღევ. — დღევანდელი  
ეკლ. — ეკლესია  
ერთტ. — ერთტომეული  
ე.წ. — ევრეთწოდებული  
ვარ. — ვარიანტი  
ზან. — ზანური  
ზღვ.დ. — ზღვის დონიდან  
თარგმ. — თარგმანი  
თბ. — თბილისი  
თურქ. — თურქული  
თუშ. — თუშური  
თხზ. — თხზულებანი  
ინგილ. — ინგილოური  
ისტ. — ისტორიული  
იხ. — იხილეთ  
კმ. — კილომეტრი  
კრ., კრებ. — კრებული

ლეჩხ. — ლეჩხუმური  
მარცხ. — მარცხენა  
მარჯვ. — მარჯვენა  
მდ. — მდინარე  
მეგრ. — მეგრული  
მესხ. — მესხური  
მისთ. — მითანანი  
მ.-ლ. — მოსკოვ-ლენინგრადი  
მრ. — მრავლობითი  
მრავლ. მრავლობითი რიცხვი  
მრ. — მრავალი  
მც. მცენ. — მცენარე  
მხოლობ. — მხოლობითი რიცხვი  
ნათეს. — ნათესაობითი ბრუნვა  
ნაკვ. — ნაკეთი  
ნასოფლ. — ნასოფლარი  
ნაშრ. — ნაშრომი  
ოს. — ოსური  
ორჯონ. — ქ.ორჯონიკიძე (ამჟ.  
ვლადიკავკაზი)  
პ. — პატარა  
ჟ. — ჟურნალი  
რ., რ-ნი — რაიონი  
რაქ. — რაქული  
რედ. — რედაქციით  
რუს. — რუსულ ენაზე  
საკუთ. — საკუთარი  
სალოც. — სალოცავი  
სამხრ. — სამხრეთი  
სას. — სასოფლო  
სვან. — სვანური  
სომხ. — სომხური  
ს., სოფ. — სოფელი  
სქ. — სქოლიო  
ს.-პბ. — სანკტ-პეტერბურგი  
სტ. — სტატია  
ტ. — ტომი (წიგნი)  
ტოპ. — ტოპონიმი

ტფ. — ტფილისი  
ფს. — ფსალმუნნი  
ქართ. — ქართული  
ქდ. — ქედი  
ქვ. — ქვედა, ქვემო  
ღვთ. — ღვთაება  
შდრ. — შეადარეთ  
შედგ. — შედგენილი  
შემდგ. — შემდგენელი

შნშ. — შენიშენა  
შრ. — შრომები  
ჩამწ. — ჩამწერი  
ჩრდ. — ჩრდილოეთი  
ძვ. — ძველი  
ძვ.წ.ა. — ძველი წელთაღრიცხვით  
წ. — წიგნი  
ქან. — ქანური  
ხელოვნ. — ხელოვნებისა

## ლიტერატურული წყაროების შემოკლებანი

1. გვდ — გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (II-III)
  2. რდლ — რაქული დიალექტის ლექსიკონი
  3. სიგჯ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული
  4. სმამ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოამბე
  5. СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа
  6. სდსტ — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია (I-II)
  7. ქებლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (I-VIII)
  8. ქებგ — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები
  9. ქედ — ქართლური დიალექტის ლექსიკონი
  10. ქემდ — ქართული ენის მონეური დიალექტი
  11. ქესს — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები
  12. ქცა — ქართლის ცხოვრება (I-II)
- ძქალძ — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები

## მთხრობელ-ინფორმატორები

აბალიშვილი, სიკო 30\*

აბრამიშვილი ციცო გუგულის ასული 392<sup>1</sup>

აზარიაშვილი დავითი (დ. კოჯორი) 204

აზიკურიძე პავლე 177

ამაშუკელი ნათელა სიმონის ასული 32

ასათიანი ელისო ედიშერის ასული 223

ასანიძე ცარო ალექსანდრეს ასული 255

აფციური არჩილი (ს.ღვევი) 140

ბაისონაშვილი შალვა 542

ბალაშვილი ვასო (ს.ბალაანი) 123, 462.

ბარათაშვილი სოსიკო (ს.სიქთარვა) 69, 357

ბაცანაძე ლევან მიხეილის ძე (კაჭრეთი) 194, 195

ბედიანაშვილი ანტონი (ს.მარტყოფი) 401

ბედოშვილი პავლუშა ნიკოლოზის ძე (ს.ანანური) 409

ბერიანიძე სოფიო (დ. ახალგორი) 123, 268

ბერუაშვილი სოსო (დ. ახალგორი) 508

ბლიაძე თანდო (ავთანდილი), თბილისი, 396

ბოძაშვილი უშანგი (ქ.ღუშეთი) 455

ბურჯალიანი მზია (ცაგერი) 318

გაჩეჩილაძე კოტე ბიქტორის ძე 392

გეწაძე ვახტანგი (ბუჭუ) ბიქტორის ძე (ს. II ობზა) 339, 526

გეწაძე მერი ვასილის ასული (ქ.თბილისი) 201, 236

გეწაძე ნუნუ (ქ.ქიათურა) 370

გეწაძე სოსიკო ალექსანდრეს ძე (ს. II ობზა, ბაღდათის რ.) 476

გიორგაძე ზურაბი (ზუბიკო) გიორგის ძე (ქ.რუსთავი) 310

გიორგაძე-ლოდია თამარი, ს.ხვარბეთი (ოზურგეთის რ.) 509

გოგაძე რეზო (ს.ტყაჩირი, წყალტუბოს რ.) 400

გოგოჩიშვილი სარდიონი დიმიტრის ძე (ამბროლ. რ.) 103

გოგუაძე დათო მამიას ძე, ქ.თბილისი, 244

გომურაშვილი გიორგი (ს.აკურა) 65, 197, 212

გოცირიძე ჯანია (ქ.ზესტაფონი) 335, 248

გულბათაშვილი შალვა (დ.ჟინვალი) 320

გურული ლალი შოთას ასული (ს. II ობზა, ბაღდათის რ.) 527

გურული შოთა (ს. II ობზა, ბაღდათის რ.) 332

დულუზაური ალექსანდრე (ს.არხალი, თიანეთის რ.) 56, 58, 446

---

\* ციფრებით აღნიშნულია წიგნის გვერდები

ებიტაშვილი შალვა (ს.ბაზალეთი, დუშეთის რ.) 71  
 ელერდაშვილი ალექსანდრე 457  
 ერაძე მერი გიორგის ასული (ს.დირბი, ქარელის რ.) 98  
 ზაქაძე გრიშა ივანეს ძე (ს.მისაქციელი, მცხეთის რ.) 258  
 ზავრდაშვილი გიორგი (ს.ანანური, დუშეთის რ.) 54  
 თავაძე ნაირა ბაგრატის ასული (ს.ნატანები) 294  
 თათარსაბაშვილი მიშა (ს.კარდენახი) 147  
 თოდუა ლია (ქ.სამტრედია) 88  
 ილურიძე ციური ივანეს ასული 257  
 ინასარიძე თამაზი შერმადინის ძე (ს.კობარეთი) 402, 517  
 იორდანიშვილი აბესალომი (ქ.დუშეთი) 133  
 კახიანი ზურაბი იოსების ძე (ს.ჭიქთუბანი, სამტრედ. რ.) 200  
 კახიანი-გიორგაძე ნინა (პატარია) კალისტრატეს ასული (დ. ვანი) 80, 91  
 კახურაშვილი ნინო (ს.ლისი) 122  
 კეკელიშვილი სიმონი მიხეილის ძე (ს.საქობო, სიღნაღის რ.) 250, 303  
 კემულარია ვალიკო (ქ.ზუგდიდი) 162  
 კერესელიძე ლია რევაზის ასული (ს.სადმელი, ამბროლაურის რ.) 546  
 კერესელიძე რეზო სამსონის ძე (ქ.თბილისი, ს.სადმელიდან) 342  
 კვინიკაძე ხათუნა ოლეგის ასული 497  
 კოპალეიშვილი კუკური ილიას ძე (ქ.სამტრედია) 180  
 კოპალეიშვილი-კახიანი მაშეკო ამბაკოს ასული (ს.ჭიქთუბანი) 203, 515, 557  
 კოშაძე ნანა (ქ.თბილისი) 541  
 კურტანიძე სერგო (ს.ყარსუბანი, ლაგოდეხის რ.) 213  
 ლაფანაშვილი ვანო (ს.ლაფანანთკარი, დუშეთის რ.) 63, 483  
 ლოდია აკაკი გლახუნას ძე (ს.ხვარბეთი, ოზურგეთის რ.) 198  
 ლოდია რუბენი გიორგის ძე (ქ.თბილისი — ხვარბეთიდან) 403, 540  
 ლომჯარია ალექსანდრე 23  
 მაისურაძე გოგია (დ.ჟინვალი, დუშეთის რ.) 216  
 მარუქაშვილი მარინე ივანეს ასული 246  
 მაჭარაშვილი გივი ილიას ძე (ს.მისაქციელი, მცხეთის რ.) 496  
 მაჭარაშვილი-კახაძე ნათელა შალვას ასული (ქ.თბილისი) 200  
 მგელაძე თამარი 23  
 მდივნიშვილი ტარიელი (ქ.თბილისი — ს.ილეშიდან) 182, 287, 365, 401  
 მელაძე მაია შალვას ასული (ქ.ხონი) 67  
 მექვაბიშვილი ვ. (ს.სილაური, ოზურგეთის რ.) 331  
 მიმინოშვილი ჟორა (ს.ჭიქთუბანი, სამტრედ. რ.) 509  
 მრელაშვილი დიმიტრი 59  
 მუშტაშვილი ეკატერინე (ს.მალაროსკარი, დუშეთის რ.) 314

- მწარიაშვილი გიორგი 450  
 ნინიძე ვია გურამის ძე (დ.ნატანები) 429  
 ობგაიძე ნიკო (ს.ნაქალაქარი, თიანეთის რ.) 33, 504  
 ობგაიძე ტასო დავითის ასული (ს.დორეულები, თიანეთის რ.) 144  
 ორჯონიკიძე დავითი (ქ.თბილისი — ს.ღორეშა, ხარაგაულის რ.) 441, 442, 466, 370  
 პაპკიაური-ფიცხელაური მართა (ს.მგლიანები, დუშეთის რ.) 252  
 როსტიაშვილი კოსტა გიორგის ძე (ს.ანანური) 37  
 როსტიაშვილი რუბენა გიორგის ძე (ს.ანანური) 548  
 საბაშვილი მიშა დავითის ძე (ქ.თბილისი ) კარდენახიდან) 147  
 საგანელიძე მიხეილ მიხეილის ძე (ქ.ქიათურა — რაჭიდან) 146, 328, 368, 406, 429, 487  
 სირაძე მიხეილი ერმილეს ძე (ქ.თბილისი — რაჭიდან) 88, 539, 546  
 სიხარულიძე ილარიონ კონსტანტინეს ძე (ქ.თბილისი) 106  
 სტურუა ნანა ვარლამის ასული (ქ.სამტრედია) 353  
 სულხანიშვილი გიორგი (მცხეთა, ს.ქსანი) 192, 194  
 ტაბატაძე ელენე (ქ.თბილისი) 85  
 უნდილაშვილი-ხულუზაური თებრო (ს.ვეძათხევი, დუშეთის რ.) 277  
 ფეტვიაშვილი ამირანი (ერწო-თიანეთი) 236  
 ფიცხელაური-ბედოშვილი ეენია მოსეს ასული (ს.ანანური) 318  
 ფიცხელაური მოსიკა (ს.მგლიანი, დუშეთის რ.) 253  
 ქაზუმაშვილი ლადო ივანეს ძე (ქ.დუშეთი) 245  
 ქარსელაძე პეტრე (ქ.თბილისი — რაჭიდან) 291  
 ქითიძე გაბრო (თუშეთი) 82  
 ქოჩლაძე-გეწაძე ნინა (ქ.თბილისი — რაჭიდან) 349  
 ქოჩორაშვილი ივანე (ს.ავენისი, დუშეთის რ.) 24  
 ლამბაშიძე ნონა თემურის ასული (ქ.თბილისი) 377  
 ღარიბაშვილი ილო (ქ.დუშეთი) 277  
 ყიფშიძე ეკა სიმონის ასული (ქ.თბილისი) 485  
 შარაშენიძე თამარი (ქ.სამტრედია) 88  
 შაქაროვი დავითი მინესის ძე (ს.ანანური) 55  
 შუბითიძე თეა კუკურის ასული 506  
 ჩარბოდაშვილი-ბედოშვილი მარიამი შეთეს ასული (ს.სწროფავი, ფშავი) 391  
 ჩიტაური ვანო (ს.ქართალი, დუშეთის რ.) 46  
 ჩილოშვილი მიშა (ს.ნაოზა, მცხეთის რ.) 286  
 ჩოფიკაშვილი არჩილი (ჩაწერ. ს.ანანურში) 127  
 ჩოხელი ალექსი (ქ.დუშეთი) 53  
 ჩოხელი მარიამი (გულდამაყარი) 477  
 ცხოვრებაშვილი თამარი (ს.საქობო, სიღნაღის რ.) 290



წიკლაური შიხა (დ.ფასანაური) 99,112, 409  
ქელიძე თინა (დ. ხონი) 233, 234, 239  
ქიკაიძე ვალიკო (ს.დგნალი, დუშეთის რ.) 255  
ქინჭარაული ბაბუა (ერწო-თიანეთი) 399  
ხაპრიძე ნელი (ს.შენაქო, თუშეთი) 353  
ხელაშვილი თამარი (ფშავი) 459  
ხიდუშელი ავთანდილი (რაქა) 153  
ხიდუშელი ლავრენტი გლახუას ძე (რაქა) 153  
ხიდუშელი მაცვალა (ონის რ.) 153  
ხობობაშვილი ნასყიდა ისაკის ძე (ქ.თბილისი) 246  
ხუმარაშვილი გიორგი (ს.ჩეკურაანთგორი, თიანეთის რ.) 504  
ხუციშვილი ნელი 194, 195  
ჯავახიშვილი ლალი (ქ.დუშეთი) 134  
ჯავშანაშვილი ქეთევანი (გურჯაანის რ.) 155  
ჯაოშვილი რომანი გიორგის ძე (დ.წნორი) 190  
ჯარიაშვილი როინი ნიკოლოზის ძე (ს.სართიქალა) 369  
ჯერმიზაშვილი გოგია (ს.წკერე, ხადის ხეობა) 186  
ჯიქურაშვილი გია უშანგის ძე (გურჯაანის რ.) 190  
ჯოლბორდი ბაგრატი გიორგის ძე, 486